

პირველ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველები წერენ ესსეს. ესსეს სტუდენტი ირჩევს სამი მოცემული ვარიანტიდან:

### 2024 წლის მისაღები გამოცდებისთვის ესსეს ვარიანტები:

1. სოციალური მუშაობა გულისხმობს ინდივიდუალურ და არა სოციალური სისტემების ტრანსფორმაციაზე მუშაობას
2. სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდება მომხდარი ფაქტის საპასუხოდ უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე პრევენციულად
3. ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს მათთვის მომსახურების სააღმზრდელო დაწესებულებაში მიწოდებით უკეთ უზრუნველყოფთ ვიდრე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში

ესსეს მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 3 გვერდი.

წარმოდგენილი ესსეს მიხედვით ფასდება სწავლის მსურველთა ცოდნის დონე სოციალური მუშაკის პროფესიულ როლზე მიმდინარე სოციალურ მოვლენებში. ესსე შეადგენს საბოლოო შეფასების 40 პროცენტს.

### ესსე ფასდება შემდეგ სამ კრიტერიუმზე დაყრდნობით:

1. პროფესიული როლის გააზრება - 20 ქულა
  - არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0 ქულა
  - დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები - 1-5 ქულა
  - დაშვებულია მცირე შეცდომები - 6-10 ქულა
  - დაშვებულია არაარსებითი შეცდომები - 11-15 ქულა
  - შესრულებულია სრულყოფილად - 16-20 ქულა
2. არგუმენტაციის უნარი - 10 ქულა
  - არგუმენტები არაადამაჯერებელია - 0 ქულა
  - არგუმენტები ნაკლებადამაჯერებელია - 1-2 ქულა
  - არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ სუსტად დასაბუთებულია - 3-5 ქულა
  - არგუმენტები დამაჯერებელია და საკმაოდ კარგადაა დასაბუთებული - 6-8 ქულა
  - არგუმენტები ძლიერია და დამაჯერებელადაა დასაბუთებული - 9-10 ქულა
3. კრიტიკული ანალიზის უნარი - 10 ქულა
  - ანალიზი არ არის წარმოდგენილი - 0 ქულა
  - ანალიზი ძალიან სუსტია - 1-2 ქულა
  - ანალიზი სუსტია - 3-5 ქულა
  - ანალიზი ზედაპირულია - 6-8 ქულა
  - ანალიზი ღრმა - 9-10 ქულა

### საკითხავი ლიტერატურა:

#### 1. სოციალური მუშაკის პროფესია - ზოგადი მიმოხილვა

ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს., მგელიაშვილი, მ. (2010). სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები, გვ.11 – 25.

2. სოციალური მუშაობის თეორიული საფუძვლები  
ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს., მგელიაშვილი, მ. (2010). სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები., გვ.57-65.
3. სოციალური სამუშაო და ბავშვთა კეთილდღეობა  
ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს., მგელიაშვილი, მ., (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის*, გვ.25-38.
4. სოციალურ სამუშაოს თეორიული საფუძვლები  
ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს., მგელიაშვილი, მ., (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის*, გვ.57-64.
5. ბავშვის განვითარების ეტაპები და თავისებურებები  
ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს., მგელიაშვილი, მ., (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის*, გვ.77-100.
6. რა ავალდებულებს სოციალურ მუშაკს სოციალურ ადვოკატობას  
ლიტერატურა: შატბერაშვილი, ნ., (2018). *სოციალური ადვოკატობა სოციალურ მუშაკებისათვის*. თავი 1., გვ. 7- 13.
7. კრიზისული ინტერვენცია  
ლიტერატურა: სამაგლიშვილი, შ. (2011), *სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან*, გვ. 34-42.
8. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალური მუშაობა  
ლიტერატურა: შეყრილაძე, ი. (2011), *სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან*, გვ. 43-78.
9. სოციალური მუშაობა თემებთან  
ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს., მგელიაშვილი, მ. (2011), *სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან*, გვ. 172-178.
10. სოციალური სამუშაოს ეთიკა და ღირებულებები  
ლიტერატურა: შატბერაშვილი, ნ. (2011), *საერთაშორისო სოციალური სამუშაო, ინტელექტი*, გვ. 35-44.
11. სოციალური მუშაობის თეორიები  
ლიტერატურა: შტაუბ-ბერნასკონი, ს. (2011), *საერთაშორისო სოციალური სამუშაო, ინტელექტი*, გვ. 111-126.
12. სოციალური მუშაკის როლი სოციალური პოლიტიკის ასპარეზზე  
ლიტერატურა: შატბერაშვილი, ნ. (2011), *სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა*, ინტელექტი, გვ. 162-179.
13. ოჯახების გამლიერების პრევენციული როლი ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაში  
ლიტერატურა: ნამიჭეიშვილი, ს. (2015). ოჯახების გამლიერების პრევენციული როლი ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაში
14. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა  
ლიტერატურა: ფარცხალაძე, ნ. (2020). ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი

*მასალა განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე*

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**599 46 52 31** (22 აგვისტოს შემდეგ, გთხოვთ დამიკავშირეთ whatsapp-ზე ან viber-ზე ან ელ.ფოსტით: [nino.shatberashvili@tsu.ge](mailto:nino.shatberashvili@tsu.ge))

# სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან

პრაქტიკული სახელმძღვანელო

2011

**სამეცნიერო რედაქტორი:** შორენა საძაგლიშვილი, PhD, MSW

**დიზაინი:** გიორგი ხარებავა

სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან:  
პრაქტიკული სახელმძღვანელო

**ავტორები:** შორენა საძაგლიშვილი, ია შეყრილაძე, ნინო შატბერაშვილი,  
მაია მგელიაშვილი, სალომე ნამიჭეიშვილი

## ქართულ ენაზე

*წინამდებარე წიგნი დაბეჭდილია ამერიკის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ამ წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის წიგნის ავტორებს და სრულად არ არის აუცილებელი ასახავდეს ამერიკის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.*

**Scientific Editor:** Shorena Sadzaglishvili, PhD, MSW

**Design:** Giorgi Kharebava

Social Work Methods with Vulnerable Populations: A Practitioner's Guide

**Authors:** Shorena Sadzaglishvili, Ia Shekrladze, Nino Shatberashvili,  
Maya Mgeliasvili, Salome Namitcheishvili

## In Georgian language

*This publication was made possible through support provided by USAID and UNICEF. The opinions expressed in this publication are those of the authors and do not necessarily reflect the views of USAID or UNICEF.*

ISBN 978-9941-0-4008-5

## **წინასიტყვაობა**

---

სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის „ბავშვზე ზრუნვის სისტემებისა და მომსახურების გაძლიერების ფარგლებში, რომელსაც ამერიკის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად. პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს მთავრობის დახმარება ბავშვზე ზრუნვის რეფორმის განხორციელების პროცესში. პროექტის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ მომზადდა ორმოცდაათი ახალი სოციალური მუშაკი. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააცნოს დაინტერესებულ მკითხველს სოციალური მუშაობის მეთოდები და მოდელები. გარდა ამისა, მასში მიმოხილულია სხვადასხვა დაუცველი ჯგუფები და მათთან სოციალური მუშაობის სპეციფიკა. ამ მხრივ აღნიშნული სახელმძღვანელო უნიკალურია, რადგან დღესდღეობით არ არსებობს ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც დეტალურად განიხილავს სხვადასხვა დაუცველ ჯგუფებს, მათ საჭიროებებსა და დახმარების ფორმებს სოციალური მუშაობის კუთხით.

იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო რეალურ დახმარებას გაუწევს როგორც ახალბედა, ისე სისტემაში მომუშავე, გამოცდილ სოციალურ მუშაკებს, თავიანთი პრაქტიკის უკეთ განხორციელებაში, რაც თავის მხრივ წვლილს შეიტანს ბენეფიციარებისთვის უფრო ეფექტური და გააზრებული დახმარების აღმოჩენაში.

**სალომე ნამიჭიშვილი**

*საქართველოს სოციალურ მუშაკთა  
ასოციაციის თავჯდომარე*

## ავტორები

---

**შორენა საძაგლიშვილი:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი ქ. ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან 2003 წელს (ა.შ.შ.). მას მინიჭებული აქვს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (PhD) ფსიქოლოგიის მიმართულებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან 2005 წელს. შორენა საძაგლიშვილის კვლევის ინტერესს შეადგენს ოჯახები და ბავშვები, განათლების საკითხები, ფსიქიკური ჯანმრთელობა.

შორენა საძაგლიშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მას მომზადებული აქვს სახელმძღვანელოები და სატრენინგო მასალები სოციალური მუშაობის მიმართულებით და არის მთელი რიგი სამეცნიერო სტატიების ავტორი. შორენა საძაგლიშვილი არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. აქტიურად მონაწილეობს ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო რეფორმაში. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური მუშაობის კონსულტანტის გამოცდილება.

**ია შეყრილაძე:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი ქ. ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან 2002 წელს (ა.შ.შ.). იგი არის ა.შ.შ.-ს კალიფორნიის შტატის ლიცენზირებული კლინიკური სოციალური მუშაკი. ავტორს აქვს ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება ბავშვთა კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც სერვისთა უშუალო მიმწოდებელ პრაკტიკოსს, ასევე პროგრამათა მენეჯერს. მისი გამოცდილება ასევე მოიცავს საუნივერსიტეტო კურსების განვითარება-სწავლებას სოციალურ მუშაობაში, პროფესიული გადამზადების ტრენინგ-პროგრამების განვითარებას სოციალურ მუშაობაში, კვლევით გამოცდილებას ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამების განვითარებას და ადმინისტრირებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ავტორი არის ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემათა გაძლიერების პროგრამის მენეჯერი. იგი სოციალურ მუშაკთა ასოციაციის აქტიური წევრია,

მონაწილეობს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტრენინგ-პროგრამებისა და მასალების მომზადებაში.

**სალომე ნამიჭიშვილი:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი ქ. ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან 2003 წელს (ა.შ.შ.). იგი არის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დოქტორანტი სოციალური მუშაობის მიმართულებით. ავტორი კითხულობს სალექციო კურსებს ივ. ჯავახიშვილისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში. იგი ხელმძღვანელობს სტუდენტთა სწავლების პრაქტიკის კომპონენტს. მას მომზადებული აქვს სახელმძღვანელოები სოციალური მუშაობის მიმართულებით. ავტორი არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამჟამად თავჯდომარე. 1999 წლიდან მოღვაწეობს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. იგი ჩართულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ტრენინგ-პროგრამებსა და მასალების მომზადებაში. სალომე ნამიჭიშვილი ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო რეფორმაში აქტიურად არის ჩართული, როგორც სოციალური მუშაობის და ბავშვთა საკითხების ექსპერტი. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური მუშაობის კონსულტანტის გამოცდილება.

**ნინო შატბერაშვილი:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი ქ. ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან 2004 წელს (ა.შ.შ.). იგი არის სოციალური მუშაობისა და სოციალური პოლიტიკის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. მის კვლევის ინტერესს წარმოადგენს სოციალური მომსახურებების როლი სიღარიბის დაძლევაში. ნინო შატბერაშვილი არის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი და კითხულობს სალექციო კურსებს ივ. ჯავახიშვილისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში. იგი ხელმძღვანელობს სტუდენტთა სწავლების პრაქტიკის კომპონენტს. მომზადებული აქვს სახელმძღვანელოები სოციალური მუშაობის მიმართულებით. ავტორი არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. აქტიურად მონაწილეობს ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო რეფორმაში. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური მუშაობის კონსულტანტის გამოცდილება.

**მაია მგელიაშვილი:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი ქ. სენტ-ლუისის ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტიდან 2005 წელს. იგი არის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დოქტორანტი სოციალური მუშაობის მიმართულებით. ავტორი კითხულობს სალექციო კურსებს ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც, სასერთიფიკატო, ასევე საბაკალავრო და



სამაგისტრო დონეებზე. მომზადებული აქვს სახელმძღვანელოები სოციალური მუშაობის მიმართულებით. მაია მგელიაშვილი არის კრიზისული ინტერვენციის ცენტრის დირექტორი. იგი სოციალურ მუშაკთა ასოციაციის აქტიური წევრია, მონაწილეობს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტრენინგ-პროგრამებსა და მასალების მომზადებაში. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური მუშაობის კონსულტანტის გამოცდილება.

## სარჩავი

---

შესავალი.....	13
თავი 1 .....	15
ინტერვიუ სოციალურ მუშაობაში .....	15
<b>შორენა საძაგლიშვილი</b>	
ინტერვიუ – სოციალური მუშაობის ძირითადი მეთოდი.....	15
ინტერვიუს ჩატარების ტექნიკები და ზოგადი უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს უწყობს ინტერვიუს წარმატებით ჩატარებას.....	15
კითხვების დასმის ტექნიკა ინტერვიუს დროს.....	18
შეცდომები ინტერვიუს დროს და მათი თავიდან აცილება.....	19
სოციალური მუშაობის დახმარების პროცესის ფაზები.....	21
გამოყენებული ლიტერატურა.....	33
თავი 2 .....	34
კრიზისული ინტერვენცია.....	34
<b>შორენა საძაგლიშვილი</b>	
კრიზისი - ზოგადი აღწერა.....	34
კრიზისული ინტერვენცია .....	36
კრიზისული ინტერვენციის დროს კონსულტირების ძირითადი პრინციპები .....	37
კრიზისული ინტერვენციის მოდელები.....	38
ინტერვენციის ზოგადი მიდგომა (Robert’s Model).....	38
კრიზისზე პასუხის ეი ბი სი მოდელი (The ABC Model of a Crisis Response) .....	40
საჭირო უნარ-ჩვევები კრიზისული ინტერვენციის ინტერვიუს დროს	41
გამოყენებული ლიტერატურა.....	42

თავი 3 .....	43
კონსულტირება სოციალურ მუშაობაში .....	43
<b>ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალური მუშაობა .....</b>	<b>43</b>
<b><i>ია შეყრილაძე</i></b>	
ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება .....	43
ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა ბავშვებში:	
გავრცელებული აშლილობები .....	46
დეპრესია ზრდასრულებთან, ბავშვებთან და მოზარდებთან	
დეპრესიული აშლილობა .....	64
დეპრესია და თვითმკვლელობის რისკი .....	66
შიზოფრენია .....	72
ბიპოლარული აშლილობა .....	77
გამოყენებული ლიტერატურა .....	78
<b>გლოვა და ტრავმა ბავშვებსა და მოზარდებში .....</b>	<b>79</b>
<b><i>ია შეყრილაძე</i></b>	
გლოვის ოთხი საფეხური/ამოცანა .....	79
როგორ გლოვობენ მოზარდები .....	83
ტრავმატული სტრესის დამახასიათებელი ნიშნები .....	86
ინდივიდუალური მუშაობა ბავშვთან .....	89
გამოყენებული ლიტერატურა .....	91
<b>პრობლემური ქცევები და რთული ქცევის ბავშვებთან მუშაობა .....</b>	<b>92</b>
<b><i>შორენა საძაგლიშვილი</i></b>	
რა არის პრობლემური ქცევა .....	92
რთული ქცევის განმარტება .....	93
რთული ქცევის შეფასება .....	94
რთული ქცევის გამომწვევი მიზეზები .....	95
რთული ქცევის მიზნები .....	96
რთული ქცევის მართვა .....	97

რთული ქცევის შეცვლის მეთოდები.....	99
რთული ქცევის მართვის სხვა ტექნიკები.....	101
რთული ქცევის პრევენცია .....	107
ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები.....	108
სხვადასხვა რთული ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის მეთოდები..	114
გამოყენებული ლიტერატურა.....	117
<b>აგრესია და ოჯახური ძალადობა .....</b>	<b>118</b>
<b>შორენა საძაგლიშვილი</b>	
აგრესია და მასთან დაკავშირებული ცნებები .....	118
ოჯახური ძალადობა.....	120
გამოყენებული ლიტერატურა.....	134
<b>ძალადობა ბავშვებზე და ბავშვთა მიმართ უგულბეღყოფა .....</b>	<b>135</b>
<b>ია შეყრილაძე</b>	
ბავშვებზე ძალადობის დეფინიცია.....	135
ბავშვზე ძალადობის რისკ ფაქტორები.....	136
ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ძალადობისადმი მდგრადობას .....	137
ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბეღყოფის შეფასება და ინტერვენცია .....	138
ინტერვიუ ბავშვთან.....	142
გამოყენებული ლიტერატურა.....	144
<b>ქალის მიმართ ჩაგვრა და ძალადობა .....</b>	<b>145</b>
<b>ია შეყრილაძე</b>	
ჩაგვრა.....	145
რატომ ჩაგრავენ მამაკაცები ქალებს?.....	146
რატომ რჩებიან ქალები მოძალადე მამაკაცებთან? .....	147
დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ძალმომრეობითი ურთიერთობების დასრულებას .....	148
რამ შეიძლება მიგვანიშნოს ოჯახურ ძალადობაზე.....	149

დაჩაგრული ქალის სინდრომი.....	153
ძალადობის მსხვერპლ ქალებთან ინდივიდუალური მუშაობის პრინციპები.....	154
გამოყენებული ლიტერატურა.....	155
<b>ნივთიერებაზე დამოკიდებულება .....</b>	<b>156</b>
<i>ია შეყრილაძე</i>	
რას ნიშნავს ნივთიერებაზე დამოკიდებულება? .....	156
ნივთიერებაზე დამოკიდებულების შეფასება .....	158
ნივთიერებაზე დამოკიდებულების გავრცელებული ინტერვენციები.....	162
ფსიქოაქტიური ნივთიერებების კლასიფიკაცია.....	163
რეკომენდაციები ინტერვენციისთვის .....	165
გამოყენებული ლიტერატურა.....	167
<b>ზრდასრულობა და ხანდაზმულობა და მათი თავისებურებები.....</b>	<b>168</b>
<i>ია შეყრილაძე</i>	
ალცჰაიმერის დაავადება და მისი სტადიები.....	168
ალცჰაიმერის ტიპის დემენციის სტადიები.....	169
გამოყენებული ლიტერატურა.....	171
<b>თავი 4 .....</b>	<b>172</b>
<b>სოციალური მუშაობა თემებთან .....</b>	<b>172</b>
<i>სალომე ნამიჭეიშვილი, მაია მგელიაშვილი</i>	
რა არის თემი? .....	172
სოციალური მუშაკის ძირითადი როლები თემთან მუშაობის პროცესში.....	173
თემის განვითარება .....	173
თემის გაძლიერება.....	174
სათემო მობილიზაციის პროცესი და პრინციპები .....	175
სათემო მობილიზაციის ძირითადი მიზნები.....	175
სათემო მობილიზაციის ეტაპები .....	176
გამოყენებული ლიტერატურა.....	178

თავი 5 ..... 179

**სოციალური მუშაკი, როგორც სოციალური ადვოკატი ..... 179**

***ნინო შატერაშვილი***

რითია განპირობებული სოციალური მუშაკის სურვილი  
გახდეს უფლება დამცველი ..... 181

სოციალური ადვოკატობის განხორციელების დონეები..... 183

ბერკეტები, რომელიც სოციალურ მუშაკს აქვს ადვოკატობის  
განხორციელებაში..... 188

წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები..... 189

სოციალური ადვოკატის როლის შესრულებისათვის  
ხელის შემშლელი ფაქტორები ..... 192

სოციალურ ადვოკატის პროფესიული თვისებები ..... 194

შეფასება სოციალურ ადვოკატობაში.....200

პროფესიულ სირთულეებთან გამკლავების გზები.....202

სოციალური ადვოკატობის საასპარეზო სივრცე.....204

გამოყენებული ლიტერატურა.....205

თავი 6 .....207

**პროფესიული ზედამხედველობა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში...207**

***მაია მგელიაშვილი***

ზედამხედველობის ფუნქციები სოციალური მუშაობის პრაქტიკაში...207

ზედამხედველობის პროცესი .....209

ეთიკური დილემა და ზედამხედველობა .....212

გამოყენებული ლიტერატურა.....213



სოციალური მუშაობა ჩვენი საუკუნის პროფესიაა, თუმცა მისი ფესვები იმ ძველი დროიდან მოდის, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ზრუნვა გაჭირვებულებზე გულმონყალების, ფილანტროპული თუ რელიგიური მოტივებით. სოციალური მუშაობის პროფესიის მიზანია სოციალური მომსახურებების განვითარება, სოციალური და ეკონომიური სამართლიანობისა და პიროვნების ღირსების პატივისცემის ხელშეწყობა. თუკი ადრე სოციალური მუშაკები მხოლოდ ღარიბებსა და გლახაკებს ემსახურებოდნენ, დღეს მათი მოღვაწეობის არეალი საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ, სოციალური მუშაკები მუშაობენ ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორცაა სკოლები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, ოჯახებთან და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციები, ბავშვის კეთილდღეობაზე მზრუნველი სისტემები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, ბიზნესი და ინდუსტრია და კერძო პრაქტიკის სფეროც კი. სოციალური მუშაკები ემსახურებიან ყველა ასაკის ადამიანებს: ჩვილი ბავშვებიდან დაწყებული მოხუცებით დამთავრებული. თავისი მიზნების მისაღწევად სოციალური მუშაობის პროფესია იყენებს სხვადასხვა მეთოდებს. ეს მეთოდებია: შემთხვევის მართვა, სოციალური ჯგუფური მუშაობა, თემის ორგანიზაცია, სოციალური აქტივობა-ადვოკატობა, სოციალური კეთილდღეობის კვლევა და ადმინისტრირება, კრიზისული ინტერვენცია.

შემთხვევის მართვა არის მეთოდი, რომელიც კლიენტს ეხმარება კონსულტირებით და მიზნად ისახავს კლიენტის სოციალური ურთიერთობების და სოციალური შეგუების გაუმჯობესებას, რასაც მივყავართ კლიენტისთვის დამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობების შექმნამდე. გორდონ ჰამილტონის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, "სოციალური შემთხვევის მართვის ამოცანაა ადმინისტრირება გაუწიოს პრაქტიკულ სერვისებს და შესთავაზოს კლიენტს კონსულტირება იმ გზით, რომ გააქტიუროს მისი ფსიქოლოგიური, შინაგანი ენერგია და რესურსები, რათა იგი ამოქმედდეს და ჩაერთოს სოციალური მომსახურებების გამოყენებაში საკუთარი დილემის გადაჭრის მიზნით". შემთხვევის მართვის დროს სოციალური მუშაკები იყენებენ კლიენტთან უშუალო პრაქტიკის უნარ-ჩვევებს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ინტერვიუების უნარ-ჩვევა. კრიზისული ინტერვენცია ასევე არის სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ეყრდნობა კრიზისის ინტერვენციის თეორიას.

სოციალური ჯგუფური მუშაობა არის აქტივობა, რომელიც რთავს კლიენტს ჯგუფურ აქტივობებში, რათა მიაღწიოს ინტელექტუალურ, ემოციურ და ფიზიკურ ზრდას და ჯგუფის საერთო მიზნების მიღწევას. ჯგუფური მუშაობა არის მეთოდი, რითაც მუშაკი ეხმარება სხვადასხვა ტიპის ჯგუფებს იფუნქციონ იმ სახით, რომ ჯგუფურმა ურთიერთქმედებამ და პროგრამის აქტივობებმა ხელი



შეუწყოს ინდივიდის ზრდას და სასურველი სოციალური მიზნების მიღწევას.

თემის ორგანიზაცია არის სოციალური მომსახურებების დაგეგმვის და განვითარების პროცესი, რათა თემის ან უფრო მსხვილი საზოგადოებრივი ერთეულის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. მილდრედ ბარის სიტყვებით რომ ვთქვათ, “სოციალურ მუშაობაში თემის ორგანიზაცია არის თემის არსებულ რესურსებსა და მისი კეთილდღეობისათვის საჭირო მოთხოვნებს შორის ეფექტური შეგუების შექმნის და შენარჩუნების პროცესი”.

სოციალური აქტივობა არის ორგანიზებული ჯგუფური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური პრობლემების გადაჭრას, სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობას საკანონმდებლო, სოციალური, ჯანმრთელობის და ეკონომიკური პროგრესით. ტერმინი სოციალური აქტივობა ეხება ორგანიზებულ და ლეგალურად დაშვებულ აქტივობებს, რომელიც მიმართულია სოციალურად სასურველი მიზნების მისაღწევად, საზოგადოებრივი აზრის, კანონმდებლობის და საჯარო ადმინისტრირების შეცვლაზე.

სოციალური კეთილდღეობის კვლევა არის სოციალური კეთილდღეობის სფეროში არსებული საკითხების კრიტიკული სისტემატური გამოკვლევა, რომლის მიზანია გამოავლინოს პასუხები სოციალური მუშაობის ან უფრო ფართო მნიშვნელობით სოციალური მუშაობის კონცეპტუალურ პრობლემებზე. სოციალური მუშაობა ეყრდნობა იგივე მეთოდებს, რაც გამოყენებულია სოციოლოგიაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში, ისტორიაში და ანთროპოლოგიაში.

სოციალური კეთილდღეობის ადმინისტრაციის პროცესი ეხება სოციალური სააგენტოს ორგანიზებას და მართვას. სოციალური მუშაობის ადმინისტრაციული ასპექტები მოიცავს საჯარო და კერძო სოციალური სააგენტოების ორგანიზაციას და მართვას, მათ შორის ორგანიზაციის სხვადასხვა ერთეულებს შორის ადმინისტრაციული ურთიერთობის საკითხებს, მომუშავე პერსონალის პრობლემებს, ფინანსირების საკითხებს, პროფესიული ზედამხედველობის საკითხებს და ა.შ.

და ბოლოს, ტერმინთა შესახებ ერთი პატარა შენიშვნა გვსურს გავაკეთოთ. კერძოდ, ჩვენ ვხმარობთ ტერმინს „ბენეფიციარი“, იმ ადამიანის აღსანიშნავად, რომელიც იღებს სოციალური მუშაკის დახმარებას. თუმცა სახელმძღვანელოში, ასევე, გამოყენებულია ტერმინი „კლიენტი“. ტერმინის „კლიენტი“ გამოყენება უფრო კორექტულად მიგვაჩნია სახელმძღვანელოს ზოგიერთ კონტექსტში, რადგან იგი უფრო მეტად კონცენტრირდება სერვისების აქტიურ მომხმარებელზე. ბენეფიციარის აქტიურობა კი მნიშვნელოვანია ეფექტური ინტერვენციის განსახორციელებლად.

ამრიგად, წინამდებარე წიგნში თქვენ გაეცნობით სოციალური მუშაობის ძირითად მეთოდებს და მოდელს. წიგნი დაეხმარება პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს ეფექტურად წარმართონ თავიანთი საქმიანობა და უფრო ნაყოფიერი დახმარება გაუწიონ ბენეფიციარებს.

# თავი 1

## ინტარვიუ სოციალურ მუშაოებაში

### შორენა საკაგლიშვილი

#### ინტარვიუ – სოციალური მუშაოების ძირითადი მეთოდი:

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისათვის ინტერვიუ წარმოადგენს კლიენტთან მუშაობის უმთავრეს მეთოდს. სხვა სიტყვებით, ინტერვიუება განიხილება, როგორც “სოციალური მუშაკის ყველაზე ფუნდამენტური აქტივობა”. სოციალური მუშაობის ინტერვიუ კონცენტრირებულია სოციალური მუშაობის შინაარსზე და მიზნად ისახავს სოციალური მუშაობის მიზნების მიღწევას და მიმდინარეობს სოციალური მუშაობის კონტექსტში. კერძოდ, ინტერვიუს მიზანია კლიენტსა და პრაქტიკოსს შორის ინფორმაციის გაცვლა, რომელიც მიგვიყვანს სტრატეგიების დაგეგმვასა და პრობლემის გადაჭრამდე.

ამრიგად, ინტერვიუ არის გარკვეული ინფორმაციის მოპოვების მიზნით სოციალური მუშაკის დიალოგი კლიენტთან. ინტერვიუ შეიძლება იყოს სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული. სტრუქტურირებულია ინტერვიუ, რომელიც ეფუძნება წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს, ხოლო არასტრუქტურირებული ინტერვიუს დროს სოციალურ მუშაკს შეკითხვები წინასწარ არ აქვს მომზადებული და მას სვამს საუბრის პროცესში სიტუაციიდან გამომდინარე.

#### ინტარვიუს ჩატარების ტექნიკები და ზოგადი უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს უწყობს ინტარვიუს წარმატებით ჩატარებას:

- მინიმალური ნახალისებები: არის მცირედი წინადადებით გამყარებული, “ხორხისმიერი ბგერების გამოცემა”, რაც რესპოდენტს ნახალისებს და უბიძგებს იმისკენ, რომ საუბარი განაგრძოს – “ჰმ”, “აჰა”, “განაგრძეთ”, “შემდეგ”, “ასე, რომ”, “გასაგებია”, “რალა თქმა უნდა”, “ასეა”, “და”, ამ ფგუფში ერთიანდება არავერბალური თანხმობაც. ყოველივე ეს ქმნის ფსიქოლოგიურ გარემოს: კლიენტი თავს კომფორტულად და საჭიროდ თვლის. ნახალისება კონტექსტის გარეშე უნიადაგოა და ხშირად კლიენტის გალიზიანებას იწვევს. “ჰმ” და “აჰა” არის ნეიტრალურად ორაზროვანი ნახალისებები. რაც შეეხება, “კარგია”, “საინტერესოა”, “მშვენიერია”, არ მიუთითებს კლიენტს იმაზე, რომ ეს არის ინფორმაცია, რომელსაც ინტერვიუერი ეძებს. ამ დროს, ეს უკანასკნელი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ რასაც ის ამბობს, საინტერესოა. ამ სახის პასუხები საწყის ეტაპზე ინტერვიურს ეხმარება

პრობლემის თანდათან გამოკვეთაში და იმაში, რომ მასთან დაკავშირებით მოიფიქროს კითხვები.

- აქტიური მოსმენა: აქტიური მოსმენის დროს მსმენელი ამახვილებს ყურადღებას მოსაუბრესა და მის ნათქვამზე. კარგ მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან კარგად გაიგო სხვისი ნათქვამი. ამისათვის აქტიურმა მსმენელმა უნდა დაამყაროს უკუკავშირი მოსაუბრესთან კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, გადმოცემულის შინაარსი და, მეორე მხრივ, მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი. აქტიური მოსმენის დროს მსმენელმა ასევე უნდა გააკონტროლოს მოსმენის შიდა - საკუთარ თავთან დაკავშირებული ფაქტორები. კერძოდ, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსაუბრეზე, შეწყვიტოს ყველა შეუსაბამო ქცევა მოსმენის დაწყებამდე, წინასწარ მოამზადოს შესატყვისი მასალა (მაგ. ჩასაწერი რვეული, კალმისტარი), გააკონტროლოს თავისი ემოციური მდგომარეობა და ა. შ.;
- ემპათია და ემპათიური მოსმენა: ემპათია არის უნარი სწორად გაიგო კლიენტის გრძნობები და მისთვის შესატყვისი ენით კლიენტს გააგებინოთ, რომ თვენ მისი გესმით; ემპათია ეს არის უნარი თავი იგრძნოთ კლიენტის ტყავში, მისი ემოციების გაზიარების გარეშე. ემპათიის გამოხატვა შესაძლებელია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციით (მინიმალური ნახალისებები, თავის დაკვრა, თვალის კონტაქტი და ა.შ.);
- პერეფრაზი: პერეფრაზი გულისხმობს კლიენტის მონათხრობის სხვა სიტყვებით მოკლედ გადმოცემას. სოციალური მუშაკის პასუხები, რომელიც ახდენს პერეფრაზირებას, ჩვეულებრივ უფრო ფოკუსირებულია შინაარსზე, ვიდრე კლიენტის აფექტურ მდგომარეობაზე.

### **მაგალითი:**

**კლიენტი:** საავადმყოფოდან გამოსვლის დღიდან მედიკამენტებზე ვარ, თუმცა კი დღემდე ვერ შევძელი გამოჯანმრთელება. ამის გამო ვერ ვახერხებ ბავშვების მოვლასაც კი.

**ინტერვიუერი:** ის, რომ ბავშვებს თქვენი ზრუნვა აკლიათ, წამლების გავლენის შედეგია.

- კლიენტის მიერ გადმოცემული შინაარსების და გრძნობების ასახვა; მარტივად რომ ვთქვათ, შინაარსების ასახვა არის რესპოდენტის ტექსტის სელექციური (შერჩევითი) გამეორება. ეს პროცესი ინტერვიუს ჩატარებისას, კლიენტს ნახალისებს და თავს მნიშვნელოვნად აგრძნობინებს. გრძნობის გამოხატვა ინტერვიუს პროცესს უფრო მეტად აღრმავებს.

სიღრმის ხარისხი განისაზღვრება რესპოდენტის ამ პროცესისადმი დამოკიდებულებით. პერფორანის გაკეთება არის კლიენტის ვერბალურ აზრზე პასუხი, ხოლო ასახვა კი გრძნობების არავერბალურ მხარეზე ხაზის გასმაა.

**შინაარსის ასახვის მაგალითი:**

**კლიენტი:** “მშობლები ძალიან გაბრაზდნენ, როცა სკოლა მივატოვე”

**ინტერვიუერი:** “მშობლები ძალიან გაბრაზდნენ.”

გრძნობების ასახვის მაგალითი:

11-12 წლის ბავშვი ესაუბრება სოციალურ მუშაკს თავშესაფარზე.

**კლიენტი:** “აქვე ახლოს სახლი მქონდა და წამოსვლა გადავწყვიტე. ახლა ძალიან მიჭირს იმის განსაზღვრა, სად წავიდე, რა გავაკეთო, რითი ვიკვებო.”

**ინტერვიუერი:** [პერფორანში]: “შენ სახლიდან წამოხვედი, თუმცა, ეს ადვილი არ აღმოჩნდა.”

**ინტერვიუერი:** [ემოციების ასახვისას]: “მესმის, რომ ძალიან დაბნეული და შეშინებული ხარ.”

- კლიენტის მონათხრობის შეჯამება (ძირითადად სესიის ბოლოს)

**შეჯამება არის ინტერვიუს პროცესში ნათქვამი შინაარსების თავის მოყრა. შეჯამებით ინტერვიუერი ინტერვიუს მიმართულებას განსაზღვრავს, თავს უყრის მანამდე ნათქვამს და წინა პლანზე წამოსწევს იმას, რაც მნიშვნელოვანია.**

**მაგალითი:**

**ინტერვიუერი:** ჩემი აზრით, ჩვენ ამომწურავად ვისაუბრეთ სკოლის სიტუაციაზე. ნება მომეცი, რეზიუმირება გავუკეთო იმას, რაც მანამდე ითქვა. თუ დაეთანხმები ნათქვამს, შეგვიძლია სხვა რამეზე ვისაუბროთ.

- თვით-რეფლექსია/ თვითშემეცნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა. იგი არის საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქცევის და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს. თვითშემეცნებას, ანუ რეფლექსიას სოციალური მუშაკი იყენებს მაშინ, როდესაც ფიქრობს საკუთარ მოქმედებებზე: მაგ. ხომ არ არის რაიმე, რაც მას ხელს უშლის კლიენტთან ეფექტური ჩარევის/ინტერვენციის განხორციელებაში, რა შეცდომები დაუშვა, რამაც გამოიწვია კლიენტის შეშინება და ა.შ.
- კრიტიკული აზროვნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც მოიცავს ერთდროულად ორ ან მეტ განსხვავებულ მოსაზრებაზე ფიქრს, სხვადასხვა მოსაზრების გაგებას, რაიმე შეხედულების დასაბუთებას,

სხვადასხვა მიდგომების საფუძველზე და იმის გაცნობიერებას, რომ სხვადასხვა შეიძლება საკუთარი განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს. კრიტიკულ აზროვნებას ადამიანი მიმართავს არსებული ან წარმოდგენილი მოსაზრების „ჭეშმარიტი“ ღირებულების დასადგენად. კრიტიკული აზროვნების დროს არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მოსაზრების შეცვლა ან ახალი მოსაზრების მიღება. კრიტიკულ აზროვნებას ასევე უწოდებენ „ლოგიკურ“ ან „ანალიტიკურ“ აზროვნებას. კრიტიკული აზროვნება ხშირად მოიცავს შემდეგ ეტაპებს: (1) საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის სანყისი მიმოხილვა; (2) არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება გადანყვეტილების მიღების საფუძველის შესაქმნელად, (3) პირველადი დასკვნების გამოტანა; (4) სხვა შესაძლო მოსაზრებების განხილვა საკითხის შემდგომი დაზუსტების მიზნით; (5) შეჯამება - საბოლოო დასკვნის გაკეთება.

### **კითხვის დასმის ტექნიკა ინტერვიუს დროს:**

სოციალური მუშაკი უნდა ფლობდეს კითხვების დასმის ტექნიკას, რათა შეისწავლოს მოსწავლეების პრობლემები და უკეთ შეძლოს მათი ქცევების ანალიზი და მართვა. კერძოდ, სოციალურ მუშაკს უნდა შეეძლოს კლიენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ინტერვიუს საშუალებით (კლიენტთან და კლიენტის სხვა სისტემებთან, მშობელთან, ბავშვთან და ა.შ. ინტერვიუ-საუბარი);

კითხვების ძირითადი კლასიფიცირების ფორმის მიხედვით გამოყოფენ **ღია** და **დახურულ** კითხვებს. ღია კითხვის დროს მოპასუხეს ეძლევა სრული თავისუფლება იმაში, თუ რას უპასუხებს.

#### **ღია კითხვის მაგალითი:**

რატომ ფიქრობთ ასე? აქ მოპასუხემ თავისი საკუთარი სიტყვებით უნდა განმარტოს მიზეზი, გამოთქვას მოსაზრება, ან დაასახელოს ფაქტი.

დახურული კითხვის დროს, კითხვის ტექსტში წინასწარ არის მოცემული პასუხების არჩევანი და მან მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს.

#### **დახურული კითხვის მაგალითი:**

ყველაზე მეტად რამ განაპირობა თქვენი ქმართან დაშორება?

- ა) ემოციურმა პრობლემებმა
- ბ) ეკონომიკურმა პრობლემებმა
- გ) ნათესავების ჩარევამ

დახურული კითხვის ტიპია აგრეთვე „კი ან არა“ (ე. ნ. ჭეშმარიტი / მცდარი) კითხვები;

**„კი ან არა“ კითხვის მაგალითი:**

გსურთ თუ არა მიიღოთ ჩვენი სერვისი?

ინტერვიუს დროს გამოიყენება ღია კითხვები მაშინ, როცა საჭიროა რაიმე სრულიად ახალი ინფორმაციის მოპოვება. დახურულ კითხვებს კი იყენებენ მაშინ, როდესაც ინფორმაცია უკვე მოპოვებულია, მაგრამ ზოგიერთი დეტალი მაინც გაურკვეველია და ამიტომ საჭიროა სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვება.

ინტერვიუს დროს ასევე განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ კითხვებს. პირდაპირი კითხვა უშუალოდ ეხება კლიენტს და მის დამოკიდებულებას რაიმეს მიმართ (მაგ. რა დამოკიდებულება გაქვთ სკოლის მიმართ?); არაპირდაპირი კითხვები კი კლიენტისგან მოითხოვს ისეთ სიტუაციაზე პასუხს, რომელთანაც იგი პირდაპირ კავშირში არ იმყოფება (მაგალითად, თქვენ კლასელებს რამდენად მოსწონთ სკოლაში სიარული?);

დამაზუსტებელი კითხვები ეხმარება ინტერვიუერს ნათლად და დეტალურად გაერკვეს არსებულ სიტუაციაში.

**მაგალითად:**

**კითხვა:** რამდენად ხშირად დადიხართ სკოლაში შვილის ამბის გასაგებად?

**რესპოდენტი პასუხობს:** ძალიან ხშირად.

**დამაზუსტებელი კითხვა:** რას ნიშნავს ძალიან ხშირად თქვენთვის? კვირაში ერთხელ, ორ კვირაში ერთხელ, თვეში ორჯერ, თვეში ერთხელ და ა. შ.

**შეცდომები ინტერვიუს დროს და მათი თავიდან აცილება:**

სოციალური მუშაკი არ არის დაზღვეული შეცდომებისგან. შესაძლოა მან არასწორად დასვას კითხვები და, შესაბამისად, მოიპოვოს არაშესატყვისი ინფორმაცია. ძირითადი შეცდომები მოდის „დამაკვალთანებელი“ კითხვების, „კი ან არა“ (ჭეშმარიტი / მცდარი) კითხვების, „ორმაგი“ კითხვების და „რატომ“ კითხვების დასმის დროს.

**დამაკვალთანებელი შეკითხვების** დასმის დროს სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა წინასწარ უბიძგოს კლიენტს გარკვეული პასუხისაკენ. ზოგიერთი შეკითხვა ასევე სოციალური მუშაკის გარკვეულ კრიტიკულ დამოკიდებულებასაც მოიცავს. მაგალითად, „უკეთესი არ იქნებოდა, რომ...?“ „არ ფიქრობთ, ასე რომ გაგეკეთებინათ . . .?“

ამიტომ სოციალურმა მუშაკმა თავი უნდა აარიდოს ამგვარი კითხვების დასმას. თუმცა შესაძლებელია, რომ მან კლიენტს გამიზნულად დაუსვას ასეთი კითხვა და არა უნებლიედ.

**„კი ან არა“ (ჭეშმარიტი / მცდარი) კითხვები:** ეს არის იგივე დახურული კითხვა, რომელზეც შესაძლებელია დადებითი (კი) ან უარყოფითი (არა) პასუხის გაცემა. „კი ან არა“ კითხვები სასარგებლოა ზოგიერთ სიტუაციაში, მაგრამ სიზუსტის მოსაპოვებლად, სასურველია, რომ სოციალურმა მუშაკმა დახურული კითხვები ღიად გადააქციოს.

**მაგალითი:**

- ოდესმე რამეს აკეთებთ თქვენს ბავშვებთან ერთად? (დახურული)
- რას აკეთებთ თქვენს ბავშვებთან ერთად? (ღია)

**„ორმაგი“ კითხვები:** როდესაც ერთდროულად ხდება ორი ან მეტი კითხვის დასმა, კლიენტს ექმნება პრობლემები. მან არ იცის, თუ რომელ კითხვას უპასუხოს. შესაძლოა მან უპასუხოს მხოლოდ იმ კითხვას, რომელიც ყველაზე ნაკლებ მუქარას შეიცავს ან პასუხობს იმ კითხვას, რომელიც მისთვის მოსახერხებელია და იგნორირებას უკეთებს კითხვის სხვა ნაწილს.

**„რატომ კითხვები“:** პირად საკითხებზე საუბრისას „რატომ კითხვის“ დასმა გარკვეულ სირთულეებს იწვევს. იგი მოითხოვს კლიენტისაგან საკუთარი ქცევის ანალიზს. ხშირად ადამიანებს უჭირთ იმის ახსნა, თუ რატომ იქცევიან ისე, როგორც იქცევიან. განსაკუთრებით მაშინ, თუ კლიენტის ქცევა საკუთარი თავისათვის დამღუპველი ან წამგებიანია, „რატომ კითხვა“ აღრმავებს მის უიმედობას და ზრდის არაადეკვატურობას.


ასეთ შემთხვევებში უფრო ეფექტური და მისაღები იქნება, ნაცვლად კითხვისა „რატომ“, დავსვათ კითხვა „რა?“; კითხვაზე „რა“ კლიენტები უფრო ადვილად პასუხობენ, ვიდრე კითხვაზე „რატომ“, რომელიც თვითანალიზს გულისხმობს.

**მაგალითი:**

- რა სახის უსიამოვნებები გაქვთ თქვენს შვილთან? - ამ კითხვაზე კლიენტისათვის პასუხის გაცემა უფრო იოლია, ვიდრე „რატომ გაქვთ უსიამოვნებები თქვენს შვილთან?“.

## სოციალური მუშაობის დახმარების პროცესის ფაზები:

- I. შემთხვევის შეფასება: პრობლემის შესწავლა: მოკვლევა, შეფასება და მიზნების ჩამოყალიბება
- II. მოქმედების გეგმის განვითარება
- III. მოქმედების განხორციელება
- IV. დასრულება: შედეგების შენარჩუნების სტრატეგიის დაგეგმვა, შეფასება.





**I ფაზა: შეფასება, პრობლემის შესწავლა: მოკვლევა, შეფასება და მიზნების ჩამოყალიბება**

განსახორციელებელი აქტივობები:	საჭირო უნარ-ჩვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>■ „საწყისი კონტაქტის“ მომზადება</li> <li>■ პირველი კონტაქტი და პრობლემის განსაზღვრა</li> <li>■ მიზნების იდენტიფიკაცია</li> <li>■ პირველად კონტრაქტზე მოლაპარაკება</li> <li>■ გამოკვლევა და მონაცემების შეგროვება</li> <li>■ შეფასება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>■ უნარი გამოიყენოს საკუთარი თავი კლიენტის სისტემის ინტერესებისათვის. ამისათვის საჭიროა თვით-ცნობიერება (თვით-რეფლექსიის უნარი) და კლიენტის რესურსების გაგება;</li> <li>■ აქტიური მოსმენა (ვერბალური და არავერბალური ინფორმაცია)</li> <li>■ ემპათიის, ნდობის, პატივისცემის, და დახმარების კომუნიკაცია;</li> <li>■ პერფორმანსების, გარკვევის, ფოკუსირების, კითხვის დასმის, რეფლექსიის, ინფორმირების, შეჯამების, კონფრონტაციის, ინტერპრეტაციის, დარწმუნების, და გადარწმუნების ტექნიკების გამოყენება;</li> <li>■ მონაცემთა შეგროვების მეთოდები: ინტერვიუების უნარ-ჩვევებთან ერთად, ჩანაწერების გამოყენება, სხვა წერილობითი მასალების გამოყენება და სხვა სისტემების (ოჯახი, მეგობარი, თანამშრომელი, სხვ.) გამოყენება;</li> <li>■ თეორიული ცოდნის გამოყენება, რათა ინტეგრაცია გაუკეთოს მიღებულ ინფორმაციას და დახმარების პროცესი წარმართოს სწორი მიმართულებით.</li> </ul>

ამ ფაზის დროს ხდება კლიენტის სოციალიზაცია სააგენტოსთან (იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუძლია მოცემულ სააგენტოს კლიენტის მოთხოვნების დაკმაყოფილება) და მისი დაინტერესება. თუ კლიენტის პრობლემა ხვდება სააგენტოს პრობლემათა სპეციფიკაში, მაშინ იწყება კლიენტის პრობლემაზე მუშაობა: პრობლემის განსაზღვრა, მიზნების იდენტიფიკაცია და პირველადი კონტრაქტის დადება.

**„საწყისი კონტაქტის“ მომზადება:**

გულისხმობს კლიენტის შესახებ არსებული მასალების/ინფორმაციის მოძიებას (კონტაქტი კლიენტის ოჯახთან, კლიენტის გამომგზავნ წყაროსთან) და იმის

განსაზღვრას, თუ რაში შეიძლება სააგენტო დაეხმაროს კლიენტს. პირველი კონტაქტის მნიშვნელობა მდგომარეობს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში კლიენტთან. აგრეთვე, აქ შედის ყველა იმ აუცილებელი ტექნიკური მხარეების მოგვარება, რაც ხელს შეუწყობს მოხერხებულად და ხელისშემშლელი ფაქტორების გამორიცხვით ინტერვიუს ჩატარებას.

კლიენტთან შეხვედრამდე მონაცემების შეგროვების ძირითადი პრინციპებია:

- (1) კლიენტი ან კლიენტთა სისტემა უნდა იყოს ინფორმაციის პირველადი წყარო;
- (2) შეგროვებული ინფორმაცია უნდა იყოს პრობლემის შესაბამისი;
- (3) არ უნდა შეაგროვოს ის ინფორმაცია, რომელსაც არ გაუზიარებს კლიენტს.

**თუ სოციალური მუშაკი ფლობს ინფორმაციას პრობლემის კერძო ასპექტის შესახებ, მან ეს ინფორმაცია უნდა გაუზიაროს კლიენტს მანამდე, სანამ შეეკითხება კლიენტს, თუ რას გრძნობს ან ფიქრობს იგი ამ კერძო ასპექტის შესახებ.** ეს არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ არ გამოვიმწყვდიოთ კლიენტი ხაფანგში და არ მივცეთ საშუალება დაიჭიროს რაიმე პოზიცია იმის საფუძველზე, რომ ჰგონია რომ ჩვენ არ ვფლობთ ზუსტ ინფორმაციას მის შესახებ.

მხოლოდ კლიენტთან პირველი კონტაქტის დამყარების შემდეგ და ერთად მუშაობაზე შეთანხმების შემდეგ, სოციალური მუშაკი იწყებს კლიენტის შესახებ ძირითადი ინფორმაციის შეგროვებას, რაც შეიძლება მოიცავდეს კლიენტის სისტემის გარდა სხვა წყაროებსაც. პირველ კონტაქტამდე კლიენტის შესახებ ზედმეტი ინფორმაცია ხელს შეუშლის სოციალურ მუშაკს მართლაც გაიგოს, თუ რაში მდგომარეობს კლიენტის პრობლემა აქ და ამჟამად.

### **პრობლემის განსაზღვრა:**

პირველ რიგში სოციალურმა მუშაკმა უნდა გაარკვიოს, თუ როგორ ხედავს კლიენტი პრობლემას. შეცდომა შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ სოციალური მუშაკი შესაძლოა კლიენტისაგან ძალზედ განსხვავებულია ან ფიქრობს, რომ მათ თითქმის მსგავსი გამოცდილება აქვთ (და შესაბამისად ახდენს საკუთარი პრობლემის პროექტირებას).

ამდენად, საჭიროა შემდეგის გარკვევა:

- როგორია კლიენტის მიერ პრობლემის სანყისი გაგება (როგორ ხედავს კლიენტი პრობლემას);
- რა უნდა კლიენტს ამ კონტაქტისგან, როგორი მოლოდინები აქვს, რა უნდა, რომ შეიცვალოს.

სოციალური მუშაკი და კლიენტი უნდა შეთანხმდნენ სამუშაო პრობლემების რიგზე. პრობლემების საერთო განსაზღვრა მოითხოვს კლიენტსა და სოციალურ მუშაკს შორის მოლაპარაკებებისა და დისკუსიების მთელ სერიას. პრობლემების დანაწევრება არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება კლიენტის მიერ დანახული პრობლემებიდან და სოციალური მუშაკის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებიდან, სპეციფიური პრობლემების გამოყოფა, რომელზეც უნდა წარიმართოს უშუალო მუშაობა ე.წ. სამუშაო პრობლემის გამოყოფა.

მიზნების ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება სამუშაო პრობლემების განსაზღვრას. სწორედ მიზნის ძიება აძლევს პრობლემის გადაჭრის სიტუაციას არსს. კლიენტის მიზნების გათვალისწინება (და არა იგნორირება) არის პრობლემის გადანყვეტის მოდელის ყველა ფაზის მნიშვნელოვანი მომენტი. სანყის ეტაპზე საჭიროა პრობლემის გამოცალკევება მიზნებიდან და მათი ცალ-ცალკე განხილვა. არსებობს საბოლოო და შუალედური მიზნები. ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებები ან საფეხურები. ხშირად ეს შუალედური მიზნები გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურია საბოლოო მიზნის მიღწევა. თავად შუალედურ მიზნებს აქვთ თავიანთი დონეები. პირველი მიზნის მიღწევა იძლევა უფრო რთული შუალედური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწორედ შუალედური მიზნების მიღწევა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სამუშაო პრობლემებზე მუშაობა.

### **მიზნების და ამოცანების ფორმულირება:**

მიზანი არის მოსალოდნელი შედეგი, რომელიც საჭიროებს გარკვეულ დროს, რომ იქნას მიღწეული. მიზანი უნდა იყოს ჩამოყალიბებული უფრო ზოგადი წინადადებით. მიზნის მიღწევა შესაძლებელია უშუალო და კონკრეტული ამოცანებით.

მიზნების ფორმულირება ძალიან მნიშვნელოვანია ჩარევის (ინტერვენციის) ან მკურნალობის კარგი დაგეგმარებისათვის. მიზნები უნდა იყოს რეალისტური ან მიღწევადი. მიზნები შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული კლიენტის ფუნქციონირების ნებისმიერ სფეროში. თუმცა კი გამოყოფენ 4 მთავარ სფეროს:

1. ფსიქიკური ჯანმრთელობა: მიზანი იქნება, რომ შეამციროს ან გააკონტროლოს ფსიქიატრიული სიმპტომები ან პიროვნული დეზორგანიზაცია გამონვეული მენტალური ავადმყოფობით.
2. ფიზიკური ჯანმრთელობა: უნდა იყოს იდენტიფიცირებული ყველა ფიზიკური პრობლემა.
3. ფუნქციონალური როლური უნარები: პირადი ჰიგიენა, განათლება, კვების ჩვევები, თავისუფალი დრო, პროფესია, სოციალიზაცია.

4. საზოგადოებრივი დახმარება – კლიენტის განერის დაგეგმვა: სახლი, ფინანსური დახმარება, ოჯახი და სოციალური დახმარების სისტემა, ტრანსპორტირება და ა.შ.

<p>მაგალითი:</p> <p><b>მდგომარეობა:</b> კლიენტი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს სხვებს</p> <p><b>მიზანი:</b> კლიენტი მოიქცევა ადეკვატურად და გამოიყენებს ალტერნატიულ ქცევებს, რათა მართოს თავისი სიბრაზის გრძნობები.</p> <p><b>ამოცანები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. კლიენტი ილაპარაკებს იმ გრძნობებზე, რამაც გამოიწვია მისი მდგომარეობა ანუ ის, რომ სხვისთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა;</li> <li>2. კლიენტი გააცნობიერებს იმ ქცევებს, რომელითაც წარსულში რეაგირებდა მსგავსი გრძნობების გაჩენისას;</li> <li>3. კლიენტი ივარჯიშებს იმაზე, რომ გამოხატოს ალტერნატიული პასუხები ამ გრძნობებისადმი სხვისი დახმარებით;</li> <li>4. კლიენტი დამოუკიდებლად გააცნობიერებს და გამოხატავს ადეკვატურ ალტერნატიულ პასუხებს საკუთარი სიბრაზის შესამცირებლად;</li> </ol>
---

**II ფაზა: მოქმედების გეგმის განვითარება**

განსახორციელებელი აქტივობები:	საჭირო უნარ-ჩვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>■ შეფასება</li> <li>■ მოქმედების გეგმის შემუშავება</li> <li>■ პროგნოზი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>■ ყველა უნარ-ჩვევები ჩამოთვლილი I ფაზაში</li> <li>■ ადამანური სისტემების განვითარების, ფუნქციონირების, ურთიერთქმედების ბაზისური თეორიის ცოდნა, რათა ანალიზი გაუკეთო შეგროვებულ მონაცემებს;</li> <li>■ პრობლემების, მიზნების და არსებული რესურსების ცოდნა, რათა მოხდეს მონაცემთა ორგანიზება და პრიორიტიზირება სწორი და სასარგებლო მოქმედების შესარჩევად;</li> <li>■ უნარი მოახდინო ალტერნატიული გეგმების გენერალიზირება, იმის მიხედვით თუ რა შესაძლო ნარმატება და ღირებულება აქვს თითოეულ მათგანს;</li> <li>■ უნარი გამოიყენო საკუთარი განსჯის უნარი, რომ გააკეთო არჩევანი ალტერნატივებს შორის;</li> <li>■ უნარი, რომ ზემოთ დასახელებული ჩამოყალიბდეს წინადადებებით, რომლებიც გამოხატავს რეალურ აქტივობებს, ასევე, ინფორმაცია, თუ როდის და რა დროით, რა შუალედში უნდა განხორციელდეს ეს აქტივობები და კლიენტის რა სისტემებთან ერთად.</li> </ul>

**კონტრაქტი**, როგორც მოქმედების გეგმის განხორციელების საუკეთესო საშუალება, გამოყენებულია ბევრი თერაპიული მიმდინარეობების, მათ შორის ფსიქოდინამიური და ბიჰევიორისტული მიმდინარეობების მიერ.

სოციალური მუშაობის პრაქტიკაში კონტრაქტი განისაზღვრება, როგორც შეთანხმება კლიენტსა და სოციალურ მუშაკს შორის, რომელიც ისახავს გარკვეულ მიზანს და დასაბამს აძლევს გარკვეულ პროცესებს, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება ამ მიზნის მიღწევა.

სამუშაო კონტრაქტი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. მიზნები (რა?) რომლის მიმართაც თითოეულმა მხარემ უნდა იმუშაოს. ეს მიზნები უნდა იყოს სპეციფიური, დანაწევრებული და შესრულებადი.
2. უნდა განისაზღვროს ორივე მხარის პასუხისმგებლობა უფლებებისა და მოვალეობების ტერმინებში.
3. უნდა იქნას დაზუსტებული საშუალებები (როგორ?), რათა მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდეს. (საშუალებები: ინდივიდუური და ჯგუფური კონსულტაცია, ოჯახური კონსულტაცია, წყვილთა კონსულტაცია. ეს შესაძლოა შეიცავდეს ასევე ექსპერიმენტულ სწავლებას, როლურ თამაშებს, დესენსიტიზაციას, რჩევას და ა.შ).
4. უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადმინისტრაციული პროცედურები: შეხვედრის ადგილი, დრო, ხანგრძლივობა.

### **კონტრაქტის მახასიათებლები:**

სოციალური მუშაობის კონტრაქტი შეიძლება ხასიათდებოდეს ძირითადად ოთხი სახით: ნათელი, ერთობლივი, დინამიური, და რეალისტური.

ა) კონტრაქტი არის ნათელი და აშკარა: ეს ნიშნავს, რომ სოციალურმა მუშაკმა და კლიენტმა, ორივემ, ნათლად ჩამოაყალიბოს და გაიგოს კონტრაქტის შინაარსი, რომელიც გამოხატულია კონკრეტული, სპეციფიური და ქცევითი ტერმინებით.

ბ) კონტრაქტი უნდა იყოს ერთობლივად შეთანხმებული კლიენტის და სოციალური მუშაკის მიერ. ასევე, კონტრაქტის ტერმინოლოგიაც კი ორივეს მიერ უნდა იყოს შეთანხმებული. კონტრაქტი უნდა ეთანხმებოდეს სოციალური მუშაობის ღირებულებებს და კლიენტის თვით-განსაზღვრის მოთხოვნას.

გ) სოციალური მუშაობის კონტრაქტი არის დინამიური. კონტრაქტი შეიძლება შეიცვალოს, თუ იგი არაეფექტურია.

დ) სოციალური მუშაობის კონტრაქტი არის რეალისტური და სამართლიანი. ეს ნიშნავს, რომ კონტრაქტის პირობები უნდა შეესაბამებოდეს იმ

პასუხისმგებლობას და მიზნებს, რომლის შესრულების უნარიც შესწევს როგორც კლიენტს, ისე სოციალურ მუშაკს, ანუ კონტრაქტი არ უნდა მოიცავდეს ისეთი აქტივობების და ამოცანების შესრულებას, რაც არ შეესაბამება კლიენტს. ასევე, სოციალურმა მუშაკმა არ უნდა მისცეს ისეთი დაპირებები, რომლებიც არ შეესაბამება მის გამოცდილებას, ექსპერტიზას, ცოდნასა და სააგენტოს რესურსებს.

### კონტრაქტის საფეხურები:

სოციალური მუშაობის კონტრაქტი წამოადგენს განვითარებად ფენომენს, რომელიც მოლაპარაკებელი უნდა იქნას სოციალური დახმარების პროცესში. უმრავლეს შემთხვევაში კონტრაქტი ხდება უფრო სპეციფიური და თანდათან უფრო უკეთ გაგებული და მიღებული.

I ფაზა - გამოკვლევა, მოლაპარაკების დაწყება;

II ფაზა - წინასწარი ანუ საწყისი კონტრაქტი (ცდის და შეცდომის ეტაპი);

III ფაზა ანუ სამუშაო კონტრაქტი (ცენტრალური) - მიზნების და პროცედურების ერთობლივი გაგება. კონტრაქტის პირობები და დროითი შეზღუდვები ხორციელდება;

IV ფაზა - მეორადი კონტრაქტის განვითარება ან ქცევითი კონტრაქტების განვითარება;

V ფაზა ანუ საბოლოო ფაზა - დასრულება მოიცავს ორივე მხარის მიერ შედეგების შეჯამებას და შეფასებას.

### III ფაზა: მოქმედების გეგმის განხორციელება

განსახორციელებელი აქტივობები:	საჭირო უნარ-ჩვევები
გეგმის განხორციელება	<ul style="list-style-type: none"> <li>■ ყველა უნარ-ჩვევა, რომელიც დასახელებულია I და II ფაზაზე;</li> <li>■ უნარ-ჩვევა იმისა, რომ გამოიყენო სოციალური მუშაობის ინტერვენციის სხვადასხვა მეთოდი დასახული გეგმის განსახორციელებლად.</li> </ul>

მოქმედების გეგმის განხორციელების ანუ ინტერვენციის (ჩარევის) პროცესი იწყება, მას შემდეგ რაც კლიენტსა და სოციალურ მუშაკს შორის კონტრაქტი დადებულია, მიღწეულია შეთანხმება და კლიენტი და სოციალური მუშაკი ერთობლივად იწყებენ აქტივობას მიზნების მისაღწევად.

განიხილავენ იმ როლებს, რომელსაც სოციალური მუშაკი ასრულებს ინტერ-ვენციის პროცესში. ეს როლებია: თერაპევტი, ბროკერი, შემთხვევის მმართველი (მენეჯერი), მასწავლებელი, მედიატორი, ადვოკატი და ა.შ.

**თერაპევტი:** ეხმარება კლიენტს და კლიენტთა სისტემას (ოჯახი), აღადგინოს ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, უწევს რეაბილიტაციას სხვადასხვა ფსიქოლოგიური და თერაპიული მეთოდების გამოყენებით (ფსიქო-დინამიკური, კოგნიტიურ-ბიჰევიორისტული, ოჯახის თერაპია, არტ თერაპია და სხვა).

**ბროკერი:** ბროკერი ეხმარება კლიენტს საჭირო რესურსების მოძებნასა და გამოყენებაში, რათა კონტრაქტი იყოს მიღწეული. ბროკერობა მოითხოვს საზოგადოებრივი რესურსების და სააგენტოს ოპერატიული პროცედურების ღრმა ცოდნას, რათა ეფექტური კავშირები იქნას დამყარებული.

**შემთხვევის მმართველი:** ამ როლს ასრულებს სოციალური მუშაკი, რათა დაეხმაროს კლიენტებს რესურსების მოპოვებაში, და შესაბამისად ქცევების შეცვლაში დასახული მიზნების მისაღწევად. ეს შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ კლიენტის შეცვლას, ასევე გარემოს შეცვლასაც. შემთხვევის მენეჯერი უზრუნველყოფს შემდეგს: მხარდაჭერას, გრძნობების ვენტილაციას, ურთიერთობის პატერნების კვლევას, დარწმუნებას და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

**მასწავლებელი:** სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს კლიენტს ახალი ინფორმაციით, რაც აუცილებელია პრობლემის გადასაჭრელად და კლიენტის მიერ ახალი უნარ-ჩვევების დასაუფლებლად. ინფორმაციის მიწოდება განსხვავდება რჩევის მიცემისაგან. ინფორმაციის მიწოდება გულისხმობს კლიენტის ცოდნით მომარაგებას იმ პირობებში, როდესაც კლიენტს თავისუფლად შეუძლია ამ ინფორმაციის გამოყენება. ხოლო რჩევის მიცემის დროს სოციალური მუშაკი ხაზს უსვამს, რომ ეს არის კლიენტისათვის საუკეთესო გამოსავალი.

**მედიატორი:** მედიატორი გულისხმობს სოციალური მუშაკის მიერ იმ სირთულეების მოგვარებას, რომელიც არსებობს კლიენტსა და სხვა პიროვნებებს ან ორგანიზაციებს შორის. ამ შემთხვევაში ძალზედ აქტუალურია კონფლიქტის გადაჭრა (დაეხმარო ორივე მხარეს აღიაროს მეორე მხარის ინტერესების ლეგიტიმურობა, დაეხმაროს მხარეებს, რომ გააცნობიერონ საერთო ინტერესები, აიცილონ მოგება/წაგების სიტუაცია, დაიყოს კონფლიქტი სპეციფიურ საკითხებად და ა.შ.). შესაძლოა სოციალური მუშაკი იყოს მედიატორი ოჯახურ სისტემაში, ასევე მედიატორი კლიენტსა და გარე სისტემებს შორის.

**ადვოკატი:** სოციალური მუშაკი, როგორც ადვოკატი, ლაპარაკობს კლიენტის ინტერესების დასაცავად (იგი არის კლიენტის წარმომადგენელი), რათა მიიღოს კონტრაქტის მიზნებს. ადვოკატი აწარმოებს მოლაპარაკებებს, ახდენს გარემოს მანიპულაციას, რათა მიღწეული იყოს მიზნები. ადვოკატობა, განსხვავ-

ვებით მედიატორობისა, გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მცდელობას, რომ კლიენტმა გაიმარჯვოს პროცესში (შეინარჩუნოს გარკვეული ბენეფიტები).

### **პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევები / ტექნიკები:**

**გარკვევა** ეხმარება კლიენტს, რომ რესტრუქტურირება გაუკეთდეს მის ხედვას, რომ მან მოახდინოს ობიექტური და სუბიექტური რეალობის განცალკევება.

<p><b>მაგალითი 1:</b></p> <p>კლიენტი: ჩემს ქმარს არ მოვწონვარ.</p> <p>სოციალური მუშაკი: რას აკეთებს ის? იყავით სპეციფიური</p>
<p><b>მაგალითი 2:</b></p> <p>კლიენტი: მე განვიცდი დეპრესიას.</p> <p>სოციალური მუშაკი: რა ინვესტ მეთ დეპრესიას თქვენი სამსახური, ქორწინება, თუ ბავშვები?</p>

გარკვევა ხდება მაშინ, როცა (1) ჩვენ არ გვესმის თუ რას ამბობს კლიენტი; (2) კლიენტის გრძნობა არ არის ნათელი.

**ინტერპრეტაცია** გულისხმობს კლიენტის მიერ მონოდებული ინფორმაციის გაგებას (ინფორმაციას დამატებული სოციალური მუშაობის თეორიები, რომელიც ეფუძნება პრაქტიკას).

თქვენ იმას მეუბნებით, რომ . . . ?

როგორც მე მივხვდი. . . ?

თქვენ იგულისხმეთ, რომ. . . ?

ინტერპრეტაცია ეხმარება კლიენტს, რომ უკეთესად გაიგოს მან თავისი პრობლემა.

- სოციალური მუშაკი სთავაზობს კლიენტს ინტერპრეტაციას ჰიპოთეზის სახით და არა დასკვნის სახით. მაგ. შესაძლოა... ალბათ. .
- სოციალურმა მუშაკმა კლიენტი თვითონ უნდა მიიყვანოს ინტერპრეტაციამდე. მაგ. თქვენ როგორ გესმით ეს? როგორ ფიქრობთ?
- კლიენტი უნდა იყოს ფსიქოლოგიურად მზად, რომ მიიღოს ინტერპრეტაცია. უნდა გავითვალისწინოთ კლიენტის რეზისტენტობა (დაცვითი რეაქციები).



ინტერპრეტაციის ტექნიკები ინტერვიუს დროს:

- მოახდინე ინტერპრეტაცია, მხოლოდ მას შემდეგ რაც დაამყარებ პოზიტიურ ურთიერთობას კლიენტთან;
- მოახდინე ინტერპრეტაცია, როცა გაქვს საკმარისი ინფორმაცია;
- შესთავაზე ინტერპრეტაცია ჰიპოთეზის სახით და არა წინადადების სახით, რომელიც კლიენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს;
- შეაფასე კლიენტის პასუხი, რამდენად პასუხობს იგი ამ ინტერპრეტაციას;
- მიიღე კლიენტის უარყოფა ყოველგვარი ბოდიშის მოხდის გარეშე.

**კონფრონტაცია** ხდება მაშინ, როცა არსებობს შეუსაბამობა კლიენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში. იგი ერთ შემთხვევაში ერთს ამბობს, ხოლო მეორე შემთხვევაში სხვას; ან არსებობს შეუსაბამობა კლიენტის მიერ მოწოდებულ სიტყვიერ (ვერბალურ) და არავერბალურ (სახის გამომეტყველება) ინფორმაციას შორის; კლიენტის ფანტაზიას, თუ როგორ ხედავს ის განსხვავებას საკუთარ თავსა და რეალობას (თუ რა ზეგავლენას ახდენს კლიენტის ქცევა სხვებზე) შორის.

კონფრონტაცია ანგრევს კლიენტის აზროვნების სტილს/მიმდინარეობას და ინვესტს მისი ფიქრის შეცვალას, ხელს უწყობს პიროვნების თვით-ცნობიერების გაზრდას. დისბალანსი აუცილებელია, რათა ადამიანი შეცვალოს თავისი ფიქრი. კონფრონტაცია გულისხმობს სიმართლის სიყვარულით თქმას (speak the truth in love). ეყრდნობა კლიენტის ძლიერ მხარეებს და არა სისუსტეებს.

კონფრონტაციის ტექნიკები ინტერვიუს დროს:

- მოახდინე კონფრონტაცია, რომ მიაღწიო ინტერვიუს მიზნებს;
- მოახდინე კონფრონტაცია, როცა ამისთვის გაქვს საკმარისი მიზეზი;
- განსაზღვრე, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს კონფრონტაცია;
- აღწერე ქცევები, რასაც შენი კონფრონტაცია ეფუძნება;
- კონფრონტაცია წარმართე მხოლოდ იმ სურვილით, რომ დაეხმარო კლიენტს;
- არ იყო აგრესიული. იყავი მოსიყვარულე;
- გახსოვდეს! ჯერ უნდა დაამყარო პოზიტიური ურთიერთობა კლიენტთან და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინო კონფრონტაცია.

**IV ფაზა: დასრულება**

განსახორციელებელი აქტივობები:	საჭირო უნარ-ჩვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>■ ტერმინაცია/ დასრულება</li> <li>■ შეფასება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>■ ყველა უნარ-ჩვევები, რომელიც დასახელებულია I და II ფაზაზე;</li> <li>■ შეფასების უნარ-ჩვევები;</li> <li>■ დახმარების პროცესის დასრულების უნარ-ჩვევები.</li> </ul>

კლიენტი - სოციალური მუშაკის ურთიერთობა შესაძლებელია დასრულდეს სამი სახით:

- (ა) სხვა სააგენტოში გადაგზავნა-რეფერალი
- (ბ) სოციალური მუშაკის გამოცვლა
- (გ) დახმარების პროცესის დასრულება

**გადამისამართება:** ეს არის პროცესი, როდესაც მოცემული სააგენტოს ფარგლებში არ ხერხდება კლიენტის პრობლემის მოგვარება და საჭიროა მისი სხვა სააგენტოში გადაგზავნა.

**სოციალური მუშაკის გამოცვლა:** ეს არის პროცესი, როდესაც კლიენტს უცვლიან სოციალურ მუშაკს. უმრავლეს შემთხვევაში ეს ხდება იგივე სააგენტოს ფარგლებში. ამ პროცესს ადგილი აქვს, მაშინ როცა სოციალური მუშაკი თავს ვერ ართმევს კლიენტთან მუშაობას, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, როცა სოციალური მუშაკი მიდის სააგენტოდან.

ამ პროცესში სამი პირი მონაწილეობს: შემთხვევაზე მომუშავე სოციალური მუშაკი, კლიენტი და მომავალი სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკის შეცვლისადმი კლიენტის რეაქცია განსხვავებულია და განისაზღვრება კლიენტის პიროვნებით, მისი არსებული პრობლემით და სოციალური მუშაკის და კლიენტის ჩამოყალიბებული ურთიერთობით, რომელიც განვითარდა მათი ურთიერთობის პროცესში.

განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა კლიენტს აქვს ტრავმატული განშორების განცდები. იგი სოციალური მუშაკის წასვლას განიცდის, როგორც მორიგ ტრავმატულ აქტს. სოციალურმა მუშაკმა უნდა გააცნობიეროს თავისი გრძნობები ამ პროცესთან დაკავშირებით. ასევე, მან უნდა აღიაროს კლიენტის გრძნობები. შემთხვევაზე მომუშავე სოციალურმა მუშაკმა უნდა წარადგინოს ახალი სოციალური მუშაკი კლიენტის წინაშე, და შემდეგ, ესაუბროს კლიენტს იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს იგი ახალი სოციალური მუშაკის შესახებ.

**დახმარების პროცესის დასრულება:** სოციალური მუშაობის ინტერვენცია აუცილებლად დროზე ორიენტირებულია, ანუ უნდა განხორციელდეს გარკვეულ დროით შუალედში. მიზნები, რომლებიც სპეციფიურია შესაძლებელია შეფასდეს, იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხდა მათი განხორციელება.

შეფასება მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს, რათა ვიცოდეთ თუ რა პროგრესით მიმდინარეობს კლიენტისა და სოციალური მუშაკის მიერ დასახული მიზნების მიღწევა. პროცესის დასრულება, იმის მიუხედავად თუ ვის მიერ (სოციალური მუშაკი თუ კლიენტი) არის იგი ინიცირებული, უნდა იყოს განხილული წინასწარ, სანამ მოხდებოდეს რეალური დასრულება ანუ ბოლო შეხვედრა. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს დასრულებაზე რეაქციების ურთიერთგაცვლა და ნაყოფიერად დასრულდეს ერთობლივი მუშაობის პროცესი.

### **ზოგადად, დასრულების ამოცანებია:**

- (1) იმუშაო კონფლიქტზე, რომელიც არსებობს კლიენტსა და სოციალურ მუშაკს შორის, რათა კლიენტის მიერ აღიარებულ იქნას მისი წარმატება და მიზნის მიღწევა.
- (2) იმუშაო მნიშვნელოვანი ურთიერთობის დაკარგვის შიშზე.
- (3) გამოცდილების შეფასება-გამოკვლევა და მიღწეული პროგრესის აღიარება.
- (4) იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება მიღებული გამოცდილების გამოყენება სხვა პრობლემების გადაწყვეტისას.
- (5) იმის გამოკვლევა, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ მიღებული შედეგი იყოს შენარჩუნებული.
- (6) სოციალური მუშაკის პოზიციის გარკვევა.

დასრულება გულისხმობს ღრმა გრძნობების ჩადებას (ინვესტიციას) ერთი ადამიანიდან მეორეში, და შეასაბამისად, დაკავშირებულია დანაკარგის გრძნობასთან. დანაკარგის ტიპიური რეაქციებია:

(1) დასრულების უარყოფა; (2) ძველი, პათოლოგიური ქცევებისკენ დაბრუნება; (3) ემოციური ქცევა, როდესაც კლიენტი ადანაშაულებს სოციალურ მუშაკს იმაში, რომ მან არასწორად განსაზღვრა ეს პროცესი, კერძოდ, ის, რომ კლიენტი არაა მზად მარტო გაუმკლავდეს არსებულ პრობლემას; (4) კლიენტი იმუქრება, რომ იგი უფრო ადრე დატოვებს ურთიერთობას, ვიდრე მას სოციალური მუშაკი მიატოვებს.

სოციალურმა მუშაკმა უნდა ნათლად მიუთითოს, რომ კარები არის ღია, და ისინი კვლავ დაეხმარებიან კლიენტს თუ მათ ეს დასჭირდებათ, ან მოუძებნიან სხვა შესატყვის სერვისებს. ისინი არწმუნებენ კლიენტებს, რომ მათ ყოველთვის დააინტერესებთ კლიენტის ბედი. ბოლო კონტაქტის დროს კარგი იქნება კლი-

ენტისათვის რაიმე სიმბოლური საჩუქრის გადაცემა. ზოგ შემთხვევაში კარგია სააგენტოსაგან ოფიციალური წერილის გადაცემა, სადაც აღიარებულია კლიენტის მიღწევები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Colby I. & Dziegielewski, S. F. (2001). Social Work: The People’s Profession. Lyceum, Books, INC.
2. Compton, B.R. & Galaway, B. (1989) Social work processes. Fourth edition. Belmont, California: Wadsworth Publishing Company.
3. Kadushin, A. & Kadushin G. ( 1997). The social work interview. New York: Columbia University Press.
4. საძაგლიშვილი შორენა, სოციალური სამუშაოს პრაქტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: 2008

# თავი 2

## კრიზისული ინტერვენცია

---

### შორენა საკაგლიშვილი

#### კრიზისი - ზოგადი აღწერა

კრიზისი არის ისეთი პრობლემა რომლის გადაჭრაც ჩვეულებრივი გზებით შეუძლებლად მიგვაჩნია. კერძოდ, კრიზისის დროს:

- შეუძლებელია მისი გადაჭრა ჩვეულებრივი მეთოდებით
- მოიცავს მნიშვნელოვან დანაკარგს და დაკარგვის საფრთხეს
- წარმოქმნის პროგრესირებულ, ზრდად დისტრესს
- აფერხებს ადამიანის ფუნქციონირებას
- კრიზისი არის დროში შეზღუდული
- კრიზისი არის მწვავე მდგომარეობა, რომელიც გრძელდება არა უმეტეს ერთი თვისა (მაქსიმუმ 6 კვირა)
- გიქმნის საფრთხეს, მაგრამ ამავდრულად პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა - ღია ხარ ახალი იდეების, ინფორმაციის, რესურსების და შესაძლებლობების მიმართ.

კრიზისში მყოფი ადამიანი მოითხოვს სასწრაფო დახმარებას, რადგან მას არ შეუძლია მოქმედება და სჭირდება სხვა ადამიანი, რომელიც მის მაგივრად იმოქმედებს. კრიზისზე რეაქცია მიმდინარეობს შემდეგ დონეებზე:

- კოგნიტური: საკუთარი თავის/ან სხვისი დადანაშაულება. ხშირად ადამიანი დეზორიენტირებულია, ჰიპერსენსიტიური და დაბნეულია. აქვს ცუდი ყურადღების კონცენტრაცია და ახასიათებს პრობლემის გადაჭრის უუნარობა.
- ფიზიკური: აჩქარებული გულისცემა, ხელების კანკალი, თავბრუსხვევა, სისუსტე, თავის ტკივილი, გულისრევა, შოკი, ოფლიანობა.
- ემოცია: აპათია, დეპრესია, გაღიზიანებულობა, ენზაიტი/შფოთვა, უიმედობა, უმწეობა, სიბრაზე, შიში, პანიკა, დანაშაული და უარყოფა, დაძინების დაჭამის სირთულეები.
- სოციალური: კონფლიქტი სხვებთან, სოციალური სიტუაციებიდან იზოლაცია, სოციალური აქტივობების მიმართ უინტერესობა.

არსებობს კრიზისის სამი ძირითადი ტიპი:

- განვითარების/კანონზომიერი კრიზისი - ეს არის კრიზისის სახე, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებაში ხდება და რომელიც გულისხმობს ცხოვრების ციკლის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას ნარმოშობილ კრიზისს. მაგ. დაბადება, პუბერტატული ასაკი, დაქორწინება/გათხოვება, დაბერება და ა.შ.
- სიტუაციური კრიზისი (შემთხვევითი კრიზისი)- ძირითადად განპირობებულია გარემო ფაქტორების ცვლილებით ან მოულოდნელი შინაგანი ცვლილებით. ასეთ კრიზისს მიეკუთვნება მაგალითად სამსახურის დაკარგვა, შემოსავლის/სახლის დაკარგვა, გაქურდვა, დაყარაღება, მეუღლესთან გაყრა და ა.შ.
- კომპლექსური კრიზისი - არის ყველაზე რთული კრიზისი- კრიზისის ეს სახე არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად. ასეთია მწვავე ტრავმა, მძიმე ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, ბუნებრივი ან ხელოვნური კატასტროფები და ა.შ.. კომპლექსურ კრიზისს მიეკუთვნება ასევე მწვავე მენტალურ დაავადებასთან ასოცირებული კრიზისი.

სხვა კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს კრიზისის ინდივიდუალური და მასობრივი დონეები.

## 1. ინდივიდუალური დონე

- ინდივიდუალურ დონეზე: პიროვნულ ტრამვას ინდივიდი განიცდის ისეთ სიტუაციაში, როდესაც ამ რთული სიტუაციის გამკლავება მის ძალებს და შესაძლებლობებს აღემატება, მას არ აქვს სათანადო სოციალური მხარდაჭერა, თვით-შეფასება და უფლებამოსილება.
- მაგალითები: სუიციდის სიტუაციები, დაშინების სიტუაციები, მკვლელობის ან სუიციდის მოწმეობა, ან პიროვნული დანაკარგი.
- ინდივიდუალურ დონეზე კონსულტირებისას მნიშვნელოვანია პიროვნული უსაფრთხოების განსაზღვრა და უზრუნველყოფა. აგრეთვე, რამდენადაც შესაძლებელია, სოციალური დახმარების ან ქსელის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

## 2. მასობრივი, სოციუმის დონე

- სოციუმის დონეზე: ხდება ჯგუფის/საზოგადოების/თემის დაზიანება/ან დაშინება. მაგალითები: ტერორისტული აქტი, ბუნებრივი კატასტროფები და სხვა.
- თემის დონეზე კრიზისის ინტერვენციის ძირითადი მიზანია კრიზისის პრევენცია ან კრიზისის გართულებების პრევენცია. ამისათვის საჭიროა პირველ

რიგში დადგინდეს კრიზისის წარმომშობი მოსალოდნელი მიზეზები და მოხდეს მათი დროულად აღმოფხვრის გზების შერჩევა და დაგეგმვა.

- თემის დონეზე კრიზისის ინტერვენციისთვის რეკომენდირებულია გავითვალისწინოთ, რომ გარეშე ჩარევა მუდმივი ვერ იქნება, ამის გამო აუცილებელია შიდა რესურსების შექმნა და გაძლიერება.

კრიზისის დეფინიცია – შეჯამება:

კრიზისი და სტრესი ხშირად გამოიყენება ურთიერთშემცვლელად, თუმცა ყოველ სტრესულ სიტუაციას არ მივყავართ კრიზისამდე. კრიზისი არის ადამიანის ბიო-ფსიქო-სოციალური წონასწორობის დარღვევა, როდესაც ადამიანი აღიქვამს ან განიცდის მოცემულ სიტუაციას/მოვლენას ისე, რომ მას არ შესწევს მასთან გამკლავების უნარი და რესურსები.

### **კრიზისული ინტერვენცია**

კრიზისული ინტერვენცია არის სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარება, რომლის მიზანია ინდივიდის დახმარება კრიზისულ სიტუაციაში, რათა მოახდინოს მისი ბიო-ფსიქო-სოციალური წონასწორობის აღდგენა და შეამციროს ინდივიდუალური ტრავმის პოტენციური შესაძლებლობა.

კრიზისული ინტერვენციის ძირითადი მიზანია სტაბილურობის გაძლიერება. კრიზისზე რეაგირება/ინტერვენცია უნდა დაიწყოს 24 საათის განმავლობაში. ამრიგად, კრიზისული ინტერვენცია არის უშუალო პრობლემებზე მორგებული, ხანმოკლე და „აქ-და-ამჟამად“ ასპექტებზე ფოკუსირებული.

გამოყოფენ კრიზისის შემდეგ საფეხურებს:

- გავლენის ფაზა – ძლიერი გარე ან შიდა სტრესორის ზემოქმედება ადამიანზე. სტრესორის აღქმა, როგორც სტრესორის.
- პრობლემის გადაწყვეტა – ამ ფაზაში ადამიანი ირჩევს აღქმული სტრესორის მოცილების გზას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორგვარად: 1. სტრესორის ფიზიკურად მოცილება. 2. სტრესორთან შეგუება.
- რეაბილიტაციის ფაზა – ამ დროს ადამიანი უბრუნდება კრიზისამდელ მდგომარეობას.

სხვა ავტორები გამოყოფენ კრიზისის ოთხ საფეხურს (Parad & Parad,1990). ეს საფეხურებია:

- გვაქვს სტრესის გამომწვევი მოვლენა, ან მოვლენა, რომელიც სტრესულად აღიქმება;
- ხდება ინდივიდის მიერ ამ მოვლენის გააზრება და აღქმა, იწყება საშიშროების მოლოდინი;

- ინდივიდი ხდება დეზორგანიზებული და მომხდარი ფაქტის გამო კარგავს წონასწორობას;
- იწყება შეგუება, ხდება გაანალიზება და ამ ყველაფრის პარალელურად მიმდინარეობს ინტერვენცია.

თითოეულ საფეხურზე სოციალური მუშაკის რეაგირება უნდა იყოს შემდეგნაირი:

1-2 ფაზა:

- იყავი ყურადღებიანი, მიმღები და დამხმარე;
- დააკმაყოფილე პირველადი საჭიროებები (უსაფრთხოება, ფიზიკური საჭიროებები და სხვ.).

მე-3-4 ფაზა:

- მოუსმინე, ისევე მოუსმინე;
- მოახდინე გრძნობების და აღქმების ვალიდაცია;
- დააიმედე;
- მოახდინე პრობლემების და რესურსების იდენტიფიკაცია;
- გაამხნევე, შესთავაზე პოზიტიური გადაწყვეტის სტრატეგიები, რესურსები;
- დაეხმარე გაიგოს ის, თუ რა მოხდა და მასთან ერთად დაგეგმე მომავალი;
- დადებითად განამტკიცე მისი მიღწევები და წარმატებები;
- დაეხმარე გაანალიზოს ნასწავლი და ეცადოს მის მომავალში გამოყენებას.

### **კრიზისული ინტერვენციის დროს კონსულტირების ძირითადი პრინციპები:**

- საჭიროა ინტერვენციის დროზე განხორციელება, რადგან მსხვერპლი არის კრიზისში. საჭიროა რესურსების მობილიზაცია, რათა მოხდეს მათი მეტნაკლებად ნორმალურ სიტუაციაში დაბრუნება და დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესაძლებლობა.
- ხელი შეუწყოს სიტუაციის გაგებას მოცემული სტრესული სიტუაციის ან ტრამვის პროცესირებით. ეს კეთდება იმისათვის, რომ მსხვერპლს დავეხმაროთ უკეთ გაიგოს, თუ რა მოხდა და მივცეთ ემოციების გამოხატვის საშუალება.
- საჭიროა მსხვერპლს დავეხმაროთ პრობლემის გადაჭრაში, მისი სიტუაციის და გრძნობების კონტექსტში. ეს აუცილებელია თვით-ეფექტურობის და საკუთარი რწმენის განსავითარებლად.



- დაეხმარო მსხვერპლს დაუბრუნდეს დამოუკიდებელ ფუნქციონირებას, იმით, რომ ხელი შეუწყო პრობლემის გადაჭრას, მისი შესაბამისი სტრატეგიების განვითარებას და აქტიურ გამოყენებას.

კრიზისული ინტერვენციის მიზნები:

- კრიზისის წარმატებული ფსიქოლოგიური გადაჭრა;
- ფუნქციონირების ნორმალური დონის აღდგენა;
- სამოქმედო გეგმის განვითარება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს კრიზისის ნეგატიურ ეფექტებს.


### **კრიზისული ინტერვენციის მოდელები**

კრიზისული ინტერვენციის სამი მოდელი:

- წონასწორობის მოდელი: კაპლანის მოდელის მიხედვით (1965), ადამიანები დანახულნი არიან, როგორც ფსიქოლოგიურ წონასწორობა დარღვეულები და საჭიროა მათი დაბრუნება ბალანსირებულ მდგომარეობაში, რათა მათ შეძლონ თავიანთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან ეფექტური გამკლავება.
- კოგნიტური მოდელი: რობერტის მოდელში ადამიანები განხილულნი არიან ისე, რომ მათ აქვთ კოგნიტური პრობლემები: არასწორი შეხედულებები მოვლენებზე და კრიზისთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ფსიქო-სოციალური ტრანზიციის მოდელის მიხედვით (1965), ადამიანები ხვდებიან კრიზისებს მათ ცხოვრებისეულ სტადიებზე (განვითარების მიდგომა). კრიზისი უკავშირდება ფსიქოლოგიურ და სოციალურ ცვლილებებს, რომელიც ამ დროს მიმდინარეობს ადამიანის განვითარების ეტაპზე.

### **ინტერვენციის ზოგადი მიდგომა (Robert's Model)**

- ეს მეთოდი განვითარდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ეს მეთოდი განიხილება კრიზისული ინტერვენციის ზოგად მოდელად.
- ეს თეორია შესაძლოა იქნას გამოყენებული სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებში, თუმცა არ უნდა მოხდეს მისი რიგიდული გამოყენება.



გრძნობებთან და ემოციებთან გამკლავება

ალტერნატივების ძიება

მოქმედების გეგმის განვითარება და ფორმულირება

მუშაობის შემდგომ გეგმაზე შეთანხმება

ნახ. რობერტის 7 საფეხურიანი მოდელი

რობერტის მიხედვით, კრიზისის ინტერვენციის მიზანია, გადაჭრას კლიენტის მიერ წარმოდგენილი პრობლემა, სტრესი ფსიქოლოგიური ტრავმა და ემოციური კონფლიქტი. ეს უნდა განხორციელდეს რამდენიმე კონტაქტით, დროში შეზღუდულია და მიზანზე მიმართულია.

**პირველი საფეხური** არის შეფასება. შეფასება ხორციელდება მსხვერპლის სხვადასხვა საჭიროებების განსაზღვრით და შესაბამისი გადამისამართებით.

მიმდინარეობს სამი სახის შეფასება:

(1) ე.წ. Triage - უსაფრთხოების დონის შეფასება (საფრთხეების შეფასება), რომლის საფუძველზეც ხდება სასწრაფო ჩარევის განხორციელება - რეფერირება: ჰოსპიტალიზაცია, ამბულატორიული დახმარება ან უარის თქმა.

(2) კრიზისის შეფასება, რომლის დროსაც მიმდინარეობს ინდივიდის კრიზისული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ინდივიდის გარემოს და ინტერპერსონალური ურთიერთობების შეფასება, რათა მოხდეს მიმდინარე კრიზისზე მუშაობა და მკურნალობის შესაბამისი გეგმის შემუშავება.

(3) ბიო-სოციალური და კულტურული შეფასება. ეს უნდა მოხდეს სისტემატური შეფასების მეთოდების გამოყენებით, რათა განისაზღვროს კლიენტის სტრესის მოცემული დონე, სიტუაცია, წარმოდგენილი პრობლემა და მწვავე კრიზისის პერიოდი.

**მეორე საფეხური** მდგომარეობს რაპორტის დამყარებაში.

**მესამე საფეხური** კი ეხება მთავარი პრობლემების იდენტიფიცირებას - მათ შორის იმ წინაპირობების განსაზღვრას, რამაც გამოიწვია კრიზისი. ამ საფეხურზე მნიშვნელოვანია კლიენტს თავისი ამბის საკუთარი სიტყვებით გადმოცემის შესაძლებლობა მიეცეთ. ამ დროს თერაპევტი უნდა დააკვირდეს კლიენტი სტრესთან გამკლავების რა მოდალობას, სტილს იყენებს. მან უნდა გაანალიზოს მისი სტილი.

**მეოთხე საფეხურზე** მოსალოდნელია კლიენტმა გამოამყდავენოს თავისი გრძნობები და მნიშვნელოვანია ამ გრძნობებსა და ემოციებზე მუშაობა. ეს

მოითხოვს აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევებს და გრძნობების ვალიდაციას. თერაპევტმა უნდა გამოიყენოს ტექნიკები, რათა გამოწვევა გაუკეთოს კლიენტის ცუდად ადაპტირებულ რწმენებს, ფიქრებს და კლიენტი ალტერნატივებზე დააფიქროს.

**მეხუთე საფეხური:** თერაპევტი და მსხვერპლი იწყებენ ალტერნატივების ერთობლივად მოძიებას, რათა მოუარონ არსებულ პრობლემას. აქ რასაკვირველია, უნდა იქნას მოძიებული ის სტრატეგიები, რომელმაც წარსულში არ იმუშავა, ანუ ამ ეტაპზე ხდება შესაძლო ეფექტური ალტერნატიული გამკლავების მეთოდების სიის ჩამოყალიბება.


**მექვსე საფეხური** არის მოქმედების გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც კლიენტის სიძლიერებებზე აკეთებს აქცენტს. ამ საფეხურის მიზანია, რომ ეს გეგმა იყოს მაქსიმალურად კონკრეტული, დისკრეტული და კლიენტი მას იზიარებდეს. ეს ხელს შეუწყობს თვით-ეფექტური ქცევის ჩამოყალიბებას.

**მეშვიდე საფეხური:** შემდგომი კონტაქტის დაგეგმვა, რათა მოხდეს მისი პოსტ კრიზისული მდგომარეობის შეფასება. მისი მიზანია განისაზღვროს პროგრესი და პოტენციური პრობლემები.

**კრიზისზე პასუხის ეი ბი სი მოდელი**  
(The ABC Model of a Crisis Response)

კრისტი კანელმა შეიმუშავა ვორენ ჯონსის A-B-C მოდელის ადაპტირებული ვერსია (Kristi Kanel’s adaptation of Warren Jones’s (1968) A-B-C crisis management model).

- A** ალიანსის განვითარება, საჭიროებების შეფასება
- B** პრობლემის დადუღება მნიშვნელოვან საკითხებამდე
- C** პრობლემასთან გამკლავება



ნახ. კანელის ეი-ბი-სი მოდელი

## საჭირო უნარ-ჩვევები კრიზისული ინტერვენციის ინტერვიუს დროს

- მოუსმინე ემპათიურად;
- პიროვნებას მიეცი ემოციების ვენტილაციის საშუალება;
- დააკმაყოფილე კლიენტის უშუალო მოთხოვნები;
- მოახდინე კლიენტის გრძნობების ვალიდაცია;
- მოახდინე მიმღებლობის, დახმარების და იმედის კომუნიკაცია;
- თავი აარიდე კრიტიკას და განსჯას;
- გამოაცალკევე გრძელვადიანი და მოკლევადიანი საჭიროებები ერთმანეთისგან;
- მოახდინე პრობლემების და რესურსების იდენტიფიკაცია;
- დაეხმარე პოზიტიურად გადაჭრას პრობლემა;
- დაეხმარე გაიგოს ზუსტად რა მოხდა;
- განავითარე მოკლე ვადიანი მიზნები;
- განავითარე სამოქმედო გეგმა და ზუსტად განსაზღვრე პასუხისმგებლობები;
- განამტკიცე პროგრესი და მიღწევები;
- გადახედე და დააზუსტე სამოქმედო გეგმა;
- განამტკიცე პოზიტიური ქცევები;
- გაითვალისწინე მიღებული გამოცდილება მომავალში.  
რა უნდა უთხრა პიროვნებას კრიზისის დროს:
- არ მოახდინო უარყოფითი გრძნობების კრიტიკა და მინიმალიზაცია;  
მაგ. “არ უნდა გრძნობდეთ ასე თავს”.  
პირიქით, თქვით: “თქვენ მართლაც დიდ ტკივილს უნდა განიცდიდეთ”.  
“მითხარით ყველა გრძნობა, რასაც განიცდით”.
- არ თქვა: “ვიცი”, “მესმის”.  
თქვი: “მინდა ზუსტად გავიგო თუ რას განიცდით”.
- არ თქვა: “ძალიან ვწუხვარ”.  
თქვი: “აქ მე თქვენთვის ვარ, რომ დაგეხმაროთ”.
- არ კითხო: “რაში შემიძლია დაგეხმაროთ/ შეეკითხე: ამჟამად რა გჭირდებათ?”

- არ შეეცადოთ სპირიტუალური ახსნების გაკეთებას;
- არ მოახდინოთ იმის დაზუსტება, თუ კრიზისის გადალახვას რამდენი ხანი დასჭირდება. უთხარით, რომ ყველას სხვადასხვა დრო სჭირდება;
- არ მოახდინოთ სიტუაციის რაციონალიზაცია;
- დაეთანხმეთ, რომ მისი სიტუაცია საფრთხის შემცველი, საშიში და არასასურველია;
- არ შეეცადო კლიენტის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;
- იყავით ნამდვილი, თბილი და მომთმენი;
- არ დაეთანხმოთ, რომ სიტუაცია უიმედოა;
- უთხარით, რომ ზოგჯერ ასეთ რამეს გრძნობს ადამიანი.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Kristi Kanel (2008), A Guide to Crisis Intervention. 3rd Ed. Pacific Grove, CA: Brooks/Cole Publishing.
2. ნამიჭეიშვილი, ს. და მგელიაშვილი, მ. სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები, 2010 წელი
3. Parad, H.G. & Parad, L.G. (1990). Crisis intervention, Book 2: A practitioner's source-book for brief therapy. Milwaukee: Family Service of America.
4. Roberts (2007), Crisis Intervention Handbook: Assessment, Treatment, and Research
5. ტატანაშვილი, ზ. "კრიზისული ინტერვენცია". საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2009 წელი

# თავი 3

## კონსულტირება სოციალურ მუშაოებაში

---

### ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალური მუშაოება

#### ია შეყრილაქე

### ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი ასპექტები, რომლებზეც სოციალურმა მუშაკმა უნდა გაამახვილოს ყურადღება კლიენტთან მუშაობის დროს და ინტერვიუს შემდეგ ჩაინიშნოს თავისი შთაბეჭდილებები, რათა კლიენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული სურათი ჩამოაყალიბოს.

#### გარეგნობა

1. ჯანმრთელად გამოიყურება თუ არა კლიენტი?
2. ასაკის შესაფერისად გამოიყურება თუ არა? თუ არა, უფრო დიდს ჰგავს თუ უფრო პატარას?
3. აქვს თუ არა აშკარა ფიზიკური დეფორმაცია? როგორი?
4. სათანადოდ არის თუ არა ჩაცმული?
5. ტანისამოსი სუფთაა თუ არა?
6. დადის თუ არა უჩვეულოდ?
7. ზის თუ არა კომფორტულ პოზაში?
8. აქვს თუ არა რაიმე ხილული იარა?
9. მისი წონა და სიმაღლე ნორმის ფარგლებში ჯდება?
10. აქვს თუ არა რაიმე ხილული ტიკი ან აკვიატებული უჩვეულო სხეულის, სახის ან თვალების მოძრაობა?
11. თვალეში გიყურებთ თუ არა? თუ კი, წყვეტილად თუ სისტემატურად?
12. როგორია კლიენტის სახის გამომეტყველება? იცვლება იგი ინტერვიუს განმავლობაში?

#### მეტყველება

1. საუბრობს თუ არა კლიენტი?
2. უჩვეულოდ სწრაფად ან ნელა ხომ არ საუბრობს?

3. აქვს თუ არა მეტყველებითი შეფერხება?
4. უჩვეულოდ ხმამაღლა ან ხმადაბლა ხომ არ საუბრობს?

### **ემოციები**

1. როგორია კლიენტის საერთო განწყობილება (როგორ გრძნობს თავს კლიენტი)? აღწერეთ ის ქცევები/კომენტარები, რომელზეც აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას.
2. როგორია მისი საერთო აფექტი (ის, თუ როგორ ამჟღავნებს იგი თავის ემოციებს)? აღწერეთ ის ქცევები/კომენტარები, რომელზეც აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას.
3. გადაჭარბებული ხომ არ არის მისი აფექტი? აღწერეთ.
4. ამჟღავნებს თუ არა ცვალებად აფექტს?
5. არის თუ არა მისი აფექტი ინტერვიუს შინაარსის შესაბამისი?

### **აზროვნების პროცესი და შინაარსი**

1. არის თუ არა კლიენტის აზროვნების პროცესი ზედმეტად დაწვრილებითი და დეტალებზე გამახვილებული?
2. არის თუ არა იგი პერსპექტიული (აკვიატებული სიტყვის/ფრაზის გამეორება)?
3. არის თუ არა აზროვნება ქაოსური, თემიდან გადახვევებით?
4. ამჟღავნებს თუ არა თავისუფალ ასოციაციებს და აზრიდან აზრზე ხტუნვას?
5. ამჟღავნებს თუ არა სომატურ, განდიდების, დევნის ან კონტროლის ბოდვას? რაზე ამყარებთ ამ დაკვირვებას?
6. ამჟღავნებს თუ არა ფიქრის გამჭვირვალეობას (ის, რასაც ფიქრობს ყველას ესმის), ან ურთიერთობის ბოდვას (მაგალითად, ვილაც ცნობილ ადამიანს უყვარს იგი)?
7. განიცდის თუ არა აკვიატებულ ფიქრებს/აზრებს (ობსესიებს) ან აკვიატებულ მოქმედებებს/ქცევას (კომპულსიებს)?
8. აწუხებს თუ არა ფობიები? თუ კი, რომელი?
9. აღინიშნება თუ არა ჰომოციდური (მკვლელობის) ან სუიციდური (თვითმკვლელობის) ფიქრები? თუ კი, რაზე აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას?
10. არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული საგანი/საკითხი, რომელზეც თქვენი კლიენტი ამოჩემებულად ფიქრობს? თუ კი, აღწერეთ.

### **შეგრძნებები**

1. ხომ არ აქვს კლიენტს სმენის პრობლემები?
2. ხომ არ აქვს კლიენტს მხედველობის პრობლემები?
3. ხომ არ იტანჯება ილუზიებისა თუ ჰალუსინაციებისაგან? თუ კი, როგორია ისინი – სმენითი, მხედველობითი, ყნოსვითი, შეხებითი თუ გემოვნების? რაზე აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას?

### **გონებრივი უნარები**

1. არის თუ არა კლიენტი დროში, სივრცეში და საკუთარ თავში (იცის თუ არა თავისი სახელი) ორიენტირებული?
2. ჩანს თუ არა იგი საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტის მქონედ?
3. ყურადღების გამახვილებას ნორმალურად ახერხებს?
4. ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერება ნორმაში ჩანს? თუ არა, რაზე აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას?
5. მისი მსჯელობა დამახინჯებული ხომ არ ჩანს? თუ კი, რაზე აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას?
6. აქვს თუ არა ადეკვატური თვითშეფასება? რაზე აფუძნებთ თქვენს დაკვირვებას?
7. აცნობიერებს თუ არა საკუთარი ქცევის შედეგებს?
8. შეუძლია თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წვდომა?
9. აქვს თუ არა სტერეოტიპული (უკიდურესი განზოგადობები) ან მაქსიმალისტური (ყველაფერის შავ-თეთრ ფერებში ხედვა) აზროვნება?
10. უჭირს საკუთარი აზრებისა და ფიქრების სხვისი აზრების/ფიქრებისგან განსხვავება?

### **დამოკიდებულება მუშაკის მიმართ**

1. როგორია კლიენტის თქვენდამი დამოკიდებულება?
2. იცვლება თუ არა მისი ეს დამოკიდებულება ინტერვიუს პროცესში?
3. პასუხობს თუ არა ემპათიას?
4. თვითონ შეუძლია თუ არა იყოს ემპათიური?



## **ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა ბავშვებში: გავრცელებული აშლილობები**

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის ასაკის აშლილობანი და მათი გავრცელება, ისევე როგორც ამა თუ იმ ქცევის ანომალიურად მიჩნევა განსხვავებულია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ქვემოთ მოცემული მდგომარეობანი ზოგადად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ყურადღების საგნად. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ისეთ აშლილობებს, როგორიცაა ენურეზი, ყურადღების დეფიციტი/ჰიპერაქტიულობა, ანტისოციალური ქცევა – ყოფაქცევის აშლილობა, თვითდაზიანების ქცევა, აუტიზმი და მიჯაჭვულობის რეაქტიული აშლილობა.

### **ენურეზი**

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ენურეზი უფრო ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში და იგი გამწვავებულია ისეთი ფსიქოლოგიური სტრესორებით, როგორიცაა დედამამიშვილის დაბადება, მშობლების განქორწინება, ჰოსპიტალიზაცია, სკოლაში წასვლა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, საცხოვრებლის შეცვლა და სხვ. საინტერესოა, რომ ენურეზისადმი არსებობს გარკვეული გენეტიკური მიდრეკილებაც.

### **დიაგნოსტიკური კრიტერიუმები:**

ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM – IV - TR) მიხედვით, ენურეზის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია:

- განმეორებითი შარდვა საცვალში ან საწოლში (ნებით ან უნებლიედ), რომელიც გრძელდება სულ მცირე 3 თვე ან მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევს სოციალურ ან აკადემიურ ფუნქციონირებაში
- ასაკი არის 5 ან მეტი წლის
- არ არის გამონვეული ზოგადი სამედიცინო მდგომარეობით ან ნივთიერების მოხმარებით

### **ენურეზის ქვე-ტიპები:**

- დღის
- ღამის
- შერეული

- პირველადი
  - ◆ ბავშვს არ ჰქონია სიმშრალის პერიოდი
- მეორადი
  - ◆ იწყება სიმშრალის პერიოდის შემდეგ

**ენურეზის მკურნალობის გავრცელებული მეთოდები:**

- ბიჰევიორალური თერაპია (ზარის მეთოდი);
- ფსიქოთერაპია (ემოციურ სტრესორებზე ფოკუსირებული);
- ფარმაკოთერაპია (იმიპრამინი).

**ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის აშლილობა**

ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM-IV-TR) მიხედვით, ყურადღების დეფიციტი/ჰიპერაქტიულობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბავშვობის ასაკის ფსიქიკური აშლილობაა და წარმოადგენს უყურადღებობისა და/ან ჰიპერაქტიულობის მდგრად პატერნს. აშლილობის ზოგიერთი სიმპტომი შესაძლოა წარმოიშვას 7 წლამდე ასაკში, თუმცა ბავშვების უმრავლესობას უფრო მოგვიანებით უსვამენ დიაგნოზს. შეფერხებას ადგილი უნდა ჰქონდეს სულ მცირე ორ გარემოში (მაგ. საშინაო და სასკოლო) და უნდა აფერხებდეს განვითარების დონისთვის შესაფერის ფუნქციონირებას სოციალურ, აკადემიურ და სამსახურეობრივ ასპექტებში.

აშლილობა უფრო ხშირად გვხვდება ბიჭებთან, ვიდრე გოგონებთან (სამი/ხუთი ერთზე). აშლილობა ყველაზე ხშირია პირველ ბავშვ-ბიჭებში. იმისათვის რომ დაისვას დიაგნოზი, აუცილებელია, რომ აშლილობა სახეზე იყოს სულ მცირე 6 თვის განმავლობაში, გამოიწვიოს შეფერხება აკადემიურ და სოციალურ ასპექტებში და სიმპტომთა დასაწყისი აღინიშნებოდეს 7 წლამდე ასაკში.

აშლილობის გამომწვევი მიზეზები უცნობია. არსებობს მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც პრენატალურ ტოქსიკურ ნივთიერებებთან შეხება, დღე-ნაკლებობა, ნაყოფის ნერვული სისტემის პრენატალური ტრავმა შესაძლოა, ჩაითვალოს აშლილობის ხელშემწყობ ფაქტორებად. ასევე, ჩრდილოეთ ამერიკის სტატისტიკა აჩვენებს, რომ აშლილობის მქონე ბავშვთა დიდი ნაწილი დაბადებულია სექტემბერში, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ შესაძლოა ზამთრის სეზონის დროს ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში გადატანილი ინფექციები ხელს უწყობდეს აშლილობის განვითარებას. აშლილობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სამი ქვე-ტიპის სახით: (1) მეტწილად უყურადღებო ტიპი, (2) მეტწილად ჰიპერაქტიულ-იმპულსური ტიპი და (3) შერეული ტიპი.

### **დიაგნოსტური კრიტერიუმები:**

#### **A. სახეზეა ან (1) ან (2):**

(1) ექვსი ან მეტი ქვემოთმოცემული **უყურადღებობის** სიმპტომი უკანაკსნელი 6 თვის განმავლობაში რეგულარული სახით, რომელიც არ შეესაბამება განვითარების დონეს და ზიანს აყენებს ბავშვის ადაპტურობას.

- ხშირად უჭირს დეტალებისადმი ყურადღების მიქცევა და უშვებს დაუდევარ შეცდომებს საშინაო დავალების, სამსახურებრივი საქმიანობის ან სხვა ტიპის აქტივობის დროს;
- ხშირად უჭირს კონცენტრაცია თამაშის დროს ან რამის კეთებისას;
- ხშირად არ უსმენს, როდესაც ელაპარაკებიან;
- ხშირად უჭირს მიჰყვეს ინსტრუქციებს და ვერ ახერხებს საშინაო დავალების გაკეთებას ან სხვა ვალდებულებების შესრულებას;
- ხშირად უჭირს დავალებების და ღონისძიებების ორგანიზება;
- ხშირად თავიდან იცილებს ისეთ დავალებებს, რომლებიც მოითხოვენ ძალისხმევას (როგორცაა სასკოლო ან საშინაო დავალება);
- ხშირად კარგავს საგნებს, რაც აუცილებელია ამოცანათა შესასრულებლად ან ღონისძიებათათვის (მაგ. სათამაშოები, წიგნები, რვეულები);
- ხშირად ადვილად ეფანტება ყურადღება;
- ხშირად არის გულმავინი ყოველდღიურობაში.

(2) სახეზეა ექვსი ან მეტი **ჰიპერაქტიულობის და იმპულსურობის** სიმპტომი უკანაკსნელი 6 თვის განმავლობაში რეგულარული სახით, რომელიც არ შეესაბამება განვითარების დონეს და ზიანს აყენებს ბავშვის ადაპტურობას.

#### **ჰიპერაქტიულობა**

- ხშირად ცქმუტავს ჯდომისას, ვერ ჩერდება ერთ ადგილას;
- ხშირად ტოვებს სკამს და დგება გაკვეთილის დროს ან სხვა სიტუაციაში, სადაც მოეთხოვება ჯდომა;
- ხშირად დარბის აქეთ-იქით და ზედმეტად ძვრება რალაცეებზე ისეთ სიტუაციაში, რომლებშიც მოეთხოვება წყნარად ყოფნა;
- ხშირად უჭირს მშვიდად თამაში ან გართობა;
- ხშირად იქცევა ისე თითქოს “მოქოქილია და ვერ ჩერდება”;

- ხშირად ბევრს ლაპარაკობს.

*იმპულსურობა*

- ხშირად პასუხობს იქამდე, სანამ კითხვის დასმას დაამთავრებდნენ;
- ხშირად უჭირს დაელოდოს მის ჯერს;
- ხშირად აწყვეტინებს სხვებს ლაპარაკს.

B. აღნიშნულ სიმპტომთა ნაწილი სახეზე იყო 7 წლის ასაკამდე.

C. შეფერხება აღინიშნება მინიმუმ ორ გარემოში (მაგ. სახლში, სკოლაში, სამსახურში).

D. სახეზეა აშკარა კლინიკურად მნიშვნელოვანი შეფერხება სოციალურ, აკადემიურ ან სამსახურებრივ ფუნქციონირებაში.

E. სიმპტომები არ აიხსნება აუტისტური სპექტრის აშლილობით, შიზოფრენიით ან სხვა ფსიქოტური აშლილობით ან ნებისმიერი სხვა ფსიქიკური აშლილობით (მაგ. განწყობილების აშლილობა, შფოთვითი აშლილობა, ა.შ.).

*ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის ქვე-ტიპები:*

**ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის აშლილობა, შერეული ტიპი:** თუკი გასული 6 თვის განმავლობაში დაკმაყოფილებულია 1 და 2 კრიტერიუმები.

**ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის აშლილობა, მეტწილად უყურადღებო ტიპი:** თუკი გასული 6 თვის განმავლობაში დაკმაყოფილებულია 1 კრიტერიუმი, მაგრამ არაა დაკმაყოფილებული 2 კრიტერიუმი.

**ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის აშლილობა, მეტწილად ჰიპერაქტიულ-იმპულსური ტიპი:** თუკი გასული 6 თვის განმავლობაში დაკმაყოფილებულია 2 კრიტერიუმი, მაგრამ არაა დაკმაყოფილებული 1 კრიტერიუმი.

**ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის მკურნალობის გავრცელებული მეთოდები**

ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის მართვისას ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ფსიქოთერაპია – ქცევითი მოდიფიკაცია და მშობელთა ტრენინგი; ასევე ინდივიდუალური თერაპია განსაკუთრებით მედიკამენტური მკურნალო-

ბის ფონზე, რათა ბავშვს დავებმართ იმის გაგებაში, თუ როგორ და რაში ეხმარება მას წამალი და თავიდან ავაცილოთ სტიგმატური დამოკიდებულების განვითარება საკუთარი თავის მიმართ.

ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ტრენინგი იმისთვის, რომ მათ გაიაზრონ, თუ რაოდენ აუცილებელია ბავშვისთვის იყოს ჩართული საშინაო საქმეებში და ჰქონდეს მოვალეობები, რომელთაც იგი სტაბილურად ასრულებს. თერაპიის ფოკუსია სასურველი ქცევის ნახალისება და დაჯილდოვება, სტრუქტურის შექმნა და არასასურველი ქცევის მინიმიზაცია.

**ფარმაკოთერაპია:** გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები, ანტიფსიქოტური მედიკამენტები და ანტიდეპრესანტები. განსაკუთრებით ეფექტურად ითვლება მეთილფენიდატი, თუმცა წამლის ერთ-ერთი უკუჩვენება ზრდის შენელებაა.

**ინდივიდუალური თერაპია** შესაძლოა მოიცავდეს კომუნიკაციის უნარების განვითარებას და რისხვის მართვას, ვინაიდან, როგორც წესი, ჰიპერაქტიულ ბავშვებს აქვთ პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში; ნახალისებაზე მიმართულ ბიჰევიორალურ თერაპიას; და ემოციების გამოხატვასა და თვითშეფასების ამაღლებაზე მიმართულ თერაპიას.

წარმატებულ მიდგომად ითვლება მულტიმოდალური მკურნალობა, რომელიც თავის თავში მოიცავს ფარმაკოთერაპიას, აკადემიური უნარების ტრენინგს, სოციალური უნარების ტრენინგს, ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიას, მშობელთა ტრენინგს.

## **ანტისოციალური ქცევა – ყოფაქცევის აშლილობა**

ანტისოციალური ქცევის - ყოფაქცევის აშლილობის ზოგადი მახასიათებლებია: სწავლის პრობლემები, დეპრესიული გუნება-განწყობილება, ჰიპერაქტიულობა, ადიქტიური ქცევა (რაიმე აქტივობა, მავნე ნივთიერება ან ობიექტი ხდება პიროვნების მთავარი ფოკუსი), დრამატიზმი და იმპულსურობა.

### **დიაგნოსტური კრიტერიუმები:**

ყოფაქცევის აშლილობა ეს არის ქცევის პატერნი, რომელიც გულისხმობს სხვა ადამიანების ბაზისური უფლებების და/ან ძირითადი საზოგადოებრივი ნორმების დარღვევას, რაც გამოიხატება ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ მცირე სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაში უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში, აქედან მინიმუმ ერთი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაში გასული 6 თვის განმავლობაში:

*აგრესია ადამიანების და/ან ცხოველების მიმართ:*

1. ხშირად ჩაგრავს სხვა ადამიანებს ან ცხოველებს;
2. ხშირად იწყებს ფიზიკურ ჩხუბს;
3. გამოუყენებია საშიში იარაღი სხვის წინააღმდეგ (მაგ. აგური, ბოთლი, დანა);
4. გამოუმჟღავნებია ფიზიკური სისასტიკე სხვა ადამიანის მიმართ;
5. გამოუმჟღავნებია ფიზიკური სისასტიკე ცხოველის მიმართ;
6. გაუქურდავს, თავს დასხმია, დაუყარაღებია ვინმე;
7. ყოფილა სექსუალური ძალადობის ინიციატორი.

*საკუთრების განადგურება:*

8. განზრახ გაუნადგურებია სხვისი საკუთრება;
9. განზრახ მოუწყვია ხანძარი სერიოზული ზიანის მიყენების მიზნით.

*თვალთმაქცობა ან ქურდობა:*

10. გაუტეხავს ვინმეს სახლი, მანქანა, ან შენობა;
11. ხშირად იტყუება სარგებლის მიღების ან პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით;
12. მოუპარავს წვრილმანი ნივთები.

*წესების სერიოზული დარღვევა:*

13. ხშირად არ ბრუნდება დროულად შინ ღამით, მიუხედავად მშობლების მოთხოვნისა (13 წლამდე ასაკში);
14. სახლიდან გაქცეულა და ღამე არ დაბრუნებულა სულ მცირე ორჯერ;
15. ხშირად აცდენს გაკვეთილებს (13 წლამდე ასაკში);
  - a. ზემოაღნიშნული ინვევს მნიშვნელოვან შეფერხებას სოციალურ, აკადემიურ და პიროვნებათმორის ასპექტებში;
  - b. თუ ინდივიდი 18 წლისაა ან მეტის, ანტისოციალური პიროვნული აშლილობის კრიტერიუმი არაა დაკმაყოფილებული.

*ყოფაქცევის აშლილობის ქვე-ტიპები:*

**ბავშვობის ასაკის ტიპი:** სულ მცირე ერთი კრიტერიუმი სახეზეა 10 წლამდე ასაკში.

**ყრმობის ასაკის ტიპი:** 10 წლამდე ასაკში არაა სახეზე არცერთი კრიტერიუმი.

ყოფაქცევის აშლილობების ადრეული დასაწყისი ასოცირდება გაუარესებულ პროგნოზთან. ხშირია რამოდენიმე აშლილობის თანაარსებობა, მაგალითად ყოფაქცევის აშლილობის მქონე ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ ჰიპერაქტიულობა, სწავლის აშლილობები, და კოგნიტური დეფიციტი. ასევე ხშირია ნივთიერებათა ავადმომარება და ფსიქიკური აშლილობები ზრდასრულ ასაკში იმ ინდივიდებში, რომლებიც ბავშვობაში ყოფაქცევის აშლილობით ხასიათდებოდნენ.

ყოფაქცევის აშლილობები უფრო გავრცელებულია იმ ბავშვებში, რომლებიც გაიზარდნენ კრიმინალური ქცევის და ალკოჰოლიზმის პრობლემის მქონე ოჯახებში. აშლილობის მკურნალობის წარმატებულობის ერთ-ერთი პრინციპია სტრუქტურის შექმნა ნებისმიერ დონეზე, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ განამტკიცოს თანმიმდევრულობა. ქვემოთ იხილეთ მეთოდები, რომლებსაც იყენებენ ამ ტიპის აშლილობების მქონე ბავშვებთან:

### **ანტისოციალური ქცევის – ყოფაქცევის აშლილობის მკურნალობის გავრცელებული მეთოდები:**

*პრობლემის გადაჭრის კოგნიტური უნარების ტრენინგი* – აქცენტს აკეთებს კოგნიტური პროცესების გაუმჯობესებაზე და არასწორი კოგნიტური სქემების შეცვლაზე, რომლებიც თავის მხრივ, ინდივიდს აგრესიული ქცევისკენ უბიძგებენ. ეს მიდგომა თავის თავში მოიცავს ინტერპერსონალური პრობლემის გადაჭრის კოგნიტური უნარების განვითარებას და პროსოციალური ქცევის ხელშეწყობას.

*მშობელთა მართვის ტრენინგი* – ცდილობს ასწავლოს მშობლებს, როგორ შეცვალონ ბავშვის ქცევა სახლში ნახალისების, მსუბუქი დასჯის, მოლაპარაკების და კონტრაქტის გამოყენების საშუალებით.

*მშობელთა უნარების ტრენინგი* – ცდილობს დაეხმაროს მშობლებს სათანადო აღმზრდელითი უნარების განვითარებაში; იყენებს ვიდეოჩანერას, როგორც მეთოდს და მასალას ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის ასახვისა და პროსოციალური ქცევის ხელშეწყობისათვის. მიდგომა ცდილობს დაეხმაროს მშობლებს განავითარონ უნარი იმისა, თუ როგორ ასწავლონ შვილს, შეაქონ და დააჯილდოვონ, დაანესონ და დაიცვან წესები და გაუმკლავდნენ უნესობას.

*ბავშვთა სოციალური უნარების ტრენინგი* – მოიცავს ემპათიის ტრენინგს, პრობლემათა-გადაჭრის ტრენინგს, რისხვის მართვას, მეგობრული უნარების და ურთიერთობის უნარების განვითარებას, სასკოლო უნარების განვითარებას; იფუძნება ვიდეო მასალის გამოყენებას.

ასევე გავრცელებულია *მედიკამენტური* ჩარევა მწვავე აგრესიული ქცევის დროს. ისეთი ანტიფსიქოტური მედიკამენტი, როგორიცაა ჰალოპერიდოლი შესაძლოა გამოიყენებოდეს აგრესიული ქცევის შესამცირებლად.

## თვითდაზიანების ქცევა

თვითდაზიანება ეს არის საკუთარი სხეულისადმი განზრახ ფიზიკური ზიანის მიყენება და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: საკუთარი სხეულის ცემა, ფხაჭნაკანვრა, სხეულის გაჭრა, კანის წვალება/დაზიანება, არ აცლის ჭრილობებს მოშუშებას, თავის ცემა/რტყმა, განზრახ დამწვრობა, ძვლების მტვრევა.

### გავრცელებული მახასიათებლები:

- უფრო ხშირია გოგონებში, ვიდრე ბიჭებში;
- მაღალი მგრძობიარობა უარყოფის მიმართ;
- შფოთვიანი და გაღიზიანებული განწყობილება;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 13 წლამდე;
- ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლი;
- უგულვებელყოფის მსხვერპლი;
- სარისკო და საშიშ ქცევებში ჩართულობა;
- ანორექსია და ბულიმია.

### ქცევის მოტივაცია:

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანმა შესაძლოა მიმართოს თვითდაზიანებით ქცევას:

- უკეთ იგრძნო თავი (გადართვა ემოციური ტკივილიდან ფიზიკურზე);
- თავი აარიდო მტკივნეულ საკითხზე საუბარს;
- გამოხატო ემოციური ტკივილი;
- იგრძნო რაიმე, ტრავმით გამოწვეული ემოციური სიმუნჯის ფონზე;
- მოახდინო გრძნობების კომუნიკაცია;
- იგრძნო კონტროლი საკუთარი სხეულის მიმართ;
- შეამცირო ფიზიკური დაძაბულობა;
- თავი იგრძნო რეალობასთან კავშირში;
- შექმნა ეიფორიისა და სიამოვნების გრძნობა;
- მოახდინო შინაგანი ტკივილის და დახმარების საჭიროების კომუნიკაცია;
- გავლენა მოახდინო სხვებზე (ყურადღება მიიპყრო, გააკონტროლო);



- თავიდან აიცილო რალაც უარესი;
- რისხვის მიმართვა საკუთარი თავისადმი ნაცვლად სხვებისა;
- საკუთარი თავის დასჯა.

### **მაპროვოცირებელი ფაქტორები:**

- დანაშაულის გრძნობა და თვით-კრიტიკა;
- წარუმატებლობა;
- უარყოფა და მიტოვება;
- ინტერპერსონალური კონფლიქტი;
- მნიშვნელოვანი ცვლილება ცხოვრებაში;
- ტრავმატული გამოცდილება.

### ***თვითდაზიანების ქცევის მართვის გავრცელებული მეთოდები***

#### **რა შეიძლება დაგვეხმაროს:**

- შეამცირეთ ხმაური და ვიზუალური ქაოსი ბავშვის გარემოში;
- შეეცადეთ ბავშვმა არ იურთიერთოს უხემ და აგრესიულ პირებთან;
- ნუ აყურებინებთ აგრესიისა და ძალადობის შინაარსის მქონე გადაცემებს/ფილმებს;
- შეინარჩუნეთ სიმშვიდე, რაც არ უნდა გითხრათ ბავშვმა. ნუ შეგეტყობათ შოკი ან პანიკა;
- ბავშვთან ურთიერთობაში მეტი ყურადღება დაუთმეთ იმას, თუ რას გეუბნებათ იგი;
- დასვით მარტივი კითხვები და შეეცადეთ გაიგოთ რა აუმჯობესებს და აუარესებს ბავშვის ემოციურ მდგომარეობას;
- ჰკითხეთ, თუ კონკრეტულად რამემ ხომ არ გამოიწვია მისი ქცევა;
- ჰკითხეთ, როგორ ართმევს თავს უსამართლო მოპყრობას;
- ჰკითხეთ, საკუთარ თავზე კარგს რას ფიქრობს;
- ჰკითხეთ, სხვა რისი გაკეთება შეუძლია თვითდაზიანების ნაცვლად;
- მაღლობა გადაუხადეთ იმისთვის, რომ გაგიზიარათ თავისი აზრები და გრძნობები;

- ესაუბრეთ თემებზე, რაც აინტერესებს;
- სთხოვეთ, დაგეხმაროთ მარტივ მაგრამ სასარგებლო საქმეში;
- დაეხმარეთ ემოციების გამოხატვაში;
- ყურადღებით იყავით სუიციდის რისკის მიმართ.

### **რას უნდა მოვერიდოთ:**

- არ უთხრათ ბავშვს ისეთი რამ, რაც მასში სირცხვილის, უღირსობის და დანაშაულის გრძნობას გამოიწვევს;
- ნუ შესთავაზებთ მათი ქცევის ახსნის პოტენციურ მიზეზს;
- ნუ შეეცდებით გაახსენოთ მტკივნეული სიტუაცია ან ტრავმატული მოვლენა;
- არ სთხოვოთ, შეგპირდეთ, იმას, რომ აღარ მოიქცევა ასე;
- არ უთხრათ ბავშვს, რომ რაც ჩაიდინა, საშინელებაა;
- არ უკარნახოთ, როგორ უნდა იფიქროს და იგრძნოს თავი;
- არ სდით კუდში იმ მიზნით, რომ ზიანი არ მიაყენოს თავს განსაკუთრებული შემთხვევების გარდა.

თვითდაზიანების ქცევა ხშირია ადამიანებში პიროვნების აშლილობებით ან ფსიქიატრიული მდგომარეობებით და, შესაბამისად, ამგვარი ქცევა შესაძლოა მიგვანიშნებდეს დეპრესიასა თუ რაიმე სხვა ფსიქოლოგიური პრობლემის შესახებ.

### **აუტიზტური სპექტრის აშლილობანი**

ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM – IV - TR) მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობები წარმოადგენენ მწვავე და ძირეულ შეფერხებას განვითარებაში, კერძოდ, სოციალურ ურთიერთობებსა და კომუნიკაციაში, ან სტერეოტიპულ ქცევასა, ინტერესებსა და აქტივობაში.

აღნიშნული აშლილობები აფერხებენ სოციალური უნარების და მეტყველების განვითარებას და ამცირებენ ინდივიდის ქცევით რეპერტუარს. ჩვეულებრივ, აშლილობანი ხასიათდებიან განვითარების შენელებით მრავალ ასპექტში, ვლინდებიან ადრეულ ასაკში, და ინვევენ ძირეულ შეფერხებას.

**დიაგნოსტური კრიტერიუმები:**

A. ექვსი ან მეტი სიმპტომი (1), (2) და (3)-დან, აქედან სულ მცირე ერთი (1)-დან და თითო-თითო (2) და (3)-დან.

(1) მნიშვნელოვანი შეფერხება სოციალურ ურთიერთობებში, რაც გამოიხატება ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმში:

1. მნიშვნელოვანი შეფერხება მხედველობითი კონტაქტის, ექსტიკულაციის და სახის გამომეტყველების გამოყენებაში სოციალური ურთიერთობის დროს;
2. თანატოლებთან ასაკის შესაბამისი ურთიერთობის დამყარების უუნარობა;
3. მიღწევის, სიხარულის და ინტერესების სხვებთან გაზიარების სპონტანური სურვილის ნაკლებობა;
4. სოციალური და ემოციური უკუკავშირის ნაკლებობა;

(2) მნიშვნელოვანი შეფერხება კომუნიკაციაში, რაც გამოიხატება ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ მცირე ერთ კრიტერიუმში:

1. შეფერხებული ან სრულიად განუვითარებელი მეტყველება;
2. ნორმალური მეტყველების მქონე ინდივიდებში, მნიშვნელოვანი შეფერხება საუბრის წამოწყების და შენარჩუნების უნარში;
3. სტერეოტიპულობა მეტყველებაში ან იდოსინკრატიული მეტყველება (ორიგინალური, ბავშვის მიერ შემუშავებული);
4. სპონტანურობის/იმპროვიზაციის უნარის ნაკლებობა.

(3) შეზღუდული სტერეოტიპული და განმეორებითი ქცევის, ინტერესებისა და აქტივობის პატერნი, რაც გამოიხატება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმში:

1. ზედმეტად დაინტერესება/აკვირება ერთი ან მეტი სტერეოტიპული და ვიწრო საკითხით;
2. გამოხატულად რიგიდული დაცვა ცალკეული უფუნქციო წესებისა და რიტუალებისა;
3. სტერეოტიპული და განმეორებადი მოტორული მანერიზმი (ტაშის ცემა, თითების წვალვა, ხელების მოძრაობა, ბოლთის ცემა);
4. გადაჭარბებული ინტერესი სხეულის ნაწილების მიმართ.

B. შეფერხება სახეზეა 3 წლამდე ასაკში და გამოიხატება სულ მცირე სამიდან ერთ სფეროში: (1) სოციალური ურთიერთობა, (2) ენის, როგორც კომუნიკა-

ციის საშუალების გამოყენება და (3) სიმბოლური ან წარმოსახული თამაში.

C. შეფერხება არ აიხსნება ბავშვობის ასაკის სხვა აშლილობით.

### **ატიპიური აუტიზმი:**

აშლილობა გამოიხატება 3 წლის ასაკის მერე, ან წარმოდგენილია ატიპიური სიმპტომატიკით, ან ორივე.

აუტისტური აშლილობა უფრო ხშირად გვხვდება ბიჭებთან, ვიდრე გოგონებთან – 3-5-ჯერ ხშირია ბიჭებში, თუმცა გოგონებში აუტიზმი ზოგადად უფრო მწვავე ფორმით ვითარდება.

აუტიზმი და აუტისტური სიმპტომატიკა ასოცირდება ისეთ მდგომარეობებთან, როგორცაა თანდაყოლილი წითურა, ფენილკეტონურია, გულყრა.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იმუნური შეუთავსებლობა დედასა და ნაყოფს შორის კავშირშია აუტიზმთან. ასევე არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა დედების დიდი ნაწილი ფეხმძიმობაში გადიოდა ფარმაკოთერაპიას.

აუტისტურ აშლილობათა ტიპის დარღვევებს მიეკუთვნება რეტისა და ასპერგერის აშლილობა.

## **რეტის აშლილობა**

### **დიაგნოსტური კრიტერიუმები:**

A. დაკმაყოფილებული უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი:

- ა. ნორმალური პრენატალური და პერინატალური განვითარება;
- ბ. ნორმალური ფსიქომოტორული განვითარება დაბადებიდან პირველი ხუთი თვის მანძილზე;
- გ. ნორმალური თავის ქალის გარშემონერილობა დაბადებისას.

B. ნორმალური განვითარების პერიოდს მოჰყვა:

- ა. თავის ზრდის შეფერხება 5 თვიდან 4 წლამდე ასაკში;
- ბ. წარსულში შექენილი ხელის მოტორული უნარების დაკარგვა 5 თვიდან 30 თვემდე ასაკში, რასაც მოჰყვა სტერეოტიპული ხელის მოქმედებების განვითარება;
- გ. სოციალური უნარების დაკარგვა;
- დ. ტორსის სუსტი კოორდინაცია;

ე. ღრმა შეფერხება მეტყველების განვითარებაში, რომელსაც თან ახლავს ღრმა ფსიქომოტორული ჩამორჩენა.

## ასპერგერის აშლილობა

### დიაგნოსტური კრიტერიუმები:

- A. მნიშვნელოვანი შეფერხება სოციალურ ურთიერთობებში, რაც გამოიხატება ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმში:
- ა. მნიშვნელოვანი შეფერხება მხედველობითი კონტაქტის, ექსტიკულაციის და სახის გამომეტყველების გამოყენებაში სოციალური ურთიერთობის დროს;
  - ბ. თანატოლებთან ასაკის შესაბამისი ურთიერთობების დამყარების უუნარობა;
  - გ. მიღწევის სიხარულის და ინტერესების სხვებთან გაზიარების სპონტანური სურვილის ნაკლებობა;
  - დ. სოციალური და ემოციური უკუკავშირის ნაკლებობა.
- B. შეზღუდული სტერეოტიპული და განმეორებითი ქცევის, ინტერესების და აქტივობის პატერნი, რაც გამოიხატება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმში:
- ა. ზედმეტად დაინტერესება/აკვირება ერთი ან მეტი სტერეოტიპული და ვიწრო საკითხით;
  - ბ. გამოხატულად რიგიდული დაცვა ცალკეული უფუნქციო წესებისა და რიტუალებისა;
  - გ. სტერეოტიპული და განმეორებადი მოტორული მანერიზმი (ტაშის ცემა, თითების წვალება, ხელების მოძრაობა, ბოლთის ცემა);
  - დ. გადაჭარბებული ინტერესი სხეულის ნაწილების მიმართ.
- C. აშლილობა იწვევს კლინიკურად მნიშვნელოვან შეფერხებას სოციალურ, სამსახურებრივ ან ფუნქციონირების სხვა სფეროში.
- D. სახეზე არაა კლინიკურად მნიშვნელოვანი შეფერხება მეტყველებაში.
- E. სახეზე არაა კლინიკურად მნიშვნელოვანი შეფერხება კოგნიტურ განვითარებაში, თვით-მოვლის უნარების განვითარებაში, ადაპტურ განვითარებაში (სოციალურის გარდა) და გარემოსადმი ცნობისმოყვარეობის განვითარებაში.

F. აშლილობა არ აიხსნება აუტიზმის სპექტრის სხვა აშლილობით ან შიზოფრენიით.

### **აუტისტურ აშლილობათა მკურნალობა:**

აუტისტურ აშლილობათა მკურნალობის მიზანია პროსოციალური და სოციალურად მისაღები ქცევის ხელშეწყობა და უცნაური ქცევებისა და სიმპტომების შემცირება.

ფარმაკოთერაპია გამოიყენება აგრესიული ქცევის, ისტერიული რეაქციების, ობსესიურ-კომპულსიური მდგომარეობების და თვითდაზიანების ქცევის შესამცირებლად. ანტიფსიქოტული მედიკამენტი ჰალოპერიდოლი ან რესპირდალი ხშირად გამოიყენება ამ მიზნით.

ასევე, გამოიყენება:

- მეტყველების და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე მიმართული თერაპიები;
- მოტივაციის გაზრდით სასურველი ქცევის გახშირება;
- მშობელთა ტრენინგი;
- მიდგომები, რომლებიც ხაზს უსვამენ ნათელი ინსტრუქციების მნიშვნელობას;
- თვით-მოვლის ჩვევების განვითარება, ინდივიდის ხელშეწყობა გაააქტიუროს ჩართულობა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- მცდელობის ნახალისებაზე მიმართული ბიჰევიორალური მიდგომები;
- სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა;
- ოჯახის მორალური და მატერიალური თანადგომა.

ბოლოს გავიმეორებთ, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობანი წარმოადგენენ მდგომარეობათა ჯგუფს, რომლებიც გულისხმობენ ბაზისური უნარების განსაკუთრებით კი სოციალური უნარებისა და წარმოსახვის უნარის, შეფერხებას. მშობლების უმრავლესობა აუტისტური სპექტრის აშლილობათა გამოვლინებას ბავშვებში ამჩნევს დაახლოებით 3 წლის ასაკში მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მდგომარეობათა სიმპტომატიკა უფრო ადრე იჩენს თავს.

### **მიჯაჭვეულობის რეაქტიული აშლილობა**

ფსიქოლოგიურად ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ბავშვს ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ზრდასრულთან, რომელიც ზრუნავს, იცავს მას და მას-

ში ნდობისა და უსაფრთხოების გრძნობას აღვივებს. მიჯაჭვულობის გრძნობა ნიშნავს ორ ინდივიდს შორის ძლიერ ემოციურ ურთიერთობას და წარმოადგენს გრძელვადიანი ურთიერთობის ან სხვა პიროვნებებთან კავშირის ბაზისს. მიჯაჭვულობა აქტიური პროცესია – ის შეიძლება იყოს ჯანსაღი ან არაჯანსაღი. მზრუნველისადმი ემოციური სიახლოვე ემოციური უსაფრთხოებისა და სოციალური სინდისის განვითარების წინაპირობაა.

ბავშვის ოპტიმალურ განვითარებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მისი მოთხოვნილებათა სპექტრი თანმიმდევრობით არის დაკმაყოფილებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში. წარმატებული მშობლობა დაფუძნებულია ჯანსაღ, პატივისცემით აღსავსე და ხანგრძლივ ურთიერთობაზე ბავშვთან. ბავშვს უფიქრადება მიჯაჭვულობის გრძნობა და მშობლად აღიარებს პიროვნებას, რომელიც “ყოველდღიურად ყურადღებას უთმობს, ზრუნავს მასზე და ცდილობს დააკმაყოფილოს მისი კვების, კომფორტის, ფიზიკური მოვლის, სიყვარულის და განვითარების მოთხოვნილებები”. მიჯაჭვულობის თეორიის გავლენიანი წარმომადგენლის **ჯონ ბოულბის** თანახმად, ჩვილები სწორედ იმ მოზრდილებთან ამყარებენ მიჯაჭვულობის გრძნობას, რომლებიც მათ მოთხოვნილებებს სისტემატურად და ადექვატურად პასუხობენ.

უყურადღებოდ მიტოვებული ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ზოგადად იმის დიდი საფრთხის წინაშე დგანან, რომ ვერავისთან ჩამოაყალიბონ ჯანსაღი სიახლოვის გრძნობა. ბავშვმა რომ დაძლიოს განცდილი ძალადობის ან უგულვებელყოფის სტრესი და ტრავმა, აუცილებელია მას ჰყავდეს სულ მცირე ერთი ზრდასრული პიროვნება, რომელიც მისი ერთგულია, უპირობოდ უყვარს იგი და სტაბილურად უზრუნველყოფს მას სათანადო ზრუნვით.

ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM – IV TR) მიხედვით, მიჯაჭვულობის რეაქტიული აშლილობა არის მდგომარეობა, რომლის დროსაც აღინიშნება საგრძნობლად დაზიანებული და განვითარების დონისთვის შეუსაბამო სოციალური მიკუთვნებულობის განცდა თითქმის ყველა კონტექსტში.

### **დიაგნოსტიკური კრიტერიუმები:**

DSM – IV TR ის მიხედვით, მიჯაჭვულობის რეაქტიული აშლილობა იწყება ხუთ წლამდე ასაკში და ხასიათდება ან (1) ან (2):

A კრიტერიუმი:

- (1) წარუმატებლობა განვითარების/ასაკის შესაბამისი სოციალური ურთიერთობის დამყარებაში, რაც გამოიხატება ზედმეტად შეფერხებულობაში, ზედმეტად ფხიზლობაში, ძლიერ ამბივალენტურ და ურთიერთგამომ-

რიცხავ რეაქციებში (მაგ. ბავშვის დამოკიდებულება აღმზრდელის მიმართ წარმოადგენს ურთიერთობის სურვილის, თავიდან აცილების და ნუგეშის მიღებისადმი წინააღმდეგობის ნარევეს, ან ბავშვი ავლენს “გაყინულ ფხიზლობას”)

(2) არამდგრადი მიჯაჭვულობა, რაც გამოიხატება განურჩეველ სოციალურობაში და მიჯაჭვულობის ერთი ან რამოდენიმე ადამიანის მიმართ განვითარების უუნარობაში (ანუ, ზედმეტი ფამილიარობა უცნობი ადამიანების მიმართ ან მიჯაჭვულობის ობიექტის/ების არარსებობა)

B. A კრიტერიუმის აშლილობა არ აიხსნება მხოლოდ განვითარების შეფერხებებით და არ აკმაყოფილებს აუტისტური სპექტრის აშლილობათა (pervasive developmental disorders) კრიტერიუმს.

C. ადგილი აქვს პათოგენური აღზრდის ისტორიას, რაც გამოიხატება შემდგომი ჩამონათვალიდან სულ მცირე ერთი ფაქტორის არსებობაში:

(1) სისტემატური უგულვებელყოფა ბავშვის ბაზისური ემოციური მოთხოვნილებისა მიიღოს ყურადღება, ალერსი და ნუგეში

(2) სისტემატური უგულვებელყოფა ბავშვის ბაზისური ფიზიკური მოთხოვნილებების

(3) განმეორებითი ცვლილება ძირითადი აღმზრდელის, რაც ხელს უშლის სტაბილური მიჯაჭვულობის განვითარებას

D. სავარაუდოა, რომ C კრიტერიუმის აღზრდამ გამოიწვია A კრიტერიუმის ქცევა (მაგ. A კრიტერიუმის აშლილობა მოჰყვა C კრიტერიუმის პათოგენურ აღზრდას)

### **რეაქტიული აშლილობის ქვე-ტიპები:**

*სპეციფიური ტიპი:*

**შეფერხებული ტიპი:** თუკი კლინიკურ სურათში მეტად გამოხატულია A1 კრიტერიუმი

**არაშეფერხებული ტიპი :** თუკი კლინიკურ სურათში მეტად გამოხატულია A2 კრიტერიუმი

### **მიჯაჭვულობის დარღვევის შედეგები**

მიჯაჭვულობის დარღვევას ძალიან ღრმა და გრძელვადიანი გავლენა აქვს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტზე. ჩვეულებრივ, იგი იწვევს შემდეგს:



- სითბოს/ალერსის მიღების და გაცემის უნარობა,
- სტიმულაციის უქონლობა,
- ჩამორჩენა გონებრივ განვითარებაში,
- ჩამორჩენა ფიზიკურ განვითარებაში,
- ჩამორჩენა ემოციურ და სოციალურ განვითარებაში,
- ანტისოციალური ქცევა,
- განმარტობა,
- ქრონიკული შფოთვა,
- სუსტი მხედველობითი კონტაქტი,
- განუსხვავებელი სიახლოვე,
- ზედაპირულად მომხიბვლელობა,
- ერთი შეხედვით ზედმეტად კომპეტენტური ბავშვი,
- თვითკონტროლის ნაკლებობა,
- სხეულებრივი შეგრძნებების გაცნობიერების ნაკლებობა,
- სინდისის განვითარების შეფერხება,
- ხშირი სიცრუე და/ან ქურდობა,
- დაბალი თვითშეფასება,
- ცუდად განვითარებული კომუნიკაციური უნარები,
- ცეხცლით, სისხლით და განავლით ზედმეტი დაინტერესება,
- სხვისი ან საკუთარი თავის მიმართ, ასევე საგნების მიმართ, დესტრუქციული ულობა

***მიჯაჭვულობის რეაქტიული აშლილობის მკურნალობა:***

მიჯაჭვულობის აღდგენა-გაძლიერების მეთოდები

მიჯაჭვულობის დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობისას სოციალურმა მუშაკმა/ აღმზრდელმა შემდეგ მიდგომებზე უნდა გააკეთოს აქცენტი:

- დავეხმაროთ ბავშვს ემოციების გამოხატვაში
- დავეხმაროთ ბავშვს ბრაზის და ნყენის გადამუშავებაში
- მივცეთ ბავშვს დადებითი შეფასება და გავამხნევოთ

- შევაქოთ
- ფიზიკურად შევეხოთ და მოვეფეროთ
- დავეხმაროთ ბავშვს მხედველობითი კონტაქტის დამყარებასა და განვითარებაში
- ვიზრუნოთ ბავშვის გონებრივ განვითარებაზე
- ვეთამაშოთ და წავუკითხოთ ზღაპრები და წიგნები, შევზღუდოთ ტელევიზორთან დროის გატარება, ვინაიდან ბავშვი საჭიროებს ადამიანებთან კონტაქტს
- წავიყვანოთ სხვადასხვა ღონისძიებებზე: ზოოპარკში, ცირკში, მაღაზიაში...
- ვეცადოთ, მისი ასაკის შესაბამისად ჩართული იყოს საზოგადოებრივ ღონისძიებებში
- თუ სკოლის მოსწავლეა, დავეხმაროთ ბავშვს საშინაო დავალების გაკეთებაში
- ვუთხრათ დადებითი, თბილი და ალერსიანი სიტყვები
- ხელი შევეწყობოთ ბავშვს, რომ ჰქონდეს ნივთები, რომლებიც მხოლოდ მას ეკუთვნის (სათამაშოები, ტანისამოსი, სურათები და ა.შ.) და ხაზი გავუსვათ, რომ ეს ნივთები მისია
- თუ შესაძლებელია, მივალეზინოთ ბავშვს მონაწილეობა ოჯახურ ან ჯგუფურ ღონისძიებებში
- თუ შესაძლებელია, ვაქციოთ სადილის (ჭამის) დრო მხიარულ ოჯახურ ღონისძიებად
- მივცეთ ბავშვს არჩევანის და თვითგანსაზღვრის საშუალება მისი ტანისამოსის ან სათამაშოს ყიდვის დროს
- პატივი ვცეთ ბავშვის პიროვნებას

მიჯაჭვულობის დარღვევის მქონე ბავშვის დახმარების ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა ბავშვის ემოციურად ხელმისაწვდომი და სტაბილური მიჯაჭვულობის ობიექტით უზრუნველყოფა. დახმარების პროცესში უმნიშვნელოვანესია მზრუნველთან პოზიტიური ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიჯაჭვულობის რეაქტიული აშლილობის მქონე ბავშვს ხშირად ჯანსაღი და სტაბილური მიჯაჭვულობის ობიექტთან ერთად დამატებითი მკურნალობა ესაჭიროება.

## დეპრესია ზრდასრულებთან, ბავშვებთან და მოზარდებთან:

### დეპრესიული აშლილობა

დეპრესიული აშლილობა ეს არის ფსიქიკური აშლილობა, რომელიც ხასიათდება ყოველსმომცველი დანეული გუნება-განწყობილებით, დაბალი თვით-შეფასებით და სიამოვნების მიღების უნარის დაკარგვით. DSM-IV-ის მიხედვით, დეპრესიული აშლილობის დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია, რომ დაკმაყოფილებული იყოს შემდგომი კრიტერიუმები:

A. სახეზეა მინიმუმ 5 სიმპტომი ქვემოთ მოცემული 9 სიმპტომიდან სულ მცირე 2 კვირის განმავლობაში:

- დეპრესიული განწყობილება დღის უმეტეს ნაწილში თითქმის ყოველ დღე;
- თითქმის ყველაფერში მნიშვნელოვნად შემცირებული ინტერესი ან სიამოვნების განცდის უნარი (ანჰედონია);
- წონის მნიშვნელოვანი დაკარგვა ან მომატება დიეტის გარეშე ან მადის მნიშვნელოვანი დაკარგვა ან მომატება;
- ინსომანია (უძილობა) ან ჰიპერსომანია (გადაჭარბებული ძილი) თითქმის ყოველ დღე;
- ფსიქომოტორული აჟიტირება ან შეფერხება;
- დაღლილობის ან ენერჯის დაკარგვის განცდა თითქმის ყოველ დღე;
- უღირსობის გრძნობა, ან ზედმეტი ან არაადეკვატური დანაშაულის განცდა;
- ფიქრისა და კონცენტრირების უნარის დაქვეითება, ან გადაწყვეტილების გამოტანის უუნარობა (აბუღია);
- განმეორებადი ფიქრები სიკვდილზე, განმეორებადი ფიქრები თვითმკვლელობაზე მისი კონკრეტული გეგმით, ან თვითმკვლელობის მცდელობა.

B. სიმპტომები არ აკმაყოფილებენ შერეული ეპიზოდის კრიტერიუმებს.

C. სიმპტომები იწვევენ კლინიკურად მნიშვნელოვან შეფერხებას სოციალურ, სამსახურებრივ ან სხვა მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ასპექტებში.

D. სიმპტომები არაა გამოწვეული ნივთიერების (ნარკოტიკი, მედიკამენტი) გავლენით ან ზოგადი სამედიცინო მდგომარეობით (ჰიპოთიროიდი).

E. სიმპტომები არ აიხსნება გლოვით, ანუ ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორ თვეზე მეტია გასული გარდაცვალებიდან).

დეპრესიული ადამიანებისთვის დამახასიათებელია საკუთარი თავის დადამაშაულება ნებისმიერი წარუმატებლობის გამო, მაშინ როცა, როგორც წესი, ისინი ცხოვრებისეულ წარმატებებს საკუთარ თავს არ მიანერვენ. ამ ტენდენციას დეპრესიული ატრიბუციის ან პესიმისტური ახსნის სტილს უწოდებენ.

### **ფაქტები ბავშვებსა და მოზარდებში დეპრესიაზე**

საინტერესო ფაქტია, რომ დეპრესია ადრეულ ბავშვობაში უაღრესად იშვიათია. ამასთან სკოლის ასაკის ბავშვებში დეპრესია უფრო ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში მაშინ, როცა ზრდასრულობაში სურათი სანინააღმდეგოა; ხშირად დეპრესია გვხვდება ანორექსიულ გოგონებში.

დეპრესია მოზარდებთან კორელაციაშია ბავშვობაში ძალადობის და/ან უყურადღებობის გამოცდილებასთან; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დეპრესიის დასაწყისი ადრეულ ასაკში ხასიათდება გაუარესებული პროგნოზით; ხშირად დეპრესიას თან ახლავს ისეთი თანმხლები მდგომარეობები, როგორიცაა ყოფაქცევის აშლილობა, ჰიპერაქტიულობა, ნივთიერებათა ავადმომხმარება და პრობლემები თანატოლებთან; როგორც წესი, დეპრესიაში მყოფი ბავშვის აკადემიური მოსწრებაც გაუარესებულია.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, განიცდის თუ არა ბავშვი დეპრესიას, საჭიროა დავაკვირდეთ გარკვეულ სიმპტომურ გამოვლინებებს, ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სიმპტომები ან მანიშნებლები განსხვავებულია ბავშვებთან და მოზარდებთან. კერძოდ,

<b>ბავშვებში:</b>	<b>მოზარდებში:</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>■ სკოლის შიში;</li> <li>■ მეტისმეტი მიჯაჭვულობა მშობელზე/აღმზრდელზე;</li> <li>■ ადვილად ღიზიანდება;</li> <li>■ წონაში აღარ იმატებს;</li> <li>■ სომატური ჩივილები;</li> <li>■ უძილობა;</li> <li>■ კონცენტრაციის პრობლემები;</li> <li>■ დაღლილობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>■ ძლიერი ანჰედონია - სიამოვნების მიღების უნარის დაკარგვა;</li> <li>■ ფსიქომოტორული შეფერხება;</li> <li>■ სასონარკვეთის გრძნობა;</li> <li>■ სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუარესება;</li> <li>■ გაკვეთილების გაცდენა;</li> <li>■ მოუსვენრობა;</li> <li>■ მადის დაკარგვა და უძილობა;</li> <li>■ ალკოჰოლის/ნარკოტიკის გამოყენება;</li> <li>■ ანტისოციალური ქცევა;</li> <li>■ სახლიდან გაქცევა;</li> <li>■ თვითმკვლელობაზე ფიქრი.</li> </ul>

## **ინტერვენციის მიმართულებები ბავშვებში და მოზარდებში**

დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის დახმარება გულისხმობს მის სიმპტომატიკაზე ფოკუსირებულ ინტერვენციას, ანუ მიდგომას, რომელიც შეამცირებს არასასურველ სიმპტომებს, როგორცაა ანჰედონია, პესიმიზმი, განცალკევების მიდრეკილება და ა.შ. და ნაახალისებს სასურველ აქტივობას. ეს ინტერვენციები მიმართულია სოციალური უნარების გაძლიერებაზე, სასიამოვნო აქტივობებში ჩართულობის გახშირებაზე, შფოთვის შემცირებაზე (ე.წ. რელაქსაციის ტექნიკა), დეპრესოგენური და დისფუნქციური აზრების შემცირება/მოდიფიცირებაზე, საკუთარი თავის ნეგატიური ხატის შეცვლაზე, კონფლიქტების გადაჭრის უნარების განვითარებაზე, მომავლის დაგეგმვასა და მომავალზე ორიენტაციის გაზრდაზე, ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ განათლებაზე და მშობლებთან/აღმზრდელებთან/მასწავლებლებთან მუშაობაზე.

### **ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი ტექნიკები, რომლებიც გამოიყენება დეპრესიული გუნება-განწყობილების დაძლევისას:**

- დაეხმარეთ მოზარდს დააკავშიროს ერთმანეთთან მისი გაღიზიანებული და აგრესიული ქცევა და მწუხარებისა და წყენის გრძნობები.
- დაეხმარეთ მოზარდს გამოსხატოს ბრაზი, წყენა და იმედგაცრუება.
- შეუქმენით ვერბალური გამოხატულების ალტერნატივები – ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ძერწვა.
- დაეხმარეთ პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბებაში.
- ხელი შეუწყეთ მოზარდის თვით-შეფასების და საკუთარ თავში დარწმუნებულობის ზრდას.
- დაეხმარეთ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.
- ყურადღება მიაქციეთ მის ძილსა და კვებას.

გუნება-განწყობილების აშლილობების მართვას კომპლექსური ხასიათისი აქვს და მათი დაძლევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზად ითვლება ფსიქოთერაპიისა და ფარმაკოთერაპიის (ანტიდეპრესანტივები) კომბინირება. კოგნიტურ-ბიჰევიორალური, ინტერპერსონალური, რაციონალურ-ემოციური ბიჰევიორალური და ეგზისტენციალური თერაპიის მეთოდები ეფექტურად გამოიყენება დეპრესიის დასაძლევადა.

## **დეპრესია და თვითმკვლელობის რისკი**

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) სტატისტიკური მონაცემები მიგვანიშნებს იმის თაობაზე, თუ რაოდენ მაღალია თვითმკვლელობის რისკი დეპრესიული აშლილობის დროს. თუმცადა უნდა გვახსოვდეს, რომ თვითმკვლელობის

მცდელობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ადამიანი ფსიქიურად არაჯანმრთელია.

- თვითმკვლელთა 80% ხასიათდება დეპრესიული აშლილობით.
- დეპრესიით დაავადებულთა 15% სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს.
- დეპრესიის შემთხვევაში უფრო ხშირია თვითმკვლელობის მცდელობა აშლილობის საწყის სტადიებზე.
- მაღალი რისკის პერიოდია საავადმყოფოდან გამოწერის შემდგომი პირველი თვეები.
- სასონარკვეთის/უიმედობის გრძნობა, დეპრესიის ერთ-ერთი გავრცელებული სიმპტომი, მიჩნეულია თვითმკვლელობის ყველაზე სერიოზულ რისკ-ფაქტორად.

### **თვითმკვლელობის რისკი ბავშვებსა და მოზარდებში**

#### **ზოგიერთი ფაქტი სუიციდზე:**

- საქართველოს მოსახლეობის 2.2% თვითმკვლელობით ასრულებს ცხოვრებას (WHO, 2001);
- ზოგადად, ბევრად უფრო მაღალია თვითმკვლელობის მცდელობა, ვიდრე უშუალოდ თვითმკვლელობა;
- სუიციდურ ქცევას ახასიათებს ციკლურობა;
- 10-14 წლამდე ბავშვებში 3-ჯერ უფრო მაღალია სუიციდი, ვიდრე სხვა ასაკის ბავშვებში; იშვიათია 12 წლამდე ასაკში;
- სუიციდი ყველაზე მაღალია 65 წელს გადაცილებულ მამაკაცებში;
- ქალებში 2-ჯერ უფრო მაღალია თვითმკვლელობის მცდელობა, ვიდრე მამაკაცებში;
- მამაკაცებში მაღალია “ნარმატებული” თვითმკვლელობის სიხშირე (საქართველოში მამაკაცებში 3-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში);
- სუიციდი 5-ჯერ მაღალია მოზარდობის ასაკში ბიჭებში, ვიდრე გოგონებში;
- თვითმკვლელობის სიხშირე არ არის დაკავშირებული განათლებაზე, სოციალურ სტატუსზე ან ეკონომიურ შესაძლებლობებზე.

სუიციდის შესახებ მცდარი შეხედულებები ე.წ. მითები სუიციდის დროული პრევენციის ხელისშემშლელია. ეს გავრცელებული მითებია:

- მოზარდებთან სუიციდზე საუბარმა და მის შესახებ კითხვების დასმამ შესაძლოა მათ უბიძგოს თვითმკვლელობისკენ.
- მოზარდები თვითმკვლელობაზე მხოლოდ იმიტომ საუბრობენ, რომ ყურადღების მიპყრობა სურთ.
- თუ ადამიანი გადაწყვიტა თავის მოკვლა, მას ველარაფერი შეაჩერებს.

### **თვითმკვლელობის რისკის შეფასება**

როდესაც ადამიანი მწვავე დეპრესიულ სიმპტომებს ამჟღავნებს, მნიშვნელოვანია სუიციდის რისკის შეფასება. შემდეგი ფაქტორები ასოცირდება თვითმკვლელობის მაღალ რისკთან ზრდასრულებში:

- სასონარკვეთისა და უიმედობის განცდა;
- წარსულში არსებული თვითმკვლელობის მცდელობა;
- თვითმკვლელობის ჩადენის კონკრეტული გეგმა (სად, როდის, როგორ);
- თვითმკვლელობაზე ფიქრი;
- მხარდამჭერი სისტემის ნაკლებობა;
- უღირსობის განცდა;
- რწმენა იმისა, რომ სხვები უკეთ იქნებიან, თუ მე მოვკვდები;
- ფიქრი საყვარელ გარდაცვლილ ადამიანებთან გაერთიანებაზე.  
*ბავშვებში და მოზარდებში: (თუკი 10 დღეზე მეტს გრძელდება)*
- დეპრესიული განწყობილება;
- ანჰედონია (სიამოვნების მიღების უნარის დაკარგვა);
- დაღლილობა;
- საკუთარი თავის უარყოფითი ხატი;
- რეაქტიული განწყობილება;
- კონცენტრაციის უნარის გაუარესება;
- თვითმკვლელობაზე ფიქრი;
- უძილობა.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ისეთ სხვა ფაქტორებს, როგორებიცაა:

- პირადი ჩვევების გაუარესება;

- სკოლაში აკადემიური მდგომარეობის გაუარესება;
- მნიშვნელოვანად გაძლიერებული მონყენილობა, განწყობილების ადვილად შეცვლა, უცაბედი ტირილი;
- მადის დაკარგვა;
- ალკოჰოლის/ნარკოტიკის გამოყენება;
- სიკვდილზე საუბარი (ხუმრობითაც კი);
- უეცარი განსვლა (იზოლირება) მეგობრებისა და ოჯახის წევრებისგან;
- ჩივილი საკუთარ უვარგისობაზე;
- სიტყვიერი მინიშნებები “მალე აღარ ვიქნები შენთვის პრობლემა”, “ყველაფერი უაზრობაა”...
- საყვარელი ნივთების გაჩუქება, მნიშვნელოვანი ნივთების გადაყრა;
- განწყობილების უცაბედი გაუმჯობესება დეპრესიული პერიოდის შემდეგ;
- ფსიქოზის სიმპტომები (ჰალუცინაციები და ბოდვითი იდეები).

სუიციდის რისკ ფაქტორებად მიიჩნევენ შემდეგს: (1) თვითმკვლელობის ისტორია ოჯახში; (2) თვითმკვლელობის მცდელობა წარსულში; (3) მარტოობა/ოჯახის არქონა; (4) სოციალური მხარდაჭერის (ნათესავეები, მეგობრები) არქონა; (5) სოციალური და ეკონომიური სტატუსის უეცარი გაუარესება; (6) ფსიქიკური აშლილობა; (7) ქრონიკული ან სასიკვდილო დაავადება; (8) ნივთიერებათა ავადმომხმარება; (9) გარდამავალი ასაკი (მოზარდობა, კლიმაქსის ასაკი); და (10) მამრობითი სქესი.

### **სუიციდის პრევენცია**

სუიციდის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროაქტიულობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკმა/აღმზრდელმა დროულად შეამჩნიოს სუიციდის სიმპტომები და გამოარკვიოს შემდეგი ინფორმაცია:

- ხომ არ ფიქრობს/უფიქრია თვითმკვლელობაზე ან საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენებაზე;
- აქვს თუ არა კონკრეტული გეგმა? შერჩეული მეთოდი? თვითმკვლელობის იარაღი?
- როდის აქვს დაგეგმილი?
- მოუსმინეთ დიდი ყურადღებით.
- არასოდეს წააქეზოთ ადამიანი, ამან შესაძლოა თვითმკვლელობის პროვოცირება მოახდინოს.



### **სუიციდთან დაკავშირებული კრიზისული ჩარევის საფეხურები:**

ადამიანი, რომელიც იღებს სუიციდის გადაწყვეტილებას, იმყოფება ღრმა კრიზისულ მდგომარეობაში და მას ესაჭიროება სასწრაფო ჩარევა/დახმარება. სუიციდის გადაწყვეტილება თავისთავად ირაციონალურია და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იმ მომენტში, როდესაც ადამიანს აქვს სუიციდის მცდელობა, შეხვიდეთ მასთან მორალურ დისკუსიაში და ამით შეეცადოთ მის შეჩერებას. სუიციდის რისკის მქონე ადამიანებს სჭირდებათ პროფესიონალი მუშაკის დახმარება, რომელიც მთელ რიგ საფეხურებს მოიცავს. კერძოდ, ეს საფეხურებია:

#### **1. სუიციდის რისკის/სიტუაციის შეფასება**

- რისკ ფაქტორების დადგენა და რისკის შეფასება
- სუიციდური ქცევის სიხშირის, ინტენსივობის და სერიოზულობის ხარისხთა განსაზღვრა
- კლიენტის შინაგანი ტკივილის ვალიდაცია
- პრობლემური სიტუაციის შეფასება:
  - სტრესორების და მაპროვოცირებელი ფაქტორების დადგენა
  - პრობლემური სიტუაციის ფორმულირება და შეჯამება კლიენტთან ერთად

#### **2. პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირება**

- გადაწყვეტილების შეცვლაზე მიმართული ემპათიური მუშაობა; კლიენტთან წერილობითი კონტრაქტი; დაპირება, რომ ტელეფონზე დარეკოს, 24 საათიანი კონტაქტის უზრუნველყოფა
- რჩევის მიცემა და აქტიური ჩარევა
- სუიციდის უარყოფითი შედეგების ხაზგასმა
- პრობლემის გადაჭრის ვარიანტების შეთავაზება კლიენტის ძლიერი მხარეებიდან გამომდინარე
- კლიენტის მხრიდან ადაპტური რეაქციების გაძლიერება
- იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც ხელს უშლიან სასურველ ქცევას

#### **3. გარემო რისკ-ფაქტორებზე ზემოქმედება**

- საცხოვრებლის განიარაღება, გარემოში საშიშროებათა შემცირება
- თანადგომის ქსელის მობილიზება
- კლიენტთან ურთიერთობის გახშირება
- 24 საათიანი ცხელი ხაზის უზრუნველყოფა

- სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობის გააქტიურება
- სტრესის გამომწვევი მოვლენების შემცირება

#### 4. ქცევით რისკ-ფაქტორებზე ზემოქმედება

- სასონარკვეთის შემცირება
- ოპტიმიზმის ხელშეწყობა
- უძილობის ან უმადლობის შემცირება
- ხანმოკლე ფარმაკოთერაპია
- პროდუქტულ ღონისძიებებში ჩართულობის გაძლიერება

#### 5. პროგრესის გაძლიერება

- მონიტორინგის გაძლიერება
- პროდუქტული ქცევის ნახალისება
- სუიციდური ქცევის შემცირება
- ბარიერების დადგენა და მათზე ზემოქმედება
- მულტიდისციპლინარული და მულტიმოდალური მიდგომის შენარჩუნება

#### 6. სამოქმედო გეგმის შემუშავება

- კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება
- სუიციდის გრძელვადიანი რისკის შეფასება
- გეგმის შემუშავება რეციდივის შემთხვევისთვის
- ძლიერი ურთიერთობის შენარჩუნება
- სუიციდის რისკის პერიოდული შეფასება

#### 7. გეგმის შემუშავება რეციდივის შემთხვევისთვის

მნიშვნელოვანია კლიენტთან სუიციდის რისკის განხილვა და პრაქტიკოსის მხრიდან მოსალოდნელი რეციდივის შემთხვევისათვის ჩარევის გეგმის შემუშავება.

#### 8. სუიციდის რისკის ხელახალი შეფასება

ვინაიდან სუიციდის მცდელობა წარსულში წარმოადგენს მომავალში სუიციდის რისკ-ფაქტორს, აუცილებელია სუიციდური ტენდენციის მქონე კლიენტთან მუშაობისას აღნიშნული რისკის პერიოდული შეფასება.

## შიზოფრენია

DSM-IV (ფსიქიკური დაავადებების დიაგნოსტური და სტატისტიკური სახელმძღვანელო)-ის მიხედვით შიზოფრენია აღწერილია, როგორც “აშლილობა, რომელიც სულ ცოტა 6 თვეს გრძელდება და მოიცავს მინიმუმ ერთთვიან აქტიური სიმპტომების ფაზას, ანუ სულ მცირე ორს ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან: ბოდვა, ჰალუცინაციები, არეული მეტყველება, მწვავედ დეზორგანიზებული ან კატატონიური ქცევა, ნეგატიური სიმპტომები”.

შიზოფრენია არის დაავადება, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის დახლოებით 1 პროცენტს ემართება მიუხედავად რასისა თუ სქესისა. შიზოფრენიულ სიმპტომთა ერთობლიობა ცვლის ადამიანის რეალობის გრძნობას და ამცირებს მისი ნორმალური ფუნქციონირების უნარს ისეთ მნიშვნელოვან და სასიცოცხლო ასპექტებში, როგორიცაა სამსახურეობრივი მოღვაწეობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები. ყველაზე უარეს შემთხვევებში შიზოფრენია ადამიანს აკარგვინებს საკუთარი თავის მოვლისა და ელემენტარული ყოველდღიური ქმედებების შესრულების უნარს. შიზოფრენია, როგორც ქრონიკული და მრავალასპექტოვანი აშლილობა გავლენას ახდენს ადამიანის ფუნქციონირების ყველა სფეროზე, ამახინჯებს რა ინდივიდის თვითიდენტობის გრძნობას, ცვლის მის მიერ გარემოს აღქმისა და გარემოს შემეცნების გზებს.

ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის სტანდარტების მიხედვით შიზოფრენიის ამოცნობა და დიაგნოსტიკა, ჩვეულებრივ, ხდება სიმპტომთა ერთობლიობის საფუძველზე, რომელთაც *პოზიტიურ* და *ნეგატიურ* სიმპტომებს უწოდებენ. პოზიტიური ანუ ფსიქოტური სიმპტომები მოიცავენ ჰალუცინაციებს, ბოდვას, უცნაურ ქცევას, არეულ მეტყველებას, არეულ ქცევასა და განმარტოებულობას. ნეგატიური სიმპტომები, რომელსაც ასევე დეფიციტურ სიმპტომებს უწოდებენ, გულისხმობს ემოციურ გახევებას, მეტყველების უნარის დაკარგვას, ნებისყოფისა და ინტერესის დაკარგვას (იხ. ცხრილი). ზემოაღნიშნულ სიმპტომებს მოჰყვებათ ფუნქციონირების მნიშვნელოვანი შეფერხება, განსაკუთრებით სამსახურეობრივ სფეროში, ურთიერთობებსა და თვითმოვლაში.

### შიზოფრენიის ახსნა და განსაზღვრა

კრეპელინმა შიზოფრენიის აღწერისას აქცენტი გააკეთა მის მიმდინარეობასა და დაავადების გამოვლინების დასაწყისზე და იგი დააკავშირა *dementia praecox*-თან, რათა ხაზი გაესვა დაავადების ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლებისათვის, როგორიცაა ფუნქციონირებისა და გონებრივი მთლიანობის დაკარგვა, რომლებსაც თან ახლავს პროგრესირებადი გაუარესება, და ნებისყოფის, ინტერესის, ემოციების, მეხსიერებისა და ყურადღების ანომალიები.

ბლიულერმა დაავადება არა მიმდინარეობის, არამედ სიმპტომების ტერმინებში ახსნა. მან დაავადებასთან მიმართებაში გამოყო ფუნდამენტური სიმპ-

ტომები და დამხმარე სიმპტომები. ფუნდამენტურ სიმპტომებში შედის ანომალიები ემოციებში, ყურადღებაში, ნებისყოფაში და ეგოს მთლიანობაში. დამხმარე სიმპტომებში მოიაზრება ბოდვა, ჰალუცინაცია, (ამჯერად რაც პოზიტიურ სიმპტომებად არის მიჩნეული), ორიენტაციისა და მეხსიერების დაკარგვა.

კურტ შნაიდერმა ბლიულერის მსგავსად ჩათვალა, რომ სიმპტომებზე დაკვირვება უფრო მნიშვნელოვანი იყო დაავადების გაგების თვალსაზრისით. თუმცა მან აქცენტი გააკეთა ნომერ პირველ სიმპტომებზე, როგორებიცაა ბოდვა, ჰალუცინაცია, უცნაური ქცევა და აზროვნების დარღვევები.

მეიერი, სალივანი, კრემერი, ლანგფელდტი და იასპერსი თავიანთ თეორიებს აყალიბებენ შიზოფრენიასთან მიმართებაში. მეიერი, როგორც ფსიქოპათოლოგიის დამაარსებელი, შიზოფრენიას და სხვა ფსიქიკურ დაავადებებს განიხილავდა როგორც რეაქციას ცხოვრებისეულ სტრესზე და ამ სინდრომს უწოდებდა შიზოფრენიულ რეაქციას. სალივანი, როგორც ინტერპერსონალური ფსიქოანალიტიკური სკოლის ფუძემდებელი, შიზოფრენიის გამომწვევ მიზეზად და სიმპტომად ასახელებდა სოციალურ იზოლაციას. კრემერმა აქცენტი გააკეთა ინდივიდის კონსტიტუციურ თავისებურებებზე, ხაზი გაუსვა რა იმ ფაქტს, რომ შიზოფრენია უფრო ხშირად ემართებათ ასთენიკებს. იასპერსი, ფსიქიატრი და ფილოსოფოსი, რომელმაც მთავარი როლი ითამაშა ეგზისტენციალური ფსიქოანალიზის განვითარებაში, ფსიქოპათოლოგიას არანაირ ფიქსირებულ კონცეპტთან ან პრინციპთან არ აკავშირებდა.

ადრეული თეორეტიკოსები, რომლებიც ბლიულერსა და კრეპელინს ეფუძნებოდნენ, შიზოფრენიის ახსნისას ფსიქოანალიტიკურ სკოლას ეყრდნობოდნენ და მიაჩნდათ, რომ შიზოფრენია დამახინჯებული ოჯახური დინამიკის (კერძოდ, დედა-შვილის ურთიერთობის) შედეგი იყო. ამ დროისათვის არსებობდა ტერმინი შიზოფრენოგენური დედა.

შიზოფრენიის გაგებისა და ახსნის მცდელობა დღენიადაგ იცვლება და ასახავს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების პირობებს. ფსიქოტროპული და ანტიფსიქოტური მედიკამენტების აღმოჩენასთან ერთად კიდევ უფრო გაიზარდა შიზოფრენიით დაავადებულთა საზოგადოებაში დაბრუნების კოეფიციენტი.

მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფენ, რომ შიზოფრენია თავის ტვინის დაავადებაა, რომელიც პროვოცირდება გარემო ფაქტორებით.

### **შიზოფრენიის ტიპები DSM - IV-ის მიხედვით:**

- პარანოიდული;

- დეზორგანიზებული;
- კატატონიური;
- არადიფერენცირებული;
- რეზიდუალური.

### **დემოგრაფიული პატერნები**

შიზოფრენიის ეტიოლოგია არ არის ბოლომდე ნათელი. კვლევების თანახმად, როგორც ჩანს, ამ დაავადებას ბიოლოგიური საფუძვლები აქვს და, შესაბამისად, გენეტიკური ფაქტორი ფიგურირებს, რომელთა პროვოცირებაც გარემო სტრესორებით არის შესაძლებელი.

შიზოფრენიის გამოვლინება ჩვეულებრივ ახალგაზრდობაში იწყება, მამაკაცებში დაახლოებით 15-25 წლის ასაკში, ქალებში 25-35 წლის ასაკში. დაავადების გავრცელება ქალებსა და მამაკაცებში თანაბარია, თუმცა მიმდინარეობა განსხვავებული. საინტერესოა, რომ შიზოფრენიით დაავადებულნი უფრო ხშირად დაბადებულნი არიან ზამთარში ან ადრეულ გაზაფხულზე (იანვრიდან აპრილამდე), და ნაკლებად – გვიან გაზაფხულზე და ზაფხულში.

დაავადების დასაწყისი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირია. ზოგ ინდივიდთან იგი თანდათანობით ძლიერდება, ზოგთან კი უცაბედად იწყება. თვით დაავადების მიმდინარეობაც ძალიან მრავალგვარია, რაც, თავის მხრივ, ართულებს დიაგნოზის დასმას და მკურნალობას. კვლევების თანახმად, შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე ინდივიდების დაახლოებით ერთი მესამედი უბრუნდება ფუნქციონირების საწყის დონეს, ერთი მესამედი განიციდის მსუბუქ ან გამოხატულ შეფერხებას ცხოვრებისეულ ფუნქციონირებაში და ერთი მესამედი კი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი შეფერხებებით ხასიათდება.

შიზოფრენია ყველა კულტურაში გვხვდება. მისი გავრცელებაც დაახლოებით თანაბარია განსხვავებულ სოციალურ კლასსა და ეთნიკურ ჯგუფში. გასათვალისწინებელია ის, რომ შიზოფრენიით დაავადებულთა დაახლოებით 50%-ს აქვს თვითმკვლელობის მცდელობა ერთხელ მაინც ცხოვრების განმავლობაში და მათი 10-15 % თავს იკლავს.

შიზოფრენიით დაავადებულნი ასევე ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკების მოხმარების მაღალი რისკით ხასიათდებიან. ამასთან, მათ უჭირთ სერიოზული ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება და მათი მხოლოდ 10% ახერხებს სამსახურის შენარჩუნებას.

### *რისკ ფაქტორები:*

- გარემო სტრესორები;
- მხარდაჭერის ნაკლებობა;
- დაბალი სოცო-ეკონომიკური სტატუსი;
- რესურსების ნაკლებობა.

### *დამცველი ფაქტორები:*

- სოციალური მხარდაჭერა;
- დროული პროფესიული დახმარება;
- რესურსების ხელმისაწვდომობა;
- მედიკამენტური ჩარევა;
- შიზოფრენიის ისტორიის არმქონე ძლიერი ოჯახი;
- პაციენტისა და მისი ოჯახის განათლება.

### *პროგრამები და სერვისები:*

- თემზე დაფუძნებული მკურნალობა (Assertive Community Treatment) – პაციენტების მრავალდარგობრივი ამბულატორიული დახმარება;
- დღის ცენტრები შიზოფრენიით დაავადებულთათვის;
- ოჯახის ფსიქოლოგიური განათლება;
- სოციალური უნარების ტრენინგი.

საზოგადოებრივი სტიგმა შიზოფრენიით დაავადებულთა მიმართ, სამწუხაროდ, ძალიან ძლიერია ბევრ კულტურასა და ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთან, და სერიოზულად აფერხებს ამ აშლილობით დაავადებულ ადამიანთა გამოჯანმრთელების შანსებს. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც აღწერილია შიზოფრენიის სიმპტომები.

## ცხრილი: შიზოფრენიის სიმპტომები

### ნეგატიური სიმპტომები

ემოციური გახევება

სახის გამომეტყველების გახევება

შემცირებული მოძრაობა

ლარიბი მხედველობითი კონტაქტი

არაადეკვატური ემოციური გამოსატვა

ალოგია

მეტყველების სილარიბე

ბლოკირება

შინაარსის გალარიბება

აპათია

ჰიგიენის და მოვლის გაუარესება

ენერგიის დაკარგვა

სამსახურებრივი აპათია

ანჰედონია-ასოციალურობა

ინტერესის დაკარგვა

სექსუალური ინტერესის დაკარგვა

ურთიერთობების შემცირება

სიახლოვის შესუსტება

ყურადღება

სოციალური უყურადღებობა

ზოგადი უყურადღებობა

### პოზიტიური სიმპტომები

ჰალუცინაციები

სმენითი

სომატურ-ტაქტილური

მხედველობითი

ყნოსვითი

ბოღვა

განდიდების

დვენის

ექვიანობის

დანაშაულის

განდიდების

რელიგიური

სომატური

ურთიერთობის

კონტროლის

გონების ნაკითხვის

ფიქრის გამჭირვალობა

ფიქრის თავში ჩადების

ფიქრის თავიდან ამოღების

უცნაური ქცევა

ჩაცმა, გარეგნობა

სოციალური/სექსუალური

ქცევა

აგრესიული/აჟიტირებული

ქცევა

განმეორებითი,

სტერეოტიპული ქცევა

აზროვნების დარღვევა

ქაოტურობა

დეტალებზე ყურადღება

არათანმიმდევრულობა

ალოგიკურობა

## ბიპოლარული აშლილობა

### ბიპოლარული აფექტური აშლილობა

ბიპოლარული აფექტური აშლილობა, წარსულში მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზად წოდებული, წარმოადგენს გუნება-განწყობილების აშლილობის კატეგორიას, რომლის დროსაც სახეზეა ერთი ან ორი ეპიზოდი არანორმალური ენერჯის მოზღვავებით, კოგნიციითა და განწყობილებით, რომელსაც შესაძლოა თან ახლავდეს დეპრესიული ეპიზოდიც. ენერჯის სერიოზული მოზღვავების პერიოდს მანიას უწოდებენ, ხოლო შედარებით მსუბუქი მოზღვავების პერიოდს – ჰიპომანიას. ჩვეულებრივ, მანიაკალური ეპიზოდის გამოცდილება კორელაციაშია დეპრესიული ეპიზოდის გამოცდილებასთან.

ისევე და ისევე, ამ დარღვევის მთავარი მახასიათებელია ამალღებული განწყობილების (მანიის) არსებობა დეპრესიული პერიოდების ჩართვით ან მის გარეშე. ამალღებული განწყობილების განმავლობაში სახეზე უნდა იყოს მინიმუმ სამი სიმპტომი ქვემოთ მოცემული შვიდი სიმპტომიდან:

- გაზვიადებული თვით-შეფასება ანუ გრანდიოზულობის განცდა;
- ძილის მოთხოვნილების შემცირება;
- მეტს ლაპარაკობს ვიდრე ჩვეულებრივ ან ლაპარაკის დროს ველარ ჩერდება;
- აზრიდან აზრზე გადახტომა;
- ყურადღების ადვილი გაბნევადობა;
- გაძლიერებული მიზანმიმართული მოქმედება (სოციალური, სამსახურეობრივი ან სექსუალური) ან ფსიქომოტორული აჟიტირება;
- გადაჭარბებითი ჩართულობა სიამოვნების მომგვრელ, მაგრამ ძალიან სარისკო მოქმედებებში (მაგ: გადამეტებული უთავბოლო ქეიფი, სარისკო სექსუალური კონტაქტის დამყარება ვილაცხებთან, სულელური ბიზნეს ინვესტიციის გაკეთება ან დიდი ვალის აღება).

*ამასთან, სიმპტომები უნდა იყოს საკმარისად მწვავე იმისათვის, რომ თან ახლდეს სერიოზული შეფერხება ინდივიდის ფუნქციონირებაში - სამსახურებრივ მოღვაწეობაში, სოციალურ ურთიერთობებში ან ყოველდღიური ცხოვრებისეული ამოცანების შესრულებაში.*

ბიპოლარული აშლილობის მართვის მთელი რიგი ფარმაკოლოგიური და ფსიქოტერაპიული ტექნიკები არსებობს. მანიაკალური ეპიზოდის დასარეგულირებლად ხშირ შემთხვევაში საჭიროა ინდივიდის ჰოსპიტალიზაცია.



## ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders – IV – TR. American Psychiatric Association, 2000;
2. Ellen Lukens, “Schizophrenia”. Handbook of Social Work Practice with Vulnerable and Resilient Population, Second Edition, Alex Gitterman, Editor Columbia University Press, 2001
3. Gerrig, R. J., & Zimbardo, P. G. Psychology and Life, 16th edition, Ellyn and Bacon, 2002
4. Hepworth, D. H. & Larsen, J. A. Direct Social Work Practice: Theory and Skills, Forth Edition. Brooks/Cole Publishing Company, 1993;
5. How To Help Children and Teenagers; AACAP Talking Points, 1999;
6. [http://dmh.lacounty.gov/ToolsForClinicians/clinical\\_forms.html](http://dmh.lacounty.gov/ToolsForClinicians/clinical_forms.html)
7. Jongsma, A. E., Peterson, M.L. & McInnis, W. P. The Adolescent Psychotherapy Treatment Planner, 3<sup>rd</sup> Edition, 2003;
8. Kaplan, H. I. & Sadock, B. J. Synopsis of Psychiatry, Eighth edition. Lippincott Williams & Wilkins, 1998;
9. Linehan, M. M. Treatment of The Suicidal Patient, 1998;
10. Lofgreen, E. Suicide Awareness Brochure, 2002;
11. Lucas, S. Where to start and what to ask: An Assessment handbook, W. W. Norton & Company. 1993;
12. Miller, N.D. Youth Suicidal Behavior: an Introduction and Overview, 2008;
13. Psychosocial Treatments for Children and Adolescent Disorders, Empirically Based Strategies for Clinical Practice; Edited by Euthymia D. Hibbs & Peter S. Jensen, 2001
14. შეყრილაძე, ი., ფარცხალაძე, ნ. სახელმძღვანელო “სოციალური სამუშაო ბავშვებთან და ოჯახებთან” NSP Alumni Development Grant, თბილისი 2003;
15. Shulman, L. The Skills of Helping Individuals, Families, Groups and Communities, Forth Edition. Peacock Publishers, Inc. 1999;
16. Teen Suicide, American Academy of Child & Adolescent Psychiatry, [http://www.aacap.org/galleries/FactsForFamilies/10\\_teen\\_suicide.pdf](http://www.aacap.org/galleries/FactsForFamilies/10_teen_suicide.pdf)
17. Understanding And Dealing With Self-Injuring Behavior, retrieved from <http://www.incrisis.org/Library/SelfInjuring.htm>

## **გლოვა და ტრავმა გავშვებში და მოზარდებში**

### ***ია შეყრილაქე***

ბოულების მიჯაჭეულობის თეორია კარგად აღწერს ადამიანის ტენდენციას მჭიდრო ემოციური კავშირი დაამყაროს მეორე ადამიანთან და, შესაბამისად, გამოხატოს ძლიერი ემოციური რეაქცია, როდესაც ადგილი აქვს ამგვარი კავშირის დარღვევას და დანგრევას.

### **არის თუ არა გლოვა ნორმალური?**

ფსიქიატრი ჯორჯ ენგელი (George Engel) თვლის, რომ ძვირფასი ადამიანის სიკვდილი ისევე ტრავმატულია ფსიქოლოგიურად, როგორც სხეულის მწვავე დაზიანება ან დამწვრობა - ფიზიოლოგიურად. მისი აზრით, გლოვა არის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მდგომარეობიდან გასვლა და როგორც ფიზიოლოგიურ ასპექტში აუცილებელია მკურნალობა, ასევე აუცილებელია იგი ფსიქოლოგიურ ასპექტშიც. თუმცა დრო არის საჭირო იმისათვის, რომ მგლოვიარე ადამიანი დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას – ალიდგინოს ნონასწორობა. შესაბამისად, ენგელი გლოვის პროცესს მკურნალობის პროცესს ადარებს.

### **არის თუ არა გლოვა საჭირო?**

“დიახ”! ახლობლის გარდაცვალების შემდეგ ადამიანმა უნდა გაიაროს გლოვის ცალკეული საფეხურები იმისათვის, რომ ალიდგინოს ნონასწორობა და დაასრულოს გლოვის პროცესი.

მსგავსად სხვა განვითარების თეორიებისა, რომლებიც გულისხმობენ იმას, რომ თუ გარკვეული ეტაპის ამოცანა თავის დროზე წარმატებულად არ იქნება გადაწყვეტილი, იგი ხელს შეუშლის შემდგომი ეტაპის ამოცანების გადაწყვეტას, გლოვაც, ანუ დანაკარგთან შეგუებაც, შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვემოთ მოცემული 4 ამოცანის წარმატებული მიღწევის პროცესი.

### **გლოვის ოთხი საფეხური/ამოცანა:**

#### ***ამოცანა 1: გარდაცვალების რეალობის მიღება***

ეს ეტაპი გულისხმობს იმის აღიარებას, რომ ადამიანს ველარასოდეს ვნახავთ. ეს ძალიან რთულია საწყის ეტაპზე. ხშირად ადამიანებს ემართებათ ის, რასაც ჯოფრი გორერი უწოდებდა “მუმიფიკაციას” ანუ გარდაცვლილის ნივთების უცვლელ, მუმიფიცირებულ მდგომარეობაში შენახვას. ზოგჯერ დაღუპული

შვილის ოთახს მშობლები უცვლელად ტოვებენ ანუ ამით გარდაცვალების ფაქტის შინაგან უარყოფას ახდენენ.

უარყოფის კიდევ ერთი გზაა, გარდაცვალების მნიშვნელობის მინიმიზაცია. მაგალითად, ადამიანი გარდაცვლილ მამაზე ამბობს, “ის არ იყო კარგი მამა” ან “ჩვენ არ ვიყავით ახლოს” ან “მე იგი არ მენატრება”. “მუმიფიკაციის” მეორე უკიდურესობაა გარდაცვლილთან დაკავშირებული ყველა საგნის თავიდან მოცილება. ეს უკანასკნელიც დანაკლისის მინიმიზაციის მცდელობაა.

გარდაცვალების რეალობის აღიარებას დრო სჭირდება, ვინაიდან მასში არა მხოლოდ ინტელექტუალური პროცესები მონაწილეობენ, არამედ ემოციურიც. ხშირად ადამიანმა გონებით კარგად იცის, რომ ახლობელი ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ ემოციის დონეზე ამის გაცნობიერებას ვერ ახდენს. ტრადიციული რიტუალები (დასაფლავების, გლოვის) ხალხს ეხმარება ამ რეალობის მიღებაში. უეცარი და მოულოდნელი გარდაცვალება კიდევ უფრო ართულებს რეალობის მიღებას.

#### *ამოცანა 2: გლოვის ტკივილის გადამუშავება*

პარკესის აზრით, აუცილებელია მგლოვიარე ადამიანმა გაიაროს გლოვის ტკივილი იმისათვის, რომ მოერიოს მას. ხშირად ადამიანები ამ ტკივილის თავიდან არიდებას ცდილობენ. ჯონ ბოულბიმ თქვა: — “მათ, ვინც ცდილობს ცნობიერი გლოვის თავიდან აცილებას, ადრე თუ გვიან სულიერი ნგრევა ელით – ჩვეულებრივ დეპრესიის სახით.” შესაბამისად, ასეთი ადამიანების დახმარების ერთ-ერთი გზაა, დავეხმაროთ მათ, მთელი ცხოვრება არ ატარონ თავიანთი ტკივილი.

#### *ამოცანა 3: შეგუება ისეთ გარემოსთან, რომელშიც აღარ არის გარდაცვლილი ადამიანი*

ეს ამოცანა შეიძლება გულისხმობდეს გარდაცვლილის ფუნქციების საკუთარ თავზე აღებას, დამოუკიდებლად არსებობის გაგრძელებას, ცხოვრების საზრისის აღდგენას. ისინი, ვინც ვერ ნყვეტენ ამ ამოცანას წარმატებით, აძლიერებენ საკუთარ უსუსურობას, იზოლირდებიან გარემოსაგან და არ ავითარებენ იმ უნარებს, რომელიც მათ სჭირდებათ მომავალი ცხოვრებისათვის.

#### *ამოცანა 4: გარდაცვლილის ემოციური გადაადგილება და ცხოვრების გაგრძელება*

ბევრისთვის ყველაზე რთული ამოცანაა.

ფროიდმა თქვა: “გლოვას აქვს შესასრულებელი მკვეთრად განსაზღვრული

ფსიქიკური ამოცანა: მისი ფუნქციაა ინდივიდის იმედებისა და ფიქრების გარდაცვლილისგან მოწყვეტა.” ვოლკანის თანახმად, გლოვა სრულდება, როდესაც მგლოვიარეს აღარ აქვს მოთხოვნილება ყოველდღიურობაში ზედმეტად ხშირად და ინტენსიურად გაააქტიუროს გარდაცვლილის ხატი.

დახმარების პროცესში პრაქტიკოსის როლია, დაეხმაროს მგლოვიარე ადამიანს არა გარდაცვლილთან ურთიერთობის შეწყვეტაში, არამედ იმაში, რომ მიუჩინოს გარდაცვლილს სათანადო ადგილი მის ემოციებში.

### **როდის არის გლოვა დასრულებული?**

ბოულობისა და პარკესის მიხედვით გლოვა სრულდება მაშინ, როცა ინდივიდი აღწევს გლოვის საბოლოო ფაზას. თუმცა, შეუძლებელია ამ კითხვაზე ზუსტი და ცალსახა პასუხის გაცემა. კიდევ ერთი ნიშანი დასრულებული გლოვისა შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანს ტკივილის გარეშე შეუძლია გარდაცვლილის გახსენება. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ დარჩება სევდა ახლობლის გარდაცვალების გამო, ეს განსხვავებული სევდაა – ისეთი მომაკვდინებელი არ არის, როგორც ადრე იყო. გლოვა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ადამიანს შეუძლია ემოციების ისე უკან ცხოვრებაში ინვესტირება და ცხოვრების ინტერესისა და ხალისის აღდგენა. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ვერასდროს აღწევენ გლოვის დასრულებას.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ გლოვა ხანგრძლივი პროცესია და მისი დასრულების შემდეგაც გვექნება ცუდი დღეები. გლოვა სწორხაზოვნად არ ვითარდება. იგი შეიძლება გაგვიცოცხლდეს რაიმე მოვლენის გამო.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გლოვას აქვს დასასრული, თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გლოვა არასდროს მთავრდება. ქვემოთ მოცემულია ციტატა ზიგმუნდ ფროიდის წერილიდან მისი მეგობრის ბისვანგერის მიმართ:

*“ჩვენ ვპოულობთ ადგილს იმისთვის, რაც დაგვარგეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი დანაკარგის შემდეგ გლოვის მწვავე მდგომარეობა ნელ-ნელა იკლებს, ჩვენ ისიც ვიცით, რომ ვერაფერი გვანუგეშებს და ვერასდროს ვიპოვით ნამდვილ ჩანაცვლებას. მთლიანადაც რომ შეივსოს სიცარიელე, იქ მაინც დარჩება რაღაც.”*

### **გლოვის ინტენსივობის განმსაზღვრელი ფაქტორები:**

1. ვინ იყო გარდაცვლილი ადამიანი თქვენი კლიენტისათვის?
2. როგორი იყო მათ შორის სიახლოვე? ძლიერი სიახლოვე გლოვის ინტენსივობის პირდაპირპროპორციულია. რამდენად უქმნიდა თქვენს კლიენტს გარ-

დაცვლილთან სიახლოვე უსაფრთხოებას? ურთიერთობა ამბივალენტური, ანუ წინააღმდეგობრივი, ხომ არ იყო? კონფლიქტები ხომ არ ჰქონდა ამ ადამიანთან? ამბივალენტური ურთიერთობა გარდაცვლილთან, როგორც წესი, ართულებს გლოვას.

3. როგორი იყო გარდაცვალების ფორმა: ბუნებრივი, შემთხვევითი, ძალისმიერი, თვითმკვლელობა?

ბავშვთა/მოზარდთა გლოვის შესახებ არასწორი შეხედულებები/ მითები არის გავრცელებული, კერძოდ ის, რომ (1) ბავშვებს არ ესმით, რა არის სიკვდილი და ამიტომ არ გლოვობენ; (2) ბავშვები საჭიროებენ სინამდვილისგან “დაცვას”. ასეთმა მიდგომამ ხშირად სავალალო შედეგები შეიძლება გამოიწვიოს. საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ ვლინდება ნორმალური გლოვა: გრძნობების, ფიზიკური შეგრძნებების, კოგნიციის და ქცევის ასპექტებში:

#### ***გრძნობები:***

- მწუხარება;
- ბრაზი;
- დანაშაულის განცდა;
- შფოთვა;
- სიმარტოვე;
- დაქანცულობის განცდა;
- უიმედობა და სასონარკვეთა;
- შოკირებულობა;
- შვება;
- ემოციური გახევება.

#### ***ფიზიკური შეგრძნებები:***

- მკერდში სიმძიმის ან ტკივილის შეგრძნება;
- ყელში ბურთის შეგრძნება;
- ხმაურის მიმართ ზედმეტი მგრძნობელობა;
- დეპერსონალიზაციის განცდა;
- სუნთქვის პრობლემები;

- კუნთების მოშვებულობა;
- ენერგიის ნაკლებობა;
- პირის გაშრობა.

### **კოგნიცია:**

- რწმენის დანგრევა;
- დაბნეულობა;
- ზედმეტი ფიქრი გარდაცვლილზე;
- გარდაცვლილის არსებობის განცდა;
- ჰალუცინაცია.

### **ქცევა:**

- ძილის პრობლემები;
- მადის პრობლემები;
- დაბნეული ქცევა;
- სოციალური იზოლაცია;
- სიზმრები გარდაცვლილზე;
- გარდაცვლილის მომაგონებელი ადგილების/მოვლენების მორიდება;
- ძიება და ძახილი;
- ოხვრა;
- მოუსვენრობა;
- ტირილი;
- გარდაცვლილის ნივთების ტარება;
- გარდაცვლილის ნივთების სასოებით მოვლა და შენახვა.

### **როგორ გლოვობენ მოზარდები**

საჭიროა ვიცოდეთ, რომ მოზარდების და მოზრდილების გლოვის გამოხატულებას შორის არის განსხვავებები. იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

**ცხრილი: განსხვავებანი მოზრდილების და მოზარდების გლოვას შორის**

გლოვის მახასიათებლები	მოზრდილები	მოზარდები	მოზარდთა გლოვის არასწორი აღქმა
გლოვის მწვავე ფაზა	გლოვის სანყისი მწვავე სიმპტომები მცირდება 6 თვის შემდეგ	სიმპტომები ქრება გარდაცვალების ფაქტიდან ცოტა ხანში, როგორც კი მოზარდი დაბრუნდება სკოლაში ან დაუბრუნდება თავის ჩვეულ საქმიანობას. ერთი წლის განმავლობაში მცირე პროცენტით გრძელდება მწვავე ემოცია და ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები. მოზარდებმა შეიძლება უფრო ინტენსიური გლოვა გაიარონ ვიდრე მოზრდილებმა, მაგრამ უფრო ხანმოკლე პერიოდში.	ადრეული დაბრუნება სკოლასა და მეგობრებთან შეიძლება აღქმული იქნას როგორც “გლოვის არარსებობა”. აკადემიური მოსწრების გაუარესება და აგრესიულობა შეიძლება არ გაიგონ, როგორც გლოვის გამოსატყულება.
გლოვის ხანგრძლივობა	გლოვა უფრო ინტენსიური და ხანგრძლივია.	განვითარების პროცესში გლოვა ნაკლებად ინტენსიურია, მეტი ხანმოკლე გაბნეული გლოვის ეპიზოდებით ხასიათდება.	გლოვის პერიოდული გამოვლინება შეიძლება აღქმული იქნას როგორც პათოლოგიური ან “არა-მგლოვიარე”.
გლოვის გამოსატყვა	გლოვა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად ემოციებისა და ფიზიკური სიმპტომების თანახმებით.	პირდაპირი სიტყვიერი გამოსატყვა მოზარდებში ხშირად არ წარმოადგენს ძლიერი ემოციების გამოსატყვის გზას. დამხმარე გამოსატყვა შეიძლება მოიცავდეს ისეთ საქმიანობას, როგორცაა შემოქმედებითობა, დღიურის წერა, პოეზია, მუსიკა, ხატვა, აკადემიური და ინტელექტუალური შემოქმედება.	ბრაზი არის ხშირ შემთხვევაში წამყვანი ემოცია მოზარდთა გლოვისას. ემოციური რეგულაცია გართულებულია და აუცილებელია არსებობდეს ვერბალური გამოსატყულების ალტერნატივა.
ემოციური ფოკუსი	ძლიერი აქცენტი განმორებასა და ობიექტთა ჩანაცვლებაზე	ძლიერი აქცენტი პოზიტიური იმიჯის შექმნასა და გარდაცვლილი მშობლის პოზიტიური მოგონებების შენარჩუნებაზე.	მოზარდში დადებითი მოგონებების შენარჩუნების მნიშვნელობას ხშირად საკმარისად ვერ აფასებენ. ამგვარი მოგონებების გაძლიერებისათვის საჭირო საუბრების წამოწყება შეიძლება ბავშვებს გაუჭირდეთ იმის გამო, რომ შეეშინდეთ მშობლის განერვიულების.

გლოვის მახასიათებლები	მოზრდილები	მოზარდები	მოზარდთა გლოვის არასწორი აღქმა
თანატოლების მხარდაჭერა	თანატოლების მხარდაჭერა ადვილად ხელმისაწვდომია	თანატოლების მხრიდან მიღება არის უალრესად მნიშვნელოვანი მოზარდებისათვის. თანატოლების მხრიდან მხარდაჭერის მიღება რთულია მოზარდებისათვის, ვინაიდან მშობლის გარდაცვალება საკმაოდ ატიპური შემთხვევაა, რის გამოც შეიძლება თანატოლები მოერიდნონ მგლოვიარე მოზარდს.	მოზრდილებმა შესაძლოა სათანადოდ არ შეაფასონ ის, თუ რამდენად რთულია თანატოლებისაგან მხარდაჭერისა და გაგების მიღება.
გართულებული გლოვა	გართულებული გლოვის დიაგნოზი ისმება გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ.	გართულებული გლოვა ბევრად უფრო რთული განსასაზღვრია, თუმცა არსებობს რისკ ფაქტორები და დამცავი ფაქტორები და შეფასება აქცენტს ფუნქციონალურ უნარზე აკეთებს.	აღწერილია მოზარდობაში ფსიქოპათოლოგიის შემთხვევების ზრდა. ფსიქოპათოლოგია შეიძლება შენიღბული იყოს გლოვით. ასევე, ნორმალური გლოვა შეიძლება არასწორად მიიჩნიონ ფსიქოპათოლოგიად.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ის რისკ ფაქტორები და დამცველი ფაქტორები, რომელიც ეხმარება ან ხელს უშლის ადამიანს გადალახოს გლოვის სიმძიმე.

**ცხრილი: რისკ და დამცველი ფაქტორები**

რისკ ფაქტორები	დამცველი ფაქტორები
<ul style="list-style-type: none"> <li>■ თანამდევარი სტრესის გამომწვევი ცხოვრებისეული მოვლენა</li> <li>■ დარჩენილ მშობელთან უარყოფითი ურთიერთობა ან მხარდაჭერის ნაკლებობა</li> <li>■ სუსტი ურთიერთობა გარდაცვლილ მშობელთან</li> <li>■ მოზარდის დაბალი თვითშეფასება</li> <li>■ მოზარდის ან დარჩენილი მშობლის უკვე არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა</li> <li>■ ძალისმიერი ან ტრავმატული სიკვდილი</li> <li>■ მშობლის სიკვდილის მომენტში ბავშვი ან 6 წელზე უმცროსია ან 12-14 წლის ასაკშია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>■ დარჩენილ მშობელთან ღია კომუნიკაცია, თბილი დამოკიდებულება და დადებითი გამოცდილება</li> <li>■ დარჩენილ მშობელს შეუძლია შეინარჩუნოს მშობლის ფუნქციები</li> <li>■ თანატოლებისა და სხვა მოზრდილების (მასწავლებლები, მშობლები) მხრიდან მიღება</li> <li>■ მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსი</li> <li>■ პიროვნული ფაქტორები, როგორცაა შინაგანი კონტროლის ლოკუსი, ინტელექტუალური განვითარებულობა, სოციალური განვითარებულობა</li> <li>■ რელიგიურობა</li> <li>■ გარდაცვლილი მშობლის შესახებ აზრებისა და გრძნობების გამოხატვის და მათი სხვების მხრიდან აღიარების შესაძლებლობა</li> </ul>

ამრიგად, ამ ფაქტორების ცოდნა სოციალურ მუშაკს დაეხმარება ეფექტური დახმარება აღმოუჩინოს მოზარდს, რომელიც განიცდის მძიმე დანაკარგს/დანაკლისს.



## **ტრავმატული სტრესის დამახასიათებელი ნიშნები**

ტრავმატული გამოცდილების მქონე ადამიანებს ხშირად აწუხებთ ტრავმატულ მოვლენასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სტრესი. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის ნორმალური რეაქცია არანორმალურ სიტუაციაზე. თუმცა, თუკი ადამიანები გრძნობენ, რომ მათ არ შეუძლიათ ხელახლა მოიპოვონ საკუთარი ცხოვრების კონტროლირებისა და წარმართვის უნარი, სასურველია მათ დახმარებისათვის მიმართონ ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტს.

ტრავმატული სტრესის დამახასიათებელი სიმპტომებია:

- განმეორებითი ფიქრი ან კოშმარები ტრავმატული მოვლენის შესახებ;
- გართულებული დაძინება და ცვლილებები მადაში;
- შფოთვისა და შიშის განცდები, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში მოხვედრისას, რომელიც გვაგონებს ტრავმატულ მოვლენას;
- ისეთი მოქმედება ან განცდა იმისა, თითქოს ტრავმატული მოვლენა კვლავ ხდება (გულისხმობს განცდის ხელახლა განცდას, ილუზიებს, ჰალუცინაციებს, მოვლენის უეცარ ამოტივტივებას);
- ადვილად შეკრთომა ან ზედმეტი სიფხიზლე;
- დეპრესიის, მწუხარებისა და ენერჯის ნაკლებობის განცდა;
- მეხსიერების პრობლემები, მათ შორის ტრავმატული მოვლენის ცალკეული ასპექტების გახსენების სირთულეები;
- დაბნეულობა და ყოველდღიურ ამოცანებზე ფოკუსირების უუნარობა;
- გადაწყვეტილების მიღების სირთულეები;
- ადვილად გაღიზიანება, აღგზნება, გაბრაზება ან ნყენა;
- ემოციური “სიმუნჯე”, განმარტოება, სხვებისგან იზოლაცია და გაუცხოება;
- უცაბედად ტირილი, სასონარკვეთისა და უსუსურობის გრძნობის დაუფლება;
- საყვარელი ადამიანების მიმართ უაღრესად მშფოთვარე დამოკიდებულება და ზედმეტი ნერვიულობა მათი უსაფრთხოების თაობაზე;
- ტრავმის ცალკეული ასპექტებისადმი თვალის გასწორების უუნარობა და ისეთი მოქმედებების, ადგილების ან ადამიანების მორიდება, რომლებმაც შეიძლება მოგვაგონონ ტრავმატული მოვლენა.

## **ტრავმის სპეციფიკა ბავშვებთან**

ტრავმატული გამოცდილება ბავშვებში და მოზარდებში რიგ შემთხვევებში შესაძლოა განსხვავდებოდეს ზრდასრულისთვის დამახასიათებელი გამოვ-

ლინების ტიპური ფორმებისაგან. ბავშვებში და მოზარდებში ტრავმამ შეიძლება წარმოშვას შემდეგი სიმპტომები:

- დაუცველობისა და უსუსურობის განცდა;
- შფოთვა მომავლის გამო, “ცუდის” მოლოდინი, ცვლილებების შიში;
- სირცხვილი, დაბალი თვითშეფასება, დანაშაულის განცდა;
- რისხვა, აგრესიულობა;
- გაუცხოება ფსიქოლოგიური გარემოდან;
- დაუსრულებელი გლოვა;
- ტრავმატული თამაშები და ქცევითი განმეორებანი (სტერეოტიპული ქცევა);
- სამყაროს ხატის ნგრევა/დეფორმაცია;
- ხანმოკლე მეხსიერების პრობლემები, სწავლის უნარის დაქვეითება;
- სხადასხვა სახის შიშები;
- ძილის დარღვევები და კოშმარები;
- ფსიქოსომატური დარღვევები;
- არასწორი მსჯელობები (მაგ. “მინისძვრა იმიტომ მოხდა, რომ ღმერთი გამიბრაზდა” “დედა იმიტომ დამელუპა, რომ ცუდი ნიშანი მივიღე”);
- დანაშაულის გრძნობა გადარჩენასთან დაკავშირებით;
- განმეორებითი კითხვების დასმა ტრავმატული მოვლენის შესახებ;
- მდგომარეობის გაუარესება კვირის/თვის/წლის თავზე;
- ტრავმასთან დაკავშირებული შიშები (“ცუდი რამეები ხდება ორშაბათობით”);
- ადრეულ ასაკში ტრავმამ შეიძლება შეაფერხოს მოტორული და მეტყველების განვითარება.

**ტრავმის გამოხატულება 5 წლამდე ასაკში:**

- მშობლისგან განცალკევების შიში;
- ტირილი, ქვითინი;
- ცახცახი;
- რეგრესიული ქცევა (თითის ნოვა, სიბნელის შიში, ენურეზი);
- კოშმარები და ძილის პრობლემები;

- ყაბზობა;
- ცხოველების შიში;
- მეტყველების შეფერხებები (ენა ებმება);
- მადის დაკარგვა/მომატება.

***ტრავმის გამოსატყულება 6 – 11 წლის ასაკში:***

- უკიდურესი განცალკევება;
- შემანუხებელი ქცევა;
- ყურადღების გამახვილების უუნარობა (აკადემიური გაუარესება);
- რეგრესიული ქცევა;
- კოშმარების და ძილის პრობლემები;
- ირაციონალური შიშები;
- გაღიზიანებადობა;
- სკოლაში არ უნდა წასვლა;
- ბრაზის/რისხვის ამოფრქვევა;
- მუცლის ტკივილი.

***ტრავმის გამოსატყულება 12 – 17 წლის ასაკში:***

- “ფლემბეჭები” (ტრავმატული გამოცდილების უნებლიე ხელახალი განცდა);
- კოშმარები;
- ემოციური გახევება;
- მადის პრობლემები;
- თავიდან არიდება იმისა, რაც ტრავმასთან ასოცირდება;
- დეპრესიული განწყობილება;
- ნივთიერებათა ავადმომხმარება და ანტისოციალური ქცევა;
- პრობლემები თანატოლებთან;
- აკადემიური გაუარესება;
- ფიზიკური ჩივილები;
- ფიქრები თვითმკვლელობაზე;
- დაბნეულობის განცდა.

## ინდივიდუალური მუშაობა ბავშვთან

ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობისას წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ შემდგომი სამი ელემენტის უზრუნველყოფას: ემოციურ სიტბოს, პროგნოზირებადი გარემოსა და სტრუქტურის შექმნას.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები ბავშვსა და მოზარდთან მუშაობისას:

- დაეხმარეთ ბავშვს ემოციების გამოხატვაში;
- თუ ბავშვი ახსენებს ტრავმატულ მოვლენას, დაეხმარეთ მასზე საუბარში (ნუ დააძალებთ, თუ მას არ სურს საუბარი);
- თუ საუბარი არ სურს, შესთავაზეთ დახატოს;
- უზრუნველყავით ბავშვი ნუგეშით და მხარდაჭერით;
- უთხარით, რომ ყველას, მათ შორის თქვენც, ეუფლება შიში;
- ხშირად შეუძლებელია ტრავმატული მოვლენის ახსნა; უთხარით ბავშვს, რომ თქვენც გიჭირთ ამის გაგება;
- მოუსმინეთ მშვიდად და არ გამოხატოთ შოკი;
- ესაუბრეთ ასაკის შესაბამის ენაზე;
- მოუწოდეთ გარშემომყოფთ იყვნენ უფრო ტოლერანტულნი ბავშვის მიმართ;
- დააკვირდით, მის თამაშში/ქცევაში თუ შეინიშნება ტრავმის ხელახალი განცდა;
- დაიცავით ბავშვი ახალი ტრავმატული გამლიზიანებლისგან;
- ხაზი გაუსვით იმას, რომ რაც მოხდა, არ იყო მისი ბრალი;
- არ გააკრიტიკოთ რეგრესიული ქცევითვის;
- შეუქმენით საშუალება იტიროს ან იყოს სევდიანი და ნუ მოსთხოვთ სიმამაცეს და სიძლიერეს;
- უთხარით, რომ ასეთ დროს ნორმალურია იყო სევდიანი და გაბრაზებული;
- მიანიჭეთ ბავშვს გარკვეული არჩევანის საშუალება (რა ჭამოს, რა ჩაიცვას, ა.შ.) და კონტროლის განცდა;
- თუ ბავშვს ღამის შიშები აქვს, მეტი ყურადღება დაუთმეთ ძილის წინა პერიოდს.

### **ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოსოციალური დახმარების ფორმები:**

ბავშვთა და მოზარდთა დახმარების ფორმები:

### 1. ინდივიდუალური მუშაობა

- თამაშის მეთოდი
- არტ თერაპია
  - ◆ ხატვა, ძერწვა, ქარგვა
  - ◆ ქვიშაში თამაშის თერაპია
  - ◆ ცეკვა, სიმღერა, რითმიკა
- მეტაფორები
- ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორისტული თერაპია
- ნარატიული (თხრობითი) თერაპია

### 2. ჯგუფური მუშაობა

- დებრიფინგი
- ჯგუფური მხარდაჭერის უზრუნველყოფა
- ვერბალური თვითგამოხატვის ხელშეწყობა
- ნორმალიზაცია

*მუშაობის მეთოდები:*

- დაუსრულებელი წინადადებების ტექნიკა
- ამბის თხრობის ტექნიკა
- როლური თამაშის ტექნიკა
- “გრძნობების” თამაში
- პრობლემის გადაჭრის თამაშები

### 3. მუშაობა ოჯახთან/მშობელთან

- ბავშვის ოჯახური მდგომარეობის დინამიკის შეფასება
- მშობლის დახმარება შვილის პრობლემის გაგებაში
- აღმზრდელობითი სტილის კორექცია
- ოჯახის წევრთა შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება
- კონსულტირება ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში
- მშობლის დახმარება ემოციურ განმუხტვაში
- მშობლის დახმარება საკუთარ ტრავმებთან გამკლავებაში

### 4. მუშაობა მასწავლებლებთან

- პედაგოგთა მგრძნობელობის ამაღლება

- ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევათა განვითარება
- იარლიყების მიწებების აღმოფხვრა

5. მუშაობა თემთან

- ტრავმის დებრიფინგი თემში სტიქიური უბედურებების, შეიარაღებული კონფლიქტებისა და ტერორისტული აქტების შემდეგ
- ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების მგრძნობელობის ამაღლება
- საჭირო სერვისების თემში მოხილზება და პარტნიორობის ნახალისება
- სერვისების უზრუნველყოფა ბინაზე.

ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების ფორმები მრავალმხრივია და ეფექტური შედეგების მისაღწევად აუცილებელია ჩარევა განვახორციელოთ მიკრო, მაკრო და მეზო დონეებზე, კერძოდ, დახმარება მოიცავს არა მხოლოდ ბავშვთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, არამედ ოჯახთან, მასწავლებელთან და თემთან მუშაობასაც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Christ, G. Lecture Notes “Grief, Loss and Bereavement” Columbia University, 2002.
- Cunningham, L. What Is Sandplay? Journal of Sandplay Therapy, Volume 6, Number 1, 1977;
2. How To Help Children and Teenagers; AACAP Talking Points, 1999;
3. Husain, S. A. & Holcomb, W. R. Manual for the Treatment of Children with Post Traumatic Stress Disorder; 1998;
4. Kaplan, H. I. & Sadock, B. J. Synopsis of Psychiatry, Eighth edition; Lippincott Williams & Wilkins, 1998;
5. Perry, B. D. Helping Traumatized Children; The Child Trauma Academy;
6. Psychosocial Treatments for Children and Adolescent Disorders, Empirically Based Strategies for Clinical Practice; Edited by Euthymia D. Hibbs & Peter S. Jensen, 2001
7. სარჯველაძე, ნ., ბებერაშვილი, ზ., ჯავახიშვილი, ჯ., მახაშვილი, ნ., სარჯველაძე, ნ. “ტრავმა და ფსიქოლოგიური დახმარება”;
8. შეყრილაძე, ი., ფარცხალაძე, ნ. სახელმძღვანელო “სოციალური სამუშაო ბავშვებთან და ოჯახებთან” NSP Alumni Development Grant, Tbilisi 2003;

### **რა არის პრობლემური ქცევა**

პრობლემურია ისეთი ქცევა, რომელიც მიუღებელია საზოგადოების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების მიერ მიუღებელი ქცევა ბავშვის მხრიდან ამავე დროს კანონსაწინააღმდეგოა, მაშინ მას ეწოდება არასრულწლოვანთა კრიმინალური საქციელი. იმ შემთხვევაში, თუ (არასრულწლოვანი) ბავშვის ქცევა შეგნებულადაა მიმართული იმისკენ, რომ ვინმეს ზიანი მიაყენოს ან რამე გააფუჭოს, გამოიყენება ტერმინი ვანდალიზმი. ამგვარი ქცევის ტიპური მაგალითებია: ჩხუბი, ტყუილების თქმა, ქურდობა, გაკვეთილების გაცდენა, მიდრეკილება გატეხოს და გააფუჭოს, გამომწვევი საქციელი და სხვა. პრობლემურია თუ არა ქცევა დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე. გადამწყვეტი ფაქტორები შეიძლება იყოს: ვინ გამოთქვამს შეშფოთებას ასეთი ქცევის გამო? შემთხვევითია თუ არა ასეთი ქცევა და რა კონტექსტში გვხვდება ის? უმეტეს შემთხვევაში პრობლემური ქცევა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების რეაქციაზე, ვინაიდან საზოგადოებრივ აზრს გავლენა აქვს ინდივიდის ქცევაზე.

შექმნილია ბევრი თეორიული მოდელი, რომლითაც ცდილობენ პრობლემური ქცევების და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ახსნას. თანამედროვე სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიული მოდელების მიხედვით, ყველა პრობლემა მანკიერი სოციალური განათლების, არაადეკვატური საყოფაცხოვრებო შესაძლებლობებისა და სოციალური უსამართლობის შედეგია; ასევე სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობის, თანატოლების გავლენის და ოჯახის წევრებს შორის არასწორი ურთიერთობის შედეგია.

უესტმა და ფარინგტონმა (1973) ერთმანეთს შეადარეს ოჯახები, სადაც ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევის შემთხვევებს და ოჯახები, სადაც მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდა. მათი აზრით, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები უფრო შესაძლებელია მოხდეს შემდეგი ტიპის ოჯახებში:

- მცირე შემოსავლიან ოჯახში;
- მრავალშვილიან ოჯახებში;
- ოჯახში, სადაც მშობლებს აქვთ დაბალი ინტელექტი;
- კრიმინალური წარსულის მქონე მშობლების ოჯახში;
- ოჯახში, სადაც მშობლებს არ გააჩნიათ აღზრდის გამოცდილება.

ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განიხილეს პეტერსონმა და მისმა კოლეგებმა აშშ-ში (Peterson, 1982); ისინი შეეცადნენ, შეესწავლათ იმ ოჯახების სტილი და

მოდელი, სადაც კანონის დარღვევას ხშირად ჰქონდა ადგილი. ასეთი ოჯახებისთვის დამახასიათებელია:

- ფიზიკური დასჯის ხშირი გამოყენება;
- შეუსაბამო მშობლების და შვილების ურთიერთდამოკიდებულებაში;
- საოჯახო სადღესასწაულო ღონისძიებების იშვიათობა;
- ბავშვებისადმი სიახლოვის გრძნობის ნაკლებობა;
- სათანადო ქცევის აღიარების და/ან განმტკიცების უუნარობა;
- სუსტი კონტროლი ბავშვის საქციელზე;
- ქცევის წესების ფორმულირების ნაკლებობა;
- სწორი და არასწორი საქციელის დიფერენცირების უუნარობა.

### **რთული ქცევის განმარტება**

რთული ქცევის უამრავი განსხვავებული განმარტება არსებობს და ძალიან რთულია იმაზე შეჯერება, თუ რეალურად რას მოიცავს ეს ცნება. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, არის თუ არა ბავშვის ქცევა რთული, საჭიროა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

1. რამდენად საზიანოა ქცევა თავად ბავშვისთვის ან სხვებისთვის?
2. რამდენად შეუშლის ხელს ქცევა სწავლას?
3. რამდენად აფერხებს ქცევა ბავშვის მიერ აქტივობებში მონაწილეობას?
4. რამდენად უშლის ხელს ქცევა ბავშვის სოციალურ ურთიერთობებს და მის მიმართ სოციალურ მიმღებლობას?

რთული ქცევები განსხვავდება სიმწვავის მიხედვით. ემერსონის განმარტებით, “მძიმე ფორმის რთული ქცევა არის ისეთი ინტენსივობის, სიხშირისა და ხანგრძლივობის ქცევა, რომ თავად სუბიექტის ან სხვების ფიზიკური უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგება, ან ქცევა, რომელსაც აქვს ტენდენცია სრულიად ან ნაწილობრივ შეზღუდოს არსებული შესაძლებლობები (მაგ. განათლება) მისანვდომობა ან მათი გამოყენება”.

აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს ორი სახის ქცევას:

1. ქცევას, რომელიც სერიოზულ ფიზიკურ ზიანს აყენებს თავად პირს ან სხვა გარეშე მყოფ პირებს (კბენა, დაკანვრა, თავის, ხელის, ფეხის დარტყმა ა.შ.).



2. ქცევას, რომელიც აფერხებს პიროვნების სრულ ჩართვას საზოგადოებაში (კვილი, ფურთხება, ბილწისცივაობა ა.შ.).

ტერმინი **რთული ქცევა** გამოიყენება, როგორც "ქუდი" სხვადასხვა სახის ქცევებისა, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს უქმნის პიროვნებას ან საზოგადოებას. ასეთებია:

- **თვითდამაზიანებელი ქცევები** (კბენა, დაკანვრა, სხვა);
- **აგრესიული ქცევები** (დარტყმა, ჩარტყმა);
- **ნივთების დამაზიანებელი ქცევები** (ტანსაცმლის დახვევა, საგნების გატეხვა სროლა);
- **ტანტრუმები** (ისტერიკის გამოხატვა ფეხების ბაკუნით, ყვირილით, იატაკზე დაცემა);
- **გაქცევა საცხოვრებლიდან** (მიზანმიმართულად ან უმიზნოდ);
- **პიკა** - საჭმელად უვარგისი ნივთების ჭამა (მინა, ლილეები, საკუთარი ეკსკრემენტები).

## რთული ქცევის შეფასება

როდესაც ბავშვი რთულ ქცევას ავლენს, ყურადღება უნდა მივაქციოთ რამოდენიმე ფაქტორს. მნიშვნელოვანია რთული ქცევის შეფასებისას გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. **სრული სურათი:** ბავშვის მიერ გამოვლენილი ქცევის შეფასება უნდა განიხილებოდეს მთლიან კონტექსტში, რაც გულისხმობს ქცევის გამოვლენამდე არსებულ სიტუაციას, გარემო ფაქტორებს, დღის მონაკვეთს და სხვ.
2. **ბავშვის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა:** რთული ქცევის შესაძლო გამოვლენის მიზეზი ზოგჯერ არის ბავშვის არადაამაკმაყოფილებელი ფიზიკური მდგომარეობა (მაგ. სველი პამპერსი, შიმშილი), ან ემოციური მდგომარეობა (მაგ. უხასიათობა მოულოდნელად გამოღვიძების შემთხვევაში).
3. **ქცევის მახასიათებლები:** ქცევის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი სიხშირე, (ქცევის სიხშირის დასადგენად ვითვლით, თუ რამდენჯერ ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა), ინტენსივობა (ქცევის ინტენსივობის დასადგენად ჩვენ ვითვლით, თუ რამდენად ძლიერად ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა) და ხანგრძლივობა (ქცევის ხანგრძლივობის დასადგენად ჩვენ ვაკვირდებით, თუ რამდენ ხანს ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა).

კიდევ ერთი რამ, რასაც აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, არის ქცევის წინაპირობა და შედეგი, ასევე კონტექსტი, რომელშიც ეს ქცევა ხორციელდება. ქცევის წინაპირობისა და შედეგების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა გავიგოთ, თუ რატომ ხდება ქცევა და რისი მიღება სურს ამით ბავშვს. თუ ვიცით ქცევის წინაპირობა და შედეგი, ასევე ის კონტექსტი, რომელშიც ქცევა აღმოცენდება, ჩვენ შეგვეძლება მათი გაკონტროლება და ქცევის შეცვლა.

## **რთული ქცევის გამომწვევი მიზეზები:**

რთული ქცევის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა გამომწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით:

### **ბიოლოგიური (ფიზიოლოგიური) ფაქტორები**

- შიმშილი;
- წყურვილი;
- ტკივილი (კბილის, თავის და სხვა);
- სენსორული “შიმშილი”, სენსორული სტიმულაციის მოთხოვნა.

### **გარემო ფაქტორები**

- ფიზიკური ასპექტები, როგორცაა ხმაური და მკვეთრი სინათლე;
- ძალიან დიდი ან პატარა სივრცე;
- სხვადასხვა საგნების ან ოთახების ხელმისაწვდომობა;
- ტემპერატურული ცვლილებები;
- ტანსაცმლის ფაქტურა და შესაძლებლობები (მაგ. ჯინსები ზღუდავს სხვადასხვა სახის მოძრაობებს: ხტუნვას, ხოხვას, სხვა. შალი იწვევს ქავილს, სინთეტიკური ნაწარმი იწვევს კანის გადახურებას.).

### **ფსიქო-სოციალური ფაქტორები**

- კომუნიკაციის ნაკლებობა (თუ ადამიანს რიგი გარემოებების გამო აქვს მწირი კონტაქტები ან კომუნიკაციის სირთულეები: გაძნელებული მეტყველება, სმენის სირთულეები და სხვა.);
- სოციალური ნორმების ცოდნის ნაკლებობა;
- მონყენილობა (ერთფეროვანი გარემო და ცხოვრების რიტმი);
- უყურადღებობა “გულგრილობა” (სხვა ადამიანების, მომსახურე პერსონალის მშობლის მხრიდან);

- მარტოობის, უარყოფის განცდა;
- წარსული გამოცდილება (წარსულში განცდილი უარყოფითი ემოციები, ფსიქოლოგიური ტრავმა);

პატარა ბავშვების, რომლებიც ჯერ ვერ მეტყველებენ და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების შემთხვევაში რთული ქცევა კომუნიკაციის ერთგვარი საშუალება შეიძლება იყოს. ამ კუთხით, რთულ ქცევას შეგვიძლია შევხედოთ, როგორც დადებით მოვლენას - ის აღმზრდელს მიუთითებს ბავშვის საჭიროებაზე და უბიძგებს მას გაარკვიოს, თუ რაში მდგომარეობს ეს საჭიროება, რათა მან შეძლოს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება.

როდესაც ხდება ბავშვის პრობლემური ქცევის მიზეზების განსაზღვრა, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა ასაკი, სქესი და კულტურული წარმომავლობა.

- **ასაკი:** მრავალი პრობლემური ქცევა შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული შესაფერისი ხერხები/გზები რაიმეს გასაკეთებლად. ზოგჯერ პრობლემა ისაა, რომ ბავშვებმა უბრალოდ არ იციან, თუ რას მოელიან მათგან. სხვა შემთხვევაში კი მათ შეიძლება ეს-მოდეთ, თუ რას მოელიან მათგან, მაგრამ ჯერ არ ჰქონდეთ შესაბამისი ქცევის განხორციელების უნარი. ბავშვმა უბრალოდ არ იცის, თუ როგორ დაელოდოს საკუთარ ჯერს, მოითხოვოს რაიმე თავაზიანად, იყოს წყნარად თუ შეწყვიტოს საუბარი. უფროსი ბავშვების რთული ქცევები შესაძლოა უფრო მეტად უკავშირდებოდეს მათ მონყენილობას, სოციალურ პრობლემებს თანატოლებთან.

- **სქესი:** უფროსები უფრო ხშირად მოელიან აგრესიულ ქცევას ბიჭებისაგან, ხოლო მშვიდ და განონასწორებულ ქცევას გოგონებისაგან. სინამდვილეში, თუ ამგვარი განსხვავებები მართლაც არსებობს გოგონებსა და ბიჭებს შორის, ეს ხშირად ჩვენი მოლოდინების შედეგი უფროა, ვიდრე ორ სქესს შორის ბიოლოგიური განსხვავების. აქედან გამომდინარე, მოზრდილები არ უნდა ავლენდნენ განსხვავებულ მოლოდინებს ბიჭისა და გოგონას ქცევების მიმართ და არ უნდა იყენებდნენ მნიშვნელოვნად განსხვავებულ ქცევის მართვის სტრატეგიებს.

- **კულტურა:** სხვადასხვა კულტურები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი წესებით, ნორმებით, ტრადიციებით, ღირებულებებითა და ა.შ.

## რთული ქცევის მიზნები

გარდა მიზეზისა, რთულ ქცევას ასევე აქვს მიზანი, დანიშნულება. ლიტერატურაში გვხვდება ბავშვის მხრიდან რთული ქცევის ოთხი ძირითადი მიზანი:

- **ყურადღება** - ზოგჯერ ბავშვი "ცუდი ქცევის" საშუალებით ცდილობს მიიპყროს სხვა ადამიანების ყურადღება;
- **რევანში/სამაგიეროს გადახდა** - ბავშვის რთული ქცევის მიზანს შესაძლოა ვინმესთვის სამაგიეროს გადახდა წარმოადგენდეს. ბავშვისთვის მტკივნეულია იმის განცდა, რომ ის არ არის მნიშვნელოვანი და მიიჩნევს, რომ ამის საპასუხოდ მას აქვს უფლება სხვა ადამიანებს მიაყენოს ტკივილი;
- **ძალაუფლება** - არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები "ინვევენ" მშობლებს და ამით თითქოს ძალაუფლების წყურვილს იკმაყოფილებენ. საქმე იმაშია, რომ ძალაუფლება ეხმარება ბავშვს მნიშვნელოვნების განცდის ჩამოყალიბებაში, ამიტომ ის ცდილობს თვითონ იყოს "ბოსი" და გააკეთოს ის, რაც სურს;
- **უმწეობა** - იმ ბავშვებს, რომლებისგანაც სხვები არ მოელიან საქმის კარგად შესრულებას, თავიანთ თავზე ექმნებათ წარმოდგენა, რომ ისინი წარუმატებელი და არაფრისმაქნისნი არიან. მშობლები, რომლებიც ზედმეტად იცავენ საკუთარ შვილებს და თავიდან არიდებენ მათ პასუხისმგებლობას, უნებურად უბიძგებენ მათ გახდნენ უმწეონი და უინიციატივონი. უმწეობის შემთხვევაში ბავშვი ფიქრობს, რომ ის ვერასოდეს გახდება მნიშვნელოვანი, ამიტომ თითქოს ნებდება და იმედი აქვს, რომ სხვა ადამიანები დაანებებენ თავს.

## რთული ქცევის მართვა

ყველაზე დიდი წარმატება დაკავშირებულია რთული ქცევის მართვის იმ მოდელების გამოყენებასთან, რომლებიც ითვალისწინებენ პრობლემისადმი სხვადასხვა კუთხით მიდგომას. ამ მოდელების თანახმად აუცილებელია, რომ მშობელმა/მშობლებმა ან აღმზრდელმა/აღმზრდელებმა მიიღონ მონაწილეობა სიტუაციის შეცვლის პროცესში. ეს კი, თავის მხრივ, მიმდინარე სიტუაციის გულდასმით გაანალიზებას მოითხოვს. ქვემოთ აღწერილი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია როგორც ოჯახში, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში. ამ უკანასკნელის შემთხვევაში პერსონალი შეასრულებს მშობლების მოვალეობებს.

ჩვეულებრივ, რთული ქცევის ბავშვები მშობლების ჩივილის გამო მოჰყავთ სოციალურ მუშაკთან. თუ ბავშვი სახელმწიფო დაწესებულებაში იმყოფება, მაშინ ჩივილი, ჩვეულებრივ, მოდის მომსახურე პერსონალისაგან ან სხვა ბავშვებისაგან. თვითონ ახალგაზრდები ძალიან იშვიათად თუ წარსდგებიან საკუთარი ინიციატივით სოციალური სამსახურის თანამშრომლის წინაშე. ეს განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როდესაც ბავშვი განიცდის, ლელავს, დახმარებას ითხოვს და შესაბამისად, თანამშრომლობს მათთან, ვინც მას შეიძლება დაეხმაროს. თავდაპირველად სოციალური მუშაკისათვის პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს ის, რომ ახალგაზრდამ თავისი ქცევა პრობლემურად აღიქვას. ის თვლის, რომ მისი ქცევა სავსებით მისაღებია და არ გააჩნია მისი შეცვლის სურვილი. კანონის

დარღვევის ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდის ბრაზი და რისხვა გადაულახავ დაბრკოლებას ქმნის.

ჩვეულებრივ, ჩივილები ზოგადი ხასიათისაა: "მე მას ვერაფერს ვუხერხებ", "არც ერთ ჩემს სიტყვას არ აქცევს ყურადღებას: ველური იზრდება და ყველაფერს თავის ნებაზე აკეთებს". თუ მშობლები იმდენად შეშფოთებულნი არიან, რომ დახმარებისათვის სოციალურ მუშაკს უკავშირდებიან, ეს იმის მაჩვენებელია, რომ პრობლემა არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში და მშობელი ძალიან შეწუხებულია ამით. თუმცა, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მშობელს შეიძლება შვილის მიმართ არარეალური მოლოდინი გააჩნდეს და ნამდვილ პრობლემას წარმოადგენდეს მისი შეხედულება ქცევის ნორმებზე. აუცილებელია, მოვუსმინოთ მშობელს და მივცეთ განმუხტვის საშუალება. ამის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, როგორ აღიქვამს მშობელი პრობლემას. ჩივილი ჩვეულებრივ გაურკვეველი და დაუკონკრეტებელია. მშობელი ამბობს, რომ "გამოვიდა კონტროლიდან", ან "იზრდება ველურად", რაც მწირ ინფორმაციას გვაძლევს კონკრეტული შემთხვევის შესასწავლად. მნიშვნელოვანია, გავერკვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში:

- როდის არის ადამიანის საქციელი მართვადი?
- რა გარემოების გავლენით კარგავს ადამიანი კონტროლს საკუთარ თავზე?
- კონტროლის დაკარგვა დაკავშირებულია მოვლენათა განვითარებასთან, დროის ფაქტორთან ან ზოგიერთი ადამიანის გავლენასთან?
- რა ხდება კონტროლის დაკარგვის დროს?
- რა მოხდება, თუ ვინმე ან რაიმე დაეხმარება კვლავ საკუთარ თავზე კონტროლის მოპოვებაში?

განრისხებული ან მწუხარებისგან გაოგნებული მშობელი გლობალურ, ბუნდოვან სურათს აღგინერთ. მას დრო დასჭირდება იმისათვის, რომ დაწვრილებით აღწეროს და ზუსტად განსაზღვროს პრობლემა. პრობლემის უფრო ნათლად დანახვის პროცესმა შესაძლოა შეცვალოს მშობლის ხედვა და აღადგინოს პრობლემის გადაჭრის რწმენა. გარდა განზოგადებული სურათისა, მშობელი შეიძლება ვერ ხვდებოდეს, კერძოდ რომელი ბავშვი ქმნის პრობლემების უმეტესობას. ზოგიერთ შემთხვევაში, "უცოდველი" ბავშვი ბრალს სხვა ბავშვებს სდებს. ამის გასაგებად, პირველ რიგში, საჭიროა, მშობელმა წყნარად ჩამოწეროს პრობლემები და ზუსტად განსაზღვროს სირთულეები.

პრობლემის გარკვევის შემდეგ სასარგებლოა ბავშვებთან უშუალო მუშაობა. მშობლები და აღმზრდელები ეფექტური ჩარევის მთავარ აგენტებს წარმოადგენენ შემდეგი მიზეზების გამო:

- მშობელთა (აღმზრდელების) მოქმედებამ შეიძლება ბავშვების რთული ქცევა გამოიწვიოს;

- მშობლები წარმოადგენენ იმ ადამიანებს, რომლებმაც უნდა აკონტროლონ თავიანთი შვილების ქცევა;
- ვინაიდან ყველაზე ხშირად მშობლებს აქვთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც უნდა იმოქმედონ ბავშვის ქცევის შეცვლაზე;
- პრობლემა შეიძლება იყოს გამონვეული და-ძმას შორის რთული ურთიერთობით. ამ შემთხვევაშიც მშობლებმა უნდა შეაფასონ მდგომარეობა და მიიღონ ზომები პრობლემის გადასაჭრელად.

კარგი მშობლის უნარ-ჩვევები შემდეგია: თანმიმდევრობა, ყველა შვილის მიმართ თანაბარი დამოკიდებულება, ახლო და თბილი დამოკიდებულება შვილებისადმი, აღზრდის და განათლების შესაძლებლობის მიცემა. ბევრ შემთხვევაში ბავშვების პრობლემები შეიძლება მშობლების მიერ მოვალეობის არაადეკვატური შესრულებით იყოს გამონვეული. ხოლო იმ დროისათვის, როდესაც სოციალური მუშაკი იწყებს კონკრეტულ შემთხვევაზე მუშაობას, სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ მშობლების კარგი უნარ-ჩვევების დანერგვით, როგორც წესი, დაგვიანებულია. ზოგიერთ ოჯახში სტაბილურობისა და ჰარმონიის შესაქმნელად აუცილებელია პროფესიული ჩარევა (მაკოლი და მაკოლი, 1977, 1980, 1982).

## რთული ქცევის შეცვლის მეთოდები

პირველ რიგში უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ რთული ქცევის აღსაზრდელთან მიმართებაში **დაუშვებელია** შემდეგი ზომების გამოყენება:

- ფიზიკური დასჯა;
- ფიზიკური დასჯის მუქარა;
- ფსიქოლოგიური სასჯელი ან ძალადობა;
- ემოციური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მუქარა;
- პირადი უფლებების ჩამორთმევა (მაგ.: სახლში, სკოლაში ან სპორტზე წასვლის, მუსიკის მოსმენის ან თამაშის უფლება);
- იზოლირება, თუ ეს არ არის ნებადართული ფსიქიატრის მიერ ან არ არის განპირობებული გადაუდებელი შემთხვევით.

არსებობს მთელი რიგი კონსტრუქციული მეთოდებისა, რომელიც შემუშავებულია მეცნიერების მიერ და გამოიყენება რთული ქცევის მქონე ბავშვების რეაბილიტაციისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელსაც მიმართავენ სასურველი ქცევის გამოვლენის სიხშირის გასაზრდელად, ცნობილია **განმტკიცების** სახელით.

განმტკიცება გულისხმობს სასურველი ქცევის გამოვლენის სიხშირის გაზრდის მიზნით ბავშვისათვის ჯილდოს, ნახალისების მიცემას. ხოლო განმამტკიცებელი ანუ ჯილდო არის ყველაფერი ის, რასაც ვაძლევთ ბავშვს სასურველი ქცევის გამოვლენის შემდეგ. მაგალითად, ბავშვი კრეფს საკუთარ ტანსაცმელს, ჩვენ ვაქებთ მას. შედეგად ბავშვი უფრო ხშირად კრეფს საკუთარ ტანსაცმელს. ამ შემთხვევაში ჩვენი შექება ბავშვისათვის არის განმამტკიცებელი, რადგან მან გაზარდა ბავშვის მიერ საკუთარი ტანსაცმლის აკრეფვის სიხშირე.

არსებობს განმამტკიცებლის 5 სახე: კვებითი, მატერიალური, აქტივობითი, გადაცვლადი და სოციალური.

- **კვებითი განმამტკიცებელი:** მაგალითად, ტკბილეული, ქიშმიში, გარგარის ჩირი. როდესაც ვიყენებთ კვებით განმამტკიცებელს იგი ბავშვს ძალიან მცირე რაოდენობით უნდა მივანოდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ მობეზრება. ტკბილეულის გამოყენება საფრთხილოა იმ ბავშვებთან, რომლებსაც აქვთ კბილების ან დიაბეტის პრობლემა.
- **მატერიალური განმამტკიცებელი:** შეიძლება იყოს ყველაფერი, დაწყებული პატარა სათამაშოდან, დამთავრებული ძვირფასეულობით. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ მოყირჭებას, საჭიროა განმამტკიცებლად მრავალფეროვანი (სხვადასხვა) საგნები გამოვიყენოთ.
- **აქტივობითი განმამტკიცებელი:** შეიძლება იყოს ყველაფერი, რისი კეთებაც ბავშვს მოსწონს. მაგალითად, თამაში, ტელევიზორის ყურება, სურათების დათვალიერება, ხატვა, სიარული, წიგნის კითხვა, ქარგვა.
- **გადაცვლადი განმამტკიცებელი:** შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც გადაიცვლება რამეში, დაწყებული სტიკერებით, დამთავრებული ქალაღზე მისანებებლებით.
- **სოციალური განმამტკიცებელი:** არის ყველაფერი, რაც სასიამოვნოა, რომ მივიღოთ და მოვისმინოთ მეორე ადამიანისაგან, დაწყებული ღიმილიდან, დამთავრებული შექებით, შექება შეგიძლიათ სიტყვებით ან ქცევით გამოხატოთ.

*ნახალისების/შექების სახეობები:*

- ვერბალური შექება – არის მაშინ, როდესაც ჩვენ უბრალოდ ვეუბნებით, რომ კმაყოფილები ვართ.
- არავერბალური შექება – ღიმილი, თვალის ჩაკვრა, თავის დაქნევა.
- ფიზიკური შექება – გულში ჩახუტება, კოცნა, მხარზე ხელის დადება ან ხელში აყვანა.
- დადებითი გრძნობების გაზიარება – ბავშვს ვეუბნებით, რომ კარგად ვგრძნობთ თავს, რომ ძალიან გვიყვარს იგი და მისი იმედი გვაქვს.

**შექება და დაჯილდოება** დადებითი-სასურველი ქცევის გაზრდის ეფექტური ხერხებია, მაგრამ შექების გადაჭარბებამ შეიძლება არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. ბავშვი შეიძლება კარგად იქცეოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეცოდინება, რომ ის ამისათვის დაჯილდოვდება. პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია შექებასთან და ჯილდოსთან არის ის, რომ აღნიშნული ხერხები დამყარებულია მოტივირების და ქცევის ზეგავლენის მხოლოდ გარეგნულ ხერხებზე.

**ნახალისება** შექების და ჯილდოს ნაცვლად ან მასთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ. ეს მორიგი ხერხია დადებითი ქცევის მხარდაჭერაში. შექება ჯილდოს სახეობაა. შექება დაფუძნებულია შეჯიბრზე, რომელსაც იღებს მოგებული ან საუკეთესო. ნახალისება კი შეიძლება მხოლოდ იმ დროს განხორციელდეს, როცა ბავშვი ცდილობს რალაციის გაკეთებას, უმნიშვნელო ნაბიჯებისათვისაც კი. ეს ხერხი შეიძლება გამოვიყენოთ იმ დროსაც, როდესაც ბავშვი წარუმატებელია.

არიან ბავშვები, რომლებიც ცუდად რეაგირებენ შექებაზე და დაჯილდოებაზე. რადგან ფიქრობენ, რომ მათი ქცევა მეტად კონტროლირებადი გახდება. შეიძლება ჯილდოს მიღებისთანავე ცუდად მოქცევა განაგრძონ, რათა აჩვენონ მშობლებს, რომ მათ ვერაფერ ვერ აჯობებს. ამ სიტუაციებში აღმზრდელებმა მეტწილად უნდა გამოიყენონ ნახალისება, რათა გააძლიერონ ბავშვის დადებითი ქცევა.

**პრივილეგია** – არის ჯილდო, რომელიც აძლევს ბავშვს მეტ თავისუფლებას ან შესაძლებლობას. პრივილეგია შეიძლება იყოს დასაძინებლად გვიან წასვლა, თამაშისათვის დამატებითი დრო და სხვა. უკეთესია, როდესაც პრივილეგია იქნება დაკავშირებული ქცევასთან, რომელიც ჯილდოს იმსახურებს. მაგალითად, ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში ზრუნავს წესრიგზე თავის კარადაში. შეგვიძლია ვუთხრათ ბავშვს, რომ “შენ უკვე შეგიძლია მოუარო შენს ტანსაცმელს, მაშასადამე, საკმარისად ხარ მომწიფებული იმისათვის, რომ თვითონ გადანყვიტო რას ჩაიცვამ, რომელ ტანსაცმელს აირჩევ”.

**პასუხისმგებლობის გაზრდა** პრივილეგიების მსგავსია იმისათვის, რომ დავაჯილდოვოთ ბავშვი, რომელიც წესრიგს უფრთხილდება ოთახში, შეიძლება ვანდოთ პასუხისმგებლობა ოთახის მოწყობაზე. იმის გარდა, რომ ეს ბავშვისათვის გარკვეულ სამუშაოს წარმოადგენს, ნიშნავს, რომ “შენ უკვე შეგიძლია გააკეთო ეს. აღარ გჭირდება, მე ვიტრიალო შენს ოთახში”.

## **რთული ქცევის მართვის სხვა ტექნიკები**

მაკოლი თავის ნაშრომებში განიხილავს სამი ტიპის ჩარევას: ტაიმაუტი, დიფერენცირებული ყურადღება და ქულების სისტემა. პირველი ორი მეთოდი



ყველაზე უფრო მეტად სასარგებლოა 7 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობის დროს. მესამე მეთოდი კი განსაკუთრებით ეფექტურია 7-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში.

### **ტაიმაუტი**

ტაიმაუტი არასასურველი ქცევის საპასუხო მოქმედებას წარმოადგენს. დისციპლინირების შედარებით მკაცრი ფორმა „ტაიმაუტი“ გულისხმობს ბავშვის იმ ადგილიდან დროებით მოცილებას, რომელშიც ბავშვი რთულ ქცევას ახორციელებს და მის ისეთ გარემოში მოთავსებას, სადაც იგი არ მიიღებს არანაირ დაჯილდოებას. „ტაიმაუტი“ შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- ბავშვის კუთხეში დაყენება ან კუთხეში სკამზე დასმა;
- სხვა ოთახში გაყვანა და იქ მარტო დატოვება.

ამ მეთოდის მიზანია, ბავშვის ქცევა სოციალურად არ იყოს ნახალისებული. ამავე დროს, სრულიად არ არის საჭირო ბავშვს დავატოვებინოთ ოთახი და მის საკუთარ ოთახში გაუშვათ. ეს შეიძლება არაეფექტური იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საბავშვო ოთახი სასვლა სათამაშოებითა და წიგნებით. ასეთ შემთხვევაში თამაშის შესაძლებლობა ბავშვმა შეიძლება აღიქვას, როგორც არასასურველი ქცევის ნაქეზება და, შესაბამისად, ასეთი ქცევა განმეორდეს მომავალში.

მაკოლი (1977) გვთავაზობს სამი სტადიის თანმიმდევრულ გამოყენებას. ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა განისაზღვრება ბავშვის დაუმორჩილებლობით.

1. მშობლის მკაფიო, ცალსახა ბრძანება;
2. მშობლის განმეორებითი ბრძანება „ტაიმაუტის“ მუქარით;
3. ტაიმაუტის გამოყენება.

ჰობსმა და ფოჰენდმა (1977) განიხილეს რა ამ მეთოდიკის ეფექტურობა, შემოგვთავაზეს შემდეგი 8 ამოცანის შესრულება:

1. კარგად განუმარტეთ ბავშვს რატომ იყენებთ დასჯის ამა თუ იმ ზომას;
2. ჩაინერეთ როდის რა მეთოდს იყენებთ;
3. მიიღეთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე ღირს თუ არა ბავშვის ოთახიდან გაძევება ან სოციალური სტიმულის წყაროს (მაგ, დედა, ან და/ძმა) ჩამოშორება;
4. გააფრთხილეთ ბავშვი მანამ, სანამ დასჯილეთ მას;
5. დარწმუნდით იმაში, რომ დასჯის ადგილი არ არის საინტერესო და გასართობ-

ბი ბავშვისთვის, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ბავშვი სარდაფში უნდა ჩაკეტოთ;

6. გამოიყენეთ ეს მეთოდი დასაწყისში ყველა საჭირო შემთხვევაში;
7. დასჯის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 5 წთ-ისა, ზოგჯერ უფრო ცოტაც კი, თუ ბავშვის საქციელი გაუმჯობესდა;
8. თანდათანობით მოხსენით ეს პროცედურა. ნუ შეამცირებთ ტაიმაუტის ხანგრძლივობას, მაგრამ დროდადრო გამოიყენეთ.

„ტაიმაუტი“-ს გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- 1) „ტაიმაუტი“ უნდა გამოიყენოთ მაშინვე, როგორც კი რთული ქცევა გამოვლინდება, თუ მას გამოვიყენებთ რთული ქცევის გამოვლენიდან გარკვეული დროის შემდეგ, მისი ეფექტი შემცირდება. „ტაიმაუტი“ ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვისათვის საკუთარი ქცევის შედეგი მაშინვე ხდება თვალნათელი.
- 2) ბავშვი უნდა გაიყვანოთ „ტაიმაუტი“-ზე სწრაფად და მარტივად. არ დატუქსოთ ბავშვი, არ ეჩხუბოთ და არ დაემუქროთ.
- 3) უნდა გვახსოვდეს, რომ „ტაიმაუტი“-ს დროს ბავშვს ვაშორებთ ჩვეულ გარემოს მანამ, სანამ არ დაწყნარდება. ბავშვი ჩვეულ გარემოში უნდა დავაბრუნოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაწყნარდება. დაწყნარების შედეგად მისთვის სასიამოვნო სტიმულის დაბრუნება ხელს შეუწყობს მშვიდად, წყნარად ყოფნის განმტკიცებას.
- 4) თუ ბავშვი აწყობს ტანტრუმს, მოაცილეთ მაგარი საგნები, რათა ბავშვმა თავი არ დაიზიანოს.
- 5) „ტაიმაუტი“-ს მაქსიმალური დრო 10-15 წუთია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს სასიამოვნო სტიმულს ვაშორებთ მანამ, სანამ იგი არ დაწყნარდება. როდესაც ბავშვი დამშვიდდება, მარტივად და ყოველგვარი ახსნის გარეშე უთხარით: „ახლა შეგიძლია გამოხვიდე“.
- 6) „ტაიმაუტი“ არ უნდა გახდეს სიბრაზის შეტევის ზემოქმედებით გამოხატული საპასუხო რეაქცია. პირიქით, იგი წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიაა ერთი კონკრეტული პრობლემური ქცევის გადასაწყვეტად.

### **დიფერენცირებული ყურადღება**

ეს მეთოდი გულისხმობს არასასურველი მოქმედებების იგნორირებას და ყურადღების გამახვილებას სასურველ საქციელზე. სოციალური მუშაკები ხშირად გაუცნობიერებლად იყენებენ ამ მეთოდს თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში. ყურადღება ეთმობა საუბრის ზოგიერთ ასპექტებს, როდესაც ბავშვები თანხმობას ღებულობენ თავის დაქნევით, ღიმილით, ხოლო საუბრის სხვა ელემენტები,

რომლებიც ნაკლებად რეალისტური ან სასარგებლოა ბავშვისათვის, თავშეკავებულ რეაქციას იღებს. აუცილებელია მშობლის დარწმუნება პოზიტიური უკუკავშირის, როგორცაა ბავშვის შექება ან სიტყვიერი ნახალისება, გამოიყენებაში.

დაგეგმილი იგნორირების მეთოდის გამოყენების შედეგად მცირდება არასასურველი ქცევის გამოვლენა ან საერთოდ ქრება. იგნორირება განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც ბავშვი რთულ ქცევას ახორციელებს ყურადღების მიქცევის მიზნით.

იგნორირებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა თავდაპირველად არასასურველი ქცევის სიხშირემ იმატოს მაგ: ნინა მაგალითის შემთხვევაში ბავშვმა შეიძლება ყვირილს უმატოს, რადგან მას ეგონოს, რომ მისი არ ესმით და შეეცადოს უფრო ხმამაღალი კვილით ყურადღების მიქცევას. იმ შემთხვევაში, თუ განვადგინებთ დაგეგმილ იგნორირებას, მაშინ ბავშვი მიხვდება რომ კვილს არა აქვს მნიშვნელობა და რაც არ უნდა ხმამაღლა იყვიროს, მას მაინც არ მიაქცევენ ყურადღებას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ბავშვი არასასურველ ქცევას ავლენს, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ არა მხოლოდ არასასურველი ქცევის შემცირებაზე, არამედ იმაზეც, რომ ბავშვმა არასასურველი ქცევა სასურველი ქცევით ჩაანაცვლოს. ამიტომ არასასურველი ქცევის იგნორირების გარდა საჭიროა წავახალისოთ ბავშვის მიერ სასურველი ქცევის ყოველი გამოვლენა. ამ ორი მეთოდის გამოყენება იძლევა მეტ ეფექტს ვიდრე მხოლოდ არასასურველ ქცევაზე იგნორირება. მაგალითად, ბავშვს აქვს ასეთი რთული ქცევა: იცის თანატოლებისთვის სათამაშოების წართმევა. „სათამაშოების წართმევა“ არის არასასურველი ქცევა, ხოლო „წართმევის“ სანინალმდეგო ქცევა იქნება „თანატოლებისთვის სათამაშოს თავაზიანად თხოვნა“. ამ შემთხვევაში ჩვენ იგნორირება უნდა გავუკეთოთ ბავშვის მიერ თანატოლებისათვის სათამაშოების წართმევას და წავახალისოთ მის მიერ თანატოლებისათვის სათამაშოების თავაზიანად თხოვნა.

*რა უნდა გვახსოვდეს ამ ტექნიკის გამოყენების დროს:*

- დაუშვებელია, რომ ბავშვი იმყოფებოდეს მუდმივი იგნორირების ქვეშ. უნდა მოხდეს კონკრეტული ქცევის და არა ბავშვის იგნორირება;
- აღმზრდელი უნდა აცნობიერებდეს იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ის იღებს თავის თავზე ამ ტექნიკის განხორციელების პროცესში და უნდა უზრუნველყოს ბავშვის უსაფრთხოება.

*რა სიტუაციებში არ იქნებოდა გამართლებული იგნორირება?*

- ქცევა, რომელმაც შეიძლება ბავშვს ან სხვა პირს ზიანი მიაყენოს;
- ქცევა, რომელიც საგნებს ემუქრება დაზიანებით;

- ქცევა, რომელიც ჩვენი ყურადღების მიქცევას არ ისახავს მიზნად (მაგალითად, იგნორირების გამოყენებით ვერ გადავარჩევთ პატარა ბავშვს თითის წუნსას. ბავშვი თითს იმიტომ წუნის, რომ მას ეს სიამოვნებას ანიჭებს, ან ასე მეტად უსაფრთხოდ გრძნობს თავს.).

### **შეფასების სისტემა**

დაუმორჩილებლობა თავს ხშირად იჩენს მოზარდებში. თუ აღსაზრდელი პატარა ბავშვია, მაშინ საკმარისია მხოლოდ ნახალისება. მაგალითად, ვარსკვლავთა შეფასების სისტემის გამოყენება ენურეზის სანინააღმდეგოდ. უფროსი ასაკის ბავშვების აღზრდისას ეს არ არის საკმარისი და მშობლები თვლიან, რომ ამგვარი ნახალისება შეიძლება მხოლოდ ფულით მოხდეს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ბავშვები დიდები არიან, ფულადი ნახალისება ყოველთვის არ უნდა გამოიყენოთ. გაცილებით უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს შერწყმული შეფასების სისტემა, როგორცაა სეირნობა, ფეხბურთზე ან კინოში წასვლა.

სქემის შედგენის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი 6 პუნქტი:

1. ნაუყენეთ ბავშვს გარკვეული მოთხოვნები. ბავშვმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა მოეთხოვება ქულის დასამსახურებლად;
2. სასარგებლოა, თუ მოსთხოვთ ბავშვს ინსტრუქტაჟის გამეორებას, რათა დარწმუნდეთ, რომ მას ესმის მოთხოვნები;
3. ქულათა და ჯილდოთა სისტემა მუდმივი უნდა იყოს, ანუ თუ ბავშვმა უკვე დაიწყო პროგრამის შესრულება, არანაირ ცვლილებებზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს;
4. ზუსტად განსაზღვრეთ, თუ როდის შეიცვლება ქულები ჯილდოებით;
5. ერიდეთ ძალიან დიდ საჩუქრებს, რადგან მათ მიღწევაზე დიდი დრო მიდის;
6. გახსოვდეთ, რომ ბავშვი ქულას ან ჯილდოს იმსახურებს თავისი ყოფაქცევით და არა შეხედულებით ან რაიმე სხვით. მიზანია — დამორჩილება.

ბავშვის ზრდასთან ერთად ეს მეთოდები ნაკლებად გამოიყენება და მოზარდი უფრო მეტად რწმუნდება, რომ მისი შეხედულებები მხედველობაში უნდა მიიღონ და გაითვალისწინონ. მოცემულ სიტუაციაში სოციალური მუშაკი არის მშობელსა და შვილს შორის დამაკავშირებელი რგოლი.

შუამავლის როლი ასევე გულისხმობს, ორივე მხარეს ასწავლო და განუვითარო მოლაპარაკების უნარ-ჩვევები (კაიფერი და სხვანი, 1974); იმისათვის, რომ ნახალისო ბავშვის მშობელი მისივე პოზიციების შესწავლასა და მოფიქრებაში, კომპრომისებისა და ურთიერთგაგების მიღწევაში, აუცილებელია მშობლის შემ-

დეგ ჩვევათა განვითარება:

1. სიტუაციის შეფასება მეორე ადამინის პოზიციიდან;
2. პრობლემის ზუსტად განსაზღვრა;
3. ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა მოფიქრების და გათვალისწინების სურვილი;
4. გადაწყვეტილებათა განსაზღვრა მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით;
5. ყველა მხარისათვის სასარგებლო გზების გამონახვა;
6. მიღებული გადაწყვეტილების შესრულების უნარი.

საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის სოციალურ მუშაკს შეუძლია მთელი რიგი მეთოდების გამოყენება:

1. ხელი შეუწყოს გრძნობათა და აზრთა ურთიერთგაზიარებას;
2. მიმართოს კონფლიქტის მქონე ორ ურთიერთსაინააღმდეგო მხარეს თხოვნით ჩაინერონ როგორც პრობლემები, ასევე მათი გადაწყვეტის გზები;
3. გამოიყენოს როლების გადანაწილების და გარკვეული სიტუაციების გათამაშების პრაქტიკა, რომელშიც ინდივიდებს დაევალებათ პრობლემის გადაწყვეტა;
4. საკუთარი თავი გამოიყენოს, როგორც როლური მოდელი;
5. აზრთა გაზიარება და ახალი შემოქმედებითი გადაწყვეტილებები;
6. თვით-დაკვირვება და თვით-რეფლექსია;
7. სავარჯიშოები როლების გაცვლაზე, რათა მონაწილეს მიეცეს მეორე ადამიანის პოზიციის დანახვის საშუალება.

უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა რთული ქცევის მქონე ბავშვებთან დროული ჩარევა. პრობლემის დროულად გადაუწყვეტობამ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ბავშვმა თავის მოზრდილ ცხოვრებაში გადაიტანოს წარსულის განცდები. ბავშვის დაუმორჩილებლობა და უკიდურესად ცუდი ყოფაქცევა შეიძლება გახდეს ზრდასრულ ასაკში სერიოზული ფსიქიკური დაავადებების, ანტისოციალური საქციელის, კანონთან უთანხმოების და ქორწინების არასტაბილურობის მიზეზი. (რობინი 1966, რუტტერი 1980). ბავშვის განათლებისა და სულიერი განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ სტაბილური ოჯახი ან აღმზრდელი, თვით ბავშვის პიროვნება და მასთან მეგობრული დამოკიდებულება.

## **რთული ქცევის პრევენცია**

ანტისოციალური ქცევის პრევენცია ერთობ საინტერესო იდეაა, თუმცა საკმაოდ რთული. ფილიპ გრემი (1977) თვლიდა, რომ საჭიროა განხილულ იქნეს 3 ძირითადი ასპექტი: ოჯახური, ინსტიტუციური და სოციალური გარემოცვა. ეს კატეგორიები სოციალური სფეროს მუშაკთა სამოქმედო არეალს წარმოადგენენ.

### **ოჯახი:**

1. მშობლის უნარ-ჩვევების ტრენინგი/სწავლება. შეიძლება განხორციელდეს სკოლებში;
2. ოჯახური ცენტრების განვითარება;
3. რჩევები ოჯახის დაგეგმვის თაობაზე, კონსულტაციები აბორტების პრობლემაზე;
4. ადრეული ქორწინებების თავიდან აცილების მცდელობა;
5. იმ ბავშვების ადრეულ ასაკში გაშვილება, რომელთა ბიოლოგიურ მშობლებს არ აქვთ ბავშვზე ზრუნვის სათანადო უნარი;
6. ბავშვზე მზრუნველობის სამსახურის გაუმჯობესება; შვილობილობის სისტემის განვითარება;
7. კონსულტაციები საოჯახო საკითხებზე;
8. მარტოხელა მშობლების ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის გაუმჯობესება.

### **ინსტიტუციები/სახელმწიფო დაწესებულებები:**

1. სკოლამდელი განათლების გაუმჯობესება;
2. სკოლებში პირობების გაუმჯობესება:  
ბავშვების ნაკლები რაოდენობა კლასებში;  
იმ ბავშვების დახმარება, ვინც ძნელად ითვისებს მასალას; სასკოლო კონსულტაციების დანიშვნა;  
სპეციალური მეთოდების გამოყენება იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც უჭირთ კითხვა;
3. ინკლუზიური განათლების დანერგვა.

## სოციალური გარემო

1. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;
2. ქალაქის გარეუბანში სათამაშო და გასართობი პირობების შექმნა;
3. უმუშევართა რიცხვის შემცირება და სკოლადამთავრებულთა დასაქმების გაუმჯობესება;
4. ახალგაზრდული კლუბების შექმნა და სპორტული ცენტრების მონყობა.

## ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები

მიდგომის უმთავრესი სტრატეგიაა, აღმზრდელმა შეძლოს აგრესიულ და მიუღებელ ქცევაზე მშვიდი და თანმიმდევრული წინააღმდეგობის განწევა. ეს არის ასერტიული ქმედება (საკუთარი პოზიციის მშვიდი, მაგრამ თანმიმდევრული დაცვის უნარი). ასერტიულობა ნიშნავს იყო მართალი საკუთარ თავთან და სხვებთან, პატივი სცე საკუთარ თავს და სხვებს, იყო საკუთარ თავში დარწმუნებული. ასერტიულობა აძლევს ადამიანს სხვებთან ღია კომუნიკაციის საშუალებას მაშინაც კი, როცა სხვებს განსხვავებული აზრები აქვთ. ასერტიულ ადამიანს აქვს საკუთარი აზრების გამომხატვის და სხვებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

არსებობს ასერტიული ქცევის სამი ძირითადი კატეგორია:

- 1. უარის თქმა:** როგორ თქვა "არა" შესატყვის სიტუაციაში და შესატყვის დროს.
  - საკუთარი პიზიციის გამომხატვა: "არა, არ შემიძლია"
  - მიზეზების ახსნა: " მე დღეს დაკავებული ვარ"
  - გაგების გამომხატვა: "იმედი მაქვს, რომ სხვა რამეს მოძებნით"
- 2. გრძნობების გამომხატვა:** უთხრა ადამიანებს, თუ რას გრძნობ.
  - დადებითი გრძნობების გამომხატვა: "შენ ძალიან კარგი საქმე (სამუშაო) გააკეთე"
  - უარყოფითი გრძნობების გამომხატვა: "მე მენწყინა ის, რაც შენ გააკეთე."
- 3. მოთხოვნა:** ინფორმაციის მიღება, განმარტების მოთხოვნა; იმის მოთხოვნა, რაც სხვამ გინდა რომ გააკეთოს.
  - პრობლემის განსაზღვრა: "მე თქვენ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დავა-ლება მომეცით."
  - მოთხოვნის გაკეთება: "შეიძლება ერთი დავალება დავასრულო, სანამ მეორეს მომცემდე?"
  - განმარტების მიღება: "შეგიძლიათ ამიხსნათ, თუ რა უნდა გავაკეთო..."

### **ასერტიული ტექნიკა ხელს უწყობს:**

- პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ბავშვსა და უფროსს შორის;
- ეხმარება ბავშვს, შეცვალოს ქცევის მიუღებელი სტრატეგიები და სტილი;
- ჩართოს ბავშვი საკუთარი ქცევის ცვლილების პროცესში.

### **როდესაც ბავშვი ავლენს პრობლემურ ქცევას, აღმზრდელმა რეკომენდებულია გამოიყენოს შემდეგი სახის მიდგომები:**

- მიუთითოს არა მხოლოდ ქცევის შეწყვეტის საჭიროებაზე, არამედ იმაზეც, თუ რა ქცევით შეიძლება ჩაანაცვლოს. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ვუთხრათ: “ნუ ხევ ნიგნს”, უთხარით: “ნუ ხევ ნიგნს და შეინახე უჯრაში”.
- გახსოვდეთ, მითითების მიცემისას აუცილებლად შეხედეთ ბავშვს თვალებში, გამოიყენეთ ჟესტები და მიმართეთ ბავშვს სახელით, რათა დარწმუნებული იყოთ, რომ ბავშვმა თქვენი მითითება მოისმინა და გაიგო.
- პრობლემური ქცევის განხორციელებისას აქცენტი უნდა გადაიტანოს პოზიტიურ ქცევაზე - ნახალისების გამოყენებით. ნაცვლად იმისა, რომ მივუთითოთ ნეგატიურ ქცევაზე, უნდა წავახალისოთ მისაღები ქცევა.
- აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს და ნახალისდეს ბავშვის მიერ სასურველი ქცევის განხორციელების მცირე მცდელობაც კი. ნახალისეთ ბავშვის მიერ სასურველი და თქვენთვის მისაღები ქცევის განხორციელების ყოველი მცდელობა. მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ძალისხმევას და არა ქცევის სიზუსტეს, თუნდაც ქცევა ჯერ ისევ შორს იყოს სასურველი შედეგისაგან.
- როდესაც სასურველი ქცევა პირველად აღმოცენდება, შეძლებისდაგვარად სწრაფად დააჯილდოვეთ ბავშვი. მას შემდეგ, რაც ბავშვს გამოუმუშავდება სასურველი ქცევის განხორციელების ჩვევა, თანდათანობით შეამცირეთ (ან შეცვალეთ) დაჯილდოება.
- **გაფუჭებული ფირფიტის” ტექნიკა:** ამ ტექნიკის თანახმად, უფროსმა მანამდე უნდა იმეოროს თავისი მოთხოვნა, სანამ ბავშვი არ შეასრულებს მას.
- **“ირიბი გამეორების“ ტექნიკა:** ამ დროს ბავშვის არასასურველი ქცევიდან ყურადღების გადატანა ხდება სხვა ბავშვების მიერ განხორციელებულ სასურველ ქცევაზე. *ირიბი ნახალისების მეთოდი* შენიშვნის მიცემისა და წესების შეხსენების შენობული საშუალებაა.
- **“სენდვიჩის” ტექნიკა:** სენდვიჩის ტექნიკა გულისხმობს კონსტრუქციულ კრიტიკასა და შეთავაზებას პოზიტიურ რეპლიკებთან ერთად. თუ უფროსი ბავშვს კრიტიკასა და შენიშვნას პოზიტიურ რეპლიკებს შორის მიაწოდებს, ბავშვი მას ნაკლებ მტკივნეულად აღიქვამს.



- **ინფორმაციის რაოდენობა:** როდესაც გვინდა შევაჩეროთ რთული ქცევა, აუცილებელია მივანიშნოთ მხოლოდ ამ ქცევაზე და თავი ავარიდოთ ლექციური ხასიათის მონოლოგებს, კონკრეტული პრობლემის მიღმა არსებულ მიზეზებს.
- **პრობლემის აღნიშვნა:** ხშირად უფროსის მხრიდან პრობლემაზე მინიშნება (პრობლემის არსებობის აღნიშვნა) უფრო უკეთესი და გამართლებული სტრატეგიაა, ვიდრე დეტალური ინსტრუქციების მიცემა. ამ შემთხვევაში ბავშვს არ გააჩნია წინასწარი მითითება და მან თვითონ უნდა გადაჭრას პრობლემა. დადანიშნულებისა და გაკიცხვის გარეშე აღვნიშნავთ პრობლემას, საჭიროების შემთხვევაში ვიძლევით მინიშნებასაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს ბავშვი სწავლობს საკუთარი გამოცდილებით.

რთული ქცევის მართვის, კომენტარებისა და რეპლიკების დროს **არ არის გამართლებული გამოვიყენოთ:**

### **შეკითხვა “რატომ”?**

შეკითხვა “რატომ” სავსებით დასაშვებია, თუ ის მართლაც ინფორმაციის მისაღებად არის დასმული და თანაც თავაზიანად. მაგრამ როდესაც კითხვა “რატომ”-ს არ მოაქვს ინფორმაცია, მაშინ უმჯობესია თუ სხვა სტრატეგიას გამოვიყენებთ საკუთარი უკმაყოფილების გამოსახატავად და ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად.

### **სიტყვა, მიმართვა “შენ”:**

პრობლემური ქცევის მართვისას მინიმუმამდე დაიყვანეთ ამ სიტყვის გამოყენება. ის ზედმეტად მკაცრი და უხეშია. მიმართვის ამ ფორმის ჩანაცვლება მოსახერხებელია “მე” -შეტყობინების გამოყენებით. “მე” - შეტყობინებით გამოიხატება თქვენი დამოკიდებულება, რას განიცდიხ და რა გჭირდებათ.

### **“მე” შეტყობინება:**

“მე” შეტყობინების გამოყენება ამცირებს კონფრონტაციას და კონცენტრირებას ახდენს ბავშვის დახმარებაზე ქცევის შედეგების გააზრებაში. ჩვენ გვსურს ბავშვმა იცოდეს, როგორ ვგრძნობთ თავს, როგორი ზეგავლენა აქვს მის ქცევას ჩვენს ცხოვრებაზე. პასუხისმგებლობას ქცევის შეცვლაზე ბავშვს დავუტოვებთ.

“მე” შეტყობინება შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი ასაკის ბავშვთან, მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გარდატეხის ასაკის ბავშვებთან მიმართებაში. უკეთესია, როდესაც ჩვენ ბავშვს ვუხსნით, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს მისი ქცევა ჩვენზე.

“მე შეტყობინება” არ შეიცავს ბრალდებებს და აღწერს: ქცევას, განცდებს და თქვენს ცხოვრებაზე კონკრეტულ ზეგავლენას.

### **სიტყვა და უარყოფა “არა”:**

მშობელი ვერ მიაღწევს წარმატებას მხოლოდ იმის აღნიშვნით, თუ რა არ უნდა გააკეთოს ბავშვმა. აუცილებელია, მივუთითოთ იმაზეც, თუ რა სახის ქცევა უნდა შესრულდეს სანაცვლოდ. ქცევის აკრძალვისას ბავშვისთვის არ არის ნათელი, რა ქცევას მოელიან მისგან. ბავშვები ამკრძალავ რეპლიკაში აფიქსირებენ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას და პირიქით ცდილობენ მის გაკეთებას.

### **ბრძანების გაცემა, დირექტივა:**

ასეთი მიმართვა იწვევს წყენის, გაბოროტებისა და წინააღმდეგობის განცდას. ბავშვს შესაძლოა გაუჩნდეს განცდა, რომ მშობლებს არ სჯერათ მისი შესაძლებლობების, უნარების, არ ენდობიან მის გემოვნებას. ბრძანების გაცემა არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს და სურვილებს, უბრალოდ ბავშვი იძულებულია დაემორჩილოს უფროსს და მოიქცეს მისი სურვილების შესაბამისად. ბავშვს უჩნდება ზედმეტობის განცდა. მშობლის მიერ იგი არ არის მიღებული ისეთი, როგორც ის არის სინამდვილეში.

### **გაფრთხილება, მუქარა:**

ეს მეთოდი ძალიან შეურაცხმყოფელია ბავშვისთვის. ბავშვი ისმენს მუქარას, რომ მის დასჯას მასზე უფროსი და ძლიერი ადამიანი აპირებს.

ასეთმა მიმართვამ ბავშვში შესაძლოა გამოიწვიოს, ერთის მხრივ შიში და მორჩილება, მეორეს მხრივ წინააღმდეგობის განწევის სურვილი და სიბრაზე. გარდა ამისა, შესაძლოა ბავშვს გაუჩნდეს სურვილი, გაარკვიოს რამდენად სერიოზულია მშობლის მუქარა, გააკეთოს ის, რასაც მშობელი უკრძალავს, რათა ნახოს დაპირებულ სასჯელს მიიღებს თუ არა.

### **მორალი, ჭკუის დარიგება:**

მორალი და ჭკუის დარიგება ბავშვში იწვევს წინააღმდეგობის განწევის სურვილს. სიტყვები “უნდა”, “მოვალე ხარ”, “საჭიროა” და ა. შ. აგრძობინებს ბავშვს, რომ მისი მშობლებისათვის სხვების აზრი უფრო მისაღებია, ვიდრე საკუთარი შვილის. ბავშვს უჩნდება დანაშაულის განცდა და უქვეითდება თვითშეფასება.

### **რჩევები პრობლემების გადასაჭრელად ან მზა რეცეპტების მიცემა:**

პრობლემის გადასაჭრელად მზა რეცეპტების მიცემა ბავშვს სხვის რჩევებზე დამოკიდებულს ხდის და იწვევს დამოუკიდებლობის განვითარების შეზღუდვასა და არასრულფასოვნების განცდის ჩამოყალიბებას. ამავე დროს, ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ მშობელს მისი საერთოდ არ ესმის, არ სჯერა

მისი უნარის და თვითონ მოძებნოს პრობლემური სიტუაციიდან გამოსავალი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ბავშვმა შეწყვიტოს პრობლემის გადანწყვეტასთან დაკავშირებით საკუთარი იდეების განვითარება.

### **ნოტაციების კითხვა, ლოგიკური არგუმენტების მოყვანა:**

ეს მიდგომა იწვევს ბავშვის გაღიზიანებას და მას თავის დაცვის სურვილს აღუძრავს. უფრო მეტიც, ხშირად ბავშვები უფროსების ლოგიკურ არგუმენტებს საკუთარს უპირისპირებენ.

ისევე როგორც უფროსებს, არც ბავშვებს არ მოსწონთ, როცა მათ უმტკიცებენ, რომ არ არიან მართლები. ისინი ცდილობენ ბოლომდე დაიცვან საკუთარი პოზიცია: “შენ მე ვერ გადამარწმუნებ”.

### **კრიტიკა, გამტყუნება:**

მშობლის მიერ დესტრუქციული კრიტიკის გამოყენება იწვევს ბავშვის არასრულფასოვნების განცდის განვითარებას. ბავშვს უჩნდება აზრი, რომ ის არ უყვარს მშობელს, სწორედ იმის გამო, რომ ცუდად იქცევა.

კრიტიკა და შეფასება ბავშვს იძულებულს ხდის დამალოს თავისი ქეშმარიტი განცდები, რადგან იმის შიში უჩნდება, რომ მას მაინც ვერ გაუგებენ.

### **გადაჭარბებული შექება:**

შექებას ყოველთვის დადებითი შედეგი არ მოაქვს. დადებითი შეფასება, რომელსაც თვითონ ბავშვი არ ეთანხმება, გაღიზიანებას იწვევს. გარდა ამისა, ბავშვი თუ შეჩვეულია მუდმივ შექებას, როცა არ აქებენ ფიქრობს, რომ რაღაც არ მოეწონათ უფროსებს მის ქცევაში. ხშირად ბავშვები უხერხულადაც კი გრძნობენ თავს, როცა მათ ყველას წინაშე აქებენ.

### **დაცინვა, ლანძღვა:**

ასეთი მიმართვა ანგრევს ბავშვის თვითშეფასებას. დაცინვით და ლანძღვით ბავშვი არ იცვლის ქცევის სტილს, ფიქრობს, რომ მშობლის კომენტარები საფუძველს მოკლებულია.

### **ინტერპრეტაცია, ანალიზი, დიაგნოზი:**

ასეთი მიდგომა ბავშვში იწვევს განცდას, რომ ის გამოააშკარავეს და მშობელმა იცის მისი ქცევის მოტივები. მშობლის ასეთი ზედმეტი ჩაღრმავება და ფსიქოანალიტიკური ანალიზი ბავშვში იმედგაცრუებას იწვევს.

თუ ეს ინტერპრეტაციები სწორია, ბავშვს სირცხვილის განცდა უჩნდება, ხოლო თუ არასწორია - ღიზიანდება, რადგან ცილს სწამებენ.

შეტყობინება: “ვიცი რატომაც” და “ვერაფერს გამომაპარებ”, ბავშვს უკარგავს პრობლემების დროს მშობელთან ურთიერთობის სურვილს.

## **დამშვიდება, დაწყნარება, მხარდაჭერა პრობლემის მიზეზით დაინტერესების გარეშე:**

“ნუ ნერვიულობ, ეგ არაფერი. გაიზრდები და დაგავინწყდება”. - ასეთი თანაგრძნობა კომუნიკაციის ბლოკირებას იწვევს, რადგან ბავშვი ფიქრობს, რომ მისი არ ესმით და მისი ტკივილი გააუფერულეს.

## **გამოკითხვა, კითხვების ქარცეცხლი – ე.წ. არაეფექტური კითხვები:**

კითხვების ქარცეცხლში გატარება (“რა მოხდა? რატომ ხარ ცუდ ხასიათზე? თავი ხომ არ გტკივა? ცუდი ნიშანი მიიღე? იქნებ გაგაბრაზეს?”) შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მშობელი ბავშვს არ ენდობა და რალაც ეჭვები უჩნდება ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით. ხშირად ისინი კითხვების მიღმა მუქარას ამჩნევენ.

ზოგჯერ კი ბავშვი ფიქრობს, რომ მშობელი თავისი კითხვებით ცდილობს ინფორმაცია შეაგროვოს შვილის პრობლემის შესახებ, რათა მის მაგივრად მოაგვაროს და ბავშვს არ მისცეს საშუალება თვითონ იპოვოს გამოსავალი.

ზოგადად შეიძლება ითაქვას, ზედმეტი და არა კორექტული კითხვები ხშირად ბავშვს ზღუდავს თავისუფლად ისაუბროს თავის პრობლემაზე. ეს კი თავის მხრივ, ზღუდავს კომუნიკაციას.

## **უყურადღებობა, სარკაზმი, პრობლემის ხუმრობაში გატარება:**

ამ შემთხვევაში ბავშვი ფიქრობს, რომ დედას ის არ აინტერესებს და პატივს არ სცემს მის გრძნობებს. ბავშვები ძალიან სერიოზულები ხდებიან, როცა პრობლემაზე საუბარი სურთ. პრობლემის ხუმრობაში გატარება და სარკაზმი მათში ნყენას იწვევს. მძიმე განცდებიდან ყურადღების გადატანით შეიძლება დროებითი ეფექტი მივიღოთ, მაგრამ გრძნობები არ ქრება და პრობლემაც მოუგვარებელი რჩება. პატარებს, ისევე, როგორც უფროსებს, უნდათ, რომ პატივისცემით მოუსმინონ.

## **შედარება:**

სხვებთან მუდმივი შედარება ბავშვს უკარგავს საკუთარ გრძნობებზე მშობელთან საუბრის სურვილს, რადგან იცის, რომ ის არ მოსწონთ ისეთი, როგორიც არის და ყოველთვის გამოჩნდება ვინმე, ვინც მასზე მეტად მოეწონება მის მშობელს.

ეს მიდგომა იწვევს ბავშვის თვითშეფასების დაქვეითებას, აგრესიას მშობლის მიმართ და აგრეთვე იმ ბავშვების მიმართ, ვისაც ხშირად ადარებენ.

## სხვადასხვა რთული ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის მეთოდები

### *ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვები*

თვით-ინსტრუქციის ტექნიკა

Barkley-ის (As Cited in Shapiro, 1994) კოგნიტური თვით-ინსტრუქციის ტექნიკა ეხმარება ბავშვებს მოცემულ ამოცანაზე კონცენტრაციაში. მაგ. თერაპევტი დგას ბავშვის ზურგს უკან და ყოველ 5 წუთში იძლევა გამამხნეველ შენიშვნას. დამოუკიდებლად ამოცანის შესრულების სწავლა შესაძლებელია, თუ მოხდება მოცემული ამოცანის შერულების ყველა საფეხურის დაგეგმვა.

- იყავი შენს სამუშაო მაგიდასთან ზუსტად 5 საათზე;
- გადაალაგე სხვა ნივთები, ისე რომ მაგიდაზე მხოლოდ მოცემული დავალება გქონდეს;
- დარწმუნდი, რომ არაფერი გიშლით ხელს;
- დააყენე 30 წუთი მალვიძარაზე;
- იმუშავე მანამ ეს დრო არ გავა;
- ისევ დააყენე 5 წუთი და დაისვენე;
- მერე ისევ 20 წუთი დააყენე და იმუშავე, სანამ არ დარეკავს ზარი;
- შემდეგ დააყენე 5 წუთი და გადაამოწმე შესრულებული სამუშაო.

### *აგრესიული ბავშვები*

აგრესიის მართვის დროს გამოიყენებენ ე.წ. “კუს ტექნიკას”:

“კუს ტექნიკა”: ბავშვს ვუსხნით, თუ რას აკეთებს კუ, რათა თავი დაიცვას სხვების თავდასხმისგან. როგორც წესი, კუ შედის თავის ქერქში და რჩება იქ, სანამ თავს არ იგძნობს დანყნარებულად.

თერაპევტი არკვევს, თუ

- რა ინვესს ბავშვში გაბრაზებას;
- შემდეგ იყენებს როლურ თამაშს, რომ ასწავლოს „კუს“ ტექნიკა;
- შესაძლოა გამოიყენოს ე.წ. “სალეჭი რეზინის” ტექნიკა, ანუ წარმოიდგინოს, რომ ლეჭავს სალეჭ რეზინს, სანამ არ დამშვიდდება.

## **ემოციური პრობლემების მქონე ბავშვები**

სიცოცხლის ინტერვიუს ტექნიკა

- რეაქტიული: თერაპევტი ეხმარება კლიენტს მოახდინოს თავისი გრძნობების ვერბალიზაცია, პანიკური შიშის, ან დანაშაულის გრძნობის მართვა უშუალო პრობლემის ალტერნატიული გადაჭრის გზების მოფიქრებით.
- პროაქტიული: როდესაც მოხდება ემოციური პრობლემა - თერაპევტმა უნდა განიხილოს ის საკითხები, რომელმაც გამოიწვია ეს შემთხვევა. ირაციონალური აზრების განხილვა. რისი მიღწევა უნდა ამით ბავშვს. ყურადღების მიქცევა? საჭიროა სხვა გზების მონახვა ამ მიზნის მისაღწევად. სტრესულ მოვლენებზე ალტერნატიული რეაქციების სწავლა.

არტ-თერაპია: ფსიქოდინამიკური მიდგომა

- გააფერადე შენი ცხოვრება, ტექნიკა - ეხმარება ბავშვებს გაიგონ თავიანთი აფექტური მდგომარეობა. აფექტურ მოვლენებზე მსჯელობა, ვერბალიზაციის ხელშეწყობა.
- თავდაპირველად ბავშვმა უნდა შეაწყვილოს რაიმე ემოციური მდგომარეობა რომელიმე ფერთან.
- როცა ეს შეწყვილება დამთავრებულია, ბავშვს ეძლევა ცარიელი ფურცელი და ევალება დახატოს ის ფერები, რომელიც შეეფერება მის გრძნობებს.
- გაფერადების დროს მიმდინარეობს მასთან საუბარი თუ რას გრძნობს მოცემულ ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებით.

პროექციული ხატვის ტექნიკა

- ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტექნიკა არის “დახატე ადამიანი” ტესტი, გენეტიკური ოჯახის სურათი (დახატე ოჯახი რაღაცის კეთების პროცესში), ტესტი “ადამიანი, სახლი, ხე”.
- ამ ტექნიკების სუსტი მხარე ის არის, რომ ბავშვებს ეზარებათ ხატვა, არ აქვთ ხატვის უნარი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ხატვა გადაიქცეს ისეთ თამაშად, სადაც შესაძლებელია პრიზების მოგება.

## **დაუმორჩილებელი ბავშვი**

თერაპევტი ატარებს ტრენინგს მშობლებისათვის, რომლის დროსაც კეთდება შემდეგი აქცენტები:

1. უშუალო შედეგების დაფიქსირება - პოზიტიური ქცევის შექება, ხოლო ნეგატიური ქცევის კრიტიკა.

2. სპეციფიკურობა - რეაქცია უნდა იყოს სპეციფიკური და მიმართული იყოს ბავშვის ქცევაზე და არა გენერალიზირებული მის პიროვნებაზე.
3. შედეგების მუდმივობა-საჭიროა ბავშვის ქცევის კონტროლთან დაკავშირებით მშობლებს შორის არსებობდეს თანხმობა (მაგ. მშობლებმა ბავშვს ერთი და იგივე აკრძალვები უნდა დაუწესონ).
4. ჯილდოს პროგრამის დანესება ალტერნატიული ქცევებისთვის.
5. დასჯა - არაშესატყვისი ქცევისათვის.
6. ცუდი ქცევის წინასწარმეტყველება. იმ სიტუაციების ანალიზი, სადაც ბავშვი ხვდება პრობლემებს. მუშაობა ბავშვთან იმაზე, რომ მართოს რთული ქცევა.
7. ოჯახური ინტერაქციის ორმხრივობა (არც ბავშვი და არც მშობელი არ უნდა დავადანამაულოთ).

**ურთიერთობის თამაშის თერაპია Moustakas, C. (1997)**

ამ თერაპიის ძირითადი აქცენტები კეთდება შემდეგზე:

- არადირექტიული ურთიერთობა, რომელიც მოიცავს აქტიურ ურთიერთგაზიარებას თერაპევტს და ბავშვს შორის;
- თერაპევტი შედის ბავშვის სამყაროში და ახდენს ფოკუსს ბავშვის გრძნობებზე და სურვილებზე. ეს აძლიერებს ბავშვის უნარს, გამოიკვლიოს საკუთარი თავი და სხვები;
- ბავშვის უპირობო მიღება;
- თბილი და მზრუნველი გარემო;
- ბავშვის რეალობის გაგების მცდელობა;
- არა პრობლემებზე ან სიმპტომებზე მუშაობა, არამედ ბავშვის გრძნობებზე;
- არაადეკვატურობის და დესტრუქციულობის დაძლევა;
- თერაპევტი - ადამიანი, რომელიც ცდილობს ბავშვის რეალობის გაგებას და აღქმას;
- საზღვრების დანესება;
- ლიმიტები განსაზღვრავს ურთიერთობის საზღვრებს. ეს უზრუნველყოფს უსაფთხო გარემოს და ბავშვს აძლევს თავისუფალი თამაშის შესაძლებლობას. ამის წყალობით სათამაშო გარემო გადაიქცევა ნამდვილ რეალობად;
- აქ და ამჟამად პრინციპი.

თერაპიისათვის საჭიროა:

- თერაპიის სივრცე და სათამაშოები, რომელიც ადვილად მისაწვდომია;
- თავისუფლების ატმოსფერო, ბავშვის ნახალისება გააკეთოს არჩევანი,

გადანყვიტოს საკუთარი ინტერესის, სურვილის და მოწონების საფუძველზე;

- მშვიდი, უსაფრთხო და პრივატული გარემოს შექმნა;
- მზრუნველობის კომუნიკაცია - სხეულის ენის და სიტყვების საშუალებით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Barkley, R. A. (1987). Assessment methods in parent training. In R. A. Barkley (Ed.), *Defiant children: a clinician's manual for parent training* (pp. 23-40). New York: The Guilford Press.
2. Barkley, R. A. (1987). Overview of the training program. In R. A. Barkley (Ed.), *Defiant children: a clinician's manual for parent training* (pp.49-57). New York: The Guilford Press.
3. Bodiford-McNeil, C. Hembree-Kigin, T.L. & Eyberg, S.M. (1996). Structuring the play therapy session. In C. Bodiford-McNeil, T. L. Hembree-Kigin & S.M. Eyberg (Eds.), *Short-term play therapy for disruptive children* ( pp. 9-17). Pensilvania: King of Prussia, The center for applied psychology, Inc.
4. Bodiford-McNeil, C. Hembree-Kigin, T.L. & Eyberg, S.M. (1996). Strategies for managing disruptive behavior. In C. Bodiford-McNeil, T. L. Hembree-Kigin & S.M. Eyberg (Eds.), *Short-term play therapy for disruptive children* (pp. 29-38). Pensilvania: King of Prussia, The center for applied psychology, Inc.
5. DSM IV (2004) Diagnostic and Statistical Manual of mental disorders. Forth edition.
6. Hibbs & Jensen (1996). *Psychosocial treatments for child and adolescent disorders*. Washington.
7. ინდივიდუალური ზრუნვის მეთოდები, გზამკვლევი ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებისათვის: "პირველი ნაბიჯი", "საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია", "გადავარჩინოთ ბავშვები", "ჩვენი სახლი", "ევრიჩაილდი", "World Vision Georgia": 2010 თბილისი, საქართველო;
8. Moustakas, C. (1997). *Relationship Play Therapy*. In C. Moustakas, (Ed.), *Relationship play therapy* ( pp 1-19). Northvale, New Jersey: Jason Aronson Inc.
9. Schulman (1999). *The skills of helping individuals, families, groups and communities*. (4<sup>th</sup> edition). Itaska, IL: Peacock Press.
10. Shapiro, L. E. (1994). Play techniques. In L. E. Shapiro (Ed.), *Tricks of the trade: 101 psychological techniques to help children grow and change* (pp. 151-177). Pennsylvania: King of Prussia, The Center for Applied psychology, Inc.
11. საძაგლიშვილი, შ., საღეჭციო მასალები, ოჯახებთან და ბავშვებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: 2008.



### აგრესია და მასთან დაკავშირებული ცნებები

აგრესიის თეორიების განხილვამდე კარგი იქნება თუ მოვახდენთ სამი ტერმინის: აგრესიის, მტრობის და სიბრაზის ერთმანეთისაგან განსხვავებას, რადგანაც ისინი არ წარმოადგენენ იდენტურ ცნებებს. თუმცა, ხშირად იმდენად არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთში, რომ ძნელია მათი დიფერენცირება (Buss, 1961).

ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, ეს სამი ტერმინი ეხება ქცევის სამ განსხვავებულ ასპექტს, კერძოდ, აგრესია არის ინსტრუმენტალური რეაქცია, რომელსაც განზრახული აქვს სხვა ორგანიზმისთვის ტკივილის ან ზიანის მიყენება სიბრაზე არის ემოციური რეაქცია, რომელიც მოიცავს ავტონომიურ რეაქციებს და სხეულებრივ-სახით შესტიკულაციას. მტრობა არის ნეგატიური სოციალური განწყობა, მყარი დისპოზიციური პასუხი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მიერ მოვლენების ნეგატიურ შეფასებას და დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის, რადგანაც მის განვითარებაში მონაწილეობს იდენტიფიკაციისა და კატეგორიზაციის პროცესები, რაც აუცილებლად გულისხმობს სიმბოლოებით აზროვნებას (Buss, 1961). სიბრაზე და მტრობა შეიძლება გახდნენ აგრესიის გამომწვევი კომპონენტები, თუმცა მათი არსებობა არ წარმოადგენს აგრესიული ქცევის აუცილებელ პირობას. ამდენად, აგრესია, მტრობა და სიბრაზე შესაძლოა განხორციელდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. სიბრაზე შეიძლება გახდეს აგრესიული პასუხის ნაწილი, როცა მისი ავტონომიური რეაქციების და სხეულებრივ-სახის შესტიკულაციური ელემენტების გაზრდის შედეგად ხორციელდება შეტევითი აგრესიული ქცევა ასევე, მტრობა შეიძლება გახდეს აგრესიის გამომწვევი კომპონენტი, როცა ადგილი ექნება აგრესიის მსხვერპლის მიმართ ძლიერ გულისწყრომას და მის ნეგატიურ შეფასებას (Buss, 1961).

გავრცელებული განმარტების მიხედვით, “აგრესია არის ქცევის ნებისმიერი ფორმა (და არა ნეგატიური ემოცია ან სოციალური განწყობა-ატიტუდი), რომელიც მიზნად ისახავს ტკივილის ან ზიანის მიყენებას სხვა ცოცხალი არსებისათვის, რომელიც თავის მხრივ მოტივირებულია თავი დააღწიოს ამგვარ მოპყრობას” (Бэрон & Ричардсон, 1997, გვ. 26). თუმცა აგრესიის განსაზღვრებაში ზიანის მიყენების კრიტერიუმის შემოტანა ქმნის სერიოზულ სირთულეებს, რადგანაც განზრახვა არის პიროვნული და ფარული, ამგვარად, პირდაპირი დაკვირვებისათვის მიუწვდომელი (Buss, 1961, Bandura, 1973). ამ განსაზღვრების მიხედვით, სადო-მაზოხისტური ურთიერთობა არ ითვლება აგრესიად, რადგანაც სახეზე არაა მსხვერპლის მოტივაცია გაექცეს ტანჯვას. ასევე, თვითმკვლელობაც არაა განხილული აგრესიად, რადგანაც აგრესორი საკუთარი თავის მსხვერპლია (Бэрон & Ричардсон, 1997).

მთელი რიგი ავტორები მიუთითებენ, რომ აგრესიის გამოხატვის მრავალ-ფეროვნების გამო ძალზედ სასარგებლოა აგრესია ქცევის კონცეპტუალური საზღვრებით შემოფარგვლა, კერძოდ, მისი დიქტომიების სახით წარმოდგენა: მტრული—ინსტრუმენტული, ფიზიკური—ვერბალური, პირდაპირი—ირიბი, აქტიური—პასიური (Buss, 1961; Feshbach, 1964, 1970), კონსტრუქტული—დესტრუქტული (Фромм, 1998). მოკლედ განვიხილოდ ეს დიქტომიები:

მტრულ და ინსტრუმენტულ აგრესიას განიხილავენ, როგორც აგრესიის ორ ქვეკლასს (Buss, 1961). ბარონის მიხედვით, ტერმინი მტრული აგრესია აღნიშნავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც აგრესორის მთავარ მიზანს წარმოადგენს მსხვერპლისთვის ტანჯვის მიყენება, ხოლო ინსტრუმენტული აგრესიის დროს კი სხვისთვის ტანჯვის მიყენება არაა თვითმიზანი, არამედ არის ინსტრუმენტი ანუ საშუალება სხვადასხვა სურვილების განხორციელებისათვის (Baron, 1977; ნადირაშვილი, 2001). ინსტრუმენტული აგრესიის მიზანი შეიძლება იყოს იძულება ან თვითგანმტკიცება (Tedesch, 1983).

სხვისთვის ზიანის ან ტკივილის მიყენების კლასიფიკაცია შეიძლება ორგვარად: კერძოდ, ორგანული სისტემების ბაზაზე (ვერბალური-ფიზიკური) და პიროვნებათშორისი ურთიერთობების ბაზაზე (აქტიური-პასიური, პირდაპირი-ირიბი) [Buss, 1961].

Buss (1961) მიხედვით, ფიზიკური აგრესია გულისხმობს ორგანიზმზე თავდასხმას სხეულის ნაწილებით ან იარაღით, რასაც შედეგად მოსდევს ტკივილი და დაზიანება. ფიზიკური აგრესიის ინტენსივობა იზომება დაზიანების სერიოზულობით. შემთხვევითი დაზიანება კლასიფიცირდება არააგრესიულად, განსხვავებით შემთხვევით დაუზიანებლობისა, რომელიც განიხილება აგრესიულ აქტად. ამ განსაზღვრებაში მითითებულია, რომ აგრესიული ქცევის მსხვერპლი არის ორგანიზმი ანუ ცოცხალი არსება. არაცოცხალი ობიექტის დაზიანება არ განიხილება აგრესიულ ქცევად, მაშინ როცა საგანი არაა აგრესიული ქცევის მსხვერპლის კერძო საკუთრება (Buss, 1961), თუმცა არსებობს უფრო მრავლისმომცველი განსაზღვრებები, სადაც აგრესიად განიხილება ისეთი მოქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს არა მხოლოდ ადამიანს და ცხოველს, არამედ ნებისმიერ არაცოცხალ ობიექტს (Фромм, 1998).

ვერბალური აგრესია არის სიტყვიერად გამოხატული პასუხი, რომელიც ტანჯვას აყენებს სხვას ამ უკანასკნელის უარყოფის ან მასზე დამუქრების საშუალებით. ამასთან, უარყოფა შეიძლება იყოს არავერბალურიც (მაგ. ყესტებით ზიზლის გამოხატვა). უფრო ხშირად კი იგი ვერბალურია (სხვისი პირდაპირი გაგდება, მტრული შენიშვნა, კრიტიკა, დამცირება, ლანძღვა) [Buss, 1961].

აგრესორი ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებს ისეთ ფორმებს, რომლებიც იძლევა კონტრშეტევის თავიდან აცილების შესაძლებლობას, კერძოდ ირიბ აგრესიას, სადაც ძნელია აგრესორის იდენტიფიკაცია (Buss, 1961). ირიბი აგრესია შეიძლება იყოს ვერბალური (მაგ. ჭორები) ან ფიზიკური (ვინმეს კერძო

საკუთრების განადგურება ანუ მსხვერპლზე შეტევა იმ ობიექტების საშუალებით, რომელიც მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული). ირიბი აგრესია შეიძლება გადავიდეს არააგრესიულ დესტრუქციაში თუ დაზიანებული საგანი არავის არ ეკუთვნის და დესტრუქციული აქტი არაა განმტკიცებული სხვისი დანაკარგით ან დისკომფორტით (Buss, 1961). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ Buss (1961) ანსხვავებს აგრესიას და დესტრუქციის ცნებებს. მისი აზრით, აგრესია არის შეტევა ორგანიზმის წინააღმდეგ, ხოლო დესტრუქცია კი – საგნების წინააღმდეგ.

აგრესიული პასუხების უმრავლესობა არის აქტიური ანუ აგრესორი ახორციელებს ინსტრუმენტულ პასუხს, რომელიც ზიანს აყენებს სხვას, თუმცა შესაძლოა აგრესიის გამოხატვა პასიური გზით, კერძოდ, აგრესიული ქცევის მსხვერპლისათვის მიზნის მიღწევის ბლოკირებით.

პასიური აგრესიის უმრავლესობა არის პირდაპირი – აგრესორი ახდენს მსხვერპლის მიმდინარე ქცევის ბლოკირებას. პასიური ირიბი აგრესია კი იშვიათია, მაგრამ შესაძლებელია (მაგ. შიმშილობა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში აგრესორი სხვას აყენებს ზიანს უბრალოდ საკუთარი არსებობით ან საკუთარი თავის უარყოფით. ამ სახის აგრესია დიდად განსხვავდება აქტიური პირდაპირი აგრესიისგან და შესაძლოა წარმოადგენდეს აგრესიულობასა და არააგრესიულობას შორის ზღვრულ მდგომარეობას (Buss, 1961). როცა შეტევა არის პასიური, აგრესიული ქცევის მსხვერპლს უჭირს პასიური აგრესორის დადნაშაულება ან იმის განსაზღვრა, განხორციელდა თუ არა საერთოდ აგრესია, განსხვავებით აქტიური შეტევისა, რომელიც იწვევს შურისძიებას. აქედან გამომდინარე, პასიური აგრესია არის დაქვემდებარებულის საუკეთესო იარაღი თავისი ზემდგომის წინააღმდეგ.

და ბოლოს, ე. ფრომი ანსხვავებს ბიოლოგიურად აუცილებელ ანუ თავდაცვის მიზნით განხორციელებულ აგრესიას — კონსტრუქტულ აგრესიას და სპეციფიკურ ადამიანურ ვნებას, აბსოლუტურად გაბატონდეს სამყაროზე – დესტრუქტულ აგრესიას (Фромм, 1998).

## **ოჯახური ძალადობა**

### ***ოჯახში აგრესიის გამომწვევი მიზეზები***

ნორმალურად ფუნქციონირებადი ოჯახი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფუნქციებს, რის შედეგადაც კმაყოფილდება ოჯახის, როგორც მთელის, ისევე მისი თითოეული წევრის ზრდისა და განვითარების მოთხოვნილება (Эйдемиллер & Юстишкис, 1999). Jackson (1965)-ის თანახმად, კარგი ოჯახი ხასიათდება შემდეგი თვისებებით: მიმტევებლობა, ურთიერთპატივისცემა, პატიოსნება, ერთად ყოფნის სურვილი, ინტერესების და ღირებებულებების მსგავსება. ოჯახის სტაბილურობას განაპირობებს ოჯახის წევრების მიერ

ერთობლივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე მოლაპარაკების წარმოების ანუ კონფლიქტების კონსტრუქტულად მოგვარების უნარი.

დისფუნქციონალურ ოჯახებს არ შესწევთ იმის ძალა, რომ დააკმაყოფილონ ოჯახის წევრების პიროვნული და სულიერი ზრდის მოთხოვნები. ოჯახში, სადაც სუფევს მუქარის, სიმკაცრის და კონფლიქტის ატმოსფერო ხშირია პიროვნების დამახინჯება. დასწავლის თეორეტიკოსების აზრით, სწორედ ოჯახს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ბავშვის აგრესიულობის ჩამოყალიბებაში. ხანგრძლივ ვადიანი კვლევები ამტკიცებს, რომ ბავშვობაში ჩამოყალიბებული აგრესიული ქცევა არის დროში სტაბილური და ნაკლებადაა დამოკიდებული სიტუაციაზე (Deluty, 1985; Huesmann et al, 1984; Olwens, 1979).

Huesmann და მისი კოლეგები 22 წლიანი ექსპერიმენტული მონაცემების შეჯამების შემდეგ ასკვნიან: „მას შემდეგ რაც ინდივიდი გამოიმუშავებს აგრესიული რეაქციების დამახასიათებელ სტილს, როგორც ჩანს იგი ინარჩუნებს მას დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე“ (Huesmann et al, 1984, გვ. 80). ასე რომ, იმის ცოდნით თუ როგორ იქცეოდა ადამიანი ბავშვობაში, გარკვეული ალბათობით შეიძლება ვინიანსწარმეტყველოთ მისი ქცევა სიმწიფის ასაკში.

ამრიგად, ოჯახს შეუძლია მოახდინოს აგრესიული ქცევის მოდელის დემონსტრირება და ამავე დროს, უზრუნველყოს მისი განმტკიცება. ბავშვის აგრესიული ქცევის განმტკიცების მთავარი მექანიზმებია: სხვების აგრესიულ ქცევაზე დაკვირვება და ძალადობის მსხვერპლად ყოფნა.

## 1) სხვების აგრესიულ ქცევაზე დაკვირვება

მშობლები თავიანთი პირადი მაგალითით, ხშირად ამგვარი განზრახვის გარეშე, ზემოქმედებას ახდენენ საკუთარ შვილებზე. ძალადობის თვითმხილველ ბავშვს თვალწინ ეშლება ქცევის ახალი საზღვრები, იგი სწავლობს ახალ აგრესიულ ქცევებს, რომელიც ადრე არ იყო მის ქცევით რეპერტუარში. გარდა ამისა, ბავშვი აკეთებს დასკვნას, რომ მისთვისაც ნებადართულია ამგვარი საქციელი ანუ ადგილი აქვს აკრძალვის მოხსნის ეფექტს. უფრო მეტიც, ძალადობის სცენების მუდმივი დაკვირვება ხელს უწყობს სხვისი ტკივილის მიმართ ემოციური მგრძობელობის დაკარგვას (Thomas, Horton, Lippincott & Drabman, 1977). ბოლოს, აგრესიის მუდმივი დაკვირვება შესაძლოა ცვლის რეალობის ინდივიდუალურ ხატს, რაც ნიშნავს იმას, რომ ინდივიდი მიდრეკილია გარე სამყარო აღიქვას, როგორც მის მიმართ მტრულად განწყობილი და აქედან გამომდინარე უძლიერდება რა საფრთხის შეგრძნება, სავარაუდოა, რომ იგი გარემოზე უფრო აგრესიულ რეაგირებას მოახდენს (Thomas & Drabman, 1978; Williams, Zabrack & Joy, 1982). ასე რომ, დაკვირვების გზით დასწავლა არის კარგად შესწავლილი ფენომენი და მას მთავარი როლი ენიჭება ადამიანზე ძალადობის ქცევების მაგალითების ზემოქმედების ახსნაში (Bandura, 1973; Geen, 1990; Avakame, 1998).

## 2) ძალადობის მსხვერპლად ყოფნა

ბავშვის მიერ აგრესიული ქცევის დასწავლის მეორე მნიშვნელოვანი გზაა — ძალადობის მსხვერპლად ყოფნა ანუ პირდაპირი განმტკიცება დასჯა-წახალისების გზით. აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს მშობლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, და-ძმებს შორის ურთიერთობები, ოჯახში გამეფებული მართვის (ხელმძღვანელობის) სტილი, ძალაუფლების განაწილებისა და გადაწყვეტილების მიღების მანერა, ოჯახური სტრუქტურის გამოწვევი მიზეზები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვები აგრესიულობას სწავლობენ არა მხოლოდ ოჯახში, არამედ ასევე თანატოლებთან ურთიერთობის დროს და ზოგჯერ მას-მედიიდან. ერთ-ერთი ავტორის მიხედვით, კულტურული ნორმები, რომლებიც ოჯახურ ძალადობას მისაღებად მიიჩნევენ, ხელს უწყობს ბავშვის აგრესიულობის ჩამოყალიბებას (Straus, 1980). ამრიგად, ამ ფაქტორებმა შეიძლება განსაზღვრონ ბავშვის აგრესიული ქცევა ოჯახში და მის გარეთ ასევე, ზეგავლენა მოახდინონ მთელი ცხოვრების მანძილზე გარშემომყოფებთან ბავშვის ურთიერთობებზე.

ჩვენ შევჩერდებით აგრესიის ოჯახურ დეტერმინანტებზე:

### **მშობლებს შორის ურთიერთობა:**

“ოჯახური ძალადობის ციკლის“ კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანები, რომლებიც “ბავშვობაში იყვნენ მშობლებს შორის ფიზიკური ძალადობის მონაწილე, არიან უფრო მიდრეკილნი, ოჯახური პრობლემების გადაწყვეტისას თავიანთი მეუღლეების მიმართაც აგრესიულად მოქცნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც არასოდეს ყოფილან მშობლების ჩხუბის მონაწილე (Gelles, 1987; Rogers & Holmbeck, 1997; Anglin & Munroe, 1997; Rudo, Powell, Dunlap, 1998). ასევე, დამტკიცდა, რომ მშობლებს შორის ძალადობის მონაწილე ბავშვები მიდრეკილნი არიან გარშემომყოფების მიმართაც მოქცნენ აგრესიულად (Cummings, Iamotti, Zahn-Waxler, 1985; Steinmetz, 1987; Hamby and Gray-Little, 1997; Avakame, 1998).

### **მშობელი-შვილის ურთიერთობა:**

გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მშობელი-შვილის ნეგატიური ურთიერთობა განაპირობებს ბავშვის აგრესიულ რეაქციებს. კერძოდ, როცა ბავშვებს ნეგატიური ურთიერთობა აქვთ ერთ-ერთ ან ორივე მშობელთან, გრძნობენ, რომ ისინი მშობლებს არ სჭირდებათ და არა აქვთ მშობლის მხარდაჭერა, უფრო მეტადაა სავარაუდო, რომ ჩაერთვებიან დანაშაულებრივ საქმიანობაში. სხვა ბავშვების მიმართ ამხედრდებიან, დაუპირისპირდებიან საკუთარ მშობლებს, ხოლო თანატოლები და სხვები მათ შეაფასებენ, როგორც აგრესიულებს. (Lefkowitz, 1971).

დადასტურდა, რომ დანგრეულ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები, სადაც არის ანარქია, უნესრიგობა, გულგრილობა სხვა ადამიანის გრძნობებისადმი,

არასაკმარისი მხარდაჭერა და ფიზიკური სისასტიკე ხშირად ჩადიან პოლიტიკურ მკვლევარებს (Steinmetz, 1987).

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ქალები, რომლებსაც საკუთარი დედები არ აქცევდნენ ყურადღებას და მშობლებისგან არ იღებდნენ საკმარის მხარდაჭერას, არიან მიდრეკილნი თავიანთი შვილების მიმართ გამოიყენონ დამსჯელობითი აღზრდის მეთოდები (Crockenberg, 1987; ციტ. Бэрон & Ричардсон; Gordis, Margolin & John, 1997; Avakame, 1998).

მიჯაჭვულობის თეორიის თანახმად, ძირითადი მომვლელის (უფრო ხშირად დედა) მიმართ ადრეულ ბავშვობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობის მანერა, რომელიც შეიძლება იყოს უსაფრთხო, შფოთიანი ან ამრიდებელი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას მოზრდილობაში და განსაკუთრებით მისი პიროვნებათშორისი ურთიერთობების თავისებურებებს (Bowlby, 1980; Amsworth, 1989; cit. Myers et al, 2000 –ის მიხედვით). უსაფრთხოდ მიჯაჭვულ ბავშვებს, რომელთაც დედასთან ჰქონდათ სტაბილური და გულისხმიერი ურთიერთობა — მომავალში ექნებათ კარგად განვითარებული სოციალური ჩვევები, ენდობიან სხვა ადამიანებს და აინტერესებთ ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობები. ბავშვობაში შფოთიანი ურთიერთობის მქონე პიროვნებები შესაძლოა ეჭვის თვალთ უყურებდნენ გარე სამყაროს, გახდნენ ეგოისტები, ემოციურად ფეთქებადნი, იმპულსურნი და აგრესიულნი. მათ ახასიათებთ ურთიერთობის მრავალჯერადი განწყვეტა ერთი და იმავე პარტნიორთან. ბავშვობაში უკონტაქტო ანუ თავის ამრიდებელი მიჯაჭვულობის პიროვნებები ნაკლებად ემორჩილებიან კონტროლს, გაურბიან ზედმეტ სიახლოვეს და ამდენად, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ახლო ურთიერთობების დამყარებით და შეუძლიათ ადვილად განწყვიტონ ახლო ურთიერთობები. ისინი მიდრეკილნი არიან “ერთი ღამის სექსისადმი”, რომელიც არ გულისხმობს სიყვარულს (Feeney & Noller, 1990; Simpson et al, 1992; Cohn, 1990; cit. Myers, 2000-is mixedviT).

### **და-ძმებს შორის ურთიერთობა**

ბავშვის და-ძმასთან ურთიერთობა ქმნის აგრესიულ ქცევის დასწავლის საფუძველს. არსებობს მოსაზრება, რომ ინდივიდის სოციალიზაციაზე (რომლის შედეგადაც ბავშვი ითვისებს ქცევის ძალისმიერ მოდელს) და-ძმებს შორის ძალადობის არსებობა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე სხვა ოჯახური ურთიერთობები (Gully et al, 1981; ციტ. Бэрон & Ричардсон, 1997). ასევე დადგინდა, რომ აგრესიული ბავშვების და-ძმები მიდრეკილები არიან უპასუხონ თავდასხმას კონტრმეტევიტ, განსხვავებით არააგრესიული ბავშვების და-ძმებისგან (Patterson, Chamberlain, Reid, 1982).

### **ოჯახში გამეფებული მართვის სტილი**

ოჯახური ურთიერთქმედების ერთ-ერთი საინტერესო ასპექტია — ოჯახური

მართვის (ხელმძღვანელობის) სტილი ანუ მშობლების ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების სწორ გზაზე დაყენებას. ოჯახური ხელმძღვანელობის პრაქტიკასა და აგრესიულ ქცევას შორის დამოკიდებულების შესწავლის შედეგად გამოიყო ორი ძირითადი ფაქტორი: დასჯის ხასიათი და სიმკაცრე და მეორე, მშობლის კონტროლი (ანუ მზრუნველობის ხარისხი, საკუთარი ბავშვების ცოდნა) და თანმიმდევრულობა (ნაყენებული მოთხოვნებისა და დისციპლინარული მეთოდების მუდმივი ხასიათი). დადგინდა, რომ მკაცრი დასჯა დაკავშირებულია ბავშვის აგრესიულობის მაღალ დონესთან (Huesmann & Eron, 1984; Olweus, 1979), არასაკმარისი კონტროლი და ზედამხედველობა კორელაციშია ასოციალურობის მაღალ დონესთან, რომელიც ნაწილობრივ აგრესიულ ქცევასთან ერთად იჩენს თავს (Loeber & Dishion, 1984).

ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც ახდენს მშობლის ქცევის ოთხ ტიპად (ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური, ინდიფერენტული) დაყოფას მათი შვილებისადმი გამოვლენილი კონტროლის და მათდამი გამოხატული სითბოს მიხედვით, ინდიფერენტული მშობლები ყველაზე უარესები არიან (Baumrind, 1975; Maccoby & Martin, 1983).

ინდიფერენტული მშობელი გამოირჩევა შვილისადმი კონტროლის დაბალი დონით და მათდამი სითბოს ნაკლებობით და უგულისყურობით. ასეთი მშობლები თავიანთი შვილებისთვის არ ადგენენ თითქმის არანაირ შეზღუდვებს, რისი მიზეზიც შესაძლოა არის მათი ყოველდღიური პრობლემები და შვილებისადმი არასაკმარისი ინტერესი, რაც არ აძლევთ მათ შვილების აღზრდისათვის საჭირო ძალისხმევასა და დროს. როგორც აღნიშნავენ, მშობლის მართვის სტილი ზეგავლენას ახდენს ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე. ინდიფერენტული მშობლების შვილებს ამ მხრივ ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვთ. მშობლის მხრიდან კონტროლის არ არსებობის პირობებში ბავშვის დამანგრეველ იმპულსებს ეძლევათ ფართე გასაქანი. თუ ინდიფერენტული მშობლები თანაც მტრულები არიან, ბავშვები ხდებიან მიდრეკილნი დანაშაულისადმი. მართლაც, მცირეწლოვანი დამნაშავეების შესწავლა აჩვენებს, რომ ისინი იზრდებოდნენ ისეთ ოჯახებში, სადაც მშობლის ინდიფერენტულობას თან ერთვოდა მტრობაც (Bandura & Walters, 1959; McCord, McCord & Zola, 1959 cit. Bandura, 1973- ის მიხედვით).

აღმოჩნდა, რომ ავტორიტეტული მშობლების შვილები არიან ყველაზე უკეთესად ადაპტირებულნი. ავტორიტეტული მშობლები ახორციელებენ შვილებზე მაღალი დონის კონტროლს და ამავე დროს, მათთან აქვთ თბილი ურთიერთობები. ავტორიტეტული მშობლები ადგენენ თავიანთი შვილებისათვის შეზღუდვებს და მკაცრად იცავენ მათ მიერ შემუშავებულ წესებს, თუმცა ისინი უხსნიან თავიანთ შვილებს იმ შეზღუდვის მიზეზებს, რის გამოც მშობლის ქცევა შვილს არ ეჩვენება ძალისმიერად და უსამართლოდ. მათ შვილების მზარდი ავტონომიისადმი აქვთ დადებითი დამოკიდებულება და მზად არიან მოუსმინონ მათ და დაუთმონ კიდევ, როცა ეს გონივრულია. ყოველივე ამის გამო კი ავტორიტეტული მშობლების შვილებს აქვთ მაღალი თვითდარწმუნების დონე, მთლიანად

აკონტროლებენ საკუთარ თავს, არიან სოციალურად კომპეტენტურები. თანდათანობით მათ უვითარდებათ მაღალი თვითშეფასება. სკოლაში ისინი უკეთესად სწავლობენ (Buri, Louiselle, Misukanis & Mueller, 1988; Dornbusch, Ritter, Leiderman, Roberts & Fraleigh, 1987 ციტირებულია Craig, 1996- ის მიხედვით).

ლიბერალური მშობლების შვილებს აქვთ, იმის საშიშროება, რომ გახდნენ დაუჯერებლები, აგრესიულები, იმპულსურები, არასოციალურები, თუმცა ხდებიან აქტიურები, შემოქმედებითი პიროვნებები და აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა. ლიბერალური მშობლები ახორციელებენ რა შვილის მიმართ მცირე დონის კონტროლს (შეზღუდვებს) და აქვთ რა შვილისადმი საკმაოდ თბილი ურთიერთობები, თითქმის საერთოდ არ ახდენენ შვილის ქცევის რეგლამენტირებას და ავლენენ მათადმი ე.წ. “უპირობო სიყვარულს” მაშინაც კი, როცა ლიბერალური მშობლები გაბრაზებულნი არიან თავიანთი შვილის ქცევით, ცდილობენ თავშეკავებას. Baumrind-ის (1975) აზრით, ლიბერალური მშობლები იმდენად ხდებიან გატაცებულები “უპირობო სიყვარულის” გამოხატვით, რომ ხშირად ავიწყდებათ მშობლის ძირითადი ფუნქცია, რაც არის ბავშვისათვის აუცილებელი აკრძალვების და შეზღუდვების დადგენა, და შვილებს ღებულობენ ისეთებს, როგორებიც ისინი არიან. მათ ახასიათებთ შვილებთან ღია კომუნიკაცია, თუმცა დომინანტობა ამ კომუნიკაციაში შვილებიდან მომდინარეობს, რაც შესაძლოა გახდეს სწორედ შვილის იმპულსურობის ხელშემწყობი.

ლიბერალური მშობლის სრულ საწინააღმდეგო ტიპს წარმოადგენს ავტორიტარული მშობელი, რომლის შვილებიც ხდებიან ჩაკეტილები, გულ-დახურულები, პირქუშები, შფოთიანები, გაღიზიანებულები, რიგიდულები, უპრეტენზიოები და არ მიისწრაფიან დამოუკიდებლობისაკენ. უკვე მოზრდილობის ასაკში ბიჭები მძაფრად რეაგირებენ ყოველგვარ აკრძალვებზე და ზოგჯერ ხდებიან აგრესიულები და უმართავნი, გოგონები კი რჩებიან პასიურები და მშობლებზე დამოკიდებულები (Kagan & Moss, 1962). ავტორიტარული მშობლები შვილებზე ახორციელებენ მაღალი დონის კონტროლს (ადგენენ მკაცრ მოთხოვნებს და მკაცრად მოითხოვენ მათ მიერ დადგენილი წესების შესრულებას), რომელსაც თან ერთვის შვილებთან მათი მცირე თვითგახსნა და უფრო ცივი ურთიერთობები. ავტორიტარული მშობლები გასცემენ ბრძანებებს და მოელიან, რომ ეს ბრძანებები ზუსტად და უსიტყვოდ იქნება შესრულებული მათი შვილების მიერ. ისინი არიან თავშეკავებულები, მაგრამ არის გამონაკლისიც: ავტორიტარულმა მშობელმა თავისი შვილების მიმართ შესაძლოა ფიზიკური დასჯაც გამოიყენოს. ისენი არიან სტატიკურები და არ შეუძლიათ მათ მიერ დადგენილი წესების შეცვლა, რის გამოც ბავშვის ყოველი მცდელობა უფრო მეტი დამოუკიდებლობისაკენ მთავრდება ბავშვის ფრუსტრირებით (Baumrind, 1975).

დადგინდა, რომ ინდივიდები, რომლებიც ბავშვობაში ფიზიკურად ხშირად ისჯებოდნენ მშობლების მიერ, ხდებოდნენ უფრო აგრესიულები და საკუთარი შვილების მიმართაც იყენებდნენ დასჯის უფრო მკაცრ მეთოდებს, ვიდრე ისინი, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული ამგვარი გამოცდილება (Gelles, Straus, Stein-



metz, 1980; Huesmann & Eron, 1984). ასევე აღმოჩნდა, რომ ბავშვებს, რომლებსაც მშობლები ეჩხუბებიან, უფრო აგრესიულები არიან როგორც თავიანთი თანატოლების, ისე აღმზრდელების მიმართაც (George & Main, 1979; ციტ. Бэрн & Ричардсон, 1997 –ის მიხედვით).

როგორც ხედავთ, ძალადობა წარმოშობს ძალადობას და ფიზიკური დასჯა უფრო ზრდის, ვიდრე ამცირებს ბავშვების აგრესიულ ქცევას, რადგანაც აგრესიის კონტროლის მიზნით მკაცრი დასჯის გამოყენება ფაქტიურად წარმოადგენს ამგვარი ქცევის განმტკიცებას (Buss, 1961; Olweus, 1979; Steinmetz, 1987; Gelles, 1987). კერძოდ, მშობლები, რომლებიც სჯიან ბავშვებს, არიან მათთვის აგრესიულობის მაგალითის მიმცემნი ანუ ბავშვები სწავლობენ, რომ ფიზიკური აგრესია არის ადამიანზე ზემოქმედების და კონტროლის საშუალება (Bandura, 1986). ბავშვები, რომლებსაც ხშირად სჯიან თავიანთი მშობლები, ცდილობენ მათგან თავის დაღწევას და წინააღმდეგობის გაწევას და აღმოჩნდებიან ისეთ წრეში, სადაც მისაღებად ითვლება ძალზე რისკიანი საქციელი (Bandura, 1986). თუკი დასჯა ძალიან ალაგზნებს და ანერვიულებს ბავშვს, მათ შეიძლება დაივიწყონ ის მიზეზი, რისთვისაც ისჯებიან (Perry & Bussey, 1984; ციტ. Бэрн & Ричардсон, 1997-ის მიხედვით). და ბოლოს, ბავშვები, რომლებიც ცვლიან თავიანთ ქცევას ამ ძლიერი გარე ზემოქმედების შედეგად, სავარაუდოდ არ გადააქცევენ მას თავიანთ შინაგან ღირებულებად ანუ ისინი დაექვემდებარებიან უფროსს მანამდე, სანამ ის თვალს ადევნებს მათ საქციელს (Tricket & Kuczynski, 1986; ციტ. Бэрн & Ричардсон, 1997-ის მიხედვით). თუმცა არსებობს მონაცემები, რომლებიც ამტკიცებს, რომ დასჯამ შეიძლება გამოიწვიოს ქცევაში მყარი ცვლილებები, თუკი იგი გამოიყენება განსაზღვრული პრინციპით (Agnew, 1983; Blanchard & Blanchard, 1973; Peed, Roberts & Forehard, 1977; cit. Бэрн & Ричардсон, 1997-ის მიხედვით).

პირდაპირ წახალისებასა და დასჯასთან ერთად მშობლების უშუალო რეაქციამ შვილებს შორის აგრესიულ ურთიერთდამოკიდებულებებზე შესაძლოა ხელი შეუწყოს მათი აგრესიულობის განვითარებას, რადგანაც უმცროსი შვილები, როგორც სუსტები შეიძლება ელოდებოდნენ, რომ მშობლები მათ მხარს დაუჭერენ, ამიტომ ისინი დაუფიქრებლად ერთვებიან კონფლიქტში უფრო ძლიერ მონააღმდეგებთან და ხშირად პირველიც კი გამოდიან საჩხუბრად. ხოლო მშობლების ჩარევის გარეშე შვილებს შორის აგრესიული ურთიერთდამოკიდებულება უფრო იშვიათია, რადგანაც შვილები ნაკლებად უპირისპირდებიან ერთმანეთს ასაკით განპირობებული ძალების უთანასწორობის გამო (Patterson, Chamberlain, Reid, 1982).

### **ოჯახში ძალაუფლების განაწილება**

ოჯახში ძალაუფლების განაწილებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვის ქცევის აგრესიული მოდელების განვითარებას და მისი ავტორიტარული ხასიათის ჩამოყალიბებას. “ძალაუფლება არის დამახასიათებელი სისტემისათვის და

მდგომარეობს ინდივიდების პოტენციურ თუ აქტუალურ უნარში შეცვალოს სოციალური სისტემის სხვა მონაწილეთა ქცევა” (Cromwell & Olson, 1975, გვ. 5). ძალაუფლება ოჯახში არ განიხილება როგორც რაიმე ფიქსირებული ან სტატიკური, რადგანაც ოჯახური ქსელი მუდმივად იზრდება, იყოფა და კრისტალიზირდება. წყვილს შორის საწყისი ძალაუფლებრივი ურთიერთობა გაივლის უზარმაზარ ცვლილებებს, რომელზეც ოჯახური განვითარების ფაქტორების გარდა, ზემოქმედებას ახდენს უამრავი გარე ცვლადი, დაწყებული ეკონომიური ინფლაციიდან კულტურული ნორმების ცვლილებით დამთავრებული. ამასთან, ოჯახის თითოეულ წევრს აქვს სხვა წევრებზე ზეგავლენის მოხდენის ძალაუფლება იმ ოდენობით, რის ნებასაც მას სხვები ანიჭებენ (Galvin & Brommel, 1982).

ოჯახური ძალაუფლების საფუძველი დევს იმ რესურსებში, რომელსაც ფლობს თითოეული წევრი, რათა მიაღწიოს მიზანს და გააძლიეროს თავისი კონტროლი სპეციფიკურ სიტუაციაზე, მაგრამ თუ სხვები არ პასუხობენ პიროვნების ძალაუფლებრივ პოზიციებს, მაშინ ძალაუფლება არ განხორციელდება. არსებობს სოციალური ძალაუფლების შემდეგი ძირითადი წყაროები: დასჯა და იძულებითი ძალაუფლება, პოზიციური განმტკიცება დაჯილდო, კომპეტენტურობა ან ცოდნა, პოზიციის კანონიერება, იდენტიფიკაცია და მორალური ძალაუფლება, დამარწმუნებელი და ინფორმაციული ძალაუფლება (French & Raven, 1962; Raven, Centers, Rodrigues, 1975). როგორც წესი, ოჯახურ ურთიერთობებში ძალაუფლების ეს წყაროები არ არის თანაბრად გამოყენებული. ოჯახური ძალაუფლება წარმოიშობა სოციალური ურთიერთგაცვლის რესურსების ბალანსის დარღვევით (McCall & Simmons, 1966). ოჯახის წევრებს აქვთ ძალაუფლება სხვებზე იმ ხარისხით, რა ხარისხითაც შეუძლიათ სხვების ჯილდოების და ღირებულებების კონტროლირება. ისინი ცნობიერად თუ არაცნობიერად აღწევენ გარკვეულ მიზნებს იმ ქცევებით, რომელსაც იყენებენ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. როცა ოჯახის ერთად ყოფნის უარყოფითი შედეგები გადასწონის ურთიერთობიდან მიღებულ სარგებელს, მაშინ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დაშორებას, მიტოვებას, თვითმკვლელობას, მკვლელობას, ძალადობას და ა.შ.

კარგად ფუნქციონირებად ოჯახებში წევრები ცდილობენ ურთიერთდაჯილდოვებას, რათა მიღწეულ იქნას ჰარმონია (Galvin & Brommel, 1982). იმის მიუხედავად, რომ წყვილი ურთიერთობაში შედის არათანაბარი ძალაუფლებით, ურთიერთობა დროთა განმავლობაში ბალანსირდება. “ურთიერთგაცვლითი დამოკიდებულების დამყარების შემდეგ ცოლ-ქმარი იძენს იმის უნარს, რომ აღიქვას თითოეულისათვის ურთიერთობის შეფარდებითი დამაჯილდოვებლობა და განსაჯოს არის თუ არა იგი თანასწორი“ (Osmond, 1978, გვ. 51). საზოგადოებრივი პროცესები ზეგავლენას ახდენს ოჯახში ძალაუფლების განვითარებაზე. არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთის კულტურაში ძალაუფლების შედეგებს მართავს მამაკაცი. ქალთა უმრავლესობას აქვს მცირე შანსი მიაღწიოს ავტონომიას, იმ შემთხვევების გარდა, როცა ამის ნებას თვით ქმრები აძლევენ (Gillespie, 1971).

საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების სიახლეების მიუხედავად, ქართული ოჯახი ზოგად კონტურებში კვლავ ტრადიციულ და პატრიარქალურ სტრუქტურას ინარჩუნებს (დურგლიშვილი, 1997). სქესთა როლების განაწილება ქართულ ოჯახში ძირითადად ტრადიციული წარმოდგენებით განისაზღვრება, რომლის მიხედვით ოჯახში მამაკაცი უნდა დომინირებდეს იგი უნდა იყოს ოჯახის ხელმძღვანელი, სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიმღები და ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობაზე ძირითადი პასუხისმგებელი. ქალის ფუნქციები ძირითადად შვილების აღზრდით და ყოველდღიური საოჯახო საქმით შემოიფარგლება. იმის მიუხედავად, რომ გაიზარდა ოჯახში ქალის, როგორც ეკონომიური შემომტანის როლი, შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობისას ქართულ ოჯახში უფროსების ერთგვარი ავტორიტარიზმი და გადაჭარბებული მზრუნველობა შეინიშნება, რაც აისახება გადაწყვეტილების მიღებისას უმცროსი თაობის პასიურ როლში. ამასთან, სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, რომ ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლი ოჯახის ყველა წევრის მიერ კანონმზომიერ მოვლენად აღიქმება და კონფლიქტის ნაკლებ საფუძველს ქმნის (დურგლიშვილი, 1997).

ძალაუფლების სტრუქტურა ანუ ის, თუ როგორ არის გადანაწილებული ძალაუფლება ოჯახის წევრებს შორის ზეგავლენას ახდენს კონფლიქტის განვითარებაზე. ამ საკითხის განხილვამდე საჭიროა განვასხვავოთ ორი ცნება: დომინანტობა, რომელიც ახასიათებს დიადურ ურთიერთობას და დომინირებული ქცევა, რომელიც არის ინდივიდუალური ქცევის ასპექტი. დომინანტობის დროს პიროვნება მართავს ოჯახური ძალაუფლების ყველა სფეროს (რესურსების გამოყენებას, ძალაუფლების პროცესს და ძალაუფლების შედეგს) და ამასთან, მისი მოთხოვნები და მის მიერ განხორციელებული კონტროლი მიღებულია სხვების მხრიდან. კონტროლი წარმოადგენს ზეგავლენას ან ეფექტური მცდელობების რაოდენობას, რომელიც პიროვნებამ განახორციელა პარტნიორის ქცევის შეცვლის მიზნით (Cromwell & Olson, 1975). რაც უფრო მეტ ძალაუფლების სფეროს მართავს პიროვნება, მით უფრო დომინანტურია. დომინირებული ქცევის შემთხვევაში კი პიროვნებას აქვს სხვებზე დომინირების სურვილი. შესაძლოა ასეთი პიროვნება ყველაზე ბევრს და ყველაზე ხმამაღლა ლაპარაკობდეს, მაგრამ ვერ ფლობდეს ძალაუფლებას, რადგანაც სხვები მას არ ეთანხმებიან (Rogers, Millar & Millar, 1979). Allen da Straus-მა (1979) აღმოაჩინეს, რომ ქმრის დომინანტობითი ან ცოლის დომინანტობითი ძალაუფლების უკიდურესი სტრუქტურა ხასიათდება დიდი ძალადობით. აღმოჩნდა, რომ გათანაბრებული ძალაუფლებრივი სტრუქტურის დროს (კოორდინირებული და ავტონომიური ძალაუფლებრივი სტრუქტურა) ადგილი აქვს ოჯახურ კმაყოფილებას.

არსებობს მოსაზრება, რომ ძალაუფლება განისაზღვრება არა მხოლოდ ცოლისა და ქმრის მიერ გამოყენებული რესურსების ოდენობით, არამედ მათი პიროვნული თვისებებით, როგორცაა დომინანტურობა, ფიზიკური მომხიბვ-

ლელობა, იუმორის გრძობა, სოციალურობა; აგრეთვე, საჭიროა იმის გაგება, “თუ რა ხარისხით უყვართ და სჭირდებათ პარტნიორებს ერთმანეთი” (Berger, 1980, გვ. 210).

ბავშვების გაჩენის შემდეგ ოჯახში წარმოიქმნება ახალი ძალაუფლებრივი სქემა. ტრადიციულად მშობლები მოელიან, რომ გააკონტროლებენ და პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთი შვილების ქცევაზე. წყვილს სურს, რომ გაზარდოს კარგი ბავშვები, რომელთაც ექნებათ კარგი მანერები და ეცოდინებათ საზოგადოებაში თავიანთი ადგილი. კანონი მხარს უჭერს მშობლების ბავშვებზე ძალაუფლების იდეას. Hoffman-ი (1960) მიუთითებს, რომ “ჩვენს საზოგადოებაში, შესაძლოა პიროვნებას არ ქონდეს სხვაზე ისეთი სრულყოფილი ძალაუფლება, როგორც ამას ახორციელებენ მშობლები თავიანთ პატარა შვილებზე” (Hoffman, 1960, გვ. 27). ბავშვის ზრდასთან ერთად ოჯახში იქმნება კოალიციები და ალიანსები, რაც ცვლის ძალაუფლების საწყის ბალანსს. ბევრ ოჯახში ერთ-ერთი მეუღლე ცნობიერად თუ არაცნობიერად ახდენს შვილის საკუთარ მოკავშირედ გადაქცევას საკუთარი პოზიციის განმტკიცების მიზნით. ხშირად ასეთი ალიანსები იქმნება სქესობრივი მსგავსების ბაზაზე (მაგ., ბიჭები ერთიანდებიან მამასთან, გოგონები – დედასთან) ან შეიძლება იყოს მშობლების ერთმანეთთან და შვილების ერთმანეთთან ალიანსები (Turk & Bell, 1972; Mishler & Waxler, 1968).

ბავშვები ასაკის მომატებასთან ერთად მშობლებზე სრული დაქვემდებარების მდგომარეობიდან თანდათანობით გადადიან შედარებითი დამოუკიდებლობის მდგომარეობაში და მოიპოვებენ მეტ ძალაუფლებას ოჯახის სტრუქტურაში. იმ ოჯახებში, სადაც არ ხდება ძალაუფლების ურთიერთგაზიარება, განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს მოზრდილობის ხანა, რადგანაც დომინანტური მშობლები თავიანთი შვილების ახლად შეძენილ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას აღიქვამენ საკუთარი ძალაუფლების მიმართ საფრთხედ (Galvin & Brommel, 1982).

ბავშვისთვის ოჯახი წარმოადგენს ძალაუფლების საწყის ბაზას, რომელშიც იგი სწავლობს ფუნქციონირებას და ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე ახდენს იქ გამოყენებული სტრატეგიების განმეორებას. მაგ., ვაჟიშვილს, რომელიც გაიზარდა ოჯახში, სადაც ადგილი ჰქონდა მისდამი ფიზიკური კონტროლის გამოყენებას დომინანტური მამის მხრიდან და სხვა ალტერნატივის არ არსებობა იგი ეგუებოდა ამგვარ მოპყრობას, ძალზედ გაუჭირდება საკუთარი თავის წარმოდგენა მეუღლესთან თანასწორ ურთიერთობაში და ეცდება, რომ იყოს უფრო დომინანტური (Galvin & Brommel, 1982).

დომინანტური სტრუქტურის ოჯახში ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა კომუნიკაციურ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უშლის კონფლიქტის კონსტრუქციულ გადაჭრას. ასეთი სტრატეგიებია: უგულვებელყოფა (ქცევა, რომელიც არ აღიარებს სხვა პიროვნების არსებობას), პირდაპირი უარყოფა (პიროვნების ოჯახის სხვა წევრების მიმართ დამსჯელი განცხადებების გაკეთება), თვითგახ-

სნით მიღებული ინფორმაციული ძალაუფლება (ცოლ-ქმრის ჩხუბის დროს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორის საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება), ნეგატიური კონფლიქტური ქცევები, როგორცაა გადანაცვლება (პიროვნებას არ შეუძლია გაბრაზების პირდაპირი გამოხატვა და მას მიმართავს სხვა შემცველ ობიექტზე), უარყოფა (პიროვნება უარყოფს თავის გაბრაზებას თუ უკმაყოფილებას სხვა პიროვნების მიმართ, თუმცა სიტყვიერად გამოთქმულ ამგვარ განცხადებებს თან ახლავს მათი საწინააღმდეგო არავერბალური ინფორმაცია), დისკვალიფიკაცია (პიროვნება ნამდვილი ემოციის განზრახ დაფარვის მიზნით თავის გაბრაზებას მიაწერს სხვა უმნიშვნელო მიზეზს), გაუცხოება (ოჯახის წევრები თავიანთ მტრობას ერთმანეთისადმი გამოხატავენ ურთიერთობისგან თავის არიდებით. კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად ზედაპირულად უდგებიან არსებული პრობლემების გადაჭრას, რის გამოც გაბრაზება თანდათან გროვდება და ძაბავს ურთიერთობას), ფსევდო ორმხრივობა (ოჯახის წევრები ერთი შეხედვით ძალიან კმაყოფილები არიან თავიანთი ურთიერთობებით, ამგვარ ოჯახში იკრძალება რაიმე უთანხმოების გამოხატვა, რათა არ შეილახოს მათი ოჯახის სრულყოფილების ხატი) და სხვა. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად უგულვებელყოფა გადადის თაობიდან თაობამდე უცვლელად, რადგანაც ამგვარი კონტროლი ნასწავლია ცხოვრების ადრეულ წლებში და მისი მართებულობა ხშირად არ დგება ეჭვის ქვეშ (Galvin & Brommel, 1982).

### **ოჯახში გადანყვეტილების მიღების სტილი**

ოჯახში გადანყვეტილების მიღების სტილი არის ბავშვის აგრესიულობის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მოიცავს სასიცოცხლო კომუნიკაციურ ჩვევებს და პირდაპირ უკავშირდება ძალაუფლებას. სწორედ გადანყვეტილებები წარმოადგენს ძალაუფლების შედეგებს. გადანყვეტილების მიღება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, რადგანაც შესაძლებელს ხდის ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ოჯახური მიზნების რეალიზებას. გადანყვეტილების მიღებით ხორციელდება ოჯახური ხატების, თემების, ბიო-სოციალური რწმენების შემუშავება და გარე სამყაროსთან საზღვრების დამყარება.

ყველა ოჯახს აქვს სადავო საკითხებზე გადანყვეტილების მიღების თავისი საკუთარი გზა. Turner (1970) შეისწავლიდა რა ოჯახური გადანყვეტილების მიღების პეტერნებს, განასხვავებდა გადანყვეტილების მიღების ტიპებს იმის მიხედვით, თუ რა ხარისხით ღებულობენ ამ პროცესში მონაწილეობას ოჯახის წევრები. ესენია: კონსენსუსი, შეგუება და “დე-ფაქტო”.

**კონსენსუსის** დროს დისკუსია გრძელდება თანხმობის მიიღწევამდე. იგი შეიძლება მოიცავდეს კომპრომისს და ფლექსიურობას, მაგრამ სასურველი მიზანია ყველასათვის მისაღები გადანყვეტილების გაკეთება. თითოეულ წევრს შეაქვს თავისი წვლილი და ინაწილებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადანყვეტილებაზე.

**შეგუების** დროს ოჯახის წევრები ეთანხმებიან ერთ-ერთის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, რადგანაც დისკუსიაში შემდგომი მონაწილეობა არაპროდუქტიულად მიაჩნიათ. ამგვარი გადაწყვეტილება იმედგაცრუებულს ტოვებს ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც ვერ იკმაყოფილებენ თავიანთ სურვილებს. ხშირად შეგუებითი გადაწყვეტილების დროს ადგილი აქვს ფრაქციებად დაყოფას და გადაწყვეტილებები მიიღება უმრავლესობის მიხედვით. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენას ახდენენ დომინანტური წევრები, ხოლო ნაკლებ აგრესიულიები იძულებულნი არიან დამორჩილდნენ. ხდება დომინანტური და დაქვემდებარებული პოზიციების ჩამოყალიბება. შეგუებითი ტიპის გადაწყვეტილება დამახასიათებელია იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ახდენენ მაღალ შეჭიდულობაზე ზეწოლას თემების და საზღვრების საშუალებით. თუმცა, შეგუება ხელს უწყობს ოჯახური შეჭიდულობის და ადაპტურობის განვითარებას, მაგრამ ამგვარი შედეგები დროებითია, რადგანაც შეგუებითი გადაწყვეტილებითი კომუნიკაცია ნარმოადგენს კომპრომისს შიშსა და არათანაბარ ძალაუფლებას შორის. ყოველივე ეს დროთა განმავლობაში ინვევს ოჯახის წევრებს შორის იზოლაციას და ამცირებს ოჯახის შეჭიდულობის დონეს.

**“დე-ფაქტო”** – დროს ოჯახი ვერ იღებს გადაწყვეტილებას და დისკუსია შედის ჩიხში. თუმცა ოჯახის ზოგიერთი წევრი იქცევა თვითნებურად და ოჯახური თანხმობის გარეშე მაინც მოქმედებს თავისი სურვილების შესაბამისად. ხშირად ამგვარი გადაწყვეტილებები დამახასიათებელია ქაოტური ოჯახებისათვის. ოჯახებში, სადაც ამგვარ გადაწყვეტილებებს უფრო ხშირად ღებულობენ მაღალია ფრუსტრაციის დონე, მცირეა შეჭიდულობა და ერთმანეთის მიმართ ადაპტაცია ძალზედ გაძნელებულია.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული გადაწყვეტილების მიღების ტიპები შესაძლოა ფლექსიურმა ოჯახებმა გამოიყენონ იმის მიხედვით, თუ რა საკითხებს წრიან. მაგ., კრიტიკული პრობლემები შესაძლოა მოითხოვდეს კონსენსუსს, ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები შესაძლოა გადაწყდეს ხმის უმრავლესობით ან დე-ფაქტო ტიპის გადაწყვეტილებით. ამისგან განსხვავებით, რიგიდული ოჯახები ფიქსირდებიან გადაწყვეტილების მიღების ერთ რომელიმე ტიპზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ის, რომ წყვილი გადაწყვეტილების მიღების რომელ ტიპს ანიჭებს უპირატესობას, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გამოცდილება აქვთ მათ მიღებული ბავშვობაში ამ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთ ოჯახებში.

Steinmetz (1977) ამტკიცებს, რომ ძალადობა, როგორც პრობლემის გადაჭრის მეთოდი ნასწავლია ოჯახურ გარემოცვაში. მისი აზრით, მეთოდი, რომელსაც მშობლები იყენებენ თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად ხშირად გამოიყენება როგორც მშობელი-შვილის, ასევე შვილებს შორის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ასე რომ, მშობლების მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისადმი ხდება მოდელი სხვა ოჯახური ურთიერთქმედებების მოსაგვარებლად. როდესაც მშობლების გადაწყვეტილების მიღების მეთოდად გამოიყენებულია ვერბალური აგრესია და ფიზიკური ძალადობა, იგივე ქცევებს აქვთ

ადგილი, როგორც მშობელი-შვილის, ისე შვილებს შორის ურთიერთობაში მათ შორის სადავო საკითხების მოგვარების დროს (Steinmetz, 1977; Raschke & Raschke, 1979; Straus, 1980).

### სხვა ფაქტორები

სტრესულმა ფაქტორებმა, როგორცაა ოჯახის სიდიდე, ეკონომიური და სექსუალური პრობლემები, ახლო მეგობრის ან ნათესავის დაკარგვა, არასასურველი ფეხმძიმობა, სირთულეები სამართალდამცავ ორგანოებთან და სხვა. შეიძლება იმდენად დაძაბონ ოჯახური ატმოსფერო, რომ ოჯახი გახდეს ძალადობის ქცევის წყარო (Baron & Byrne, 1987; Straus, 1980).

არსებობს ექსპერიმენტური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ოჯახებში, სადაც ანუხებთ სიმჭიდროვის პრობლემა, ხდება შედარებით მეტი ოჯახური კონფლიქტი (Welch & Booth, 1975). აქვე უნდა გავითვალისწინოთ, ის ფაქტი, რომ ზედახორის შეგრძნება ანუ სივრცის სიმცირის შეგრძნება გარკვეულ სუბიექტურ ხასიათს ატარებს და არაა დაკავშირებული იმ ფართობის სიდიდესთან, რომელიც მოდის ოჯახის თითოეულ წევრზე (Stockdale cit. Altman, 1975-ის მიხედვით). Freedman et al (1972) ინტენსიფიკაციის ჰიპოთეზის მიხედვით, სიმჭიდროვეში ძლიერდება ინდივიდის ტიპური რეაქციები; თუ ტიპურია პოზიტიური რეაქციები, სიმჭიდროვე მას გარდაქმნის უფრო კეთილსასურველად, ხოლო თუ ტიპურია ნეგატიური რეაქციები, სიმჭიდროვე გააძლიერებს მის ნეგატიურ ბუნებას. სიმჭიდროვეს უკავშირდება აგრეთვე პიროვნული სივრცის ცნება ანუ უხილავი საზღვარი, რომელიც თან ახლავს პიროვნებას და რომელშიც სხვისი შეჭრა იწვევს თავდასხმის შეგრძნებას, რასაც მოსდევს პიროვნების მიერ უკმაყოფილების გამოხატვა და ზოგჯერ სიტუაციის მიტოვება (Hoffmann, 1971; Sommer, 1969; Altman, 1975). დასტურდება, რომ პიროვნულ სივრცეში შეჭრამ შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს აგრესიული პასუხი, განსაკუთრებით თუ პიროვნება დისპოზიციურად მაღალი აგრესულობით ხასიათდება (Worchel & Teddibie, 1976; Geen, 1990). არსებობს მოსაზრება, რომ მაღალ აგრესიული პიროვნებები საჭიროებენ დიდ პიროვნულ სივრცეს, რადგანაც ისინი არ ენდობიან სხვა ადამიანებს და ცდილობენ არ შევიდნენ მათთან კონტაქტში პოტენციური საფრთხის და მუქარის თავიდან აცილების მიზნით (Kinzel, 1970; O'Neil et al, 1980; Geen, 1990).

ამრიგად, პიროვნული სივრცე წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც გამოიყენება პიროვნებათაშორის ურთიერთობის რეგულაციისათვის და პრივატობის სასურველი დონის მისაღწევად (Altman, 1975). სოციალური ურთიერთობების რეგულაციისათვის გამოიყენება აგრეთვე ტერიტორიალური ქცევა, რომელიც მოიცავს ადგილის ან საგნის აღნიშვნას და იმის კომუნიკაციას, რომ იგი “ეკუთვნის” პიროვნებას ან ჯგუფს. ტერიტორიალური საზღვრების შეზღუდვისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაცვით პასუხებს. Jourard-მა (1971) მიუთითა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ყოველი ოჯახის წევრისთვის ცალკე

ოთახის ქონას. პირველადი ტერიტორიის (ანუ ტერიტორია, რომელიც გამოიყენება ექსკლუზიურად ინდივიდების ან ჯგუფის მიერ, სხვების მიერ აშკარად იდენტიფიცირებულია, როგორც მათი, კონტროლირდება შედარებით პერმანენტულ საფუძველზე და ცენტრალურია მათი დამკავებლის ყოველდღიურ ცხოვრებაში) ქონა ხელს უწყობს პიროვნების თვით-იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებას.

სხვა კვლევების მიხედვით, არსებობს კავშირი მეუღლის დაბალ სოციალურ სტატუსსა და მის მიერ ცოლის ან პარტნიორის მიმართ განხორციელებულ ძალადობას შორის (Stark & Flitcraft, 1988). დაბალ სოციალურ სტატუსსა და ცოლების მიმართ ძალადობის ურთიერთკავშირზე მიუთითებს აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში (ბანგკოკი, ტაილანდი), ჩატარებული კვლევების შედეგებიც (Hoffman, Oemo & Edwards, 1994). ასევე, კვლევები გვიჩვენებს, რომ უმუშევარი კაცები ორჯერ უფრო მეტ ფიზიკურ სისასტიკეს იჩენენ თავიანთი ცოლების მიმართ, ვიდრე ის ქმრები, რომლებიც მუშაობენ (Gelles & Cornell, 1990). დასტურდება, რომ სიღარიბის გამო სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მშობლები იჩენენ ნაკლებ მოთმინებას და ყურადღებას თავიანთი შვილების მიმართ. კერძოდ, მონაცემები მიუთითებენ, რომ მცირე ანაზღაურებიან ოჯახებში მშობლები 9-ჯერ უფრო მეტად იჩენენ უყურადღებობას თავიანთი შვილების მიმართ და არ არიან დაინტერესებულნი მათი განათლების მიღებით, 4-6 ჯერ უფრო მეტად იყენებენ ბავშვის მიმართ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, ვიდრე მაღალ-ანაზღაურებიანი მშობლები (Besharor & Laumann, 1994; cit. Chevlin, 1999-ის მიხედვით).

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ოჯახის შეჭიდულობისა და ადაპტიურობის პროცესებზე, რაც თავის მხრივ ქმნის გარკვეულ ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის ოჯახის ნორმალურ ფუნქციონირებას. ოჯახი არის ძირითადი წყარო, საზოგადოების პირველადი უჯრედი, სადაც ბავშვი გადის პირველად სოციალიზაციას. დასწავლის თეორეტიკოსების აზრით, სწორედ ოჯახის ურთიერთობების მაგალითზე ბავშვი სწავლობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმებსა და ქცევებს, რომელიც მას უნარჩუნდება მოზრდილობის ასაკშიც და რომლის გადატანასაც ახდენს მის მიერ ახლად ფორმირებულ ოჯახურ სისტემაში.

ამრიგად, დისფუნქციონალურ ოჯახებში, სადაც სუფევს მუქარის, სიმკაცრის და კონფლიქტის ატმოსფერო, ხდება მშობლების მიერ აგრესიული ქცევის მოდელების დემონსტრირება, რაც შედეგად იწვევს ბავშვებში ამგვარი აგრესიული ქცევითი მოდელების განმტკიცებას დაკვირვებისა და ძალადობის მსხვერპლად ყოფნის მექანიზმებით. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახური ატმოსფერო, რომელიც ხასიათდება ოჯახის წევრებს შორის დიდი დისტანციით, ინდიფერენტული დამოკიდებულებით, ნაკლები მხარდაჭერით, არასაკმარისი სითბოთი და სიყვარულით, მათ შორის დაძაბული,



ძალისმიერი ურთიერთობებით, მაღალი შფოთვით, სადაც მშობლები ნაკლებ ინტერესდებიან ბავშვის სულიერი განვითარებით და დისციპლინირებული ზემოქმედებისათვის ზრუნვისა და მოთმინებითი ახსნის ნაცვლად, იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს, ერთპიროვნულად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახდენენ ოჯახის ინდივიდუალურ წევრებზე დიდ ზეწოლას, ასევე, სადაც უჭირთ ახალ იდეებთან და ცვლილებებთან შეგუება დაბალი ადაპტურობის გამო, სადაც გაბატონებულია რიგიდული ძალაუფლებრივი სტრუქტურა და არა აქვთ კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრის უნარ-ჩვევები, სადაც დაბალია ოჯახური ბედნიერებისა და კმაყოფილების დონე, ხელს უწყობს ბავშვის აგრესიულობის განვითარებას. ასევე, გარე სტრესორებმა, როგორცაა ეკონომიკური სიდუხჭირე, დაბალი სოციალური სტატუსი და უმუშევრობა შესაძლოა უბიძგონ ოჯახში კონფლიქტის განვითარებას. როდესაც ოჯახი არასაკმარისი ადაპტურობისა და შეჭიდულობის გამო ვერ ეგუება ამგვარ კრიზისს, ადგილი აქვს ფრუსტრაციის დაგროვებასა და ოჯახის წევრებს შორის ძალისმიერი, აგრესიული ურთიერთობების განვითარებას. ყოველივე ეს კი იწვევს ბავშვის აგრესიულობის ზრდას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **საძაგლიშვილი შ.** (2005). დისერტაცია “მშობლების აგრესიულობის როლი ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში” თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

## ქალადობა გავშვებზე და გავშვითა მიმართ უზულებელყოფა

ია შეყრილაქ

### ბავშვებზე ძალადობის დეფინიცია:

ბავშვისადმი ცუდად მოპყრობა გულისხმობს ბავშვის ისეთ არაადეკვატურ მოვლას, რომელსაც რეალური ან პოტენციური ზიანი მოაქვს ბავშვისთვის. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: (1) უნდა ჰქონდეს ადგილი მოზრდილის გარკვეულ ქცევას (ან ქცევის არქონას) ბავშვის მიმართ; (2) ამ ქცევამ (ან ქცევის არქონამ) ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი უნდა მიაყენოს ბავშვს; და (3) მოზრდილის ქცევასა და ბავშვისადმი მიყენებულ ზიანს შორის უნდა იყოს ნათელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

აშშ-ში, ჩვეულებრივ, ბავშვისადმი ცუდად მოპყრობის ექვს ტიპს გამოყოფენ:

1. ფიზიკური ძალადობა
2. ემოციური ძალადობა
3. ფიზიკური უგულვებელყოფა
4. ემოციური უგულვებელყოფა
5. საგანმანათლებლო უგულვებელყოფა
6. სექსუალური ძალადობა

**ფიზიკური ძალადობა** გულისხმობს საქციელს, რომელიც ფიზიკურ ზიანს აყენებს ბავშვს. ამის მაგალითია ფიზიკური შეურაცხყოფა, რომელსაც მოჰყვება სხეულის ისეთი დაზიანებები, როგორცაა დამწვრობა, დაუყუილობა, ჩალურჯება, მოტეხილობა, სერიოზული ჭრილობები და სხვა.

**ემოციური ძალადობა** მოიცავს ქრონიკულ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ბავშვის ჩაგვრას (მის განტევების ვაცად გამოყენებას). სიტყვიერი შეურაცხყოფა, თავის მხრივ, გულისხმობს ბავშვისთვის იმის თქმას, რომ იგი უფარგისი და უღირსი, საზიზღარი და ეშმაკისეულია. ემოციურ ძალადობაში ასევე შედის ბავშვის მუმიდვი დაშინება და მუქარა.

**სექსუალური ძალადობა** ფიზიკური ძალადობის სპეციფიური ფორმაა, რომლის დროსაც ბავშვისადმი მიყენებული ფიზიკური (და ასევე ფსიქოლოგიური) ზიანი გამონვეულია მოზრდილთან სქესობრივი კონტაქტით. სექსუალური ძალადობა მოიცავს როგორც სქესობრივ აქტს, ასევე შეხებას და მოფერებას. ასევე სექსუალურ ძალადობად ითვლება ბავშვის სექსუალურ ობიექტად გამოყენება, მაგ. ბავშვთა პორნოგრაფია, ან ბავშვის იძულება უყუროს მოზრდილთა სქესობრივ კონტაქტს.

**ფიზიკური უგულბელებლობა** არის მშობლის მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის შედეგი – ფაქტი იმისა, რომ მშობელს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბავშვის ბაზისური მოთხოვნილებები. ფიზიკური უგულბელებლობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ბავშვის უპატრონოდ დატოვება. სხვა ფორმებია მშობლის უუნარობა გამოკვებოს შვილი, სათანადოდ ჩააცვას, უმკურნალოს, შეუქმნას სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები.

**საგანმანათლებლო უგულბელებლობა** გულისხმობს მშობლის უუნარობას იზრუნოს და დააკმაყოფილოს ბავშვის სწავლების მოთხოვნილებები. იგი მოიცავს ბავშვის სკოლაში დროულად არ მიყვანას, იმის დაშვებას, რომ ბავშვმა მუდმივად ატყუოს სკოლა, ბავშვის სწავლის განსაკუთრებული მოთხოვნილებების იგნორირებას.

**ემოციური უგულბელებლობა** გულისხმობს არაადეკვატურ ზრუნვასა და აღერსს, სახლში არსებული ძალადობისგან ბავშვის დაუცველობას, ბავშვის მიერ ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკის გამოყენებას.

## **ბავშვზე ძალადობის რისკ ფაქტორები**

### ***მშობლებში:***

- ბავშვობაში იყო ძალადობის მსხვერპლი;
- ნივთიერებათა ავადმომხარება;
- სიბრაზის გამოხატვისა და ემოციური კონტროლის პრობლემები;
- მიდრეკილება შფოთვისა და დეპრესიისადმი, ზოგადი მტრული განწყობა;
- ცხოვრებისადმი აპათიური დამოკიდებულება;
- შეზღუდული ოჯახური ურთიერთობები (უფრო ხშირია უყურადღებობის შემთხვევებში);
- უარყოფითი ოჯახური ურთიერთობები (უფრო ხშირია ძალადობის შემთხვევებში);
- აგრესიული და ანტისოციალური ქცევა;
- გამოუცდელობა და უცოდინრობა ბავშვის განვითარების შესახებ;
- ბავშვის ქცევაზე რეაგირების ნაკლებობა;
- მკაცრი აღზრდის სტილი – ძლიერ მკონტროლირებელი;
- ხშირი ცოლ-ქმრული პრობლემები;
- ძალიან ახალგაზრდა მშობლები;

### **ბავშვებში:**

- დღენაკლულობა ან ნორმაზე მცირე წონა;
- ნაკლებად განვითარებული სოციალური უნარები;
- შეუხედაობა;
- ბავშვის მძიმე ხასიათი;
- პასიურობა.

### **საზოგადოებაში:**

- სიღარიბე;
- მრავალი წევრისაგან შემდგარი ოჯახები;
- ტერიტორიები/უბნები, სადაც ურთიერთობები შემცირებულია;
- ტერიტორიები/უბნები, სადაც ნაკლებია თავშეყრის ადგილები, მაგ. ეკლესიები.

## **ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ძალადობისადმი მდგრადობას**

განა ყველა ადამიანი, რომელიც ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო, იგივეს უკეთებს თავის შვილს. სინამდვილეში, მხოლოდ 30% ასეთი ადამიანებისა იმეორებს ქცევის იგივე მოდელს დიდობაში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ძალადობა განცდილ ადამიანთა უმრავლესობას შესწევს უნარი, განთავისუფლდეს ქცევის დისფუნქციური მოდელისაგან. ამის ხელშემწყობ ფაქტორებს კი წარმოადგენენ:

- კოგნიტური განვითარებულობა;
- ნიჭი, ტალანტი, კარგი შესახედაობა;
- სოციალური უნარები;
- გამგები და დადებითი პარტნიორი;
- ემოციური გამოცდილების გადაამუშავების უნარი;
- სოციალური მხარდაჭერის არსებობა.

## ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელყოფის შეფასება და ინტერვენცია

### *რის შეფასებას ვახდენთ:*

- ოჯახშიდა ურთიერთობები;
- რამდენად უსაფრთხოა საშინაო/საყოფაცხოვრებო გარემო;
- ცოლ-ქმრული ურთიერთობები;
- მშობლების სტრესის წყაროები;
- მშობლების ემოციური კონტროლის უნარი;
- ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა;
- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ბავშვის კოგნიტური და სოციალური განვითარების დონე;
- ოჯახის ურთიერთობები გარემოსთან.

შეფასების შემდგომი ნაბიჯია კონკრეტული, რეალური მიზნების დასახვა და მათი შეთანხმება ოჯახთან. მიზნების გარკვეულობა და სტრუქტურირება უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ოჯახებთან მუშაობისას, სადაც ადგილი აქვს ბავშვზე ძალადობას ან უგულბელყოფას. ასეთი მშობლების განათლება შესაძლოა დაგვეხმაროს გარკვეული მიზნების მიღწევაში. ასევე მნიშვნელოვანია, ოჯახს დავეხმაროთ სოციალური მხარდჭერის ქსელის შექმნაში. ზოგადად, ამგვარ ოჯახებში ძალიან ბევრი პრობლემაა და მათ კომპლექსური მიდგომა ესაჭიროებათ, რაც ხშირად ერთი პრაქტიკოსის ან ერთი ორგანიზაციის შესაძლებლობებს აღემატება. ასეთ ოჯახებში ხშირია ნივთიერებათა ავადმომხმარება (ალკოჰოლი, ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენება), ამიტომ სასურველია ამ პრობლემების მქონე ოჯახის წევრების ჩართვა შესაბამის სერვისებში. პარალელურად, ბავშვებს შესაძლოა ესაჭიროებოდეთ განვითარების ხელშემწყობი მომსახურება. აქედან გამომდინარე, პრაქტიკოსმა აუცილებელია წარმატებით გაართვას თავი **შემთხვევის მენეჯმენტს** იმისათვის, რომ უზრუნველყოს თითოეული წევრის სპეციფიური საჭიროების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მოცემულია შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ვახდენთ ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელყოფის შეფასებას. საჭიროა დავაკვირდეთ შემდეგს:

### **უგულბელყოფის ფიზიკური ნიშნები**

უგულბელყოფის ფიზიკური ნიშნები დაკვირვებადია. ბავშვი შეიძლება გამოიყურებოდეს:

- ქუჩყიანი ან არაადეკვატურად ჩაცმული.
- გამოუძინებელი ან დაღლილი.
- გაფუჭებული კბილებით, სათვალის გარეშე (თუკი სჭირდება) ან ჯანმრთელობაზე სათანადო ზრუნვას მოკლებული.
- თითქოს ჩამორჩება განვითარებაში, მათ შორის მეტყველებაში.

### ***უგულებელყოფის ქცევითი ნიშნები***

ბავშვმა შესაძლოა თქვას, რომ:

- შია;
- იპარავს საკვებს თავისთვის ან სხვა ბავშვებისათვის;
- არასდროს ყოფილა ან არ დადის სკოლაში;
- არავინ უვლის სახლში;
- არ შეუძლია ფხიზლად ყოფნა.

### ***უყურადღებო მზრუნველის ყველაზე გავრცელებული მახასიათებლები***

- სახლში არეულობა და უნესრიგობაა;
- მზრუნველი მავნე ნივთიერებაზეა დამოკიდებული;
- მზრუნველი სოციალურად იზოლირებულია და ნაკლებად ყავს მეგობრები და ოჯახის წევრები, რომლებიც მხარდაჭერას უწევენ;
- მზრუნველს ნაკლებად აღელვებს ბავშვის ჰიგიენური მდგომარეობა, უსაფრთხოება და ემოციური მოთხოვნილებანი;
- მზრუნველს ნაკლებად აღელვებს ბავშვის ჯანმრთელობა;
- მზრუნველი ბავშვის მიმართ ამჟღავნებს კრიტიკულ ან დამამცირებელ დამოკიდებულებას;
- მზრუნველი მიდრეკილია იმისკენ, რომ შეაშინოს ან დაამციროს ბავშვი;
- მზრუნველი მიდრეკილია იმისკენ, რომ მონყვიტოს ბავშვი სოციალურ და ემოციურ საზრდოს.

### ***ფიზიკური ძალადობის ნიშნები***

ფიზიკური ძალადობის ნიშნები ყოველთვის როდი შეიმჩნევა. ამგვარი ნიშნები შესაძლოა ბავშვს სხეულის იმ ნაწილზე ჰქონდეს, რაც ადვილად არ ჩანს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ისეთ დაზიანებებს, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვის მიერ მონათხრობ ისტორიას მათი შექმნის თაობაზე.

- დამწვრობის ნიშნები, განსაკუთრებით ორივე ხელზე ან ტერფზე, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ბავშვს შესაძლოა ცხელ სითხეში ჩააყოფინეს კიდურები; სიგარეტის ნამწვი; დამწვრობის ნიშნები, რომელთაც საგნის ფორმა აქვთ, მაგ. როგორიცაა უთო.
- სილურჯეები და იარები, განსაკუთრებით სხეულისა თუ სახის ორივე მხარეს, ვინაიდან სხეულის შემთხვევითი დაზიანება იშვიათად ტოვებს სიმეტრიულ ნიშნებს; ჩალურჯებები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ბავშვი შესაძლოა ჩავლებული ყოფილიყო ორივე ხელით; გარკვეული ფორმის მქონე სილურჯეები, რომლებიც რაიმე საგნის ფორმას გვაგონებენ, როგორიცაა ქამრის ბალთა, სავარცხელი და სხვა.
- ნაკბენები;
- მოტეხილობები;
- თავის ქალისა თუ თვალების დაზიანებები.

### ***ფიზიკური ძალადობის ქცევითი სიმპტომები***

- ბავშვი სოციალურად განმარტოებული და ჩაკეტილია;
- ბავშვი ხშირად ჩხუბობს სხვა ბავშვებთან;
- ბავშვი უჩვეულოდ პასიური და მონუნუნეა;
- ბავშვი შფოთავს მაშინ, როცა სხვა ბავშვები რაღაცას იტკენენ;
- ბავშვი შემფოთებული და თავშეკავებულია მისი მშობლების თანდასწრებით;
- ბავშვი შიშს გამოხატავს სახლში წასვლასთან დაკავშირებით;
- ბავშვი დაზიანებულ ნაწილებს ტანისამოსით ან მაკიაჟით ფარავს;
- ბავშვს ხიფათი განმეორებით ემართება;
- ბავშვი ამჟღავნებს თვით-დამაზიანებელი და თვით-დესტრუქციულ ქცევას;
- ბავშვი სახლიდან გარბის;
- ბავშვს თვითმკვლელობის მცდელობა აქვს;
- მასწავლებლები ჩივიან ბავშვის ხშირი ტირილისა და სწავლის პრობლემების გამო მაშინ, როცა განვითარების ჩამორჩენილობა გამორიცხულია.

### ***სექსუალური ძალადობის ფიზიკური ნიშნები:***

- სიარულის და ჯდომის პრობლემები;
- სასქესო ორგანოს მიდამოებში ტკივილი და ქავილი;

- დახეული, დაჭმუჭნული ან დალაქავებული საცვალი;
- ჩალურჯებები და სისხლდენა სასქესო ორგანოს მიდამოებში;
- ჩალურჯებები სასაზე;
- სქესობრივად გადამდები დაავადებები, განსაკუთრებით მოზარდებში;
- მტკივნეული შარდვა ან გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
- საგნების ნაშთები სასქესო ორგანოს მიდამოებში.

***სექსუალური ძალადობის ქცევითი და ემოციური სიმპტომები:***

- კვების აშლილობები;
- მარტო ძილის შიში;
- კოშმარები;
- განცალკევების შფოთვა;
- თითის (ან რაიმე საგნის) წოვა;
- ენურეზი;
- ენკოპრეზი;
- მეტყველების რეგრესია;
- საუბარი სექსუალურ თემაზე;
- ზედმეტი მასტურბაცია;
- სექსუალური დემონსტრაციულობა;
- უცაბედი ქვითინის პერიოდები;
- ჰიპერაქტივობა;
- ცვლილებები სასკოლო ქცევაში (სკოლის შიში, კლასში ჩარჩენა, კონცენტრაციის სირთულე);
- რეგულარული ემოციური აფეთქება;
- მეტისმეტი შიში (მათ შორის მამაკაცის ან ქალის);
- მონყენილობა და დეპრესია;
- თვითმკვლელობაზე ფიქრი;
- უკიდურესი ნერვული დაძაბულობა;
- ჰიპოქონდრია.



### ***მოდალადე მზრუნველის ყველაზე გავრცელებული მახასიათებლებია:***

- მზრუნველი თვლის, რომ ბავშვია პასუხისმგებელი მის კეთილდღეობაზე;
- მზრუნველს არაადეკვატური მოლოდინი აქვს ბავშვის უნარ-შესაძლებლობების შესახებ;
- მზრუნველი დისციპლინის ისეთ ზომებს მიმართავს, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვის ასაკს ან ბავშვის ქცევას;
- ბავშვი მუდმივად ხასიათდება როგორც “ცუდი”, “უპასუხისმგებლო” ან სხვებისგან “განსხვავებული”;
- მზრუნველი მავნე ნივთიერებაზეა დამოკიდებული;
- მზრუნველი ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო;
- მზრუნველი სოციალურად იზოლირებულია მეგობრების, ნათესავებისა და ახლობლებისაგან;
- მზრუნველს მიაჩნია, რომ არ შეუძლია “კონტროლის შენარჩუნება”;
- მზრუნველი კრიზისულ მდგომარეობაშია ახლობელი ადამიანის გარდაცვალების, მოსალოდნელი პატიმრობის, სამუშაოს დაკარგვის ან სხვა რამის გამო;
- მზრუნველი ფსიქიკურად დაავადებულია.

### **ინტერვიუ ბავშვთან**

ძალადობა განცდილ ბავშვთან ინტერვიუ განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა ჩატარდეს. ინტერვიუს დროს უნდა გვახსოვდეს, რომ თამაში არის ბავშვთან სალაპარაკო ენა. პირველი ინტერვიუს ჩატარებამდე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ბავშვის მოთხოვნების შესაბამისად მოაწყვეთ ოთახი და იქონიეთ ქალაქი და ფანქრები;
- იკითხეთ, ვინ უნდა დაესწროს ინტერვიუს და როდის მოვლენ ეს ადამიანები;
- გაარკვიეთ, რა უნდა უთხრათ ბავშვსა და მის მშობლებს კონფიდენციალობის შესახებ;

### ***ბავშვთან პირველი ინტერვიუს დროს:***

- გახსოვდეთ, თქვენი დანიშნულება არ არის ბავშვის გართობა;
- მიეცით ბავშვს უფლება, შეინარჩუნოს თქვენდამი დისტანცია;

- დააკვირდით რამდენად ასაკის შესაბამისად გამოიყურება/იქცევა ბავშვი;
- თხოვეთ მას, დახატოს ადამიანი და სახლი, ხე ან მისი ოჯახი;
- ჰკითხეთ მას: *სამი სურვილის უფლება რომ გქონდეს, რას ისურვებდი?* ყური მიუგდეთ მის პასუხებს;
- ჰკითხეთ მას: *რაკეტით მთვარეზე რომ მიდიოდე და მხოლოდ ორი ადგილი რომ იყოს ხომალდში, ერთი შენთვის და ერთიც ვინმე სხვისთვის, ვის ნაიყვანდი?* ყური დაუგდეთ მის პასუხს;
- ჰკითხეთ მას: *ცხოველი რომ ყოფილიყავი, რომელ ცხოველობას ისურვებდი?* ყური დაუგდეთ მის პასუხს.

## **რა ვუთხრათ ბავშვს, როდესაც განცდილ ძალადობაზე გვიყვება**

### **1. „მე მჯერა შენი“**

ბავშვები იშვიათად იტყუებიან განცდილი ძალადობის შესახებ. თუ ისინი თვლიან რომ არ დაუჯერებთ, არაფერს იტყვიან. იმ შემთხვევაში, როცა ისინი მაშინვე არ ამბობენ სიმართლეს, უნდა შეძლოთ მათი ნდობის მოპოვება.

### **2. „რაც დაგემართა, არ იყო სწორი“**

ბავშვებმა, რომელთაც უფროსები არასოდეს ექცეოდნენ კარგად, ხშირად არ იციან მოზრდილის ქმედებაში მათ მიმართ რა არის და რა არ არის ნორმალური, რა არის სწორი და რა არ არის სწორი. სექსუალურმა მოძალადემ შეიძლება უთხრას ბავშვს “ჩვენ უბრალოდ ასე ვთამაშობთ” და ამით დაარწმუნოს ბავშვი, რომ არავის არაფერი არ უთხრას.

### **3. „შენი ბრალი არ არის ის, რაც დაგემართა“**

ბავშვებს გადატანილი ძალადობის შემდეგ ხშირად უჩნდებათ დანაშაულის გრძნობა. მათ არ უნდა იგრძნონ თავი დამნაშავედ სხვის მიერ ჩადენილი ძალადობის გამო.

### **4. „კარგია რომ მითხარი, შენ არ დაისჯები ამის გამო“**

ზოგ ბავშვს განცდილი ამბავის ვინმესთან გაზიარების შემდეგ უჩნდება დანაშაულის გრძნობა, ეშინია მოძალადის ან ეშინია, რომ მას დასჯიან მომხდარის გამჟღავნების გამო.

### **5. „დაგეხმარები და ყველაფერს გავაკეთებ, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნო“**

ყველაფერი გააკეთეთ, რომ მიცემული პირობა შეასრულოთ.

გახსოვდეთ, რომ მოძალადე აშინებს ბავშვს იმიტომ, თუ რა საშინლად მოექცევა მის საყვარელ ადამიანებს, იმ შემთხვევაში თუ ბავშვი ვინმეს რამეს ეტყვის.

6. „ვერ დაგპირდები, რომ არავის ვეტყვი ამის შესახებ. შენი დაცვა რომ შევძლოთ, კიდევ ვილატყებმა უნდა იცოდნენ, მაგრამ ჩვენ შეიძლება შევთანხმდეთ იმაზე, თუ ვის ვუთხრათ.“

ზოგი ბავშვი გეტყვით, რომ თქვენ ერთადერთი პიროვნება ხართ ვისაც ის ენდო, ვისაც უამბო, რაც მას თავს გადახდა და გთხოვათ, რომ მისი საიდუმლო არავის გაანდოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ბავშვის დაცვა და მოძალადის დასჯა. იმისათვის, რომ გაამართლოთ ბავშვის ნდობა, მხოლოდ მასთან შეთანხმებით უნდა გადაწყვიტოთ, თუ ვის უამბობთ მომხდარის შესახებ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. EveryChild–ის ტრენინგის მასალები
2. Handbook of Social Work Practice with Vulnerable and Resilient Population, Second Edition, Alex Gitterman, Editor Columbia University Press, 2001
3. Lucas, S. Where to start and what to ask: An Assessment handbook, 2002;
4. შეყრილაძე ი. ფარცხალაძე ნ. სახელმძღვანელო “სოციალური სამუშაო ბავშვებთან და ოჯახებთან” NSP Alumni Development Grant, თბილისი 2003;

## ქალის მიმართ ჩაგვრა და ძალადობა

ია შეყრილაქე

### ჩაგვრა

ჩაგვრა ქცევის ის სახეა, რომლის დროსაც ხდება ძალადობის ან მუქარის გამოყენება პიროვნებაზე ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარებისათვის. ჩაგვრას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთ პიროვნებას სწამს, რომ უფლება აქვს გააკონტროლოს სხვა ადამიანი. შეურაცხყოფა, ჩაგვრა და ოჯახში ძალადობა დანაშაულების სახეებს წარმოადგენენ.

განსაზღვრება: ოჯახის წევრებზე ჩადენილმა ძალადობამ განსხვავებული ფორმები შეიძლება იქონიოს. ჩაგვრაში შეიძლება შედიოდეს ემოციური შეურაცხყოფა, ეკომონიკური ზიანი, სექსუალური ძალადობა, ბავშვების გამოყენება, მუქარა, მამაკაცის პრივილეგიის გამოყენება, დაშინება, იზოლირება და ქცევათა სხვა სახეობანი, რომლებიც გამოიყენება შიშის გრძნობის შენარჩუნების, დაშინებისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად. უმეტეს შემთხვევაში ოჯახში დანაშაულის ჩამდენები ყველა კულტურაში მამაკაცები არიან. ქალები ყველაზე უფრო ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლნი. აგრეთვე ხშირად გვხვდება ბავშვზე განხორციელებული ძალადობა. ოჯახური ძალადობა ჩვეულებრივ ქვემოთ მოყვანილ ერთ ან უფრო მეტ კატეგორიას შეიძლება განეკუთვნებოდეს:

- **ფიზიკური ჩაგვრა** – მოძალადის ფიზიკური თავდასხმა ან აგრესიული საქციელი ფართო მასშტაბს მოიცავს: დაჟეჟილობიდან მკვლელობამდე. ის ხშირად იწყება ბოდიშის მოხდით ტრივიალურ დარტყმაზე, რომელიც უფრო ხშირ და სერიოზულ თავდასხმაში გადაიზრდება.
- **სექსუალური ძალადობა** – მოძალადის ფიზიკურ თავდასხმას ხშირად ახლავს, ან თან სდევს სექსუალური ძალადობა. ამ შემთხვევაში ქალს აიძულებენ მოძალადესთან სექსუალურ კავშირში შევიდეს ან თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მონაწილეობა მიიღოს სექსუალურ აქტში.
- **ფსიქოლოგიური ჩაგვრა** – მოძალადის ფსიქოლოგიური ან ემოციური ძალადობა შეიძლება მოიცავდეს გამუდმებით სიტყვიერ შეურაცხყოფას, დამცირებას, ზედმეტ მესაკუთრეობას, ქალის იზოლირებას მეგობრებისა და ოჯახის წევრებისაგან, ფიზიკური და ეკონომიკური რესურსებისგან მონყვეტას და პიროვნების საკუთრების განადგურებას.

ჩაგვრა დროთა განმავლობაში ღრმავდება. ის ხშირად ისეთი საქციელით იწყება როგორცაა მუქარა, ლანძღვა-გინება, ძალის გამოხატულება ქალის თანდასწრებით (მაგ. მუშტის დარტყმა კედელზე), და/ან საგნებისთვის ან ცხოველებისთვის ზიანის მიყენება. ჩაგვრა შეიძლება გაღრმავდეს და გადავიდეს აკრძალვაში, ხელის კვრაში, სილის განწნაში, ჩქმეტაში. ჩაგვრაში შეილება შედიოდეს

მუშტის/ნიხლის დარტყმა, კბენა, სექსუალური შეურაცხყოფა, ნივთების სროლა და სხვა. და ბოლოს, ჩაგვრა შეიძლება გადაიზარდოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ ქცევაში, როგორცაა გაგუდვა, ძვლების დამტვრევა, ან იარაღის გამოყენება.

ლენორ ვოკერის მიხედვით, ძალადობის ციკლი შედგება სამი ფაზისგან - (1) დაძაბულობის ესკალაცია, რომლის დროსაც მოძალადე უფრო და უფრო ადვილად ღიზიანდება და კარგავს წონასწორობას, ხოლო მსხვერპლი ცდილობს შეინარჩუნოს სიმშვიდე და თავიდან აიცილოს კონფლიქტი, (2) ძალადობის ინციდენტი და (3) თავლობის ხანა, რომლის დროსაც შესაძლოა მოძალადემ ბოდიში მოუხადოს მსხვერპლს ძალადობის ინციდენტის გამო, შეეცადოს საკუთარი ძალადობის გარემო პირობებით ახსნას და დადოს პირობა, რომ ეს აღარ განმეორდება.

### **რატომ ჩაგვრავენ მამაკაცები ქალებს?**

ბევრი თეორია ცდილობს ახსნას, თუ რატომ სჩადის ზოგი მამაკაცი ძალადობას თავისი პარტნიორის მიმართ. ეს თეორიები ეყრდნობა სხვადასხვა ფაქტორებს, როგორცაა: ოჯახის არასწორად ფუნქციონირება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა, ქალების მიერ პროვოკაცია, სტრესი, დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე, სულიერების ნაკლებობა და ეკონომიკური პრობლემები. ზემოთ მოყვანილი საკითხები შეიძლება ასოცირებული იყოს ქალების ჩაგვრასთან, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ გამომწვევ მიზეზებს. ამ ფაქტორების ჩამოცილება არ მოუღებს ბოლოს მამაკაცის ქალზე ძალადობას. მჩაგვრელი ინყებს და აგრძელებს თავის საქციელს იმიტომ, რომ ძალადობა სხვა პიროვნებაზე კონტროლის მოპოვების და შენარჩუნების ეფექტური მეთოდია და ჩვეულებრივ, ის არ განიცდის საკუთარი ქცევის უარყოფით შედეგებს.

ისტორიულად ქალების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობას არ აღიქვამდნენ როგორც “დანაშაულს”. ეს დადასტურებულია იმით, რომ მამაკაცების მიერ პარტნიორის ჩაგვრაში დამნაშავედ ცნობას იშვიათად თუ მოჰყვებოდა სერიოზული შედეგები, როგორცაა დაკავება/დაპატიმრება ან ფულადი ჯარიმა. საზოგადოება ძალიან იშვიათად ჰკიცხავს მჩაგვრელებს, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ცნობილია, რომ ისინი ფიზიკურად დაესხნენ თავს თავიანთ პარტნიორს. მჩაგვრელი საზოგადოების ყველა ფენაში არსებობს და მას განსხვავებული გამოცდილება და პირადი თვისებები გააჩნია. მაგრამ, ზოგიერთი თვისება უფრო გავრცელებულ და ზოგად ხასიათს ატარებს:

- მჩაგვრელი ქალს საგნად აღიქვამს. ის არ აღიქვამს ქალს, როგორც ადამიანს. ის არ სცემს ქალებს პატივს როგორც ჯგუფს. ზოგადად, ის ქალს უყურებს როგორც საკუთრებას ან სექსუალურ ობიექტს.
- მჩაგვრელს დაბალი თვით-შეფასება აქვს და ცხოვრებაში თავს უსუსურად

და არაფრის მაქნისად გრძნობს. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ წარმატებული ტიპია, მაგრამ შინაგანად შეუსაბამობის განცდა აქვს.

- მჩაგვრელი ღიად ლაპარაკობს თავისი საქციელის გამომწვევ მიზეზებზე. თავის ძალადობაში ბრალს სდებს გარემო პირობებს, მაგ. სტრესს, მისი პარტნიორის ქცევას, “ცუდ დღეს”, ალკოჰოლს ან სხვა ფაქტორებს.
- მჩაგვრელი შეიძლება სასიამოვნო და მომხიბლავი იყოს ძალადობის პერიოდებს შორის, და გარეშე პირნი მას ხშირად აღიქვამენ როგორც “სასიამოვნო ტიპს”.
- პოტენციური მჩაგვრელის გამაფრთხილებელი ნიშნები შეიძლება მოიცავდეს მეტისმეტ ეჭვიანობას, მესაკუთრეობას, ცუდ ხასიათს, არაპროგნოზირებადობას, სისასტიკეს ცხოველების მიმართ და მიდრეკილებას სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისენ.

## **რატომ რჩებიან ქალები მოძალადე მამაკაცებთან?**

ძალიან ხშირად შეკითხვაზე “რატომ რჩებიან ქალები მათთან?” საპასუხოდ მოაქვთ მსხვერპლის დამადანაშაულებელი დამოკიდებულება. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად საყვედურობენ, რომ მათ ალბათ მოსწონთ ან სჭირდებათ ასეთი მოპყრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დარჩებოდნენ ასეთ ადამიანთან. ასევე ამბობენ, რომ ისინი მიეკუთვნებიან იმ მრავალრიცხოვან “ქალთა რიცხვს, რომლებსაც მეტისმეტად უყვართ” ან რომლებსაც “დაბალი თვითშეფასება აქვთ”. სინამდვილეში კი, არავის მოსწონს როდესაც სცემენ, განურჩევლად ემოციური მდგომარეობისა თუ თვითშეფასებისა.

ქალის დარჩენის მიზეზები გაცილებით რთულია. ყველაზე ხშირ შემთხვევაში, ქალისათვის საშიშია მოძალადის დატოვება. თუ მოძალადეს გააჩნია ეკონომიკური და სოციალური სტატუსი, მისი მიტოვება ქალისათვის დამატებით პრობლემებს წამოჭრის. მიტოვება შეიძლება ნიშნავდეს ცხოვრებას შიშში და ბავშვზე მეურვეობის და ზრუნვის უფლების დაკარგვას, ფინანსური დახმარების დაკარგვას და სამსახურში შევინროებას/დამცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს განსაზღვრული პიროვნული პროფილი ქალისა, რომელსაც დაჩაგრავენ, არსებობს კარგად აღწერილი სინდრომი იმისა, თუ რა მოჰყვება ჩაგვრის დაწყებას. დაჩაგრული ქალი განიცდის სირცხვილისა და უხერხულობის გრძნობას და იზოლირებულია. ქალი შეიძლება არ გაექცეს ჩაგვრას მაშინვე იმიტომ, რომ:

- რეალური შიში აქვს იმისა, რომ მჩაგვრელი უფრო გამძვინვარდება და მისი მიტოვების მცდელობამ შეიძლება ფატალური შედეგიც კი გამოიწვიოს;
- მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა შეიძლება არ დაუჭირონ მხარი მის გადანყვეტილებას ნასვლის შესახებ;

- იცის, რა ფინანსური და სხვა სირთულეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მარტოხელა მშობელი;
- მანიპულირებასთან, დაშინებასა და დამცირებასთან ერთად არსებობს სიყვარულში და იმედში გატარებული დროც;
- შეიძლება არ იცის, ვის მიმართოს ან არავინ სთავაზობს უსაფრთხოებას და თანადგომას.

### **დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ძალმომრეობითი ურთიერთობების დასრულებას**

ქალის დარჩენის მიზეზები ზოგადად შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად დავეყოთ:

*რესურსების ნაკლებობა:*

- ქალების უმეტესობას ერთი ბავშვი მანაც ჰყავს, რომელიც მათზეა დამოკიდებული;
- ბევრი ქალი არ არის დასაქმებული;
- ბევრ ქალს არ აქვს საკუთრება, რომელიც მხოლოდ მისია;
- ზოგ ქალს არ გააჩნია ფინანსური სახსრები;
- ქალებს, რომლებიც ტოვებენ მოძალადე პარტნიორებს, ეშინიათ რომ გაამტყუვნებენ/ბრალს დადებენ ლალატსა და ბავშვის მიტოვებაში, და დაკარგავენ შვილებსა და ქონებას;
- ცხოვრების სტანდარტები/პირობები შეიძლება გაუარესდეს ქალისთვის და მისი ბავშვებისთვის.

*ინსტიტუციური რეაქცია:*

- მღვდლები და სხვა რელიგიური პირები ხშირად ემსახურებიან ქორწინების ყველა ფასად “დაცვას”;
- პოლიციელები ხშირად არ ეხმარებიან ქალებს. ისინი ძალადობას აღიქვამენ, როგორც ოჯახში მომხდარ “უთანხმოებას”, იმის ნაცვლად რომ შეხედონ მას როგორც დანაშაულს, რომლის დროსაც ერთი პიროვნება ფიზიკურად ესხმის თავს მეორეს;
- პოლიციელმა შეიძლება გადაათქმევინოს ქალს სარჩელის შეტანა;
- პროკურორებს ხშირად არ სურთ, განიხილონ სასამართლოში ზემოთ ხსენებული შემთხვევები, ხოლო მოსამართლეები იშვიათად თუ მიუხედავად მოძალადეს საკადრის სასჯელს. სასჯელის გაცილებით უფრო ხშირ სახეს წარმოადგენს საცდელი პერიოდი ან ჯარიმა;

- მიუხედავად შემზღუდავი ბრძანებულებისა მცირეა შანსი, რომ განთავისუფლებული მოძალადე არ გაიმეორებს თავდასხმას. არ არსებობს საკმარისი უსაფრთხო თავშესაფრები ქალებისათვის ან სხვა სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსხვერპლის უსაფრთხოებას.

*ტრადიციული იდეოლოგია:*

- ბევრ ქალს არ სწამს, რომ განქორწინება სწორი ალტერნატივაა;
- ბევრი ქალი თვლის, რომ მიუღებელია ბავშვი იზრდებოდეს მხოლოდ ერთ მშობელთან და რომ მოძალადე მამა უკეთესია, ვიდრე უმამობა;
- საზოგადოების გავლენის გამო ბევრ ქალს სწამს, რომ ის არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ მისი ქორწინება “შედგეს”. ქორწინების შენარჩუნების მცდელობის მარცხი მისი, როგორც ქალის, მარცხია;
- ბევრი ქალი იზოლირებულია მეგობრებისაგან და ოჯახის წევრებისაგან ან ეჭვიანი და მესაკუთრე მოძალადის მიერ, ან იმის გამო, რომ ძალადობის ნიშნების დამალვის მიზნით აღარ კონტაქტობს გარე სამყაროსთან. ამ იზოლაციამ შეიძლება გააღვივოს გრძნობა, რომ არ არსებობს გასაქცევი ადგილი.
- ბევრი ქალი ცდილობს რაციონალურად ახსნას მოძალადის ქცევა, დააბრალოს ის სტრესს, ალკოჰოლს, სამსახურის პრობლემებს, უმუშევრობას ან სხვა ფაქტორებს.
- ბევრ ქალს ასწავლიან, რომ მათი თვითშეფასება და ღირებულება დამოკიდებულია მამაკაცის „შოვნასა“ და შენარჩუნებაზე.
- მოძალადე იშვიათად სცემს ქალს განუწყვეტილ. შუალედებში ის შეიძლება საოცნებო რაინდად მოეგლინოს პარტნიორს. ქალს სწამს, რომ მისი პარტნიორი გულის სიღრმეში “კარგი ადამიანია” და თუ მას სწამს, რომ უნდა დარჩეს “კარგ ადამიანთან”, მისი ეს რწმენა გააძლიერებს გადანყვეტილებას დარჩენის შესახებ. მან აგრეთვე შეიძლება რაციონალურად დაასკვნას, რომ მოძალადე ძირითადად კარგია მანამ, სანამ ცუდი რამ არ დაემართება და რომ მან ზოგჯერ “ბოლმაც უნდა გადმოანთხიოს”.

## **რამ შეიძლება მიგვანიშნოს ოჯახურ ძალადობაზე**

**ქვემოთ მოყვანილ ნიშან-თვისებებს ხშირად აქვს ადგილი ძალადობის ჩადენამდე და მათი საშუალებით შეიძლება ამოვიცნოთ პოტენციური მოძალადე:**

1. გაიზარდა თუ არა იგი ძალადობით აღსავსე ოჯახში? პიროვნებებმა, რომლებიც გაიზარდნენ ოჯახებში, სადაც მათ ძალადობა განიცადეს ბავშვობაში, ან სადაც ერთი მშობელი მეორეს სცემდა, ისწავლეს, რომ ძალადობა ნორმალური საქციელია.



2. იყენებს თუ არა იგი ძალას ან იჩენს თუ არა იგი ძალადობისაკენ მიდრეკილებას, როდესაც ცდილობს პრობლემის “გადაჭრას”? ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელიც ჩხუბში ღებულობს მონაწილეობას, რომელსაც მოსწონს თავი გამოაჩინოს “მაგარ ბიჭად” შესაძლოა იგივენაირად მოექცეს ცოლს და შვილებს. სწრაფად ეცვლება განწყობილება? მეტისმეტად ხომ არ რეაგირებს პატარა პრობლემების თუ გაღიზიანების დროს? სასტიკად ექცევა ცხოველებს? როდესაც გაბრაზებულია ურტყამს მუშტს კედელს ან ისვრის ნივთებს? ნებისმიერი ზემოთ ხსენებული ქცევით შეიძლება დავახასიათოთ პიროვნება, რომელსაც გააჩნია მიდრეკილება ძალადობისაკენ.
3. ავად ხომ არ მოიხმარს ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს? ძალიან ძლიერი კავშირია ძალადობასა და ნარკომანია/ალკოჰოლიზმს შორის. ფხიზლად იყავით მისი შესაძლო სმის/ნარკომანიის პრობლემის მიმართ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ უარყოფს თავის სმის/ნარკომანიის პრობლემას ან უარყოფს დახმარების საჭიროებას. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ მის შეცვლას შეძლებთ.
4. აქვს თუ არა ძლიერი ტრადიციული შეხედულება იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთოს მამაკაცი და რა უნდა აკეთოს ქალმა? ფიქრობს თუ არა, რომ ქალი სახლში უნდა იჯდეს და ქმარს უნდა უვლიდეს და ემორჩილებოდეს?
5. ეჭვიანია თუ არა იმ ხალხის მიმართ, რომელთანაც თქვენ გაქვთ ურთიერთობა – არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ თქვენი მეგობარი ქალების ან ნათესავების მიმართ? ცდილობს თუ არა, რომ იზოლირებული გამყოფოთ? ყოველთვის აინტერესებს, სად ხართ? ყოველთვის უნდა თუ არა, რომ მასთან იყოთ?
6. ხელი მიუწვდება თუ არა იარაღთან, დანებთან ან სხვა სასიკვდილო ინსტრუმენტთან? საუბრობს თუ არა მათ გამოყენებაზე სხვა ადამიანებთან, ან იმუქრება თუ არა მათი გამოყენებით ანგარიშის გასასწორებლად?
7. მოელის თუ არა თქვენგან მისი ბრძანებებისა და რჩევების შესრულებას? ბრაზდება თუ არა, როდესაც თქვენ მის სურვილებს არ ასრულებთ ან ვერ ხვდებით, თუ რას მოელის იგი თქვენგან?
8. ახასიათებს თუ არა ხასიათის უკიდურესი ცვლილებები, თითქოს ორი განსხვავებული ადამიანიო? ზოგჯერ უკიდურესად კეთილია და ზოგჯერ კი უკიდურესად სასტიკი?
9. როდესაც ბრაზდება, გეშინიათ მისი? ხომ არ ფიქრობთ, რომ მისი არგაბრაზება თქვენი ცხოვრების მთავარ ამოცანად იქცა? აკეთებთ თუ არა იმას, რაც მას უნდა იმის ნაცვლად, რომ თქვენი სურვილისამებრ იმოქმედოთ?
10. უხეშად ხომ არ გეპყრობათ? გაიძულებთ თუ არა იმის გაკეთებას, რაც თქვენ არ გინდათ?

## კითხვარი

გადახედეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ გეპყრობათ თქვენი პარტნიორი და როგორ ეპყრობით თქვენ მას. არ დაგავიწყდეთ, რომ თუკი ერთი ადამიანი სისტემატურად აშინებს, ტკივილს აყენებს ან ამცირებს მეორე ადამიანს, ამას ძალადობა ჰქვია.

### აკეთებს თუ არა ამას თქვენი პარტნიორი...

- ოჯახის წევრებისა და მეგობრების წინაშე გამცირებთ ან დაგცინით?
- სათანადოდ არ აფასებს/არაფრად თვლის თქვენს მიღწევებსა და მიზნებს?
- გაგრძნობინებთ, რომ თქვენ გადაწყვეტილების გამოტანა არ შეგიძლიათ?
- მუქარას ან ზენოლას იყენებს თქვენი თანხმობის მოსაპოვებლად?
- გეუბნებათ, რომ უმისოდ არარაობა იქნებით?
- უხეშად გეპყრობათ – ხელს ან მუჯღუგუნს გკრავთ, გპნკენთ ან გირტყამთ?
- დღეში რამდენჯერმე გირეკავთ ან გაკითხავთ იმისათვის, რომ დარწმუნდეს, რომ იქ ხართ, სადაც უთხარით, რომ იქნებით?
- ალკოჰოლს/ნარკოტიკებს აბრალებს იმას, რომ თქვენ ცუდად გეპყრობათ?
- საკუთარ ქმედებას/განცდებს თქვენ გაბრალებთ?
- გაძალბებთ ისეთ სექსუალურ აქტივობას, რომლისთვისაც თქვენ მზად არ ხართ?
- ისეთ განცდას გიქმნით, თითქოს ამ ურთიერთობიდან თავის დაღწევა შეუძლებელია?
- გიშლით დრო ისე გაატაროთ, როგორც თქვენ გინდათ, მაგალითად, გიშლით მეგობრებთან ან თქვენს ოჯახთან ყოფნას?
- ცდილობს ჩხუბის მერე არსად წახვიდეთ, რათა “გაკვეთილი გასწავლოთ”?

### თქვენ...

- ზოგჯერ გაშინებთ ის, თუ როგორ იქცევა თქვენი პარტნიორი?
- მუდმივად ბოდიშებს უხდით სხვებს თქვენი პარტნიორის ქცევის გამო?
- გჯერათ, რომ შეძლებდით თქვენი პარტნიორის შეცვლას, თუკი საკუთარ თავში რაიმეს შეცვლიდით?

- ცდილობთ არ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც თქვენს პარტნიორს გააღიზიანებს ან კონფლიქტს გამოიწვევს?
- გრძნობთ, რომ რაც არ უნდა გააკეთოთ, თქვენი პარტნიორი არასდროს არის კმაყოფილი თქვენით?
- ყოველთვის იმას აკეთებთ, რაც თქვენს პარტნიორს სურს, რომ გააკეთოთ იმის ნაცვლად, რომ თქვენი სურვილისამებრ იქცეოდეთ?
- ხართ თქვენს პარტნიორთან იმის გამო, რომ გეშინიათ იმისა, თუ რა შეიძლება მან მოიმოქმედოს, თუკი თქვენ მას დატოვებთ?

*თუ რამოდენიმე ზემოაღნიშნულიდან დამახასიათებელია თქვენი ურთიერთობებისთვის, ესაუბრეთ ვინმეს. დახმარების გარეშე ძალადობას არ მოეწლება.*

**რა კატეგორიის ქალები ხასიათდებიან ძალადობის განცდის მეტი ალბათობით:**

- ასაკით უფრო ახალგაზრდა (16-24);
- ღარიბი და ნაკლებად განათლებული.

**ფაქტები ოჯახური/პარტნიორული ძალადობის შესახებ:**

- 1970-იან წლებში ა.შ.შ.-ში მოკლულ ქალთა მთლიანი რაოდენობის 30% იყო მოკლული პარტნიორის მიერ;
- 1996 წელს ა.შ.შ.-ში პარტნიორის მიერ პარტნიორის მკვლელობის დაახლოებით 2000 შემთხვევიდან მსხვერპლის თითქმის 3/4 იყო ქალი.

**რა შეიძლება მოჰყვეს ძალადობას:**

- მკვლელობა;
- დაჭრა და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები (ჩალურჯებები, მოტეხილობები, იარები და სხვა);
- თვითმკვლელობა;
- ფსიქოლოგიური შედეგები:
  - ◆ სირცხვილი, დანაშაულის გრძნობა, საკუთარი თავის დადანაშაულება, დამცირებულობის განცდა;
  - ◆ დეპრესია და სუიციდური ქცევა;
  - ◆ შიშები და შფოთვა;
  - ◆ ნივთიერებათა ავადმობმარება (ალკოჰოლიზმი და ნარკომანია);
  - ◆ სექსუალური დისფუნქციები;

- ◆ პოსტ ტრავმატული სტრესული სიმპტომები: კოშმარები, ძალადობის შემანუხებელი მოგონებები, კონცენტრაციის და ძილის სირთულეები, გაქცევის სურვილი.

### **ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევაში საჭირო სერვისები:**

- ქალებისათვის:
  - ◆ თავშესაფარი;
  - ◆ იურიდიული დახმარება;
  - ◆ სამედიცინო დახმარება;
  - ◆ ფინანსური და ინფორმაციული დახმარება;
  - ◆ ფსიქოლოგიური დახმარება;
  - ◆ ჯგუფური თერაპია.
- მამაკაცებისთვის:
  - ◆ რისხვის მართვა;
  - ◆ ინდივიდუალური დახმარება, რომელიც მიმართულია ქცევის მოდიფიცირებაზე;
  - ◆ ნივთიერებათა ავადმობარების მართვა.
- ბავშვებისთვის:
  - ◆ სარეაბილიტაციო პროგრამა.

წყვილთა კონსულტაცია ზოგადად არაა რეკომენდირებული სანყის ეტაპზე ან აგრესიის მწვავე ფაზაში და მანამ, სანამ აგრესიის ინციდენტის ალბათობა მინიმუმამდე არ არის დაყვანილი.

### **დაჩაგრული ქალის სინდრომი**

დაჩაგრული ქალის სინდრომი არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ქრონიკული ძალადობის მსხვერპლისა, რომელიც დიდწილად წააგავს პოსტტრავმულ სტრესულ მდგომარეობას. ლენორ ვოკერის თანახმად, დაჩაგრული ქალის სინდრომისათვის დამახასიათებელია შემდეგი ოთხი პირობა:

1. ქალს მიაჩნია, რომ ძალადობის ინციდენტი მისი ბრალი იყო;
2. ქალს არ შეუძლია ძალადობაზე პასუხისმგებლობა სხვაზე ან სხვა ფაქტორებზე გადაიტანოს;
3. ქალს ეშინია საკუთარი და მისი შვილების ფიზიკური უსაფრთხოების დაკარგვის;
4. ქალს აღენიშნება ირაციონალური რწმენა იმის შესახებ, რომ მოძალადე ყოველთვის შემძლეა და ყველაფერი იცის და ყველგან მიუწვდება ხელი.

ტრავმატული გამოცდილების მქონე ადამიანებს ხშირად ანუხებთ ტრავმატულ მოვლენასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სტრესი. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის ნორმალური რეაქცია არანორმალურ სიტუაციაზე. თუმცა, თუკი ადამიანები გრძნობენ, რომ მათ არ შეუძლიათ ხელახლა მოიპოვონ საკუთარი ცხოვრების კონტროლირებისა და წარმართვის უნარი, ან თუ მათ დიდი ხნის განმავლობაში აღენიშნებათ შემდეგი სიმპტომები, რომლებიც მათ ხელს უშლის ყოველდღიურ ფუნქციონირებაში, მათ დახმარებისათვის უნდა მიმართონ სპეციალისტს.

### **ეს სიმპტომებია:**

- განმეორებითი ფიქრი ან კოშმარები ტრავმატული მოვლენის შესახებ;
- გართულებული დაძინება და ცვლილებები მადაში;
- შფოთვისა და შიშის განცდები, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში მოხვედრისას, რომელიც გვაგონებს ტრავმატულ მოვლენას;
- ისეთი მოქმედება ან განცდა იმისა, თითქოს ტრავმატული მოვლენა კვლავ ხდება (გულისხმობს განცდილის ხელახლა განცდას, ილუზიებს, ჰალუცინაციებს, მოვლენის უეცარ ამოტივტივებას);
- ადვილად შეკრთომა ან ზედმეტად ფხიზლობა;
- დეპრესიის, მწუხარების, და ენერჯის ნაკლებობის განცდა;
- მეხსიერების პრობლემები, მათ შორის ტრავმატული მოვლენის ცალკეული ასპექტების გახსენების სირთულეები;
- დაბნეულობა და ყოველდღიურ ამოცანებზე ფოკუსირების უუნარობა;
- გადაწყვეტილების მიღების სირთულეები (აბულია);
- ადვილად გაღიზიანება, ალგზნება, გაბრაზება ან წყენა;
- ემოციური “სიმუნჯე”, განმარტოება, სხვებისგან იზოლაცია და გაუცხოება;
- უცაბედად ტირილი, სასონარკვეთისა და უსუსურობის გრძნობის დაუფლება;
- საყვარელი ადამიანების მიმართ უაღრესად მშფოთვარე დამოკიდებულება და ზედმეტი ნერვიულობა მათი უსაფრთხოების თაობაზე;
- ალექსითიმია (ემოციების ვერბალიზაციის უუნარობა)

### **ძალადობის მსხვერპლ ქალებთან ინდივიდუალური მუშაობის პრინციპები**

ძალადობის მსხვერპლ ქალებთან ინდივიდუალური მუშაობა საკმაოდ ეფექტურ შედეგებს იძლევა. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მუშაობის პროცესში:

- დავებმართ ემოციების გამოხატვაში;
- ვიყოთ ემპათიური და მოვეუსმინოთ;
- მოვახდინოთ მისი მდგომარეობის გარკვეული ნორმალიზაცია;
- შევაქოთ იმისთვის, რომ გაგიზიარათ მტკივნეული ინფორმაცია;
- ხაზი გავუსვათ მის ძლიერ მხარეებს და შევაქოთ;
- მოვახდინოთ ამბივალენტობის (მოძალადის მიმართ ურთიერთსანინააღმდეგო გრძნობების თანაარსებობის) ნორმალიზაცია;
- ხაზი გავუსვათ იმას, რომ მისი ბრალი არაა, რაც დაემართა;
- დავებმართ ქალს, გაიაზროს ძალადობის ციკლის სპეციფიკა და ის, თუ რა გავლენას ახდენს ძალადობა ოჯახის ყველა წევრზე;
- არ შევთავაზოთ საკუთარი აზრი პრობლემის გადაჭრის შესახებ (მაგ. მოძალადის დატოვების შესახებ) და ხელი შევეუწყოთ მის თვით-განსაზღვრას;
- რისკების შეფასება - შევაფასოთ ქალის უსაფრთხოების მდგომარეობა; თუ ოჯახში არის ბავშვი, აუცილებლად შევაფასოთ ბავშვის უსაფრთხოების მდგომარეობა და ბავშვზე ძალადობის ხარისხი/რისკი; შევაფასოთ ქალის დეპრესიის ხარისხი და სუიციდის რისკი;
- დავებმართ ქალს უსაფრთხოების გეგმის განვითარებაში;
- მივანოდოთ ინფორმაცია არსებული რესურსების (თავშესაფარი, უფასო იურიდიული და სამედიცინო კონსულტაცია და სხვა საჭირო სერვისები) შესახებ;
- დავებმართ ქალს გაქცევის გეგმის განვითარებაში, თუკი მისი არჩევანია გაქცევა;
- შევაფასოთ ქალის თანადგომის ქსელი და დავებმართ მას რესურსების გამოყენებაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Handbook of Social Work Practice with Vulnerable and Resilient Population, Second Edition. Alex Gitterman, Editor, Columbia University Press, 2001;
2. შეყრილაძე ია, სალექციო კურსი “სოციალური სამუშაო სხვადასხვა პოპულაციებთან” თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003
3. Walker, L., The Battered Woman, 1979.

## ნივთიერებაზე დამოკიდებულება

### ია შეყრილაქე

ნივთიერებებთან დაკავშირებული დაავადებები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ნივთიერებებზე დამოკიდებულების დაავადებები (ნივთიერებაზე დამოკიდებულება და ნივთიერებათა ავადმობმარება) და ნივთიერებებით გამოწვეული დაავადებები (ინტოქსიკაცია, ნივთიერებით გამოწვეული ბოდვა, ნივთიერებით გამოწვეული ფსიქოტური აშლილობა და სხვა.).

### რას ნიშნავს ნივთიერებაზე დამოკიდებულება?

ნივთიერებაზე დამოკიდებულება არის ალკოჰოლისა თუ სხვა ნივთიერების ფსიქოლოგიური და/ან ფიზიკური მოთხოვნილება, რომელიც არ ქრება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მის გამოყენებას ნეგატიური შედეგები მოჰყვება. ეს არის პირველადი, ქრონიკული დაავადება გამოწვეული/გამწვავებული გენეტიკური, ფსიქო-სოციალური და გარემო ფაქტორების მიერ. ხშირ შემთხვევაში დაავადება პროგრესირებს და ფატალურ შედეგს იწვევს.

დამოკიდებულების ორი ასპექტი არსებობს: (1) წამლის ეფექტისადმი გაზრდილი ტოლერანტობა და (2) წამლის მიღების შეწყვეტის სინდრომი.

როდესაც წამლის ეფექტისადმი ტოლერანტობა იზრდება, ადამიანს სჭირდება უფრო და უფრო მეტი დოზა იმისთვის, რომ იგივე ეფექტი მიიღოს, რაც დასაწყისში განიცადა. ვინაიდან ცენტრალური ნერვული სისტემის უჯრედები გახანგრძლივებულად იღებენ ნივთიერებას, ორგანიზმი ეცდება ნორმალური ფუნქციონირება შეინარჩუნოს იმგვარად, რომ უჯრედები ნაკლებად მგრძობიარე გახდნენ ნივთიერების მიმართ. შესაბამისად, ინდივიდმა შესაძლოა გაზარდოს დოზა საწყისი ეფექტის მისაღწევად.

როდესაც ნივთიერების ავადმობმარება დიდხანს გრძელდება და ამ დროს ადამიანი წყვეტს წამლის მიღებას, ამას მოჰყვება შენწყვეტის სინდრომი. ეს სინდრომი გამოწვეულია იმ ნივთიერებების არარსებობით, რომელთაც ცენტრალური ნერვული სისტემა უკვე შეეგუა. როდესაც წამლის მიწოდება აღარ ხდება, ცენტრალური ნერვული სისტემა გაივლის ხელახალი ადაპტაციის ანუ რეადაპტაციის პერიოდს, ვინაიდან მან უნდა ისწავლოს მოცემული ნივთიერების გარეშე ნორმალურად ფუნქციონირება. სწორედ ამ პერიოდში გამოამჟღავნებს ადამიანი შეწყვეტის სინდრომის ფიზიკურ სიმპტომებს.

ნივთიერებაზე დამოკიდებულება ხასიათდება შემდგომის სიმპტომების გახანგრძლივებული ან პერიოდული გამოვლენით:

- კონტროლის დაკარგვა სმაზე/გამოყენებაზე;

- გაზრდილი ტოლერანტობა ალკოჰოლის/ნივთიერების მიმართ (ზოგჯერ ტოლერანტობის დაკარგვას აქვს ადგილი დაავადების გვიანდელ ეტაპებზე);
- უარესდება თუ არ მოხდა ინდივიდის მიერ მავნე ნივთიერების მიღების შეწყვეტა;
- მათი გამოყენება უარყოფითი შედეგების მიუხედავად;
- მცდარი აზროვნება (მაგალითად, უარყოფა).

***ნივთიერებაზე დამოკიდებულება, როგორც პირველადი, ქრონიკული და პროგრესული დაავადება***

სამედიცინო მოდელის თანახმად, დამოკიდებულება არის *პირველადი* დაავადება. იგი არ წარმოადგენს სხვა დაავადების სიმპტომს.

ნივთიერებაზე დამოკიდებულება არის *ქრონიკული*, ანუ ინდივიდი მთელი ცხოვრების მანძილზე დამოკიდებულია ნივთიერებაზე. ამ დაავადების განკურნება შეუძლებელია, თუმცა შესაძლებელია მისი მკურნალობა და კონტროლი.

ნივთიერებაზე დამოკიდებულება არის *პროგრესული*. მასთან დაკავშირებული ფიზიკური, ემოციური და სოციალური პრობლემები უარსდება თუ ალკოჰოლის ან ნივთიერების მიღება არ წყდება. ამ პრობლემის უყურადღებოდ მიტოვებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდის ნაადრევი სიკვდილი თანამდევარი ჯანმრთელობის პრობლემების, უბედური შემთხვევისა თუ ტრავმის გამო.

***ნივთიერებაზე დამოკიდებულება როგორც პირველადი, ქრონიკული და პროგრესული დაავადება***

არსებობს უამრავი თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ის თუ, რის გამო ხდებიან ადამიანები ნივთიერებაზე დამოკიდებულნი. ამ თეორიებს შორისაა: მორალური თეორია (ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენება მორალური ნაკლია), ფსიქოლოგიური თეორია (ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა), სამედიცინო თეორია (პირველადი, ქრონიკული და პროგრესული დაავადებაა. მავნე ნივთიერებაზე დამოკიდებულება არ განიკურნება); ქცევითი თეორია (გადამდები ქცევაა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებას სწავლობენ); ნევროლოგიური/ქიმიური დისბალანსის თეორია (წარმოიქმნება ქიმიური დისბალანსის გამო); გენეტიკური თეორია (თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადაეცემა); გარემოს თეორია (მონამლული გარემო); განვითარების თეორია (შეფერხება ემოციურ განვითარებაში); ოჯახური სისტემის თეორია (ოჯახი ქმნის ნარკომანს) და ა.შ.

დღესდღეობით ნივთიერებაზე დამოკიდებულება გაიგება, როგორც მრავალფაქტორიანი, ანუ მრავალი კომპონენტისა და შესაძლო ხელშემწყობი ფაქტორის მომცველი ფენომენი.



## ნივთიერებაზე დამოკიდებულების შეფასება

DSM-IV-ის თანახმად ნივთიერებაზე დამოკიდებულობა წარმოადგენს ნივთიერების მოხმარების ისეთ არაჯანსაღ პატერნს, რომელიც ინვევს კლინიკურად მნიშვნელოვან შეფერხებას ან დისტრესს და ხასიათდება ქვემოთ მოცემული სიმპტომებიდან მინიმუმ სამი სიმპტომის არსებობით 1 წლის განმავლობაში:

- (1) ტოლერანტობა, რომელიც გულისხმობს, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სიმპტომს:
  - (ა) მნიშვნელოვნად გაზრდილი დოზის მოთხოვნილება სასურველი ეფექტისა თუ ინტოქსიკაციის მისაღწევად;
  - (ბ) იგივე დოზის გამოყენებისას მნიშვნელოვნად შემცირებული ეფექტი.
- (2) შეწყვეტის სინდრომი, რაც გამოიხატება რომელიმე ქვემოთ მოცემულ სიმპტომში:
  - (ა) ნივთიერებისთვის დამახასიათებელი შეწყვეტის სინდრომი;
  - (ბ) იგივე ან მონათესავე ნაშლის მიღება ხდება შეწყვეტის სინდრომის თავიდან ასაცილებლად.
- (3) ხშირად ნივთიერების მიღება ხდება უფრო დიდი რაოდენობით ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ეს განზრახული იყო;
- (4) სახეზეა ძლიერი სურვილი ან წარუმატებელი მცდელობა ნივთიერების ავადმოხმარების შეწყვეტისა;
- (5) დროის უმეტეს ნაწილს ადამიანი ატარებს ნივთიერების მოპოვებასთან დაკავშირებულ მოქმედებებში;
- (6) ნივთიერების მოხმარების გამო მნიშვნელოვნად არის შემცირებული/შეცვლილი სოციალური და პროფესიული მოღვაწეობები და გართობა;
- (7) ნივთიერების მოხმარება გრძელდება მიუხედავად სერიოზული ფსიქოლოგიური და ფიზიკური პრობლემებისა.

ზოგადად, ნივთიერებათა მოხმარების შეფასებისას აუცილებელია შეფასების მრავალკომპონენტური მიდგომა, რომელიც გულისხმობს შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაციის მიღებას ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორზე:

- მოხმარების ისტორია (დასაწყისი და ხანგრძლივობა);
- მოხმარების სიხშირე;
- მოხმარების ინტენსივობა (დოზა);
- შეწყვეტის მცდელობის ისტორია/მკურნალობის ისტორია;

- ტოლერანტობის შეფასება;
- მოხმარების გვერდითი მოვლენები (მადის პრობლემა, სამედიცინო პრობლემები);
- მოხმარების სოციალურობა;
- მოხმარებასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული პრობლემები (კანონთან, ოჯახში, სამსახურში, ა.შ.);
- მოხმარების ეფექტი (თავს უკეთ გრძნობს, სითამამეს მატებს და ა.შ.).

ნივთიერებათა ავადმოხმარების შეფასების მრავალი მეთოდი, ტესტი თუ ფორმატი არსებობს. ერთ-ერთი გავრცელებული სკრინინგ ტესტია CAGE, რომელიც ძირითადად ალკოჰოლიზმის დასადგენად გამოიყენება, თუმცა მისი ადაპტაცია შესაძლებელია ნიკოტინის, კოფეინის თუ სხვა ნივთიერების მიმართ. ტესტი სულ ოთხი კითხვისგან შედგება და ორი ან მეტი დადებითი პასუხის შემთხვევაში შემდგომი გამოკვლევის აუცილებლობაზე მიგვითითებს (Evingi, 1984).

CAGE: ალკოჰოლიზმის სკრინინგ ტესტი:

1. ოდესმე გიფიქრიათ, რომ უნდა შეამციროთ ალკოჰოლის მოხმარება?
2. გარშემომყოფები შეწუხებულები არიან თქვენს მიერ ალკოჰოლის მაღალი მოხმარების გამო?
3. თავი დამნაშავედ გიგრძნობთ ალკოჰოლის მოხმარების გამო?
4. ოდესმე დაგჭირვებიათ ნაბახუსევზე დილის დაწყება ალკოჰოლის მიღებით, ნერვების დასაწყნარებლად და თვალების გასახელად (აზრზე მოსასვლელად)?

ქვემოთ მოყვანილია ის კითხვები, რომელთა დასმა შესაძლოა ინფორმაციული იყოს ნივთიერებათა ავადმოხმარების გამოსავლენად და შესასწავლად.

1. თუ ეწევით?/მოგიწევიათ სიგარეტი? რამდენი ხანია, რაც ეწევით? რამდენ სიგარეტს ეწევით დღეში?
2. თუ სვამთ?
3. რას სვამთ? (ლუდს, ღვინოს, ლიქიორს და ა.შ.)?
4. რეგულარულად ღებულობთ გამონერილ წამალს? როგორ მოქმედებს ის თქვენზე/თავს როგორ გრძნობთ?
5. ხომ არ იყენებთ რომელიმე წამალს გამონერის გარეშე? როგორ მოქმედებს ის თქვენზე/თავს როგორ გრძნობთ?
6. თუ ხმარობდით რომელიმე არაკანონიერ ნარკოტიკს?
7. ბოლოს როდის დალიეთ/მიიღეთ ნივთიერება?

8. რამდენს სვამდით/რამდენ ნივთიერებას ღებულობდით?
9. ბოლოს ეს როდის გააკეთეთ?
10. რამდენი დალიეთ/რამდენი ნივთიერება მიიღეთ?
11. ყოველთვის ერთსა და იმავე რაოდენობას/დოზას სვამთ/იღებთ? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მიღებული ნივთიერების რაოდენობა მატულობს თუ კლებულობს?
12. თუ მიღებული ნივთიერების რაოდენობა იზრდება, განუხებთ/გაღელვებთ ეს?
13. მნიშვნელოვნად ხომ არ მოიმატეთ ან ხომ არ დაიკელით წონაში სასმელის/ნივთიერების მიღების დროს?
14. ძილის პრობლემები ხომ არ გქონდათ, როდესაც სვამდით/ნივთიერებას ხმარობდით?
15. დღის რა მონაკვეთში სვამთ/იღებთ ნივთიერებას?
16. კვირის რა მონაკვეთში სვამთ/იღებთ ნივთიერებას?
17. კვირაში რამდენი დღე სვამთ/იღებთ ნივთიერებას?
18. ჩვეულებრივ ვინ არის თქვენთან ერთად, როდესაც სვამთ/იღებთ ნივთიერებას?
19. თქვენი მეგობრები თუ სვამენ/იღებენ ნივთიერებას?
20. თქვენი მშობლები თუ სვამენ (სვამდნენ) /იღებენ (იღებდნენ) ნივთიერებას?
21. ოჯახში რომელიმე წევრი ალკოჰოლიკი/ნარკომანი ხომ არ არის?
22. ოდესმე ხომ არ შეუწუხებინხართ აზრს, რომ სმასთან/ნარკოტიკებთან დაკავშირებით შეიძლება პრობლემა გაგჩენოდათ?
23. ვინმეს ხომ არ უთქვამს თქვენთვის, რომ სმასთან/ნარკოტიკთან დაკავშირებით პრობლემა გაქვთ/გქონდათ?
24. როგორ გეხმარებათ დაღევა/ნივთიერების მიღება?
25. როდესაც სვამთ/ნივთიერებას ღებულობთ, როგორ გრძნობთ თავს?
26. ხომ არ მოუყოლიათ თქვენთვის თქვენი ისეთი ქცევის შესახებ, რომელიც სასმელის ან ნარკოტიკის გავლენის ქვეშ განახორციელეთ და არ გახსოვთ ამის შესახებ?
27. ხომ არ უთქვამთ თქვენთვის, რომ როდესაც სვამთ/ნივთიერებას ღებულობთ, უფრო უყურადღებო ხდებით, ან ბრაზობთ, ან კონტროლს კარგავთ?
28. შეგიძლიათ “გაუმკლავდეთ” ალკოჰოლის ან ნარკოტიკების უფრო მეტ რა-

ოდენობას, ვიდრე ლებულობდით?

29. ადრინდელთან შედარებით გიჭირთ “გაუმკლავდეთ” ალკოჰოლის ან ნარკოტიკის გავლენას?
30. როდესაც სვამთ/ნივთიერებას ლებულობთ, თავს უფრო კომუნიკაბელურად გრძნობთ?
31. ხომ არ დაგიმყარებიათ სქესობრივი კონტაქტი ისეთ ადამიანთან, რომელთანაც არ ნახვიდოდით ამაზე, რომ არ ყოფილიყავით სასმელის/ნივთიერების გავლენის ქვეშ?
32. ხომ არ ნანობთ თქვენს რომელიმე საქციელს, რომელიც სასმელის/ნივთიერების გავლენის ქვეშ ყოფნის დროს ჩაიდინეთ?
33. იმიტომ ხომ არ სვამთ/ლებულობთ ნივთიერებას, რომ “თქვენს პრობლემებს/უსიამოვნებას გაექცეთ”?
34. რომელ პრობლემებს ცდილობთ გაექცეთ?
35. სამსახურში ვინმეს ხომ არ გამოუთქვამს შეშფოთება თქვენს სმასთან/ნივთიერების მიღებასთან დაკავშირებით?
36. ხომ არ თვლით, რომ სმასთან/ნივთიერების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემა ხელს გიშლით სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებაში?
37. სმის/ნივთიერების მიღების გამო თუ გაგიცდენიათ რომელიმე სამუშაო დღე?
38. სმის/ნივთიერების მიღების გამო ხომ არ დაგიკარგავთ სამსახური?
39. მეუღლესთან ან პარტნიორთან ხომ ამ მოგსვლიათ კონფლიქტი, ან ხომ არ გამძაფრებულა ურთიერთობა თქვენს შორის თქვენი მავნე ჩვევის (სმის ან ნივთიერების ავადმოსხმარების) გამო?
40. ხომ არ დაგემუქრათ მაუღლე ან პარტნიორი, რომ მიგატოვებდათ თქვენი მავნე ჩვევის გამო?
41. ხომ არ მიუტოვებიათ მეუღლეს/პარტნიორს თქვენი მავნე ჩვევის გამო?
42. სასმელს ან ნივთიერების მოხმარებას ხელი ხომ არ შეუშლია თქვენთვის სექსუალურ ურთიერთობებში?
43. ხომ არ დაუპატიმრებიათ ნარკოტიკების გამოყენების დროს, ნივთიერებებით ვაჭრობის დროს, ან თქვენი საქციელის გამო როდესაც ნივთიერების გავლენის ქვეშ იყავით?
44. ოჯახის წევრებს ნაკლებ ყურადღებას იმიტომ ხომ არ უთმობთ, რომ სვამთ/ნივთიერებას იღებთ?

45. ოჯახს ან მეგობრებს ხომ არ გაუზრახართ, როდესაც სვამთ/ნივთიერებას იღებთ?
46. ხომ არ დაგირტყამთ მეუღლისათვის ან შვილებისათვის, როდესაც მიღებული სასმელის/ნივთიერების გავლენის ქვეშ იყავით?
47. ფინანსური პრობლემა ხომ არ გაქვთ?
48. ეს ფინანსური პრობლემა თქვენი სმის/ნივთიერების მიღებასთან ხომ არ არის დაკავშირებული?
49. თუ ეცადეთ სმისათვის/ნივთიერების მიღებისათვის თავი დაგენებებინათ? როგორ?
50. ხომ არ მოგესმათ ხმები ან რამე ხომ არ მოგელანდათ, როდესაც სასმელის/ნივთიერების გავლენის ქვეშ იყავით?
51. ხომ არ გაგივლიათ თერაპიის კურსი სმის/ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის მიზნით?
52. ხომ არ ყოფილხართ “თორმეტი ნაბიჯის” ან სხვა დამხმარე ჯგუფის წევრი სმის/ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის მიზნით?
53. ექიმთან ხომ არ მისულხართ სმის/ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის მიზნით?
54. საავადმყოფოში ხომ არ იყავით მოთავსებული ნივთიერების მოხმარებისათვის? სად? რამდენი ხნით?

## **ნივთიერებაზე დამოკიდებულების გავრცელებული ინტერვენციები**

ნივთიერებაზე დამოკიდებულება მრავალკომპონენტიანი პრობლემური მდგომარეობაა და შესაბამისად იგი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. წარმატებული მკურნალობა გულისხმობს, პირველ რიგში, ინდივიდის გადაუდებელი საჭიროებების დადგენას და ჩარევის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას. დეტოქსიკაცია, როგორც წესი, ჩარევის პირველი საფეხურია, რომელსაც უნდა მოჰყვეს მკურნალობის სათანადო გეგმა, რომლის მიზანია რეციდივის პრევენცია, ინდივიდის მოტივაციის გაზრდა, შეინარჩუნოს სიფხიზლე და თანამდევი მდგომარეობების მკურნალობა.

კომპლექსური მიდგომა არ შემოიფარგლება მკურნალობის ერთი ფორმით, არამედ გულისხმობს ინტერვენციის მრავალნაზნაგოვან მოდელს ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოთერაპიის, სამედიცინო მკურნალობის და კონსულტაციის, თვითდახმარების ჯგუფების და სხვათა სახით. ქვემოთ მოცემულია ნივთიერებაზე დამოკიდებულების მკურნალობის გავრცელებული ეფექტური

ინტერვენციები:

- დეტოქსიკაცია;
- მკურნალობის დახურული კლინიკები/სტაციონარული მკურნალობა;
- მკურნალობის დღის ცენტრები;
- თორმეტი ნაბიჯი და AA/NA (ანონიმური ალკოჰოლიკები/ანონიმური ნარკომანები)
- თანამდევარი მდგომარეობების მკურნალობა (ფსიქიკური აშლილობა, აივ ინფიცირება, სამედიცინო დაავადებები);
- ფარმაკოთერაპია;
- ფსიქოთერაპია;
- მოტივაციური ინტერვიუება;
- კოგნიტურ-ბიჰევიორისტული თერაპია;
- ოჯახური თერაპია.

## ფსიქოაქტიური ნივთიერებების კლასიფიკაცია

ფსიქოაქტიური ნივთიერებები მოქმედებენ და ცვლიან ინდივიდის ქცევას, განწყობილებას და აღქმას.

- **სტიმულატორები** (კოკაინი, ნიკოტინი, კოფეინი, ამფეტამინი) - აძლიერებენ ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას და ინვევენ ეიფორიას. მათ შეუძლიათ ინტოქსიკაციის, ტაქიკარდიის, წნევის მომატების, გულის რევის გამოწვევა. ასევე მათ შეიძლება გამოიწვიონ აგრესიული და ძალმომრეობითი ქცევა, აჟიტირება, აზროვნების შეცვლა, მათ შორის ბოლოებითი ფსიქოზიც.

**კოკაინი** და **ამფეტამინები** ინვევენ კანკალს, თავის ტკივილს, უკიდურეს დაძაბულობას, გულის რევას და თავბრუ ხვევას, წონაში დაკლებას, კრუნჩხვას და დეპრესიას.

- **ოპიოიდები** (მორფინი, ჰეროინი, კოდეინი, ოპიუმი, მეტადონი) - თრგუნავენ ორგანიზმის ფიზიკურ რეაგირებას და ინვევენ ეიფორიას ენდორფინის დიდი რაოდენობით გამოყოფით (ენდორფინი არის ნივთიერება, რომელიც სიამოვნების შეგრძნებას წარმოშობს). **ჰეროინი** თავდაპირველად თავბრუ ხვევას, სუნთქვის შენელებას, კანის სიმშრალეს, ქავილს და მეტყველების შენელებას ინვევს. დიდი ხნის მიღების შემდეგ სერიოზულია იმის რისკი, რომ განვითარდეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი დოზის მიღებით გამოწვეული ან რესპირატორული დეპრესიით გამოწვეული სიკვდილი.

- **დეპრესანტები** (ალკოჰოლი, ბარბიტურატები - ნამლები, რომლებიც შფოთვას და უძილობას ხსნიან) – ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები ანელებენ ფსიქიკურ პროცესებს. ისინი ინვევენ ხელოვნურ მოშვებას და ხსნიან ფსიქიკურ სტრესსა და შფოთვას, თუმცა ინვევენ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას და ამასთან, თავის დანებების დროს ძლიერი შეწყვეტის სინდრომით ხასიათდებიან.
- **ჰალუცინოგენები** (მარიხუანა, ჰაშიში, ლსდ, კაკტუსის ფსილოციბინი [სოკო], ექსტაზი) – ქიმიურად მრავალფეროვანი ნივთიერებები, რომლებიც სერიოზულ ფსიქიკურ ცვლილებებს ინვევენ და ყველაზე მძიმე შედეგის მქონენი არიან. მათ შეიძლება გამოიწვიონ ეიფორია, შფოთვა, შეგრძნების დარღვევა, ჰალუცინაციები, ბოძვა, პარანოია და დეპრესია. იცვლება გულისცემა, წნევა და გრძელვადიანი ეფექტი შეიძლება იყოს ნევროლოგიური დაავადება, დეპრესია, შფოთვა, მხედველობითი ჰალუცინაციები. **კანაფი** და **ექსტაზი** თითქოს ნაკლებად საზიანო ნივთიერებებად ითვლება, ვინაიდან ხშირად მათი გრძელვადიანი ეფექტი სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. მოზარდებში მათი მოხმარება მნიშვნელოვნად აფერხებს კოგნიტურ განვითარებას და ამცირებს მეხსიერების მოცულობას.
- **ინჰალანტები** (ნებო, საღებავი, გაზი, აეროზოლები) – შეუძლიათ გამოიწვიონ ცვლილებები თავის ტვინში, რომლის შედეგადაც ადამიანმა შესაძლოა თავი იგრძნოს კარგად, განიცადოს ჰალუცინაციები; ტოქსიკური ეფექტი აქვთ ღვიძლზე, თირკმელებზე, გულზე და ასევე შეიძლება გამოიწვიონ თავის ტვინის დეგენერაცია და სიკვდილი გამონეული ასფიქსიით, კომით, გულყრით და გადაცდენით.

### **ინჰალანტთა მოხმარება**

ვინაიდან ინჰალანტთა მოხმარება სერიოზულ სამედიცინო რისკებთანაა დაკავშირებული, მკურნალობის პირველ საფეხურს სწორედ სამედიცინო გამოკვლევა წარმოადგენს. ეს უკანაქსნელი გულისხმობს შემდეგს: (1) ცენტრალური ნერვული სისტემის ზიანის შეფასება; (2) თირკმელისა და ღვიძლის პათოლოგიების შეფასება; (3) მონამღვის დონის განსაზღვრა; (4) კარდიოართიმის და ფილტვის პათოლოგიის შეფასება და (5) კვებითი დეფიციტების დადგენა.

### **ინჰალანტზე დამოკიდებულების ინტერვენციის ფოკუსი**

- ნევროლოგიური ზიანის განსაზღვრა;
- სწავლის ჩამორჩენების და დესტრუქციული ქცევის იდენტიფიცირება;
- ოჯახური მდგომარეობის შეფასება;
- სტაბილურობის რისკის შეფასება;

- ალკოჰოლის და სხვა ნივთიერებათა მოხმარების ისტორიის შეფასება;
- ძალადობის რისკის შეფასება (მაღალია პროცენტი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა);
- თანატოლებთან ურთიერთობების შეფასება. პატარა ბავშვებში მოხმარება ხშირად ჯგუფურ ხასიათს ატარებს, ამიტომ მნიშვნელოვანია თანატოლების პოზიტიური ჯგუფის ჩამოყალიბება.

### **ინჰალანტზე დამოკიდებულების რეკომენდაციები ინტერვენციისთვის**

- მკურნალობის დაგეგმვას წინ უნდა უძღოდეს დეტოქსიკაცია, სამედიცინო შემონმება და ნევროლოგიური ტესტირება;
- დეტოქსიკაციას და მკურნალობას სჭირდება მეტი დრო, ვიდრე სხვა ნივთიერებების შემთხვევაში (90-120 დღე);
- ფსიქოთერაპია საუბრის სახით შესაძლოა არ იყოს მიზანშეწონილი, თუკი სახეზეა ნევროლოგიური ან/და კოგნიტური დისფუნქცია;
- ყურადღების კონცენტრაციის და იმპულსთა კონტროლის პრობლემები შესაძლოა არ იყოს მიზანშეწონილი ჯგუფური მუშაობისთვის;
- კოგნიტურ-ნევროლოგიურ შეფასებას უნდა მოჰყვეს კოგნიტურ-ნევროლოგიური რეაბილიტაციის გეგმა;
- საჭიროა აკადემიური ჩამორჩენის რეაბილიტაცია;
- გუნდური მიდგომა: სამედიცინო, ნევროლოგიური, ფსიქოლოგიური, პროფესიული, ფიზიკური/მოტორული, საგანმანათლებლო;
- სადაც საჭიროა, ოკუპაციური თერაპია და ფიზიოთერაპია;
- ინჰალანტებთან ხელმისაწვდომობა უნდა მოისპოს;
- მონიტორინგი.

### **რეციდივის დინამიკა**

ალკოჰოლიზმის ან სხვა ნამალდამოკიდებულების გამწვავება არ იწყება პირველი დაღვეისთანავე. ის უკავშირდება ადრეულ საქციელთან დაბრუნებას, კერძოდ კი პრობლემის უარყოფას, იზოლირებას, გაზრდილ სტრესს და დარღვეულ განსჯას. ქცევის ასეთი ტიპი 1973 წელს დაადგინა ტერენს გორსკიმ. მის კვლევაში მონაწილეობდა 118 პაციენტი, რომლებმაც გაიარეს 21 ან 28 დღიანი მკურნალობის პროგრამა. ამ პაციენტებს გაცნობიერებული ჰქონდათ



და სურდათ სიფხიზლის შენარჩუნება, მაგრამ მაინც დაუბრუნდნენ სმას. მათში ყველაზე ხშირად შეიმჩნეოდა შემდეგი სიმპტომები:

1. აფასებს კარგად ყოფნას თუმცა ეს დაფასება ხანმოკლეა. გაურკვეველობის შიში, თავდაჯერების ნაკლებობა;
2. პრობლემის უარყოფა სტრესის ქვეშ ყოფნის უარყოფა;
3. "მე შემძლია, რომ აღარ დავლიო" ოჯახის და მხარდამჭერთა ჯგუფის დახმარების უარყოფა, უმადურობა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი;
4. აგრესიულობა სხვებზე შეტევა, თავის გამართლება, მკურნალობის გეგმებზე საუბრისგან თავის არიდება;
5. სხვათა სმის გაკონტროლება საკუთარი საქციელის ნაცვლად სხვათა ქცევაზე (სმაზე) ფოკუსირება;
5. კომპულსიური ქცევა უხეში, ხშირად განმეორებადი საქციელი;
6. იმპულსურობა
7. მარტოობისაკენ სწრაფვა დროის დიდი მონაკვეთებით განმარტოება;
8. არჩევითი ხედვა ცხოვრების მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი მხარეების დანახვა;
9. დეპრესია სიმარტოვის გრძნობა, ძილიანობა;
10. დაგეგმვის უნარის დაკარგვა გეგმების არდასახვა ან არარეალური გეგმებით, ოცნებებით ცხოვრება;
11. ფანტაზიორობა რეალობისგან თავის დასაღწევად ოცნებებით ცხოვრება; ფიქრი, რომ თუ არა "ეს" ყველაფერი კარგად იქნებოდა;
12. უიმედობა "მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემძლო, მაგრამ უშედეგოდ";
13. გაუაზრებელი სურვილები სურვილი იყო ბედნიერი, იმის გარკვევის გარეშე, თუ რა არის ამისათვის საჭირო.

დასასრულ, ნივთიერებაზე დამოკიდებულება ძალზედ რთული ფენომენია. მისი მკურნალობის ფორმები და მეთოდები განსხვავებულია და დიდწილად დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ნივთიერების ტიპი, დამოკიდებულების რაგვარობა და ხანგრძლივობა, თანამდევი ჯანმრთელობის პრობლემები და ინდივიდის ფსიქო-სოციალური თავისებურებები და საჭიროებები. ეფექტური მკურნალობის მეთოდის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებას.

## **ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders – IV – TR. American Psychiatric Association, 2000;
2. Hepworth & Larsen, Direct Social Work: Theories and Skills;
3. Inhalant Abuse, Research Report Series. National Institute on Drug Abuse, retrieved from: <http://www.nida.nih.gov/PDF/RRinhalants.pdf>
4. Jongsma, A. E., Peterson, M.L. & McInnis, W. P. The Adolescent Psychotherapy Treatment Planner, 3<sup>rd</sup> Edition, 2003;
5. Kaplan, H. I. & Sadock, B. J. Synopsis of Psychiatry, Eighth edition. Lippincott Williams & Wilkins, 1998;
6. Lucas, S. Where to start and what to ask: An Assessment handbook, 2002;
7. National Inhalant Prevention Coalition Guidelines retrieved from: <http://www.inhalants.org/guidelines.htm>;
8. Psychosocial Treatments for Children and Adolescent Disorders, Empirically Based Strategies for Clinical Practice; Edited by Euthymia D. Hibbs & Peter S. Jensen, 2001
9. შეყრილაძე, ი., ფარცხალაძე, ნ. სახელმძღვანელო “სოციალური სამუშაო ბავშვებთან და ოჯახებთან” NSP Alumni Development Grant, თბილისი 2003;
10. Treatment Approaches for Drug Addiction, NIDA, retrieved from: [http://www.drugabuse.gov/PDF/InfoFacts/IF\\_Treatment\\_Approaches\\_2009\\_to\\_NIDA\\_92209.pdf](http://www.drugabuse.gov/PDF/InfoFacts/IF_Treatment_Approaches_2009_to_NIDA_92209.pdf)

## ზრდასრულობა და ხანდაზმულობა და მათი თავისებურებები

### ია შაყრილაძე

ე. ერიკსონის მიხედვით, ზრდასრულობის ორი მთავარი დილემაა ინტიმურობა იზოლაციის წინააღმდეგ და ქმნადობა უძრაობის წინააღმდეგ. ფროიდმა ზრდასრულობის მოთხოვნილებები განსაზღვრა როგორც *Lieben und Arbeiten*, ანუ სიყვარული და სამუშაო. აბრაჰამ მასლოუმ ამ პერიოდის მოთხოვნილებები განიხილა, როგორც სიყვარულისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, რომელიც დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაიზრდება წარმატებისა და პრესტიჟის მოთხოვნილებაში. ზრდასრულობა ეს არის პერიოდი, რომლის დროსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც სოციალური ურთიერთობები, ისე პირადი მიღწევები.

გვიანი ზრდასრულობის პერიოდში ცვლილებები შეინიშნება სოციალურ ურთიერთობებში და შესაბამისად ინდივიდთა პრიორიტეტებიც იცვლება. ამ ცვლილებების მიუხედავად, ასაკოვანი ადამიანები ინარჩუნებენ ცხოვრების მნიშვნელობის გრძნობას. ზრდასრულობის უკანასკნელი კრიზისი ერიკსონმა განსაზღვრა, როგორც კონფლიქტი პიროვნულ მთლიანობასა და სასონარკვეთას შორის. ასაკში შესვლა ხანგრძლივი, უწყვეტი პროცესია და არ არსებობს მომენტი, როდესაც ადამიანი უცაბედად იგრძნობს დაბერებას. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ საზოგადოებაში ხანდაზმულების მიმართ გარკვეული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები არსებობს. უარყოფითი სტერეოტიპის ერთ-ერთი გამოხატულებაა განსაკუთრებული დამოკიდებულება ასაკოვანი ადამიანებისადმი ანუ, ეგრეთ წოდებული **ეიჯიზმი (ageism)**. ეიჯიზმს მიყვარათ ხანდაზმული ინდივიდების დისკრიმინაციამდე და გულისხმობს მათი შესაძლებლობების შეზღუდვასა და იზოლირებას.

ხანდაზმულობის ასაკში მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს აღენიშნება კოგნიტური ფუნქციონირების სერიოზული გაუარესება. აშშ კვლევები აჩვენებს, რომ იმისათვის, რომ ხანდაზმულობის ასაკში შევინარჩუნოთ კოგნიტური ფუნქციონირების სათანადო დონე, აუცილებელია ვამუშაოთ და ვავარჯიშოთ გონება. ალცჰაიმერის ტიპის დემენცია არის ის ბიოლოგიური წარმოშობის აშლილობა, რომელიც გავრცელებულია ხანდაზმულ ინდივიდებში.

### ალცჰაიმერის დაავადება და მისი სტადიები

ალცჰაიმერის დაავადება არის თავის ტვინის ქრონიკული, ორგანული სინდრომი, რომელიც ხასიათდება მეხსიერების და ინტელექტუალური უნარების თანდათანობითი დაქვეითებით და პიროვნების გაპარტახებით.

ალცჰაიმერის დაავადების დასაწყისი მსუბუქი და თანდათანობითია შესა-

ბამისად შეცდომაში შემყვანი – ადრეულ ეტაპებზე ერთადერთი ხილული სიმპტომი შეიძლება იყოს მეხსიერების დაქვეითება. დაავადების მსხვერპლმა შესაძლოა აჩვენოს თანდათანობითი პიროვნული ცვლილებები, როგორცაა აპათია, სპონტანურობის ნაკლებობა და სოციალური ურთიერთობებისგან იზოლაცია. დაავადების განვითარებულ ეტაპებზე ადამიანებმა შეიძლება შეწყვიტონ მეტყველება, დაკარგონ ყურადღების კონცენტრაციის უნარი, დაავინყდეთ საკუთარი მეუღლისა თუ შვილების სახელები. ცხადია, მეხსიერების დაქვეითების ეს ფორმა ბევრად უფრო ღრმა და დრამატულია, ვიდრე სიბერის ტიპიური მეხსიერების შეფერხებები და ხასიათდება *აფაზიით, აგნოზიით და აპრაქსიით*.

აფაზია ეს არის სიტყვების გახსენების უუნარობა და ზოგადად მეტყველების უნარის დაკარგვა. აგნოზია ნიშნავს ობიექტთა ცნობის უუნარობას, ხოლო აპრაქსია კი გულისხმობს პრაქტიკული მოტორული უნარ-ჩვევების დავინყებას. მაგალითად, ადამიანს აღარ ახსოვს საჭმლის გაკეთება, მანქანის ტარება, წერა და ასე შემდეგ.

## **ალცჰაიმერის ტიპის დემენციის სტადიები:**

### ***პირველი სტადია: დაქვეითებული მეხსიერება***

**სიმპტომები:** მეხსიერების გაუარესება სამუშაოს შესრულებისას; გაურკვეველი ჩივილები; ადვილად ღიზიანდება და ბრაზდება; ინიციატივის ნაკლებობა; შენელებული რეაქციები; ახალი ინფორმაციის ათვისების სიძნელე; ავინყდება თავის მიერ ახლახანს ნათქვამი/ჩადენილი საქციელი; დაქვეითებული ენერჯია და ცხოვრების ინტერესი; ყოველდღიური საქმიანობის შესასრულებლად მეტი დრო სჭირდება; ფინანსების განკარგვა გართულებულია.

### ***მოვლა:***

- შეეცადეთ გაიგოთ ადამიანის (და თქვენი) გაღიზიანება;
- შესთავაზეთ მას დახმარება;
- შეეცადეთ ორგანიზება გაუკეთოთ და გაამარტივოთ მისი ყოველდღიური საქმიანობა და შეუქმნათ უსაფრთხო გარემო.

### ***მეორე სტადია: ცნობიერების შეცვლა***

**სიმპტომები:** ესაჭიროება მუდმივი დახმარება; არ შეუძლია ანგარიში, კონცენტრირება, დაგეგმვა და გადაწყვეტილებების მიღება; შენელებული რეაქციები ან გადაჭარბებული რეაგირება; მეხსიერების და ყურადღების შემდგომი დაქვეითება და ცნობიერების დარღვევა.

### ***მოვლა:***

- მოემზადეთ მუდმივი მეთვალყურეობისთვის;

- მოუარეთ, მაგრამ არ მოეპყროთ როგორც ბავშვს;
- მიეცით მარტივი ინსტრუქციები;
- შეუზღუდეთ არჩევანი;
- შეახსენეთ და გაუმეორეთ, მაგრამ შეეცადეთ არ გააღიზიანოთ.

**მესამე სტადია: დეზორიენტაცია**

სიმპტომები: აშკარა უნარშეზღუდულობა; ლეთარგია; დროსა და სივრცეში დეზორიენტაცია; ცუდი ოპერატიული მეხსიერება; არაადეკვატური ქცევა; ვერ ცნობს ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს; განმეორებადი საქციელი/მეტყველება; მოტორული პრობლემები; ლოგიკურად ფიქრის შეუძლებლობა; ვერ პოულობს საჭირო სიტყვებს და ამის გამო ცრუობს; უჭირს კითხვა, წერა, ანგარიში; ადვილად ღიზიანდება, ტირის, ეჭვიანობს; უჭირს ან ეშინია ბანაობა, ჩაცმა; ეჩვენება საგნები და ესმის ხმები; აღენიშნება ბოღვითი იდეები; სჭირდება 24 სთ-იანი ზედამხედველობა.

*მოვლა:*

- ნელა მიუახლოვდით;
- დაძახების მიზნით მსუბუქად შეეხეთ;
- აუხსენით, რის გაკეთებას უპირებთ;
- დააწყნარეთ;
- შეეცადეთ, არ გენყინოთ მისი უხეში საქციელი.

**მეოთხე სტადია: სრული დამოკიდებულება**

სიმპტომები: ვერ სცნობს საკუთარ თავს სარკეში და ოჯახის წევრებს; ვერ ასრულებს უმარტივეს დავალებებს; ყლაპვის გაძნელება, უმოძრაობა, კრუნჩხვები, კანის დაზიანება, ინფექციები, შარდის ბუშტის და სნორი ნაწლავის კონტროლის დაკარგვა; საკუთარი თავის მოვლის უნარის სრული დაკარგვა; მეტყველების უნარის დაკარგვა; ხელით ეხება და პირში იღებს ყველაფერს.

*მოვლა:*

- 24 სთ-იანი მოვლა;
- გახსოვდეთ, რომ მისი საქციელი უნებლიეა;
- შეისწავლეთ მეტი დაავადების შესახებ;
- მოითხოვეთ ახლობლების და პროფესიონალების დახმარება;
- მოიძიეთ რესურსები – შინ მოვლის სპეციალისტები და ა. შ.

დღესდღეობით, უცნობია ის, თუ ზუსტად რა ტიპის პრევენციულ ღონისძიებებს ძალუძთ ალცჰაიმერის დაავადების თავიდან აცილება. რიგი ეპიდემიოლოგიური კვლევების თანახმად, ცალკეული ცვლადები, როგორცაა გარკვეული ტიპის დიეტა, კარდიოვისკულარული რისკი, ფარმაკოლოგიური პროდუქტები და ინტელექტუალური აქტივობა კავშირში უნდა იყოს ამ დაავადების რისკის შემცირებასა თუ გაზრდასთან. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალი კვლევები უკეთ განსაზღვრავენ პრევენციული ღირებულების მატარებელ ღონისძიებებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders – IV – TR. American Psychiatric Association, 2000;
2. Gerrig, R. J., & Zimbardo, P. G. Psychology and Life, 16<sup>th</sup> edition, Ellyn and Bacon, 2002;
3. შეყრილაძე ი., ფარცხალაძე ნ. სახელმძღვანელო “სოციალური სამუშაო ჯანდაცვის სფეროში” NSP Alumni Development Grant, თბილისი 2003

# თავი 4

## სოციალური მუშაობა თემებთან

---

*სალომე ნაშიჭიშვილი, მანია მგელიაშვილი*

### რა არის თემი?

თემი არის გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, რომელნიც ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და ორი საერთო პრინციპით ხასიათდებიან:

- საერთო თვითშეგნება;
- თემთან მიკუთვნების გრძნობა.

თემის მეშვეობით ხდება სოციალური კონტროლის ჩამოყალიბება, რადგან თითოეულ თემს განსაკუთრებული ღირებულებათა სისტემა, ნორმები, რწმენა და კულტურა გააჩნია. თემს ხშირად ახასიათებს მთლიანობა, რადგან მისი წევრები მჭიდრო სოციალური ურთიერთქმედებით გამოირჩევიან. ჯანსაღი ფუნქციონირების თემები გამოირჩევიან მჭიდრო კავშირებით, პოზიტიური სოციალური ნორმებითა და მომავლისადმი რწმენით.

ძირითადად, ორი ტიპის თემს გამოყოფენ:

- ტერიტორიული თემები, რომლებიც გეოგრაფიული ნიშნით ერთიანდებიან (სამეზობლო, უბანი, რაიონი, ა.შ.);
- კუთვნილებითი თემები, სადაც უმთავრესია რაიმე ნიშნით ადამიანის მიკუთვნება (სოციალური მუშაკების ასოციაცია, რელიგიური ორგანიზაცია, მწერალთა ორგანიზაცია).

თემის შემდეგ ფუნქციებს გამოყოფენ:

სოციალიზაცია – თემის ღირებულებების, კულტურის, რწმენის და ნორმების თემის ახალი წევრებისათვის გადაცემა;

სხვადასხვა მომსახურების შექმნა, გავრცელება და მოხმარება;

სოციალური კონტროლის ჩამოყალიბება – ადამიანთა ქცევაზე სხვადასხვა შეზღუდვების შემოღება, რაც გამომდინარეობს თემის ღირებულებათა სისტემიდან;

ურთიერთმხარდაჭერა – ადამიანების მიერ ერთმანეთზე ზრუნვა ფორმალური და არაფორმალური სახით.

## სოციალური მუშაკის ძირითადი როლები თემთან მუშაობის პროცესში

- **მედიატორი (შუამავალი)** წყვეტს დავებს თემში დაპირისპირებულ სხვადასხვა მხარეებს შორის;
- **კოორდინატორი** თავს უყრის სხვადასხვა ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებს და მათ ერთობლივ მუშაობას უწევს კოორდინაციას;
- **ზოგადი მენეჯერი** თავის თავზე იღებს გარკვეულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სხვადასხვა სათემო პროექტის განხორციელებისას;
- **განმანათლებელი** აწვდის თემის წევრებს ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- **ანალიტიკოსი/შემფასებელი** შეაფასებს ამა თუ იმ პროექტის ან პროგრამის ეფექტურობას;
- **ბროკერი** აკავშირებს თემში არსებულ სხვადასხვა სისტემებს (ინდივიდი, ჯგუფი, ორგანიზაცია) გარკვეულ რესურსებსა და სერვისებთან
- **ფასილიტატორი** ხელს უწყობს ამა თუ იმ საკითხზე მომუშავე თემის წევრთა ჯგუფში ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას;
- **ადვოკატი** გამოდის თემის წევრთა სახელით, რათა მათ მოიპოვონ სათანადო რესურსები და სერვისები;
- **აქტივისტი** ესწრაფის სისტემური/ინსტიტუციური ცვლილების მიღწევას, რაც ხშირად გულისხმობს ძალაუფლებისა და რესურსების მარგინალური ჯგუფებისათვის გადაცემას;
- **მკვლევარი** შეისწავლის არსებულ ლიტერატურას, აფასებს შედეგებს, სწავლობს თემის რესურსებსა და საჭიროებებს.

## თემის განვითარება

თემის განვითარება არის შესაბამისი სფეროს სპეციალისტებისა და თემის წევრების მცდელობა:

- გააძლიერონ სოციალური კავშირები თემის წევრებს შორის;
- გაზარდონ მოქალაქეთა შორის თვითდახმარების მოტივაცია;
- განავითარონ ადგილობრივი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
- შექმნან ან გარდაქმნან ადგილობრივი დაწესებულებები თემის მოთხოვნილებების შესაბამისად.



თემის განვითარების ძირითადი მიზნებია:

- კოლექტიური შეგნების ამაღლება;
- მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა;
- თვითდახმარება განვითარება.

## თემის გაძლიერება

თემის გაძლიერება არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს თემის რესურსების, კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და არჩევანის განვითარებას. გაძლიერება ემსახურება თემის მიერ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის მოპოვებას. გაძლიერებაში მოიაზრება პიროვნული, პიროვნებათშორისი ან პოლიტიკური ასპექტების გაძლიერება ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში თემის გაძლიერება თემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია და იგი ხორციელდება სათემო მობილიზაციის დონეზე, როდესაც სოციალური მუშაკი თემის წევრებს პრობლემის ამოცნობასა და პრობლემის ირგვლივ მობილიზაციაში ეხმარება.

თემის გაძლიერების პროცესს თემის გაძლიერების თეორია უდევს საფუძვლად. თემის გაძლიერების თეორია ეფუძნება მოსაზრებას, რომ ადამიანის რესურსები და მისი საჭიროებები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იმყოფებოდეს. ამ თეორიით, სოციალური პრობლემები სისტემათა სხვადასხვა დონეზე ხდება და ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და წინააღმდეგობრივი ინტერესების ფონზე აღმოცენდება და ვითარდება. კლიენტის გაძლიერებაზე ორიენტირებულ სოციალურ მუშაკს, კარგად უნდა ესმოდეს ძალაუფლების მნიშვნელობა სოციალურ ურთიერთობებში, მაგრამ არა მისი უარყოფითი მნიშვნელობით. კლიენტის გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკის თანახმად, სოციალური ურთიერთობები წარმოშობენ პიროვნულ და პიროვნებათშორის ძალაუფლებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენა, თვითრწმენის ამაღლება, სხვებთან ერთად მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტების დასახვეწად და გადანყვეტილების მიმღებ მექანიზმებზე ზემოქმედება აუცილებელი სოციალური ცვლილების მისაღწევად. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ძალაუფლების არასწორმა გამოყენებამ საზოგადოება შეიძლება მიიყვანოს სხვათა ჩაგვრამდე, გადანყვეტილების მიღების პროცესიდან საზოგადოების ჯგუფების გამოთიშვამდე და განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა ჩამორთმევამდე.

## სათემო მობილიზაციის პროცესი და პრინციპები

სათემო მობილიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც სოციალური მუშაკი ეხმარება ადგილობრივ თემს, შეაფასოს საკუთარი რესურსები, დასახოს სამოქმედო გეგმა და ძალისხმევა მიმართოს თემისათვის აუცილებელი პრობლემების მოგვარებისაკენ. სოციალურ მუშაკს ამ პროცესში ბევრნაირი როლის შესრულება შეუძლია: სხვადასხვა მხარეებს შორის ურთიერთობის კოორდინირება, მოქალაქეთა ამ პროცესში ჩართვისა და მონაწილეობისათვის ხელის შეწყობა, გამოკვლევა, დაგეგმვა და თემის სამოქმედო გეგმის შემუშავება თემის წევრებთან ერთად.

თემის მობილიზაცია შეიძლება თემთან მუშაობის ყველა მოდელის შემთხვევაში ხორციელდებოდეს. ადგილობრივი განვითარების მოდელის თანახმად, სათემო მობილიზაციის უპირველესი მიზანია ადგილობრივი რესურსების (როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური) მობილიზაცია და მათი გამოყენება თემის პრობლემების გადასაჭრელად. ასეთი მობილიზაციის შედეგი უნდა იყოს თემის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონტროლი და ამ კონტროლის შენარჩუნება. თემის მობილიზაციის დროს სოციალური მუშაკი არის ცვლილების აგენტი, რომელიც ეყრდნობა თემის წარმომადგენელთა ცოდნასა და გამოცდილებას და თემის წევრებს სასურველი ცვლილების მიღწევის მექანიზმებს სთავაზობს. სათემო მობილიზაციის პროცესში ხდება სასურველი მიზნის მისაღწევად ხალხის გაერთიანება. თემის წევრთა სურვილებს, მოლოდინებს, მიზნებსა და მისწრაფებებს სათემო მობილიზაციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან სწორედ ისინი არიან ცვლილების მიმღებნი და მის შენარჩუნებაშიც წარმმართველი როლი უნდა შეასრულონ. სათემო მობილიზაციის დროს ხდება თემის წევრების გაძლიერება, საერთო მიზნის ჩამოყალიბება და თემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

## სათემო მობილიზაციის ძირითადი მიზნები

როგორც უკვე ვიცით, სათემო მობილიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც თემში არსებული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (ორგანიზაციები, ჯგუფები, ინდივიდები) ერთიანდებიან სოციალური, სამედიცინო თუ გარემო პრობლემის მოსაგვარებლად. სათემო მობილიზაციის დროს თავს იყრიან პროფესიული ჯგუფები, რელიგიური ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და უბრალო მოქალაქეები ერთი (ან რამდენიმე) კონკრეტული საკითხის ირგვლივ. სათემო მობილიზაცია აძლიერებს ინდივიდებსა და ჯგუფებს მოქმედებისა და ცვლილების მიღწევისაკენ.

რისთვის არის საჭირო სათემო მობილიზაცია?

- სათემო მობილიზაცია ეხმარება თემის წევრებს იმის აღიარებაში, რომ მათ აქვთ გარკვეული პრობლემა/გადაუჭრელი საკითხი;
- აძლიერებს ადგილობრივი გადანყვეტილების მიღების მექანიზმებს თემში;
- წაახალისებს თანამშრომლობას ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შორის;
- მოაქვს ახალი ენერჯია თემში;
- ზღუდავს დაპირისპირებებს და ერთი და იმავე პრობლემაზე ბევრი დაინტერესებული მხარის ცალ-ცალკე მუშაობას;
- აძლიერებს საზოგადოებრივ ზეწოლას ინსტიტუციური/სისტემური ცვლილების მისაღწევად;
- უზრუნველყოფს თანამშრომლობას და რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

### **სათემო მობილიზაციის ეტაპები:**

**პირველი ეტაპი:** სათემო მობილიზაციის დაგეგმვა;

**მეორე ეტაპი:** საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;

**მესამე ეტაპი:** კოალიციის შექმნა;

**მეოთხე ეტაპი:** მოქმედება;

**მეხუთე ეტაპი:** მონიტორინგი და შეფასება.

**სათემო მობილიზაციის დაგეგმვის (პირველი ეტაპის) დროს ხორციელდება თემის საჭიროებებისა და რესურსების შეფასება-** შეიძლება სხვადასხვა ფორმატით წარიმართოს. ერთ-ერთი ფორმატია მარტივი კითხვარის გამოყენება, მაგალითად:

- **ვინ ზარალდება ყველაზე მწვავედ არსებული პრობლემით?** (მაგალითად, თუ პრობლემას წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების არარსებობა თემში, ვინ შეიძლება ზარალდებოდეს ამ პრობლემით ყველაზე მეტად?).
- **როგორია არსებული პრობლემის ზეგავლენა ზოგადად თემზე?** (მაგალითად, ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების არარსებობა ზოგადად რა პრობლემებს განაპირობებს თემში?).
- **რა წარმოადგენს პრობლემის გადანყვეტის ბარიერებს?** (რატომ არ იქმნება ალტერნატიული სერვისები: სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობის გამო? დაფინანსების პრობლემის გამო? საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ნაკლებობის გამო?).
- **რა რესურსები არსებობს თემში აღნიშნული პრობლემების მოსაგვა-**

**რებლად?** (გვყავს თუ არა ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები? არსებობს თუ არა ისეთი სერვისები, რომელთა ბაზაზეც შესაძლებელია ალტერნატიული მომსახურების განვითარება? კიდევ რა სახის რესურსების საჭიროება იკვეთება?).

- **რა ნაბიჯები გადაიდგა წარსულში აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად?** (ვინ იყო ჩართული წარსულში პრობლემის მოგვარებაში? რა შედეგები გამოიღო ამ მცდელობებმა? კიდევ ხომ არ მიმდინარეობს თემში მუშაობა ამ მიმართულებით?).

დაგეგმარების ეტაპზევე უნდა განისაზღვროს იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან სათემო მობილიზაციის პროცესს. იმისათვის, რომ სამუშაო ჯგუფი მომავალში შეიკრას, აუცილებელია მათი სწორი შერჩევა პირველი ეტაპიდანვე დაიწყოს. დაგეგმარების ეტაპზე თემთან მუშაობის მეთოდებს წარმოადგენს ინტერვიუების ჩატარება და სათემო ფორუმების მოწყობა, სადაც გამოიკვეთებიან ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც პრობლემის მოგვარებით არიან დაინტერესებულნი.

**საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, როგორც წესი, უკავშირდება** თემში ინფორმაციული ბროშურების ან ბუკლეტების გავრცელებას პრობლემის სიმწვავესთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც დასრულდება თემის შეფასება, შესაძლებელია დაიბეჭდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია თემში პრობლემის აქტუალურობა, სიმწვავე და გავრცელების სტატისტიკა.

**კოალიციის შექმნა** - კოალიცია უნდა იყოს წარმომადგენლობითი და აერთიანებდეს თემის სხვადასხვა დაინტერესებულ პირებსა და ჯგუფებს. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სათემო მობილიზაცია არის მხოლოდ პროცესი და იგი გარკვეული შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. ეს შედეგი კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა და შენარჩუნდება, თუ თემის წევრები იგრძნობენ პროცესზე პასუხისმგებლობას.

პირველ რიგში საჭიროა, რომ კოალიციაში ჩართულმა ადამიანებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი ხედვა. ამ შემთხვევაში სათემო მობილიზატორის როლი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს კოალიციაში ჩართულ პირებს განსაზღვრონ, თუ რას ნიშნავს მათთვის პრობლემის გადაწყვეტა (მაგალითად, ერთი წლის შემდეგ ჩვენს თემში აღარ იარსებებს შრომითი მიგრაციის პრობლემა). ხედვა შეიძლება იყოს საკმაოდ ფართო და მაქსიმალისტური. იგი უკავშირდება თემის წევრთა მიერ წარმატების განსაზღვრას (რას ნიშნავს თქვენთვის წარმატება?). მას შემდეგ, რაც თემის წევრი (კოალიცია) ჩამოაყალიბებს საკუთარ ხედვას, აუცილებელია განისაზღვროს მისია (რა უნდა გაკეთდეს და რატომ?) როგორც წესი, მისია ხედვისაგან იმით განსხვავდება, რომ არის მოკლე და კონკრეტული (სათემო ორგანიზაცია “მომავალი” მიზნად ისახავს თემში ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების განვითარებას, რათა თემში ყოველ ბავშვს ღირსეული

აღზრდის საშუალება მისცეს).

კოალიციის შექმნა საერთო შეხვედრის დანიშვნით უნდა დაიწყო. შეხვედრაზე კოალიციის პოტენციურ წევრებს უნდა გავაცნოთ თემის შეფასების შედეგები, ბროშურები (ან საინფორმაციო ფურცლები) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით.

**მოქმედების ეტაპი** სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და მის განხორციელებას უკავშირდება. როგორც წესი, მოსახერხებელია გეგმის შედგენა შემდეგი ფორმატით:

მიზანი	მიზნის მისაღწევი აქტივობები	პასუხისმგებელი პირები	ვადა	საჭირო რესურსები	პარტნიორები

მოქმედების ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია ბიუჯეტის შედგენა. რადგან სათემო მობილიზაციის პროცესი ყოველთვის შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში მიმდინარეობს, უნდა მოხდეს ფინანსური რესურსების სწორი გათვლა. თუ ბიუჯეტი კომპლექსურ ხასიათს მიიღებს, შეიძლება კოალიციის წევრებს სთხოვოთ, შეასრულონ ბუღალტრის ფუნქცია. კოალიციის წევრებს შეუძლიათ შეადგინონ საგრანტო განაცხადის ფორმა და დაფინანსების მოსაპოვებლად სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებს მიმართონ.

**მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე** უნდა განისაზღვროს, თუ რა საშუალებებით მოხდება მონაცემთა შეგროვება და მათი დამუშავება. სათემო მობილიზაციის პროცესში ჩართულმა პირებმა არ უნდა განახორციელონ შეფასება. უფრო ოპტიმალურია, რომ გარეშე პირმა ან ორგანიზაციამ ითავოს ამ ფუნქციის შესრულება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Kirst-Ashman K. & Hull G. (2001). Generalist Practice with Organization and Communities
2. Kretzmann, J., and McKnight, J (2001) Building the Communities from the Inside Out : A path towards mobilizing a Community's Assets
3. Tropman, J., Erlich, J., and Rothman, J. (2000) Tactics and Techniques of community intervention

# თავი 5

## სოციალური მუშაკი, როგორც სოციალური ადვოკატი

---

### წინეუ შატბერაშვილი

ადვოკატობის მოვალეობა სოციალურმა მუშაკებმა ისტორიულად იკისრეს და წარმატებითაც ახორციელებდნენ მას, განსაკუთრებით კი წინა საუკუნის დასაწყისში. სოციალური მუშაკები აქტიურად იბრძოდნენ ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის, ქალთა ქონების ფლობის უფლებებისათვის, თანაბარი ხელფასებისათვის. პაციფისტთა მოძრაობაც, რასაც ღვანლმოსილი სოციალური მუშაკები ახორციელებდნენ, გარკვეულწილად ხომ უფლება დაცვითი ხასიათის მატარებელია.

ადვოკატობის მისია ჩვენს დროშიც ხაზგასმულია სოციალური მუშაკობის ყველა საერთაშორისო შეთანხმებებში. მაგალითად, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ სოციალურ მუშაკთათვის ჩამოყალიბებულ გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებთან გამკლავების ხუთ ელემენტს შორის ადვოკატობა უმთავრესია (შატბერაშვილი, 2011). წარმოგიდგინთ ხუთივეს:

1. 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უნივერსალური განათლებისადმი ხელმისაწვდომობა;
2. დასაქმების ხელშეწყობა (განსაკუთრებით მათთვის, ვინც “ღია” შრომის ბაზარზე დისკრიმინირებულია ან დისკრიმინაციის რისკის წინაშე);
3. სოციალური დაცვის ლობირება და სოციალური დაცვის პროგრამებში წვლილის შეტანა იმ ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად, რომლებსაც არ ძალუძთ თავად დაიცვან საკუთარი უფლებები (მაგ., ასაკის ან უუნარობის გამო);
4. ბავშვთა დაცვა გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად;
5. ახალი ინიციატივების განვითარება მოქალაქეთა მონაწილეობისა და მათი უფლებამოსილების გაზრდის საფუძველზე.

დამეთანხმებით, რომ თითოეული არის ადვოკატობის ელემენტების შემცველი, ზოგიერთი კი ექსკლუზიურად ადვოკატობის განხორციელებას გვავალდებს. ადვოკატობის ფუნქცია არ არის ლოკალური პროფესიული ვალდებულება, ის საერთაშორისო პროფესიული მისიაა, რომელიც არ უნდა გახუნდეს დროსა და სივრცეში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს პროფესიულ მისიას კი არ ვა-

ხორციელებთ, არამედ უბრალოდ სამსახურებრივ მოვალეობას.

სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსის მიხედვით, ადვოკატობა არის ამ პროფესიის წარმომადგენელთა ძირითადი პროფესიული ვალდებულება. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით კი:

*სოციალური მუშაობის ძირითად მისიას წარმოადგენს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება და მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ფენების კეთილდღეობაზე ზრუნვა.*

რამდენად ვახორციელებთ ჩვენ ამ მისიას? გვევლება კი ეს ჩვენ ჩვენი დასაქმების ადგილზე? თუ მიუხედავად იმისა გვევლება თუ არა ის მაინც ჩვენი პროფესიული ვალდებულებაა? მოდით, შევეცადოთ ქართული სინამდვილის გააზრებას ამ მიმართულებით.

ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გაუმჯობესება სოციალური მუშაობის პოლიტიკის განსავითარებლად“ ფარგლებში სოციალური მუშაობის სიტუაციურმა ანალიზმა, რომლის მიზანი იყო საქართველოში არსებული სოციალური მუშაობის მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ცხადყო, რომ დამქირავებელთა მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტს აქვს ნაყენებული დაქირავებულ სოციალურ მუშაკთა სამუშაო აღწერილობაში ადვოკატობის მოთხოვნა. უფრო მეტიც, ზოგიერთი დამქირავებელი, პოლიტიკური თუ ინსტიტუციური სარგებლის მოპოვების მიზნით, ერიდება აგრესიული პოლიტიკის გატარებას ბენეფიციარის ინტერესების დასაცავად. სოციალური მუშაკიც დგას ორგანიზაციული მოთხოვნების ტყვეობასა და პროფესიულ ეთოსს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე. ეს კი საკმაოდ რთული არჩევანია. თუმცა იგი ჩვენი გასაკეთებელია პროფესიის განვითარების ამ საწყის ეტაპზე. გამოდის, რომ ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა არ გავახუნოთ ეს ფუნქცია და გამუდმებით ვასწავლოთ დაინტერესებულ პირებს რა არის ნამდვილი სოციალური მუშაობა, რას გულისხმობს ის და რამდენად დიდი ადგილი უჭირავს პროფესიული ფუნქციის განხორციელებაში ადვოკატობას.

შნაიდერისა და ლესტერის (2001) მიხედვით, ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში არის მომსახურების მიმღების (მიმღებების) ან მიზეზების ექსკლუზიური და ერთობლივი წარდგენა ფორუმზე, უსამართლო და უპასუხისმგებლო სისტემაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სისტემატიური ზემოქმედების მოხდენის მიზნით.

რადგან სოციალური მუშაობის მისიას წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანზე ზრუნვა, არამედ ადამიანზე და მის სოციალურ გარემოზე, ლითზერფელნერი და პეტრი (1997) ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ „სოციალური მუშაობის

პროფესია მიიჩნევს ბენეფიციარის ადვოკატობას ეთიკურ პასუხისმგებლობად და სოციალური მუშაკის ძირითად ფუნქციად“. გროსერის აზრით (1965), მართალია ადვოკატობა სამართლის სფეროდანაა კოპტირებული, მაგრამ სოციალური ადვოკატი უნდა იყოს არა მხოლოდ უფლება დამცველი, შუამავალი, ექსპერტი, კონსულტანტი, მეგზური ან სოციალური თერაპევტი, არამედ „სოციალური კონფლიქტის პარტიზანი“. ბრაიარმა (1968) კი ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიაში განათავსა. აი რა დიდია ადვოკატობის როლი ჩვენს პროფესიაში.

## **რითია განპირობებული სოციალური მუშაკის სურვილი, განდეს უფლება დამცველი**

მოდით, შევეცადოთ გავიაზროთ **რა ამოძრავებს სოციალურ მუშაკს, როდესაც ის უფლება დამცავი ხდება?** ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, ლესტერი და შნაიდერი (2001) კი ასეთ კლასიფიკაციას გვთავაზობენ:

- გალიზიანება, რომელიც ახლავს არასასიკეთო ცვლილებებზე ორიენტირებული სამუშაოს შესრულებას;
- სასიკეთო ცვლილების ინიცირების გამოცდილება;
- ჩაგვრისა და დამცირების პირადი გამოცდილება;
- სოციალური ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ზეგავლენა;
- თვით-რწმენა, რომ შეგვიძლია სასიკეთო ცვლილებების კეთება ადამიანთა საკეთილდღეოდ.

დაუცველი ადამიანების ინტერესთა დაცვა კი განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან. **დაუცველობის ფაქტორი ორგვარია:**

- გარემოთი გამონვეული და
- პიროვნული უნარებით გამონვეული.

ზოგიერთ შემთხვევაში პირველი დომინირებს, ზოგიერთში კი მეორე. ისეთი სიტუაციებიც ხშირია, როდესაც ორივეა სახეზე. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ადამიანს არ აქვს გააზრებული საკუთარი უფლებები და საჭიროებები, რაც ამ უფლებებით სარგებლობას მოითხოვს. სოციალური მუშაკის ვალია იგი მას დაეხმაროს ამ უფლებებში გათვითცნობიერებაში და ასწავლოს საკუთარი უფლებებით სარგებლობა საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

საჭიროების კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ზოგს ენიჭება უფლება ისარგებლოს სოციალური მომსახურებით, ზოგს კი არა ეთიკური განსჯის საკითხია იმის შესახებ, თუ რა სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია სოციალური პრობლემების გადაჭრისა და მწირი რესურსების ეფექტიანად და სამართლიანად



გადანანილებაში. პროფესიული პასუხისმგებლობის გააზრების შემდეგ კი სოციალური ადვოკატობის ანბანის ცოდნაა საჭირო. რაც უფრო კარგად ვფლობთ ადვოკატობის ტექნიკას, მით უფრო ეფექტიანად ვასრულებთ სოციალურად დაუცველთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ვალდებულებას.

**ადამიანის საჭიროებების თემა არსებითია სოციალური მუშაკებისათვის,** რადგან მათი დაუკმაყოფილებლობა ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხარისხი მცირდება, მას გადარჩენის ან განვითარების საფრთხე ემუქრება. სხვადასხვა ასაკში ეს თემა განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, ბავშვების საჭიროებებზე საუბრისას იგი კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან ბავშვობა ცხოვრების ის პერიოდია, განსაკუთრებით კი ადრეული ბავშვობა, რომლის განმავლობაშიც დაუკმაყოფილებელი საჭიროებების კვალი მთელი ცხოვრების განმსაზღვრელია (შატბერაშვილი, 2010).

მოდით ჯერ ჩამოვყალიბდეთ თუ **რისთვის გვჭირდება ჩვენ ადამიანთა საჭიროებების ცოდნა?** იმისათვის, რომ ვიზრუნოთ სხვა ადამიანზე, დავიცვათ მისი ინტერესი და უფლებები აუცილებელია ჯერ მათი საჭიროების განსაზღვრა. ამავე დროს არა მხოლოდ საჭიროების დაუკმაყოფილებლობაა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის შემცველი, არამედ დეფიციტის ხარისხიც. რასაკვირველია ყველა საჭიროების გაზომვა თანაბრად ადვილი არ არის, მაგალითად, მენტალური ან განათლების საჭიროების გაზომვა ისე ზუსტად, როგორც საკვები საჭიროებისა რთულია. თუმცა, ნორმალური გონებრივი შესაძლებლობების ზღვარი დადგენილია ყველა ასაკისათვის. უფრო რთულია ემოციური საჭიროებების დადგენა, რადგან ეს ძალიან პირადულია, შესაბამისად ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და მათი დაკმაყოფილება არ ექვემდებარება საერთო „მკურნალობას“ (არლტი, 1933). ჩვენ უნდა ვინტერესდებოდეთ არა მხოლოდ იმ საშუალებებით, რითიც ადამიანები შეძლებენ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, არამედ იმ საშუალებებითაც, რომლითაც ისინი არა-საბაზისო საჭიროებების – სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას შეძლებენ.

იმისათვის, **რომ დავაკმაყოფილოთ ადამიანის საჭიროებები გვჭირდება მატერიალური რესურსები, დრო და ცოდნა** (არლტი მეისთან და პენტისეკთან, 2009). გარდა მატერიალური რესურსების დეფიციტის გამო გამოწვეული დაუკმაყოფილებელი საჭიროებებისა, ბევრია ისეთიც, რომელიც ერთის მხრივ ადამიანის საჭიროებების შესახებ უცოდინრობის, ან ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ეფექტიანი გზების არ ცოდნითაა გამოწვეული. რადგან შევთანხმდით, რომ საჭიროებების დაკმაყოფილებას გარდა სურვილისა ცოდნა სჭირდება, მოდით სოციალური ადვოკატობის ანბანის შესწავლას შევუდგეთ.

## სოციალური ადვოკატობის განხორციელების დონეები

სოციალური ადვოკატობა სამ დონეზე ხორციელდება:

- ინდივიდისა და ოჯახის დონეზე;
- სისტემისა და პოლიტიკის დონეზე და
- საკანონმდებლო დონეზე.

### ადვოკატობა ინდივიდისა და ოჯახის დონეზე

„ბენეფიციარის დაცვის“ საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდს ან ოჯახს არ ძალუძს საკუთარი ძალებით დაიცვას თავისი ინტერესები და საჭიროა ჩარევა მათ გარემომცველ „სისტემაში“.

ინდივიდისა და ოჯახის დაცვის ელემენტები სამ ძირითად კატეგორიად ხარისხდება: შეფასება, დაგეგმვა და ქმედება.

**შეფასება**, როგორც დაცვის პირველი საფეხური მოითხოვს ბენეფიციარის მდგომარეობაში ზედმინენით გარკვევასა და პრობლემის არსში ჩანვდომას. ამისათვის აუცილებელია შევადგროვოთ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, მოვხდინოთ პრობლემის კონცეპტუალიზაცია იმგვარად, რომ მის გადასაჭრელად რეალური სამუშაო გეგმა შევიმუშაოთ. თუ მრავალ-პრობლემიან სიტუაციასთან გვაქვს საქმე, ავწონ-დავწონოთ რა უნდა იყოს პირველი ნაბიჯი (მატ-ბერაშვილი, 2008).

შეფასება გულისხმობს, იმის განსაზღვრასაც თუ რა შეუძლია ბენეფიციარს გააკეთოს საკუთარი თავისთვის საკუთარი ძალებით. ამისათვის აუცილებელია:

- გამოვიყენოთ მისი ძლიერი მხარეები;
- შევაფასოთ შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებლად იმოქმედოს ჩვენი რჩევებისა და წარდგენის გარეშე;
- აქვს თუ არა მას გამომუშავებული ისეთი აუცილებელი უნარ-ჩვევები, როგორცაა ტოლერანტობა სიბრაზისა და გაღიზიანების მიმართ;
- გვაქვს თუ არა იმის დრო, რომ ვიმუშაოთ მისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- არის თუ არა იგი საკმარისად მოტივირებული, რომ ჩაერთოს პროცესში დამოუკიდებლად ან ჩვენთან ერთად.

შეფასება ასევე გულისხმობს იმ ორგანიზაციისა ან/და ინდივიდის იდენტიფიცირებას, რომელსაც შესწევს ამ პრობლემის გადაჭრის უნარი. აუცილებელია, განვსაზღვროთ სისტემის რომელი სეგმენტია პასუხისმგებელი, რომელ ინდივიდებს შეუძლიათ დახმარება, ან ვის შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მათ-

ზე. უნდა დავფიქრდეთ რა გაზრდის ძალაუფლების მქონეთა მოტივაციას, რომ დაგვეხმარონ.

სხვადასხვა სისტემებს სხვადასხვა მიზნები აქვთ (მაგ., ფსიქიკური ჯანმრთელობის, ბავშვთა კეთილდღეობის, განათლების, სასჯელაღსრულების და ა.შ.), მაგრამ ყველა ეს სისტემა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს უნდა ემსახურებოდეს, რაც საბოლოო მიზნამდე – მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

**დაგეგმვის პროცესი** სამი კომპონენტისაგან შედგება: მიზანი, სტრატეგია და ტაქტიკა.

**გვახსოვდეს**, რომ სამოქმედო გეგმა, პარტნიორები და სამოქმედო დრო წინასწარ განსაზღვრული უნდა გვქონდეს. ბენეფიციარი უნდა ჩავრთოთ დაგეგმვის პროცესშიც, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში თუ მისი გამოცდილება პრობლემასთან მიმართებით მეტად ინდივიდუალურია, ჩვენ კი ამის გამოცდილება საერთოდ არ გვაქვს. მაგალითად, თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამსახურში ვართ და თავად უმრავლესობას წარმოვადგენთ, ან მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა დაცვას ვახორციელებთ და თავად არასოდეს ვყოფილვართ მომხმარებელი. აუცილებელია გავუზიაროთ გეგმა კოლეგებს, ეს გეგმის დახვეწაში დაგვეხმარება. უნდა გვქონდეს ალტერნატიული გეგმაც.

**ქმედება** საჭირო კონტაქტების დამყარებასა და სამუშაოს შესრულებას გულისხმობს. მოგეხსენებათ, რომ ყველა ცვლილება ადამიანების საშუალებით ხორციელდება, ამიტომ პრობლემის გადაჭრა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე თუ ვის ვიცნობთ. უნდა შევეცადოთ ვიყოთ კოლეგიალური და მეგობრულნი და შევექმნათ რესპროკალური გარემო – დამეხმარები დაგეხმარები.

**გვახსოვდეს**, სანამ ვინმეს დავადანაშაულებთ წარუმატებლობაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რაც მოგვეთხოვებოდა წარმატების მისაღწევად ყველაფერი შევასრულეთ.

### **ადვოკატობა სისტემისა და პოლიტიკის დონეზე**

მოდით, ახლა სისტემისა და პოლიტიკის დონეზე დაცვის მიმოხილვა დავიწყოთ.

სისტემა რეგულირებადი ორგანიზებული საქმიანობის სფეროა, რომელშიც მოიაზრება ამავე სისტემაში მყოფ ადამიანთა და ორგანიზაციათა ზოგიერთი საქმიანობის მაკონტროლებელი ავტორიტეტისა და ძალაუფლების მქონე პირები და კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები და სუბიექტები. პოლიტიკა კი ზოგადი ან კონკრეტული გეგმაა, რომელსაც ორგანიზაცია ან ხელისუფლება იყენებს სამოქმედო მიმართულებად.

სოციალური მუშაობის პროფესიის აქცენტი საზოგადოების წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემებზე უნდა კეთდებოდეს და არ უნდა შემოიფარგლებოდეს ინდივიდუალური საჭიროებების მოგვარებით. ეს კი ხშირად სისტემურ დონეზე ცვლილებების ინიცირებას მოითხოვს. ამით ვზოგავთ ჩვენს დროსა და ენერგიას, რადგან ის რაც პრობლემურია ერთისათვის და ამავე დროს პრობლემურია ოთხმოცდაცხრამეტისთვის ასი სოციალური მუშაკის დამოუკიდებელი, თუნდაც გულანთებული ძალისხმევის შედეგადაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დამატებითი ასისათვის არ გახდება პრობლემური. ასეთ შემთხვევებში კი ძალისხმევის გაერთიანება, უფრო მობილიზებული და ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებაა საჭირო, თუნდაც უფრო დიდ დროს და რესურსების კონსოლიდაციას მოითხოვდეს.

**როგორ შევცვალოთ სისტემა?** შიგნიდან გარეთ, გარედან შიგნით, შეფასების, დაგეგმვისა და ქმედების ელემენტების მოცვით თუ ძალაუფლების მქონეთა დარწმუნებით ცვლილების აუცილებლობაში.

ცვლილების მოხდენა შიგნიდან გარეთ უამრავ გაურკვევლობას უკავშირდება, მათ შორის სამსახურის დაკარგვის რისკს, რაც დღევანდელი უმუშევრობის ფონზე კიდევ უფრო რეალისტური და საფრთხილო რისკია. არსებობს ასევე დანინაურების შანსის დაკარგვის შიში. სოციალური მუშაკებისთვის, რომლებსაც აქვთ ამბიცია მეტი აღიარება მოიპოვონ, მეტი ანაზღაურება მიიღონ, შიდა ადვოკატობის საფასური დრამატულად იზრდება, რადგან საფრთხის ქვეშ ექცევა მათი სტატუსის, უსაფრთხოებისა და ზემოთ მობილობის საკითხი.

**გვახსოვდეს,** რომ შეუპოვარი სოციალური მუშაკი ფასობს პროფესიულ წრეებშიც და მათ თვალშიც, ვისაც ის ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები ხედავენ ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობას და სურთ ამისათვის ბრძოლა, მათ უკან ხევს დამქირავებლის მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიების გატარების საფრთხის შიში, რომლისგანაც მათ ძნელად თუ ვინმე დაიცავს. აქ პროფესიული ადვოკატობის მექანიზმის გაძლიერებაზე უნდა ჩავფიქრდეთ. იმ ქვეყნებში, სადაც ის ძლიერია, სოციალური მუშაკის მოურიდებლად სამსახურიდან დათხოვნასაც უფრო ერიდება დამქირავებელი.

ამავე დროს ბენეფიციარის სახელით საუბარი მოითხოვს იმის გათვალისწინებასაც თუ რა რესუსურსი არსებობს ორგანიზაციაში ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კეთილდღეობისათვის სახელმწიფო ხარჯების შემცირების პოლიტიკის ფონზე სულ უფრო ძნელი ხდება ადმინისტრაციული წინააღობების გადალახვა.

## ადვოკატობა საკანონმდებლო დონეზე

ახლა მოდით განვიხილოთ რას გულისხმობს ადვოკატობა საკანონმდებლო დონეზე.

საკანონმდებლო დონეზე ადვოკატობა გულისხმობს სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნას. დახვეწილი კანონმდებლობა ეფექტიანი აღსრულების მექანიზმით პრობლემების მოგვარების წინაპირობაა.

საკანონმდებლო დონეზე ადვოკატობისათვის აუცილებელია: კოალიციის შექმნა და მოლაპარაკებების წარმოება და კომპრომისი შეთანხმების მისაღწევად საკანონმდებლო განაცხადებსა და კანონპროექტებზე.

არსებობს კანონპროექტის კანონად გადაქცევის სხვადასხვა, როგორც ხელისშემშლელი, ასევე ხელისშემწყობი ფაქტორი (შატბერაშვილი, 2007).

### ხელის შემშლელი ფაქტორებია:

- დიდი ფისკალური ცვლილებები: კანონპროექტს დასჭირდება მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების გამოყოფა;
- დიდი სოციალური ცვლილებები: ბევრი ხალხი, ორგანიზაციები და პროგრამები დაზარალებიან. მომსახურებების მიწოდების სისტემა საგრძნობლად შეიცვლება და ბენეფიციართა რიცხვი კი საგრძნობლად გაიზრდება.
- არაპოპულარული შინაარსი: კანონპროექტი ეხება იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც მიიჩნევიან უვარგის, კორუმპირებულ ან სტიგმატიზირებულ ადამიანებად.

### ხელის შემწყობი ფაქტორებია:

- მცირე ფისკალური ცვლილებები: განხორციელების ღირებულება დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.
- უმნიშვნელო ან არარსებული სოციალური ცვლილებები: შემოთავაზებული ცვლილებები მოითხოვს მინიმალურ შესწორებებს არსებულ რეგულაციებში.
- პოპულარული შინაარსი: საზოგადოება სიმპათიითაა განწყობილი ამ კანონის ბენეფიციართა მიმართ.

საჭიროა გავითვალისწინოთ კანონმდებელთა პირადი ინტერესები. წარმოდგენილ კანონპროექტს ან ინიციატივას მათთვის ან პირადი სარგებელი უნდა მოჰქონდეს ან აქტუალური იყოს სხვადასხვა მოსაზრებით: პოლიტიკური ან სოციალური მოტივით, ან მათთვის პოპულარობის მომტანი უნდა იყოს. მეტი

ფულის მოთხოვნა, მეტი ძალაუფლების ან სოციალურ მუშაკთა სამუშაო სტატუსის განმტკიცება არ არის კანონმდებლთათვის საინტერესო მოტივაცია. კანონმდებელს უნდა ამოძრავებდეს არა მარტო კანონპროექტის გატანის ჟინი, არამედ ამ განაცხადის სხვა კანონმდებლთათვის “მიყიდვის” მოტივაცია.

საკანონმდებლო ადვოკატობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტების მიწოდებას. ფაქტები პოლიტიკის შექმნის პროცესის მამოძრავებელი ძალაა. საკანონმდებლო ადვოკატობაში ორი ტიპის ფაქტია გამოსადეგი:

- ფაქტები, რომლებიც თვით პრობლემას განსაზღვრავენ, და
- ფაქტები, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას, იმ ხალხზე, ვინც ამ პრობლემით დაზარალდა ან იმ ხალხზე, ვისაც აქვს ზეგავლენა მათ გადაჭრაზე.

იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ფაქტები საკანონმდებლო ადვოკატობისთვის, აუცილებელია გვექონდეს ინფორმაცია:

- პრობლემაზე და იმ ხალხზე, ვისაც ეს კანონმდებლობა შეეხება;
- საკანონმდებლო პროცესზე;
- კანონზე;
- ფისკალურსა და პოლიტიკურ ვითარებაზე.

აუცილებელია ბენეფიციარის ან ბენეფიციართა ჯგუფის საჭიროებების რაც შეიძლება ზუსტად და ზედმიწევნით აღწერა. პრობლემა უნდა შეფასდეს, დასაბუთდეს, გაანალიზდეს, გამოიკვლიოს გულდასმით, აღინეროს მისი ისტორიული განვითარება და მასშტაბები, ზეგავლენა კლიენტებზე, ზეგავლენა საზოგადოებაზე და თემზე. ადვოკატები უნდა იცნობდნენ არსებულ კანონმდებლობას და აანალიზებდნენ მათ ნაკლსა და დადებით მხარეებს. სოციალურ ადვოკატს უნდა შეეძლოს დასაბუთებულად წარმოადგინოს განაცხადის უპირატესობა არსებულ, მოქმედ კანონებზე.

კანონპროექტს უფრო მეტად დამაჯერებელს ხდის და მის წარმატებას დიდწილად განაპირობებს პირადი თავდადება. ამიტომ, რაც უფრო მეტი დასაცავი ჯგუფის წარმომადგენელი სოციალური მუშაკია ჩართული სამუშაო ჯგუფში, მით უფრო დამაჯერებელია ცვლილების მოთხოვნა. ეს კი გარკვეულწილად ცვლილებას რეალისტურადაც აქცევს.

ადვოკატმა კანონმდებელს დეტალური ფისკალური პროგნოზი უნდა წარუდგინოს. კანონმდებლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ რა ხარჯებთანაა დაკავშირებული კანონპროექტის განხორციელება, რამდენია საწყისი ღირებულება, ღირებულება ერთი წლის შემდეგ, მიმდინარე ხარჯები, საჭირო აღჭურვილობა. ასევე დაანგარიშებული უნდა იყოს რა იქნება ღირებულება თუ კანონპროექტი ვერ გავა.

**გვახსოვდეს**, კანონმდებლები უპირატესობას ისეთ პოლიტიკას ანიჭებენ, რომლის გატარების მცდელობაც იყო წარსულში. ასეთი კანონპროექტების მიღების საჭიროება უფრო ადვილი დასამტკიცებელია, ვიდრე სულ ახალი ინიციატივისა.

## **პერკეტი, რომელიც სოციალურ მუშაკს აქვს ადვოკატობის განხორციელებაში**

მოდით განვიხილოთ რა ბერკეტი აქვს სოციალურ მუშაკს ხელში ადვოკატობის განხორციელებაში წარმატებისათვის. უპირველეს ყოვლისა ბენეფიციარის დაცვის ლეგიტიმურობას სოციალური მუშაკისათვის მისი პროფესიული მანდატი განაპირობებს, რადგან ეს მისი პროფესიული ეთიკის საკითხია. რასაკვირველია იმ ქვეყნებში, სადაც პროფესიული ეთიკის კოდექსი კანონიერი დოკუმენტია და მის დარღვევას სანქციებიც ახლავს, პროფესიულად გამართლებული ქმედების დაცვის მეტი ბერკეტი არსებობს და პირიქით დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიონალს. პატის (1974) აზრით, როდესაც ადვოკატობის მისია დამქირავებელი ორგანიზაციის პოლიტიკასა და პროცედურებთან კონფლიქტშია, პრაქტიკოსი ბენეფიციარის ინტერესებს ორგანიზაციულზე მაღლა უნდა აყენებდეს. ეს მისი პროფესიონალიზმის გამოხატულებაა ავტომატურად.

ადმინისტრატორების მხრიდან ბიუროკრატიული პოლიტიკისა და პროცედურების შენარჩუნების მცდელობა მათი პროფესიული და/ან თანამდებობრივი როლის დაცვას ემსახურება, რაც ჩვენგან არ მოითხოვს ჩვენი როლის უმაღლეს უგულვებელყოფას. ადმინისტრატორები, რომლებიც უგულვებელყოფენ „წინა ხაზზე“ მდგომი სოციალური მუშაკების მოსაზრებებს, ემსახურებიან პრობლემის გაღვივებას ნაცვლად იმისა, რომ ემსახურებოდნენ მის გადაჭრას. ჩვენ კი თუ თავად ვუგულვებელყობთ იმას, რისთვისაც ვიბრძვით, შევეუერთდებით ამ პრობლემების გამლვივებელთა გუნდს.

## **რამდენიმე ხერხი ბენეფიციარის ინტერესების დაცვისათვის**

პატი (1974) გვთავაზობს რამდენიმე ხერხს, რაც ჩვენი დამქირავებლების წინაშე ბენეფიციარის ინტერესების დაცვისას გამოგვადგება:

1. ადვოკატს უნდა შეეძლოს პრობლემის ირგვლივ საკუთარი ცოდნის გამომყვანება. ეს მას საშუალებას აძლევს მას მოუსმინო და მის მიერ შეთავაზებული გამოსავალი ყურად იღონ;
2. ადვოკატს უნდა შეეძლოს მისი არგუმენტების დამქირავებელი სააგენტოს ინტერესებთან შესაბამისობაში წარმოდგენა. თუ ორგანიზაციის მისიაა სამიზნე ჯგუფების ინტერესების დაცვა, მაშინ სოციალურ მუშაკზეა დამოკიდებული რამდენად ნათლად წარმოადგენს და დაასაბუთებს ბენე-

ფიციარის ამ კონკრეტული პრობლემის მოგვარების ორგანიზაციულ მისიასთან შესაბამისობას;

3. სოციალური მუშაკი უნდა დაეხმაროს დამქირავებელს „ერთობლივი“ ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. მათ მართებთ შეახსენონ დამქირავებლებს, რომ ისინი უნდა გეგმავდნენ და ახორციელებდნენ ხალხთან ერთად და არა ხალხისთვის;
4. სოციალურმა მუშაკმა უნდა გაანათლოს ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ კოლეგები, რომლებიც ამავე უწყებაში მუშაობენ, რათა ერთობლივად ჩამოყალიბდნენ დამქირავებლისათვის პრობლემის მოგვარების შეთავაზების გეგმაზე;
5. ადვოკატობის ხარჯთ-ეფექტიანობა კარგი დამარწმუნებელი არგუმენტია მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის;
6. ადვოკატობის სტრუქტურა უნდა ასახავდეს სააგენტოს ყველა უწყების კონტრიბუციის დონეს.

ბევრი სააგენტო ცვლილების მოთხოვნისადმი ლოიალური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იძულებულია ან როდესაც მისი იგნორირება აღარ ხერხდება. ზოგადად ხშირია შემთხვევები, როდესაც ცვლილების მცდელობა წინააღმდეგობას აწყდება სტატუს კვოს დარღვევის შიშით.

ბევრ სააგენტოში სოციალური მუშაობის პრაქტიკა განსაზღვრულია მმართველი რგოლის მიერ, რომელშიც იშვიათად თუ არის წარმოდგენილი სოციალური მუშაკი. ჯეფი (1978) თვლის, რომ მენეჯერული რგოლის პრაქტიკაზე ზეგავლენა მდორე პრაქტიკის სინდრომის რაციონალიზაციას იწვევს.

ალბერტი (1983) გვთავაზობს ორგანიზაციაში დანერგილი წესებისა და რეგულაციების შესაცვლელად ფაქტების მოძიებისა და დაზუსტებისთვის კითხვებს:

- არსებობს თუ არა რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ცვლილებების გატარებისათვის სააგენტოს უფლებამოსილებას ანიჭებს?
- სააგენტოს შიდა რეგულაციები შესაბამისობაშია იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლითაც სააგენტო ოპერირებს?
- ადვოკატთა მიერ ინტერპრეტირებული რეგულაცია შესაბამისობაშია იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლითაც სააგენტო ოპერირებს?

## **წარმატების განმავირობებელი ფაქტორები**

სოციალური ადვოკატი ძლიერი ლიდერული უნარ-ჩვევებით უნდა გამოირჩეოდეს. მას უნდა შეეძლოს არა მარტო მოკვლევა და კრიტიკული ანალიზი, არა-



მედ სამუშაოს დელეგირება და დიდი ამოცანის პატარა-პატარა კომპონენტებად დაყოფა, რათა პროცესი უფრო ადვილი სამართავი იყოს. ადვოკატობა არის ქმედება და არა მხოლოდ საუბარი, თუმცა ადვოკატურის ჯგუფში უნდა იყვნენ ორატორული ნიჭის მქონე ადამიანებიც. ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით ჩავუღრმავდებით.

### **ჯგუფური სამუშაო**

ადვოკატობის წარმატებას დიდწილად განაპირობებს ჯგუფური სამუშაო. ადვოკატობის ისტორიის მანძილზე იშვიათად თუ შევხვდებით ინდივიდუალური ადვოკატობის წარმატებულ შემთხვევებს, როდესაც ინდივიდმა შესძლო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ძალაუფლების მქონეთა დარწმუნება ცვლილების აუცილებლობაში. ადვოკატობა, განსაკუთრებით თუ ეს მარგინალურ ჯგუფებს ეხება, ჯგუფური უნდა იყოს შემდეგი 4 მიზეზის გამო:

- დემოკრატიულ სახელმწიფოში ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება თუ მას ამომრჩეველთა უმრავლესობა უჭერს მხარს;
- ადვოკატობას თავდაუზოგავი შრომა სჭირდება;
- ჯგუფური მუშაობა იდეების ტესტირების საშუალებას იძლევა;
- საზოგადოებისა და მედიის ყურადღების მიპყრობა ჯგუფებს მეტად ხელსაყრელია, ვიდრე ინდივიდებს.

ადვოკატური ჯგუფების შემდეგი ტიპები არსებობს:

- მიზნობრივი ჯგუფები;
- სავაჭრო ასოციაციები;
- პროფესიული ასოციაციები;
- კავშირები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- რელიგიური და ეთნიკური ორგანიზაციები;
- გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციები;
- კოალიციები;
- მრჩეველთა საბჭოები.

ახალი ჯგუფის შექმნამდე დანიშნეთ საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მოემსახურება საერთო ინტერესების გამოკვეთასა და საერთო პოზიციების დაფიქსირებას, რასაც ურთიერშეთანხმებული სტრუქტურის განვითარება და სამოქმედო გეგმის შექმნა მოჰყვება. ადვოკატისათვის აუცილებელია გააფართოოს თავის მხარდამჭერთა წრე. რაც უფრო მეტი ადამიანი უჭერს მხარს ახალ

ინიციატივას და რაც უფრო მეტია მათ შორის გავლენიანი პირი, მით უფრო იზრდება კანონპროექტის გასვლის შანსი. ამიტომ, კოალიციის შექმნა გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობაა.

არსებობს საკანონმდებლო კოალიციის ორი სხვადასხვა სახეობა: დროებითი, ერთჯერადი კოალიცია და ფორმალური, მუდმივმოქმედი კოალიცია. რა სახის კოალიცია წაადგება საკითხის წარმატებით გადაწყვეტას ამ საკითხის აქტუალობის, სიმწვავისა და მოცვის მიხედვით განისაზღვრება. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც თუ რამდენად აერთიანებს ეს საკითხი კოალიციის წევრებს: ამჟამად თუ მუდამ. კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის ბრძოლა შესაძლოა კოალიციის ზოგიერთი წევრისათვის ამ ეტაპზე იყოს მომგებიანი და აქტუალური, სხვებისათვის კი ეს პროფესიული ვალდებულებაა და დროში არ ხუნდება მისი წარმატებით გადაჭრისაკენ მიმართული ბრძოლის ჟინი.

**გვახსოვდეს**, რომ მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა კოალიციის წევრთა დამოკიდებულება და თავდადების ხარისხი მოცემული საკითხის მოგვარებისადმი არ არის ყოველთვის მნიშვნელოვანი. რადგან ამ ეტაპზე ეს თავდადება არსებობს ე.ი. ამ ეტაპზე ეს ერთობაც უფრო მეტი წარმატების მომტანია ვიდრე დამოუკიდებელი ბრძოლა.

### **საკითხთა უპირატესობის დადგენის წესი**

დღესდღეისობით პრობლემათა მორევში მრავლადაა სოციალური პრობლემები და შესაბამისად გვამოძრავებს სურვილი იმისა, რომ მოვაგვაროთ რაც შეიძლება მეტი პრობლემური საკითხი თუ სიტუაცია. არადა ყოველი საკითხის მოგვარებისათვის სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვა წარმატების შანსი არსებობს. ამიტომ აუცილებელია შეგვეძლოს მოცემულ დროში და მოცემული რესურსებით უდიდესი შანსის მქონე საკითხის იდენტიფიკაცია. საკითხთა უპირატესობის დასადგენად კი შემდეგი კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ:

- საკითხის რელევანტურობა ყველასათვის, ვის ინტერესებსაც ვიცავთ;
- საკითხის წარმატებულად წარდგენის შესაძლებლობა;
- საკითხის გადაჭრა არსებული რესურსების გათვალისწინებით;
- საკითხის დიდმნიშვნელოვნება საზოგადოებისათვის.

**გვახსოვდეს**, ნებისმიერი პოლიტიკური ინიციატივა საჭიროებს შეფასებას. ამის გარეშე შეუძლებელია დაშვებული შეცდომების მიზეზებისა და წარმატებების ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზება. ამის გარეშე კი შეუძლებელია დაგვემგის, პრობლემის ფორმულირების, მისი განხორციელებისა და მოქმედების ეფექტიანობის გაზრდა. შეფასების დაწყება კი აუცილებელია სანწყისი ეტაპიდანვე, რადგან შემდგომ ეტაპზე წინა ეტაპის მონაცემების მოპოვება შეუძლებელია. შეფასების ეტაპს დეტალურად ქვევით განვიხილავთ.

## სოციალური ადვოკატის როლის შესრულებისათვის ხელის შემოქმედებითი ფაქტორები

მოდით განვიხილოთ რა ხელის შემშლელი ფაქტორები დომინირებენ ადვოკატის როლის შესრულებისას სოციალურ მუშაობაში? შნაიდერისა და ლესტერის აზრით (2001), ესენია:

**მომსახურების როლით პრეოკუპაცია** – ბოლო ხანებში სოციალურ მუშაობაში გამოიკვეთა უშუალო პრაქტიკის მიწოდების უპირატესობა. გარე პოლიტიკაზე ზემოქმედების ნაცვლად, სოციალური მუშაობის სააგენტოები და მათში დასაქმებული სოციალური მუშაკები თავიანთ ენერჯიას უშუალო პრაქტიკის განხორციელებას ახმარენ.

**მენეჯერული მოსაზრებები** – ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემების, ყოველდღიური სამუშაო პროცედურების, ორგანიზაციული ნორმების, პოლიტიკის და დაუსრულებელი შემცირებების ფონზე, სოციალური მუშაობა ნაკარნახევია დე ფაქტო მენეჯერების და არა პროფესიონალების შეხედულებებით. ქმედითობა ეფექტიანობაზე მაღლა დგას.

**პროფესიული ნორმებისა და სტანდარტების ნაკლებობა** – ადვოკატობის სფერო არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და მისი განმარტებებიც მრავალნაირი და დამაბნეველია. მცირე ხილვადი და ლეგიტიმური პროფესიული ნორმები და სტანდარტები ართულებს სოციალური მუშაკის ქმედების ადვოკატობად რანჟირებას.

**დასაქმების პირობები** – სოციალურ მუშაკთა დასაქმების პირობები აფერხებს მათ მიერ ადვოკატობის როლის რეალიზებას. მათ ჩვეულებრივ მასპინძლობს გარემო, სადაც წესები სამედიცინო პერსონალის ან სამართალ დამცავების მიერაა შემუშავებული (მაგალითად ჯანდაცვის ობიექტებზე ან სასჯელ აღსრულების ან პრობაციის სისტემაში). ეს წესები კი ვრცელდება სოციალურ სამსახურზეც და ხშირად სოციალური მუშაობის ღირებულებების გვერდის ავლას მოითხოვს. ასეთ გარემოში სოციალური მუშაკების უნარი ანარმონ ადვოკატობა შეზღუდულია. ასეთ გარემოში სოციალურ მუშაკს უწევს კომპრომისებზე ნასვლა ბენეფიციარისა და დამსაქმებელი სააგენტოს პრიორიტეტებს შორის.

**ადვოკატობის, როგორც კონფრონტაციის გააზრება** – ადვოკატობა ხშირადაა გააზრებული, როგორც კონფრონტაცია და ამიტომაც სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან თუ სააგენტოებთან ურთიერთობების გაფუჭებისა და/ან სამსახურის დაკარგვის რისკის წინაშე აყენებს სოციალურ მუშაკს. არსებობს სოციალური ქმედებისა და ადვოკატობის დავების სტრატეგიასთან, ნორმის სტრატეგიასთან და ნორმის დარღვევის სტრატეგიასთან გათანაბრების ტენდენცია. სტრატეგიის არჩევით იქმნით პროფესიულ პორტრეტს.

**ბენეფიციარის საჭიროებებში დაურწმუნებლობა** – ბენეფიციარის სიტუაციაში გაურკვეველობა სოციალურ მუშაკს ხშირად უკარგავს ადვოკატობის სურვილს. ბენეფიციარის დამაბნეველი, ზოგჯერ პროვოკაციული საქციელი ბუნდოვანს ხდის მის საჭიროებებს და სოციალურ მუშაკს ეფექტიანი ადვოკატობის პრაქტიკის განხორციელების საშუალებას არ აძლევს.

**პროფესიონალიზმთან დაკავშირებული პრობლემები** – ისტორიულად სოციალური მუშაკები აღიარებისა და დაფასების მაძიებლები არიან. ამ სურვილს ხშირად პროფესიული გამბედაობა ეწირება მსხვერპლად, რადგან ის სოციალურ მუშაკებს ბოჭავს „რესპექტაბელური“ პროფესიის ნორმების მიღმა რაიმე ქმედების განხორციელებაში.

**სტატუსის დაკარგვის შიში** – რადგან სოციალური მუშაკების ბენეფიციარები ხშირად არიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ან ამ საზოგადოებისათვის მიუღებელი ან საზოგადოების მხრიდან დაუფასებელი ან უპატივცემულო მოპყრობის „ღირსნი“, შესაბამისად მათი სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ზოგიერთი სოციალური მუშაკი ერიდება მათ ადვოკატობას მათი სტატუსის ბენეფიციარების სტატუსთან გათანაბრების შიშით.

**სხვა შიშები** – ზოგიერთი სოციალური მუშაკი ერიდება პოლიტიკურ ქმედებებში ჩართვას, ან მასმედიის ყურადღების ცენტრში და სახალხო განხილვების სუბიექტად ყოფნას. ზოგიც ერიდება ლეგალურ სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, რაც ხშირაც ადვოკატობის თანმხლებია. ზოგიერთნი კი კოლეგებთან დაპირისპირებას არიდებენ თავს. ბევრსაც სამუშაოდან დათხოვნის რისკი აფერხებს.

**ტრენინგისა და განათლების ნაკლებობა** – სოციალური მუშაობის განათლების სისტემაში სულ უფრო შემცირდა ადვოკატობის ტექნიკის სწავლება. ადვოკატობის პრაქტიკა თითქმის აღარ ფიგურირებს სოციალური მუშაობის კურიკულუმში. სოციალური მუშაობის პროფესიული განათლება და პრაქტიკა დაპირისპირების ორიენტაციას ერიდება და კონსენსუსის ორიენტაციის ლეგიტიმაციისაკენ იხრება. მცირდება ასევე პოლიტიკური შინაარსის მქონე მასალის შემცველობა სოციალური მუშაობის კურსებში, უშუალო პრაქტიკის ინტერვენციის მეთოდისაკენ აშკარა გადახრის ფონზე.

**ინტერვენციის სტრატეგიის არაპოპულარობა** – ერთ-ერთი ბარიერია ასევე სოციალურ სფეროში სახელმწიფო ინტერვენციის არაპოპულარობა. ბევრი მოქალაქისა თუ სფეროს ექსპერტის აზრით, სახელმწიფო კეთილდღეობის პოლიტიკა არ არის ეფექტიანი, არ არის სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული და არ ემსახურება შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას.

**ადვოკატობის არსის გაუაზრებლობა** – ხშირად ადვოკატობის არსი გაუაზრებელია. ადვოკატობა არის საქმიანობა, რომელიც მოითხოვს მოთმინე-

ბას, შეუდრეკელობას, გრძელ ვადიან თავდადებას, ენერგიას, მხარდაჭერას, კვლევას, პოლიტიკურ უნარ-ჩვევებს, ცოდნას სახელისუფლო მოწყობის შესახებ, ანალიზის უნარს. ზოგჯერ კომპრომისზე წასვლაა საჭირო. ზომიერი მოთმინების გამოიმუშავებაც მნიშვნელოვანია, რადგან ადვოკატობით ხშირად შეუძლებელია საკითხის სწრაფი მოგვარება. ეს უნარები კი არ არის სოციალურ მუშაკთა უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელი. თანაც, ისინი განვითარებასაც ადვილად ექვემდებარებიან.

## სოციალური ადვოკატის პროფესიული თვისებები

მოდით ეხლა შევეცადოთ იმის გააზრებას თუ **რა თვისებები აქვს ადვოკატებს სოციალურ მუშაობაში?** შნაიდერისა და ლესტერის (2001) აზრით, სოციალურ მუშაკს ადვოკატის როლის შესრულებისთვის შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

**ქმედებაზე ორიენტირებული** – ადვოკატობა სოციალური მუშაკისაგან მოითხოვს ქმედებას, ცვლილების ინიცირებასა და განხორციელებას. ადვოკატობა არ არის უბრალოდ დამოკიდებულება ან რწმენა. სოციალურმა მუშაკმა ინიციატივა უნდა გამოიჩინოს. სოციალური მუშაკები აკეთებენ კვლევას, ქმნიან კოალიციებს, მობილიზებას უკეთებენ ჯგუფებს და თემს, მონაწილეობენ დაგეგმვაში, სტრატეგიის შემუშავებაში, გადანყვეტილებების მიმღებებზე ზემოქმედებაში, ახორციელებენ სავლელ სამუშაოებს და გვთავაზობენ ალტერნატიულ პოლიტიკას. ადვოკატი სოციალურ მუშაობაში არის ქმედებებისა და მოვლენების „კატალიზატორი“. ჯეინ ადამსმა ერთხელ ბრძანა, რომ ქმედება ადამიანებს ჭეშმარიტებასთან აახლოვებს და მათ სიმართლის თქმის საშუალებას აძლევს (ლაური, 1975).

**უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი** – ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლას გულისხმობს სამართლიანობის პრინციპის დაცვით. ამ როლში სოციალურ მუშაკებს უწევთ კამათიც, საჯარო გამოსვლებიც, როცა ბენეფიციარის უფლებები რისკის წინაშეა ან უთანასწორობაა დამკვიდრებული საზოგადოებაში. როგორც ფრედოლინო (1990) აღნიშნავს, ადვოკატობა ძალაუფლების, ავტორიტეტისა და რესურსების გადანაწილებას გულისხმობს, რისი ნებით დათმობაც არავის სურს.

**არანეიტრალური** – უსამართლობის, უთანასწორობის, ჩაგვრის, დისკრიმინაციის და სიღარიბის ფონზე, სოციალური მუშაკები არ რჩებიან ნეიტრალური განურჩევლად იმისა, რა პრობლემის წინაშეა ნებეფიციარი და ვის უნდა მივმართოთ მის დასაცავად. პროფესიის ღირებულებები სოციალურ მუშაკს ავალდებულებს მოწყვლადთა, რისკის წინაშე მყოფთა და წარუმატებელთა მხარდაჭერას. სოციალური მუშაობის მთავარი მისია ხომ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ფრეირის (1990:5)

აზრით, სოციალური მუშაკი არ არის ნეიტრალური აგენტი, არც პრაქტიკაში და არც ქმედებაში“. ამიტომ, მაკკორმიკის (1970) აზრით, ადვოკატობა წარუმატებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თავდაუზოგავი შრომაა და სოციალური მუშაკი ვერ იქნება ნეიტრალური.

**პოლიტიკისა და პრაქტიკის დაკავშირების უნარის მქონე** – დევისმა (1993) ბრძანა, რომ ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში ორმაგ ორიენტაციას მოითხოვს: პოლიტიკა და პრაქტიკა. რადგან ბენეფიციართა და თავად პროფესიონალთა ცხოვრებაზე მუდმივად ახდენს ზემოქმედებას სახელმწიფო თუ ორგანიზაციული პოლიტიკა, სოციალური მუშაობის ინტერვენცია უნდა მოიცავდეს ცვლილებას როგორც პოლიტიკის, ისე სისტემისა და ბენეფიციარის დონეზე. საზოგადოებისა თუ თემის ზემოქმედებას ბენეფიციარზე პირველ რიგში კლინიკური სოციალური მუშაკები აღმოაჩენენ, რადგან სწორედ ისინი დგანან „წინა ხაზზე“. ბენეფიციარის დაუყონებლივი საჭიროების დაკმაყოფილება კი არ არის საკმარისი, როცა ამ საჭიროების გამომწვევი მიზეზები აღმოუფხვრელია.

**მომთმენი და იმედიანი** – ფრეიერმა (1990) ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში აღწერა, როგორც „მოუთმენელი მოთმინება“. არც მოთმინება და არც მოუთმენლობა არ არის საკმარისი ადამიანის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. თუ ჩვენ მხოლოდ მომთმენნი ვიქნებით, ქმედების დრო არასოდეს დადგება; თუ ჩვენ მუდამ მოუთმენლები ვიქნებით, ჩვენ შესაძლოა ისტორიული რეალობები უგულვებელვყოთ და შესაძლებლობის რეალობა გაგვისხლტეს. ამიტომაც, სოციალურმა მუშაკებმა უნდა მისდიონ „მოუთმენელი მოთმინების“ სტრატეგიას, რადგანაც მას აქვს წარმატების მეტი შანსი ჩვენს რთულ სამყაროში. ის ასევე რეალისტურ იმედს უსახავს როგორც ბენეფიციარს, ასევე სოციალურ მუშაკს. არსებული პრობლემებისადმი ადეკვატური რეაგირების სურვილი სოციალურ მუშაკს პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლას ავალდებულებს. სოციალური მუშაკები მომსახურების მიმღებებს იმედს უსახავენ როგორც მოკლე, ასევე გრძელ ვადაში სწორედ შეუდრეკელი აქტივიზმით.

**ადამიანის გაძლიერებაზე ორიენტირებული** – სოციალური მუშაობა სცილდება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისაკენ მიმართული დახმარების პატერნალისტურ ფორმას. ადვოკატობა სოციალურ მუშაობა გულისხმობს ბენეფიციარისათვის პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებას და ლიდერობის რაც შეიძლება მალე გადაცემას. სოციალური მუშაკები ბენეფიციარის კომპეტენტურობის განცდის გაძლიერების მიზნით ასწავლიან, არწმუნებენ და ამხნევენ მას, რომ თავად შეძლოს მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე პროცესებში. პერლმანი და ედვარდსი (1982) ადვოკატს სოციალურ მუშაობაში ახასიათებენ, როგორც პირს, რომელიც პატივს სცემს, მხარს უჭერს, იყენებს და იცავს მონაწილეთა ინიციატივას და ჯგუფის ავტონომიას.

## კომუნიკაციის უნარი

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, რაც არა მხოლოდ სოციალურ მუშაკს, არამედ ყველა უფლება დამცავს უნდა ჰქონდეს არის კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარი.

**რა არის კომუნიკაცია?** კომუნიკაცია გარკვეულწილად გამგზავნის მიერ მიმღებზე ზეგავლენის მოხდენის პროცესია. კომუნიკაციის პროცესი მრავალი კომპონენტისაგან შედგება. წარმოგიდგინოთ, მაგალითად „ლასველის ფორმულას“, რომლის მიხედვითაც კომუნიკაცია შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- ვინ ამბობს;
- რას ამბობს;
- ვის ეუბნება;
- რა საშუალებით;
- რა განზრახვით;
- რა ეფექტით.

**კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა არსებობს:** სიმეტრიული ან ასიმეტრიული, უნებლიე ან ნებელობითი, ვერბალური ან არავერბალური. მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

**სიმეტრიულია კომუნიკაცია**, რომელიც მასში ჩართვის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს კომუნიკაციის მონაწილეებს, მაგალითად, მეგობრების, კოლეგების ან ოჯახის წევრების საუბარი. **ასიმეტრიულია კომუნიკაცია**, როდესაც კომუნიკაციის პროცესში მონაწილე მხარეებს არათანაბარი მონაწილეობის საშუალება აქვთ, მაგალითად ლექცია, სატელევიზიო გადაცემა და ა.შ.

**უნებლიეა კომუნიკაცია**, როდესაც მონაწილეებს არ აქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც უნებთ კომუნიკაცია, მაგალითად ავტობუსში, თვითმფრინავში და ა.შ. **ნებელობითია კომუნიკაცია**, როდესაც მონაწილეები საკუთარი სურვილით ამყარებენ კომუნიკაციას.

**ვერბალური კომუნიკაცია მეტად სტრუქტურირებულია ვიდრე არავერბალური.** მას მკაფიოდ გამოხატული დასაწყისი და დასასრული აქვს. არავერბალური კომუნიკაციისას არ ვსაუბრობთ, მაგრამ ის გარკვეულწილად მართავს კომუნიკაციის მიმდინარეობას. არავერბალური კომუნიკაცია იქამდე გრძელდება, სანამ მონაწილეები ერთმანეთის მხედველობის არეში არიან. პიროვნების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის არა მარტო მისი საუბარი, არამედ მისი გარეგნობაც, ჩაცმულობაც და სხეულის მოძრაობაც.

**სოციალური ადვოკატობისას სასურველია ნებელობით ვერბალურ კომუნიკაციას მივალწიოთ.** თუმცა ეს ხშირად თითქოს შეუძლებელია. თუ ეს

არ არის შესაძლებელი ჩვენ ყველა ფორმა უნდა გამოვიყენოთ მათთან კომუნიკაციისათვის, ვისთან ურთიერთობაც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ან საკითხთა განხილვისათვის გვჭირდება.

**გვახსოვდეს,** რომ კომუნიკაცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული თუ მონაწილეების აზრთა გაცვლა–გამოცვლის საშუალება და ფორმა ერთნაირი ან მსგავსია. მსმენელის მიერ სიტუაციის გაგება მუდამ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს, რადგან იგი გაგების პროცესზე ზეგავლენას ახდენს. ამიტომ მნიშვნელოვანია რას და რა მიზნით ვეუბნებით მოსაუბრეს, რისი მიღწევა გვსურს.

ადვოკატობა მოითხოვს უამრავ შეხვედრებს, საჯარო დისკუსიებსა და გამოსვლებს. ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ საკითხის ზედმიწევნით ცოდნა, რაზეც უნდა ვისაუბროთ, არამედ იმის ცოდნაც როგორ უნდა წარვადგინოთ ის, რომ უფრო მისაღები და საინტერესო ვიყოთ მსმენელისათვის. რადგან დროს ვხარჯავთ შეხვედრაზე ე.ი. მონაწილეთა მომხრეებად ჩამოყალიბება ან სულ მცირე მათი ინფორმირება გვსურს საკითხის შესახებ. ამიტომაც, მოდით პრეზენტაციის ტექნიკებს გავეცნოთ.

### **პრეზენტაციის უნარი**

ნებისმიერი პრეზენტაციის მიზანს აუდიტორიის დარწმუნება და მოტივაცია წარმოადგენს იმ საკითხის სასარგებლოდ, რასაც ვლობირებთ. საკუთარი თავისა და სათქმელის ჯეროვნად წარდგენის გარეშე კი ჩვენი გრძნობების, დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გადაცემა მსმენელისათვის ძნელია. პრეზენტაციაზე მუშაობა შემდეგ ფაზებს მოიცავს:

- მომზადება;
- წარმართვა;
- შედეგების დამუშავება.

პრეზენტაციის შინაარსი კი მოიცავს:

- შესავალს;
- ძირითად ნაწილს;
- დასასრულს.

პრეზენტაცია მისაღმებით უნდა დავიწყოთ. მისაღმების შემდეგ, შესავალ ნაწილში მსმენელს უნდა გავაცნოთ პრეზენტაციის მიზეზები, თემატიკა და მიზანი. ასევე, აუცილებელია მსმენელს მოვახსენოთ პრეზენტაციის მიმდინარეობის გეგმა. ეს მათ არა მარტო ინფორმირებულ და მომზადებულ



მსმენელებად აქცევს, არამედ მათ მიერ ჩვენი პრეზენტაციისათვის დახარჯული დროის გამო მათ მიმართ ჩვენს ანგარიშვალდებულებას გამოხატავს. მათ უნდა იცოდნენ როგორ არის დაგეგმილი ის დრო, რაც მათ ჩვენ დაგვითმეს. ალბათ თავადაც გამოგიცდიათ, რომ რაგინდ საინტერესო თემაც არ უნდა იყოს დიდი ხნით მხოლოდ პასიური მსმენელის როლში ყოფნა ძნელია და აღქმის ხარისხსაც ამცირებს. ამიტომ კარგი პრეზენტატორი პრეზენტაციის დასაწყისშივე მონაწილეების მოტივირებას ცდილობს თემის ირგვლივ. ამის მიღწევა კი შესაძლებელია კითხვების დასმით, ინტერესის გაჩენით, პირადი სარგებლის აღნიშვნით, პროვოცირებით.

ამის შემდეგ გადავდივართ პრეზენტაციის ძირითად ნაწილზე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ დროს მსმენელთათვის თემის სისტემატურად გადაცემა ხორციელდება. ამ ნაწილის დასასრულს აუცილებელია ძირითადი საკითხების დაჯამება.

დასასრულსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ყველაზე უფრო შთამბეჭდავია. თუ დასაწყისში თქვენ მსმენელის ყურადღების მოპოვების მიზნით მათ „განაწყენებას“ ერიდებოდით, დასასრულს შეგიძლიათ „გააბრაზოთ“ კიდევ ისინი. ამ დაპირისპირების შედეგად კი მათ მიანდოთ დასკვნების გაკეთება. თუ „მომხრეთა“ წინაშე წარადგენთ თემას, მაშინ რაც შეიძლება ანალიტიკური პრეზენტაცია უნდა იყოს, რადგან მსმენელის „მომხრებად“ გარდაქმნაზე დროის დაკარგვა აღარ არის საჭირო. ეს დრო შეგიძლიათ საკითხში ჩაღრმავებას დაუთმოთ.

**პრეზენტაციის წარმართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს გარეგნობასაც, ჩაცმულობასაც, მეტყველებასაც და შესტიკულაციასაც.** მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ჩვენი შინაგანი განწყობა და გარეგნობა ხშირაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. გამოდის, რომ როგორც გამოიყურებით, ისეთივე იქნება თქვენი პრეზენტაციაც. გარეგნულ სახეს განსაზღვრავს აუდიტორია, რომელსაც ვხვდებით. მაგალითად, თუ სერიოზულ საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით მსმენელს ფორმალურ ვითარებაში, ამ გარემოსთან არ იქნება თავსებადი მძიმე მაკიაჟით ან მოუწესრიგებელი თმის ვარცხნილობით, გადატვირთული სამკაულებით ან ნაბახუსევი იერით გამოცხადება. ასეთ შეხვედრაზე სასურველია მსუბუქი მაკიაჟით, კლასიკური ვარცხნილობით და ჯანსაღი პროფესიული იერით გამოვცხადდეთ.

ალბათ არაერთხელ ყოფილხართ მდომარეობაში, როდესაც ძალიან ლამაზად და მოდურად გაცვიათ, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობთ. არის სიტუაციები, როცა ეს უხერხულობა მოთმენად ღირს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასე არ არის. თქვენ სათქმელზე ორიენტირებული უნდა იყოთ და ამ დროს თუ იმაზე ფიქრობთ ხომ არ გიჩანთ გარღვეული მაისური, ან გამოკვეთილი ხომ

არ არის თქვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილები, ან გიჭერთ ფეხსაცმელი, რაც შემანუხებელი დისკომპორტია და ა.შ. თქვენს სათქმელზე ფიქრისაკენ მიმართულ ძალისხმევას ამ დისკომფორტთან გამკლავებისთვის დახარჯული ძალისხმევა ასუსტებს და შესაძლოა ისეთი შთამბეჭდავი ველარ აღმოჩნდეთ. ამავე დროს ტანსაცმელი პრეზენტაციის მიზანს უნდა შეეფერებოდეს. თუ მაგალითად, პარლამენტში უნდა წარადგინოთ პროექტი და თქვენ გახეხილ ჯინსებსა და გამჭვირვალე მაისურში მიეველინებით მსმენელს, თავიდანვე გაგიჭირდებათ მსმენელის ყურადღების მობილიზება. როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს სათქმელი, აუდიტორიაში ცოტა თუ აღმოჩნდება ისეთი, ვიზეც სტერეოტიპული წარმოდგენები არ მოქმედებს. ამიტომ, თავიდანვე დაკარგავთ მსმენელთა გარკვეულ ნაწილს.

პრეზენტაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობით კონტაქტს. ის თქვენი დავდაჯერებულობის დემონსტრირებაა. ეს კი სანდო ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს. საჭიროა აუდიტორიას თანაბრად გავუნანილოთ ჩვენი მხერა. ამას კი უხერხულობაც ახლავს ზოგჯერ, რადგან ყველა ერთნაირი ინტერესით ან სიმპათიით სახეზე არ გვისმენს. ხშირად ძალიან უკმაყოფილო ან უნდობლობით განმსჭვალულ სახეებსაც ვიხილავთ. რა გინდ თავში დარწმუნებულებიც არ უნდა ვიყოთ, მაინც მოქმედებს ასეთი უარყოფითი განწყობა ჩვენზე და შესაბამისად ჩვენს სათქმელზეც. ამიტომ, განსაკუთრებით კი თუ დამწყები პრეზენტატორი ხართ (რადგან თანდათან ამ უხერხულობების დაძლევის ტექნიკას თავად გამოიმუშავებთ), შეარჩიეთ აუდიტორიაში „დადებითი პიროვნება“, რომელიც გაგამხნევებთ პრეზენტაციისას. როცა აუდიტორიას თვალს არიდებთ, მათ შეიძლება ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, რომ ან არ ხართ დარწმუნებული იმაში, რასაც ამბობთ; ან პატივისცემით არ ხართ განმსჭვალული აუდიტორიისადმი; ან ზედმეტად კონცენტრირებული ხართ სათქმელზე და სწორედ ახლა ფიქრობთ რა უნდა თქვათ შემდგომ.

პრეზენტაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს ხმას და საუბრის ტემპრსაც. ალბათ შეგიმჩნევიათ კიდეც, რომ ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი ინტერესით უსმენთ ვიდრე სხვას, განურჩევლად იმისა, რას ლაპარაკობს. მოახდინეთ ხმის პროექტირება. ცვალებით საუბრის სისწრაფე და ტონი, რაც არსებითი პუნქტების გამოკვეთის საშუალებას მოგცემთ და საუბარიც ნაკლებ მონოტონური და მოსაწყენი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზენტაციის ენას. ის დიდწილად განაპირობებს მსმენელთა ინტერესს. ისაუბრეთ მარტივი ენით, რომ ყველასათვის გასაგები იყოს სათქმელი. თუ რაიმე ტერმინი დაგავინწყდათ, შეეცადეთ ის ახსნათ სხვა სიტყვებით, ამის გამო ნუ შეაყოვნებთ სათქმელს. არ შეეცადოთ დავინწყებული სიტყვის შესტით შეცვლას.

დიდი მნიშვნელობა აქვს შესტების ენასაც. პრეზენტაციისას ხელები თქვენსა და მსმენელს შორის დამაკავშირებელი საშუალებაა. ის ასევე თქვენი შინა-

განი შფოთის შენიღბვის საშუალებაა. შეეცადეთ ძალიან არ გადატვირთოთ საუბარი ჟესტებით. უხერხულობის შესანიღბად ნურც ჯიბეში ჩაიყოფთ ხელებს, რადგან ეს უპატივცემულობად აღიქმება ადამიანების მიერ. ასევე აკონტროლეთ ხელებით რაიმე საგნის ან თქვენივე ტანსაცმლის ღილების ან რაიმე სხვა აქსესუარის წვალება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელების ადგილმდებარეობას. მაგალითად, თუ ხელები წელის ხაზს ქვემოთაა ეს უარყოფით გავლენას ახდენს, ხოლო თუ მკერდის ხაზს ზემოთ დადებითს, ხოლო წელის ხაზსა და მკერდს შორის ნეიტრალური გავლენის მქონეა. ეს თითქოს წვრილმანებია, მაგრამ ეს წვრილმანები საბოლოო ჯამში დიდ ზეგავლენას ახდენს მსმენელზე. ამიტომ მათი გათვალისწინება თქვენი პრეზენტაციის წარმატების საწინდარია.

**გვახსოვდეს**, ადამიანი წაკითხულის 10 პროცენტს იმახსოვრებს, მოსმენილის 20 პროცენტს, ერთდროულად ნანახისა და მოსმენილის 33 პროცენტს, ხოლო თავად გაკეთებულის 70 პროცენტს. ამიტომ შევეცადოთ მაქსიმალურად ინტერაქტიული პრეზენტაცია გავმართოთ.

**თუ წერილობით ადვოკატობას ვიყენებთ, აუცილებელია სათქმელი რაც შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ.** ერთ საკითხთან დაკავშირებული წერილი 1 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. მართალია მოკლედ თქმა მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ვრცლად, მაგრამ ზრდის ალბათობას, რომ წაიკითხავენ. ეს კი დროის დახარჯვად ღირს.

## **შეფასება სოციალურ ადვოკატობაში**

**როგორ შევასაოთ ჩვენი ადვოკატობის ძალისხმევა? და რაში გვჭირდება შეფასება?** ეფექტიანი სოციალური მუშაობა გულისხმობს საადვოკატო ძალისხმევის სარგებლიანობისა და მიღწევების რეგულარულ შეფასებას. გვჭირდება ვიცოდეთ რამდენად მივალწიეთ დაგეგმილ მიზანს, რამდენად ეფექტიანი იყო გუნდური მუშაობა. თუ წარუმატებელი იყო, რა არის ამის მიზეზი. კმაყოფილები დარჩნენ თუ არა დაცვის სუბიექტები. ამ კითხვებზე პასუხები დაგვეხმარება გავიაზროთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, გავზომოთ ჩვენი მიღწევები წარმატების ინდიკატორებთან მიმართებით, გავიაზროთ რა არის შესაცვლელი.

**როგორ დავინყოთ შეფასება?** შეფასება უნდა დავინყოთ იმის განსაზღვრით თუ რისი შეფასება გვსურს. ჩვეულებრივ, პროგრამის ან ინიციატივის დასაწყისშივე ჩამოვაყალიბებთ მიზნის მისაღწევად საჭირო გავზომვად ამოცანებზე რასთან მიმართებითაც გავზომავთ ჩვენს ქმედებებს პროექტის ან ინიციატივის განმავლობაშიც და დასრულებისასაც.

ალტმანის (1994) მიხედვით, სოციალური მუშაობის ადვოკატობის შეფასება სამგვარად შეიძლება:

- პროცესის გაზომვით;
- შედეგის გაზომვით და
- ზეგავლენის გაზომვით.

მოდით, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

**პროცესის გაზომვა.** პროცესზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ რამდენად კარგად განხორციელდა ადვოკატობის პროცესი. რამდენად სწორად წარმართა იგი? საკმარისი იყო თუ არა დაგეგმილი რესურსის გამოყენება? ეფექტიანი იყო კომუნიკაცია? ჰქონდა თუ არა მას საზოგადოების მხარდაჭერა? ადეკვატური იყო ხელმძღვანელობა? სხვა ჯგუფებმა თუ გაგინათ მხარდაჭერა? რა ხდებოდა კრიტიკული მოვლენებისას?

**შედეგის გაზომვა.** შედეგებზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ რამდენად მიაღწია ადვოკატობის მცდელობამ სპეციფიკურ მიზნებს. ეს ჩვეულებრივ კონკრეტული და რაოდენობრივი მონაცემებია:

- მიწოდებული მომსახურებების ტიპი და სიხშირე. რამდენი შეხვედრა ჩატარდა? რამდენი ახალი მომსახურება ახლა ხელმისაწვდომი?
- საზოგადოების ან ჯგუფის ქმედებები. რამდენი გაფიცვა მოეწყო? რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ფორუმში? რამდენი მიტინგი გაიმართა ლიდერების მიერ?
- ცვლილებები პროგრამაში. განხორციელდა ცვლილებები პოლიტიკაში და/ან კანონმდებლობაში? დაინერგა ახალი მომსახურებები?
- ხელმისაწვდომობა მომსახურებებზე. უფრო მეტ ბენეფიციარს მოემსახურეთ? რა იყო ბარიერები?
- მიღწეულ შედეგთა რაოდენობა. პროგრამის ან ინიციატივის შედეგების გადახედვა და პროგრესის ჩანაწერების გაკეთება.

**ზეგავლენის გაზომვა.** ზეგავლენის გაზომვაზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ რამდენად განხორციელდა ადვოკატობის შედეგად რეალური ცვლილებები. ამ შედეგების გაზომვა კი საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, რაც პროგრამის ან ინიციატივის დაწყებამდე უნდა შეგროვდეს.

შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბაზის შექმნა, რაც გულისხმობს როგორც მონაცემების, კვლევის, აქტუალური ინფორმაციის ანკეტირებას, ასევე შეხვედრების ოქმების, ცნობილი და გავლენიანი ადამიანების მოსაზრებების დაფიქსირებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურებების მიმღებთა კმაყოფილების თუ საჩივრების ჩანერას.

## **დამოკიდებულება შეცდომებისადმი**

შეფასებისას რეალურად ხდება მთავარი: ჩვენ ვაანალიზებთ ჩვენს შეცდომებს. **იმის მიხედვით თუ რა დამოკიდებულება გვაქვს შეცდომებისადმი შეგვიძლია ის ავირიდოთ ან ისევ დავუშვათ.**

როგორია თქვენი დამოკიდებულება შეცდომებისადმი? ალბათ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ის აუცილებლად მოგვივა როდესმე. ეს განსაკუთრებით მართალია ჩვენი პროფესიის წარმომადგენელთათვის, რადგან საქმე გვაქვს მუდმივ ცვალებად გარემოსთან, განსხვავებული მოცემულობის ადამიანებთან სხვადასხვაგვარი პრობლემებით, მათ განსხვავებულ დამოკიდებულებებთან ამ პრობლემებისადმი და განსხვავებულ შესაძლებლობებთან მათი გადაჭრისათვის. ამიტომ მთავარია ჩვენ ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ როგორ უნდა ავიცილოთ შეცდომა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ როცა მას დავუშვებთ.

**გვახსოვდეს**, რომ ჩვენს შეცდომებში სხვა არ უნდა დავადანაშაულოთ. შეცდომის გამო მიზანს არ უნდა დავმორდეთ. როგორც ზევით ვთქვით, სწრაფად ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია, და ისიც შეუძლებელია, რომ წარმატებას შეუცდომლად მივაღწიოთ მუდამ. შეცდომა ახალი გამოსავლის ძიების დასაწყისია და ის ქმედების დასასრულს კი არ წარმოადგენს, არამედ მიზნისაკენ მიმავალი ახალი გზების გააზრების დასაბამია.

## **პროფესიულ სირთულეებთან გამკლავების გზები**

დგება დრო ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული პროფესიული დილემები. ძალიან სტრესულია გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს. განსაკუთრებით საქართველოში, სადაც იგი დგას რესურსების სიმწირის, საზოგადოების, მათ შორის დამქირავებლების მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშე. ადამიანებს კი სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (1983) შემდეგ გამოსავალს გვთავაზობენ:

**გადანვა და პროფესიის/სამუშაო ადგილის მიტოვება;** იმედგაცრუებული სოციალური მუშაკისათვის ეს გამოსავალი სიტუაციის გარიდებისა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩენას ნიშნავს. ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზე ეს შესაძლოა მართლაც მართებული გადაწყვეტილებაა, თუმცა ამას დრო გვიჩვენებს. ზოგჯერ ორგანიზაციიდან წასვლა უკეთესი გამოსავალია, რადგან შესაძლოა იმ კონკრეტული ორგანიზაციის მანდატია პროფესიული ფასეულობების შემზღუდველი და შემლახავი. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიიდან წასვლაა საჭირო. აქ რასაკვირველია ადამიანის ბუნებაა გადამწყვეტი: მისი რისკის გაღების ხარისხი, მისი ბრძოლის, დღევანდელი სიტუაციისა და

საკუთარი ძალების რეალისტურად შეფასების, მომავლის განჭვრეტის უნარი და ა.შ.

**გადანვა, მაგრამ პროფესიაში/სამუშაო ადგილზე დარჩენა;** ზოგიერთი პრაქტიკოსი გადანვის მიუხედავად არათუ არ იცვლის პროფესიას, არამედ სამუშაო ადგილზეც რჩება. ისინი თავს სისტემის მსხვერპლად, მასთან ბრძოლაში უუნაროდ გრძნობენ. ისინი ეგუებიან იმ ფაქტს, რომ არ აქვთ სიტუაციის კონტროლის ბერკეტი. ისინი ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალური ნებეფიცია-არისათვის, მაგრამ უგულვებლყოფენ უფრო ფართო პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ ორგანიზაციულ ნორმებს და თმობენ ადვოკატობის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში პროფესია „მონოდება“ აღარაა, ის „უბრალოდ სამუშაოა“.

**„ტუნელის“ ხედვის განვითარება;** ხშირ შემთხვევაში, ისეთ სოციალურ მუშაკსაც კი, რომელიც არ არის ჯერ გადამწვარი, უვითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხმარება ბენეფიციარს ინდივიდუალურ დონეზე, მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს უფრო ფართო პლანში, უფრო ზოგადი პრობლემების მოგვარებისათვის აშკარად და დაუფარავად. ის ორგანიზაციაში რჩება, მაგრამ ის ორგანიზაციისა და თემის ცხოვრების მიღმაა. იგი ბენეფიციარზე ორიენტირებული რჩება და არ იბრძვის ცვლილებისათვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განსხვავება წინა გამოსავალთან შედარებით ისაა, რომ თუ წინა შემთხვევაში არსებობს ორგანიზაციასთან იდენტობის გრძნობა, ამ შემთხვევაში ის არ არსებობს.

**ენერჯის სადმე სხვაგან მიმართვა;** ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და უერთდება იმდენ ორგანიზაციასა და ჯგუფს, რამდენის საშუალებაა დრო და ენერჯია აძლევს. სისტემური ცვლილების მიღწევას ისინი ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობენ. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმნიფებელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილებისათვის ბრძოლაში არ აფერხებს.

**ცვლილების ინიცირება;** ეს ცვლილებისათვის უფრო მობილიზებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთიანდებიან კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად. რეალურად განხორციელებად ცვლილებას სჭირდება სელექტიურობა, იმის აღიარება, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად მოგვარებადი არაა, და საჭიროა გონივრული არჩევნის გაკეთება. ამავე დროს არჩევანი გასაკეთებელია ცვლილების მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ყველა ცვლილება დროს მოითხოვს და ერთბაშად მიზანს ვერ აღწევს, ამიტომ ხშირად ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაა საჭირო. ხოლო ამ სვლის თანმიმდევრობა პრობლემის შესახებ ღრმა ცოდნასა და მისი მოგვარებისათვის

გონივრულად დაგეგმილ ბრძოლას ითხოვს. ხშირად ეს სოციალური მუშაკები კოლეგებისაგან კრიტიკას იმსახურებენ ფართო პრობლემების მოგვარებისათვის ინდივიდუალური პრობლემების მსხვერპლად გაღების გამო.

აღბათ ხვდებით სულით მეზობლი და უდრეკი პრაქტიკოსისათვის რომელი ვარიანტია შესაფერისი და რატომ.

## სოციალური ადვოკატობის სასესიური სივრცე

სად ანარმოებენ სოციალური მუშაკები ადვოკატობას? ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადვოკატობასაც გაუფართოვა ასპარეზი. ინტერნეტის განვითარებამ გააფართოვა ადვოკატობისათვის ასპარეზი. პირისპირ შეხვედრების აუცილებლობა ჩაანაცვლა ელექტრონულ სივრცეში კომუნიკაციის შესაძლებლობამ. რაზეც ადრე იხარჯებოდა დრო, ეხლა შესაძლებელია ის რაოდენობის ზრდასა და ხარისხის დახვეწას მოვახმაროთ. ინტერნეტი გასაოცარი საშუალებაა სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად. მისი საშუალებით არა მარტო ინფორმაციის გაცვლა—გამოცვლაა შესაძლებელი, არამედ კოალიციების შექმნაც. შესაძლებელი გახდა სატელეფონო კონფერენციების მონყობაც. ეს ინფორმაციისა და მხარდაჭერის მოპოვების შანსს ზრდის სხვადასხვა საადვოკატო პროექტებისათვის, კვლევის ჩატარებისათვის, პრობლემების გადაჭრაში სხვათა მონაწილეობის მოპოვებისათვის. ამიტომ პრაქტიკოსებს სჭირდებათ ტექნოლოგიური პროგრესის ფეხდაფეხ სიარული. კასტელის თქმით, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, სხვადასხვა ერების და კულტურების გამაერთიანებელი ახალი ქსელების/კავშირების ჩამოყალიბება ქმნის მეოთხე სამყაროს. ეს კი უცილობლად გააჩენს ბევრ „შავ ხვრელს“ (ტერმინი კასტელისაა), ანუ უფლებანართმეულ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ ახალ ქსელში ჩართვა. ამიტომ სოციალურმა მუშაკებმა უნდა იზრუნონ ამ დაყოფის აღკვეთაზე. ისინი უნდა შეეცადონ სხვაობის შემცირებას იმ ადამიანებს შორის, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ტექნოლოგიური მონაპოვრები და ვისთვისაც ეს ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია.

ბოლოს კი მინდა პროფესიული ეგოიზმის კუთხითაც შევხედოთ ადვოკატობის საკითხს. ის მნიშვნელოვანია ყველა ჩვენთაგანისათვის, რადგან არა მხოლოდ მათი ინტერესების დაცვის საშუალებაა, ვიზეც გული შეგვტკივა, არამედ ჩვენი საკუთარი ინტერესებისაც. სამართლიანი სისტემა ასარგებლებს არა მარტო ჩვენი მომსახურების მიმღებებს, არამედ ჩვენც. ადვოკატობით ჩვენს ხმას ადრესატამდე მივიტანთ და ამას გავაკეთებთ არა მარტო იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი პროფესიული ეთიკის საკითხი, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის სწორი გზა საზოგადოების სასიკეთოდ ქმედებისათვის, იმ საზოგადოებისა, რომელშიც ჩვენ ყველა ვცხოვრობთ. ამიტომ, ამით ვზურნავთ არა მარტო სხვებზე, არამედ ჩვენს თავსა და ჩვენს კეთილდღეობაზეც.

## ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Albert, R. (1983). Social Work Advocacy in the Regulatory Process. *Social Casework*, 64, 473-479.
2. Altman, D.G. (1994). *Public Health Advocacy: Creating Community Change to Improve Health*.
3. Arlt, I. (1933). Charity Organization Quarterly: A Journal of Case-Work and Social Effort, II, 3- 23. Palo Alto, CA:Stanford Center for Research in Disease Prevention.
4. Bryer, D., & Magrath, J. (1999). New Dimentions of Global Advocacy. *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 28 (4<sup>th</sup> Supp.), 168-177.
5. Davis, K.E. (1993, March/April) The Need for Social Workers t Advocate. *Virginia NASW Newsletter*, 4.
6. Freddolino, P.P. (1990). Mental Health Rights Protection and Advocacy. *Research in Community and Mental Health*, 6, 379-407.
7. Freire, P. (1990). A Critical Understanding of Social Work (M. Moch, Trans.). *Journal of Progressive Human Services*, 1, 3-9.
8. Grosser, C.F. (1965). Community Development Programs Serving the Urban Poor. *Social Work*, 7, 15-21.
9. IFSW (2004). Ethics in Social Work, statement of Principles. Available at:<http://www.ifsw.org/en/p38000324.htm>
10. Jaffe, E.D. (1978). On Problems of Loyalty: Who Owns Social Work? *International Social Work*, 21, 38-42.
11. Litzelfelner, P., & Petr, C.G. (1997). Case Advocacy and Child Welfare. *Social Work*, 42, 392-402.
12. Lourie, N.V. (1975). The Many Faces of Advocacy. In I.N. Berlin (Ed.), *Advocacy for Child Mental Illness*. New York:Brunner/Mazel.
13. Global Conditions and Local Practice. *Towards a New Equality: Social Division in a Global Context*, pp. 40 – 60. Palgrave Macmillan
14. Maiss, M., & Panticek, P. (2009). Theory with Passion: Ilse Arlt and Current Questions in Social Work, 45-60.
15. McCormick, M.J. (1970). Social Advocacy: A new Dimention in Social Work. *Social Caework*, 51(1), 3-11.
16. მინდაძე ი. (2009). ფსიქოლინგვისტიკა. არეტე.
17. Patti, R.J. (1974). Limitations and Prospects of Internal Advocacy. *Social Casework*, 55, 537-545.



18. Pearlman, M.H., & Edwards, M.G. (1982). Enabling in the Eighties: The Client Advocacy Group. *Social Casework*, 63(9), 532-539.
19. სოციალური სამუშაოს სიტუაციური ანალიზი (2011). *საქართველოს საზოგადოების დიალოგის გაუმჯობესება სოციალური სამუშაოს პოლიტიკის განსავითარებლად*. ღია საზოგადოება საქართველო.
20. შატბერაშვილი ნ. (2007). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა. *სოციალური მუშაკის როლი სოციალურ ადვოკატობაში*.
21. შატბერაშვილი ნ. (2008). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა. *სოციალური დაცვა საკანონმდებლო დონეზე*.
22. შატბერაშვილი ნ. (2010). სალექციო კურსი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა. *საჭიროების თეორია*.
23. შატბერაშვილი ნ. (2011). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალურ სამუშაოში. *საერთაშორისო პერსპექტივა სოციალურ მუშაკთა პრაქტიკაში*
24. Sherman, W.R., & Wenocur, S. (1983). Empowering Public Welfare Workers Through Mutual Support. *Social Work*, 28 (5), 375-379.
25. Schneider, R.L., Lester, L., (2001). *Social Work Advocacy*. Webcom, limited.

# თავი 6

## პროფესიული ზედამხედველობა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში

---

მაია მგელიაშვილი

### ზედამხედველობის ფუნქციები სოციალური მუშაობის პრაქტიკაში

ზედამხედველობის სწორად განხორციელებას უდიდესი დანიშნულება გააჩნია სოციალური მუშაობის პრაქტიკაში. ზედამხედველობა არის პროცესი, რომლის დროსაც პროფესიული ზედამხედველი აძლევს უკუკავშირს სოციალურ მუშაკს შესრულებული მუშაობის შესახებ. პროფესიული ზედამხედველობა სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში მიზნად ისახავს კლიენტებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას, თვითონ სოციალური მუშაკის გაძლიერებას და მისი პრაქტიკის დახვეწას.

ზოგადად, ზედამხედველობის 3 ფუნქციას გამოყოფენ:

ზედამხედველობის **ადმინისტრაციული ფუნქცია**- მიზნად ისახავს სოციალური მუშაკის მიერ სამუშაოს მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და შენარჩუნებას, პრაქტიკის შესაბამისობას, შესაბამის კანონმდებლობასა და პოლიტიკასთან ერთად, ეფექტური სამუშაო გარემოსათვის ხელის შეწყობას.

ზედამხედველობის **საგანმანათლებლო ფუნქცია**- გულისხმობს თითოეული სოციალური მუშაკის განათლებისა და პროფესიული განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რათა დაეხმაროს სოციალურ მუშაკს თავისი პოტენციალისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში.

ზედამხედველობის **მხარდამჭერი ფუნქცია** მოწოდებულია დაეხმაროს სოციალურ მუშაკს დაძლიოს სამუშაოსთან დაკავშირებული ყოველდღიური სტრესი, გაზარდოს სამუშაოთი კმაყოფილების ხარისხი და ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილზე ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრებას.

მეცნიერმა კადუშინმა ჩამოაყალიბა ზედამხედველობის ზემოაღნიშნული სამი ფუნქცია მთავარი პრობლემისა და მთავარი მიზნის თვალსაზრისით. კადუშინის მიხედვით, ზედამხედველობის ადმინისტრაციული ფუნქციის მთავარი პრობლემა მდგომარეობს ორგანიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო, სწორ და ეფექტურ დამკვიდრებაში. შესაბამისად, ადმინისტრაციული ფუნქციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ზედამხედველობის მიმღები სოციალური მუშაკის მიერ ორგანიზაციის პოლიტიკის პრაქტიკაში გატარება. სა-

განმანათლებლო ფუნქციასთან დაკავშირებით, კადუშინი მთავარ პრობლემას ხედავს თანამშრომლის ცოდნის, ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების დახვეწა-გაუმჯობესებასთან მიმართებაში. ამრიგად, საგანმანათლებლო ფუნქციის მიზანი არის თანამშრომლის პრაქტიკის გამდიდრება შესაბამისი სიახლეებით. ამ მიზნის მიღწევის მთავარი საშუალება არის რეფლექსია (დაკვირვება და უკუკავშირის მიცემა) საკუთარ პრაქტიკაზე ზედამხედველობის მიმღები პირის მიერ. ამგვარი თვით-რეფლექსია ზედამხედველობის მიმღებ პირს შეიძლება დაეხმაროს:

- უკეთ გააცნობიეროს საკუთარი რეაქცია და გადაწყვეტილებები კლიენტებთან მიმართებაში;
- გაიაზროს მისი და კლიენტის ურთიერთობის დინამიკა;
- შეაფასოს განხორციელებული ინტერვენცია და ამ ინტერვენციის შედეგები;
- გაითვალისწინოს საკუთარი პრაქტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები სხვა კლიენტებთან მუშაობის დროს.

ზედამხედველობის მხარდამჭერი ფუნქციის მთავარ პრობლემად კადუშინი ხედავს თანამშრომლის სამუშაოთი კმაყოფილების ხარისხის გაზრდას. მისი აზრით, ზედამხედველობის წინა ორი ფუნქცია ემსახურება ინსტრუმენტალურ საჭიროებებს, მაშინ, როცა მხარდამჭერი ფუნქცია ექსპრესიული საჭიროებებისათვის არის აუცილებელი. ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი იღწვის მოახდინოს სტრესული სიტუაციების პრევენცია, ხოლო სტრესის არსებობის შემთხვევაში დაეხმაროს ზედამხედველობის მიმღებ პირს სტრესის დაძლევაში.

ზოგადად, ზედამხედველობის მიზნები სოციალური მუშაობის პრაქტიკაში შეიძლება ემსახურებოდეს შემდეგს:

- მისცეს ზედამხედველობის მიმღებ პირს საშუალება დააკვირდეს განხორციელებული სამუშაოს პროცესსა და შედეგს;
- გამოუმუშაოს ზედამხედველობის მიმღებ პირს სამუშაოს განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- მისცეს სათანადო უკუკავშირი ზედამხედველობის მიმღებ პირს განხორციელებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;
- გაუწიოს სოციალურ მუშაკს მხარდამჭერა როგორც პროფესიულ, ასევე პიროვნულ ასპექტებშიც;
- ხელი შეუწყოს ზედამხედველობის მიმღებ პირს უკეთესად დაგეგმოს და გამოიყენოს საკუთარი პიროვნული და პროფესიული რესურსები;
- უზრუნველყოს სამუშაოს მაღალი ხარისხი.

უფრო ვიწრო გაგებით, ზედამხედველობა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში უფრო პროფესიულ ზედამხედველობას გულისხმობს და ამ მხრივ ე.წ. “მენეჯერული” ზედამხედველობისაგან განსხვავდება. “მენეჯერული” ზედამხედველობის მთავარი ფუნქცია არის სააგენტოს/ორგანიზაციის ინტერესის განხორციელება, მაშინ, როცა პროფესიული ზედამხედველობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ზედამხედველობის მიმღები პირის პროფესიული ზრდა-განვითარება. თუმცა, პროფესიული ზედამხედველობა სავსებით არ გამორიცხავს ადმინისტრაციულ ელემენტებს, ისევე, როგორც “მენეჯერული” ზედამხედველობა არ გულისხმობს მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას და თავის თავში მოიცავს საგანმანათლებლო და მხარდაჭერ ფუნქციასაც.

**პროექტორის (1986 წ) აზრით, ზედამხედველობას ასევე სამი ფუნქცია აქვს:**

- **ნორმატიული ფუნქცია** გულისხმობს ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ პასუხისმგებლობის აღებას ზედამხედველობის მიმღები პირის ეთიკურ ქცევასა და პროფესიულ პრაქტიკაზე და ზედამხედველობის მიმღები პირის ქცევის შესაბამისობას ორგანიზაციის პოლიტიკასა და პროცედურებთან. ნორმატიული ფუნქცია კადუშინის მიერ ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ფუნქციის მსგავსია.
- **“ჩამოყალიბებელი” ფუნქცია** მოწოდებულია მისცეს უკუკავშირი ზედამხედველობის მიმღები პირის თეორიულ ცოდნას, ღირებულებებსა და პრაქტიკულ უნარ—ჩვევებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს სოციალური მუშაკის კომპეტენციის გაზრდა. ეს ფუნქცია კადუშინის საგანმანათლებლო ფუნქციის შესაბამისია.
- **“აღდგენითი” ფუნქცია** უზრუნველყოფს ზედამხედველობის მიმღები პირის პიროვნული პრობლემების, შფოთვებისა და დილემების განხილვას პროფესიულ ზედამხედველთან. “აღდგენითი” ფუნქცია კადუშინის მხარდაჭერი ფუნქციის მსგავსია.

## **ზედამხედველობის პროცესი**

როგორც წესი, ზედამხედველობის პროცესი გულისხმობს სპეციფიკური შემთხვევის განხილვას ან რაიმე საკითხის წარმოდგენას, რომელიც ზედამხედველობის მიმღები პირის ეჭვს იწვევს და ზედამხედველის პროფესიულ აზრს საჭიროებს. ზედამხედველობას შეიძლება ჰქონდეს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ფორმატი. ზედამხედველობის სესიის საშუალო ხანგრძლივობა კვირაში 60-90 წუთით უნდა განისაზღვრებოდეს (ჯგუფური ზედამხედველობის შემთხვევაში სესიის ხანგრძლივობა შეიძლება 2 საათამდე გაიზარდოს)

ზედამხედველობის პროცესში ზედამხედველობის მიმღები პირი წარმოადგენს იმ საკითხს (საკითხებს), რომელზეც ესაჭიროება მიმართულების მიცემა.

ეს საკითხი შეიძლება მოიცავდეს **ეთიკურ დილემას** (კონფლიქტს პიროვნულ ღირებულებებსა და პროფესიულ ვალდებულებებს შორის), **კონკრეტული ჩარევის სტრატეგიის (ინტერვენციის) შერჩევას**, კლიენტთან განხორციელებული ინტერვენციის განხილვასა და შეფასებას, კლიენტის რაიმე სირთულისა თუ პრობლემის გადანყვევის მიზნით **პროფესიულ მსჯელობას**, სააგენტოს **პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისობის მიმოხილვას** სოციალური მუშაკის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სერვისთან მიმართებაში, **შემთხვევის ჩანაწერების** (შეფასების ფორმების, ინტერვენციის გეგმის, მონიტორინგის ჩანაწერების, პროცესის ჩანაწერების) **განხილვას** მათი უკეთესად წარმოების მიზნით, ზედამხედველობის მიმღები პირის **თვითრეფლექსიის დღიურის განხილვას** და სხვა.

ამასთან ერთად, ზედამხედველობის პროცესი შეიძლება უზრუნველყოფდეს ზედამხედველობის მიმღები პირებისათვის ახალი ცოდნისა თუ უნარ—ჩვევების გაზიარებას. მაგ. საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების გაცნობას კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში, ახალი ინტერვენციების ან სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიცემას, ორგანიზაციის ახალი პრიორიტეტებისა თუ პროგრამების გაცნობას და ა.შ.

ჯგუფური ზედამხედველობის შემთხვევაში რჩევის მიცემა შეიძლება მოხდეს არამხოლოდ ზედამხედველობის განმახორციელებელი პირისაგან, არამედ თავად ზედამხედველობის მიმღები სოციალური მუშაკებისგანაც. ჯგუფური ზედამხედველობა აძლევს საშუალებას სოციალურ მუშაკებს გამოთქვან აზრი კლიენტის რომელიმე პრობლემასთან დაკავშირებით და ისარგებლონ რამდენიმე კოლეგის მიერ მიცემული მიმართულებებით. პროფესიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ კოლეგების მიერ კონკრეტული პრობლემის განხილვა და კონსტრუქციული კრიტიკა მიზანშეწონილი არ არის დამწყები პრაქტიკოსებისა და სტუდენტების შემთხვევაში. ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმ დროს, როდესაც ზედამხედველობის მიმღები პირები სფეროში გამოცდილი ადამიანები არიან.

ზედამხედველობის პროცესის ეფექტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურება მის **რეგულარულ** ხასიათში მდგომარეობს. ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას ზედამხედველობის სესიების კვირაში ერთხელ ჩატარებაზე. დამწყები პრაქტიკოსებისა და სტუდენტების შემთხვევაში, ზედამხედველობა შეიძლება კვირაში ორჯერაც განხორციელდეს შემთხვევის სირთულიდან და პრაქტიკოსის გამოცდილების ნაკლები დონიდან გამომდინარე.

აშშ-ს სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაცია (NASW) დამწყები პრაქტიკოსებისათვის რეკომენდირებულად თვლის ერთსაათიან ზედამხედველობას კლიენტთან 15 საათიანი პირდაპირი პრაქტიკის შემდეგ. 2-3 წლიანი მუშაობის სტაჟის არსებობისას ერთსაათიანი ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს

პირდაპირი პრაქტიკის 30 საათის შემდეგ.

როგორც ზედამხედველობის მიმღები პირი, ასევე პროფესიული ზედამხედველიც საფუძვლიანად უნდა ემზადებოდეს ზედამხედველობის სესიისათვის. მოსამზადებელ ეტაპზე დასამუშავებელი მასალა მოიცავს შემდეგს: შემთხვევის ჩანაწერებისა და პროცესის ჩანაწერების განხილვა, პრობლემური საკითხის განსახილველად როლური თამაშის მომზადება, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, თვით-რეფლექსიის (თვით-გამოხატვის) დღიური.

მიზანშეწონილია პროფესიული ზედამხედველისა და ზედამხედველობის მიმღები პირის მიერ პრაქტიკოსის სწავლების გეგმის შემუშავება, სადაც აისახება როგორც ის თეორიული საფუძვლები, რაც კომპეტენციური პრაქტიკის განხორციელებისათვის არის აუცილებელი, ასევე პრაქტიკოსის მოღვაწეობის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოები. ამასთანავე, ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს:

- პრაქტიკოსის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი შემთხვევის განხილვა და ამ შემთხვევის გამოყენება პრაქტიკოსის პროფესიული ზრდის საჭიროებათა გამოსაკვეთად;
- ზედამხედველობის მიმღები პირის ჩართვა კრიტიკული ანალიზის პროცესში განხორციელებულ სამუშაოსა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით;
- კონსტრუქციული და მიუკერძოებელი კრიტიკის წარმოდგენა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა ზედამხედველობის მიმღები პირის საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
- ზედამხედველობის მიმღები პირის პრაქტიკული მუშაობის უწყვეტი შეფასება პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ძლიერი მხარეებისა და დასახვეწი ასპექტების გამოკვეთის საშუალებით.

ზედამხედველობის პროცესში შესრულებული სამუშაოსა და მიღებული უკუკავშირის დასაფიქსირებლად გამოიყენება ზედამხედველობის პროცესის ჩანაწერები, რომლებიც უნდა ასახავდეს შემდეგს:

- ზედამხედველობის სესიის თარიღი და ხანგრძლივობა;
- ზედამხედველობის სესიის მოკლე შეჯამება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება განხილული საკითხები, პროგრესი სწავლების გეგმის მიზნებთან დაკავშირებით, მიცემული უკუკავშირი და რეკომენდაციები და ასევე წარმოდგენილი რესურსები;
- შესასრულებელი სამუშაოს გეგმა;
- არშემდგარი ზედამხედველობის სესიის დეტალები (ზედამხედველობის სესიის დაგეგმილი თარიღი, მიზეზი, რის გამოც ვერ ჩატარდა ზედამხედველობის სესია და მომავალი თარიღი).

აშშ-ს სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (NASW) რეკომენდაციით, პროფესიული ზედამხედველისა და ზედამხედველობის მიმღები პირის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალური შეთანხმების ფორმა, რომელიც უნდა ემყარებოდეს შემდეგს:

- ზედამხედველობის მიზნებისა და ამოცანების განმარტება;
- თითოეული მონაწილე მხარის უფლება-მოვალეობანი ზედამხედველობის პროცესში;
- პროფესიული ზედამხედველის ავტორიტეტის (ძალაუფლების) ჩარჩოების განსაზღვრა;
- კონფიდენციალურობის ვალდებულება და პარამეტრები;
- ზედამხედველობის პროცესის დროითი ჩარჩოები.

მართალია, პროფესიული ზედამხედველი უშუალოდ არ არის ჩართული კლიენტისათვის მომსახურების მიწოდებაში, მაგრამ იგი არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს კლიენტების სერვისის ხარისხზე. სწორედ ამიტომ პროფესიული ზედამხედველობის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში და მისი არასწორი განხორციელება პასუხისმგებელს ხდის ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს კლიენტისათვის არასწორი მომსახურების განწევაში ან მის საჭიროებათა უგულებელყოფაში.

## **ეთიკური დილემა და ზედამხედველობა**

ეთიკური დილემა წარმოადგენს კონფლიქტს სოციალური მუშაკის პიროვნულ და პროფესიულ ღირებულებებს შორის კლიენტისათვის მომსახურების მიწოდების პროცესში. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალური მუშაობის პროფესიის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება არის კლიენტის მომსახურება განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიური აღმსარებლობისა, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა. სოციალური მუშაკის პიროვნული ღირებულებები შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს მომსახურების ღირებულებასთან იმ დროს, როდესაც სოციალურ მუშაკს ევალება მომსახურება გაუწიოს სხვა რელიგიური აღმსარებლობის ან სექსუალური ორიენტაციის ადამიანს და იპოვოს მასში ძლიერი მხარეები. როდესაც სოციალური მუშაკი ასეთი ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდება, პროფესიულ ზედამხედველობას გარდამტეხი როლი აკისრია. პროფესიული ზედამხედველი მოვალეა სოციალურ მუშაკთან ერთად იმუშაოს მისი პიროვნული და პროფესიული ღირებულებების თანხვედრაზე თვითრეფლექსიისა და როლური თამაშების გამოყენებით, დაანახოს სოციალურ მუშაკს კლიენტის ღირებულებების მიმართ ტოლერანტობის აუცილებლობა და სოციალური მუშაკის დახმარების მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, თუ სოციალუ-

რი მუშაკისათვის კლიენტი ყველანაირად მიუღებელი რჩება, მაშინ ზედამხედველმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, რათა მოხდეს კლიენტის სხვა სოციალურ მუშაკთან გადამისამართება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მგელიაშვილი, მაია (2009). სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის პრაქტიკის მასწავლებლებისთვის.







ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის  
რეფორმის ხელშეწყობის პროექტი  
EU SUPPORT TO CHILD WELFARE REFORM  
PROJECT, GEORGIA

## სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები

სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან  
მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის

ავტორები: სალომე ნამიჭეიშივილი და მაია მგელიაშივილი  
სტილისტ-რედაქტორი: თამთა ფარულავა

აპრილი, 2010

**EveryChild.**

აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში და მისი გავრცელების უფლებით სარგებლობს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია მხოლოდ სოციალური სამუშაოს ფაკულტეტის სტუდენტებისათვის



## შესავალი

---

ნარმოგიდგენთ სახელმძღვანელოს “სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები”, რომელიც მომზადდა ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროექტის მიერ შემუშავებული სატრენინგო პროგრამის ფარგლებში. სახელმძღვანელო განკუთვნილია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს სოციალური მუშაკებისათვის და მისი მიზანია, გააცნოს სოციალურ მუშაკებს სოციალური სამუშაოს პრაქტიკისათვის აუცილებელი ცოდნა, ღირებულებები და უნარ-ჩვევები. იმედია, სახელმძღვანელო დაეხმარება სოციალურ მუშაკებს ბავშვებსა და მათ ოჯახებთან მუშაობის პროცესში.

მადლობას ვუხდით ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტს სოციალურ მუშაკთა კადრების მომზადების პროცესში განეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

**სოციალური მომსახურების სააგენტო  
ბავშვზე ზრუნვის სამსახური**



## ავტორების შესახებ:

**სალომე ნამიჭვიშვილი:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური სამუშაოს მაგისტრის ხარისხი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან (ა.შ.შ.). 1999 წლიდან მოღვაწეობს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. 2006 წლიდან მუშაობს ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტში ბავშვზე ზრუნვის/ტრენინგების ექსპერტად. არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე. ავტორი ჩართულია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, სოციალური სამუშაოს ტრენინგ-პროგრამებისა და მასალების მომზადებაში. იგი ასევე თანამშრომლობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კითხულობს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო კურსებს სოციალურ სამუშაოში. სალომე ნამიჭვიშვილი ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო რეფორმაში აქტიურად არის ჩართული, როგორც სოციალური სამუშაოსა და ბავშვთა საკითხების ექსპერტი. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური სამუშაოს კონსულტანტად მუშაობის გამოცდილება.

**მაია მგელიაშვილი:** ავტორს მიღებული აქვს სოციალური სამუშაოს მაგისტრის ხარისხი ქ. სენტ-ლუისის ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტიდან (ა.შ.შ.). მაია მგელიაშვილი 2006 წლიდან მუშაობს ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაციაში “EveryChild” სოციალური სამუშაოს ტექნიკურ მრჩეველად. იგი ასევე არის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური სამუშაოს მიმართულების მონვეული ლექტორი, სადაც კითხულობს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო კურსებს სოციალურ სამუშაოში. არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრი. ავტორი აქტიურად არის ჩართული სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, სოციალური სამუშაოს ტრენინგ-პროგრამებისა და მასალების მომზადებაში. აქვს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სოციალური სამუშაოს კონსულტანტად მუშაობის გამოცდილება.



# სარჩევი

სახელმძღვანელოს შესახებ .....	8
<b>თავი I</b> – სოციალური მუშაკის პროფესია – ზოგადი მიმოხილვა .....	11
<b>თავი II</b> – სოციალური სამუშაო და ბავშვთა კეთილდღეობა .....	25
<b>თავი III</b> – მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქცია სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში .....	39
<b>თავი IV</b> – სოციალური სამუშაოს თეორიული საფუძვლები .....	57
<b>თავი V</b> – შემთხვევაზე მუშაობის სპეციფიკა სოციალურ სამუშაოში .....	65
<b>თავი VI</b> – ბავშვის განვითარების ეტაპები და თავისებურებები .....	77
<b>თავი VII</b> – ბავშვის განვითარების თეორიები .....	101
<b>თავი VIII</b> – ბავშვის შეფასება .....	119
<b>თავი IX</b> – ოჯახის მნიშვნელობა სოციალურ სამუშაოში .....	129
<b>თავი X</b> – კომუნიკაცია, ინტერვიუ და კონსულტირება .....	137
<b>თავი XI</b> – ბავშვზე ძალადობა და მისი უგულებელყოფა .....	155
<b>თავი XII</b> – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და სოციალური სამუშაო .....	177
<b>თავი XIII</b> – კრიზისი, სტრესი, კრიზისული ინტერვენცია .....	189
<b>თავი XIV</b> – სოციალური სამუშაოს ზედამხედველობა .....	199



## თავი I: სოციალური მუშაკის პროფესია – ზოგადი მიმოხილვა

ეს თავი მიმოიხილავს სოციალური მუშაკის პროფესიას საერთაშორისო კონტექსტში. კერძოდ, სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას ამ პროფესიის განვითარების ისტორიის შესახებ (საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტში); ასევე, უქმნის ძირითად წარმოდგენას სოციალური სამუშაოს დანიშნულების, ამოცანების, მიზნობრივი ჯგუფების, მიმართულებების, სოციალურ მუშაკთა როლების შესახებ და ყურადღებას ამახვილებს პროფესიისათვის აუცილებელ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარ-ჩვევებზე.

## თავი II: სოციალური სამუშაო და ბავშვთა კეთილდღეობა

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმას; ასევე, სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შექმნის ისტორიის, ძირითადი პრინციპების, მუხლებისა და კონვენციის მონიტორინგის შესახებ. თავში მოცემული პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა 2010“ ბავშვზე ზრუნვის სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, მიზნების, ამოცანებისა და ქვეპროგრამების მიმოხილვაა. მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა ფუნქციებსა და როლებზე.

## თავი III: მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქცია სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში

ეს თავი მიმოიხილავს მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციას და სოციალური მუშაკის ვალდებულებებს მეურვეობა-მზრუნველობის კუთხით (შვილად აყვანა, მინდობით აღზრდა, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება, რეინტეგრაცია, ოჯახური დაგები). განხილულ იქნება ასევე შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის კანონების ძირითადი პრინციპები. თავი ასევე შეეხება ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გარეთ განთავსების პრევენციას.

## თავი IV: სოციალური სამუშაოს თეორიული საფუძვლები

ეს თავი განიხილავს თეორიებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური სამუშაოს პრაქტიკას. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ეკოლოგიური სისტემების თეორიაზე, მიდგომაზე „ადამიანი გარემოში“, ბიო-ფსიქო-სოციალურ პერსპექტივასა და გაძლიერების თეორიაზე.

## თავი V: შემთხვევაზე მუშაობის სპეციფიკა სოციალურ სამუშაოში

ეს თავი მიმოიხილავს სოციალური სამუშაოს პრაქტიკის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს, შემთხვევის მართვას, კერძოდ კი, ზოგადი ინტერვენციის მოდელს, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა პრაქტიკა ეფუძნება; ასევე, სოციალური სამუშაოს ინტერვენციის დონეებსა და ტიპებს, რაც სოციალურ მუშაკებს უქმნის ზოგად წარმოდგენას სოციალური სამუშაოს პრაქტიკის მასშტაბების შესახებ.

## **თავი VI: გავშვის განვითარების ეტაპები და თავისებურებები**

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვის განვითარების შემდეგ ძირითად ეტაპებს: ადრეული ბავშვობა, შუა ბავშვობა, მოზარდობა და სიყმაწვილე. აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას ბავშვის განვითარების ეტაპების მაჩვენებლების შესახებ, კერძოდ კი ყურადღებას ამახვილებს განვითარების თითოეული ეტაპის ფიზიკურ, შემეცნებით და ემოციურ თავისებურებებზე. ასევე, განიხილავს, ბავშვის განვითარებაზე მოქმედ დამცავ და რისკ ფაქტორებს.

## **თავი VII: გავშვის განვითარების თეორია**

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვის განვითარების ფსიქოდინამიკურ, ჰუმანისტურ და თანამედროვე თეორიებს. ფსიქოდინამიკური თეორიებიდან განხილულია ფროიდის ფსიქოანალიზის თეორია, ერიქსონის ფსიქოსოციალური თეორია და ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თეორია. ჰუმანისტური თეორიებიდან მოცემულია აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის თეორია, ხოლო განვითარების თანამედროვე თეორიებიდან, მიჯაჭვულობისა და სიცოცხლისუნარიანობის თეორიები. თავი სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას, ამ თეორიების ძირითად პოსტულატებზე, რაც მათ დაეხმარებათ ბავშვის განვითარების შეფასების პროცესში.

## **თავი VIII: გავშვის შეფასება**

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვის შეფასების პროცესს, რომელიც ეფუძნება შეფასების ინტეგრირებულ მოდელს. განიხილავს ამ პროცესის მიზნებსა და ძირითად პრინციპებს. აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას შეფასების ინტეგრირებული მოდელის ძირითადი ასპექტების შესახებ; ასევე, მოიცავს იმ ძირითად კითხვებს, რომლებიც სოციალურ მუშაკებს დაეხმარებათ ბავშვის შეფასების პროცესში.

## **თავი IX: ოჯახის მნიშვნელობა სოციალურ სამუშაოში**

ეს თავი მიმოიხილავს ოჯახთან მუშაობის როლს სოციალურ სამუშაოში; განიხილავს ოჯახს ეკოლოგიური სისტემების თეორიის მიხედვით და აცნობს სოციალურ მუშაკებს იმ ძირითად ცნებებს, ფაქტორებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ ოჯახის შეფასების პროცესში.

## **თავი X: კომუნიკაცია, ინტერვიუ და კონსულტირება**

ეს თავი მიმოიხილავს კომუნიკაციის მნიშვნელობას სოციალურ სამუშაოში და აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას კომუნიკაციის სახეების, ეფექტური კომუნიკაციისა და კომუნიკაციის ხელშემშლელი ფაქტორების შესახებ. აღნიშნულ თავში ყურადღება გამახვილებულია ინტერვიუს სპეციფიკაზე სოციალურ სამუშაოში, კერძოდ კი, პირველი ინტერვიუს მნიშვნელობაზე და აყალიბებს წარმატებული ინტერვიუს განმაპირობებელ ფაქტორებს. ასევე, ეს თავი მიმოიხილავს კონსულტირებას როგორც სოციალური სამუშაოს ინტერვენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას, კერძოდ კი კონსულტირების როლს, პროცესს, მოდელს და მისი ჩატარების უნარ-ჩვევებს.

## **თავი XI: გავშვია ქალაქი და მისი უზულებელყოფა**

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვისადმი არაღირსეული მოპყრობის ფორმებს, კერძოდ კი, ძალადობასა და უგულვებელყოფას. აზუსტებს ტერმინების მნიშვნელობას როგორც საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე, ქართულ სამართლებრივ კონტექსტში. აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას მოძალადის ქცევის თავისებურებების, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური პორტრეტის, მისი ფიზიკური ნიშნებისა და ქცევის სპეციფიკის შესახებ; ასევე, იმ რისკფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ მშობლების მხრიდან ძალადობას, ხოლო ბავშვებისა — ძალადობის მსხვერპლად გახდომას. ამ თავში დეტალურად არის განხილული ძალადობაგანცდილ ბავშვსა და მის ოჯახთან ინტერვიუს თავისებურებები, და ბოლოს, ძალადობის შედეგები.

## **თავი XII: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და სოციალური სამუშაო**

ეს თავი მიმოიხილავს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, აზუსტებს ტერმინების მნიშვნელობას როგორც საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე, ქართულ სამართლებრივ კონტექსტში და განიხილავს სოციალური მუშაკის დანიშნულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობაში. აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან ურთიერთობის სამედიცინო და სოციალური მოდელის, შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევი მიზეზების, კლასიფიკაციის, ზრუნვის პრინციპების შესახებ. ასევე, ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზაგავლენა ოჯახზე და ძალადობის თემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში.

## **თავი XIII: კრიზისი, სტრესი და კრიზისული ინტერვენცია**

ეს თავი მიმოიხილავს კრიზისსა და სტრესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, აზუსტებს მათ მნიშვნელობასა და განმარტებას. განიხილავს მათ ტიპებს, გამომწვევ მიზეზებსა და ნიშნებს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია სოციალური მუშაკის როლზე სტრესის დაძლევისა და კრიზისული ინტერვენციის პროცესში.

## **თავი XIV: სოციალური სამუშაოს ზედამხედველობა**

ეს თავი მიმოიხილავს სოციალური მუშაკის პროფესიაში ზედამხედველობის მნიშვნელობას. სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას ზედამხედველობის ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და მხარდამჭერი ფუნქციების შესახებ. ყურადღებას ამახვილებს ზედამხედველობის პროცესზე და განიხილავს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკის როლს ზედამხედველობის პროცესში.

ეს თავი მიმოხილავს სოციალური მუშაკის პროფესიას საერთაშორისო კონტექსტში. კერძოდ, სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას ამ პროფესიის განვითარების ისტორიის შესახებ (საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტში); ასევე, უქმნის ძირითად ნარმოდგენას სოციალური სამუშაოს დანიშნულების, ამოცანების, მიზნობრივი ჯგუფების, მიმართულებების, სოციალურ მუშაკთა როლების შესახებ და ყურადღებას ამახვილებს პროფესიისათვის აუცილებელ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარ-ჩვევებზე.

## 1.1 სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარების ისტორია – საერთაშორისო და ადგილობრივი კონტექსტი

სოციალური სამუშაო, როგორც აღიარებული პროფესია, შედარებით ახალი ნარმოშობისაა, თუმცა მისი ფესვები საქველმოქმედო საქმიანობაში არის საძიებელი. პროფესიის აღმოცენება უკავშირდება სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის საკითხს და იგი სიღარიბესა და მასთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემებთან ბრძოლას ითვალისწინებს. ქველმოქმედება უძველესი ცნებაა. მსოფლიოს თითქმის ყველა ძირითადი რელიგია მოუწოდებს ღარიბთა დახმარებისაკენ. ქველმოქმედება, ძირითადად, მატერიალური დახმარების გაცემასთან არის გაიგივებული, როგორცაა ფულადი დახმარება, საკვებითა და ტანსაცმლით დახმარება და სხვა. ღარიბთათვის სოციალური დაცვის სისტემის შექმნა პირველად მე-17 საუკუნის ინგლისში სცადეს. ამ სისტემას საფუძვლად დაედო დედოფალ ელისაბედის „ღარიბთა კანონი“ (1601წ.), რომლის მიხედვითაც დაწესდა ფინანსური შემწეობა იმ ადამიანებისათვის, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობების გამო არ შეეძლოთ მუშაობა. დასახმარებელთა სიაში აღირიცხებოდნენ ასეთი ადამიანები, რომელთაც გადაეცემოდათ საჭმელი, ტანსაცმელი და ა.შ. კანონი ასევე ითვალისწინებდა იმ ღარიბების გამოსასწორებელ (კორექციულ) დაწესებულებებში მუშაობას, რომლებსაც შეეძლოთ მუშაობა, მაგრამ მათხოვრობას ამჯობინებდნენ. ასეთი ტიპის დაწესებულებები ღარიბებს საჭმელსა და საცხოვრებელ ადგილს სთავაზობდა და გარკვეულ სამუშაოს ასრულებინებდა.

XIX საუკუნის ინდუსტრიულმა რევოლუციამ ევროპაში დიდი ძვრები განაპირობა. მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ სათავე დაუდო ურბანიზაციას და მიგრაციას სოფლებიდან ქალაქებში სამუშაო ადგილების მოსაპოვებლად. თავის მხრივ, ყოველივე ამან ბევრი სოციალური პრობლემა წარმოშვა. ამ პერიოდში შეიმჩნევა პროტესტანტული ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა, რაც ხალხში რელიგიურ მოძღვრებათა ქადაგებით, ქველმოქმედებითა და თანადგომით ცდილობდა სიღარიბის, პროსტიტუციისა და სხვა პრობლემების აღმოფხვრას. იმავდროულად, ინგლისში სათავე დაედო ე.წ. „განსახლების მოძრაობას“, რომელიც ითვალისწინებდა ღარიბთათვის ისეთი მომსახურების მიწოდებას, როგორცაა თავშესაფარი, საკვები, ტანსაცმელი, დაწყებითი განათლება. პარალელურად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჩიკაგოსა და ნიუ-იორკში, ასევე

ამოქმედდა განსახლების მოძრაობა, რომლის ინიციატორიც **ჯეინ ადამსი** იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში განსახლების მოძრაობის პირველი სახლი იყო „ჰალის სახლი“, რომელიც 1880 წელს დაარსდა. „ჰალის სახლის“ მისია მდგომარეობდა ღარიბი ემიგრანტებისა და სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისათვის სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებაში.

სოციალური სამუშაოს როგორც პროფესიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა **„ქველმოქმედების ორგანიზების საზოგადოებამ“**, რომელიც 1800-1900 წლებში ევროპასა და აშშ-ში გავრცელდა. რადგან საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ ზოგიერთი ღარიბი ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩებოდა დამოკიდებული მხოლოდ ქველმოქმედებაზე და არ მოიძიებდა სილატაკიდან თავის დაღწევის საშუალებას, „ქველმოქმედების ორგანიზების საზოგადოებამ“ მიზნად დაისახა, შეესწავლა ღარიბთა მდგომარეობა და ესწავლებინა მათთვის სიღარიბესთან ბრძოლის გზები.

აშშ-ში ფილადელფიის „ქველმოქმედების ორგანიზების საზოგადოებას“ სათავეში ჩაუდგა **მერი რიჩმონდი** (1861-1928 წწ), რომლის ნაშრომებმაც გარდამტეხი როლი ითამაშა სოციალური სამუშაოს პროფესიად ჩამოყალიბებაში. მერი რიჩმონდის ნაშრომში **„სოციალური დიაგნოზი“** პირველად განისაზღვრა სოციალური სამუშაოს ადამიანებთან უშუალო პრაქტიკის ძირითადი პრინციპები და მეთოდები და სოციალური სამუშაოს სხვადასხვა ტიპები. მერი რიჩმონდის ნაშრომი სოციალური სამუშაოს როგორც პროფესიის დაფუძნების ფუნდამენტურ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს. **1898 წელს სოციალური მუშაკის პროფესიაში პირველი ლექცია აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩატარდა.**

1920-იანი წლებში აშშ-ში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. პირველ რიგში, ეს დაკავშირებული იყო ფემინისტური მოძრაობის პირველი ტალღასთან, რომელიც ქალთათვის პოლიტიკური, კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვებისაკენ იყო მიმართული. 1930-40-იანი წლების აშშ-ის **ეკონომიკური დეპრესიის** („დიდი დეპრესია“) და **მეორე მსოფლიო ომის ფონზე** სოციალურ მუშაკთა როლი ღარიბთა და უმწეოთა დახმარებაში კიდევ უფრო გაძლიერდა. სოციალური მუშაკი **ფრენსის პერკინსი** იყო პირველი ქალბატონი, რომელიც პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის დროს შრომის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა და რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ახალი კანონმდებლობის შემუშავებაში.

1970-იან წლებამდე სოციალურ სამუშაოში დომინირებდა ე.წ. **„სამედიცინო მოდელი“**, რომელიც ცდილობდა ინდივიდის ქცევის კორექციას და ყურადღებას ამახვილებდა მისი გარემოსთან შეგუების უნარის გამომუშავებაზე. ამ მოდელით სოციალური სამუშაოს როლი, ძირითადად, მიკრო დონეზე, დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებთან მუშაობაში მოიაზრებოდა და უპირატესობას ანიჭებდა სოციალური სამუშაოს ისეთ მეთოდებს, როგორცაა შემთხვევის მართვა და კონსულტირება<sup>1</sup>. 70-იანი წლების შემდეგ დაისვა საკითხი სოციალურ სამუშაოში ე.წ. **„სოციალური ცვლილების მოდელისათვის“** უპირატესობის მინიჭებაზე, რომლის თანახმადაც სოციალური სამუშაოს მთავარი არსი სასურველი სოციალური ცვლილების მიღწევაში მდგომარეობს. ეს უკავშირდება მაკრო

<sup>1</sup> შემთხვევის მართვა – პროცესი, რომლის მეშვეობითაც სოციალური მუშაკი ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აწოდებს მას აუცილებელი მომსახურების პაკეტს. კონსულტირება გულისხმობს ფსიქოლოგიური თეორიებისა და პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების (კომუნიკაცია, ინტუიცია და სხვა) გამოყენებას ინდივიდის პირადი პრობლემების მოსაგვარებლად.

დონეზე სოციალური პოლიტიკის შემუშავებას, დახმარების საჭიროების მქონე ადამიანთა დაცვას და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მხარდაჭერას.

მეოცე საუკუნის ბოლოს სოციალური სამუშაო კიდევ უფრო განვითარდა და ორიენტირებული გახდა კვლევასა და ფაქტებზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე. ისტორიულად ეს პროფესია განვითარდა როგორც ღარიბთა და გლახაკთა დამცველი და დღეს განვითარებულ ქვეყნებში მისი მოღვაწეობის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დღესდღეობით სოციალური მუშაკები მოღვაწეობენ ისეთ სხვადასხვა სფეროში, როგორცაა სამთავრობო უწყებები, ოჯახებსა და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციები, სკოლები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, ფსიქიატრული დაწესებულებები, ბიზნესი, ინდუსტრია და კერძო პრაქტიკის<sup>2</sup> სფერო. სოციალური მუშაკები ფლობენ რა სამეცნიერო ხარისხს, ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას, ინდივიდებთან უშუალო პრაქტიკით დაწყებული სოციალური პოლიტიკის საკითხებზე მუშაობით დამთავრებული. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სოციალური მუშაკები სამუშაო ლიზენციას ფლობენ, რაც მათი მუშაობისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

### სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარება საქართველოში

საქართველოში სოციალური სამუშაო ახალბედა პროფესიაა. იგი განვითარდა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად. საბჭოთა კავშირის დაშლამ შედეგად მოიტანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის რღვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო კონტექსტში სოციალური სამუშაო სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე აღმოცენდა და ამ მხრივ არც ქართული რეალობა წარმოადგენს გამონაკლისს.

1990-იანი წლების მინურულს არასამთავრობო სექტორმა საქართველოში დაიწყო სოციალური სამუშაოს ცნების დანერგვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაციის „**ევრიჩაილდი**“ წარმომადგენლობას საქართველოში, რომელმაც შეიმუშავა ბავშვებსა და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკების გადამზადების პირველი მოდელი და დანერგა ბავშვზე ზრუნვის სფეროში სოციალური მუშაკის პრაქტიკა. 2001 წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა და „ევრიჩაილდის“ მხარდაჭერით საქართველოს მთავრობამ საფუძველი ჩაუყარა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური სამუშაოს პრაქტიკას როგორც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს. პარალელურად სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ინერგებოდა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ისეთ სფეროებში, როგორცაა გერონტოლოგია, ძალადობა, ტრეფიკინგი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, არასრულწლოვანთა სამართალი, უსახლკარობა და სხვა.

2001 წლიდან მოქმედება დაიწყო ფონდ „**ღია საზოგადოება საქართველოს**“ **სოციალური სამუშაოს განვითარების მხარდაჭერის პროგრამამ**, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა პირველ ადგილობრივ კვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა მომზადებაში. პროგრამა იძლეოდა სოციალური სამუშაოს შესწავლის საშუალებას ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში, კერძოდ, კოლუმბიის უნივერსიტეტში, ნიუ-

<sup>2</sup> კერძო პრაქტიკა – სოციალური მომსახურების კერძო პრაქტიკის დროს, სოციალური მუშაკი დამოუკიდებლად ახორციელებს მომსახურების მიწოდებას შესაბამისი ანაზღაურების ფასად. მომსახურება ძირითადად ეხება სოციალური სამუშაოს კლინიკურ-თერაპიულ პრაქტიკას.

იორკისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტში, სენტ ლუისში. 2004 წელს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებმა საქართველოში დაარსეს **საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია**, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარების ხელშეწყობა. ასოციაცია დღეისათვის აერთიანებს როგორც ბავშვთა კეთილდღეობის, ასევე სხვა სფეროებში მოქმედ სოციალურ მუშაკთა უმრავლესობას და ამ პროფესიის განვითარებით დაინტერესებულ პირებს.

2005-2006 წლამდე საქართველოში სოციალური მუშაკის პროფესია უმაღლეს სასწავლებლებში არ ისწავლებოდა. ამ დროისთვის უკვე აშკარა იყო სოციალური სამუშაოს საგანმანათლებლო ბაზის განვითარების აუცილებლობა. 2006 წლიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო **საბაკალავრო (ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სამაგისტრო (ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) პროგრამებმა.**

## 1.2 სოციალური სამუშაოს დანიშნულება, ამოცანები, მიზნობრივი ჯგუფები და მიმართულებები

### სოციალური სამუშაოს განსაზღვრება

სოციალური სამუშაო პროფესია და სოციალური მეცნიერებაა, რომელიც ემსახურება სოციალურ სამართლიანობას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ინდივიდთა და ჯგუფთა პოტენციალის სრულყოფილ გამოვლენას საზოგადოებაში.

**საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით**, „სოციალური სამუშაო არის პროფესია, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის, ჯგუფის და თემის<sup>3</sup> სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას და მიზნად ისახავს საზოგადოებაში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მათ თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციის საშუალებას მისცემს“ (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2006).

სოციალური ფუნქციონირება გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებასა და ინდივიდის, ჯგუფის, ან თემის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების ცოდნასა და დაცვას.

### სოციალური სამუშაოს მიზნობრივი ჯგუფები

სოციალური სამუშაოს მიზნობრივი ჯგუფები აერთიანებს იმ ადამიანებს, რომელთაც ემსახურებიან სოციალური მუშაკები. სოციალური მუშაკები ემსახურებიან ყველა ასაკის ადამიანს – ჩვილი ბავშვებიდან დაწყებული ხანდაზმულებით დამთავრებული.

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები, რომლებთანაც სოციალური მუშაკები მუშაობენ:

- ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და მოძალადეები

<sup>3</sup> თემი – ადამიანთა ერთობა, რომელთაც გააჩნიათ რაიმე საერთო ნიშანი, რაც მათ აერთიანებთ და განასხვავებს სხვებისგან.

- შიდასაზღვრო და მათი ოჯახები
- სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები და ინდივიდები
- უსახლკარონი
- უმუშევრები
- კანონდამრღვევი ინდივიდები და მათი ოჯახები
- ქორწინებაში არმყოფი ფეხმძიმე მოზარდები
- მარტოხელა მშობლები
- ძალადობის და უგულბელყოფის მსხვერპლი ბავშვები
- ობლები, ქუჩის ბავშვები, გაშვილებული ბავშვები, განვითარების პრობლემების მქონე ბავშვები
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები
- არასრულწლოვანი დამნაშავეები და მათი ოჯახები
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები და მათი ოჯახები
- ემიგრანტები, დევნილები
- უმცირესობათა წარმომადგენლები
- ხანდაზმულები
- ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების მქონე ადამიანები
- გარკვეული სტრესის მქონე ან შეგუების პრობლემების მქონე ინდივიდები

სოციალური სამუშაოს საერთაშორისო პრაქტიკაში იმ ინდივიდებს, ოჯახებსა თუ ჯგუფებს, რომელთაც სოციალური მუშაკები მუშაობენ კლიენტებს უწოდებენ. საქართველოში იგივე მნიშვნელობით ხმარობენ ისეთ ტერმინებს, როგორცაა მაგ. ბენეფიციარი, მომსახურების მომხმარებელი, მოსარგებლე, ინდივიდი ან დახმარების საჭიროების მქონე ადამიანი. სახელმძღვანელოში, ძირითადად, “კლიენტის” მნიშვნელობით **ბენეფიციარია (ან ინდივიდი)** გამოყენებული.

### სოციალური სამუშაოს დანიშნულება

სოციალური სამუშაოს დანიშნულებაა ადამიანის სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება. სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება გულისხმობს ადამიანური მოთხოვნილებების ადეკვატურ დაკმაყოფილებას, რათა ინდივიდებმა მიაღწიონ თვითრეალიზაციას და გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ადამიანთა სოციალური ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად სოციალური სამუშაო სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება. ეს არის პრევენცია, რეაბილიტაცია და რემედიაცია.

**პრევენცია** მოიცავს სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებისათვის სოციალური მომსახურების მიწოდებას, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულებები. იგი მოიცავს ისეთ პროგრამებსა და მომსახურებას, როგორცაა ოჯახის დაგეგმვა, მშობლების განათლება, კონსულტაციები ქორწინებამდე ან პენსიაზე გასვლამდე ა.შ.

**რეაბილიტაცია** ეხმარება იმ ადამიანებს, რომელთა ფუნქციონირება ფიზიკური თუ ფსიქიკური პრობლემების გამო უკვე დაქვეითებულია. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებიან მაგ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ძალადობის მსხვერპლი პირები.



**რემედიაცია** არსებული პრობლემების შემცირებას ან აღმოფხვრას გულისხმობს. მაგალითად, ნარკომანიასთან, როგორც ზოგადად პრობლემასთან ბრძოლა და არა მის კონკრეტულ გამოვლინებასთან.

### სოციალური სამუშაოს ამოცანები

სოციალური სამუშაოს ამოცანებია:

- ადამიანების დახმარება საკუთარ შესაძლებლობათა გაუმჯობესებაში, მათი პრობლემის გადაჭრის, გარემოსთან შეგუებისა და განვითარების ზოგადი უნარის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა. ამ დონეზე მუშაობა, ძირითადად, ინდივიდებთან მიმდინარეობს.
- ადამიანების დაკავშირება აუცილებელ რესურსებთან და მომსახურებასთან და მათი დახმარება ამ რესურსების გამოყენებაში. ამ დონეზე სოციალური სამუშაო მიმდინარეობს სხვადასხვა სისტემის ურთიერთობის ფარგლებში.
- ორგანიზაციების და მათი მომსახურების გაუმჯობესება ადამიანების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამ დონეზე მუშაობა მიმდინარეობს პროგრამულ და ორგანიზაციულ დონეზე.
- სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ამ დონეზე მუშაობა მიმდინარეობს სახელმწიფო დაწესებულებებთან.

### სოციალური სამუშაოს მიმართულებები

სოციალური მუშაკები მუშაობენ შემდეგი მიმართულებით:

- **ინდივიდებსა და ოჯახებთან (ინდივიდუალური შემთხვევები)**
- **ჯგუფებთან (ჯგუფური მუშაობა)**
- **თემებთან (სათემო მობილიზაცია და განვითარება)**
- **ორგანიზაციებთან (ადმინისტრირება)**

**ინდივიდუალურ შემთხვევებზე** მუშაობის დროს სოციალური მუშაკი ეხმარება ინდივიდს პირადი და სოციალური პრობლემების მოგვარებაში. ინდივიდუალური მუშაობა შეიძლება, მიზნად ისახავდეს, დაეხმაროს მას გარემოსთან შეგუებაში ან სოციალური და ეკონომიკური ცვლილებისაგან გამონეული პრობლემების გადალახვაში (მაგალითად, ბავშვების მინდობით აღზრდაზე მუშაობა, საჭირო სოციალური დახმარების მოძიება მათთვის, ა.შ).

**ჯგუფებთან მუშაობის დროს ყურადღება ეთმობა** კონკრეტულ საკითხს ან პრობლემას. სოციალური მუშაკი ჯგუფთან მუშაობის დროს მიზნად ისახავს ამა თუ იმ საკითხთან/პრობლემასთან დაკავშირებით მოცემული ჯგუფის დამოკიდებულების გაგებას და პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლებელი გზების მოძიებას (მაგ. ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებით მშობელთა ჯგუფთან, ან მინდობით აღზრდელებთან მუშაობა).

**სათემო მობილიზაცია** არის პროცესი, რომლის დროსაც სოციალური მუშაკი ეხმარება ადგილობრივ თემს, შეაფასოს საკუთარი რესურსები, დასახოს სამოქმედო გეგმა

და ძალისხმევა მიმართოს თემისათვის აუცილებელი პრობლემების მოგვარებისაკენ. სოციალურ მუშაკს ამ პროცესში ბევრი როლის შესრულება შეუძლია: სხვადასხვა მხარეს შორის ურთიერთობის კოორდინირება, მოქალაქეთა ამ პროცესში ჩართვისა და მონაწილეობისათვის ხელის შეწყობა, საჭიროებათა შესწავლა, დაგეგმვა, და თემის სამოქმედო გეგმის შემუშავება თემის წევრებთან ერთად.

**ორგანიზაციებთან მუშაობა** გულისხმობს, სოციალური მომსახურების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ორგანიზაციებისთვის დახმარების აღმოჩენას. მართვა/ადმინისტრირება არის სოციალური მუშაკის ერთ-ერთი როლი, რომლის დროსაც სოციალური მუშაკი რაიმე სოციალურ პროგრამას ან სოციალურ სააგენტოს ხელმძღვანელობს.

### 1.3 სოციალური მუშაკის როლები

სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობაა დახმარების საჭიროების მქონე პირებისთვის (ინდივიდები, ოჯახები, ჯგუფები) **სოციალური მომსახურების** განვითარება. სოციალური მუშაკი უნდა იღვწოდეს ბენეფიციარის უფლებების დასაცავად და ღარიბთა, უმწეოთა და დისკრიმინირებულთა სასარგებლოდ სოციალური ცვლილების მისაღწევად.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სოციალური მუშაკები შემდეგ როლებში გვევლინებიან:

#### მომსახურების უშუალო მიმწოდებლის როლი

- ინდივიდუალური კონსულტაცია (მაგ. მშობლებისათვის ან მზრუნველებისათვის ბავშვის აღზრდის უნარ-ჩვევების განვითარების საკითხებზე);
- ოჯახური კონსულტაცია (მაგ. მინდობითი აღმზრდელი ოჯახისათვის აღსაზრდელთან მათი ურთიერთობის საკითხებზე);
- ჯგუფური შეხვედრების ფასილიტაცია (მაგ. მხარდამჭერი ჯგუფები, თვითდახმარების ჯგუფები, თერაპიული ჯგუფები, უნართა განვითარების ჯგუფები და სხვა);
- განმანათლებლის/ინფორმაციის გამავრცელებლის ფუნქციის შესრულება (მაგ. ტრენინგი სტრესის დაძლევის ტექნიკის შესახებ);
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (მაგ. ძალადობის მსხვერპლი პირებისათვის).

#### სისტემათა ურთიერთდამაკავშირებლის როლი

- **შუამავლის** როლში, სოციალური მუშაკი ეხმარება ადამიანებს რესურსების გამოყენებაში. იმისათვის რომ სოციალურმა მუშაკმა კარგად შეასრულოს შუამავლის როლი, მან კარგად უნდა იცოდეს, რა რესურსები არსებობს საზოგადოებაში და ამ ცოდნის საფუძველზე დააკავშიროს ინდივიდი შესაბამის პროგრამებსა თუ ორგანიზაციებთან. შუამავლის როლში სოციალური მუშაკი აგვარებს პრობლემებს, როდესაც რაღაც მიზეზების გამო ინდივიდი არ ან ვერ იღებს იმ მომსახურებას, რომელიც მას ეკუთვნის;
- **ინდივიდუალური შემთხვევის მენეჯერის** (მმართველის) როლში, სოციალური მუ-

შაკის პუსიხისმგებლობაში შედის ინდივიდის საჭიროებათა შეფასება, არსებული რესურსების მობილიზება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესაბამისი მომსახურების განხორციელება და მონიტორინგი;

- **ადვოკატირებისას სოციალური მუშაკი** ინდივიდისათვის ისეთ რესურსებს მოიპოვებს, რომელზეც მას დამოუკიდებლად ხელი არ მიუწვდება.

#### **სისტემათა შემნარჩუნებლისა და გამაძლიერებლის როლი**

- **ორგანიზაციული დიაგნოსტიკა** გულისხმობს ორგანიზაციის სტრუქტურაში, პოლიტიკასა თუ პროცედურებში ისეთი ფაქტორების მოძიებას, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ინდივიდებისათვის მომსახურების მიწოდებაზე;
- **ფასილიტატორის** როლში სოციალური მუშაკი გვევლინება, მას შემდეგ რაც უარყოფითი ფაქტორები დადგენილია და იგი მუშაობს მომსახურების გაუმჯობესებაზე;
- **ჯგუფის წევრი** გულისხმობს ინდივიდთან მომუშავე ყველა სხვა პროფესიონალთან თანამშრომლობას (მაგ., სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ერთად მუშაობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ბავშვის პრობლემების შეფასებასა და მომსახურებაზე).

#### **მკვლევარის როლი**

სოციალური მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ სოციალურ კვლევებში, რომლის მიზანია სოციალური ცხოვრების ასპექტების ახსნა და ანალიზი. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა სოციალურ სამუშაოში დღითი დღე უფრო აქტუალური ხდება. პრაქტიკოსის ვალდებულებაა შეაფასოს სოციალური მომსახურების ეფექტურობა და გაითვალისწინოს შესაბამის კვლევასა და ფაქტებზე დაფუძნებული პრაქტიკის შედეგები.


#### **სისტემათა განმავითარებლის როლი**

- პროგრამის შემმუშავებლისა და განმავითარებლის როლში, სოციალური მუშაკები ქმნიან სხვადასხვა სოციალურ პროგრამას;
- პოლიტიკის შემმუშავებლის როლში, სოციალური მუშაკები ჩართულნი არიან სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- ადვოკატირებისას სოციალური მუშაკები იცავენ სოციალურ პოლიტიკას მთავრობასთან ან კანონმდებლობის დონეზე.

აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომ სოციალური მუშაკი მხოლოდ ერთ კონკრეტულ როლს ასრულებდეს. სოციალური მუშაკი შესაძლებელია, სხვადასხვაგვარ როლს ითავსებდეს. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სოციალური მუშაკები მხოლოდ დახმარების საჭიროების მქონე პირებთან ინდივიდუალური მუშაობით არ შემოიფარგლებიან და როგორც ზემოთ არის აღნიშნული, გაცილებით უფრო მეტ ფუნქციას ითავსებენ, ვიდრე ინდივიდის პირად ცხოვრებაზე ზედამხედველობაა.

## 1.4 სოციალური სამუშაოს პროფესიული ცოდნა, ღირებულებები და უნარ-ჩვევები

სოციალური სამუშაოს პროფესია ცოდნის, ღირებულებების, ეთიკის და უნარ-ჩვევების დინამიურ ურთიერთობას მოიცავს (იხ. სქემა 1).



სქემა 1: სოციალური სამუშაოს ცოდნის, ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ურთიერთკავშირი

### ცოდნა სოციალურ სამუშაოში

სოციალურ სამუშაოში ცოდნა მოიცავს შემდეგ სამ სფეროს:

- ცოდნა, რომელიც სოციალურ მუშაკს აძლევს ინფორმაციას ინდივიდის შესახებ: ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სოციალური პრობლემები, მონყვლადი მოსახლეობა, სოციალური სამართლიანობა, სოციალური პოლიტიკა და სხვა.
- ცოდნა, რომელიც ეხმარება სოციალურ მუშაკს, დაგეგმოს შესატყვისი ინტერვენციები (ჩარევები): სოციალური სამუშაოს პრაქტიკის თეორია და ინტერვენციის მოდელები, სოციალური სამუშაოს ინტერვენციის მეთოდები და პროცესები.
- ცოდნა, რომელიც იძლევა კანონების, სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის, ეკონომიკის, პროცედურული და ორგანიზაციული კონტექსტების გაგების საშუალებას.

### სოციალური სამუშაოს ღირებულებები

სოციალური მუშაკის პროფესია განსაკუთრებულ ღირებულებათა სისტემას ეფუძნება. ღირებულების ცნება უკავშირდება პრინციპებსა და დამოკიდებულებას, რაც პროფესიული საქმიანობის საფუძველია. ღირებულებები იმ შეხედულებებს და ნორმებს მოიაზრებს,

რომლითაც პროფესიონალი სოციალური მუშაკები ხელმძღვანელობენ. მაშასადამე, ღირებულებები სოციალურ სამუშაოში, ქმნიან იმ მორალურ საფუძველს, რაც პროფესიული პრაქტიკის განმსაზღვრელია.

სოციალური სამუშაოს პრაქტიკის ამოსავალი ღირებულებებია:

- ადამიანის ღირსება, ღირებულება და უნიკალურობა
- ადამიანებისადმი პატივისცემა
- ადამიანის განვითარების შესაძლებლობა
- ინდივიდის თვითგამორკვევის უფლება
- ინდივიდის პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის უფლება
- ადამიანის უფლება გამოიყენოს და განახორციელოს თავისი პოტენციალი
- ადამიანის თავისუფლების უფლება სხვისი უფლებების შეუღახაობის ფარგლებში
- სოციალური ცვლილება
- სოციალური სამართლიანობა
- ადამიანის უფლება მიიღოს თავისი საჭიროებების შესაბამისი მომსახურება
- საზოგადოებამ უნდა შექმნას ინდივიდის თვითრეალიზაციის შესაძლებლობები, ხოლო ინდივიდებმა კი წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოების გაუმჯობესების პროცესში
- თანასწორობა/თანასწორუფლებიანობა
- დისკრიმინაციის უარყოფა
- განსხვავებულ ადამიანთა შემწყნარებლობა
- არაგანსჯითი მიდგომა (ნებისმიერი ინდივიდის თუ ჯგუფისათვის დახმარების გაწევა განურჩევლად სქესისა, რასისა, სოციალური წარმომავლობისა, რელიგიისა და ა.შ.)
- ადამიანის უფლებების დაცვა
- სოციალური ინკლუზია (იზოლირებული ინდივიდებისა და ჯგუფების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა)
- ადვოკატირება (ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა, მისთვის აუცილებელი რეკურსების მოპოვება, შესაბამის სტრუქტურებთან შუამდგომლობა)
- ინდივიდის გაძლიერება (ინდივიდში დამოუკიდებლობის განვითარება და მისი ცხოვრების გაუმჯობესება, ინდივიდის ძლიერი მხარეების გამოყენება)
- საკუთარი თავის ცოდნა (სოციალური მუშაკის მიერ საკუთარი ღირებულებების ცოდნა, მასში არსებული სტერეოტიპების გააზრება და ამ სტერეოტიპებთან დაპირისპირება)
- ძალაუფლების კონსტრუქციული გამოყენება
- თანამშრომლობა (მუშაობის პროცესში ინდივიდის ინტერესების გათვალისწინებით აუცილებელია თანამშრომლობა სხვა პროფესიონალებთან და დაინტერესებულ პირებთან)

## სოციალური მუშაკისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები

- შემეცნებითი უნარი (ანალიტიკური უნარი, შეფასებისა და კვლევის გაგების უნარი, სათანადო თეორიის პრაქტიკაში გამოყენება)
- ადმინისტრაციული უნარი (მონაცემების ჩანერა და ანგარიშების შედგენა)
- ურთიერთობის უნარი: ვერბალური და არავერბალური უნარი, თვითშემეცნება, ძალაუფლების გამოყენება, სხვადასხვა ადამიანთან მუშაობის უნარი, პარტნიორობა, პოზიტიური სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების უნარი
- გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები, (ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის უნარის ჩათვლით)
- რესურსების მოძიების, გამოყენებისა და მართვის უნარი.

## 1.5 სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსი

პროფესიული ეთიკა არის სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძველი. **ეთიკური ნორმები მკაფიოდ ფორმულირებული პროფესიული ღირებულებების, პრინციპებისა და წესების ერთობლიობაა**, რომელთა მეშვეობითაც რეგულირდება პროფესიული საქმიანობა. ეთიკური ნორმების დაცვა ამ პროფესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, რადგან სოციალური სამუშაო, პირველ ყოვლისა, ადამიანებთან და საზოგადოებასთან მუშაობას გულისხმობს.

სოციალურ სამუშაოში ეთიკური ნორმები და ქცევის წესები თავმოყრილია ისეთ დოკუმენტში, როგორცაა, ეთიკის კოდექსი. **ეთიკის კოდექსის მიზანია, შექმნას საფუძველი პროფესიული საქმიანობისა და ეთიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.** ეთიკის კოდექსი სოციალური საქმიანობის ფასეულობების, პრინციპებისა და სტანდარტების წინ წამოწევით განსაზღვრავს სოციალურ მუშაკთა ქცევას. ეთიკის კოდექსი სოციალურ მუშაკებს ეხმარება ეთიკური დილემის გადაჭრის პროცესში. ეთიკური დილემა გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც სოციალური მუშაკი დგას ორი თანასწორი მორალური პრინციპის არჩევანის წინაშე და როდესაც თავისთავად ცხადი არ არის რომელიმე არჩევანის სისწორე.

პროფესიული ეთიკის დარღვევისას ეთიკის კოდექსი წარმოადგენს საფუძველს სოციალურ მუშაკთა საქმიანობის განსჯისათვის.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2005 წელს შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც ეფუძნება სოციალური სამუშაოს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ ეთიკურ ნორმებსა და ღირებულებებს.

ეთიკის კოდექსი ემსახურება შემდეგ ექვს მიზანს:

- კოდექსი განსაზღვრავს იმ ძირითად ფასეულობებს, რომლებზედაც არის დამყარებული სოციალური სამუშაოს დანიშნულება;
- კოდექსი აჯამებს ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც ასახავს პროფესიის ძირითად ფასეულობებს და ამკვიდრებს ეთიკური სტანდარტების ერთობლიობას, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს სოციალური სამუშაოს სახელმძღვანელოდ;

- კოდექსი შექმნილია, რათა დაეხმაროს სოციალურ მუშაკებს სწორი გადანყვეტილების მიღებაში პროფესიულ ვალდებულებათა შორის დაპირისპირების ან ეთიკური გაუგებრობის წარმოშობისას;
- კოდექსი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის პროფესიის ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა შესრულებაზეც სოციალური მუშაკი ბენეფიციარის წინაშე არის პასუხისმგებელი;
- კოდექსის დანიშნულებაა, გააცნოს ახალ სოციალურ მუშაკებს სოციალური სამუშაოს მისია, ფასეულობები, ეთიკური პრინციპები და ეთიკური სტანდარტები;
- კოდექსი აერთიანებს სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც ფასდება სოციალური მუშაკის ქცევის ეთიკურობა.

ეთიკის კოდექსი ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- **მომსახურება** – სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობაა, დაეხმაროს ადამიანებს სოციალური პრობლემების გადაჭრაში;
- **სოციალური სამართლიანობა** – სოციალური სამართლიანობის პრინციპი ავალდებულებს სოციალურ მუშაკებს, შეენიშნა დედგონ სოციალურ უთანასწორობას და იბრძოლოს სოციალური ცვლილებისათვის, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველთა სასარგებლოდ. სოციალური მუშაკების მიერ სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად მუშაობა, ძირითადად, ორიენტირებული უნდა იყოს სიღარიბის, უმუშევრობის, დისკრიმინაციის და სხვა მსგავსი პრობლემების დასაძლევად;
- **პიროვნების ღირსების პატივისცემა** – სოციალური მუშაკი თითოეულ ადამიანს ღირსეულად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს. მან ინდივიდთან მუშაობისას მხედველობაში უნდა მიიღოს პიროვნული განსხვავებები და კულტურული თავისებურებანი. სოციალურმა მუშაკმა ხელი უნდა შეუწყოს ბენეფიციარის თვითრეალიზაციას, მისი თუ პირადი შესაძლებლობების გაუმჯობესებას და საკუთარი ინტერესების დაცვის უნარის გაღრმავებას;
- **ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა** – სოციალური მუშაკები აღიარებენ ადამიანთა შორის ურთიერთობების უპირატეს მნიშვნელობას და ამ ფაქტორის როლს სოციალური დანიშნულებისათვის. სოციალური მუშაკები მუშაობის პროცესში ადამიანებს განიხილავენ როგორც პარტნიორებს. სოციალური მუშაკები ხელს უწყობენ ადამიანთა შორის ურთიერთობის გაღრმავებას, რათა ინდივიდების, ოჯახების, ჯგუფების, ორგანიზაციებისა და თემების კეთილდღეობას მიაღწიონ;
- **კეთილსინდისიერება** – სოციალური მუშაკები საკუთარ პრაქტიკას წარმართავენ პროფესიის დანიშნულების, ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების შესაბამისად. სოციალური მუშაკები იქცევიან კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან საკუთარ მოვალეობას;
- **კომპეტენტურობა** – სოციალური მუშაკები თავიანთ სამუშაო სფეროში კომპეტენტურნი არიან და ცდილობენ საკუთარი პროფესიონალური დონის ამაღლებას. გარდა ამისა, სოციალურ სამუშაოში უმნიშვნელოვანესია შემდეგი ძირითადი ღირებულებები:
  - **არაჯანსჯითი მიდგომა** – ბენეფიციარს უნდა მოვემსახუროთ განურჩევლად მისი

რასისა, სქესისა, სოციალური წარმომავლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, რელიგიისა და სხვა. სოციალურ მუშაკს არ აქვს უფლება განსაჯოს ბენეფიციარის მისი მორალის, კულტურის, ჩადენილი დანაშაულის გამო. სოციალური მუშაკი ნებისმიერი ბენეფიციარის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას უნდა ამჟღავნებდეს.

- **საკუთარი თავის ცოდნა** – სოციალური მუშაკი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ თავს, სტერეოტიპებს და მუდმივად იღვწოდეს შეიცნოს ის მხარეები, რომლებიც დახვეწას საჭიროებენ. როდესაც სოციალური მუშაკის პიროვნული ღირებულებები მკვეთრად ეწინააღმდეგება მის პროფესიულ ვალდებულებებს, უმჯობესია, სოციალურმა მუშაკმა თავი შეიკავოს ასეთ კლიენტთან მუშაობისაგან და დაუთმოს იგი სხვა სპეციალისტს.
- **დისკრიმინაციის უარყოფის პრინციპი** – ახლოს დგას სოციალური სამართლიანობის პრინციპთან. სოციალური მუშაკი უნდა მიისწრაფოდეს თავის პრაქტიკაში, ორგანიზაციაში და თემში ანტიდისკრიმინაციული მომსახურებისა და მიდგომის დანერგვისაკენ.
- **კულტურულ თავისებურებათა ცოდნა** გულისხმობს სოციალური მუშაკის მიერ იმ ბენეფიციარის კულტურულ თავისებურებათა გათვალისწინებას, რომელთანაც მას უხდება თანამშრომლობა.

ეთიკის კოდექსის მიხედვით, სოციალურ მუშაკს ბენეფიციარის წინაშე შემდეგი ეთიკური პასუხისმგებლობები აკისრია:

- **ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე** – სოციალური მუშაკის უპირველესი მოვალეობაა ბენეფიციარის კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა;
- **თვითგამორკვევა-თვითრეალიზაცია** – სოციალური მუშაკი ბენეფიციარს თვითგამორკვევასა და თვითრეალიზაციაში ეხმარება და ხელს უწყობს მას, ჩამოაყალიბოს და დააზუსტოს საკუთარი მიზნები;
- **ინფორმირება და თანხმობა** – ითვალისწინებს ბენეფიციარისათვის საჭირო მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას მისთვის გასაგებ ენაზე და ასევე ყველა იმ რისკისა თუ დაბრკოლების ახსნას, რაც ამ მომსახურებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;
- **კულტურულ და სოციალურ თავისებურებათა ცოდნა და პატივისცემა** — სოციალურ მუშაკს უნდა ესმოდეს კულტურათა სხვადასხვაგვარობის მნიშვნელობა და კულტურული თავისებურებების ფუნქცია ადამიანის ქცევასა და საზოგადოებაში. მომსახურების მიწოდებისას სოციალური მუშაკები უნდა იცნობდნენ და ითვალისწინებდნენ კონკრეტული პიროვნების კულტურულ თავისებურებებს;
- **ინტერესთა კონფლიქტი** სოციალურმა მუშაკებმა თავიდან უნდა აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ინტერესთა კონფლიქტი გადაწყდეს პიროვნების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. სოციალური მუშაკი არ უნდა იყენებდეს ბენეფიციარს საკუთარი ინტერესებისათვის, არ უნდა დაინცოს თანამშრომლობა, თუ მასთან პირადი ან საქმიანი ურთიერთობითაა დაკავშირებული. **ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის უნდა არსებობდეს მხოლოდ მკაცრად პროფესიული ურთიერთდამოკიდებულება;**



- **კონფიდენციალურობა** გულისხმობს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვას. სოციალურ მუშაკს არ აქვს უფლება, გაავრცელოს ინფორმაცია ბენეფიციარის შესახებ სხვა პირებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ამის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი თანხმობა ან როდესაც სოციალური მუშაკი კანონის მიერ ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მგელიაშვილი, მ. (2007). *სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: სოციალური სამუშაოს საბაკალავრო კურსის სალექციო მასალები*. თბილისი, საქართველო
2. ფონდი "ჰორიზონტის" სოციალური პოლიტიკის ჯგუფი. (2003). *სოციალური საქმიანობის საფუძვლები: სახელმძღვანელო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალურ მუშაკთათვის*. თბილისი, საქართველო
3. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2006). *სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსი*. თბილისი, საქართველო
4. საძაგლიშვილი, შ. (2004). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები*. საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
5. Adams, R., Dominelli, L. & Payne, M. (2002). *Social Work: Themes, Issues and Critical Debates*. Palgrave in Association with the Open University
6. Hapworth, D., Rooney, R. & Larsen, J. (1997). *Direct Social Work Practice: Theories and Skills*. Wadsworth Publishing
7. Kirst-Ashman, K. & Grafton H. Jr. (1999). *Generalist Practice with Organizations and Communities*. Nelson-Hall Publishers: Chicago
8. Loewenberg, F.M., Dolgoff, R. and Harrington, D. (2000). *Ethical Decisions for Social Work Practice*. (6th ed.). Itasca, IL.: F.E. Peacock Publishers, Inc.
9. Namicheishvili, S. (2009). *Social Work Development History in Georgia (Brief)*. Georgian Association of Social Workers. Tbilisi, Georgia

## თავი II: სოციალური სამუშაო და გავშვთა კეთილდღეობა

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმას; ასევე, სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას გაეროს ბავშვის უფლებთა კონვენციის შექმნის ისტორიის, ძირითადი პრინციპების, მუხლებისა და კონვენციის მონიტორინგის შესახებ. თავში მოცემული პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა 2010“ ბავშვზე ზრუნვის სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, მიზნების, ამოცანებისა და ქვეპროგრამების მიმოხილვაა. მოცემულ თავში ყურადღებაა გამახვილებული ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა ფუნქციებსა და როლებზე.

### 2.1 ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმოხილვა

საბჭოთა პერიოდში ბავშვზე ზრუნვის ყველაზე ეფექტურ ფორმად სააღმზრდელო დაწესებულებები ითვლებოდა და თითქმის არ არსებობდა ალტერნატიული — ოჯახის ჩამოშლის ან დამხმარე მომსახურებები ადგილობრივი თემის დონეზე. სააღმზრდელო დაწესებულებები ჯერ კიდევ უზრუნველყოფენ უფასო კვებას, თავშესაფარს და ბავშვზე ზრუნვას, თუმცა, მათ არ შეუძლიათ ინდივიდუალურად იზრუნონ თითოეულ აღსაზრდელზე და, რაც მთავარია, იმ ყურადღებისა და სითბოს მიწოდება ბავშვებისათვის, რაც ასე მნიშვნელოვანია მათი სრულფასოვანი ემოციური, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. შესაბამისად, სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებს პირადი, პროფესიული და სოციალური წარმატების მინიმალური შანსი აქვთ ცხოვრებაში. სააღმზრდელო დაწესებულებებში და სკოლა-პანსიონებში მცხოვრები ბავშვების 90 %-ზე მეტი ამ დაწესებულებებში სიღარიბის და მისგან წარმოქმნილი პრობლემების, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ადგილობრივ დონეზე ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების არარსებობის მიზეზებით მოხვდა. ამ ბავშვთა, მხოლოდ 10 %-ზე ნაკლები თუ არის ორივე მშობლით ობოლი. ბევრ ქვეყანაში, სადაც სოციალური კეთილდღეობის სისტემა ეფექტურია, ბავშვი სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში მხოლოდ მას შემდეგ ხვდება, როდესაც ყველა საშუალება ბავშვის საკუთარ ოჯახში დასახმარებლად ამოწურულია. ეს არის გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. საქართველო კი კონვენციის ხელმომწერი ქვეყანაა. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთა, რითაც სათავე დაედო ქვეყანაში ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმირებას.

#### ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფაზები

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა სამ ძირითად ფაზად შეიძლება დაიყოს, რომლებიც შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს მოიცავს:

##### პირველი ფაზა:

- საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციას – 1994 წელი;
- დეინსტიტუციონალიზაციის (სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა მოხვედრის პრევენციის, მათი საკუთარ ოჯახში რეინტეგრაციისა და მინდობითი აღზრდის მი-

- მართულებით) პირველი საცდელი პროექტები დაიწყო – 1999 წელი;
- სოციალურ მუშაკთა პირველმა ნაკადმა დაიწყო მუშაობა – 1999 წელი;
- ფულადი დახმარებები გაიცა ოჯახებისათვის – 1999 წელი;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამები სახელმწიფო გახდა – 2001 წელი.

**მეორე ფაზა:**

- მთავრობამ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა გადაანაწილა ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებზე და დაარსა მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოები – 2004 წელი;
- ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია დაარსდა და 2005-2007 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა დამტკიცდა, რომლის ძირითადი მიზანი დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი იყო – 2005 წელი;
- სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა – 2004-2008 წლები.

**მესამე ფაზა:**

- ბავშვთა კეთილდღეობის ფუნქციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა და ბავშვთა კეთილდღეობა სოციალური კეთილდღეობის სისტემაში გაერთიანდა – 2009 წელი;
- ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა დამტკიცდა, რომელიც ეფუძნება 2005-2007 წლების სამოქმედო გეგმას, თუმცა აქცენტი დეინსტიტუციონალიზაციიდან ბავშვთა კეთილდღეობის მდგრად სისტემაზე გადააქვს და ითვალისწინებს ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა ბავშვთა სიღარიბე და მათზე ძალადობა – 2009 წელი;
- ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტები დამტკიცდა, რომელიც სააღმზრდელო დაწესებულებებში ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად – 2009 წელი.

**რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები**

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ბავშვის ღირსების, საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- დისკრიმინაციისგან დაცვა;
- კონფიდენციალურობის დაცვა;
- ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა;
- ბავშვისა და ოჯახის მონაწილეობა ზრუნვის დაგეგმვასა და მინოდებაში;
- ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება;
- ოჯახს მიახლოებული ზრუნვის გარემოს უზრუნველყოფა;
- ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ძალადობისგან დაცვა.

## 2.2. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია

### „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ შექმნის ისტორია

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ მსოფლიო მასშტაბის იურიდიული დოკუმენტია. კონვენცია 10 წლის განმავლობაში (1979-1989) იქმნებოდა. სხვადასხვა საზოგადოების, რელიგიის თუ კულტურის წარმომადგენელს თავისი წვლილი შეჰქონდა მის შექმნაში. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს დოკუმენტის მიღებას ერთხმად დაუჭირა მხარი.

კონვენცია 54 მუხლისაგან შედგება. იგი მოიცავს უფლებათა ფართო სპექტრს, არა მარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. ამ მხრივ კონვენციას გამორჩეული ადგილი უკავია ადამიანთა უფლებების თემაზე შექმნილ დოკუმენტთა შორის.

მსოფლიო საზოგადოებრიობა ბავშვთა მდგომარეობით პირველად 1923 წელს დაინტერესდა, როდესაც ახლად დაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო კავშირი — გადავარჩინოთ ბავშვები“ მიიღო ბავშვთა უფლებების ხუთი მუხლისაგან შემდგარი დეკლარაცია. აღნიშნული დოკუმენტი ჟენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი. ბავშვის უფლებათა ჟენევის დეკლარაცია 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ დაამტკიცა. 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაციის გავრცობილი ვერსია და 1959 წელს – ახალი დეკლარაცია, რომელიც ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ათ ძირითად პრინციპს შეიცავდა.

ბავშვთა უფლებების ამსახველი კონკრეტული დებულებანი შესულია ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ თუ ჰუმანიტარული სამართლის სხვადასხვა დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, რიგმა სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს, შექმნილიყო სრულყოფილი დოკუმენტი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობით იქნებოდა განმტკიცებული.

ამგვარი მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა უამრავი მასალა, რომელიც ბავშვთა მიმართ ჩადენილ უსამართლობასა და ძალადობაზე მეტყველებდა, აგრეთვე ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი დონე, პრობლემები ბავშვების სამედიცინო მომსახურებაში, ბავშვთა მიერ დანყვებითი განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები. არსებობდა შემაშფოთებელი მონაცემები ბავშვთა ექსპლუატაციის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა პროსტიტუცია და მუშაობა მძიმე შრომით პირობებში, ასევე საპატიმროებში მყოფი, ლტოლვილი და საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ბავშვების შესახებ.

1979 წელს, რომელიც ბავშვთა საერთაშორისო წლად იყო აღიარებული, გაეროს კომისიამ პოლონეთის მთავრობისაგან მიღებული წინადადების საფუძველზე ადამიანის უფლებების თაობაზე დაიწყო ახალი იურიდიული დოკუმენტის პროექტზე მუშაობა. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლებმა დააკომპლექტეს ძირითადი მუშა ჯგუფი. პროექტის განხილვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალური სააგენტოები, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდისა

და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციები, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები.. ხანგრძლივი დებატების შედეგად პოლონეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი თავდაპირველი პროექტი საფუძვლიანად შესწორდა და განივრცო.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მიღებამ სათავე დაუდო სახელმწიფოთა მიერ კონვენციის რატიფიცირებასა და მისი ზედამხედველობის მიზნით საგანგებო კომიტეტის შექმნას. 1990 წლის 2 სექტემბრისათვის კონვენციას ოცმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, რის შედეგადაც იგი ოფიციალურად შევიდა ძალაში. დღეისათვის კონვენცია რატიფიცირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს შორის ყველაზე ფართოდ აღიარებული დოკუმენტია.

რატიფიკაციის შემდგომ თითოეული ქვეყანა ხდება კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია, გადასინჯოს ეროვნული კანონმდებლობა, მოარგოს იგი კონვენციას და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კონვენციის განხორციელებას ქვეყანაში.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“, აწესებს რა საერთო სტანდარტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, ამასთანავე ითვალისწინებს სახელმწიფოთათვის დამახასიათებელ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობებს, რათა თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა ჰქონდეს ოპტიმალურად განხორციელოს კონვენციის დებულებები.

### ახალი ხედვა

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ეფუძნება ბავშვზე მზრუნველობის ახალ ხედვას. ბავშვები არც თავიანთი მშობლების საკუთრება და არც ქველმოქმედების უსუსური ობიექტები არიან. ისინი ადამიანები არიან საკუთარი უფლებებით. კონვენცია გვთავაზობს, მივიღოთ ბავშვი როგორც ინდივიდი, ოჯახისა და საზოგადოების წევრი, რომლის უფლებებიც და მოვალეობებიც შეესაბამება მის ასაკსა და განვითარების სტადიას.

კონვენციის თანახმად, ბავშვს აქვს:

- **თანასწორი უფლებები ზრდასრული ადამიანების მსგავსად;**
- **ბავშვის უფლებები მოიცავს ბავშვის ზრდადი შესაძლებლობების აღიარებას და, შესაბამისად, დამატებით მოიცავს განსაკუთრებულ უფლებებს.**

კონვენცია მიმართავს ქვეყნების მთავრობებს როგორც ხალხის წარმომადგენლებს, თუმცა ის განკუთვნილია საზოგადოების ყველა წევრისათვის. კონვენცია შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, თუ პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს და კონვენციის პრინციპების დაცვით იმოქმედებს საზოგადოების ყველა წევრი.

### კონვენციის სტრუქტურა

კონვენცია 54 მუხლისგან შედგება. აღნიშნული მუხლები მოცემულია შემდეგ ნაწილებში:

- **პრეამბულა**
- **ნაწილი I – ძირითადი უფლებები და ვალდებულებები**

- ნაწილი II – კონვენციის შესრულების მონიტორინგის პროცედურები
- ნაწილი III – კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების, მიერთებისა და კონვენციის გარკვეულ მუხლებზე მიერთებისაგან თავის შეკავების აღმწერი პროცედურები

### კონვენციის ძირითადი პრინციპები და მუხლები

კონვენცია ბავშვის ყველა უფლებაზე ერთნაირად ამახვილებს ყურადღებას. არ არსებობს არც „მცირე“ უფლება და არც უფლებათა იერარქია. კონვენციაში მოყვანილი ყველა უფლება – სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული – განუყოფელი და ურთიერთდაკავშირებულია. კონკრეტული შემთხვევის განხილვისას გადაწყვეტილება ერთი უფლების შესახებ შეიძლება მივიღოთ კონვენციაში ნახსენები ყველა სხვა უფლების გათვალისწინებით.

კონვენცია ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამ კონვენციის ეროვნულ დონეზე რეალურად განხორციელებისათვის. კერძოდ:

- **დისკრიმინაციის უარყოფა** – კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე (მუხლი 2);
- **ბავშვის რეალური ინტერესები** – ბავშვთან ნებისმიერი ურთიერთობისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების უკეთ დაცვას (მუხლი 3);
- **სიცოცხლის შენარჩუნება და განვითარება** – ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მუხლი 6);
- **ბავშვის აზრის გათვალისწინება** – გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება (მუხლი 12).

კონვენციაში წარმოდგენილი ძირითადი უფლებები შესაძლოა **ოთხ კატეგორიად** გაერთიანდეს:

**სიცოცხლე** – ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება;

**განვითარება** – ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალური განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება;

**დაცვა** – ბავშვებს აქვთ უფლება, დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან;

**მონაწილეობა** – ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი, მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

„ბავშვთა უფლებების კონვენცია“ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე, კერძოდ კი:

- **აძლიერებს ადამიანის ღირსებას** – კონვენციამ პირველად გაამახვილა ყურადღება თითოეული ბავშვის ღირსებაზე და მათი კეთილდღეობისა და განვითარების მნიშვნელობაზე;
- **ყურადღებას ამახვილებს და იცავს ოჯახის როლს ბავშვთა ცხოვრებაში** – პრემბულაში და მე-5, მე-10, მე-18 მუხლებში ბავშვის უფლებათა კონვენცია მიუთითებს

ოჯახის უმნიშვნელოვანეს როლზე ბავშვების ზრდასა და კეთილდღეობაზე ზრუნვის პროცესში. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ და პატივს სცემენ მშობლების უპირველეს მოვალეობას იზრუნონ ბავშვებზე; სახელმწიფო მოვალეა, მხარდაჭერა აღმოუჩინოს მშობლებს მატერიალური დახმარების და თანადგომის პროგრამების საშუალებით. სახელმწიფოებმა აგრეთვე არ უნდა დაუშვან ბავშვის ოჯახთან განშორება, თუ განშორება არ გამომდინარეობს ბავშვის რეალური ინტერესებიდან;

- **მხარს უჭერს ბავშვის პატივისცემის პრინციპს, მაგრამ არა სხვა ადამიანთა უფლებების ან პასუხისმგებლობის ხარჯზე** – „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ასაბუთებს, რომ ბავშვებს აქვთ უფლება გამოხატონ საკუთარი აზრი. ასევე, მნიშვნელოვანია მათი შეხედულებების მიღება და გათვალისწინება. თუმცა ბავშვის აზრთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების შეხედულებებიც. კონვენციაში ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ ბავშვებს აქვთ პასუხისმგებლობა, პატივი მიაგონ სხვების უფლებებს, განსაკუთრებით კი მშობლების უფლებებს. კონვენცია ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ საჭიროა პატივი მიეგოს ბავშვების განვითარებად უნარ-ჩვევებს, მაგრამ არ აძლევს ბავშვებს უფლებას, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება მცირე ასაკში. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ბავშვის გზა სრული დამოუკიდებლობისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება;
- **მხარს უჭერს არადისკრიმინაციულ მიდგომას** – ადამიანის ძირითადი უფლებები ეფუძნება არადისკრიმინაციულ პრინციპს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, თუ ვინ იმყოფებიან ყველაზე უფრო დაუცველ და არასასურველ პირობებში და გადადგან ნაბიჯები მათი უფლებების დასაცავად;
- **აყალიბებს მკაფიოდ განსაზღვრულ მოვალეობებს** – „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოიყვანა კონვენციასთან. გამონაკლისს ის შემთხვევები წარმოადგენენ, როდესაც ქვეყანაში ეროვნული სტანდარტები უფრო მაღალია, ვიდრე კონვენციის მიერ შემოთავაზებული სტანდარტები. ამგვარად, ბავშვის უფლებათა სტანდარტები უბრალოდ მისწრაფება კი არა, არამედ სახელმწიფოების ეროვნული ვალდებულებაა. რატიფიცირება სახელმწიფოებს ავალდებულებს, ღიად და საჯაროდ გაავრცელონ ინფორმაცია, თუ რას აკეთებენ კონვენციის შესასრულებლად.

არსებობს მოსაზრება, რომ მდიდარ სახელმწიფოში, სადაც საგანმანათლებლო, სამედიცინო, სოციალური მომსახურებისა და სხვა სისტემები წესრიგშია, ბავშვების უფლებები არასოდეს ირღვევა და ამ ბავშვებს არ სჭირდებათ კონვენციაზე დაფუძნებული დაცვა და ზრუნვა, თუმცა ეს არ არის სიმართლე. ყველა ქვეყანაში არსებობენ ბავშვები, რომელნიც დგანან, უსახლკარობის, ძალადობის, სიღარიბის და სხვა იმ პრობლემების წინაშე, რაც მძიმედ მოქმედებს მათ ცხოვრებაზე.

ბავშვის უფლებათა საყოველთაო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებათა პრიორიტეტულობა განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ აღმასრულებელ სფეროში.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ადასტურებს მსოფლიოს მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარებისა და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის უმოკლესი გზაა.

### კონვენციის შესრულების მონიტორინგი

მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის განხორციელების პროცესს თვალყურს ადევნებს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც კონვენციის განხორციელების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან (წევრები არჩეულნი არიან მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ფარული კენჭისყრით. თითოეულ სახელმწიფოს უფლება აქვს, დაასახელოს მხოლოდ ერთი კანდიდატი).

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, წარუდგინონ კომიტეტს ანგარიში ქვეყანაში კონვენციის განხორციელების შესახებ ხელმონერიდან 2 წელიწადში და ყოველი მომდევნო 5 წლის განმავლობაში. სახელმწიფო მოხსენებებს წარადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით და სახალხო დამცველის ოფისისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით. ეს ანგარიში, ისევე როგორც თავად კონვენცია, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისათვის.

კომიტეტი განიხილავს მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარდგენილ ანგარიშებს კონვენციის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის თაობაზე. განხილვის შედეგად კომიტეტმა შეიძლება სხვადასხვა ქმედება განახორციელოს: შესაძლოა მოსთხოვოს სახელმწიფოს წარდგენილი ანგარიშის განვრცობა, შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს როგორც კონკრეტული სახელმწიფოს მთავრობას, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, სხვა მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინოს თხოვნა ტექნიკური თუ ფინანსური დახმარების თაობაზე.

კომიტეტისათვის ალტერნატიული ანგარიშების წარდგენა შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს. კომიტეტს დამატებით ანგარიშებს აწვდის სახალხო დამცველის ოფისი და გაეროს სპეციალური სააგენტოები: ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) და სხვა. ბავშვის უფლებათა კომიტეტი ინფორმაციას ასევე მოიპოვებს მონაწილე სახელმწიფოებში განხორციელებული ვიზიტების მეშვეობით.

ამრიგად, კონვენციის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს:

- გაეროს სახელშეკრულებო ორგანო
- სამოქალაქო საზოგადოება
- სახალხო დამცველის ოფისი
- სახელმწიფო: აღმასრულებელი ხელისუფლება და საკანონმდებლო ორგანო.



## 2.3 პროგრამის „ბავშვზე ზრუნვა 2010“ მიმოხილვა

### პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა 2010“ საქართველოში ბავშვზე ზრუნვის სამსახურის მუშაობის მარეგულირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 441/ნ ბრძანებით (2009 წლის 30 დეკემბერი). პროგრამა მიზნად ისახავს, განსაზღვროს სოციალური დაცვის პოლიტიკა ისეთი მონყვლადი ჯგუფებისათვის, როგორებიც არიან მზრუნველობამოკლებული, ძალადობის მსხვერპლი, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მიუსაფარი, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და რთული ქცევის ბავშვები. ბავშვზე ზრუნვის პროგრამა ეხმიანება ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურების განვითარებას და ბავშვის სამზრუნველო დანესებულებაში განთავსების პრევენციას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. მზრუნველობამოკლებული, ძალადობის მსხვერპლი, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მიუსაფარი, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და რთული ქცევის ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისათვის ხელშემწყობი ოჯახური გარემოს შექმნა;

2. მზრუნველობამოკლებული, ძალადობის მსხვერპლი, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მიუსაფარი, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და რთული ქცევის ბავშვთა სოციალური დაცვა.

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა 2010“ შემდეგ ამოცანებს აყალიბებს:

- შექმნას ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისათვის ხელისშემწყობი გარემო;
- ეტაპობრივად შეამციროს ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში ბავშვთა რაოდენობა მათი ოჯახურ გარემოში დაბრუნების ან/და ალტერნატიული პროგრამების განხორციელების გზით.

მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა 2010“ შემდეგ ღონისძიებებს ითვალისწინებს:

- მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია;
- დღის ცენტრებისა და ოჯახური ტიპის ალტერნატიული მომსახურების განვითარება-ხელშემწყობა;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია;
- მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარება;
- სააღმზრდელო და სასწავლო დანესებულებების აღსაზრდელთათვის საცხოვრებელი გარემოს, კვების, განათლების, დასვენება-გაჯანსაღების, მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა 2010“ შემდეგი 4 ქვეპროგრამისგან შედგება:

1. მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამა;
2. ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა;
3. „ჩვენი სახლის“ ქვეპროგრამა
4. დღის ცენტრების ქვეპროგრამა.

### მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამა

ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო სოციალური მუშაკებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია პროგრამის „ბავშვზე ზრუნვა 2010“ ქვეპროგრამა **„მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფა“**. აღნიშნული ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობას და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას. ეს შეიძლება იყოს ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებებიდან ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაცია და არაფულადი პრევენციული მომსახურება, ასევე, მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის აღნიშნული ამოცანა პირდაპირ კავშირშია **ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოღვაწე სოციალური მუშაკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციასთან, ე.წ. „კარიბჭის დარაჯობასთან“**. ეს გულისხმობს სოციალური მუშაკის მომსახურებით და სხვა სოციალური სერვისების შეთავაზებით სამზრუნველო დაწესებულებებში ბავშვთა შესვლა-გასვლის კონტროლს.

„მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამა“ შემდეგ ღონისძიებებს ახორციელებს:

- **რეინტეგრაცია** – სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ან სააღმზრდელო დაწესებულებაში მოხვედრის რისკის თავიდან აცილება;
- **მინდობით აღზრდა** – სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების მიმღებ ოჯახში შვილობილად ცხოვრება;
- ბავშვთა მიტოვების რისკის შემთხვევაში **არაფულადი დახმარების განევა პრევენციის მიზნით** (0 დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ხელოვნური კვების ვაუჩერების გაცემა თვეში 100 ლარის ოდენობით და 0-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ე.წ. „ლოგინის“ ვაუჩერის გაცემა 300 ლარის ოდენობით);
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს **კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება** (მეურვეის/მზრუნველის დანიშვნა, საოჯახო დავების შემთხვევაში დასკვნის მომზადება, შვილად აყვანის პროცესის წარმოება და სხვა);
- **მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოების ფორმირება.**

## ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა

პროგრამის „ბავშვზე ზრუნვა 2010“ „ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა მოწოდებულია შექმნას მიმართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც მოქნილი და ეფექტური გზებით შეძლებს ძალადობის მსხვერპლ ან რისკის წინაშე მყოფ ბავშვებზე სწრაფ რეაგირებას და მათ უზრუნველყოფას შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებით. ქვეპროგრამა საცდელი ხასიათისაა და იგი მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და რუსთავში. ბავშვზე ძალადობის საშიშროების ან ბავშვზე ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში ბავშვზე ზრუნვის სამსახურში დასაქმებული სოციალური მუშაკები და იურისტები მოიძიებენ საჭირო ინფორმაციას და თანამშრომლობენ სათანადო უწყებებთან (საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, დღის ცენტრები, საპატრულო პოლიცია) შესაბამისი რეაგირებისათვის.

## ქვეპროგრამა „ჩვენი სახლი“

ქვეპროგრამა „ჩვენი სახლი“ მიზნად ისახავს, ოჯახური გარემოთი უზრუნველყოს მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთათვის ზრუნვის სხვა ალტერნატიული გზის შეთავაზება (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება/ცხოვრება, მინდობითი აღზრდა, შვილად აყვანა) მოცემული მომენტისათვის ვერ ხერხდება. ქვეპროგრამის ამოცანაა, მზრუნველობამოკლებული ბავშვები განათავსოს მცირე საოჯახო ტიპის სახლში და უზრუნველყოს მათი საბაზისო საჭიროებათა დაკმაყოფილება, ასევე ცხოვრებისეული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათ ჯანსაღ სოციალურ ფუნქციონირებას. თითოეული მცირე საოჯახო ტიპის სახლი გათვლილია მ ბენეფიციარზე და არსებობს მე-9 ადგილი გადაუდებელი შემთხვევებისათვის. მომსახურების პირობები გულისხმობს ყოველდღიურ 24 საათიან ზრუნვას, დღის განმავლობაში მინიმუმ 3-ჯერად კვებას; ბენეფიციართა სამედიცინო დახმარებას, მათ უზრუნველყოფას ტანსაცმლით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით. იმავდროულად, მოქმედებს ინდივიდუალური განვითარების პროგრამა ბენეფიციართა სოციალური, სასიცოცხლო პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით.

## დღის ცენტრების ქვეპროგრამა

დღის ცენტრების ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის პრევენციას და ოჯახურ გარემოში მათი აღზრდის ხელშეწყობას დღის განმავლობაში ბავშვზე ზრუნვით და ოჯახის დამხმარე მომსახურების შეთავაზებით. ქვეპროგრამის ამოცანაა იმ ბავშვების უზრუნველყოფა დღის ცენტრების მომსახურებით, რომელთა ოჯახებიც დღის განმავლობაში (სკოლის შემდეგ პერიოდში) ვერ ახერხებენ ბავშვზე ზრუნვას. ქვეპროგრამის ღონისძიებებს შეადგენს მომსახურება დღის ცენტრში სამუშაო დღეებში, რაც ითვალისწინებს ორჯერად კვებას, ბენეფიციარის ინდივიდუალური განვითარების

პროგრამის შემუშავებას, აღსაზრდელთა აკადემიურ მხარდაჭერას, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებას, მშობელთა უფრო აქტიურ მონაწილეობას ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

## 2.4 ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკის როლები

საქართველოში სოციალური სამუშაოს პრაქტიკის განვითარება, პირველყოვლისა, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების საკითხს უკავშირდება. სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების (უმუშევრობა, ოჯახების რღვევა, ალკოჰოლიზმი, ოჯახური ძალადობა, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება და სხვა) შედეგად ხშირია შემთხვევა, როცა ოჯახის წევრებს აღარ შეუძლიათ, სათანადოდ იზრუნონ ბავშვზე. ეს განაპირობებს სოციალური მუშაკის შესაბამისი ჩარევისაუცილებლობას ბავშვის რეალური ინტერესების დაცვის მიზნით. ასეთ შემთხვევებში სოციალური მუშაკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს შემდეგი:

- ა) პრობლემის გამომწვევი მიზეზების კვლევა (რა განაპირობებს ბავშვისა და ოჯახის პრობლემას);
- ბ) პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება (რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ ბავშვისა და მისი ოჯახის მდგომარეობა გაუმჯობესდეს);
- გ) ბავშვთან და ოჯახთან დაკავშირებით დასახული გეგმის შესაბამისი ჩარევა
- დ) ჩარევის შედეგების მონიტორინგი (რამდენად შედეგიანი და ნაყოფიერია სოციალური მუშაკის მოქმედება).

სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებისათვის ინდივიდუალური შემთხვევის მართვა ბენეფიციართან მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს წარმოადგენს. შემთხვევის მართვა პროცესია, რომლის მეშვეობითაც სოციალური მუშაკი ინდივიდს მისი საჭიროებისა და ინტერესების შესაბამის მომსახურების პაკეტს აწოდებს. შემთხვევის მართვის ფარგლებში სოციალური მუშაკი აფასებს შემთხვევას, ინდივიდუალური გეგმის სახით აყალიბებს მიზნებს, ახორციელებს მათ განსაზღვრული დროის განმავლობაში და აფასებს მიღწეულ შედეგებს.

სააგენტოს სამუშაო აღწერილობის მიხედვით სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ვალდებულებებია:

1. შეაფასოს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებისა და მათი ოჯახების მდგომარეობა ზრუნვის ფორმისა და კონკრეტული სოციალური მომსახურების საჭიროების განსაზღვრისათვის, შეაფასოს ოჯახის მდგომარეობა მიმღები ოჯახის სტატუსის მინიჭებისათვის;
2. შეფასებაზე დაყრდნობითა და ბავშვისა და მისი ოჯახის თანამონაწილეობით შეიმუშავოს ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა და მოამზადოს დასკვნა ოჯახის დამხმარე ან ჩამნაცვლებელი მომსახურების საჭიროების შესახებ;
3. მიაწოდოს ბენეფიციარს შემდეგი სახის სოციალური მომსახურება: თავისი კომპე-

ტენციის ფარგლებში დაეხმაროს ოჯახებს ბავშვის აღზრდის პრობლემური საკითხებისა და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში;

4. მართოს სოციალური მომსახურების შემთხვევა მომართვიდან მომსახურების დასრულებამდე, შედეგების შეფასების ჩათვლით;

5. აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერები შემთხვევის მართვის პროცესში (შეფასების ფორმები, ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნა, ინდივიდუალური გეგმა, ვიზიტის ჩანაწერები და სხვა) სოციალური მომსახურების თითოეულ შემთხვევაზე;

6. შეიტანოს საჭირო ინფორმაცია შესაბამის მონაცემთა რეესტრში;

7. გადაუდებელი მდგომარეობის (ბავშვის სიცოცხლისათვის საშიშიგარემოებები, ზრუნვის გადაუდებელი აუცილებლობა, სხვა) შემთხვევაში სწრაფად შეაფასოს მდგომარეობა და წარუდგინოს რეკომენდაცია სამზრუნველო დაწესებულებაში ან გადაუდებელი ფორმის მინდობით აღსაზრდელად ბავშვის ცხოვრების შესახებ უფროს სოციალურ მუშაკს და რაიონული განყოფილების უფროსს;

8. ჩაუტაროს პოტენციურ მიმღებ ოჯახებს სწავლება სპეციალურად მომზადებული სასწავლო პროგრამით;

9. მოამზადოს ოჯახთან დასადები შესაბამისი ხელშეკრულებები და წარუდგინოს უფროს სოციალურ მუშაკს;

10. უფროს სოციალურ მუშაკთან ერთად მოამზადოს და განახორციელოს საინფორმაციო გასვლითი ღონისძიებები;

11. მოამზადოს შესაბამისი დასკვნები (ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნა, შეთავსების ანგარიში და სხვა) მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოსათვის წარსადგენად და მიიღოს მონაწილეობა საბჭოს სხდომებზე შემთხვევის განხილვაში.

აღნიშნული ვალდებულებებიდან გამომდინარე, სოციალურ მუშაკს განსხვავებული როლების შესრულება უნევს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. პირველ რიგში, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები ასრულებენ **მომსახურების უშუალო მომწოდებლის როლს**. ისინი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აწვდიან ბენეფიციარ ბავშვებს და მათ ოჯახებს სოციალურ მომსახურებას. სოციალური მუშაკები ახორციელებენ კონსულტირებას, პროფესიულ რჩევას აძლევენ ბავშვებსა და მათ ოჯახებს პრობლემების მოგვარებისათვის. ეს პრობლემები შეიძლება იყოს ბავშვზე ზრუნვის ფორმის განსაზღვრა (რეინტეგრაცია, მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩარიცხვა, დღის ცენტრში ჩარიცხვა, სამზრუნველო დაწესებულებაში ცხოვრება, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება და ა.შ.), ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარება (პოზიტიური და არაძალადობრივი მეთოდებით ბავშვის აღზრდის სპეციფიკის სწავლება, მიმღები მშობლებისათვის ბავშვის განვითარების ეტაპებისა და ასაკობრივი სირთულეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მშობელსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის ურთიერთობის დარეგულირება და სხვა). **სოციალური მომსახურების შემთხვევის მართვის** ფარგლებში სოციალური მუშაკები **სისტემათა დამაკავშირებელის როლში** გვევლინებიან, რაც გულისხმობს ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროებათა შეფასებას და ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი რესურსების მოძიებას (დაკავშირებას ჯანდაცვის დაწესებულებასთან ჯანმრთელობის პრობლემის არსებობის შემთხვევაში, ბენეფიციარისათვის

ინფორმაციის მიწოდებას სამთავრობო და არასამთავრობო სოციალური პროგრამების შესახებ და მათთან დაკავშირებას, სოციალური თანადგომის ქსელთან ბენეფიციარის ურთიერთობათა დარეგულირებას და სხვა). **ამრიგად, სოციალური მუშაკი გამოდის როგორც შუამავალი ინდივიდსა და მის გარემოს შორის.** სხვადასხვა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირების პროცესში სოციალურ მუშაკს ხშირად უწევს ბენეფიციარის ინტერესების **დაცვა (ადვოკატირება)**, რაც გულისხმობს აუცილებელი რესურსებისა და სერვისის მოძიების პროცესში ბენეფიციარის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. ამასთანავე, ოჯახური დავებისა და კონფლიქტების შემთხვევაში ბავშვის რეალური ინტერესების დასაცავად სოციალურ მუშაკს ხშირად უწევს **მედიატორის** როლში გამოსვლა, ანუ პრობლემების მოგვარება და მხარეთა შორის ბავშვისათვის კეთილსაიმედო შეთანხმების მიღწევა

სოციალური მუშაკის უმნიშვნელოვანეს როლს ასევე წარმოადგენს ბავშვთან და ოჯახთან მიღწეული შედეგების **კვლევა**. სოციალური მომსახურების შემთხვევის მონიტორინგის პირობებში სოციალური მუშაკი იმ მიღწევებს იკვლევს და აანალიზებს, რაც მისმა ჩარევამ გამოიწვია. მკვლევარის როლი ეხმარება სოციალურ მუშაკს უკეთ გაიაზროს განხორციელებული ჩარევის დადებითი და უარყოფითი მხარეები და, ზოგადად, შეაფასოს მიწოდებული მომსახურების წარმატება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოღვაწე სოციალურ მუშაკს მრავალი როლის შესრულება უწევს. აღსანიშნავია, რომ სოციალურმა მუშაკმა შეიძლება რამდენიმე როლი ერთდროულად შეასრულოს შემთხვევის სპეციფიკის, ინდივიდის რეალური ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია “ევრიჩაილდი” (2004). *სოციალური მუშაკის მოსამზადებელი სატრენინგო პროგრამა*. თბილისი, საქართველო
2. გაეროს ბავშვთა ფონდი (2007). *ბავშვის უფლებათა კონვენცია*. თბილისი, საქართველო
3. გოლუბიანი, თ. (2008). *ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმოხილვა*. ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის საინფორმაციო მაცნე 1. თბილისი, საქართველო
4. საქართველოში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფი “ევრიჩაილდის” კოორდინაციით. (2007). *ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელება საქართველოში: ალტერნატიული ანგარიში, საქართველო*. თბილისი, საქართველო
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 441/ნ, 2009 წლის 30 დეკემბერი. ქ. თბილისი “ბავშვზე ზრუნვა 2010” წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ
6. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა სამუშაო აღწერილობა
7. შატბერაშვილი, ნ. (2008). *ბავშვის უფლებათა კონვენცია – არსი და შესრულები მონიტორინგ*. ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი. პრეზენტაცია. თბილისი, საქართველო
8. O'Brien, C. & Chanturidze, T. (2009). *UNICEF: Assessment of the Child Welfare Reform Process in Georgia, Final Report*. Oxford Policy Management

# თავი III: მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციისა და სოციალური მუშაკის ვალდებულებებს მეურვეობა-მზრუნველობის კუთხით (შვილად აყვანა, მინდობით აღზრდა, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება, რეინტეგრაცია, ოჯახური დავები). განხილულ იქნება ასევე შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის კანონების ძირითადი პრინციპები. თავი ასევე შეეხება ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გარეთ განთავსების პრევენციას.

## 3.1 რას გულისხმობს მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქცია

მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქცია უკავშირდება სახელმწიფოს მიერ იმ პირებზე (სრულწლოვანი პირები) მეურვეობასა და მზრუნველობას, რომლებიც საკუთარი ჯანმრთელობის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციას. არასრულწლოვან პირებზე (0 დან 18 წლამდე ბავშვები) მზრუნველობა და მეურვეობა კი ნიშნავს იმ ბავშვების უფლებების დაცვას, რომელთა მშობლებიც არ ან ვერ ახორციელებენ მშობლის მოვალეობას. არასრულწლოვან პირებზე მეურვეობა-მზრუნველობა სახელმწიფოს მიერ რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: ბავშვის მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა, არასრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება, ოჯახურ დავებში ბავშვის რეალური ინტერესების დაცვა, ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია და ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენცია. საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ს.ს.ი.პ.<sup>4</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო.

## 3.2 შვილად აყვანა

### შვილად აყვანის ცნების მოკლე მიმოხილვა

შვილად აყვანა წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც უფლებები ეზღუდება ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს და ბავშვის მშობლის უფლებები გადაეცემა შვილის ამყვან პირებს. შვილად აყვანა ბავშვზე ზრუნვის მუდმივ ფორმას წარმოადგენს. ის არის სამართლებრივი პროცესი, რომლითაც შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს ეზღუდებათ ყველანაირი უფლება ბავშვზე.

მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანას ხშირად თანამედროვე მოვლენად მიიჩნევენ, ეს პრაქტიკა ძველი რომის იუსტინიანეს კოდექსშიც გვხვდება. ის, რითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან შვილად აყვანის პრაქტიკის ანტიკური პერიოდის და თანამედროვე მოდელები, არის შვილის ამყვანი პირის ინტერესების პრიორიტეტულობა. შვილად აყვანის ძირითადი დანიშნულება ძველ რომში შეძლებულ და გავლენიან ოჯახებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში მდგომარეობდა და პროვინციათა სამართავად მამრობითი სქესის მემკვიდრის მოძიებას ისახავდა მიზნად. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, რომის

4 ს.ს.ი.პ. – საჯარო სამართლის იურიდიული პირი



რამდენიმე იმპერატორი დედობილ-მამობილის ოჯახში ცხოვრობდა.

ანტიკურ პერიოდში ჩვილ ბავშვებს შვილად თითქმის არ იყვანდნენ. მიტოვებულ ბავშვებს ხშირად მონებად ზრდიდნენ. ასეთი ბავშვები წარმოადგენდნენ რომის მონათა დიდ ნაწილს.

შუა საუკუნეების ევროპაში არასასურველ ბავშვებს, ძირითადად, ეკლესია-მონასტრების კარებთან ტოვებდნენ და მათზე ეკლესია-მონასტრებში ზრუნავდნენ. ასეთი ტიპის ზრუნვა შეიძლება ინსტიტუციური ზრუნვის ჩანასახად იქნეს მიჩნეული, რასაც თანდათან მოჰყვა ეკლესია-მონასტრებთან ბავშვთა სახლების ჩამოყალიბება.

აშშ-ში ემიგრაციის მზარდმა დონემ და სამოქალაქო ომმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბავშვთა სახლების გადავსება გამოიწვია. ჩარლზ ლორინგ ბრეისი, პროტესტანტი მღვდელი ნიუ იორკში მოხეტიალე მანანალა ბავშვებით დაინტერესდა. იგი მიიჩნევდა, რომ მიტოვებული ბავშვები (განსაკუთრებით კათოლიკეები) დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ქალაქის წესრიგს. ბრეისის ინიციატივით, დაიწყო მოძრაობა „ობოლთა მატარებლები“, რომელმაც 200 000-მდე ბავშვი დიდი ქალაქებიდან ქვეყნის პერიფერიებში გადაიყვანა. სამწუხაროდ, ბავშვების უმეტესი ნაწილი შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლი ხდებოდა და მათ საოჯახო მეურნეობებსა და სახლებში ამუშავებდნენ. ასეთი ბავშვების სიმრავლემ და მათი ექსპლოატაციის დონემ საფუძველი ჩაუყარა ახალი სამსახურებისა და კანონების აღმოცენებას, რომლებიც ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ბავშვთა ექსპლოატაცია შვილად აყვანის დროს. ერთ-ერთი პირველი ასეთი კანონია მინესოტას 1917 წლის შვილად აყვანის კანონი.

საქართველოში, ძირითადად, გავრცელებული იყო ნათესავთა შვილად აყვანა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არ ჰყავდა შვილი, იგი მრავალშვილიანი ნათესავისაგან (დის/ძმისაგან) აიყვანდა შვილს და თავის მემკვიდრედ ზრდიდა. საქართველოში ასევე გავრცელებული იყო უშვილო წყვილის კარის ზღურბლთან ბავშვის დატოვება, რათა იგი მათ ეპოვათ და აღეზარდათ. საბჭოთა პერიოდში თავი იჩინა შვილად აყვანის არაერთმა მანკიერმა პრაქტიკამ, რომელიც სხვადასხვა გარიგებას გულისხმობდა (სამშობიაროდან ბავშვის გაყიდვა, მარტოხელა დედისათვის შვილის დატოვების სანაცვლოდ თანხის შეთავაზება და ა.შ.). შედეგად, შვილად აყვანის პროცესი ძალიან გართულდა და კანონიერო გზით ბავშვის აყვანა თითქმის შეუძლებელი გახდა.

შვილად აყვანის თანამედროვე პრაქტიკა შეიძლება ორ ფორმად გაიყოს: 1) შვილად აყვანის ღია ფორმა და 2) შვილად აყვანის დახურული ფორმა. შვილად აყვანის ღია ფორმის შემთხვევაში შესაძლებელია დამყარდეს კომუნიკაცია შვილად ამყვან და ბიოლოგიურ მშობლებს შორის და ზოგიერთ შემთხვევაში შვილად აყვანილ პირსა და მის ნათესავებს შორისაც. შვილად აყვანის ღია ფორმის შემთხვევაში, შეიძლება არ შეიცვალოს დაბადების მონმობის მონაცემები და გაფორმდეს შეთანხმება ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილის ამყვან მშობლებს შორის ბავშვთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მაგ., მონახულების პირობები, ინფორმაციის გაცვლა და სხვა.

თანამედროვე პერიოდში ყველაზე მეტად შვილად აყვანის დახურული ფორმაა გავრცელებული, რომლითაც დაფარულია ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, რაც შვილის ამყვან პირებს, ბიოლოგიურ მშობლებს ან შვილად აყვანილ პირს ეხება. ამის მიუხედავად, შვილად აყვანის დახურული ფორმის დროს მომავალ მშობლებს გადაეცემა ინფორმაცია შვილად ასაყვანი პირის სამედიცინო ისტორიის, ეთნიკური წარმომავლობის და აღმსარებლობის შესახებ.

შვილად აყვანა შეიძლება განხორციელდეს როგორც ნათესავეებს, ასევე ერთმანეთთან ნათესაური კავშირის არმქონე პირებს შორის. ხშირია ასევე გერის შვილად აყვანა, როდესაც ბავშვის მშობლის მეორე მეუღლე ოფიციალურად აიყვანს შვილად ბავშვს მეუღლის წინა ქორწინებიდან/ურთიერთობიდან. ძირითადად, შვილად აყვანის მთავარ მიზეზს წარმოადგენს საკუთარი ბიოლოგიური შვილის ყოლის უუნარობა.

### სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა როლი და პასუხისმგებლობა შვილად აყვანის საკითხებში

სოციალური მუშაკის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია შვილად აყვანის საკითხებზე მუშაობაა. შვილად აყვანის პროცესის მართვა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს და სოციალური მუშაკის მიერ დიდ ყურადღებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ შვილად აყვანის შემთხვევაზე მუშაობის დროს სოციალური მუშაკი განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობს იურისტთან, რადგან ასეთი შემთხვევები სასამართლოსთან ურთიერთობას ითვალისწინებს.

საქართველოში შვილად აყვანას არეგულირებს 2009 წლის *კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ*. კანონის მიხედვით, **შვილად აყვანის პროცედურის განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), სოციალური მომსახურების სააგენტო და მისი ტერიტორიული ორგანოები.**

როგორც შვილად აყვანის შესახებ კანონი განმარტავს, შვილად აყვანა არის „მშვილბელსა და ნაშვილებს შორის ისეთი ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილს შორის“. საქართველოს კანონი შვილად აყვანის შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას, ჰააგის კონვენციას ბავშვთა დაცვისა და გაშვილების საერთაშორისო პრაქტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და სხვა ნორმატიულ აქტებს.

სოციალური მუშაკის უფლებამოსილებანი შვილად აყვანის სფეროში განისაზღვრება შემდეგით:

- შეაფასოს მშვილბელი მისი ბიოლოგიური მონაცემების, პიროვნული თვისებების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით;
- დაადგინოს მშვილბელის მიერ ბავშვის შვილად აყვანის მოტივები და მათი შესაბამისობა შვილად აყვანის მიზნებთან;
- შეაფასოს გასაშვილებელი ბავშვი მისი ბიოლოგიური მონაცემების, პიროვნული თვისებების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით;
- განსაზღვროს, რამდენად ეთავსებიან ერთმანეთს მშვილბელი და გასაშვილებელი ბავშვი;
- კონკრეტულ შემთხვევაში შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განახორციელოს იგი;
- შვილას აყვანის საკითხებზე ჩაატაროს კონსულტაციები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

შვილად აყვანის შესახებ კანონისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 305/ნ-ის მიხედვით, სოციალური მუშაკის როლი შვილად აყვანის პროცესში გულისხმობს ჩართვას შემდეგ ძირითად საკითხებში:

- ბიოლოგიური მშობლისათვის კონსულტაციის განწვევა მშობლის უფლება-მოვალეობებისა და გაშვილების შედეგების თაობაზე (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 305/ნ). ასეთ კონსულტაციას სოციალური მუშაკი ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ ბიოლოგიური მშობელი მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მშობლის უფლებებზე უარის თქმის შესახებ და იმ დროს, როდესაც მშობლის უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობის გამო დგება საკითხი მშობლის უფლების ჩამორთმევაზე;
- მშობლის უფლებაზე უარის თქმის პირველი ფორმის შევსების შემდეგ მშობელთან თანამშრომლობა, რათა განისაზღვროს, სად იცხოვრებს ბავშვი, როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯები (მშობლის უფლებაზე უარის თქმის ძირითადი ფორმის შევსება, ბავშვის გაშვილების თაობაზე გადაწყვეტილების შეცვლა, ზრუნვის ალტერნატიული ფორმის განსაზღვრა და სხვა);
- მშობლის უფლებაზე უარის თქმის პირველი ფორმის შევსების შემდეგ სოციალური მუშაკის მიერ შემთხვევის შეფასება. ამ დროს ხორციელდება ბავშვის პირველადი და სრული შეფასება;
- შვილის აყვანის მსურველი პირის დარეგისტრირების დროს მისი დახმარება ბავშვის სქესის, ასაკის, რელიგიისა და სხვა თავისებურებების განსაზღვრაში;
- მშვილებელ კანდიდატთა მოსამზადებელი პროგრამის წარმართვა (იმ დრომდე, სანამ არ არსებობს მოსამზადებელი პროგრამა, სოციალური მუშაკი ვალდებულია შვილის აყვანის მსურველ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მშობლის უფლება-მოვალეობების შესახებ);
- მშვილებელი კანდიდატის ოჯახში ვიზიტი და მისი (ოჯახის) შეფასება სტატუსის მისანიჭებლად;
- გასაშვილებელი ბავშვის შეფასება მისი ბიოლოგიური მონაცემების, პიროვნული თვისებების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით;
- მშვილებელი ოჯახისა და შვილად ასაყვანი ბავშვის შეთავსების განსაზღვრა და ამ საკითხზე ანგარიშის მომზადება;
- შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადებაში მონაწილეობის მიღება, სადაც აღინიშნება: მშვილებლის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, შვილის აყვანის მოტივი; გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა; ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის გაშვილების მოტივი, თუ ცნობილია ბავშვის მშობლების ვინაობა.

საჭიროების შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის აღზრდის შესაძლებლობას ეთნიკური, რელიგიური და კულტურული გარემოს გავალისწინებით (საქართველოს კანონი შვილად აყვანის შესახებ, მუხლი 18).

## მშვილბელ (შვილის ამყვან) კანდიდატად დარეგისტრირება

შვილად აყვანის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მშვილბელი (შვილის ამყვანი) შეიძლება გახდეს ნებისმიერი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა, რომელსაც:

- ჩამოერთვა მშობლის უფლება, ან ჩამოერთვა ბავშვის მეურვის/მზრუნველის ან მიმღები მშობლის უფლება მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო;
- შეზღუდული აქვს მშობლის უფლება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია მშობლის უფლებების შესრულება;
- სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

### განცხადებით მიმართვა

შვილის აყვანის მსურველი მოქალაქე განცხადებით მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს და წარადგენს აუცილებელ დოკუმენტებს შვილის ამყვან კანდიდატად დასარეგისტრირებლად. სოციალური მუშაკის ფუნქციას წარმოადგენს, დაეხმაროს შვილის აყვანის მსურველ პირს, მიუთითოს ბავშვის სასურველი სქესი, ასაკი, რელიგია და სხვა.

### შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა

შვილის აყვანის მსურველი პირი ვალდებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს შემდეგი დოკუმენტები წარუდგინოს:

- განცხადება
- პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი
- ცნობა სასამართლოების შესახებ
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100/ა)
- ცნობა ნარკოლოგიური შემონმების შესახებ (თუ ჯანმრთელობის ცნობა შეიცავს ინფორმაციას სამედიცინო ნარკოლოგიური შემონმების შესახებ, ამ ცნობის ცალკე წარდგენა საჭირო არ არის)
- თუ პიროვნება დასაქმებულია, საჭიროა შესაბამისი ცნობის წარდგენა სამუშაო ადგილისა და ხელფასის მითითებით;
- ქორწინების მოწმობა და მისი ასლი (დაუშვებელია იმ ორი პირის ერთად დაყენება აღრიცხვაზე, რომელნიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან);
- წერილობითი ინფორმაცია ქონებისა და შემოსავლების შესახებ;
- თუ შვილის აყვანის მსურველი პირი არის ბავშვის ნათესავი, მან უნდა წარმოადგინოს ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ., თუ შვილის ამყვანი პირი არის ბავშვის დეიდა, მან უნდა წარმოადგინოს ბავშვის დაბადების მოწმობა, საკუთარი დაბადების მოწმობა და ბავშვის დედის დაბადების მოწმობა).

## **სატრენინგო (მოსამზადებელი) პროგრამაში მონაწილეობა**

შვილის აყვანის მსურველი პირი ვალდებულია, გაიაროს შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკი ყურადღებით ეკიდება მოსამზადებელი პროგრამის (ინფორმაციის მიწოდების) დროს შვილის აყვანის მსურველთა ქცევას და დასაბუთებული მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ან პროგრამის გაუვლელობის გამო) მიმართავს ტერიტორიულ ორგანოს განცხადებით სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

## **სოციალური მუშაკის ვიზიტი ოჯახში და შვილის აყვანის მსურველ პირთა შეფასება**

მოსამზადებელი პროგრამის დასრულების შემდეგ სოციალური მუშაკი ვალდებულია, ეწვიოს შვილის აყვანის მსურველ პირებს და მოიძიოს შემდეგი ინფორმაცია:

- შვილის ამყვანი პირების ასაკი (ასაკობრივი განსხვავება მშვილეებელ პირებსა და შვილად ასაყვანი ბავშვის ასაკს შორის სულ მცირე 16 წელს უნდა შეადგენდეს);
- შვილის ამყვანი პირების ოჯახური მდგომარეობა;
- შვილის ამყვანი პირების მშობლობის უნარ-ჩვევები;
- შვილის ამყვანი პირების ემოციური მდგრალობა (მენტალური მდგომარეობა) და სტაბილურობა;
- შვილის ამყვანი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- შვილის ამყვანი პირების სტრესთან გამკლავების უნარი;
- წყვილს შორის ჯანსაღი ურთიერთობა;
- შვილის ამყვანი პირების ეკონომიკური მდგომარეობა და ფინანსური მართვის უნარ-ჩვევები;
- შვილის ამყვანი პირების კრიმინალური წარსული;
- შვილის ამყვანი პირების საცხოვრებელი პირობები;
- შვილის ამყვანი პირის მოსაზრება ბავშვის წარმოშობის გამჟღავნების შესახებ.

## **დასკვნის მომზადება**

ოჯახში ვიზიტიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში სოციალური მუშაკი ვალდებულია, მოამზადოს დასკვნა შვილის აყვანის მსურველი პირისათვის მშვილეებელის სტატუსის მინიჭების შესახებ. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სოციალურმა მუშაკმა დასკვნაში უნდა წარმოადგინოს, თუ რატომ თვლის (ან არ თვლის) მიზანშეწონილად შვილის აყვანის მსურველი პირისათვის მშვილეებელის სტატუსის მინიჭებას.

## **გადანყვეტილება მშვილეებელი პირის სტატუსის მინიჭების შესახებ**

სოციალური მუშაკის მიერ დასკვნის მომზადებიდან 2 დღის განმავლობაში ტერიტორიული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მშვილეებელის სტატუსის მინიჭების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მიზანშეწონილია განცხადება ერთობლივად განიხილონ ტერი-

ტორიული ორგანოს ხელმძღვანელმა, იურისტმა და სოციალურმა მუშაკმა. რეგიონული საბჭოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენს მშვილებელი პირის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა.

გადაწყვეტილება მზადდება ორ დედან პირად, რომელიც მოწმდება ტერიტორიული ორგანოს უფროსის ხელმოწერით და ბეჭდით, ერთი პირი ეძლევა განმცხადებელს, ხოლო მეორე პირი რჩება სამსახურში და ერთვის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. დოკუმენტები ინახება ტერიტორიულ ორგანოში დაცულ ადგილას. დაცული ადგილი გულისხმობს: უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დოკუმენტის დაცვა უცხო პირებისაგან, ფიზიკური განადგურებისაგან და ასე შემდეგ.

**შვილის ამყვანი (მშვილებელი) პირის ადგილობრივ რეესტრში შეყვანა**

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ტერიტორიული ორგანო ამზადებს წერილს კანდიდატის აღრიცხვაზე დაყენების შესახებ და დანართის სახით წარადგენს გადაწყვეტილების ასლს. ამასთან ერთად, ტერიტორიული ორგანოდან ცენტრალურ ორგანოში იგზავნება ელექტრონული რეესტრის განახლებული მონაცემები ცენტრალური ელექტრონული ბაზის განახლების მიზნით.

**ბავშვისათვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭება**

- ბავშვს გასაშვილებელი სტატუსი ენიჭება თუ:
- მშობელი სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
  - ბავშვი არის ორივე მშობლით ობოლი;
  - ბავშვი აღიარებულია მიტოვებულად;
  - მშობელმა განაცხადა თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე და ბავშვი აღირიცხა ერთიან რეესტრში;
  - მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება

**გასაშვილებელი სტატუსის მინიჭება მშობლების თანხმობის შემთხვევაში**

მშობელი, რომელსაც სურს ბავშვის გაშვილება, მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს საკუთარი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. სოციალური მუშაკი კონსულტაციას უწევს მშობელს და აუხსნის მას, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს მშობლის უფლებაზე უარის თქმამ და ბავშვის გაშვილებამ. მშობლის მიერ ბავშვის გაშვილებაზე გადაწყვეტილების შეუცვლელი შემთხვევაში მშობელი ავსებს ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის პირველ ფორმას, რომელიც მოწმდება სოციალური მუშაკის ან იურისტის ხელმოწერით და ტერიტორიული ორგანოს უფროსის ბეჭდით. ამასთანავე, ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობაში დარჩენის შემთხვევაში მშობელი წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- ბავშვის დაბადების მონმობის დედანი ან სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დაბადების ცნობა;

- სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბავშვის ქონებრივ, სოციალურ ან ჯანმრთელობის მდგომარეობას;

მშობელს ეძლევა საშუალება, ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ძირითადი ფორმის შევსებამდე შეცვალოს ბავშვის გაშვილების გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სოციალური მუშაკი სთავაზობს მშობელს რეინტეგრაციის ან მინდობითი აღზრდის ალტერნატივას. ასეთ დროს, მშობელი ინარჩუნებს მშობლის უფლებას შვილზე. სოციალური მუშაკი აფასებს ბავშვის ბიოლოგიური მშობლის/ოჯახის, რათა განსაზღვროს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი რეინტეგრაცია ან მინდობითი აღზრდა. აღსანიშნავია, რომ სოციალურმა მუშაკმა ბავშვის პირველ შეფასებაზე მუშაობა უნდა დაიწყოს მშობლის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოსათვის მომართვისთანავე (უარის პირველი ფორმის შევსების შემდეგ)

თუ მშობელი არ ცვლის გადაწყვეტილებას ბავშვის გაშვილების შესახებ, პირველი ფორმის შევსებიდან 6-12 კვირის განმავლობაში მშობელი ვალდებულია, გამოცხადდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოში ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ძირითადი ფორმის შესავსებად. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობელი ამ ვადაში არ გამოცხადდება მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოში, პირველი ფორმის შევსებიდან 12 კვირის შემდეგ მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანო მიმართავს სასამართლოს მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ. სასამართლოს სარჩელს თან ერთვის მშობლის მიერ შევსებული უარის პირველი ფორმა, სოციალური მუშაკის მიერ შეფასებებისა და ვიზიტების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია (ინფორმაცია ბავშვის მშობლის შესახებ, ინფორმაცია ბავშვის მდგომარეობის შესახებ და სხვა ინფორმაცია, რომელიც სოციალური მუშაკისათვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს).

### ***გასაშვილებელი სტატუსის მინიჭება ნაპოვნი ბავშვის შემთხვევაში***

ბავშვის დაბადების მონმობის ქონის შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გადადგამს შემდეგ ნაბიჯებს:

- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს დაბადების მონმობის გამცემ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და სთხოვს მას ამონაწერს დაბადების მონმობის სააქტო ჩანაწერიდან, რათა მოძიებულ იქნეს ინფორმაცია ბავშვის მშობლების შესახებ ;
- სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული პასუხის შემდეგ სოციალური მუშაკი მიდის მითითებულ მისამართზე ბავშვის მშობლების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად;
- თუ სოციალური მუშაკის მიერ ვერ მოხერხდა ფიქსირებულ მისამართზე მშობლის მოძიება და ასევე მშობელი ვერ მოიძებნა პოლიციის მიერ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს;
- იმ შემთხვევაში, თუ ამის შემდეგაც ვერ მოხერხდა მშობლის მოძიება, მაშინ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს მშობლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ ბავშვი პოლიციამ იპოვა და მას არა აქვს დაბადების მოწმობა, მაშინ:

- მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანო და ადგილობრივი პოლიცია 6 კვირის ვადაში ერთობლივად ეძებენ სავარაუდო მშობლებს. იმავდროულად, უნდა გაირკვეს, სად დაიბადა ბავშვი.
- თუ 6 კვირის ვადაში ვერ მოხერხდა მშობლების ვინაობის დადგენა, ვადის გასვლიდან 3 დღის შემდეგ მივმართავთ სასამართლოს ბავშვის მიტოვებულად აღიარების მოთხოვნით.
- ბავშვის მიტოვებულად აღიარების შემდეგ, მივმართავთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაბადების მოწმობის ასაღებად, სადაც მშობლების გრაფაში მიეთითება „ნაპოვნი“. ნაპოვნი ბავშვის შემთხვევაში, ასევე დასაშვებია, ბავშვის მიტოვებულად აღიარებამდეც მივმართოთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაბადების რეგისტრაციის მოთხოვნით.

**ბავშვისათვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭების გადანყვეტილების გაფორმება**

თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი წერს გადანყვეტილებას და არასრულწლოვან ბავშვს ანიჭებს გასაშვილებელ სტატუსს. გადანყვეტილება გამოდის ერთ დედან პირად და ბავშვის ყველა დოკუმენტთან ერთად იგზავნება ცენტრალურ ორგანოში 3 დღის ვადაში.

**გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვის რეესტრში აღრიცხვა**

სტატუსის მინიჭების გადანყვეტილება აღრიცხება ადგილობრივ და ცენტრალურ რეესტრში. ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები ელექტრონული აღრიცხვის ფორმით და ყველა არსებულ დოკუმენტთან ერთად იგზავნება ცენტრალურ რეესტრში დაუყოვნებლივ (3 დღის ვადაში).

**ბავშვის შეთავაზება მშვილებლისათვის**

მას შემდეგ, რაც ბავშვი დადგება აღრიცხვაზე ცენტრალურ რეესტრში, 5 დღის ვადაში ბავშვის მონაცემები შესათავაზებლად უნდა გადაეცეს ტერიტორიულ ორგანოს (ერთიან რეესტრში მშვილებელი კანდიდატების რიგითობის, გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებისა და ბავშვის შესახებ მშვილებლის განცხადებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად). სააღმზრდელო დანესებულებაში თუ მიმღებ ოჯახში მყოფი ბავშვის მონახულება შერჩეული მშვილებელი პირის მიერ შეიძლება ტერიტორიული ორგანოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ეს მიმართვა სავალდებულოა შესასრულებლად იმ პირისთვისაც, რომლის ოჯახშიც ცხოვრობს ბავშვი. მშვილებელს უფლება აქვს ბავშვს ჩაუტაროს სამედიცინო გამოკვლევა კანონიერი წარმომადგენლის თანხლებით. ბავშვის შეთავაზებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში პირი იღებს გადანყვეტილებას ბავშვის აყვანის თაობაზე. აღნიშნული ვადის გადაცილება ჩაითვლება ბავშვის აყვანაზე უარის თქმად. ბავშვის შვილად აყვანაზე



გადანყვეტილებას მშვილბელი პირი წერილობით აცნობებს ტერიტორიულ ორგანოს.

მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის შესახებ დასკვნას ამზადებს იურისტი, სოციალურ მუშაკს დიდი როლი აქვს დასკვნისათვის ინფორმაციის მოგროვების საქმეში. დასკვნა შვილად აყვანის შესახებ ემყარება სოციალური მუშაკის შეფასებას და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- მშვილბლის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, შვილის აყვანის მოტივი;
- გასაშვილბელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუ ცნობილია ბავშვის მშობლების ვინაობა, ბავშვის გაშვილბების მოტივი;
- საჭიროების შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის აღზრდის შესაძლებლობას ეთნიკური, რელიგიური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით (საქართველოს კანონი შვილად აყვანის შესახებ, მუხლი 18);
- შვილად აყვანის დასკვნას ხელს აწერს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი და იგი მოწმდება ბეჭდით. დასკვნის ერთი პირი რჩება ტერიტორიულ ორგანოში, ხოლო მეორე პირი მომზადებიდან ერთი კვირის ვადაში იგზავნება სასამართლოში და მას თან ერთვის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტები.

### 3.3 მინდობით აღზრდა (უპილოპილოპა)

საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ (2009 წლის 18 დეკემბერი) მინდობით აღზრდას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მინდობით აღსაზრდელად მიზარბული ბავშვის მოვლასა და აღზრდას. მინდობით აღზრდა მნიშვნელოვნად განსხვავდება შვილად აყვანისაგან შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) მინდობით აღზრდა არის დროებითი მზრუნველობა ბავშვის უსაფრთხოებიდან ან მისი რეალური ინტერესებიდან გამომდინარე; ბ) მინდობით აღზრდის დროს, ბავშვი უმრავლეს შემთხვევებში ინარჩუნებს კონტაქტს ბიოლოგიურ ოჯახსა და ნათესავებთან და გ) მიმღები ოჯახი ბავშვის მოვლისა და აღზრდისათვის იღებს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შემწეობას და მინდობით აღზრდა მიიჩნევა შრომით სტაჟად.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის თანახმად, დედობილი და მამობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, გარდა იმ პირებისა:

- რომელნიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად;
- რომელთაც შეზღუდული, ჩამორთმეული ან შეჩერებული აქვთ მშობლის უფლებები;
- რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ ბავშვის აღზრდა;
- რომელნიც ან რომელთა ოჯახის წევრიც მსჯავრდებულია სასამართლოს მიერ განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის;
- რომელთაც აკისრიათ ბავშვის რჩენის ვალდებულება (ბავშვის მშობელი, მეურვე მზრუნველი ან შვილად ამყვანი პირი);

- რომელთაც დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო ჩამოერთვათ მინდობით აღსაზრდელი ბავშვი.  
ბავშვი შეიძლება გახდეს შვილობილი;
- თუ ბავშვის დატოვება მეურვესთან ან მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით საზიანოა ბავშვისთვის და მეურვე ან მზრუნველი ამის შესახებ აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს;
- თუ მშობლის უფლება შეზღუდულია და ბავშვმა თავისი ოჯახის გარეთ უნდა განთავსდეს;
- თუ მშობლებს ჩამოერთვათ ან შეუჩერდათ მშობლის უფლებები და ბავშვმა ოჯახის გარეთ უნდა განთავსდეს.

მინდობით აღზრდის წესსა და პროცედურებს არეგულირებს **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“**. ისევე როგორც შვილად აყვანის დროს, მინდობით აღზრდის შემთხვევაშიც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, ბავშვი მიაბაროს მინდობით აღსაზრდელად. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, გამოავლინონ მინდობით აღსაზრდელი ბავშვები და აგრეთვე ის ოჯახები, რომელთაც სურთ ბავშვი გახდეს მათი შვილობილი. ტერიტორიული ორგანოები აწარმოებენ კანდიდატი მიმღები მშობლებისა და მინდობით აღსაზრდელი ბავშვების რეგისტრაციას, აფასებენ მათ და მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულ საბჭოებს წარმოუდგენენ ანგარიშს მიმღები ოჯახისა და მინდობით აღსაზრდელი ბავშვის შეთავსების შესახებ. ამ ანგარიშის საფუძველზე წყვილს ამტკიცებენ ან უარს ეუბნებიან საბჭოს წევრები.

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონისა და მინისტრის ბრძანების თანახმად, მინიმალური ასაკობრივი სხვაობა მინდობით აღსაზრდელ ბავშვსა და მინდობითი აღზრდის მსურველ დედობილს/მამობილს შორის 15 წელს უნდა შეადგენდეს. გასათვალისწინებელია, რომ 10 წელს მიღწეულ ბავშვს აქვს სრული უფლება, განაცხადოს უარი კონკრეტულ ოჯახში მინდობით აღზრდაში განთავსებაზე.

ბავშვის მინდობით აღსაზრდელად მიბარების შემდეგ მეურვეობისა და მზრუნველობის უორგანოს სოციალური მუშაკები ადგენენ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას, სადაც ჩამოყალიბებულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები მისი აკადემიური და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, მინდობით აღზრდასთან ადაპტაციისა და ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შესანარჩუნებლად. მინდობით აღზრდის შემთხვევების მონიტორინგისათვის სოციალური მუშაკი ყოველთვიურად მონიხულებს ბავშვს ოჯახში, სკოლაში, რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსება მის ჭეშმარიტ ინტერესებს შეესაბამება.

გეგმიური, გრძელვადიანი მინდობით აღზრდის შემთხვევების გარდა, კანონი აწესებს **მინდობითი აღზრდის გადაუდებელ შემთხვევებსაც**, რომლის დროსაც ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიაბარებენ მას მიმღებ ოჯახში შეთავსების განსაზღვრისა და შემთხვევის რეგიონულ საბჭოზე დამტკიცების გარეშე. გადაუდებელი მინდობითი აღზრდა გულისხმობს ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსებას ერთი დღიდან 3 თვემდე ვადით, სანამ სოციალური მუშაკი დეტალურად არ შეისწავლის შემთხვევას და განსაზღვრავს გრძელ-

ვადიანი ზრუნვის გეგმას. ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაუდებელ განთავსებაზე გადანყვეტილება სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარეს.

### 3.4. სოციალური მუშაკის ფუნქციები მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხებში

სოციალური მომსახურების სააგენტო როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო პასუხისმგებელია მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებაზე როგორც არასრულწლოვან პირთათვის, ასევე სრულწლოვანი პირებისთვისაც.

სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც:

ა) სასამართლო აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ორივე მშობლისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ;

ბ) შეჩერებულია მშობლის უფლება-მოვალეობები;

გ) გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობელი;

დ) ბავშვისათვის დანიშნული მეურვე გარდაიცვალა ან ჩამოერთვა თავისი ფუნქციები;

ე) სასამართლომ ბავშვი აღიარა მიტოვებულად;

ვ) მშობელი ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის აღიარებული.

არასრულწლოვანი პირის მეურვეობა-მზრუნველობის შემთხვევაში (7 წლამდე არასრულწლოვნისათვის წესდება მეურვეობა, ხოლო 7 დან 18 წლამდე ასაკის პირისათვის კი მზრუნველობა) სოციალური მუშაკის ფუნქციებს წარმოადგენს შემდეგი:

- არასრულწლოვანის მეურვეობით ან მზრუნველობით დაინტერესებული პირის განცხადების მიღების და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ სოციალური მუშაკი აფასებს როგორც ბავშვს, ასევე მეურვეობით/მზრუნველობით დაინტერესებულ პირს და შეფასების საფუძველზე წარმოადგენს შესაბამის დასკვნას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვისა და ოჯახის შეთავსება და სხვა კრიტერიუმები;
- სოციალური მუშაკი სამსახურის უფროსთან და იურისტთან ერთად მონაწილეობს არასრულწლოვანი პირისათვის მეურვის/მზრუნველის დანიშვნის შესახებ საკთხის განხილვაში. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადანყვეტილება ფორმდება დოკუმენტურად (ორ პირად) ბლანკზე და მონმდება ხელმძღვანელის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით. მეურვის/მზრუნველის დანიშვნის შესახებ დოკუმენტაცია იკინძება ერთ საქმედ და არაელექტრონულთან ერთად მონაცემთა ელექტრონულ ბაზაშიც ინახება. არასრულწლოვან პირზე მეურვეობა/მზრუნველობის დანიშვნის შემთხვევების განხილვა არ შედის მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს კომპეტენციაში.

მეურვის/მზრუნველის დანიშვნის შესახებ სოციალური მუშაკის დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- **ასაკობრივი შეთავსების კრიტერიუმი** — არასრულწლოვანი პირის მეურვეობა-

მზრუნველობის მოთხოვნის შემთხვევაში, მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის ასაკი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკობრივი განვითარების მოთხოვნებს და ბავშვზე ზრუნვის საჭიროებას;

- **მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის მოტივაცია** — სოციალური მუშაკის დასკვნაში წარმოდგენილი და დოკუმენტირებული უნდა იყოს მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის ადეკვატური მოტივაცია ბავშვის აღზრდისათვის. სოციალური მუშაკის შეფასებით უნდა გამოიკვეთოს, რომ მეურვედ/მზრუნველად გახდომის სურვილი მხოლოდ ბავშვის რეალური ინტერესებით არის განპირობებული;
- **სიახლოვის გრძნობის/შეჩვევის არსებობა არასრულწლოვანსა და მეურვეობის/მზრუნველობის მსურველ პირს შორის** — სოციალურმა მუშაკმა დასკვნაში უნდა ასახოს არასრულწლოვანსა და მეურვეობის/მზრუნველობის მსურველ პირს შორის არსებული ურთიერთობა (ურთიერთობის ხანგრძლივობა, სიხშირე, სიახლოვის გრძნობის/შეჩვევის არსებობა და ურთიერთობასთან დაკავშირებული სხვა დეტალები);
- **არასრულწლოვნის მოსაზრება მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირთან ერთად ცხოვრებასთან დაკავშირებით** — ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, სოციალურმა მუშაკმა უნდა დააფიქსიროს არასრულწლოვნის სურვილი მეურვეობის/მზრუნველობის მსურველ პირთან ერთად ცხოვრებასთან დაკავშირებით;
- **მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა** — სოციალური მუშაკის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს, თუ რამდენად აძლევს ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას მეურვეობის/მზრუნველობის მსურველ პირს იზრუნოს ბავშვზე და დააკმაყოფილოს ბავშვის ასაკობრივი განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები;
- **მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა** — სოციალური მუშაკის დასკვნა უნდა ასახავდეს მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე: შემოსავლის წყარო, ბავშვის საბაზისო საჭიროებათა დაკმაყოფილების უნარი და სხვა;
- **ინფორმაცია მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის შესახებ** — სოციალურმა მუშაკმა მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის შეფასების დროს ინფორმაცია უნდა მოიპოვოს მისი სოციალური თანადგომის ქსელის წარმომადგენლებისაგან, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის მოკლე პიროვნული დახასიათება და ბავშვის კარგად აღზრდასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები;
- **ეთნიკურ-რელიგიური შეთავსების საკითხები** — სოციალური მუშაკის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს არასრულწლოვნისა და მეურვეობის/მზრუნველობის მსურველი პირის ეთნიკურ-რელიგიური შეთავსების კრიტერიუმები ბავშვის ასაკიდან და განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე;
- **შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა აუცილებელი კრიტერიუმები:** მაგ., თუ ბავშვის მშობელს დროებით შეზღუდული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლე-

ბა, ირკვევა მშობლის პოზიცია მისთვის სასურველი მეურვის ვინაობის შესახებ. შეფასებაში სოციალურმა მუშაკმა უნდა წარმოადგინოს, თუ რატომ (ან რატომ არ) უნდა გავითვალისწინოთ მშობლის მიერ დაფიქსირებული პოზიცია მეურვის/მზრუნველის ვინაობასთან დაკავშირებით.

### **სრულწლოვან პირთა მეურვეობა და მზრუნველობა**

მეურვეობას საჭიროებს ის სრულწლოვანი პირი, რომელიც არის აღიარებული ქმედუუნაროდ. გადანყვეტილება პირის ქმედუუნარობის შესახებ სასამართლოს მიერ უნდა იყოს მიღებული. მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილების შემდეგ წესდება სრულწლოვან პირზე მეურვეობა. ქმედუუნაროა პირი, რომელიც გონებრივი ჩამორჩენის ან სულით ავადმყოფობის გამო, მოკლებულია შესაძლებლობას თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

სრულწლოვან პირებზე მეურვეობის დაწესების პროცესში სოციალური მუშაკის ფუნქციას, იურისტთან და ტერიტორიული ორგანოს უფროსთან ერთად შეაფასოს სრულწლოვან პირზე მეურვეობის მსურველის მოტივაციის ადეკვატურობა და ზრუნვის შესაძლებლობა, მეურვეობის ზნეობრივად გამართლებული მოტივების არსებობა. სრულწლოვან პირზე მეურვეობის მოთხოვნის შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ ცალკე დასკვნის წარმოდგენა საჭირო არ არის (არ კეთდება არც შეთავსების ანგარიში). განხილვის შემდეგ ტერიტორიულ ორგანოს გამოაქვს გადანყვეტილება, დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სრულწლოვან პირზე მეურვეობის მოთხოვნა. გადანყვეტილება ფორმდება ბლანკზე და მონმდება ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით.

### **მზრუნველობის დაწესება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირზე**

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც დაწესებული აქვს მზრუნველობა (სასამართლოს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ). შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში არასრულწლოვანს უთანაბრდება. ქმედუნარიანობის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც აღარ არსებობს ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი. ასეთ დროს უქმდება მზრუნველობაც.

ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების შემთხვევაში, როდესაც სრულწლოვანი პირი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ოჯახს, შეიძლება სრულწლოვან პირზე მზრუნველობა დაწესდეს. ასეთი პირი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით არის უფლებამოსილი, დადოს ქონების განკარგვის გარიგება, განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი.

სოციალური მუშაკის ჩართულობა პირზე მზრუნველობის დაწესების საკითხებში განისაზღვრება მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის შეფასებაში (ჯანმრთელობის მდგომარეობა, უფლებებისა და მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელების უნარი) და მზრუნველობის მსურველი პირის მოტივაციის ადეკვატურობის განსაზღვრაში. სოციალური მუშაკი მონაწილეობას იღებს მზრუნველობის დაწესების შესახებ საკითხის განხილვაში იურისტსა და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთან ერთად. სოციალ-

ური მუშაკის მიერ ცალკე დასკვნის წარმოდგენა სრულწლოვან პირზე მზრუნველობის დანიშნვის შესახებ საჭირო არ არის. განხილვის შემდეგ ტერიტორიულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება, დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სრულწლოვან პირზე მზრუნველობის მოთხოვნა. გადაწყვეტილება ფორმდება ბლანკზე და მონმდება ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით.

### სამეურვეო/სამზრუნველო პირთა ქონების განკარგვა-გასხვისების საკითხები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მეურვეს/მზრუნველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს არ აქვს უფლება სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათ წელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას, სავალო ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო/სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას.

ქონების გასხვისების ან ზემოთ ჩამოთვლილი სხვა საკითხების განსახილველად მეურვე/მზრუნველი მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ ინიშნება ზეპირი მოსმენა. ზეპირ მოსმენას წარმართავს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი კითხვა-პასუხისა და სხვადასხვა მოსაზრების წარმოდგენის რეჟიმში. ზეპირ მოსმენაში სამსახურის უფროსსა და იურისტთან ერთად სავალდებულოა სოციალური მუშაკის მონაწილეობა, რომელიც ამზადებს დასკვნას ზეპირი მოსმენისათვის. სოციალური მუშაკის დასკვნა ზეპირი მოსმენისათვის უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- როგორ უკავშირდება ქონების გასხვისება, დაგირავება, გაქირავება ან იპოთეკით დატვირთვა სამეურვეო/სამზრუნველო პირის ინტერესებს (აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს განპირობებული უკიდურესი აუცილებლობით და მხოლოდ სამეურვეო/სამზრუნველო პირის ინტერესებიდან გამომდინარე: მაგ., მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში მკურნალობის თანხის მოძიების სხვა ალტერნატივის უქონლობა, სხვა ქონების შეძენის მოტივაცია და მსგავსი შემთხვევები);
- მეურვის/მზრუნველის ზნეობრივი მოტივების ადეკვატურობა მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით (მეურვის/მზრუნველის მხრიდან პირადი სარგებელის მიღების გამორიცხვა, მეურვის/მზრუნველის ადეკვატური მოტივაცია სამეურვეო/სამზრუნველო პირის სასიცოცხლო საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით).

ზეპირი მოსმენის შემდეგ და ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულმა საბჭომ განიხილოს წარმოდგენილი შემთხვევა და გამოიტანოს საოქმო გადაწყვეტილება, რომელსაც შემდეგ დაეფუძნება მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება.

### 3.5. სოციალური მუშაკის როლი და პასუხისმგებლობა ოჯახური დავების დროს

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკი იურისტთან ერთად არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი სასამართლოზე ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში. მშობელთა შეუთანხმებლობის დროს მშობლის უფლება, იყოს სასამართლოში ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, შეჩერებულია და ეს ფუნქცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს გადაეცემა.

ოჯახური დავა შეიძლება წარმოიშვას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით მშობლების განქორწინებისას. ასეთი ოჯახური დავის არსებობის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოსდის შეტყობინება სასამართლოსგან, რის შემდეგაც სოციალური მუშაკი და იურისტი ერთვებიან განხილვაში მორიგების მისაღწევად. თუ მოდავე მხარეებს შორის მორიგება არ შედგა, სოციალური მუშაკი ვალდებულია შეისწავლოს შემთხვევა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- კონკრეტულად რა საკითხებზე მიმდინარეობს დავა მხარეთა შორის?
- როგორია ბავშვის დამოკიდებულება მოდავე მხარეებთან მიმართებაში?
- ვისთან ცხოვრობს ბავშვი? ვის მიმართ აქვს განვითარებული მიჯაჭვულობის/სიახლოვის გრძნობა?
- მოდავე მხარეების პასუხისმგებლობისა და კეთილსაიმედოობის განსაზღვრა ბავშვის აღზრდასთან მიმართებაში
- ოჯახური დავის შედეგად წარმოშობილი უარყოფითი ფსიქო-ემოციური შედეგები ბავშვზე

აღნიშნული შეფასების შემდეგ სოციალური მუშაკი წერს რეკომენდაციას, რომელიც აისახება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ სასამართლოსათვის წარსადგენ დასკვნაში. დასკვნა მზადდება ორ დედან პირად და მოწმდება ცენტრის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით.

### 3.6. ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია

**რეინტეგრაცია** წარმოადგენს ბავშვზე სამზრუნველო დაწესებულებიდან ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში (მეურვესთან/მზრუნველთან) დაბრუნების პროცესს. საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ (2006 წ.) განსაზღვრავს რეინტეგრაციის შემწეობას, როგორც ფულად სოციალურ დახმარებას, რომელიც მიეცემა ბავშვის (პირის) ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს გაიყვანს სპეციალიზებული დაწესებულებიდან ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად (მე-9 მუხლი, რეინტეგრაციის შემწეობა). რეინტეგრაციის შემწეობის დაწესების, შეჩერების, გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს ტიპიური დებულება, 2009 წლის 13 აპრილი).

სამზრუნველო დაწესებულებიდან ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის რეინტეგრაციისათ-

ვის უნდა არსებობდეს გარკვეული კრიტერიუმები:

- ბავშვისა და მისი ოჯახის მოტივაცია ოჯახში დაბრუნებასთან დაკავშირებით;
- მშობლის/მშობლების ვიზიტების სიხშირე სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვთან;
- სიახლოვის გრძნობის (მიჯაჭვულობის) არსებობა ბავშვსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის;
- ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში არსებული კეთილსაიმედო გარემო;
- გაძლიერების რესურსი ოჯახში, რომლის წინ ნამოწვევაც შესაძლებელია სოციალური მუშაკის მუშაობით;
- სოციალური თანადგომის ძლიერი ქსელი;

სოციალურ სამსახურს რეინტეგრაციისათვის შეიძლება მიმართოს ბავშვის მშობელმა, სამზრუნველო დაწესებულების პირმა. ასევე, სამზრუნველო დაწესებულებაში მუშაობის დროს სოციალურმა მუშაკმა შესაძლებელია თავადვე გამოავლინოს შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია რეინტეგრაცია.

რეინტეგრაციის შემთხვევის დროს სოციალური მუშაკი ახორციელებს ბავშვისა და ოჯახის შეფასებას. შემთხვევა დასამტკიცებლად წარედგინება რეგიონულ საბჭოს. აღსანიშნავია, რომ რეინტეგრაციის შემთხვევის დამტკიცების შემდეგ სოციალური მუშაკი ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას და ზედამხედველობას უწევს მის შესრულებას. ჩვეულებრივ, რეინტეგრაციის შემთხვევა რეგიონული საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადით. მტკიცდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ და განხორციელებული სოციალური სამუშაოს შედეგად, თუ რეინტეგრირებულ ბავშვს და მის ოჯახს კვლავ აქვს გარკვეული საჭიროება, იყოს ჩართული „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის“ ქვეპროგრამაში, აღნიშნულ შემთხვევას ხელახლა გადასინჯავს რეგიონული საბჭო.

რეგიონული საბჭოს მიერ დამტკიცებულ რეინტეგრაციის შემთხვევებზე გაიცემა შემნეობა. რეინტეგრაციის შემნეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს/მზრუნველს, რომელიც ამ პირს გაიყვანს ინსტიტუციური დაწესებულებიდან ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და მას სათანადო ზრუნვას გაუწევს. (საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების“ შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 2). როგორც ცნობილია, რეინტეგრაციის შემნეობის დანიშვნასთან, გაგრძელებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (საბჭოს) ტიპური დებულება, 2008 წლის 13 აპრილი).

### 3.7. პრევენცია როგორც ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების ალტერნატიული მომსახურება

პრევენციული შემთხვევა წარმოადგენს არაფულადი მომსახურების განწევას, რომლის მიზანიც არის სხვადასხვა ღონისძიების საშუალებით ხელი შეუშალოს ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში ან ბიოლოგიური ოჯახის გარეთ მის განთავსებას. დღესდღეობით,



პრევენცია ოჯახის დამხმარე მომსახურებას წარმოადგენს და, ძირითადად, ბავშვის ოჯახის გაძლიერებისა და სოციალური ფუნქციონირების აღდგენისაკენ არის მიმართული.

სახელმწიფო პროგრამის „ბავშვზე ზრუნვა 2010„ მიხედვით, ბავშვის მიტოვების პრევენციის მიზნით შემდეგი არაფულადი ღონისძიებებია დაწესებული:

ა) 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ხელოვნური კვების ვაუჩერების გაცემა (თვიური ხარჯი 100 ლარი);

ბ) 0-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ლოგინის ვაუჩერის გაცემა (სანოლი, საბანი, ლეიბი, ბალიში, თეთრეულის კომპლექტი), რომლის ხარჯიც 300 ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, პრევენციული მომსახურება შეიძლება ითვალისწინებდეს სოციალური მუშაკის მიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პროგრამებიდან ბენეფიციარისათვის საჭირო მომსახურების მოძიებას (მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ტანსაცმლის ან საკვები პროდუქტების მოძიებას, მშობლის დასაქმებას ან პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართვას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით საბავშვო ბაღებში ბავშვის განთავსებას ანაზღაურების გარეშე, ფსიქოლოგის კონსულტაციას, სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვას და სხვა).

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2009 წლის 18 დეკემბერი.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 441/ნ, 2009 წლის 30 დეკემბერი. ქ. თბილისი „ბავშვზე ზრუნვა 2010“ წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 51/ნ, 2010 წლის 26 თებერვალი. ქ. თბილისი „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების“ დამტკიცების შესახებ
4. ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის სამსახური (2009). *ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობა-მზრუნველობის ფუნქციის განხორციელების წესები*, სამუშაო დოკუმენტი. თბილისი, საქართველო
5. მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს ტიპური დებულება

# თავი IV: სოციალური სამუშაოს თეორიული საფუძვლები

ეს თავი განიხილავს თეორიებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური სამუშაოს პრაქტიკას. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ეკოლოგიური სისტემების თეორიაზე, მიდგომაზე „ადამიანი გარემოში“, ბიო-ფსიქო-სოციალურ პერსპექტივასა და გაძლიერების თეორიაზე.

ინდივიდების, ჯგუფების და საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაჭრისას სოციალური მუშაკები ეყრდნობიან სოციალურ მეცნიერებებს. სოციალური სამუშაო ეყრდნობა ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ თეორიებს მონყვლადი ინდივიდების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული თეორიების ცოდნა, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, ახსნან ინდივიდების ხშირად რთული და წინააღმდეგობით აღსავსე ქცევა სოციალურ გარემოში.

თავი IV

## რა არის თეორია?

თეორია არის გარკვეულ იდეათა სისტემა, რომელიც ცდილობს რაიმეს ახსნას. თეორიები გარკვეული საგნების ან მოვლენების ახსნას გვთავაზობენ. თეორიები საშუალებას გვაძლევენ აღვწეროთ, ავხსნათ და განვსაზღვროთ ფაქტები და მოვლენები.

## 4.1 ეკოლოგიური სისტემების თეორია

ვიდრე ეკოლოგიური სისტემების თეორიის არსს ჩავწვდებოდეთ, პირველ რიგში, გავარკვიოთ რას გულისხმობს სისტემა.

**სისტემა** არის განსაზღვრული ნებსრიგის მქონე გარკვეული საზღვრების ფარგლებში მოქცეული ობიექტების ერთობლიობა. სისტემის ყოველ ობიექტს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია და სტრუქტურული ურთიერთობა სისტემის სხვა ობიექტებთან. სისტემის ელემენტები ერთმანეთთან დინამიკური პროცესებით არიან დაკავშირებულნი (მაგ. მზის სისტემა, ადამიანის ორგანიზმი, საათი). საზღვრები ერთ სისტემას ასრულებენ და სხვა სისტემის დასაწყისზე მიუთითებენ. სისტემას შეიძლება ჰქონდეს ქვესისტემებიც. არსებობენ ღია (მოქნილი საზღვრების მქონე, რომელიც გარემოსთან მუდმივად ურთიერთქმედებს) და დახურული (თვითმყოფადი, გარემოზე ნაკლებად დამოკიდებული) სისტემები. სისტემის ერთი ელემენტის ცვლილება სისტემის შემადგენელი სხვა ელემენტების ცვლილებას განაპირობებს. წონასწორობის მდგომარეობას სისტემაში, რაც მისი ყველა ელემენტისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებია, **ჰომეოსტაზის (წონასწორობის)** მდგომარეობა ეწოდება. სისტემის ერთი ელემენტის ცვლილებას შედეგად მოაქვს ჰომეოსტაზის დარღვევა და წონასწორობის აღსადგენად საჭიროა შეგუება (ადაპტაცია) ან ისევე ძველი ჰომეოსტაზის დაბრუნება.


**სისტემური მიდგომის მიხედვით** საზოგადოება სოციალური ინსტიტუტებისაგან შემდგარი ქსელია, სადაც თითოეული ინსტიტუტი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ როლს ასრულებს. სოციალური ინსტიტუტები ურთიერთდამოკიდებულნი არიან და ერთის ცვლილება მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას.

**სოციალური ინსტიტუტების** მაგალითებია ოჯახი, განათლება, ტრადიცია, რელიგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, სამართლებრივი ასპექტები და ა.შ.

სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ეყრდნობა ეკოლოგიური (ეკოგარემო) სისტემების თეორიას, რომელსაც ასევე ადამიანის ეკოლოგიის თეორიასაც უწოდებენ. ეკოსისტემური პერსპექტივა, ხსნის ადამიანის განვითარებისა და ქცევის თავისებურებებს სოციალურ გარემოში.

ეკოსისტემური პერსპექტივა არ არის ახალი თეორიული მოდელი, არამედ იგი აერთიანებს სხვა ტრადიციებს, როგორცაა ბიოლოგიური (მაგ. ფროიდის თეორია), შემეცნებითი (მაგ. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია) და დასწავლის თეორიები (ბიჰევიორისტული თეორიები, ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია და სხვა). ამ მიდგომას საფუძველი ჩაუყარა ური ბრონფენბრენერმა, რომელმაც 1979 წ. გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი „ადამიანის განვითარების ეკოლოგია“. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანები გარემოსთან ურთიერთქმედებენ და მუდმივად იცვლებიან ამ ურთიერთქმედების შედეგად. ასეთ მიდგომას, ეკოლოგიური მოდელი ეწოდება, ხოლო გარემოს იმ სისტემებს, რომლებიც ზემოქმედებენ ინდივიდზე, ცვლიან მას და, იმავდროულად, მისი ზეგავლენით თავადვე იცვლებიან ეკოლოგიური სისტემები/ეკოსისტემები ეწოდება.

ეკოსისტემური თეორიის მიხედვით სისტემური დონეებია: მიკროსისტემა, მეზოსისტემა და მაკრო სისტემა.



სქემა. 2: ეკოსისტემური პერსპექტივა ბრონფენბრენერის მიხედვით


**მიკროსისტემის** ცნება, სისტემური ანალიზის ყველაზე მცირე ერთეულისა, უშუალოდ პიროვნებასთან არის დაკავშირებული. პიროვნება წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომელიც უკავშირდება ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სისტემებს, რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. მიკროორიენტაცია გულისხმობს აქცენტის გადატანას პიროვნების ფსიქოსოციალურ კონფლიქტებსა და მათი მოგვარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე.

**მეზოსისტემის** ცნებაში იგულისხმება მცირე ჯგუფი, რომელშიც ინდივიდი არის ჩართული (მაგალითად, ბავშვისთვის ოჯახი, მშობლების მეგობართა წრე, მათ თანამშრომელთა წრე). ამგვარი ურთიერთობების რაოდენობა და ხარისხი ასახავს მეზოსისტემის სიმდიდრეს. მაგალითად, რაც უფრო მრავალმხრივია მეზოსისტემური ურთიერთობა, მით უფრო ჰარმონიულად მიმდინარეობს ბავშვის განვითარება. ზოგჯერ, სიტუაციის შე-

ფასებისას, რთულდება მიკრო (პიროვნება) და მეზო (მცირე ჯგუფი) სისტემებთან დაკავშირებულ საკითხთა მკაფიო გამიჯვნა, რაც განპირობებულია პიროვნების მრავალმხრივი მჭიდრო კავშირით მასთან ახლო მყოფ სისტემებთან.

**მაკროსისტემა** წარმოადგენს უფრო ფართო სისტემას, რომელიც მოიცავს იდეოლოგიურ, კულტურულ და ინსტიტუციონალურ ელემენტებს, ისტორიულ მოვლენებს და ა.შ., რომელიც არაპირდაპირი გზით ახდენს ზეგავლენას ადამიანის ფუნქციონირებაზე და გადაცემა თაობიდან თაობას. მაკროსისტემმა, მაგალითად, საზოგადოება, კულტურა, სოციალური ინსტიტუტები, თემები. მაკროსისტემა განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ ღირებულებებს, ეკონომიკურ პოლიტიკას, სოციალურ პოლიტიკას და სხვა.

ეკოსისტემური თეორიის მიხედვით მიკრო, მეზო და მაკრო სისტემა, სოციალური გარემოს შემადგენელი სისტემებია, რომლებიც მუდმივ ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან. ეს არის ჰოლისტური მიდგომა, სადაც ადამიანი და გარემო თავიანთი ურთიერთქმედებით ქმნიან ერთმანეთს და, შესაბამისად, ისინი ერთიანი სამყაროს ნაწილებად განიხილებიან. ამ მოდელში გარემო წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ფენებს ან იერარქიებს, რომელთაგან ზოგიერთს აქვს მაგალითად ბავშვთან პირდაპირი კავშირი, ზოგი კი არაპირდაპირ ზემოქმედებს მასზე. იხ. სქემა 3.



სქემა 3: სისტემათა ურთიერთქმედება სოციალურ გარემოში

ეკოლოგიური სისტემების თეორია ეხმარება სოციალურ მუშაკებს გაანალიზონ ადამიანის ქცევის პიროვნული და სოციალური ასპექტები, კერძოდ, კი იგი:

- ხსნის ადამიანის ქცევას გარემოს სისტემების შესაბამისად;
- ამტკიცებს, რომ ადამიანები გარემოსთან მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან, ცვლიან მას და მისი ზეგავლენით თავადაც იცვლებიან;
- მიიჩნევს, რომ ინდივიდები გარემოში მუდმივად ვითარდებიან;
- მიზნად ისახავს ინდივიდებში განავითაროს გარემოსთან ადაპტაციის უნარი;
- ხაზს უსმევს ინდივიდის სოციალური თანადგომის ქსელის როლს მისი დახმარების პროცესში;

ეკოსისტემების თეორიის მიხედვით, ინდივიდში ცვლილების მიღწევა უფრო იოლია, როდესაც

- მას ძლიერი სოციალური თანადგომის ქსელი აქვს;
- როდესაც ინდივიდს ხელი მიუწვდება მისთვის აუცილებელ რესურსებზე;
- როდესაც ინდივიდს აქტიური ურთიერთობა აქვს გარემო სისტემებთან.

### **მიკრო, მეზო და მაკრო პრაქტიკის სოციალური სამუშაო**

**მიკრო პრაქტიკის სოციალური სამუშაო** გულისხმობს უშუალო მუშაობას ინდივიდთან მისი პირადი თუ სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. ამ დონეზე სოციალური მუშაკი, ძირითადად, მუშაობს ბავშვსა და მთავარ მზრუნველთან.

**მეზო პრაქტიკის სოციალური სამუშაო** გულისხმობს მუშაობას სისტემათა ურთიერთქმედების დონეზე, როდესაც სოციალური მუშაკი აკავშირებს ინდივიდს მისთვის აუცილებელ რესურსებთან, ასევე, შუამავლად გვევლინება ინდივიდსა და სოციალური თანადგომის ქსელთან. ამ დონეზე, ძირითადად, სოციალური მუშაკი მუშაობს ბავშვის ოჯახთან, სკოლასთან, მეგობრებთან, სხვადასხვა საჯარო და არასახელმწიფო დაწესებულებასთან.

**მაკრო პრაქტიკის სოციალური სამუშაო** მონოდებულია შეიმუშავოს ეფექტური სოციალური პოლიტიკა მონყველადი ინდივიდებისა და ჯგუფების სასარგებლოდ და დაეხმაროს სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს მომსახურების შექმნასა და გაუმჯობესებაში.

საქართველოში დღეისათვის ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები, ძირითადად, მიკრო და მეზო დონეზე მუშაობენ, თუმცა, მაკრო დონეზე მუშაობის მაგალითებია ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მათი ჩართულობა კონსულტაციების ფორმატში, ასევე, სააღმზრდელო დაწესებულებათა ოპტიმიზაცია/ლიკვიდაციის მიზნით თემთან აქტიური მუშაობა თემის მობილიზაციისათვის.

### **მიდგომა „ადამიანი გარემოში“**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია ადამიანის ქცევაზე დაკვირვება სოციალური გარემოსაგან მონყვეტილად და განყენებულად. ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური საგანია, რომელიც ინდივიდის ქცევას გარემოში დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწავლობს. სოციალურ სამუშაოში აღიარებულია, რომ ადამიანის ქცევა გარემოსთან მიმართებაში დინამიკურია და მთელი სიცოცხლის მანძილზე იცვლება. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე თავს იჩენს გარემოდან მომდინარე სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც ინდივიდის ჩამოყალიბებაზე, განვითარებაზე და ფუნქციონირებაზე გარდამტეხ ზეგავლენას ახდენს. შესაბამისად, სოციალური სამუშაოსათვის ძირეულია ადამიანისა და მისი გარემოს საფუძვლიანი შესწავლა, რათა კლიენტათვის აუცილებელი დახმარება შეესაბამებოდეს მის პიროვნებასა და გარემო ფაქტორებს.


ამრიგად, „ადამიანი გარემოში“ მიდგომის მიხედვით, შესაძლებელი ხდება, გავარკვიოთ, თუ როგორ ყალიბდება ადამიანის ქცევა გარემოს ზეგავლენით. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთი ფაქტორების როლზე ადამიანის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, როგორცაა დისკრიმინაცია, სოციალური უთანასწორობა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მიდგომა „ადამიანი გარემოში“ განასხვავებს სოციალურ სამუშაოს ადამიანზე ორიენტირებული სხვა პროფესიებისაგან, რადგან ამ მიდგომის მიხედვით სოციალურ სამუშაოს აინტერესებს ადამიანის ფუნქციონირება სოციალურ გარემოში და არა მისგან განყენებულად.

**ბიო-ფსიქო-სოციალური პერსპექტივა**

ადამიანის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იმყოფებიან (იხ. სქემა 4).

- **ძირეული ბიოლოგიური ფაქტორები:** გარეგნობა, სქესი, კანის ფერი, გენეტიკური დაავადებები. გენეტიკური ფაქტორების ზეგავლენა ადამიანის განვითარებაზე ძალიან დიდია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გარემო ფაქტორები ხელს უწყობს ან უშლის გენეტიკური ფაქტორების განვითარებას;
- **ძირეული ფსიქოლოგიური ფაქტორები:** ინტელექტი, პიროვნება, თვით-აღქმა. პიროვნების ფსიქოლოგიური წყობა დაკავშირებულია როგორც მის გენეტიკასთან (ბიოლოგიური ფაქტორები), ასევე მის გამოცდილებასთან (სოციალური ფაქტორები). თუ ქცევა მემკვიდრეობითია, მისი შეცვლა უფრო რთულია, მაშინ, როცა გარემო ფაქტორების საპასუხოდ გამომუშავებული ქცევის შეცვლა შესაძლებელია;
- **ძირეული სოციალური ფაქტორები:** ოჯახი და ოჯახური ურთიერთობა, თანატოლები, სოციალური გარემო (თემი, საზოგადოება, სამეზობლო); ეკონომიკური სტატუსი, რელიგია.

ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორების ურთიერთგავლენის მაგალითია, 13 წლის გოგონა, რომელსაც სახეზე აკნეს გამონაყარი აქვს, რაც მის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებების შედეგია და ასაკობრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი, თუმცა გოგონა ფირქრობს, რომ უშნოა, არავის მოეწონება და უარს ამბობს თანატოლებთან ერთად წვეულებაზე წასვლაზე.



სქემა. 4: ურთიერთობა ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სისტემებს შორის

## 4.2 ბაკლიერების თეორია

სოციალური სამუშაო ადამიანის **გაძლიერებას** ისახავს მიზნად. **სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში გაძლიერება არის პროცესი, რომელიც ემსახურება ინდივიდის, ოჯახის, ჯგუფის, ან თემის მიერ საკუთარ ცხოვრების მართვას.** გაძლიერებაში მოიაზრება პიროვნული, ადამიანური ურთიერთობის გამყარება ან პოლიტიკური გაძლიერება ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ასევე, გაძლიერებაში მოიაზრება რესურსების, ცოდნის, შესაძლებლობებისა და არჩევანის ზრდა.

**ადამიანის გაძლიერების თეორია** ეფუძნება მოსაზრებას, რომ ადამიანის რესურსები და მისი საჭიროება ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. ამ თეორიით, სოციალური პრობლემები სისტემათა სხვადასხვა დონეზე ჩნდება და ძალაუფლებისათვის ბრძოლის, წინააღმდეგობრივი ინტერესების ფონზე აღმოცენდება და ვითარდება. ინდივიდის გაძლიერებაზე ორიენტირებულ პრაქტიკოსს კარგად უნდა ესმოდეს ძალაუფლების მნიშვნელობა სოციალურ ურთიერთობებში, მაგრამ არა მისი უარყოფითი მნიშვნელობით. **ადამიანის გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკის თანახმად, სოციალური მუშაკი უნდა დაეხმაროს ადამიანს საკუთარი თავის რწმენის აღდგენასა და საკუთარი ცხოვრების მართვაში, სხვებთან ერთად მუშაობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტების დასახვეწად და გადანყვეტილების მიმღებ ორგანიზაციებზე ზემოქმედებაში აუცილებელი სოციალური ცვლილების მისაღწევად.** ძალაუფლების არასწორმა გამოყენებამ კი შეიძლება მოიტანოს სხვათა ჩაგვრა, გადანყვეტილების მიღების პროცესიდან საზოგადოების ერთი ნაწილის გამოთიშვა და განსაზღვრული ჯგუფებისათვის უფლებათა და თავისუფლებათა ჩამორთმევა.

გაძლიერება ეფუძნება შემდეგ ძირითად მოსაზრებებს:

- ნებისმიერ ადამიანს აქვს უნარი და შესაძლებლობები;
- ადამიანებს აქვთ უფლება, სხვებს ესმოდეთ მათი, მიიღონ მონაწილეობა, გააკეთონ არჩევანი, განსაზღვრონ პრობლემები და შესაბამისი მოქმედება დაგეგმონ;
- ინდივიდებს აქვთ კომპლექსური პრობლემები და სოციალური ჩაგვრა ამ პრობლემების გამწვავების ხელისშემწყობი ფაქტორია;
- ადამიანები, რომლებიც კოლექტიურად მოქმედებენ, მეტ ძალაუფლებას ფლობენ.

სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში გაძლიერება მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე და გულისხმობს შემდეგს:

- თვითშეფასების დონეზე — სოციალური მუშაკი კლიენტს ხელს უწყობს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა აღიდგინოს;
- პრობლემების გადაჭრის დონეზე — სოციალური მუშაკი ხელს უწყობს ბენეფიციარის მიერ პრობლემის გადაჭრის უნარის გამომუშავებას;
- თემების მობილიზაციის დონეზე — სოციალური მუშაკი თემის წევრებს პრობლემის ამოცნობასა და პრობლემის ირგვლივ მობილიზაციაში ეხმარება;
- სოციალური ცვლილების დონეზე — არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი ინდივიდებს, ჯგუფს, თემებს ან, ზოგადად, საზოგადოებას სოციალური ცვლილების დანახვასა და აუცილებელი ცვლილების მოთხოვნაში ეხმარება.

## ინდივიდის გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკა

გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკის თანახმად, დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდი და სოციალური მუშაკი ერთობლივად აფასებენ პრობლემის შიდა (პიროვნულ) და გარე ასპექტებს. შეფასების დროს ყურადღება ეთმობა როგორც მიკრო-სისტემებისა (პიროვნება) და მეზოსისტემების (ოჯახი, თანატოლთა ჯგუფი), ასევე მაკროსისტემების (სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, პოლიტიკური ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები) ანალიზს და მათ ზეგავლენას ინდივიდის პრობლემაზე. შეფასების პროცესში ინდივიდი და სოციალური მუშაკი აგროვებენ ინფორმაციას, აანალიზებენ ამ ინფორმაციას და გეგმავენ ჩარევის სტრატეგიას. გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკის მიზანია ინდივიდის მონაწილეობა იმ მოვლენებში და იმ მოვლენათა კონტროლი, რომელიც მისი ან მისი ახლობლების ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას.

გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკის მეთოდებია:

- ინდივიდის მიერ პრობლემის განსაზღვრა;
- ინდივიდის ძლიერი მხარეების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შედგენა მათზე დაფუძნებით;
- მიზნების ჩამოყალიბება ინდივიდის მიერ განსაზღვრული შედეგის შესაბამისად განსაზღვრული შედეგის შესაბამის მიზანთა განსაზღვრა ინდივიდის მიერ;
- რეალური მიზნების ჩამოყალიბება, რაც ინდივიდის პიროვნულ ზრდას უწყობს ხელს.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მგელიაშვილი მ. (2006). ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მუშაკთა სასერთიფიკაციო კურსის სალექციო მასალები. თბილისი, საქართველო
2. ნამიჭეიშვილი, ს. & მგელიაშვილი, მ. (2007). სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების და პრაქტიკის ხელმძღვანელებისათვის. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
3. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2006). სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსი, თბილისი, საქართველო
4. Ashford, J., LeCroy, C. and Lortie, K. (2001). *Human Behavior in the Social Environment*. Brooks/Cole Cengage Learning
5. Barker, R. *The Social Work Dictionary*. (5<sup>th</sup> ed.) Washington, DC: NASW Press
6. Colby I. & Dziegielewska, S. F. (2001). *Social Work: The People's Profession*. Lyceum, Books, Inc.
7. Colby. Ir. & Dziegielewska, S. (2004). *Introduction to Social Work: The People's Profession*. (2<sup>nd</sup> ed.). Chicago, Illinois. Lyceum Books, Inc.
8. Gambrill, E. (1997). *Social Work Practice: A Critical Thinker's Guide*. New York: Oxford University Press.
9. Hepworth, D., Rooney, R. & Larsen, J. (2000). *Direct Social Work Practice: Theory and Skills*. (6<sup>th</sup> ed.). Pacific Grove, CA.: Brooks/Cole Publishing Co.  
Social Work – A 21<sup>st</sup> Century Profession. Retrieved from [http://www.sqa.org.uk/files\\_ccc/Social\\_Work\\_21st\\_Century\\_Profession.pdf](http://www.sqa.org.uk/files_ccc/Social_Work_21st_Century_Profession.pdf)
10. Roberts, A. & Yeager, K. (2006) *Foundations of Evidence-Based Social Work Practice*. Oxford University Press
11. Saleeby, D. (1997). *The Strengths Perspective in Social Work Practice*. New York: Longman Publishers.

# თავი V: შემთხვევაზე მუშაობის სპეციფიკა სოციალურ სამუშაოში

ეს თავი მიმოიხილავს სოციალური სამუშაოს პრაქტიკის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს, შემთხვევის მართვას, კერძოდ კი, ზოგადი ინტერვენციის მოდელს, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა პრაქტიკა ეფუძნება; ასევე, სოციალური სამუშაოს ინტერვენციის დონეებსა და ტიპებს, რაც სოციალურ მუშაკებს უქმნის ზოგად წარმოადგენას სოციალური სამუშაოს პრაქტიკის მასშტაბების შესახებ.

## 5.1 შემთხვევის მართვა

სოციალური სამუშაოს უშუალო პრაქტიკა გულისხმობს ინდივიდუალურ შემთხვევებზე, ჯგუფთან ან ოჯახთან მუშაობას. უნდა აღინიშნოს, რომ უშუალო პრაქტიკა ასევე გულისხმობს სხვა სპეციალისტებთან, ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან თანამშრომლობას; ინდივიდის, ჯგუფის ან ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე მათი უფლებებისათვის ბრძოლას და სხვადასხვა ორგანიზაციას შორის შუამავლის ფუნქციის შესრულებას.

უშუალო პრაქტიკის წარმოებისას შემთხვევის მართვა ბენეფიციართან მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს წარმოადგენს. **შემთხვევის მართვა პროცესია, რომლის მეშვეობითაც სოციალური მუშაკი ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აწოდებს მას აუცილებელი მომსახურების პაკეტს.** შემთხვევის მართვას ზრუნვის მართვასაც უწოდებენ<sup>5</sup>. **შემთხვევის მართვაში მოიაზრება ინდივიდზე ზრუნვის დაგეგმვა.** შემთხვევის მართვის ფარგლებში თითოეული ინდივიდის საქმეზე სოციალური მუშაკიაფასებს შემთხვევას, ეხმარება ინდივიდს აუცილებელ მომსახურებათა მოძიებაში, ინდივიდუალური გეგმის სახით აყალიბებს მიზნებს, ახორციელებს მათ განსაზღვრული დროის განმავლობაში, და აფასებს მიღწეულ შედეგებს.

შემთხვევის მართვის ძირითადი ამოცანებია:


- ადამიანების ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა;
- ადამიანების დახმარება რესურსების მოსაპოვებლად;
- ინდივიდისა და მისი გარემოს ურთიერთობების ხელშეწყობა;
- ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხრიდან ინდივიდის საჭიროებებზე გამოხმაურება.

### სოციალური სამუშაოს ზოგადი ინტერვენციის მოდელი

შემთხვევის მართვის პრაქტიკა ეფუძნება ზოგადი ინტერვენციის მოდელს. სიტყვა **ინტერვენცია სოციალურ სამუშაოში ჩარევის მნიშვნელობით იხმარება, და გულისხმობს სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის დასახმარებლად განუღებ ნებისმიერ მომსახურებას.** აღნიშნული მოდელი აქცენტს აკეთებს პრობლემის გადაჭრასა და სოციალურ ცვლილებაზე. ზოგადი ინტერვენციის მოდელი შედგება შვიდი საფეხურისგან (იხ. სქემა 5).

5 ტერმინი ზრუნვის მართვა გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, ხოლო აშშ-ში – შემთხვევის მართვა.

ზოგადი ინტერვენციის მოდელი



სქემა 5: სოციალური სამუშაოს ზოგადი ინტერვენციის მოდელი

## საფეხური I: მომართვა და ინდივიდის თანამონაწილეობა

პირველი ეტაპი გულისხმობს ინდივიდის, პოტენციური ბენეფიციარის, მიღებას მისი მომართვის საფუძველზე. არსებობს მომართვის სხვადასხვა სახე: თვითმომართვა, მომართვა და სოციალური მუშაკების მიერ მომავალ ბენეფიციართა მოძიება.

**თვითმომართვის** დროს სოციალურ მუშაკს დახმარების სათხოვნელად შეუძლია მიმართოს უშუალოდ ბავშვმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.

ბავშვის დასახმარებლად **მომართვის** დროს სოციალურ მუშაკს უკავშირდება მესამე მხარე (მოქალაქე, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) ბავშვის ინტერესების დასაცავად ბავშვისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შესაბამისად ან მიუხედავად. **მართების მოძიება** არის პროცესი, რომლის დროსაც სოციალური მუშაკი უშუალოდ მოიძიებს საჭიროების მქონე პირებს და დახმარების სისტემაში რთავს მათ (მაგ. რეინტეგრაციის მიზნით იმ ბავშვთა მდგომარეობის შეფასება, რომლებიც იმყოფებიან ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში; პოტენციური მინდობითი აღმზრდელების მოძიება სოციალური მუშაკების მიერ). მომართვა შეიძლება იყოს როგორც ზეპირსიტყვიერი (ვიზიტი, ტელეფონი), ასევე წერილობითი.

მომართვის პროცესი გულისხმობს სოციალური მუშაკის მიერ პირველადი ინფორმაციის მოძიებას ინდივიდის პრობლემის შესახებ. ამ ეტაპზე შეფასდება, თუ რამდენად შეუძლია სოციალურ მუშაკს ან მომსახურებას ინდივიდის დახმარება. იმ შემთხვევაში, თუ სოციალურ მუშაკს არ შესწევს ინდივიდის დახმარების ძალა მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება მისი მიმართვასხვა სპეციალისტთან ან მომსახურებასთან.

საწყისი საფეხური მეტად მნიშვნელოვანია სოციალურ სამუშაოში შემთხვევის წარმატებით მართვისათვის. ამ ეტაპზე სოციალური მუშაკი ცდილობს, ინდივიდი დაგეგმვის თანამონაწილე გახადოს, რისთვისაც ხდება რაპორტის დამყარება (ნდობის მოპოვება კლიენტთან სამუშაო ურთიერთობის დასაწყისში). რაპორტის დამყარების ხელისშემწყობი ფაქტორებია:

- არაგანსჯითი მიდგომა;
- ინდივიდის მიღება, ისეთის როგორც არის იგი;
- ინდივიდისთვის თვითგამორკვევის საშუალების მიცემა;
- ადამიანის ღირსებების, ინდივიდუალობისა და პრობლემის გადაჭრის ხედვის პატივისცემა;
- ემპათიის გამოხატვა.

**ემპათია (“თანაგანცდა”)** არის უნარი სწორად გაიგო ადამიანის გრძნობები და მისთვის შესატყვისი ენით მას გააგებინო, რომ თქვენ მისი გესმით; ემპათია ეს არის თანაგრძნობა სიბრაღის გამომხატვის გარეშე.

## საფეხური II: მონაცემთა შეგროვება და შეფასება

მონაცემთა შეგროვება და შეფასება მოიცავს სოციალური მუშაკის მიერ ინდივიდის შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ანალიზს. შემთხვევის შეფასების ძირითადი ამოსავა-

ლი არის ბავშვი. შეფასების მიზანია ბავშვის, ოჯახის და მათი უშუალო გარემოს ურთიერთგავლენისა და ურთიერთმიმართების შესწავლა. შეფასება არის ის ბაზა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შემთხვევის/ზრუნვის გეგმა, რაც მიმართული იქნება ადამიანსა და მის გარემოში სოციალური ცვლილების მიღწევისაკენ. მთელი შემთხვევის შედეგიანად წარმართვისათვის შეფასება უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან აღნიშნული პროცესი ინდივიდთან სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და რაპორტისდამყარების საშუალებაა. შეფასების არასწორად წარმართული პროცესი უარყოფითად აისახება როგორც შეფასების შედეგზე, ასევე მთლიანად შემთხვევის წარმატებაზეც. შეფასების შედეგს წარმოადგენს სხვადასხვა წყაროდან (ბავშვი, ოჯახი, ახლობლები, სკოლა, სამედიცინო დაწესებულება) მოპოვებული მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ბავშვისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ კი, შეფასების საბოლოო მიზანია ბავშვის საჭიროების შესაბამისი მომსახურების გეგმის ჩამოყალიბება.

შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- **შეფასება უნდა იყოს ბავშვზე ორიენტირებული** – ბავშვი არის შეფასების პროცესის ამოსავალი წერტილი. მთავარი შეფასების პროცესში არის იმისი დადგენა, თუ რა საჭიროებები აქვს ბავშვს და როგორ შეიძლება მათი დაკმაყოფილება. შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესია ბავშვის მონაწილეობა და აუცილებელია 10 წელზე უფროსი ასაკის ბავშვის აზრის გათვალისწინება!
- **შეფასება უნდა ასახავდეს ადამიანის განვითარების ძირითადი ეტაპების თავისებურებებს** – ადამიანი სხვადასხვა პრობლემის წინაშე დგას ასაკიდან, სქესიდან, კულტურული თუ ეთნიკური კუთვნილებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. შეფასების ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ამ პრობლემათა ახსნა ადამიანის განვითარების ძირითადი ეტაპებიდან გამომდინარე და ამ ეტაპებისათვის დამახასიათებელი სირთულეების ცოდნა;
- **შეფასებისას საჭიროა გამოვიყენოთ ეკოლოგიური მიდგომა**, რათა გავიაზროთ სხვადასხვა გარემო სისტემების ზეგავლენა მოცემული ადამიანის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. დადგენილია, რომ გარემო სისტემებს უმნიშვნელოვანესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ადამიანის ცხოვრებაზე და ამ პარამეტრიდან გამომდინარე ადამიანის ცხოვრების შესწავლა შეფასების პროცესისათვის აუცილებელი პირობაა;
- **შეფასების აუცილებელი ნაწილია კულტურულ თავისებურებათა პატივისცემა და გათვალისწინება**, რომელიც სოციალურ მუშაკს ეხმარება გაიაზროს ადამიანის პრობლემა მისი სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე;
- **შეფასებისას უნდა ამოვიცნოთ ძლიერი მხარეები** და ამავე დროს გამოვააშკარავოთ ის მხარეები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ;
- **შეფასება უნდა იყოს განმეორებადი პროცესი და არა ერთჯერადი მოვლენა**, რადგან ინდივიდის საჭიროებები და ინტერესები მუდმივად იცვლება და სოციალური მუშაკისათვისაც აუცილებელია ბენეფიციარის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ცოდნა, რათა შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება სოციალური მუშაკის მიერ ჩამოყალიბებული გეგმა მის ამჟამინდელ საჭიროებებს.

ზოგადი ინტერვენციის პირველ ორ საფეხურს (საფეხური I: მომართვა და ინდივიდის თანამონაწილეობა და საფეხური II: ინფორმაციის შეგროვება და შეფასება) კონტაქტის ფაზას უწოდებენ.

### საფეხური III: სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება (ინტერვენციის დაგეგმვა)

შემთხვევის შეფასებაზე დაყრდნობით სოციალური მუშაკი ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს სოციალური მუშაკის მიერ ინდივიდის დასახმარებლად ძირითად საშუალებებსა და მიზნის მისაღწევად აუცილებელ სამოქმედო ღონისძიებებს.

პირველ რიგში, აუცილებელია, განისაზღვროს ბავშვისა და ოჯახის მონაწილეობის დონე ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში. **გეგმის ჩამოყალიბებაში სოციალური მუშაკი ხელს უწყობს ბავშვისა და ოჯახის აქტიურ მონაწილეობას, და იგი მზადდება მათი შეხედულებების გათვალისწინებით.** სოციალური სამუშაოს ყველა დონეზე მათ მონაწილეობას აქვს უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან იგი ეხმარება სოციალურ მუშაკს პროცესი მათი ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით წარმართოს და ამასთანავე გააძლიეროს ისინი. გარდა ამისა, საჭიროა ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობდნენ ის ადამიანები, რომელთაც ბენეფიციარი თავის ცხოვრებაში მნიშვნელოვან პიროვნებებად აღიქვამს. თუ საქმე გვაქვს ისეთ ბენეფიციართან, რომელიც სოციალურ მუშაკთან საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს, სოციალური მუშაკი უნდა შეეცადოს გამონახოს დაგეგმვის პროცესში მისი მონაწილეობის გზები.

თავი V

ზოგადი ინტერვენციის ამ ეტაპზე სოციალური მუშაკი შეიმუშავებს ინდივიდუალური მომსახურების გეგმას, რომელშიც აყალიბებს, თუ რა კონკრეტული მომსახურება გაენევა ბენეფიციარს, გეგმის მიზანს, მიზნის მისაღწევად კონკრეტულ ამოცანებსა და ღონისძიებებს, მისი განხორციელების ვადებსა და მასზე პასუხისმგებელ პირებს. მიზნების დასახვა გვეხმარება საბოლოო შედეგების მიღწევაში. ისინი აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყოს ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის. რაც შეეხება ამოცანებს, ეს გახლავთ ის პატარა ნაბიჯები, რომლებიც მცირე დროზე გათვლილი და მიზნის მიღწევაში გვეხმარება. ეფექტური ამოცანების მახასიათებლები:

- ამოცანა უნდა იყოს კონკრეტული და ნათელი;
- ამოცანა უნდა იყოს მისაღები ბენეფიციარისა და სოციალური მუშაკისათვის;
- ამოცანა უნდა იყოს მცირე დროზე გათვლილი და ადვილად მისაღწევი;
- ამოცანას უნდა ჰქონდეს დროითი ჩარჩოები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მომსახურების გეგმა ერთმანეთთან აკავშირებს შეფასებისა და ინტერვენციის (ჩარევის) პროცესს.

ზოგადი ინტერვენციის მესამე საფეხურს (სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება) კონტრაქტის ფაზას უწოდებენ.

#### **საფეხური IV: ინტერვენცია (ჩარევა)**

ეს საფეხური ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის მიზნების შესაბამისი მოქმედებების პრაქტიკაში გატარებას. ძირითადი ამოცანა ამ პროცესში უკავშირდება რესურსებისა და შესაძლებლობების განვითარებას, რათა აღდგეს ან გაუმჯობესდეს ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირება და მან დამოუკიდებლად მოქმედება შეძლოს. როგორც წესი, ჩარევაში განსახორციელებელი მოქმედებები წინასწარ შეთანხმებულია სოციალურ მუშაკსა და ბენეფიციარს შორის გეგმის საშუალებით.

ინტერვენციის პროცესში სოციალური მუშაკი ზედამხედველობს ბავშვზე ზრუნვას ზრუნვის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში (მაგ. სააღმზრდელო დანესებულება, მინდობითი აღზრდა). მონიტორინგის მიზნით ვიზიტები ხორციელდება რეგულარულად გეგმაში განერილი ვადების მიხედვით.

#### **საფეხური V: მიღწევების შეფასება და შემთხვევის გადასინჯვა**

ამ ეტაპზე მთავარი მიზანია ბენეფიციარის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება. სოციალური მუშაკი შეისწავლის ცვლილებას ბენეფიციარის შეხედულებებში და ცხოვრების წესში, სისტემებთან კავშირ-ურთიერთობის მის უნარში. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ვადის გასვლამდე სოციალური მუშაკი გადასინჯავს შემთხვევას, რაც გულისხმობს სამოქმედო გეგმისა და ჩარევის შედეგების შეფასებას დასახულ მიზნებთან მიმართებას. შემთხვევის გადასინჯვის შედეგად სოციალურ მუშაკს გამოქვს დასკვნა გეგმით გათვალისწინებული მომსახურების ტიპის გაგრძელების, შეწყვეტის ან შეცვლის თაობაზე. ბავშვზე ზრუნვის სფეროში შემთხვევის დასრულების ძირითადი კრიტერიუმებია შემდეგი: ა) ბავშვს შეუსრულდა 18 წელი, ბ) ბავშვსა და მის ოჯახს შემდგომში შეუძლიათ დახმარების გარეშე დამოუკიდებელი ცხოვრება, გ) ბავშვის ოჯახი ან მასზე მზრუნველი პირები არ თანამშრომლობენ წარმატებით სოციალურ მუშაკებთან და ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის საჭიროებებსა და ზრუნვის მინიმალურ ხარისხს.

#### **საფეხური VI: დასრულება**

ბენეფიციართან მუშაობის დასრულება ზოგადი ინტერვენციის მოდელის ერთ-ერთი რთული საფეხურია. თუ ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის ჩამოყალიბდა თბილი ურთიერთობა, დასრულება ხშირად მტკივნეული პროცესია. ხშირად ინდივიდი მიჯაჭვულია სოციალურ მუშაკზე. როდესაც ურთიერთობა მთავრდება, ბენეფიციარმა შეიძლება განიცადოს დანაკარგის გრძნობა. ამისათვის სოციალურმა მუშაკმა მას უნდა განუმარტოს, რომ ურთიერთობა სრულდება, რადგან დასახული მიზანი მიღწეულ იქნა და მას აქვს უნარი დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი ცხოვრება.

## საფეხური VII: გადახედვა

შემთხვევაზე მუშაობის დასრულებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ სასურველია სოციალურმა მუშაკმა გადახედოს შემთხვევას. გადახედვის მიზანია, სოციალური მუშაკი დარწმუნდეს, რომ ინდივიდი დამოუკიდებლად წარმატებულად წარმართავს ცხოვრებას. შემთხვევის გადახედვის შედეგად შესაძლოა, გამოტანილ იქნეს დასკვნა მომსახურების ტიპის გაგრძელების ან შეცვლის თაობაზე შემთხვევის ინტერესებიდან გამომდინარე.

ზოგადი ინტერვენციის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საფეხურებს (საფეხური IV: ინტერვენცია; საფეხური V: მიღწევების შეფასება და შემთხვევის გადასინჯვა, საფეხური VI: დასრულება და საფეხური VII: გადახედვა) **მოქმედების ფაზას** უწოდებენ.

თავი V

## 5.2 ინტერვენცია სოციალურ სამუშაოში

ინტერვენცია სოციალურ სამუშაოში გულისხმობს სოციალური მუშაკის ქმედებებს ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირების აღდგენის მიზნით.

იმისდა მიხედვით, თუ რა დონეზე მუშაობს სოციალური მუშაკი ბენეფიციართან, გამოიყოფა ინტერვენციის/ჩარევის შემდეგი ძირითადი ტიპები:

**1. პირდაპირი ჩარევა** გულისხმობს პირდაპირ ინტერვენციასა და ზემოქმედებას ინდივიდის სისტემებზე, რომლის მიზანიცაა მისი გაძლიერება შემდეგი ძირითადი საშუალებებით:

- დახმარების აღმოჩენა;
- მიზნად დასახული ცვლილების მიღწევაში მხარდაჭერა;
- შესაძლებლობების მოძიება;
- ბენეფიციარის განათლება.

**2. ინფორმაციის მიცემა და გადამისამართება** ხორციელდება მაშინ, როდესაც სოციალურ მუშაკს ან მომსახურებას არ გააჩნია ინდივიდის დასახმარებლად აუცილებელი რესურსები და სერვისები და აწვდის მას ინფორმაციას იმ ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების შესახებ, რომლებიც შეძლებენ მის დახმარებას. ამ დროს სოციალური მუშაკი ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

- ინდივიდის პრობლემისა და საჭიროებების განსაზღვრა;
- ინდივიდისთვის აუცილებელი რესურსების მოძიება და ამის შესახებ მისი ინფორმირება;
- ინდივიდის მიერ მისთვის ყველაზე საუკეთესო რესურსების არჩევა;
- ინდივიდისთვის აუცილებელი რესურსების საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება და მათთან დაკავშირება;
- პირველი შეხვედრის ხელშეწყობა;
- ზედამხედველობა.

**3. გუნდური ჩარევა** გულისხმობს გუნდური მუშაობის პრინციპით ჩარევას. იმისათ-



ვის, რომ შემთხვევაზე გუნდთან ერთადვიმუშაოთ, საჭიროა მივიღოთ თანხმობა ბენეფიციარისგან მასზედ, რომ განვიხილოთ კოლეგებთან ერთად მისი შემთხვევის დეტალები. გუნდური ჩარევისას სოციალურ მუშაკს დაეხმარება საკუთარი თავის ცოდნა, რათა განსაზღვროს, თუ რა ძლიერი მხარეები აქვს ისეთი, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიან გუნდური მუშაობის პროცესისა და ჩარევის ეფექტიანობას. გუნდური ჩარევის ერთ-ერთი მაგალითია ინდივიდუალური **შემთხვევის კონფერენცია**, რომლის მიზანია, ბავშვის ინდივიდუალური შემთხვევის განხილვა ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებისა და მისი ბედით დაინტერესებული პირების, მულტიდისციპლინარული გუნდის (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მასწავლებელი, ექიმი, იურისტი, მშობელი, აღმზრდელი და სხვა) მიერ. ინდივიდუალური შემთხვევის კონფერენციის შედეგად შემუშავდება **გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა** ბენეფიციართან დაკავშირებით. ამ კონფერენციაზე თითოეულ სპეციალისტს ევალება წარმოადგინოს დასკვნა-ანგარიში ბენეფიციართან ჩატარებული სამუშაოსა და მოძიებული ინფორმაციის შესახებ. დასკვნა-ანგარიში უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებსაც, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ერთიან სამოქმედო გეგმაში. ინდივიდუალური შემთხვევის კონფერენციის მუშაობის პრინციპებია: ობიექტურობა, კონფიდენციალურობა და დაბალანსებული შემადგენლობა.

**4. არაპირდაპირი ჩარევა მოიცავს** ზემოქმედებას ბენეფიციარის სისტემებზე. სოციალური მუშაკი ერევა გარე სისტემებში იმისათვის, რომ გამოიწვიოს ცვლილება შიდა სისტემაში. მაგალითად, თემის გაძლიერება ბენეფიციარის სოციალური ფუნქციონირების აღდგენისათვის, ორგანიზაციის პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა კლიენტთათვის უკეთესი სერვისების მისაწოდებლად და ა.შ.

ინტერვენცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგ დონეებზე:

- ინტერვენცია ინდივიდის სისტემაში
- ინტერვენცია ოჯახის სისტემაში
- ინტერვენცია ინდივიდის სოციალური თანადგომის ქსელში
- ინტერვენცია თემის სისტემაში
- ინტერვენცია ორგანიზაციის სისტემაში
- ინტერვენცია სახელმწიფო სისტემაში

გამოყოფენ ინტერვენციათა მრავალ ტიპს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან გამოვიყენოთ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინტერვენცია შემდეგ სტრატეგიებს ეფუძნება:

- ოჯახის შიგნით ურთიერთობის გაღრმავება;
- თანადგომის ქსელის განვითარება;
- ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ურთიერთობის გაღრმავება;
- დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდების გაძლიერება;
- ახალი რესურსების განვითარება;
- ადვოკატირებისა და სოციალური მოქმედების გამოყენება;
- დაგეგმვა და ორგანიზება.

## ოჯახს შიგნით ურთიერთობების გაღრმავებისაკენ მიმართული ინტერვენციები

ოჯახის წევრები წარმოადგენენ ინდივიდის საჭიროებათა დაკმაყოფილების ერთ-ერთ მთავარ რესურსს. მათ შეუძლიათ სითბოსა და ზრუნვის გამოვლენა, ერთმანეთის დაცვა, ჯანმრთელობისათვის აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება, სიყვარულისა და თანადგომის გამოხატვა. მეორე მხრივ, ოჯახის წევრები შეიძლება ერთმანეთის მიმართ დესტრუქციულ ქცევას ამჟღავნებდნენ, რითაც ძირს უთხრიან ოჯახის სხვა წევრებს შორის ემოციური კავშირს. ოჯახთან მუშაობა და მისთვის კონსულტაციების მიწოდება ამ შემთხვევაში არის ის ინტერვენცია, რომელიც აღრმავებს ურთიერთობებს ოჯახს შიგნით.

## ინდივიდის თანადგომის ქსელის განვითარებისაკენ მიმართული ინტერვენციები

თავი V

არსებობს თანადგომის, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური ქსელი.

ინდივიდისათვის **თანადგომის არაოფიციალურ ქსელს** ქმნიან ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, და ახლოდანი ადამიანები. ადგილობრივ თემებში, სადაც არსებობს მეზობლობასა და ნათესაობაზე დაფუძნებული ძლიერი კავშირები, ინდივიდები ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობით გამოირჩევიან და ერთმანეთს თანადგომასა და მხარდაჭერას სთავაზობენ გაჭირვების ჟამს. თუმცა ადგილობრივ თემებშიც კი არიან ისეთი ინდივიდები და ოჯახები, რომლებიც გარემოსთან ნაკლებად ურთიერთობენ და არ ჰყავთ თანადგომის არაოფიციალური ქსელი. ის მონყვლადი ჯგუფები, რომლებიც გარიყულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხშირად მონყვეტილნი არიან თანადგომის ქსელს. ასეთი იზოლაცია შეიძლება შედეგად მოჰყვეს შემდეგ ფაქტორებს: მეჩხერად დასახლებული და გეოგრაფიულად იზოლირებული მდებარეობა, სტიგმა (მაგ. შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა შემთხვევაში), უნარშეზღუდულობა და სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობა. **თვითდახმარების ჯგუფები** სოციალური თანადგომის ქსელის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და შედგება ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო გამოცდილება ან იმყოფებიან ერთნაირ მდგომარეობაში. ისინი ცდილობენ, ერთმანეთის დაეხმარონ შეგუების უნარის გამომუშავებასა და სასიკეთო ცვლილების მიღწევაში. ასეთი ჯგუფების მუშაობა ეფუძნება გამოცდილების გაზიარებას და არა პროფესიონალურ-ექსპერტულ დახმარებას. იმის გაცნობიერება, რომ არსებობენ ანალოგიური გამოცდილებისა და მდგომარეობის ადამიანები, რომლებიც მზად არიან დასახმარებლად, ინდივიდისათვის დიდ თანადგომას წარმოადგენს, განსაკუთრებით ასეთ ჯგუფში ჩართვის საწყის ეტაპზე.

**თანადგომის ოფიციალური ქსელი** გულისხმობს სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციათა პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებული არიან ბენეფიციართა სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებაზე (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარება, ბავშვების დახმარება, მოხუცთა სასაფლაოები, თავშესაფრები და ა.შ.).

## **ინდივიდისათვის რესურსების მოპოვებისაკენ მიმართული ინტერვენციები**

მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს ხშირად სხვადასხვა მომსახურება და რესურსი ესაჭიროებათ, მათ შორის ჯანმრთელობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, რეაბილიტაციის, დასაქმებისა და განსახლების, განათლებისა და ბავშვთა დაცვის სფეროების მომსახურებები. ამ ინდივიდების საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის მიერ შემთხვევის სწორი მართვა, რაც სერვისის სისტემატურ და დროულ მიწოდებას ითვალისწინებს. სერვისის მენეჯერის საქმიანობა გულისხმობს რესურსების მოსაპოვებლად სხვა სააგანტოებთან თანამშრომლობას, ორმაგი მომსახურების თავიდან აცილებასა და მულტიდისციპლინარული ჯგუფის მუშაობის ერთიანი სტრატეგიის განვითარებას.

## **ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ურთიერთობის გაფართოებისაკენ მიმართული ინტერვენციები**

ბენეფიციარის შემთხვევაზე მუშაობა ხშირად მრავალი ორგანიზაციის ერთობლივ ჩართვას მოითხოვს. ორგანიზაციებს შორის ეფექტური ურთიერთობა აუცილებელია ბენეფიციარის გარემოს გასაძლიერებლად. მაგალითად, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ასრულებს მედიატორის როლს ბავშვის ოჯახსა და სკოლას შორის, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

## **ბენეფიციარის გაძლიერებისაკენ მიმართული ინტერვენციები**

სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში ბენეფიციარის გაძლიერება გულისხმობს, გამოვუმუშავოთ მას ისეთი უნარი, რომ გარემოსთან ურთიერთობისას გაიზარდოს მისი კეთილდღეობა და კმაყოფილების ხარისხი. (საკუთარი ცხოვრების მართვა, რალა თქმა უნდა, დაკავშირებულია როგორც ადამიანის შინაგან თავისებურებებთან კომპეტენტურობა (ცოდნა-გამოცდილება), თვითმეფასება, სოციალური ურთიერთობის უნარი), ასევე გარემო რესურსებთან (თანადგომის ქსელი, სამუშაო, საცხოვრებელი ადგილი და სხვა). გუტიერესის (1994 წ.) მიხედვით, ახალი უნარის განვითარებასთან ერთად, ბენეფიციარის გაძლიერება მიზნად უნდა ისახავდეს გარიყული ინდივიდების ან ჯგუფებისათვის საზოგადოებაში ძალაუფლების გადანაწილებისა და სხვადასხვა სოციალური სისტემების მიერ დამკვიდრებული სოციალური უთანასწორობის ფაქტორების ანალიზის სწავლებას. საზოგადოებისაგან გარიყულ ადამიანებს, რომლებიც სოციალური უთანასწორობის მსხვერპლნი ხდებიან, საკუთარი უფლებების დაცვისას ხშირად უუნარობისა და უსარგებლობის განცდა ეუფლებათ. გაძლიერების მიზანი სწორედ ასეთი ადამიანების დახმარებაა ძალის აღდგენასა და საკუთარი ცხოვრების მართვაში.

**ახალი რესურსების განვითარებისაკენ მიმართული ინტერვენციები** ბენეფიციარისათვის ახალი რესურსების შექმნის აუცილებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც არსებობს ინდივიდების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა საჭიროებებს არსებული რესურსები არ

შეესაბამება. მაგალითად, ახალგაზრდებისათვის გამაჯანსაღებელი პროგრამების ნაკლებობა, მარტოხელა დედათა შვილებისათვის დღის ცენტრების არარსებობა, დამნაშავეთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების სიმცირე ახალი პრობლემების საფუძველს წარმოადგენს. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები დგანან არაერთი პრობლემის წინაშე, როგორცაა მოზარდთა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სამეზობლო და სათემო თანადგომის ქსელის განვითარება, ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის სისტემის შექმნა და სხვა. სოციალურმა მუშაკებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, თემის ლიდერებსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რათა განვითარდეს ახალი რესურსები და პროგრამები ადგილობრივი თემების საჭიროებიდან გამომდინარე.

**ადვოკატირებისა და სოციალური ცვლილებისაკენ მიმართული ინტერვენციები**

სოციალურ სამუშაოში ადვოკატირება გულისხმობს ბენეფიციარებთან ერთად ან მათი სახელით მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს: (1) ისეთი მომსახურების მოპოვებას, რომელთა მიღებაც სხვაგვარად არ იქნებოდა შესაძლებელი; (2) არსებული სოციალური პოლიტიკის, პრაქტიკისა და პროცედურების შეცვლას ადამიანთა საკეთილდღეოდ და (3) ბრძოლას იმ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებისათვის, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომს გახდის რესურსებს. დახმარების საჭიროების მქონე ადამიანების ინტერესების დაცვა სოციალური მუშაკის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა. ადვოკატირება შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგ სიტუაციებში:

- როდესაც ინდივიდს უარს ეუბნებიან იმ მომსახურების მიწოდებაზე, რომელიც მას კანონით ეკუთვნის;
- როდესაც მომსახურება დამამცირებელი ფორმით მიეწოდება ადამიანს;
- როდესაც ინდივიდი იჩაგრება მისი სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, აღმსარებლობის და სხვა ფაქტორების გამო;
- როდესაც სახელმწიფოს ან მომსახურების პოლიტიკა ინდივიდის ინტერესებისათვის საზიანოა;
- როდესაც ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა;
- როდესაც მრავალ ადამიანს აქვს ერთი და იგივე საჭიროება და არ არსებობს სათანადო რესურსი ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის;
- როდესაც კრიზისის დროს წარმოიშობა განსაკუთრებული საჭიროებანი;
- როდესაც ადამიანს უარს ეუბნებიან ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე.

## სოციალური დაგეგმვისა და სათემო მობილიზაციისაკენ მიმართული ინტერვენციები

გულისხმობს მაკრო დონის მიდგომას სოციალურ სამუშაოში, რომლის დროსაც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად მუშაობს ისეთ სისტემებთან როგორებიცაა თემი, მოქალაქეთა ჯგუფები, ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ორგანიზაციის აღმასრულებლები, თემისა და სახელმწიფოს ლიდერები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნამიჭეიშვილი, ს. & მგელიაშვილი, მ. (2007). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების და პრაქტიკის ხელმძღვანელებისათვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
2. საძაგლიშვილი, შ. (2004). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები*. საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, საქართველო
3. Hepworth, D., Rooney, R. & Larsen, J. (2000). *Direct Social Work Practice: Theory and Skills*. (6th ed.). Pacific Grove, CA.: Brooks/Cole Publishing Co.
4. Kirst-Ashman, K. & Grafton H. Jr. (1999). *Generalist Practice with Organizations and Communities*. Nelson-Hall Publishers: Chicago

# თავი VI. ბავშვის განვითარების ეტაპები და თავისებურებები

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვის განვითარების შემდეგ ძირითად ეტაპებს: ადრეული ბავშვობა, შუა ბავშვობა, მოზარდობა და სიყმაწვილე. აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას ბავშვის განვითარების ეტაპების მაჩვენებლების შესახებ, კერძოდ კი ყურადღებას ამახვილებს განვითარების თითოეული ეტაპის ფიზიკურ, შემეცნებით და ემოციურ თავისებურებებზე. ასევე, განიხილავს, ბავშვის განვითარებაზე მოქმედ დამცავ და რიკს ფაქტორებს.

## 6.1 ბავშვის განვითარების ეტაპები

ბავშვის განვითარება საოცარი პროცესია. განვითარების პროცესს ზოგადი კანონზომიერება აქვს, თუმცა, თითოეული ბავშვი მაინც უნიკალურია და განვითარების ინდივიდუალური ტემპი ახასიათებს. ზოგიერთი ბავშვის განვითარება საერთო კანონზომიერებას არ ემორჩილება, რაც ხშირად ბავშვსაც და მის ოჯახსაც პრობლემებს უქმნის. სოციალური მუშაკისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნა, თუ რას უნდა ველოდოთ ბავშვისაგან ამა თუ იმ ასაკში; როგორ შევუწყოთ ხელი მის განვითარებას და შევუქმნათ ამისათვის ხელსაყრელი გარემო; როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვი განვითარებით ჩამორჩება, რათა დროულად მივაქციოთ ყურადღება.

ტერმინი „**განვითარება**“ ადამიანის სხეულისა და ქცევის იმ ცვლილებებს გულისხმობს, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიმჩნევა ორგანიზმის ბიოლოგიური მონაცემების და გარემოსთან მისი ურთიერთობის წყალობით. ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა თანდათანობითი, შეუმჩნეველი, უწყვეტი პროცესია და მერყეობით ხასიათდება. ბავშვის განვითარება შემდეგ სტადიებად შეიძლება დაიყოს:

- პრენატალური პერიოდი** — ჩასახვიდან ბავშვის დაბადებამდე;
- ჩვილობა (ახალშობილობა)** — დაბადებიდან 18-24 თვემდე;
- ადრეული ბავშვობა** — 2-3 წლიდან 5-6 წლამდე;
- შუა ბავშვობა** — 6-დან 11-12 წლამდე;
- მოზარდობა და სიყმაწვილე** — დაახლოებით 11-12 წლიდან 18-21 წლამდე.

## 6.2 ადრეული ასაკის ბავშვის განვითარება

ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების ცალკე გამოყოფა განაპირობა ამ ასაკში ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი და სოციალური განვითარების თავისებურებებმა. ბავშვები არა მხოლოდ ზომიერ იმატებენ, არამედ ვითარდებიან, იხვეწებიან და სწავლობენ, თუ როგორ გაუგონ მშობლებს და სხვა ადამიანებს, როგორ იარსებონ ცვალებად და პრობლემებით სავსე გარემოში. ადრეული ასაკის ბავშვის ნორმალური და ჯანსაღი განვითარებისთვის არ არის საკმარისი მისი მხოლოდ საკვებით, უსაფრთხოებით და ჯანმრთელობით უზრუნველყოფა, აუცილებელია მასთან ურთიერთობა/ინტერაქცია, სტიმულაცია, სითბო და შემეცნებითი სავარჯიშოები.

საერთაშორისო გაგებით, ადრეული ასაკის ბავშვობა იწყება ჩასახვიდან და გრძელ-

დება 8 წლის ასაკამდე. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ლიტერატურაში ეს ასაკობრივი ზღვრები შეიძლება სხვადასხვა იყოს. საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვად მიიჩნევა ბავშვი სამი წლის ასაკამდე. ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები, ძირითადად, საგნების მეშვეობით აღიქვამენ სამყაროს. ისინი მიმართავენ ექსპერიმენტებს, იღებენ არასასურველ შედეგებს და ხვდებიან, რომ მეორედაც ამ ქცევის იმავე სახით გამეორება იმავე შედეგის მომტანი იქნება. ამ დროს აუცილებელია, რომ მშობლებმა და მზრუნველებმა მათ უსაფრთხო გარემო შეუქმნან.

**ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების ეტაპების ჩარჩო**

ასაკი	რას აკეთებენ	რას სჭირდებათ
3 თვემდე	ამ ასაკში ისინი თვალს აყოლებენ საგნებს, ილიმიან, მოსწონთ სახეების და ნათელი ფერების ყურება. პირველად ხედავენ ზედა და ქვედა კიდურებს, თავს წევენ და აბრუნებენ ხმაურის მიმართულებით, ტირიან, მაგრამ ხშირად ჩუმდებიან ხელში აყვანისას.	ფიზიკური საფრთხეებისგან დაცვა. ადეკვატური კვება, ადეკვატური ჯანდაცვა (იმუნიზაცია, რეჰიდრატაციული თერაპია/ გაუნყოფისგან დაცვა, ჰიგიენური ნორმების დაცვა), მოტორული და სენსორული სტიმულაცია, საუბარი მასთან, მშობლის მხრიდან პასუხისმგებლობით აღსავსე და მგრძობიარე დამოკიდებულება.
4-6 თვის	ამ ასაკისთვის ბავშვები ხშირად ილიმებიან, მშობლების და უფროსი და/ძმის დანახვაზე გამოხატავენ დადებით ემოციებს, იმეორებენ მოქმედებებს, რომლებსაც მათთვის საინტერესო შედეგი მოჰყვება, ისმენენ ყურადღებით, პასუხობენ, როდესაც ელაპარაკებიან მას, იცინიან და კისკისებენ, ბაძავენ ხმებს, შეისწავლიან ქვედა და ზედა კიდურებს, პირში იღებენ საგნებს, დახმარებით შეუძლიათ დაჯდომა, ბრუნდებიან მუცლიდან ზურგზე და პირიქით, ხტებიან წამოჯდომისას, სწრაფად მოძრაობენ, იტაცებენ საგნებს ცერა თითის გამოყენების გარეშე.	ფიზიკური საფრთხეებისგან დაცვა. ადეკვატური კვება, ადეკვატური ჯანდაცვა (იმუნიზაცია, რეჰიდრატაციული თერაპია/ გაუნყოფისგან დაცვა, ჰიგიენური ნორმების დაცვა), მოტორული და სენსორული სტიმულაცია, საუბარი მასთან, მშობლის მხრიდან პასუხისმგებლობით აღსავსე და მგრძობიარე დამოკიდებულება.
7-12 თვის	ბავშვები იმახსოვრებენ მარტივ მოვლენებს, ცნობენ საკუთარ თავს და აღიქვამენ საკუთარი სხეულის ნაწილებს, ნაცნობ ხმებს, ცნობენ საკუთარ სახელს და სხვა სიტყვებს, ამბობენ პირველი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, შეისწავლიან და აქნევენ ხელში ალებულ საგნებს. ჯდებიან და დგებიან დამოუკიდებლად, შეუძლიათ სიარული, მორცხვობენ უცხო ადამიანების დანახვისას.	ფიზიკური საფრთხეებისგან დაცვა. ადეკვატური კვება, ადეკვატური ჯანდაცვა (იმუნიზაცია, რეჰიდრატაციული თერაპია/ გაუნყოფისგან დაცვა, ჰიგიენური ნორმების დაცვა), მოტორული და სენსორული სტიმულაცია, საუბარი მასთან, მშობლის მხრიდან პასუხისმგებლობით აღსავსე და მგრძობიარე დამოკიდებულება.

<p>1-2 წლის</p>	<p>ამ ასაკში ბავშვები ბაძავენ მის გარშემო მყოფი ადამიანების ქმედებებს, საუბრობენ და ესმით სიტყვები და ამ სიტყვების აზრი. უხარიათ, როდესაც რაიმეს უყვებიან და მოსწონთ საგნებით თამაში, ფეხზე დგანან მყარად და დადიან, ადიან კიბეზე, დარბიან, მოსწონთ დამოუკიდებლად მოძრაობა, ასევე მოსწონთ ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობა. გრძნობენ საგნების საკუთრებას, იძენენ მეგობრებს, წყვეტენ პრობლემებს, გამოხატავენ სიამაყეს შედეგების მიღწევისას.</p>	<p>წინა ასაკობრივი კატეგორიის საჭიროებებთან ერთად, ბავშვებს სჭირდებათ დახმარება მოძრაობების ასათვისებლად, რათა ისწავლონ მეტყველებისა და ფიქრის მართვა, თამაში და სხვა ბავშვებთან ურთიერთობა. ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჭიებისგან და სხვა პარაზიტებისგან გათავისუფლება.</p>
<p>2-3,5 წლის</p>	<p>ამ ასაკისთვის ბავშვებს უხარიათ ახალი უნარ-ჩვევების შეძენა, სწრაფად სწავლობენ ენას/ მეტყველებას, ყოველთვის მზადყოფნაში არიან იმოძრაონ, სრულად აკონტროლებენ ხელებს და თითებს, ადვილად ღიზიანდებიან, მოქმედებენ უფრო დამოუკიდებლად, მაგრამ მაინც დამოკიდებული არიან მოზრდილებზე, იმეორებენ ნაცნობ ქმედებებს.</p>	<p>წინა ასაკობრივი კატეგორიის საჭიროებებთან ერთად, ამ ასაკის ბავშვებს სჭირდებათ შემდეგი ქმედებებისათვისება: გააკეთონ არჩევანი, ითამაშონ თეატრალური როლები, ათვალეონ/წაიკითხონ უფრო და უფრო რთული წიგნები, იმღეონ საყვარელი სიმღერები, ამოხსნან მარტივი გამოცანა/ ამოცანები.</p>
<p>3,5-5 წლის</p>	<p>ამ ასაკისთვის ბავშვებს უფრო დიდხანს აქვთ ყურადღების დაყოვნების უნარი, იქცევიან დაუფიქრებლად/გაუაზრებლად, ხშირად იქცევიან სულელურად, არიან ალგუნებულები, ამბობენ მოულოდნელ რამეებს, სვამენ უამრავ კითხვას, ითხოვენ ზრდასრული ადამიანის საგნებს და ცდილობენ ქცევაშიც მიბაძონ მას, გაბედულად ცდიან საკუთარ ფიზიკურ მონაცემებს, ამჟღავნებენ გრძნობებს, როცა თამაშობენ თეატრალურ როლებს, მოსწონთ მეგობრებთან თამაში, არ მოსწონთ თამაშში წაგება, სხვას უზიარებენ საგნებს და სწავლობენ რიგრიგობით თამაშს.</p>	<p>წინა ასაკობრივი კატეგორიის საჭიროებებთან ერთად, ამ ასაკის ბავშვებს სჭირდებათ: ნატიფი მოტორიკის განვითარება, მეტყველების დასახვეწნად კითხვა და სიმღერა, თანამშრომლობის უნარის განვითარება დახმარებისა თუ ნივთების თხოვების გზით, კითხვისა და წერის მცდელობა.</p>
<p>5-8 წლის</p>	<p>ამ ასაკში ბავშვებს უვითარდებათ მზარდი ინტერესი ადამიანების და სხვადასხვა მოვლენის/საგნის მიმართ, აინტერესებთ რიცხვები/ ციფრები, ასოები, წერა და კითხვა. უფრო მეტად რწმუნდებიან საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებში, ლაპარაკობენ საკუთარ გრძნობებზე, მოსწონთ ზრდასრული ადამიანებივით მოქცევა, მოსწონთ გარეთ თამაში, თამაშობენ სხვა ბავშვებთან ერთად.</p>	<p>წინა ასაკობრივი კატეგორიის საჭიროებებთან ერთად, ამ ასაკის ბავშვებს სჭირდებათ შემდეგი ქმედებების შესაძლებლობები: განავითარონ წერა-კითხვის უნარი, მონაწილეობა მიიღონ პრობლემების გადაჭრაში, ჩაერთონ ჯგუფურ მუშაობაში, დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში, დააკვირდნენ საგნებს/მოვლენებს და გააანალიზონ ის, განვიითარონ სიცოცხლისთვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები, დაესწრონ საგანმანათლებლო ღონისძიებებს.</p>



## პრენატალური განვითარება

პრენატალური განვითარება დინამიური პროცესია, რომლის მეშვეობითაც ადამიანის ერთუჯრედიანი ზიგოტა გარდაიქმნება 100 ტრილიონი უჯრედისაგან შემდგარ ზრდასრულ ორგანიზმად. დღეისათვის მკვლევარებისათვის ცნობილია, რომ ზრდასრული ორგანიზმის მიერ შესრულებული მრავალი ყოველდღიური მოქმედების უნარი ყალიბდება ფეხმძიმობის პერიოდში, ხშირად — დაბადებამდე დიდი ხნით ადრე.

შობის წინა მომნიშვნის პერიოდი სულ უფრო ხშირად აღიქმება, როგორც მოსამზადებელი დრო, რომლის განმავლობაშიც ადამიანის განვითარებადი ორგანიზმი იძენს მრავალ სტრუქტურას და ავარჯიშებს მრავალ უნარ-ჩვევას, რომელიც საჭიროა შობის შემდგომი სიცოცხლისათვის.

ადამიანის ფეხმძიმობა, ჩვეულებრივ, 38 კვირამდე გრძელდება დაწყებული განაყოფიერების, ანუ ჩასახვის მომენტიდან დაბადებამდე.

განაყოფიერების შემდგომი პირველი 8 კვირის განმავლობაში ადამიანის განვითარებად ორგანიზმს ემბრიონი ეწოდება, რაც „შიგნით მზარდს“ ნიშნავს. ემბრიონულ პერიოდში ყალიბდება ადამიანის ორგანიზმის უმთავრესი სისტემები.

8 კვირის შესრულებიდან ფეხმძიმობის ბოლომდე ადამიანის განვითარებად ორგანიზმს „ჩანასახი“ ეწოდება. აღნიშნული დროის განმავლობაში, რომელსაც ჩანასახის პერიოდი ეწოდება, ორგანიზმი იზრდება და მისი სისტემები ფუნქციონირებას იწყებენ.

### ადამიანის განვითარება მუცლად ყოფნის პერიოდში თვეების მიხედვით

თვე	განვითარების მახასიათებლები
პირველი	კვერცხუჯრედის განაყოფიერება, ზიგოტის ინპლანტაცია საშვილოსნოს კედელში, უჯრედები ინტენსიურად მრავლდება, ემბრიონალური სტადია გრძელდება 2-დან 8 კვირამდე, ნერვული სისტემა იწყებს განვითარებას.
მეორე	გული და სისხლძარღვები ვითარდება, სწრაფი ტემპით ვითარდება თავის მიდამო, ყალიბდება თვალბუცხის დეტალები, ვითარდება შინაგანი ორგანოები, განსაკუთრებით, საჭმლის მომნელებელი ორგანოები, სასქესო ორგანოები ვითარდება სწრაფად და ყალიბდება ბავშვის სქესი, ზედა და ქვედა კიდურები ვითარდება და იზრდება, იწყება სუსტად გამოხატული გულისცემა.
მესამე	თავი სწრაფად იზრდება, იწყება ძვლების ფორმირება, საჭმლის მომნელებელი ორგანოები იწყებენ ფუნქციონირებას, ზედა და ქვედა კიდურები, თითები იწყებენ სპონტანურ მოძრაობებს. სიგრძე — 75 მმ, წონა — 28 გ.
მეოთხე	სხეულის ქვედა ნაწილები სწრაფად იზრდება, რენდგენით უკვე შეიძლება ძვლების გარჩევა, რეფლექსური მოძრაობა უფრო შესამჩნევი ხდება, გულისცემა უკვე კარგად შესამჩნევი, სასქესო ორგანოები ბოლომდე ჩამოყალიბებულია. სიგრძე — 18 სმ, წონა — 140 გ.
მეხუთე	დედა იწყებს შვილის რეფლექსური მოძრაობის შეგრძნებას, ვითარდება ყურების და ცხვირის ხრტილები, ყალიბდება ხელის და ფეხის ფრჩხილები, იწყებს ცერა თითის ნოვას, სლოკინს და ფეხების დარტყმას. სიგრძე — 30 სმ, წონა — 400 გ.
მეექვსე	თვალბუცხი სრულად ჩამოყალიბებულია, ვითარდება კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი. სიგრძე — 36 სმ, წონა — 900 გ.
მეშვიდე	ინტენსიურად ვითარდება თავის ტვინის ქერქი. სიგრძე — 43 სმ, წონა — 1.4 კგ.
მერვე	ცხიმოვანი ფენა ჩამოყალიბებულია, ფრჩხილები სცდება თითის კიდებს. სიგრძე — 43 სმ, წონა 2.2 კგ.
მეცხრე	ამოდის თმის საფარი, ორგანოთა სისტემები აქტიურად მუშაობს, ბავშვი იღებს დაბადებისთვის საჭირო პოზიციას, თავით ქვემოთ. ახალშობილი უნდა იყოს სიგრძით 53 სმ, წონით — 3.1 კგ.

ამ ცხრილის გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ნერვული ქსოვილის ჩამოყალიბების ეტაპები ყველაზე მგრძობიარეა, თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ეტაპები ნაკლებმნიშვნელოვანია. კარგად უნდა გავითავისოთ ისიც, რომ დაბადებამდე დედის სხეული ბავშვის გარემოს წარმოადგენს. სწორედ ამ გადასახედიდან ყველაფერი, რაც ქალის სხეულში ხდება, აისახება ბავშვის ჯანმრთელობაზე, ფსიქომოციურ და სოციალურ განვითარებაზე. უფრო მეტიც, არსებობს თეორიები, რომლების თანახმადაც, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორებსაც კი შეუძლიათ ძლიერი ზეგავლენა მოახდინონ ბავშვის ცხოვრებაზე დაბადებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც კი.

თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, გასაგები ხდება, რომ აუცილებელია დედა უზრუნველყოფილი იყოს სრულფასოვანი კვებით, რაც, როგორც წესი, ნიშნავს ბავშვის სრულფასოვან კვებას; თავიდან უნდა იქნეს აცილებული ყველანაირი დაავადება და ყოველი წამლის მიღებისას აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია. გარდა ამისა, ორსულს უნდა ჰქონდეს მედიკამენტების ჩამონათვალი, რომლის მიღებაც დასაშვებია მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. ორსულობა თავისთავად დიდ ცვლილებებს იწვევს და ყოველი დამატებითი დაავადება კიდევ ერთი სტრესია ქალის ორგანიზმისთვის. ორსულს უნდა შეექმნას შეძლებისდაგვარად ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქოსოციალური გარემო, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი პრობლემები, როგორცაა თანდაყოლილი დაავადებები, ნაადრევი მშობიარობა და ისეთი პათოლოგიები, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინოს წლების შემდეგ.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ორსულების მიერ სიგარეტის მოწევა. თამბაქოს კვამლი ემბრიონზე ან ნაყოფზე დამაზიანებლად მოქმედებს და იწვევს სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის, მათ შორის, სასქესო ორგანოების განვითარების მანკებს.

## წლამდე ასაკის ბავშვის მოტორული განვითარება და მისი შეფასება

მოტორული განვითარების შეფასება ბავშვის ჯანმრთელობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. **მოტორული განვითარება არის ბავშვის უნარი სხვადასხვა ჯგუფის კუნთების გამოყენებით შესარულოს ესა თუ ის მოძრაობა.** იგი მოიცავს უხემ და ნატიფ მოტორიკას. **უხეში მოტორიკა** არის ბავშვის უნარი აკონტროლოს მსხვილი კუნთები, რომლის საშუალებითაც იგი ახერხებს თავის დაჭერას, ჯდომას, სიარულს და სხვ. **ნატიფი მოტორიკა** არის ბავშვის უნარი აკონტროლოს წვრილი კუნთები (ხელი, თვალი), რომლის საშუალებითაც იგი ახერხებს თავლი გააყოლოს საგნებს, მოეჭიდოს სათამაშოს და სხვ.

მოტორული განვითარების შეფასება ბავშვზე დაკვირვების თანმიმდევრული პროცესია, რომლის დროსაც ფასდება ბავშვის ასაკის შესაბამისი მიღწევები და უნარ-ჩვევები მოტორულ სფეროში. ასევე, დროულად განისაზღვრება განვითარების ჩამორჩენის საფრთხე.

ბავშვის ფიზიკური და მოტორული განვითარების მაჩვენებლები

ასაკი	უსეპი მოტორიკა	ნატივი მოტორიკა
0-1 წელი	<ul style="list-style-type: none"> <li>• 1 თვის — მუცელზე წოლისას ცდილობს თავის წამოწეას.</li> <li>• 2 თვის — უჭირავს თავი სწორად, მუცელზე წოლისას გულმკერდს წევს მაგიდიდან.</li> <li>• 3 თვის — მუცელზე წოლისას ეყრდნობა იდაყვებს, თავისუფლად უჭირავს თავი.</li> <li>• 4 თვის — ბრუნდება ზურგიდან მუცელზე.</li> <li>• 6 თვის — ბრუნდება მუცლიდან ზურგზე, ჯდება დახმარებით.</li> <li>• 7-8 თვის — ჯდება დამოუკიდებლად.</li> <li>• 8 თვის — ცოცავს.</li> <li>• 9 თვის — დგება დახმარებით.</li> <li>• 11-12 თვის — დამოუკიდებლად დგას საყრდენის გარეშე.</li> <li>• 12 თვის — დადის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 1 თვის — აფიქსირებს მზერას სინათლეზე.</li> <li>• 2 თვის — თვალს აყოლებს მოძრავ საგანს.</li> <li>• 4-4,5 თვის — ცდილობს ორი ხელით მისწვდეს სათამაშოს და მიიტანოს პირთან.</li> <li>• 5 თვის — მშობლების ხელიდან იღებს სათამაშოს.</li> <li>• 6 თვის — ერთი ხელით იღებს სათამაშოს, გადააქვს ერთი ხელიდან მეორეში.</li> <li>• 7 თვის — ათვალთვლებს და ერთიმეორეს ურტყამს სათამაშოებს</li> <li>• 9 თვის — სათამაშოს იჭერს 3 თითით.</li> <li>• 10-11 თვის — სათამაშოს იჭერს 2 თითით.</li> <li>• 12 თვის — აღებს და ხურავს ყუთს, უსვამს ფანქარს ქალაღზე.</li> </ul>
1-3 წელი	<ul style="list-style-type: none"> <li>• 15 თვის — ადის საფეხურზე, შეუძლია მოძრაობა უკან სვლით.</li> <li>• 18 თვის — დარბის, შეუძლია ჯოხზე გადაბიჯება, წინაღობაზე გადასვლა.</li> <li>• 24 თვის — დარბის, ადის და ჩამოდის კიბეზე დაუხმარებლად (ორივე ტერფის ერთ საფეხურზე მოთავსებით).</li> <li>• 2-2,5 წლის — სირბილი, უკუსვლით სიარული, წინააღმდეგობაზე გადაბიჯება.</li> <li>• 3 წლის — ფეხის მონაცვლეობით აბიჯებს 30 სმ-ის სიმაღლის ბარიერს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 1,5 წლის — აგებს კოშკს 2-3 კუბით, ჩხაპნის, აცმევს და ხდის თოჯინას, შეუძლია წიგნის გადაფურცვლა, ჩაცმის დროს ეხმარება უფროსს ხელების და ფეხების წინ წამოწევით.</li> <li>• 2-2,5 წლის — აგებს კოშკს 4-7 კუბისაგან, დამოუკიდებლად ჭამს, თვითონ იხდის ფეხსაცმელს, წინდას, ქუდს, შეუძლია წიგნის გადაფურცვლა.</li> <li>• 3 წლის — შეუძლია წყლიანი ჭიქის გადატანა, ხატავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს, იხატავს წრეს.</li> </ul>

## საშიშროების ნიშნებს განეკუთვნება, შემდეგი ფაქტორები:

### უხეში მოტორიკა

- 3 თვის — ვერ იჭერს თავს.
- 4 თვის — ხელის მოკიდების და წამოწევისას არ იწევს დასაჯდომად.
- 5 თვის — არ ბრუნდება ზურგიდან მუცელზე.
- 8 თვის — ვერ ჯდება დამოუკიდებლად.
- 11 თვის — დახმარებითაც ვერ დგება ფეხზე.
- 15 თვის — არ დადის ცალხელმოკიდებული.
- 18 თვის — არ დადის დამოუკიდებლად.
- 24 თვის — ფეხს არ ურტყამს ბურთს.
- 36 თვის — კიბეზე ვერ ადის დახმარების გარეშე.

### ნატიფი მოტორიკა

- 2 თვის — არ აფიქსირებს მზერას საგანზე.
- 5 თვის — არ შეუძლია სათამაშოს დაჭერა.
- 7 თვის — არ შეუძლია სათამაშოს ერთ ხელში დაჭერა და მეორეში გადატანა.
- 9 თვის — არ შეუძლია სათამაშოს ხელიდან ხელში გადატანა.
- 10 თვის — არ შეუძლია სათამაშოს დაჭერა ორი თითით.
- 15 თვის — არ შეუძლია საგნის აღება ან დადება.
- 24 თვის — ვერ ატარებს ბორბლიან სათამაშოს.
- 36 თვის — არ შეუძლია სწორი ხაზის გასმა, ვერ იხატავს წრეს.

მოტორული განვითარების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ბავშვი „ტოვებს“ ზოგიერთ ეტაპს. მაგ.: შეიძლება არ დაინყოს ხოხვა და პირ-დაპირ დაინყოს სიარული. და ეს არ ითვლება პათოლოგიად.

**მოტორული განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება, კერძოდ, აუცილებელია ბავშვის მოძრაობების ნახალისება:**

#### 1 წლამდე

- საწოლთან სათამაშოების ჩამოკიდება, რათა ბავშვი შეეცადოს, მისწვდეს მათ.
- ხელში სათამაშოს ჩადება, რათა ბავშვმა დაიჭიროს ის.
- ხოხვის „ტექნიკის“ დასაუფლებად გაშლილი სივრცის უზრუნველყოფა, სათამაშოების ისე მოთავსება, რომ ბავშვს სათამაშოს ხელში ჩასაგდებად მისკენ მოძრაობა დასჭირდეს.
- კოვზის ხელში მიცემა და „ჭამის“ პროცესში მონაწილეობა.

#### 1 წლისთვის

- სკამზე, ტახტზე, სავარძელზე აცოცების ხელშეწყობა.
- ბურთის გაგორება და გადაგდება.
- ბურთზე ფეხის დარტყმა.

- ისეთი თამაშები და საქმიანობები, რომლებიც ხელის კუნთების განვითარებაში დაეხმარება: მაგ., მსხვილი საგნების ყუთში ჩალაგება და გადმოყრა, კოშკის აწყობა, დამოუკიდებლად ჭამა, ხატვა და სხვ.

- ქალაქის დახვევა.

### 2-3 წლისთვის

- ფუნჯით ხატვა, მაკრატლით გამოჭრა, ძერწვა.
- „წერა“.
- წერილი სათამაშოების ყუთში ჩაყრა.
- ხტუნვა, ბურთით თამაში, ასკინკილა, თითის წვერებზე სიარული.
- ცომით თამაში.
- წიგნის „კითხვა“.

### 0-3 წლამდე ასაკის ბავშვის შემეცნებითი განვითარება და მისი შეფასება

**შემეცნებითი (კოგნიტური) განვითარება არის ბავშვის უნარი აღიქვას, გააანალიზოს, დაიმახსოვროს, მიიღოს გადაწყვეტილება და შეძლოს პრობლემის გადაჭრა.** კოგნიტური სფეროს განვითარებაზე არის დამოკიდებული სასკოლო მზაობა. ბავშვთა ადრეულ ასაკში კოგნიტური სფეროს განვითარებაზე მიუთითებს მეტყველების განვითარება.

ტერმინი, **განვითარების ნიშნები**, გამოიყენება ბავშვის ასაკის შესაბამისი მიღწევების აღსანიშნავად, მაგალითად, დამოუკიდებლად გადატრიალება, დამოუკიდებლად წამოჯდომა, ხოხვა, სიარული. ბავშვის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს ნორმის შესაბამისად, თუ იგი სათანადო ასაკში აღწევს განვითარების ყველა სფეროს ნიშანს.

ბავშვის განვითარების შეფასება არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ანამნეზურ მონაცემებს, დედის სუბიექტურ მოსაზრებას; აუცილებელია განვითარების შეფერხების საშიშროების ნიშნების და განვითარების ცალკეული სფეროს ასაკის შესაბამისი ნიშნების შეფასება, დედისა და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება.

ბავშვზე დაკვირვებისას გაითვალისწინეთ, რომ მისი ასაკის შესაფერი მოქმედებანი 4-5 თვის ასაკში მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მისი ზოგადი განვითარების სტატუსზე.

თუ ბავშვი ვერ ასრულებს ასაკის შესაბამის მოქმედებებს, საშიშროების ნიშნების შეფასებისას უნდა გამოირიცხოს აღმზრდელითი ხასიათის მიზეზები (ბავშვი შეიძლება ვერ ხოხავდეს, თუ მას ამის საშუალებას არ აძლევენ, ბავშვი შეიძლება ცუდად იჭერდეს ან იკავებდეს სათამაშოს, თუ მას არასდროს აძლევდნენ სათამაშოს).

ბავშვის განვითარების შეფასება ნიშნავს ასაკის შესაფერისი უნარ-ჩვევებისა და საშიშროების ნიშნების განსაზღვრას. თითოეული უნარი გარკვეულ ასაკში ყალიბდება, ყველა შემდგომი უნარის ჩამოყალიბება დამოკიდებულია განვლილ ასაკობრივ პერიოდში ჩამოყალიბებულ უნარ-ჩვევებზე. მაგ.: ბავშვი ვერ დადგება, თუ არ დაჯდა; ვერ გაივლის, თუ არ დადგა და სხვ. რომელიმე ერთ სფეროში ჩამორჩენა შესაძლებელია სხვა სფ-

ეროს განვითარების შეფერხების მიზეზი გახდეს. მაგ.: თუ ბავშვი ვერ დადის, ის ვერ იკვლევს გარემოს, ამას შეიძლება მოჰყვეს შემეცნების განვითარების შეფერხება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში მშობლების სათანადო დახმარებით ბავშვის გონებრივი განვითარება შეუფერხებლად წარიმართება. ასე, რომ შესაძლებელია ბავშვს აღენიშნებოდეს მხოლოდ ერთი სფეროს ჩამორჩენა.

1 წლამდე ასაკში მოტორული განვითარების შეფერხება უფრო ადვილი ამოსაცნობია ვიდრე შემეცნებითი განვითარების შეფერხება. მოტორული განვითარების შეფერხება შესაძლოა წარმოადგენდეს კოგნიტური განვითარების შემდგომი შეფერხების საწყის ნიშანს. აუცილებელია გარკვეული კლინიკური ნიშნების განსაზღვრა მოტორული განვითარების შეფერხების გამოსავლენად. ეს ნიშნები შემდეგია: კუნთოვანი ტონუსის ცვლილებები, მოტორული უნარის ჩამოყალიბების ატიპიური მიმდინარეობა, ატიპიური მოძრაობები, პათოლოგიური რეფლექსების არსებობა. აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფსიქომოტორული განვითარება ყოველთვის არ მიმდინარეობს სქემის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში იგი შეიძლება ჩამორჩეს ან წინ გაუსწროს ასაკობრივ პერიოდებს. ეს დამოკიდებულია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, სოციალურ გარემოზე, აღზრდისა და მოვლის პირობებზე და სხვ. შესაბამისად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს ჩამორჩენის მიზეზი — ნერვული სისტემის დაზიანება, ინტერკურენტული დაავადება თუ მოვლისა და აღზრდის დეფექტი.

**კოგნიტური განვითარების შეფასება (1-12 თვე)**

ასაკი/თვე	სწავრო/გრძნობათა ორგანოები	განვითარების ნიშნები
1	მხედველობა	ხანმოკლედ აფიქსირებს მზერას.
	შემეცნებითი/სმენა	კრთება ძლიერ ხმაურზე.
2	ნატიფი მოტორიკა/ მხედველობა	თვალს აყოლებს მოძრავ საგანს.
	შემეცნებითი/სმენა	რეაგირებს ხმაზე.
	შემეცნებითი/მეტყველება	ინყებს ლულუნს, წარმოთქვამს ცალკეულ ბგერებს.
	სოციალური/ემოცია	ილიმება ლაპარაკის ან გალიმების საპასუხოდ.
3	მხედველობა	ხანგრძლივად აფიქსირებს მზერას უძრავ საგანზე.
	მხედველობა	აბრუნებს თავს საგნის მიმართულებით, აფიქსირებს მას და აყოლებს თვალს სრულად, ყველა მიმართულებით.
	შემეცნებითი/ნატიფი მოტორიკა	ათვალთვლებს საკუთარ ხელებს, აკვირდება სახეებს.
	ემოცია/შემეცნებითი/სოციალური	როდესაც ელაპარაკებიან, ილიმება და წარმოთქვამს ცალკეულ ბგერებს.
	ნატიფი მოტორიკა	სწრაფად ეჭიდება ხელში ჩადებულ საგანს.
	ემოცია/სოციალური	ნაცნობი პირებისა და საგნის დანახვაზე გამოხატავს სიხარულს ფეხების მოძრაობით და ბგერებით.

4	შემეცნებითი /სმენა	აბრუნებს თავს ხმაურის საპასუხოდ.
	შემეცნებითი	ინყებს გარემოს დათვალეერებას.
	ნატიფი მოტორიკა	ინწევს საგნისაკენ, იჭერს ხელთან მიტანილ სათამაშოს და მიაქვს პირთან.
	ემოცია	ხმამალლა იცინის.
	ემოცია/სოციალური	ცნობს ახლობლებს, გამოხატავს დადებით ემოციებს.
6	ნატიფი მოტორიკა	ხელიდან ხელში გადააქვს სათამაშო.
	შემეცნებითი	ნაცნობ ადამიანებს უცხოებისგან ასხვავებს, უცხოობს.
	კოგნიტური/მეტყველება	ტიტინებს, გამოთქვამს ცალკეულ მარცვლებს.
	სოციალური	რეაგირებს საკუთარ სახელზე.
9	ნატიფი მოტორიკა	სათამაშოს სამი თითით იღებს.
	შემეცნებითი	კითხვაზე „სად არის“ ირჩევს სათანადო საგანს სათამაშოებიდან.
	სოციალური	იცის საკუთარი სახელი, ტრიალდება დაძახებაზე.
	შემეცნებითი/სოციალური	თხოვნაზე უკრავს ტაშს, უქნევს ხელს.
12	ნატიფი მოტორიკა	საგნებს იღებს ცერისა და საჩვენებელი თითის გამოყენებით.
	ნატიფი მოტორიკა	აღებს და ხურავს ყუთს, უსვამს ფანქარს ქაღალდზე, ცდილობს მანქანის გაგორებას.
	შემეცნებითი	ასრულებს მარტივ დავალებებს.
	შემეცნებითი	ნაცნობ გმირებს და საგნებს წიგნში თითით გვიჩვენებს.
	შემეცნებითი/მეტყველება	მიზანიმართულად ამბობს 2-4 სიტყვას.

კოგნიტიური განვითარების შეფასება (15 თვე-3 წელი)

ასაკი/ თვე	სფერო/პრქნობათა ორგანოები	განვითარების ნიშნები
15	შემეცნებითი/მეტყველება	ამბობს რამდენიმე სიტყვას, ზოგჯერ მათ ძალიან ამახინჯებს.
	ნატიფი მოტორიკა	ხატავს უსწორმასწორო ფიგურებს.
	ნატიფი მოტორიკა/ თვითმომსახურება	კოვზი და ჭიქა დამოუკიდებლად უჭირავს.
	შემეცნებითი	უთითებს საგანზე, რომელიც უნდა.
18	შემეცნებითი/მეტყველება	ბევრ სიტყვას ამბობს გასაგებად.
	შემეცნებითი	არჩევს ფორმებს: ბურთი, კუბი და სხვ.
	ნატიფი მოტორიკა/ თვითმომსახურება	შეუძლია ტანსაცმლის გახდა.
	ნატიფი მოტორიკა	3 კუბით აგებს კოშკს.
	ნატიფი მოტორიკა/ თვითმომსახურება	შეუძლია ჭამოს დამოუკიდებლად.
24	ნატიფი მოტორიკა	გადაშლის სათითაო ფურცელს.
	ნატიფი მოტორიკა	აშენებს 4-7-კუბიან კოშკს.
	შემეცნებითი/მეტყველება	ამბობს 2-3-სიტყვიან წინადადებებს.
	შემეცნებითი/მეტყველება	საუბრისას იყენებს ნაცვალსახელებს: მე, შენ, ჩემი.
36	შემეცნებითი/მეტყველება	მეტყველებაში იყენებს რთულ წინადადებებს.
	შემეცნებითი/მეტყველება	ხშირად სვამს კითხვებს: „რატომ?“ „სად?“ „როდის?“
	კოგნიტური	სწორად და მიზანმიმართულად იყენებს საგნებს თამაშში.
	შემეცნებითი/მეტყველება	სწორად აჩვენებს და ასახელებს 4 ძირითად ფერს.
	სოციალური/ შემეცნებითი	ჩნდება როლური თამაშების ელემენტები (მაგ.: დედა-შვილი).
	ნატიფი მოტორიკა	ფანქრით ხატავს წრეს, ქმნის მარტივ, ნაძერწ ფიგურებს.

თავი VI

განვითარების შეფერხების საშიშროების ნიშნებს განეკუთვნება შემდეგი ფაქტორები:

- 2 თვის – არ იღიმება;
- 3 თვის – არ რეაგირებს დედის გამოჩენაზე, არ იჩენს მისადმი ინტერესს;
- 9 თვის – არ იჩენს ინტერესს თამაშზე „ჭიტა“;
- 12 თვის – არ ეძებს დამალულ საგანს;
- 15 თვის – არ იცის ძირითადი საოჯახო ნივთების დანიშნულება (ცოცხი, ტელეფონი, ჩანგალი, კოვზი);
- 2 წლის – ვერ აჯგუფებს საგნებს (მაგ.: ცხოველებს, ტრანსპორტს);



- 3 წლის – არ ესმის მარტივი წესები, ვერ ასახელებს სახელს სრულად;
- 4 წლის – სათანადოდ ვერ იყენებს სიტყვებს — „მე“ და „შენ“;
- 5 წლის – იოლად ეფანტება ყურადღება და ვერ ახდენს კონცენტრირებას რაიმე საქმიანობაზე 5 წუთზე მეტ ხანს, არ იცის ფერები და თუნდაც ერთი ასო;
- 6 წლის – არ იცის საკუთარი მისამართი ან დაბადების დღე.

### 0-3 წლამდე ასაკის ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარება და მისი შეფასება

**ემოციური განვითარება გულისხმობს ბავშვის უნარს გამოხატოს ადეკვატური ემოციები. სოციალური განვითარება კი — ბავშვის უნარს დაამყაროს მჭიდრო კონტაქტი გარშემომყოფებთან და გარემოსთან.**

ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ბავშვის ემოციური სტატუსი და სოციალური განვითარების პარამეტრები. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ნაკლები ემოციები აქვს და ისიც თითქმის ყოველთვის უარყოფითი ხასიათის (ყვირილი, ტირილი), ასევე ნაკლებ რეაგირებს გარშემომყოფ პირებზეც. დადებითი ემოციები უფრო მოგვიანებით, 1-1,5 თვის ასაკში ვლინდება ღიმილითა და ბგერითი ინტონაციებით. ერთი თვიდან ბავშვი ინტერესს იჩენს დედის ძუძუსადმი და პირველად იღიმება, მე-9, მე-12 კვირას იწყებს სიცილს, ხელებისა და ფეხების მოძრაობას, მე-4, მე-5 თვეს უფროსის მიახლოებისას აღებს პირს და ფართოდ ახელს თვალებს (საორიენტაციო მოძრაობა), რასაც სიხარული ან, პირიქით, შიში, უარყოფითი რეაქცია მოსდევს. მე-4, მე-5 თვეს ბავშვი კარგად ცნობს დედასა და ახლობლებს. დადებით ემოციებს და სოციალურ ურთიერთობებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პიროვნების, მისი ნებელობის და სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებაში.

#### **ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:**

- ადეკვატური კვება (ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები).
- თანდაყოლილი (გენეტიკური დაავადებები, სამშობიარო ტრავმა) თუ შეძენილი (ცნს-ინფექცია, სისხლჩაქცევა) დაავადებები.
- ბავშვთან ურთიერთობა და თამაში (მოფერება, საუბარი, სიმღერა, ასაკის შესაბამისი თამაშები, ასაკის მატებასთან ერთად სხვა ბავშვებთან თამაში და სხვ.);
- ასაკის შესატყვისი წახალისება

ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები

ასაკი	ემოციური განვითარება	სოციალური განვითარება
0-1 წელი	<ul style="list-style-type: none"> <li>• 2-3 თვის — იღიმება ლაპარაკის ან გაღიმების საპასუხოდ.</li> <li>• 3 თვის — ლულუნებს, უსმენს ბგერებს.</li> <li>• 3-4 თვის — იმეორებს უფროსების სახის გამომეტყველებას და ემოციას.</li> <li>• 4 თვის — ხმამაღლა იცინის უფროსების ღიმილისა და თამაშის საპასუხოდ.</li> <li>• 5 თვის — ხანგრძლივად ლულუნებს, ცნობს დედის ხმას, ასხვავებს მოფერებით და მკაცრ ტონებს.</li> <li>• 7 თვის — გამოხატავს სიხარულს, როდესაც ეთამაშებიან.</li> <li>• 8 თვის — უცხოობს.</li> <li>• 9 თვის — იცის თავისი სახელი, კითხვაზე — „სად არის“ — ირჩევს სათანადო საგანს სათამაშოებიდან.</li> <li>• 11-12 თვის — ასრულებს მოზრდილთა ელემენტარულ თხოვნებს, ბაძავს მოზრდილებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 1-2 თვის — კვების დროს აკვირდება დედის სახეს.</li> <li>• 3 თვის — ნაცნობი პირებისა და საგნის დანახვაზე გამოხატავს სიხარულს ფეხების მოძრაობით და ბგერებით.</li> <li>• 4 თვის — იწყებს გარემოს დათვალიერებას.</li> <li>• 5-6 თვის — უცხო პირებს ასხვავებს ნაცნობებისგან.</li> <li>• 9 თვის — თხოვნაზე უკრავს ტაშს, იქნევს ხელს.</li> <li>• 10-11 თვის — გულისყურით იკვლევს გარემოს, თამაშობს მშობლებთან.</li> <li>• 12 თვის — ასრულებს მოზრდილთა ელემენტარულ თხოვნებს.</li> </ul>
1-6 წელი	<ul style="list-style-type: none"> <li>• 2 წლის — გამოხატავს დამოუკიდებლობას, უკმაყოფილობას, ბრაზდება მშობლებთან განშორებისას.</li> <li>• 3 წლის — გამოხატავს სხვადასხვა ემოციას (სიხარულს, გაბრაზებას, შიშს და სხვ); შედარებით ადვილად შორდება მშობლებს.</li> <li>• 4 წლის — აღიქვამს თავის თავს მთლიანობაში, ხშირად ვერ ასხვავებს ფანტაზიას და რეალობას, ხშირია მონსტრების, ლამის შიშები.</li> <li>• 5 წლის — ასხვავებს ფანტაზიას რეალობისაგან.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 15 თვის — ბაძავს უფროსის საქმიანობას.</li> <li>• 24 თვის — იწყებს თამაშს სხვა ბავშვებთან.</li> <li>• 3 წლის — თამაშის დროს იცავს თავის რიგს, ესმის განსხვავება „ჩემი“/„სხვისი“.</li> <li>• 4 წლის — აინტერესებს ახალი საქმიანობები, ინტერესით თამაშობს ბავშვებთან, „როლური“ თამაშები.</li> <li>• 5 წლის — სურვილი აქვს მეგობრებს ასიამოვნოს, ეთანხმება წესებს, უნდა, რომ მოსწონდეთ.</li> </ul>

თავი VI

**ემოციური და სოციალური სფეროს განვითარების საშიშროების ნიშნებს განეკუთვნება შემდეგი ფაქტორები:**

- 4 თვის — არ არის ადეკვატური (სოციალური) ღიმილი ან სიცილი.
- 6 თვის – არ იცინის მშობლებთან თამაშის დროს; არ აქვს კარგი თვალთ კონტაქტი.
- 12 თვის – ძნელი დასაწყნარებელია, შეხებისას ვლინდება სპონტანური გაჭიმვა-ჰიპერტონუსი. არ არის მიჯაჭვული აღმზრდელზე.
- 15 თვის — არ ურთიერთობს მშობლებთან.
- 18 თვის – არ გამოხატავს ინტერესს სხვა ბავშვების მიმართ.
- 2 წლის – მიზეზის გარეშე იკბინება, კივის, ურტყამს.
- 3 წლის – ძალიან უჭირს დედასთან განშორება, არ თამაშობს სხვა ბავშვებთან.
- 4 წლის — ისევ ტირის, როცა მშობლები ტოვებენ; არ ერთვება თამაშში; ყურადღებას არ აქცევს სხვა ბავშვებს, არ ეკონტაქტება ოჯახის წევრების გარდა სხვა ადამიანებს.
- 5 წლის — ავლენს ზედმეტ შიშს ან ჭარბ აგრესიას; მშობლებს ვერ შორდება პროტესტის გარეშე; არ თამაშობს სხვა ბავშვებთან, არ გამოხატავს ემოციებს, უჭირს უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა.

**ემოციური და სოციალური სფეროს განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:**

- ბავშვი ხელში უნდა ავიყვანოთ, მოვეფეროთ. შეხება, ალერსი ტვინის განვითარების მძლავრი სტიმულია.
- საჭიროა ბავშვთან ხშირი საუბარი, ლექსების, ზღაპრებისა და მოთხრობების წაკითხვა.
- საჭიროა ბავშვის ნებისმიერი წარმატების საპასუხოდ შექება და ტაში (მაგ.: „მაჩვენე თოჯინა“, „დაუქნიე ხელი“ და სხვ.) პატარას ძალიან უხარია, როდესაც აქებენ, საქციელს უწონებენ და ცდილობს, გაიმეოროს თავისი მიღწევები, რათა კვლავ მოისმინოს საქებარი სიტყვები.
- საჭიროა 6 თვიდან სხვა ბავშვებთან, ოჯახის წევრების გარდა სხვა უფროსებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა მივცეთ. ბავშვები ამ ასაკში ერთად ვერ თამაშობენ, მხოლოდ ათვალიერებენ ერთმანეთს და შეიძლება სათამაშოსთვის ჩხუბიცი მოუფიდეთ, მაგრამ ამით ისინი ურთიერთობას სწავლობენ. 2-3 წლის ასაკიდან ბავშვებს საშუალება უნდა მივცეთ, ერთად ითამაშონ, ერთად თამაშის მარტივი წესები უნდა ვასწავლოთ.
- პატარა იმეორებს უფროსების შესტებს, მიმიკას, განწყობილებასაც კი; მშობლებმა ბავშვს ყოველთვის დადებითი მაგალითი უნდა მისცენ. პატარა ქცევას არა შეგონებით, არამედ იმიტაციით სწავლობს.
- ბავშვს უნდა ვასწავლოთ თანატოლების მოწონება, თანაგრძნობის გამოხატვა მაგ.: „ნინო პატარაა, შენ კი მასზე უფროსი ხარ, დაეხმარე, დაუთმე ან ათხოვე“.
- ზედმეტი აკრძალვებს თავი უნდა ავარიდოთ.

## 6.3 შუა ბავშვობის პერიოდი (6-დან 11-12 წლამდე)

### ფიზიკური და მოტორული განვითარება

შუა ბავშვობის პერიოდის **ფიზიკური და მოტორული განვითარების თავისებურებებია:**

- დაახლოებით 6-8 წლის ასაკში თავის ტვინის წინა ნაწილი პერიოდული „ნახტომებით“ იზრდება;
- გოგონებისა და ბიჭების მოტორულ განვითარებაში პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს;
- ფიზიკური მოტორული უნარის სრულყოფა თავდაჯერების ფსოქოლოგიური განცდის გაჩენას უწყობს ხელს;
- ჩვეულებრივ, შუა ბავშვობა ძალიან ჯანმრთელი პერიოდია; ავადმყოფობა ამ პერიოდში ბავშვს ეხმარება, სტრესთან გამკლავების უნარი გამოიმუშავოს;
- შუა ბავშვობაში ხშირად საერთო პრობლემაა ჭარბი წონა; მიზეზები შეიძლება მემკვიდრეობასთან ან გარემოს ზეგავლენასთან იყოს დაკავშირებული; სპეციალისტები მკაცრი დიეტის დაცვას არ გვირჩევენ;
- მთელ მსოფლიოში, ზოგადად, გაიზარდა ისეთ საქმიანობათა რაოდენობა, ნაკლებ მოძრაობას რომ მოითხოვს, ხოლო ჯანსაღი იერ-სახის ადამიანთა რიცხვი შემცირდა;
- აუცილებელია ფიზიკური მომზადების გაძლიერება, რადგან შუა ბავშვობაში შექცენილი უნარ-ჩვევები მოზრდილობაში შეიძლება განმტკიცდეს და შენარჩუნდეს;

თავი VI

### შემეცნებითი განვითარება

შემეცნებითი განვითარების თავისებურებებია:

- შუა ბავშვობა გონების კონკრეტულ ოპერაციებზე გადასვლით ხასიათდება (თვალსაჩინო-პრაქტიკული აზროვნება);
- იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც აზროვნების სანყის სტადიაზე იმყოფებიან, თვალსაჩინო-მოქმედებითი აზროვნების მქონე ბავშვი ნაკლები ინტუიციითა და ეგოცენტრულობით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაგების უკეთესი უნარით გამოირჩევა;
- ბავშვებს კონკრეტული სიტუაციების გამოსავლისა და შედეგების განჭვრეტა შეუძლიათ;
- ბავშვობის პერიოდში მნიშვნელოვნად უმჯობესდება მეხსიერება, მათ შორის გამეორება, ორგანიზაცია, გადაამუშავება, აღდგენა;
- გრამატიკულად სწორად მეტყველებისა და წერის უნარი ყალიბდება, რაც თავისი არსით სოციოკულტურულ კონტექსტთან არის დაკავშირებული.

## დასწავლა და აზროვნება სკოლაში სწავლისას

სკოლასთან ბავშვის შეგუება შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზის გამო გართულდეს, რომელიც ძირითადად ახალ მოთხოვნებთან და მოლოდინთან არის დაკავშირებული. აუცილებელია, სწავლებისას კონკრეტული ბავშვის თავისებურებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება. სკოლაში წარმატება ხშირად წინსვლის მოტივაციასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ბავშვის წარმატებაზე მშობლის დამოკიდებულება ახდენს გავლენას, კერძოდ, რეალური შეფასებები საუკეთესო შედეგების იმედთან ერთად, დისციპლინის დაცვის ავტორიტეტული ხერხების გამოყენება, აგრეთვე, ბავშვთან საუბრები და მასზე დაკვირვება, საშინაო დავალებების შესრულების მოთხოვნა და სხვა.

## შემეცნებითი განვითარების დარღვევები

გონებრივი ჩამორჩენილობის მიზეზები მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (DSM-IV)<sup>6</sup> ჩამოთვლილია გონებრივი ჩამორჩენილობის 3 ნიშანი: 1) IQ<sup>7</sup>-ტესტებით გამოვლენილი მაჩვენებლები საშუალო მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება; 2) თვითმომსახურების ქცევა, ზოგადი ფუნქციონირება სახლში და საზოგადოებაში ხშირად დარღვეულია; 3) აღნიშნული ნიშნები თავს იჩენს 18 წლამდე ასაკში. არსებობს გონებრივი ჩამორჩენილობის 4 დონე: მსუბუქი (IQ დაახლოებით 55-70 ქულა), საშუალო (IQ დაახლოებით 40-55 ქულა), სერიოზული (IQ დაახლოებით 25-40 ქულა), ღრმა (IQ — 25 ქულაზე ნაკლები). გონებრივი ჩამორჩენილობის დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია, რომ ბავშვი სამივე ნიშანს შეესაბამებოდეს. ნაკლები სიმძიმის გონებრივი ჩამორჩენილობის პირები შეიძლება საზოგადოების სასარგებლო წევრები გახდნენ; იმათაც კი, ვისაც სერიოზული და ღრმა დარღვევები აქვთ, შეუძლიათ, ისწავლონ და სპეციალური მომზადება გაიარონ. ნორმალური და ზოგჯერ საშუალოზე მაღალი ინტელექტის ბავშვებსაც შეიძლება შეზღუდული ჰქონდეთ სწავლის უნარი; პრობლემები სწავლის კონკრეტულ სპეციფიურ სფეროსთან არის დაკავშირებული. კითხვის უნარის დარღვევა (დისლექსია), წერის უნარის დარღვევა (დისგრაფია) და მათემატიკური უნარის დარღვევა (დისკალკულია) DSM-IV -ის თანახმად, დასწავლის უნარის დარღვევის მთავარი მაჩვენებელია. ჰიპერაქტიურობის /ყურადღების დეფიციტის სინდრომი კოგნიტურ-ქცევითი დარღვევაა; ის ხშირად მედიკამენტოზური მკურნალობით ან ქცევითი თერაპიის მეშვეობით გამოსწორდება ხოლმე. ჰიპერაქტიურობის 3 ძირითადი სიმპტომია: 1) ყურადღების დარღვევა; 2) მაღალი აქტიურობა; 3) იმპულსურობა.

6 DSM – დიაგნოსტიკური და სტატისტიკური გონებრივი ჩამორჩენილობის სახელმძღვანელო, რომელიც შექმნილია ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ. DSM-I გამოქვეყნდა 1952 წელს. ამჟამად ხელმძღვანელონ DSM-IV-ის ვერსიით და მიმდინარეობს მუშაობა მეხუთე ვერსიაზე, რომელიც სავარაუდოდ 2013 წელს გამოიცემა. სახელმძღვანელო ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფსიქიატრების, ექიმების, მკვლევარების, ჯანმრთელობის დაზღვევისა და ფარმაცევტული კომპანიების, ასევე, პოლიტიკის შემქმნელების მიერ.

7 IQ – Intelligence Quotient – აზროვნების კოეფიციენტი – მეთოდი, რომელიც გამოიყენება თანამედროვე ბავშვის აზროვნების შესაფასებლად. IQ არის ქულა, რომელიც დგინდება აზროვნების შეფასების სხვადასხვა ტესტის შედეგებიდან. აღნიშნული მეთოდი შექმნა გერმანელმა ფსიქოლოგმა, უილიამ სტერნმა 1912 წელს.

## ფსიქოსოციალური განვითარება

შუა ბავშვობაში ბავშვის სოციალური სამყარო მნიშვნელოვნად ფართოვდება. ფსიქოსოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტებია:

### **პიროვნების განვითარება**

- ბავშვის წარმოდგენა საკუთარ თავზე უფრო რეალისტური, რთული და ორგანიზებული ხდება; ამ წარმოდგენის დიდი ნაწილი საკუთარი თავის სხვებთან შედარებიდან მომდინარეობს;
- ბავშვები სხვადასხვა ხერხით შეიმუშავენ და ინარჩუნებენ დადებით თვითშეფასებას; ბევრი მათგანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში წარმატებას;
- ნამდვილი წარმატებისას ადეკვატური შექება ბავშვის თვითშეფასებას აუმჯობესებს.

### **ოჯახის გავლენა**

- მშობლის მეთვალყურეობა კვლავ მნიშვნელოვანია;
- ყველაზე უფრო შესაფერისი ქცევაა, როცა მშობელი ბავშვს ეხმარება, თვითრეგულაციური ქცევის გამომუშავებასა და სწავლაში. ამას კი ხელს უწყობს მშობლის ავტორიტეტი;
- არასრულ ოჯახში ბავშვის აღზრდა უამრავ სტრესთანაა დაკავშირებული; ბევრი ასეთი ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს და სამომავლოდ ბავშვებს მდგომარეობის გაუმჯობესების ცოტა შესაძლებლობა აქვთ;
- განქორწინებისას ხშირად იჩივრებიან ბავშვები; ისინი ვერ ეგუებიან მშობლების ერთმანეთთან ურთიერთობის განყვეტის ფაქტს და ქცევის ნეგატიურ ფორმებს მიმართავენ;
- არსებობს 3 ფაქტორი, რომლებიც მშობელთა განქორწინებაზე ბავშვის რეაქციას განსაზღვრავენ: განქორწინებისას მშობელთა უთანხმოების დონე, ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტუალურ ცვლილებათა რაოდენობა და ბავშვი-მშობლის დამოკიდებულების ბუნება;
- მშობლის ხელახალი ქორწინებისას ბავშვი დედინაცვლის ან მამინაცვლის გაჩენაზე შეიძლება დადებითადაც რეაგირებდეს და უარყოფითადაც.

### **თანატოლებთან ურთიერთობა, სოციალური კონტაქტის უნარი**

- ბავშვების მეგობრულ ურთიერთობას უამრავი პოზიტიური ეფექტი აქვთ; მეგობრული ურთიერთობა ამ ასაკში, როგორც წესი, „საუკეთესო მეგობრის“ შეძენას გულისხმობს; მოგვიანებით ჩნდება ჯგუფური მეგობრული ურთიერთობა;
- თითქმის ყველა ბავშვს ცალმხრივი მეგობრული ურთიერთობა აქვს; ორმხრივობა შედარებით ნაკლებადაა გამოხატული;
- თანატოლთა გუნდი ჯგუფურ წესებს ემორჩილება; თანატოლთა ჯგუფში ზოგი ბავშვი ლიდერია, ზოგი — დაქვემდებარებული;

- თანატოლთა ჯგუფებში არიან პოპულარული და არაპოპულარული ბავშვები; პოპულარობა და სტატუსი თანატოლთა ჯგუფში ბავშვის მრავალი თავისებურებითა და მისი ქცევით განისაზღვრება;
- თანატოლთა ჯგუფი ბავშვზე ზემოქმედებს და ჯგუფური ნორმების დაცვას აიძულებს; დისკრიმინაციის საფუძველია ის, რომ ჯგუფში არსებობენ „თავისიანები“ და „სხვები“, შესაბამისად, ზოგი სასურველი ხდება, ზოგიც — მოძულეული.

**ყველაზე მთავარი: საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში ბავშვის განვითარებაზე პასუხისმგებლობა მშობლებთან ერთად სკოლასაც ეკისრება. სკოლაში შესვლით მხოლოდ შემეცნებისა და აღიარების მოთხოვნილებანი კი არ ყალიბდება, არამედ პიროვნულობის გრძნობაც ვითარდება.**

**განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სიმპტომებს, რომლებიც ბავშვის განვითარების სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებენ:**

- უფრო პატარა ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელი ქცევა (მაგალითად, შარდის შეუკავებლობა სასკოლო ასაკში);
- გულჩვილობა ან ცუდი გუნება-განწყობილება;
- ხშირი სომატური ჩივილები (თავის, მუცლის, კუნთების ტკივილი, დაღლილობა);
- სწავლასთან, მეგობრებთან, სპორტთან დაკავშირებით მუდმივი შიში ან წუხილი;
- ადამიანებისა და ცხოველების მიმართ აგრესიული ქცევა, ნივთების გაფუჭება.

## 6.4 მოზარდობა და სიყმაწვილე (11-12 წლიდან 18-21 წლამდე)

საზოგადოებაში, სადაც მოზარდობის ასაკი შედარებით ხანმოკლეა, ჩვეულებრივ, სიმწიფის ასაკში გადასვლის რიტუალები არსებობს. მოზარდებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანადროული სოციალური გარემო, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

### ფიზიკური განვითარება და ადაპტაცია

ფიზიკური განვითარების თავისებურებები:

- ენდოკრინული ჯირკვლების ინიცირებით მკვეთრად იზრდება ჰორმონთა რაოდენობა; ეს კი მოზარდის ინტენსიურ განვითარებას, შემდგომში კი პუბერტეტის დაწყებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს იწვევს;
- მოზარდებისათვის დამახასიათებელი გარკვეული მოუხეშაობა ზრდის ასიმეტრიულობასთანაა დაკავშირებული;
- კანქვეშა ცხიმის დაგროვება უშუალოდ ინტენსიური განვითარების წინ შეინიშნება როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში; მას უმეტესად მხოლოდ ქალები ინარჩუნებენ;
- მამაკაცებში სქესობრივი მომწიფება ტესტოსტერონით სტიმულირდება; ქალებში ასეთი ჰორმონია ესტროგენი და პროგესტერონი;
- ჰიპოფიზი ზრდის ჰორმონების გამომუშავებას არეგულირებს;

- პუბერტეტის დადგომის დრო არსებითად განსხვავებულია; დღეისათვის მისი დაწყების საშუალო ასაკი მცირდება;
- პირველი მენსტრუალური ციკლი ხშირად არარეგულარულია და ფიზიკური და ემოციური პრობლემები ახლავს;
- მოზარდები ყურადღებით ადევნებენ თვალს თავიანთ სხეულს; ბიჭები, ძირითადად, საკუთარ ძალას აკვირდებიან, გოგონები — წონას;
- ნერვული ანორექსია და ბულიმია მოზარდ გოგონებში უფრო გავრცელებული, ვიდრე ბიჭებში;
- საკუთარი სხეულით უკმაყოფილონი არიან ვაჟებიც და გოგონებიც და ხშირად რალაციის შეცვლის სურვილი აქვთ;
- ადრე მომნიშვნელო ბიჭებს თანატოლთა შორის ხშირად გარკვეული უპირატესობა აქვთ; გოგონებში ნაადრევ მომნიშვნებას დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც.

### **სექსუალური განწყობა და ქცევა**

- სექსუალურმა რეგოლაციამ ქალებისათვისაც და მამაკაცებისათვის სექსისადმი ლიბერალური დამოკიდებულება და სექსუალური ქცევის ვარიაციები მოიტანა; რასაც თან ახლავს ორსულობის შემთხვევათა და ვენერიულ დაავადებათა რიცხვის ზრდა;
- მასტურბაციისადმი დამოკიდებულება უფრო ლიბერალური ხდება; ისტორიულად, ბიჭებში გოგონებზე უფრო ხშირია მასტურბაციის შემთხვევები;
- პირველი სქესობრივი კავშირის ასაკი დამოკიდებულია სქესზე და იმაზეც, რამდენადაა ორიენტირებული მოზარდი სწავლაზე;
- სექსუალურ აქტიურობასა და თვითპატივისცემას შორის ურთიერთკავშირი სქესის მიხედვით განსხვავდება;
- მშობლებისა და შვილების ურთიერთობებმა, სხვა ოჯახურმა ფაქტორებმა შესაძლოა მოზარდთა სექსუალურ აქტიურობაზე იმოქმედოს;
- იმათ, ვინც ადრე მნიშვნელობა აძლევს სექსუალური აქტიურობისკენ აქვთ ტენდენცია; ზოგადად, ბიჭებში შედარებით ადრეული სექსუალური აქტიურობა შეინიშნება, ვიდრე გოგონებში;
- სექსუალური ძალადობა ძლიერი ტრავმაა გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც;
- მშობლის ფუნქციების შესრულება, ჩვეულებრივ, უკიდურესად ძნელია მოზარდებისათვის და მათ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

### **შემეცნებითი განვითარება**

შემეცნებითი განვითარების ცვლილებები მოზარდობის ასაკში შემდეგია:

- ოპერაციული აზროვნება აბსტრაქციის უნარით, ჰიპოთეზათა თანმიმდევრული და სისტემატური შემოწმებით და წინასწარი დაგეგმვის გაზრდილი შესაძლებლობით ხასიათდება;
- კოგნიტიური სფეროს გაუმჯობესება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ხედავენ



მოზარდები სოციალურ სამყაროს და საკუთარ თავს; საერთოდ, მათი შეხედულებები კულტურულ ღირებულებებსა და საზოგადოებაზე უფრო რთული და გააზრებული ხდება;

- ადრეული ბავშვობის ეგოცენტრიზმი მოზარდობის ასაკში ისევ ბრუნდება, თუმცა სხვა ფორმით.

## სოციალური განვითარება

სოციალური განვითარების თავისებურებებია:

### ოჯახის დინამიკა

- მოზარდებსა და მათ მშობლებს შორის კონფლიქტები ჩვეულებრივ უმნიშვნელოა; თაობებს შორის ხშირი ურთერთობა ოჯახური კონფლიქტების გადაჭრას უწყობს ხელს;
- დედები და მამები სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ მოზარდებზე, მათი ქცევის თავისებურებებიდან და მიზნებიდან გამომდინარე;
- მოზარდობის პერიოდში ბავშვის აღზრდისათვის ყველაზე ეფექტურია აღმზრდელის ავტორიტეტი;
- ოჯახური მოვალეობები და პასუხისმგებლობა განსხვავებულია ოჯახებში, სადაც ორივე მშობელი მუშაობს და სადაც ერთი მშობელი მუშაობს; ეს ასევე დამოკიდებულია ბავშვის სქესზე.

### ურთიერთობები

- მოზარდები თანატოლებთან მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ოჯახთან;
- თანატოლთა ჯგუფი აუცილებელია სოციალური უნარის განვითარებისათვის;
- სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის შედარება ძლიერდება; პიროვნების განვითარებაზე გავლენის გარდა, ეს სამეგობრო ურთიერთობის ჩამოყალიბებზეც მოქმედებს;
- მოზარდების დიდი ნაწილი „მარტოხელაა“, თანატოლთა ჯგუფს არ უერთდება; ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს;
- მოზარდები ხშირად ერთმანეთს ვერ უთავსებენ თანატოლებისა მშობლების მოთხოვნებს;

### მოზარდობის ასაკის სიძნელებებია.

- ავანტიურისტულად და საკუთარი მომავლის საზიანოდ მოზარდთა მცირე ნაწილი იქცევა. მათი უმეტესობა მიზანდასახულად ხარჯავს დროს;
- სარისკო ქცევის მიზეზები მრავალგვარია; ხშირად დიდ როლს ასრულებს პერსონალური მითი, ბიოლოგია/გენეტიკა, სოციალური გარემოცვა;
- შეიძლება გაჩნდეს ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარების საშიშროება;
- ალკოჰოლი მოზარდთა შორის ყველაზე პოპულარული ფსიქოაქტიური ნივთიერებაა. ამასთან მისი მოხმარება მრავალრიცხოვან პიროვნულ და სოციოკულტურულ ფა-

- ქტორებზეა დამოკიდებული;
- მოზარდები ხშირად მოიხმარენ მარიხუანასაც; სხვა პრეპარატებს მათი მაღალი ფასის გამო ნაკლებად იყენებენ;
- სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენით მოზარდებმა შეიძლება სერიოზული დანაშაული ჩაიდინონ.

**სტრესსა და დეპრესიასთან გამკლავება მოზარდობის პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.**

- დეპრესია ხშირად უკავშირდება თვითმკვლელობაზე ფიქრს და მის მცდელობას, აგრეთვე სხვა დარღვევებს: ანორექსიას<sup>8</sup> და ბულიმიას<sup>9</sup>; ხშირად ძნელია, დეპრესიის მიზეზისა და სხვა დარღვევებთან მისი კავშირის განსაზღვრა;
- ოჯახური, სოციალური და პიროვნული ფაქტორები მოზარდში დეპრესიის რისკს ზრდიან; მნიშვნელოვანი პიროვნული ფაქტორებია საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა, აგრეთვე მოზარდის სქესთან დაკავშირებული პრობლემა;
- კარგი ოჯახური ურთიერთობა, რაიმეში თავდაჯერებულობა და სხვათა მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა სტრესისა და დეპრესიისაგან იცავს მოზარდს.

**ყველაზე მთავარი: ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მშობლებმა გონივრულად მართონ წონასწორობა მოზარდის გაკონტროლებასა და მის დამოუკიდებლობას შორის.**

**განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სიმპტომებს, რომლებიც ბავშვის განვითარების სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებენ:**

- ჩვეული საქმიანობებისადმი ინტერესის დაკარგვა;
- აკვიატებული აზრები კვების, დიეტის და წონის შესახებ;
- საკუთარი თავის დაზიანებები ან ხშირი საუბრები სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე;
- ტყუილები და სახლიდან ნივთის მოპარვის შემთხვევები;
- მყარი აფექტური მდგომარეობა, ხანგრძლივი ემოციური რეაქციები.

**6.5 ბავშვის განვითარების დამცავი და რისკ-ფაქტორები**

ბავშვის განვითარებაზე ერთდროულად ზემოქმედებს როგორც დამცავი, ისე რისკ-ფაქტორები (არალირსეული მოპყრობა ოჯახში, დაცინვა, უხეშობა სკოლაში, ემოციური ტრავმები). დამცავი ფაქტორები განვითარების დარღვევის რისკს ამცირებენ, ნეგატიურ ჯაჭვურ რეაქციას ამუხრუჭებენ, თვითშეფასებას და საკუთარი თავის პატივისცემას აყალიბებენ.

8 ანორექსია – მადის შეგრძნების შემცირება

9 ბულიმია – კვების დარღვევა

## **დამცავი ფაქტორებია:**

### **ოჯახი**

- ძლიერი პოზიტიური კავშირი თუნდაც ერთ მშობელთან, ნათესავთან;
- ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა ოჯახში.

### **სკოლა/სამსახური**

- გამორჩეული უნარი თუნდაც ერთ სასკოლო საგანში;
- გამორჩეული ინტერესი თუნდაც ერთი პროფესიისადმი;
- თუნდაც ერთი საქმიანობის სიყვარული: ნერა (თუნდაც დღიურის), კითხვა;
- შრომითი ჩვევები;
- ორატორული ნიჭი.

### **ფსიქოლოგიური თავისებურებები**

- იუმორის გრძნობა;
- სტრესულ სიტუაციებთან შეგუების უნარი;
- პოზიტიური ცხოვრებისეული მოვლენებით სიამოვნების უნარი;
- საკუთარი გრძნობების გამოხატვისა და სხვისი გრძნობების ამოცნობის უნარი;
- ნდობის გრძნობა.

### **მეგობრები**

- თუნდაც ერთი მეგობრის შექენა;
- მეგობრებთან კამათის უნარი;
- თანატოლებში სიმპათიის გამოწვევის უნარი;
- საპირისპირო სქესის ბავშვებთან ურთიერთობის უნარი.

### **მორალი/ეთიკა**

- ეთიკური ღირებულებები;
- მორწმუნეობა.

### **სხვა**

- შემოქმედებითი/არტისტული ნიჭი;
- თუნდაც ერთი ჰობი (გატაცება);
- კლასგარეშე წრეებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში გაერთიანება;
- სპორტით დაინტერესება.

## **რისკფაქტორებია:**

### **ოჯახისათვის დამახასიათებელი რისკფაქტორები**

- ფსიქიატრიული დიაგნოზი, გონებრივი განვითარების შეფერხება;
- მძიმე ავადმყოფობა, ჰოსპიტალიზაცია;
- მშობლების ანტისოციალური, კრიმინალური ქცევა;

- ძალადობა, კონფლიქტები, ფიზიკური საფრთხე ოჯახში;
- მწვავე კრიზისი, უმუშევრობა ოჯახში;
- განქორწინება, პატიმრობა, ემიგრაცია;
- ყოფილი პრობლემები ოჯახში.

#### **სოციალური რისკფაქტორები**

- ახლო გარემოცვა: კრიმინალი, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, პროსტიტუცია;
- მეგობრების უარყოფითი გავლენა;
- უსაქმურობა, დაბალი განათლება და კულტურა;
- ინტერესების სიღარიბე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თავართქილაძე, ე. (2008). *ბავშვის განვითარების ძირითადი საკითხები, სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის*. ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი. თბილისი, საქართველო
2. ტატანაშვილი, ზ. & ნემსაძე, ქ. (2008). *ადრეული ასაკის ბავშვის განვითარება: სახელმძღვანელო სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი, საქართველო

## თავი VII: ბავშვის განვითარების თეორიები

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვის განვითარების ფსიქოდინამიკურ, ჰუმანისტურ და თანამედროვე თეორიებს. ფსიქოდინამიკური თეორიებიდან განხილულია ფროიდის ფსიქონალიზის თეორია, ერიქსონის ფსიქოსოციალური თეორია და ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თეორია. ჰუმანისტური თეორიებიდან მოცემულია აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის თეორია, ხოლო განვითარების თანამედროვე თეორიებიდან, მიჯაჭვულობისა და სიცოცხლისუნარიანობის თეორიები. თავი სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას, ამ თეორიების ძირითად პოსტულატებზე, რაც მათ დაეხმარებათ ბავშვების განვითარების შეფასების პროცესში.

### 7.1 ფსიქოდინამიკური თეორიები

ფსიქოდინამიკური თეორიები აერთიანებს ფროიდის ფსიქონალიზის თეორიას, ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიას და ადლერის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას.

#### ფროიდი — ფსიქონალიზის თეორია

ფსიქოდინამიკურ თეორიათა ფუძემდებელია ავსტრიელი ექიმი ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939). შეიძლება ითქვას, რომ ფროიდი პირველი მეცნიერი იყო, რომელიც განვითარების თეორიაზე მუშაობდა.

ფსიქონალიზის თეორიის შექმნისა და განვითარებისას ფროიდმა, ძირითადად, მისი პაციენტების კლინიკურ შემთხვევათა ანალიზი და საკუთარი ბავშვობის მოგონებები გამოიყენა. „ფსიქონალიზი“ არის თეორია, რომელიც პაციენტის „სულს“ (ბერძნ. „ფსიქე“) აანალიზებს.

#### პიროვნების კომპონენტები

ბავშვს დაბადებისთანავე მართავს იდი — პიროვნების პრიმიტიული, ეგოისტური კომპონენტი. იდი არის „ცხოველი“ ჩვენს შიგნით. ის ადამიანის ბიოლოგიური იმპულსების წყაროა. ესაა ინსტინქტური სურვილები, რომელთა რაიმე გზით დაკმაყოფილება აუცილებელია. ეს იმპულსები საკვების, წყლის და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსების მიღებასა და სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული; ყველა ერთად ისინი **სასიცოცხლო ინსტინქტებს** შეადგენენ, რომლებსაც ფროიდმა **ეროსი** უწოდა. ისინი იდის მამოძრავებელი ძალებია. სასიცოცხლო ინსტინქტები სიამოვნების პრინციპით მოქმედებენ: ისინი სასწრაფოდ დაკმაყოფილებასა და ტკივილის არიდებას მოითხოვენ.

იდის მამოძრავებელ ძალად შემდგომში ფროიდმა **სიკვდილის ინსტინქტის, თანატოსის**, ცნება შემოიტანა. სიკვდილის ინსტინქტები განსაზღვრავენ ყოველი ადამიანის სიკვდილთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე აგრესიასა და დესტრუქციულობას, რომლებიც, ფროიდის აზრით, თანდაყოლილია.

ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი აგრესიულ და სექსუალურ იმპულსებს ემორჩილება, ჩვენ კი მუდმივად უნდა ვეძებოთ მათი გამოხატვის სოციალურად მისაღები ხერხები. იდი

ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცილებით დიდი სტრუქტურის, **არაცნობიერის** ნაწილია, რომელიც, ფროიდის აზრით, პრაქტიკულად მთელ ჩვენს ქცევას მართავს, ჩვენი ცნობიერების უშუალო მონაწილეობის გარეშე.

იდის საფუძველზე თანდათანობით ვითარდება **ეგო**, რომელიც იმპულსებთან მუშაობის „სრულუფლებიან ნარმომადგენლად“ იქცევა. ეგო **გაცნობიერებული ფსიქიკური მოქმედებაა**. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვაცნობიერებთ, რაზეც დროის ნებისმიერ მომენტში ვფიქრობთ. ეგო ასევე განსაზღვრავს იდის იმპულსებსა და გარე სამყაროს მოთხოვნების ურთიერთშეთანხმებას. მაგალითად, თუ იდი სქესობრივი ლტოლვის იმპულსს უშვებს, ეგომ ის როგორღაც უნდა დაამუშავოს. ამდენად, ეგო რეალობის შესატყვისად მოქმედებს და მუდმივად ცდილობს, იმპულსები და სხვა არაცნობიერი ძალები გარე სამყაროს მოთხოვნილებებთან და შეზღუდვებთან შეარიგოს. ეგო განსაზღვრავს **დაცვის მექანიზმებსაც**.

დაცვის მექანიზმი — შფოთვის შემცირების ან, უკიდურეს შემთხვევაში, შენიღბვის საშუალებაა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია **გამოდევნა**. ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობით ეგო მიუღებელ და დაუკმაყოფილებელ იმპულსებს, ადრე ჩადენილი საქციელისათვის დანაშაულის გრძნობას, აგრეთვე პიროვნებისთვის უსიამოვნო აზრებსა და მოგონებებს არაცნობიერში „ფუთავს“. ეს აზრები გაუცნობიერებლად არსებობს და ინდივიდის შფოთვის მიზეზად რჩება. 2 წლის ასაკიდან ჩვენ არაცნობიერში ვაგროვებთ „გამოდევნილ მასალას“, რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენში გარკვეულ განცდებს იწვევს.

ადრეულ ბავშვობაში ეგოდან **სუპერეგოს** გამოყოფის პროცესი იწყება. სუპერეგო ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი არის ის, რასაც ჩვენ სინდისს ვუნოდებთ. ესაა შინაგანი ხმა, რომელიც გვაფრთხილებს, თუ რა არ უნდა გავაკეთოთ. მეორე ნაწილია **იდუალური ეგო**. აქ შედის ჩვენი ნარმოდგენა საკუთარ თავზე და ის, თუ რა და ვინ გვინდა, ვიყოთ. შეიძლება ითქვას, რომ სუპერეგო **მორალურობის პრინციპის** ჩარჩოებში მოქმედებს. ის დინამიკურად ურთიერთზემოქმედებს იდთან და ეგოსთან. მაგალითად, თუ იდი სქესობრივი ლტოლვის იმპულსს უშვებს და ეგო მისი დაკმაყოფილების რაიმე ხერხს იგონებს, სუპერეგო შეიძლება ჩაერიოს, თუკი არ იწონებს იმას, რის გაკეთებასაც ეგო აპირებს.

როგორ შეიძლება ჩაერიოს სუპერეგო? მუქარის და შესაძლოა, შფოთვის, სირცხვილისა და დანაშაულის ძლიერი გრძნობების გაჩენით. მთლიანი პიროვნების კონტექსტში ფროიდის მიერ გამოყოფილი სამი კომპონენტი სხვადასხვაგვარად შეიძლება განვითარდეს. მაგალითად, ადამიანს, რომელსაც „ძლიერი“ იდი და „სუსტი“ სუპერეგო აქვს, თავისი ქცევის მორალურობისა და ეთიკურობის მუდმივი გაკონტროლება არ შეუძლია. ადამიანი, რომელსაც სუპერეგო ზედმეტად აქვს განვითარებული, მუდმივად იტანჯება დანაშაულის გრძნობით. ის ყველაფერს შფოთვითა და სიფრთხილით ეკიდება.

### **პიროვნების განვითარების სტადიები**

ფროიდმა გამოყო განვითარების ფსიქოსექსუალური სტადიები. აქ ძირითადი ყურადღება **ეროგენულ ზონებზეა** მიმართული, რომლებიც განვითარების პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში გადანაცვლდება. ეროგენული ზონა არის სხეულის გარკვეული უბანი,

რომლის სტიმულაცია სიამოვნების ინტენსიურ განცდას იწვევს.

ფროიდი თვლიდა, რომ პიროვნების საფუძვლები საბოლოოდ ადრეულ ბავშვობაში, პირველი 3 სტადიის განმავლობაში ფორმირდება.

ფსიქოსექსუალური სტადიების გავლისას შესაძლებელია ფიქსაციები, რომლებიც პიროვნებაზე მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში ზემოქმედებს. ფიქსაციები ესაა განვითარებაში „შეფერხებები“, რომლებიც მოზრდილ ადამიანებს უბიძგებენ, კვლავ ბავშვობისდროინდელი ხერხებით ეძებონ სიამოვნება. მაგალითად, თუ რომელიმე ჩვილს ძალიან ბევრს ან ძალიან ცოტას აჭმევდნენ, მოზრდილობაში ის შეიძლება, ხშირად ღეჭავდეს კეფს, სვამდეს, ენეოდეს ან ბევრს ლაპარაკობდეს.

### **ფსიქოსექსუალური განვითარების სტადიები**

**ორალური სტადია** — (დაბადებიდან 1-1,5 წლამდე)

ჩვილი სიამოვნებას და კმაყოფილებას, ძირითადად პირისა და ტუჩების სტიმულაციით იღებს.

ფიქსაციის მაგალითი: ორალურ-ინკორპორაციული (შემწოვი) — ასეთი ინდივიდი, ძირითად, სიამოვნებას ისეთი მოქმედებებისაგან იღებს, როგორცაა ჭამა, სმა და მონევა.

**ანალური სტადია** — (1-1,5 წლიდან 3 წლამდე)

ბავშვი სიამოვნებასა და დაკმაყოფილებას, ძირითადად, გამოყოფის ფუნქციის რეალიზაციით იღებს.

ფიქსაციის მაგალითი: ანალურ-რეტენტიული (შემაკავებელი) — ამგვარ პიროვნებას ისეთი თვისებები ახასიათებს, როგორებიცაა სიძუნწე, სიჯიუტე, აგრეთვე, „ემოციური შეკრულობა“ და გრძნობების გამოხატვის სირთულეები. ანალურ-ელიმინაციური (გამომდევნი) — ადამიანს „ემოციური ფალარათი“ ახასიათებს, მას საკუთარი აზრებისა და გრძნობების შეკავება-შეფარვა არ შეუძლია.

**ფალიური სტადია** – (3-დან 5-6 წლამდე)

ეროგენული ზონა გენიტალიების უბანში გადაინაცვლებს, სექსუალური ხდება. მთავარი საკითხი, რომლის გადაჭრა აუცილებელია, მდგომარეობს ოიდიპოსის კომპლექსში ან ელექტრას კომპლექსში. კომპლექსს თებეს ლეგენდარული მეფის სახელი ეწოდა, რომელმაც უნებლიეთ მოკლა მამა და ცოლად საკუთარი დედა შეირთო. ფროიდი თვლიდა, რომ ამ სტადიაზე ბიჭებს დედისადმი უჩნდებათ სექსუალური ლტოლვა, ხოლო შემდგომ კი შიში, რომ მამა მას ამ ლტოლვისათვის დაასაჭურისებს. თანდათანობით ბიჭი თავს მამასთან აიგივებს, ცდილობს ჰგავდეს მას, განსაკუთრებით მორალურ პრინციპებში. ამგვარ ქცევას საფუძვლად უდევს ბიჭის იდეა, რომ მამა არ დაასაჭურისებს, თუკი ის ზუსტად მამის მსგავსი იქნება. ამდენად, ბიჭის სუბერეგო ოიდიპოსის კომპლექსის შედეგად ვითარდება გოგონების შემთხვევაში ესაა ელექტრას კომპლექსი — გოგონას მამისადმი სქესობრივი ლტოლვა და პენისისადმი შური უჩნდება, რაც მამის პენისის დაუფლების სურვილს იწვევს. თანდათანობით ის ამ კონფლიქტს სიმბოლურად წყვეტს, ან დედასთან თავის გაიგივებით, ან — იმედით, რომ ბიჭს დაბადებს. ამასთან, კასტრაციის შიშს გაცილებით საფუძვლიანი მოტივაცია აქვს, ვიდრე პენისისადმი შურს. ამიტომ მისი მეშვეობით გოგონები გაცილებით



ნაკლებ მორალურ და პიროვნულ ეთიკურ პრინციპებს იძენენ. ელექტრას კომპლექსის შედეგად, ქალებს სუსტი სუპერეგო აქვთ.

**ლატენტური სტადია** – (5-6-დან 12 წლამდე)

სექსუალური იმპულსები თვლემენ.

**გენიტალური სტადია** (12 წლიდან ზემოთ)

მოზარდობის ასაკში შესვლასთან ერთად სექსუალური იმპულსები უპირატესი ხდება.

## ერიქსონი – ფსიქოსოციალური განვითარების თეორია

ერიკ ერიქსონი (1902-1994) ნეოფროიდისტად ითვლება. ერიქსონი, უმთავრესად, პიროვნების ფორმირებაში სოციალური ურთიერთზემოქმედების როლს გამოჰყოფდა.

ერიქსონის თეორიის ამოსავალი ცნება **ეგოიდენტურობა** იმის გაგებას ემსახურება, თუ როგორ ხედავს ადამიანი საკუთარ თავს და როგორია ობიექტურად. ყოველი ჩვენგანის რაღაც გარკვეული ნაწილი იმ გარემოზეა დაფუძნებული, რომელშიც ვიზრდებით. თავიდან ჩვენს პიროვნულ ჩამოყალიბებას მათთან ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს, ვინც ჩვილობაში ჩვენზე ზრუნავს, ხოლო შემდგომ, ჩვენი ზრდისა და მომნიჭების შესაბამისად, ოჯახს გარეთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა.

ერიქსონის თეორია გვიჩვენებს, თუ რის გაკეთება შეუძლიათ მშობლებსა და სხვა ადამიანებს ბავშვის ჯანსაღი განვითარებისათვის, აგრეთვე, იმას, თუ რა შეუძლია თვითონ ბავშვს.

### *ფსიქოსოციალური განვითარების სტადიები ერიქსონის მიხედვით*

#### **ნდობა ან უნდობლობა (დაბადებიდან 1 წლამდე)**

იმის მიხედვით, თუ როგორ უვლიან ბავშვს ჩვილობაში, გარემომცველი სამყარო იმსახურებს ან არ იმსახურებს მის ნდობას. თუ მისი საჭიროებები კმაყოფილდება, მას ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდებიან, მის მიმართ საკმაოდ პრინციპულები არიან, ბავშვი გარემომცველ სამყაროს უსაფრთხოდ მიიჩნევს და ენდობა მას. მეორე მხრივ, თუ გარემომცველი სამყარო ტკივილს აყენებს მას, სტრესს იწვევს და მის უსაფრთხოებას ემუქრება, ბავშვი ცხოვრებისაგან ამის მიღებას სწავლობს და თვლის, რომ ეს სამყარო ნდობას არ იმსახურებს.

#### **დამოუკიდებლობა ან სირცხვილი და ეჭვი (1-დან 3 წლამდე)**

სიარულის დაწყებასთან ერთად ბავშვები თავიანთი სხეულის შესაძლებლობებსა და მისი მართვის საშუალებებს აღმოაჩენენ. ისინი დამოუკიდებლად ჭამასა და ჩაცმას, ტუალეტით სარგებლობას სწავლობენ და გადაადგილების ახალ ხერხებს ითვისებენ. როცა ბავშვი რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებას ახერხებს, ის თავდაჯერებულია და გრძნობს, რომ საკუთარი თავის კონტროლი შეუძლია; მაგრამ თუ ბავშვს მუდმივად წარუმატებლობები აქვს და ამისთვის მას სჯიან ან უსუფთაოს, ბინძურს, მოუხერხებელს, ცუდს უწოდებენ, ის სირცხვილსა და საკუთარ ძალებში დაეჭვებას ეჩვევა.

### **ინიციატივა ან დანაშაულის გრძნობა (3-დან 6 წლამდე)**

ბავშვებს კვლევითი აქტიურობა საკუთარი სხეულის გარეთ გადააქვთ. ისინი იგებენ, როგორ არის მოწყობილი სამყარო და როგორ შეიძლება მასზე ზემოქმედება. სამყარო მათთვის როგორც რეალური, ისე წარმოსახული ადამიანებისა და ნივთებისაგან შედგება. თუ მათი კვლევითი საქმიანობა მთლიანობაში შედეგიანია, ბავშვები ადამიანებთან და ნივთებთან ურთიერთმოქმედების კონსტრუქციულ საშუალებებს ითვისებენ, ინიციატივიანები ხდებიან. ხოლო თუ მათ მკაცრად აკრიტიკებენ ან სჯიან, ისინი საკუთარი საქციელის გამო ხშირად თავს დამნაშავედ გრძნობენ.

### **შრომისმოყვარეობა ან არასრულფასოვნების გრძნობა (6-დან 12 წლამდე)**

სკოლაში, სახლში და თანატოლთა შორის ბავშვები მრავალრიცხოვან უნარ-ჩვევას იძენენ. სხვადასხვა სფეროში ბავშვის კომპეტენტურობის რეალურ ზრდასთან ერთად „მე“-ს შეგრძნება მნიშვნელოვნად მდიდრდება. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საკუთარი თავის შედარება თანატოლებთან. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს საკუთარი თავის ნეგატიურ შეფასებას სხვებთან შედარებისას.

### **თვითშეგნება ან დაბნეულობა (როლების აღრევა) (12-დან 18 წლამდე)**

სიყმაწვილის დადგომამდე ბავშვები სხვადასხვა როლს აღმოაჩენენ ხოლმე — მოსწავლის ან მეგობრის, უფროსი ძმის ან დის, სპორტსმენის ან მუსიკოსის და ა.შ. მოზარდობისა და სიყმაწვილის პერიოდში მნიშვნელოვანია ამ სხვადასხვა როლში გარკვევა და ერთ მთლიან იდენტურობაში, თვითშეგნებაში მათი ინტეგრირება. მოზარდები, ძირითადად, ღირებულებებს ეძებენ, რომელებიც ყველა ამ როლს მოიცავს. ზოგჯერ ისინი ორ მნიშვნელოვან როლს ან საპირისპირო ღირებულებათა სისტემებს შორის სერიოზული კონფლიქტის გადაჭრას ვერ ახერხებენ, შედეგი კი პიროვნების დიფუზიაა (გაფანტულობა).

### **ინტიმურობა (სიახლოვე) ან იზოლაცია (18-დან 40 წლამდე)**

განვითარების მთავარი წინააღმდეგობაა კონფლიქტი სიახლოვესა და იზოლაციას შორის. სიახლოვე გაცილებით მეტს შეიცავს, ვიდრე უბრალოდ სექსუალური სიახლოვე. ეს არის უნარი, ნებისმიერი სქესის მეორე ადამიანს ჩვენი „სულის“ ნაწილი მივცეთ, და ამ დროს საკუთარი „მე“-ს დაკარგვის არ გვეშინოდეს. ამგვარი ახლო ურთიერთობის დამყარებისას წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იყო გადაჭრილი ზემოაღნიშნული 5 კონფლიქტი.

### **პროდუქტულობა ან სტაგნაცია (40-დან 65 წლამდე)**

მას შემდეგ, რაც წინა კონფლიქტები ნაწილობრივ გადაჭრილია, შეიძლება მეტი ყურადღება დაუთმოთ, დავეხმაროთ სხვა ადამიანებს. მშობლები ამ დროს ხშირად არსებობის საზრისს იმაში პოულობენ, რომ თავიანთ შვილებს ეხმარებიან. ზოგმა ადამიანმა შეიძლება თავისი ენერჯია სოციალური პრობლემების გადაჭრისკენ მიმართოს. ხოლო თუ წინა კონფლიქტები არ არის გადაჭრილი, ეს საკუთარ თავზე ზედმეტ მზრუნველობას იწვევს: საკუთარი ჯანმრთელობის გამო მეტისმეტი წუხილი, საკუთარი სურვილების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა, საკუთარი სიმშვიდის დაცვა და ა.შ.

## **ინტეგრირებულობა (ეგოს მთლიანობა) ან სასონარკვეთა (65 წლიდან ზემოთ)**

სიცოცხლის ბოლო ეტაპებზე ადამიანები, ჩვეულებრივ, განვლილ ცხოვრებას გადახედავენ და ახლებურად აფასებენ ხოლმე. თუ ადამიანი კმაყოფილებას განიცდის იმის გამო, რომ განვლილი ცხოვრება აზრითა და მოვლენებში მისი აქტიური მონაწილეობით იყო სავსე, შედეგად მას ეგოს მთლიანობის განცდა ეუფლება. ხოლო თუ ადამიანი თვლის, რომ ცხოვრებამ უაზროდ, ფუჭად ჩაიარა და მან ბევრი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მას სასონარკვეთა შეიპყრობს.

ერიქსონი თვლიდა, რომ ყოველი სტადია იმის საფუძველზე იგება, თუ რა იყო შექმნილი მანამდე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა ერთ რომელიმე ეტაპზე გაკეთებული არჩევანი შეიძლება შემდგომში გადააფასოს და შეცვალოს, ჯანსაღი განვითარების აუცილებელი პირობაა ყოველი ეტაპის კრიზისის „პოზიტიური“ დაძლევა. მაგალითად, ბავშვებს, რომლებმაც ჩვილობის ასაკში საკმარისი ყურადღება და სიყვარული ვერ მიიღეს, ამის კომპენსირება შეუძლიათ, თუკი მომდევნო სტადიებზე მომეტებული ყურადღება ექნებათ. ნორმალური განვითარებისათვის უმჯობესია, რომ ბავშვმა ჩვილობის პერიოდში ყველაფერი მიიღოს, რაც მას სჭირდება და ეს სტადია გარემომცველთა მიმართ ნდობის განცდით დაასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კონფლიქტი „კრიტიკულია“ მხოლოდ ერთ-ერთ სტადიაზე, ის მთელი სიცოცხლის მანძილზე არსებობს. მაგალითად, დამოუკიდებლობის მოთხოვნილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1-დან-3 წლამდე, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანებმა მუდმივად უნდა ამონხონ თავიანთი დამოუკიდებლობის ხარისხი, რომლის გაუმოვლენა ყოველთვის შეუძლიათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას.

## **ალფრედ ადლერი – ინდივიდუალური ფსიქოლოგია**

ავსტრიელმა ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა ალფრედ ადლერმა (1870-1937) ფსიქიკური დაავადებების შესახებ საკუთარი კონცეფცია შეიმუშავა. ამ კონცეფციის თანახმად, ფსიქიკური დაავადება არის არასრულფასოვნების გრძნობით გამოწვეული გაუცნობიერებელი სწრაფვა უპირატესობისაკენ. არასრულფასოვნების გრძნობას კი რომელიმე ფიზიკური სისუსტე ან ნაკლი იწვევს.

ადლერმა ადამიანის ქცევაში სექსუალურობის როლის გადამეტებულად შეფასებისათვის ფროიდის თეორია გააკრიტიკა. ამის საპირისპიროდ, მან წინ წამოსწია სოციალური ფაქტორების როლი და განაცხადა, რომ ადამიანის ხასიათს მისი ცხოვრების სტილი განსაზღვრავს.

ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობისას ადლერი ცხოვრების სტილს იკვლევდა. ის თვლიდა, რომ ოჯახურ იერარქიაში ბავშვის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნული ჩამოყალიბებისთვის.

პირველი შვილი: თავდაპირველად ერთადერთი ბავშვია ოჯახში, შემდეგ ამ მდგომარეობის ყველა უპირატესობას და დიდ ძალაუფლებას კარგავს. მეორე მხრივ, უმცროსი ბავშვების ფსიქოლოგია განსაზღვრულია მათ ცხოვრებაში პირველის არსებობით. უფროს შვილებს ხშირად ახასიათებთ კონსერვატიულობა (ისინი თვლიან, რომ ძალაუფლება იმას უნდა დარჩეს, ვისაც ჰქონდა). პირველ შვილებსა და დედისერთებს ინტელექტის რამდენადმე მაღალი კოეფიციენტი აქვთ;

მეორე შვილი: მისი „ცხოვრების სტილი“ ძირეულად განსხვავებულია. მას თავიდანვე ჰყავს ლიდერი, რომელსაც ეჯიბრება. ის არ აღიარებს ძალაუფლებას და მისი შეცვლა უყვარს; მისთვის დამახასიათებელია დინამიკის განცდა და რბოლაში წინ „გავარდნა“; ის ცდილობს ბუნებისა და მეცნიერების კანონების შეცვლას, თავისი არსით რევოლუციონერია, ამასთან არა იმდენად პოლიტიკაში, რამდენადაც სოციალურ ცხოვრებაში და გარემომცველებისადმი დამოკიდებულებაში.

უმცროსი შვილი, ნაბოლარა: მისი უპირატესობა ისაა, რომ მეორე შვილისაგან განსხვავებით, ის არასოდეს იქნება „ჩამოგდებული“. ის მეორეს იმით ჰგავს, რომ ძალიან ენერგიულია, ცდილობს სხვებს აჯობოს. მისი ცხოვრების დისტანციურ რბოლაშიც არიან ლიდერები, მაგრამ ის მათ არ ბაძავს და მისი ცხოვრების სტილი ოჯახის სხვა წევრების სტილისაგან განსხვავდება (მენარმეების ოჯახში — პოეტი, მათემატიკოსების ოჯახში — მუსიკოსი). ის ყოველთვის უნდა განსხვავდებოდეს სხვათაგან. ეს სწრაფვა შეიძლება განხილულ იქნას როგორც არასაკმარისი გამბედაობა.

დედისერთების ტრადედია იმაშია, რომ ბავშვობის წლებში ისინი ყოველთვის ოჯახის ყურადღების ცენტრში იყვნენ და ახლა ყურადღების ცენტრში ყოფნა მათი ცხოვრების მიზანია. მიზნისაკენ სწრაფვაში ისინი ლოგიკას კი არ მისდევენ, არამედ თავიანთი „ცხოვრების სტილს“.

აღსანიშნავია, რომ ოჯახურ იერარქიაში ბავშვის პოზიციის მიხედვით მისი ხასიათის პროგნოზირება გარკვეული ტენდენციების აღწერაა. ეს არაა კანონზომიერებები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შესრულდეს.

## 7.2 ჰუმანისტური თეორია – აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის თეორია

ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ (1908-1970) ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ითვლება. მან ადამიანის, როგორც მთლიანი სისტემის, განვითარების კონცეფცია ჩამოაყალიბა და მისი უმაღლესი გამოვლინებებანი (სიყვარული, შემოქმედება, სულიერი ფასეულობები და სხვა) გააანალიზა.

მასლოუმ ადამიანის მოტივაციის იერარქიული მოდელი შექმნა. მოტივაციის ცნებასთან ახლოს დგას ისეთი ტერმინები, როგორებიცაა მოთხოვნილება, მიზანი, სურვილი, ლტოლვა, სწრაფვა.

მოტივაციის იერარქიულ მოდელში მასლოუმ მოთხოვნილებათა 5 ძირითადი დონე გამოყო:

პირველ ადგილზეა **ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები**. აქ შედის საკვები, წყალი, ძილი, სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება, სექსუალური იმპულსები.

მეორე ადგილზეა **უსაფრთხოებისა და იმედიანი მომავლის რწმენის მოთხოვნილება**. მათ შორისაა: გარემომცველი სამყაროს მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური საფრთხისაგან დაცვის მოთხოვნილება და მომავალში ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების რწმენა.

მესამე ადგილს **სოციალური მოთხოვნები იკავებს**, რომელსაც **თანხმობის მოთხოვნებსაც** უწოდებენ. ეს ცნება ისეთ მდგომარეობას განსაზღვრავს, როცა ადამიანი ვინმეს ან რამეს შეეთვისება და მასთან თანხმობით ცხოვრობს.

მეოთხე ადგილზეა **პატივისცემის, აღიარების მოთხოვნება**, რომელშიც შედის თვითპატივისცემის, კომპეტენტურობის, გარემომცველთა მხრიდან პატივისცემის, აღიარების მოთხოვნები.


მეხუთე ადგილზეა **თვითგამოხატვის მოთხოვნება**, ანუ საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციისა და პიროვნული ზრდის მოთხოვნება.

მასლოუს თეორიის შესაბამისად, ყველა მოთხოვნა შეიძლება მკაცრი იერარქიული თანმიმდევრობით დაჯგუფდეს, ანუ ფიზიოლოგიური მოთხოვნები, დაცულობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები პირველადი მოთხოვნებებია, ხოლო ყველა დანარჩენი — მეორადი. ამით ხაზგასმულია, რომ ჯერ უნდა დაკმაყოფილდეს ქვედა დონის მოთხოვნები, რომლებიც ადამიანის ქცევაზე ახდენენ გავლენას და მხოლოდ ამის შემდეგ — მოტივაციაზე ზემოქმედებს ზედა დონის საჭიროებები.

დროის განსაზღვრულ პერიოდში ადამიანი იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეეცდება, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. სანამ ზედა დონის მოთხოვნებათა დაკმაყოფილებას შეუდგება, ადამიანი ქვედა დონის მოთხოვნებს იკმაყოფილებს. ადამიანი, რომელსაც შია, ჯერ საკვების მოძიებას შეეცდება და მხოლოდ ამის შემდეგ — თავშესაფრის აგებას. შემდეგ კი ის სოციალური კონტაქტებისა და მოქმედებებისაკენ სწრაფვას დაიწყებს; შემდეგ — სხვათა პატივისცემის მოპოვებისკენ სწრაფვას. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანი შინაგან კმაყოფილებასა და გარემომცველთა პატივისცემას იგრძნობს, მისი მოთხოვნები პოტენციურ შესაძლებლობებთან ერთად გაიზრდება.


მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანი საჭიროებათა ყოველ მომდევნო დონეზე მხოლოდ წინა დონის მოთხოვნებათა დაკმაყოფილების შემთხვევაში გადადის. ამიტომ ბოლო, თვითრეალიზაციის დონეს ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 1% აღწევს, თუმცა ამის უნარი ყველას აქვს.

მასლოუმ რეალიზებული ადამიანების პიროვნული თავისებურებები აღწერა. ამ თავისებურებათა შორის განსაკუთრებით გამოყო დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი ნიჭი, სამყაროს ფილოსოფიური აღქმა, დემოკრატიულობა ურთიერთობაში, პროდუქტიულობა.



რა უნდა გავაკეთოთ, რომ ბავშვი აღვზარდოთ და განვავითაროთ, მისი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ?

## ჩვენი საქმიანობის პირამიდა



თავი VII

### 7.3 განვითარების თანამედროვე თეორიები

განვითარების თანამედროვე თეორიები შემდეგ ტენდენციებს ეფუძნება:

- ადამიანის თავის ტვინის შესწავლისას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებამ გვიჩვენა, რომ ტვინი ბიოფსიქოსოციალური ორგანოა, რომელიც მხოლოდ მეორე ადამიანთან პირდაპირი დიალოგისას ფორმირდება. გენეტიკურად განსაზღვრული თვისებები მხოლოდ გარკვეულ სოციალურ გარემოში რეალიზდება. ჯერ კიდევ აქტუალურია საკითხი: რომელია მთავარი — ბუნება თუ აღზრდა?
- ადრეული ასაკის განცდები თავის ტვინის აგებულებაზე, მოზრდილის უნარ-შესაძლებლობებსა და ხასიათზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს;
- მიჯაჭვულობის თეორია უახლესი ნევროლოგიური აღმოჩენების ახსნის სისტემას წარმოადგენს;
- სიცოცხლისუნარიანობის თეორია ნეგატიურ გარემო-პირობებში წარმატებული ადამიანის განვითარების საიდუმლოს ხსნის;
- ემოციების რეგულაცია და მშობლებთან დამოკიდებულება ადამიანის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია.

## მიჯაჭვულობის თეორია

გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-სა და კანადაში იმ პირთა შორის, რომლებიც დაობლებულ ბავშვთა ოჯახებში გაშვილების პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი, საკმაოდ პოპულარული გახდა ტერმინი „მიჯაჭვულობის გრძნობის დარღვევა (მიჯაჭვულობის დარღვევა)“. ეს ტერმინი მოდის ე. წ. მიჯაჭვულობის ფსიქოლოგიიდან — ესაა მიმართულება, რომელიც გასული საუკუნის შუა პერიოდში შეიმუშავეს **მერი ეინსვორტმა და ჯონ ბოულბიმ**.

**რა არის მიჯაჭვულობა?** ამის გასაგებად მოგვყავს ყველაზე ტიპური მაგალითი: ბავშვთა სახლიდან აყვანილი გოგონას მშობლებმა თავდაპირველად ჩათვალეს, რომ მწლის გოგონა საკმაოდ იოლად ეგუებოდა ახალ ცხოვრებას. ის ახალი ოჯახის ყველა წევრის მიმართ ალერსიანი იყო, შეხვედრისას ნათესავებს ალერსიანად კოცნიდა და გამომშვიდობებისას თბილად ეხვეოდა. თუმცა მალე მშობლებმა შენიშნეს, რომ ის უცნობ ადამიანებთანაც ზუსტად ასე იქცევა. ამ აღმოჩენით ისინი ძალიან შეწუხდნენ და განაწყენდნენ იმის გამო, რომ გოგონა ერთნაირ ყურადღებას იჩენს როგორც თავისი ახალი მშობლების მიმართ, ისე სრულიად უცხო ადამიანების მიმართ. მათთვის კიდევ ერთი უსიამოვნო მომენტი იყო ის, რომ გოგონა საერთოდ არ განიცდიდა, როცა მშობლები სადმე მიდიოდნენ და უპრობლემოდ რჩებოდა მისთვის ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან. ფსიქოლოგთან კონსულტაციისას მათ გაიგეს, რომ გოგონას არა აქვს ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობის გრძნობა.

რატომ ამინებთ უფროსებს ის, რომ ბავშვი თავისიანებს და უცხოებს ვერ ასხვავებს, ყველა ქალს სიხარულით ეძახის დედას? ქუჩაში ნებისმიერ ზრდასრულ ადამიანს ხალისით ართმევს ხელს და მზადაა მას გაჰყვეს? რას ნიშნავს ბავშვისათვის მიჯაჭვულობის გრძნობა?

**მიჯაჭვულობა** — ეს არის ძლიერი ემოციური ურთიერთკავშირი ადამიანებს შორის, რომელიც განუსაზღვრელი დროით ნარჩუნდება, მაშინაც კი, როცა ეს ადამიანები ერთმანეთს სცილდებიან.

მოზრდილებს მოსწონთ, როცა ვინმეს მიმართ მიჯაჭვულობას გრძნობენ, მაგრამ მათ ამ გრძნობის გარეშეც შეუძლიათ ცხოვრება. ხოლო ბავშვებისათვის მიჯაჭვულობის განცდა აუცილებელია. მოზრდილის მიმართ მიჯაჭვულობის გრძნობის გარეშე ბავშვი სრულფასოვნად ვერ ვითარდება, რადგან ამაზე დამოკიდებული მისი უსაფრთხოების განცდა, სამყაროს აღქმა, განვითარება. ჯანსაღი მიჯაჭვულობა ბავშვის ლოგიკური აზროვნების განვითარებას, სინდისის ჩამოყალიბებას, ემოციური იმპულსების კონტროლის უნარის ფორმირებას, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გაჩენას, საკუთარი და სხვა ადამიანების გრძნობების გაგებას, სხვა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობას უწყობს ხელს. პოზიტიური მიჯაჭვულობა განვითარების შეფერხების რისკსაც ამცირებს.

მიჯაჭვულობის დარღვევამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს არა მარტო სოციალურ კონტაქტებზე — სინდისის, პირადი ღირსების გრძნობის ჩამოყალიბებაზე, ემპათიის (ანუ სხვა ადამიანთა გრძნობებში წვდომის და თანაგრძნობის) უნარზე, არამედ ის ბავშვის ემოციური, სოციალური, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას იწვევს.

ბავშვებს, რომლებსაც მიჯაჭვულობის გრძნობა არ აქვთ, სამყაროს შეცნობისა და

ადამიანთა შორის დამოკიდებულების არაადეკვატური აღქმა გამოუმუშავდებათ, რაც დიდობის ასაკშიც გრძელდება. ასეთი პიროვნებები უკვე ზრდასრულ ცხოვრებაში ხანგრძლივ თერაპიულ დახმარებას საჭიროებენ.

**როგორ ვლინდება ბავშვის მიჯაჭვულობა:**

- თვალებით კონტაქტი;
- ღიმილი;
- პროტესტი განშორებისას;
- ხელში აყვანის სურვილი;
- გადევნება;
- ძებნა;
- ძახილი;
- ჩაჭიდება, მიკვრა.

**მიჯაჭვულობის ფორმირება ბავშვებში**

მიჯაჭვულობის გრძნობა თანდაყოლილი არ გახლავთ. ის შექმნილი თვისებაა და მხოლოდ ადამიანებისთვის როდია დამახასიათებელი. ცხოველებთან მიმართებაში ამ თვისებას „იმპრინტინგ“, ანუ შთაბეჭდილების დაფიქსირებას, უწოდებენ. ცნობილია ექსპერიმენტი, რომელშიც წინილებმა თავიანთ დედად მიიჩნიეს სათამაშო, ბორბლებიანი იხვი და გაჰყვნენ მას, ანუ პირველ მოძრავ ობიექტს, რომელიც გამოჩვევისთანავე დაინახეს; ასევე ლეკვები თავიანთ დედად კატას თვლიან, რომელმაც ისინი საკუთარი რძით გამოკვება.

ვინაიდან ჩვილის ტვინში არ არის ასახული მშობელი დედა, რომელმაც მასზე დაბადებისთანავე თქვა უარი, ხოლო ადამიანები მას ისე კვებავენ, რომ ხელშიც არ აჰყავდათ, ბავშვს კონკრეტულ ადამიანთან მუდმივი კავშირი არ უყალიბდება. ამიტომაც ამბობენ, რომ ასეთ ბავშვებს დარღვეული აქვთ მიჯაჭვულობის გრძნობა.

ზომიერი მიჯაჭვულობის ფორმირება გამარტივებულად შეიძლება შემდეგი მექანიზმის მეშვეობით აღწეროთ: როცა ჩვილი შიმშილს გრძნობს, ის ტირილს იწყებს. მშობლები ხვდებიან, რომ ბავშვს შია და მას აჭმევენ. ასევე ხდება ბავშვის სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება: მშრალი ტანსაცმელი, სითბო, ურთიერთობა. მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ერთად ბავშვს იმ ადამიანის მიმართ ნდობა უჩნდება, რომელიც მასზე ზრუნავს. ამგვარად ყალიბდება მიჯაჭვულობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც დედა ან მამა ჩვილის მოთხოვნებს ვერ პასუხობს, ბავშვი ამაზე რეაგირებს და უფრო ხანგრძლივად და ხმამაღლა აპროტესტებს. თუ ბავშვმა გარკვეული დროის შემდეგ საპასუხო რეაქცია ვერ მიიღო, ის ურთიერთობის მცდელობას ნყვეტს და მაშინაც კი აღარ რეაგირებს, როცა მშობლები უღიმიან ან თვალეში უყურებენ. იწყება სერიოზული სიძნელეები მშობლებთან ურთიერთობაში. როცა ამგვარი მდგომარეობა ბავშვის სიცოცხლის პირველ წელს ხშირად მეორდება, ის დაუკმაყოფილებლობის გრძნობას განიცდის, რასაც არაფრისმთქმელ, გრძნობებს მოკლებულ ურთიერთობამდე მივყავართ. საბოლოოდ ყოველივე ეს **ბავშვში ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხასიათის სერიოზულ**



### **და ხანგრძლივ ცვლილებებს იწვევს.**

3 თვის ასაკისათვის ბავშვს „გამოცოცხლების“ კომპლექსური რეაქცია უჩნდება (უფროსის დანახვაზე იღიმება, ხელ-ფეხს აქტიურად იქნევს, სიხარულის გამომხატველ ბგერებს გამოსცემს, ღულუნებს, უფროსისაკენ მიიწევს). დაახლოებით 6-8 თვის ასაკში ბავშვი თავისი ოჯახის წევრებს უცხოებისაგან ასხვავებს. ამ ასაკში ის ძლიერადაა მიჯაჭვული დედაზე. 10-12 თვის ასაკში მეტყველება ყალიბდება. ბავშვი ამბობს „დედა“, „მამა“. დაახლოებით 1,5 წლის ასაკში უცხოების მიმართ შიში ჩნდება.

### **ბავშვსა და მშობელს შორის მიჯაჭვულობის განვითარების სტადიები**

- **არადიფერენცირებული მიჯაჭვულობის სტადია (1,5-დან 6 თვემდე).** ბავშვი გამოჰყოფს დედას, მაგრამ წყნარდება, როცა სხვა მოზრდილს ხელში აჰყავს. ბავშვი თვალს აყოლებს და უღიმის ნებისმიერ ადამიანს;
- **სპეციფიური მიჯაჭვულობის სტადია (7-დან 9 თვემდე).** ამ სტადიისათვის დამახასიათებელია მიჯაჭვულობის განმტკიცება, რაც დედის მიმართ ადრე ჩამოუყალიბდა (ბავშვი აპროტესტებს, როცა დედას აშორებენ, უცხო ადამიანების გარემოცვაში მოუსვენრად იქცევა).
- **მრავლობითი მიჯაჭვულობის სტადია (10-დან 18 თვემდე).** დედის მიმართ მიჯაჭვულობის საფუძველზე ბავშვი სხვა ახლობელი ადამიანების მიმართაც ავლენს მიჯაჭვულობას, თუმცა დედა მაინც „ყველაზე საიმედო ობიექტია“. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როცა ბავშვი ხოხვას ან სიარულს იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბავშვის მოძრაობის ტრაექტორია საკმაოდ ჩახლართულია, ის ყოველთვის დედას უბრუნდება და თუ ვინმე დედას ჩამოეფარება, ბავშვი გადაადგილებასა და მის დანახვას ცდილობს.

2 წლისათვის ბავშვი, როგორც წესი, თავისიანებსა და უცხო ადამიანებს ცხადად ასხვავებს. ფოტოზე ცნობს ნათესავენს, თუნდაც დიდი ხნის უნახავთ. ადეკვატური განვითარებისა და ნორმალური ოჯახური გარემოს შემთხვევაში ბავშვი მზადაა გარემომცველ სამყაროსთან ურთიერობისათვის, ახალი ნაცნობობისათვის. ის სიამოვნებით ეცნობა სხვა ბავშვებს და მათთან თამაშს ცდილობს.

**რაში დაგვეხმარება ამ ასაკობრივი ნორმებისა და თავისებურებების ცოდნა?** მაგალითად, თუ ბავშვი დაახლოებით 9 თვისაა, აქამდე მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში ცხოვრობდა და მზრუნველი და მოსიყვარულე დედა ჰყავდა, დედასთან დაშორება მისთვის უდიდესი ტრავმა იქნება და ახალი მიჯაჭვულობის ფორმირება გაძნელდება. მეორე მხრივ, თუ ბავშვი დედას 1,5-2 თვის ასაკში დაშორდება და მასთან ურთიერთობა ერთსა და იმავე მუდმივ ძიძას ან აღმზრდელს ექნება, რომლებიც ბავშვის ემოციური კონტაქტის ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, 5-6 თვის ასაკში მისი შვილად აყვანის შემთხვევაში მიმღებ ოჯახთან მისი შეჩვევა საკმაოდ ადვილი იქნება და, სავარაუდოდ, არ გართულდება.

## მიჯაჭვულობის დარღვევის ფსიქოლოგიური ნიშნები

ბავშვს გარემომცველ მოზრდილებთან კონტაქტში შესვლა არ სურს. მოფერებისას ხელებით იშორებს, თვალეში არ უყურებს, მზერას არიდებს, შეთავაზებულ თამაშში ჩართვაზე უარს ამბობს. ამასთან ბავშვი თითქოს „შეუმჩნევლად“ უთვალთვალებს, აკვირდება უფროსს;

**გუნება-განწყობილების აპათიური ან დაქვეითებული ფონი**, ამავე დროს გულჩვილობა, სიფრთხილე ან შიში;

**საკუთარი თავის მიმართ აგრესია** — საკუთარი თავის მიმართ აგრესია. ბავშვი შეიძლება კედელს ან იატაკს თავს ურტყამდეს, სახეს, კიდურებს იფხოჭნიდეს და სხვა;

**„დიფუზური კომუნიკაბელობა“**. ბავშვს უფროსებთან დისტანციის გრძნობა არა აქვს, უფროსის ყურადღების მიქცევას ნებისმიერი გზით ცდილობს. ამგვარ ქცევას „მინებების“ რეაქციაც შეიძლება ვუნოდოთ, როცა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა დანესებულების აღსაზრდელი ნებისმიერ ახალ უფროს ადამიანს „ენებება“, ეხვევა, ხელში აყვანას სთხოვს, დედას (ან მამას) უწოდებს.

## მიჯაჭვულობის დარღვევის მიზეზები

**დეპრივაცია ადრეულ ასაკში**. დეპრივაცია არის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანის ძირითადი ფსიქიკური მოთხოვნილებების უკიდურესი შეზღუდვის შედეგად ჩნდება. ეს შეზღუდვა შეიძლება სენსორულ (შეგრძნებები), კოგნიტურ (ინტელექტი), ემოციურ, სოციალურ სფეროებს ეხებოდეს. **სენსორული დეპრივაცია** — ბავშვი განვითარებისათვის არასაკმარის მხედველობით, სმენით ან კინესთეტიკურ ინფორმაციას იღებს (მას სათამაშოები არ აქვს, ხელში არ აჭყავთ, არ ელაპარაკებიან, სასეირნოდ ქუჩაში არ გაჰყავთ). **კოგნიტური (ინტელექტუალური) დეპრივაცია** — ბავშვზე აბსოლუტურად არაფერია დამოკიდებული და მას არჩევანის გაკეთება არ შეუძლია. მაგალითად, დათქმულ დროს უნდა ჭამოს და არავინ ეკითხება, შია თუ არა. ასეთ ბავშვებს არ შეუძლიათ პასუხი გასცენ მარტივ კითხვებზე: „გშია თუ არა?“ „ვინ გინდა გახდე?“ „რის გაკეთებას ისურვებდი?“ მათ არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ. **ემოციური დეპრივაცია** — ბავშვი თავის ქცევაზე უფროსისაგან ემოციურ პასუხს (სიხარულს, მონონებას, უკმაყოფილებას და სხვა) არ იღებს. ის საკუთარი ქცევის რეგულირებას, თანაგრძნობას ვერ სწავლობს, თვალებით კონტაქტს ერიდება. **სოციალური დეპრივაცია** — ბავშვებს საშუალება არ აქვთ თამაშებში დედის, მამის, ბებიის, მასწავლებლის როლები შეასრულონ და მათ სოციალური როლების პრაქტიკული მნიშვნელობა არ ესმით.

**ოჯახურ ურთიერთობათა დარღვევა**. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ემოციური ურთიერთობა აქვს ბავშვს მშობლებთან, სასურველი შვილია თუ არა, ემოციურად მიჯაჭვულია თუ არა ოჯახის რომელიმე წევრთან. ერთი შეხედვით, პარადოქსულია ის ფაქტი, რომ ახალი მიჯაჭვულობის ჩამოსაყალიბებლად გაცილებით უფრო ხელსაყრელია სიტუაცია, როცა ბავშვს უკვე აქვს განცდილი მიჯაჭვულობის გრძნობა მშობლის მიმართ. თუ ბავშვს მოზრდილ ადამიანთან დადებითი ურთიერთობა გამოცდილი აქვს, ის განშორე-

ბის მომენტს რთულად გადაიტანს, თუმცა შემდგომში სხვა მოზრდილ ადამიანთან ნორმა-  
ლური ურთიერთობის დამყარება მისთვის გაცილებით ადვილი იქნება.

**ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური) და უგულვებლყოფა.** აღ-  
სანიშნავია, რომ იმ ბავშვებს, რომელთაც ოჯახში ძალადობა აქვთ გადატანილი, შეიძლება  
ძლიერი მიჯაჭვულობის გრძნობა ჰქონდეთ თავიანთი სასტიკი მშობლების მიმართ. საქმე  
ისაა, რომ ასეთი ბავშვები, ერთი მხრივ, საკუთარ თავში იმდენად იკეტებიან, რომ სტუმრად  
ნაკლებად დადიან და ოჯახურ ურთიერთობათა სხვა მაგალითს ვერ ხედავენ. მეორე მხრივ,  
ისინი იძულებულნი არიან, ამგვარ ოჯახურ ურთიერთობათა ნორმალურობის ილუზია  
შეინარჩუნონ საკუთარი ფსიქიკის გადარჩენისათვის. ბევრი მათგანისათვის დამახასია-  
თებელია მშობლების თუნდაც ნეგატიური ყურადღების მიქცევა ტყუილებით, აგრესიით  
(მათ შორის, საკუთარი თავის მიმართ აგრესიით), ქურდობით, ოჯახში მიღებული წესების  
დარღვევით.

**მშობელთან მოულოდნელი ან მტკივნეული განშორება** (მისი სიკვდილის, ავადმყო-  
ფობის ან ჰოსპიტალიზაციის გამო). ამგვარი განშორება ნებისმიერ ასაკში მტკივნეულია.  
განსაკუთრებით მძიმეა ბავშვისათვის მშობლის ან მასზე მზრუნველი ადამიანის სიკვდი-  
ლი, განსაკუთრებით — ძალადობრივი სიკვდილი. ახლობლის სიკვდილი ბავშვისათვის ორ-  
მხრივ არის ტრავმის მიზეზი: ჯერ ერთი, ის სიკვდილის მოწმე ხდება, და მეორე, აცნობიე-  
რებს, რომ თვითონაც მოკვდავია.

**საცხოვრებელი ადგილის ხშირი შეცვლა.** განსაკუთრებით რთულია ეს პერიოდი  
5-6 წლის ასაკში. ბავშვმა არ იცის, სად მიემგზავრება, კარგი იქნება იქ თუ ცუდი, განსხვა-  
ვებული იქნება ძველი საცხოვრებელი ადგილისაგან თუ არა, იქ მეგობრებს შეიძენს თუ არა  
და სხვა.

მიჯაჭვულობის დარღვევის რისკი მაშინ იზრდება, როცა ჩამოთვლილ ფაქტორებს 1-2  
წლის ასაკში ვხვდებით, აგრეთვე მაშინ, როცა რამდენიმე ფაქტორი ერთად იყრის თავს.

**მიჯაჭვულობის გრძნობის დარღვევის სამომავლო შედეგები:**

- **სადიზმი/ძალადობა:**  
ცხოველებისა და ადამიანების მიმართ სისასტიკე, ვანდალიზმი, დესტრუქციულობა,  
საკუთარი თავის დაზიანება, ხანძრის გამონეგვა, შემტევი ქცევა.
- **კვებითი პრობლემები:**  
საკვების ქურდობა და დაგროვება, ჭამის დროს სიხარბე, შიმშილობა.
- **გათამაშებული ემოციურობა**  
„თეატრალური“ გამოსვლები, ზედაპირული მომხიბვლელობა, განურჩეველი მიჯა-  
ჭვულობა.
- **კლექტომანია/უაზრო ტყუილი**  
ქრონიკული ქურდობები, პათოლოგიური ტყუილები.
- **სექსუალური აქცენტირებები**  
გამომწვევი ქცევა ან ტანსაცმელი, სექსუალური ქცევა სხვა ბავშვებთან მიმართება-  
ში.
- **პასიურობა/აგრესიულობა**

ბავშვი ადვილად, უბრძოლველად თმობს ყველაფერს, შეკითხვებს არ პასუხობს, გარემომცხოვრებულთა სიბრაზეს ინვესს, უსუფთაოა, აქვს ენურეზი<sup>10</sup>.

- **სინდისის არარსებობა**

დანაშაულის გრძნობის არქონა, დანაშაულის უარყოფა და სხვებზე გადაბრალება.

ბავშვი, რომელსაც მიჯაჭვულობის გრძნობა არ აქვს, გარემომცველი სამყაროსა და სხვა ადამიანების ნდობას ძალიან ძნელად ისწავლის. თუმცა ხანგრძლივად მზრუნველ და მოსიყვარულე გარემოში ყოფნა მას საკუთარი თავის და მთელი სამყაროსადმი რწმენის აღდგენაში დაეხმარება.

### **მიჯაჭვულობის დარღვევათა დაძლევის გზები**

**ფიზიკური კონტაქტი ბავშვსა და მოზრდილს შორის.** ბევრი ბავშვი, რომლებიც ბავშვთა სახლებიდან ოჯახებში ხვდებიან, თვითონვე მიისწრაფვიან მოზრდილ ადამიანთან ინტენსიური ფიზიკური კონტაქტისაკენ: მუხლებზე ჯდომა უყვართ, ხელში აყვანას, რწევას ითხოვენ. ეს ძალიან კარგია, თუმცა ბევრ მშობელს მეტისმეტი სხეულებრივი კონტაქტი აფრთხობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად მშობელი ამისაკენ მაინცდამაინც არ მიისწრაფვის. თანდათანობით ამგვარი კონტაქტების ინტენსივობა მცირდება, ბავშვი თითქოს „ძლება“, ინაზღაურებს იმას, რაც ადრეულ ასაკში აკლდა.

თუმცა, არსებობს ბავშვების საკმაოდ დიდი კატეგორია, რომლებიც ამგვარი კონტაქტისაკენ არ მიისწრაფვიან, ზოგიერთი მათგანი კი გაურბის კიდევ, მოფერებას ირიდებს და შეხებისას კრთება. სავარაუდოდ, ამ ბავშვებს უფროსებთან ურთიერთობის ნეგატიური გამოცდილება აქვთ — ხშირად ეს გადატანილი ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შედეგია.

არავითარ შემთხვევაში არაა საჭირო ბავშვისათვის ფიზიკური კონტაქტის თავსმობვა. მიჯაჭვულობა არა მარტო შეხების, არამედ თვალელებში ყურების, ერთობლივი მოქმედებების, საუბრის, ერთობლივი თამაშის, ერთად კვების, ერთად განცდის გზით ვითარდება. შესაძლებელია, მშობელს ზოგიერთი გავრცელებული და მარტივი თამაში შევთავაზოთ, რომლებიც ამ კონტაქტის განვითარებისაკენაა მიმართული: ცხვირზე თითის მიჭერა და მანქანის სიგნალის ხმის გამოცემა, ლოყების გაბუშტვა და ბავშვის ხელების მირტყმით „ბუშტის გახეთქვა“, ბანაობის დროს ქაფისაგან წვერების, გვირგვინის, სამხრეების გაკეთება და სხვა. როცა ბავშვს სანოვარიანი ბოთლით აჭმევენ, კარგია ბავშვის კალთაში ჩასმა, თვალელებში ყურება, გაღიმება, რაიმე სააღერსოს თქმა; წიგნის კითხვის ან ტელევიზორის ყურების დროს — ხელის გადახვევა, თავის თავზე მიღება და სხვა.

**ოჯახის ადეკვატური სურათის ფორმირება.** ბავშვისათვის აუცილებელია იმის განცდა, რომ მისი გრძნობები და ინტერესები მნიშვნელოვანია უფროსებისათვის, რომ განაწყვეტილებების მიღებისას მის აზრს გაითვალისწინებენ, რომ მისი მოთხოვნილებები შესაძლებლობის მიხედვით დაკმაყოფილებული იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლები ბავშვთან მიმართებაში პრინციპულნი იყვნენ და ბავშვის აღზრდისას, მისი შექების თუ დასჯის დროს ეს პრინციპები დაიცვან.

10 ენურეზი — შარდვის პროცესზე კონტროლის უუნარობა

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ნორმალური განვითარება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას ჩამოყალიბებული ადრეულ ასაკში მიჯაჭვულობის გრძნობა. მიჯაჭვულობის დეფიციტის დაძლევა და ბავშვის შემდგომი ნორმალური განვითარება მშობლის, ბავშვზე მზრუნველი უფროსი ადამიანის, სპეციალისტების უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს. თუმცა მწვავე შემთხვევებში ამ დეფიციტის სრული დაძლევა შეუძლებელია.

## სიცოცხლისუნარიანობის თეორია

ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევის, პრობლემათა მოგვარების, განსაცდელში საფრთხის აცილების უნარი.

ბავშვებს სხვადასხვა, მეტ-ნაკლები სიმძიმის სტრესთან შეხვედრა უხდებათ. ეს შეიძლება იყოს სახლში მარტო დარჩენა, თანატოლებთან ურთიერთობის სიძნელე, მშობელთა გაყრა, ავადმყოფობა, სიღარიბე, შიმშილობა, სტიქიური უბედურება და სხვა. სწორედ სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული, ასეთი გამოცდილებები ბავშვს დათრგუნავს თუ გააძლიერებს.

პრობლემურ, რთულ სიტუაციებში ბავშვები ხშირად მარტოობას, შიშსა და უმნეობას განიცდიან. ეს განცდები ნაკლებად დამთრგუნველია იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც სიცოცხლისუნარიანობის რესურსები გააჩნიათ.

**სიცოცხლისუნარიანობა — ეს არის უნარი, რომლითაც პიროვნება, ჯგუფი ან საზოგადოება თავიდან იცილებს, ამცირებს ან გადალახავს ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს.** სიძნელეებსა და დაბრკოლებებში იგულისხმება არა მხოლოდ განსაკუთრებული სირთულეები, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები.

სიცოცხლისუნარიანობა თანდაყოლილია ყველა ბავშვისათვის. იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხებს მშობელი ან მომვლელი ბავშვთან დაკავშირებულ ამა თუ იმ სიტუაციას და რამდენად ეხმარება ბავშვს სიტუაციის შესაბამისად რეაგირებაში, მას შეუძლია ან ხელი შეუწყოს ბავშვში სიცოცხლისუნარიანობის განვითარებას ან, პირიქით, ხელი შეუშალოს, დაანგრის ბავშვის თანდაყოლილი სიცოცხლისუნარიანობა.

ამერიკელ ფსიქოლოგს **ედიტგროტბერგს** ეკუთვნის კვლევა (1993-1994) **სიცოცხლის-უნარიანობის ენის** შესახებ, ადამიანის განვითარებისათვის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელობის, მისი ფორმირების ასაკობრივი თავისებურებების, მის ჩამოყალიბებაში მშობლებისა და აღმზრდელების როლის, სიცოცხლისუნარიანობის განვითარების შედეგების შესახებ.

### სიცოცხლისუნარიანობის ენა

ბავშვში სიცოცხლისუნარიანობის განვითარებისათვის საჭიროა, გავიაზროთ ის ენა, რომლითაც აღვწერთ და ავხსნით მას. ამით უფრო გაგვიადვილდება ჩვენი და ჩვენი ბავშვების ქცევის წარმართვა სიცოცხლისუნარიანობის გასავითარებლად.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების ფაქტორები შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სიტყვებით:

- მე მყავს/მაქვს;
- მე ვარ;
- მე შემოიძლია.

სიცოცხლისუნარიანი ბავშვი ამბობს:

### მე მყავს

- ადამიანები, რომლებსაც ვენდობი და ვისაც ვუყვარვარ ისეთი, როგორც ვარ;
- ადამიანები, რომლებიც მიწესებენ შეზღუდვებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად;
- ადამიანები, რომლებიც საკუთარი ქცევით მიჩვენებენ, თუ რა არის კარგი;
- ადამიანები, რომლებიც რაღაცების დამოუკიდებლად კეთებას მასწავლიან;
- ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან, როცა ვარ ავად ან საფრთხეში ან მესაჭიროება რჩევა.

### მე ვარ

- ადამიანი, რომელიც შეიძლება მოსწონდეთ და უყვარდეთ;
- მოხარული, ვასიამოვნო სხვებს და გამოვხატო ჩემი თანადგომა;
- საკუთარი თავისა და სხვების პატივისმცემელი;
- საკუთარ საქციელზე პასუხისმგებელი;
- დარწმუნებული, რომ ყველაფერი მოგვარდება.

### მე შემოიძლია,

- ველაპარაკო სხვებს იმაზე, რაც მაშინებს და მანუხებს;
- გამოვძებნო პრობლემის გადაჭრის გზები;
- ვაკონტროლო თავი, როცა ვატყობ, რომ მსურს რაიმე არასწორის ან საშიშის გაკეთება;
- შევარჩიო ხელსაყრელი დრო რაღაცის გასაკეთებლად ან ვინმესთან სასაუბროდ;
- მოვძებნო დამხმარე, როცა ეს დამჭირდება.

იმისთვის, რომ ბავშვი სიცოცხლისუნარიანი იყოს, სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი ნიშნის არსებობა. თუმცა სიცოცხლისუნარიანობის სამივე წყაროდან რამდენიმე ნიშანი ბავშვს აუცილებლად უნდა გააჩნდეს. მაგალითად:

— ბავშვი შეიძლება უყვარდეთ (**მე მყავს**), მაგრამ თუ ის არ გრძნობს შინაგან სიძლიერეს (**მე ვარ**) ან არ აქვს სოციალური, ურთიერთობის უნარი (**მე შემოიძლია**), სიცოცხლისუნარიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— ბავშვი შეიძლება იყოს საკმარისად თავდაჯერებული (**მე ვარ**), მაგრამ თუ მან არ იცის ურთიერთობა ან პრობლემების გადაჭრა (**მე შემოიძლია**), და არ ეგულება ვინმე, ვინც დაეხმარება (**მე მყავს**), ბავშვი ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი.

— ბავშვი შეიძლება კარგად მეტყველებდეს (**მე შემოიძლია**), მაგრამ თუ არ გააჩნია თანაგრძნობის უნარი (**მე ვარ**) და ვერ იღებს დადებით მაგალითს უფროსისაგან (**მე მყავს**), ვერ ვისაუბრებთ სიცოცხლისუნარიანობაზე. სიცოცხლისუნარიანობა ყალიბდება მხოლოდ ამ თვისებათა კომბინირებით.

## სიცოცხლისუნარიანობის მაგალითები

არსებობენ ადამიანები, რომლებიც პრობლემებისა და სიძნელეების დაძლევის მაშინაც ახერხებენ, როცა ეს ძალიან რთული ჩანს.

ხუთი წლის ბიჭი სახლში მოდის და დედას ეუბნება:

ერთი დიდი ბიჭი მირტყამს და ზოგჯერ პანდურებს მკრავს. მე ვუთხარი, გაჩერდეს, მაგრამ ის თავს არ მანებებს. მე მისი მეშინია.

**მე მყავს** ნიშნებიდან დედას შეუძლია აიღოს:

- „ადამიანები, რომლებსაც ვენდობი და ვისაც ვუყვარვარ ისეთი, როგორც ვარ“;
- „ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან, როცა საფრთხეში ვარ“.

**მე ვარ** ნიშნები შეიძლება გაძლიერდეს იმის ჩვენებით, რომ ბავშვი არის:

- „მოსაწონი და საყვარელი“;
- „დარწმუნებული, რომ ყველაფერი მოგვარდება“.

**მე შემიძლია** ნიშნები გულისხმობს:

- „ვესაუბრო სხვებს იმაზე, რაც მაშინებს და მანუხებს“;
- „ვიპოვო ის, ვინც დამეხმარება, როცა ეს დამჭირდება“.

დედა-შვილს შორის ურთიერთობა შეიძლება ასე წარიმართოს: დედა ბავშვს უსმენს და ეუბნება, რომ შენუხებულია მომხდარის გამო და ამშვიდებს მას. შემდეგ ეუბნება, რომ კარგია, როცა ბავშვები ამგვარი რამის შესახებ მასწავლებელს ატყობინებენ და რომ ეს არ არის დასმენა. დედა სთავაზობს ბავშვს, რომ დაელაპარაკება მასწავლებელს ან ბიჭის მშობლებს. თუმცა შვილის დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით, არ ცდილობს ამის დაძალებას. თავისი გრძნობების გაზიარებით და პრობლემის გადაჭრის გზების გაგებით ბავშვი შევებს გრძნობს. იგი თავს პრობლემის მოგვარების მონაწილედ გაიაზრებს და სურვილი უჩნდება გაარკვიოს, თუ რისი გაკეთება შეიძლება კიდევ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თავართქილაძე, ე. (2008). *ბავშვის განვითარების ძირითადი საკითხები, სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის*. ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი. თბილისი, საქართველო
2. ლაცაბიძე, გ. (2008). *განვითარების თეორიები მასწავლებელთათვის: დამხმარე სახელმძღვანელო*. გამომცემლობა ნეკერი
3. Ashford, J., LeCroy, C. and Lortie, K. (2001). *Human Behavior in the Social Environment*. Brooks/Cole Cengage Learning
4. Hutchinson, E. (1999). *Dimensions of Human Behavior*. Pine Forge Press; Thousand Oaks, CA.

# თავი VIII: ბავშვის შეფასება

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვის შეფასების პროცესს, რომელიც ეფუძნება შეფასების ინტეგრირებულ მოდელს. განიხილავს ამ პროცესის მიზნებსა და ძირითად პრინციპებს. აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას შეფასების ინტეგრირებული მოდელის ძირითადი ასპექტების შესახებ; ასევე, მოიცავს იმ ძირითად კითხვებს, რომლებიც სოციალურ მუშაკებს დაეხმარებათ ბავშვის შეფასების პროცესში.

ბავშვის შეფასების პროცესს სოციალური მუშაკის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შეფასება ბავშვსა და მის ოჯახთან ურთიერთობის დამყარების საფუძველია. იგი არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ბავშვისა და ოჯახის საჭიროებები გარკვეული ჩარევის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. შესაბამისად, შეფასებას მთავარი როლი აქვს მიზნების დასახვასა და ინტერვენციის (ჩარევის) დაგეგმვაში. წარუმატებელი ჩარევა ხშირად არასწორად წარმართული შეფასების შედეგია.

შეფასება ბენეფიციარსა და სოციალურ მუშაკს შორის ურთიერთობის პროცესია, რომლის დროსაც შეგროვდება და გაანალიზდება ინფორმაცია. შეფასების მიზანია ბავშვის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი მომსახურების გეგმის ჩამოყალიბება.

## 8.1 ბავშვის შეფასების ინტეგრირებული მოდელი

ბავშვის შეფასების პროცესი კომპლექსურია და მოიცავს შედეგ 3 ძირითად ასპექტს:

- 1) ბავშვის ასაკობრივი განვითარების საჭიროებები;
- 2) მშობლების ან სხვა მზრუნველების შესაძლებლობები შექმნან ბავშვის განვითარებისათვის საჭირო პირობები;

3) რა გავლენას ახდენს ოჯახი და გარემო ფაქტორები ბავშვზე და მშობლების/მზრუნველების შესაძლებლობებზე ბავშვზე ზრუნვისას.

აღნიშნული სამივე ასპექტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და თავის მხრივ მოიცავს სხვადასხვა საკითხს. სოციალურმა მუშაკმა შეფასების პროცესში ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ ასპექტების ერთმანეთთან ურთიერთმიმართებას შესწავლაზე, რათა გაანალიზოს და დაადგინოს, თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი ბავშვზე. ბავშვის შეფასების პროცესში აღნიშნული მიდგომა ბავშვის შეფასების ინტეგრირებულ მოდელს ეფუძნება.

### შეფასების ინტეგრირებული მოდელი



თავი VIII



ბავშვის შეფასების ინტეგრირებული მოდელის მიხედვით შეფასების ძირითადი ამოსავალი არის ბავშვი. შეფასების პროცესი ბავშვთან და მის ოჯახთან სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და რაპორტის (ნდობის)დამყარების საშუალებას იძლევა. შეფასების მიზანს წარმოადგენს ბავშვის, ოჯახის და მათი უშუალო გარემოს ურთიერთგავლენისა და ურთიერთმიმართების შესწავლა. შეფასების შედეგს წარმოადგენს სხვადასხვა წყაროდან (ბავშვი, ოჯახი, ახლობლები, სკოლა, სამედიცინო დაწესებულება) მოპოვებული მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ბავშვისა და მისი ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შესახებ. შეფასება არის ის ბაზა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შემთხვევის სამოქმედო გეგმა. გეგმა კი ორიენტირებული იქნება ბავშვის კეთილდღეობაზე.

ბავშვის შეფასების ინტეგრირებული მოდელის მიხედვით შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- **უნდა იყოს ბავშვზე ორიენტირებული** – ბავშვი არის შეფასების პროცესის ამოსავალი წერტილი. მთავარი შეფასების პროცესში არის იმისი დადგენა, თუ რა საჭიროებები აქვს ბავშვს და როგორ შეიძლება ამ საჭიროებების დაკმაყოფილება;
- **უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ მიდგომას** – ინდივიდუალური მიდგომის მიხედვით ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის განვითარების პროცესი საერთო კანონზომიერებით აიხსნება, თითოეული ბავშვი მაინც უნიკალურია და განვითარების ინდივიდუალური ტემპი ახასიათებს. ინდივიდუალური მიდგომა ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ შინაგან სამყაროს, უნარს, მოთხოვნებს, ინტერესებს და ეფუძნება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, მის ძლიერ მხარეებსა და რესურსებს;
- **უნდა მოიპოვოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან** – იმისათვის, რომ მივიღოთ სრულფასოვანი ინფორმაცია, ბავშვი უნდა შევაფასოთ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს მიხედვით. ეს წყაროები შეიძლება იყოს შემდეგი: დოკუმენტაცია (მომართვის ფორმა, სამედიცინო ანკეტა, სხვადასხვა სპეციალისტის ჩანაწერები ბავშვის შესახებ); ბავშვის მიერ გადმოცემული ინფორმაცია (პრობლემის განსაზღვრა, გრძობების გამოხატვა, მოსაზრებები, მოვლენები, ა.შ.); პირდაპირი დაკვირვება ბავშვის არავერბალურ ქცევაზე; ბავშვის ოჯახის წევრებისა და თანადგომის ქსელის მიერ მონოდებული ინფორმაცია; პირდაპირი დაკვირვება ბავშვის ურთიერთობაზე ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან და ა.შ.; ფსიქოლოგიური ტესტები (მაგ., დაუმთავრებელი წინადადებების მეთოდი, ნახატები და სხვა); სოციალური მუშაკის გამოცდილება კლიენტთან ურთიერთობისა;
- **უნდა იყოს ანალიტიკური პროცესი** – შეფასების ძირითადი ამოცანაა, ბავშვის, ოჯახის და მათი უშუალო გარემოს ურთიერთგავლენისა და ურთიერთმიმართების შესწავლა და ანალიზი. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეჯერდება და ამის შედეგად გაანალიზდება ბავშვის განვითარების მდგომარეობა;
- **უნდა ასახავდეს ადამიანის განვითარების ძირითადი ეტაპების თავისებურებებს** –ასაკიდან, სქესიდან, კულტურიდან, ეთნიკური კუთვნილებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ბავშვი შეიძლება სხვადასხვა პრობლემის წინაშე იდგეს. შეფასების ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ამ პრობლემათა ახსნა ბავშვის განვითარების

რების ძირითადი ეტაპებიდან გამომდინარე და ამ ეტაპებისათვის დამახასიათებელი სირთულეების ცოდნა. სოციალური მუშაკი შეფასების პროცესში ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ბავშვის განვითარების ეტაპისათვის დამახასიათებელ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე;

- **უნდა გამოიყენოს ეკოლოგიური მიდგომა**, რათა გაიაზროს სხვადასხვა გარემო სისტემის ზეგავლენა ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. დადგენილია, რომ გარემო სისტემებს უმნიშვნელოვანესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ბავშვის ცხოვრებაზე და ამ პარამეტრიდან გამომდინარე, ადამიანის ცხოვრების შესწავლა შეფასების პროცესისათვის აუცილებელი პირობაა. ბავშვის სისტემებს შორის ძირითადია: ბავშვის ოჯახი, სოციალური ქსელი (მეგობრები, მეზობლები, ნათესავები, ა.შ.), საზოგადოებრივი დაწესებულებები (საგანმანათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების, იურიდიული, ადგილობრივი თვითმმართველობის და ა.შ.);
- **უნდა ითვალისწინებდეს და პატივს სცემდეს კულტურულ თავისებურებებს.** ეს სოციალურ მუშაკს ეხმარება, გაიაზროს ადამიანის პრობლემა მისი სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე;
- **უნდა ამოიცნოს ძლიერი მხარეები** – მიზანშეწონილია, ბავშვის შეფასება ორიენტირებული იყოს მის ძლიერ მხარეებზე და არა ნაკლოვანებების დიაგნოსტიკაზე. ძლიერ მხარეებზე ორიენტაცია ითვალისწინებს ბავშვის, როგორც პარტნიორის განხილვას მისი დახმარების პროცესში და მისი ძლიერი მხარეების გამოყენებას ინტერვენციის დაგეგმვასა და შემუშავებაში. ამრიგად, ბავშვი არ გამოდის პროცესის პასიური მონაწილე, არამედ თავად აკონტროლებს საკუთარი პრობლემის გადაწყვეტის პროცესს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, სოციალურმა მუშაკმა განსაზღვროს ის მხარეები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ;
- **შეფასება უნდა იყოს განმეორებადი პროცესი და არა ერთჯერადი მოვლენა** – ბავშვის საჭიროებები და ინტერესები მუდმივად იცვლება. სოციალური მუშაკისათვისაც აუცილებელია ბავშვის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ცოდნა, რათა შეამოწმოს თუ რამდენად შეესაბამება სოციალური მუშაკის მიერ ჩამოყალიბებული გეგმა მის ამჟამინდელ საჭიროებებს;
- **უნდა უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობა** – შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესია ბავშვის მონაწილეობა და აუცილებელია 10 წელზე უფროსი ასაკის ბავშვის აზრის გათვალისწინება!
- **უნდა დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი** – სოციალურმა მუშაკმა უნდა დაიცვას ბავშვის უფლება — ინფორმაცია მისი ცხოვრების შესახებ დარჩეს კონფიდენციალური;
- **უზრუნველყოს უწყებათაშორისი თანამშრომლობა** – ბავშვის შეფასების პროცესი კომპლექსურია. შესაბამისად, შეფასების პროცესში სოციალურმა მუშაკმა უნდა ითანამშრომლოს სხვადასხვა უწყებისა და პროფესიის წარმომადგენლებთან, როგორცაა მაგალითად სკოლის პედაგოგი, სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი, პოლიციის წარმომადგენელი და სხვა.

ბავშვის შეფასების ინტეგრირებული მოდელის მიხედვით, **ბავშვის განვითარებისათვის საჭირო პირობები** მოიცავს შემდეგ საკითხებს: **ჯანმრთელობა, ქცევის სპეციფიკა და ემოციური განვითარება, გონებრივი განვითარება, განათლება, სოციალური ურთიერთობები**. სოციალურმა მუშაკმა ბავშვის განვითარების შეფასების პროცესში უნდა მოიპოვოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან, როგორცაა ბავშვი, მშობლები და ოჯახი, სამედიცინო პერსონალი, სკოლის პედაგოგები და სხვა. სოციალურმა მუშაკმა შეფასების პროცესში, ასევე, უნდა მოიპოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, მაგალითად, სამედიცინო ჩანაწერები და ასე შემდეგ. მნიშვნელოვანია, სოციალურმა მუშაკმა მოპოვებული ინფორმაციისა და ბავშვის განვითარების პროცესზე მისი დაკვირვების შედეგად გაანალიზოს განვითარების აღნიშნული ასპექტები. ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სოციალურმა მუშაკმა უნდა მოიძიოს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

### **ჯანმრთელობა**

- არის თუ არა ბავშვი ჯანმრთელი?
- აღენიშნება თუ არა ბავშვს რაიმე ქრონიკული ან მწვავე დაავადება?
- არის თუ არა ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის?
- იმყოფება თუ არა ბავშვი რეგულარულად სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ?
- სჭირდება თუ არა განსაკუთრებული დიეტა ან სხვა განსაკუთრებული პირობები?
- სარგებლობს თუ არა სამედიცინო მომსახურებით?
- არსებობს თუ არა ბავშვის სამედიცინო დოკუმენტაცია?
- გაკეთებული აქვს თუ არა საჭირო აცრები?
- იცის თუ არა ბავშვმა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?
- შეესაბამება თუ არა ბავშვის ფიზიკური განვითარება მის ასაკს (სიმაღლე, წონა, სხეულის პროპორციები, მოძრაობა, მხედველობა, სემნა)?

### **ქცევის სპეციფიკა და ემოციური განვითარება**

- აქვს თუ არა ბავშვს თავის მოვლის ასაკის შესაბამისი უნარ-ჩვევები?
- ამყლავნებს თუ არა ქცევით თავისებურებებს (ანტისოციალური ქცევა, ჰიპერქტიული ქცევა და ა.შ)?
- ჰქონია თუ არა საკუთარი თავის დაზიანების მცდელობა?
- აქვს თუ არა უნარი, მართოს საკუთარი თავი?
- აქვს თუ არა უნარი დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობა სხვებთან (თანატოლებთან, უფროსებთან)?
- ხომ არ არის დამოკიდებული მანე ნივთიერებებზე (ნარკოტიკი, თამბაქო, ალკოჰოლი)?
- ამყლავნებს თუ არა ბავშვი ადეკვატურ ემოციებს?
- ხომ არ არის ბავშვი ხშირად დაღლილი ან აღგზნებული?
- სძინავს თუ არა ბავშვს ღამით კარგად?
- შეუძლია თუ არა ბავშვს დამოუკიდებლად ჭამა და ჩაცმა?
- იცის თუ არა ბავშვმა საკუთარი სახელი და გვარი, ასაკი და სქესი?
- ბავშვის მეტყველება და ქცევა სოციალურად მისაღებია თუ არა?
- ბავშვი ერთმანეთისგან არჩევს თუ არა ახლობელ და უცხო ადამიანებს? ექცევა თუ არა მათ შესაბამისად?
- ენდობა თუ არა ბავშვი მისთვის ნაცნობ ადამიანებს?

- კეთილგანწყობილია თუ არა ბავშვი სხვა ადამიანების მიმართ?
- თამაშობს თუ არა ბავშვი და-ძმებსა და თანატოლებთან ერთად?
- ხომ არ აყენებს ბავშვის პრობლემური ქცევა ზიანს მის უსაფრთხოებას (იკანწრავს სახეს, ურტყამს თავს და ა.შ)?
- აქვს თუ არა ბავშვს ჯანსაღი თვითშეფასება?
- ბავშვი ადეკვატურად რეაგირებს თუ არა სტრესზე და ცვლილებებზე?
- ხომ არ არის ბავშვი ძალადობის მსხვერპლი (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური)?

### გონებრივი განვითარება

- ადეკვატურად პასუხობს თუ არა ბავშვი დასმულ კითხვებს?
- მეტყველებს თუ არა ბავშვი ასაკის შესაბამისად?
- შეუძლია თუ არა ამბის დალაგებულად გადმოცემა?
- შეუძლია თუ არა ასაკის შესაბამისად წერა, კითხვა და ანგარიში?
- აქვს თუ არა ბავშვს მოსმენის უნარი?
- ამჟღავნებს თუ არა ბავშვი ინტერესს გარემოსა და ხალხის მიმართ?
- ამჟღავნებს ინტერესს ასაკისათვის შესაბამისი თამაშისადმი?
- როგორ გამოხატავს ბავშვი აზრებს?
- როგორ შეუძლია ბავშვს თქვენთან ურთიერთობა?

### განათლება

- იღებს თუ არა ბავშვი ზოგად განათლებას?
- შეესაბამება თუ არა ბავშვის ასაკი სწავლის საფეხურს?
- როგორი აკადემიური მოსწრება აქვს ბავშვს?
- როგორი დისციპლინა აქვს ბავშვს?
- ესწრება თუ არა გაკვეთილებს რეგულარულად?
- რა არის ბავშვის საყვარელი საგნები?
- რა საგნებში საჭიროებს ბავშვი დახმარებას?
- აქვს თუ არა ბავშვს განსაკუთრებული მისწრაფებები და მიდრეკილებები?
- ხომ არა ესაჭიროება ბავშვს განსაკუთრებული პირობები განათლების მისაღებად?

### სოციალური ურთიერთობები

- აქვს თუ არა სტაბილური, კარგი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან?
  - აქვს თუ არა ხშირი ურთიერთობა ნათესავებთან?
  - ჰყავს თუ არა მეგობრები და ვინ არიან ისინი?
  - გამოხატავს თუ არა ბავშვი განსაკუთრებული სიახლოვის გრძნობას ვინმეს მიმართ?
- ბავშვის შეფასების ინტეგრირებული მოდელის მიხედვით, **მზრუნველობის უნარ-ჩვევები** მოიცავს შემდეგ საკითხებს: **ყოველდღიური ზრუნვა, ემოციური სითბო, უსაფრთხოება, ზედამხედველობა და საზღვრები, სტიმულაცია**. იმის გასაგებად თუ როგორ უვლიან ბავშვს, სოციალურმა მუშაკმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია მშობლებიდან, ოჯახის წევრებიდან, ბავშვიდან. შესაძლოა, ასევე საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან. მნიშვნელოვანია, მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება და . პასუხები შემდეგ კითხვებზე:

### **ყოველდღიური ზრუნვა**

- დაკმაყოფილებულია თუ არა ბავშვის ძირითადი ყოველდღიური საჭიროებები?
- რა სახის საკვებს იღებს ბავშვი?
- დაცულია თუ არა ბავშვის ჰიგიენა?
- აქვს თუ არა ბავშვის სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი?
- აქვს თუ არა განვითარებისათვის აუცილებელი სათამაშოები?
- აქვს თუ არა ბავშვს აუცილებელი სასწავლო ნივთები?
- ძირითადად, ვის აკისრია პასუხისმგებლობა ბავშვზე?
- როგორ შეაფასებდით აღმზრდელების ზრუნვით უნარ-ჩვევებს?
- **ემოციური სიტბო** ტირილის დროს ბავშვს ამშვიდებენ თუ არა რეგულარულად?
- ბავშვს ეპყრობიან თუ არა სიტბოთი და სიყვარულით?
- მშობლები და მზრუნველები საკმარის დროს ატარებენ თუ არა ბავშვთან, რათა ხელი შეუწყონ მდგრადი ურთიერთობის შენარჩუნებას?
- ხომ არ ეჩხუბებიან ან აკრიტიკებენ ბავშვს ხშირად?
- ხომ არ ტვირთავს მშობელი/მზრუნველი ბავშვს საკუთარი პრობლემებით?

### **უსაფრთხოება**

- ბავშვი დაცულია თუ არა ძალადობისა და უგულვებლოფისაგან?
- ხომ არ ყოფილა ოჯახური ძალადობის შემთხვევა და ხომ არ არის ბავშვი მოწმე ან მსხვერპლი ამ ძალადობის?
- აქვს თუ არა ოჯახის რომელიმე წევრს ფსიქიკური ან ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემა?
- არის თუ არა ოჯახში მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების შეთხვევები?
- იმყოფება თუ არა ოჯახის რომელიმე წევრი სასჯელალსრულებით დაწესებულებაში?
- ყოფილა თუ არა ოჯახში ბავშვის სიკვდილიანობის შემთხვევა?
- ყოფილა თუ არა ოჯახში ბავშვის გაშვილების შემთხვევა?
- ყოფილა თუ არა ოჯახში ბავშვის სააღმზრდელო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევა?
- ხომ არ ტოვებენ ბავშვს უცხო ადამიანებთან?
- ბავშვის პრობლემური ქცევა ხომ არ აყენებს ზიანს მის უსაფრთხოებას (იკანრავს სახეს, ურტყამს თავს)?
- როგორ მეთოდებს გამოიყენებენ მშობლები/მზრუნველები ბავშვის დასასჯელად?
- სჯიან თუ არა ბავშვს ფიზიკურად?

### **ზედამხედველობა და საზღვრები**

- ადევნებენ თუ არა თვალყურს ბავშვს დღის განმავლობაში?
- არსებობს თუ არა ოჯახში წესები და ნორმები ბავშვის ქცევის შესახებ?
- ადევნებენ თუ არა თვალყურს მშობლები/მზრუნველები ბავშვის ურთიერთობას დამებსა და თანატოლებთან?

### სტიმულაცია

- ეხმარებიან თუ არა ოჯახის წევრები ბავშვს განათლებასა და პიროვნულ განვითარებაში?
- ეხმარებიან თუ არა ოჯახის წევრები ბავშვს დამოუკიდებლობის გრძნობის განვითარებაში?

ბავშვის შეფასების ინტეგრირებული მოდელის მიხედვით **ოჯახური და გარემო ფაქტორების** შესწავლა შეიცავს შემდეგ საკითხებს: **ოჯახის ფუნქციონირება, სოციალური თანადგომის ქსელი, სოციალური ინტეგრაცია, საცხოვრებელი, შემოსავალი და დასაქმება.** სოციალურმა მუშაკმა ოჯახის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვისგან, ოჯახის წევრებისგან, ახლობლებისგან. ოჯახური და გარემო ფაქტორების შეფასების პროცესში სოციალურმა მუშაკმა უნდა მოიძიოს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

### ოჯახის ფუნქციონირება

- როგორი ურთიერთობა აქვთ ოჯახის წევრებს ერთმანეთთან?
- განაწილებულია თუ არა ფუნქციები ოჯახის წევრებს შორის?
- როგორი ურთიერთობა აქვს ოჯახს გარე სამყაროსთან?
- არსებობს თუ არა ოჯახში შეთანხმებული წესები?
- როგორ რეაგირებს ოჯახი სტრესზე?
- როგორ იღებენ ოჯახის წევრები გადაწყვეტილებებს?
- როგორი ისტორია აქვს ოჯახს?
- როგორი ღირებულებები და ტრადიციები აქვს ოჯახს?
- რელიგიას რა ადგილი უჭირავს ოჯახის ცხოვრებაში?
- და სხვა.

### სოციალური თანადგომის ქსელი

- აქვს თუ არა ოჯახს მჭიდრო კონტაქტი ნათესავებთან?
- აქვს თუ არა ურთიერთობა მეზობლებთან, მეგობრებთან?
- სარგებლობს თუ არა ოჯახი თემში არსებული სხვადასხვა მომსახურებით?

### სოციალური ინტეგრაცია

- ინტეგრირებულია თუ არა ოჯახი იმ საზოგადოებაში, რომელშიც იგი ცხოვრობს?
- ხომ არ არის გარიყული საზოგადოებისგან და თუ არის, მაშინ რა არის ამის მიზეზი?

### საცხოვრებელი

- აქვს თუ არა ოჯახს სტაბილური თავშესაფარი?
- არის თუ არა ოჯახში უსაფრთხო საყოფაცხოვრებო პირობები?
- რა სახის საცხოვრებელი აქვს ოჯახს?
- რამდენი ოთახია საცხოვრებელში?
- დამაკმაყოფილებელია თუ არა საცხოვრებელი ადგილის მდგომარეობა?
- დამაკმაყოფილებელია თუ არა საცხოვრებელში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა (აბაზანა, ტუალეტი, სამზარეულო)?
- როგორია საცხოვრებელში კომუნალური მდგომარეობა?

### შემოსავალი და დასაქმება


- აქვს თუ არა ოჯახს სტაბილური შემოსავალი?
- მუშაობენ თუ არა ოჯახის წევრები?
- იღებს თუ არა ოჯახი სოციალურ დახმარებას?
- მიუმართავს თუ არა ოჯახს განცხადებით სათანადო ორგანოებისათვის ფინანსური დახმარების მოთხოვნით?
- აქვს თუ არა ოჯახს ვალი?

## 8.2 ბავშვის ეკორუკა

ეკორუკა არის საშუალება, რომელიც აქტიურად გამოიყენება სოციალური მუშაკების მიერ როგორც ბავშვთან, ასევე, ოჯახთან მუშაობისას. ეკორუკა ბავშვის სოციალურ კონტექსტში შესწავლის საუკეთესო საშუალებაა. ეკორუკის მათოდი განავითარა ანა ჰარტმანმა 1975 წელს როგორც ბენეფიციარზე ეკოლოგიური სისტემების ზეგავლენის საუკეთესო გრაფიკული მაჩვენებელი. ბავშვის შეფასების პროცესში არ უნდა დავივიწყოთ მისი ეკოლოგიური (გარემო) სისტემები, რომლებიც ხშირად ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ბავშვის პრობლემაზე და, იმავდროულად, პრობლემის გადაჭრის შესაძლო წყაროსაც წარმოადგენენ. სოციალურმა მუშაკმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია ამ სისტემების ფუნქციონირებისა და ურთიერთმიმართების შესახებ. ბავშვის სისტემებს შორის ძირითადია: ბავშვის ოჯახი, სოციალური ქსელი და საზოგადოებრივი დანესებულებები. ბავშვის ეკოლოგიური გარემო უნდა შეფასდეს ეკორუკის მეშვეობით, რომელშიც აისახება ის ძირითადი სისტემები, რომლებიც ზემოქმედებენ ბავშვზე და გავლენას ახდენენ მის ცხოვრებაზე.

ეკორუკის შედგენისას სოციალური მუშაკი და ბენეფიციარი ერთობლივად ხატავენ რუკას, რომლის ცენტრშიც არის ბავშვი. რუკაზე ნაჩვენებია ის მნიშვნელოვანი სისტემები, რომლებიც ბავშვის ცხოვრების ნაწილს შეადგენენ და მასზე ასახულია ამ სისტემებთან ბავშვის ურთიერთობა. ეს სისტემები დაკავშირებულია ბავშვთან ხაზებით.

### ეკორუკის სიმბოლოებია:



აღნიშნავს ბავშვს, ოჯახს, ჯგუფს, სისტემას



აღნიშნავს მყარ, მჭიდრო ურთიერთობას



აღნიშნავს სუსტ, არამყარ ურთიერთობას



აღნიშნავს კონფლიქტურ, სტრესულ ურთიერთობას



ისარი რომელიც მიმართულია სისტემიდან ბავშვისკენ მიუთითებს სისტემის ზეგავლენას ბავშვზე, ხოლო როცა ბავშვიდან – სისტემისკენ, მაშინ, პირიქით, მიუთითებს ბავშვის ზეგავლენას სისტემაზე.



ორმხრივი ისარი ბავშვსა და სისტემებს შორის მიუთითებს მათ შორის ორმხრივ ურთიერგავლენაზე.

### 8.3 ბავშვის გენოგრამა

ბავშვის გენოგრამა არის ფსიქიატრ მურიე ბოუენის შემუშავებული მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთ შევისწავლოთ ბავშვის ოჯახის სისტემაში არსებული ურთიერთობები. ბავშვის გენოგრამა უნდა შეიქმნას სამ თაობაზე: ბავშვი, მშობლები, ბებია და ბაბუა. ბავშვის გენოგრამა უნდა მოიცავდეს სამი ტიპის ინფორმაციას:


1. დემოგრაფიული (დაბადებისა და გარდაცვალების წლები, სხვა მნიშვნელოვანი თარიღები)
2. ფუნქციონალური (გენეტიკური დაავადებები, დევიანტური ქცევა, შეზღუდული შესაძლებლობა, ალკოჰოლიზმი და ოჯახური ძალადობის ისტორია)
3. ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ (ბავშვის დაბადება, ქორწინება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა)

გენოგრამის საშუალებით შეისწავლიან ბავშვის ოჯახის სტრუქტურას. იგი გვეხმარება გავარკვიოთ ბავშვის ოჯახის შემადგენლობა; ასევე ვიგებთ ოჯახის ისტორიას და ვარკვევთ, რამდენად მეორდება ერთი და იგივე პრობლემა სხვადასხვა თაობაში.


თავი VIII

#### გენოგრამის სიმბოლოებია:


საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული ინფორმაციის აღსანიშნავად სიმბოლოების გვერდით კეთდება მოკლე მინიშნებები.



მამრობითი




მდედრობითი




აბორტი ან მკვდრად შობადობა






სიკვდილი




განქორწინება



დაშორება



მყარი, მჭიდრო ურთიერთობა



სუსტი, არამყარი ურთიერთობა



კონფლიქტური ურთიერთობა



ერთ ოჯახში მცხოვრები ადამიანების შემომსაზღვრელი სიმბოლო

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვისა და ოჯახის შეფასების ფორმები
2. Framework of the Assessment of Children in Need in UK. Retrieved from <http://www.archive.official-documents.co.uk/document/doh/facn/fw-00.htm>



# თავი IX: ოჯახის მნიშვნელობა სოციალურ სამუშაოში

ეს თავი მიმოიხილავს ოჯახთან მუშაობის როლს სოციალურ სამუშაოში; განიხილავს ოჯახს ეკოლოგიური სისტემების თეორიის მიხედვით და აცნობს სოციალურ მუშაკებს იმ ძირითად ცნებებს, ფაქტორებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ ოჯახის შეფასების პროცესში.

## 9.1 ოჯახი როგორც სისტემა

ოჯახი არის მცირე სოციალური ჯგუფი დაფუძნებული ცოლ-ქმრულსა და ნათესაურ კავშირებზე და მოიცავს ურთიერთობს იმ ადამიანებს შორის რომლებიც ერთად ცხოვრობენ და უძღვებიან საერთო მეურნეობას. საქართველოს კანონის „სოციალური დახმარების შესახებ“ მიხედვით, ოჯახი არის „განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას“.

ოჯახთან მუშაობას ბავშვზე ზრუნვის სფეროში სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში უდიდესი როლი და მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ ოჯახის გავლენით ყალიბდება ბავშვის პიროვნება. ოჯახური გარემო, რომელშიც იგულისხმება მშობლების სოციალური მდგომარეობა, საქმიანობის ფორმები, მათი გონებრივი განვითარების დონე, ეკონომიკური დონე, მნიშვნელოვნად განაპირობებს ბავშვის ცხოვრებას. ოჯახები გადიან ევოლუციურ ციკლს ერთად ყოფნიდან თანდათან განცალკევებამდე. სრულწლოვანი ასაკის მიღწევის შემდეგ შვილები ქმნიან საკუთარ ოჯახებს. ვირჯინია სატირი<sup>11</sup>, ოჯახის ცნობილი ფსიქოთერაპევტი, ხაზს უსვამს იმ ოჯახის მნიშვნელობას, რომელშიც გაიზარდა ადამიანი: „თქვენს ახალ ოჯახში ადვილად ამოიცნობთ ურთიერთობის ისეთი მოდელს, რომელიც დამახასიათებელი იყო თქვენი ბავშვობის ოჯახისათვის“.

სოციალურ სამუშაოში ოჯახი განიხილება როგორც სისტემა. სისტემური მიდგომის მიხედვით, თუ ოჯახის ერთ წევრს რაიმე შეემთხვა, ეს არა მარტო ოჯახის მასთან დამოკიდებულებაზე აისახება, არამედ ოჯახის სხვა წევრებს შორის ურთიერთობაზეც, ანუ ეს კონკრეტული შემთხვევა ზემოქმედებს მთელ ოჯახზე.

ოჯახთან მუშაობისას სოციალური მუშაკი ცდილობს შემდეგი პრობლემების გადანყვეტას:

- ბავშვის მშობლების ან აღმზრდელების მზრუნველობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას;
- მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის პრობლემების მოგვარებას;
- ოჯახის ცალკეული წევრების პიროვნულ პრობლემებზე მუშაობას;
- გარემო ფაქტორების მიერ გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში ოჯახის დახმარებას (არასაკმარისი შემოსავალი, უმუშევრობა, მძიმე სოციალური პირობები, რესურსების ნაკლებობა).

11 ამერიკელი ფსიქოთერაპევტი, (1916-1988), ცნობილი თავისი მიდგომებით ოჯახურ თერაპიასთან დაკავშირებით

## 9.2 ოჯახთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები

ოჯახთან მუშაობისას სოციალურ მუშაკმა უნდა იცოდეს ის ძირითადი ცნებები, რაც მას დაეხმარება ოჯახების ფუნქციონირების შეფასებაში, კერძოდ:

- **ოჯახის ნონასწორობა (ჰომეოსტაზი)** – ოჯახი, როგორც სისტემა, მიდრეკილია ნონასწორობის მდგომარეობისაკენ და ამასთანავე თავად ავითარებს მექანიზმებს ჰომეოსტაზის ანუ ნონასწორობის შესანარჩუნებლად. როდესაც ოჯახის ჰომეოსტაზს საფრთხე ემუქრება, ოჯახი ცდილობს ნონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას. ოჯახის წევრის პრობლემური ქცევა შესაძლოა იყოს ნონასწორობის შენარჩუნებისა თუ აღდგენის მცდელობა. ჰომეოსტაზის დარღვევის შემთხვევაში ოჯახში კრიზისის ეტაპი დგება.
- **შეჭიდულობა და ადაპტაცია** – შეჭიდულობა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის არსებულ ემოციურ კავშირს და ოჯახურ სისტემაში ინდივიდის ავტონომიის ხარისხს. სხვა სიტყვებით ოჯახი არეგულირებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიახლოვეს. ადაპტაცია ოჯახის შესწავლაში ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა. ადაპტაცია გულისხმობს ოჯახის უნარს, შეეგუოს შიდა და გარე (ავადმყოფობა, განქორწინება) ფაქტორებით გამონეულ ემოციურ დაძაბულობას.
- **ოჯახის საზღვრები** – ოჯახი საზოგადოების ნაწილია და შესაბამისად ჩართულია საზოგადოების სხვადასხვა სისტემასთან ურთიერთობაში. არჩევენ ოჯახებს გახსნილი საზღვრებით, დახურული საზღვრებითა და შემთხვევითი საზღვრებით. **გახსნილი საზღვრები** იმ ოჯახებისათვის არის დამახასიათებელი, რომლებიც აქტიურად ურთიერთობენ სხვა გარემო სისტემებთან, ხოლო **დახურული საზღვრები**. იმ ოჯახებს გააჩნიათ, რომელნიც საკუთარი სურვილით ან რაიმე მიზეზის გამო მოწყვეტილნი არიან გარესამყაროს და მასთან ნაკლები კავშირი აქვთ. ოჯახებს **შემთხვევითი საზღვრებით** აკლიათ სიცხადე და ხშირად იცვლებიან გარემო სისტემებთან დამოკიდებულების პროცესში. კვლევები გვიჩვენებს, რომ ოჯახები უკეთ ფუნქციონირებენ, როდესაც მათ უფრო გახსნილი და მოქნილი საზღვრები აქვთ, ხოლო დისფუნქციების განვითარების ყველაზე დიდი შანსი აქვთ ოჯახებს შემთხვევითი საზღვრებით.
- **ტრიანგულაცია** — ტრიანგულაციას უწოდებენ ოჯახში ორ ადამიანს შორის კონფლიქტსა თუ დაპირისპირებაში მესამე ადამიანის ჩართვას. ოჯახის ჰომეოსტაზი ირღვევა როდესაც ტრიანგულაციას რეგულარული ხასიათი ეძლევა .
- **ოჯახური ქვესისტემა** – ოჯახურ ქვესისტემებში მოიაზრება ოჯახის უფრო პატარა ერთეულები, რომლებიც ეფუძნება რაიმე ნიშანს, მაგალითად თაობას, ასაკს, სქესს ან ფუნქციას. ასეთი ქვესისტემებია ცოლ-ქმრის ქვესისტემა, და-ძმის ქვესისტემა, დედის და ქალიშვილის ქვესისტემა და ა.შ.
- **ოჯახური როლები** – ოჯახში თითოეულ წევრს აქვს თავისი განსაზღვრული ფუნქცია და სტრუქტურული ურთიერთმიმართება სხვა წევრებთან. როლები ასოცირდება ოჯახის ამა თუ იმ წევრის მოსალოდნელ, დასაშვებ და აკრძალულ ქცევებთან. მაგალითად, დედის როლი ექსპრესიულია (გრძნობების გამოხატვა, ღირებულებათა სისტემის გადაცემა), ხოლო მამის როლი – ქმედითი (ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა).

- **ოჯახის ტიპები** – ოჯახის შემდეგ ტიპებს გამოყოფენ: ოჯახის ბირთვი და გაფართოებული ოჯახი. **ოჯახის ბირთვი** შედგება ძირითადი წევრებისაგან: დედა, მამა და შვილები, ხოლო **გაფართოებული ოჯახი** ძირითადი ბირთვის გარდა ოჯახის სხვა წევრებსაც აერთიანებს.
- **იდენტიფიცირებული (ამოცნობილი) „პაციენტი“** – არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის შიგნით პრობლემის სათავედ განიხილება. ხშირ შემთხვევაში ამოცნობილი „პაციენტი“ არის ოჯახური სიტუაციის მსხვერპლი, რომლის კონკრეტული ქცევა ოჯახში არსებული სხვა პრობლემით არის განპირობებული და წარმოადგენს რეაქციას ოჯახში მიმდინარე დისფუნქციურ პროცესებზე.
- **უფროსი ბავშვი** – ენოდება ბავშვს, რომელსაც ოჯახში დაევალა უმცროს და-ძმაზე ზრუნვა ან მშობლის სხვა ფუნქციის აღება. ნორმალურია, როდესაც ეს ხდება მარტოხელა მრავალშვილიანი მშობლის ოჯახში; დისფუნქციურია, როდესაც ბავშვისთვის მშობლის ფუნქციების მინიჭება მოჰყვება მშობლის მხრიდან საკუთარი ფუნქციების მოულოდნელ და დაუგეგმავ უარყოფას ან შეუსრულებლობას.
- **ათქვეფილი და დანაწევრებული ოჯახები** – ათქვეფილია ოჯახი, რომელშიც თითქმის არ არსებობს საზღვრები ოჯახის წევრებს შორის და მათ დაკარგული აქვთ ავტონომია. ისინი თითქოს ერთმანეთზე გადაჯაჭვულები არიან. დანაწევრებული ოჯახები კი ის ოჯახებია, რომლებშიც, პირიქით, ოჯახის წევრებს შორის ზედმეტად მტკიცე საზღვრებია და მათ ერთმანეთთან საკმარისზე ნაკლები ურთიერთობა აქვთ. ასეთი ოჯახები ხშირად დისფუნქციურია.
- **ოჯახის წესები** – ოჯახის ნონასწორობის შენარჩუნებას ემსახურება მისი წევრების დაქვემდებარება ოჯახის წესებისა და ნორმებისადმი. ოჯახის წესი ეს არის გარკვეული დაუნერგელი თანხმობა ოჯახში ქცევის ნორმების შესახებ. ვინაიდან უმრავლესად ამგვარი წესები დაუნერგელი და ფარულია და ხშირ შემთხვევაში გაუცნობიერებელიც, ისინი მუდამ იმდენი ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაზე დაკვირვებისას. არსებობს ღიად ფორმულირებული წესებიც, როგორცაა, „ბავშვები 10 საათისათვის სახლში უნდა იყვნენ“, „ამ სახლში არ იგინებია“, „ბავშვები მშობლებს არ ეპასუხებიან“ და ა.შ., თუმცა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისათვის, როგორც წესი, ოჯახის შეფასებისას უფრო ინფორმაციულია ის ფარული წესები, რომლებითაც ოჯახი ხელმძღვანელობს და მათი დისფუნქციურობის ხარისხი. წესები, რომელიც ოჯახის ჰარმონიას არღვევს, დისფუნქციურია. ასეთი წესების მაგალითებია: „მამას ყოველთვის შეუძლია თავისი სურვილებისა და ზრახვების გამოხატვა, ოჯახის დანარჩენ წევრებს კი — მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი სურვილები მამის ინტერესებს ემთხვევა“, „ნუ დანახვებ სხვებს შენს სისუსტეს და ნუ გამოხატავ ემოციებს სხვების წინაშე“, „ნუ აიღებ პასუხისმგებლობას შენს ქცევაზე. ყოველთვის სხვას გადააბრალე“, „ნუ ილაპარაკებ ოჯახის პრობლემებზე“. დისფუნქციური წესებისგან განსხვავებით, ჯანსაღი წესები ხელს უწყობს ოჯახის წევრების თავისუფალ და ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ასეთი წესების მაგალითები შეიძლება იყოს: „ოჯახის ყველა წევრის აზრი მნიშვნელოვანია“, „მნიშვნელოვანია ვისაუბროთ საკუთარ გრძნობებზე და ემოციებზე“, „მნიშვნელოვანია ოჯახური პრობლემების განხილვა და გამოსავლის ერთად პოვნა“.

- **ძალაუფლების სტრუქტურა ოჯახში** – ძალაუფლება ოჯახში განიმარტება, როგორც ერთი ადამიანის უნარი გავლენა იქონიოს ოჯახის სხვა წევრის ან წევრების ქცევაზე. ყველა ოჯახს გააჩნია ძალაუფლების გარკვეული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა ხარისხით შეუძლია ოჯახის ერთ წევრს გავლენა იქონიოს ოჯახის მეორე წევრზე. ოჯახის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვის უჭირავს წამყვანი როლი გადაწყვეტილებების მიღებისას. ოჯახზე დაკვირვებისას ამ თვალსაზრისით ერთობ ინფორმაციულია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ფაქტორებს:
  - ვინ რას აკეთებს და ვის რა რეაქცია აქვს?
  - ვინ ვის ელაპარაკება?
  - ვინ ამბობს პირველ სიტყვას?
  - ვინ ვის აწყვეტინებს?
  - ვინ ვის ეთანხმება?
  - ვინ ლაპარაკობს ყველაზე მეტს?
  - ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ვისი აზრია ყველაზე მთავარი გადაწყვეტილების მიღებისას?
- **ოჯახის განვითარების სტადიები** – ოჯახი თავის განვითარების პერიოდში გადის სხვადასხვა სტადიას, როგორცაა ახალდაქორწინებული ოჯახი, ფეხმძიმობა, ახალშობილი ბავშვის სტადია, მცირეწლოვანი შვილების სტადია, მოზარდი შვილის სტადია, „ცარიელი ბუდის სტადია“. ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა გარკვეულ სტრესთან არის დაკავშირებული.

სტადია	განვითარების ამოცანა
შეუღლებული წყვილი ბავშვების გარეშე	წარმატებული ურთიერთობის ჩამოყალიბება. ორსულობასთან, ნათესავებთან, მშობლობასთან შეგუება.
ოჯახი ჩვილი ბავშვით	ჩვილი ბავშვის აღზრდასთან შეგუება
ოჯახი ბალის ასაკის ბავშვით	ენერჯის განაწილებისა და დროის ნაკლებობის პრობლემების მოგვარება
ოჯახი 6-13 წლის ბავშვით	სკოლის ასაკის ბავშვის პრობლემებთან შეგუება. ბავშვის განათლებაზე ზრუნვა.
ოჯახი მოზარდით (13-20წ.)	თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება. მშობლის სამსახურეობრივი ან სხვა ინტერესების წინ წამოწევა
ოჯახი მეორე თაობის ახალგაზრდებით	შვილების ოჯახიდან წასვლის შესაძლებლობა და ამასთან შეგუება. ოჯახური სიბოძის შენარჩუნებაზე ზრუნვა
შუა ხნის მშობლები “ცარიელი ბუდე”	წყვილის ურთიერთობის გაღრმავება. უფროს და უმცროს თაობას შორის ურთიერთობების შენარჩუნება


**ოჯახთან მუშაობის მნიშვნელოვანი ფაქტორები**

- **პრობლემის განსაზღვრა** – ოჯახთან მუშაობის დროს მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ყურადღება გამახვილდეს, თუ რა წარმოადგენს პრობლემას. პრობლემა უნდა განისაზღვროს ოჯახის ყველა წევრის მიერ, რათა სოციალურ მუშაკს საშუალება ჰქონდეს, გაარკვიოს, თუ როგორია პრობლემის ხედვა ოჯახის თითოეული წევრის მიერ. ოჯახის ყველა წევრს უნდა ვკითხოთ, თუ რა პრობლემა აქვს ოჯახს მთლიანად და რა ზეგავლენას ახდენს ეს პრობლემა ოჯახის თითოეული წევრის ცხოვრებაზე.
- **კომუნიკაციის ფორმა** – სოციალური მუშაკი უნდა დააკვირდეს, თუ როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან ოჯახის წევრები, ვინ ვის ელაპარაკება, ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი უფრო ხშირია, თუ შეთანხმებული მოქმედება შეიმჩნევა? სოციალურ მუშაკთან საუბრისას ვინ ვის გვერდით ჯდება და ვინ სარგებლობს გადამწყვეტი სიტყვის უფლებით.
- **პრობლემის კონტექსტი** – საჭიროა განისაზღვროს, თუ რა კონტექსტში აღმოცენდა პრობლემა: ოჯახური წონასწორობის რღვევა და პრობლემა რამე მნიშვნელოვანი ცვლილებით ხომ არ არის გამომწვეული.
- **ოჯახის ფუნქციონირება** – სოციალური მუშაკი ოჯახთან მუშაობისას აფასებს, თუ როგორ ფუნქციონირებს ოჯახი. ხომ არ არსებობს რამე დისფუნქცია ან სიმპტომი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ოჯახის კეთილდღეობას საფრთხეს უქმნის?
- **ალიანსები** – იკვეთება თუ არა განსაკუთრებული ალიანსები ოჯახის შიგნით და ღიად ან ფარულად უპირისპირდებიან თუ არა ეს ალიანსები ერთმანეთს? ალიანსს ოჯახის შიგნით შეიძლება ჰქონდეს როგორც კონსტრუქციული, ასევე დესტრუქციული ხასიათი. კონსტრუქციულია ისეთი ალიანსი, რომელიც ორიენტირებულია პრობლემის მოგვარებისა და ოჯახს შიგნით შეთანხმების მიღწევისაკენ (მაგ., თუ ცოლქმარი ცდილობს, დახმარების ხელი გაუწოდოს მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ შვილს). ასეთ დროს სოციალური მუშაკის როლი ალიანსის გაძლიერებაში მდგომარეობს. დესტრუქციულია ალიანსი, როდესაც იგი ქმნის პრობლემას ოჯახში, ან არსებული პრობლემის გაღრმავებას იწვევს. (მაგ., დედამთილისა და მულის ალიანსი ცოლქმრის კონფლიქტის გასაღრმავებლად) ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკის მცდელობა ალიანსის შესუსტების ან დაშლისაკენ უნდა იყოს მიმართული.
- **სოციალური თანადგომის ქსელის შეფასება** – ოჯახთან მუშაობისას სოციალური მუშაკი შეისწავლის ოჯახის თანადგომის როგორც ოფიციალურ ასევე არაოფიციალურ ქსელს. კერძოდ, არკვევს, თუ რომელი ადამიანების (მეზობლების, ნათესავების, მეგობრების), ჯგუფების ან ორგანიზაციების დახმარებით შეიძლება ოჯახის კონკრეტული პრობლემის გადამწყვეტა.
- **ოჯახის ძლიერი მხარეების მოძიება და შეფასება** – ისევე როგორც ინდივიდთან ოჯახთან მუშაობის დროსაც სოციალური მუშაკი ყურადღებას ამახვილებს ოჯახის ძლიერ მხარეებზე და შესაბამის ჩარევას ამ ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით გეგმავს.

### 9.3 ეკორუკა

ეკორუკა არის ინსტრუმენტი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სოციალური მუშაკების მიერ როგორც ბავშვთან, ასევე, ოჯახთან მუშაობისას. ეკორუკა ოჯახის სოციალურ კონტექსტში შესწავლის საუკეთესო საშუალებაა. ეკორუკის სქემა შეიმუშავა ანა ჰარტმანმა 1975 წელს, როგორც ოჯახზე ეკოლოგიური სისტემების ზეგავლენის საუკეთესო გრაფიკული მაჩვენებელი. ეკორუკის შედგენისას სოციალური მუშაკი და ბენეფიციარი ერთობლივად ხატავენ რუკას, რომლის ცენტრშიც არის ოჯახი. რუკაზე ნაჩვენებია ის მნიშვნელოვანი სისტემები, რომლებიც ოჯახის ცხოვრების ნაწილს შეადგენენ და ასახულია ამ სისტემებთან ოჯახის ურთიერთობა. ეს სისტემები დაკავშირებულია ოჯახთან ხაზებით.


#### ეკორუკის სიმბოლოებია:



აღნიშნავს ოჯახს, ინდივიდს, ჯგუფს, სისტემას



აღნიშნავს მყარ, მჭიდრო ურთიერთობას.



აღნიშნავს სუსტ, არამყარ ურთიერთობას.



აღნიშნავს კონფლიქტურ, სტრესულ ურთიერთობას.



ისარი რომელიც მიმართულია სისტემიდან ოჯახისკენ მიუთითებს სისტემის ზეგავლენას ოჯახზე, ხოლო როცა ოჯახიდან – სისტემისკენ, მაშინ, პირიქით, მიუთითებს ოჯახის ზეგავლენას სისტემაზე.



ორმხრივი ისარი ოჯახსა და სისტემებს შორის მიუთითებს მათ შორის ორმხრივ ურთიერგავლენაზე.

### 9.4 ოჯახური კონფერენცია

ოჯახთან მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია ოჯახური კონფერენცია, რომელიც ძირითადად გამოიყენება კრიზისული სიტუაციის დროს მის განსამუხტად და პრობლემების მოსაგვარებლად. ოჯახური კონფერენციის მიზანია გამოსავლის ძიება და არსებული პრობლემის ირგვლივ ოჯახის წევრთა გაერთიანება მათ მოსაგვარებლად.

ბავშვზე ზრუნვის სფეროში ოჯახური კონფერენცია ბავშვზე ორიენტირებული. იგი

შედეგება მოსამზადებელი და ძირითადი ეტაპისაგან. მოსამზადებელ ეტაპზე სოციალური მუშაკი წინასწარ გეგმავს კონფერენციას. პირველ რიგში, იგი კონფერენციის მიზანს ათანხმებს ბავშვსა და მის ოჯახთან. ასევე, გეგმავს კონფერენციის ჩატარების დროსა და ადგილს, რომელსაც წინასწარ აცნობებს ყველა მონაწილეს.

ოჯახური კონფერენციის მონაწილენი შეიძლება იყვნენ: ბავშვი, ოჯახის წევრები (დედა, მამა, ბებია, ბაბუა, მინდობითი მშობლები და ა.შ.), ბავშვთან მომუშავე სპეციალისტები (სოციალური მუშაკი, პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი და ა.შ.), წარმომადგენლები ოჯახის თანადგომის ქსელიდან (მაგ. მეგობარი, მეზობელი, უფროსი მეგობარი, პედაგოგი, სოციალური მუშაკი) და სოციალური სამსახურის წარმომადგენელი (მაგალითად, უფროსი სოციალური მუშაკი). ოჯახური კონფერენციის შემადგენლობა განისაზღვრება შემთხვევის სპეციფიკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

ოჯახური კონფერენციის ძირითად ეტაპს წარმოადგენს სოციალური მუშაკი. იგი აცნობს დამსწრე საზოგადოებას ოჯახური კონფერენციის მიზნებს და წარმოადგენს მის მსვლელობას. საუბარი მიმართულია გამოკვეთილი პრობლემისა და შექმნილი კრიზისული სიტუაციისაკენ. კონფერენციის ყველა მონაწილე აფიქსირებს თავის მოსაზრებას, იმართება დისკუსია, რომლის დროსაც არის რისკი, რომ სიტუაცია დაიძაბოს და უმართავი გახდეს ინტერესთა კონფლიქტის გამო, ამიტომაც სიტუაციის მართვის სადავეები სოციალური მუშაკის ხელთ უნდა დარჩეს. სოციალური მუშაკი ეხმარება ჯგუფს პოზიციათა შეჯერებაში და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და თითოეული მონაწილე მხარის პასუხისმგებლებისა და მისი შესრულების ვადების განსაზღვრაში. სოციალურმა მუშაკმა უნდა აწარმოოს ოჯახური კონფერენციის ჩანაწერი (ოქმი), რომელშიც ასახულია როგორც კონფერენციის ჩატარების მიზნები, ასევე დასახული გეგმა და დაფიქსირებულია მონაწილეთა ხელმოწერები, რომლითაც ისინი ადასტურებენ პასუხისმგებლობებს არსებული კრიზისის დაძლევის შესახებ.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნამიჭეიშვილი, ს. & მგელიაშვილი, მ. (2007). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების და პრაქტიკის ხელმძღვანელებისათვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
2. საძაგლიშვილი, შ. (2004). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები*. საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, საქართველო

# თავი X: კომუნიკაცია, ინტერვიუ და კონსულტირება

ეს თავი მიმოიხილავს კომუნიკაციის მნიშვნელობას სოციალურ სამუშაოში და აწვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას კომუნიკაციის სახეების, ეფექტური კომუნიკაციისა და კომუნიკაციის ხელშემშლელი ფაქტორების შესახებ. აღნიშნულ თავში ყურადღება გამახვილებულია ინტერვიუს სპეციფიკაზე სოციალურ სამუშაოში, კერძოდ კი, პირველი ინტერვიუს მნიშვნელობაზე და აყალიბებს წარმატებული ინტერვიუს განმაპირობებელ ფაქტორებს. ასევე, ეს თავი მიმოიხილავს კონსულტირებას როგორც სოციალური სამუშაოს ინტერვენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას, კერძოდ კი კონსულტირების როლს, პროცესს, მოდელს და მისი ჩატარების უნარ-ჩვევებს.

## 10.1 კომუნიკაცია

კომუნიკაცია სოციალური მუშაკის პროფესიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, შესაბამისად, კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევების ქონა წარმატებული პრაქტიკის გარანტიაა.

კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია, რომელიც, ძირითადად, ინფორმაციის გაცემა-სა და ინფორმაციის მიღებას უკავშირდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაცია მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით არ შემოიფარგლება. კომუნიკაციის პროცესი ორ დონეზე მიმდინარეობს – შინაარსისა და დამოკიდებულების. ამასთან, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს პირველს. როდესაც ადამიანები ერთმანეთს ესაუბრებიან, შინაარსის დონეზე იცვლება ცნობები. რაც შეეხება გრძნობებს, რომლებიც კომუნიკაციის პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ისინი გადაეცემა დამოკიდებულების დონეზე. დამოკიდებულების განმსაზღვრელი სიგნალები შეიძლება იყოს: პოზიტიური, ნეიტრალური, ან ნეგატიური. მანამ, სანამ თანამოსაუბრის მიმართ დამოკიდებულება პოზიტიურია (ან ნეიტრალური), შინაარსის დონე თავისუფალია, რაც ნიშნავს, რომ ცნობებმა შეიძლება შეუფერხებლად გაიაროს. როგორც კი დამოკიდებულების დონეზე უარყოფითი სიგნალები ჩნდება, მაშინ თავად მოსაუბრეთა შორის დამოკიდებულება იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ შინაარსის შეუფერხებლად გავლა შეუძლებელია და თავს იჩენს კომუნიკაციის პრობლემები.

კომუნიკაციის სხვადასხვა სახე არსებობს, კერძოდ:

- სიმბოლური კომუნიკაცია
- არავერბალური (არასიტყვიერი) კომუნიკაცია
- ვერბალური კომუნიკაცია
- წერილობითი კომუნიკაცია

**სიმბოლური კომუნიკაცია** არის კომუნიკაციის ისეთი სახე, რომლის დროსაც აზრი გადაიცემა სიმბოლოების მეშვეობით. ამ სიმბოლოების მაგალითებია: ჩაცმულობა (ასაკის, კულტურის, სოციალური კლასის მიხედვით), პირველი შთაბეჭდილება, გარემო (ავიჯის განლაგება, სურათები, ა.შ.), ქცევა.

**არავერბალური კომუნიკაცია** ისეთ კომუნიკაციას გულისხმობს, რომლის დროსაც მნიშვნელობა ენიჭება ჟესტიკულაციას, სახის გამომეტყველებას, თვალებით კონტაქტს, ხმის ტემბრს და სხვა არასიტყვიერ ელემენტებს. არავერბალური კომუნიკაციის გაგება

საკმაოდ რთულია. იმისათვის, რომ შევძლოთ არავერბალური კომუნიკაციით გადმოცემული ინფორმაციის ზუსტად ნაკითხვა, აუცილებელია დაკვირვება. წარმატებულ არავერბალურ კომუნიკაციას შეიძლება ხელი შეუწყოს შემდეგმა ფაქტორებმა:

- **ყურადღებით მოსმენა** – მოსაუბრისათვის მთლიანი ყურადღების დათმობა;
- **თვალებით კონტაქტი** – თანამოსაუბრის ყურება დიალოგის დროს;
- **ჯდომის პოზა** – თანამოსაუბრის პირისპირ ჯდომა არაგადაჯვარედინებული ხელებით;
- **სახის გამომეტყველება** – თანამოსაუბრისათვის კეთილგანწყობის დაფიქსირება სახის გამომეტყველებით (თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად, ღიმილი და ა.შ.)

**ვერბალური კომუნიკაცია** გულისხმობს სიტყვების მეშვეობით კომუნიკაციას და ითვალისწინებს იმ უნარ—ჩვევებს, რომლის საშუალებითაც თანამოსაუბრეს აზრი წარმატებით გადაეცემა. ვერბალური კომუნიკაციის მშენებლოვანი ელემენტებია:

- **დახურული კითხვები** – უმეტესად მოითხოვს პასუხს „დიახ“ ან „არა“. ძირითადი მიზანია კონკრეტული ინფორმაციის შეგრობა. მაგალითად: „მუშაობთ?“ „რამდენი ბავშვში გყავთ?“
- **ღია ტიპის კითხვები** – საშუალებას აძლევს თანამოსაუბრეს თავისუფლად გადმოსცეს საკუთარი აზრი. ასეთი კითხვების მეშვეობით შესაძლებელია ადამიანისაგან კონკრეტულ საკითხზე დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოძიება. მისი მიზანია მივიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს საკითხს თანამოსაუბრე და როგორია მისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. მაგალითად: „რას გვეტყვი თქვენი ბავშვების შესახებ?“, „აღბათ რთულია ცხოვრება ასეთი მწირი შემოსავლის პირობებში?“, „რას ფიქრობთ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ წარმატებით ვიმუშაოთ?“
- **აქტიური მოსმენა** – სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ვცდილობთ, ვაიძულოთ ადამიანი, იგრნოს და იაზროვნოს სწორედ ისე, როგორც ჩვენ გვინდა. აქტიური მოსმენისას კი მსმენელი ორიენტირებულია მოსაუბრის გრძნობებსა და აზრებზე. ის ცდილობს გაუგოს პარტნიორს. არ არის აუცილებელი, რომ იგი ეთანხმებოდეს მოსაუბრეს. გახსოვდეთ, აღიარება არ ნიშნავს დათანხმებას. აქტიური მოსმენა თანამოსაუბრეს აჩვენებს, რომ თქვენ დაინტერესებული ხართ მასთან საუბრით და იმ პრობლემებით, რის გაზიარებასაც იგი თქვენთვის ცდილობს. ძირითადი მიზანია დამყარდეს ურთიერთგაგება და გამოკვეთილ იქნეს თანამოსაუბრის ინტერესი და პრობლემები: მაგალითად: „ძალიან დამაინტერესა თუ რატომ შეიცვალა თქვენი შვილის ქცევა. მეტს ხომ ვერ მომიყვებოდით ამის შესახებ?“ მოსმენისას ნუ გააკეთებთ დასკვნებს, შეეცადეთ, მხოლოდ შეაჯამოთ ნათქვამი. ყურადღება მიაქციეთ არა მხოლოდ მოსაუბრის ნათქვამის შინაარსს, არამედ მის გრძნობებსაც. გრძნობების შეჯამებისას გაითვალისწინეთ მათი სიძლიერე;
- **პერიფრაზა** – გულისხმობს თანამოსაუბრის ნათქვამის სხვა სიტყვებით გამეორებას. მისი მიზანია ვაჩვენოთ თანამოსაუბრეს, რომ ჩვენ გავიგეთ ის, რის გადმოცემასაც იგი ჩვენთვის ცდილობდა და შეგვიძლია მასთან ერთად შემდგომი მუშაობის გაგრძელება. მაგალითად, „თუ სწორად გაგიგეთ, თქვენ გულისხმობდით, რომ.“
- **დაზუსტება** ნათელყოფს ინფორმაციის აღქმის სიზუსტეს. მისი მიზანია თავიდან

ავიცილოთ გაუგებრობა და ჩვენი სუბიექტური ვარაუდები თანამოსაუბრის პრობლემებთან და საჭიროებასთან მიმართებაში;

- **კონფრონტაცია** – გულისხმობს გამონვევას და მიზნად ისახავს გამოავლინოს შეუსაბამობა თანამოსაუბრის მიერ წარმოდგენილ სიტუაციასა და რეალურ სიტუაციას შორის. სოციალურ სამუშაოში კონფრონტაციის ტექნიკა გამოიყენება შემდეგ სიტუაციებში: ა) როდესაც არსებობს შეუსაბამობა ბენეფიციარის ქცევასა და მის სიყვებს შორის; ბ) როდესაც არსებობს შეუსაბამობა ბენეფიციარის გრძნობებსა და ქცევას შორის; გ) როდესაც არსებობს შეუსაბამობა ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ სიტუაციასა და სოციალური მუშაკის მიერ დანახულ სიტუაციას შორის. დასაშვებია, ვუბიძგოთ თანამოსაუბრეს (პროფესიონალური საზღვრების ფარგლებში), სწორად გააცნობიეროს საკუთარი პრობლემები, გრძნობები, ქცევა და სხვაობა აზრებს, გრძნობებსა და მოქმედებას შორის. მაგალითად, კონფრონტაცია ან გამონვევა შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამოსაუბრე გეუბნებათ, რომ იგი არ სვამს, მაგრამ სინამდვილეში თქვენ გაქვთ ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია;
- **რჩევის, რეკომენდაციის მიცემა** – მისი მიზანია, მივანოდოთ თანამოსაუბრეს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა;
- **შეჯამება** – გამოიყენება საუბრის მთავარი თემების გამოსაკვეთად და თანამოსაუბრის მიერ მონოდებული ინფორმაციის სწორი აღქმის მიზნით. იგი ეხმარება სოციალურ მუშაკს იყოს ინტერვიუ ერთი მიზნისკენ მიმართული და ინფორმაცია კი ორგანიზებული. მაგალითად, შეჯამების ტექნიკა გამოიყენება იმ დროს, როდესაც საჭიროა წინა საუბრის თემატიკის აღდგენა.

### ეფექტური კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორები

ეფექტური კომუნიკაცია მყარდება იმ შემთხვევაში, თუკი სოციალური მუშაკები ერთ მარტივ პრინციპს იცავენ – ყურადღება მთლიანად მიმართული უნდა იყოს თანამოსაუბრისაკენ. თანაც, ყურადღებას არა მარტო ნათქვამის შინაარსზე ამახვილებენ, არამედ მოსაუბრის გრძნობებზეც. **თანამოსაუბრეზე ორიენტირებული ურთიერთობა** ნიშნავს, საუბრის დროს მასზე კონცენტრირებას. აკომუნიკაციის დროს სოციალური მუშაკი თავისი პრობლემის გადაჭრისათვის კი არ ზრუნავს, იგი კი არ საუბრობს ყველაზე მეტს, მთავარ როლს თამაშობს თანამოსაუბრე და არა სოციალური მუშაკი. თანამოსაუბრეზე ორიენტირებული ურთიერთობის დროს არსებითია:

- ვუსმინოთ თანამოსაუბრეს;
- ვეცადოთ მის გაგებას და
- შევიდეთ მის მდგომარეობაში. თანამოსაუბრის მიმართ ამგვარი განწყობა შედეგად იძლევა იმას, რომ
- მას არ უჩნდება უარყოფითი განცდები;
- არ უხდება საკუთარი თავის დაცვა და ამიტომ თავს უსაფრთხოდ და თავისუფლად გრძნობს;
- გრძნობს, რომ მისი ესმით და თანადგომას უცხადებენ;
- შინაგანად მშვიდდება და გახსნილი მოსაუბრე ხდება.

თავი X

### **ზოგადად, ეფექტური, კარგი მოსმენისას შეეცადეთ:**

- დარჩეთ მშვიდად;
- იყავით კონცენტრირებული თანამოსაუბრეზე;
- დასვით ღია შეკითხვები, რათა უკეთ გაერკვეთ / დარწმუნდეთ;
- აცალეთ სხვას, ისაუბროს;
- გამოიყენეთ პერიფრაზა, რათა დაანახოთ, რომ გაიგეთ;
- როდესაც შეატყობთ, რომ თქვენსა და თქვენს თანამოსაუბრეს შორის ურთიერთობა უარყოფითია, ნუ ეცდებით შინაარსის გადაცემას. ჯერ აღადგინეთ ურთიერთობა. ამასთან, ეცადეთ, რომ მშვიდი და განონასწორებული იყოთ. როდესაც აღდგება ურთიერთობა, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი შინაარსის დონეზე ურთიერთობის გაგძელებას.

### **კომუნიკაციის ეფექტურობის განსაზღვრისათვის შეამოწმეთ შემდეგი:**

- ვაძლევთ თუ არა ადამიანს შესაძლებლობას, დაასრულოს შეკითხვა და მხოლოდ ამის შემდეგ ვპასუხობთ?
- მკაფიოდ გამოვთქვამთ ჩვენს აზრს, გასაგებია თუ არა იგი თანამოსაუბრისთვის?
- გამოვიყენეთ თუ არა პერიფრაზა?
- შევაჯამეთ თუ არა საუბარი, საკითხი, იმისათვის რომ გავაგრძელოთ დიალოგი?
- აცნობიერებს თუ არა ბენეფიციარი დიალოგის პროცესში ჩვენს როლს?
- ვიყენებთ თუ არა ღია ტიპის კითხვებს?
- ვიჩინებთ თუ არა გულახდილობას და ვახალისებთ თუ არა ბენეფიციარს, იყოს გულახდილი?
- ხელს ვუწყობთ თუ არა მას, რომ აქტიურად გააგრძელოს საუბარი?
- გამოვხატავთ თუ არა არავერბალურადაც იმას, რომ სწორად გავიგეთ თანამოსაუბრის ნათქვამი?
- ვაცნობიერებთ თუ არა თანამოსაუბრის ზეგავლენას ჩვენზე?
- პაუზების დროს ხომ არ ვნერვიულობთ?
- ვაკონტროლებთ თუ არა ჩვენს ემოციებს?
- გარემოების მხოლოდ ერთ ელემენტზე ვართ კონორიენტირებული თუ მთელ სურათზე?
- ვინარჩუნებთ თუ არა დიალოგის მიმართულებას და მივდივარ თუ არა მიზნისკენ?
- ვეხმარებით თუ არა ბენეფიციარს, გააცნობიეროს, რომ მისი აზრები არათანმიმდევრულია და ამის დანახვა თავადაც შეუძლია?
- ხაზს ვუსვამთ თუ არა თუ არა საერთო მიზნებს?
- სიმშვიდით ვეკიდებით თუ არა მტკიცენულ თემებს?
- განვიხილავთ და ვამუშავებთ საერთო გეგმებს?
- ვაფასებთ თუ არა მიღწეულს?
- პოზიტიურად ვიწყებთ, ვაგრძელებთ და ვამთავრებთ თუ არა დიალოგს?

### კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები

- **გარემო ფაქტორები** — შეუსაბამო ტემპერატურა ოთახში, ხმაური, ჩართული ტელევიზორი, ტელეფონის ზარი, კარზე კაკუნი და ა.შ.
- **ბენეფიციარის არასწორი ვარაუდი** – მაგალითად, ბენეფიციარს ესაჭიროება მატერიალური დახმარება და ფიქრობს, რომ სოციალური მუშაკი მხოლოდ მორალურ თანადგომას გაუწევს;
- **გადატვირთვა, გადაღლა** – ადამიანს შეუძლია მხოლოდ გარკვეული მოცულობის ინფორმაციის აღქმა; ამიტომ საჭიროა ინფორმაციის ზომიერი მოცულობით მიწოდება ან, პირიქით, მიღება; იმავდროულად, ინფორმაციის უკეთესად დამახსოვრებისთვის მნიშვნელოვანია მისი წერილობით დაფიქსირება;
- **საკუთარ აზრებზე გადამეტებული კონცენტრაცია** – აღნიშნულმა შესაძლოა შეზღუდოს ჩვენი აღქმა და გამოგვრჩეს ბენეფიციარის მიერ მოწოდებული მთავარი ინფორმაცია;
- **სტერეოტიპული მიდგომა** – ადამიანების დაყოფა კატეგორიების მიხედვით ხელს გვიშლის პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაში;
- **ბოლო შემთხვევაზე მუშაობის გამოცდილება** – ბოლო გამოცდილებამ შესაძლოა ხელი შეგვიშალოს ამ კონკრეტულ შემთხვევაზე მუშაობაში, მიუხედავად იმისა ვაცნობიერებთ ამას თუ ვერა;
- **განცდების, ემოციების გადაცემა** – შესაძლოა სოციალურ მუშაკზე გადმოვიდეს თანამოსაუბრის უარყოფითი განცდები ან პირიქით; ეს აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ და, პირიქით, უნდა დავეხმაროთ თანამოსაუბრეს გათავისუფლდეს ამ ნეგატიური გრძნობებისგან.

### „თქვენ“ და „მე“ შეტყობინებები

ადამიანთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია, დაუფკვირდეთ, თუ როგორი ტიპის შეტყობინებას გულისხმობს ჩვენი საუბარი. შეტყობინებები, რომლებიც შეიცავენ „თქვენ“ („შენ“) კომპონენტს, კომუნიკაციურ ბარიერს ქმნიან. „თქვენ“ შეტყობინებაა, მაგალითად:

- *თავი დაანებე (შენ) ამგვარ საქციელს!*
- *ეს (თქვენ) არ უნდა გააკეთოთ!*
- *ეს (თქვენ) უკეთ უნდა გცოდნოდათ!*
- *ეს (თქვენ) ასე უნდა გააკეთოთ..*
- *რატომ არ გინდა (შენ), რომ ერთხელ მაინც ...*
- *(თქვენ) არათავაზიანი ხართ*
- *(შენ) ამას იმიტომ აკეთებ, რომ ...*
- *რატომ აკეთებთ (თქვენ) ამას?*
- *მე მინდა (თქვენ) გითხრათ, თუ რა უნდა გააკეთოთ (თქვენ)*

- „თქვენ“ შეტყობინება ხიფათში აგდება ურთიერთობას, რასაც თავისი მიზეზები აქვს;
- შეტყობინება ჟღერს, როგორც დადანაშაულება და, შესაბამისად, იწვევს ადამიანში დანაშაულის განცდას;
- ადამიანის მიერ ის აღიქმება, როგორც მისი გაკიცხვა, კრიტიკა, უარყოფა;
- ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მას ჭკუას ასწავლიან; სჯიან ან ცდილობენ მისი თავმოყვარეობის შელახვას;

ყოველივე ამის გამო ადამიანს რეაქციული ქცევის სურვილი უჩნდება; პოზიტიური ცვლილების ნაცვლად მასში შინაგანი პროტესტის და წინააღმდეგობის გრძობა ღვივდება.

მინიმუმ სამი მიზეზი არსებობს საიმისოდ, რომ დავრწმუნდეთ — „თქვენ“ შეტყობინებით ძნელად შევაცვლევინებთ ადამიანს ქცევას და მივალწვეთ სასურველ შედეგს:

**1. ადამიანებს არ მოსწონთ ჭკუის სწავლება და მითითება, თუ რა უნდა გააკეთონ, და რა – არა.** ასეთ დროს ადამიანი ჯიუტდება და ეწინააღმდეგება ნებისმიერ, თუნდაც მისთვის სასიკეთო ცვლილებას. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, მას ყოველთვის ურჩევნია საკუთარი ნებით შეცვალოს ესა თუ ის ქცევა. „თქვენ“ შეტყობინება კი მის გადანყვეტილებასა და არჩევანს წინ უსწრებს და საკუთარი ნების განხორციელების საშუალებას უზღუდავს. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ეუბნებით ადამიანს: „თქვენ მიერ დაწერილ წერილში ბევრი შეცდომაა. თავიდან უნდა დაწეროთ“. ამ შეტყობინების პირველი ნაწილის შედეგად ადამიანი, შესაძლოა, თავადაც მიხვდა, რომ წერილი თავიდანაა დასაწერი, მაგრამ შეტყობინების მეორე ნაწილით მას, ფაქტიურად, წაერთვა ამის საკუთარი სურვილით გაკეთების და თქვენი სიმპათიის დამსახურების შანსი.

**2. ამგვარ შეტყობინებაში დომინირებს ადრესატისაკენ მიმართული ბრალდება.** „თქვენ“ შეტყობინება გულისხმობს: „ეს შენი ბრალია“, „შენ ხარ უვარგისი“, „შენ ეს უკეთ უნდა გცოდნოდა“, „შენ ხარ ქარაფშუტა“. ბრალდებას კი, როგორც წესი, უარყოფითი ემოციები, საპასუხო რეაქცია მოსდევს. საერთოდ, ადამიანები ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად მისაღებია, ან მიუღებელი მათი ქცევა სხვისთვის. უმეტეს შემთხვევაში მათ საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი ამოძრავებს და არა რაიმე ბოროტი ზრახვა (მაგალითად, რომ სხვებს შეუშალონ ხელი მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში). ასე რომ, როდესაც ადამიანს „თქვენ“ შეტყობინებას უგზავნით, მას, სინამდვილეში, ესმის: „შენ ცუდი ხარ, რადგან შენი საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავ“. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი შენიშვნა მისთვის სრულიად გაუგებარია.

**3. დაბოლოს, „თქვენ“ შეტყობინება არაა ქმედითი, რადგან ვერ გადასცემს მეორე ადამიანს შესატყვის ინფორმაციას.** როდესაც მეორე ადამიანის ქცევა თქვენთვის მიუღებელია, ეს, პირველ რიგში, თქვენი პრობლემაა; ეს თქვენ ხართ შეშფოთებული, გაბრაზებული, ნაწყენი, იმედგაცრუებული, შეშინებული და სხვა. შესაბამისად, შეტყობინების დაწყება სიტყვით „თქვენ“ გაუგებარიცაა.

ადამიანებთან ურთიერთობაში უმჯობესია მას „მე“ შეტყობინების კოდი გაუგზავნოთ, მაგალითად: „იმედგაცრუებული ვარ, როდესაც პირობა არ სრულდება“, „არ მიყვარს, როდესაც სიტყვას მანყვეტინებენ“, „ვღელავ, როდესაც დრო იკარგება“ და სხვ.

**„მე“ შეტყობინება** გარშემო მყოფ ადამიანებთან ღია, გულწრფელი (პატიოსანი) და პირდაპირი ურთიერთობის დამყარებას ნიშნავს. სწორედ ამას „მე“ შეტყობინების ძალა.

იგი გულისხმობს, რომ „მე ადამიანი ვარ და ისევე, როგორც ყველა ადამიანს მაქვს პრობლემები და გრძნობები“. გარკვეულწილად, „მე“ შეტყობინება თხოვნაა დახმარების შესახებ და ამ თხოვნით სწორედ იმ პიროვნებას მიმართავთ, ვისთანაც ეს პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია. ყველასათვის ცნობილია, თუ რა ძნელია არ მიიღო მხედველობაში ამგვარი მომართვა. ალბათ გქონიათ შემთხვევა, როდესაც ადამიანს უთქვამს, თუ რას განიცდის და მეტი არაფერი დაუმატებია. მაგალითად:

„შენზე გაბრაზებული ვარ“.

„იმედგაცრუებული ვარ“.

„ძალიან შენუხებული ვარ“.

„ნაწყენი ვარ“.

სრულფასოვანი „მე“ შეტყობინება კი სამი კომპონენტისგან შედება:

(1) თქვენი გრძნობები

(2) ქცევა (ფაქტი), რომელიც მიუღებელია თქვენთვის

(3) ამ ქცევის კონკრეტული და თვალსაჩინო გავლენა თქვენზე (შედეგები).

იმისათვის, რომ ადამიანმა ზუსტად გაიგოს, რა ინვესს თქვენს უარყოფით გრძნობებს, მას უნდა შეატყობინოთ იმ ქცევის ან ფაქტის შესახებ, რომლის მიღებაც თქვენ არ შეგიძლიათ. აუცილებელია, რომ გრძნობები ნათლად და გულწრფელად გამოხატოთ, არც მოაკლოთ და არც დაამატოთ სიმძაფრე. და ბოლოს, შეგიძლიათ მესამე ელემენტიც დაამატოთ – ქცევის თუ ფაქტის კონკრეტული გავლენა თქვენზე (ან მისი შედეგები). ამით თქვენ არწმუნებთ ადამიანს, რომ თქვენი ემოციები საფუძველს მოკლებული არ არის და მისი ქცევა თქვენს ცხოვრებაზე კონკრეტულ და ხელშესახებ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. ამგვარად, „მე“ შეტყობინება შემდეგი ფორმულის სახით შეიძლება გამოვხატოთ: **„მე“-შეტყობინება = ქცევა + გრძნობა + გავლენა**. ამასთან თანმიმდევრობას მნიშვნელობა არა აქვს.

## 10.2 ინტერვიუ

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისათვის ინტერვიუ წარმოადგენს ბენეფიციართან მუშაობის უმთავრეს მეთოდს. სხვა სიტყვებით, ინტერვიუ განიხილება როგორც სოციალური მუშაკის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა. იგი სოციალური სამუშაოს შინაარსსა და მიზანს შეესაბამება.

ინტერვიუს აქვს თავისი მიზანი, სტრუქტურა, მიმართულება და ცენტრი. ინტერვიუს მიზანია ბენეფიციარსა და პრაქტიკოსს შორის ინფორმაციის გაცვლა, რომელიც მიგვიყვანს სტრატეგიის დაგეგმვასა და პრობლემის გადაჭრამდე. სტრუქტურა, მიმართულება და ცენტრი იცვლება იმის მიხედვით, თუ სად, ვისთან და რა ვითარებაში ტარდება ინტერვიუ.

ინტერვიუს წარმატებისათვის მნიშვნელოვანია რაპორტის დამყარება (ეფექტური კომუნიკაცია, ბენეფიციართან მუშაობის პროცესში წარმატებული ჩართვა, მისი ნდობის მოპოვება) და **ბენეფიციარის აქტუალური პრობლემებისა და ემოციური მდგომარეობისაკენ** ყურადღების მიმართვა.



ინტერვიუს საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს:

- სიტუაციაში გარკვევა
  - არსებითი ინფორმაციის ამოღება
  - ბენეფიციარის ემოციური ფუნქციონირების შეფასება
  - ბენეფიციარის შემეცნებითი უნარის შეფასება
  - გარკვევა იმაში, თუ რა ტრავმები აქვს ბენეფიციარს გადატანილი
  - გარკვევა იმაში, თუ რას ელოდება ბენეფიციარი სოციალურ მუშაკთან მუშაობისას
  - მიზნებზე შეთანხმება და საქმეში მდგომარეობის ჩამოყალიბება
- შემდეგი ფაქტორები უწყობენ ხელს ინტერვიუს წარმატებას:
- “თანაგანცდა” (ემპათია) — თანდასწრება და მინიმალური მხარდაჭერა
  - პერიფრაზა: ბენეფიციარის მონათხრობის სხვა სიტყვებით გამეორება
  - ანალიზი
  - შეჯამება
  - ეფექტური გადასვლები
  - ინტერპრეტაცია
  - ღიაობა

### პირველი ინტერვიუ ბენეფიციართან

პირველი ინტერვიუს დაწყებამდე საჭიროა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება:

- **ინდივიდის/ბენეფიციარის შესახებ თქვენ ხელთ არსებული ინფორმაციის დამუშავება** – (მომართვის განცხადება, დემოგრაფიული ინფორმაცია, სამედიცინო ისტორია, პირადი საქმე და ა.შ.);
- **ინტერვიუს ჩატარების ადგილისა და დროითი ჩარჩოს განსაზღვრა** (რეკომენდებულია ინტერვიუს წყნარ, განცალკევებულ ადგილას ჩატარება. დროის თვალსაზრისით, უმჯობესია ინტერვიუ 50-60 წთ.-ის განმავლობაში გრძელდებოდეს);
- **ინტერვიუს სტრუქტურის დაგეგმვა** (გამოვიყენებთ თუ არა ინტერვიუს რამე ფორმას).
- **ჩანაწერების გაკეთების საკითხი** (ზოგი სოციალური მუშაკი ინდივიდთან საუბრისას ამჯობინებს არ გააკეთოს ჩანაწერები, მაშინ როცა სხვათა აზრით მიზანშეწონილია ჩანაწერების ინტერვიუს მსვლელობისას გაკეთება, რათა მოგვიანებით შესაძლებელი იყოს მისგან მიღებული ინფორმაციის აღდგენა. ასევე მიღებულია კლიენტთან საუბრის მაგნიტოფონზე ჩანერა, მხოლოდ ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ბენეფიციარის ნებართვის მოპოვება).

ბენეფიციართან შეხვედრის დროს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- თუ ბენეფიციარს ოფისში ხვდებით, **მისი შემოსვლისთანავე ფეხზე ადექით** და საკუთარი თავი წარუდგინეთ; მიუთითეთ იმ ადგილზე, სადაც გასურთ, რომ დაჯდეს. თუ მას ოფისის გარეთ ხვდებით (მის სახლში, ნეიტრალურ ტერიტორიაზე), მაშინ აუ-

ცილებელია პირადობის მონმობისა და სამსახურის წარდგენა, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ;

- **ყურადღებით შეარჩიეთ ადგილი სადაც დასხდებით. დარწმუნდით, რომ ფიზიკური ფაქტორების ზეგავლენა კომუნიკაციაზე ან რაიმე ბარიერი გამორიცხებულია.** მაგალითად, თუ ინტერვიუს ატარებთ ოფისში, თქვენსა და ბენეფიციარს შორის არ უნდა იყოს მაგიდა; არ უნდა იხსდეთ სხვადასხვა სიმაღლის სკამებზე;
- გაითვალისწინეთ, რომ სასურველია ბენეფიციარი **ინტერვიუზე მარტო მოვიდეს.** სხვა ადამიანების დასწრებამ შეიძლება შეზღუდოს მისი გულახდილობა. შეეცადეთ, რომ არ უპასუხოთ სატელეფონო ზარებს, ისევე როგორც თავიდან აიცილეთ კოლეგების შემოსვლა ოთახში ინტერვიუს მსვლელობისას. **ხმაურმა შეიძლება გაუფანტოს ინდივიდს ყურადღება ან დაძაბოს იგი;**
- **ყურადღება მიაქციეთ თქვენს ჩაცმულობას.** სასურველია, რომ ინტერვიუს ჩატარებისას პროფესიონალურ სამოსს მიანიჭოთ უპირატესობა და თან სადად გამოიყურებოდეთ;
- **განუმარტეთ ბენეფიციარს კონფიდენციალურობის პრინციპი და მისი შეზღუდვები.** გახსოვდეთ, რომ ბენეფიციარისგან მოწოდებული ინფორმაცია ყოველთვის კონფიდენციალურია, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:
  - თუ ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაცემა სოციალურ მუშაკს კანონით ევალება;
  - თუ ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საფრთხეს უქმნის თავად მას ან სხვა პირს;
  - თუ არსებობს ბენეფიციარის წერილობითი თანხობა მესამე პირის/უწყებისათვის ინფორმაციის გაცემის თაობაზე.
  - თუ შემთხვევის განხილვას აქვს პროფესიული ხასიათი (ინდივიდუალური შემთხვევის კონფერენცია, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მომსახურებით მიმწოდებელთან ინფორმაციის გაცვლა, და სხვა).

**ინტერვიუს ჩატარებისათვის აუცილებელია**

- **“გამხსნელი” კითხვა- “რა არის ის, რამაც ჩემამდე მოგიყვანათ?”**
- **ინტერვიუს მსვლელობისას იყავით გულისხმიერი და თანამოსაუბრეს თავი მაქსიმალურად კომფორტულად აგრძნობინეთ.** არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ თავდაცვითი ან კონფრონტაციული პოზა;
- **აკონტროლეთ თქვენი ხმა და ხმის ტონი** — თქვენს ხმაში არ უნდა იგრძნობოდეს აგრესია, დადანაშაულება ან მუქარა;
- **აირჩიეთ ინტერვიუს ჩატარების საშუალო ტემპი.** ნუ დააჩქარებთ ბენეფიციარს, გამოიყენეთ პაუზები კითხვებს შორის, მაგრამ თავი აარიდეთ ინტერვიუს პროცესის მეტისმეტად განელვასაც, რადგან ეს თანამოსაუბრის მოდუნებას გამოიწვევს;
- **ინტერვიუს ეფექტურად ჩატარებისათვის აუცილებელია ბენეფიციართან ნდობის (რაპორტის) დამყარება;**
- **გამოიყენეთ აქტიურად მოსმენისა და პერიფრაზის მეთოდები.** ყურადღება და აქ-

**ტიური მოსმენა** სოციალური სამუშაოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია და ითვალისწინებს:

— თვალებით კონტაქტს (მხოლოდ არა გამომწვევს);  
— ბგერების გამოყენებას (მაგალითად, აჰა, მმ) და არავერბალურ კომუნიკაციებს (თავის დაქნევა), რაც მიუთითებს იმაზე, რომ თქვენ ყურადღებით უსმენთ თანამოსაუბრეს;

— აღქმას არა მხოლოდ იმის, თუ რას ამბობს ბენეფიციარი, არამედ იმისაც, თუ როგორ აკეთებს ამას. ყურადღება მიაქციეთ მის სიტყვებს, ხმის ტონს, პოზას, არავერბალურ კომუნიკაციას.

- **პერიფრაზა** არის ბენეფიციარის სიტყვების შეჯამება და გადმოცემა, მოსაუბრის ნათქვამისა და ჩვენ მიერ აღქმულის შესაბამისობის შესამოწმებლად. პერიფრაზა გვეხმარება იმის დაზუსტებაში, თუ რამდენად სწორად გავიგეთ მოსაუბრის ნათქვამი ან მის მიერ სიტუაციის შეფასება;
- **დაეხმარეთ ბენეფიციარს პრობლემის განსაზღვრაში.** იმისათვის, რომ ბენეფიციართან მუშაობა წარმატებული პროცესი იყოს, საჭიროა სოციალურმა მუშაკმა და ბენეფიციარმა ინტერვიუს მსვლელობის დროს სწორად განსაზღვრონ პრობლემა, რათა მართებულად დაიგეგმოს ჩარევა;
- **ინტერვიუს დროს აწარმოეთ მაქსიმალურად მიზანმიმართული და ეფექტური გამოკითხვა.** გახსოვდეთ, რომ ინტერვიუს დროს კითხვებს მრავალი მიზანი აქვს და ემსახურება: ინფორმაციის მიღებას, ბენეფიციარის აზრების, გრძნობების, ფიქრების და შეხედულებების გაგებას და ეხმარება მას და სოციალურ მუშაკს, ნებისმიერ მომავალ სამუშაოზე შეთანხმების მიღწევაში;
- **დასვით ღია შეკითხვები** მაგ: *როგორ გრძნობთ თავს?* ამგვარად დასმული კითხვა ბენეფიციარს საშუალებას აძლევს, მისი პასუხი იყოს უფრო სრული და ამომწურავი, ვიდრე შეკითხვაზე - გაბრაზდით?
- **ნუ გამოიყენებთ ხშირად კითხვას რატომ?** მაგალითად, ნაცვლად კითხვისა — *რატომ გაიქეციეთ სამშობიარო სახლიდან*, უნდა იკითხოთ: *რა იყო მიზეზი ან რამ გაიძულათ გაქცეულიყავით სამშობიარო სახლიდან?* ეს კითხვა არავის განსჯის და იძლევა სრული პასუხის შესაძლებლობას;
- **ნუ დასვამთ რამდენიმე შეკითხვას ერთდროულად.** ბენეფიციარს შეიძლება დაავინყდეს წინა შეკითხვა, სანამ ბოლოს მოისმენს. მაგალითად, თუ სოციალური მუშაკი კითხულობს: *რა რეაქცია გქონდათ, როდესაც შეიტყვეთ რომ ორსულად ხართ? სად არის ბავშვის მამა? სად ცხოვრობდით?* ამ დროს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვის დიდი საშიშროებაა. დასვით თითო შეკითხვა და დაელოდეთ მოსაუბრის პასუხს;
- **ნუ დაეხმარებით მოსაუბრეს პასუხის გაცემაში.** ის შეიძლება გაბრაზდეს ან ჩათვალოს, რომ უმჯობესია მხოლოდ თავის დაქნევით დაგეთანხმოთ;
- **ნუ დაუსვამთ ბენეფიციარს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მას თქვენთვის სასურველი პასუხისაკენ უბიძგებს.** მაგ. *როდესაც ქმარმა მიგატოვათ თქვენ თავს უსუსურად გრძნობდით, ხომ ასეა?*
- **ნუ გადახვალთ დაუყოვნებლივ შემდეგ შეკითხვაზე.** გახსოვდეთ, რომ ინტერვიუს

ეფექტურობისათვის, თქვენ გჭირდებათ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვება. ინტერვიუ არ არის კითხვარი. ეს არის საუბარი გარკვეული მიზნით;

- **თავი აარიდეთ სტერეოტიპების ზეგავლენასა და წინასწარი განწყობის შექმნას;**
- **გახსოვდეთ შერჩევით მოსმენის და კეთილგანწყობის უარყოფითი ეფექტის საშიშროება.**

— **შერჩევითი მოსმენა** გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული შეხედულება თანამოსაუბრეზე (სტერეოტიპი) და შემდგომ გვესმის მხოლოდ ის, რაც შეესაბამება ამ სტერეოტიპს. სხვა დანარჩენი ჩვენ ან არ გვესმის ან არასწორად ვიგებთ კვლავ სტერეოტიპიდან გამომდინარე.

— **კეთილგანწყობის ეფექტი** იქმნება მაშინ, როდესაც ჩვენ ვხედავთ მსგავსებას თანამოსაუბრესთან. მაშინ ჩვენ გვესმის ის, რაც მიუთითებს ბენეფიციარის დადებით მხარეებზე და არ გვინდა დავინახოთ სხვა დანარჩენი, რაც არ ერგება აღნიშნული შეხედულების ჩარჩოს.

- მოერიდეთ პროფესიული ან სხვა რაიმე ტიპის ჟარგონის გამოყენებას. **ისაუბრეთ გასაგები ენით. დარწმუნდით, რომ თანამოსაუბრეს ესმის თქვენი.**

- **ხშირად გაიმეორეთ თანამოსაუბრის ნათქვამი.** გამეორება ემსახურება ორ მიზანს: პირველი — აძლევს თანამოსაუბრეს საშუალებას უფრო დანვრილებით გამოთქვას თავისი აზრები, მეორე — გეხმარებათ გაიგოთ, რამდენად სწორად გაუგეთ თანამოსაუბრეს

- **იყავით პირდაპირი ბენეფიციართან. თუ რაღაც ვერ გაიგეთ, სთხოვეთ, გაგიმარტოთ.**

- თუ მოსაუბრე ამბობს იმას, რაც ეწინააღმდეგება მის წინა გამონათქვამს, გახსოვდეთ შემდეგი:

— ნუ დატოვებთ ამას ყურადღების მიღმა — შეეცადეთ უკეთ გაუგოთ მას და გაერკვიოთ სიტუაციაში.

— შეინარჩუნეთ საუბრის მშვიდი და კეთილგანწყობილი ტონი და პოზა.

— დაფიქრდით, რამ მიიყვანა თანამოსაუბრე აშკარა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებამდე. მაგალითად, შეიძლება იგი თავს უხერხულად გრძნობდეს და აქედან გამომდინარე, დაბნეულადაც კი; იქნებ მას ეშინია სიმართლის თქმა?! ან იქნებ, თქვენ ვერ გაუგეთ მას?!

- არ დატოვოთ უყურადღებოდ თანამოსაუბრის სიტყვები, თუ იგი მიგანიშნებთ რაიმე პრობლემაზე ან საზრუნავზე და შემდეგ სწრაფად ცვლის თემას. **დაუბრუნდით ამ თემას მოგვიანებით, მიეცით მას ამ თემაზე უფრო დანვრილებით საუბრის საშუალება.**

- პატივი ეცით კულტურულ თავისებურებებს და გაითვალისწინეთ ისინი.

ინტერვიუს დასასრულს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- დარწმუნდით იმაში, რომ თქვენთვისაც და ბენეფიციარისთვისაც გასაგებია, ვინ და რა უნდა გააკეთოს შემდგომში;

- დარწმუნდით იმაში, რომ თქვენს ბენეფიციარს ჩანერილი აქვს თქვენი სახელი და ორგანიზაციის დასახელება, მისამართი და ტელეფონი;

- თუ იგეგმება შემდგომი მუშაობა ბენეფიციართან, დარწმუნდით იმაში, რომ მომავალი შეხვედრა ზუსტადაა შეთანხმებული მასთან;
- თუ ჯერ არანაირი სამუშაო არ დაგიგეგმავთ, აუცილებელია, ბენეფიციარმა იცოდეს, რომ სურვილის შემთხვევაში მას შეეძლება თქვენს სამსახურთან დაკავშირება. დარწმუნდით იმაში, რომ კლიენტმა იცის, როგორ დაგიკავშირდეთ.

### 10.3 კონსულტირება

კონსულტირება სოციალური სამუშაოს ინტერვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. **კონსულტირების მიზანია დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის გაძლიერება** (ბრიტანეთის კონსულტირების ასოციაცია). კონსულტირება არის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ფსიქოლოგიური თეორიებისა და პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების (კომუნიკაცია, ინტუიცია და სხვა) გამოყენებას ინდივიდის პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. სოციალურ სამუშაოში კონსულტირება გამოიყენება ინდივიდუალურ შემთხვევებზე მუშაობისას. კონსულტირების დროს სოციალური მუშაკები ბენეფიციარებს ეხმარებიან ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, კერძოდ კი ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორც არის პირადი ურთიერთობის, ოჯახური კონფლიქტის მოგვარება, სოციალური დახმარების მიღება, უმუშევრობა და სხვა. გარდა პრობლემების გადაჭრისა სოციალური მუშაკი კონსულტირების მეშვეობით ცდილობს პრობლემების პრევენციასაც.

#### კონსულტირების თეორიული სკოლები

არსებობს კონსულტირების არაერთი თეორიული სკოლა. ის თეორიული მიმართულებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოციალურ სამუშაოში კონსულტირების განსავითარებლად, შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ: ფსიქოდინამიკური სკოლა, ჰუმანისტური (პიროვნებაზე ორიენტირებული) სკოლა და კოგნიტურ-ბიჰევიორისტული სკოლა.

**ფსიქოდინამიკური სკოლა** იკვლევს არაცნობიერის ზეგავლენას, პიროვნების შრეებს (იდი, ეგო და სუპერ-ეგო), ფსიქოსექსუალურ განვითარებას და წარსულის დიდ მნიშვნელობას აწმყოზე. ამ თეორიით, წარსულის გადასინჯვა და არაცნობიერი მოთხოვნების აღიარება სოციალური ცვლილებების საწინდარია..

**ჰუმანისტური (პიროვნებაზე ორიენტირებული) სკოლა** ეფუძნება კარლ როჯერსის მიდგომას, რომელიც დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდს განიხილავს როგორც ექსპერტს, ხოლო სპეციალისტს, როგორც წამახალისებელს ბენეფიციარის დახმარების პროცესში. ეს მიდგომა მომდინარეობს ფილოსოფიის ეგზისტენციალური ტრადიციიდან, რომელიც პატივს სცემს ადამიანის პიროვნულ გამოცდილებას და ყურადღებას ამახვილებს პიროვნების თავისუფლებაზე, არჩევანზე და ადამიანის არსებობის მნიშვნელობაზე.

**კოგნიტურ-ბიჰევიორისტული სკოლა** მეცნიერულ მიდგომას ეფუძნება და ორიენ-

ტირებულია ადამიანის ქცევის შეცვლაზე. ამ სკოლის თეორიის თანახმად, რადგან ქცევა დასწავლილია, შესაბამისად, ინტერვენციის შედეგად მისი შეცვლაც შესაძლებელია. ზემოაღნიშნული მიდგომა კონკრეტული მოქმედებებით ინდივიდის ქცევის შეცვლას გულისხმობს.

სოციალურ სამუშაოში კონსულტირებას მისი პირდაპირი მნიშვნელობით იშვიათად იყენებენ.. ხშირ შემთხვევაში კონსულტირება უფრო ფართო ინტერვენციის ნაწილია და ითვალისწინებს კონსულტირების ზოგიერთი თეორიისა და უნარ-ჩვევის პრაქტიკაში გატარებას. კონსულტირება, ძირითადად, ინდივიდისა და სოციალური მუშაკის ურთიერთობის საწყის ეტაპზე გვხვდება და იგი ყოველთვის მიზნად ისახავს ინდივიდის გაძლიერებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც სოციალური მუშაკის პროფესიას ხანგრძლივი ისტორია აქვს (მაგ., აშშ, დიდი ბრიტანეთი), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სოციალური მუშაკები ეწვევიან თერაპიულ პრაქტიკასაც.

### უნარ-ჩვევები კონსულტირების პროცესში

კონსულტირება უნდა ეფუძნებოდეს 7 ძირითად მახასიათებელს:

- ემპათია ანუ “თანაგანცდა” – მცდელობა იმისა, რომ სამყაროს სხვა ადამიანთა თვალთ შებედო;
- პატივისცემა – სხვა ადამიანის დახმარების რწმენა და მისი ხედვის პატივისცემა;
- სიზუსტე – ადამიანისთვის ნებისმიერი ინფორმაციის კონკრეტულად და ზუსტად გადაცემა, რათა გაუგებრობა თავიდან იქნეს აცილებული;
- საკუთარი თავის ცოდნა;
- გულწრფელობა;
- შესაბამისობა;
- დაუყოვნებელი დახმარება.

კარგ სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს უნარი:

- დაამთავრებინოს ინდივიდს საუბარი თავისი რეაქციის გამოხატვის გარეშე;
- ზუსტად გადმოსცეს ადამიანის გრძნობები და განცდები საუბრის დასრულების შემდეგ;
- გამოიყენოს პერიფრაზის მეთოდი;
- გამოიყენოს ღია კითხვები;
- მკაფიოდ აუხსნას ინდივიდს საკუთარი როლი;
- მოაგროვოს და დააზუსტოს ინფორმაცია (არაპირდაპირი დამატებითი კითხვების დასმა), წახალისოს ინდივიდი, რომ უფრო მეტი ისაუბროს პრობლემის თაობაზე;
- პატივი სცეს სიჩუმეს;
- აკონტროლოს საკუთარი შფოთვა და გაღიზიანება;
- იყოს კონცენტრირებული კონკრეტულ საკითხზე და, იმავდროულად, დაეხმაროს ინდივიდს, არ მოადუნოს ყურადღება სესიის დროს.;
- ისაუბროს ინდივიდისათვის მტკივნეულ თემებზე;
- ინდივიდთან ერთად შეიმუშაოს ეფექტური მიზნები და, ამასთანავე, განიხილოს ალტერნატიული სამოქმედო გეგმა;

- შეაფასოს მიღწეული შედეგები „მოგება-დანაკარგის“ პრინციპით.

ინდივიდისათვის რჩევის მიცემა მისაღებია, თუ იგი დროულია და იგი ამას ითხოვს. მაგრამ სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ისეთ ფრაზებს, როგორცაა „მე ვთვლი, რომ“, „მე მიმაჩნია, რომ“, „მე ვგრძნობ, რომ“. სოციალურ მუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ სესია ინდივიდზე არის ორიენტირებული და არა მასზე. უმჯობესია, სოციალურმა მუშაკმა ყურადღებით შეაჯამოს ინდივიდის ნათქვამი და დაინყოს წინადადება ისეთი ფრაზებით, როგორცაა „თქვენ ფიქრობთ, რომ“, რაც ადამიანებს საკუთარი თავის მოსმენის საშუალებას აძლევს.

სოციალურ მუშაკი არ ეხმარება ინდივიდს მაშინ, როდესაც აძლევს ნაადრევ რჩევას, მოძღვრავს ან კიცხავს მას. კონსულტირების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, მივიღოთ სხვა ადამიანი ისეთი, როგორიც ის არის. ამას გარდა, კონსულტირებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა კლასი, სქესი, რელიგიური აღმსარებლობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ეთნიკური კუთვნილება და ა.შ. რადგან კონსულტირების ამოსავალი წერტილი ინდივიდის გამოცდილების გაგება და გაზიარებაა, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ განსხვავებული წარმომავლობის და გამოცდილების სოციალურ მუშაკს არ შეუძლია ემპათიის გამოქვავება. მაგრამ ეს ვარაუდი სწორი არ არის. მიუხედავად გამოცდილების და წარმომავლობის მსგავსების ან სხვადასხვაგვარობისა, ყველა ადამიანი მაინც ინდივიდუალურია და არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ განსხვავებები აუცილებლად ხელისშემშლელია თერაპიულ ურთიერთობაში.

### ევანის კონსულტირების მოდელი

**ჯერარდ ევანმა** (1981 წ.) შეიმუშავა კონსულტირების მოდელი, რომელიც წამყვანია კონსულტირების თეორიასა და პრაქტიკაში მისი შექმნის დღიდან. ევანის მეთოდი ოთხი ფაზისაგან შედგება: შეცნობა, გააზრება, მოქმედება და შეფასება

**შეცნობის ფაზაში** სოციალური მუშაკი ცდილობს, მოიპოვოს ნდობა და თანხმობა (რაპორტი) ინდივიდისა, დაეხმაროს მას შეიცნოს საკუთარი გრძნობები და ქცევა პრობლემასთან მიმართებაში. სპეციალისტი ორიენტირებულია ნდობის მოპოვებაზე აქტიური მოსმენის, პერიფრაზის, შეჯამებისა და ანალიზის უნარ-ჩვევების გამოყენებით. ამ ფაზაში გამოიყენება ღია შეკითხვები, რათა ინდივიდს მივცეთ საშუალება, საკუთარი ხედვიდან გამომდინარე განსაზღვროს პრობლემა და აუხსნას სოციალურ მუშაკს მისი არსი.

**გააზრების ფაზაში** სოციალური მუშაკი გამოიყენებს იმავე უნარ-ჩვევებს რაც პირველ ფაზაში და ეხმარება ინდივიდს, გაიაზროს მიღებული სურათი. ამ დროს სოციალური მუშაკი გამოჰყოფს იმ თემებსა და მაგალითებს, რომლებიც ინდივიდის ისტორიაში დომინირებს და აჩვენებს კლიენტს მათ კავშირს პრობლემურ ქცევასთან. ამავე ფაზაში ფასდება ძლიერი მხარეები და რესურსები. ამ ფაზის მეთოდებს შორის არის პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზების შეთავაზება, კონკრეტულ პრობლემაზე კონცენტრაცია და ეფექტური კონფრონტაცია იმის მისაღწევად, რომ ინდივიდმა დაინახოს საკუთარი ქცევის/პრობლემის სხვა მხარეებიც. კონფრონტაციის მიზანია, დავეხმაროთ ინდივიდს გამოიყენოს საკუთარი რესურსები და ყურადღება გაამახვილოს მის მონათხრობში არსებულ შეუსაბამობებზე.

**მოქმედების ფაზა** გულისხმობს ინდივიდისა და სოციალური მუშაკის მიერ იმ რესურსების განსაზღვრასა და მოძიებას, რაც კლიენტს პრობლემის გადაჭრაში ან პრობლემასთან შეგუებაში დაეხმარება. ამ ფაზის მეთოდებია მიზნების დასახვა, რესურსებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფა, პრობლემის გადაჭრის მეთოდების სწავლება და შედეგზე ორიენტაცია.

**შეფასების ფაზაში** სოციალური მუშაკისა და ბენეფიციარის მიერ მიღწეული შედეგები ფასდება(მონიტორინგი).

### მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა

მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა (რომელსაც ასევე ხანმოკლე თერაპიასაც უწოდებენ), განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს როგორც სოციალური სამუშაოს პრაქტიკაზე, ასევე მომსახურების ორგანიზების სისტემაზე. როგორც თავად სახელწოდება მიუთითებს, მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემის გადანყვეტის გზების მოძიებასა და სოციალურ მუშაკსა და დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდს შორის გარკვეული დროით ურთიერთობაზე. **მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა გამოიყენებს ხანმოკლე, მიზანმიმართულჩარევას და სოციალურ მუშაკსა და ინდივიდს შორის თანამშრომლობას ეფუძნება.**

მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა 1960-იან წლებში აშშ-ში აღმოცენდა. 1920-1960 წლების სოციალური სამუშაოს პრაქტიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პრობლემის გადანყვეტას და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ინდივიდის გრძნობების შესწავლას, მისი პრობლემების შესახებ საუბარს და ნაკლებად — მათი გადაჭრის გზების ძიებას. შესაბამისად, ზოგიერთი ინდივიდი დახმარების პროცესში წლების განმავლობაში იყო ჩართული და ხშირად ეს ინდივიდსა და სოციალურ მუშაკს შორის არაჯანსაღ მიჯაჭვულობას აყალიბებდა.

1969 წელს აშშ-ში გამოქვეყნდა რიდისა და შაინის მიერ შესრულებული კვლევა, რომელიც განიხილავდა ხანმოკლე თერაპიას და შემთხვევის გრძელვადიან მართვას. სოციალური დახმარების ერთ-ერთ სააგენტოში ბენეფიციარებს მომსახურების ორი განსხვავებული პაკეტი შესთავაზეს: ერთი მათგანი წარმოადგენდა დაგეგმილ მოკლევადიან ჩარევას, რომელიც 8 შეხვედრისაგან შედგებოდა, ხოლო მეორე იყო სააგენტოს ჩვეულებრივი პრაქტიკა, გრძელვადიანი სერვისი, რომელიც 18 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ყველას გასაოცრად, მოკლევადიანი სერვისში ჩართულ ინდივიდთა მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდა ვიდრე იმათი, რომლებიც გრძელვადიან სერვისს იღებდნენ. ავტორთა ჰიპოთეზის თანახმად, ამოქმედდა კლებადი უკუგების პრინციპი. მას შემდეგ, რაც დახმარება გრძელდება გარკვეულ ვადაზე ხანგრძლივად, ინდივიდები კარგავენ რწმენას, რომ შეეგუებიან ან თავს დააღწევენ პრობლემებს და სოციალურ მუშაკზე უარყოფითად ხდებიან დამოკიდებულნი. ავტორთა მიხედვით, სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიუხედავად, სასურველი ცვლილება ინტერვენციის ადრეულ ეტაპზე მიიღწევა.

ამ თეორიის ძირითადი ელემენტები იყო დახმარება ხანმოკლე დროით და ინდივიდის მიერ არჩეულ მიზნებზე კონცენტრირება, რაც მეტ შედეგს გვაძლევდა, ვიდრე მასთან

თავი X



დროში შეუზღუდავი მუშაობა.

მოგვიანებით, რიდისა და ეპშტეინის (1972 წ.) მიერ გამოცემულ წიგნში, მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა განისაზღვრა მაქსიმუმ 12 შეხვედრით სამი თვის განმავლობაში, სადაც მუშაობა ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ არჩეულ ადვილად მისაღწევ მიზნებს.

დღესდღეობით, მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა 8 პრობლემური მხარის მოგვარებას ემსახურება:

- კონფლიქტები პიროვნებებს შორის;
- უკმაყოფილება სოციალურ ურთიერთობაში;
- პრობლემები ოფიციალურ ორგანიზაციებთან;
- სიძნელეები საკუთარი როლის შესრულებისას;
- სოციალური მდგომარეობის ცვლილების პრობლემები;
- რეაქციული სტრესი;
- არაადეკვატური რესურსები;
- ქცევის პრობლემები.

პრობლემების გადანყვეტასა და ინდივიდის მიერ მცირე მიზნების მიღწევისათვის მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა 5 ფაზიან პროცესს გამოიყენებს:

**პრობლემის შესწავლა**, როდესაც განისაზღვრება და მკაფიოდ ჩამოყალიბდება ინდივიდის გასაჭირი, შემდეგ კი პრობლემები დაჯგუფდება მათი პრიორიტეტულობის მიხედვით;

- **ინდივიდი და სოციალური მუშაკი თანხმდებიან** ინტერვენციის მიზანზე, რაც 8 პრობლემური მხარიდან ერთ-ერთის მოგვარებას გულისხმობს;
- **ამოცანის ფორმულირება** ორმხრივი შეთანხმების შედეგია. ინდივიდი და სოციალური მუშაკი თანხმდებიან სამუშაო ურთიერთობის პროცესზე, შეხვედრების სიხშირესა და ხანგრძლიობაზე;
- **მიზნის მიღწევა**, რისთვისაც არ არის განსაზღვრული რაიმე სპეციფიკური მიდგომა ან მეთოდები;
- **დასრულება** გულისხმობს მიზნების მიღწევის შემდეგ სოციალური მუშაკის (და არა ინდივიდის) მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა აშშ-ის პარალელურად დიდ ბრიტანეთშიც განვითარდა. 1977 წელს მატილდა გოლდბერგმა და მისმა კოლეგებმა განსაზღვრეს, რომ მცირე ამოცანების დასახვა და მათზე მუშაობა ბევრად უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე კლიენტებისათვის გლობალური და ბუნდოვანი მიზნების შეთავაზება. მაგალითად, სოციალური მუშაკის მიერ პრობლემური ქცევის 14 წლის მოზარდთან დასახული მიზანი იყო *ანტისოციალური ქცევის შეწყვეტა*, რაც არაეფექტური აღმოჩნდა. პირველ რიგში, აუცილებელია, მიზანი ყოველთვის პოზიტიური ტერმინოლოგიით იყოს გადმოცემული. ამასთანავე, ეს მიზანი საკმაოდ ფართოა და დიდ ამოცანას მოიცავს. გოლდბერგის მიხედვით, უკეთესი იქნებოდა პატარა, ერთკვირიანი მიზნების დასახვა. მაგალითად, *ერთი კვირით ხიფათისათვის თავის არიდება და ბებიასთან სტუმრად წასვლა*.

გოლდბერგის ექსპერიმენტის შედეგად დადასტურდა, რომ მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკა შედეგიანი არ იყო ისეთ ინდივიდებთან, რომელთაც ხანგრძლივი დროის

განმავლობაში ჰქონდათ სირთულეები ან ვისაც რეალობის გრძნობა ჰქონდა დაკარგული (მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ან ნივთიერებებზე დამოკიდებული კლიენტები)

მიზანზე ორიენტირებულ პრაქტიკაში ინდივიდი, რომელიც საჭიროებს დახმარებას, ცვლილების მთავარი მოქმედი პირია, რომელიც ეხმარება სოციალურ მუშაკს პრიორიტეტების შეფასებასა და მიზნის დასახვაში.

მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკის დადებით მხარეებად შეიძლება მოვიხაზროთ შემდეგი:

- პრობლემის შესწავლის, შეთანხმების მიღწევისა და მიზნების დასახვის პროცესში მხედველობაში მიიღება არამართო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური გამოცდილებასაც. ინდივიდი არ განიხილება, როგორც პრობლემის წყარო და დიდი ყურადღება ეთმობა გარემო ფაქტორებს, მაგალითად სოციალურ კეთილდღეობას;
- სხვა მიდგომების მსგავსად, მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკის ცენტრზსშეიძლება წარმოადგენდეს ინდივიდი, წყვილი, ოჯახი, ჯგუფი ან ორგანიზაცია. სოციალური მუშაკი გამოდის, როგორც მასწავლებელი (ტრენერი) პრობლემის გადაწყვეტის პროცესში;
- ყურადღება ეთმობა ადამიანების ძლიერ მხარეებსა და მათ თანადგომის ქსელს;
- გულახდილობა საჭიროა როგორც ინდივიდის, ასევე სოციალური მუშაკის მხრიდან. მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკის ზოგიერთი საშუალება:
- ყურადღებით შეისწავლეთ, რა მიზნით მოგმართათ ადამიანი და დახმარებას;
- შეთანხმდით ზუსტ დროში განერილ მიზნებზე;
- წახალისეთ ინდივიდი, მკაფიოდ და დაუფარავად ისაუბროს თავისი პრობლემების შესახებ;
- გაუწიეთ დაუყოვნებელი პრაქტიკული დახმარება საჭიროების შემთხვევაში;
- დაეხმარეთ ინდივიდს, თვითონ განახორციელოს პატარა და ადვილად მისაღწევი მოქმედებები;
- განუმარტეთ, როგორ მუშაობს მიზანზე ორიენტირებული მიდგომა (ინტერვიუების განრიგი, მიზანთა პრიორიტეტების მიხედვით დაჯგუფება, დროში შეზღუდვა, ოჯახის წევრების ჩართვა);
- განსაზღვრეთ წარმოდგენილი პრობლემები გასაგები ტერმინებით;
- ამოირჩიეთ მაქსიმუმ სამი პრობლემა პრიორიტეტულობის მიხედვით;
- გაანალიზეთ პრობლემები 8 კატეგორიის მიხედვით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნამიჭიშვილი, ს. & მგელიაშვილი, მ. (2007). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების და პრაქტიკის ხელმძღვანელებისათვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
2. საძაგლიშვილი, შ. (2004). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები*. საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, საქართველო
3. Ashford, J., LeCroy, C. and Lortie, K. (2001). *Human Behavior in the Social Environment*. Brooks/Cole Cengage Learning
4. Gambrill, E. (1997). *Social Work Practice: A Critical Thinker's Guide*. New York: Oxford University Press.
5. Hepworth, D., Rooney, R. & Larsen, J. (2000). *Direct Social Work Practice: Theory and Skills*. (6th ed.). Pacific Grove, CA.: Brooks/Cole Publishing Co.
6. Roberts, A. & Yeager, K. (2006) *Foundations of Evidence-Based Social Work Practice*. Oxford University Press
7. Saleebey, D. (1997). *The Strengths Perspective in Social Work Practice*. New York: Longman Publishers.

# თავი XI: გავშვზე ძალადობა და მისი უგულუბელოფა

ეს თავი მიმოიხილავს ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობის ფორმებს, კერძოდ კი, ძალადობასა და უგულუბელოფას. აზუსტებს ტერმინების მნიშვნელობას როგორც საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე, ქართულ სამართლებრივ კონტექსტში. ანვდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას მოძალადის ქცევის თავისებურებების, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური პორტრეტის, მისი ფიზიკური ნიშნებისა და ქცევის სპეციფიკის შესახებ; ასევე, იმ რისკფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ მშობლების მხრიდან ძალადობას, ხოლო ბავშვებისა — ძალადობის მსხვერპლად გახდომას. ამ თავში დეტალურად არის განხილული ძალადობაგანცდილ ბავშვსა და მის ოჯახთან ინტერვიუს თავისებურებები, და ბოლოს, ძალადობის შედეგები.

## 11.1 ძალადობისა და უგულუბელოფის ფორმები და განმარტებები

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობის შემთხვევები. ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობა არის ფენომენი, რომელიც მოიცავს როგორც სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ, ისე პროფესიულ სფეროებს. ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობა არის ნებისმიერი ქცევა, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვის განვითარებას, ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. **ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობის ძირითადი ფორმებია: ძალადობა და უგულუბელოფა.** საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოვალეობაა ბავშვების დაცვა არალირსეული მოპყრობისაგან. ტერმინი „ბავშვთა დაცვა“ გულისხმობს ძალადობისა და უგულუბელოფის პრევენციასა და ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობის შემთხვევაში მასზე რეაგირებას.

ბავშვისადმი არალირსეული მოპყრობა მოიცავს ფიზიკური და/ან ემოციური ზიანის მომტანი მოპყრობის, სექსუალური ძალადობის, უგულუბელოფის, კომერციული თუ სხვა სახის ექსპლოატაციის რომელიმე ან ყველა ფორმას, რაც რეალურ ან პოტენციურ საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, განვითარებასა თუ ღირსებას.

ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობა გულისხმობს ბავშვისათვის ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ფიზიკურ ზიანს, (განზრახ ან უნებლიეთ განხორციელებულს), რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ბავშვის მიმართ ემოციური ძალადობა გულისხმობს ბავშვის ღირსების შემლახველ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც სისტემატურ ხასიათს ატარებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობასა და განვითარებას.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა გულისხმობს ბავშვზე განხორციელებულ ნებისმიერი სახის სექსუალურ მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება მის ასაკსა და განვითარების დონეს.

კომერციული ექსპლოატაცია არის ნებისმიერი სახის ქმედება, რომელიც ბავშვს აიძულებს, მიიღოს მონაწილეობა შრომით საქმიანობაში სხვების საკეთილდღეოდ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობას, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას.

თავი XI

მარეობას, განათლების შესაძლებლობას, კეთილდღეობასა და ჯანსაღ განვითარებას.

**სექსუალური ექსპლოატაცია გულისხმობს** სარგებლობას ბავშვის მოწყვლადობით, ნდობითა და ძალაუფლების ნაკლებობით, და მის გამოყენებას სექსუალურ საქმიანობაში შემოსავლის მიღების მიზნით.

**უგულებელყოფა არის** ბავშვის სასიცოცხლო საჭიროების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდებლობა) ან ამგვარი მიზეზის გარეშე.

### **ბავშვთა დაცვის ტერმინთა განმარტება ქართული კანონმდებლობის მიხედვით**

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ცნებებს „ძალადობა“, „იძულება“, „მუქარა“, „წამება“, „სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება“. თითოეული ასეთი ქმედება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლის კოდექსით,

ა) **ძალადობა** არის სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია; დამამძიმებელი გარემოებითაა ძალადობა ჩადენილი: დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

ბ) **იძულება** არის ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონი შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

გ) **მუქარა** არის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში;

დ) **წამება** არის პირისათვის, ან მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის;

ე) **სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება** – მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

საგულისხმოა, რომ ბავშვები ძალადობის მსხვერპლნი ოჯახური ძალადობის შედეგადაც ხდებიან. საგულისხმოა, რომ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (25 მაისი 2006 წ.) კანონი განმარტავს შემდეგ ტერმინებს:

**ოჯახური ძალადობა** – ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის

მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

**ფიზიკური ძალადობა** – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა** – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

**სექსუალური ძალადობა** – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

**იძულება** – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

**ეკონომიკური ძალადობა** – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ძალადობის ამგვარი ფაქტების არსებობისას სოციალური მუშაკი ან სხვა დაინტერესებული პირი (მაგ., მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო, მშობელი, სხვა კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია, შეატყობინოს პოლიციას რეაგირების მიზნით ან სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

ტერმინი, „უფლებელყოფა“, არ არის განმარტებული ქართულ კანონმდებლობაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინს, „დაუდევრობა“, იცნობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც გაუფრთხილებლად ჩადენილი ქმედების ერთ-ერთ სახეს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 10) შემდეგნაირად განმარტავს „გაუფრთხილებლობას“:

„მუხლი 10. გაუფრთხილებლობითი დანაშაული

1. გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

2. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

3. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.”

## 11.2 ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური პორტრეტი

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური პორტრეტი საკმაოდ დამრთველ-ველია. ასეთ ბავშვს დაბალი თვითშეფასება აქვს — ვერ აფასებს თავის რეალურ შესაძლებლობებს; მუდმივად ადანაშაულებს საკუთარ თავს და შეურაცხმყოფელი საქციელის მიზეზს საკუთარ თავში ეძებს: „რალაც არასწორად გავაკეთე“, „ჩემი ბრალია, ასე არ უნდა მეთქვა“ და ა.შ.; ხშირად იგი ძალადობას უარყოფს, მალავს ძალადობის ფაქტს. ამასთანავე იგი ეჩვენება რა ძალადობას, კრიტიკულად ვეღარ აფასებს ურთიერთობებს, პრობლემას და თვითონ ცდილობს „გამოსწორებას“; ამას კი მოსდევს სტრესული რეაქციები — ძილის დარღვევა, დეპრესია, თავის ტკივილი, შიში, შფოთვა, უიმედობა, ჩაკეტილობა, რაც აფერხებს ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებას და ხელს უშლის მას სოციალურ ცხოვრებაში. ძალადობის შედეგად, გარდა ფიზიკური და ფსიქიკური შედეგებისა, ბავშვს უქვეითდება ათვისების უნარი, რაც აფერხებს ბავშვს სწავლის პროცესში. ყველაფერი ერთად საბოლოო ჯამში ხელს უშლის მის წარმატებას სოციალურ ცხოვრებაში.

ბავშვები უმეტესად მალავენ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებს, რადგან ფიქრობენ, რომ მათ არავინ დაეხმარება, არ სურთ, რომ სხვებმა გაიგონ მომხდარის შესახებ. მათ ეშინიათ, რომ კიდევ უფრო მეტი ძალადობის მსხვერპლი გახდებიან. მათ მიმართ განხორციელებული ძალადობა ძალიან პირადულია და ერიდებიან მოსალოდნელ გახმაურებას. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდება მომხდარის გახმაურების შემდეგ; ამასთანავე შესაძლოა ძალადობა ისეთ ადგილას მოხდა, სადაც აკრძალულია მათი ყოფნა და ამიტომაც არ სურთ ამის გახმაურება. მათ აქვთ შიში იმის გამო, თუ როგორ მიიღებენ მომხდარს ახლობელი ადამიანები, არ სურთ პოლიციასთან საქმის დაჭერა, არ სჯერათ პოლიციის ეფექტური მუშაობისა ან ნაკლებად სჯერათ, რომ დამნაშავეები დაისჯებიან. მათ არ იციან ორგანიზაციები, რომლებსაც შეიძლება მიმართონ დახმარებისათვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ბავშვის მოძალადე ოჯახისაგან მოშორების აქტს ბავშვის დაცვის ღონისძიებად მიიჩნევს, ბავშვმა შესაძლოა ახალ საცხოვრებელ გარემოში გადასვლა მისი ცხოვრების კიდევ ერთ ტრავმულ მოვლენად მიიჩნიოს.

ბავშვებმა, რომლებმაც ფიზიკური ძალადობა გადაიტანეს, იციან, რომ მათი გარემომცველი სამყარო არაპროგნოზირებადი და ძალიან სახიფათოა. მოზრდილები, რომლებიც მათზე ზრუნავენ, შეიძლება იყვნენ ავები, მოუთმენლები და გაღიზიანებულები, დეპრესიულები, მიუწვდომლები. ისინი შეიძლება ძალიან ადვილად, მოულოდნელად გადაიქცნენ სასტიკ ადამიანებად. ბავშვი, რომელიც მოძალადე მოზრდილთან ერთად ცხოვრობს, თავს მიიჩნევს უსარგებლოდ, ზედმეტად, ცუდად. სამყაროსა და საკუთარი თავის ამგვარი აღქმა ნათლად აისახება ბავშვის ქცევაზე. ფიზიკური ტრავმებისა და დაზიანებების, მძაფრი ფსიქიკური დარღვევების მიღმა მათ საკუთარი ქცევის მართვა უჭირთ, რის გამოც ხშირად ანტისოციალური ქმედებებით გამოირჩევიან. მათ ასევე ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ ლტოლვა ახასიათებთ. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კრიმინალთა 70% ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო.

## 11.3 როგორ ამოვიცნოთ ძალადობა გავშვის ქცევითა და მისი ფიზიკური ნიშნებით

იმისათვის რომ დავიცვათ ბავშვი ძალადობისაგან, აუცილებელია, ვიცოდეთ, როგორ ამოვიცნოთ ძალადობის კვალი. განვიხილოთ ასეთი ბავშვის ფიზიკური ნიშნები და ქცევის თავისებურებანი.

### ფიზიკური ძალადობის ფიზიკური ნიშნებია:

- სისხლჩაქცევები;
- მოტეხილობები;
- ნაკბენის კვალი;
- დამენრობა და ნაკანრი;

### ბავშვის ქცევის თავისებურებანი ფიზიკური ძალადობის შემდეგ:

#### 1,5 წლამდე

- შიში მშობლების მიმართ;
- უფროსებთან ფიზიკური კონტაქტის შიში;
- უნდობლობა გარშემომყოფების მიმართ;
- უხასიათობა, ხშირი ტირილი.

#### 1,5-დან 3 წლამდე

- უფროსებისადმი შიში;
- სიხარულის იშვიათი გამოხატვა, ხშირი ტირილი;
- სხვა ბავშვების ტირილზე შიშის რეაქცია;
- აგრესიულობა ან პასიურობა.

#### 3-დან 6 წლამდე

- ძალადობისადმი შეგუება, წინააღმდეგობის განევის სურვილის არარსებობა;
- ტკივილზე პასიური რეაქცია;
- მტკივნეული დამოკიდებულება შენიშვნების და კრიტიკის მიმართ;
- პირფერობა, ზედმეტად მორჩილება;
- უფროსთათვის დამახასიათებელი ქცევების გადმოღება;
- აგრესიულობა, უარყოფითი ქცევა (ნეგატივიზმი);
- ვერბალური აგრესია;
- მატყუარობა, ქურდობა;
- ცხოველების მიმართ სისასტიკის გამოჩენა;
- აგრესიული თამაშები — მაგ., ცეცხლის გაჩაღებისადმი მიდრეკილება.

#### უმცროსი სკოლის ასაკი — 6-დან 10 წლამდე

- უფროსების ძალადობრივი ქცევების გამეორება;



- დასჯისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, დასჯის პროვოცირება;
- ძლიერი ადამიანებისადმი დაქვემდებარება, პირფერობა, შიშიანობა;

### **მოზარდობა – 10-დან 18 წლამდე**

- გაქცევები სახლიდან;
- თვითმკვლელობის მცდელობები;
- მოუსვენარი ძილი;
- ასოციალურობა, კრიმინალური ქცევა;
- ალკოჰოლის და ნარკოტიკების გამოყენება;
- აგრესიულობა სხვებთან მიმართებაში;
- ძლიერი შიში უფროსების ან გარკვეულ პიროვნებების მიმართ;
- პირადი ჰიგიენის დაბალი დონე;
- დაღლილობის მუდმივი შეგრძნება;
- თვითშეფასების დაბალი დონე.

### **სექსუალური ძალადობის ფიზიკური ნიშნები**

- საშოს და ანალური ხვრელის ტრავმები;
- პერიოდული ტკივილები მუცლის არეში;
- სისხლჩაქცევები, ნაკანრები, კბენის ნაკვალები დუნდულებზე და გენიტალიის მიდამოებში;
- ქავილი, ტკივილი, გამონადენი ან სისხლდენა სწორი ნაწლავიდან, საშოდან ან ასოდან;
- შარდ-სასქესო სისტემის პერიოდული ინფექციები;
- მოუხერხებელი, გაძნელებული სიარული და ჯდომის გაძნელება;
- ორსულობა;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები;

### **ბავშვის ქცევის თავისებურებანი სექსუალური ძალადობის შემდეგ 10 წლამდე**

- ასაკისათვის შეუფერებელი სექსუალური ქცევა;
- სექსუალური საკითხებისადმი არაჯანსაღი ინტერესი;
- სექსთან დაკავშირებული დეტალური ნახატები;
- სექსუალური ქმედებები თამაშის დროს;
- ინტენსიური მასტურბაცია სხვების თანდასწრებით;
- საკუთარი სხეულის დემონსტრირება სხვებისათვის;
- უფროსებთან ფიზიკური კონტაქტისკენ სწრაფვა.

### **10 წელს ზემოთ**

- პროსტიტუცია;
- ინტიმური ურთიერთობის შიში;

- სექსუალური პარტნიორების ხშირი ცვლა;
- შიში გარკვეული პიროვნების მიმართ;
- ძილის დარღვევა;
- ასაკისადმი შეუფერებელი სექსუალური ცოდნის გამოვლინება;
- განსაკუთრებული ინტერესი უფროსების, ბავშვების ან ცხოველების სასქესო ორგანოებისადმი;
- სააბაზანოს, შხაპის, დაკეტილი კარის შიში;
- სამედიცინო შემონმების შიში;
- თვითშეფასების დაბალი დონე;
- სექსისადმი გაძლიერებული ლტოლვა.

**უგულებელყოფის ფიზიკური ნიშნებია:**

- სიგამხდრე;
- გატანჯული გამომეტყველება;
- ქრონიკული დაავადებები;
- ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა.

**ბავშვის ქცევის თავისებურებანი უგულებელყოფის შემდეგ:**

- მიმართვის (სიტყვების) მუდმივი იგნორირება;
- საკვების ქურდობა, სხვებისათვის საკვების თხოვნა;
- გონებაგაფანტულობა;
- გაკვეთილებზე სისტემატური დაგვიანება, ხშირი გაცდენა, გაკვეთილებზე ძილი;
- თვითდაზიანება;
- კრიმინალური ქცევისადმი მიდრეკილება;
- თამაშების არცოდნა;
- უკიდურესი პასიურობა ან აგრესია;
- თვითშეფასების დაბალი დონე.

**როგორ ამოვიცნოთ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი?** ფიზიკური ტრავმის შემჩნევისას არსებითი კითხვაა, რომელიც სოციალურმა მუშაკმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას, არის შემდეგი: შეიძლება თუ არა, რომ ეს ტრავმა ბავშვს შემთხვევით გასჩენოდა, უნებლიეთ მოსვლოდა? ისეთმა აშკარა ფიზიკურმა ნიშნებმა, როგორცაა სისხლჩაქცევები, დამწვრობის კვალი, შეშუპებები, კოპები, ნაკანრები, ჭრილობები, ჩალურჯებები და კანის სხვა დაზიანებები, მოტეხილობები, ნაჭრილობევი სხვადასხვა ხარისხის შეხორცებები — ჩვენი შეშფოთება და იმის გარკვევის მოთხოვნილება უნდა გამოიწვიოს, თუ რა მოხდა. მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, შეესაბამება თუ არა ბავშვის განმარტებები დაზიანებების შინაარსს, არის თუ არა მონათხრობი სანდო და ასახავს თუ არა რეალურ მოვლენებს. საფრთხის სიგნალებად შეიძლება მივიჩნიოთ მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ფერის ჩალურჯებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მიღებულია რამდენიმე სხვადასხვა დღის განმავლობაში; ჩალურჯებების ფორმა ან ადგილი შეიძლება მიუთითებდეს, თუ როგორ იქნა მიღებული ტრავმა, რა საგანი იყო

გამოყენებული (მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვები ვერ მოახერხებენ, თავისით მიიღონ ტრავმა საჯდომზე). საექვო ასევე თუ ბავშვი არ იძლევა არანაირ განმარტებას, თუ როგორ წარმოიქმნა ტრავმა; „არ ვიცი, როგორ მოხდა ეს,“ — ამბობს ბავშვი; ან განმარტებები ნაკლებად სარწმუნოა, არ შეესაბამება ტრავმის ბუნებას;

**როგორ ამოვიცნოთ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი?** სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, სინამდვილეში ვერ ხვდებიან, რა ხდება რეალურად, რცხვენიათ ამის მოყოლა. ისინი განიცდიან შიშს, მოუსვენრობას, აქვთ იზოლაციის სურვილი, თავს სხვებისაგან განსხვავებულად გრძნობენ, ზედმეტად მგრძობიარენი არიან. რადგან სექსუალური ძალადობა უშუალოდ არღვევს „სხეულის საზღვრებს“, მისი შედეგებიც შეიძლება გამოჩნდეს „სხეულის ქცევაში“. ზოგიერთი ბავშვი იწყებს საკუთარი სხეულის განსაკუთრებულად დამალვას და გაურბის ნებისმიერ კონტაქტს, ზოგი — პირიქით, ღიად ახდენს საკუთარი სხეულის დემონსტრირებას და „სთავაზობს“ საკუთარ სხეულს ყველას, კარგავს სხეულის ნორმალურ საზღვრებს, არ შეუძლია ფიზიკური სიახლოვისა და დისტანციის სოციალურად მიღებული ნორმების ათვისება. ეს არის „შეტყობინება“ საშინელი ტრავმის შესახებ. მოზრდილთან სექსუალური კონტაქტისას ბავშვს შეიძლება სასიამოვნო შეგრძნებები ჰქონდეს. ეს ორგანიზმის ნორმალური ფიზიოლოგიური რეაქციაა ეროგენული ზონების სტიმულირებაზე და არა ბავშვის „გარყენილები“ მაჩვენებელი. **უნდა გვახსოვდეს**, რომ ყველაფერი, რასაც ბავშვი მომხდართან დაკავშირებით განიცდის მისი სულისა და სხეულის ნორმალური რეაქციაა განსაკუთრებულად მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის პასუხად. უსაფრთხო, სტაბილური ოჯახი, სადაც სექსუალური საზღვრები დაცულია არის ყველაზე კარგი გარემო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაციისათვის. მნიშვნელოვანია, რომ მშობელი/ალმზრდელი მომზადებული იყოს ასეთ ბავშვთან ურთიერთობისათვის. მან ბავშვს სიტყვიერად და საქციელით უნდა აგრძნობინოს, რომ იგი დაფასებულია ახალ ოჯახში, შეუძლია ენდოს ოჯახის წევრებს და თავი უსაფრთხოდ იგრძნოს.

**როგორ ამოვიცნოთ ემოციური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, თუკი მას სხეულზე არ აქვს ჩალურჯებები და ჭრილობები?** ემოციური ძალადობა ძალადობის ყველაზე ძნელად ამოსაცნობი ფორმაა. მისი სახეებია: იგნორირება, იზოლაცია, დაშინება, გულგრილობა, ექსპლუატაცია, არაშესაბამისი კონტროლი, დამცირება. ფსიქოლოგიურად დათრგუნული ბავშვების ამოცნობა ძნელია, რადგან ემოციური ძალადობა არ ტოვებს სხეულზე ფიზიკურ კვალს. მისი უარყოფითი ეფექტი გამოვლინდება ბავშვის განვითარების შემდგომ პერიოდში. ემოციური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ახასიათებთ მეტყველების დარღვევა, ფსიქოსომატური ჩივილები, შარდის და დეფეკაციის შეუკავებლობა, დეპრესია, დესტრუქციული და ავტოდესტრუქციული ქცევა, თავდაჯერებულობის ნაკლებობა, ძალზე დაბალი თვითშეფასება, თვითიზოლაციისაკენ მიდრეკილება, მოზრდილ ადამიანზე ზედმეტად დამოკიდებულება, პასიურობა, ინიციატივის არქონა. ბავშვი ხშირად იტყუება. იგი ასაკისათვის შეუფერებლად „დიდია“ ან ინფანტილურია.

**როგორ ამოვიცნოთ უგულბელყოფის მსხვერპლი ბავშვი?** უგულბელყოფილად ჩაითვლება ბავშვი, თუ მას ახასიათებს შემდეგი ქცევითი და ფიზიკური ნიშნები: ფიზიკურად სუსტადაა განვითარებული, მოუწესრიგებელი გარეგნული იერსახე აქვს, დაღლილი

და აპათიურია, უძნელდება ყურადღების კონცენტრირება, ეძინება, მუდმივად მშვიერია, არარეგულარულად დადის ბაღში/სკოლაში, არ მოჰყავთ ან არ მიჰყავთ დროულად, ავინყდებათ მისი ბალიდან/სკოლიდან წამოყვანა. მოზრდილები, რომლებსაც ბავშვი მიჰყავთ, ხშირად იცვლებიან, ბავშვი მოჰყავთ და მიჰყავთ არაფხიზელ, მოუნესრიგებელ, მისთვის უცნობ ან მხოლოდ გარეგნულად ნაცნობ ადამიანებს, ბავშვი შეიმჩნევა წვრილმან ქურდობებში, ბავშვს არა აქვს ჰიგიენის ელემენტარული ჩვევები.

## 11.4 ძალადობის რისკფაქტორები მშობლებსა და ბავშვებში

კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახებში, სადაც ბავშვების მოთხოვნები უგულვებელყოფილია ან მასზე ძალადობენ, შეიმჩნევა მშობლების სპეციფიკური მახასიათებლები. ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები მხოლოდ შესაძლო რისკის ფაქტორებია, რომლებიც სოციალურმა მუშაკმა ყურადღებით უნდა განიხილოს ოჯახის და ბავშვის სრულყოფილი შეფასების დროს.

### რისკის ფაქტორები მშობლებში:

- ახალგაზრდა მშობლები;
- ძალადობაგანცდილი მშობლები;
- მშობელი წარსულში ცუდად ეპყრობოდა ბავშვს ან მიტოვებული ჰყავდა;
- მშობლის ან მზრუნველის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა;
- საკუთარი თავისადმი ნაკლები პატივისცემა, დეპრესია, სოციალური იზოლაცია;
- სირთულეები მშობლებს (ან მშობელსა და პარტნიორს) შორის ურთიერთობაში;
- ძალადობა ოჯახში;
- მატერიალური გაჭირვება – მაგალითად: ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, სიღარიბე, ვალეები;
- ნივთიერებების ბოროტად გამოყენება (მაგალითად: ალკოჰოლის, წამლების, არალეგალური მედიკამენტების);
- საცხოვრებელი ადგილის მრავალჯერ გამოცვლა;
- ემოციურ აფეთქებათა უკიდურესი გამოვლენები;
- ბავშვის ქცევისადმი უკიდურესად მკაცრი და არარეალური მოთხოვნები;
- ბავშვის მკაცრი დასჯა;
- ბავშვის უარყოფა, ბავშვთან არამყარი სიახლოვის გრძნობის ჩამოყალიბება;
- მშობელი ბავშვს მიიჩნევს როგორც ძნელად აღსაზრდელს;
- საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების ან თვითმკვლელობის მცდელობები;
- კრიმინალური ქცევა;
- გონებრივი ჩამორჩენილობა;
- ქრონიკული დაავადება;

- ოჯახში ბავშვი გარდაიცვალა გაურკვეველ გარემოებებში.

#### **რისკის ფაქტორები ბავშვებში:**

- არასასურველი ორსულობა ან მშობლებში ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება ორსულობასთან დაკავშირებით;
- რთული ორსულობა და/ან მშობიარობა;
- დღენაკლული ბავშვი ან ნაკლული წონა დაბადებისას;
- ბავშვი დაბადებიდანვე ჯანმრთელი არ არის;
- დედა და ბავშვი განმორებული არიან ბავშვის დაბადების შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
- ბავშვის პრობლემურობა - ცუდად ჭამს, ცუდად ძინავს, ხშირად ტირის, ძნელად მშვიდდება;
- ბავშვი განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს (ფიზიკური ან გონებრივი შეზღუდულობა, ქრონიკული ავადმყოფობა ან შეფერხებული განვითარება);
- ძნელად ეჩვენება ტულეტში სიარულს.

### **11.5 მოძალადის ქცევის თავისებურებები**

არის თუ არა ბავშვი ძალადობის მსხვერპლი, შესაძლებელია, განვსაზღვროთ მოზრდილებზე დაკვირვებით. მოზრდილები, რომლებიც ძალადობენ ბავშვებზე უარყოფენ პრობლემას, ადანაშაულებენ ბავშვს, უარს ამბობენ შეთავაზებულ დახმარებაზე, არ ანუხებთ ბავშვის კეთილდღეობა, არ ინტერესდებიან ბავშვის მიღწევებით.

მშობლის ქცევა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ იგი ბავშვზე ძალადობს:

- არ თანამშობლობს სპეციალისტებთან;
- ბავშვის ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მონათხრობს, მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება;
- არაადეკვატური რეაქცია ბავშვის ტრავმაზე – ტრავმა ფასდება უფრო მსუბუქად ვიდრე არის;
- ტრავმის მიზეზს ვერ ხსნის – „ჯადოსნური ტრამეები“;
- მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვმა თვითონ დაიზიანა თავი ან დაზიანება მიაყენა დამ ან ძმამ, მაგრამ მიღებული ტრავმა არ შეესაბამება ბავშვის ასაკობრივ შესაძლებლობებს, მაგ., ბავშვმა ჯერ არ იცის სიარული;
- მკურნალი ექიმის ან საავადმყოფოს ხშირი გამოცვლა;
- მშობლის მონაყოლი ტრავმის მიღების შესახებ ძალიან მოკლეა, , არ აკონკრეტებს დეტალებს, ტრავმის მიღების ადგილს და დროს.

პიროვნება პოტენციური მოძალადეა, თუკი მას ჩამოთვლილთაგან სამი ან მეტი ნიშანი ახასიათებს:

- ეჭვიანობა – მიუთითებს უნდობლობაზე, ეგოიზმზე, მესაკუთრეობის განცდაზე და არა სიყვარულზე;

- არარეალური მოლოდინი – ოჯახის წევრისაგან მოითხოვს მისი ნებისმიერი სურვილის შესრულებას;
- მაკონტროლებელი ქცევა – აკონტროლებს ოჯახის წევრის ყოველ ნაბიჯს, ყველაფერზე განმარტებებს ითხოვს: „სად იყავი?“, „ვინ გახლდა?“, „რას აკეთებდი?“ და ა.შ.;
- იზოლაცია – ცდილობს ჩამოაცილოს ოჯახის წევრი ნათესავებს, მეგობრებს;
- სხვისი დადანაშაულება შექმნილ პრობლემებში – ყოველთვის სხვას ადანაშაულებს, როცა რაიმე ცუდი შეემთხვევა;
- სხვისი დადანაშაულება საკუთარ გრძნობებსა და საქციელში – „შენ მაიძულე, ასე მოვექცეულიყავი“, „შენ გამომიყვანე წონასწორობიდან“ და ა.შ.

### მოძალადის მოტივები

საზოგადოებაში არსებობს მითები, რომლებიც „ხსნიან“ ბავშვთა მიმართ ძალადობის (განსაკუთრებით სექსუალურის) მიზეზებს. ერთ-ერთი მითია ის, რომ მოძალადეები ფსიქიურად დაავადებული ადამიანები არიან. სინამდვილეში, მოძალადეები, უმრავლეს შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ჯანმრთელი ადამიანები არიან, რომლებიც გარკვეული ფსიქოლოგიური თავისებურებებით ხასიათდებიან. ეს თავისებურებები შეიძლება, გამოწვეული იყოს იმით, რომ ბავშვობაში ისინი თავად იყვნენ ძალადობის ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი.

ძირითადი მოტივი, რაც ყველა მოძალადეს ამოძრავებს, არის ის, რომ ძალადობა მისთვის ხელსაყრელია. სწორედ ამ „ხელსაყრელობის“ გამო ადამიანები სხვადასხვა გარემოებაში იყენებენ ძალადობის გარკვეულ ფორმებს. ადამიანთა ერთი ნაწილი ომს „აუცილებელ ბოროტებად“ მიიჩნევს, ბოროტმოქმედნი ძალადობას იყენებენ სხვისი საკუთრების მისათვისებლად ან კრიმინალურ სამყაროში ძალაუფლების მოსაპოვებლად; ოჯახებსა და სკოლებში მიუღებლად არ ითვლება ძალისმიერი მეთოდებით ბავშვების დამორჩილება; ბავშვები ძალას იყენებენ, რათა წაართვან ერთმანეთს სათამაშოები, უპასუხონ გამანწყენებელს და ა.შ. ბავშვის მიმართ ძალის გამოყენებით მოძალადე სასურველ მიზანს იოლად და სწრაფად აღწევს:

- კონკრეტულ სიტუაციაში იმორჩილებს ბავშვს;
- აჩვენებს ბავშვს, „ვინ არის უფროსი“;
- განიტვირთება, ემოციურ დაძაბულობას იხსნის და ა.შ.

არცთუ იშვიათად მოზრდილ მოძალადეს ბავშვისათვის ჭკუის სწავლებისა და კარგად აღზრდის „კეთილშობილური“ მოტივები ამოძრავებს. რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, მისი მოტივები შეიძლება იყოს:

- სქესობრივი აღგზნება, რომელსაც მოძალადე განიცდის ბავშვის თანდასწრებით;
- ემოციური კომფორტის განცდა, რომელსაც მოძალადე განიცდის მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას;
- მოძალადეს სხვადასხვა მიზეზის გამო, არ შესწევს საკუთარი სექსუალური მოთხოვნილების ნორმალური გზით დაკმაყოფილების უნარი.

აღსანიშნავია, რომ ამ მოტივების არსებობის შემთხვევაშიც კი, ძალადობისაგან ბავშვი შეიძლება დაცული იყოს, თუკი პოტენციურ მოძალადეს ბავშვთან სექსუალური კონტაქტის დამყარებაში ზღუდავს მორალური და ზნეობრივი ბარიერები. ეს ბარიერები ანუ აკრძალვები აღარ მოქმედებს ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორცაა ალკოჰოლის, ნარკოტიკების მიღება, იმპულსების არასაკმარისი კონტროლი, მოძალადის ფსიქიკური დაავადება. ბარიერების მოხსნაში, ასევე, დიდ როლს ასრულებს ბავშვის უმეტესად ურეოდ დატოვება.

## 11.6 ინტერვიუს თავისებურებაში ძალადობაგანცდილ ბავშვსა და მის ოჯახთან

### ინტერვიუ ბავშვთან

ძალადობისა და ბავშვზე ძალადობით გამოწვეული ტრავმის შეფასებისთვის სოციალურ მუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ ძირითადი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს თვითონ ბავშვი. ინფორმაციის მიღება შესაძლოა ბავშვთან ვერბალური ან არავერბალური კომუნიკაციის მეშვეობით, ბავშვის მოქმედებასა და მის ფიზიკურ მონაცემებზე დაკვირვებით. ძალადობის შეფასებისას უნდა გამოირიცხოს ბავშვის იძულების მომენტი, მისი დაკითხვა და მართვა. შესაძლოა კითხვის დასმა, რომელიც ბავშვის ყურადღებას მიმართავს კონკრეტული საკითხისაკენ. სოციალურმა მუშაკმა ბავშვს არ უნდა შესთავაზოს მზა პასუხი.

ინტერვიუ ბავშვთან, რომელსაც შეიძლება განცდილი აქვს ძალადობა, ძალიან სათუთი საკითხია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შემფასებლის უნარზე – გამოავლინოს ეს შემთხვევა და განსაზღვროს რეალურად მოხდა თუ არა ეს შემთხვევა, ან რეალურად არსებობს თუ არა ამის საშიშროება.

ძალადობაგანცდილ ბავშვთან ინტერვიუს დროს სოციალურ მუშაკს უნდა ახსოვდეს და გაითვალისწინოს შემდეგი:

- შეკითხვებით არ გამოიწვიოს ბავშვის ხელახალი ტრავმირება;
- ინტერვიუს დაწყებამდე უთხრას ბავშვს, რომ მას დაუსვამს ბევრ შეკითხვას, ზოგი მათგანი იქნება ცოტათი რთული, ხოლო ზოგი კი მარტივი. ასევე, ბავშვს უნდა უთხრას, რომ მას შეუძლია არ უპასუხოს იმ კითხვას, რომელსაც რთულად მიიჩნევს. აგრეთვე, თხოვოს ბავშვს, უთხრას მას, თუ არ იცის ან არ ახსოვს პასუხი. თუ ბავშვი ვერ გაიგებს კითხვას, მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნას შეკითხვა. მცირე ასაკის და შეფერხებული გონებრივი განვითარების მქონე ბავშვებთან ინტერვიუს შესავალი ნაწილი ბევრად რთული იქნება, ამიტომ სოციალური მუშაკი უნდა შეეცადოს, რომ ინტერვიუ შეესაბამებოდეს ბავშვის შესაძლებლობებს;
- ინტერვიუმდე კარგი იქნება, თუ სოციალური მუშაკი შეაფასებს ბავშვის განვითარებას ან მოიძიებს შესაბამისი სპეციალისტებისგან ამ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მას ძალიან დაეხმარება ინტერვიუს მომზადებასა და სწორად წარმართვაში;
- სოციალურმა მუშაკმა ინტერვიუ უნდა დაიწყოს პოზიტიური ან ნეიტრალური საკითხ-



ებით, რაც ხელს შეუწოებს ურთიერთობის ჩამოყალიბებას;

- ინტერვიუს დროს შედარებით მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებული კითხვები უნდა მონაცვლეობდეს უფრო მარტივ საკითხებთან ან ისეთ აქტივობებთან, როგორცაა თამაში და ხატვა.
- თუ ბავშვს ძალიან უჭირს საუბარი, მაშინ მას უნდა შევთავაზოთ კომუნიკაციის ისეთი ხერხები, როგორცაა ხატვა, თამაში, ან გამოვიყენოთ წერიტი კომუნიკაცია. უფროს ბავშვებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ თვითონ შეარჩიონ კომუნიკაციის მეთოდი.
- თუ სოციალური მუშაკი გრძნობს, რომ ბავშვის პასუხი გულწრფელი არ არის, მაშინ მეორეჯერ არ უნდა დასვას იგივე შეკითხვა, თუმცა შესაძლოა შეცვალოს ის მანერა, რომლითაც განიხილავდა ამ საკითხს. კითხვის მრავალჯერადი დასმა შეიძლება ბავშვმა აღიქვას, როგორც მასზე ზენოლა სასურველი პასუხის მისაღებად.
- სოციალურმა მუშაკმა ინტერვიუს დროს უნდა გამოიყენოს ღია ტიპის კითხვები, რომელიც ვრცელ და საფუძვლიან პასუხს მოითხოვს. ბავშვები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, ხშირად ადვილად ემორჩილებიან კონტროლს. წარმმართველმა კითხვებმა, ანუ კითხვებმა, რომელიც ერთი კონკრეტული პასუხისაკენ წარმართავს მოსაუბრეს, შესაძლოა ხელი შეუშალოს კომუნიკაციას იმ მხრივ, რომ ბავშვში აღძრას “სოციალური მონონების” ტენდენცია ან ბავშვმა გამოიჩინოს სიფრთხილე და თავი აარიდოს საჭირო ფაქტების თხრობას.
- ზოგიერთ შემთხვევაში სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა მიმართოს პირდაპირ კითხვებს, იმ შემთხვევაში, თუ ღია ტიპის კითხვები არაპროდუქტიულია, მაგ.:
  - შენი ბიძა ნასვამია თუ არა მაშინ, როდესაც გცემს?
  - მამა ქამრით გცემს თუ არა?
- შესაძლოა ბავშვმა თავი შეიკავოს სწორი პასუხების გაცემისაგან, იმის გამო, რომ აქვს სიახლოვე იმ პიროვნებასთან, რომელმაც ტკივილი მიაყენა ან აღარ ენდობა მოზრდილებს.
- კითხვა შეიძლება იყოს პიროვნებაზე ორიენტირებული ან გარემოზე ორიენტირებული. თითოეულ კითხვას უნდა მოსდევდეს შესაბამისი კითხვა. მაგალითად ქცევაზე ორიენტირებული კითხვების თანამიმდევრობა (ბავშვის დადებითი პასუხის შემთხვევაში):
  - ვინმეს სცემენ შენს ოჯახში?
  - როგორ ფიქრობ, რატომ?
  - რამდენად ხშირად გცემენ/სცემენ ხოლმე?
  - რა მოჰყვება ამას, რჩება თუ არა კვალი?
  - რამდენი ხანი გტკივა?
  - იყენებენ თუ არა დასჯის სხვა ფორმასაც?
 ან
  - შეგიძლია მიამბო მამაშენის/დედაშენის შესახებ?
  - რა მოგწონს ყველაზე მეტად მასში?
  - არის რაიმე ისეთი რაც არ მოგწონს მასში?
  - რას აკეთებთ ხოლმე ერთად?



- მამას და შენ ხომ არ გაქვთ საიდუმლო?
- გარემოზე ორიენტირებული კითხვები:
  - გახსოვს, სად მოხდა ეს და როდის?
  - დილა იყო თუ საღამო?
  - ტანსაცმელი გეცვა თუ არა?
  - ვინ გაგხადა ტანსაცმელი?
  - სად იყვნენ ოჯახის დანარჩენი წევრები?
  - ვინმეს თუ უთხარი ეს ამბავი?

- ზოგ შემთხვევაში, სოციალურმა მუშაკმა იცის შემთხვევის შესახებ, ამიტომ თუ ბავშვთან მუშაობის სხვა მეთოდები წარუმატებელი იქნება, მაშინ სოციალური მუშაკი იძულებული ხდება, რომ ბავშვის ყურადღება პირდაპირ, მაგრამ ძალიან სათუთად, წარმართოს ამ ინფორმაციისკენ, მაგ.: გავიგე, რომ გეშინოდა სკოლიდან სახლში დაბრუნება, შეგიძლია მითხრა რატომ?
- ინტერვიუს დასრულებისას სოციალურმა მუშაკმა ბავშვს უნდა მიწოდოს ინფორმაცია, თუ რა იქნება შემდგომი ეტაპი.  
სოციალურმა მუშაკმა ბავშვთან ინტერვიუს დროს უნდა ეცადოს ინფორმაციის შეგროვებას შემდეგ კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით:

### 1. კითხვები, რომლებიც შეეხება საფრთხეს

#### ძირითადი საკითხები:

- ოჯახური ძალადობა
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება
- ფსიქიკური აშლილობა
- პროსტიტუცია
- კრიმინალური საქმიანობა

#### ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული კითხვები:

- თქვენს ოჯახში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დედა და მამა ვერ შეთანხმებულან?
- შენი მშობლები ხომ არ ჩხუბობენ ხოლმე? ხშირად ხდება ეს?
- მხოლოდ ყვირიან თუ ხელითაც ეხებიან ერთმანეთს?
- ვინმე ხომ არ დაშავებულა ასეთ დროს?
- თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ გადაუყვანიათ საავადმყოფოში?
- შენს ოჯახში ვინმეს აქვს იარაღი ან დანა? ვის აქვს? შენ რას ფიქრობ რატომ სჭირდება მას ეს იარაღი? შეგიძლია მიაშობო ამის შესახებ?

#### ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებული კითხვები:

- ვინმე თუ სვამს თქვენს ოჯახში ალკოჰოლს? რამდენად ხშირად სვამს?
- როგორ იქცევა მამა/დედა, როდესაც სვამს ალკოჰოლს? როდესაც მთვრალია, ძირს

ხომ არ ვარდება ხოლმე?

- როდესაც მამა/დედა მთვრალია, გაქცევთ ყურადღებას?
- საიდან აქვს მას ფული სასმელისთვის ან ნარკოტიკისთვის?

**ფსიქიკურ აშლილობასთან დაკავშირებული კითხვები:**

- ხომ არ იქცევა დედა უცნაურად? რას აკეთებს ამ დროს?
- ასეთ დროს გაქცევს ხოლმე ყურადღებას? გეხმარება, როდესაც გჭირდება მისი დახმარება?
- რას აკეთებ შენ იმ დროს, როდესაც დედა უცნაურად იქცევა?
- ყოფილა შემთხვევა, როცა დედა საავადმყოფოში წაუყვანიათ? ხომ არ გახსოვს, რატომ?
- როდესაც უცნაურად იქცევა, იღებს წამლებს? რა ხდება წამლის მიღების შემდეგ?

**პროსტიტუციასთან დაკავშირებული კითხვები:**

- ჰყავს დედას მეგობარი მამაკაცები?
- რა შეგიძლია მითხრა მათ შესახებ?
- იცნობ იმ მამაკაცებს, რომლებიც მოდიან თქვენს სახლში?
- როდესმე ხომ არ მიუციათ მათ დედასთვის ფული? დედამ გითხრა, რატომ?
- იცი თუ არა რას აკეთებს დედა, როდესაც გარეთ გადის?
- ამ დროს ვინ რჩება ხოლმე შენთან?

**კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებული კითხვები:**

- თქვენი ოჯახის წევრს როდისმე ხომ არ მოუპარავს რაიმე? რა მოხდა შემდეგ?
- მამაშენს ხომ არ ჰქონია პოლიციასთან პრობლემები? რა პრობლემა იყო ხომ არ გახსოვს?
- პოლიცია ხომ არ მოსულა ოდესმე თქვენთან?
- ვინმე ხომ არ დაუპატიმრებიათ?
- მამა/დედა ოდესმე ხომ არ ყოფილა ციხეში, ან სასამართლოში ხომ არ გამოუძახებიათ?
- შენი ოჯახის წევრს ხომ არ უჩხუბია ვინმესთან? როდის მოხდა ეს? სად? ვისთან ერთად?

**2. კითხვები, რომლებიც შეეხება ცუდად მოპყრობას:**

**ძირითადი საკითხები:**

- მზრუნველობა
- საცხოვრებელი გარემო
- დისციპლინა
- სხეულის ნაწილები
- ემოციური მდგომარეობა

### **მზრუნველობასთან დაკავშირებული კითხვები:**

- ვინ გივლის ოჯახში?
- როდესაც იგი არ არის სახლში, მაშინ ვინ რჩება ხოლმე შენთან?
- არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც სახლში მარტო რჩები?
- რამდენი ხნით გინევს მარტო დარჩენა?
- ბოლოს როდის იყავი მარტო?
- შენ როგორ მიიჩნევ, როგორ გივლიან?
- ვინ განვენს საწოლში? რა დროს? ვინ გიკითხავს ზღაპრებს ძილის წინ?
- ვინ ამზადებს სადილს სახლში?
- რა საქმელს ამზადებენ თქვენთან სახლში?
- შენ რას ჭამ?
- არის ხოლმე პერიოდი, როდესაც საქმელი საერთოდ არ გაქვთ? რას აკეთებ ხოლმე მაშინ?
- ვინმე გეხმარება ჩაცმაში?
- სკოლაში ვის მიყავხარ?
- ვინ გეხმარება გაკვეთილების მომზადებაში?
- როდესაც ავად ხარ, ვინ გივლის?

### **საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებული კითხვები:**

- შეგიძლია აღმიწერო შენი სახლი/ბინა?
- ვინ ცხოვრობთ ამ სახლში/ბინაში?
- მოგწონს შენი სახლი/ბინა?
- ვინ ალაგებს სახლს/ბინას?
- სად გძინავს?
- სად არის შენი კუთხე?

### **დასჯასთან დაკავშირებული კითხვები (ფიზიკური ძალადობა):**

- რა ხდება ხოლმე, როდესაც შენ ცუდად იქცევი?
- რა ხდება, როდესაც შენი ძმა ცუდად იქცევა?
- სხვა მეთოდებითაც გსჯიან?
- რისთვის გსჯიან, შენ როგორ ფიქრობ?
- რამდენად ხშირად გცემენ ხოლმე?
- რითი გცემენ?
- სად გირტყამენ, სხეულის რომელ ნაწილში?
- ნიშნები თუ გრჩება, როცა გცემენ?
- როგორი ნიშნები გრჩება?
- დიდხანს გტკივა?
- ცემის კვალი რამდენი ხანი გრჩება?
- ტირი ხოლმე?
- რისთვის ტირი?

- როდისმე თუ მოსვლიათ უთანხმოება შენს მშობლებს იმის გამო, რომ ერთ-ერთმა დაგსაჯა?
- როდისმე თუ ყოფილხარ ექიმთან იმის გამო, რომ გცემეს?

**სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული კითხვები:**

(სასურველია ანატომიური თოჯინების ან ანატომიური სახის ნახატების გამოყენება)

- შეგიძლია თუ არა დამისახელო სხეულის ნაწილები?
- გინახავს თუ არა სასქესო ორგანოები?
- ვისი სასქესო ორგანო გინახავს?
- რაიმე ხომ არ შემთხვევია შენს სასქესო ორგანოებს?
- ხომ არ გტკენია ოდესმე?
- როგორ მოხდა ეს?

**ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებული კითხვები:**

- თუ გაქებენ ოჯახში? ვინ გაქებს ხოლმე? რისთვის გაქებენ? რამდენად ხშირად?
- რას აკეთებს დედა, როდესაც შენ გაბრაზებული ან მოწყენილი ხარ?
- როდესაც პრობლემები გაქვს ვის მიმართავ?
- ვინმე ხომ არ გლანძღავს ან გეჩხუბება? შეგიძლია მიაშობო ვინ გეჩხუბება და რატომ?
- როგორ მიგაჩნია, შენ ისევე გივლიან როგორც სხვა ბავშვებს?
- სხვა ბავშვებს როგორ უვლიან მშობლები?
- როდესაც დედა ან მამა კმაყოფილია შენი საქციელით, როგორ გამოხატავს ამას?

**ინტერვიუ მშობელთან**

ბავშვის ძალადობის ან რისკის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ოჯახთან მუშაობა. თუმცა სოციალურ მუშაკთა თანამშრომლობის დროს ოჯახი და მშობლები შესაძლოა, ყოველთვის არ იყვნენ გულწრფელნი სხვადასხვა მიზეზის გამო:

- შესაძლოა, ჰქონდეს სირცხვილის გრძნობა, რადგან ბავშვს ვერ უვლის სათანადოდ;
- შესაძლოა, ეშინოდეს, რომ სოციალური მუშაკი მას დაადანაშაულებს;
- შესაძლოა, ეშინოდეს საზოგადოებრივი აზრის;
- ეშინოდეს, რომ ბავშვს წაართმევენ;
- ეშინოდეს, რომ სამართლებრივად დაადანაშაულებენ;
- შესაძლოა, არ ენდობოდეს სოციალურ მუშაკებს;
- შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა.

სოციალურმა მუშაკმა უნდა გამოიყენოს შემდეგი არაპირდაპირი სტრატეგიები, კერძოდ, შეაგროვოს ინფორმაცია მშობლისგან შემდეგ კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით:

**მშობლის მიერ საკუთარი შვილი დახასიათება:**

- შეგიძლიათ მიაშობოთ რამე თქვენს შვილზე?
- როგორია თქვენი შვილი ფიზიკურად?

- შეგიძლიათ დაახასიათოთ თქვენი შვილის ქცევა?
- რა მოგნონთ თქვენს შვილში?
- ახასიათებს თუ არა ისეთი რაღაც თქვენს შვილს, რაც არ მოგნონთ?
- რომ შეგეძლოთ თქვენი შვილის შეცვლა, რას შეცვლიდით მასში?

#### **სასჯელი:**

- რას აკეთებთ, როდესაც ბავშვი ცუდად იქცევა? როგორ მუშაობს, ეს ხერხი?
- როდესაც თქვენ იყენებთ სასჯელს შვილის მიმართ, რატომ თვლით, რომ ეს საჭიროა – როგორ იქცევა იგი ამის შემდეგ?
- რამდენად ხშირად მიმართავთ დასჯას?
- დასჯის რა მეთოდებს იყენებთ?
- შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ როდის მოიქცა თქვენი შვილი ყველაზე ცუდად და რა საქციელი იყო ეს? თქვენი საპასუხო რეაქცია როგორი იყო ამ დროს?
- გიცემიათ თუ არა თქვენი შვილი? რატომ? რა მოხდა შემდეგ?

#### **ოჯახის წესები:**

- არსებობს თუ არა გარკვეული წესები თქვენს ოჯახში?
- შეგიძლიათ გვითხრათ, თუ რა წესებია ეს?
- ვინ აყალიბებს ამ წესებს ოჯახში?
- რა ხდება, როდესაც თქვენი ბავშვი არღვევს ამ წესებს?
- გაქვთ წესები, რომლებიც უკავშირდება ძილის დროს, სკოლას, საკვებს, სიგარეტის მოწვევას, სასმელის მიღებას, შეხვედრებს?

#### **ყოველდღიური საქმიანობა:**

- რა სახის სამუშაოს აკეთებს ბავშვი ოჯახში?
- თუ წაახალისებთ ხოლმე ბავშვს, როდესაც იგი კარგად ასრულებს თავის საქმეს?
- რა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი არ ასრულებს თავის ყოველდღიურ მოვალეობას?
- ვინ ალაგებს ბავშვის ოთახს, მის საწოლს?
- ვინ რეცხავს ჭურჭელს?
- ვინ ყრის ნაგავს?

#### **ბავშვზე მზრუნველობა:**

- ვინ ატარებს დროის უმეტეს ნაწილს ბავშვთან, ვინ არის ძირითადი პასუხისმგებელი?
- ვინ ადევნებს თვალყურს ბავშვის ძილის რეჟიმს?
- ვინ აჭმევს ბავშვს?
- ვის მოჰყავს ბავშვი სკოლიდან?
- ვინ ზრუნავს ბავშვის ჰიგიენაზე?
- მშობლის მოვალეობანი ხომ არ გიშლით ხელს პირად ცხოვრებაში?

- მშობლის მოვალეობანი ხომ არ უშლის ხელს თქვენს სამსახურებრივ საქმიანობას?
- ზრუნავს თუ არა თქვენი ბავშვი საკუთარ თავზე?
- ზრუნავს თუ არა იგი უმცროს და-ძმაზე? რამდენად ხშირად და როგორი ხანგრძლივობით უნევს მათზე ზრუნვა?
- იმყოფება თუ არა ამ დროს უფროსებიდან სახლში რომელიმე, ვისაც ბავშვი მიმართავს საჭიროების შემთხვევაში?
- როდესაც ბავშვი დაგიტოვებიათ მარტო, ხომ არ მომხდარა რაიმე? ხომ არ მიამბობთ რა მოხდა?

### **ბავშვის დაზიანება:**

- თქვენს ბავშვს ლოყაზე ნაკანრი შევნიშნე, ხომ ვერ მეტყვიტ რა მოხდა?
- რატომ აქვს თქვენს შვილს თვალი ჩალურჯებული?
- ბავშვი დღეს ავადმყოფურად გამოიყურება, შენიშნეთ?
- ბავშვმა მითხრა, რომ დღეს ჯერ არაფერი უჭამია, მართალია?
- შევნიშნე, რომ თქვენს ბავშვს პალტო არ აცვია.

### **დამოკიდებულება მშობლების უფლება-მოვალეობასთან :**

- შეგიძლიათ თუ არა გამიზიაროთ თქვენი შეხედულება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით?
- თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოგვარდეს მშობელსა და შვილს შორის უთანხმოება?
- რამდენად უნდა იყვნენ ბავშვები ჩართულნი იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხებათ?
- რომ შეგეძლოთ ყველაფრის თავიდან დანყება, როგორ აღზრდიდით თქვენს შვილებს?
- თქვენი აზრით, როგორია იდეალური ბავშვი, გთხოვთ აღწეროთ.

### **რა უნდა უთხრათ ბავშვს, როდესაც ის განცდილ ძალადობაზე გიყვებათ**

ბავშვის მიერ ტრავმასთან გამკლავების ეფექტურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, პირველ რიგში, ბავშვის გაბედულება, ვინმეს გაუმხილოს „საიდუმლო“, ასევე მოზრდილის, ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკის, რეაქცია ბავშვის მონათხრობზე.

### **„მე მჯერა შენი“**

ზოგჯერ, როცა ბავშვი მის მიმართ განხორციელებული ძალადობის (მაგალითად, სექსუალური ძალადობის) შესახებ ყვება, მოზრდილი ადამიანი არ უჯერებს მას და ეუბნება: „შენ ეს ყველაფერი მოიგონე“. თუ ბავშვი ჩათვლის, რომ მოზრდილ ადამიანს მისი არ ჯერა, მაშინ ის არაფერს იტყვის. იმ შემთხვევაში, როცა ის მაშინვე არ ამბობს სრულ სიმართლეს, სოციალურმა მუშაკმა უნდა შეძლოს მისი ნდობის მოპოვება. გამოკვლევების თანახმად, ბავშვი იშვიათად იგონებს მსგავს ისტორიებს. თუ ის ამ თემაზე ცრუობს, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ამგვარი უჩვეულო ხერხით ცდილობს, ყურადღება მიიქციოს. ამიტომ

მაც იმ მომენტში, როცა ბავშვი სოციალურ მუშაკს უამბობს რაიმეს განხორციელებული ძალადობის შესახებ, სოციალური მუშაკის მხრიდან დაუშვებელია პანიკა, ბავშვის ნათქვამში დაეჭვება, ბავშვის დასჯა.

**„მზად ვარ მოგისმინო და დაგეხმარო“**

სოციალური მუშაკი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მისი დახმარება, მოთმინება და ყურადღება ბავშვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასჭირდება.

**„რაც დაგემართა, არ იყო სწორი“**

ბავშვებმა, რომელთაც უფროსები არასოდეს ექცეოდნენ კარგად, ხშირად არ იციან მოზრდილის ქმედებაში მათ მიმართ, რა არის და რა არ არის ნორმალური, რა არის სწორი და რა არ არის სწორი. სექსუალურმა მოძალადემ შეიძლება უთხრას ბავშვს - „ჩვენ უბრალოდ ასე ვთამაშობთ“ და ამით დაარწმუნოს ბავშვი, რომ არავის არაფერი უთხრას.

**„შენი არ ხარ მომხდარში დამნაშავე“**

ბავშვებს გადატანილი ძალადობის შემდეგ ხშირად უჩნდებათ დანაშაულის გრძნობა. მათ არ უნდა იგრძნონ თავი დამნაშავედ სხვის მიერ ჩადენილი ძალადობის გამო. სოციალურმა მუშაკმა არ უნდა უსაყვედუროს ბავშვს იმის გამო, რომ აქამდე არავის უამბო ამის შესახებ და არაფერი გააკეთა მის აღსაკვეთად.

**„კარგია რომ მითხარი, შენ არავინ დაგსჯის ამის გამო“**

ზოგ ბავშვს თავს გადახდილი ამბის ვინმესთან გაზიარების შემდეგ უჩნდება დანაშაულის გრძნობა, ეშინია მოძალადის ან ეშინია იმის, რომ მას დასჯიან მომხდარის გამჟღავნების გამო.

**„შენ მართო არა ხარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს!“**

სოციალურმა მუშაკმა ყველაფერი ყველაფერი უნდა გააკეთოს მიცემული პირობა შესასრულებლად!

**„ვერ დაგპირდები, რომ არავის ვეტყვი ამის შესახებ. შენი დაცვა რომ შევძლოთ, კიდევ ვილაცხვებ უნდა იცოდნენ, მაგრამ ჩვენ შეიძლება შევთანხმდეთ იმაზე, თუ ვის ვუთხრათ“.**

ზოგი ბავშვი ამბობს, რომ თქვენ ერთადერთი პიროვნება ხართ ვისაც ის ენდო, ვისაც უამბო რაც, თავს გადახდა და გთხოვთ, რომ მისი საიდუმლო არავის გაანდოთ. მაგრამ, ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ბავშვის დაცვა და მოძალადის დასჯა. იმისათვის, რომ გამართლდეს ბავშვის ნდობა, მხოლოდ მასთან შეთანხმებით უნდა გადანყვიტოს სოციალურმა მუშაკმა, თუ ვის უამბოს მომხდარის შესახებ, ეს უკანასკნელი კი აუცილებელია ბავშვის დასაცავად.

## 11.7 ძალადობის შედეგები

ძალადობის შედეგები ბავშვების და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე სავალალოდ აისახება. კერძოდ, ბავშვებში ძალადობის უშუალო შედეგებია: ფიზიკური ტრავმები და დაზიანებები, მძიმე ფსიქიკური დარღვევები, ხოლო შორეული შედეგები – ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დარღვევები, სომატური დაავადებები, ქცევითი და ემოციური დარღვევები. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს არ აქვთ თანატოლებსა და უფროსებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები, უჭირთ ან საერთოდ ვერ ახერხებენ საკუთარი ქცევის მართვას, უჭირთ ათვისება და სწავლა, პრობლემების გადაჭრის საშუალებებს კრიმინალურ, ასოციალურ გარემოში პოულობენ, აქვთ ალკოჰოლის და ნარკოტიკების მიმართ ლტოლვა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კრიმინალთა 70 % ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო. საზოგადოებაში ძალადობის დამკვირვებას განუზომლად მძიმე სოციალურ შედეგებამდე მივყავართ: საზოგადოება ბავშვთა და მოზარდთა ტრავმირების, მკვლევლობების და თვითმკვლევლობების გამო კარგავს პიროვნებებს, რომელთაც საზოგადოებისთვის რაიმე ღირებულის გაკეთება შეეძლო.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. *გადამისამართების სავალდებულო პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების სიტუაციაში, სხვადასხვა სამსახურების კომპეტენციების კომბინირების მაგალითი ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, სახელმძღვანელო ტრენინგებისათვის.* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, "გადავარჩინო ბავშვები", საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, "ვერი ჩაილდი"
2. გაეროს ბავშვთა ფონდი (2008). *საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა.* თბილისი, საქართველო
3. ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი (2010). *ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტები, გამკვლევი მომსახურებისათვის.* თბილისი, საქართველო
4. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი (2007). *ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულვებელყოფა: მულტისექტორული მიდგომები.* თბილისი, საქართველო
5. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2009). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები, თავი: ძალადობა და უგულვებელყოფა. ეკატერინე თავართქილაძე.* თბილისი, საქართველო
6. [http://en.wikipedia.org/wiki/Child\\_abuse](http://en.wikipedia.org/wiki/Child_abuse)

## თავი XII: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და სოციალური სამუშაო

ეს თავი მიმოიხილავს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, აზუსტებს ტერმინების მნიშვნელობას როგორც საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე, ქართულ სამართლებრივ კონტექსტში და განიხილავს სოციალური მუშაკის დანიშნულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობაში. ანგდის სოციალურ მუშაკებს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან ურთიერთობის სამედიცინო და სოციალური მოდელის, შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევი მიზეზების, კლასიფიკაციის, ზრუნვის პრინციპების შესახებ. ასევე, ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზაგავლენა ოჯახზე და ძალადობის თემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში.

### 12.1 შეზღუდული შესაძლებლობის განმარტებები

შეზღუდული შესაძლებლობის ცნება რთული ტერმინია. მსოფლიოში არ არსებობს ერთი განსაზღვრება, თუ რა არის შეზღუდული შესაძლებლობა. მისი შინაარსი ხშირად დამოკიდებულია სხვადასხვა ორგანიზაციის ზოგად პოლიტიკაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო კლასიფიკაცია, ICF<sup>12</sup> შეზღუდულ შესაძლებლობას განიხილავს როგორც: (1) სხვადასხვა ცხოვრებისეულ სფეროში ფუნქციონირების შეზღუდვას – როგორცაა მაგალითად მოძრაობა, სმენა, მხედველობა, შხაპის მიღება და სხვა; (2) პიროვნების გარემო ფაქტორებთან ურთიერთობის შედეგს (ანუ, შეზღუდული შესაძლებლობა არ განიხილება როგორც მხოლოდ პიროვნების შინაგანი მახასიათებელი, ის გარემოსთან მისი ურთიერთობის დონესაც გულისხმობს); (3) შეზღუდვა, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავს (ა) სხეულის სფერო – დაზიანებები სხეულის ფუნქციონირებასა და სტრუქტურაში, ბ) პიროვნების სფერო – შეზღუდვა მუშაობა-მოღვაწეობაში და გ) საზოგადოებრივი სფერო – შეზღუდვები საზოგადოებრივ აქტიურობაში).

აშშ-ში ყველაზე ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი განისაზღვრება როგორც „პიროვნება, რომლის ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი მის მოღვაწეობაში სერიოზულ შეზღუდვას იწვევს<sup>13</sup>.”

სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განსაზღვრების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობები არის ადამიანის გარემო და დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენენ გონებრივ, ფიზიკურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ემოციურ და ადაპტაციურ განვითარებაზე.

გაეროს 1993 წლის განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობები არის ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრების მრავალი შეზღუდვა, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობაში შეინიშნება. ადამიანის შესაძლებლობები შეიძლება შეიზღუდოს რომელიმე ფიზიკური ორგანოს ან ემოციური სფეროს ტრავმის შედეგად.

12 ICF – International Classification of Functioning – ICF-ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაცია

13 American with Disabilities Act-“ამერიკელი შეზღუდული შესაძლებლობებით“-საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდებთან მუშაობას ა.შ.შ.-ში.

საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, მუხლი 2), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უმცირესობათა ყველაზე მრავალფეროვან ჯგუფს ქმნიან. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის და რასის, ორივე სქესისა და სექსუალური ორიენტაციის, ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისა და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი. ფაქტიურად, ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ნევრობის შესაძლებლობას არ გამოირიცხავს. ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება შეუერთდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კატეგორიას.

კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ბევრ შემთხვევაში მსგავსი სოციალური და ფიზიკური გარემო აქვთ. ასევე ხშირად მსგავსია საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ საზოგადოებაში ყველაზე გავრცელებულ დამოკიდებულებად ითვლება: თავის არიდება, სიბრაღული, გარიყვა, იზოლაცია და გადაჭარბებული დაცვა.

ის, თუ რა სახის მომსახურება იქნება განვითარებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ცხოვრების რა პირობები იქნება მათთვის შეთავაზებული, მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, თუ რა მიდგომას ეფუძნება მათ მიმართ განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა – სახელმძღვანელო პრინციპად არჩეულია სამედიცინო თუ სოციალური მოდელი.

## 12.2 სამედიცინო და სოციალური მოდელი

**სამედიცინო მოდელი** გასული საუკუნის 60-იან წლებში ფართოდ იყო გავრცელებული. სამედიცინო მოდელი განიხილავს შეზღუდულ შესაძლებლობებს როგორც დაავადებას. ამ მოდელის მიხედვით, ეს ადამიანები ითვლებიან პაციენტებად და მათ ესაჭიროებათ მკურნალობა. ადამიანი განიხილება როგორც პირი რომელიც საჭიროებს შესწავლას, დიაგნოზის დადგენას და მკურნალობას. სამედიცინო მოდელის მიხედვით, შესაძლებლობების შეზღუდვა ფიზიკური მდგომარეობაა და მისი დაძლევა მკურნალობით არის შესაძლებელი. ამ მოდელის მიხედვით, შეზღუდულობის „მკურნალობა“ აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანებმა მათი უფლებებით სარგებლობა შეძლონ – რაც უფრო კარგად ხედავს, ესმის, მოძრაობს ან აზროვნებს ადამიანი, მით უფრო მეტი უფლება აქვს მას, როგორც მოქალაქეს. საერთაშორისო პროგრამების უმრავლესობა სამედიცინო მოდელს ეფუძნებოდა და ხაზს უსმევამდა ვიზუალური და რაოდენობრივი შედეგების აუცილებლობას, როგორიცაა სპეციალური შენობების აშენება, სადაც გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პი-

რებს ერთად მუშაობის საშუალება ექნებოდათ, ან ბრმა და ყრუ ბავშვები ერთად სწავლას შეძლებდნენ. სამედიცინო მოდელი საზოგადოებას ათავისუფლებდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, შებრძოლებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას.

ბოლო წლების განმავლობაში დამოკიდებულება შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებთან მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ ცვლილებების შედეგად მსოფლიო თანამეგობრობამ უარი თქვა შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო პერსპექტივიდან განხილვაზე და ფოკუსი სოციალურ მოდელზე გადაიტანა.

**სოციალური მოდელის** განვითარება მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო და ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს მოდელი დიდ ბრიტანეთში განვითარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ძალისხმევითა და ინიციატივის შედეგად. შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური მოძრაობა (Social Disability Movement) ამტკიცებდა მოსაზრებას, რომ ყველა ის სირთულე, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უპირისპირდებიან, შედეგია იმ დამოკიდებულებისა, რომელიც საზოგადოებას შეზღუდულობის მიმართ აქვს.

სოციალური მოდელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს საზოგადოების წევრებად აღიარებს. სოციალური მოდელის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობა ინდივიდის ზოგად მდგომარეობას ასახავს, რომელიც შექმნილი ფიზიკური, ეკონომიკური და სოციალური ბარიერებით უარესდება. ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოებას გააჩნია პასუხისმგებლობა დაეხმაროს ამ ადამიანებს, რათა გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. შესაბამისად, ეს ხედვა შეზღუდულ შესაძლებლობებს საზოგადოებრივ პრობლემად აქცევს, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ როგორც ინდივიდები, ისე საზოგადოება.

სოციალური მოდელი ცდილობს, აუხსნას საზოგადოების წევრებს, თუ რატომ შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი მათგანი, ნებისმიერ დროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ადგილას – რადგან შესაძლებლობების შეზღუდვა ობიექტური რეალობაა. ორსული ქალი, რომელსაც ავტობუსში ასვლა არ შეუძლია საკამოდ მაღალი საფეხურის გამო, ან კაცი, რომელმაც მუშაობის დროს ფეხი მოიტეხა და ავტობუსში იმავე მიზეზის გამო ვერ ადის, დროებით სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. სოციალური მოდელის თანახმად, შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების ინტერესსა და საზრუნავს არ წარმოადგენს. სოციალური მოდელის თანახმად, ყოველი ბავშვი, მოზარდი და ზრდასრული ადამიანი პასუხისმგებელია, იზრუნოს იმაზე, რომ ვინმეს შესაძლებლობები არ შეიზღუდოს. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, უდიდეს მნიშვნელობას იძენს სასიკეთო ცვლილებები რამდენიმე ძირითად სფეროში: საქალაქო არქიტექტურა, კომუნიკაცია, ხელსაწყოები (არავითარი ბარიერი ხელსაწყოების, სასწავლო, სამუშაო თუ რეკრეაციული საშუალებების გამოყენებაში), მეთოდოლოგია (არავითარი ბარიერი სასწავლო და სამუშაო მეთოდებში) და პროგრამები (არავითარი სტერეოტიპები კანონებში, წესებსა და პოლიტიკაში). პანდუსები, ხმოვანი ლიფტები, რომელიც ყველა მომხმარებლისთვის ავტომატურად მუშაობს, სასტუმროს ოთახების, ბინების და ოფისების ბრაილის შრიფტით ნუმერაცია, ფესტების ენით თარგმანი სკოლებში იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც სმენის პრობლემები აქვთ – ეს იმ

ცვლილებების მცირე ჩამონათვალია, რომელმაც შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული მონაწილეობისთვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, უპირველესად, ყველა სახის ბარიერის მოხსნას უნდა ითვალისწინებდეს. ამგვარი ბარიერების მოხსნა გულისხმობს, როგორც ფიზიკური დაბრკოლებების, ასევე არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა და სტერეოტიპული შეხედულების დაძლევას. ძირითადი პროფესიული ღირებულებებიდან გამომდინარე, სოციალურ სამუშაოს ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლის შეასრულება შეუძლია.

### 12.3 შეზღუდული შესაძლებლობების გამოწვევი მიზეზები

ძირითადად, იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევ ფაქტორთა ორი ჯგუფი: ორგანული და სოციალურ-კულტურული.

**ორგანული მიზეზით** გამომწვევლ დარღვევებს მიეკუთვნება გენეტიკური და კონსტიტუციური შემდეგი ფაქტორები:

- მშობლების ქრონიკული დაავადებები
- გენეტიკური, ქრომოსომული დარღვევები
- ნეირობიოლოგიური გავლენა
- ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები
- ინტელექტის განვითარების გენეტიკური ფაქტორები

**სოციალურ-კულტურულ მიზეზებს** მიეკუთვნება შემდეგი ფაქტორები:

- სიღარიბე
- არასასურველი ოჯახური და სოციალური გარემო: მუდმივი სტრესი, დაძაბულობა.
- ფიზიკური მზრუნველობის და ემოციური თანადგომის ნაკლებობა და სხვა.

### 12.4 შეზღუდული შესაძლებლობების კლასიფიკაცია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა სახის დაზიანებები: ინტელექტუალური, ფიზიკური ან ფიზიკური და ინტელექტუალური ერთად.

არსებობს ინტელექტუალური უნარის შეზღუდვის ოთხი ხარისხი:

- მსუბუქი
- საშუალო
- მძიმე
- ღრმა

### **ინტელექტუალური უნარის მსუბუქი შეზღუდვა**

განვითარების უმნიშვნელო დარღვევები, რაც აღენიშნებათ მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებს, სკოლაში მისვლამდე შეუმჩნეველი რჩება და ვლინდება სწავლის ან ქცევით პრობლემებში. სკოლამდელ ასაკში (5 წლამდე), მათ უყალიბდებათ სოციალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. სენსომოტორული (სმენის, მხედველობის, მოძრაობის) დარღვევები არ არის, ან მინიმალურია. მოზარდობის ხანის დასასრულისთვის ისინი ფლობენ დაახლოებით მე-6 კლასის პროგრამის შესაბამის ცოდნას. ზრდასრული ასაკისთვის ისინი იძენენ სოციალურ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

**დახმარების საჭიროება:** ასეთ ადამიანებს, შეუძლიათ წარმატებით იცხოვრონ საზოგადოებაში დამოუკიდებლად (იმუშაონ, შექმნან ოჯახი), მაგრამ სტრესული სიტუაციების დროს (მაგ: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ახალი სამსახურის დაწყება, ახლობლის გარდაცვალება) საჭიროებენ სხვა ადამიანების დახმარებას.

### **ინტელექტუალური უნარის საშუალო შეზღუდვა**

ასეთ დროს შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ადაპტაციური დარღვევები. სასკოლო ასაკისათვის ბავშვებს შეუძლიათ მეტყველება ცალკეული სიტყვების და ფესტების მეშვეობით. თავის მოვლის უნარი და მოტორული განვითარება შეესაბამება 2-3 წლის ნორმალური ბავშვის განვითარებას. 12 წლისათვის მათ შეუძლიათ გარკვეული კომუნიკაცია (მარტივი ფრაზებით მეტყველება, თავიანთი აზრის მეორე ადამიანისთვის გაგებინება).

სოციალური და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება შესაძლებელია, პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით. მაგრამ თეორიული ცოდნის მხრივ მეორე კლასის პროგრამაზე მეტს ვერ ითვისებენ.

მოზარდებს ექმნებათ პრობლემები სოციალური ნორმების და წესების ათვისებაში. ზრდასრულ ასაკში, იმდენად არიან ადაპტირებულნი, რომ შეუძლიათ საზოგადოებაში ცხოვრება, შეუძლიათ ისეთი სამუშაოს შესრულება სპეციალურ სახელოსნოებში ან ჩვეულებრივ სამსახურში, რაც ნაკლებად ან საერთოდ არ მოითხოვს კვალიფიკაციას

**დახმარების საჭიროება:** სოციალური და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის ესაჭიროებათ სპეციალური პრაქტიკული მეცადინეობები, მუშაობის პროცესშიც მათ ესაჭიროებათ სპეციალური ზედამხედველობა და დახმარება.

### **ინტელექტუალური უნარის მძიმე შეზღუდვა**

ინტელექტუალური ფუნქციონირების მძიმე შეზღუდვა, როგორც წესი, გამონვეულია ტვინის ორგანული დაზიანებით, ან გენეტიკური დეფექტით; დიაგნოზი ადრეულ ბავშვობაშივე იკვეთება. ეს ადამიანები განვითარების ისეთ ეტაპებს, როგორცაა დგომა და სიარული, გადიან ბევრად მოგვიანებით, ვიდრე ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები. საკუთარი თავის მოვლის ელემენტარულ ჩვევებს ითვისებენ ცხრა წლის ასაკისთვის. გარდა ინტელექტუალური დარღვევებისა, შესაძლოა ჰქონდეთ ფიზიკური (მოძრაობის) და

ჯანმრთელობის პრობლემები. ბავშვობის ადრეულ ეტაპზე მეტყველება მნიშვნელოვან ან საერთოდ არ არის, 12 წლისათვის ზოგიერთ მათგანს შეუძლია ორ-სამ სიტყვიანი წინადადებების თქმა. 13-14 წლისათვის აკადემიური და ადაპტაციური უნარის მხრივ შეესაბამებინ 4-6 წლის ნორმალური განვითარების ბავშვის მდგომარეობას. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ისწავლონ ანბანი და მარტივი თვლა, აგრეთვე ისეთი წარწერების ამოცნობა, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, მაგ: ცხელია, საშიშია, სდექ და სხვა.

**დახმარების საჭიროება:** ესაჭიროებათ ინტენსიური სწავლება, რათა შეძლონ მარტივი მითითებების შესრულება. მთელი ცხოვრების განმავლობაში სჭირდებათ რეგულარული მხარდაჭერა და მეთვალყურეობა.

### **ინტელექტუალური უნარის ღრმა შეზღუდვა**

ინტელექტუალური უნარის ღრმა შეზღუდვა, ჩვილობის ასაკშივე იკვეთება, განვითარების შეფერხების და ბიოლოგიური ანომალიების (მაგ: სახის ნაკვეთების ასიმეტრია) გამო. ადრეულ ასაკში, მათ აქვთ მნიშვნელოვანი სენსომოტორული დარღვევები; თითქმის ყველა შემთხვევაში, ჩამორჩენილობის მიზეზი ორგანული ხასიათისაა და თან ახლავს ისეთი დაავადებები, როგორცაა მაგალითად, ეპილეფსია, გულის მანკი. საჭიროებენ ინტენსიურ სწავლებას/ტრენინგს, რათა ისწავლონ კვება, თვითმომსახურება, ტუალეტით სარგებლობა და ჩაცმა. ამგვარი სწავლებით უზრუნველყოფის შემთხვევაში, ასეთი ადამიანების ნაწილს შეუძლია მარტივი მოქმედების შესრულება, ხელების დაბანა, ჩაცმა-გახდა.

**დახმარების საჭიროება: თავის მოვლის** ელემენტარული უნარის გამომუშავებისთვის ესაჭიროებათ ინტენსიური სწავლება და მთელი ცხოვრების განმავლობაში დახმარება და ზედმინევენით კონტროლი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან ურთიერთობისას არსებობს ალტერნატიული მიდგომა, რომელიც აქცენტს აკეთებს არა ინტელექტუალური განვითარების შეზღუდვის სიმძიმეზე, არამედ საჭირო დახმარების მიწოდებაზე, რომელიც ესაჭიროება ამ ადამიანს საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. აღნიშნული მიდგომა აქცენტს აკეთებს ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთობაზე. დახმარების საჭიროების შემდეგ ფორმებს გამოყოფენ:

- **საჭიროების შემთხვევაში დახმარება** – დახმარება საჭიროების შემთხვევაში გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთში დახმარებას. მაგ., თუ კი შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი დაკარგა სამსახური, ახლობელი ადამიანი ან იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში.
- **პერიოდული დახმარება** – შედარებით თანმიმდევრული დახმარება, მაგ.: დროში განსაზღვრული პროფესიული ტრენინგი, ან დახმარება, როდესაც სწავლას ამთავრებს და მუშაობას იწყებს.
- **რეგულარული დახმარება** – ამგვარი დახმარება გულისხმობს ადამიანის მოღვაწეობაში რეგულარულ (ყოველდღიურ) ჩარევას, დროში არ არის განსაზღვრული.
- **სრული დახმარება** – მუდმივი და ძალიან ინტენსიური დახმარება, შესაძლოა მთელი ცხოვრების მანძილზე.

## 12.5 ზრუნვის პრინციპები

შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებზე ზრუნვა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- **თანმიმდევრულობა** – მშობლები, ბებია-ბაბუა და სხვა უფროსები, რომლებიც ტრიალებენ ბავშვის გარშემო, უნდა იყენებდნენ ერთ თანმიმდევრულ, შეთანხმებულ მიდგომას ბავშვის მიმართ;
- **შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვს უნდა მოექცნენ ისე, როგორც სხვა ჯანმრთელ ბავშვებს;**
- **ზრუნვის კარგი დაგეგმვა** – მზრუნველი წინასწარ უნდა დაფიქრდეს, გათვალისწინებულად იყოს ყველაფერი, რამაც შეიძლება ბავშვის არასასურველი ქცევა გამოიწვიოს ან გააღვიძოს ის;
- **ჯერ საქმე, მერე გართობა** – ეს ის წესია, რომელიც არ უნდა დაირღვეს. მზრუნველი უნდა მოერიდოს მისცეს სათამაშო, რათა ბავშვი გააჩუმოს, არამედ სათამაშო უნდა მიეცეს ბავშვს ჯილდოდ, მას შემდეგ, რაც სასურველად მოიქცევა;
- **ბავშვის კარგი საქციელის „დაჭერა“ და მასზე ყურადღების გამახვილება, ცუდი საქციელის კი იგნორირება (თუ ეს შესაძლებელია)** – მზრუნველის ყურადღება მიმართული უნდა იყოს კარგ ქცევაზე, მცირე უსაქციელობას იგნორირება შეიძლება (ეს არ ნიშნავს, საერთოდ არ შენიშნოს იგი);
- **მკაფიო წესების დანერგვა** – ყველა ბავშვს სჭირდება მკაფიო წესები და გაძლიერება;
- **მზრუნველებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფრო მეტის მოლოდინი;**
- **მზრუნველმა არ უნდა დაანახვოს ბავშვს, რომ ბრაზობს;**
- **ბავშვის რთული ქცევა განხილულ უნდა იყოს როგორც სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობა;**
- **მზრუნველს შეუძლია შეცვალოს ბავშვის გამომწვევი ქცევა;**
- **არ არსებობს იდეალური მზრუნველი.**

## 12.6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზეგავლენა ოჯახზე

ბავშვის დაბადება მნიშვნელოვნად ცვლის ოჯახის დინამიკას. ოჯახის წევრები უნდა შეეგუონ ახალ წევრს. ბავშვი, რომელიც გარკვეული პრობლემებით დაიბადა ან მას ეს პრობლემები თანდათან აღმოაჩნდა, იწვევს ძლიერ ცვლილებებს ოჯახში. ოჯახების უმრავლესობა იცვლის ყოველდღიური ცხოვრების რიტმს, საცხოვრებელ ადგილს, სამსახურს და ა.შ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მშობლები გადიან ემოციური რეაგირების ისეთივე სტადიებს, როგორც — ძლიერი სტრესის დროს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების გამოკითხვისას გამოიკვეთა შემდეგი სირთულეები:



- **შოკი და გაურკვეველობა** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს ეუფლება შოკი და გაურკვეველობა, უჭირთ მომხდარის გააზრება, გადამუშავება, ვერ პოულობენ მოვლენის ახსნას. ხშირია შეგრძნება, რომ „რაც ხდება, სიზმარია“, ან „ეს შეუძლებელია, მე დამმართოდა“;
- **უარყოფა** – ზოგ შემთხვევაში მშობელი არ იღებს ფაქტს, რომ მის შვილს პრობლემები აქვს, მაშინაც კი, როდესაც პრობლემები აშკარაა. ისინი ვერ ამჩნევენ, ან უარყოფენ ბავშვის მდგომარეობის სიმძიმეს და მისი ქმედების მნიშვნელობას;
- **დანაშაულის გრძნობა** – მშობლებს ხშირად დანაშაულის გრძნობა ეუფლება შვილის ასეთი მდგომარეობის გამო, რადგან თავს დამნაშავედ თვლიან;
- **სევდა** – მშობლებს მოიცავს სევდა, რომელიც გამომწვეულია იმ მოლოდინისა და ოცნებების რღვევით, რომელიც მშობელს ჰქონდა. მშობლებს სჭირდებათ დრო, რათა შეეგუონ იმ იდეალური ბავშვის ხატის დაკარგვას, რომელიც მათ წარმოდგენებში შექმნეს;
- **მომავლის შიში** – ხშირად მშობლებს უჩნდებათ მომავლის შიში, მათ არ იციან, როგორ უმკურნალონ ბავშვს, უშველის თუ არა მას მკურნალობა, ხომ არ გაუარესდება მისი მდგომარეობა, როგორ უნდა მოუარონ მას და ა.შ.;
- **აგრესია და მრისხანება** – ზოგიერთ მშობელს უჩნდება აგრესია და ბრაზი, თავისი მდგომარეობის გამო. მათ ვერ გაუგიათ, რატომ აქვს სწორედ მათ შვილს ეს პრობლემა, როდესაც მათ არაფერი დაუშავებიათ;
- **საზოგადოებასთან დამოკიდებულება** – ხშირად საქმეს ამძიმებს საზოგადოებასთან ურთიერთობა, საზოგადოების დამოკიდებულება მათი პრობლემისადმი. მშობლები მგრძნობიარენი შეიძლება იყვნენ საზოგადოებრივი აზრის მიმართ. ისინი ზოგჯერ ფიქრობენ, რომ სწორედ მათ გარშემოა სხვების ყურადღება კონცენტრირებული. ხშირად თავად მშობლების ადაპტაციის პროცესი ხანგრძლივდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები, საშუალოზე მეტად განიცდიან სტრესულ სიტუაციებს, რაც ბავშვის მოვლის ყოველდღიურ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. მშობლისთვის საკმაოდ რთულია ბავშვის შეზღუდვების შესახებ საუბარი, როგორც საზოგადოების სხვა წევრებთან, ასევე თავად ბავშვთანაც. მშობლები ხშირად ცდილობენ, თავი აარიდონ ამგვარ საუბრებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ჩნდება კითხვები;
- **ბავშვის დამოკიდებულება საკუთარი მდგომარეობის მიმართ** – თავად ბავშვსაც ებაძება კითხვები საკუთარ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაზეც პასუხი აუცილებლად უნდა მიიღოს. პრობლემის უარყოფა ბავშვს პრობლემისა და მასთან დაკავშირებული ემოციების დაძლევის შანსს აკარგვინებს. თუ ისინი ვერ ისაუბრებენ თავიანთ გრძნობებზე, ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი ტკივილის შემსუბუქებას.  
სოციალურ მუშაკებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ამგვარი ოჯახების დახმარების საქმეში. არსებობს ოჯახის რესურსებისა და პრობლემებთან გამკლავების ზოგადი მეთოდი, რაც უნდა გაითვალისწინოს სოციალურმა მუშაკმა:
  - ყოველი ოჯახი უნიკალურია, ყოველ ოჯახს აქვს თავისი რესურსები, ღირებულებები და სამყაროს განსხვავებული ხედვა. შესაბამისად, განსხვავებულია ოჯახის რესურსები და პრობლემებთან გამკლავების მექანიზმები;

- ყველაფერი, რაც ოჯახის ერთ-ერთ წევრთან არის დაკავშირებული, გავლენას ახდენს მთელ ოჯახზე;
- ოჯახის ყველა წევრს აქვს საჭიროებები და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების უფლება. არც ერთი პიროვნება ოჯახში არ არის უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე მეორე;
- დროთა განმავლობაში იცვლება ოჯახი, მისი წევრები, მოვლენები. ეს ცვლილებები შეიძლება რთული იყოს, ვინაიდან მოითხოვს ოჯახის წევრების ცვლილებასაც და ისინი ცდილობენ უპასუხონ გარემოს მოთხოვნებს;
- ყველა ოჯახისთვის, სირთულეების სიმძიმის მიუხედავად, არსებობს ერთი მთავარი და საერთო რამ, ყველა მათგანში შეიძლება მოიძებნოს ძალა, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ გადაჭრან პრობლემები.

## 12.7 ქალაქობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უფრო მეტად დგანან ქალაქობის რისკის წინაშე, რადგან ისინი უფრო დაუცველი არიან, ვიდრე სხვა ბავშვები. მათ სხვებთან შედარებით უფრო ნაკლები სოციალური კონტაქტები აქვთ, დამოკიდებულნი არიან მოზრდილებზე, რის შედეგადაც ხშირად ხვდებიან ისეთ სიტუაციებში, სადაც მოზრდილს შეუძლია მათი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენოს და შესაბამისად იზრდება მათზე ქალაქობის რისკი. მათ ნაკლებად შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა კომუნიკაციის სიძნელის გამო, ნაკლებად შესწავთ უნარი, გადმოსცენ, რა ხდება მათ გარშემო. იმისათვის, რომ დაცულნი იყვნენ ქალაქობისგან, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, ნებისმიერი გზით გამოთქვან თავიანთი გრძნობები, მიიღონ სათანადო განათლება მათი უფლებების, სოციალური, პირადი და სექსუალური ცხოვრების შეახებ, საჭიროა, რომ ადამიანები უსმენდნენ მათ პრობლემებს.

სოციალურმა მუშაკმა კარგად უნდა იცოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე მზრუნველობის მისაღები და დაუშვებელი ფორმები, კერძოდ კი:

### მზრუნველობის მისაღები ფორმები:

- აღმზრდელის მხრიდან ემოციების გამოხატვა და საპასუხო ემოციური რეაქცია;
- დადებითი ემოციების გამოხატვა;
- აღმზრდელის მხრიდან სრულფასოვანი, ბავშვზე ორიენტირებული ურთიერთობა;
- საჭიროების შემთხვევაში, კრიტიკა, განწყობა ან საქმიანობის შეწყვეტა;
- ამ დროს გამოიყენება გამოხატვის ემოციური მანერა და საკმაოდ მკაცრი, მძაფრი ტონი.

### ნაკლებად მისაღები ურთიერთობა:

- აღმზრდელი ავლენენ ემოციურ სიცივეს და მოუქნელობას, ნეიტრალურად რეაგირებენ ბავშვზე;

- იყენებენ ზენოლის სიტყვიერ და უსიტყვო ფორმებს, და ამით ცდილობენ შედეგების მიღწევას, რაც არარეალურია;
- ხშირად იყენებენ იძულების სიტყვიერ და უსიტყვო მეთოდებს, რაც იწვევს ბავშვის საკუთარ ძალებში დაეჭვებას;
- აღმზრდელი მგრძობიარე არ არის, არ რეაგირებს ბავშვის მოთხოვნილებებზე;
- უფროსების მხრიდან სხვა ბავშვებთან შედარება;
- უფროსები იყენებენ საკუთარ უპირატესობას, ან არ აღიარებენ ბავშვების მათზე დამოკიდებულებას;
- ხელს უშლიან ბავშვის მოთხოვნილებას, განმარტოვდეს.

#### **ქცევის მიუღებელი ფორმები:**

- უფროსები ამცირებენ და შეურაცხყოფას აყენებენ ბავშვს;
- უგულვებელყოფენ ბავშვთან ემოციური კავშირისა და მისი ფიზიკური დახმარების აუცილებლობას;
- იყენებენ კონტროლის უხემ ფორმებს.;
- უგრძობი არიან ბავშვის მოთხოვნილებების მიმართ;
- სპეციალურად აშინებენ ბავშვს, ემუქრებიან ან იწვევენ მის უარყოფით რეაქციებს;
- რეაგირებენ მეტისმეტად ემოციურად და მოულოდნელად;
- სარგებლობენ იმით, რომ ბავშვი მათზეა დამოკიდებული, იყენებენ იძულების, მუქარის ან მოსყიდვის მეთოდებს;
- იყენებენ ფიზიკური ან სექსუალური იძულების ან ძალადობის ფორმებს.

## **12.8 სოციალური სამუშაოს დანიშნულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობისას**

- **პიროვნების აღმოჩენა** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, პირველ რიგში, არის პიროვნება და სოციალურმა მუშაკმა ხელი უნდა შეუწყოს მას შესაძლებლობების აღმოჩენაში. ამ მიზნის მიღწევაში სოციალურ მუშაკს დაეხმარება ბავშვთან დროის გატარება და ურთიერთობა მისთვის ჩვეულ გარემოში.
- **პიროვნების შესაძლებლობების, საჭიროებების, უსაფრთხოების შესწავლა** – სოციალურმა მუშაკმა უნდა შეისწავლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უნარი-შესაძლებლობები, ნიჭი, ინტერესები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სპეციალისტის ერთობლივი მუშაობა. ასევე, საგულისხმოა ბავშვის ურთიერთობა გარესამყაროსთან, სხვა ადამიანებთან, შესასწავლია, თუ როგორ ესმით ბავშვის მის გარშემო მყოფ ადამიანებს, რა დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება მას.
- **სამომავლო გეგმების გამორკვევა** – სოციალური მუშაკი უნდა დაეხმაროს შეზღუ-

დული შესაძლებლობის მქონე ბავშვს მიზნების განსაზღვრასა, არჩევანისა და პრიორიტეტების დასახვაში, სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებაში და მომავლის მიმართ შიშის დაძლევაში.

- **ოჯახის წევრების დახმარება** –. ოჯახის წევრების მხარდაჭერის საქმეში სოციალური მუშაკის როლი უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის ოჯახთან ურთიერთობის ყველა ეტაპზე.
- **ბავშვის მხარდამჭერთა წრის შექცვა** –სოციალური მუშაკი უქმნის ბავშვს მხარდამჭერთა გუნდს, ეხმარება მას თანადგომის ოფიციალურ (სოციალური მომსახურება, სკოლა, სამედიცინო დაწესებულება) და არა ოფიციალურ (მეგობრები, ოჯახი, ახლობლები, მეზობლები) ქსელთან ურთიერთობაში.
- **ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფა** – სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობა მომსახურების მიწოდების ყველა ეტაპზე და მაქსიმალურად უნდა ეცადოს, ჩართოს ბავშვი მისი დახმარების გეგმის შემუშავებაში.

სოციალურმა მუშაკმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან პრაქტიკა შემდეგ ძირითად ასპექტებს უნდა დააფუძნოს:

- **ბავშვის უფლებათა პატივისცემა**
  - მყუდროება
  - ინფორმაციის გაზიარება
  - პატივისცემით მოპყრობა
  - მზრუნველობა ბავშვის ჯანმრთელობაზე
  - სამართლიანი მოპყრობა
  - ძალადობისგან და უგულვებელყოფისგან დაცვა
  - უფლებების დაცვა
  - უსაფრთხოება
- **ურთიერთობის მნიშვნელობა**
  - მეგობრები
  - ხანგრძლივი ურთიერთობები
  - ინტიმური ურთიერთობები
  - ბუნებრივი მხარდაჭერა
- **არჩევანის შესაძლებლობა**
  - პირადი მიზნები
  - აირჩიო, ვისთან იცხოვრო
  - ვარ თუ არა კმაყოფილი მომსახურებით
  - ყოველდღიური საქმიანობის არჩევა
  - მომსახურების არჩევა
- **გარემოსთან ურთიერთობა**
  - გარემოს გამოყენება
  - საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა
  - ინტეგრირებულ გარემოში ცხოვრება

- **წვლილი საზოგადოებაში**

- მიზნების მიღწევა
- ღირებული სოციალური როლი
- ყოველდღიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მახარაძე. თ. (2009). *სოციალური სამუშაო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან: სახელმძღვანელო სოციალური სამუშაოს პრაქტიკის მასწავლებლებისთვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
2. "პირველი ნაბიჯი". (2010). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სოციალური სამუშაო: სატრენინგო მასალები*. ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი. თბილისი, საქართველო
3. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2009). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები. თავი: შეზღუდული შესაძლებლობა და სოციალური სამუშაო. თამარ მახარაძე*. თბილისი, საქართველო
4. <http://en.wikipedia.org/wiki/Disability>

# თავი XIII: კრიზისი, სტრესი და კრიზისული ინტერვენცია

ეს თავი მიმოიხილავს კრიზისსა და სტრესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, აზუსტებს მათ მნიშვნელობასა და განმარტებას. განიხილავს მათ ტიპებს, გამომწვევ მიზეზებსა და ნიშნებს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია სოციალური მუშაკის როლზე სტრესის დაძლევისა და კრიზისული ინტერვენციის პროცესში.

## 13.1 კრიზისი

### კრიზისის მნიშვნელობა და განმარტებები

კრიზისი რთული ცნებაა და მოიცავს როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა) დონეებს. სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლია, დაეხმაროს ადამიანებს კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავებასა და სტრესის დაძლევაში. შესაბამისად, სოციალური მუშაკი ადამიანებთან მუშაობის პროცესში კარგად უნდა ერკვეოდეს პიროვნული და ფსიქოლოგიური კრიზისის მნიშვნელობაში. ადამიანები ხშირად აღმოჩნდებიან კრიზისულ და სტრესულ სიტუაციებში. კრიზისი არის ადამიანის ნონასწორობის (ჰომეოსტაზის) მდგომარეობის დარღვევა, რომელიც გამომწვეულია ცხოვრების გზაზე წარმოქმნილი გადაულახავი ბარიერებით. კრიზისი წარმოადგენს დროებით მდგომარეობას, რომლის დროსაც პრობლემის გადაჭრის ჩვეული გზებით შეუძლებელი ხდება სიტუაციის მართვა ან მასთან შეგუება. კრიზისი შეიძლება იყოს ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც ინდივიდი კარგავს უნარს, გამოიყენოს პრობლემის გადაჭრისა და მასთან გამკლავების ეფექტური უნარ-ჩვევები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფსიქოლოგიური კრიზისი ეს არის „ნორმალური რეაქცია არანორმალურ სიტუაციაზე“. ეს არის ჯანმრთელი ადამიანის რეაქცია მისთვის სუბიექტურად მნიშვნელოვან სიტუაციაზე, რომელიც ადაპტაციისა და დაძლევის ახალ საშუალებებს საჭიროებს, რადგან უკვე არსებული საშუალებები საკმარისი არაა. კრიზისის დროს, როგორც წესი, ირღვევა ნონასწორობის მდგომარეობა. კრიზისი არის ადამიანის რეაქცია მოვლენაზე ან სიტუაციის აღქმა. კრიზისის დროს ჩვეულ რეაქციებს განეკუთნება: შიში, რისხვა, დაბნეულობა, შფოთვა, დაუცველობის განცდა. მიუხედავად უარყოფითი ზეგავლენისა, კრიზისი დადებით მომენტებსაც შეიცავს. მისი წარმატებით გადაწყვეტის შემთხვევაში, არსებობს პიროვნული ზრდის შესაძლებლობა. კრიზისი შეიძლება განაპირობოს შემდეგმა გარემოებებმა: სიცოცხლისთვის სახიფათო სიტუაციები, როგორცაა ბუნებრივი კატაკლიზმები (მაგალითად, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვ.), სექსუალური ძალადობის ან სხვა სახის კრიმინალური ქმედების მსხვერპლად გახდომა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფიქრები თვითმკვლელობისა ან მკვლელობის შესახებ; ურთიერთობათა განწყვეტა ან მკვეთრი ცვლილებები (მაგალითად, საყვარელ ადამიანთან განშორება). თუ გადავხედავთ მოცემულ განსაზღვრებებს, ადვილი მისახვედრია, რომ კრიზისი ნებისმიერი ადამიანის, როგორც ბავშვის ასევე ზრდასრულის, ცხოვრებაში ხდება და არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმე სახის კრიზისი არ ჰქონდეს გადალახული. აქვე უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანს გააჩნია კრიზისის გადალახვის უკვე გამოცდილი მეთოდები, რომლებსაც იგი მიმართავს

თავი XIII

ცხოვრებაში წარმოქმნილი სიძნელეების დროს. თუმცა, პერიოდულად წარმოიშობა ისეთი სიძნელეები, რომელიც ადამიანებისთვის უჩვეულოა, ისინი სრულიად მოუმზადებელი ხვდებიან კრიზისს და იყენებენ პრობლემის დაძლევის სრულიად არაეფექტურ მექანიზმებს. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება პროფესიონალების ჩარევა. პირველ რიგში, პროფესიონალებში იგულისხმება სოციალური მუშაკი, რომელიც ბენეფიციარს ეხმარება კრიზისის გადალახვის მექანიზმების მოძიებასა და გამომუშავებაში.

### **კრიზისის ტიპები, მიზეზები და ნიშნები**

არსებობს კრიზისის ორი ძირითადი ტიპი:

1. **კანონზომიერი კრიზისი** – ეს არის კრიზისის სახე, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებაში შეიმჩნევა და რომელიც გულისხმობს ცხოვრების ციკლის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას წარმოშობილ კრიზისს, მაგ., დაბადება, პუბერტატული ასაკი, დაქორწინება/გათხოვება, დაბერება და ა.შ. კანონზომიერი კრიზისი ხანგრძლივდება თუ განვითარების მომდევნო ეტაპზე მოუმზადებლად, შესაბამისი ინფორმაციის გარეშე გადაადის ადამიანი. კრიზისი მძიმდება თუ მას დაემატა კრიზისის გადალახვისთვის არახელსაყრელი სოციო-ეკონომიკური გარემო.

2. **სიტუაციური კრიზისი** – სიტუაციური კრიზისის პროგნოზირება უფრო ძნელია, ვიდრე კანონზომიერი კრიზისისა. იგი, ძირითადად, განპირობებულია გარემო ფაქტორების ცვლილებით ან მოულოდნელი შინაგანი ცვლილებით. ასეთ კრიზისს მიეკუთვნება, მაგალითად, სამსახურის დაკარგვა, შემოსავლის/სახლის დაკარგვა, გაქურდვა, დაყარვა, მეუღლესთან გაყრა, ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ. კრიზისის სიმძიმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ადამიანისათვის დაძლევის ეფექტური მექანიზმები.

ფსიქოლოგიური კრიზისის **ძირითადი მიზეზებია:**

ა) **ახლობლის დაკარგვა** (მაგალითად: ახლობელი ადამიანის, ცხოველის სიკვდილი; კონფლიქტები მშობლებთან; მეგობრის ან სხვა ახლობელი ადამიანის თვითმკვლელობა ან მკვლელობა; მშობლების განქორწინება; უიღბლო სიყვარული; ოჯახის წევრის დაპატიმრება; საცხოვრებლის ან სკოლის შეცვლა; მშობლის საზღვარგარეთ დიდი ხნით გამგზავრება);

ბ) **ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების დაკარგვა** (მაგალითად: ომი; გადატანილი სექსუალური, ფიზიკური, ემოციური ძალადობა ან უგულვებლყოფა (ოჯახში, სკოლაში, სხვა გარემოში); გამოცდების შიში; ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი).

ფსიქოლოგიური კრიზისი ხასიათდება თავისებურებებით, კერძოდ კი ეს არის მოულოდნელი შემთხვევა, ემოციურად, სუბიექტურად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ინვესტს დისკომფორტს და ინტენსიურ უარყოფით განდას. ამგვარ კრიზისზე მისი დაძლევის ჩვეული საშუალებები არ მოქმედებს. იგი ასევე უკავშირდება დანაკარგს ან დანაკარგის შიშს და ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

ფსიქოლოგიური კრიზისზე მიგვანიშნებს ა) ფსიქიკური დისკომფორტის მდგომარეობა და ბ) ქცევის მოულოდნელი და მკვეთრი შეცვლა. მაგალითად, ცოცხალი, მოძრავი,

ხმაურიანი ბავშვი მოულოდნელად ხდება წყნარი, ჩაკეტილი, ან პირიქით, მშვიდი, კეთილგანწყობილი ბავშვი უჩვეულოდ აქტიური ან აგრესიული ხდება, სახლიდან, სკოლიდან გარბის. ხშირად წყდება თანატოლებთან მეგობრობა, უარესდება აკადემიური მოსწრება, ვინროვდება ინტერესთა სფერო (ალარ დადის სპორტზე, მუსიკაზე და სხვა); გამომწვევად, სახიფათოდ იქცევა. შეიძლება დაიწყოს სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის, ნარკოტიკების მიღება. ემოციურ სფეროში აღინიშნება მოუსვენრობა, შფოთვა, გაღიზიანება, გაბოროტება, მოულოდნელი „აფეთქებები“, გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა, გაფანტულობა, პასიურობა, სევდა, დათრგუნულობა.

ყოველი ადამიანი ინდივიდუალურად რეაგირებს სტრესულმოვლენებზე, თუმცა მათ რეაქციებში ძირითადი ტენდენციები შეინიშნება, კერძოდ:

- **1-7 დღე** — შოკი, უგრძნობლობა
- **მეორე კვირა/3 თვე** — სევდა, უიმედობა, ტკივილი (მთავრდება გარემომცველთა შედარებით აქტიური მხარდაჭერა)
- **1 წლამდე** — უიმედობა, დეზორგანიზაცია; ფსიქოლოგიური პრობლემები, სოციალური პრობლემები;
- **1 წლის შემდეგ** — დანაკარგამდე არსებულ დონეზე დაბრუნება;
- **2 წლამდე** — სრული აღდგენა.

### კრიზისული ინტერვენცია

კრიზისული ინტერვენცია (ჩარევა) არის სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარება. იგი გულისხმობს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება სასწრაფო და მოკლევადიანი დახმარების აღმოსაჩენად იმ პირებისთვის, რომლებიც ემოციური, გონებრივი და ფიზიკური სტრესის ან პრობლემების წინაშე დგანან. კრიზისული ინტერვენციის მიზანია პირის დახმარება კრიზისთან გამკლავების ეფექტური მექანიზმის გამომუშავებაში. ასეთ დროს მთავარია წონასწორობის აღდგენა. ამიტომაც განსახორციელებელი მიზნები მინიმუმამდე დაიყვანება და, ძირითადად, ისინი ადამიანის სასიცოცხლო ძალების აღდგენას უკავშირდება. ამ დროს ჩარევა მიმართულია ცხოვრების პრობლემების შემსუბუქების, შეგუების მექანიზმების აღდგენის, სიტუაციის წინაპირობის გაცნობიერების, ადამიანის მიერ რეალობის გრძნობის შენარჩუნებისაკენ. კრიზისული ინტერვენცია მიზნად ისახავს დაუბრუნოს ადამიანი კრიზისამდელ მდგომარეობას და ჩაანაცვლოს კრიზისთან ბრძოლას არაეფექტური მექანიზმები ეფექტურით (პრობლემის დაძლევის უნარ-ჩვევები – იზოლაციის, ალკოჰოლიზმის ნაცვლად). კრიზისის ინტერვენციის საბოლოო მიზანია, ადამიანმა დაისწავლოს პრობლემის გადანყვეტისა და სირთულესთან გამკლავების ახალი და ჯანსაღი უნარ-ჩვევები. კრიზისული ინტერვენცია არ არის პრობლემის სრულად გადაჭრის გზა. ეს არის უფრო სასწრაფო დახმარების ფუნქციის მატარებელი, რათა ადამიანი დაუბრუნდეს კრიზისამდელ მდგომარეობას.

კრიზისულ ინტერვენციას აქვს ორი ძირითადი მიმართულება; 1. განათლება (მიანოდოს კრიზისში მყოფ ადამიანს ინფორმაცია კრიზისული სიტუაციის, მისი განცდების, რეაქციის შესახებ, რასაც შეძულია არცოდნით გამოწვეული მისი შფოთვების შემცირება) და



## 2. პრობლემების დაძლევა და მათი გადაჭრა.

ყველა ტიპის კრიზისისათვის დამახასიათებელია ის, რომ დახმარება აუცილებელია იმ დროს, როცა რალაც მოხდა. დახმარება უნდა დაიწყოს მაშინვე, 24 საათის განმავლობაში. კრიზისული ინტერვენციის ხანგრძლივობა საკმაოდ ინდივიდუალურია, ხოლო რაც შეეხება სესიებს, სესიებიც მკაცრად რეგლამენტირებული არ არის, როგორც ეს მიღებულია, მაგალითად, ფსიქოთერაპიაში. კრიზისული ინტერვენციის ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას, სადაც განმარტოვება და მყუდრო გარემოს შექმნა შესაძლებელი.

ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოღვაწე სოციალურ მუშაკებს კრიზისული ინტერვენციის გამოყენება შეიძლება დასჭირდეთ ისეთ შემთხვევებში, როგორცაა, მაგალითად, ბავშვზე ძალადობის შემთხვევა, ბავშვის ოჯახთან განშორება, მშობლების დაშორება, საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ასევე, სხვადასხვა მიზეზის გამო ოჯახის წევრების კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩენისას.

მასლოუს საჭიროებების პირამიდის თანახმად, არსებობს სხვადასხვა დონის საჭიროება, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს საფეხურობრივად. ამ მოდელის მიხედვით იერარქიულადაა განლაგებული ისეთი საჭიროებები როგორცაა ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, თვითგამოხატვის. მაგ. სოციალური საჭიროება ადამიანისთვის პრიორიტეტული ვერ იქნება თუ მისი ფიზიოლოგიური საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული. ამ მიდგომას ჰყავს კრიტიკოსები, რომელთა აზრითაც საჭიროებათა საფეხურობრივად მიღწევის მექანიზმი არ არის სარწმუნო და ადამიანები ხშირად ამ საფეხურებს ტოვებენ შემდეგზე გადასასვლელად. მაგალითად, ბევრ ხელოვანს დაუკმაყოფილებელი ჰქონდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, როდესაც ისინი შედეგებს ქმნიდნენ. **მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა, სასურველია, საჭიროებათა იერარქიის გამოყენება კრიზისული ინტერვენციის განხორციელების დროს.**

კრიზისული ინტერვენციის პერიოდში აუცილებელია სოციალურმა მუშაკმა გაითვალისწინოს კრიზისული ინტერვენციის შემდეგი ასპექტები:

- **უსაფრთხოება** – სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს შეხვედრებისა და საუბრებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო; ასევე, საჭიროების შემთხვევაში მან უნდა მიმართოს სამედიცინო დახმარებას, რათა არ აღმოცენდეს ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო ძალადობის შემთხვევაში — ძალადობის გამეორების პრევენციას.
- **დაცულობა** – სოციალურმა მუშაკმა უნდა დაანრმუნოს პიროვნება იმაში, რომ გარემო უკვე სტაბილურია და დამატებითი საშიშროება არ არის მოსალოდნელი; ასევე, უზრუნველყოს კონფიდენციალობის დაცვა;
- **თანამონაწილეობა** – მნიშვნელოვანია პიროვნება მასქიმალურად ჩაერთოს პროცესში, რაშიც მას დაეხმარება სოციალური მუშაკის მიერ სტიმულის მიცემა, რომ გამოთქვას გრძნობები. საყურადღებოა, რომ კრიზისის დროს ადამიანები უფრო გულღიად იღებენ დახმარებას;
- **განტვირთვა** – სოციალურმა მუშაკმა უნდა მისცეს პიროვნებას ემოციების გამოხატვის საშუალება, რაშიც მას დაეხმარება:
  - პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა
  - საუბრის დანყება იმით, რაც პიროვნებას სურს

- საუბარის არ დაძალება
- აქტიური მოსმენის საშუალებებისა და ღია კითხვების გამოყენება
- არაგანსჯითი მიდგომა
- სოციალურმა მუშაკმა არ უდა მიიჩნიოს, რომ იცის ყველაფერი პიროვნების კრიზისული მდგომარეობის შესახებ
- არ ივარაუდოს, რომ ყველა, ვინც ომი ან დიდი პრობლემა გამოიარა, ტრავმირებულია;
- არ მიიჩნიოს, რომ ეს ტრავმები მუდმივ ფსიქოლოგიურ ზიანს გამოიწვევს. ყველაზე მწვავე რეაქციებიც კი გასაგები და მოსალოდნელია და ისინი შესაძლებელია, შენელდეს და დასრულდეს;
- არ დაარქვათ რეაქციას სიმპტომი და არ ისაუბროთ დიაგნოზის შესახებ.

- **დადასტურება** – სოციალურმა მუშაკმა საშუალება უნდა მისცეს პიროვნებას სახელი დაარქვას თავის ემოციებს. მან უნდა დარწმუნებას პიროვნება, რომ რეაქციები არ არის უჩვეულო ან პათოლოგიური, იმ სიტუაციაში, რომელშიც ის აღმოჩნდა, ასეთი რეაქციები სრულიად ბუნებრივია;

**კრიზისული ინტერვენციის დროს სოციალურ მუშაკს ასევე ევალება:**

- **ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი** – შეაგროვოს ინფორმაცია პიროვნების საჭიროებისა და საზრუნავის შესახებ და გააანალიზოს იგი. პირველ რიგში, უნდა გამოიკვლიოს კრიზისული მოვლენის ან განცდის ისტორია. **რა განაპირობებს კრიზისს?** საჭიროა შეკრიბოს ყველა ძირითადი მონაცემი კრიზისის გამომწვევი სიტუაციისა და ამ სიტუაციასთან კონკრეტული ადამიანის კავშირის შესახებ. როგორი იყო კრიზისის წინმსწრები გარემოებები: კონკრეტულად სად და როდის დაიწყო კრიზისული განცდების განვითარება (რომელ თვეში, რომელ დღეს). თუმცა მეტი ყურადღება ეთმობა იმას, თუ რა მოხდა ახლა. დომინირებს პრინციპი „აქ და ახლა“. გროვდება მხოლოდ მოვლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია (არა ჩვეულებრივი ანამნეზი). წარსული ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის გვეხმარება ანმეოს გაგებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა გავლენის მოხდენა შეეძლო წარსულში მომხდარ მოვლენებს ბენეფიციარის ამჟამინდელ კრიზისულ განცდებზე. ასევე, მნიშვნელოვანია, გამოირკვეს, რის გაკეთებას ცდილობდა და ცდილობს პიროვნება. სოციალურმა მუშაკმა უნდა იპოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა ან ცდილობს პიროვნება კრიზისის დაძლევის აქამდე ან ახლა და შეაფასოს, რისი გაკეთება შეუძლია მას;
- **სხვა სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობა** – სოციალურმა მუშაკმა უნდა განსაზღვროს სხვა რომელი სპეციალისტები ჩაერთვებიან კრიზისის ინტერვენციის პროცესში, მაგ., ფსიქოლოგი, ექიმი, იურისტი და ითანამშრომლოს მათთან;
- **თანადგომის ქსელთან თანამშრომლობა** – განსაზღვროს პიროვნების სოციალური თანადგომის არაოფიციალური ქსელის, (მეგობრები, ახლობლები) და სხვა სტრუქტურული უწყებების ჩართვის აუცილებლობა და საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლოს მათთან;
- **ინტერვენციის დაგეგმვა** – შეიმუშაოს კრიზისული ინტერვენციის გეგმა, რომელიც

ნათლად ჩამოაყალიბებს ინტერვენციის მიზნებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს;

- **პროგნოზირება** – გულისხმობს ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც დაეხმარება ინდივიდს გადანყვეტილების მიღებაში. სოციალურმა მუშაკმა უნდა მიანოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდება მომავალში იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც ინდივიდი ახლა იმყოფება. შესაბამისად დაეხმაროს ახალი რეალობისა და ახალი როლების აღქმაში;
- **განათლება** – მიანოდოს ინფორმაცია ინდივიდს კრიზისული სიტუაციის, მისი გაცდების, რექციების, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რასაც შეძულია არცოდნით გამონვეული მისი შფოთვების შემცირება. ასევე, სასურველია უსაფრთხოების საკითხების, ტრავმის, სიმპტომების მართვის, რელაქსაციის და ჯანმრთელობის შესახებ (ფიზიკური ვარჯიში, სასიამოვნო საქმიანობა, თავის სათანადოდ მოვლა) შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

## 13.2 სტრესი

### სტრესის მნიშვნელობა და განმარტებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიზისი არის ადამიანის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი, დიდი ცვლილება, დიდი რისკი. დიდ ცვლილებას თითქმის ყოველთვის ახლავს სტრესი. მით უმეტეს, თუ ეს ცვლილება დაუგეგმავია და ადამიანი მას მოუმზადებელი ხვდება, ცვლილება ბევრად უფრო სტრესული და მტკივნეულია. სტრესი ზენოლას, დაძაბულობას ნიშნავს. ეს სიტყვა ყოველდღიურ მეტყველებაში გამოიყენება და მრავალ უსიამოვნო შეგრძნებასთან არის დაკავშირებული. სტრესით გამონვეული ზენოლა ადამიანს დისკომფორტსა და ჯანმრთელობის პრობლემებს უქმნის. ასე მაგალითად, დაძაბულობა, მარტოობის განცდა, გადატვირთულობა, აგრესია, იმედგაცრუება და მრავალი სხვა ნეგატიური მოვლენა, თუ ემოცია ისეთ პრობლემებს იწვევს, როგორცაა მაღალი არტერიული წნევა, გაღიზიანება, კუნთების დაჭიმულობა, მუცლის ღრუს დაავადებები და სხვა. ცნობილია, თუ სტრესი ხანგრძლივად გრძელდება, ის შეიძლება ადამიანის „გადანვითაც“ დასრულდეს. ეს კი, ორგანიზმის სრულ გამოფიტვასთან, ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებთან არის დაკავშირებული.

სოციალური მუშაკი ეხმარება ადამიანებს სტრესის მართვის სწავლაში, რათა ადამიანებმა აირიდონ ის ნეგატიური და დამანგრეველი შედეგები, რომლებსაც სტრესი იწვევს მათში.

თავისთავად სტრესრეაქცია ჩვეულებრივი და უვნებელი რეაქციაა, რადგან შესაძლო საფრთხესთან გასამკლავებლად ადამიანის ორგანიზმი უზრუნველყოფილია საჭირო მექანიზმებით. სტრესი საზიანო მამინ ხდება, როდესაც ირღვევა წონასწორობა წამოყენებულ მოთხოვნებსა და ადამიანის პრობლემასთან გამკლავების უნარს შორის. სტრესის დროს ადამიანის ორგანიზმში ავტომატურად ერთვება დამცავი რეაქციები, მაგალითად: ყინვაში

ადამიანი კანკალებს, რათა მეტი სითბო გამოიყოს, სისლძარღვები კი ვიწროვდება, რათა შემცირდეს სხეულის ზედაპირიდან დაკარგული სითბოს რაოდენობა. ძლიერი სიცხის დროს სხეული ოფლს გამოყოფს და ამით გრილდება. ორგანიზმისთვის ეს სპეციფიკური რეაქციებია, ანუ სპეციფიკური ზემოქმედებით გამონვეული სპეციფიკური ცვლილებები ორგანიზმისა. მაგრამ, იმის მიუხედავად, თუ რა ცვლილებები ხდება ორგანიზმში, ყველა ამგვარ ზემოქმედებას ერთი საერთო რამ ახასიათებს: ისინი ორგანიზმისგან, გარდაქმნას, შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციასა და ნორმალური მდგომარეობის აღდგენას მოითხოვენ.

## სტრესის მიზეზები და მასზე რეაქციები

### რამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანში სტრესი?

- ზედმეტად მაღალი მოთხოვნების გარემო
- ერთფეროვნება
- არასრულფასოვნების გრძნობა
- ფიზიკური ნაკლი
- გაბრაზება
- შიში
- გამუდმებული ხმაური
- ფინანსური სირთულეები
- ახლობელი ადამიანის გარდაცვალება
- დანაშაულის გრძნობა
- უარყოფითი გარემო
- შური
- იზოლაცია
- გადატვირთვა და მრავალი სხვა

განასხვავებენ სტრესის მიმართ **მწვავე რეაქციას და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას**. სტრესის მიმართ მწვავე რეაქცია დროებითი მდგომარეობაა, რომელიც 4 კვირაზე ნაკლები დრო გრძელდება და ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- სანყისი დაბნეულობა, დეზორიენტაცია, შოკი, ემოციების დაჩლუნგება
- კონცენტრაციის სირთულე
- შეძრწუნების განცდა და შეუგუებლობა
- უძილობა, თავის, მუცლის და სხვა ტკივილები
- ძლიერი გულისცემა
- დეპრესია, გაუცხოება
- ტრავმული მოვლენების მეხსიერებიდან ამოვარდნა
- ჰიპერაგზნებულობა, გაღიზიანება
- ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება

პოსტტრავმული სტრესული აშლილობა გრძელდება 4 კვირაზე მეტ ხანს და ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- აკვიატება, ტრავმის გაცოცხლება – ღამის კოშმარები, მოუსვენარი ძილი, უმიზეზო

- სტრესული მოგონებები, შფოთვა ან ინტენსიური ფიზიკური და სულიერი გადაღლა თავის არიდება – ტრავმასთან დაკავშირებული შეგრძნებების თავიდან აცილების ძალისხმევა, ტრავმული გამოცდილების მნიშვნელოვანი ასპექტების ამნეზია, მანამდე მისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობებისადმი ინტერესის დაკარგვა, შეზღუდული აფექტურობა და ემოციური გაღარიბება, ნარკოტიკით ან ალკოჰოლით თვითმკურნალობა

### სტრესის დაძლევის გზები

სტრესის დაძლევის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სოციალურმა მუშაკმა ინდივიდებთან მუშაობისას:

- მოქმედებაზე ორიენტირებული — სტრესის გამომწვევ მიზეზთან, პრობლემასთან დაპირისპირება, გარემოს ან სიტუაციის შეცვლა. ამგვარი ქმედითი მეთოდი ყველაზე ეფექტურია სტრესის სასაძლევადად.
- ემოციაზე ორიენტირებული — სიტუაციას ვერ ვცვლით, ამიტომ სტრესის დაძლევა ჩვენი აღქმისა და დამოკიდებულების შეცვლით შეგვიძლია; ანუ, ვცდილობთ, სხვა კუთხით შევხედოთ სიტუაციას. ეს ნაკლებად ეფექტური მეთოდია, რადგან სტრესი შესაძლებელია შემდგომში კვლავ განმეორდეს.
- შეგუებაზე ორიენტირებული — სიტუაციის შესაცვლელად ეფექტური ქმედების ან ემოციური კონტროლის ძალა არ გვაქვს. ერთადერთი გზაა, შევეგუოთ სიტუაციას.

სტრესის დასაძლევადად მნიშვნელოვან როლს არულებს სოციალური მხარდაჭერა, რომლის მოპოვებაშიც პიროვნებას უნდა დაეხმაროს სოციალური მუშაკი. სოციალური მხარდაჭერა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც:

- ემოციური მხარდაჭერა
- დახმარება სოციალური კავშირების დამყარებაში
- ბენეფიციარის მნიშვნელოვნების დადასტურება
- დახმარება სანდო მხარდაჭერის მოპოვებაში
- რჩევა და საჭირო ინფორმაციის მიწოდება
- ფიზიკური და მატერიალური დახმარება
- პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრა
- გაგება და თანადგომა ემოციების დონეზე
- რეაქციების ნორმის ფარგლებში დაბრუნება
- ადაპტაციური მექანიზმების გაძლიერება
- თვითდახმარების და ურთიერთდახმარების სისტემების გაძლიერება
- თემის რესურსების და უნარის გამოყენება

სტრესის წყაროს გაცნობიერება პირველი და აუცილებელი საფეხურია.. თუ პიროვნებამ არ იცის, კონკრეტულად რა აძლიერებს სტრესს, რა განაპირობებს დისკომფორტს, რთული იქნება შესატყვისი დახმარების მოძიებაც.

სტრესთან გამკლავების მოსამზადებლად გამოიყენება „სტრესის საწინააღმდეგო აცრა“ — ადამიანი გონებით წინასწარ ემზადება ისეთი სტრესული სიტუაციისათვის, რო-

მელსაც თავს ვერაფრით აარიდებს. ნარმოსახვაში იწყებს მის გათამაშებას და ეძებს დაძლევის შესაძლო ვარიანტებს. სტრესის დაძლევის ასეთი მეთოდი იძლევა იმუნიზაციის ეფექტს სტრესის, შიშის და ტკივილის წინააღმდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება გააცნობიერებს სტრესის წყაროს და მის შესაძლო ზემოქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში, „დაამუშავებს“ ამ სტრესს ნარმოსახვაში, მაშინ ადამიანს შეეძლება, ამ სიტუაციებს გაცილებით უფრო მშვიდად და თავდაჯერებულად გაუმკლავდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტატანაშვილი. ზ. (2008). *კრიზისის ინტერვენცია: ტრენინგის დამხმარე მასალა*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. თბილისი, საქართველო
2. Parad H.J. & Parad L.G. (2005). *Crisis Intervention Book 2: The Practitioner's Sourcebook for Brief Therapy*.
3. Roberts A.R. (2000). *Crisis Intervention Handbook: Assessment, Treatment and Research*. New York: Oxford University Press

# თავი XIV: სოციალური სამუშაოს ზედამხედველობა

ეს თავი მიმოიხილავს სოციალური მუშაკის პროფესიაში ზედამხედველობის მნიშვნელობას. სოციალურ მუშაკებს აწვდის ინფორმაციას ზედამხედველობის ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და მხარდამჭერი ფუნქციების შესახებ. ყურადღებას ამახვილებს ზედამხედველობის პროცესზე და განიხილავს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკის როლს ზედამხედველობის პროცესში.

## 14.1 ზედამხედველობის მნიშვნელობა და განმარტება

სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში ზედამხედველობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ზოგადორგანიზაციულ კონტექსტში ზედამხედველობა გულისხმობს იმ მუშაკის სამუშაოს მეთვალყურეობას, რომელსაც შესაძლოა ნაკლები ცოდნა ან გამოცდილება ჰქონდეს, თუმცა ზედამხედველობა არ მოიცავს კონტროლს, არამედ გულისხმობს დაკვალიანებას პროფესიულ საკითხებში, პიროვნულ რჩევებს. სოციალურ სამუშაოში ზედამხედველობას მსგავსი, თუმცა უფრო ვრცელი დატვირთა აქვს. აქ ზედამხედველობის საჭიროება შეიქმნა პროფესიული პრაქტიკის განვითარების შედეგად, ასევე მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. **სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში ზედამხედველობა მიზნად ისახავს**

**ა) ბენეფიციარებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას და**  
**ბ) სოციალური მუშაკის პრაქტიკის დახვეწას.**

ზედამხედველობა ძლიერი მექანიზმია პიროვნული გაძლიერებისა და პროფესიული განვითარებისათვის. ეს გახლავთ ჩვეულებრივ მსგავს სფეროებში მომუშავე ორი ადამიანის (ზედამხედველობის ობიექტი და სუბიექტი) პარტნიორობა. ეს არის სასარგებლო ურთიერთობა, რომელიც ემყარება ურთიერთნდობასა და პატივისცემას. ზედამხედველი არის ერთგვარი გიდი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკოსს საჭირო მიმართულების მოძებნაში შემთხვევაზე მუშაობისას, პიროვნული და პროფესიული საკითხების მოგვარებაში. ზედამხედველობა საჭიროა როგორც დამწყები სპეციალისტებისთვის, ასევე რთული შემთხვევების დროს გამოცდილი სპეციალისტისთვისაც კი.

## 14.2 სოციალური სამუშაოს ზედამხედველობის ფუნქციები

სოციალურ სამუშაოში გამოყოფენ ზედამხედველობის სამ ძირითად ფუნქციას:

- ადმინისტრაციული,
- საგანმანათლებლო და
- მხარდამჭერი.

ზედამხედველობის ზემოაღნიშნული სამი ფუნქცია ჩამოაყალიბა სოციალური სამუშაოს მეცნიერმა ალფრედ კადუშინმა.<sup>14</sup>

<sup>14</sup> ალფრედ კადუშინი, სოციალური მუშაკი, მეცნიერი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა მე-20 საუკუნეში სოციალური სამუშაოს პრაქტიკის, კვლევის, განათლებისა და პოლიტიკის განვითარების საქმეში, როგორც აშშ-ში ასევე, მსოფლიოს მასშტაბით.



ზედამხედველობის **ადმინისტრაციული ფუნქცია** წინა პლანზე წამოსწევს ორგანიზაციულ ხედვას. ზედამხედველმა კარგად უნდა იცოდეს, თუ რისი მიღწევა სურს ორგანიზაციას. ადმინისტრაციული ზედამხედველობის მიზანია, რომ სოციალური მუშაკის პრაქტიკა შეესაბამებოდეს ორგანიზაციულ სტრატეგიასა და პოლიტიკას, მოქმედ კანონმდებლობას: იმავდროულად, ეფექტური სამუშაო გარემოსათვის ხელშეწყობა, ასევე პრაქტიკის სტანდარტების დამკვიდრება და შენარჩუნება. ადმინისტრაციული ზედამხედველობა მოიცავს ზეგავლენას, ფორმირებას, ხელმძღვანელობას, დაკვირვებას და შეფასებას სოციალურ მუშაკის საქმიანობისა. კადუშინის მიხედვით, ზედამხედველობის ადმინისტრაციული ფუნქცია, უპირველესად, გულისხმობს ორგანიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო, სწორ და ეფექტურ დამკვიდრებას. შესაბამისად, ადმინისტრაციული ფუნქცია ნიშნავს ზედამხედველობას სოციალური მუშაკის პრაქტიკაში ორგანიზაციის პოლიტიკის გასატარებლად.

ზედამხედველობის **საგანმანათლებლო ფუნქცია** გულისხმობს თითოეული სოციალური მუშაკის განათლებისა და პროფესიული განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რათა დაეხმაროს სოციალურ მუშაკს თავისი პოტენციალის გამოვლენასა და შესაძლებლობის განვითარებაში. კადუშინის მიხედვით, საგანმანათლებლო ფუნქცია ნიშნავს თანამშრომლის ცოდნის, ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების დახვეწა-გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო ფუნქციის მეშვეობით ზედამხედველობამ უნდა გაამდიდროს თანამშრომელთა პრაქტიკა შესაბამისი სიახლეებით. საგანმანათლებლო როლს ზედამხედველი ასრულებს ინფორმაციის მიწოდებით, სიმულაციების (როლური თამაშები) შეთავაზებით, თეორიებისა და მეთოდების განხილვით, და თვითანალიზის (საკუთარ მოქმედებათა გააზრება, შეფასება, კრიტიკა) შესაძლებლობის მიცემით. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია, რაც ეხმარება ზედამხედველობის მიმღებ სოციალურ მუშაკს შემდეგში:

- უკეთ გააცნობიეროს საკუთარი რეაქცია და გადაწყვეტილებები ბენეფიციარებთან მიმართებაში;
- გაიაზროს მისი და ბენეფიციარის ურთიერთობის დინამიკა;
- შეაფასოს განხორციელებული ინტერვენცია და ამ ინტერვენციის შედეგები;
- გაითვალისწინოს საკუთარი პრაქტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები სხვა ბენეფიციარებთან მუშაობის დროს.

ზედამხედველობის **მხარდამჭერი ფუნქცია** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც მონოდებულია დაეხმაროს სოციალურ მუშაკს, დაძლიოს სამუშაოსთან დაკავშირებული ყოველდღიური სტრესი, კმაყოფილი იყოს საკუთარი საქმით და ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილზე ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებას. დახმარებაზე ორიენტირებული პროფესიების სპეციალისტებში ხშირად აღინიშნება პროფესიული გადაწვა. გადაწვისთვის დამახასიათებელი ნიშნებიდან ყველაზე ხშირად გავრცელებულია დეჰუმანიზაცია, ქრონიკული ემოციური სტრესი, ფიზიკური და ემოციური გამოფიტვა, საკუთარი რესურსების გამოლევა, სამუშაოსადმი ინტერესის დაკარგვა და ალგზნებადობა. ზედამხედველობის მხარდამჭერი ფუნქცია კი პროფესიული გადაწვის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა. კადუშინის აზრით, ზედამხედველობის წინა ორი ფუნქცია ემსახურება ქმედით-საჭიროებებს, მაშინ, როცა მხარდამჭერი ფუნქცია ექსპრესიული საჭიროებებისათვის არის

აუცილებელი. ზედამხედველის დანიშნულებაა სოციალური მუშაკის სტრესული სიტუაციის პრევენცია, ხოლო სტრესის არსებობის შემთხვევაში — დახმარება მის დაძლევაში.

ზედამხედველს იმ სოციალური მუშაკის წინაშე, რომელსაც ზედამხედველობს, აქვს შემდეგი ვალდებულებანი::

- მისცეს მას საშუალება დააკვირდეს და გაანალიზოს განხორციელებული სამუშაოს პროცესი და შედეგი;
- დაეხმაროს სამომავლო გეგმების ჩამოყალიბებაში;
- გაუზიაროს თავისი მოსაზრება ზედამხედველობის მიმღებ პირს განხორციელებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;
- დაეხმაროს მას სამუშაოს განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
- დაეხმაროს მას, რათა შეუსაბამოს პრაქტიკა ეთიკურ ნორმებს და ეთიკური დილემების წარმოშობის დროს მიიღოს გადაწყვეტილება;
- გაუწიოს სოციალურ მუშაკს მხარდაჭერა როგორც პროფესიულ, ასევე პიროვნულ ასპექტებშიც;
- ხელი შეუწყოს სოციალურ მუშაკს, უკეთესად დაგეგმოს და გამოიყენოს საკუთარი პიროვნული და პროფესიული რესურსები;
- გამოკვეთოს სოციალური მუშაკის პროფესიული ზრდის საჭიროებანი მისივე პრაქტიკის საფუძველზე;
- წარმოადგინოს კონსტრუქციული და მიუკერძოებელი კრიტიკა პრაქტიკოსის მუშაობის შესახებ და საქმიანობის სრულყოფის მიზნით უზრუნველყოს იგი შესაბამისი რესურსებით;
- რეგულარულად შეაფასოს სოციალური მუშაკის პრაქტიკული საქმიანობა, გამოკვეთოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- უზრუნველყოს სამუშაოს მაღალი ხარისხი.

### 14.3 ზედამხედველობის პროცესი

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ზედამხედველობა გამოიყენება როგორც დამწყებ, ასევე უკვე გამოცდილ სპეციალისტებთან მათი საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.

ზედამხედველობის სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში. იგი, ძირითადად, დიალოგის ხასიათისა, თუმცა ასევე მოიცავს სოციალურ მუშაკის პრაქტიკაზე დაკვირვებასაც. დაკვირვება შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი დაკვირვების დროს ზედამხედველი აკვირდება სოციალური მუშაკისა და ბენეფიციარის ურთიერთობას, შესაძლოა ვიდეოჩანაწერის გამოყენებაც (ბენეფიციართან წინასწარ შეთანხმებით და კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით). ამ დროს აკვირდებიან კომუნიკაციისა და კონსულტაციის უნარ-ჩვევებს. არაპირდაპირი დაკვირვებაა, როდესაც ზედამხედველი ეცნობა სოციალური მუშაკის ჩანაწერებს, მაგალითად: შე-

ფასების ფორმებს, სამოქმედო გეგმას, და სხვა.

ზედამხედველობის პროცესს უნდა ჰქონდეს მონესრიგებული ხასიათი. ზედამხედველი და სოციალური მუშაკი წინასწარ ემზადებიან ზედამხედველობის პროცესისათვის და გეგმავენ თანამშრომლობის მიზანს. მოსამზადებელ ეტაპზე დასამუშავებელი მასალა მოიცავს შემდეგს: მაგალითად, შემთხვევის ჩანაწერების განხილვა, პრობლემური საკითხის განსახილველად როლური თამაშის მომზადება, თვითანალიზის დღიურის გაცნობა და სხვა.

ზედამხედველობის წარმატებული პროცესის ერთ-ერთი განმსაზღვრელია მის **რეგულარული** ხასიათი. სასურველია ზედამხედველობა ხორციელდებოდეს ყოველკვირეულად, ან სულ მცირე, თვეში ორჯერ. დამწყები პრაქტიკოსებისა და სტუდენტების შემთხვევაში, ზედამხედველობა შეიძლება მეტი სიხშირით განხორციელდეს შემთხვევის სირთულიდან და პრაქტიკოსის გამოცდილებიდან გამომდინარე.

ზედამხედველობას შეიძლება ჰქონდეს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ფორმატი. ზედამხედველობის სესიის საშუალო ხანგრძლივობა კვირაში 60 წუთით უნდა განისაზღვრებოდეს (ჯგუფური ზედამხედველობის შემთხვევაში სესიის ხანგრძლივობა შეიძლება 2 საათამდე გაიზარდოს)

როგორც წესი, ზედამხედველობის პროცესი გულისხმობს შემთხვევის განხილვას ან რაიმე ისეთი საკითხის წარმოდგენას, რომელიც პრაქტიკოსის ეჭვს იწვევს და ზედამხედველის პროფესიულ აზრს საჭიროებს. ზედამხედველობის პროცესში პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი წარმოადგენს იმ საკითხს (საკითხებს), რომელზეც ესაჭიროება მიმართულების მიცემა. ეს საკითხი შეიძლება იყოს **ეთიკურ დილემა** (კონფლიქტს პიროვნულ ღირებულებებსა და პროფესიულ ვალდებულებებს შორის), **კონკრეტული ჩარევის (ინტერვენციის) სტრატეგია**, ინტერვენციის განხილვა და შეფასება, ბენეფიციართან დაკავშირებული რამე სირთულისა თუ პრობლემის გადანყვეტის მიზნით **პროფესიული მსჯელობა**, სააგენტოს **პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისობა** სოციალური მუშაკის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ მომსახურებასთან, **შემთხვევის ჩანაწერების** (შეფასების ფორმების, ინტერვენციის გეგმის, მონიტორინგის ჩანაწერების, პროცესის ჩანაწერების) **განხილვა** მათი უკეთესად წარმოების მიზნით, ზედამხედველობის მიმღები პირის **თვითანალიზის დღიურის განხილვა** და სხვა. პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია ზედამხედველის მხრიდან საპასუხო შეფასება. იგი უნდა იყოს კონკრეტული. ზედამხედველობის პროცესში ერთობლივად უნდა განხილვებოდეს პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები.

ამასთან ერთად, ზედამხედველობის პროცესი შეიძლება უზრუნველყოფდეს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისათვის ახალი ცოდნისა თუ უნარ—ჩვევების გაზიარებას. მაგ., საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების გაცნობას კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში, ახალი ინტერვენციების ან სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიცემას, ორგანიზაციის ახალი პრიორიტეტებისა თუ პროგრამების გაცნობას და ა.შ.

ჯგუფური ზედამხედველობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზედამხედველის რჩევა, არამედ სხვა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისაც. . ჯგუფური ზედამხედველობა აძლევს საშუალებას სოციალურ მუშაკებს გამოთქვან აზრი და ერთობლივად იმსჯელონ ბენეფიციარის კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით. პროფესიულ ლიტ-

ერატურაში მითითებულია, რომ კონსტრუქციული კრიტიკა მიზანშეწონილი არ არის დამწყები პრაქტიკოსებისა და სტუდენტების მხრიდან. ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმ დროს, როდესაც სოციალური მუშაკები სფეროში გამოცდილი ადამიანები არიან.

ზედამხედველობის პროცესში შესრულებული სამუშაოსა და საპასუხო გამოხმაურების დასაფიქსირებლად გამოიყენება ზედამხედველობის პროცესის ჩანაწერები, რომლებიც უნდა ასახავდეს შემდეგს:

- ზედამხედველობის სესიის თარიღი და ხანგრძლივობა;
- ზედამხედველობის სესიის მოკლე შეჯამება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება განხილული საკითხები, პროგრესი ჩამოყალიბებულ მიზნებთან დაკავშირებით, მიცემული შეფასებები და რეკომენდაციები და ასევე წარმოდგენილი რესურსები;
- შესასრულებელი სამუშაოს გეგმა;
- ზედამხედველობის არშემდგარი სესიის დეტალები (ზედამხედველობის სესიის დაგეგმილი თარიღი, მიზეზი, რის გამოც ვერ ჩატარდა ზედამხედველობის სესია და მომავალი თარიღი).

მართალია, პროფესიონალი ზედამხედველი უშუალოდ არ არის ჩართული ბენეფიციარისთვის მომსახურების მიწოდებაში, მაგრამ იგი არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს მათთვის მომსახურების მიწოდების ხარისხზე. სწორედ ამიტომ პროფესიული ზედამხედველობის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში; არასათანადო ზედამხედველობის შემთხვევაში ზედამხედველი პასუხს აგებს ბენეფიციარის საჭიროებათა უგულვებლყოფისათვის და მისი არასწორი მომსახურებისათვის.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია გაეცეს შემდეგ კითხვას პასუხი: **ვინ შეიძლება განახორციელოს ზედამხედველობა?** პასუხი შემდეგია – სოციალურმა მუშაკმა. თუმცა, ეს პასუხი ამომწურავი არ არის, რადგან მნიშვნელოვანია ზედამხედველი სოციალური მუშაკისათვის აუცილებელი მოთხოვნების განსაზღვრა. იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური მუშაკის პროფესია განვითარებული და ხარისხზე ორიენტირებულია, მკაცრად განსაზღვრულია ზედამხედველი სოციალური მუშაკის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და როგორც წესი, მოიცავს მინიმუმ სამაგისტრო ხარისხს, პრაქტიკის სულ მცირე ორწლიან გამოცდილებას (პრაქტიკის, რომელიც განხორციელებულია ზედამხედველობის ფარგლებში) და სპეციალურ მომზადებას ზედამხედველობის პროცესში. ქვეყნები, სადაც სოციალური სამუშაო ახალბედა პროფესიაა და განვითარების პროცესშია, სასურველია გარკვეული მოთხოვნების დანესება, როგორცაა, მაგალითად, სამუშაო გამოცდილება, განათლება თუ საკანონმდებლო არა, ორგანიზაციულ დონეზე მაინც, ასევე, სპეციალისტების მომზადება ზედამხედველობის საკითხებზე.

## 14.4 სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის სფეროში

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის სამსახურში სოციალურ მუშაკთა ზედამხედველობას ახორციელებს უფროსი სოციალური მუშაკი. უფროსი სოციალური მუშაკი სამუშაო აღწერილობის მიხედვით ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს, კერძოდ:

- განიხილავს და ანაწილებს შემთხვევებს და სოციალურ მუშაკთან ერთად განსაზღვრავს შემთხვევის წარმართვის გეგმას;
- ეხმარება მის დაქვემდებარებაში მყოფ სოციალურ მუშაკებს ყოველთვიური სამოქმედო გეგმის შედგენასა და განხორციელებაში;
- მეთვალყურეობს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულების პროცესს;
- ორგანიზებას უწევს ოჯახისა და ინდივიდუალურ შემთხვევათა კონფერენციის მოწყობას და მონაწილეობას იღებს კონფერენციებში;
- რეგულარულად აფასებს თითოეული სოციალური მუშაკის მიერ შესრულებულ სამუშაოს (შემთხვევების რაოდენობის აღრიცხვა, სოციალური მუშაკის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, მათი პროფესიული საჭიროების გამოკვეთა);
- გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს ბავშვზე ზრუნვის სფეროში საზოგადოების ინფორმირებისათვის;
- სოციალურ მუშაკთან ერთად გეგმავს და ატარებს ტრენინგებს მინდობითი აღმზრდელებისათვის და ზედამხედველობას უწევს სოციალური მუშაკების მიერ ტრენინგების ჩატარებას;
- ზედამხედველობას უწევს ოჯახებთან დადებული ხელშეკრულებების არსებული მოთხოვნების დაცვით მომზადებას და უზრუნველყოფს სააგენტოს ცენტრალური ორგანოსათვის მათ დროულ გადმოცემას;
- განიხილავს სოციალური მუშაკის მიერ მომზადებულ შემთხვევას და ნებართვას აძლევს შემთხვევის საბჭოზე წარდგენას;
- თანამშრომლობს სააგენტოს რეგიონალურ სამსახურთან, რათა განახორციელოს რეგიონალური საბჭოს მუშაობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აღნიშნული ვალდებულებებიდან გამომდინარე, უფროსი სოციალური მუშაკის როლი ზედამხედველობის პროცესში მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, (მენეჯერულ), ისე პროფესიულ ზედამხედველობას, რომლის ძირითადი მიზანია შემთხვევებზე მუშაობის პროცესში სოციალური მუშაკის დაკვალიანება, ასევე მისი პროფესიული ზრდა-განვითარების ხელშეწყობა.

---

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barker, R. (1999). *Social Work Dictionary*. NASW Press: Washington, DC.
2. Kadushin, A. (1992). *Supervision in Social Work*. Columbia University Press: New York
3. NASW National Council on the Practice of Clinical Social Work. (1994). *Guidelines for Supervision in Clinical Social Work Practice*. NASW Press: Washington, DC.
4. Proctor B. (1967). *Supervision in Social Work*. Columbia University Press

*ნამიჭეიშვილი სალომე, ასოცირებული პროფესორი, თსუ*

*საკითხავი მასალა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის*

*საგანი: სოციალური მუშაობა და ბავშთა დაცვა*

*2016 წელი*

## **1. ბავშვის ოჯახისგან განცალკევება, განცალკევების პრევენცია, ოჯახში რეინტეგრაცია - საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა**

### **1.1. ბავშვის ოჯახისაგან განცალკევება**

#### *ოჯახისაგან განცალკევების მიზეზები*

ხშირად სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, მათ შორის ოჯახური და საზოგადოებრივი სტრესორების კომბინაცია, განაპირობებს ბავშვების მშობლებისგან განცალკევებასა და მათ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრას. ეს ფაქტორებია: მშობლების, ასევე, ბავშვის გარშემო სხვა მზრუნველის არარსებობა, სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა, ოჯახის წევრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის შემადგენლობის შეცვლა (განქორწინება, მშობლის მეორე ქორწინება), ეთნიკური წარმომავლობა, ოჯახის მიგრაცია, ძალადობა ოჯახში, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა და ბავშვის ასოციალური ქცევა. ამ ფაქტორებს შორის აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა სახელდება (Rasell & Iarskaia-Smirnova, 2013). გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 17-ჯერ უფრო მეტი ალბათობით ხვდებიან ინსტიტუციებში, ვიდრე ჯანმრთელი ბავშვები (Palayret, 2012).

ბავშვის უფლებებზე ზემოაღნიშნული ფაქტორების ნეგატიური გავლენების ნიველირება სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა თანმიმდევრული ოჯახის გაძლიერების პოლიტიკის დანერგვით (UNICEF, 2010).

ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს 24-საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების საფუძვლების დაცვა. 24-საათიან ზრუნვაში ბავშვის განთავსების

ლეგიტიმური საფუძვლები, ძირითადად, შემდეგია: ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, ან ძალადობის რისკის წინაშე; ბავშვი მიტოვებულია ან ორივე მშობლით ობოლია და არ არსებობს ისეთი პირი, რომელიც იზრუნებს მასზე. ხშირად ბავშვების მშობლებისგან განცალკევება ხდება შესაბამისი მიზეზების არარსებობის შემთხვევაშიც (Eurochild, 2013). სიღარიბის, გაბატონებული ცრურწმენების, შეზღუდული შესაძლებლობისა და სოციალური გარიყულობის გამო არ უნდა ხდებოდეს ბავშვის ოჯახისგან განცალკევება. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების, ფინანსური ტრანსფერების, სოციალური საცხოვრისისა და სიღარიბის დაძლევის სხვა ზომების მეშვეობით ოჯახებმა უნდა შეძლონ, გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს.

### ***ოჯახისგან განცალკევებულ ბავშვებზე ზრუნვის ფორმები***

#### ***ინსტიტუციური ზრუნვა***

დღესდღეობით თანხმდებიან იმაზე, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას (Parker, 2011). ინსტიტუციური ზრუნვის კულტურისთვის დამახასიათებელია შემდეგი ელემენტები: დეპერსონალიზაცია, მკაცრი რუტინები, კოლექტიური მოპყრობა და სოციალური გაუცხოება. დაწესებულების ზომა და ბავშვთა რაოდენობა პროპორციულ კავშირშია ინსტიტუციური კულტურის თავისებურებებთან. რაც უფრო დიდი ზომის არის დაწესებულება, ბავშვებს ინდივიდუალური განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უფრო ნაკლები შანსები აქვთ (Costa, 2012).

ინსტიტუციურ ზრუნვას შეუძლია გრძელვადიანი გავლენის მოხდენა ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძნობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (Williamson & Greenberg, 2010). ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა გრძელვადიანია და მისი ეფექტები ვლინდება 18 წლის შემდეგაც, როდესაც გარემოსთან ადაპტაციის



პრობლემები იჩენს თავს განათლების მიღებისა და დასაქმებისას (Mare, 2006). ხშირია სკოლის მიტოვება, დაუსაქმებლობა, უსახლკარობა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, რაც, თავის მხრივ, სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობას განაპირობებს.

ინსტიტუციური ზრუნვა განსაკუთრებით საზიანოა 3 წლამდე ბავშვებისთვის. (UNICEF, 2011). გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, ადრეული ბავშვობის განმარტება უნდა მოიცავდეს ყველა ბავშვს 8 წლამდე (The UNICEF Innocenti Research Centre, 2006; Committee on the Rights of the Child, 2005, par. 4). ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა უნდა იყოს ერთადერთი ალტერნატივა ამ ასაკის ბავშვებისთვის (United Nations, 2006). ხოლო 8 წლის ზემოთ ბავშვებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ისინი აღიზარდონ ოჯახურ გარემოში, ან ოჯახზე დაფუძნებულ ალტერნატიულ მომსახურებაში.

ინსტიტუციური ზრუნვა, რომელშიც, ასევე, იგულისხმება მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბავშვებისთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა (Council of Europe, 2005).

#### *ზრუნვის ალტერნატიული ფორმები*

ოჯახისგან განცალკევებული ბავშვებისათვის ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატივაა ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვა (ნათესაური მინდობით აღზრდა<sup>1</sup>; მინდობით აღზრდა<sup>2</sup>; ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის სხვა სახეები; ზედამხედველობის ქვეშ ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების ფორმები<sup>3</sup>).

ერთი მხრივ, რეზიდენტული ზრუნვა, რომელიც ერთი ინსტიტუციის ფარგლებში ბევრ ბავშვს ემსახურება, უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, თუმცა ამ შემთხვევაში ზრუნვის სტანდარტების ხარისხი და ბავშვის ფუნდამენტური უფლებები არ არის გათვალისწინებული

<sup>1</sup> ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა – ბავშვი განთავსებულია ნათესავებთან.

<sup>2</sup> კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვების განთავსება ხდება ოჯახში, რომელიც არ არის ბავშვის ნათესავი.

<sup>3</sup> ახალგაზრდები ცხოვრობენ ბინებში რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ და იღებენ სახელმწიფო მხარდაჭერას.

(Costa, 2012). მეორე მხრივ, დაბალი ხარისხის ინსტიტუციური ზრუნვა სახელმწიფოს გრძელ ვადაში უფრო ძვირი უჯდება სოციალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და საჯარო უსაფრთხოების ხარჯების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ხარისხის ოჯახსა და თემზე დაფუძნებული მომსახურება ძვირია, კომპლექსური და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის პრიორიტეტი უნდა მიეცეს ბავშვის ცხოვრების ხარისხს (Costa, 2012). ამავე დროს, ბავშვთა მომსახურებების რეფორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს ადრეულ ინტერვენციაზე, ოჯახის მხარდაჭერასა და რეინტეგრაციაზე, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაზოგოს დანახარჯები გრძელვადიან პერსპექტივაში (Costa, 2012).

### ***ინსტიტუციებიდან გადასვლა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე***

თანამედროვე მიდგომების მიხედვით, ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა უნდა იყოს ერთადერთი ალტერნატივა ბავშვებისთვის (ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, 1996). დეინსტიტუციონალიზაცია, ეს ტერმინი გავრცელებული განმარტების მიხედვით, გულისხმობს დიდი ზომის დაწესებულებების დახურვას, თუმცა ეს ტერმინი არ მოიაზრებს მხოლოდ დიდი ზომის დაწესებულებების დახურვას, არამედ ინსტიტუციებიდან გადასვლას ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე (Bilson & Harwin, 2003). დეინსტიტუციონალიზაცია ქვეყნის ალტერნატიული ზრუნვის სისტემის რეფორმირების პროცესია, რომლის მიზნები შემდეგია: ინსტიტუციურ ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირება ოჯახისა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურებების მიწოდების გაზრდით; ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია მათთვის ადეკვატური მხარდაჭერის მიწოდებით; ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის ახალგაზრდების მომზადება, მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და უმტკივნეულო გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე (SoS Children's Villages International & International Social Service, 2009).

### ***„ჭიშკრის დარაჯობის“ მექანიზმი***

ეფექტიანი „ჭიშკრის დარაჯობის“ („გეითქიფინგის“) მექანიზმის არსებობა აუცილებელია იმისთვის, რომ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა განხილული იყოს,

როგორც უკანასკნელი ზომა (Bilson & Harwin, 2003). „ჭიშკრის დარაჯობის“ მექანიზმი სთავაზობს რა ბავშვებსა და ოჯახებს ოჯახის მხარდამჭერ მომსახურებებს, უზრუნველყოფს, რომ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა იყოს უკიდურესი ზომა. „ჭიშკრის დარაჯობა“ გულისხმობს ინსტიტუციებში/დან, მათ შორის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში/დან (თუმცა არა მხოლოდ, არამედ მთლიანად 24-საათიან ზრუნვაში/დან, რომელიც ასევე მოიცავს მინდობით აღზრდასაც) ბავშვების შესვლისა და გამოსვლის კონტროლს. „ჭიშკრის დარაჯობა“ შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24-საათიანი ზრუნვის სისტემაში განთავსებისგან. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება საკანონმდებლო ზომების გატარებით (მორატორიუმის გამოცხადება, ჩარიცხვის საკანონმდებლო მოთხოვნების გამკაცრება), ასევე, ეკონომიკური ზომების განხორციელებით (ადგილობრივი მთავრობები, ინსტიტუციების ნაცვლად, აფინანსებენ სათემო ზრუნვას).

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა უკიდურესი აუცილებლობაა, მაშინ შეიძლება იყოს განხილული ოჯახის ჩამნაცვლებელი შემდეგი მომსახურებები: ნათესაური მინდობით აღზრდა (ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა, როდესაც ბავშვი განთავსებულია ნათესავებთან); მინდობითი აღზრდა (კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვი განთავსებულია ოჯახში, რომელიც არ არის ბავშვის ნათესავი. ეს ოჯახი წინასწარ შერჩეული, შეფასებული და დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და, ასევე, რეგულარული ზედამხედველობისა და მონიტორინგის ქვეშ იმყოფება); ოჯახზე დაფუძნებული სხვა ტიპის ზრუნვის ფორმები; რეზიდენტული ზრუნვა (მიეწოდება არა ოჯახზე დაფუძნებულ გარემოში, არამედ ინსტიტუციურ გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია ბავშვის უსაფრთხოება და მისი განთავსება შეიძლება გადაუდებელ სიტუაციებში. არსებობს როგორც ტრანზიციული, ასევე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის. რეზიდენტული/ინსტიტუციური ტიპის დაწესებულებაა მაგ. მცირე საოჯახო ტიპის

სახლები); ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებელი ცხოვრების ფორმები (ახალგაზრდები ცხოვრობენ ბინებში რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ და იღებენ მხარდაჭერას, ძირითადად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისგან (SOS Children's Villages International; International Foster Care Organization; & International Federation of Educative Communities, 2007).

დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ფარგლებში შექმნილ ახალ სახლებში, სადაც ხდება ბავშვების გადაყვანა დიდი ზომის დაწესებულებებიდან, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მიჯაჭვულობისა და სითბოს ნაკლებობას (ორგანიზაცია „ევროჩაილდის“ წევრი ქვეყნების გამოცდილებით). თუ ახალი ჩვევები, მენტალიტეტი, ბავშვებთან მუშაობის გზები და მეთოდები არ იქნა დანერგილი და წახალისებული ადმინისტრაციის მიერ, დიდი რისკია, რომ ეს ახალი სახლები „პატარა ინსტიტუციებად“ დარჩეს (Eurochild, 2014).

### ***მიჯაჭვულობის თეორია***

მიჯაჭვულობის თეორია ერთ-ერთი ყველაზე მეტად შესწავლილი თეორიაა დღეს ფსიქოლოგიაში. მიჯაჭვულობის თეორია საფუძველს იღებს მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მრავალი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, ბევრი ბავშვი დაობლდა. მათ უმეტესობას ცხოვრებაში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნათ. ამ პერიოდში ბრიტანელმა ფსიქიატრმა და ფსიქოანალიტიკოსმა ჯონ ბოულბიმ შეიმუშავა მიჯაჭვულობის თეორია. ბოულბი, რომელიც ამ თეორიის მამად ითვლება, დაინტერესდა იმ გავლენით, რასაც ახდენს მშობლებთან ბავშვის ადრეული განშორება მისი პიროვნების განვითარებაზე.

ჩვენი ინტერესი აღნიშნული თეორიისადმი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სწორედ მიჯაჭვულობის თეორიამ დაუდო საფუძველი დასავლეთში ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენციის პოლიტიკებისა და კოლექტიური ზრუნვის მოდელის უარყოფას.

მიჯაჭვულობის მოდელი ხსნის ჩვილი ბავშვის ქცევის თავისებურებებს მზრუნველთან ურთიერთობის, მასთან განშორებისა და კვლავ შეხვედრისას. მიჯაჭვულობა ჩვილობისას ყალიბდება და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე (Elliot & Reis, 2003). ბოულბისა და ეინსვორტის შრომებში საკვანძო სიტყვებია: ემოციური კავშირი, მიჯაჭვულობა და მიჯაჭვულობის ქცევა. მიჯაჭვულობა არის ძლიერი ურთიერთკავშირი ადამიანებს შორის, რომელიც განუსაზღვრელი დროით ნარჩუნდება, მაშინაც კი, როცა ეს ადამიანები ერთმანეთს სცილდებიან. ეს არის ემოციური კავშირის ქვესახეობა, რომელიც დროსაც ემოციურ ურთიერთობას თან ახლავს დაცულობას გრძნობა (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2011). ბოულბის თანახმად, ბავშვის ემოციური მიჯაჭვულობა უფროსისადმი არის ევოლუციურად მნიშვნელოვანი რეაქცია, რომელიც განაპირობებს მის გადარჩენას, ვინაიდან ის უზრუნველყოფს როგორც დაცულობის გრძნობის ფორმირებას, აგრეთვე, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას). ბოულბის თეორიის თანახმად, განვითარების პროცესში ბავშვი გადის მასზე მზრუნველის, ჩვეულებრივ, დედისადმი მიჯაჭვულობის განვითარების ფაზების სერიას და მზრუნველს, როგორც "უსაფრთხოების ბაზას" იყენებს. ბოულბის მიხედვით, ჩვილის ურთიერთობა მშობლებთან იწყება თანდაყოლილი სიგნალებით, რომლებიც აიძულებენ უფროსს, ბავშვს ყურადღება მიაქციოს.

მიჯაჭვულობა და შემეცნების სისტემები ცენტრალურია ამ თეორიაში. მოზრდილის მიმართ მიჯაჭვულობის გარეშე ბავშვი სრულფასოვნად ვერ ვითარდება. პოზიტიური ემოციური კავშირი მოზრდილსა და ბავშვს შორის ეხმარება მას, დაძლიოს შიში, შფოთვა, გაუმკლავდეს სტრესს და შეიმეცნოს სამყარო. პოზიტიური მიჯაჭვულობა ბავშვის ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ემოციური იმპულსების კონტროლის უნარის ფორმირებას, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გაჩენას, საკუთარი და სხვა ადამიანების გრძნობების აგების უნარის გამომუშავებას, სხვა ადამიანებთან საერთო ენის

გამონახვას უწყობს ხელს. მიჯაჭვულობის დარღვევა ზეგავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ კონტაქტებზე, სინდისზე, პირადი ღირსების გრძნობების ჩამოყალიბებაზე, ემპათიის უნარზე, არამედ ის ბავშვის ემოციური, სოციალური, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას იწვევს. მიჯაჭვულობის პატერნი შეიძლება გადაეცეს ერთი თაობიდან მეორეს, ანუ ბავშვობის გამოცდილება გავლენას ახდენს საკუთარ შვილებთან ემოციური კავშირის ფორმირებაზე (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2011). ასევე, ამ თეორიის მიხედვით, ჩვილობისას ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობა გავლენას ახდენს ზრდასრულობაში მჭიდრო ემოციური კავშირების ჩამოყალიბების უნარზე. ბევრი სირთულე ქცევასა და სოციალურ ადაპტაციაში, რომლებიც აქვთ ბავშვებს, დაკავშირებულია ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის დარღვევასთან.

ბოულბიმ შექმნა საფუძვლები ეინსვორტის მიჯაჭვულობის თეორიისთვის. ეინსვორტის მიხედვით, მიჯაჭვულობა უვითარდება პრაქტიკულად ყველა ბავშვს, მაგრამ მისი ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეინსვორტის თანახმად, მიჯაჭვულობა თანდათან ყალიბდება და მასში აისახება ის მოლოდინები, რომლებიც ბავშვს დედის მიმართ აქვს. ბავშვის რეაქცია სტრესზე და მზაობა, მიმართოს დედას თანაგრძნობისთვის, დამოკიდებულია ბავშვის გამოცდილებაზე და იმაზე, თუ რას ელის ის დედისგან. ეინსვორტი წლების განმავლობაში აკვირდებოდა ადრეული ასაკის ბავშვების (12-18 თვე) და მათი დედების ურთიერთობას. მიჯაჭვულობის ხარისხის შესაფასებლად მან თავის კოლეგებთან ერთად შექმნა კვლევის პროცედურა - „უცნობი ადამიანის სიტუაცია“. ეინსვორტის მიხედვით, „უცნობი ადამიანის სიტუაციაში“ ბავშვები განსხვავებულად იქცევიან - თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, განსხვავებულად რეაგირებენ ოთახიდან დედის გასვლაზე, ოთახში უცნობის შემოსვლაზე და, რაც ყველაზე მთავარია, დედის დაბრუნებაზე.

ეინსვორტმა გამოყო მიჯაჭვულობის 4 ტიპი: სანდო მიჯაჭვულობა, განრიდებული მიჯაჭვულობა, ამბივალენტური მიჯაჭვულობა, დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა. სანდოდ მიჯაჭვული ბავშვებისთვის მშობელი განიხილება, როგორც სანდო ბაზა. ბავშვმა იცის, რომ როცა მას დასჭირდება, მშობელი ყოველთვის იქნება მისთვის ემოციურად ხელმისაწვდომი. განრიდებული და ამბივალენტური მიჯაჭვულობის მქონე ბავშვები დარწმუნებულები არ არიან იმაში, რომ მშობლის ნდობა შეიძლება და ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური საფრთხის დროს ისინი იქნებიან დაცულნი და მიიღებენ თანაგრძნობას მშობლისგან. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არასანდო მიჯაჭვულობის ეს ორი ტიპი უზრუნველყოფს დაცვის გარკვეულ ხარისხს. დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა ეს არის მიჯაჭვულობის ყველაზე სუსტი ტიპი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში ვხვდებით მშობლებს შორის ურთიერთობის გავლენის მნიშვნელობას მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე. მშობლების კონფლიქტი გავლენას ახდენს ბავშვს ან მოზარდს და დედას შორის სანდო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე, რაც ამცირებს მშობლობის ეფექტიანობას (Markiewicz, Doyle, & Brendgen, 2001). ამასთანავე, დამაბულმა ცოლ-ქმრის ურთიერთობამ შეიძლება, გამოიწვიოს მამის მარგინალიზაცია ოჯახში და გახადოს იგი ფიზიკურად და ემოციურად მიუწვდომელი ბავშვებისთვის (Markiewicz, Doyle, & Brendgen, 2001).

მიჯაჭვულობის თეორიის კრიტიკოსები არიან ჰარისი (Harris, 1998) და ფილდი (Field, 1996). ისინი არ ეთანხმებიან ამ თეორიას და მიაჩნიათ, რომ მშობლის როლზე აქცენტი გადამეტებულია მიჯაჭვულობის თეორიაში. ჰარისი, ასევე, არ იზიარებს დაშვებას აღზრდის შესახებ. ის მიიჩნევს, რომ თანატოლებს დიდი გავლენა აქვთ ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ასევე, იმ გარემოს, რომელშიც ბავშვი იზრდება. ჰარისს მიაჩნია, რომ მშობლები არ აყალიბებენ ბავშვის პიროვნებას ან ხასიათს, არამედ მშობლებზე მეტი გავლენა თანატოლებს აქვთ. თუმცა, ამ კრიტიკის

საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიჯაჭვულობის თეორია დიდ აქცენტს აკეთებს აღზრდის მნიშვნელობაზე, რადგან ბავშვებს ცხოვრების კარგა ხნის მანძილზე ხელმძღვანელობენ მშობლები. ბუნება და თანდაყოლილი თვისებები მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც ბავშვები იზრდებიან, იძენენ მეგობრებს, ხელმძღვანელობენ ინსტინქტებით, ფიქრებით და მათთვის წამყვანია, რასაც მათი თანატოლები ფიქრობენ და გრძნობენ.

ამ თეორიის კრიტიკული მიმოხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ერთი მხრივ, ვეთანხმებით, ჰარისის მოსაზრებას, რომ გენები თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბავშვის აღზრდაში, თუმცა, ამავდროულად, მივიჩნევთ, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება და ასევე, ის, თუ როგორ აღზრდით, როგორ ვურთიერთობთ ბავშვთან, გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. მიჯაჭვულობის პატერნები შეიძლება შენარჩუნებული იყოს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ადამიანთა უმრავლესობას აქვს პიროვნული ზრდის პოტენციალი, თუმცა ამისათვის მათ შეიძლება დასჭირდეთ პროფესიული დახმარება.

## **1.2. ოჯახისგან განცალკევების პრევენცია და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია**

ბავშვზე ზრუნვის სისტემის მთავარი მიზანია ბიოლოგიური ოჯახისგან ბავშვების განცალკევების პრევენცია. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების მთავარი ამოცანა კი მათი კვლავ ოჯახში რეინტეგრაციაა<sup>4</sup> (Costa, 2012).

### ***ზრუნვის სისტემიდან გასვლა***

ოჯახის ჩამნაცვლებელი 24 საათიანი ზრუნვის სიტემიდან გასვლის ორი ფორმა არსებობს (შვილად აყვანის გარდა, რომელიც ამ ნაშრომში არ არის განხილული): ბავშვის ოჯახში რეინტეგრაცია (ბავშვის დაბრუნება თავის ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავებთან); ბავშვის მიერ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება (როდესაც

---

<sup>4</sup> ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავებთან.



ბავშვი აღწევს მოწიფულობას, აქვს შესაძლებლობები, ცოდნა და იღებს საკმარის დახმარებას, რათა შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება).

ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავების ოჯახში რეინტეგრაციისას მნიშვნელოვანია ოჯახის მომზადება ბავშვის მისაღებად, გაწყვეტილი კავშირების აღდგენა და ოჯახისთვის მხარდამჭერი ფსიქო-სოციალური მომსახურებებისა და მატერიალური მხარდაჭერის მიწოდება. რეინტეგრაციის დროს სოციალური მუშაკი არის შემთხვევის მთავარი მენეჯერი, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას შემთხვევასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს, თუ რა მომსახურება სჭირდება ოჯახს, უწევს კონსულტირებას ოჯახის წევრებსა და ბავშვს, აკავშირებს მათ სხვადასხვა მომსახურებასთან, ახორციელებს რეგულარულ ზედამხედველობას, მონიტორინგს და სთავაზობს მხარდაჭერას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (Eurochild, 2014).

დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც იწყება მოზარდობის პერიოდიდან და 21 წლამდე, ან მის შემდეგაც გრძელდება. ზოგადად, ახალგაზრდებს შეუძლიათ, დაეყრდნონ თავიანთ ოჯახებს, იწყებენ რა სწავლას, მუშაობასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას; ხოლო სახელმწიფო ზრუნვაში გაზრდილი ბავშვები, როგორც წესი, ოჯახებისგან მსგავს მხარდაჭერას მოკლებულნი არიან (SoS Children's Villages International & International Social Service, 2009). ისინი მოწყვლადები არიან ტრავმირებული ბავშვობის გამო. უმნიშვნელოვანესია, რომ ზრუნვის სისტემის დატოვების პროცესი კარგად დაიგეგმოს და მოხდეს მათი ამ პროცესისთვის მომზადება. რაც უფრო ადრეულ ეტაპზე დაიწყება ზრუნვის დატოვებისათვის მზადება, უფრო უკეთესია, რადგან ახალგაზრდა ფსიქოლოგიურად, კოგნიტურად და სოციალურად უფრო მოწიფული შეხვდება თავის ცხოვრებაში ამ ახალ ეტაპს (UNICEF, 2010). დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის პროცესში ახალგაზრდას მხარს უნდა უჭერდეს სპეციალისტი, რომელიც მის დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის პროცესს ფასილიტაციას გაუწევს. საცხოვრებლისა და ფინანსური შემწეობის გარდა,

ახალგაზრდა ფსიქოლოგიურად კარგად უნდა მომზადდეს, პოზიტიური თვითშეფასება უნდა ჰქონდეს, ასევე, ჰქონდეს უნარები, დაამყაროს და შეინარჩუნოს ურთიერთობები (Eurochild, 2014).

### ***ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკები***

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ბავშვის ოჯახის მხარდაჭერით (UNICEF, 2007). აღნიშნული კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, „კონვენციაში გამოკვეთილ უფლებათა განხორციელების გარანტიის შექმნისა და ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწევენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი და უზრუნველყოფენ ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუტების, მექანიზმებისა და მომსახურებების განვითარებას ბავშებისათვის“. კონვენციის მე-9 მუხლი ხაზს უსვამს ოჯახში ცხოვრების უპირატესობას. “ბავშვს უფლება აქვს, არ დაშორდეს თავის მშობლებს, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს“. 27-ე მუხლი აღნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვიანი ოჯახები მატერიალური დახმარებითა და მხარდაჭერის პროგრამებით. მე-19 მუხლი, ბავშვის უფლება, დაცული იყოს ყველა ტიპის ძალადობისგან, ყურადღებას ამახვილებს ისეთი სოციალური პროგრამების დანერგვის აუცილებლობაზე, რომელთა მიზანია პრევენციული ღონისძიებების გატარება ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად.

სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია ბავშვის უფლებების რეალიზებისათვის. ეს უფლებები უნივერსალურია და მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ეტაპს. მხარდაჭერა განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვის ადრეული განვითარებისა და მოზარდობის ეტაპზე (ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989).

ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისთვის ცენტრალურია პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა. პოზიტიური მშობლობა, ეფუძნება რა ბავშვის უფლებების აღიარებას, გულისხმობს ბავშვზე ზრუნვას, ზედამხედველობას, გაძლიერებასა და არაძალადობრივ აღზრდას (Council of Europe, 2006).

ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპი, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ინვესტიციას ბავშვიან ოჯახებში. ევროპული მიდგომები აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, უნივერსალური პოლიტიკების არსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი მიზნობრივი პოლიტიკების შემუშავებაზე, რომლებიც ორიენტირებულია მოწყვლად მოსახლეობაზე და, ამავდროულად, არ უნდა ახდენდეს მათ სტიგმატიზაციას (Council of Europe, 2006).

ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკების ამოცანები შემდეგია: შრომის ბაზარზე მშობლების მონაწილეობის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მათ დახმარებას, წარმატებით შეათავსონ ოჯახი და პროფესიული ცხოვრება; ადრეული ბავშვობის პერიოდში განათლებასა და ზრუნვაში ინვესტირება; ადეკვატური ცხოვრების სტანდარტების შეთავაზება ოჯახებისთვის სხვადასხვა ბენეფიტის კომბინირების მეშვეობით; ბავშვების მხარდაჭერა, მონაწილეობა მიიღონ თამაშში, კულტურულ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში; ოჯახის მხარდამჭერი და ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების გაძლიერება (Council of Europe, 2006).

### ***ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება***

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ოჯახში ბავშვების მდგომარეობაზე (Eurochild, 2013). ამ ტიპის მომსახურების მიმართულებებია: მშობლების განათლება, ბავშვზე ზრუნვაში დღის განმავლობაში დახმარება, ოჯახებისთვის სამართლებრივი კონსულტაციები, ოჯახის/ინდივიდუალური თერაპიული მხარდაჭერა და მომსახურებებთან დაკავშირება. უფრო კონკრეტულად,

სახელმწიფომ შემდეგი ტიპის მომსახურების მეშვეობით უნდა გააძლიეროს ოჯახები: ოჯახის დაგეგმვა; პრე-ნატალური ზრუნვა; ჩვილობაში მიტოვების პრევენცია (მაგ. გადაუდებელი მხარდაჭერა სამშობიარო სახლებში); ადრეული ბავშვობის მომსახურება (მაგ. დღის ცენტრები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, ისწავლონ და ითამაშონ); მომსახურება მშობლობის უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად; კრიზისში მყოფი ოჯახებისთვის გადაუდებელი მომსახურება (მაგ. კონსულტირება, გადაუდებელი მინდობით აღზრდა); სკოლის შემდგომი ზრუნვა; სპეციალიზებული მომსახურება და ფინანსური მხარდაჭერა კომპლექსური/სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის; დასაქმების ხელშემწყობი სათემო ცენტრები და იურიდიული კონსულტაციები. ეს მომსახურებები, შესაძლოა, კონცენტრირებული იყოს ერთ ლოკაციაში („one stop shop” მოდელი), რომელიც თემის მაცხოვრებლებს მხარდამჭერი მომსახურებების ფართო სპექტრს სთავაზობს (Bilson & Harwin, 2003).

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები, ძირითადად, მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. დასტურდება მათი დადებითი გავლენა დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos, Byrne, Pena, & Villa, 2013).

### ***ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა სოციალური დაცვის კონტექსტში***

მშობლობა განსაკუთრებით რთულდება სოციალური გარიყულობის რისკების არსებობისას. ამდენად, ოჯახებისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური უფლებების გარანტიები. გაეროს ბავშვთა ფონდი ცენტრალურ ადგილს ანიჭებს ოჯახისა და მშობლობის მხარდაჭერას სოციალური დაცვის დღის წესრიგში. ფონდის მიხედვით, სოციალური დაცვა განისაზღვრება როგორც საჯარო და კერძო პოლიტიკებისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელთა მიზანია პრევენცია, სიღარიბისა და დეპრივაციის გამომწვევი ეკონომიკური და სოციალური

მოწყვლადობის შემცირება და აღმოფხვრა (UNICEF, 2012 a). სოციალური დაცვის უფლებას ფონდი განმარტავს, როგორც საბაზისო შემოსავალზე, ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე, თავშესაფარსა და საცხოვრისზე, წყლისა და სანიტარულ პირობებზე, საკვებსა და განათლების ყველაზე საბაზისო ფორმებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკების არსებობას.

უკვე დიდი ხანია, არსებობს სოციალური დაცვის მოქმედი სისტემები, მაგრამ, ძირითადად, შედარებით განვითარებულ ქვეყნებში. დღესდღეობით გამოცდილება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია, სოციალური დაცვის გარკვეული ფორმა არსებობდეს ყველა ქვეყანაში (Global Coalition for Social Protection Floors, 2014).

სოციალური დაცვა ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენს მონაწილეობის, სამართლიანობისა და მდგრადობის პრინციპებზე დაფუძნებული განვითარებისათვის. ასევე, სოციალური დაცვის სისტემა ზრდის გამძლეობას ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების, ეკონომიკური და სოციალური კრიზისების მიმართ (Global Coalition for Social Protection Floors, 2014). ეკონომიკური კრიზისის პირობებში გატარებული პოლიტიკაც კი უნდა განსაზღვრავდეს მინიმალურ უფლებებს ან სოციალური დაცვის მინიმალურ პლატფორმას, როგორც ამას მსოფლიო შრომის ორგანიზაცია განსაზღვრავს და ეს უფლებები ნებისმიერ დროს აუცილებლად უნდა იყოს დაცული (Pillay, 2012).

დღეს იცვლება დისკურსი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა, რომ სოციალური უთანასწორობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფრთხეა. სოციალური სამართლიანობის

არგუმენტები მომგებიანი ხდება როგორც პოლიტიკურ, ასევე, აკადემიურ დისკუსიებში (Krugman, 2014). სოციალური დაცვის პროგრამები უღარიბესი ქვეყნებისთვისაც კი ხელმისაწვდომია, რამდენადაც ისინი არა მარტო სიღარიბის დაძლევაშია ეფექტური, არამედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაშიც (OECD DAC, 2009). არგუმენტები სოციალური პროგრამების პრიორიტეტის წინააღმდეგ (მომჭირნეობის, მთავრობის ფისკალური პასუხისმგებლობის და ა. შ.) არარელევანტურია იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში, რომელიც ხასიათდება დეფლაციური და ზრდის ტემპის შენელების ტენდენციებით ეკონომიკაში (Dorfman, 2014). ამ სივრცეში ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა სოციალური პროგრამების გაფართოებისათვის არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა ეკონომიკური ზრდისათვის<sup>5</sup>. დანიელი სოციოლოგი, გოსტა ესპინ-ანდერსენი, რომელიც კეთილდღეობის სახელმწიფოს (Welfare State) გამოჩენილი თეორიტიკოსია, ამტკიცებს, რომ სახელმწიფო სოციალური ხარჯები, რომლებიც ადამიანის უფლებების პატივისცემას ეფუძნება, არა თუ ძირს უთხრის, არამედ ამყარებს სახელმწიფოს ლეგიტიმაციას. თავის ცნობილ ნაშრომში „კეთილდღეობის კაპიტალიზმის სამი სამყარო“ ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად გავრცელებული რწმენისა, რომ გაზრდილი სოციალური ხარჯები იწვევს კეთილდღეობის სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილებას, რეალობაში ადგილი აქვს საპირისპირო ტენდენციებს (Gosta, 1990).

---

<sup>5</sup> ამ შეხედულების მომხრეები არიან ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორებიც არიან ნობელის პრემიის ლაურეატები: პოლ კრუგმანი, ჯოზეფ სტიგლიცი, რობერტ შილერი და ა. შ.



# ოჯახების გაძლიერების პრევენციული როლი ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაში

სალომე ნამიჭეიშვილი\*

დოქტორანტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## რეზიუმე

კვლევის მიზანია, შეეფასოს, საქართველოში რამდენად შეძლო, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმამ ეპასუხა არსებული გამოწვევებისათვის; ბავშვების შშობლებისაგან განცალკევების პრევენციისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ოჯახებში რეინტეგრაციის მიმართულებით. კვლევის ფარგლებში შემუშავდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიმდინარე ეტაპზე გასათვალისწინებელი საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციები.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ: ა) დოკუმენტების ანალიზი; ბ) ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების მენეჯერებთან, პრაქტიკოსებთან და ბენეფიციარებთან; გ) ექსპერტული ინტერვიუები განხორციელდა ბავშვზე ზრუნვის სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ, მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

კვლევამ გამოავლინა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხარვეზები, ბავშვის ოჯახისაგან განცალკევების პრევენციის თვალსაზრისით, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის ნეგატიური დისკრიმინაციის პრობლემა, მომსახურების დეცენტრალიზაციის საჭიროება, ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატიული მომსახურებების სიმწირე და დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა შექმნა/განვითარების საჭიროება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოღვაწე ძირითადი დაინტერესებული პირების კოორდინაცია; ოჯახის მხარდამჭერ და დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა განვითარება; სფეროში მოქმედი დაინტერესებული პირების ცოდნისა და უნარების გაძლიერება; სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. კვლევის ერთერთი რეკომენდაციაა ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის სოციალური დახმარების გაზრდა.

**საკანძო სიტყვები:** ბავშვთა კეთილდღეობა; ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება; სოციალური მუშაობა; სოციალური დაცვა; ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენცია; საჯარო პოლიტიკა.

## Abstract

The study was to assess whether the Child Welfare Reform was able to respond to the existing challenges concerning prevention of child-parents separation and reintegration of children from state care back to their families. The research aimed at elaboration of public policy recommendations due to be considered at the ongoing stage of the child welfare reform.

\* ელფოსტა: [salome.namitcheshvili@tsu.ge](mailto:salome.namitcheshvili@tsu.ge)

The study used qualitative methods of research - a) document analysis; b) focus groups with representatives of governmental and non-governmental social services and service users; c) in-depth interviews with child care experts.

The research has revealed flaws in the child welfare system with regard to prevention of child-family separation, negative discrimination of child's biological family, need for decentralization of the services, lack of family and community based services alternative to institutional care and employment support services creation/development need.

Based on the results of the study public policy recommendations were developed with regard to main stakeholders coordination in child welfare field; family support and employment support service development; stakeholders' knowledge and skills development; and the target groups' participation in the decision-making process. One of the recommendations was to increase social assistance to children's biological families.

**Keywords:** *Falkland's conflict, political elites, diversionary war, public opinion*



## 1. შესავალი

2012 წლის 24 აპრილს დამტკიცდა „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს, გააგრძელოს 2008-2011 წლებში განხორციელებული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსი და ხელი შეუწყოს განსაკუთრებით, მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. გეგმის მიხედვით, დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. რეფორმის არსი იყო და არის ბავშვებზე ზრუნვის დენსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს დიდი ზომის ინსტიტუციების დახურვას და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლას.

რეფორმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და უკუღებელყოფს ბავშვის უფლებას, იზრდებოდეს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში (OHCHR, 1989). რეფორმის პროცესში სახელმწიფოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ალტერნატიულ ზრუნვაზე გადასვლისათვის საკმარისი ძალისხმევების უზრუნველყოფა, იმ პირობებში, როცა დიდ ინსტიტუციებზე უარის თქმით დაიკარგა, დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, ეკონომიის შესაძლებლობა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია იყო ადევნატური მხარდაჭერით; ბავშვების მშობლებთან რეინტეგრაციითა და მათი ოჯახების გაძლიერებით. ამასთანავე, რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენდა როგორც ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურების მიწოდების გაზრდა, ისე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის (გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე) ახალგაზრდების მომზადება, მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ინსტიტუციური ზრუნვის გრძელვადიანი გავლენა ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ვლინდება 18 წლის შემდეგაც (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (J. Williamson, 2010).

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერით. ოჯახის მხარდაჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ოჯახის მხარდაჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები ძირითადად მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მათი დადებითი გავლენა დასტურდება დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013). ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდაჭერი საჯარო პოლიტიკის არსებობას.

საზოგადოებისათვის საინტერესოა, საქართველოში რამდენად შეძლო რეფორმამ, ებასუნა არსებული გამოწვევისათვის და დაექმაყოფილებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარების რეფორმას. კერძოდ, კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის იმ მიმართულების ეფექტიანობას, რომელიც ეხებოდა პრევენცია/რეინტეგრაციასა და ოჯახების გაძლიერებას. ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების,

დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით? ამ კითხვების საპასუხოდ კვლევამ მიზნად დაისახა, შეეფასებინა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ბავშვთა დაცვის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. გამოყენების თვალსაზრისით, კვლევა ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

წინამდებარე სტატია სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს დოკუმენტების ანალიზს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღირებულებებს, უფლებადაცვით დოკუმენტებსა და კარგ პრაქტიკებს გულისხმობს ბავშვთა კეთილდღეობის დაცვა თანამედროვე ეტაპზე; მეორე ნაწილი აღწერს კვლევის მეთოდებს; მესამე ნაწილში კი მოცემულია კვლევის შედეგები და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება დღევანდელი პრაქტიკა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს იმ საერთაშორისო სტანდარტებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ უფლებების დაცვას, რომლებსაც საქართველოც აღიარებს.

2012 წლის 24 აპრილს დამტკიცდა „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს, გააგრძელოს 2008-2011 წლებში განხორციელებული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსი და ხელი შეუწყოს განსაკუთრებით, მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. გეგმის მიხედვით, დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. რეფორმის არსი იყო და არის ბავშვებზე ზრუნვის დენსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს დიდი ზომის ინსტიტუციების დახურვას და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლას.

რეფორმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და უგულვებლყოფს ბავშვის უფლებას, იზრდებოდეს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში (OHCHR, 1989). რეფორმის პროცესში სახელმწიფოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ალტერნატიულ ზრუნვაზე გადასვლისათვის საკმარისი ძალისხმევის უზრუნველყოფა, იმ პირობებში, როცა დიდ ინსტიტუციებზე უარის თქმით დაიკარგა, დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, ეკონომიის შესაძლებლობა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია იყო ადევკატური მხარდაჭერით; ბავშვების მშობლებთან რეინტეგრაციითა და მათი ოჯახების გაძლიერებით. ამასთანავე, რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენდა როგორც ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურების მიწოდების გაზრდა, ისე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის (გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე) ახალგაზრდების მომზადება, მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ინსტიტუციური ზრუნვის გრძელვადიანი გავლენა ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ვლინდება 18 წლის შემდეგაც (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (J. Williamson, 2010).

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერით. ოჯახის მხარდაჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ოჯახის მხარდაჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები ძირითადად მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მათი დადებითი გავლენა დასტურდება დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა

ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013). ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკის არსებობას.

საზოგადოებისათვის საინტერესოა, საქართველოში რამდენად შეძლო რეფორმამ, ებასუხა არსებული გამოწვევისათვის და დაექმაცოდებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარების რეფორმას. კერძოდ, კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის იმ მიმართულების ეფექტიანობას, რომელიც ეხებოდა პრევენცია/რეინტეგრაციასა და ოჯახების გაძლიერებას. ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების, დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით? ამ კითხვების საპასუხოდ კვლევამ მიზნად დაისახა, შეეფასებინა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ბავშვთა დაცვის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. გამოყენების თვალსაზრისით, კვლევა ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

წინამდებარე სტატია სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს დოკუმენტების ანალიზს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღირებულებებს, უფლებადაცვით დოკუმენტებსა და კარგ პრაქტიკებს გულისხმობს ბავშვთა კეთილდღეობის დაცვა თანამედროვე ეტაპზე; მეორე ნაწილი აღწერს კვლევის მეთოდებს; მესამე ნაწილში კი მოცემულია კვლევის შედეგები და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება დღევანდელი პრაქტიკა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს იმ საერთაშორისო სტანდარტებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ უფლებების დაცვას, რომლებსაც საქართველოც აღიარებს.

## 2. დოკუმენტების ანალიზი

### 2.1. ბავშვის ოჯახისაგან განცალკევება

#### 2.1.1. ოჯახისაგან განცალკევების მიზეზები

შირად სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, მათ შორის, ოჯახური და საზოგადოებრივი სტრესორების კომბინაცია, განაპირობებს ბავშვების მშობლებისგან განცალკევებასა და მათ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრას. ეს ფაქტორებია: მშობლების, ასევე, ბავშვის გარშემო სხვა მზრუნველის არარსებობა, სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა, ოჯახის წევრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის შემაღველობის შეცვლა (განქორწინება, მშობლის მეორე ქორწინება), ეთნიკური წარმომავლობა, ოჯახის მიგრაცია, ძალადობა ოჯახში, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა და ბავშვის ასოციალური ქცევა. ამ ფაქტორებს შორის, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა სახელდება. გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 17-ჯერ უფრო მეტი ალბათობით ხვდებიან ინსტიტუციებში, ვიდრე ჯანმრთელი ბავშვები (Palayret, 2012).

ბავშვის უფლებებზე ზემოაღნიშნული ფაქტორების ნეგატიური გავლენების ნიველირება სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა თანმიმდევრული ოჯახის გაძლიერების პოლიტიკის დანერგვით (UNICEF, 2010). სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს 24 საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების

საფუძვლების დაცვა. 24 საათიან ზრუნვაში ბავშვის განთავსების ლეგიტიმური საფუძვლები, ძირითადად, შემდეგია: ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, ან რისკის წინაშე; ბავშვი მიტოვებულია ან ორივე მშობლით ობოლია და არ არსებობს ისეთი პირი, რომელიც იზრუნებს მასზე. სიღარიბის, გაბატონებული ცრურწმენების, შეზღუდული შესაძლებლობისა და სოციალური გარიყულობის გამო არ უნდა ხდებოდეს ბავშვის ოჯახისგან განცალკევება. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების, ფინანსური ტრანსფერების, სოციალური საცხოვრისისა და სიღარიბის დაძლევის სხვა ზომების მეშვეობით ოჯახებმა უნდა შეძლონ, გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს.

## 2.1.2. ოჯახისგან განცალკევებულ ბავშვებზე ზრუნვის ფორმები

### ინსტიტუციური ზრუნვა

დღესდღეობით თანხმდებიან იმაზე, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას (Parker, 2011). ინსტიტუციური ზრუნვის კულტურისთვის დამახასიათებელია შემდეგი ელემენტები: დეპორსონალიზაცია, მკაცრი რუტინები, კოლექტიური მოპყრობა და სოციალური გაუცხოება. რაც უფრო დიდი ზომის არის დაწესებულება, ბავშვებს ინდივიდუალური განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უფრო ნაკლები შანსები აქვთ (Costa, 2012).

ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა გრძელვადიანია და მისი ეფექტები ვლინდება 18 წლის შემდეგაც, როდესაც გარემოსთან ადაპტაციის პრობლემები იჩენს თავს, განათლების მიღებისას და დასაქმებისას (Mare, 2006). ხშირია სკოლის მიტოვება, დაუსაქმებლობა, უსახლკარობა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, რაც, თავის მხრივ, სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობას განაპირობებს.

ინსტიტუციური ზრუნვა, რომელშიც ასევე იგულისხმება მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბავშვებისთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა (COUNCIL OF EUROPE, 2005).

### ზრუნვის ალტერნატიული ფორმები

ოჯახისგან განცალკევებული ბავშვებისათვის ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატივაა ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვა (ნათესაური მინდობით აღზრდა ; მინდობით აღზრდა ; ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის სხვა სახეები; ზედამხედველობის ქვეშ ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების ფორმები).

ერთი მხრივ, რეზიდენტული ზრუნვა, რომელიც ერთი ინსტიტუციის ფარგლებში ბევრ ბავშვს ემსახურება, უფრო იაფი ჯდება ვიდრე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, თუმცა ამ შემთხვევაში ზრუნვის სტანდარტების ხარისხი და ბავშვის ფუნდამენტური უფლებები არ არის გათვალისწინებული (Costa, 2012). მეორე მხრივ, დაბალი ხარისხის ინსტიტუციური ზრუნვა სახელმწიფოს გრძელ ვადაში უფრო ძვირი უჯდება სოციალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და საჯარო უსაფრთხოების ხარჯების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ხარისხის ოჯახსა და თემზე დაფუძნებული მომსახურება ძვირია, კომპლექსური და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის პრიორიტეტი უნდა მიეცეს ბავშვის ცხოვრების ხარისხს (Costa, 2012). ამავე დროს, ბავშვთა მომსახურებების რეფორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს ადრეულ ინტერვენციაზე, ოჯახის მხარდაჭერასა და რეინტეგრაციაზე, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაზოგოს დანახარჯები გრძელვადიან პერსპექტივაში (Costa, 2012).

## 2.2. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენცია და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია

ბავშვზე ზრუნვის სისტემის მთავარი მიზანია ბიოლოგიური ოჯახისგან ბავშვების განცალკევების პრევენცია. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების მთავარი ამოცანა კი მათი კვლავ ოჯახში რეინტეგრაციაა (Costa, 2012).

### 2.2.1. ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკები

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს დაცული ბავშვის ოჯახის მხარდაჭერით (მე-18 მუხლი). კონვენციის მე-9 მუხლი ხაზს უსვამს ოჯახში ცხოვრების უპირატესობას. 27-ე მუხლი აღნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ბავშვიანი ოჯახები მატერიალური დახმარებითა და მხარდაჭერის პროგრამებით. მე-19 მუხლის თანახმად, ბავშვის უფლება დაცული უნდა იყოს ყველა ტიპის ძალადობისგან, აქ ყურადღება გამახვილებულია ისეთი სოციალური პროგრამების დანერგვის აუცილებლობაზე, რომელთა მიზანია პრევენციული ღონისძიებების გატარება, ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად.

სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია ბავშვის უფლებების რეალიზებისათვის. ეს უფლებები უნივერსალურია და მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ეტაპს. მხარდაჭერა განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვის ადრეული განვითარებისა და მოზარდობის ეტაპზე (OHCHR, 1989).

ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისთვის ცენტრალურია პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა. პოზიტიური მშობლობა ეფუძნება რა ბავშვის უფლებების აღიარებას, გულისხმობს ბავშვზე ზრუნვას, ზედამხედველობას, გაძლიერებასა და არაძალადობრივ აღზრდას (Council of Europe, 2006).

ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ინვესტიციას ბავშვიან ოჯახებში. ევროპული მიდგომები აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, უნივერსალური პოლიტიკების არსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი მიზნობრივი პოლიტიკების შემუშავებაზე, რომლებიც ორიენტირებულია მოწყვლად მოსახლეობაზე (Council of Europe, 2006).

ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკების ამოცანები შემდეგია: შრომის ბაზარზე მშობლების მონაწილეობის მხარდაჭერა; ადრეული ბავშვობის პერიოდში ინვესტირება; ადეკვატური ცხოვრების სტანდარტების შეთავაზება ოჯახებისთვის სხვადასხვა ბენეფიტის კომბინირების მეშვეობით; ბავშვების მხარდაჭერა მონაწილეობა მიიღონ თამაშში, კულტურულ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში; ოჯახის მხარდამჭერი და ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების გაძლიერება (Council of Europe, 2006).

### 2.2.2. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ოჯახში ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ამ ტიპის მომსახურების მიმართულებებია მშობლების განათლება, ბავშვზე ზრუნვაში, დღის განმავლობაში დახმარება, ოჯახებისთვის სამართლებრივი კონსულტაციები, ოჯახის/ინდივიდუალური თერაპიული მხარდაჭერა და მომსახურებებთან დაკავშირება.

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები, ძირითადად, მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მათი დადებითი გავლენა დასტურდება დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე,

სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013).

### 2.2.3. ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა სოციალური დაცვის კონტექსტში

მშობლობა განსაკუთრებით რთულდება სოციალური გარიყულობის რისკების არსებობისას. ამდენად, ოჯახებისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური უფლებების გარანტიები. გაეროს ბავშვთა ფონდი ცენტრალურ ადგილს ანიჭებს ოჯახისა და მშობლობის მხარდაჭერას სოციალური დაცვის დღის წესრიგში. ფონდის მიხედვით, სოციალური დაცვა განისაზღვრება როგორც „საჯარო და კერძო პოლიტიკებისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელთა მიზანია პრევენცია, სიღარიბისა და დეპრივაციის გამომწვევი ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობის შემცირება და აღმოფხვრა“ (UNICEF, 2012). სოციალური დაცვის უფლებას ფონდი განმარტავს, როგორც საბაზისო შემოსავალზე, ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე, თავშესაფარსა და საცხოვრისზე, წყლისა და სანიტარულ პირობებზე, საკვებსა და განათლების ყველაზე საბაზისო ფორმებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

უკვე დიდი ხანია არსებობს სოციალური დაცვის მოქმედი სისტემები, მაგრამ, ძირითადად, შედარებით განვითარებულ ქვეყნებში. დღესდღეობით გამოცდილება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია, სოციალური დაცვის გარკვეული ფორმა არსებობდეს ყველა ქვეყანაში (Global Coalition for Social Protection Floors, 2014).

დღეს იცვლება დისკურსი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა, რომ სოციალური უთანასწორობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფრთხეა. სოციალური სამართლიანობის არგუმენტები მომგებიანი ხდება როგორც პოლიტიკურ, ისე აკადემიურ დისკუსიებში (Krugman, 2014). სოციალური დაცვის პროგრამები უღარიბესი ქვეყნებისთვისაც კი ხელმისაწვდომია, რამდენადაც ისინი არა მარტო სიღარიბის დაძლევაშია ეფექტური, არამედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაშიც (THE ROLE OF EMPLOYMENT AND SOCIAL PROTECTION MAKING ECONOMIC GROWTH MORE PRO-POOR, 2009). არგუმენტები სოციალური პროგრამების პრიორიტეტის წინააღმდეგ (მომჭირნეობის, მთავრობის ფისკალური პასუხისმგებლობის და ა. შ.) არარელევანტურია იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში, რომელიც ეკონომიკაში ხასიათდება დეფლაციური და ზრდის ტემპის შენელების ტენდენციებით (Dorfman, 2014). ამ სივრცეში ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა სოციალური პროგრამების გაფართოებისათვის არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა, ეკონომიკური ზრდისათვის.

## 2.3. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა საქართველოში

საქართველოში რეფორმამდე ზრუნვის ყველაზე ეფექტიან ფორმად დიდი ზომის ინსტიტუციები ითვლებოდა. ამ დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების 90%-ზე მეტი სიღარიბისა და მისგან წარმოქმნილი პრობლემების, შეზღუდული შესაძლებლობისა და ოჯახის მხარდაჭერი მომსახურების არარსებობის გამო მოხვდა. ამ ბავშვთა მხოლოდ 10 %-ზე ნაკლები იყო ორივე მშობლით ობოლი. როგორც ზემოთაღნიშნული განხილული, ქვეყნებში, სადაც სოციალური კეთილდღეობის სისტემები ეფექტიანი, ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში მხოლოდ მას შემდეგ ხვდება, როდესაც ყველა საშუალება ბავშვის ოჯახში დასახმარებლად ამოწურულია. ეს არის „გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის“ მთავარი პრინციპი. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რითაც სათავე დაედო ქვეყანაში ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას, რომელიც აქტიურ ფაზაში 2004 წლიდან შევიდა (ნამიჭვიშვილი, ს., & მგელიაშვილი, მ. 2010).

საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობის დღევანდელი სისტემა არსებითად ცენტრალიზებული

ხასიათისაა. 2013 წლის ჩათვლით, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის მთავარ წარმმართველ პოლიტიკად რჩებოდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც საქართველოში დიდი ზომის ინსტიტუციები (ბავშვთა სახლები, სკოლა-პანსიონები) დაიხურა და ისინი ზრუნვის ალტერნატიული ფორმებით (მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) ჩანაცვლდა. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და პოლიტიკის დოკუმენტები, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის დონეზე, ხელს უწყობენ ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ფუნქციონირებას (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, ბავშვთა კეთილდღეობის სამოქმედო გეგმა 2012-2015 წწ.), მაგრამ რეფორმის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახის დამხმარე და ბავშვთა პრევენციული მომსახურების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა.

„ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“ ყურადღებას ამახვილებს ზრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობაზე. 2012 წელს საქართველოს მთავრობამ, ასევე შეიმუშავა ახალგაზრდული (14-25 წელი) პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის პრინციპებს. თუმცა არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, მწყობრი კონცეფცია, რომელიც დაეხმარება მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებასა და ზრუნვიდან გასვლის შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულვებლყოფისაგან „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2010 წელს ხელი მოეწერა სამი სამინისტროს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების და შინაგან საქმეთა სამინისტროების) ერთობლივ ბრძანებას „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანება აყალიბებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მიმართვიანობის მექანიზმებს და ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სახავს რეაგირების სტრატეგიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის მომსახურების განვითარებას (სამოქმედო გეგმა, 2012-2015, მიმართულება #2, პუნქტი 2.8). დღევანდელი მდგომარეობით, არსებით სირთულეს შემთხვევისათვის ძალადობის კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს პრაქტიკაში (SoS Children's Villages Georgia and GASW, 2012). ასევე, ბავშვზე ძალადობის მიმართვიანობის ერთ-ერთ ბარიერს ქმნის ზოგადად, ქვეყანაში არსებული გარემო, რომელიც ძალადობისადმი ტოლერანტულადაა განწყობილი (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013).

### 3. მეთოდოლოგია

#### 3.1. კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, ა) დოკუმენტების ანალიზი; ბ) ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების მენეჯერებთან, პრაქტიკოსებსა და ბენეფიციარებთან; გ) ექსპერტული ინტერვიუები განხორციელდა სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ, მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

## 3.2. კვლევის მონაწილეები, შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის მთავარმა აქტორებმა, კერძოდ, ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუ 15 რესპონდენტთან და 10 ფოკუს-ჯგუფი მომსახურების მენეჯერებსა და პრაქტიკოსებთან (სულ 37 მონაწილე) და ბენეფიციარებთან (სულ 44 მონაწილე).

ექსპერტების გამოკითხვის დროს შერჩევა ეფუძნებოდა მიზნობრივ შერჩევას, კერძოდ კი, მსჯელობით (დანიშნულებით) შერჩევის პრინციპებს.

ბენეფიციარებისა და მათი მშობლების ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები შეირჩნენ ალბათურად სამიზნე ჯგუფებიდან. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეირჩნენ მხოლოდ თბილისის რაიონების ბენეფიციარები.

## 3.3. კვლევის შედეგები

### 3.3.1. აქტორების საერთო ხედვები და მიდგომები

სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მსგავსი ხედვები აქვთ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების თაობაზე. ამას ხელს უწყობს ამ სექტორებს შორის კოორდინირებული მუშაობის გამოცდილება. მათი ხედვების საერთო საფუძველია ბავშვის უფლება, გაიზარდოს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში, აღიარებენ რა „ოჯახის უპირატეს როლს ბავშვის ცხოვრებაში“.

ამ მხრივ, განსხვავებული სურათი გვაქვს საპატრიარქოს სოციალურ სამსახურში, რომლის მიდგომებში ვლინდება მეტი აქცენტი ოჯახის ჩანაცვლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ ოჯახის „ჩანაცვლებელ როლს“ ბავშვის აღზრდის პროცესში. იკვეთება რიგიდული დამოკიდებულება საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლების დინსტიტუციონალიზაციისადმი. საპატრიარქოს სოციალური სამსახურის წარმომადგენლის აზრით, ეს პროცესი „რთული განსახორციელებელი იქნება საპატრიარქოსთვის“, რადგან „ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ინსტიტუციებში, გრძობენ, რომ ყველაზე უახლოესები თვითონ არიან ერთმანეთისთვის, ნათესავებად აღიქვამენ ერთმანეთს“ და მათთვის ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება, მაგალითად „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადანაწილება, ისეთივე ტრავმა იქნება, როგორც, დედისაგან რომ შვილი მოწყვიტო“. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ამ სახლებში მცხოვრები ბავშვების უმრავლესობას ჰყავთ მშობლები“, რომლებიც სწორედ „სიღარიბისა და ოჯახის მთლიანობის შესანარჩუნებლად არარსებული მხარდაჭერის გამო აბარებენ ბავშვებს ამ სახლებში“. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საპატრიარქოს დაწესებულებებში ბავშვების განთავსება სოციალური მომსახურების სააგენტოს გვერდის ავლით ხდება, ისმის კითხვა, რამდენად ეფექტიანია „ჭიშკრის დარაჯობის“ პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვების განთავსების საფუძვლების მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს 24 საათიან ზრუნვაში/ზრუნვიდან ბავშვების განთავსება/გამოსვლა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მიხედვით, ამ პოლიტიკის „ამოსავალი ის არის, რომ სოციალური დახმარებისა და მომსახურების მიწოდების მთავარი მიზანი ბავშვის ოჯახში შენარჩუნებაა, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული რესურსი ბავშვის ოჯახის გაძლიერებისათვის, რათა ოჯახმა თავად შეძლოს შვილზე ზრუნვა“. ეს უკანასკნელი პრინციპი კი უგულვებელყოფილია საპატრიარქოს სოციალური სამსახურის მიერ.

მიუხედავად ხედვების სიახლოვისა და თანამშრომლობის გამოცდილებისა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას პრობლემებიც ახლავს. ხშირად, სახელმწიფო ვერ ხარჯავს სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე გამოყოფილ ფულს, მაგრამ არ ქირაობს არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებას. ასევე, სახელმწიფო აწესებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს, რაც ერთი



მხრივ, მისასაღმებელია, თუმცა მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო „არ გამოყოფს შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც არასამთავრობო მომსახურებას მისცემს საშუალებს დაიცვას ზრუნვის სტანდარტები“. როგორც თავად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არასაკმარისი კოორდინაციაც ხელს უშლის ეფექტიან თანამშრომლობას. „კოორდინირებული მუშაობა და ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის შორის კვლავ გამოწვევაა“, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოალიცია, რომელიც აერთიანებს 50-მდე ორგანიზაციას და რომლის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ კოორდინაციის გაუმჯობესებაა.

ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა, მათი კეთილდღეობის შესახებ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღიარებული პრინციპია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორების მიერ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი მონაწილეობის ხარისხის შესახებ მათივე ცხოვრების დაგეგმვაში და აღწერენ პრაქტიკას, როცა „არავინ არაფერს გეკითხება“, მონაწილეობა არათუ წახალისებულია, „კითხვებზე პასუხსაც არ გცემენ“ და ამასთან დაკავშირებით „პროტესტს ცუდ ქცევად გითვლიან“.

### 3.3.2. სისტემის ხარვეზები ადამიანური რესურსის თვალსაზრისით

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხერხემალს წარმოადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული 250-მდე სოციალური მუშაკი, რომლებიც 22 მიმართულებით მუშაობენ. მიუხედავად ამისა, სოციალური მუშაკის ინსტიტუტი საჭიროებს განვითარებას. დღეს აღნიშნული სამსახური ვერ პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს. სოციალური მუშაკების, როგორც რესურსის, არასაკმარისი რაოდენობა, რთული სამუშაო პირობები, კადრების გადინება და უწყვეტი განათლების ხელმიუწვდომლობა განაპირობებს მათი ინტერვენციების სისუსტეს. სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო მოხელის ბიუროკრატიული ფუნქცია ზღუდავს მათი ინტერვენციების მრავალფეროვნებას, ხოლო გადატირებული სამუშაო გრაფიკი საფრთხის ქვეშ აყენებს მომსახურების ხარისხს. თავად სოციალური მუშაკები აცნობიერებენ რა აღნიშნულს, („ხშირად ერთ სოციალურ მუშაკს დიდ ქალაქებში 100-მდე შემთხვევაზე უწევს მუშაობა, ასეთ პირობებში შეუძლებელია ხარისხზე საუბარი“) „პროფესიული გადაწვის ზღვარსაც კი გასცდნენ“. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო სოციალური მუშაკები მცირე, თუმცა ხელმისაწვდომ, ოჯახის მხარდაჭერ რესურსსაც არ იყენებენ ხშირ შემთხვევაში, რადგან „ემინიანთ პასუხისმგებლობის აღების და ურჩევნიათ, არსად არ ჩართონ ბავშვი“.

ერთ-ერთ პრობლემად იკვეთება მზრუნველის ინსტიტუტის განვითარება. მზრუნველები, რომლებიც მუშაობენ ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებაში, არიან „ადამიანები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ ბავშვებთან, მინიმალური ანაზღაურებით და შეზღუდული მხარდაჭერის პირობებში“. პრაქტიკოსები საუბრობენ მზრუნველების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სირთულეებზეც, როდესაც „მზრუნველებმა არ იციან, როგორ იმუშაონ ბავშვებთან, რომელთაც ტრამპული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და რთული ქცევებით ხასიათდებიან“, რადგან „ნაკლებად კეთდება აქცენტი მათ პროფესიულ მომზადებაზე ამ მიმართულებით“. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უმრავლესობას, რომელიც ოჯახის ჩამნაცვლებელ ალტერნატიულ ზრუნვაში ხვდება, სწორედ ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ.

### 3.3.3. სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

#### პრევენციული მიდგომა

დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა რეაქტიულია. სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხერხდება

რისკგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დღევანდელი მდგომარეობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტს აქვს რეაქტიული ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ „სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობაში არის აღნიშნული „აუთორიზის“ კომპონენტი“. სისტემა „რეაგირებს მხოლოდ შემოსულ მომართვებზე“ და არ მიმდინარეობს მუშაობა ახალი მომართვების მოსაძიებლად თემში. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს რისკგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციასა და პრევენციულ საქმიანობას. ამასთან, სახელმწიფო ვერ იყენებს ეფექტიანად არსებულ რესურსებს, მაგალითად, სოციალურ აგენტებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ ოჯახებთან მუშაობენ. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებებით, რადგან დღესდღეობით სახელმწიფოს სოციალური მუშაკების საკმარისი რესურსი არ გააჩნია, უნდა შეიქმნას რეფერირების ისეთი სისტემა, რომელშიც „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი იქნება ჩართული, „რადგანაც ყველაზე მეტად სწორედ სოციალური აგენტებისთვის არის მისაწვდომი ყველაზე მოწყვლადი ოჯახები“.

ასევე ვლინდება, პირველადი ჯანდაცვის და სამშობიარო სახლების ჩართულობის საჭიროებაც ოჯახისგან ბავშვის დაშორების პრევენციის უზრუნველყოფაში. პრაქტიკოსების აზრით, „წლების განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მიერ მანკიერ პრაქტიკას ლომის წილი ჰქონდა და აქვს ბავშვების ოჯახებისგან დაშორების საქმე“, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში“. იკვეთება სოციალური სამსახურის დანერგვის აუცილებლობა პირველადი ჯანდაცვის ობიექტებსა და სამშობიარო სახლებში, რათა მოხდეს სოციალური რისკების დროული და ეფექტიანი ინდენტიფიცირება.

პრევენციული კომპონენტის გაძლიერების კუთხით გამოიკვეთა სკოლების ჩართულობის საჭიროებაც. „სკოლა ერთ-ერთი სუსტ რგოლად გვევლინება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, სადაც პრევენციული მიმართულები მუშაობა საერთოდ არ მიმდინარეობს“, – აღნიშნავენ ექსპერტები. პრაქტიკოსების მიხედვით, სკოლებში ვლინდება პრობლემები რთული ქცევის ბავშვების მიმდებლობასთან დაკავშირებითაც, როცა „სკოლა ცდილობს თავიდან მოიცილოს ბავშვი, რომელიც პრობლემებს ქმნის, რათა ამით სკოლის იმიჯი არ დაზარალდეს“, ხოლო არსებული მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სკოლას იმუშაოს ბავშვსა და ოჯახთან პრაქტიკულად არაეფექტიანია.

### **დისკრიმინაციის პრობლემა**

ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრევენციული მიდგომის განხორციელების პროცესში პრობლემა ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაცია. ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა მთავარ ამოცანად სახავს ბავშვის ოჯახში შენარჩუნებასა და ოჯახის გაძლიერების მექანიზმების განვითარებაზე მუშაობას. ამ დროს საქართველოში ბავშვების დენსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის ბიოლოგიური ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი იღებს თითქმის ხუთჯერ ნაკლები ოდენობის თანხას მინდობით აღმზრდელ ოჯახთან შედარებით. ეწინააღმდეგება რა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს, სახალხო დამცველის ოფისმა ეს შეაფასა კიდევ უთანასწორო მოპყრობის თვალსაჩინო შემთხვევად. თუ სახელმწიფოს დეკლარირებული მიზანი ბავშვის კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში მათი დენსტიტუციონალიზაცია და მიტოვების პრევენციაა, აშკარაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მშობლისთვის უფრო ცუდი პირობების შეთავაზება, ვიდრე უცხო ოჯახისთვის, მიზნის მიღწევის გონივრულ საშუალებას არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, დადებით შეფასებას იმსახურებს სახელმწიფოს მიერ „რეინტეგრაციის წესის“ დამტკიცება. აღნიშნული წესის მიხედვით, რეინტეგრირებული ოჯახები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად მიიღებენ სახელმწიფოსგან შემწევობას (თვეში 90 ლარი). ასევე, პოზიტიური ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების ფონდის შექმნა, რომლის მიზანია კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა ბავშვზე ზრუნვის პროცესში, თუმცა, ექსპერტების აზრით, „ფონდი მოქნილად ვერ ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ

საჭიროებებს“, როგორც ეს ხდებოდა 2011-2013 წლებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მართული პრევენციის ფონდის მიერ ბავშვზე ზრუნვის მომსახურებისა და სისტემის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა ამერიკის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ახალგაზრდებიც აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო, „ვისაც რა საჭიროება აქვს, იმით უნდა დაეხმაროს... ზოგისთვის ეს არის ბინის ქირა, სხვისთვის - ავეჯი, ზოგს, უბრალოდ ბავშვის რჩენა უჭირს“.

არსებობს სხვაგვარი ტიპის დისკრიმინაციის პრობლემაც. ბომა ბავშვებისა და მათი ოჯახების დისკრიმინაცია გავრცელებული პრაქტიკაა და გამოიხატება სახელმწიფო მომსახურებაზე მათთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში. „ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო არც კი რეაგირებს მომართვაზე, რომელიც ბომა ბავშვებს ეხება, მხოლოდ იმიტომ რომ ბომები არიან“.

სახელმწიფო ზრუნვის თვალსაზრისით, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები დისკრიმინირებულნი არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით. განსხვავებით მინდობით აღსაზრდელებისაგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს ხელი მიუწვდებათ მართალია მწირ, მაგრამ რიგ მომსახურებაზე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, უფრო აქტიურად ცდილობენ, იზრუნონ აღსაზრდელების მომავალი ცხოვრების შესაძლებლობების შექმნაზე, ვიდრე ამას აკეთებს სახელმწიფო, რომელიც მართავს მინდობით აღზრდას. საჭიროა, სახელმწიფო სთავაზობდეს ამ ბავშვებს დამატებით მომსახურებას, რომელიც მათ ოჯახებს დაეხმარება აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათი წარმატებული ინტეგრაცია საზოგადოებაში. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ახალგაზრდების აზრით, სახელმწიფო „არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა 18 წლის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ ცხოვრება“. როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი აღნიშნავს, სამზრუნველო სისტემაში განთავსებული ბავშვები ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ ცალკე ქვეკლასს ქმნიან და მნიშვნელოვან პრობლემებს უპირისპირდებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის დროს. ასეთი სტატუსი, პირველყოფლისა, უკავშირდება ზრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების ნაკლებობას.

### **დეცენტრალიზაციის საჭიროება**

იკვეთება მუნიციპალური სოციალური მომსახურების რეფორმირების აუცილებლობაც, კერძოდ, რისკჯგუფების იდენტიფიცირებისა და პრევენციული, ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების განვითარების მიმართულებით. დღეისათვის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ნაკლებად პასუხობს მოქალაქეთა განსხვავებულ საჭიროებებს. იკვეთება აუცილებლობა, რომ სოციალური მუშაკები არა რაიონულ, არამედ სოფლებისა და თემის დონეზე მუშაობდნენ, რათა მათ ადრეულ ეტაპზე გამოავლინონ რისკი და ბავშვს და ოჯახს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ. სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების აზრით, რომელსაც ექსპერტებიც იზიარებენ, „სწორედაც თვითმართველობას უკეთესად შეუძლია რისკჯგუფის ბავშვების გამოვლენა თემების დონეზე და შემდეგ საჭიროებისამებრ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში გადაამისამართება... ადგილობრივ თვითმართველობებს უნდა ჰყავდეთ სოციალურ მუშაკი, რომელიც მედიატორისა და სოციალური ადვოკატის ფუნქციას შეასრულებს. ეს იქნება პირველადი სოციალურ ადვოკატობა, შემთხვევისთვის სწორი მიმართულების მიცემა“. თავად მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „ამ მიმართულებით არ არიან ჩართულნი არც ერთ სამუშაო ჯგუფში“, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციალური მუშაკის მომსახურების დეცენტრალიზაციას შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფის პირობებში.

### 3.3. 4. სისტემის ხარვეზები მომსახურების თვალსაზრისით

#### რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება

სახელმწიფოს მხრიდან რისკის ჯგუფების ოჯახთათვის შეთავაზებული მხარდაჭერი მომსახურება საკმაოდ მწირი და ძნელად ხელმისაწვდომია, თუმცა მთავარი აქტორები თანხმდებიან, რომ „პრევენციულ და ოჯახის მხარდაჭერ პოლიტიკასა და პროგრამებს უდიდესი როლი აქვთ ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენციის დროს“. როგორც „გეთიქიფინგის“ პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი (2012 წ.) აღნიშნავს, „გეთიქიფინგი“ შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24 საათიან ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან. მიუხედავად პოლიტიკის ღონეზე დოკუმენტების არსებობისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ „ოჯახისათვის დამხმარე და პრევენციული პროგრამების რაოდენობა მწირია და შეზღუდულ ხასიათს ატარებს“. ეს პრობლემა მეტად გამოხატულია თბილისის გარეთ, რეგიონებში, „განსაკუთრებით კი - მაღალმთიან რეგიონებში“.

ამავე დროს, სოციალური მომსახურების პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჭიროება მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდება, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარჩვევების გამომუშავებაში „ოჯახებს ესაჭიროებათ ბავშვის აღზრდისთვის საჭირო უნარჩვევების განვითარება და აღზრდის პროცესში ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების, ბავშვზე ორიენტირებული ღირებულებებისა და მიდგომების სწავლება“.

ამ საჭიროებებს აღიქვამენ როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ისე სახელმწიფო ზრუნვაში მყოფნი. მათ სურთ მშობლებთან ერთად ცხოვრება და, ამასთან, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნვადეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს დისაქმებასა და პროფესიულ მომზადებას. ბავშვები და ახალგაზრდები ყურადღებას ამახვილებენ აღზრდის საკითხებში მშობლების ცნობიერების ამაღლების საჭიროების შესახებ „საჭიროა მშობლებს გააგებინონ, რომ არაა კარგი ბავშვზე ძალადობა იხმარო“, ასევე, ყურადღებას ამახვილებენ მშობლების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე, რომ მშობლები „უკეთესად უგებდნენ თავიანთ შვილებს“.

#### დენსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე

ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დენსტიტუციონალიზაციის პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პრობლემას არასათანადო ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „დამაფიქრებელია რეფორმის ტემპი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ჯერაც არ დახურულა დიდი ზომის დაწესებულებები ამ პირთათვის“. რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ეფექტიანი იდენტიფიკაცია და მათთვის დიდი ზომის დაწესებულებების დახურვა უდავო პრობლემაა. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მიხედვით, „მხოლოდ ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არიან იდენტიფიცირებულები, რომლებსაც სტატუსი აქვთ დადგენილი და იღებენ ფულად კონპენსაციას და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ეს ბავშვები ჩანან სოციალური სფეროსთვის. დღეს მხოლოდ 8890 ბავშვი ატარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს, ხოლო დანარჩენები, განსაკუთრებით რეგიონებში, იდენტიფიცირებულიც კი არ არიან და, შესაბამისად, ვერ იღებენ სახელმწიფო დახმარებას“. გადაუდებელ აუცილებლობად იკვეთება, ასევე, ჩვილ ბავშვთა სახლის დახურვის და ალტერნატიული ზრუნვის შესაძლებლობების შეთავაზებაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ჩვილებისთვის.

### დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა საჭიროება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მიღწევისათვის, ქვეყანაში მნიშვნელობა აქვს, როგორც ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე სახელმწიფოს როლის გაძლიერებას სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. ხშირად, სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები უარს ამბობენ დასაქმებაზე. ძირითადად, ამგვარი „სიზარმაცის“ მიზეზი სოციალურ დახმარების მოხსნის შიშია. მათ მიერ წამოწყებული მცირე ეკონომიკური აქტივობა და ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებიც (რომელიც არ არის გრძელვადიანი და მდგრადი) შესაძლოა, გახდეს სოციალური დახმარების დაკარგვის მიზეზი. „რეალურად სახელმწიფო ხელ-ფენს გიბოჭავს რაიმე აკეთო, იმუშავო, მუდმივ შიშში ხარ, რომ იმ მცირე სტაბილურ დახმარებასაც მოგიხსნიან“, – აღნიშნავენ მშობლები. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარდა საჭიროა ისეთი აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობას და ჯამში, მათ გაძლიერებას.

## 4. დასკვნა

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასებისას გამოიკვეთა საჭიროებები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებთან მიმართებით.

### 4.1. სახელმწიფო სექტორი

სახელმწიფოსთან მიმართებით გამოიყო ძირითადი კატეგორიები, როგორებიცაა სისტემური საკითხები, ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.

#### 4.1.1. სისტემური საკითხები

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, ყველაზე მნიშვნელოვანად არის აღიარებული სისტემური მიდგომების მხარდაჭერა, პროაქტიულობა, მულტიდისციპლინური, მუდისექტორული და ეკოსისტემური მიდგომების გამოყენება. არანაკლები ყურადღება გამახვილებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე, განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების სამართლებრივ რეგულირებას სახელმწიფოს მიერ. საინტერესოა, რომ დიდია აქცენტი სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორცაა ოჯახების ფინანსური გაძლიერება, განსაკუთრებით, რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა) და ქვეყანაში ზოგადი სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება. გამოიკვეთა სოციალურ მუშაკთა კადრების გაზრდის აუცილებლობა, მათი პროფესიული უნარების დახვეწისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საჭიროება, ასევე, მზრუნველის ინსტიტუტის განვითარება. ამკარად იკვეთება მუნიციპალიტეტების დონეზე სოციალური მუშაობის სამსახურის განვითარების ფოკუსი. ყოველივე ზემოთ დასახელებულის განსახორციელებლად კი ხაზგასმულია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობა და მტკიცებულებებზე, კვლევებზე დაფუძნებული რეფორმების მხარდაჭერა.

#### 4.1.2. ოჯახის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ რესპონდენტების მიერ „ოჯახის კატეგორიის“ ცალკე გამოყოფა და წინ წამოწევა მიუთითებს ოჯახის მხარდაჭერის გაძლიერების როლზე ბავშვთა კეთილდღეობის, ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი სისტემის უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის

გაძლიერების ქვეშ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ოჯახების ფსიქოლოგიურ, ცნობიერების დონეზე მხარდაჭერას, ვიდრე ფინანსურ, მატერიალურ ინტერვენციებს. დანახულია იმის საჭიროება, რომ ოჯახი არ გახდეს სახელმწიფოზე ფსიქოლოგიურად მიჯაჭვული და არ „გაზარმაცდეს“. თუმცა ამავდროულად ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორცაა რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა). აქცენტები კეთდება მარტოხელა მშობლისა და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერაზე. გამოიკვეთა, რომ პრევენციული მიმართულების გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ოჯახების გაძლიერებას მათთვის დივერსიფიცირებული (მატერიალური, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, კვებითი, რეკრეაციული და სხვა დახმარებები), ოჯახზე მორგებული მომსახურებათა განვითარების გზით.

#### 4.1.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში იკვეთება საჭიროება, განვითარდეს და მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს მრავალფეროვანი მომსახურება. ხაზგასმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადრეული ინტერვენციების მნიშვნელობა, სკოლამდელი დღის ცენტრებისა და ბაგა-ზაღების განვითარების საჭიროება და ამ მომსახურებებში მათი ჩართულობა. ასევე, ფორმალურად არსებული ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში წარმატებით განხორციელება როგორც ურბანულ, ისე რურარულ დონეზე. კანონმდებლობის დახვეწაში რესპონდენტები გულისხმობდნენ, რომ სოციალურად დაუცველობის სტატუსი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მომსახურების მიღება არ იყოს დაკავშირებული. ასევე, დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინსტიტუციების საკითხის მოგვარების საჭიროება. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურების შესახებ ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობას.

#### 4.1.4. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები

ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით აღიარებულია „ამ ბავშვების არსებობის პრობლემა“, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრის გზები ნათლად არ არის გააზრებული. ძირითადად, თავად ბენეფიციარებისგანა წამოსულია იდეა, რომ საჭიროა მათი ოჯახების დახმარება ფინანსური მხარდაჭერით, მშობლის უნარების სწავლებისა და მოძალადის რეაბილიტაციით. ქუჩაში მყოფი ბავშვების მიერ ხაზგასმულია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო, ძალადობისაგან დაცული გარემოს უზრუნველყოფა. ძალადობრივი გარემო არსებობს არა მხოლოდ მათ ოჯახებში, ასევე, ქუჩაში, სადაც უხდებათ ცხოვრება. გამოკვეთილია იმის საჭიროება, რომ ასეთი ბავშვები მოიაზრებოდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ და მათთვის სახელმწიფომ ამ მიმართულებით განახორციელოს პროგრამები.

#### 4.2. არასამთავრობო სექტორი

არასამთავრობო სექტორის როლი გააზრებულია დაუცველი ჯგუფებისათვის მრავალფეროვანი მომსახურებების, ოჯახების პრევენციული პროგრამების პილოტირების კუთხით. ოჯახების პრევენციულ ღონისძიებებში რესპონდენტები გულისხმობდნენ პრევენციული მექანიზმების შემუშავებას, მათ შორის ოჯახების ფსიქოლოგიურ დახმარებას, საგანმანათლებლო კუთხით მუშაობას (ტრენინგები), ბავშვების რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამების ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მრავალფეროვანი სათემო მომსახურების პილოტირება-განვითარებაზე. ხაზგასმულია საჭიროება, გაიზარდოს არასამთავრობო სექტორის პროფესიონალიზმი, კოორდინაცია და კონსოლიდაცია ადვოკატირების მიმართულებით, ასევე, დაფინანსების წყაროები, განსაკუთრებით, ხაზგასმულია, კერძო ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელობა.

## 5. რეკომენდაციები

ძირითადი რეკომენდაციები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კოორდინაცია, მომსახურებათა განვითარება, სოციალურ დახმარების გაზრდა, დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა განვითარება, განათლება და ცნობიერების გაზრდა და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა.

### 5.1. კოორდინაცია

უნდა ჩაეყაროს საფუძველი სისტემატურ დიალოგს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევის პოლიტიკის საკითხებზე. უნდა მოხერხდეს ამ დიალოგში საპატრიარქოს წარმომადგენლების ჩართვა, რამაც უნდა მიგვიყვანოს სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საპატრიარქოს სოციალურ სამსახურებს შორის კოორდინაციის გაძლიერებასთან.

სახელმწიფომ უნდა შემოიღოს ყველა პროვადერის (მათ შორის, რელიგიური კონფესიების) მიერ შეთავაზებულ 24-საათიანი ზრუნვის მომსახურებებში ბავშვების განთავსების რეგულირება ("გეთიქიფინგის" ეფექტიანობის უზრუნველყოფა).

უნდა გაუმჯობესდეს კოორდინაცია ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და რეფერალურ სისტემას შორის, რათა სისტემა გახდეს პროაქტიული და შეძლოს პრობლემისადმი სისტემური მიდგომის განხორციელება. ამის მისაღწევად, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს რისკგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა.

რისკგუფების ეფექტიანად გამოსავლენად იდენტიფიკაციის სისტემა უნდა გახდეს მულტისექტორული. მასში უნდა მონაწილეობდნენ, როგორც მუნიციპალური მომსახურებები (რწმუნებული) და პირველადი ჯანდაცვის ერთეულები (პოლიკლინიკა, სოფლის ექიმი), ასევე, სკოლა. რისკის ჯგუფი ბავშვებისა და ოჯახების იდენტიფიცირების ფუნქცია უნდა გაიწეროს სოციალური აგენტის სამუშაო აღწერილობაშიც.

### 5.2. მომსახურებათა განვითარება

უნდა განვითარდეს ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული ოჯახების მხარდაჭერი დივერსიფიცირებული და ხელმისაწვდომი მომსახურებები. იკვეთება ქვემოთ აღწერილი მომსახურების საჭიროება:

- სკოლის ბაზაზე არსებული ოჯახის მხარდაჭერი მომსახურების, კერძოდ კი, ოჯახის კონსულტირების მომსახურების განვითარება რეკომენდირებულია განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მომსახურების სიმწირეა. აღნიშნულის მისაღწევად უნდა დაინერგოს სკოლის სოციალური მუშაობა. ამ მუშაობის კონცეფცია უნდა აღიარებდეს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სამკუთხედს – ოჯახი, სკოლა და სამეზობლო - შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს როგორც ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენას, ისე რისკგუფ ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციას და მათ დაცვას.

ასევე, რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურების სამსახურში მომუშავე მუშაკების როლის გააქტიურება, მათი სამუშაო აღწერილობის გადახედვა და შესაბამისი პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

დღის ცენტრის მომსახურების განვითარება 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (ბაგა-ბაღის ტიპის მომსახურება) სოფლების დონეზე უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ არასამთავრობო სექტორიდან აღნიშნული მომსახურების შესყიდვის პრაქტიკის დამკვიდრებით.

მუნიციპალიტეტების დონეზე, ასევე უნდა დაინერგოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. მუნიციპალური სოციალური მუშაკები ხელს შეუწყობენ თემში რისკის ჯგუფის ბავშვთა იდენტიფიკაციას, რეფერირებას განახორციელებენ თემში არსებულ პრევენციულ მომსახურებაში და უზრუნველყოფენ ბავშვის მიმართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან. ხოლო ამ სააგენტოში

არსებული სოციალური მუშაობის ინსტიტუტი უნდა განვითარდეს სპეციალობების მიმართულებით (მაგ. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებს მომუშავე სოციალური მუშაკები, მინდობით აღზრდაზე მომუშავე სოციალური მუშაკები და ა.შ.).

### 5.3. სოციალური დახმარების გაზრდა

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება, კერძოდ:

რეინტეგრაციის შემწეობის გაზრდით ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას უთანასწორო მოპყრობის არსებული პრაქტიკა. პარალელურად, უნდა გაძლიერდეს რეინტეგრირებული ოჯახების მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმი სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიერ.

-24საათიან ზრუნვაში მოხვედრის პრევენციის მიზნით სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის უნდა დაწესდეს ბავშვზე ცალკე ფულადი სარგებელი (ბენეფიტი). სიღარიბის საზომად შეიძლება აღებული იქნეს სიღარიბის დაძლევის პროგრამის ქულა (მაგ. 57000–ს ქვემოთ). მსგავსი სარგებლის მიმღებ ოჯახებს მონიტორინგი უნდა გაუწიოს სახელმწიფო სოციალურმა მუშაკმა.

შიზანშეწონილია, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დაწესდეს ფულადი დახმარება. იგი სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული პრევენციული პაკეტის მხოლოდ ერთ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს და მოწყვლადი ოჯახების მხარდამჭერ სხვა მომსახურებასთან ერთად, მუდმივ სახელმწიფო მონიტორინგს უნდა ექვემდებარებოდეს.

### 5.4. დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა განვითარება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს როლი სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. კერძოდ, უნდა განვითარდეს აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობასა და, ჯამში, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

### 5.5. განათლება და ცნობიერების გაზრდა

უნდა გაღრმავდეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ჩართული სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე. უნდა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება თემზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

საჭიროა ბოშათა ოჯახებისა და ბავშვების მდგომარეობის შესწავლა და სიტუაციური ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, უკეთ ჩამოაყალიბონ ამ უმცირესობათა ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია.

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები ხშირად იცვლიან ზრუნვის ფორმას. ზრუნვის ფორმის ხშირი ცვლილება უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა მისი მიზეზების შესწავლა და კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

### 5.6. უნარების განვითარება

უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს როგორც სოციალური მუშაკის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, ისე მათი კვალიფიკაციის გაზრდას. მიღწეულ უნდა იქნეს სოციალური მუშაკების როგორც ადეკვატური რაოდენობა, ისე მათი ანაზღაურების, სამუშაო პირობების, უსაფრთხოებისა და პროფესიული სუპერვიზიის საკანონმდებლო უზრუნველყოფა. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური მუშაკების ხარისხიანი პრაქტიკა და ადეკვატური, თემზე დაფუძნებული, მომსახურებების განვითარება.



უნდა განვითარდეს მზრუნველების სამუშაო პირობები, კვალიფიკაცია და პროფესიული სუპერვიზია, რათა მათ შეძლონ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ზრუნვა.

უნდა გაძლიერდეს საპატრიარქოს სოციალური სამსახურის პროფესიული შესაძლებლობები, მათ შორის, გამოცდილების გაზიარებით ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის საქმეში.

### **5.7. გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა**

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის ჩართულობა მათი კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მისასალმებელია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლობა ბავშვთა და ახალგაზრდების მრჩეველთა საბჭოებისა თუ საკონსულტაციო ჯგუფებთან, თუმცა მსგავს მონაწილეობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩართულობით მანიპულირების რისკი. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ბავშვის მომსახურების გეგმასა თუ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში აისახოს ბავშვის აქტიური მონაწილეობა. შესაძლებელია, ბავშვი თავისი ხელით გაკეთებული ჩანაწერებით ამდიდრებდეს გეგმას და თავად გეგმა იყოს ბავშვზე მორგებული.

## ბიბლიოგრაფია

- Barrientos A.J., B. J. (2013). Social Transfers and Child Protection. Florence: UNICEF Office of Research.
- Browne, K. (2009). The Risk of Harm to Young Children in Institutional Care. Save the Children.
- Costa, M. (2012, October 1). Opening Doors for Europe's Children. Retrieved from eurochild.org: [www.eurochild.org](http://www.eurochild.org)
- COUNCIL OF EUROPE. (2005, March 16). COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation. Retrieved from wcd.coe.int: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=835953>
- Council of Europe. (2006, December 13). Recommendation (2006)19 Committee of Ministers. Retrieved from wcd.coe.int: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1073507>
- Dorfman, J. (2014 , 1 23). Why Some People Oppose Expanding Government Aid To The Poor. Retrieved from forbes.com: <http://www.forbes.com/sites/jeffreydorfman/2014/01/23/why-some-people-oppose-expanding-government-aid-to-the-poor/>
- EuroChild. (2013). Round Table Repot, Family and Parenting Support in Challenging Times . Brussels: EuroChild.
- Global Coalition for Social Protection Floors. (2014, January 27). Global Coalition for Social Protection Floors. Retrieved from ifsw.org: [http://cdn.ifsw.org/assets/ifsw\\_22348-2.pdf](http://cdn.ifsw.org/assets/ifsw_22348-2.pdf)
- Harwin, A. B. (2003). Chaning Minds, Policies and Lives, Improving Protection of Children in Eastern Europe and Central Asia. Gatekeeping Services for Vulnurable Children and Families. UNICEF and World Bank.
- J. Williamson, A. G. (2010). Families, Not Orphanages. Better Care Network.
- Krugman, P. ( 2014, JANUERY 9). The War Over Poverty. Retrieved from nytimes.com: [http://www.nytimes.com/2014/01/10/opinion/krugman-the-war-over-poverty.html?ref=opinion&\\_r=1](http://www.nytimes.com/2014/01/10/opinion/krugman-the-war-over-poverty.html?ref=opinion&_r=1)
- Mare, B. (2006). Procedure Guide for the Social Integration of Youngsters Leaving the National Care System. Europrint.
- NOVA. (2009). Children's level of living - the impact of family economy for children's lives. Oslo and Akershus University College of Applied Sciences.
- OHCHR. (1989, November 20). Convention on the Rights of the Child. Retrieved April 28, 2015, from Uited Ntions Human Rights Office of High Commissioner for Human Rights: <http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx>
- Palayret, G. (2012, 10 31). Central and Eastern Europe, Commonwealth of Independent States. Retrieved from unicef.org: [http://www.unicef.org/ceecis/UNICEF\\_Report\\_Children\\_Under\\_3\\_FINAL.pdf](http://www.unicef.org/ceecis/UNICEF_Report_Children_Under_3_FINAL.pdf)
- Parker, C. (2011). Forgotten Europeans, Forgotten Rights. Retrieved from europe.ohchr.org: [http://www.europe.ohchr.org/Documents/Publications/Forgotten\\_Europeans.pdf](http://www.europe.ohchr.org/Documents/Publications/Forgotten_Europeans.pdf)
- Pillay, A. G. (2012, May 16). Commettee on Economic, Social, and Cultural rights. Retrieved from United nations Human Rights Office of the High Commissioner: <http://www2.ohchr.org/english/bodies/cescr/docs/LetterCESCRtoSP16.05.12.pdf>
- THE ROLE OF EMPLOYMENT AND SOCIAL PROTECTION MAKING ECONOMIC GROWTH MORE PRO-POOR. (2009, May 28). Retrieved from oecd.org: <http://www.oecd.org/development/povertyreduction/43514572.pdf>
- The UNICEF Innocenti Research Centre. (2006). General Comments of the Committee on the

Rights of the Child. Retrieved from unicef-irc.org: <http://www.unicef-irc.org/publications/pdf/crcgencommen.pdf>

UNICEF . (2012). Integrated Social Protection Systems: Enhancing Equity for Children. UNICEF

UNICEF. (2010, February 24). Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children. Retrieved from UNICEF: [http://www.unicef.org/protection/alternative\\_care\\_Guidelines-English.pdf](http://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf)

UNICEF. (2011, June 28). End placing children under three years in institutions - A call to action. Retrieved from unicef.org: [http://www.unicef.org/ceecis/media\\_17370.html](http://www.unicef.org/ceecis/media_17370.html)

UNICEF. (2012). Keeping families together. INSIGHTS: CHILD RIGHTS IN CENTRAL AND EASTERN EUROPE AND CENTRAL ASIA.

United Nations. (2006, August 29). General Assembly. Retrieved from unicef.org: [http://www.unicef.org/violencestudy/reports/SG\\_violencestudy\\_en.pdf](http://www.unicef.org/violencestudy/reports/SG_violencestudy_en.pdf)

SoS Children's Villages, Georgia & Georgian Association of Social Workers (2012). Child Rights Situation Analysis.

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2013). ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ.

ნამიჭეიშვილი, ს., & მგელიაშვილი, მ. (2010). სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები. (თავი 2).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2014). სოციალური დაცვის უფლების განხორციელება ყველასათვის - პირველად მისაღწევი მიზანი ადმიანის უფლებათა დაცვის პროცესში. gasw.org. მოპოვებული <http://www.gasw.org/ka.html?start=35>დან

წინეო შატბერაშვილი

# საერთაშორისო სოციალური სამუშაო



გამომცემლობა ინტელექტი  
თბილისი 2011

მთარგმნელი  
 თეა ფარულავა, თამარ ნეფარიძე  
 რედაქტირებულია  
 ნინო შატბერაშვილის მიერ

**სარჩევი**

სოციალური სამუშაოს განვითარების ისტორია მსოფლიოში ... 5  
 სოციალური სამუშაოს განვითარების ისტორია  
 ლინი ჰილის მიერ ..... 7

სოციალური სამუშაოს ეტიკა და ღირებულებები..... 33  
 სოციალური სამუშაოს ეტიკა და ღირებულებები  
 ნინო შატბერაშვილის მიერ ..... 35

რა არის საერთაშორისო სოციალური სამუშაო ..... 43  
 სოციალური სამუშაოს მიმართ არსებული საერთაშორისო  
 პერსპექტივების გაცნობა  
 კარენ ლიონსის, კეთლინ მენიონის, მერი კარლსენის მიერ ..... 45

საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გააზრება  
 ჟანეტ უილიამსისა და ბრემ სიმპსონის მიერ ..... ??

საერთაშორისო სოციალური სამუშაო და საერთაშორისო  
 სოციალური პოლიტიკა ..... 69  
 საერთაშორისო სოციალური სამუშაო და საერთაშორისო  
 სოციალური პოლიტიკა ჰანს ვან ვეიკის მიერ ..... 71

სოციალურ სამუშაოში მიმდინარე დებატები ..... 91  
 პროფესიული იმპერიალიზმი: კონცეფციის ახლებური ხედვა  
 რიჩარდ ჰუმანის მიერ ..... 93

სოციალური სამუშაოს თეორიები ..... 109  
 სოციალური სამუშაო, როგორც დისციპლინა და პროფესია  
 სილვია შტაუბ-ბერნასკონის მიერ ..... 111

სოციალური სამუშაოს მოდელები ..... 125  
 სოციალური სამუშაოს სხვადასხვა ფორმა: პლურალისტური და  
 ინკლუზიური მოსაზრებები რიჩარდ ჰუმანის მიერ..... 127

განათლება სოციალურ სამუშაოში ..... 147  
 განათლება სოციალურ სამუშაოში საერთაშორისო ასპარეზზე  
 ნინო შატბერაშვილის მიერ ..... 149

სოციალური სამუშაოს როლი საერთაშორისო კეთილდღეობაში .....	157
სოციალური სამუშაო და გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები რიჩარდ ჰუგმანის მიერ .....	159
სოციალური სამუშაოს პერსპექტივა ადამიანის უფლებების დაცვაში.....	183
თეორიები და კონცეფციები საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გააზრებისათვის ლინ ჰილის მიერ.....	185
ლოკალური არის გლობალური და გლობალური არის ლოკალური .....	217
ლოკალური არის გლობალური და გლობალური არის ლოკალური გრემ სიმპსონისა და სიუ ლორენსის მიერ.....	219
სოციალური მუშაკის როლი სოციალური ერთსულოვნების დამკვიდრებაში.....	233
გლობალურ კონტექსტში კარენ ლიონსის, კეთლინ მენიონის, მერი კარლსენის მიერ .....	235
სოციალური ადვოკატიობა .....	257
სოციალური მუშაკი, როგორც სოციალური ადვოკატი ნინო შატბერაშვილის მიერ .....	259
საერთაშორისო სოციალური სამუშაოს პერსპექტივის განვითარება.....	287
საერთაშორისო სოციალური სამუშაოს პერსპექტივის განვითარება კარენ ლიონსისა და სიუ ლორენსის მიერ .....	289

# I

## სოციალური სამუშაოს განვითარების ისტორია მსოფლიოში

## სოციალური სამუშაოს განვითარების ისტორია

ლინ ჰილის მიერ

სოციალური სამუშაოს პროფესიის დაარსების თარიღი რთული დასადგენია. შეერთებული შტატების სოციალურ მუშაკთა ეროვნულმა ასოციაციამ (NASW) 1998 წელი ამ პროფესიის მე-100 წლისთავად გამოაცხადა; თუმცა, ეს წელი, ფაქტობრივად, სოციალურ სამუშაოზე აშშ-ში გამართული პირველი ტრენინგ კურსის წლისთავი იყო, რომელიც ნიუ იორკში საზაფხულო სკოლაში გამართა 1898 წელს. უფრო ადრე, ტრენინგ კურსები ინგლისში არსებობდა და, ალბათ სხვაგანაც, ხოლო სოციალური სამუშაოს პირველი სკოლა ამსტერდამში გაიხსნა 1899 წელს. იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური სამუშაო ვითარდებოდა, დამხმარე ღონისძიებები სხვადასხვა ეგიდით იმართებოდა. როდის შეიძლება ამას სოციალური სამუშაოს სახელი დაერქვას? ერთი განმასხვავებელი ნიშანი ის ხომ არ არის, რომ ისინი საერო გახდნენ და რელიგიური პერსონალის ექსკლუზიურ კონტროლს აღარ ექვემდებარებოდნენ? ან ის ხომ არაა, რომ მათ ის პირები ახორციელებდნენ, ვინც საკუთარი თავი ადამიანების დახმარებას მიუძღვნა, რეგულარული საქმიანობის სახით და არა როგორც მხოლოდ პერიოდული მოხალისეობრივი ქმედება? ვან ვორმერი (1997), მაგალითად, აღნიშნავს, რომ სოციალური მუშაკის პირველი დოკუმენტირებული დასაქმება მერი სტიუარტის საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოების (COS) მიერ გადამზადებული მუშაკის დაქირავება იყო ლონდონის უფასო სამეფო საავადმყოფოს (Royal Free Hospital) მიერ. მისი მოვალეობა იყო განესაზღვრა, პაციენტებს უფასო მკურნალობის უფლება ჰქონდათ თუ არა. მეორე განმარტება ისაა, რომ სოციალური სამუშაო პროფესია მაშინ გახდა, როცა იმ ადამიანებმა, რომლებიც ამგვარი სახის დახმარებით მომსახურებას ეწეოდნენ, თავიანთ ძალისხმევას სისტემური ხასიათი მისცეს და ასევე სხვების გადამზადება დაიწყეს მსგავსი სახით მომსახურების განვითარების მიზნით.

ცხადია, რომ ყველაზე მარტივად თარიღის დადგენა იმ დროიდან შეიძლება, როცა სოციალური სამუშაოზე ფორმალიზებული ტრენინგი დაიწყო. რასაკვირველია, შესაძლებელია კამათი იმაზე, რომ არის თუ არა ეს ის მომენტი, როცა სოციალური სამუშაო პროფესია ხდება. ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი სააგენტოები, როგორცაა დასახლების სახლები (Settlement Houses) და ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია (Young Women's Christian Association), რომელიც ინგლისში 1855 წელს, ხოლო შტატებში 1858 წელს დაარსდა. აღნიშნული სააგენტოების შექმნა ორგანიზებული ძალისხმევა იყო სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფის მიზნით, დაქირავებული პერსონალის მეშვეობით, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოს თავიანთ ძირითად პროფესიად მიიჩნევდნენ.

## სოციალური სამუშაოს მომსახურების წარმოშობა ევროპასა და შეერთებულ შტატებში

ვან ვორმერისეული (1997) შეჯამების მიხედვით, სოციალური სამუშაოს პროფესიის განვითარებას მიმართულება მისცა ორმა სოციალურმა მოძრაობამ სოციალურ კეთილდღეობაში, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო: *საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებები* (Charity Organizations Society) და დასახლების სახლები (Settlement Houses) (გვ. 162). თითოეული მათგანი წარმოიშვა, როგორც პასუხი იმ დროის სოციალურ ავბედითობაზე, მაგრამ მათი ფილოსოფია და მიდგომა განსხვავებული იყო. ორივე ინსტიტუტი ლონდონში დაარსდა, საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოება 1869 წელს და პირველი დასახლების სახლი, ტოინბი ჰოლი (Toynbee Hall) კი - 1884 წელს. ათწლეულზე უფრო ნაკლები დროის პერიოდში, ყველა მათგანი შეერთებულ შტატებშიც გადავიდა – ტექნოლოგიის გადაცემის შესანიშნავი ადრეული მაგალითები ადამიანთა მომსახურებაში. შეერთებულ შტატებში პირველი საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებები 1877 წელს გაიხსნა ბუფალოში, რომელსაც შემდეგ საზოგადოებების სწრაფი განვითარება მოჰყვა სხვა ქალაქებში. ჩიკაგოში *ნაჭურჭის ჰაუზი* (Hull Houses) დაარსდა 1889 წელს, ტოინბი ჰოლში ჯეინ ადამსის ვიზიტის შემდეგ. სოციალური სამუშაოს რეფორმის ორიენტაციაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა დასახლების სახლების მოძრაობამ შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებების მუშაკები გაჭირვებულ ადამიანებზე ორიენტაციის, „მეცნიერული“ ჩანაწერების და მეგობრული ვიზიტების გამო, შემთხვევებზე მომუშავე სოციალური მუშაკების (Social Case Workes) წინამორბედებს წარმოადგენდნენ. უფრო ფორმალური ტრენინგის მოთხოვნების შედეგად ნიუ იორკის ზემოხსენებული კურსი შეიქმნა 1898 წელს.

სერბეთში სოციალური სამუშაოს ისტორია დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ჰუმანიტარული მომსახურებით იწყება. სერბულ-თურქულმა ომებმა 1876 წელს ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა სახლების გახსნა და ისეთი მრავალი საქველმოქმედო ორგანიზაციის ჩამოყალიბება გამოიწვია, როგორცაა: ბელგრადის ქალთა საზოგადოება, გოგონების დაცვის საზოგადოება, საზოგადოება კარიტასი ღარიბ ბავშვთა დასახმარებლად (ჰესლე და ზავირშევი, 2005). პირველმა მსოფლიო ომმა ახალი საჭიროებები წარმოშვა, რამაც მხოლოდ სერბეთში 180 საქველმოქმედო დაწესებულების გახსნა მოიტანა შედეგად 1920-1939 წლებში.

მსოფლიოს მეორე მხარეს კი მსგავსი მომსახურებები კოლონიური საქმიანობების შედეგად განვითარდა. ამ კუთხით, იამაიკა საინტერესო მაგალითს წარმოადგენს:

*ის, თუ როგორ ჩამოყალიბდა იმდროინდელი ბრიტანული ვესტინდოეთის კოლონიებში მომსახურებები, როგორც მშობლიური ქვეყნიდან ექსპორტირე-*

მთელს მსოფლიოში სოციალური სამუშაოს წარმოშობის აღწერისას, ყურადღება მომსახურებების და განათლების განხილვას უნდა მიექცეს. თუმცა, საჭიროა იმის აღიარება, რომ სოციალური სამუშაოს სკოლის დაარსება, ან თუნდაც ფორმალური ტრენინგის პროგრამის შედგენა, სავარაუდოდ, უფრო კარგად არის ხოლმე დოკუმენტირებული და, შესაბამისად, მათზე საუბარი უფრო მეტი სიზუსტით შეიძლება.

სოციალური სამუშაოს განვითარებაში ორი გამორჩეული მახასიათებელი აშკარად არსებობს. სოციალური სამუშაოს სკოლები თითქმის ერთდროულად გაიხსნა ლონდონში, ამსტერდამში, ნიუ იორკსა და ბერლინში 1900-იან წლებში (დე ჯონგი, 1972). დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდნენ, რომ ეს სპონტანური რამ იყო; შეერთებულ შტატებში სოციალური სამუშაოს პიონერის მერი რიჩმონდის იმდროინდელი კორესპონდენციების და დოკუმენტების ახალი კვლევის შედეგად ჩანს, რომ ის არა მარტო კითხულობდა ბრიტანეთში არსებულ ნაშრომებს საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოების მოძრაობის შესახებ, ასევე კომიტეტის შეხვედრებსაც ესწრებოდა ლონდონში, სადაც ტრენინგის კურსი იგეგმებოდა (კენდოლი, 2000). შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ფორმალური ტრენინგის ორგანიზების მიზანი იყო სოციალური მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის საჭიროებების დაკმაყოფილება, რომლებიც გადამზადდნენ ადამიანთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედებაში ინდუსტრიული რევოლუციის ფონზე. მომსახურება ოჯახისთვის, დასახლების სახლები, დახმარების განევა ობლებისთვის, ქვრივებისთვის, ემიგრანტებისა და ახალგაზრდა მომუშავე ქალებისთვის მძიმე სამუშაო პირობების საპასუხოდ განვითარდა. ამის საპირისპიროდ, დე ჯონგი (1972) აცხადებს: „არ ვიცი არც ერთი განვითარებადი ქვეყანა, სადაც სოციალური სამუშაოს განათლება ეროვნული განვითარების თავდაპირველი პროდუქტი ყოფილიყო; მისი წარმომავლობა ყოველთვის შეიძლება დაუფკავშიროთ ძლიერ უცხოურ ზეგავლენას“ (გვ. 23). ამგვარად, ჩვენ ორი მახასიათებელი გვაქვს: სოციალური სამუშაო, რომელიც შეერთებულ შტატებსა და ევროპის უმრავლეს ქვეყანაში აღმოცენდა, როგორც ადგილობრივი რეაქცია მეცხრამეტე საუკუნის გვიანდელი პერიოდის ცხოვრებისეულ პირობებზე და სოციალური სამუშაო, რომელიც აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ამერიკელმა და ევროპელმა ექსპერტებმა შეიტანეს „ჩამორჩენილობის“ პრობლემების გადასაჭრელად. მესამე ნიმუში, რომელიც დე ჯონგის მუშაობის შედეგია, არის თანამედროვე სოციალური სამუშაოს დანერგვა, ან ხელახლა შეტანა ყოფილი საბჭოთა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში, რომელთა შორისაა რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპის ერები, ჩინეთი და ვიეტნამი; აღნიშნული პროცესიც უცხოურ ზეგავლენას განიცდის.



ბული მოდელები, ასახულია ამ რეგიონში არსებული პროგრამების დასახელებებში. ამის საუკეთესო მაგალითია კინგსტონის საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოება, რომელიც 1900 წელს ჩამოყალიბდა კერძო ქველმოქმედების მინოდების რაციონალიზებისათვის. ის არც ცენტრალური მნიშვნელობის შეძენას გეგმავდა სოციალური მომსახურების განვითარებაში და არც სოციალური სამუშაოს მომსახურების მინოდების სისტემატიზირებასა და საბოლოოდ პროფესიულ დონემდე აყვანას, რაც მიღწეული იქნა ლონდონში არსებულ საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებაში 1850 წელს, ან ამ ორგანიზაციის მსგავს ორგანიზაციებში ბუფალოში, ნიუ იორკში, მონრეალსა და სხვა ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ქალაქებში. K.C.O.S. (კინგსტონის საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოება) ჩამოყალიბდა, როგორც დახმარების კერძო სააგენტო (მაქსველი, 1993, გვ. 9).

### სოციალური სამუშაოს განათლების განვითარება

პროფესიის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი შესაძლოა პროფესიული განათლება იყოს. 1899 წელს ამსტერდამში სოციალური სამუშაოს პირველი სკოლა გაიხსნა, სოციალური სამუშაოს ტრენინგის ინსტიტუტი (Institute for Social Work Training). ეს იყო 2-წლიანი კურსი, რომლის მიზანი გახლდათ „იმ პირების მეთოდური, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი, რომლებსაც სოციალური სამუშაოს სფეროში კონკრეტული და მნიშვნელოვანი სამუშაოს განხორციელება სურდათ“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1958, გვ. 109). შემოთავაზებული იყო სწავლის ხუთი სფერო: ღარიბთა კეთილდღეობა, საბინაო მართვა, ტონინგის სამუშაო (დასახლების სახლის სამუშაო), ობოლ და მიტოვებულ ბავშვებზე მზრუნველობა, ასევე სოციალური სამუშაო ქარხნებსა და საამქროებში.

აღნიშნულ კომპლექსურ პროგრამას სხვაგანაც მოჰყვა ლექციები სოციალური მუშაკების გადამზადებისთვის. ოქტავია ჰილი ინგლისში ტრენინგებს უკვე 1873 წელს მართავდა. ლონდონში მთელი რიგი ლექციები გაიმართა 1890-იან წლებში. 1895 წელს საზაფხულო ინსტიტუტი მოეწყო სპონსორის დახმარებით ჩიკაგოში, ჰალ ჰაუზის მიერ. შემდეგ კი, 1898 წელს, ნიუ იორკის საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებამ ფილანტროპული სამუშაოს საზაფხულო სკოლა გახსნა მას შემდეგ, რაც მერი რიჩმონდმა უფრო ორგანიზებული ტრენინგი მოითხოვა 1897 წელს სოციალური სამუშაოს ეროვნულ კონფერენციაზე წარმომთქმულ სიტყვაში. შეერთებულ შტატებში ეს პროფესიული სოციალური სამუშაოს განათლების დასაწყისად იქნა მიჩნეული, რის შედეგადაც საზაფხულო ინსტიტუტი ერთწლიანი სრული კურსი გახდა 1904 წელს, ხოლო საბოლოოდ კი ეს კოლეჯის უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს სკოლად გადაიქცა (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1958). წინა წელს, 1903-ში, ლონდონის სოციოლოგიის სკოლამ 2-წლიანი თეორიული და პრაქტიკული კურსი დაიწყო,

რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოების ძალისხმევითა და მისი „პროფესიონალიზების ეფექტის“ საფუძველზე წარმოიშვა. ევროპის კონტინენტზე, ელის სალომონმა ტრენინგის კურსი დაიწყო სოციალური სამუშაოს შესრულებაში დაინტერესებული ახალგაზრდა ქალებისთვის 1899 წელს და სოციალური სამუშაოს პირველი სკოლა დააარსა გერმანიაში (ბერლინში) 1908 წელს (ვილერი, 1988). ამგვარად, როგორც დე ჯონგმა აღნიშნა, სოციალური სამუშაოს განათლება თითქმის ერთდროულად წარმოიშვა საუკუნის მიჯნაზე ბრიტანეთში, შეერთებულ შტატებსა და ევროპის კონტინენტზე, რამაც თითოეულ ადგილას სწრაფი პროგრესი განიცადა და ლექციებიდან უკვე სრული ტრენინგის სახე მიიღო.

აღმოსავლეთ ევროპაში კი სოციალური სამუშაოს ტრენინგის სკოლა ვარშავაში, პოლონეთის თავისუფალ უნივერსიტეტში გაიხსნა 1925 წელს მადამ ჰელენ რადლინსკას მიერ. იქ არსებულ ორწლიან პროგრამასაც რამდენიმე მოკლე კურსი უძღოდა წინ სოციალურ სამუშაოში (რადლინსკა, 1929). მადამ რადლინსკამ 1928 წელს სოციალური სამუშაოს პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე შეკრებილ განათლების მუშაკებს განუცხადა, რომ რთული იყო თეორიისა და პრაქტიკის დაბალანსება. „ფაქტობრივად, ძალიან ცოტა პროფესორი არსებობს, რომელიც პრაქტიკულ გამოცდილებას აკადემიურ კვალიფიკაციასთან აერთიანებს; შესაბამისად, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის და თეორიის დაკავშირება რთულია“ (რადლინსკა, 1929, გვ. 92). ეს კი, რასაკვირველია, გამოწვევა იყო და ჯერ კიდევ არის ნებისმიერ ადგილას, სადაც პროფესიული განათლება სოციალური სამუშაოს სფეროში ახლა იკიდებს ფეხს.

### გავრცელება ევროპის გარეთ: ადრეული სოციალური სამუშაო და სოციალური სამუშაოს განათლება ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში

1920-იან წლებისთვის, საერთაშორისო ზეგავლენამ უმთავრესი როლი ითამაშა პროფესიული სოციალური სამუშაოს გავრცელებაში. სოციალური სამუშაოს სკოლა სანტიაგოში, ჩილეში, პირველი სკოლა იყო ლათინურ ამერიკაში, რომელიც 1925 წელს დაარსდა ექიმ ალესანდრო დელ რიოს მიერ, მეორე კი ბელგიელი ექიმის რენე სანდის დახმარებით მას შემდეგ, რაც დოქტორი დელ რიო ევროპას ეწვია, რათა გაეგო, თუ რა როლს თამაშობდნენ სოციალური მუშაკები ექიმების დასახმარებლად. ის გემზე დოქტორ სანდს შეხვდა და ამ შანსის წყალობით ის ბრიუსელში სოციალური კვლევების ცენტრალურ სკოლას ეწვია (კენდოლი, 2000). ჩილეში დაარსებული სკოლის პირველი დირექტორი იყო მადამ ბერნიე ბელგიიდან, რომელიც სანდმა დაიქირავა დელ რიოს მოთხოვნით. დოქტორი დელ რიო სკოლასთან ასოცირებული 1932 წლამდე

დარჩა და განაგრძო დახმარების მოპოვება დოქტორ სანდისგან, როგორც ეს დოკუმენტირებულია ამ ორს შორის არსებულ მიმოწერაში (კენდოლი, 2000).

მსგავსი სიტუაცია განვითარდა მეზობელ არგენტინაში, სადაც ექიმებმა გამოიკვლიეს „ჰიგიენური ვიზიტორების“ გამოყენების იდეა, რომელიც მათ ადრე ევროპაში ენახათ. 1930-იანი წლების დასაწყისში სოციალური სამუშაოს სკოლა ბუენოს აირესის უნივერსიტეტთან არსებულ სამედიცინო სკოლასთან დაარსდა, რათა ექიმების დამხმარე პერსონალი გადაემზადებინათ. არგენტინაში, სადაც ადრეულ პერიოდში სოციალური სამუშაოს განვითარებაზე ზეგავლენა ბელგიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან მოდიოდა, აქცენტი გაკეთდა საქველმოქმედო სამუშაოსა და სოციალურ სამუშაოზე, როგორც სხვა პროფესიების დამხმარე ელემენტზე (რ. თიუბალი, პირადი კომუნიკაცია, 1997 წლის 13 მარტი). არგენტინაში საქველმოქმედო სამუშაოს ტრადიცია დიდად უსწრებდა წინ სკოლის ჩამოყალიბებას. 1823 წელს, მაგალითად, ქალთა ორგანიზაცია სახელად *საქველმოქმედო საზოგადოება* დაარსდა და მას ბავშვებისთვის, ქალებისა და ხანდაზმულებისთვის ინსტიტუტების ადმინისტრირების უფლებამოსილება მიენიჭა. 1948 წლამდე აღნიშნულ ორგანიზაციას ახასიათებდნენ, როგორც „მე-19 საუკუნის ყველაზე ძლიერ საქველმოქმედო ორგანიზაციას“ (ქეირო-ტაჯალი, 1995, გვ. 92). 1940-იან წლებამდე, არგენტინის სოციალური სამუშაოსა და სოციალური სამუშაოს განათლებაზე ზეგავლენას ევროპული იდეები, ასევე მათი საკუთარი რელიგიური და საქველმოქმედი ტრადიციები ახდენდა. 1940-იანი წლებიდან 1960-იან წლებამდე აშშ-ს ზეგავლენა გაიზარდა, არგენტინის სოციალურ სამუშაოში ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპიის კონცეფციები შემოიტანეს.

აფრიკაში პირველი სკოლები კონტინენტის მეორე მხარეს გაიხსნა: 1924 წელს სამხრეთ აფრიკაში და 1936 წელს ეგვიპტეში. სამხრეთ აფრიკაში სოციალური სამუშაოს ტრენინგი „ლარიბი თეთრკანიანების“ პრობლემების მოსაგვარებლად დაიწყო; ტრენინგის თეორიული ნაწილი ნასესხები იყო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპისგან, სადაც ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ადაპტაციას (მაზიბუ-კო, მაკკენდრიკი და პატელი, 1992). 1924 წელს კეიპტაუნის უნივერსიტეტში კურსი გაიხსნა, ხოლო ათწლეულის განმავლობაში მას სოციალური სამუშაოს პროგრამები შეუერთდა პრეტორიასა და სტელენბოში; 1938 წელს სოციალური კვლევების ერთობლივი საუნივერსიტეტო კომიტეტი ჩამოყალიბდა, სოციალური სამუშაოს კვლევის მხარდასაჭერად სამხრეთ აფრიკაში (ნტუსი, 1995). ლიბერალიზმის საწინააღმდეგო ტრადიციის პარალელურად, რომელიც მრავალფეროვნების და ღიაობის ადვოკატობას ახდენდა, ადრეული პერიოდის სოციალური სამუშაოს შესახებ განათლება უკავშირდებოდა *ბროედერბონდს*, აფრიკანული აღმავლობის მოძრაობას, რომელიც ყველანაირი კულტურული ასიმილაციის წინააღმდეგი იყო. ნტუსის განმარტებით (1995):

*სოციალური სამუშაოს მომსახურებების მიწოდება ლარიბი თეთრკანიანებისთვის ორ მიზანს ემსახურებოდა. მან გააერთიანა და გააძლიერა ეთნიკური საზღვრები და ხელი შეუწყო სერთიფიცირებული პროფესიული ელიტის აღმავლობას, ის ლოიალურია მთავრობისადმი და მისი მიზანია მთავრობის მიერ დასახულ მიზანს მიაღწიოს – აღმოფხვრას თეთრკანიანთა სიღარიბე. (გვ. 263).*

ამ ტრადიციით, დოქტორმა ვერვორდმა სტელენბოშის უნივერსიტეტში სოციოლოგიის და სოციალური სამუშაოს დეპარტამენტი გახსნა 1932 წელს. ლიბერალიზმის ორი ტრადიცია – ზოგადად სიღარიბეზე ფოკუსირება – და აფრიკული ფოკუსი თეთრკანიანების მომსახურებაზე – უცვლელად გაგრძელდა სამხრეთ აფრიკის სოციალური სამუშაოს განათლებაში ათწლეულების მანძილზე.

პირველი სკოლა, სადაც სოციალურ სამუშაოში არათეთრკანიანთა განათლებაზე აქცენტი გაკეთდა იყო იან ჰ. ჰოფმეირის *სოციალური სამუშაოს სკოლა, რომელიც 1941 წელს დაარსდა ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაციის (YMCA) დახმარებით* (კენდოლი, 2000). ეს იყო ჰოფმეირის, სამხრეთ აფრიკელი ფილანთროპის მუშაობის შედეგი, რომელსაც თანაბარი შესაძლებლობებისა სჯეროდა; ეს ასევე კონგრეგაციონალისტური მისიონერის, იელის სადოქტორო ხარისხის მფლობელი რეი ფილიპის დამსახურებაა; ფილიპმა ვალდებულება აიღო „ყველა რასის და მდგომარეობის მამაკაცების და ქალების აბსოლუტურ თანასწორობაზე“ და მის მიერ სკოლის დაარსება ერთ-ერთი გზა იყო იმისთვის, რომ საკუთარი რწმენა ქმედებაში მოეყვანა (კენდოლი, 2000, გვ. 85).

სოციალური სამუშაოს განათლება ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, კაიროში დაიწყო 1936 წელს, იმ წელს, როცა ეგვიპტე დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარეს. რაგაბის (1995) მიხედვით, განვითარების ადრეულ ეტაპზე „ამერიკული მოდელი წარმატებულად დაინერგა ეგვიპტეში“ (გვ. 281). დამაარსებლებს, რამდენიმე საზღვარგარეთ დაბადებული და იქ გადამზადებული სოციალური მუშაკის ჩათვლით, სჯეროდათ, რომ ახალი ერის წინაშე მდგარი ბევრი სოციალური პრობლემა შეიძლებოდა სოციალური რეფორმის მიდგომით გადაჭრილიყო, რომელიც ჯანსაღ თეორიასა და კვლევას დაეფუძნებოდა. „სკოლამ უმაღლეს წარმატებას მიაღწია... რამდენადაც ქვეყანაში ბევრი იყო იდეალისტი და ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა, რომლებიც ერის რეკონსტრუქციასა და განვითარებაში საკუთარი როლის ძიებაში იყვნენ“ (რაგაბი, 1995, გვ. 284). სოციალური სამსახურებიც უფრო ფორმალიზებული გახდა, გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, რადგანაც მთავრობამ სოციალური საკითხებისა და შრომის სამინისტრო დააარსა 1939 წელს, საზოგადოებისთვის სოციალური მომსახურების უზრუნველსაყოფად. 1939 წლამდე, ეგვიპტეში მხოლოდ მოხალისეობრივი სოციალური მომსახურებები არსებობდა, რომელთა ორგანიზებასაც მეჩეთები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახდენდნენ

(უოლტონი და ელ ნასრი, 1988). ეგვიპტეში რამდენიმე სხვა სკოლა განვითარდა, კაიროში კი 1975 წელს სოციალური სამუშაოს განათლება უნივერსიტეტში გადავიდა, როცა სოციალური სამუშაოს უმაღლესი განათლების ინსტიტუტი ახალი, ჰელვანის უნივერსიტეტის ნაწილი გახდა.

*დასახლების სახლის* მსგავსი სააგენტო, *ნაგპადას უბნის სახლი* (Nagpada Neighbourhood House) 1926 წელს გაიხსნა ბომბეის ღარიბთა უბანში, ინდოეთში, ამერიკელი მისიონერის, დოქტორ კლიფორდ მანშარდტის მიერ. კონგრეგაციულ კურთხეულ მღვდელ მანშარდტს უარი უთხრეს, როცა მან პირველად გააკეთა მიმართვა მისიონერული მუშაობისთვის, რადგანაც საეკლესიო პირებმა ის „შესანიშნავ იდეალისტად, მაგრამ რელიგიურად არაადეკვატურად“ მიიჩნიეს (მანშარდტი, 1967, გვ. 9). ეკლესიისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო მისი შეხედულებები კაცთა საძმოს შესახებ, რაც მისი აზრით ყველას მოიცავდა, რწმენის მიუხედავად. ის საბოლოოდ სოციალური სამუშაოს თანამდებობაზე დანიშნეს და უთხრეს, რომ თავისი არაორთოდოქსული შეხედულებების გამო ის ვერ იმსახურებდა ჩვეულებრივ ეკლესიაში ინდოელ ქრისტიან ოჯახებთან, რადგანაც მის იდეებს „შეეძლო მათი რწმენა შეერყია“; თუმცა, სოციალური სამუშაოს როლში ეკლესიამ მიიჩნია, რომ „მას ნაკლები ზიანის მიყენება – და, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად კარგის კეთება შეეძლო“ (მანშარდტი, 1967, გვ. 11).

დასახლებაში მუშაობის შედეგად მანშარდტი (1941) დარწმუნდა, „რომ სოციალური სამუშაოს სტანდარტი ინდოეთში სათანადოდ ვერ ამავლდებოდა მანამდე, სანამ არ გაიხსნებოდა სოციალური სამუშაოს მუდმივმოქმედი სკოლა ინდოეთის სოციალური პრობლემების საკვლევად და სოციალურ სამუშაოში უმაღლესი განათლების დონეზე სწავლების უზრუნველსაყოფად“ (გვ. 15). ინდოელი მრეწველის ფონდიდან მიღებული დაფინანსებით, მანშარდტმა ინდოეთის პირველი სპეციალიზებული სკოლა გახსნა 1936 წელს ბომბეში - სერ დორაბჯი ტატას კურსდამთავრებულთა სოციალური სამუშაოს სკოლა (The Sir Dorabji Tata Graduate School of Social Work). ფაკულტეტი წარმოდგენილი იყო გერმანელი ებრაელი ლტოლვილით, ამერიკელი მონვეული პროფესორით და ორი ინდოელით, რომელთაგან ერთ-ერთს განათლება თეოლოგიაში ჰქონდა მიღებული, მეორე კი სოციოლოგი იყო (დესაი, 1987). სკოლის მთავარი აქცენტი მიმართული იყო ურბანული პრობლემებისაკენ და მათ პირველებმა გადაამზადეს შრომის კეთილდღეობის ოფიცრები, რათა ემუშავათ ახალი ქარხნის მუშახელთან, რამდენადაც ოჯახები ბომბეიდან სოფლებში გადადიოდნენ. შრომის კეთილდღეობამ მნიშვნელობა შეინარჩუნა ინდურ სოციალურ ცხოვრებაში. მეორე სკოლა, დელის სკოლა (რომელიც თავიდან ლაქნოუში მდებარეობდა), 1946 წელს გაიხსნა „ინდოეთის, ბირმის და ცეილონის ეროვნული Y.W.C.A.-ს ეგიდით, შეერთებული შტატების Y.W.C.A.-ს საგარეო განყოფილების არსებითი დახმარებით“ (იელაჯა, 1969, გვ. 365). ამ თავში უკვე განხილული, დე ჯონგის (1972) მიერ იდენტიფიცირებული ნიმუშის შესანარჩუნებლად, ინდოეთი მეორე

შემთხვევაა, სადაც „სოციალური სამუშაოს აღმოცენება და ადრეული ზრდა და მისი პროფესიონალიზაცია... ადგილობრივი სულისკვეთების პროდუქტი არ იყო“ (კუდჩოდკარი, 1963, გვ. 96). სოციალური სამუშაოს ინდურ განათლებაზე ამერიკული მოდელები მრავალი წლის განმავლობაში ახდენდა ზეგავლენას.

ჩინეთში პირველი აღიარებული სოციალური სამუშაოს მომსახურება (როგორც ეს ლიტერატურაშია აღწერილი), სამედიცინო სოციალური სამუშაოს მომსახურებები იყო საავადმყოფოს სოციალური სამუშაოს განყოფილებაში პეკინში, რომელიც 1921 წელს ამერიკელმა სოციალურმა მუშაკმა იდა პრუიტმა დააარსა. განყოფილება სთავაზობდა სოციალური სამუშაოს მომსახურებებს, შვილად აყვანასთან დაკავშირებულ სამუშაოს და სარეაბილიტაციო მომსახურებებს; ამას გარდა, სოციალური მუშაკებისთვის უზრუნველყოფილი იყო ტრენინგი მომსახურების განწევის პროცესში – ალბათ, პირველი ტრენინგი სოციალური სამუშაოს თემაზე ჩინეთში. პრინსტონიდან ჩამოსულმა ამერიკელმა პროფესორებმა სოციოლოგიის დეპარტამენტი გახსნეს იანჯინგის უნივერსიტეტში (ახლანდელი პეკინი) 1922 წელს, რომელიც სოციოლოგიისა და სოციალური სამსახურების დეპარტამენტი გახდა რამდენიმე წლის შემდეგ (ლიუნგი, 1995). სოციალური სამუშაო და სოციალური სამუშაოს განათლება ძალიან განიცდიდა ამერიკელი მისიონერების და ორგანიზაციების ზეგავლენას, როგორცაა YMCA და YWCA; მიუხედავად იმისა, რომ სოფლებში ერთგვარი სამუშაო მიმდინარეობდა, აქცენტირება ურბანულ კლინიკურ პრაქტიკაზე კეთდებოდა. ეს მოდელი კი ცოტათი თუ პასუხობდა ჩინეთში არსებულ მწვავე საჭიროებებს (ლიუნგი, 1995).

**შემდგომი განვითარებები 1930-იან წლებში.** ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური სამუშაოს განათლება „პირველი ტალღის“ შემდეგ განვითარდა, უცხოურმა ზეგავლენამ ერთგვარი როლი ითამაშა. მაგალითად, დანიაში პირველი სკოლა 1937 წელს დაარსდა კოპენჰაგენში მანონ ლუტიჩაუს მიერ. მუშაობდა რა კერძო ორგანიზაციაში სახელად მზრუნველობა დანიელი ქალებისთვის (Care for Danish Women (Danske Kvinders Velfaerd)) 1920-იანი და 1930-იანი წლების დასაწყისში, ლუტიჩაუმ შეერთებულ შტატებში იმოგზაურა სასწავლო ტურით და იქ ყოფნისას გაიაზრა, რომ სოციალურ მუშაკებს პროფესიული განათლება ესაჭიროებოდათ. დანიაში დაბრუნების შემდეგ მან დანერა, რომ მაშინ, როცა სალი აზრი მნიშვნელოვანია, ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ვინმე სოციალური მუშაკი გახდეს. ის ასევე გერმანიასაც ეწვია და სოციალურ სამუშაოში დაინტერესებულ სხვა ადამიანებსაც მოუწოდა, რომ ემოგზაურათ და ესწავლათ. ის დარწმუნებული იყო, რომ ვერც ერთი სოციალური მუშაკი ვერ შეძლებდა მხოლოდ თავის ქვეყანაში ყოფნით სოციალური სამუშაოს განვითარებას, მათ სხვა ადგილები უნდა მოენახულებინათ და იდეები გაეცვალათ (ჰიერილდი, პირადი კომუნიკაცია, 1997 წლის 17 აპრილი).

## ძალისხმევები პროფესიად აღიარებისთვის

სოციალური სამუშაოს პროფესიად აღიარება მარტივად არ მომხდარა. 1915 წელს, აბრაამ ფლექსნერმა აუდიტორია შეაშოფოთა აშშ-ს ეროვნულ საქველმოქმედო კონფერენციაზე, როცა განაცხადა, რომ სოციალური სამუშაო პროფესია არ იყო, რადგანაც მას განათლების გზით სწავლებადი ტექნიკები არ გააჩნდა და იმიტომ, რომ სოციალური სამუშაოს საზღვრები ძალიან ფართო იყო (ფოფლი, 1995). ისტორიის დაახლოებით იმავე პერიოდში, ელის სალომონმა, დაინახა რა, რომ გერმანიაში სოციალურ მუშაკებზე მოთხოვნა იზრდებოდა პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში, გადანყვიტა, რომ სოციალური სამუშაოს სკოლებისთვის უნიფიცირებული სტანდარტები მნიშვნელოვანი იქნებოდა. გერმანიაში ერთგვაროვანი სტანდარტების შემოღებისთვის სახელმწიფო ნებართვა იყო საჭირო, რადგანაც ამგვარი ქმედება პროფესიული სტატუსის აღიარებას მოითხოვდა. შესაბამისად, სალომონმა სკოლების და მთავრობის წარმომადგენლები მოიწვია შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროებიდან. ისინი დილით შეიკრიბნენ, რათა პროფესიული აღიარებისა და სტანდარტების საკითხები განეხილათ, მაგრამ შედეგები დადებითი არ იყო.

როგორც სალომონი (ნ.დ.) წერდა თავის ავტობიოგრაფიაში: „შემდეგ სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განყოფილების უფროსმა, ძალიან ხისტმა და ღირსეულმა ბატონმა საბოლოოდ წამოიძახა: „თქვენ ბევრ განსხვავებულ რამეზე საუბრობთ, ტრენინგი ჯანდაცვითი სამუშაოსთვის – საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის - დასახმარებლად – შრომის დაცვისთვის – და ყველაფერ ამას თქვენ სოციალური მუშაკების პროფესიას ეძახით. ის, რაზეც თქვენ საუბრობთ, არ არსებობს“ (გვ. 197). შემდეგ ის ამბობს, რომ საფრანგეთშიც მსგავსი პროცესი შედგა, იმავე შედეგით. იქაურმა სოციალური სამუშაოს პირველმა ხუთმა სკოლამ და პარიზის საზოგადოებრივი დახმარების და ჰიგიენის საბჭოს დირექტორმა ჯანდაცვის მინისტრს პეტიცია წარუდგინეს, სადაც სოციალური სამუშაოს რეგულირებას ითხოვდნენ. პასუხი იყო: „პეტიცია ეხება პროფესიას, რომლის განსაზღვრაც შეუძლებელია, რომელიც ძლივს არსებობს საფრანგეთში და რომლის ტიპოლოგია მის რეგულირებას შეუძლებელს ხდის“ (გვ. 197).

მერი რიჩმონდის სოციალური დიაგნოზის (1917) გამოქვეყნება აიტაცეს როგორც პასუხი ფლექსნერის მიმართ, რამაც სოციალურ სამუშაოს კომუნიკაბელური ტექნიკა მისცა. არსებობს მტკიცებულება, რომ ამ წიგნმა ზეგავლენა მოახდინა ევროპულ, ასევე დიდი ნვლილი შეიტანა შეერთებულ შტატებში სოციალურ სამუშაოს ტრენინგზე.

## გენდერი და სოციალური სამუშაოს პროფესია

აღიარების მოპოვების სირთულის ნაწილი შეიძლება გენდერული მიკერძობულობა ყოფილიყო, რადგანაც სოციალური სამუშაო იყო და ჯერ კიდევ განიხილება როგორც ქალების პროფესია. ელის სალომონმა (ნ.დ.), რომელიც ოფიციალური პირების მიერ სოციალური სამუშაოს ახალგაზრდა პროფესიის მიმართ უარყოფით რეაქციებზე საუბრობდა, აღნიშნა:

*ამ მტრული დამოკიდებულების გამოხატვის მიღმა განსწავლული და პროგრესული ქალების მიმართ უნდობლობა იმალებოდა. მათი ძალისხმევა განიხილეს როგორც ბრძოლის ნაწილი, რომელიც ქალებსა და კაცებს შორის ფარულად არსებობდა და რაც ახლა ცხოვრების ახალ სფეროში გადავიდა. ისინი იმ ტიპის სკოლის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომელიც უპირატესად ქალებისათვის შესაფერისი პროფესიისათვის ამზადებს, რაც ქალების მიერ იყო ჩაფიქრებული და მათი ფასეულობების შკალის შესაბამისად იყო ფორმულირებული. აქამდე კი ყველა პროფესია – ექთნის და მასწავლებლის ჩათვლით – მამაკაცების მიერ იყო ფორმირებული. საგანმანათლებლო დანესებულებების უმეტესობას მამაკაცები მართავდნენ, ქალის მოვალეობების და შესაძლებლობების მიმართ მამაკაცებისეული აღქმის შესაბამისად. ქალთა განათლების მიზანი მამაკაცებისთვის „დამხმარის“ უზრუნველყოფა იყო. ჩვენი ოპონენტები მართლები იყვნენ როცა ხვდებოდნენ, რომ ჩვენ უფრო მეტი გვინდოდა. ჩვენ გვინდოდა, რომ ქალები პასუხისმგებელნი ყოფილიყვნენ ისეთ მომსახურებებზე, რომლებშიც ადამიანთა საჭიროებების დაკმაყოფილება ქალთა თვალთახედვით უნდა მომხდარიყო. გერმანულ ბიუროკრატიულ ტრადიციაზე გაზრდილ მამაკაცებს ჩვენი მისწრაფებების ხასიათის გაგებაც კი არ შეეძლოთ და, რა თქმა უნდა, ამას ვერც მოიწონებდნენ (გვ. 198).*

ადრეულ ეტაპზე სოციალური სამუშაო, რასაკვირველია, ქალთა პროფესია იყო. 1937 წლის ბოლოს, მსოფლიოში არსებული სოციალური სამუშაოს 179 სკოლიდან 83 მხოლოდ ქალებისთვის იყო, და მათგან მარტო 9 არსებობდა მამაკაცებისთვის. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, როგორცაა ავსტრია, საფრანგეთი, უნგრეთი, იტალია, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი და შვეიცარია, სოციალური სამუშაოს ერთადერთი ტრენინგის ინსტიტუტი ქალებისთვის არსებობდა. ამას გარდა, სოციალური სამუშაოს ბევრი პიონერი ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში აქტიურად მონაწილეობდა ქალთა საარჩევნო ხმის უფლებების და ქალთა უფლებების გაფართოებისთვის ბრძოლაში. სოციალური სამუშაოს დამფუძნებლები ადვოკატობას უწევდნენ ქალების უფლებებს საოჯახო სამართლის ფარგლებში, ქონების ფლობის უფლებას და სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების სფეროში - თანაბარ ხელფასებს. ადრეული სოციალური სამუშაოს ფემინისტური ხასიათი შთამბეჭდავია.

## კავშირი პაციფიზმთან

ქალთა ადრეულ მოძრაობასთან კავშირებმა ასევე გამოიწვია საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობის სახელით. პროფესიული სოციალური სამუშაოს ტრენინგის დაწყებიდან ძალიან მალე, სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალ პიონერებს შესაძლებლობა მიეცათ, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ ბერლინში ქალთა საერთაშორისო კონგრესზე 1904 წელს და შემდეგ კანადაში 1909 წელს, ქალთა საერთაშორისო საბჭოს კონგრესზე. აქ, მაგალითად, ჯენ ადამსი შეხვდა ელის სალომონს და დამეგობრდნენ „მათი მეგობრობა კი კიდევ უფრო განამტკიცა ორმხრივმა ვალდებულებამ საერთაშორისო პაციფიზმის მიმართ“ (ლორენცი, 1994, გვ. 60). კავშირი სოციალურ სამუშაოსა და მშვიდობას შორის ნათელი იყო სალომონისთვის, რომელმაც დაწერა: „ომი ანგრევს ყველაფერს, რის მიღწევასაც სოციალური სამუშაო ცდილობს... ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ უნდა იყვნენ სოციალური მუშაკები პირველები, ვინც ხელს შეუწყობენ და დაიცავენ სამშვიდობო საერთაშორისო ურთიერთობებს“ (ვიელერი, 1989, გვ. 19). სოციალური სამუშაოს პირველი 50 წლის განმავლობაში, პაციფიზმის მიმართ აღებულ ვალდებულებას უხეშად უწევდა წინააღმდეგობას მოჭარბებული ნაციონალიზმი და ორი გამანადგურებელი მსოფლიო ომი.

შეერთებულ შტატებში სოციალური მუშაკი ჯანეტ რანკინი პოლიტიკაში გადავიდა და პირველი ქალი იყო, რომელიც კონგრესში აირჩიეს. ის იმით გამოირჩეოდა, რომ კონგრესის ერთადერთი წევრი იყო, ვინც ხმა მისცა აშშ-ს ორივე მსოფლიო ომში მონაწილეობის წინააღმდეგ. 1941 წელს იაპონიისთვის ომის გამოცხადების საკითხზე კენჭისყრის დროს მან განაცხადა: „როგორც ქალს, მე არ შემიძლია ომში წავიდე და მე უარს ვამბობ იქ სხვის გაგზავნაზე“. 1968 წელს 88 წლის რანკინმა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე პაციფისტი იყო, საპროტესტო დემონსტრაციას უხელმძღვანელა ვიეტნამიდან აშშ-ს გამოსვლის მოთხოვნით (ლუისი, 1999).

## დეპრესია და მზარდი ნაციონალიზმი

1930-იანი წლების განმავლობაში მსოფლიოში არსებულმა დეპრესიამ ბევრ ქვეყანაში სოციალური მუშაკები საშინაო კრიზისის დაძლევაში ჩართო. ნაციონალურ დონეზე მრავალი ახალი პოლიტიკისა და მომსახურების შექმნამ, სოციალური სამუშაოს ხასიათი და აქტივობები შეცვალა. შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ფართოდ გავრცელებულმა უმუშევრობამ ბევრი დაარწმუნა, რომ სიღარიბე ინდივიდუალური არაადეკვატურობის ან მახასიათებლების შედეგი კი არ იყო, არამედ სისტემიდან გამომდინარეობდა. სოციალური მუშაკი ჰარი ჰოპკინსი კრიზისის დაძლევისკენ მიმართული ახალი გარიგების (New Deal) სხვადასხვა პოლიტიკის არქიტექტორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კეთილდღეო-

ბის სახელმწიფოს ამერიკული ვერსია მინიმალური იყო, ცვლილებებმა სოციალური სამუშაოს პრაქტიკა შეცვალეს და ზეგავლენა მოახდინეს ადამიანთა საჭიროებებზე სამომავლო ფილოსოფიური შეხედულებების განვითარებებზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ევროპასა და იაპონიაში, ნაციონალიზმის და მილიტარიზმის ზრდა პასუხი იყო ეკონომიკურ სირთულეებსა თუ ნაციონალურ შეურაცხყოფაზე, რამაც მოამწიფა სიტუაცია მეორე მსოფლიო ომისთვის.

1930-იანი წლების არეულობა ძლიერ იგრძნობოდა. ვესტინდოეთში რამდენიმე წლის მანძილზე შრომითი არეულობა და სოციალური პროტესტები მიმდინარეობდა. მაგალითად, „1930-იანი წლების გვიანდელ პერიოდში სოციალურმა არეულობებმა, რომლებიც გაღვივებული უკმაყოფილების ფეთქებადი გამოხატულება იყო ღარიბი და ექსპლუატირებული პროლეტარიატის მიერ კარიბის ზღვის ტერიტორიაზე, ამ არეულობების ძირითადი მიზეზების კვლევა გამოიწვია ცნობილი მოინ კომისიის (Moyné Commission) მიერ 1938 წ.“ (ბრაუნი, 1991, გვ. 22). აღნიშნულმა კომისიამ, რომელიც ბრიტანეთის მთავრობის მიერ იყო დანიშნული, რეკომენდაციები გააკეთა სოციალური და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად ვესტინდოეთის კოლონიებში, სადაც ხაზი გაესვა სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებს, როგორც „მთავარ საშუალებას ვესტინდოეთში ცხოვრების დონის ასამაღლებლად“ (ბრაუნი, 1991, გვ. 22). ამგვარად, შეერთებულ შტატებში დიდი დეპრესიით გამოწვეული არეულობის მსგავსად, სოციალური კეთილდღეობის მომსახურებები და, საბოლოოდ კი, სოციალური სამუშაო, გაძლიერდა იამაიკასა და ვესტინდოეთის სხვა ქვეყნებში.

თუმცა, ომმა ყველას დაავინყა დეპრესია და მისგან გამომდინარე სოციალური საჭიროებები.

## მეორე მსოფლიო ომი და ნაციონალური პერიოდი

1930-იანი წლების ბოლო და 1940-იანი წლების ადრეულმა პერიოდმა მსოფლიოს დიდი უბედურება, ხოლო სოციალური სამუშაოს პროფესიას ყველაზე უარესი შედეგი მოუტანა. აქტიური თანამშრომლობა ნაციონლების მიერ კონტროლირებად მთავრობასთან გერმანიაში თითქმის ყველაზე ბნელი ეპიზოდია სოციალური სამუშაოს ისტორიაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი დადებითი და გმირული ძალისხმევა განხორციელდა ევროპელი სოციალური მუშაკების მიერ ამავე პერიოდში. როგორც ებრაულ ოჯახში დაბადებული ელის სალომონი (ნ.დ.) იხსენებს თავის ავტობიოგრაფიაში:

*ჩემი ყველაზე ახლო თანამშრომლების, სოციალური სამუშაოს სკოლის და აკადემიის პერსონალის მიდგომები, რომელთაგან უმრავლესობა პროტესტანტი იყო ძირითადად პროტესტანტულ ბერლინში, განათლებული ქალებისთვის*

დამახასიათებელ მიდგომებს წარმოადგენდა. იყო ადამიანური სიძლიერის და ადამიანური სისუსტეების მაგალითები. ბრძოლის შედეგად ერთნი უფრო დაიხვეწნენ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ, სხვებმა კი სრულიად დაკარგეს მორალური ნონასწორობა. თანამშრომლებს შორის რამდენიმე ქალი იყო, რომლებიც ნაცისტური სტანდარტების მიხედვით უნაკლოები იყვნენ, იმის გათვალისწინების გარეშე, რომ ჩემთან ახლოს მუშაობდნენ. ისინი ამის გამოსწორებას გაორმაგებულად ცდილობდნენ, ორჯერ ამბობდნენ „Heil Hitler“-ს მაშინ, როცა ამას სხვები მხოლოდ ერთხელ წარმოსთქვამდნენ (გვ. 243).

სოციალური სამუშაოს გერმანელი განათლების მუშაკები ასევე ინტენსიურად ახდენდნენ მასზე ზეწოლას, რომ სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგარიყო, იმუქრებოდნენ რა, რომ ყველა გერმანული სკოლა გავიდოდა ასოციაციიდან, თუ ის ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა (ნიცშე, 1935). რამდენჯერმე სალომონი გადადგა, რომ ასოციაცია ეხსნა, თუმცა საერთაშორისო დონეზე წევრები მას პრეზიდენტის თანამდებობაზე აღადგენდნენ ხოლმე.

სოციალური მუშაკების თანამშრომლობაში ჩართვა ებრაელი კოლეგებისაგან თავის განრიდების ფარგლებს გასცდა. ლორენცის მიხედვით (1994):

*ფაქტია, რომ ნაცისტური გერმანიის კეთილდღეობის მექანიზმმა, „თავისი მოვალეობის შესრულებით“, ნებისთი თუ უნებლიეთ, ათასობით ადამიანი რეჟიმის მომხრეების ხელში გადასცა, ენით აუნერეელი ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია, გააღრმავა განსხვავებები საზოგადოების ყველა დონეზე და საკუთარი ჰუმანური იდეალების დისკრედიტაცია მოახდინა. გერმანიის მილიონობით ებრაელი მოქალაქის მკვლელობა და ქვეყნების დაპყრობა, რითიც რეჟიმი ყველაზე ცხადად დასამახსოვრებელი გახდა, ექსტრემიზმის ცალკე მდგარი შემთხვევა არ იყო, რომელიც სხვა „მიღწევებს“ არ უკავშირდებოდა: ეს არის მისი პოლიტიკის გადმოცემა, კეთილდღეობის პოლიტიკის ჩათვლით... მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებების დაცვა პირობითი გახდა..., დისკრიმინაციის, სეგრეგაციის და ექსკლუზიის ლოგიკამ თავისი თავი დაიმკვიდრა ყოველდღიურ პროფესიულ დისკუსიაშიც (გვ. 63).*

ლორენცი დამორჩილების პროცესის განვითარებას აღწერს. 1920-იან წლებში, შესაძლოა, გერმანიაში მძიმე ომის შემდგომი პირობების გამო, „გერმანული კეთილდღეობის სისტემაში ნელ-ნელა იწერებოდა განსხვავებული დამოკიდებულება პერსპექტიულსა და უპერსპექტივო - „ღირებულისა და ნაკლებ ფასეული“ ახალგაზრდებისადმი“ (ლორენცი, 1994, გვ. 62). ამით თანდათან უფრო მეტი მხარდაჭერა ვლინდებოდა სულიერად ავადმყოფების ან გონებრივად ჩამორჩენილების სტერილიზაციისადმი, შემდეგ კი სხვა არასასურველი ადამიანების სხვა კლასების თავიდან მოშორებისა და სეგრეგაციისადმი. ადრეული

ნაცისტური სოციალური პოლიტიკის საზომით შესაძლებელი იყო სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სტერილიზაცია და ეს მოიცავდა სავალდებულო შეტყობინების ვალდებულებას, რომელიც ბევრ პროფესიებზე გავრცელდა – სავალდებულო შეტყობინების პრაქტიკის ადრეული საშინელი მაგალითი, რომელიც ახლა კლიენტის დაცვად განიხილება. „პროცედურის ფაქტობრივი ლეგიტიმაცია არსებითად დამოკიდებული იყო ისეთ ექსპერტებზე, როგორცაა ექიმები და სოციალური მუშაკები, რომლებიც „სწორ დიაგნოზს“ სვამდნენ“ (ლორენცი, 1994, გვ. 65). სოციალური სამუშაოს უნარები და შეფასების მეთოდები, დიაგნოზი და შეტყობინება გამოიყენებოდა „უღირსი სიცოცხლის“ გამოსავლენად, რომლის არსებობა როგორც „პარაზიტებისა, სამედიცინო და ეკონომიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელია“, როგორც ეს გაცხადებული იყო ქალაქ ფრანკფურტის 1933 წელს გამოქვეყნებულ დირექტივებში (ციტირებულია ლორენცის მიერ, 1994, გვ. 66).

ამგვარი მოვლენები მხოლოდ გერმანიაში არ ვითარდებოდა. რომში, ინდუსტრიაში სოციალური დახმარების უმაღლესი ფაშისტური სკოლა (High Facist School for Social Assistance in Industry) გაიხსნა 1928 წელს. ესპანეთში, ფრანკოს რეჟიმმა თავისი საკუთარი სოციალური სამუშაოს სკოლები გახსნა ბარსელონაში არსებული სკოლის დახურვის შემდეგ. სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებს ფაშისტები უჭერდნენ მხარს, როგორც თავიანთი სისტემების სოციალური კონტროლის ნაწილს.

მტკიცებულებები ცხადყოფენ, რომ ზოგიერთი შეთანხმება არსებული პოლიტიკისადმი აქტიური მხარდაჭერის, ხოლო სხვები კი მიამიტი თანამშრომლობის შედეგი იყო. შემონახულია ასევე ზოგიერთი სოციალური მუშაკის მხრიდან წინააღმდეგობის განხილვის ფაქტებიც, რადგან მათ გაიაზრეს, თუ როგორ იქნებოდა გამოყენებული მათი ანგარიშები. ამგვარ არაჰუმანურ ქმედებებში დამხმარე პროფესიების წარმომადგენელთა ჩართვა რთული გასაგები და მიუღებელია. თუმცა, მნიშვნელოვანია ამ ფაქტების გააზრება მათი განმეორების თავიდან აცილების მიზნით. ლორენცის აზრით, მაშინ არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ სოციალურ სამუშაოზე ძლიერი სამეცნიერო ზეგავლენისა და ფასეულობებისადმი ნეიტრალიტეტის განვითარების შედეგია. ადამიანების პრობლემებზე მუშაობისას ტექნიკურ მეთოდოლოგიებზე ფოკუსირება და ადამიანის უფლებებზე ორიენტაციის არარსებობა პროფესიის ბოროტი მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

მსოფლიოს სხვა ნებისმიერ კუთხეშიც ვხვდებით ადამიანის უფლებების უხემ შეზღუდვებს, რასთანაც სოციალურ მუშაკებს უწევდათ გამკლავება. მაგალითად, როგორცაა შეერთებულ შტატებში იაპონელი და სხვა ქვეყნის რეზიდენტების გაუსამართლებლად ციხეში განთავსება. სოციალური მომსახურების მიმოხილვის (Social Service Review) სტატიები მოგვითხრობენ სოციალური მუშაკების მოქმედების, ან უმოქმედობის შესახებ ამ საკითხებთან მიმართებით:

ჩვენთვის მარტივია დავივიწყოთ იაპონელები და სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეები – რომელთა ევაკუაცია ბევრი თვის წინ მოხდა. და სიხარული, რაც მოჰყვა გენერალური პროკურორის განცხადებას, რომ იტალიელი ამერიკელები, რომლებიც ჯერ კიდევ სხვა ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებიან, აღარ იქნებიან მიჩნეულნი მტრულ უცხოელებად, შეგვახსენებს, რომ იაპონელი ამერიკელების, და სხვა ქვეყნების მოქალაქეების დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ ელის მართლმსაჯულებას ჩვენს ამერიკულ რესპუბლიკაში (ბავშვთა კეთილდღეობის პრობლემები და იაპონელების ევაკუაცია, 1942, გვ. 673)

დასავლეთში იმდენად მოუხრებლად ხორციელდებოდა იაპონელთა უფლებების შელახვა, რომ იაპონელი ბავშვებიც კი გამოასახლეს ბავშვთა სახლებიდან და გადაიყვანეს დროებითი დაკავების ბანაკებში.

### ომის შემდგომი პერიოდი

ომის შემდგომმა პერიოდმა რამდენიმე ძირეული ცვლილება მოუტანა სოციალურ სამუშაოს მთელს მსოფლიოში. უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ აღმოსავლეთ ევროპაში წერტილი დაუსვა სოციალურ სამუშაოს რამდენიმე ქვეყანაში და გამოიწვია სოციალური სამუშაოს განვითარების ჩამორჩენა მთელს კომუნისტურ ბლოკში. მეორე, განადგურებამ შესაძლებლობები შეუქმნა სოციალურ მუშაკებს, რომ ევროპასა და ჩინეთში დახმარების და რეაბილიტაციის ფართომასშტაბიან ღონისძიებებში მიეღოთ მონაწილეობა. და მესამე, აზიის, აფრიკისა და კარიბის განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ნაციონალისტური და დამოუკიდებლობის მოძრაობებმა ბევრი ახალი სოციალური სამუშაოს პროგრამები წარმოშვა ახალი ერების დაბადებასთან ერთად.

პროფესიული სოციალური სამუშაო, სოციალური სამუშაოს ტრენინგის ინსტიტუტების არსებობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკვე განვითარებული იყო ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც შემდეგ კომუნისტური რეჟიმი დამყარდა. აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური სისტემის დამკვიდრების შემდეგ მალევე, სოციალური სამუშაო ოფიციალურად გაუქმდა, როგორც არასაჭირო და ბურჟუაზიული პროფესია. ჩინეთმა აღნიშნულ მაგალითს 1949 წლის რევოლუციის შემდეგ მიბაძა. სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო კომიტეტის მდივნის 1950 წლის ივლისის ანგარიშში მოცემულია ცივი ომის საწყისი ზეგავლენა სოციალური სამუშაოს განათლებაზე, ამავედროულად კი ნაჩვენებია არარეალისტური ოპტიმიზმი ჩინეთში არსებული სიტუაციის შესახებ:

*ჩეხოსლოვაკური სკოლებიდან, რომლებიც ბოლო ომამდე წევრები იყვნენ, ჩვენ უკვე ახალი ამბები აღარ გვესმის. აღმოსავლეთ ევროპიდან მხოლოდ*

*ლოდზში, პოლონეთში არსებული ქ-ნ რადლინსკას სკოლა დარჩა ლოიალური ჩვენს მიმართ. საინტერესოა ისიც, რომ ქ-ნმა შლატერმა წერილი მიიღო დოქტორ ჩენისგან, ნანკინგიდან, სადაც ნახსენებია, რომ მისი სკოლა ოდნავადაც არ დაზარალებულა ახალი წყობის გამო (მოლცერი, 1950, გვ. 3).*

უნდა აღინიშნოს, რომ ქ-ნი შლატერი - ეს დოქტორი მარგერიტ შლატერია ციურიხის სოციალური სამუშაოს სკოლიდან, შვეიცარია. ის ასევე სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო კომიტეტის წევრია.

მდივანმა სწორად აღნიშნა პოლონეთის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამუშაო იქ არ აყვავებულა, ის მაინც გრძელდებოდა პოლონეთში საბჭოთა ბატონობის მთელი პერიოდის განმავლობაში. იუგოსლავიაში კი, ამის საპირისპიროდ, სოციალური სამუშაო გაფართოვდა, რამდენადაც ამ ქვეყანამ საბჭოთა კავშირთან განწყვიტა კავშირი და სოციალიზმის თავისი ფორმა განავითარა. დასაწყისიდანვე (1928 წელს გამართულ სოციალური სამუშაოს პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სულ მცირე ხუთი დელეგატი სერბეთის, ხორვატიის და სლოვენის სამეფოდან), სოციალური სამუშაოს სკოლები ჩამოყალიბდა 1952 წელს ზაგრებში, 1955 წელს ლიუბლიანაში და 1958 წელს ბელგრადში, სარაევოსა და სკოპიეში (ჰესლი და ზავირსეკი, 2005). სოციალური სამუშაო მოიაზრებოდა, როგორც „მონინავე სოციალისტური კანონმდებლობის ამოქმედება და იმ თანხების რაციონალურად მართვა, რაც ჩვენმა ქვეყანამ დაარეზერვა ჩვენი მუშათა კლასის სოციალური დაცვისა და უკეთესი ცხოვრებისთვის“ (მინისტრი, ხალხთა ჯანმრთელობის და სოციალური პოლიტიკის საბჭო, ხორვატია, ციტირებულია ჰესლეს და ზავირსეკის ნაშრომში, 2005, გვ. 37).

ხორვატიაში 1950-იანი წლებიდან მოყოლებულ პერიოდთან დაკავშირებით, იუჯინ პუზიკმა განაცხადა:

*სოციალური სამუშაოს პროფესიის დანერგვამ წვლილი შეიტანა ზოგადად მმართველობის ჰუმანიზაციაში. ადრე, ადამიანები უბრალოდ დახედავდნენ დოკუმენტებს და ფიქრობდნენ, რომ ადმინისტრაციის მოვალეობა მხოლოდ დოკუმენტების წარმოება და გადაწყვეტილებების მიღებაა... რეალური ცხოვრების გააზრება და ხალხთან ურთიერთობა აბსოლუტურად უცხო ცნება იყო. სოციალური სამუშაოს პროფესიამ ადმინისტრაციის ჰუმანიზება მოახდინა (ციტირებულია ჰესლეს და ზავირსეკის ნაშრომში, გვ. 38).*

პუზიკმა ასევე აღნიშნა სოციალური სამუშაოს მნიშვნელოვანი წვლილი თითოეული ადამიანის ღირებულების იდეის წარმოსაჩენად.

თუ ჩინეთში სოციალური სამუშაო მალევე გაუქმდა, როგორც უსარგებლო და ბურჟუაზიული პროფესია, სასომხეთში საბჭოთა ბატონობამ პროფესიული

კონტაქტისაგან თავისი რესპუბლიკების და სატელიტების იზოლირება და სოციალური სამუშაოს დაწესებულების პრევენცია მოახდინა.

## ნგრევა და დახმარება

ომმა ევროპის ქვეყნებს, ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრ ქვეყანას ნგრევა მოუტანა. როგორც ფრიდლენდერი (1975) აღწერდა სიტუაციას პოლონეთში:

*პოლონეთი ევროპის ყველაზე განადგურებული ქვეყანა იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას. მისი რკინიგზა, ელექტროენერჯის სადგურები, ავტომაგისტრალები და ხიდები დაზარებული იყო, პორტები – გამოსაყენებლად უვარგისი, ქარხნები ტექნიკისგან გაძარცვული ან დამწვარი, საქონელი კი განადგურებული იყო. ომში ექვს მილიონ პოლონელზე მეტი დაიღუპა და სულ მცირე, ამდენივეს დეპორტირება მოხდა ტყვე მონების სახით გერმანიასა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ნაცისტებმა თითქმის მთელი ებრაული მოსახლეობა ამოწყვიტეს (გვ. 14).*

არც სოციალური სამუშაო გადარჩენილა, როგორც ამას გვიჩვენებს სოციალური სამუშაოს პოლონური სკოლის მოთხოვნა დახმარების მისაღებად:

*გულთბილად გთხოვთ საბჭოს სახელით, განსაკუთრებით კი ფრანგულად, ინგლისურად და გერმანულად მოლაპარაკე ქვეყნებს, რომ მათმა წევრებმა ქ-ნ პელენა რადლინსკას, ჩვენი კომიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს და ლოდზის (პოლონეთი) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გამოუგზავნონ სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველანაირი მასალა, რისი შეგროვებაც კი შეუძლიათ: წიგნები, წერილობითი ანგარიშები და სხვა. ქ-ნი რადლინსკასთვის დიდი უბედურება იყო თავისი საცხოვრებელი სახლის გვერდით მის მიერვე დაარსებული სოციალური სამუშაოს სკოლისა და მთელი ვარშავის უნივერსიტეტის ნანგრევების დანახვა, ასევე პედაგოგიური პერსონალის ორი მესამედის დაღუპვა. ამ უდიდესი უბედურების მიუხედავად, 75 წლის ასაკშიც კი ქ-ნი რადლინსკა ყველაფერს აკეთებს რაც შეუძლია, რომ ლოდზის უნივერსიტეტში სოციალური სამუშაოს სკოლა აღადგინოს. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილები დავრჩეთ, როცა ასეთ ენერგიულ ადამიანს ვხედავთ (მოლცერი, 1948, გვ. 2).*

ნგრევამ დახმარების და აღდგენის საჭიროება მოიტანა. უფრო საინტერესო სოციალური სამუშაოს ისტორიისთვის არის ის, რომ დახმარებისაკენ მიმართული დიდი ძალისხმევა საომარი მოქმედებების შეწყვეტამდე გაცილებით უფრო

ადრე იყო პროგნოზირებული და დაგეგმილი. ევროპის მასშტაბით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრირების (UNRRA) პროგრამებში სოციალური სამუშაოს ჩართულობა, საერთაშორისო სოციალური სამუშაოს კარგი გამოხატულება იყო. UNRRA 1943 წლის ნოემბერში შეიქმნა 44 სახელმწიფოს მიერ, რომლებიც დამპყრობელი ძალების მიერ დაპყრობილი ქვეყნებისთვის დახმარებისა და რეაბილიტაციის ორგანიზების დაპირებას იძლეოდნენ, როგორც კი მათი განთავისუფლება მოხდებოდა (კოლვიცი, 1943). ქვეყნების გათავისუფლებისთანავე, ძალისხმევა დახმარებებისაკენ იყო მიმართული, საჭირო იყო საზოგადოებრივი სამსახურების – წყალმომარაგება, სანიტარია, ელექტროობა, ტრანსპორტი – ასევე ჯანდაცვის და სოციალური სამსახურების აღდგენა. ბევრ ადგილას საჭირო იყო სურსათით დახმარება. ეს უდიდესი წამოწყება გახლდათ. რამდენიმე წლის განმავლობაში, UNRRA მსოფლიოში ყველაზე დიდი ექსპორტიორი იყო და ზენიტში ყოფნისას მისი თანამშრომლების რაოდენობა 25,000 ადამიანს შეადგენდა (ფრიდლენდერი, 1975). კეთილდღეობის განყოფილება 1946 წელს შეიქმნა და მისი საქმიანობის საგანი ადგილნაცვალი პირებისთვის დახმარების განევა იყო, განსაკუთრებით კი გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და მოგვიანებით ჩინეთში. მარტო ევროპაში, 21 მილიონ ადამიანს მოუხდა საკუთარი ქვეყნიდან გაქცევა ან გერმანიაში წაიყვანეს, როგორც პატიმრები ან ტყვე მუშები. ასევე განვითარდა სპეციალური სამსახურები, ობოლთა და სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვთა დასახმარებლად.

„სოციალური სამუშაოსა და სოციალური კეთილდღეობის აღდგენის პერიოდი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სავსე იყო საერთაშორისო პროგრამებით, პროექტებითა და შესაძლებლობებით“ (კენდოლი, 1978, გვ. 178). ბევრი ამერიკელი სოციალური მუშაკი ჩაერთო UNRRA-ს დახმარების და რეაბილიტაციის პროგრამებში ევროპასა და ჩინეთში. ეს იყო პირველი სისტემური პროგრამა, როცა სოციალური კეთილდღეობის ექსპერტები საზღვარგარეთ გაიგზავნენ, რათა სხვა ქვეყნებისთვის დახმარება გაენიათ სოციალური კანონმდებლობისა და სოციალური მომსახურების პროგრამების შემუშავებაში. ადგილობრივი სოციალური სამუშაოს პერსონალის ტრენინგი აღნიშნული ძალისხმევის კომპონენტს წარმოადგენდა. აქტიური კონსულტაცია და ტრენინგის პროგრამა დაიწყო UNRR-ს მიერ, რომელიც რამდენიმე ათწლეული გაგრძელდა ახლად ჩამოყალიბებული გაეროს ეგიდით. სოციალურმა მუშაკებმა ასევე განაგრძეს საერთაშორისო მუშაობა ბავშვებისთვის, ლტოლვილებისა და ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობით, რომლებიც გაეროს ისეთ სააგენტოებს გადაეცა, როგორიცაა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).



## სოციალური სამუშაოს გავრცელება განვითარებად ქვეყნებში

სოციალური სამუშაოს განათლების კუთხით UNRRA-ს პროგრამების საფუძველზე, გაერო მალე გახდა უდიდესი წვლილის შემტანი პროფესიული სოციალური სამუშაოს გავრცელებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აიღო რა სოციალური სამუშაოს სკოლების გახსნის პასუხისმგებლობა მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში (იანგჰაზბენდი, 1963). ამ პროგრამების ფარგლებში საგანმანათლებლო კონსულტანტები იგზავნებოდნენ განადგურებულ ქვეყნებში, მკვლევარები იგზავნებოდნენ შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში სასწავლებლად. მაშინ, როცა გაერო ახალი დაარსებული იყო, იმ დროისთვის დროებითმა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სოციალურმა კომისიამ (ECOSOC) ყურადღება სოციალური მუშაკების გადამზადებისა და სოციალური კეთილდღეობისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფისაკენ მიმართა. მთელი რიგი კვლევები და პუბლიკაციები შეიმუშავეს სათაურით ტექნიკური დახმარება სოციალური პროგრესისთვის (ვანდერ სთრეთენი, 1992). ერთ-ერთი მათგანი, ტრენინგი სოციალური სამუშაოსთვის: საერთაშორისო კვლევა კეტრინ კენდოლის მიერ, 1950 წელს გამოიცა, რომელიც პირველია ამ სფეროში ხუთ ყოვლისმომცველ კვლევას შორის. შემდეგ, 1959 წელს, გაეროს ECOSOC-მა გენერალურ მდივანს სთხოვა, რომ გაეკეთებინა „ყველაფერი, რაც კი შეიძლება, რომ სოციალური მუშაკების მონაწილეობა უზრუნველყოფთ განვითარებადი ქვეყნებისთვის პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში“ (გარიგი, 1961, გვ. 21).

1950-იანი და 1960-იანი წლები დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდებია აფრიკასა და კარიბის ქვეყნებში, ასევე აზიის იმ ნაწილებში, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. სოციალური კეთილდღეობა გამოვლინდა, როგორც თვითმმართველობისთვის მოსამზადებელი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რამდენადაც ნათელი იყო, რომ მოსახლეობას უკეთესი ცხოვრების სტანდარტის იმედი ჰქონდა თვითმმართველობის შემთხვევაში. იამაიკაში, მაგალითად, ნორმან მენლი, „იამაიკის დამოუკიდებლობის მამებს“ შორის ერთ-ერთი, ვალდებული იყო შეექმნა შპს *იამაიკის კეთილდღეობა* (Jamaica Welfare Limited) 1937 წელს, ორგანიზაცია, რომელიც კომუნისტური განვითარებისთვის იღწვოდა. პოლიტიკური მოძრაობის მეშვეობით, რომელიც 1930-იანი წლების არეულობიდან ამოიზარდა, მენლიმ შეთანხმებას მიაღწია, რომ ბანანის ექსპორტზე გადასახადი დაწესებულიყო და ამით საზოგადოების (თემის) განვითარების პროგრამები დაეფინანსებინათ (მაქსველი, 1993). თემის განვითარება ეშმაკურად იყო წარმოდგენილი საზოგადოების კეთილდღეობისთვის აუცილებელ კომპონენტად. სინამდვილეში კი, ეს ხალხის მასების გაერთიანებისა და მათთვის უფლებამოსილების მინიჭებისაკენ მიმართული ძალისხმევა იყო, რის გარეშეც შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობის მიღწევა.

ეს სოციალური სამუშაოს და სოციალური სამუშაოს განათლების კომპონენტი გახდა და ასეთად დარჩა იამაიკაში, ვესტინდოეთის უნივერსიტეტში, სოციალური კეთილდღეობის ტრენინგ ცენტრში.

აფრიკის შესახებ გამართულ თავის დისკუსიაში, ასამოა (1995) აღნიშნავდა:

*ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 1960-იან წლებში, როგორც სოციალური სამუშაოს პრაქტიკის, ასევე სოციალური სამუშაოს განათლების კუთხით აფრიკაში, იყო სოციალურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი მინისტრების პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 1968 წელს გაიმართა... 1968 წლის მინისტრთა კონფერენციაზე გაკეთდა რეკომენდაცია, რომ განვითარებად ქვეყნებში პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა სოციალურ კეთილდღეობას, ასევე, სოციალური კეთილდღეობის ტრენინგს მუშაკები უნდა მოემზადებინა განვითარებასთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად (გვ. 225).*

აღნიშნულმა კონფერენციამ, რომელიც გაეროს ეგიდით მომზადდა და გაიმართა, თავი მოუყარა სოციალური კეთილდღეობის სფეროში მოქმედ მაღალჩინოსნებს 89 ქვეყნის მთავრობებიდან, ასევე დამკვირვებლებს სხვა ქვეყნებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1969). ეს განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა გლობალურ სოციალურ კეთილდღეობაში.

განვითარებად სამყაროში ბევრმა ქვეყანამ მიიღო საკონსულტაციო დახმარება სოციალური სამუშაოს ტრენინგის ჩამოსაყალიბებლად, სხვებმა სტიპენდიები მიიღეს, რომ ფაკულტეტის წევრები საზღვარგარეთ გაეგზავნათ შემდგომი ტრენინგისთვის. ამას გარდა, გაეროსა და სხვა წყაროებიდან მიღებული გრანტები ხელს უწყობდა სოციალური კეთილდღეობის პროგრამების განვითარებასა და სოციალური სამუშაოს ტრენინგს. უგანდამ, მაგალითად, თავისი სოციალური სამუშაოს პროგრამა ჩამოაყალიბა მაკერერეს უნივერსიტეტში, კამპალაში, გაეროს ბავშვთა ფონდის გრანტით, რომელმაც სკოლა პირველი ოთხი წლის განმავლობაში დააფინანსა (რაო, გვ. 1984).

### ინდიჯენიზაციის ეპოქა: 1970-იანი წლები

1950-იანი და 1960-იანი წლებში განხორციელებული კონსულტაციების, ტრანსპლანტაციისა და სესხების ინტენსიურ პერიოდს რეაქცია მოჰყვა, რომელიც დასავლური მოდელების უარყოფითა და სოციალური სამუშაოს ადგილობრივი ფორმების მოძიებით ხასიათდებოდა. როგორც 1972 წელს გამართულ სოციალურ მუშაკთა მსოფლიო შეხვედრაზე განაცხადეს: „ჩვენ ინდიჯენიზაციის ეპო-

ქაში შევედით – ადგილობრივი განვითარება უნდა ხდებოდეს საჭიროებებისა და რესურსების, ასევე თითოეული საზოგადოების კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით – და წინა პლანზე გამოდის სოციალური სამუშაოს სკოლები, რადგანაც მათ უნდა გამოკვეთონ ამგვარი ახალი მიმართულებები“ (სტაინი, 1972, გვ. 161).

ლათინურმა ამერიკამ ინდიჯენიზაციის ტენდენცია აირჩია. როგორც არგენტინელმა განათლების მუშაკმა აღწერა, 1960-იანი წლები ალბათ „ყველაზე შემოქმედებითი ფაზა“ იყო, რამდენადაც სოციალურმა სამუშაომ სცადა „ამოზრდილიყო ჩვენი სოციალური რეალობიდან“ (რ. თიუბალი, პირადი კომუნიკაცია, 1997 წლის 13 მარტი). სელა სიერას მიხედვით, „რეკონცეპტუალიზაციის პერიოდის განმავლობაში, ლათინურმა ამერიკამ შეწყვიტა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისგან პასუხების მოძიება და თავად დაიწყო საკუთარი ავთენტური პოტენციალის გამოვლენა, რომ თავისუფალი კონტინენტი გამხდარიყო“ (ციტირებულია ქეირო-ტაჯალის მიერ, 1995, გვ. 97). ძლიერი ანტიამერიკული განწყობები წარმოიშვა ინდუსტრიალიზებული ქვეყნებიდან მოდელის სესხების და გამოყენების პროცესის უარყოფასთან ერთად. სოციალური სამუშაო უფრო პოლიტიკური, უფრო რადიკალური და უფრო ფოკუსირებული გახდა. ყველანაირი სოციალური ქმედება დანახული იყო, როგორც პოლიტიკური განზომილების მქონე. იმის მიუხედავად ათვისებულებების ამას პრაქტიკოსი თუ არა, ის მუდამ მოქალაქის გვერდითაა. ახალი გზაინილი იყო ის, რომ თქვენ ღარიბების მხარეს ან ხართ, ან არა. ამას რეკონცეპტუალიზაციის მოძრაობას ეძახდნენ და ის ორი მიმართულებით განვითარდა: რადიკალური, რომელიც კაპიტალიზმს უარყოფდა და ზომიერი, რომელიც გვერდს უვლიდა აშშ სოციალური სამუშაოს მიღებულ სამ მეთოდს: შემთხვევაზე მუშაობა (Case-work), ჯგუფური მუშაობა (Group Work) და საზოგადოების ორგანიზება (Community Organization) და ჰოლისტიკური პერსპექტივისკენ მიემართებოდა. ორივე მიმართულებით, სოციალური სამუშაო მაკრო პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა (რ. თიუბალი, პირადი კომუნიკაცია, 1997 წლის 13 მარტი). პაულო ფრეირეს, ჩილეში გადასახლებული ბრაზილიელი განათლების მუშაკის იდეები ლათინური ამერიკის სოციალურ სამუშაოს დაეხმარა ახალი აქცენტი გაეკეთებინა მონაწილეობაზე, ორგანიზებაზე, ასევე თვითშეგნების ამალგებაზე როგორც მეთოდოლოგიებზე (ხიმენესი და აილინი, 1992). სოციალურ სამუშაოზე ასევე ზეგავლენა მოახდინა ლათინურ ამერიკელი კათოლიკების მიერ განვითარებული *განმათავისუფლებელმა თეოლოგიამ* (Liberation Theology) – ქრისტიანობის რეინტერპრეტაციამ ღარიბების გამოცდილებითა და მათი თვალთ.

სოციალური სამუშაოს განვითარებისას, რადიკალიზაცია ხშირად უფრო მეტად იყო განხილვის საგანი, ვიდრე სამოქმედო დღის წესრიგი. შესაძლებელია, რომ არგენტინაში დიქტატურის ხელახლა დამკვიდრებამ, ან ჩილეში 1973 წლის პუტჩმა - რომლის დროსაც არჩეული პრეზიდენტი ალენდე გადაადგდეს და რამაც პინოჩეტის ერას მისცა დასაბამი - აქტიურ რადიკალიზმზე გადას-

ვლა შეასუსტა. სიტყვის ყველანაირი თავისუფლება ჩახშობილი იყო და დაიწყო სოციალური მუშაკებისა და სოციალური სამუშაოს სტუდენტების დევნა, დაპატიმრება, წამება და „გაქრობა“.

ვიეტნამის ომმა ანტიამერიკანიზმი კიდევ უფრო გააძლიერა მთელს მსოფლიოში და ახალი დისკუსიები წარმოშვა იმპერიალიზმის საფრთხეებთან დაკავშირებით. ინტელექტუალურმა კამპანიამ, პროფესიული ჟურნალებისა და კონფერენციების საშუალებით, დაგმო სოციალური სამუშაოს ამერიკული და ბრიტანული მოდელის რეპლიკაცია აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში და მას საუკეთესო შემთხვევაში არარელევანტური, ხოლო უარეს შემთხვევაში კი „საზიანო“ უწოდა. ზოგ ქვეყანაში შედეგი პროტესტზე ოდნავ მეტი რამ იყო, ხოლო სხვებში ინდიჯენიზაციის ძალისხმევამ სასარგებლო ადგილობრივი პრაქტიკული მაგალითების (Case Studies) და სასწავლო მასალების, ასევე პირველი კულტურულად სპეციფიკური თეორიების შემუშავებას დაუდო საფუძველი. თუმცა, სხვა ქვეყნებში, უფრო ძალისმიერი რეაქცია გამოიხატა დასავლური ზეგავლენების მიმართ. როგორც სატარე ფარმან ფარმაიანის მოკლე ბიოგრაფიაში აღინერა, ირანში ისლამურმა რევოლუციამ სოციალური სამუშაოს სკოლების ძალისმიერი ჩახშობა გამოიწვია. მაშინ, როცა ყურადღება ინდიჯენიზაციაზე გრძელდება, ურთიერთამოკიდებულებასთან გამკლავების ძალისხმევა გაჩნდა, აგორდა რა სოციალური სამუშაოს მოდელირების ახალი ტალღა კომუნისტური ბლოკის დაშლით.

### აღმოსავლური ბლოკის დაცემა და ცივი ომის დასასრული

აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა დომინირების თანდათან რღვევამ და შემდეგ კი დრამატულმა დასასრულმა ახალი შესაძლებლობები მოაზღვავა სოციალური სამუშაოს მომსახურებების და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოსაყალიბებლად აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლონეთის და იუგოსლავიის გარდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლურ ბლოკში სოციალური სამუშაო ოფიციალურად აღარ არსებობდა.

სოციალური სამუშაო ერთგვარი ფორმით არსებობდა საბჭოთა კავშირში 1920-იან წლებში; რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პარიზში 1928 წელს გამართულ, სოციალური სამუშაოს პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მათ ინდივიდუალური ქველმოქმედების მიდგომის წინააღმდეგ, ასევე ამ პროფესიაზე რელიგიური ზეგავლენების წინააღმდეგ ისაუბრეს. თუმცა, 1930-იან წლებში, სოციალური სამუშაო განიხილეს როგორც „ბურჟუაზიული წარმონაქმნი და აღმოფხვრეს“ (გიუზეტა, 1995, გვ. 197).

ცივი ომის დასასრულმა აღმოსავლეთ ევროპაში კონსულტანტების ნაკადის შემოდინება გამოიწვია. გიუზეტას მიხედვით (1995):

*დასავლეთელი დამსვენებლებისა და „კონსულტანტებისთვის“, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ახდენილი ოცნება იყო. ფასები დაუფერებლად დაბალი იყო და ჩამოსულებს პატივცემული სტუმრებივით ექცეოდნენ, ყველა წარმოთქმულ აზრს ყურადღებით და ნდობით ეკიდებოდნენ, რაც მეცნიერთა მშობლიურ ქვეყანაში არსებული გამოცდილებისაგან აშკარად განსხვავდებოდა (გვ. 200).*

მაშინ, როცა კონსულტაციების უმეტესობა სასარგებლო იყო, ზოგიერთი რჩევები კრიტიკისა და კონტექსტის გააზრების გარეშე იყო მიცემული. სავარაუდოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში ინდივიდუალური ახალი ეპოქა დაიწყო.

ეტაპობრივი განვითარების მიუხედავად, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალური სამუშაოს აქტივიზაციას ჩინეთში. 1949 წელს კომუნისტების სათავეში მოსვლის შემდეგ, ჩინეთის უნივერსიტეტებმა 1952 წლისთვის ყველა სოციალური მეცნიერება აკრძალეს და მათ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საგნების იარლიყი მიაკრეს. თითქმის 30 წლის განმავლობაში, ჩინეთსა და მსოფლიოს შორის კონტაქტი არ არსებობდა სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებით. 1980-იანი წლების დასაწყისში ჩინეთი, უნივერსიტეტებში სოციალური მეცნიერებების ხელახლა ჩამოყალიბების შემდეგ, სოციალური სამუშაოს კვლევას იწყებს. 1988 წლისთვის ოთხ უნივერსიტეტს უკვე მიღებული ჰქონდა ნებართვა სახელმწიფოსგან, რომ სოციალური სამუშაოს კურსები, წიგნები და ჟურნალები შეემუშავებინათ ტერმინის „სოციალური სამუშაო“ გამოყენებით (ლიუნგი, 1995). ჰონგ კონგის უნივერსიტეტი 3-წლიან თანამშრომლობით პროექტში ჩაება ჩინეთის ჟონგშანის უნივერსიტეტთან, რაც სწავლებას და სავსე სამუშაოს განვითარებას მოიცავდა. ჩინელ მკვლევარებს ნება დართეს დასწრებოდნენ სოციალურ სამუშაოზე გამართულ საერთაშორისო შეხვედრებს და 1988 წელს ჩინეთმა თავად უმასპინძლა კონფერენციას აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში სოციალური სამუშაოს განათლების თემაზე (ლიუნგი, 1995). მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში სიტუაცია უფრო კონტროლის ქვეშ რჩება, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში, განვითარება სწრაფად მიმდინარეობდა 1980-იანი წლების შემდეგ და ახლა უკვე იქ სოციალური სამუშაოს ბევრი პროგრამა ხორციელდება.

1990-იანი წლების მეორე მთავარი მოვლენა ევროპის გაერთიანება გახლდათ. მისი ზეგავლენა სოციალურ სამუშაოზე მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით კი პერსონალის მობილობის და სტანდარტების შესაბამისობის საკითხებზე. რამდენადაც პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძალებმა შემდგომი უფრო ძლიერი შეთანხმებები განახორციელეს გაერთიანებული ევროპისთვის, გარკვეული პროფესიული ინტეგრაცია აუცილებელი ხდება. ახლა უკვე არ-

სებობს დებულებები ნებისმიერ წევრ ქვეყანაში მუშაობის უფლებისთვის, რაც პროფესიული კვალიფიკაციების ორმხრივ აღიარებას მოითხოვს. „ახლა ევროპული ამოცანა ნაკლებად არის საერთო ფასეულობების, ცოდნის და უნარების გაზიარება, მას უფრო მეტად სოციალური მუშაკების სხვა წევრ სახელმწიფოებში მუშაობის უფლების დაცვა წარმოადგენს“ (ჰარისი, 1997, გვ. 429). ბევრი პროგრამით შეთავაზებული იქნა გრანტები, რომ ევროპულ სოციალურ მუშაკებსა და სოციალური სამუშაოს საგანმანათლებლო მუშაკებს თავი მოეყარონ ერთობლივ პროგრამებში. ინტერესი „ევროპული სოციალური სამუშაოს“ მიმართ წევრ ქვეყნებში უკვე გაზრდილია.

II

სოციალური სამუშაოს ეთიკა  
და ღირებულებები

## სოციალური სამუშაოს ეთიკა და ღირებულებები

ენიო შატაერაშვილის მიერ

**რა არის სოციალური სამუშაოს ღირებულება?** ფუნდამენტური მორალური და ეთიკური პრინციპები, რომელთა მიმართ სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ თავდადებულნი. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით:

*სოციალური სამუშაოს ძირითად მისიას წარმოადგენს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება და მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ფენების კეთილდღეობაზე ზრუნვა.*

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციების განმარტებით კი:

*სოციალური სამუშაოს პროფესია ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებას, ცდილობს პრობლემის გადაჭრას ადამიანთა ურთიერთობებში, ასევე ადამიანთა გაძლიერებას და თავისუფლებას კეთილდღეობის ასამაღლებლად. ადამიანის ქცევის და სოციალური სისტემების თეორიების გამოყენებით, სოციალური სამუშაო ინტერვენციას ახდენს ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედების დონეზე. ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სოციალური სამუშაოსთვის.*

ბრიტანეთის სოციალური სამუშაოს განათლებისა და ტრენინგის ცენტრის განმარტებით სოციალურ სამუშაოს ღირებულებები მოიცავს „განსხვავებულობისა და უნიკალურობის დაფასებისა და პატივისცემის“ და „ადამიანის არჩევანის, პირადულობის, კონფიდენციალობის და დაცვის უფლების ნახალისების“ სურვილს (CCETSW, 1995).

სოციალურ მუშაკის გადაწყვეტილება მუდმივად დგას ეთიკური და პოლიტიკური, ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტების გადაჯაჭვული ურთიერთკავშირით გამონვეული სირთულის წინაშე. ამ ფონზე ძალიან რთულია საჭიროებების შეფასება, რადგან ეს გარდა ტექნიკური და პრაგმატული ხასიათისა ეთიკური ხასიათის მატარებელიცაა. საჭიროების კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ზოგს ენიჭება შეღავათი ან დახმარება ამა თუ იმ სოციალურ მომსახურებაზე, ზოგს კი არა ეთიკური განსჯის საკითხია იმის შესახებ, თუ რა

სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია სოციალური პრობლემების გადაჭრისა და მწირი რესურსების ეფექტიანად და სამართლიანად გადანაწილებაში.

სარა ბენკი (2001) ასეთ განმარტებას აძლევს სოციალურ საკითხებს, სოციალურ პრობლემებსა და სოციალურ დილემას:

*სოციალურ სამუშაოში უღევია სოციალური საკითხები, რადგან იგი სოციალური კეთილდღეობის კონტექსტში ხორციელდება სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვით:*

- ეთიკური პრობლემა წარმოიქმნება, როდესაც სოციალური მუშაკი რთული მორალური გადაწყვეტილების წინაშე დგას;
- ეთიკური დილემა წარმოიქმნება, როდესაც სოციალური მუშაკი ორი თანაბრად არასასურველი ალტერნატივის წინაშე დგას, რაც მორალურ პრინციპებს შორის კონფლიქტს იწვევს და გაუგებარია რომელი არჩევანია უფრო მართებული.

ის, რაც ტექნიკური საკითხია ერთისათვის (მაგალითად კონკრეტული წესის გამოყენება შემთხვევაზე მუშაობისას) შესაძლოა ეთიკურ პრობლემას წარმოადგენდეს მეორისათვის ან დილემას მესამისათვის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხედავს თითოეული ადამიანი სიტუაციას, რამდენად გამოცდილები არიან ისინი მორალური გადაწყვეტილებების მიღებაში და როგორ ანიჭებენ ისინი უპირატესობებს თავიანთ ეთიკურ პრინციპებსა და ღირებულებებს.

### **რა ეთიკური საკითხები დგას სოციალური სამუშაოს წინაშე?**

- ინდივიდუალური უფლებებისა და კეთილდღეობის საკითხი;
- საზოგადოებრივი კეთილდღეობის საკითხი;
- უთანასწორობისა და ჩავვრის საკითხი (მეისი 2008).

მეისის აზრით (208), უმრავლეს შემთხვევაში სამივე საკითხი წამოიჭრება ხოლმე ერთდროულად და დილემას სოციალური მუშაკებისათვის სწორედ სხვადასხვა ეთიკური პრინციპისა და ურთიერთობის დაბალანსება წარმოადგენს. ეს კი სხვადასხვა სახის უფლებებისა და ინტერესების დაცვას და პასუხისმგებლობების და ვალდებულებების კირსებას ნიშნავს. სოციალური სამუშაო რთული საქმიანობაა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობების უამრავი შრეებით. მაგალითად, საკუთარი მორალი მომსახურების მიმღების, სააგენტოსა და საზოგადოების წინაშე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოციალური სამუშაო არის საჯარო მომსახურების პროფესია, რომელიც ძირითადად მონყვლად მოსახლეობასთან მუშაობას გულისხმობს, მათ დაცვას ექსპლოატაციისა და უსამართლობისაგან. მეორე პრობლემას ის წარმოშობს, რომ სოციალური სა-

მუშაო არის კეთილდღეობის სისტემის ნაწილი, რომელსაც თავისთავად საწინააღმდეგო მიზნები, ფუნქცია და ღირებულებები აქვს, როგორცაა ზრუნვა და კონტროლი, კერძო კაპიტალის აკუმულირება და არსებული სოციო-ეკონომიკური წესრიგის ლეგიტიმაცია, ინდივიდუალური უფლებების დაცვა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მხარდაჭერა. სწორედ ეს წარმოშობს დაძაბულობას, დილემასა და კონფლიქტს სოციალურ სამუშაოში. სოციალური მუშაკები მუდმივად დგანან ეთიკური პრობლემებისა და დილემების წინაშე.

ტერმინი **ეთიკური დილემა ნიშნავს არჩევნის გაკეთებას ადამიანის კეთილდღეობასთან დაკავშირებული ორი თანაბრად არასასურველი ალტერნატივიდან** (ბენკი, 2001). რაიმე წესების შემუშავება, რომელიც სოციალურ მუშაკს დაეხმარება ასეთი საკითხების გადაჭრაში არც სასურველია და არც შესაძლებელი. დილემის გადაჭრა უკავშირდება ორი არასურველი სიტუაციიდან არჩევნის გაკეთებას, რაც ნებისმიერ შემთხვევაში არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. სოციალურმა მუშაკმა კი უნდა აწონ-დაწონოს და გადაწყვიტოს რომელი იქნება ნაკლებ არასასურველი შედეგი. ამ გადაწყვეტილებით კი, იგი პასუხისმგებელია ბენეფიციარისა და პროფესიის წინაშე. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია:

*12 წლის რთული ქცევის ბიჭი, რომელიც ცხოვრობს თავის ბიოლოგიურ ოჯახში და მასთან დიდი ხანია მუშაობს სოციალური მუშაკი. მშობლებს უჭირთ ვაჟის კონტროლი და მეთვალყურეობა. ბიჭის საქციელის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს სკოლა და სამეზობლო. სოციალური მუშაკი დილემის წინაშეა. მან არ იცის რომელია მართებული გადაწყვეტილება შეუცვალოს ბიჭს ადგილსამყოფელი და დააკმაყოფილოს მეზობლებისა და სკოლის მოთხოვნა, რაც სხვა ბავშვებისათვის უსაფრთხოების გარანტიას შექმნის ამ კონკრეტულ სამეზობლოსა და სკოლაში, მაგრამ იქნება ბიჭისა და მისი მშობლების სურვილის წინააღმდეგ; თუ დატოვოს ვაჟი იგივე გარემოში და მასთან მუშაობა გააგრძელოს. ვაჟის სხვა გარემოში დაბინავების შემთხვევაში შესაძლოა ეს პრობლემები გადაინაცვლებენ სხვა სამეზობლოსა თუ სკოლაში, რადგან სოციალური მუშაკი არ არის დარწმუნებული, რომ ვაჟი მხოლოდ გარემოს შეცვლით შეიცვლის ქცევით პატერნს.*

მოდით ჩავუღრმავდეთ **სოციალური სამუშაოს ეთიკის ფილოსოფიურ საფუძვლებს**. თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციალური მუშაკი სარა ბენკი (2001) აყალიბებს სოციალური სამუშაოს ეთიკისადმი ორ შეხედულებას:

1. პრინციპებზე დამყარებული მიდგომები (რომელიც მოქმედების პრინციპზე ამახვილებს ყურადღებას);
2. პიროვნებასა და ურთიერთობებზე დამყარებული მიდგომები (რომლებიც ყურადღებას აქცევენ მორალური აგენტების ხასიათსა და ურთიერთობას მათ შორის).

პრინციპი არის ფიქრების, რწმენის, სისტემის უმთავრესი ნორმა, რომელიც მორალური ქმედების საფუძველს წარმოადგენს. აუცილებელია განვასხვავოთ პრინციპი წესისაგან, რომელიც მეტად სპეციფიკურია და არსობრივად ვიწროა. მაგალითად, „ადამიანის თვითგამორკვევის უფლების პატივისცემა“ პრინციპად ითვლება, რადგან მისი მასშტაბი ფართოა და ყველა ადამიანს ეხება ყველა სიტუაციაში. „მომსახურების მიმღების უფლება მისი მომსახურების გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღების შესახებ“ უფრო სპეციფიკურია და წესად ითვლება, რადგან ეხება ადამიანის უფლებას კონკრეტულ სააგენტოს/ორგანიზაციის შიდა რეგულირების საკითხს.

ახლა მოდით განვიხილოთ მარია მეისის (2008) სამ პრინციპზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც უკავშირდება კანტის, უტილიტარისტთა და საერთომორალისტურ მიდგომებს მორალურ ფილოსოფიაში.

*კანტის პრინციპი: პიროვნებისა და ავტონომიის პატივისცემა სოციალურ სამუშაოში.*

სოციალური სამუშაოს ღირებულებებისა და ეთიკის შესახებ ლიტერატურა ყურადღებას ამახვილებს იმ პრინციპთა ჩამონათვალზე თუ როგორ უნდა მოექცეს სოციალური მუშაკი მომსახურების მიმღებს. ეს პრინციპები გამყარებულია ერთი ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი პრინციპით „პიროვნების პატივისცემის“ შესახებ. ეს პრინციპი კი წარმოიშვა 18-ე საუკუნის უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის კანტისაგან, რომელმაც ამას კატეგორიული იმპერატივი უწოდა. ერთ-ერთი ვერსია მისი კატეგორიული იმპერატივისა ასე უღერს:

*„მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა, როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, შენთვის მუდამ იყოს მიზანი და არასოდეს - მხოლოდ საშუალება“*

ამით ის გულისხმობდა, რომ ადამიანს უნდა მოვეპყრათ არა როგორც ჩვენი საკუთარი მიზნებისა და სურვილებისათვის მისაღწევ საშუალებებს, არამედ ისე როგორც ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი არჩევანი და სურვილები. ადამიანი იმსახურებს პატივისცემას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის არის ადამიანი განურჩევლად იმისა, მოგვწონს ჩვენ ის თუ არა, რაიმე სარგებლის მომტანი არის ის ჩვენთვის თუ არა ან დაგვიშავა რაიმე თუ არა. კანტის ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი არის არსება, რომელსაც აქვს რაციონალური აზროვნებისა და თვით დეტერმინიზმის უნარი.

კანტმა ჩამოაყალიბა რამდენიმე კატეგორიული იმპერატივი, რომელთა შორის ერთ-ერთი ხაზს უსვამს თანმიმდევრულობისა და მორალური განსჯის მნიშვნელობას:

*„იმოქმდე იმ პრინციპით, რომელიც თანახმა იქნები, რომ გადაიქცეს უნივერსალურ კანონად“.*

ილუსტრაციისათვის წარმოვიდგინოთ „დაპირების შესრულება“. თუ მე ტყუილად დავპირდები სხვას, ვიცრუებ სიტუაციიდან დაძრომის მიზნით განა მე მენდომება რომ ყველა ასე მოიქცეს? კანტის პასუხი იქნებოდა „არა“, ისევე როგორც დარწმუნებული ვარ ყველა ჩვენთაგანის პასუხი. მე არ მსურს, რომ ყველა ასე მოიქცეს, რადგანაც ეს მორალურად არასწორი საქციელია. კანტის მორალური ფილოსოფიის მთავარი ელემენტი, რომელსაც ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვს არის ადამიანის პატივისცემის პრინციპი, რომელიც წარმოადგენს სოციალური მუშაკის ბენეფიციართან ურთიერთობის საბაზისო პრინციპების ფუნდამენტს.

ბენკის აზრით (2001), სოციალური მუშაკის და მომსახურების მიმღების ურთიერთობა წარმოადგენს ბისტეკის 7 პრინციპის მოდიფიკაციას, რომელიც მან 1950 წელს განავითარა. ბისტეკმა ეს პრინციპები ჩამოაყალიბა არა როგორც ეთიკური, არამედ როგორც ეფექტიანი პრაქტიკის პრინციპები. ეს პრინციპები გამოსადეგი იქნებოდა სოციალური მუშაკისათვის, როგორც ბენეფიციარის გარემოსთან ინტეგრაციისათვის დამხმარე ინსტრუმენტი. წარმოვიდგინოთ მათ:

1. **ინდივიდუალიზაცია** – თითოეული მომსახურების მიმღების უნიკალური თვისებების აღიარება, რომელიც ემყარება ადამიანის უფლებას, რომ მოექცნენ არა როგორც უბრალოდ რიგით ადამიანს, არამედ როგორც ამ კონკრეტულ ადამიანს;
2. **გრძნობების მიზანდასახული გამოხატვა** – მომსახურების მიმღების გრძნობების თავისუფლად გამოხატვის საჭიროების აღიარება (თუნდაც ეს უარყოფითი გრძნობები იყოს);
3. **კონტროლირებადი ემოციური გარემო** – სოციალური მუშაკის თანაგრძნობა მომსახურების მიმღების გრძნობებისადმი, მათი შინაარსის გააზრება და მიზნობრივი, შესაბამისი რეაქციის მოხდენა.
4. **მიღება** – მომსახურების მიმღებთა მიღებას ისეთებად, როგორებიც ისინი არიან, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, სასიამოვნო და უსიამოვნო თვისებებით, მათი პატივისა და ღირსების აღიარებას.
5. **არა-განკითხვითი დამოკიდებულება** – მიუხედავად ბენეფიციარის ბრალეულობის ან უდანაშაულობისა, არსებული პრობლემის წარმოქმნაში მისი პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენა არ არის სოციალური მუშაკის საქმე, თუმცა ბენეფიციარის დამოკიდებულების, სტანდარტებისა და ქმედებების შესახებ დასკვნითი შეფასება უნდა გაკეთდეს სოციალური მუშაკის მიერ (ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალური მუშაკი განიკითხავს არა ნებეფიციარს, არამედ მის საქციელს).

6. **გადანყვეტილების მიღების უფლება** – ბენეფიციარის პირადი არჩევნის თავისუფლების აღიარება და პატივისცემა, მათ შორის შემთხვევის მართვის პროცესშიც. სოციალური მუშაკი მოვალეა პატივი სცეს მის საჭიროებას და დაეხმაროს საკუთარი პოტენციისა და განზრახვის აქტივიზაციაში. ბისტეკი ხაზს უსვამს იმას, რომ ბენეფიციარის გადანყვეტილების მიღების უფლება შეზღუდულია პოზიტიური და კონსტრუქციული გადანყვეტილების მიღების უფლებით, სამოქალაქო და მორალური წესებისა და კანონების დაცვით.
7. **კონფიდენციალობა** – იმ საიდუმლო ინფორმაციის შენახვას გულისხმობს, რაც პროფესიული ურთიერთობისას გამოიყვანება. რასაკვირველია ბისტეკი არ გულისხმობს კონფიდენციალობის უფლების დაცვას როგორც ბენეფიციარის აბსოლუტური უფლებისა, რადგან ის ლიმიტირებულია სოციალური მუშაკის უფრო მაღალი ვალდებულებით საკუთარი თავის, სხვა ინდივიდების, სოციალური მუშაკის, სააგენტოს, საზოგადოების წინაშე.

ამ პრინციპების დაცვა დაგვეხმარება იმ რთულ გადანყვეტილებებსა და პასუხისმგებლობებთან გამკლავებაში, რომელთა წინაშეც ჩვენ ხშირად ვიმყოფებით.

დგება დრო ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული პროფესიული დილემები. ძალიან სტრესულია გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს. განსაკუთრებით საქართველოში, სადაც იგი დგას რესურსების სიმწირის, საზოგადოების, მათ შორის დამქირავებლების მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშეც. ადამიანებს კი სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (1983) შემდეგ გამოსავალს გვთავაზობენ:

**გადანვა და პროფესიის/სამუშაო ადგილის მიტოვება;** იმედგაცრუებული სოციალური მუშაკისათვის ეს გამოსავალი სიტუაციის გარიდებისა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩენას ნიშნავს. ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზე ეს შესაძლოა მართლაც მართებული გადანყვეტილებაა, თუმცა ამას დრო გვიჩვენებს. ზოგჯერ ორგანიზაციიდან წასვლა უკეთესი გამოსავალია, რადგან შესაძლოა იმ კონკრეტული ორგანიზაციის მანდატია პროფესიული ფასეულობების შემზღუდველი და შემლახავი. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიიდან წასვლაა საჭირო. აქ რასაკვირველია ადამიანის ბუნებაა გადანყვეტი: მისი რისკის გაღების ხარისხი, მისი ბრძოლის, დღევანდელი სიტუაციისა და საკუთარი ძალების რეალისტურად შეფასების, მომავლის განჭვრეტის უნარი და ა.შ.

**გადანვა, მაგრამ პროფესიაში/სამუშაო ადგილზე დარჩენა;** ზოგიერთი პრაქტიკოსი გადანვის მიუხედავად არათუ არ იცვლის პროფესიას, არამედ

სამუშაო ადგილზეც რჩება. ისინი თავს სისტემის მსხვერპლად, მასთან ბრძოლაში უუნაროდ გრძნობენ. ისინი ეგუებიან იმ ფაქტს, რომ არ აქვთ სიტუაციის კონტროლის ბერკეტი. ისინი ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალური ნებეფიციარისათვის, მაგრამ უგულბელყოფენ უფრო ფართო პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ ორგანიზაციულ ნორმებს და თმობენ ადვოკატობის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში პროფესია „მონოდება“ აღარაა, ის „უბრალოდ სამუშაოა“.

**„ტუნელის“ ხედვის განვითარება;** ხშირ შემთხვევაში, ისეთ სოციალურ მუშაკსაც კი, რომელიც არ არის ჯერ გადამწვარი, უვითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხმარება ბენეფიციარს ინდივიდუალურ დონეზე, მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს უფრო ფართო პლანში, უფრო ზოგადი პრობლემების მოგვარებისათვის აშკარად და დაუფარავად. ის ორგანიზაციაში რჩება, მაგრამ ის ორგანიზაციისა და თემის ცხოვრების მიღმაა. იგი ბენეფიციარზე ორიენტირებული რჩება და არ იბრძვის ცვლილებისათვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განსხვავება წინა გამოსავალთან შედარებით ისაა, რომ თუ წინა შემთხვევაში არსებობს ორგანიზაციისთან იდენტობის გრძნობა, ამ შემთხვევაში ის არ არსებობს.

**ენერჯის სადმე სხვაგან მიმართვა;** ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და უერთდება იმდენ ორგანიზაციასა და ჯგუფს, რამდენის საშუალებასაც დრო და ენერჯია აძლევს. სისტემური ცვლილების მიღწევას ისინი ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობენ. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმნიფებელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილებისათვის ბრძოლაში არ აფერხებს.

**ცვლილების ინიცირება;** ეს ცვლილებისათვის უფრო მობილიზებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთიანდებიან კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად. რეალურად განხორციელებად ცვლილებას სჭირდება სელექტიურობა, იმის აღიარება, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად მოგვარებადი არაა, და საჭიროა გონივრული არჩევნის გაკეთება. ამავე დროს არჩევანი გასაკეთებელია ცვლილების მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ყველა ცვლილება დროს მოითხოვს და ერთბაშად მიზანს ვერ აღწევს, ამიტომ ხშირად ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაა საჭირო. ხოლო ამ სვლის თანმიმდევრობის განსაზღვრა პრობლემის შესახებ ღრმა ცოდნასა და მისი მოგვარებისათვის გონივრულად დაგეგმილ ბრძოლას ითხოვს. ხშირად ეს სოციალური მუშაკები კოლეგებისაგან კრიტიკას იმსახურებენ ფართო პრობლემების მოგვარებისათვის ინდივიდუალური პრობლემების მსხვერპლად გაღების გამო.

აღბათ ხვდებით სულით მეზობლი, პროფესიული ფასეულობების დამცველი და უდრეკი პრაქტიკოსისათვის რომელი ვარიანტია შესაფერისი და რატომ.



### III

რე არის სავრთავორისო სოციალური  
სამუშაო

## სოციალური სამუშაოს მიმართ არსებული საერთაშორისო პერსპექტივების გაცნობა

კარენ ლიონისი, კეთლინ მენიონის,  
მერი კარლსენის მიერ

### შესავალი

გლობალიზაცია ის საკითხია, რომლის მიმართაც ინტერესს უფრო და უფრო მეტად იჩენს როგორც პრესა და მედია, ასევე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები. თუმცა, მისი და მასში მიმდინარე პროცესების ზეგავლენა კეთილდღეობის სექტორზე და, უფრო კონკრეტულად, სოციალური სფეროს პროფესიონალებზე და მათ მუშაობაზე სულ ახლახანს აღიარეს. სოციალური სამუშაოს ფოკუსირება ინდივიდებს, ოჯახებს, ჯგუფებს თუ თემებს და მათ გარემოს შორის ურთიერთობაზე ხაზს უსვამს ინტერვენციის „ადგილობრივ“ ხასიათს და ისეთი მომსახურების განვითარების მნიშვნელობას, რომელიც მოცემული კონტექსტის და კულტურის შესაფერისია (ვები, 2003). ჩვენ ამგვარი ხაზგასმით ვამტკიცებთ იმას, რომ სოციალური სამუშაო მთელს მსოფლიოში ახლა სხვადასხვა პირობებში ოპერირებს, რაც ახალ სოციალურ პრობლემებს წარმოშობს – ან ძველებს ამწვავებს. შესაბამისად, სოციალურ პროფესიონალებს მომსახურებების და პრაქტიკების გადასინჯვა სჭირდებათ საერთაშორისო მოვლენების და პერსპექტივების ქრილში. ზოგიერთისთვის ეს საერთაშორისო გარემოში მუშაობას გულისხმობს, თუმცა, სხვებისთვის ეს ინტერნაციონალიზებული პერსპექტივების გაერთიანებას ნიშნავს ადგილობრივ პრაქტიკაში.

ერთი მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობები და აქტივობები სოციალურ სამუშაოში სიახლეს არ წარმოადგენს. კონტაქტები სოციალური სამუშაოს პიონერებს შორის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ კარგად იყო დოკუმენტირებული (მაგალითად, იხილეთ ჰილი, 2001) და სოციალურ მუშაკთა მონივნავე საერთაშორისო ორგანიზაციებს საფუძველი ჩაეყარა კონფერენციაზე, რომელიც 1928 წელს პარიზში გაიმართა (ლიონისი, 1999). თუმცა, არსებობდა ვარაუდი, რომ საერთაშორისო აქტივობები ამ სფეროს ლიდერებით შემოიფარგლებოდა, ან საუკეთესო შემთხვევაში, შემთხვევით ან ზღვრულ ინტერესს წარმოადგენდა სოციალური პროფესიონალების უმცირესობებისთვის. გლობალური ურთიერთდამოკიდებულება ნიშნავს, რომ გლობალური მოვლენები და პროცესები ახლა ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე, თემებსა და საზოგადოებებზე მთელს მსოფლიოში. ჩვენი აზრით, საჭიროა, რომ ყველა სოციალურმა მუშაკმა გააცნობიეროს საერთაშორისო პერსპექტივები და უკეთ იყოს მომზადებული კულტურათაშორისი და ქვეყანათაშორისო პრობლემების მოგვარებისათვის (ჰოკენსტადი და მიდგლი, 1997). [...]

## განმარტებები, დაშვებები და საერთაშორისო ასოციაციები

ზოგიერთი ორგანიზაცია რალაც პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილი იყო როგორც სოციალური სამუშაოს ჩემპიონი და განმსაზღვრელი საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე. გლობალურ დონეზე გვაქვს სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია (IFSW), „სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაცია (IASSW) და სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭო (ICSW), ასევე არსებობს უნივერსიტეტთაშორისი კონსორციუმის საბჭო სოციალური კეთილდღეობის საკითხზე (IUCISD) (მაგალითად, იხილეთ ჰოკენსტედი და მიდგლი, 1997; ლიონსი, 1999). სავარაუდოდ, სანყის დონეზე, საჭიროა რამდენიმე ტერმინის შემოტანა და განმარტება, რომლებსაც ჩვენ წინამდებარე ტექსტში ხშირად გამოვიყენებთ. აქ საჭიროა აღვნიშნოთ სოციალური სამუშაოს „ახალი განმარტება“, რომელიც 2000 წელს მიიღეს სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ერთობლივ კონგრესზე.

ძირითადი განმარტება მოცემულია ერთ გვერდიან დოკუმენტში სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ვებ-გვერდებზე და ის შემდეგნაირი სახისაა:

*სოციალური სამუშაოს პროფესია ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებას, ცდილობს პრობლემის გადაჭრას ადამიანთა ურთიერთობებში, ასევე ადამიანთა გაძლიერებას და თავისუფლებას კეთილდღეობის ასამაღლებლად. ადამიანის ქცევის და სოციალური სისტემების თეორიების გამოყენებით, სოციალური სამუშაო ინტერვენციას ახდენს ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედების დონეზე. ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სოციალური სამუშაოსთვის.*

ჩვენ განვმარტავთ რამდენიმე ტერმინს, როგორცაა: „პრობლემის გადაჭრა“, „ადამიანური ურთიერთობები“ და „კეთილდღეობა“, ფრაზას „სადაც ადამიანი ურთიერთქმედებს თავის გარემოსთან“ და „ფუნდამენტური“ პრინციპები, როგორც, სავარაუდოდ, არასადავო ტერმინებს, რომლებიც საერთო მახასიათებლებს ატარებენ პრაქტიკის უკიდურესად მრავალფეროვან მაგალითებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მრავალფეროვნების ინდიკატორია ისიც, რომ გლობალურად სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციასთან ასოცირებული ადგილობრივი ასოციაციები 80 ქვეყანაში არსებობს (და 470,000 წევრზე მეტი ჰყავს) და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციის მიერ 2000 წელს გამართული აღწერის თანახმად, მსოფლიოში სოციალური სამუშაოს დაახლოებით 2,000 სკოლა არსებობს. სოციალური სამუშაოს სკოლები კარგად არის ჩამოყალიბებული ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში; უფრო ახლახანს ამგვარი სკოლები ჩამოყალიბდა

აზიასა და აფრიკაში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (გარბერი, 2000).

თუმცა, ჰეამ (2004) რამდენიმე გამოწვევა განიხილა, რაც ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წინაშე იდგა წინამდებარე მოკლე განაცხადის მომზადების პროცესში; და მისი მიღების შემდეგაც კი მას მაინც აკრიტიკებდნენ როგორც „დასავლური“ გაგების ამსახველ განაცხადს (და ეს მართალია, რადგან წინამდებარე განმარტების შემუშავების პროცესში ჩართული 12 ადამიანიდან სამის გარდა ყველა ჩრდილოეთ ამერიკიდან, ან დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან იყო). შესაბამისად, იიპი (2004) აცხადებს, რომ ჩინეთსა და რამდენიმე ისეთ საზოგადოებაში, სადაც კონფუციანური ფასეულობები ძლიერად ფეხმოკიდებულია, ტერმინები იცვლება. გაძლიერება და გათავისუფლება შეიძლება შევადაროთ უფრო დომინირებულ ფასეულობს, როგორცაა სტაბილურობის, პატივისცემის და ჰარმონიის შენარჩუნება, რასაც სოციალური მუშაკებისგან მოელიან აზიის ბევრ ქვეყანაში. ეს ორივე კი ასახავს დაძაბულობას ამ პროფესიაში, თუ რამდენად შეესაბამება ზოგიერთი სოციალური მუშაკის მისწრაფება მათდამი საზოგადოებრივ მოლოდინებს და პრაქტიკის არსებულ მეთოდებს, ასევე ასახავს კიდევ ერთ დებატს, რაც ზოგადად არსებობს საერთაშორისო ფორუმებზე „უნივერსალურ“ განმარტებებსა ან სტანდარტებზე შეთანხმებისას, „დასავლური“ (ან, თუნდაც ანგლო-ამერიკული) ზეგავლენის თავიდან არიდების მცდელობისას.

ჩვენ ასევე გამოვიყენებთ ტერმინი „სოციალური პროფესიები“. აღნიშნული ტერმინი შემოღებული იქნა კონფერენციაზე, რომელიც ევროპის რეგიონში ერასმუსის (საუნივერსიტეტო) გაცვლითი პროგრამების ათწლეულის შეფასებას ეძღვნებოდა (სიბელი და ლორენცი, 1998). სოციალური სამუშაოს წარმომადგენლები ევროპულ ქსელებში უკეთ გაეცნენ სხვადასხვა ტიტულების და კვალიფიკაციების მქონე მთელ რიგ ოკუპაციურ ჯგუფებს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც მსგავს სამუშაოს ახორციელებდნენ სოციალურ სფეროში და ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება ახალი ევროპული ჟურნალის გამოცემის შემდეგ (ოტო და ლორენცი, 1998). ევროპული ქსელების ჩამოყალიბებისთვის ერასმუსის (და შემდეგ ტემპუსისა და სოკრატეს) პროგრამების დაფინანსებით საფუძველი ჩაეყარა არა მარტო ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების განვითარებას (ლიონსი და ლორენსი, 2006), არამედ გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი შედარებითი ანგარიშების მომზადებას კეთილდღეობის კონტექსტის და სოციალური სამუშაოს პრაქტიკის შესახებ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. მათში აისახა საგანმანათლებლო და ტრენინგის ტრადიციებში არსებული ეროვნული განსხვავებები; ასევე შეხედულებები სახელმწიფოს, მოხალისეობრივი, კერძო და არაფორმალური სექტორების როლის მიმართ „კეთილდღეობის“ უზრუნველყოფაში; სოციალური და საზოგადოებრივი სამსახურების ორგანიზების გზები მომხმარებელთა კონკრეტული

ჯგუფებისთვის (მაგალითად, იხილეთ ლორენცი, 1994; ადამსი და სხვ. 2001; ჰამბერგერი და სხვ. 2004).

ჩვენი აზრით, „სოციალური პროფესიები“ ასევე ხელსაყრელი ტერმინია უფრო ფართო გლობალურ კონტექსტში, ტრენინგში, სამსახურების ორგანიზებასა და პრაქტიკაში არსებული სხვადასხვა აქცენტის გასათვალისწინებლად. შესაბამისად, ჩვენ ბევრ ადგილას უფრო მეტად ვიყენებთ ტერმინს „სოციალური პროფესიები“ და არა „სოციალური სამუშაო“; რამდენადაც უფრო ფართო გაგება იმისა, რაც „სოციალურ სამუშაოს“ შეადგენს (ვიდრე ეს, მაგალითად, ცნობილია ბევრი ბრიტანელი სოციალური მუშაკისთვის), შესაფერისია სოციალური სამუშაოს განხილვისას შედარებით ან საერთაშორისო კონტექსტში. ამიტომაც, ზოგჯერ ვიყენებთ ტერმინს „სოციალური პროფესიონალი“ ნაცვლად უფრო ვიწრო და ზოგ შემთხვევაში გაუცხოებული ტერმინისა „სოციალური მუშაკი“. [...]

აქ ასევე ნათლად უნდა გავარკვიოთ ჩვენს მიერ ტერმინის „კეთილდღეობა“ გამოყენება და ხაზი გავუსვათ, რომ „კეთილდღეობის უზრუნველყოფის“ ნიმუშები საკმაოდ განსხვავდება, იმ ქვეყნებს შორისაც კი, რომლებიც ერთ ენაზე საუბრობენ, შეერთებული შტატების და გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით, ან ვისაც მსგავსი ეკონომიკური სტატუსი გააჩნია (მაგალითად, შვედეთი და იაპონია). „კეთილდღეობის“ იდეები მდიდარ ქვეყნებში, ზოგადად, უფასო განათლებას გულისხმობს (სკოლის დამამთავრებელ ასაკამდე), როგორც უნივერსალურ უფლებას და მოიცავს ერთგვარ ხელმისაწვდომობას უფასო ჯანდაცვაზე (მიუხედავად იმისა, რომ ხელმისაწვდომობის დონე და დაფინანსების საშუალებები ძალზედ განსხვავებულია). ამას გარდა, იმ ხალხს, ვისაც საკუთარი თავის რჩენა არ შეუძლია ანაზღაურებადი სამუშაოს მეშვეობით, ან სხვა მიზეზის გამო, სოციალური დაცვის/კეთილდღეობისთვის თანხას უხდიან. ზოგან შედის სუბსიდირებული დაბინავება, ან პირადი სოციალური მომსახურების მიწოდება, თუმცა, საკმაოდ დიდია განსხვავება ეს მიწოდებულია სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი მთავრობის საშუალებით თუ დამოუკიდებელი (მოხალისეობრივი და კერძო) სექტორების მიერ. მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდებიდან მოყოლებული, სოციალური პოლიტიკის ლიტერატურაში საკმაოდ ფართო დისკუსია მიმდინარეობდა იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ესა თუ ის ქვეყანა ჩაითვალოს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ“, და ასევე კეთილდღეობის ქვეყნების სხვადასხვა მოდელის შესახებ (შედარებითი მაგალითების გამოყენებით) (მაგალითად, იხილეთ ესპინგ-ანდერსონი, 1990; დიკონი, 2002; კოენი და სხვ. 2002; მიდგლი, 1995, 1997).

კიდევ უფრო განსხვავებულია შეხედულებები კეთილდღეობის, სოციალური ზრუნვის და სოციალური სამსახურების დანიშნულების შესახებ ოჯახის და საზოგადოების პასუხისმგებლობებთან მიმართებაში, განსაკუთრებით, როცა ამ მომსახურებების საჭიროებას და მიწოდებას განვიხილავთ ნაკლებად განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებში (როგორც ამას განიხილავს მვაბუ

და სხვ., 2001) და აქაც საჭიროა ტერმინოლოგიაზე საუბარი. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ (კაპიტალისტურ) ქვეყნებს ზოგჯერ აღწერენ როგორც „მონინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს“ (AICs) (ლიონსი, 1999 წ.), თუმცა, შეიძლება აღინიშნოს, რომ სანარმოო ინდუსტრიებში მომხდარი ცვლილებების გამო (გლობალიზაციასთან დაკავშირებით), ახლა შესაძლოა ბევრი დასავლეთ ევროპული ქვეყანის იდენტიფიკაცია როგორც პოსტ-ინდუსტრიული, სადაც უფრო მეტი ყურადღება ცოდნის ეკონომიკას და კვლევას, ასევე დიზაინის ფუნქციებს ექცევა. ამგვარი ქვეყნები უმეტესწილად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარეობს (მათ „ჩრდილოურ“ ან ზოგჯერ „დასავლურ“ ქვეყნებს უწოდებენ), ავსტრალიის და ახალი ზელანდიის გამოკლებით. ამ დროს კი უფრო ღარიბი ქვეყნები (ან ნაკლებად განვითარებული ქვეყნები – LDCs) ძირითადად სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობენ და ზოგჯერ მათ ერთობლივად მოიხსენიებენ როგორც „სამხრეთი“.

ჰილი (2001) ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ შეიცვალა ტერმინოლოგია პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად 1989 წლის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას (კომუნისტური ქვეყნების გეგმიურ ეკონომიკიდან). ამის გამო, ადრე გამოყენებული ტერმინები „პირველი მსოფლიო“ (განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკები), „მეორე მსოფლიო“ (კომუნისტური ქვეყნები) და „მესამე მსოფლიო“ (ნაკლებად განვითარებული ქვეყნები) უკვე ზედმეტი გახდა. ამ ეტაპზე შესაფერისია პირველადი დისკუსიის დაწყება გლობალიზაციის ცნებაზე და თუ რატომ შეიძლება იყოს ეს რელევანტური სოციალური სამუშაოსთვის.

### გლობალიზაციისა და სიღარიბის რაობა და შედეგები

„გლობალიზაცია“ გაცვეთილი ტერმინია და ის ხშირად ბუნდოვნად არის განმარტებული ან არაზუსტად გამოიყენება ბევრ სხვადასხვა დონის პროცესთან მიმართებით, რომლებიც სხვადასხვანაირად მოქმედებენ მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაზე. აგრეთვე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ეს ახალი ფენომენი „კარგი რამ“ არის თუ „ცუდი“. ზოგი „გლობალიზაციას“ ხედავს, როგორც განყენებულ/განცალკევებულ რაღაცას, რომელიც ნაკლებად ან საერთოდ არ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურობასთან და სამუშაოსთან. ასე მოფიქრალთა შორის ბევრი შეიძლება, სოციალური სფეროს მუშაკიც იყოს. ჩვენ არ გამოვდივართ „გლობალიზაციის“, როგორც ასეთის წინააღმდეგ ან მხარდასაჭერად. ჩვენ მას მივიჩნევთ ახალ ფენომენად, რომლის პროცესიც მნიშვნელოვნად, მაგრამ სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანების ცხოვრებაზე მთელ დედამიწაზე. ამ პროცესის ნეგატიური ზემოქმედება კი, ჯერჯერობით, სოციუმიდან გარიყული ან გაძევებული ადამიანების (ან ჯგუფების) ხვედრია. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომ-

ლებზეც სოციალური სამსახურები და თემის განვითარების ღონისძიებებია მიმართული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს გარკვეული წარმოდგენა „გლობალიზაციის“ არსის შესახებ, რათა გაიგოს სხვადასხვა პროცესების გავლენა მის საკუთარ ქვეყანაზე და სამუშაო პროცესზე. გარდა ამისა, გლობალიზაცია აისახა ზოგიერთ ახალ სოციალურ პრობლემაზე, რომელიც სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და ხშირად მის მოსაგვარებლად საერთაშორისო ძალისხმევაა საჭირო.

გლობალიზაციად წოდებული ფენომენის შესახებ არსებული ლიტერატურის უმრავლესობა ხაზს უსვამს მის ეკონომიკურ ასპექტებს და იმ გზას, თუ როგორ ხდებიან ქვეყნები სულ უფრო და უფრო მეტად დაკავშირებულნი საერთაშორისო კომერციული ქსელების მეშვეობით, ვიდრე ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობით. რასაკვირველია, ამ პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტი არის მულტი-ნაციონალური, ან ტრანს-ნაციონალური კომპანიების როლი (MNCs ან TNCs) საწარმოო ინდუსტრიების ადგილმდებარეობის შესახებ გადწყვეტილების მიღებაში, ასევე მათი ზეგავლენა ქვეყნების ეკონომიკებზე როგორც ჩრდილოეთში, ასევე სამხრეთში. რასაკვირველია, ზოგიერთი მათ არადემოკრატიულ ძალაუფლებას განიხილავს როგორც საფრთხეს ეროვნული სახელმწიფოების როლისადმი და ბევრი თანხმდება, რომ ინდივიდუალურმა ქვეყნებმა დაკარგეს ავტონომიურობა, ასევე ფიქრობენ, რომ ეროვნული საზღვრები დღეს უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ერთი თაობით ადრე (ჰელდი და სხვ. 1999).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უფრო მეტად გლობალიზაციის სხვა ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, შეიძლება ამ ეტაპზე სასარგებლო იყოს სოციალურ მოძრაობებზე ფოკუსირება (საერთაშორისო და ეროვნულზე), ანტიგლობალიზაციის მოძრაობის ჩათვლით, რომელიც მიზნად ისახავს დაუპირისპირდეს ძალაუფლების არსებულ, როგორც სახელმწიფო, ასევე კორპორაციულ სტრუქტურებს. ამის ეფექტიანობის მტკიცებულება შეიძლება დავინახოთ სამსექტორს შორის აქტიურ პარტნიორობაში (რაც ასევე გასამმაგების (Treefodling) სახელითაა ცნობილი) კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოებას შორის გადწყვეტილების მიღებისას მცირე და დიდი პროექტების თაობაზე (იხილეთ კარმენი, 1999; პერლასი, 2000). აღნიშნულ მოძრაობებზე შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებიდან წამოსული მუხტი დომინირებდეს, მაგრამ საჯარო სექტორიც რეაგირებს სხვადასხვა გზით. მაგალითად, 2003 წელს ინდოეთის მთავრობის მიერ არარეზიდენტი ინდოელის დღის (9 იანვარი) შემოღება მოქალაქეობის ხელახალ განსაზღვრებას უთანაბრდება. ეს არის ინდოელი საერთაშორისო დიასპორის მიღწევების სახელმწიფო აღიარება. ამგვარი აღნიშვნით, მთავრობამ ყოფილი რეზიდენტები უკანვე, ინდოეთში მოიწვია და ამგვარად ეცადა ამჟამინდელი და ყოფილი რეზიდენტების თანამშრომლობის მხარდაჭერით მათი წარმატებების კაპიტალიზებას.

როგორც არ უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკებზე განხორციელებული ზეგავლენა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნების შესაძლებლობა ან სურვილი ფული დახარჯონ კეთილდღეობის რესურსებზე, თუმცა, როგორც აღინიშნა, ამას განაპირობებს ის საჭიროება, რომელიც ასე განსხვავდება მდიდარი და ღარიბი ხალხისთვის, როგორც კონკრეტულ ქვეყანაში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, საგადასახადო პოლიტიკის რიტორიკა შეიცვალა და გახდა „ეს შენი ფულია – შეგიძლია აარჩიო, როგორ გამოიყენო ის“. ამგვარად, უფრო დიდი მოთხოვნები არის სოციალური პროფესიონალების მიმართ, თითქმის მიუხედავად სექტორის ან სააგენტოს ტიპისა, სადაც ისინი მუშაობენ და მომხმარებელთა ჯგუფების თუ საზოგადოებისა, რომლებთანაც დაკავშირებულნი არიან.

გლობალიზაცია არა მარტო ეკონომიკური ფენომენია – მას სხვა განზომილებებიც გააჩნია, რომელთა შორისაა პოლიტიკური, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური, კულტურული და გარემოსდაცვითი, ისინი კი ურთიერთქმედებენ როგორც საზოგადოებებში მრავალფეროვნების გაზრდისათვის, ასევე ერთგვაროვნების მხარდასაჭერად, მაგალითად, სოციალური პოლიტიკების ეროვნულ საზღვრებს მიღმა. ეს შესაძლოა ერთდროულად დავინახოთ როგორც ტრადიციული იერარქიული სტრუქტურების თავმოყრა, ან მათი დაშლა. მოხდა სოციალური სამართლიანობის რესტრუქტურისაც კრიმინალური საქმიანობების რეორგანიზაციის აღიარებით - შეიქმნა საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია (ინტერპოლი), ტრანს-ნაციონალური სასამართლო სისტემა, მოხდა ასევე ექსტრატერიტორიული იურისდიქციის გაზრდა ზოგიერთ ქვეყანაში ზოგიერთი ტიპის დანაშაულებისათვის (მაგ. პედოფილია). ბევრი გლობალური მოქალაქისთვის ამჟამად შესამჩნევია უფრო იაფი, მოსახერხებელი სატრანსპორტო ქსელები და ტელეკომუნიკაციის სამსახურები (მაგ. ინტერნეტი).

ამერიკელმა სოციალური სამუშაოს განათლების მუშაკმა გლობალიზაცია განმარტა, როგორც „გლობალური ინტეგრაციის პროცესი, სადაც სხვადასხვა ადამიანები, ეკონომიკები, კულტურები და პოლიტიკური პროცესები უფრო და უფრო მეტად ექცევიან საერთაშორისო ზეგავლენის ქვეშ“ (მიდგლი, 1997 ა; გვ. xi), სხვებმა კი განსაზღვრეს, როგორც ურთიერთდამოკიდებულების მზარდი ხარისხი სხვადასხვა საზოგადოებებს შორის (ბარი ჯონსი, 1995). კანადელი ანალიტიკოსი მსჯელობდა დაღმასვლაზე „კეთილდღეობის პროექტი“ მთელ რიგ ქვეყნებში, რაც თავისუფალი ბაზრის მომხრე პოლიტიკური იდეოლოგიის აღმავალ ბატონობას უკავშირდებოდა (ტიპლი, 2000). ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გაერთიანებული სამეფო, სადაც სახელმწიფო კეთილდღეობა და უნივერსალური პრინციპები ძალიან ფართოდ იყო მიღებული 1970-იანი წლების ბოლომდე, აღნიშნულმა იდეოლოგიამ ჯანმრთელობის და სოციალური სამსახურები სერიულ რესტრუქტურისაცამდე მიიყვანა „კეთილდღეობის შერეულ

ეკონომიკაში“, სადაც მომხმარებლის არჩევანის რიტორიკა სოლიდარობის ფასეულობაზე მაღლა განთავსდა. [...]

დღემდე, შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის ქვეშ ექცევა დომინანტური იდეოლოგია, მულტინაციონალური კომპანიები (MNC) და მდიდარი ქვეყნები ერთიანდებიან ისეთ გლობალურ ორგანიზაციებზე ზეგავლენის მოსახდენად, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund) და მსოფლიო ბანკი (World Bank). თუმცა, ამის შეცვლის ნიშნებიც არსებობს, რამდენადაც განსხვავებული ინტერესთა ჯგუფები თავიანთი მიზნების სოლიდარობას ახდენენ ცვლილებისათვის, მაგალითად, სიეტლის ამბოხებებსა და დებატებში ეროვნული ვალების გაუქმების შესახებ (უკანასკნელი დებატები, ამ მასალის დაწერის დროს მოხდა, ინდოეთის ოკეანის ქვეყნებში ცუნამის კატასტროფულ ეფექტებზე რეაგირების საპასუხოდ) და, ალბათ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, 2005 წლის საერთაშორისო კამპანია ვაჭრობის სამართლიანობის შესახებ. „სიღარიბის წინააღმდეგ ქმედების გლობალური მოწოდება“ სიღარიბის შემცირებაზე მომუშავე ჯგუფების ფართო ალიანსია, რომლებიც ლიდერებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებას აიძულებენ. გლობალური კამპანიის მიმარ ერთი კრიტიკა იყო ის, რომ მას აკლდა „საშინაო“ სიღარიბის აღიარება, მაგრამ მაგალითად კანადამ და შოტლანდიამ შესძლეს, ადგილობრივი სიღარიბის საკითხების დაკავშირება გლობალურ სიღარიბესთან ([www.bond.org](http://www.bond.org)). კანადურმა კოალიციამ ლაკონურად განაცხადა საკუთარი მოთხოვნები - „უფრო მეტი და უკეთესი დახმარება“, ვაჭრობის სამართლიანობა, ვალის გაუქმება, ბავშვთა სიღარიბის დაძლევა კანადაში, შემდგომ კი გაკეთდა განცხადება, რომ „სიღარიბე არსებობს იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს ინვესტირების მოხდენა სოციალურ განვითარებაში“. გლობალურ კამპანიასთან აფილირებული ბევრი ეროვნული კამპანია იბრძვის სამი მთავარი საკითხისთვის – უფრო მეტი დახმარება (სულ მცირე, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0.7 პროცენტი, რაც დაიგეგმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1970 წელს, მაგრამ რისი დაკმაყოფილებაც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ შესძლო), ვალის გაუქმება და სამართლიანი ვაჭრობის განხორციელება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ სამეფოში მიმდინარე კამპანიაში „სიღარიბე წარსულს ჩავაბაროთ“, კონსენსუსის და ვალდებულების ყველაზე პრობლემურ სფეროს ვაჭრობის სამართლიანობა წარმოადგენდა (პირადი კომუნიკაცია).

ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, სადაც გლობალურად რეალური და გარდაუვალი საფრთხეები არსებობს სურსათის უსაფრთხოებასთან, მტკნარი წყლის რესურსებთან, ენერჯის ხელმისაწვდომობასა და პანდემიასთან დაკავშირებით, ასევე არსებობს მოქალაქეთა მსხვერპლი კონფლიქტების გამო, ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგი (და ექსპლუატაცია). ამას გარდა, სიღარიბე/სიმდიდრის მუდმივცვალებად პროცესში ადამიანთა უფრო მეტი მობილობა ორივე მხარეს და, შესაბამისად, ხალხის და საზოგადოებების ურთიერთკავშირის უპრეცედენტო მაჩვენებელი მთელს მსოფლიოში ნიშნავს, რომ ღარიბებისთვის ყურადღე-

ბის მიქცევა მდიდრების ინტერესებში შედის. ფაქტობრივად, მახვილგონვრული შეიძლება იყოს იმის აღნიშვნა, რომ საზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის შესაძლოა უფრო კომპლექსური იყოს, ვიდრე ეს ადრე მიაჩნდათ, რაც უფრო ნათელს ხდის იმას, რომ უფრო მეტი ყურადღების მიქცევა საჭირო სიღარიბის საკითხისადმი პრაგმატული და არა ალტრუისტული მოსაზრებით.

ამას გარდა, როგორც ადრე აღინიშნა (ლიონსი, 1999 ) და როგორც წინა მაგალითებშია ილუსტრირებული (მაგ. აზიური ცუნამი, ან სერიული ქარიშხლები კარიბის ქვეყნებში, ქარიშხალ კატრინას ჩათვლით, რომელმაც შეერთებული შტატების რამდენიმე ქალაქი დაანგრია, ახალი ორლეანის ჩათვლით, 2005 წელს), ექსტრემალური ამინდით გამოწვეული ნგრევა ხაზს უსვამს, რომ ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტები, რაც ეკოლოგიურ ზიანს, გლობალურ დათბობას ან პლანეტის მოწყვლადობას ეხება – არც ის შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ეს რომელიმე კონკრეტული ქვეყნიდან მომდინარეობს, ან მარტო მას ეხება. ჰაერი და წყალი ეროვნულ საზღვრებს არ ცნობს და ისე როგორც ჩერნობილის ატომურ რეაქტორსა (1986 ) და ინდოეთში, ბოპალის ქიმიურ საწარმოში (1984 ) მომხდარი აფეთქებით გამოწვეულმა „ტექნოგენურმა“ კატასტროფებმა ხანგრძლივი ზეგავლენა მოახდინა კონკრეტულ ადგილებში, ასევე, 2004 წლის 26 დეკემბერს ინდოეთის ოკეანეში მომხდარმა ცუნამიმ ნგრევა გამოიწვია, რისი შედეგიც დიდხანს გაგრძელდება კუნძულსა და სანაპირო ზოლზე 12 ქვეყანაში მცხოვრებ მოსახლეობაში, რომლებიც ამ ზღვას ესაზღვრება. ცუნამი ასევე ჩვენი გლობალური ურთიერთკავშირის ილუსტრირებაა არა მხოლოდ ნგრევის კუთხით, რის გამოც 50-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები დაიღუპნენ, არამედ რეაგირების მხრივაც. ცუნამით დაზარალებულ რეგიონებში საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი უპრეცედენტო დახმარების მობილიზება მოხდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მსგავსი ფენომენი ილუსტრირებულია 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის დროს (რომელსაც შემდგომში 9/11 უწოდეს).

შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ერთ დროს სოციალურ მუშაკებს ბევრი რამე ეთქმოდათ გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკებში, მაგრამ ეკონომიკური განვითარების სოციალურ (და გარემოსდაცვით) განვითარებაზე დომინირების ტენდენციამ, მათი როლი უკუაგდო (დრაკერი, 2003 ). თუმცა, ჩვენი აზრით, სოციალური სამუშაოს ფასეულობები ამჟამად არსებულ ბევრ გლობალურ სოციალურ (და გარემოსდაცვით) მოძრაობას ენათესავება და უნდა მივხვდეთ, რომ სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხები დეკონტექსტუალიზებული და ინდივიდუალიზებული ვედარ დარჩება. აღნიშნული კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულია. ნელსონ მანდელას სიტყვებით, რომელიც მან წარმოსთქვა 2005 წელს ლონდონში გამართულ ლონისძიებაზე „სიღარიბე ისტორიას ჩავაბაროთ“:

სიღარიბის დაძლევა ქველმოქმედების შესტი არ არის. ეს სამართლიანობის ქმედებაა. ეს ადამიანის ძირითადი უფლების, ღირსების და ღირსეული ცხოვრების უფლების დაცვაა. იქ, სადაც სიღარიბე ბატონობს, ჭეშმარიტი თავისუფლება არ არსებობს. ზოგჯერ ხდება, რომ ზოგიერთ თაობას უნევს ხოლმე, რომ დიდებული იყოს. თქვენ შეგიძლიათ დიდებული თაობა იყოთ. დაე, თქვენი დიდება აყვავდეს. რასაკვირველია, ეს ამოცანა მარტივი არ იქნება. თუმცა, ამის არ გაკეთება დანაშაული იქნება კაცობრიობის წინაშე, რის წინააღმდეგაც მე ყველა ადამიანს ვთხოვ აღსდგეს.

### საერთაშორისო სოციალური სამუშაო და საერთაშორისო პერსპექტივები ადგილობრივ პრაქტიკაში?

აღბათ, გასაოცარი არ არის, რომ დაახლოებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ინტერესი განახლდა საერთაშორისო სოციალური სამუშაოს იდეის მიმართ – როგორც ერთგვარი ლინზა, რომლის მეშვეობითაც უნდა დავინახოთ ადგილობრივი პრაქტიკა. და მართლაც, აჰმადი (2003 . გვ. 14) აღნიშნავს, „საერთაშორისო სოციალურ სამუშაოს შეუძლია და კიდევ უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი დემოკრატიის კონსოლიდაციაში, სოციალურ მართლმსაჯულებასა და საერთაშორისო კონვენციების განხორციელებაში, როგორცაა ადამიანის უფლებები, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ბავშვთა უფლებები და ა.შ. ასევე კონფლიქტების პრევენცია და მშვიდობის მხარდაჭერა გლობალური კულტურული ინტეგრაციის წარმოჩენით“.

ორივე, ლიონსი (1999) და ჰილი (2001) განიხილავდნენ რამდენიმე მოვლენას და ლიტერატურას, რომლებიც ათარიღებენ აღნიშნულ განვითარებას და მცდელობას იმისა, რომ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს სფეროს გამიჯვნა ან განსაზღვრა მოხდეს. ჰილის მოჰყავს საერთაშორისო სოციალური სამუშაოს უორენისეული განმარტება, რომელიც მოცემულია 1937 წლის (ამერიკულ) სოციალური სამუშაოს ყოველწლიურ გამოცემაში – ის მოიცავს „სოციალური მუშაკების იდეების გაზიარებას საერთაშორისო შეხვედრებზე, ასევე ქვეყნებს შორის სამუშაოს, მთავრობათაშორის სამუშაოს და დახმარებაზე მიმართულ სამუშაოს“ (ჰილი, 2001 . გვ. 6). ლიონსი ახდენს ციტირებას იმ კვლევიდან, რომელიც შვედეთის და შეერთებული შტატების (ფოლკი და ნეგი, 1997 ; ნეგი და ფოლკი, 2000 .) სოციალური სამუშაოს განათლების მუშაკებმა განახორციელეს 1990-იანი წლების შუა პერიოდში და სადაც მათ მონაცემები შეკრიბეს 96 სოციალური სამუშაოს განათლების მუშაკებისგან 20 ქვეყანაში იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდათ მათ „საერთაშორისო სოციალური სამუშაო“ და რომელთაგან მათ 12 ძირითადი ასპექტი გამოავლინეს (ლიონსი, 1999). ყოველვე ეს ოთხ ძირითად თემად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. საერთაშორისო სემინარები და კონფერენციები, ურთიერთგაზიარების შესაძლებლობები, ასევე საერთაშორისო პრაქტიკა და კონსულტაცია;

2. სოციალური პოლიტიკების, ფასეულობების, პრაქტიკული მიდგომების და ა. შ. შედარებითი კვლევა;
3. ცოდნა საერთაშორისო ორგანიზაციების, საფინანსო ინსტიტუტების, მულტინაციონალური კომპანიების და საერთაშორისო კონვენციების როლის შესახებ;
4. ბრძოლა სოციალური სამართლიანობის და ადამიანის უფლებებისთვის, რაც საერთაშორისო მოვლენების მზარდ შესაბამისობას და მოსახლეობების ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს.

ჰილიმ თავისი განმარტება განავრცო როგორც „საერთაშორისო პროფესიონალური ქმედება და საერთაშორისო საქმიანობის წამოწყების უნარი სოციალური სამუშაოს პროფესიის და მისი წევრების მიერ“, ასევე გამოავლინა საერთაშორისო ქმედება, რომელსაც აქვს ოთხი განზომილება:

1. საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამინაო პრაქტიკა და ადვოკატობა;
2. პროფესიული გაცვლა-გამოცვლა;
3. საერთაშორისო პრაქტიკა;
4. საერთაშორისო პოლიტიკის განვითარება და ადვოკატობა (ჰილი, 2001 გვ. 7).

აღნიშნული დისკუსიები და სხვა ლიტერატურა საფუძველს ქმნის ჩვენი იდეების განსავითარებლად იმის შესახებ, თუ რა შეადგენს საერთაშორისო სოციალურ სამუშაოს. თუმცა, ჩვენ ასევე გვინტერესებს გამოვავლინოთ საშუალებები, რომლითაც სოციალურ მუშაკებს (რომლებსაც, როგორც ასეთი, შეიძლება არ უნდოდეთ საერთაშორისო სოციალურ სამუშაოში ჩართვა) შეეძლებათ თავიანთი პრაქტიკა და პროფესიული განვითარება გაამდიდრონ საერთაშორისო პერსპექტივის დანერგვით ადგილობრივ პრაქტიკაში (ჰილის განმარტების პირველი განზომილების შესაბამისად). ჩვენ ამას ვითვალისწინებთ, ვაანალიზებთ რა გლობალურ მოვლენებსა და პრობლემებს; ვალიარებთ რა საერთაშორისო და ადგილობრივი საკითხების კულტურათაშორის განზომილებებს; ასევე ვიყენებთ რა შედარებით ან საერთაშორისო დონეზე მიღებულ ცოდნას, რომ ამ სოციალური მუშაკებისთვის ინფორმაცია ვუზრუნველვყოთ პრობლემური სფეროების ანალიზისა და ინტერვენციისთვის შესაძლო სტრატეგიების შეფასებისთვის.

აჰმადის (2003) მიხედვით, საერთაშორისო სოციალურ სამუშაოს ერთაშორისი ან შედარებითი ხასიათი აქვს, მაგრამ ამავე დროს ის შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური კონცეფციების და სოციალური სამუშაოს მეთოდების ახლებურად გააზრების მექანიზმი იმ ცვლილებების ფონზე, რაც პოსტმოდერნიზმს და გლობალიზაციას ახლავს. აჰმადი საერთაშორისო სოციალურ მუშაკებს ადანაშაულებს იმაში, რომ ისინი საერთაშორისო საზოგადოებისგან იმალებიან და არ შეუძლიათ გახდნენ ღარიბთა უფლებების დაცვისათვის მებრ-

ძოლნი; ის ასევე აკრიტიკებს ევრო-ცენტრულ და ეთნო-ცენტრულ შეხედულებებს „საერთაშორისო სოციალურ სამუშაოში“. მისი აზრით, საჭიროა ჩართვა „მრავალმიმართულებიან ქსელში, რომელსაც დეცენტრალიზებული პრაქტიკა ახასიათებს“ (აჰმადი, 2003 გვ. 16). მისი აზრით, სოციალურმა მუშაკებმა ზედმეტად შეისისხლხორცეს „საკაცის მატარებლის“ როლი და ახლა კრიზისზე რეაგირებას ახდენენ იმის მაგივრად, რომ ფოკუსირება მოახდინონ მომსახურების მიმღების ძლიერ მხარეებზე და თავიანთ ძალისხმევაში პროაქტიულები იყვნენ.

საერთაშორისო დონეზე ან საერთაშორისო განზომილებებით პრაქტიკების შემუშავებაში საერთაშორისო ასოციაციების როლს თუ დავეუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციამ და სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციამ ერთობლივი დოკუმენტი შეიმუშავეს გლობალური სტანდარტების შესახებ სოციალური სამუშაოს განათლებისთვის; სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია პერიოდულად გამოსცემს პოზიციის ამსახველ დოკუმენტებს გლობალური მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხების შესახებ (ამჟამად ეს მოიცავს ეთიკას და გლობალიზაციას) (იხილეთ სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ვებ-გვერდები). გლობალური საკვალიფიკაციო სტანდარტები სოციალური სამუშაოს განათლებისა და ტრენინგისთვის რატიფიცირებული იქნა ადელაიდაში 2004 წელს. დოკუმენტი გარდა იმისა, რომ მომსახურების მომხმარებელთა (კლიენტების ან მომხმარებლების) ინტერესებს იცავს, ის „სოციალური სამუშაოს“ როლსაც მკაფიოდ წარმოაჩენს გლობალურ დონეზე. თუმცა, წარმოიჭრა მოსაზრებები, რომ ეს დოკუმენტი შესაძლოა „დასავლური იმპერიალიზმის“ მაგალითია და ნერგავს „სტანდარტიზაციას“, რომელიც შესაძლოა არც გამოსადეგი აღმოჩნდეს და არც შესაფერისი. აღნიშნული მოსაზრებები წამოიჭრა და განიხილა *სოციალური სამუშაოს განათლების (2004)* სპეციალური გამოშვების სტატიებში. ამას გარდა, არსებობს აღიარებული მტკიცებულება, რომ ქვეყნებმა თავად უნდა შეიმუშაონ სოციალური პროფესიონალების განათლების კურიკულუმი და პრაქტიკები, რაც უფრო მორგებული იქნება ადგილობრივ სპეციფიკას, იმის მიუხედავად, ეს პროგრამები შესაფერისია თუ არა სხვა და შესაბამისად განსხვავებული კულტურების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობების მქონე ქვეყნებში პრაქტიკისათვის.

### მიზნები და მასშტაბი

[...] ჩვენი მიზანია სოციალურ პროფესიონალებს დავეხმაროთ სხვადასხვა გარემოსა და ქვეყნებში გამოიკვლიონ სოციალურ კეთილდღეობაზე გლობალიზაციის ზეგავლენა. ასევე მიზნად ვისახავთ სოციალურ მუშაკთა პროფესიული მსოფლმხედველობისა და სამუშაო ტექნიკების გამრავალფეროვნებას.

ხშირად ციტირებული ფრაზა, „იაზროვნე გლობალურად – იმოქმედე ლოკალურად“ (ფრაზა, რომელიც, სავარაუდოდ, 1970-იან წლებში გამართული პირველი „დედამინის დღიდან“ არსებობს), განსაკუთრებით სოციალურ მუშაკებს მიესადაგება! ეს ის გზავნილია, რომელიც სოციალურ მუშაკებს ამცნობს, რომ სოციალური სამუშაო შეიცვალა და პრაქტიკოსებსაც და კომენტატორებსაც მართებთ სოციალური პრობლემების, სოციალური პოლიტიკის ცვლილებების შესაბამისად იმოქმედონ მისაღები ჩარჩოს ფარგლებში. მიმდინარე პროცესების საზიანო ზეგავლენის მსხვერპლნი ინტერვენციის სამიზნეს წარმოადგენენ სოციალური სამუშაოსათვის, ან თანამშრომლური სამუშაოსთვის სოციალურ მუშაკებსა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკის შემმუშავებლებთან ერთად, რომლებიც მათ გადაჭრას, ან შემსუბუქებას ცდილობენ. [...]

## გლობალიზაცია: ფაქტი თუ გამოგონილი და რამდენად რელევანტურია ის?

კარენ ლიონისი, კეთლინ მინიონისი,  
მერი კარლსენის მიერ

### [... გლობალიზაციის შესაბამისობა კეთილდღეობასთან და სოციალურ სამუშაოსთან

განურჩევლად იმისა, სოციალური მუშაკი კეთილდღეობის მიმწოდებელია, როგორც სახელმწიფო უწყების, თუ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაქირავებული პირი, გლობალიზაცია მაინც ზეგავლენას ახდენს მის მუშაობაზე. გლობალური კორპორაციების მიერ ინვესტირების, განთავსების და დაფასების შესახებ გადანყვეტილებები დიდწილად განაპირობებენ კონკრეტული საზოგადოებების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას, ზემოქმედებენ დასაქმების პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე სხვადასხვა საქონელსა თუ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაზე. ეს მოიცავს ინფორმაციის ტექნოლოგიებისა და მედიკამენტების წარმოებას, შესაბამისად ზემოქმედებს საზოგადოების შანსებზე მიიღოს მონაწილეობა ინფორმაციულ გადატრიალებაში, ადეკვატური ჯანდაცვის შეთავაზებაში კონკრეტული ჯგუფებისა და პიროვნებებისათვის (მაგალითად აივ/შიდსით ინფიცირებულებისათვის). ეს ფაქტორები შესაბამისად ხელს უწყობენ უთანასწორობის ზრდას, როგორც საზოგადოებაში, ასევე საზოგადოებებს შორის. ეს კი მიენერება გლობალიზაციას. ასეთი განსხვავებების ფონზე სახელმწიფოში და სახელმწიფოებს შორის, გლობალიზაცია სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს, როგორც მოთხოვნაზე სოციალური სფეროს წარმომადგენლებისადმი, ასევე მოლოდინებზე.



რაც არ უნდა იყოს სოციალური მუშაკების როლი ადგილობრივ დონეზე, მათ უნდა შეეძლოთ გლობალიზაციის „საფასურის“ გამოთვლა როგორც ცალკეულ ინდივიდებზე, ასევე მთელს საზოგადოებაზე. მათ უნდა შესწევდეთ უნარი წვლილი შეიტანონ ეკონომიკური ლიბერალიზმის გამონწვევებთან გამკლავებაში. ამიტომ, საჭიროა ჩაგვრისა და არახელსაყრელი პირობების მაკრო ანალიზის გაკეთება. ეს კი სოციალური სფეროს წარმომადგენლებისაგან ითხოვს გასცდნენ შერჩეული სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს, აღმოფხვრან მასში არსებული ხარვეზები ადვოკატობისა და ლობირების უნარ-ჩვევების მაქსიმალურად განვითარებით. ჰილის (2001) აზრით, „ეროვნული პოლიტიკა არასოდესაა სრულიად ადგილობრივი“ (გვ. 220), არამედ აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგან ან ზემოქმედებს პირდაპირ ან „სოციალური პოლიტიკის მეტოქეობრიობის“ გამო. მაგალითად, აშშ-ს „ნარკოტიკებზე ომისა“ და „ტერორიზმთან ომის“ პოლიტიკამ ზეგავლენა მოახდინა კეთილდღეობისა და იმიგრაციის პოლიტიკაზე მთელს მსოფლიოში.

სოციალური პოლიტიკის მეტოქეობრიობის მაგალითია გაერთიანებული სამეფოს 1990 წლის ეროვნული ჯანდაცვის მომსახურებებისა და ზრუნვის აქტი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ბრიტანელი სოციალური სამუშაოს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პრაქტიკაზე. აშშ-ს „ზრუნვის მართვის“ პოლიტიკამ დიდი ზეგავლენა (უარყოფითი) მოახდინა საბერძნეთის სოციალური მომსახურებების რეფორმირებაზე. ჰარისა და ჩაუს აზრით (2001), „გლობალური ეკონომიკა რჩება სოციალური კეთილდღეობის განვითარების მთავარ წინააღმდეგობად“ (გვ. 161). კეთილდღეობაზე დისკუსია სულ უფრო და უფრო „გლობალიზდება“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილობრივი პოლიტიკა და პრაქტიკა მაინც მგრძობიარე რჩება ადგილობრივი კონტექსტისადმი „ადგილობრივი ინსტიტუციების შუამდგომლობით: ეს პროცესი იწოდება „გლოკალიზაციად“.

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის განაცხადის მიხედვით, სოციალური მუშაკები სწორედ გლობალიზაციის უარყოფითი ზეგავლენით დაზარალებულებთან მუშაობენ. მათ პროფესიული ანალიზი და პრაქტიკა ადამიანის უფლებების დაცვაზე აქცენტირებით უნდა განახორციელონ. ფედერაციამ ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე მოღვაწე სოციალური სფეროს წარმომადგენელთათვის ჩამოაყალიბა გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებთან გამკლავების მიდგომა, რომელიც ხუთი ელემენტისაგან შედგება:

1. 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უნივერსალური განათლებისადმი ხელმისაწვდომობა;
2. დასაქმების ხელშეწყობა (განსაკუთრებით მათთვის, ვინც „ღია“ შრომის ბაზარზე დისკრიმინირებულია ან დისკრიმინაციის რისკის წინაშეა);

3. სოციალური დაცვის ლობირება და სოციალური დაცვის (ფისკალურ) პროგრამებში წვლილის შეტანა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც არ ძალუძთ თავად დაიცვან საკუთარი უფლებები (მაგ., ასაკის ან უუნარობის გამო);
4. ბავშვთა დაცვა გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად;
5. ახალი ინიციატივების განვითარება მოქალაქეთა მონაწილეობისა და მათი უფლებამოსილების გაზრდის საფუძველზე.

მაინც რატომ აქვთ გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ასეთი დიდი მნიშვნელობა სოციალური სფეროს წარმომადგენლებისათვის? ირვინისა და პეინის (2005) აზრით, ამას სამი მიზეზი აქვს: „ცოდნის გადაცემა, შრომის ბაზარი და კულტურული ცნობიერება“ (გვ. 154) და ეს სამივე ხაზს უსვამს გლობალიზაციის კავშირს სოციალურ სამუშაოსთან. მაგალითად ცოდნის გადაცემის აშკარა მაგალითია ჩრდილოეთ ქვეყნებში ახალი ზელანდიდან გადმონერგილი „საოჯახო ჯგუფური კონფერენცია“, რომელიც მაორთა კულტურული ფასეულობებისადმი პატივისცემის ნიშნად დაინერგა. ფოქსის აზრით (2005), ამის ასეთივე აშკარა მაგალითია კანადის „აბორიგენტთა“ ხალხისაგან წამოსული იდეების ზეგავლენა გაერთიანებული სამეფოს იუვენალურ სისტემაზე. ან, ვთქვათ ბავშვთა დაცვის სისტემაში ნათესაური ზრუნვის განვითარება აშშ-სა და მოგვიანებით გაერთიანებულ სამეფოში აფრო-კარიბული საზოგადოებიდან დაინერგა, რაც აფრიკული ტრადიციებიდან იღებს დასაბამს (ლიონი, 2006).

ცოდნის გადაცემის საკითხი შრომის ბაზრის მობილუობის კონტექსტშიც განიხილება, და მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამუშაო ლოკალურ აქტივობადაა აღიარებული, მიგრირებული სოციალური მუშაკების მზარდი რაოდენობა ნათელყოფს სოციალურ მუშაკთა ცოდნისა და უნარების გაღრმავების აუცილებლობას საერთაშორისო და კროს-კულტურულ კონტექსტში.

სოციალური სფეროს წარმომადგენელთათვის კულტურული კომპეტენტურობის საჭიროება არც ახალია, და შესაბამისად ის არც აუცილებლად გლობალიზაციის შედეგია. მაგალითად, ახალი ზელანდიის ბიკულტურალისტური პოლიტიკა 1980 წლიდან დაიწყო, 10 წელიწადში გაერთიანებული სამეფოს სკოლებში დაიწყო ანტი-რასისტული ტრენინგები. ინტერ-კულტურული სწავლებისა და ანტი-ოპრესიული პრაქტიკის განვითარება დასაბამს გერმანიიდან და ჩეხეთიდან იღებს, თურქ და ბოშათა ეთნიკური უმცირესობების პრობლემებიდან გამომდინარე. თუმცა აშკარაა, რომ გლობალიზაციამ გაზარდა მიგრაციის მასშტაბი და სოციალურ მუშაკსაც სულ უფრო და უფრო სჭირდება კროს-კულტურული ცოდნის გაღრმავება უმცირესობებთან ეფექტიანი პრაქტიკის განხორციელებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე (ლიონსი, 2006).

## საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ბაზრება

ჯანეტი უილიამისისა და  
ბრემ სიმპსონის მიერ

პირველ რიგში ვნახოთ, რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ სოციალური სამუშაო „საერთაშორისო პროფესიაა“. საერთაშორისო პერსპექტივა ერთი მხრივ, გვანდის ინფორმაციას თუ რა ხდება სხვაგან და მეორე მხრივ, გვაძლევს საშუალებას ჩვენს შინაურ სიტუაციას სხვა თვალთ შევხედოთ (კოჩრანი და კლარკი, 1993). ამგვარად, ადგილობრივი სოციალური პრაქტიკის საერთაშორისო მასშტაბში გადაყვანამ შეიძლება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში საქმის კეთების განსხვავებული გზები გვაპოვინოს.

სხვადასხვა ეროვნების, კულტურისა თუ ტრადიციების მქონე საზოგადოებებს შორის იდეების გაზიარების, პრაქტიკისა და პოლიტიკის შედარების გზით სოციალური სამუშაოც შეიცვალა და განვითარდა ისე, როგორც ყველა დარგი. ამ პროცესში მსჯელობენ ახალ იდეებზე, ხდება მათი ნახალისება და ფართოდ გავრცელება. ამგვარად ფართოვდება სამუშაოს პროფილი. ეს ყველაფერი ხორციელდება საერთაშორისო კონფერენციების, წიგნებისა და სტატიების, კვლევების, სოციალური საქმიანობის პრაქტიკის გაზიარების, მასწავლებლების, სტუდენტების, მომსახურების მომხმარებლების და მომწოდებლების მეშვეობით. სოციალური საქმიანობის პირველი საერთაშორისო კონფერენცია ფარიზში (ლიონსი, 1999) ჩატარდა 1928 წელს. ასეთი ღონისძიებების გამართვას რეგიონალურ თუ მსოფლიო დონეზე ბევრი ორგანიზაცია უწყობს ხელს. მათ შორის არიან სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია (IFSW) და სოციალური საქმიანობის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია (IASSW).

მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთგან დაბადებულმა იდეებმა სხვაგანაც მოიკიდოს ფეხი, არის ბავშვების მხარდაჭერის სისტემა ე.წ. *ოჯახის კონფერენცია* (Family Group Conferencing). ეს მეთოდი ახალ ზელანდიაში მაორის კულტურაში აღმოცენდა. მაგრამ ის მრავალ ქვეყანაში გამოსცადეს და მოარგეს საკუთარ მოთხოვნილებებს, მათ შორის ინგლისსა და აშშ-შიც. კიდევ ერთი მაგალითი არის *პაციენტთა საბჭო* ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, რომელიც მომსახურების მომხმარებლებმა წამოიწყეს ჰოლანდიაში და დიდ ბრიტანეთშიც აიტაცეს მომსახურების მომხმარებლებმა.

სხვადასხვა სოციალური პრაქტიკისა და პოლიტიკის შედარება გვებმარება, რომ კრიტიკული თვალთ შევხედოთ ჩვენს საკუთარ კარგად შეთვისებულ პრაქტიკას. დიდ ბრიტანეთში მხარს უჭერენ გაშვილებას, რათა ბავშვები სტაბილურობით უზრუნველყონ. თუმცა, ნორვეგიაში, სადაც ბევრი ძალისხმევა და სახსარი იხარჯება იმაზე, რომ ბავშვი საკუთარ ოჯახში დარჩეს, გაშვილებას სულ სხვანაირად უყურებენ. 2005 წელს ნორვეგიაში სულ 890 ბავშვი გააშვილეს. ამათგან 79 პროცენტი იყო საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვი; 15,5

პროცენტი იშვილა დედინაცვალმა ან მამინაცვალმა და მხოლოდ 5,5 პროცენტი (48 ბავშვი) გააშვილეს მინდობით აღმზრდელზე ან სხვა წესით (ნორვეგიის სტატისტიკა, 2007). ეს იმის მაგალითია, თუ როგორ სხვადასხვაგვარად შეიძლება აღიქმებოდეს ესა თუ ის პრაქტიკა. როგორც არ უნდა იყოს, შედარებით სოციალური სამუშაო უფრო მეტია ვიდრე სხვისი იდეების გადმოღება. რადგან სოციალური სამსახურის პრაქტიკა არის მოცემული კულტურის სპეციფიკური პასუხი კონკრეტულ სოციალურ პრობლემაზე. ეს თავისი არსით ადგილობრივი საქმიანობაა. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად უყურებენ და განსაზღვრავენ კიდევ რომელიმე კონკრეტულ პრობლემას და მისი გადაჭრის გზებსაც განსხვავებულად ხედავენ.

როცა შედარებას ვაკეთებთ უნდა გავითვალისწინოთ ძალაუფლებისა და იმპერიალიზმის ზემოქმედების ფაქტორიც. როგორც ვხედავთ, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები (რომლებსაც ხშირად ჩრდილოეთის ქვეყნებად მოიხსენიებენ) საკმაო ზეგავლენას ახდენენ ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის მქონე სამხრეთის ქვეყნებზე. ამგვარი ურთიერთმიმართება ზოგჯერ აშკარაა სოციალურ სამუშაოშიც. შედეგად, სოციალური სამუშაოს ფასეულობები და პრაქტიკა ხშირად უკავშირდება ჩრდილოეთის ქვეყნების ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკას, რომელიც პიროვნების თავისუფლებაზეა ფოკუსირებული. ბევრ კულტურაში პიროვნებაზე უფრო მნიშვნელოვანია ოჯახი, რელიგიური ორგანიზაცია, თემი თუ სანათესავო, რომლის გარშემოც ადამიანები ერთიანდებიან. ასეთ ქვეყნებში სოციალური სამუშაო ბრიტანული პრაქტიკისგან განსხვავებით, ორიენტირებულია ჯგუფთან მუშაობაზე და მედიაციაზე ჯგუფის საშუალებით.

აქ მოყვანილი ზოგიერთი მაგალითი ისეთ ქვეყნებს უკავშირდება, სადაც სოციალური სამუშაო ნაკლებად არის რესურსებით უზრუნველყოფილი და უფრო თემზეა ორიენტირებული. ეს კი შეგვახსენებს, რომ ინოვაციები ყველა პრაქტიკაში შეიძლება იყოს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური ფორმა. ეს ასეა ევროპაშიც და ამის დასტურია ის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური მუშაკის პოზიციას სხვადასხვა ტერმინი მოარგეს. ყველა ეს ტერმინი დაკავშირებულია სპეციფიკურ, ადგილობრივ მნიშვნელობასთან, მიდგომასთან და პასუხისმგებლობის სფეროსთან. იტალიაში სოციალურ მუშაკს სოციალურ ასისტენტს უწოდებენ. ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში – სოციალურ პედაგოგს. ზოგჯერ, საქმის გასამართლებლად, ყველა სხვადასხვა ტიტულს აერთიანებენ ზოგადი ტერმინით სოციალური მუშაკი (ლორენცი, 1994).

ტერმინი პედაგოგი ბევრ ევროპულ ქვეყანაში გამოიყენება. როგორც წესი, ეს აღნიშნავს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს, რომელიც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან (თუმცა, არა მხოლოდ მათთან) მუშაობს; ბევრ შემთხვევაში ასეთ მუშაკებს სოციალურ პედაგოგებს უწოდებენ. ძალიან ძნელია სოციალური სამუშაოს აღმნიშვნელი ტერმინები გადაითარგმნოს ინგლისურად ისე, რომ ასახ-

ავდეს სხვადასხვა კულტურულ და ისტორიულ მიდგომას. სოციალური პედაგოგია განათლების განზოგადებული იდეიდან მოდის. ამ ბოლო დროს პეტრი და ავტორთა ჯგუფმა (2006) ამ ტერმინის ასეთი განმარტება შემოგვთავაზეს – ეს არის ჰოლისტიური ზრუნვა ბავშვებზე და ახალგაზრდებზე. გერმანიის ბევრ რეგიონში, ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სოციალური პედაგოგები ხანდაზმულებთანაც მუშაობენ ჰოლისტიური მიდგომებით. პეტრი და მისი ავტორთა ჯგუფი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ პიროვნებისადმი ჰოლისტიურ მიდგომას და ადამიანებთან პოზიტიური და სერიოზული ურთიერთობის დამყარებას. სადაც არ უნდა იყოს ეს, სოციალური პედაგოგიის აუცილებელი ელემენტებია:

- ურთიერთობის პედაგოგია – გული;
- მოსმენა – ყურები;
- გააზრების პედაგოგია – ტვინი;
- პრაქტიკული პედაგოგია – ხელები.

სოციალური პედაგოგია წარმოგვიდგენს სოციალური სამუშაოს კონტინენტური ევროპის განათლებისა და სოციალურ ტრადიციებში არსებულ სხვადასხვაგვარ მიდგომებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ხორციელდება, ზემოხსენებული ოთხი პრინციპი ყველგან ფუნქციონირებს.

### ლოკალური არის გლობალური და გლობალური არის ლოკალური

ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, რომ საერთაშორისო სოციალური საქმიანობა არის სოციალური მუშაკებისთვის ყოველდღიური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი, რადგან ის, რაც საზღვარგარეთ ხდება გავლენას ახდენს ადგილობრივ თემზე, რომელთანაც ჩვენ ვმუშაობთ. ამდენად, ამ სფეროში „ლოკალური არის გლობალური, გლობალური კი – ლოკალური“. სოციალური მუშაკები, მომსახურების მომხმარებლები და მომწოდებლები, ყველანი არიან გლობალური სისტემის ნაწილი და მათ პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხებათ ის, რაც ხდება დედამიწის სხვა ნაწილში. სწორედ ამას ვგულისხმობთ, როცა გლობალიზაციაზე ვლაპარაკობთ. გლობალიზაციას სოციალური მუშაკებისთვის ბევრი სხვადასხვა გამოვლინება აქვს. შეიძლება თქვენ მუშაობდეთ ჯგუფში, რომლის წევრებმა მანამდე ისწავლეს და იმუშავეს სხვაგან და შემდეგ დიდ ბრიტანეთში ჩამოვიდნენ სამუშაოდ, რადგან აქ ცოტა სოციალური მუშაკია. თქვენ შეიძლება გყავთ ოჯახის წევრი, რომელიც სხვაგან ცხოვრობს, ან შეიძლება თქვენთან სწავლობს ადამიანი, რომელიც სხვაგან დაიბადა და ადრე სხვაგან ცხოვრობდა. შეიძლება თქვენს მხარეში მომსახურების ბევრი მომხმარებელი და მომწოდებელი

ბელი სხვაგან არის დაბადებული. ამ თავში ჩვენ სწორედ გადაადგილებულზე ვიმსჯელებთ. თქვენი, როგორც სოციალური მუშაკის მოვალეობაა გაიგოთ რატომ გადაწყვიტა ამ ხალხმა სხვაგან გადასვლა და რა შედეგი მოიტანა ამ გადასვლამ.

### საერთაშორისო სოციალური პრობლემების მოგვარება

კიდევ ერთი მოსაზრება საერთაშორისო სოციალურ სამუშაოზე გახლავთ, რომ ის ჩართულია რიგ საერთაშორისო საკითხებში, როგორცაა – ეკოლოგიური კატასტროფები, სამოქალაქო ომები და ეკონომიკური სიდუხჭირე. ასეთი მოვლენები აძლევს ბიძგს ხალხის მასიურ მიგრაციას და ადამიანებით საერთაშორისო ვაჭრობას. ეს უკანასკნელი კი დღესდღეობით უფრო მომგებიანი „ბიზნესია“ ვიდრე ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა. ეს მოვლენები სცილდება ერთი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროს, რადგან შედეგად ხალხი გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე (ჰილი, 2001 .). ამგვარი მიდგომა წარმოშობს რამდენიმე სერიოზულ საკითხს სოციალური მუშაკებისთვის და იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ ისინი სოციალურ პრობლემებზე. ერთმანეთის მსგავსი შედეგები ჰქონდათ 2004 წლის ინდონეზიის ცუნამის, 2005 წლის ნიუ ორლეანისა, 2008 წლის ჩინეთის და 2007 წლის ზაფხულის ინგლისის წყალდიდობებს; შეიცვალა მინის მოხაზულობა და ადამიანებს, ოჯახებს და თემს სიკვდილი, ანიოკება და ნგრევა დაატყდათ თავს.

ახლა, როცა უკვე განვიხილეთ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ზოგიერთი ასპექტი, გაიზრეთ თქვენი პასუხები ქვემოთყვანილ კითხვებზე და მოუბრუნდით მათ შემდეგაც:

- *უნდა იცავდეს თუ არა სოციალური მუშაკი დაჩაგრული ჯგუფების ინტერესებს, როგორც ამას ჰილი (2001. გვ.7) გვთავაზობს?*
- *ეკისრებათ თუ არა სოციალურ მუშაკებს პასუხისმგებლობა, გამართონ კამპანიები პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად საზღვარგარეთის ქვეყნებში და თუ ეკისრებათ, როგორ უნდა გააკეთონ ეს? (მაგალითად თუ სურთ, რომ დაგმონ ინდოეთსა და ჩინეთში ფართოდ გავრცელებული, მდედრობითი სქესის ნაყოფის მოსაცილებელი აბორტი).*
- *სოციალურმა მუშაკებმა უნდა დაიცვან თუ არა იმ ქალების ინტერესები, რომლებიც სექსუალურ მონებად გაყიდეს, რათა მათი უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი (ნაცვლად იმისა, რომ არალეგალური მიგრანტების მსგავსად დააბრუნონ ისინი სამშობლოში, სადაც იმ კრიმინალური ბანდების ხელში ჩაგვრდებიან, რომლებიც ამ ბიზნესს აკონტროლებენ)?*
- *ფიქრობთ თუ არა, რომ პოლიტიკის შეცვლა ან შემუშავება, რომელსაც პოლიტიკის პრაქტიკას უწოდებენ (უეისი, 2005წ.), არის სოციალური სამუშაოს ნაწილი?*

## საერთაშორისო პრაქტიკა საერთაშორისო ორგანიზაციებში

საერთაშორისო ორგანიზაციები – წითელი ჯვარი და წითელი ნახევარ-მთვარე, ოქსფამი და ქრისტიანული თანადგომა – კატასტროფების შემთხვევაში გადაუდებელ და გრძელვადიან დახმარებას უწევენ მოსახლეობას, მაგრამ გარდა ამისა ისინი განვითარებით საქმიანობაშიც არიან ჩართული. სოციალური მუშაკების მოვალეობაა, დაეხმარონ ადგილნაცვალ პირებს და შეეშველონ თემს იმ სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რომელიც მოჰყვება მასიურ მიგრაციას, სამოქალაქო ომს ან აივ-ს (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი) და შიდს-ს (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი). აგრეთვე არის სიტუაციები, როცა პიროვნებაზე ფოკუსირებული მუშაობა არ ითვლება ნორმად და ეს შეიძლება რთული იყოს სოციალური მუშაკისთვის, რომელიც ინდივიდუალისტური ტრადიციების მატარებელია.

## ვინ სარგებლობს საერთაშორისო სოციალური სამუშაოთი და რა უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ?

ჩვენ შემოგთავაზებთ რამდენიმე მიზეზი იმ იდეის დასადასტურებლად, რომ სოციალური სამუშაო არის საერთაშორისო პროფესია და, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პრაქტიკის გაუმჯობესება სხვადასხვა ქვეყნების სოციალური სამუშაოს ტრადიციების გაზიარებით. ჩვენ და სხვები ამ წიგნში ვამტკიცებთ, რომ უშუალოდ მომსახურების მომხმარებლების და მომწოდებლებისთვის არის სასიკეთო, თუ სოციალურ მუშაკებს ესმით საერთაშორისო პერსპექტივა და იყენებენ მას ყოველდღიურ საქმიანობაში. [...]

## გადაადგილება გლობალურ კონტექსტში

ფრინგლის კომენტარებმა ჩვენ წიგნის ერთ-ერთ მთავარ კონცეპტუალურ თემამდე მიგვიყვანა - გადაადგილება და სოციალური მუშაკების ქმედება იმ ხალხთან მიმართებაში, ვინც გადაადგილდება. გადაადგილება შეიძლება იყოს გეოგრაფიული, როცა ადამიანი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის და არა-გეოგრაფიული, როცა ის მიაბიჯებს ცხოვრების გზაზე. გადაადგილებები ხშირად ეკონომიკური მდგომარეობის შედეგია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ბავშვობიდან ზრდასრულობაში და ზრდასრულობიდან ხანდაზმულობაში გადასვლისას პასუხისმგებლობის შეცვლამ. ეს გადასვლები ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე, ჩვეულებრივ, ყველა კულტურაში თავისებურად არის გამოხატული.

ეკონომიკური, პოლიტიკური ან ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის ერთადერთ გზად შეიძლება საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მოგვეჩვენოს. ამ

პრობლემების მიზეზები კი გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული. ჩვეულებრივ, გადაადგილებას, რომელიც გულისხმობს სახლთან, კულტურასთან და ოჯახთან განშორებას, სასიკეთო ცვლილებებთან ერთად, მოჰყვება ვინაობასთან და სტატუსთან დაკავშირებული დანაკარგები. მიგრანტები უნდა შეეგუონ ახალ კულტურულ გარემოს; მასპინძელი კულტურა კი დროთა განმავლობაში მათი წყალობით უფრო მრავალფეროვანი გახდება. ზოგი გადაადგილება თავისუფალი არჩევანის შედეგია, ზოგი – უარესთა შორის უკეთესი გამოსავლის ძიების შედეგი. კიდევ არსებობს გატაცების, ტრეფიკინგის და თაღლითობის მსხვერპლთა იძულებითი გადაადგილება, უფრო ხშირად ამგვარად გადაადგილება ბავშვებს და ქალებს უწევთ.

როცა ადამიანთა დიდი რაოდენობა ტოვებს სამშობლოს და ხდება მასიური მიგრაცია, ამ ჯგუფს „დიასპორას“ უწოდებენ. ეს ტერმინი „მიმოზნეულს“ ნიშნავს და ამგვარი მიგრაცია, როგორც წესი, ხდება შევიწროვების, მონობის ან კოლონიზაციის გამო. დიასპორის ფენომენი ძალიან ძველია და პირველად გამოიყენეს ძ.წ. 587 წელს ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლასთან დაკავშირებით და შემდგომშიც არაერთხელ ათასწლეულების განმავლობაში, მეოცე საუკუნის ჩათვლით. დღეს დიასპორას წარმოადგენს პალესტინელი ხალხი. ხოლო დიდ ბრიტანეთში ამ ეტაპზე თავშესაფარს ითხოვენ: ჩილეელები, ერაყელები და ზიმბაბველები.

ზოგიერთი ადამიანი გადაადგილებისას საზღვრებს გადალახავს; სხვები კი ქვეყნის შიგნით ერთი რეგიონიდან მეორეში გადასახლდებიან. მრავალი მასიური გადასახლება მოხდა დიდ ბრიტანეთში დასაქმების მიზნით. როცა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქვანახშირის საბადოები გაიხსნა და გაფართოვდა (საშინაო და გლობალური მოხმარებისთვის) ბევრი ხალხი გადასახლდა საბადოებთან ახლოს ნოტინჰემშირში, დერბიშირსა და სამხრეთ უელსში. 1981 წლიდან მოყოლებული კონსერვატორების მთავრობის მინისტრის ნორმან თებითის კომენტარებიდან არასწორად ციტირებული ფრაზა - „შეჯექი ველოსიპედზე და ეძებე სამსახური“ - რეცეპტად იქცა იმისთვის, ვინც უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით გამორჩეულ რეგიონში ცხოვრობს, მაგალითად, ინგლისის ჩრდილოეთში. ასეთი ადგილებიდან ადამიანებს უფრო დალხინებულ რეგიონებში ურჩევენ გადასახლებას; ძირითადად – ლონდონსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში.

დიდი ბრიტანეთის ისტორიას უფრო საშინელი მიზეზით გამოწვეული მასიური გადასახლებებიც ახსოვს. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX-ის დასაწყისში შოტლანდიის მთიანეთი დაცალეს და ათობით ათასი ადამიანი იძულებით გადასახლეს სხვა ადგილებში, რათა საფუძველი მოემზადებინათ ცხვრის ფერმებისთვის. სახლები და სოფლები დაანგრიეს რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ხალხი გადასხლდა. ბევრი მაშინ სანაპიროზე და შოტლანდიის დაბლობში დასახლდა, რათა მოგვიანებით ემიგრაციაში წასულიყო. უფრო მოგვიანებით მოხდა მუშათა კლასის ლარიზ ნარმომადგენელთა შვილების დეპორტაცია

დიდი ბრიტანეთიდან ავსტრალიაში, კანადაში, ახალ ზელანდიაში და ზიმბაბუვეში, მაშინდელ როდეზიაში (პარკერი, 2007). ისინი გაგზავნეს, რომ ბრიტანეთის თანამეგობრობა თეთრკანიანებით დაესახლებინათ, ხოლო გაერთიანებულ სამეფოს დაეზოგა მათი შენახვის სახსრები. ბევრი ამ ბავშვთაგან არც კი იყო ობოლი. ამგვარად ასი წლის განმავლობაში (1967 წლამდე) 130 000 ბავშვი იყო „ექსპორტირებული“ ფერმებში სამუშაოდ. ხალხი დღესაც ემიგრირებს დიდი ბრიტანეთიდან. მაგალითად, ზოგი გადადის ესპანეთში, რათა პენსიაზე გასული მზეს მიეფიცხოს. იქ ისინი დიდ თემებს ქმნიან, რომლებიც იქცევა ინგლისურენოვან ანკლავებად ესპანურ მოსახლეობაში.

### სოციალური სამუშაოს ფასეულობები და ეთიკა საერთაშორისო კონტექსტში

ამ ქვეთავში გვინდა დავუბრუნდეთ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს და სოციალური სამუშაოს ფასეულობებს. არსებობს ზოგადი შეთანხმება სოციალური სამუშაოს ფასეულობების მნიშვნელობიანობის შესახებ. რომელიც საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ორი ორგანიზაციის – სმსფ-ის (IFSW) და სსსსა-ის (IASSW) - წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფმა ასე გამოხატა ერთობლივ განაცხადში:

*ეთიკის პატივისცემა არის სოციალურ მუშაკთა პროფესიული პრაქტიკის ფუნდამენტური ნაწილი. მათი უნარი და თავდადება, რომ მოიქცევიან ეთიკურად არის სოციალური მომსახურების მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხის აუცილებელი ასპექტი (IFSW, 2004).*

მორალის ფილოსოფიაში ფასეულობები იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა მიიჩნევა ხალხისთვის კარგად ან ცუდად; ამაზე დაფუძნებით იღებენ სოციალური მუშაკები გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთონ. ეთიკაც - მორალის ფილოსოფიის მონათესავე ასპექტი – ფასეულობებთან არის დაკავშირებული. მისი განსჯის საგანია, თუ რა არის სწორი ან არასწორი და როგორია ოფიციალურად დადგენილი ქცევის კოდექსი. სმსფ-ის (IFSW) და სსსსა-ის (IASSW) სოციალური სამუშაოს განმარტება გვიჩვენებს ამ საქმიანობის მიზნები როგორ ეფუძნება ფასეულობებს. აქ ორი ფუნდამენტური პრინციპია გამოყოფილი - ადამიანის უფლებები და სოციალურ სამართლიანობა, რომლებიც ხშირად დილემის წინაშე აყენებენ სოციალურ მუშაკებს, სადაც არ უნდა მუშაობდნენ ისინი.

### სოციალური სამუშაოს განმარტება (სმსფ (IFSW) და სსსსა (IASSW), 2004 წ.)

სოციალური სამუშაო, კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებებს, ადამიანთა ურთიერთობის პრობლემების მოგვარებას, ხალხის გათავისუფლებას და გაძლიერებას. ადამიანის ქცევისა და სოციალური სისტემური თეორიების გამოყენებით, სოციალური მუშაკი ჩაერევა ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობაში. ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტურია სოციალურ სამუშაოში.

სოციალური სამუშაოს ძირითადი ღონისძიებები – სოციალური ცვლილებების მხარდაჭერა თუ პიროვნების, თემისა და საზოგადოების პრობლემების მოგვარება, შეიძლება გამაძლიერებელიც იყოს და დამთრგუნველიც. ეს იმას ნიშნავს, რომ ნეიტრალიტეტის შენარჩუნება შეუძლებელია, რადგან ნებისმიერი ჩარევა, რომელიც ფასეულობას წარმოადგენს (კლარკი, 2000, გვ.3).

სმსფ (IFSW) და სსსსა (IASSW) ასახელებენ რამდენიმე მიზეზს, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სოციალურ სამუშაოში ეთიკური ნორმების დაცვას:

- *სოციალური მუშაკის ლოიალურობა ხშირად დაპირისპირებული ინტერესების შუაგულში ექცევა;*
- *სოციალური მუშაკის ორმაგი ფუნქცია: ერთდროულად დამხმარეც არის და მაკონტროლებელიც;*
- *კონფლიქტი სოციალური მუშაკის მოვალეობას დაიცვას იმ ადამიანების ინტერესი, ვისთანაც მუშაობს და საზოგადოების მოთხოვნას შორის სოციალური მუშაკის პროფესიონალიზმისა და ქმედითობისადმი;*
- *საზოგადოების რესურსების სიმწირე (სმსფ (IFSW), 2004).*

სოციალური სამუშაოს ორი ფუნდამენტური პრინციპი – ადამიანის უფლებები, პატივისცემა და სოციალური სამართლიანობა – დეტალურად არის აღწერილი სმსფ-ის (IFSW) და სსსსა-ის (IASSW) განაცხადის მეოთხე ნაწილში და მოკლედ ჩვენც ვისაუბრებთ მათზე. ჩვენ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, რომ ეს ფასეულობები არის სოციალური სამუშაოს საფუძველი მთელს მსოფლიოში, თუმცა, ჰუგმანი (2007, გვ. 20-29) აღნიშნავს, რომ შეიძლება, ისინი სხვადასხვანაირად გამოვლინდეს სხვადასხვა კულტურულ გარემოში.

აი, როგორ განმარტავენ ამ ეთიკური პრინციპებს სმსფ (IFSW) და სსსსა (IASSW)

*ადამიანის უფლებები და ადამიანის პატივისცემა*

სოციალური სამუშაო აუცილებლად ეფუძნება ყველა ადამიანის ღირსებას და პატივისცემას და აქიდან გამომდინარე უფლებებს. სოციალურმა მუ-

შაკმა მხარი უნდა დაუჭიროს და დაიცვას თითოეული ადამიანის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური და სულიერი მთლიანობა და კეთილდღეობა.

*სოციალური სამართლიანობა*

სოციალური მუშაკის ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს სოციალურ სამართლიანობას, მთელ საზოგადოებასთან და იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებთანაც ის მუშაობს.

## **IV**

### **საერთაშორისო სოციალური სამუშაო და საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა**

## საერთაშორისო სოციალური სამუშაო და საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა

ჰანს ჰან ეპიკის მიერ

### შესავალი

ამ თავის პირველი ნაწილი სოციალურ სამუშაოს მოიაზრებს საერთაშორისო სოციალური სამუშაოსა და სოციალური პოლიტიკის უფრო ფართო საზღვრებში. პირველ განყოფილებაში ჩვენ აგისსით, რა არის „საერთაშორისო სოციალური სამუშაო“. ის საერთაშორისო სააგენტოში მუშაობის შედეგებით კონკრეტული და სპეციფიკური სფეროდან უფრო ზოგად კონცეფციად განვითარდა. საერთაშორისო სოციალური სამუშაო და საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა - ორივე გლობალიზაციის პროცესის ნაწილია. ამ თავის მეორე განყოფილებაში ყურადღება გამახვილებულია ევროპის ე.წ. რეგიონებად დაყოფაზე; პროცესზე, რომელმაც გარკვეულწილად უნდა გააძლიეროს ეროვნულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა. ყველაზე მძლავრი და საინტერესო სისტემა (რეგიონებად) დაყოფისა არის ევროპის კავშირის შექმნა და გაფართოება. მეორე სისტემა დაყოფისა არის ევროპის საბჭო, რომელიც ყველა ევროპულ ქვეყანას აერთიანებს. მესამე სისტემა იყო საბჭოთა ბლოკი. თუმცა, დღეს რუსეთის ფედერაცია ეროვნულ სახელმწიფოდ მიიჩნევა და არა – დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობად. 1999 წლის ბოლონის დეკლარაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განათლების სფეროზე და ამდენად, ის მნიშვნელოვანია სოციალური სამუშაოსთვისაც.

### საერთაშორისო სოციალური სამუშაოსა და სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა მნიშვნელობა

საერთაშორისო სოციალური სამუშაო და სოციალური პოლიტიკა არის სოციალური სამუშაოს აღიარებული სპეციფიკური სფერო; მას აქვს თავისი საკუთარი განსახილველი საკითხები, პუბლიკაციები და სპეციალური ჟურნალიც კი – *საერთაშორისო სოციალური სამუშაო (International Social Work)*. აშშ-ს უნივერსიტეტებში საერთაშორისო სოციალური სამუშაო არის აუცილებელი კურსი ყველა მაგისტრანტისთვის. ევროპის ქვეყნებში, ჩვეულებრივ, ეს არის ცალკე კურსი ან გაერთიანებულია სოციალური სამუშაოს კურიკულუმის სხვა საგანთან. მოდი, ჯერ ცოტა ახლოს გავეცნოთ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს სხვადასხვა ინტერპრეტაციას.

## სოციალური სამუშაო საზღვრებს მიღმა

თავიდან საერთაშორისო სოციალური სამუშაო გულისხმობდა სოციალურ სამუშაოს საერთაშორისო სააგენტოებში, როგორცაა – წითელი ჯვარი, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ან *საერთაშორისო ამნისტია* (Amnesty International). მიიჩნევენ, რომ სოციალურ მუშაკებს სჭირდებათ საგანგებო განვრთნა, რათა იმუშაონ ადამიანების დასახმარებლად, თემის შესაქმნელად, ადვოკატობაზე, ლობირებასა და საერთაშორისო ურთიერთობაზე. მეორე შტო უფრო მეტად მიმართული იყო პოლიტიკის დაგეგმვაზე საერთაშორისო ინსტიტუტებში, როგორცაა გაერო, იუნესკო, ევროპის კავშირი ან ევროპის საბჭო. მესამე გზა იყო სოციალური სამუშაო სხვა ქვეყანაში. ამიტომ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ასოციაციებმა განიზრახეს, შეექმნათ ყველასთვის მისაღები გაგება სოციალური პროფესიისა. ევროპაში ბოლონის დეკლარაციის ფარგლებში გაფორმდა შეთანხმებები გაცვლების შესახებ აღიარებულ სფეროებსა და წვრთნებში (1999). რადგან სოციალური სამუშაო ძალიან მგრძობიარეა, ენისა და კულტურის თავისებურებებისადმი, სოციალური სამუშაო საზღვარგარეთ, ძირითადად, მაშინ სრულდება, როცა ორ ქვეყანას ერთი და იგივე მშობლიური ენა აქვს (ქსუ, 2006).

## შედარებითი სწავლება

შედარებითი სწავლებისას იკვლევენ სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკას, კონტექსტებს, პროცესებს და თეორიებს. ასე შესაძლებელი ხდება შესწავლის და სტანდარტების დადგენის ერთობლივი პროცესების წარმართვა. შედარებითი სწავლება ხშირად იწერება საუნივერსიტეტო ქსელებში ან სხვადასხვა ქვეყანას შორის შეთანხმების საფუძველზე. ისეთი საერთაშორისო სააგენტოები, როგორცაა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს სოციალური განვითარების კვლევის ინსტიტუტი (UNRISD), მხარს უჭერენ, ატარებენ და ავრცელებენ საერთაშორისო სწავლებას და კვლევას. ამ ათწლეულში ევროპის კავშირმა ნებართვა გასცა არაერთ შედარებით კვლევაზე ისეთ საკითხებზე როგორც გახლავთ: სოციალური ზრუნვა, დასაქმება, მოქალაქეობა, თანაბარი საშუალებები და ახალგაზრდების მობილურობა. მნიშვნელოვანი სააგენტოა *ევროკავშირის კვლევა*, თავისი კომისიით და სისტემით. გარდა ამისა, ევროკავშირის ყველა დირექტორატს (სამინისტროს) აქვს საკუთარი ფონდები კვლევებისთვის. უმაღლესი განათლების სისტემის კვლევაში თანამშრომლობას მხარს უჭერენ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ეწოდება *სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე*. ევროკავშირის ფარგლებში არსებობს საგანგებო მეთოდი – *კოორდინირების ღია მეთოდი* (Open Method of Coordination – OMC), რომელიც თვალს ადევნებს გარკვეულ სფეროში განვითარებას ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში და გვთავაზობს მიმდინარე

დისკუსიას მის შესახებ. *კოორდინირების ღია მეთოდი* უკავშირდება მოქმედების ეროვნული გეგმები. *მოქმედების ეროვნულ გეგმაში* ქვეყნები განმარტავენ ეროვნულ პოლიტიკას და ეროვნულ მიღწევებს გარკვეულ სექტორში; მაგალითად, სოციალური სექტორის მიღწევებს სოციალური ინკლუზიის საკითხებში. ინფორმაციის და ცოდნის ამგვარი გაცვლა და სხვადასხვა სფეროში (სოციალური) განვითარების შედარება ქმნის საერთო სასწავლო პროცესს ევროკავშირის სახელმწიფოებსა და სექტორებში. ამის შედეგად ქვეყნები ერთვებიან საერთო დისკუსიაში და იყალიბებენ ერთობლივ შეხედულებებს (ტომკა, 2003).

## ადვოკატობა

აქ საერთაშორისო სოციალური სამუშაო ნაჩვენებია სოციალური თანასწორობის ადვოკატობის და სიღარიბესთან ბრძოლის პერსპექტივით. სოციალური სამუშაო ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ და სოციალისტურ ან სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიასთან; ის იბრძოდა ყველაზე ექსკლუზირებულთათვის და იცავდა ღარიბთა, გარიყულთა და ექსკლუზირებულთა ინტერესებს. დღეს სამხრეთის ქვეყნების წარმომადგენლები შეახსენებენ ხოლმე დასავლელ სოციალურ მუშაკებს ამ ტრადიციის შესახებ. მათი აზრით, სოციალური მუშაკები ძალიან ბევრ რამეს უმაღლეს საერთაშორისო საზოგადოებას და ვერ ახერხებენ იბრძოლონ ღარიბთა ინტერესებისთვის. სოციალური სამუშაო უნდა გაცდეს თავის ევროცენტრულ და ეთნოცენტრულ გარემოცვას (აჰმადი, 2003). საერთაშორისო ინსტიტუტებში როგორც არის გაეროს *ეკონომიკური და სოციალური საბჭო* (ECOSOC, UN), *ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი* (EESC, EU) და *ევროპულ სოციალურ არასამთავრობო ორგანიზაციათა პლათფორმა*, ექსკლუზირებულთა ინტერესების დაცვა აღიქმება, როგორც გლობალურ და ევროპულ პოლიტიკაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი გზა.

## მრავალკულტურული და ინტერკულტურული კომპეტენციები და ცნობიერება

ხალხის გადაადგილების მზარდი ტენდენცია სირთულეებს უქმნის თანამედროვე საზოგადოებას. ხალხი უნდა მოერგოს მრავალფეროვნებას და ამიტომ, საჭიროა, ინტერკულტურული უნარ-ჩვევები და გლობალური ცნობიერება (ქსუ, 2006). მრავალფეროვნება სოციალური მუშაკებისგან მოითხოვს, ესოდეთ სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობის ხალხის, გაამყარონ თავიანთი სოციალური და კულტურული უნარ-ჩვევები. მთელს ევროპაში ინტერკულტურული სოციალური სამუშაო ცოდნისა და ფაქტიური პრაქტიკის სწრაფად მზარდი ნაწილია. [...]



აქ ჩვენ გავეცნობით საერთაშორისო სოციალური სამუშაოს უფრო ფართო კონცეფციას. პირველ რიგში შევეხებით ცოდნის, პრაქტიკის, მეთოდების და გამოცდილებების გაზიარებას; მეორე საკითხია თეორიების და კონცეფციების გაზიარება; მესამე კი – სოციალური პოლიტიკისა და სოციალური სამუშაოს პოლიტიკის გაზიარება. ლაპარაკია ცოდნის საერთო ინტერნაციონალურ მარაგზე და საქმიანობის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სფეროზე. ახლახანს საერთაშორისო სოციალური სამუშაო განმარტეს, როგორც „პროფესიული საქმიანობა, რომელიც სცდება ეროვნულ საზღვრებს და ემყარება ქვეყნებს შორის კონტაქტებსა და გაცვლებს“ (ქსუ, 2006). ჯერ კიდევ 1928 წელს სოციალური სამსახურები, სოციალური დარგის პროფესიონალები და მასწავლებლები პარიზში შეიკრიბნენ და დააფუძნეს *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭო* (International Council on Social Welfare/ICSW). 1950-იან წლებში *სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია* (International Federation of Social Workers/IFSW) და *სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაცია* (International Association of Schools of Social Work/IASSW) გამოეყვნენ *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს* და დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციები გახდნენ (ლიონსი, 1999, ჰილი, 2001, ლიონსი და სხვები, 2006). ეს სხვადასხვა ქსელი მიზნად ისახავდა ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარებას, სოციალური კეთილდღეობის და სოციალური სამუშაოს საერთაშორისო გაგების შემუშავებას, ისინი მხარს უჭერდნენ პროფესიულ ექსპერტიზას გლობალურ და რეგიონულ დონეზე. ამჯერად ამ სამმა, ახლაც არსებულმა, საერთაშორისო ქსელმა გადამწყვიტა უფრო ინტენსიურად ეთანამშრომლა მსოფლიო მასშტაბით. ევროპაში მათ შექმნეს *ევროპული ქსელი სოციალური ქმედებისათვის* (European Umbrella, European Network for Social Action), სამოქალაქო საზოგადოებისთვის, სოციალური მუშაკებისა და მასწავლებლებისთვის, რომელშიც ექვსი ევროპული ქსელია გაერთიანებული. ევროპული ქსელი სოციალური ქმედებისათვის აკეთებს ევროპაში პროფესიულ ექსპერტიზას და მიზნად ისახავს სოციალური სამუშაოს ცოდნის ბაზის გაფართოებას და გაღრმავებას. საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ცოდნის ბაზის შექმნაში პირველი ნაბიჯი იყო კონფერენციების და ექსპერტთა შეხვედრების გამართვა. დღესდღეობით არსებობს უამრავი პუბლიკაცია (საერთაშორისო) სოციალური სამუშაოს შესახებ, გრძელი სია საერთაშორისო ჟურნალებისა და ბევრი საერთაშორისო ქსელი, რომლებიც ეძღვნება სოციალური სამუშაოს ყველა საკითხს და საქმიანობის სფეროს (ჰილი, 2001, ირვინგი და პაინი, 2005, ქსუ, 2006).

მთელი მსოფლიოს სოციალურ მუშაკებს ერთი რამ აქვთ საერთო: ისინი აღიქვამენ ადამიანებს და საზოგადოებებს სოციალური თვალსაზრისით. ეს განსხვავდება ექიმის ჯანმრთელობაზე მომართული თვალისგან, ან იურისტისეული რეალობის სამართლებრივი გაგებისგან და იმისგან, თუ როგორ უყურებენ ეკონომისტები საზოგადოებას და ადამიანებს ეკონომიკის თვალსაზრისით. სოციალური მუშაკები ფასეულობებს ემყარებიან, ხოლო მათთვის მთავარი ფასეულობა არის სოციალური სამართლიანობა. მათ სურთ მხარი დაუჭირონ ადამიანებს თავიანთი სიტუაციების, ურთიერთობების, სოციალური თუ კულტურული უნარების და ქცევის გაუმჯობესებაში. სოციალური პერსპექტივის ამგვარად აღიარება, სოციალური პროფესია, სოციალური თეორია და პრაქტიკა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვირტუალურ საზოგადოებაში აერთიანებს მთელი მსოფლიოს სოციალურ მუშაკებს.

#### დასკვნა

საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ყველა ეს ასპექტი მიეკუთვნება მის საკუთარ სფეროს. ჩემი აზრით, საერთაშორისო სოციალური სამუშაო ხელს უწყობს: საქმიანობის საერთო სფეროს და ცოდნის, პრაქტიკის და თეორიის საერთაშორისო ბაზის არსებობას. ეს ბაზა უნდა ეკუთვნოდეს საერთაშორისო თემს და უნდა ჰქონდეს გავლენა ეროვნულ და ადგილობრივ სოციალურ სამუშაოზე. ეს მოიცავს კულტურათაშორის ცნობიერებას, ადვოკატობას, ცოდნის გადაცემას, საზღვარგარეთ მუშაობას და შედარებით სწავლებას. საერთაშორისო სოციალური სამუშაო უმნიშვნელოვანესია სოციალური დარგის პროფესიონალებისთვის, რაც მათ სოციალური სამუშაოსა და სოციალური პოლიტიკის ერთობლივი გააზრების საშუალებას აძლევს. სოციალური დარგის სპეციალისტებმა უნდა შესძლონ მათი სფეროს ფოკუსის ლოკალურ სიტუაციაში მუშაობის მიღმა გაფართოება. მათ უნდა შეეძლოთ ფუნქციონირება საერთაშორისო და კულტურათაშორის კონტექსტში და ამ კონტექსტის სიღრმისეულად გააზრება.

გლობალიზაცია  
პერსპექტივები

გლობალიზაცია არის კომპლექსური და სადავო კონცეფცია, რომელიც ინვესტს მძაფრ კამათს და შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც მიმდინარე პროცესი (ფაქტი), ან გულმოდგინე სტრატეგია, ან ორივეს კომბინაცია. ჩვენ ასეთ ინტერპრეტაციას გამოვყოფთ:

1. გლობალიზაციას ხშირად ხედავენ, როგორც ეკონომიკურ სტრატეგიას, ღია ბაზრისკენ ან თავისუფალი ვაჭრობისკენ სვლის ტენდენციას. ამ თვალსაზრისით და კიდევ იმიტომ, რომ ის მიიჩნევა უსამართლოდ შედარებით ღარიბი ქვეყნებისადმი, მასზე ბევრს კამათობენ. ამ ქვეყნებს არ ჰყოფნიან კაპიტალი და ადამიანური რესურსები, რომ შეეჯიბრონ მდიდარ და კარგად განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომაც, ისინი შეეჯიბრების დაწყებამდე უკვე წაგებული არიან. ანტიგლობალიზტები იბრძვიან თამამის უფრო თანასწორი პირობებისთვის ან სრულიადაც კი ეწინააღმდეგებიან ღია ბაზრის სტრატეგიას.
2. გლობალიზაცია აგრეთვე დაინტერესებულია დროისა და სივრცის შეკვეციტაც. ადამიანს შეუძლია ერთ დღეში შემოუაროს მსოფლიოს, ხოლო ინტერნეტით წამზე ნაკლებ დროში. მსოფლიოს ყველაზე მივარდნილი ადგილებიდანაც კი ადამიანებს შეუძლიათ, სხვა ქვეყნებში სხვა ადამიანებთან დაკავშირება. ახალი ამბები რამდენიმე წამში მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ამიტომ, ჩვენ ყველა მეტნილადა ერთ სამყაროში ვცხოვრობთ.
3. როგორც „მაკდონალდიზაცია“. ყველგან ერთნაირი სავაჭრო ნიშნები, მაღაზიები, რესტორნები და მუსიკა გვხვდება. ოდესღაც მარკუსმა (მარკიუსი, 1964) ეს გააანალიზა, როგორც ერთგანზომილებიან სამყაროში შესვლა, მასობრივი კულტურით დომინირებული სამყარო ისტორიულ მრავალფეროვნებაზე უარის თქმა და ინდივიდუალურ კეთილდღეობასთან ერთად მოსული პროგრესის დიდი რწმენა.
4. კიდევ ერთი პერსპექტივა გლობალიზაციაზე არის ის, რომ ხდება უფრო მეტად სოციალური სამყაროს განვითარება. მიმდინარეობს გლობალური დისკუსია ფუნდამენტურ უფლებებზე და სოციალურ სამართლიანობაზე დამყარებული სხვადასხვანაირი სოციალურ პოლიტიკის შესახებ. გაერომ და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღეს რამდენიმე შეთანხმება და კონვენცია ადამიანის და სოციალური უფლებების შესახებ. თუმცა, რეალობა ისევ შორსაა განზრახვებისგან. ამ სფეროში ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკა და დისკუსიები ხშირად ნაკლებად უკავშირდება სოციალურ საკითხებს. ამიტომ, სოციალური სფეროს ექსპერტები გვპირდებიან, რომ ეკონომი-

მიკური და სოციალური განზომილებებისადმი შეიმუშავენ ერთობლივ მიდგომას (მკანდავაირი & როდრიგესი, 2000, დიკონი და სხვები, 2003, მკანდავაირი, 2005).

5. და ბოლოს, გლობალიზაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც გლობალური ცნობიერების ან აზროვნების, ან იდენტობის ჩამოყალიბებაც კი; როცა ადამიანები პატივს სცემენ განსხვავებულობას, მაგრამ გაერთიანებული არიან ამ საზიარო სულისკვეთებით და იდენტობით (აჰმადი, 2003).

ახალი რეალობის პირისპირ

გლობალიზაცია საგრძნობლად მოქმედებს ეროვნულ სახელმწიფოებზე და ადგილობრივ საქმიანობაზე. მოდი, ახლა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რათა გავარკვიოთ, რატომ სჭირდებათ სოციალურ მუშაკებს ერთმანეთთან დიალოგი და თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე. 11 სექტემბრის (2001 წელს მომხდარი საჰაერო თავდასხმა აშშ-ზე) შემდეგ, სწამთ, რომ ტერორიზმი არის გლობალიზებადი სამყაროს ერთ-ერთი უარყოფითი მხარე. კულტურები, თვითგამორკვევა, რელიგიები და ეკონომიკური ინტერესები სულ უფრო და უფრო აღრეული ხდება, ამიტომ, მთელ დედამიწაზე მატულობს კონფლიქტების გავრცელების საფრთხე. ადგილობრივი კონფლიქტები შეიძლება გლობალური გახდეს და პირიქით. დასავლური ინტერესების და ფასეულობების შეღწევამ არაბული სამყაროს გულში დაბადა ღრმად ფესვგადგმული ზიზლი დომინირებადი და შემოპარული დასავლური სამყაროსადმი. 2001 წლის 11 სექტემბრიდან დაიწყო ახალი ეპოქა, სადაც გარე საფრთხეები შინაურ საფრთხეებად იქცა. ამ ახალგაცნობიერებულ საფრთხეს სოციალურ პოლიტიკაზე და თავად სოციალურ სამუშაოზე დიდი გავლენა აქვს. დაცულობა და უსაფრთხოება პრიორიტეტებია სოციალურ დღის წესრიგში; იგულისხმება, რომ სოციალურმა მუშაკებმა უნდა ითანამშრომლონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისკების გაცნობიერებაში და გაფრთხილდნენ, რადგან არსებობს რადიკალიზმის საფრთხე. ამ თვალსაზრისით მსოფლიოს კიდევ ერთი „ეშმაკი“ ჰყავს; გახშირდა სექსუალური ექსპლუატაციის ან არალეგალური გაშვილებისთვის ქალების და ბავშვების ტრეფიკინგი. მხოლოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესების და უფრო მოქნილი შრომის ბაზრის შექმნისთვის არ ხდება ხალხის მობილიზება. აქ საქმე გვაქვს მონობის ახალ ფორმებთან, არალეგალურ სამსახურებთან, ექსპლოატაციასთან, ბევრი მოწყვლადი ადამიანის სხეულის და ფსიქიკის მთლიანობის ხელყოფასთან. რამდენად შეუძლიათ სოციალურ მუშაკებს მობილიზაციის და მიგრაციის ამ ბნელი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლა? როგორ მოქმედებს ნარკოტიკების, სექსის და ტრეფიკინგის მზარდი ინდუსტრია ჩვენს ქალაქებსა და თემებზე? შეიძლება, რომ სოციალური მუშაკებისგან მოველოდეთ შეამცირონ და აღკვეთონ მოწყვ-

ლადი მოსახლეობის ცხოვრებაში ამგვარი ჩარევები? გლობალიზაცია აგრეთვე უკავშირდება ბუნებრივი კატასტროფების უფრო დიდ რისკს; რადგან იზრდება ადამიანის მოდგმის უნარი თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით შექმნას ახალი საფრთხეები და რადგან ნადგურდება დედამიწის ბუნებრივი რესურსები (ბეკი, 1986). აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით, სამხრეთის ქვეყნებში (ცუნამები, რეგიონული კონფლიქტები აფრიკასა და აზიაში), სოციალური მუშაკების დახმარება ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში. აივ/შიდსის მსგავსი უბედურებები, რომელსაც მილიონობით მსხვერპლი მოჰყვება, არის გლობალიზაციის კიდევ ერთი მაგალითი. თანამედროვე მობილურობა ჯანმრთელობის სექტორშიც ახალ საფრთხეებს ქმნის და ჩვენ უნდა განვიხილოთ მისი გავლენა სოციალური სამუშაოს პრაქტიკაზე.

გლობალიზაციის რისკებსა და შესაძლებლობებს ერთნაირად არ უყურებენ ჩრდილოეთსა და სამხრეთში, მდიდრები და ღარიბები. ამის გამო იქმნება ახალი დაძაბულობები, უფრო მკაფიო დაყოფა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის და მდიდარსა და ღარიბს შორის ყველა ქვეყანაში. ეს ტენდენცია სოციალური სამუშაოს დისკუსიაშიც მოჩანს. ჩრდილოეთის ქვეყნებში სოციალური სამუშაო უფრო პროფესიონალურ და აღიარებულ პროფესიად ყალიბდება. ის ფოკუსირებულია ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე და ავტონომიაზე, გაძლიერებასა და გააქტიურებაზე, კეთილდღეობის მამოძრავებელი პოლიტიკის დანერგვაში ცვლილებებსა და სირთულეებზე. სამხრეთის ქვეყნების სოციალური მუშაკები სოციალური სამუშაოს საფუძვლად მიიჩნევენ სოციალურ სამართლიანობას, ჰარმონიას, საზრიანობას, პატივისცემას, ღირსებას, რწმენის და რელიგიის მნიშვნელობას (კანდა, 1998, ერასმუსი, 2000, აჰმადი, 2003, ზაპფი, 2005). სამხრეთის ქვეყნების სხვა წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალური სამუშაოს პოლიტიკურ განზომილებას: სიღარიბესთან, კაპიტალიზმთან და საზოგადოების გაუმადლობასთან ბრძოლას (იფი და ფისკე, 2006). გლობალიზაცია – საზიარო სამყაროში ცხოვრება – მოითხოვს საზიარო ფასეულობებს, საზიარო ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანებს, სხვადასხვაგვარობის და განსხვავებების პატივისცემას. სოციალური მუშაკები სოციალური ამოცანების და სოციალური სამართლიანობის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან.

### რეგიონებად დაყოფა

გლობალიზაცია ზემოქმედებს ეროვნულ სახელმწიფოებზე, რადგან ისინი კარგავენ კონტროლს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გარკვეულ ნაწილზე. მრავალეროვნული და გლობალური სააგენტოები (მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი) უფრო ძლევამოსილები ხდებიან; ხოლო ეკონომიკაში ღია ბაზარი ითხოვს ეროვნული სახელმწიფოების ჩაურევლობის

პოლიტიკას. იმავდროულად, ეროვნული სახელმწიფოები, თავიანთი ძლიერი ეკონომიკური პოზიციის შესანარჩუნებლად მსოფლიოში, ქმნიან რეგიონულ სტრუქტურებს (ევროკავშირი/, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ერების ასოციაცია/ASEAN). ევროკავშირი არის ყველაზე ძლიერი და გაერთიანებული სისტემა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის რეგიონული თანამშრომლობისთვის. აგრეთვე არსებობს ევროპის საბჭო, რომელიც მოიცავს ევროპის ყველა სახელმწიფოს, თუმცა, ისინი მიზნად არ ისახავენ გაერთიანებას.

### ევროპის კავშირი

#### მიზნები

ევროპის კავშირი არის ძირითადად ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორობა 27 დამოუკიდებელ დემოკრატიულ ევროპულ სახელმწიფოს შორის. ის მიზნად ისახავს მშვიდობას, კეთილდღეობას და თავისუფლებას. ევროკავშირი თითქმის 500 მილიონ მოქალაქეს წარმოადგენს (EU 2009). ევროკავშირი ძირითადად ფოკუსირებულია ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ქმნის კაპიტალის, საქონლის, მომსახურების საერთო ბაზარს, ხოლო მოქალაქეებისთვის ხსნის საზღვრებს. მეორე საერთო ინტერესი არის საგარეო ურთიერთობის და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპა იქცეს მთავარ მოთამაშედ საერთაშორისო და სამხედრო საქმეებში. მესამე სფერო გახლავთ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლა. ევროკავშირის მნიშვნელოვანი ასპექტი არის ფასეულობები, რომლებიც ემყარება რამდენიმე საერთაშორისო დეკლარაციას და შეთანხმებას ადამიანის სამოქალაქო და სოციალური უფლებების შესახებ. სოციალური პოლიტიკა, როგორც ასეთი, დამოკიდებულია დამატებით პრინციპებზე, რომლებსაც სახელმწიფო აწესებს. 2000 წლის ლისაბონის დეკლარაციამ სტრატეგიად დასახა, რომ ევროკავშირი უნდა „გახდეს ყველაზე კონკურენტული და დინამიკური, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა მსოფლიოში, რომელსაც ექნება მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარი, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილები და უფრო დიდი სოციალური ერთსულოვნება“ (ლისაბონი 2000). მას შემდეგ ევროკავშირმა აღიარა, რომ სოციალურ ერთსულოვნებაზე ზრუნვა მისი ფართომასშტაბიანი საქმეა და დაამატა ის თავის ზოგად ამბიციებს. 2007 წელს ლისაბონის ხელშეკრულებით შეიქმნა ევროკავშირის ახალი საფუძველი. აქ სოციალური ერთსულოვნების და სოციალური პოლიტიკის იდეა მკაფიოდ გამოითქვა და განივრცო, როგორც გამოხატულია მუხლებში 2 და 3:

## მუხლი 2

კავშირი დაფუძნებულია ისეთ ფასეულობებზე, როგორც არის – ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, უმცირესობათა უფლებების ჩათვლით. ეს ფასეულობები საერთოა ნევრი ქვეყნებისთვის იმ საზოგადოებაში, სადაც მიღებულია: პლურალიზმი, არადისკრიმინაცია, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის.

## მუხლი 3

1. კავშირის მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობას, მის ფასეულობებს და თავისი ხალხის კეთილდღეობას.
2. კავშირმა თავის მოქალაქეებს უნდა შესთავაზოს ტერიტორია შინაგანი საზღვრების გარეშე, სადაც სუფევს თავისუფლება, უსაფრთხოება და სამართალი; სადაც სათანადო ღონისძიებებით უზრუნველყოფილია პირთა თავისუფალი გადაადგილება. ეს გადაადგილება უნდა მოხდეს გარე საზღვრების კონტროლის, თავშესაფრის, იმიგრაციის, დანაშაულის პრევენციის და მასთან ბრძოლის ინტერესების თანახმად.
3. კავშირმა უნდა შექმნას შინაგანი ბაზარი. მან უნდა იმუშაოს ევროპის მდგრადი განვითარებისთვის, რომელიც დაეყრდნობა: დაბალანსებულ ეკონომიკურ განვითარებას, ფასების სტაბილურობას, მაღალკონკურენტული სოციალური ბაზრის ეკონომიკას (რომელიც მიზნად ისახავს საყოველთაო დასაქმებას, სოციალურ პროგრესს, გარემოს დაცვის მაღალ დონეს და მისი ხარისხის გაუმჯობესებას). მან (კავშირმა) ხელი უნდა შეუწყოს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ წინსვლას. ის უნდა შეეზღუდოს სოციალურ ექსკლუზიას და დისკრიმინაციას. მან ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ სამართლიანობას და დაცვას, ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, თაობებს შორის სოლიდარობას და ბავშვთა უფლებების დაცვას. მან ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ და ტერიტორიულ ერთსულოვნებას და ნევრი ქვეყნებს შორის სოლიდარობას. მან პატივი უნდა სცეს თავის მდიდარ კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას; უნდა უზრუნველყოს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გამდიდრება.
4. კავშირმა უნდა შექმნას ეკონომიკური და მონეტარული გაერთიანება, რომლის ვალუტა არის ევრო.
5. უფრო ფართო სამყაროსთან მიმართებით, კავშირმა მხარი უნდა დაუჭიროს და ხელი შეუწყოს თავის ფასეულობებს და ინტერესებს, წვლილი შეიტანოს თავისი მოქალაქეების დაცვაში. მან წვლილი უნდა შეიტანოს: მშვიდობაში, უსაფრთხოებაში, დედამიწის მდგრად განვითარებაში, ხალხებს შორის სოლიდარობასა და ურთიერთპატივისცემაში, თავისუფალ და სამართლიან ვაჭრობაში, სიღარიბის აღმოფხვრაში, ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვის, უფლებების დაცვაში, საერთაშორისო სამართლისადმი მკაცრ მორჩილებასა და მის განვითარებაში (გაეროს ქარტიის პრინციპების პატივისცემის ჩათვლით).

(ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ, 2008)

ამიტომ, სოციალური პოლიტიკა უეჭველად არის ძირითადი ნაწილი ევროკავშირის მისიისა. როგორც მუხლ 3. 3-შია ყველაზე მკაფიოდ გამოხატული: „ის უნდა შეეზღუდოს სოციალურ ექსკლუზიას და დისკრიმინაციას. მან ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ სამართლიანობას და დაცვას, ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, თაობებს შორის სოლიდარობას და ბავშვთა უფლებების დაცვას“ გარდა ამ მკაფიო პრინციპებისა და ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის ზოგადი სტრატეგიისა, ეკონომიკური პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს სოციალურ სფეროზე. მაგალითად, ხალხის და მომსახურების საერთაშორისო მობილურობაში, პრივატიზაციის სტრატეგიაში, ზოგადი ინტერესის მომსახურების ჩათვლით (EC 2004b). ევროპული კანონების და რეგულაციების ინტერპრეტაციის, ქვეყანების ურთიერთდაპირისპირებული რეგულაციების საქმეში განსაკუთრებული გავლენა აქვს ევროპის სასამართლოს. ის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოა ისეთ სფეროებში, როგორც არის: დასაქმების უფლებები, ანტიდისკრიმინაციული და სოციალური უსაფრთხოების გარდამავლობის უფლებები (გიდენსი, 2007).

## ისტორია

ევროპის თვითგამორკვევა მოხდა მეთვრამეტე საუკუნეში, რათა განესხვავებინათ ევროპა აზიისგან. იოჰან გოთფრიდ ჰერდერის თქმით, თურქები უცხოებად მიიჩნეოდნენ, მუხედავად იმისა, რომ 300 წელზე მეტი იცხოვრეს ევროპაში (ჰერცი და ჯეტზლსპერგერი, 2008). 1712 წელს უტრეხტის კონგრესზე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა ბოლიგბროკიმ ილაპარაკა ევროპის ფორმირებაზე და მის ერთობლივ ქმედებებზე (დიუნი, 2008). ნაპოლეონის ხანაში და მის შემდეგ სხვადასხვა ევროპელი პოლიტიკოსი, მეცნიერი და ხელოვანი ევროპას ასეთ ალტერნატივას პირდებოდა – პოლიტიკურად დანაწევრებული ევროპა ან ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ევროპა. თავის მხრივ, 1914 წელს გერმანიის იმპერიამ და 1939 წელს ადოლფ ჰიტლერმა ევროპაზე გაბატონება სცადეს, მაგრამ მათაც ხელი მოეცარათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგრძნობოდა ევროპის საჩქაროდ გაერთიანების აუცილებლობა, რათა არ მომხდარიყო ახალი გამანადგურებელი ომი ევროპაში. „რკინის ფარდამ“ და საბჭოთა ზესახელმწიფოს დაშლამ ხელახლა დააყენეს ძლიერი (დასავლეთი) ევროპის აუცილებლობის საკითხი. ერთობისა, რომელიც (როგორც იმ პერიოდში იყო გამოხატული) ემყარებოდა ქრისტიანობის გამაერთიანებებელ ძალას (ჰერცი და ჯეტზლსპერგერი, 2008). 1948 წელს უინსტონ ჩერჩილმა ციურინის უნივერსიტეტში საზოგადოებას ევროპის შეერთებული შტატების შექმნისკენ მოუწოდა (Council of Europe 2009b). როგორც მაშინდელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რობერტ შუმანის, 1950 წლის 9 მაისის დეკლარაციაში ვკითხულობთ, ჩერჩილის ამ ინიციატივის გათვალისწინებით, 1951 წელს დაარსებული ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება

(European Coal and Steel Community/ECSC) ითვლება ევროპის დამოუკიდებელი ქვეყნების ფედერაციის წინამორბედად. საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი იყვნენ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების დამფუძნებელი წევრები. 1957 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება შეუერთდა ექვსი ქვეყნის თანამშრომლობის ორ სხვა სტრუქტურას და შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. თექვსმეტი წლის შემდეგ გაერთიანებული სამეფო (დიდი ბრიტანეთი), ირლანდია და დანია შეუერთდნენ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, 1981 წელს საბერძნეთი შეემატა და 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია. 1989 წელს რკინის ფარდის ჩამოშლით ახალი ეპოქა დაიწყო ევროპაში. „დიდი მტერი“, რომლისგანაც თავის დაცვა იყო საჭირო გაქრა და ბევრ ევროპულ ქვეყანაში ახალი ნაციონალიზმი აღმოცენდა, განსაკუთრებით ევროპის სამრეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში. მასატრიხტის ხელშეკრულების თანახმად, 1993 წლის 1 ნოემბერს დაიბადა *ევროპის კავშირი*. რომელმაც გააერთიანა სამი „საყრდენი სვეტი“ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებით წარმოდგენილი საერთო ბაზარი, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები. უფრო ეკონომიკაზე ორიენტირებული *ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან* დაიბადა *ევროპის კავშირი*, როგორც პარტნიორობა ეკონომიკის, მართლმსაჯულების, საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და მმართველობის საკითხებში. ღია საზღვრის პოლიტიკა (შენგენი) და საერთო ვალუტა გახდა ევროკავშირის ნაწილი, თუმცა, სხვადასხვა კონფიგურაციით. 1995 წელს ევროკავშირს ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდნენ. ხოლო 2004 წელს (ძირითადად აღმოსავლეთი ევროპის) ათი ახალი ქვეყანა შევიდა კავშირში: პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულები კვიპროსი და მალტა. 2007 წელს რუმინეთი და ბულგარეთი გაწევრიანდნენ. მომდევნო წლებში მოსალოდნელია ახალი ქვეყნების შეერთება, როგორცაა ხორვატია, თურქეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია. ამას ბალკანეთის სხვა ქვეყნებიც მოჰყვება და უკრაინა, მაროკო და ისრაელიც ისწრაფვიან ევროკავშირში მეტი ჩართულობისკენ. 2004 წლის ოქტომბერში რომში ევროკავშირის 25-მა წევრმა ხელი მოაწერა ევროპის ქარტიას. შედეგად ამოქმედდა ევროპის კონსტიტუცია. თუმცა, სულ რაღაც ექვსი თვის შემდეგ ჰოლანდიელმა და ფრანგმა მოქალაქეებმა მის წინააღმდეგ მისცეს ხმა და ევროკავშირმა გაიწვია ქარტია. 2007 წლის დეკემბერში, ევროპის კავშირის რეფორმირების მიზნით, ოცდამეხუთე წევრმა მიიღო ლისაბონის ხელშეკრულება. ხელშეკრულება ეფუძნება ევროპის ქარტიის უმთავრეს იდეებს. ქარტიიდან აქ არ შევიდა სიმბოლოები (დროშა, ჰიმნი და სხვ.) და კონსტიტუციური საფუძვლები. 2008 წელს ირლანდიის მოქალაქეებმა ლისაბონის ხელშეკრულების წინააღმდეგ მისცეს ხმა, მაგრამ სხვა ქვეყნებმა გადაწყვიტეს მისი მიღება. 2009 წელს ევროკავშირში ლისაბონის ხელშეკრულება უნდა ამუშავდეს.

## სტრუქტურა და მმართველობა

ევროკავშირს აქვს სამი მთავარი მმართველი ინსტიტუტი. ევროპის საბჭო უძღვება დებატებს კონფლიქტებზე, საერთო ინტერესებზე და ევროკავშირის შორსმომავალ სტრატეგიებზე, აგრეთვე, შემოაქვს ინიციატივები ახალი კანონების შესახებ და განიხილავს მათ. ევროპის საბჭო არის საერთო ხელმძღვანელობა და შედგება სახელმწიფოს (პრეზიდენტებისგან) ან მთავრობის (პრემიერ-მინისტრებისგან) მეთაურებისგან, რომელთაც ხშირად ახლავთ თავიანთი საგარეო საქმეთა მინისტრები. ყველა ნახევარ წელიწადში იცვლება სახელმწიფოს მეთაური, რომელიც წარუძღვება ევროპის საბჭოს. ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ ევროპის საბჭოს ეყოლება მისივე არჩეული და დანიშნული პრეზიდენტი ორწლიანდანი ვადით. ევროპის კომისიის პრეზიდენტიც (იხ. ქვემოთ) არის საბჭოს წევრი. ყოვლისმომცველი ევროპის საბჭოს გარდა, არსებობს (ქვე)საბჭო, რომელშიც შედიან მინისტრები სპეციფიკური სექტორებიდან; როგორცაა აგრომრეწველობა, სოციალური საქმეები და ფინანსები. ქვესაბჭო შეიმუშავებს ამ დარგების პოლიტიკას და კანონმდებლობას. 1979 წლიდან მოყოლებული ევროპის პარლამენტს პირდაპირი წესით ირჩევენ ევროკავშირის მოქალაქეები და არჩეული წევრები რამდენიმე პოლიტიკურ პარტიად ჯგუფდებიან. ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭოსთან ერთად, არის გარკვეული სფეროების საკანონმდებლო საკითხების „თანაგადამწყვეტი“ ორგანო. დროთა განმავლობაში პარლამენტი მოიცავს უფრო მეტ სფეროს და სავარაუდოდ, შეიძენს მეტ გადაწყვეტ და მაკონტროლებელ ფუნქციას. ევროპის კომისია არის აღმასრულებელი ორგანო. ის ამზადებს და ახორციელებს პოლიტიკურ სტრატეგიებს და გადაწყვეტილებებს. ის აგრეთვე კომისიის 27 წევრის მეშვეობით (თითო ყველა წევრი ქვეყნიდან) აკონტროლებს სხვადასხვა მიმართულებებს (სამინისტროებს). 2014 წლისთვის კომისიის წევრების რაოდენობა შემცირდება. აქ წევრი ქვეყნების რაოდენობის ორი მესამედი იქნება წარმოდგენილი და ისინი როტაციის პრინციპს დაექვემდებარებიან. ევროკავშირის მართლმსაჯულების შტო ძირითადად ევროპის სასამართლოთა წარმოდგენილი. ეს სასამართლო განმარტავს და მოიხმარს ევროკავშირის ხელშეკრულებებს, კანონებს და რეგულაციებს. ითვლება, რომ ევროპული კანონები ეროვნულებზე უფრო მაღლა დგას და ევროპული კანონი ინერგება პირდაპირ, რითაც იქმნება ერთგვარი კონსტიტუციური საფუძველი ევროკავშირში. ევროკავშირი ეყრდნობა რამდენიმე ხელშეკრულებას, რეგულაციას და დირექტივას. მნიშვნელოვან საკითხებს ძირითადად მწვანე და თეთრი წიგნებში ამზადებენ, რათა ხელი შეუწყონ ევროკავშირში დებატებს.

### ზოგიერთი მოსაზრება ევროპის კავშირის შესახებ

მმართველობა და სტრუქტურები: ევროკავშირი უნიკალურია მსოფლიოში, რადგან ერთი მხრივ ის სცილდება სახელმწიფოებს შორის რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებს და მეორე მხრივ, ის განსხვავდება სახელმწიფოსგან, რადგან აკლია ისეთი ძალისხმევა სტრუქტურები, როგორცაა პოლიცია და ჯარი. ბალანსი ევროკავშირის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას შორის შედარებით რთულია და მოითხოვს ხანგრძლივ დისკუსიას და დახვეწას. წამყვანი იდეა არის, დროთა განმავლობაში ევროპის პარლამენტისთვის მეტი ძალაუფლების მინიჭება. თუმცა, სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურები, რომლებიც დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენენ ძალიან ფრთხილობენ ავტონომიის დათმობის საქმეში. კიდევ ერთი ფაქტიზი საკითხი არის ევროკავშირის ბიუროკრატია. ამას ყველა წევრ სახელმწიფოში აღნიშნავს ბევრი დამკვირვებელი, პოლიტიკოსი და ჟურნალისტი. ევროპის კომისია, თავისი დირექტორატებით და დირექტივებით, მიჩნეულია მარეგულირებლად და ეს აფერხებს საქმის წარმართვას. საგანგებო საკითხია იმ კომისიის წევრების რაოდენობა (27), რომელიც უძღვება დირექტორატებს და ევროპის საბჭოს. ეს მოგვაგონებს ზედმეტ კონტროლს და ფრაგმენტულ წინამძღოლობას, რადგან ყველა ქვეყანა მონდომებულია „თავისი საკუთარი წევრი ჰყავდეს კომისიაში“. განსაკუთრებული და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია „დემოკრატიის დეფიციტი“, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ევროპის საბჭოს აქვს ძალაუფლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომელსაც ვერც ევროპის პარლამენტი აკონტროლებს და ვერც ეროვნული პარლამენტები (ჰერცი და ჯეტზლსპერგერი, 2008). დემოკრატიის კიდევ ერთ დეფიციტს ქმნის ევროპის ბევრი მოქალაქის მხრიდან ნაკლები ნდობა. ევროპის მოქალაქეების მხრიდან ევროპის კავშირისადმი ნაკლები ნდობას რამდენიმე მიზეზი აქვს – მისი „მიუწვდომლობა“, ბიუროკრატია, ადამიანების მზარდი მობილურობა და ის, რომ ევროკავშირი ეროვნული სახელმწიფოების ძალაუფლებაზე მალა დგას.

სამოქალაქო საზოგადოება: ევროკავშირს ძირითადად აღიქვამენ, როგორც სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას, რომელსაც არეგულირებს ევროპის პარლამენტი, საბჭო და კომისია (თავისი დირექტორატებით). თუმცა, სუვერენული სახელმწიფოები აღარ არიან საერთაშორისო საზოგადოების ექსკლუზიური წევრები (დიუნი, 2008) და დემოკრატიაც მხოლოდ ხმის მიცემის და არჩევნების სისტემა არ არის.

მონაწილეობრივ პრინციპზე მოქმედი საზოგადოება მიიჩნევენ, რომ მოქალაქეები გავლენას ახდენენ და ახორციელებენ პოლიტიკას სხვადასხვა სტრუქტურაში, სხვადასხვა როლით და პოზიციით. ევროკავშირში განსჯის, კონსულტაციის და თანამშრომლობის პროცესი მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაერთ ჯგუფში. სოციალურ სფეროში ევროპ-

ული არასამთავრობო სოციალური ორგანიზაციების პლათფორმა თავს უყრის სოციალურ სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ბევრ ევროპულ ორგანიზაციას. პლათფორმა ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობას და აქტიურ საზოგადოებას, ის არის „სამოქალაქო დიალოგი“ ევროკავშირის სოციალურ სფეროში. სოციალურ პლათფორმაში მნიშვნელოვანი საკითხებია: ფუნდამენტური (სოციალური) უფლებები, დებატები სოციალური სამსახურების პრივატიზაციაზე, ანტიდისკრიმინაცია, მიგრანტების ინტეგრაცია, მდგრადი განვითარება და ევროპის მომავალი. სამოქალაქო დიალოგის გარდა, სოციალური დიალოგი თავს უყრის – დამსაქმებლებს და პროფკავშირებს. სოციალური დიალოგი მეტ-ნაკლებად იმავე საკითხებზეა ფოკუსირებული, რაზეც სამოქალაქო დიალოგი. თუმცა, ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირში შრომის ბაზარსა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საკითხებზე.

### ევროკავშირის რაობის შესახებ

ჩერჩილის, შუმანის და ევროპაზე მოფიქრალი ბევრი სხვა სახელმწიფო მოღვაწისთვის, ევროპა დროთა განმავლობაში უნდა განვითარდეს ევროპის შეერთებულ შტატებად. ფრანგი პოლიტიკოსი ჟან მონე თვლის, რომ ევროკავშირი გარკვეულ გეგმას კი არ მისდევს, არამედ აგრძელებს, გაღრმავების და გაფართოების პროცესს (ჰერცი და ჯეტზლსპერგერი, 2008). სხვა სახელმწიფო მოღვაწეებისთვის, როგორებიც არიან შარლ დე გოლი და მარგარეტ ტეთჩერი, ევროპა უნდა იყოს მხოლოდ ‘უროპე დეს პარრიეს’ (ქვეყნებისგან შემდგარი ევროპა); ევროპა შექმნილი სრულიად დამოუკიდებელი ქვეყნებისგან, რომლებიც თანამშრომლობენ გარკვეულ სფეროებში საკუთარი ინტერესების გასატარებლად. კიდევ ერთი საკამათო საკითხია ევროპელი მოქალაქეების თვითგამორკვევა. 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად შემოიღეს ევროპის კავშირის მოქალაქეობა. აქ მთავარი საკითხია, საჭიროა თუ არა მრავალნაციონალური ევროკავშირის მოქალაქეობა და რა სახით. ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფლად შეიძლება გადაადგილება. ამიტომ, წევრ ქვეყნებს სჭირდებათ, ერთმანეთთან გააფორმონ გარკვეული კანონები, რეგულაციები, შეთანხმებები და შეთანხმდნენ ერთობლივ ცვლილებებზე. ამასობაში კი ყველა მოქალაქეს ეხება „ფედერალური მოქალაქეობა“, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებს და მოვალეობებს ევროკავშირთან მიმართებით. ევროკავშირის მოქალაქეობის საკითხი ყველაზე თვალშისაცემია მასტრიხტის ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებაში, რომელიც აცხადებს:

### მუხლი 8

1. კავშირის მოქალაქეობა ამგვარად დგინდება: ყველა პირი, რომელიც არის წევრი ქვეყნის მოქალაქე, უნდა იყოს კავშირის მოქალაქე.

- კავშირის მოქალაქეები უნდა სარგებლობდნენ ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით და ამიტომ, უნდა დაექვემდებარონ დაკისრებულ მოვალეობებს.

*მუხლი 8ა*

- კავშირის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად გადაადგილდეს და
- დასახლდეს ნევრი სახელმწიფოების ტერიტორიის ფარგლებში, დაექვემდებაროს ამ ხელშეკრულებაში მოცემულ შეზღუდვებს და პირობებს (და მათ ასამოქმედებლად გატარებულ ღონისძიებებს). . .

*მუხლი 8ბ*

- კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელიც იმ ნევრ ქვეყანაში ცხოვრობს, რომელსაც ეროვნებით არ მიეკუთვნება, უნდა ჰქონდეს უფლება ხმა მისცეს და წამოაყენოს თავისი კანდიდატურა მუნიციპალურ არჩევნებში იმ ნევრ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობს, იმავე პირობებით, როგორც ამ სახელმწიფოს ეროვნების მქონე მოქალაქეები სარგებლობენ . . .
- 128(3) მუხლის და მისი განხორციელებისთვის მიღებული პირობების დაურღვევლად, კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელიც იმ ნევრ ქვეყანაში ცხოვრობს, რომელსაც ეროვნებით არ მიეკუთვნება, უნდა ჰქონდეს უფლება, ხმა მისცეს და წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ევროპის პარლამენტის არჩევნებში იმ ნევრ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობს, იმავე პირობებით, როგორც ამ სახელმწიფოს ეროვნების მქონე მოქალაქეები სარგებლობენ.

*(მაასტრიხტის ხელშეკრულება 1972)*

ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებაში (2008) მუხლ 9–ში ხელახლაა რატიფიცირებული ევროკავშირის მოქალაქეობა:

ყველა თავის მოქმედებაში კავშირმა უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეების თანასწორობის პრინციპი. მოქალაქეებმა უნდა მიიღონ ერთნაირი ყურადღება კავშირის ინსტიტუტებისგან, ორგანოებისგან, ოფისებისგან და სააგენტოებისგან. ნევრი ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა იყოს კავშირის მოქალაქე. კავშირის მოქალაქეობა უნდა დაემართოს ეროვნულ მოქალაქეობას და არ უნდა შეცვალოს ის.

ევროკავშირის ნევრი ქვეყნის ყოველი მოქალაქე ავტომატურად არის ევროკავშირის მოქალაქე. ამ (ფორმალური) მოქალაქეობის მიღების შემდეგ, გაჩნდება ახალი საკამათო საკითხი, მოქალაქეობის სოციალური ხასიათი (Comite des

Sages 1996, დიუნი, 2008). ეს არის მცდელობა მოქალაქეობის კონცეფცია გაღრმავდეს, გაფართოვდეს და გარდაიქმნას წამყვან (სოციალურ) კონცეფციად, რომელიც დაეყრდნობა სოციალურ უფლებებს და სოციალურ მოვალეობებს [...].

*ეკონომიკის, გარემოს და სოციალური პრობლემების შესახებ*

ნევრ ქვეყნებში და ევროკავშირის ინსტიტუტებში დებატების უმრავლესობა ეხება მთელ რიგ ეკონომიკურ, აგრომრეწველობის, გარემოსა და სოციალურ პრობლემებს. უფრო აქტუალურია კამათი საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და განსაკუთრებით, ხალხის თავისუფალი გადაადგილებით გამოწვეული შედეგების შესახებ. ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილება ხშირად აღიქმება, როგორც საფრთხე ეროვნული თვითგამორკვევისა; როგორც ახალი დაძაბულობების წყარო (მზარდი მრავალფეროვნების გამოისობით). ზოგჯერ ევროპის (სრულიად ღიად კონკურენტულ შიდა ბაზარზე დამყარებული) ეკონომიკური ამოცანები ეწინააღმდეგებიან უფრო სოციალურ საკითხებს, როგორცაა ერთსულოვნება, სოლიდარობა და ყველაზე მონყვლადი ადამიანების დაცვა. ასეთივე დაძაბულობა შეიმჩნევა ეკონომიკურ და გარემოსთან დაკავშირებულ ამბიციებშიც. ახლანდელ სოციალურ დღის წესრიგში ორი მთავარი საკითხია, ერთი – საყოველთაო დასაქმება და თანაბარი შესაძლებლობები, მეორე – ინტეგრაცია. სოციალურ დღის წესრიგში ამჯერად ევროკავშირში თაობათა შორის სოლიდარობის და ნდობის გაძლიერების საკითხებიც დგას. სოციალურ პოლიტიკას მიიჩნევენ ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობად და თვლიან, რომ ეს არის ევროკავშირის საერთო არსზე დაფუძნებული ფასეულობები.

*ევროპის საბჭო მიზნები*

*ევროპის საბჭო*, რომელიც თითქმის ყველა (47) ევროპულ ქვეყანას აერთიანებს, ევროკავშირზე უფრო ძველია და განსხვავდება მისგან. მაშინ, როცა ევროკავშირი ძირითადად დაეფუძნა ეკონომიკურ თანამშრომლობას, ევროპის საბჭოს მიზანი ადრეც და ახლაც არის, რომ მის წევრებს შორის უფრო მეტი გაგება სუფევდეს. ის არ ცდილობს შექმნას სახელმწიფოთა ფედერაცია ან მსგავსი მრავალეროვნული სააგენტო თუ იდენტობა; არამედ, ეს არის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ევროპული ცნობიერების შექმნის პროცესი. ვარშავის სამიტის თანახმად (2005), მისი ამოცანები ასეთია:

1. დავიცვათ ადამიანის უფლებები, პლურალისტური დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
2. ხელი შევუწყოთ ევროპის კულტურული რაობის და მრავალფეროვნების გაცნობიერებას და წავახალისოთ მისი განვითარება;
3. გამოვინახოთ ევროპულ საზოგადოებაში არსებული სირთულეების დასაძლევად საერთო გზები. სირთულეებისა, როგორც არის უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, არატოლერანტობა, ბიოეთიკა და კლონირება, ტერორიზმი, ადამიანების ტრეფიკინგი, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია, კიბერდანაშაული, ბავშვებზე ძალადობა;
4. პოლიტიკური, საკანონმდებლო და საკონსტიტუციო რეფორმების მხარდაჭერით, გავაძლიეროთ დემოკრატიული სტაბილურობა ევროპაში.

(ევროპის საბჭო 2009ა)

#### ისტორია

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წელს ლონდონის ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე მოსაზრებებით, რომლებიც მითითებულია ევროპის კავშირის ისტორიაში. მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა ევროპის საბჭოს მუშაობის მიმართულება ათწლეულების განმავლობაში, იყო საბჭოსეული კონვენცია ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ. ეს იყო ადამიანის უფლებების დამცველი პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუქცია. 1954 წელს ევროპის კულტურული კონვენციის კვალდაკვალ საბჭომ პოლიტიკის მნიშვნელოვანი სფეროებისთვის (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი) შექმნა სამუშაო სისტემა. 1959 წელს, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად, დაფუძნდა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო. ამ სასამართლომ მოქალაქეებს მისცა საშუალება, განეცხადებინათ თავიანთი უფლებების შესახებ და შებრძოლებოდნენ ხელისუფლებას, თუ კი საჭირო იქნებოდა. 1990 წელს უნგრეთი პირველი იყო ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებიდან, რომელიც ევროპის საბჭოში შევიდა. სამი წლის შემდეგ ვენაში სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურების სამიტმა მიიღო დეკლარაცია, რომელმაც დაადასტურა სრულიად ევროპის მოწოდება და დასახა ახალი პოლიტიკური პრიორიტეტები – ეროვნული უმცირესობების დაცვა, ყველანაირ რასიზმთან, ქსენოფობიასთან და არატოლერანტობასთან ბრძოლა. 1994 წელს საბჭომ დააფუძნა ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი (Congress of Local and Regional Authorities of Europe/CLRAE), სადაც წარმოდგენილი იყო მთელი ევროპის მუნიციპალიტეტები და რეგიონები. ევროკავშირის მიმდინარე გაფართოება კიდევ უფრო ხელს

უწყობს ევროკავშირის და ევროპის საბჭოს კომპეტენციების ერთმანეთში აღრევა, თუმცა, ევროპის საბჭოს სრულიად ევროპული ხასიათი განასხვავებს მას ევროკავშირისაგან. 1996 წელს რუსეთის ფედერაცია გახდა ევროპის საბჭოს წევრი.

#### სტრუქტურა და მმართველობა

ევროპის საბჭოს სტრუქტურა ნაკლებად რთული და ბიუროკრატიულია, ვიდრე ევროკავშირისა. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილებია:

- *გადანყვეტილების მიმღები ორგანო – 47 საგარეო საქმეთა მინისტრისგან ან მათი მოადგილეებისგან (ელჩი/მუდმივი წარმომადგენელი) შემადგარი მინისტრთა კომიტეტი;*
- *ევროპული თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, ითვლის 636 წევრს (318 წარმომადგენელი და 318 შემცვლელი) 47 ქვეყნის პარლამენტიდან; ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი შედგება ადგილობრივი ხელისუფლებების პალატისა და რეგიონების პალატისგან;*
- *1800 კაციანი სამდივნოს თანამშრომლები წევრი ქვეყნებიდან არიან დაქირავებული და ამ სამდივნოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეული გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.*

(ევროპის საბჭო 2009ა)

#### ბოლონის დეკლარაცია

1998 წელს საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის განათლების მინისტრებმა ხელი მოაწერეს სორბონის ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც აცხადებს:

სულ ახლახანს ევროპის პროცესმა რამდენიმე მეტისმეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. რამდენადაც სათანადო არ უნდა იყოს ეს ნაბიჯები, მათ არ უნდა დაგვაინყონ, რომ ევროპა არ არის მხოლოდ ევრო, ბანკები და ეკონომიკა; ის აგრეთვე ცოდნის ევროპაც უნდა იყოს. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და განვაერთაოთ ჩვენი კონტინენტის ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და ტექნიკური განზომილებები. ეს ყველაფერი დიდწილად ჩამოყალიბებულია ჩვენი



უნივერსიტეტების წყალობით, რომლებიც კვლავაც თამაშობენ გადამწყვეტ როლს მათ განვითარებაში.

(სორბონის დეკლარაცია 1998)

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ 29 განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა ბოლონის დეკლარაციას. ეს ძირითადად სორბონის დეკლარაციის განაცხადის სრული განმეორება იყო. მინისტრებმა ყურადღება გაამახვილეს ევროპაში ცოდნის და განათლების მნიშვნელობაზე. დეკლარაცია სახავეს რამდენიმე ამოცანას:

- ქვეყნების მიერ ერთიანი ხარისხის სისტემაზე გადასვლა, რაც ხელს შეუწყობს ევროპის მოქალაქეების დასაქმებას.
- ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ემყარება ორ ძირითად ციკლს, ბაკალავრიატს და მაგისტრატურას. პირველი ციკლი სულ ცოტა სამი წელი გრძელდება;
- (აკადემური) კრედიტების სისტემის დაფუძნება, როგორცაა კრედიტის გადატანის და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) ან სემესტრობითი კრედიტის სისტემა (EC);
- სტუდენტთა და მასწავლებელთა მობილურობისთვის ხელის შეწყობა;
- ხარისხის უზრუნველყოფისთვის თანამშრომლობის ხელის შეწყობა (მაგ. აკრედიტაცია);
- კურიკულუმის შემუშავებაში, წვრთნასა და კვლევაში აუცილებელი ევროპული განზომილებების დანერგვა.

(ბოლონის დეკლარაცია 1999)

აღსანიშნავია ამ პროცესის გავლენა უმაღლესი განათლების სისტემაზე; განსაკუთრებით, სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლისთვის (Hochschule) ახალი ადგილის მიჩენაზე. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ყოფილი „სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლები“ ვითარდებოდნენ და ყალიბდებოდნენ გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტად, ხსნიდნენ სამაგისტრო კურსებს და კვლევით ცენტრებს. სხვადასხვა ქვეყანაში ეს გზას უხსნის „ძველი“ და „ახალი“ უნივერსიტეტების გაერთიანებას. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია სტუდენტების გადაადგილება მთელი ევროპის მასშტაბით, რომელიც ემყარება, საყოველთაოდ მიღებული ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და კრედიტების სისტემას.

## V სოციალურ სამუშაოში მიმდინარე დებატები

## პროფესიული იმპერიალიზმი: კონცეფციის ახლებური ხედვა

რიჩარდ ჯუბმანის მიერ

წინამდებარე თავის ძირითადი თემაა: განსაზღვრავს თუ არა სოციალური სამუშაოს, შესაბამისად კი საერთაშორისო სოციალური სამუშაოს შინაარსსა და ფორმას მისი წარმოშობა ჩრდილოეთის ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით ადრე გაკეთდა განაცხადი, რომ განსახილველია მიდგლის (1981) კრიტიკა იმაზე, თუ როგორ მოხდა სოციალური სამუშაოს ინტერნაციონალიზება ჩრდილოეთიდან სამხრეთში თეორიების და პრაქტიკების გადაცემის გზით, რისთვისაც მან ტერმინი „პროფესიული იმპერიალიზმი“ შემოიტანა. იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის უფრო ფართო ისტორიულ ანალიზზე დაყრდნობით მიდგლი აცხადებს, რომ სოციალური სამუშაო უბრალოდ ტექნიკური საკითხი არ არის, რომელიც სოციალური კონტექსტიდან დამოუკიდებლად არსებობს. პირიქით, იმის გამო, რომ სამხრეთის და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობები კოლონიალიზმმა განსაზღვრა, სოციალური სამუშაოს გავრცელებაც, რასაკვირველია, ამგვარი ურთიერთობების შედეგია. ამგვარად, საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ნაგულისხმევი „იმპერიალიზმის“ უნივერსალურობასთან მიმართებით გაშუქებით. საჭიროა განვიხილოთ, გაცდა თუ არა პროფესიული იმპერიალიზმი საზღვრებს. ეს კი გვაბრუნებს იმ საკითხთან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალურ სამუშაოზე, როგორც საერთაშორისო პროფესიაზე ფიქრი.

სოციალური სამუშაოს სხვა ისტორიების მსგავსად, მიდგლის (1981) მიერ გაკეთებული სოციალური სამუშაოს ანალიზი გლობალურ სამხრეთში იმის აღიარებით იწყება, რომ მისი ფესვები ჩრდილოეთის ქვეყნებიდან მოდის. მიდგლი ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის და მოდერნიზაციის პროცესებს ავლენს (განსაკუთრებით იმ კუთხით, თუ რამდენად ეხება ეს სოციალურ კეთილდღეობას), როგორც ამგვარი განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს. საზოგადოების სეკულარიზაციამ და პოზიტივისტური საბუნებისმეტყველო მეცნიერების მზარდმა ზეგავლენამაც თავისი როლი ითამაშა (მიდგლი, 1981. გვ. 3-4). როგორც მიდგლი აღიარებს, მეცხრამეტე საუკუნე იყო იყო, როცა ევროპული, განსაკუთრებით კი ბრიტანული და ფრანგული კოლონიალიზმი, ზენიტში იყო. შესაბამისად, სამთავრობო სტრუქტურები და ინსტიტუტები უკვე არსებობდნენ, რომელთა მეშვეობითაც ამგვარმა კოლონიურმა მთავრობებმა სოციალური კეთილდღეობის კონკრეტული მოდელები აფრიკაში, აზიაში, კარიბისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გადაიტანეს (გვ 40). თუმცა, სოციალური კეთილდღეობის მოდელები და მათში ჩადებული სოციალური სამუშაოს პრაქტიკები, რაც კოლონიებში დაინერგა, უმრავლეს შემთხვევაში, უბრალოდ,

მეტროპოლიტიკების აზროვნების განმეორებას ახდენდა და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რამდენად უკავშირდებოდნენ ისინი ადგილობრივ სიტუაციებს. მეოცე საუკუნის ადრეული პერიოდისთვის, სოციალური კეთილდღეობა კოლონიზებულ ქვეყნებში ძირითადად საბაზისო ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილებას ეფუძნებოდა (მიდგლი, 1981. გვ 105). ეს იმას ნიშნავდა, რომ ყურადღება უფრო მეტად იყო ფოკუსირებული ისეთ საკითხებზე, როგორცაა: არასრულწლოვანთა დანაშაული, ბავშვთა კეთილდღეობა (როგორცაა ბავშვთა პროსტიტუცია და ქუჩაში მცხოვრები ბავშვები), ასევე საბაზისო ჯანდაცვა, რაც ინდივიდუალურ და მოსახლეობის მცირე ნაწილის საჭიროებების ჭრილში იყო დანახული, მაშინ როცა, უფრო ფართო მოსახლეობის კეთილდღეობა და განვითარება იგნორირებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ადგილი ჰქონდა „მასების განათლების“ და სხვა უფრო საბაზისო საჭიროებებსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლას (თემის განვითარების წინამორბედი), სოციალური კეთილდღეობა მთლიანობაში და, შემდგომში კი სოციალური სამუშაო, ჯერ კიდევ ეფუძნებოდა იმ პოლიტიკების ერთობლიობას, რომელსაც აღწერდნენ როგორც „ნებაყოფლობით განუვითარებლობას“ (მაგ. შეადარეთ გუნდერ-ფრანკი, 1969 ). ეს იმას არ გულისხმობს, რომ ინდივიდუალური, ოჯახის ან საზოგადოების კეთილდღეობის საკითხები სოციალურ სამუშაოს არ ეხებოდა გლობალურ სამხრეთში. მაგალითად, ელიოტი (1993 ) გვაძლევს სოციალური განვითარების მიდგომის მოდელს, რომელშიც მიკრო და მაკრო თეორიები და პრაქტიკები ინტეგრირებულია. ამკარაა, რომ სოციალური განვითარების მიდგომა ამგვარად ინტეგრირებას ცდილობს, თუმცა, სოციალური სამუშაოს იდეების და ტექნიკების გადატანა, ისტორიულად მხოლოდ მიკრო დონეზე ხორციელდებოდა, სოციალური საჭიროების გაგებისა და მასზე რეაგირების გაუმჯობესების ინსტიტუციურ გზებზე ფოკუსირებით.

უმეტესწილად, გლობალურ სამხრეთში სოციალური სამუშაოს, როგორც ცალკე პროფესიის განვითარება იმ ქვეყნებში დაიწყო, სადაც პირდაპირი კოლონიური მმართველობა არ არსებობდა. შემდეგ კი სოციალური სამუშაო გავრცელდა, როცა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს (მიდგლი, 1981. გვ. 57). ზოგიერთი სოციალური მუშაკი მეტროპოლიტიკების ცენტრებში გადამზადდა, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში, შემდეგ კი უნარები და იდეები „უკან სახლში“ წამოიღეს. მიდგლი აღნიშნავს, რომ სოციალური სამუშაოს სკოლების რაოდენობა გლობალურ სამხრეთის ქვეყნებში 1950-იანი წლებიდან გაიზარდა, როცა სოციალური სამუშაო გაეროს მიერ საერთაშორისო პროფესიად იქნა აღიარებული. ამან შედეგად მოიტანა მზარდი დახმარება გაეროს სხვადასხვა სააგენტოების მხრიდან, განსაკუთრებით კი გაეროს ბავშვთა ფონდიდან, გლობალურ დონეზე სოციალური სამუშაოს განათლების განვითარებისთვის. აღნიშნული განვითარების განხილვისას მიდგლი აღნიშნავს (გვ 56), რომ ხმა აიმაღლეს იმ საკითხზე, თუ რამდენად შესაფერისი იყო პროფესიული განათლება, რომელიც ჩრდილოეთის ქვეყნების პრაქტიკებს ეფუძნე-

ბოდა (ასევე იხილეთ უოლტონი და ელ ნასრი, 1988. გვ 149, აღნიშნული არგუმენტის სანყისები 1971 წლის გაეროს ანგარიშში). თუმცა, პროფესიის შესახებ გამოთქმული შეხედულებების დიდი ნაწილი იმედთან განწყობას გამოხატავდა იმის თაობაზე, რომ გლობალურ სამხრეთში, კონკრეტულად სოციალური სამუშაო, უფრო ზოგადად კი სოციალური კეთილდღეობა, საბოლოო ჯამში „განვითარებული ქვეყნების“ სტანდარტს დააკმაყოფილებდა. რესურსების ნაკლებობა გლობალური სამხრეთის ქვეყნებში, იწვევდა მზარდ დამოკიდებულებას ჩრდილოეთის ქვეყნებზე სათანადო ცოდნისა და უნარების შესაძენად როგორც განათლებული პერსონალის, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მხრივ. მაშინ, როცა ამ პროცესებში ჩართული ზოგი პირი აღიარებდა ამას და მასზე რეაგირებას ცდილობდა, სხვები, მიდგლის აზრით, ამას არ აკეთებდნენ (1981. გვ 102).

მიდგლის ანალიზი ხაზს უსვამს ფასეულობების კულტურულ სპეციფიკურობას, რომელიც სოციალური სამუშაოს თეორიის დიდ ნაწილს უდევს საფუძვლად. ამის აღიარება კი გზას უკვალავს სოციალური სამუშაოს თეორიების და პრაქტიკების შესახებ დისკუსიას, რომელიც, მიდგლის მტკიცებით, თითოეული ნაციონალური კონტექსტის მატერიალურ გარემოებაში უნდა ჩამოყალიბდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, გლობალურ სამხრეთში გაბატონებული საჭიროებები სოციალურ განვითარებას უკავშირდება და არა ინსტიტუციონალიზებულ და ინდივიდუალიზებულ სოციალურ სამსახურებს. შესაბამისად, სწორედ ამ სფეროებს უნდა მიაქციოს ყურადღება სოციალურმა სამუშაომ (1981 , თავი 6). აქედან მიდგლი ასკვნის, რომ სამხრეთის ქვეყნებში სოციალური სამუშაოს უფრო შესაფერისი ფორმები უნდა შემუშავდეს, ამით კი სოციალური სამუშაოს განათლების რეფორმულირება უნდა მოხდეს (გვ 151-7). მიდგლის აზრით, სოციალური სამუშაო პრაგმატული უნდა იყოს (გვ 167-71), რომელიც მოითხოვს, რომ:

- *ტრენინგი პირდაპირ პრაქტიკას შეეხებოდეს;*
- *ხაზი გაესვას პრაქტიკულ და არა თეორიულ უნარებს;*
- *პროფესიის მთავარი ყურადღების საგანი უნდა იყოს საზოგადოების წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემები და არა ინდივიდუალური საჭიროებები;*
- *პრაგმატული სოციალური სამუშაო ინდიჯენიზაციის პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.*

მიდგლიმ შემდგომში სოციალურ სამუშაოში სოციალური განვითარების ცნება შეიმუშავა, სადაც ყურადღება ექცევა გლობალური სამხრეთის ქვეყნების ფართომასშტაბიანი პრობლემების გადაჭრას (მიდგლი, 1995 , 1997 ; ჰოლი და მიდგლი, 2004 ).

## ინდიჯენიზაციის და ავთენტიზაციის ახლებურად გააზრება?

თუ ჩვენ ამ ანალიზის გამოწვევების ადეკვატურად განხილვას ვაპირებთ, სასარგებლო იქნება, თუ ინდიჯენიზაციის და ავთენტიზაციის ცნებებს განვიხილავთ. როგორც ვიცით, „ინდიჯენიზაცია“ ნიშნავს სოციალური სამუშაოს თეორიების და პრაქტიკების მიღებას და ადაპტაციას ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად; „ავთენტიზაცია“ ნიშნავს სოციალური სამუშაოს თეორიების და პრაქტიკების შემუშავების პროცესს, რომელიც ადგილობრივი კონტექსტის რეალობებიდან გამომდინარეობს (ე.ი. ავთენტურია) (უოლტონი და ელ ნასრი, 1988 ).

აღნიშნულ ცნებებს შორის ნათელი, თუმცა საკმაოდ ფაქიზი განსხვავება არსებობს, როცა თეორიების და პრაქტიკების წარმოშობაზე ხდება აქცენტირება: სხვაგან წარმოშობილი თეორიის და პრაქტიკის ახალ სიტუაციაში გადატანა, სადაც შემდეგ მათი განვითარება ხდება, და არა ამგვარი თეორიების და პრაქტიკების წარმოშობა ამჟამინდელ სიტუაციაში. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ იგნორირებული იყოს სოციალური სამუშაოსა და მისი პროფესიონალიზაციის ყველა განმარტება და თვით ტერმინი სოციალური სამუშაოც, რომელიც სხვა კონტექსტიდან მომდინარეობს. მიკრო და მაკრო თეორიების და პრაქტიკების, ეთიკასა და ფასეულობებში უნივერსალიზმის და კულტურული რელატივიზმის და ა.შ. საკითხებზე გამართული დებატების შედეგად წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საკითხია უნდა განვიხილოთ თუ არა სოციალური სამუშაო როგორც ცალკე არსებული ერთი მთლიანობა, თუ უფრო შესაფერისია, რომ ის მივიჩნიოთ განსხვავებული იდეების, ქმედებების და სტრუქტურების ერთობლიობად. თავის მხრივ, ეს შემდგომში სხვა შეკითხვას ბადებს, კერძოდ, თუ რატომ არის სოციალური სამუშაო ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იმ ქვეყნებში, სადაც კამათია იმაზე, რომ სოციალური სამუშაო კულტურული თვალსაზრისით ვერ ერგება „სოციალური სამუშაოს“ ცნებას, რომ მისი გამოყენება გაგრძელდეს. რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თუ გავიაზრებთ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, აზიაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე სოციალური სამუშაოს განვითარების პროცესს, დავინახავთ, რომ ისინი, ვინც მწვავე კრიტიკას გამოხატავენ სოციალური სამუშაოს თეორიებსა და მეთოდებში „დასავლური“ მიკერძოებულობის შესახებ, მაინც განაგრძობენ ბრძოლას იმის განვითარებისთვის, რასაც „სოციალური სამუშაო“ შეიძლება ეწოდოს (იხილეთ, მაგ. მაფაილ'ო, 2006 ; ოსეი-ჰუედი და სხვ, 2006 ; იანი და ჩეუნგი, 2006 ).

აღნიშნული საკითხის საპასუხოდ, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ სოციალური სამუშაოს ინტერნალიზაცია კოლონიალიზმის და გლობალიზაციის ბოლოდროინდელი ფორმებისაგან განსხვავებულად არ მომხდარა. მოხდა არა მხოლოდ სოციალური სამუშაოს გადატანა მსოფლიოს ბევრ ნაწილში კოლონიური ქვეყნებიდან იმ ქვეყნებში, რომლებიც კოლონიზებულნი იყვნენ, არამედ ეს პროცესი ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის და მოდერნიზაციის თან-

ადროულად მიმდინარეობდა (და მიმდინარეობს). ეს კი ბევრ მსგავსებას წარმოშობს იმავე პროცესებთან, რომლებმაც გლობალურ ჩრდილოეთში სოციალური სამუშაოს განვითარება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროცესებს, ჩვენი აზრით, შეიძლება გამწვავებული სიღარიბე და ადამიანის უბედურების სხვა ფორმები ახასიათებდეს, მათ ბევრი სარგებელიც მოიტანეს. ინდუსტრიული დაბინძურების პრობლემები, საბინაო პრობლემები, დიდი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის და ა.შ. ურთიერთგადაჯაჭვულია მზარდ მატერიალურ სიმდიდრესთან, უფრო მეტ ხელმისაწვდომობასთან განათლებასა და ჯანდაცვის მომსახურებებზე (ბევრ ქვეყანაში), ასევე კანონის უზენაესობის თანამედროვე ცნებებთან.

ასევე შეიძლება კამათი იმაზე, რომ მოდერნიზებულ სამყაროში „პროფესიონალიზაცია“ ცნება გლობალური ჩრდილოეთიდანაა გადმოტანილი. მთელს მსოფლიოში „თანამედროვე“ სკოლებსა და უნივერსიტეტებზე, საავადმყოფოებსა და (ბევრ შემთხვევაში) სასამართლოებზე, ასევე სამართლებრივ სისტემებზე საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინეს ჩრდილოეთში არსებულმა ამგვარმა ინსტიტუტებმა. მათ შორის, განვითარდა მასწავლებლის, ექიმის, ექთნის, დამხმარე ჯანდაცვის სპეციალისტის და იურისტის პროფესიები, რაც არსებითად ჩრდილოეთის მოდელებს ეფუძნებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ გლობალური სამხრეთის წინაკოლონიურ საზოგადოებებში ეკვივალენტური ცნებები არ არსებობდა. ისიც არ შეიძლება ითქვას, რომ უფრო ტრადიციული პრაქტიკოსები განათლებაში, ჯანდაცვაში და სამართალში არ განაგრძობენ არსებობას როგორც თავიანთი საზოგადოებების მნიშვნელოვანი ფიგურები. თუმცა, ნათელია, რომ პროფესიის მოდერნიზებული ცნება უკვე გლობალური სტანდარტი გახდა.

თუმცა, მასწავლებლის, ექიმის, ექთნის ან იურისტის კოლონიამდელი პერიოდის გაგებისგან განსხვავებით, მიდგლი აქარწყლებს იდეას, რომ სოციალური მუშაკის მსგავსი კონსტრუქციის პოვნა შეიძლება, აღწერს რა ამგვარ პრეტენზიას როგორც „მითის შექმნას“ (1981 , გვ 94). ის აღნიშნავს, რომ სოციალური სამუშაოს იდეა ამ გაგებით თანამედროვე კონსტრუქციაა. უფრო მეტიც, განათლების და მედიცინისგან განსხვავებით, სოციალური სამუშაოს შინაარსი და ფორმა ძალიან არის დაკავშირებული კულტურასთან. შესაბამისად, იმის განცხადება, რომ სოციალური სამუშაოს იდეა გლობალური სამხრეთის ქვეყნებში ტრადიციული აზროვნებიდან, განსაკუთრებით კი რელიგიიდან წარმოიშვა, მცდარია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამუშაო ევროპის რელიგიური და ფილანტროპული ჩანასახის მქონეა და ის ამ ქვეყნების კულტურასა და ტრადიციას ეფუძნება, ის მაინც ხშირად ასოცირდება „ვესტერნიზაციის“ ფორმებთან (გვ 94-5).

მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი პარალელები არსებობს ჩრდილოეთის კულტურებთან სოციალურ სამუშაოსა და რელიგიურ თუ კერძო ფილანტროპიის აქტივობებს შორის, შესაძლებელია კამათი იმაზეც, რომ სოციალური

სამუშაოს განვითარება უფრო არსებით გარდატეხას აღნიშნავს ამ კონტექსტებშიც. ეს ნიშნავს, რომ სოციალური სამუშაოს პროფესიის წარმოშობა ჩრდილოეთში ისეთივე უცხო იყო ტრადიციული კულტურისთვის, როგორც სამხრეთში. ისეთ პიონერებს, როგორცაა ჰილი, ლოპი, ბარნეტი, ადამსი და რიჩმონდი, უწევდათ კამათი, ადვოკატობა და კამპანიის განწევა მისი ჩამოყალიბებისთვის (პარი და პარი, 1979 ; პეინი, 2005). შესაბამისად, შესაძლებელია არგუმენტირება, რომ საკითხი ისე არ დგას, თითქოს პროფესიული სოციალური სამუშაო ინდიჯენური ცნებაა მსოფლიოს ერთ ნაწილში და მეორე მხარეს კი აქედან გადმოტანილია. ამის ნაცვლად, ეს არის ერთგვარი გაშუქება იმ გზისა, თუ როგორ ვითარდება სოციალური სამუშაო თითოეულ სიტუაციაში, იმ სხვადასხვა თეორიის და პრაქტიკის დიაპაზონში, რასაც ის მოიცავს. ეს ასევე გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რა არის შესაფერისი თითოეულ კონტექსტში, ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის და მოდერნიზაციის პროცესებში.

ამ მიზეზის გამო, საერთაშორისო სოციალურ სამუშაოზე ფიქრი ჯერ კიდევ საჭიროებს პროგრესირებას ინდიჯენიზაციის ცნებიდან ავთენტიზაციაზე, როგორც ეს განმარტებულია უოლტონის და ელ ნასრის მიერ (1988). როგორც ფართოდაა აღიარებული, სოციალური სამუშაო საკმაოდ ბევრი კუთხით განსხვავდება იმ ქვეყნებში, სადაც ის პირველად განვითარდა. მაგალითად, სოციალური სამუშაოს თეორიების და პრაქტიკული განხორციელების მახასიათებლები ჩრდილოეთ ევროპის და სკანდინავიის, სამხრეთ ამერიკის და ავსტრალაზიის ქვეყნებში ძალიან განსხვავებულია (იხილეთ, მაგ. ლორენცი, 1994; 2008; ლიონსი, 1999; პეინი და ასკელანდი, 2008). საკმაოდ განსხვავებული ყურადღება ექცევა პრაქტიკას მიკრო და მაკრო დონეებზე, მიკრო პრაქტიკ(ებ)ის ტიპებს და იმ ინსტიტუტებს, სადაც სოციალური სამუშაო ხორციელდება, ასევე ურთიერთობებს სხვა პროფესიულ კონცეფციებთან (როგორცაა „სოციალური პედაგოგია“). ყურადღება ასევე განსხვავებულია პროფესიის რეგულირების მიმართ, რომელიც სოციალური სამუშაოს შესახებ გამართულ ნებისმიერ დისკუსიას გამორჩეულ ეროვნულ ნიშან-თვისებას სძენს. ამის საფუძველზე, აბსოლუტურად შეუსაბამოა ის მოლოდინი, რომ სოციალური სამუშაო სხვა ქვეყნებში საკმაოდ უნდა ჰგავდეს რომელიმე ამ მოდელს.

ამავდროულად, შეიძლება საერთო არსის იდენტიფიცირება, რაც საშუალება მოგვცემს საუბარი განვადრძოთ სოციალურ სამუშაოზე და საკმაოდ გასაგები იყოს ჩვენთვის ყველა ის განსხვავებული ფორმა, რაც სოციალურ სამუშაოს გააჩნია მთელს მსოფლიოში. ჩვენ განვადრძობთ ერთმანეთთან შეხვედრებს საერთაშორისო კონფერენციებზე, ვმუშაობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სტიმულს ვაძლევთ ერთმანეთს, რომ იდეები გავუზიაროთ ჟურნალების მეშვეობით. ყოველივე ეს კი გვეუბნება, რომ ეს პრინციპულად მაინცაა შესაძლებელი. თუმცა, ამგვარი დიალოგის მიღწევა და შენარჩუნება მოითხოვს, რომ კოლეგებმა სხვადასხვა ქვეყანაში აღიარონ „ავთენტიკური“ ვარიაციების კანონიერება სხვა ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ განმსაზღვრელი ფაქტორი

არის ეროვნული დებატები სხვადასხვა ელემენტების შესახებ, რომელიც მრავალფეროვან და მოქნილ პროფესიას აყალიბებს.

### „ავთენტიზაციის“ მაგალითი პრაქტიკაში: ვიეტნამი

ამ დისკუსიის ილუსტრირებისთვის, სოციალური სამუშაოს პროფესიის შექმნის მიმართ ვიეტნამში მიმდინარე თანამედროვე განვითარებას განვიხილავთ, როგორც ილუსტრაციულ და არა განმსაზღვრელ მაგალითად. აღნიშნული პროცესის რამდენიმე ნაწილში ავტორი თავად მონაწილეობდა (გაეროს ბავშვთა ფონდი, ვიეტნამი / MOLS, 2005; ჰუგმანი და სხვ. 2007, 2009) და ამ მოცემულობით მე შესაძლებლობა მეძლევა, რომ „ავილო პასუხისმგებლობა“ ამ ანალიზის, ჩემს პრაქტიკაში გამოყენებაზე.

სამხრეთ ვიეტნამში პროფესიული სოციალური სამუშაოს ერთგვარი ფორმა 1975. ქვეყნის გაერთიანებამდე შეიქმნა (ნგუიენ ტი ოანჰი, 2002). სოციალური სამუშაოს პრაქტიკის მოდელები და პროფესიული განათლების ფორმები იმ დროს განიცდიდა ფრანგული და შემდეგ კი ამერიკული წყაროების ზეგავლენას. 1975 წელს ვიეტნამის მთავრობამ სოციალური სამუშაო გააუქმა, როგორც ეს კომუნისტური რეჟიმის ბევრ სხვა ქვეყანაში მოხდა, რადგან ის უსარგებლოდ მიიჩნეეს სოციალისტური საზოგადოებისთვის. 1986 წელს გადაწყდა, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის ვიეტნამს საბაზრო სისტემაზე გადასვლა ესაჭიროებოდა სოციალისტური პოლიტიკური სტრუქტურის შიგნით (შეადარეთ: დაი, 2008). ამ ნაბიჯის შედეგად, ქვეყანაში ეკონომიკა სწრაფად განვითარდა. აღნიშნულმა ცვლილებებმა სხვადასხვა სოციალური პრობლემის წარმოშობა გამოიწვია, ან ხელახლა იჩინა თავი, რომლებიც, როგორც აღმოჩინდა, სათანადო უნარების მქონე პროფესიონალთა ჩარევას საჭიროებდა. ზოგიერთ ყოფილ სოციალურ მუშაკს ნება დართეს, რომ საბაზისო სოციალური სამუშაოს თეორიების და მეთოდების სწავლება დაეწყოთ „ქალაქ ჰო ში მინის ღია უნივერსიტეტში“. თავის მხრივ, ამან სოციალური სამუშაოს სხვა კურსების ჩამოყალიბება გამოიწვია ისეთ ადგილებში, როგორცაა (მაშინდელი) შრომის, ინვალიდების და სოციალურ საკითხთა კოლეჯი (ამჟამინდელი „შრომის და სოციალურ საკითხთა უნივერსიტეტი“) (ჰუგმანი და სხვ. 2009. გვ 179). 2000 წელს განათლებისა და ტრენინგის სამინისტრომ (MoTE) სოციალური სამუშაოს ეროვნული სასწავლო გეგმა დაამტკიცა და 2008 წლისთვის, ამ დისციპლინის სწავლების ნებართვა უკვე 38 უნივერსიტეტს ჰქონდა მიღებული. თუმცა, მთავრობის დახმარების მიუხედავად, სოციალური სამუშაო ჯერ კიდევ არ არის აღიარებული პროფესიად და, შესაბამისად, ამ კონკრეტული სახელით დასაქმების შესაძლებლობებიც არ არსებობს. ამ სიტუაციაზე საპასუხოდ, ჯანმრთელობის, ინვალიდთა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (MoHISA) ეროვნული გეგმის შემუშავება დაიწყო ამ პროფესიის განსავითარებლად, რასაც მხარს ვიეტნამში

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა უჭერდა (ჰუგმანი და სხვ. 2007). 2009 წელს აღნიშნული გეგმა ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იყო.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ დასჭირდა ამდენი წელი ამ გეგმის შემუშავებას და თუ რატომ არის ჯერ კიდევ შემუშავების პროცესში, არის ის, რომ სოციალური კეთილდღეობის სფეროს მოდერნიზაცია, რომლის ნაწილსაც სოციალური სამუშაოს პროფესიის განვითარება წარმოადგენს, ყურადღებით განიხილება ვიეტნამის კულტურულ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ ნორმებთან კავშირში. სოციალური სამუშაოს განვითარებამ სხვა კომუნისტურ, ან პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ასევე მოითხოვა მსგავსი პროცესი (იუნ-ცანგი და სუნგი, 2002; ნამდალდავა, 2004; კუ და სხვ, 2005). დებატებსა და დისკუსიებში მონაწილე ბევრ ადამიანს, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ლიდერების ჩათვლით, უნდოდათ ყურადღებით განეხილათ, თუ როგორ ასახავდა ამგვარი სახის ფორმალური პროფესია ცვლილებებს ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში და მზარდი ეკონომიკის ზეგავლენა სოციალური პრობლემების გადაჭრის უფრო ტრადიციულ მიდგომებზე.

2005 წელს ეროვნული კვლევა ჩატარდა, რათა ფორმალური სოციალური სამუშაოს პროფესიის საჭიროებები დაედგინათ და მათ დასაკმაყოფილებლად ადამიანური რესურსები განესაზღვრათ (გაეროს ბავშვთა ფონდი, ვიეტნამი / MoHISA, 2005). აღნიშნულმა კვლევამ დაასკვნა, რომ სოციალური მომსახურებების საჭიროება არსებობს ისეთ სფეროებში, როგორცაა ბავშვებისა და ოჯახების საკითხები (ბავშვთა ძალადობის და ოჯახური ძალადობის ჩათვლით), ფსიქიკური ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ხანდაზმულები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, ასევე პროსტიტუციის, ნარკომანიის, აივ/შიდსის და დანაშაულის სოციალური ზეგავლენა. ამას გარდა, აღნიშნული კვლევით დადგინდა, რომ ტრენინგის და განათლების მაღალი დონეა საჭირო მომსახურებების გაუმჯობესებისთვის ამ სფეროებში და რომ სოციალური სამუშაოს პროფესიას მთავარი როლის თამაში შეუძლია ამ პროცესში.

აღნიშნულმა კვლევამ, ასევე მისგან გამომდინარე უწყვეტი განვითარების სამუშაომ ზედმინვენით განიხილა სოციალური სამუშაოს იმ ფორმების განვითარების მნიშვნელობა, რაც ვიეტნამისთვისაა შესაფერისი (ჰუგმანი და სხვ, 2007, 2009). ეს მიჩნეულია „სოციალურ სამუშაოდ ვიეტნამური მახასიათებლებით“. ამ განვითარებაში მონაწილე ვიეტნამის მთავრობის ოფიციალურ პირებს და აკადემიის წარმომადგენლებს ძალიან აინტერესებდათ შესაძლო მოდელების გადასინჯვა სხვა ქვეყნებში არსებული მთელი რიგი მოდელებიდან, მაგრამ ასევე აინტერესებდათ ავთენტური ვიეტნამური სოციალური სამუშაოს შექმნაც.

2005 წლის კვლევაში მოცემული რეკომენდაციებიდან, განსაკუთრებით ორი ასპექტი ახდენს გამორჩეული ვიეტნამური მიდგომის დემონსტრირებას. პირველი მათგანი მომდინარეობს იმის აღიარებიდან, რომ ადამიანური რესურსებ-

ის მომზადება სოციალური კეთილდღეობის მომსახურებების მოდერნიზებაში უზარმაზარ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი გარდამავალი პერიოდის ქვეყნისთვის. შესაბამისად, უნივერსიტეტში გადამზადებული სოციალური მუშაკების როლი მომავალ ათწლეულში, სავარაუდოდ, იქნება კომპლექსურ სიტუაციებზე მუშაობა, ადგილობრივი პრაქტიკოსების ზედამხედველობა და მხარდაჭერა დაწესებულებებსა და კომუნებში, ასევე წვლილის შეტანა მენეჯმენტში უფრო მაღალი დონის როლის შესრულებაში, კვლევასა და პოლიტიკის შემუშავებაში. ადგილობრივი პრაქტიკოსების დიდი რაოდენობა, სავარაუდოდ, სკოლის დამამთავრებელი კლასების დონეზე გადამზადდება, ასევე ტექნიკურ კოლეჯებშიც და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ინიცირებული „ფეხშიშველი სოციალური მუშაკების“ პროექტის გამოცდილებას დაეყრდნობიან (გაეროს ბავშვთა ფონდი, ვიეტნამი / MOLISA, 2005; ჰუგმანი და სხვ, 2007.). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მუშაკებს „პარაპროფესიონალებად“ მოიხსენიებენ (ვიეტნამში აღიარებულ პროფესიას უნივერსიტეტის დონის დიპლომი სჭირდება), მათ აშკარად მიიჩნევენ როგორც სოციალური სამუშაოს საერთო პროფესიის ნაწილს და არა როგორც ცალკე ოკუპაციურ დაჯგუფებას. კარიერის განვითარების მიზნით, დაგეგმილია, რომ მათი ტრენინგი და განათლება საუნივერსიტეტო დონეზე მოხდეს.

მეორე, გამოიკვეთა ვიეტნამისთვის შესაფერისი განათლების და ტრენინგის მასალების განვითარების საჭიროება (ჰუგმანი და სხვ, 2009). სხვა ქვეყნების მსგავსად, თეორიული და პრაქტიკული იდეები სოციალურ სამუშაოში, გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნების ზეგავლენას განიცდის. აქ იგულისხმება როგორც საზღვარგარეთ მიღებული განათლება ვიეტნამელი სოციალური მუშაკებისთვის, ასევე უნივერსიტეტის კონსულტანტები, რომლებიც უნივერსიტეტებს ტრენინგის პროგრამების შემუშავებაში ეხმარებიან. როგორც ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა, უნივერსიტეტებში ლიდერობას თავის თავზე ხშირად აკადემიის ის წარმომადგენლები იღებდნენ, რომლებიც სხვა დისციპლინებში იყვნენ კვალიფიციურნი (განსაკუთრებით, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში). თუმცა, ამან ვიეტნამურ კონტექსტში სასწავლო გეგმის განვითარების უნარების მქონე ადამიანური რესურსები უზრუნველყო. შესაბამისად, მიმდინარეობს თარგმნის პროცესი, რასაც იანი და ჩეუნგი (2006) „რეკონტექსტუალიზაციას“ უწოდებს, რამდენადაც აქ ვიეტნამის ავთენტური იდეების შემუშავება ხდება.

მიდგლის აზრით (1981), ვიეტნამის მაგალითი პროფესიული სოციალური სამუშაოს განვითარების მთავარი მახასიათებლების დემონსტრირებაა, ნეოკოლონიალიზმის მიღმა პროგრესის მისაღწევად. ამგვარად, ხდება ფოკუსირება პირდაპირ პრაქტიკაზე, ასევე ყურადღება ექცევა ორგანიზაციულ და საგანმანათლებლო საკითხებს; ტრენინგის და განათლების საერთო სტრუქტურა პრაქტიკას და თეორიას მოიცავს, ხოლო საერთო პროცესი მიმართულია ქვეყნის ამჟამინდელი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. ეროვნულმა კვლევამ ცხადყო (გაეროს ბავშვთა ფონდი, ვიეტნამი / MOLISA, 2005), რომ სოციალური

განვითარების პრაქტიკა ვიეტნამში არ მოიაზრება აუცილებლად სოციალური სამუშაოს პრაქტიკისათვის შესაბამის სფეროდ. ეს ნაწილობრივ იმიტომ არის, რომ ამგვარი მიდგომები გარკვეულწილად მიჩნეულია „პოლიტიკურად“ და ასევე იმიტომაც, რომ განვითარების პოლიტიკა კვლავ ეკონომიკაზეა ორიენტირებული. თუმცა, ეს საკითხი დებატებისთვის ღიაა.

შესაძლებელია ძალიან ძლიერი პარალელების გავლება სოციალური სამუშაოს განვითარების კუთხით ვიეტნამსა და სხვა ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი და მონღოლეთი (იუნ-ცანგი და სუნგი, 2002 წ; ნამდალდაგვა, 2004; კუ და სხვ, 2005). თითოეულ შემთხვევაში საჭიროა იმის გააზრება თუ როგორი გავლენა სოციალური სამუშაოს ავთენტური ფორმები. თუმცა, ამ პროცესში პროფესიული იმპერიალიზმის, ინდივიდუალიზაციის და ავთენტიზაციის შესახებ გამართულმა დებატებმა პროფესიის დადებით ჭრილში წარმოჩენისთვის უფრო კრიტიკული ხედვის განვითარების საჭიროება წარმოშვა სოციალური სამუშაოს ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით (ლორენცი, 2008).

### პროცესის შემობრუნება: „ყველაფრის სახლში დაბრუნება?“

პროფესიული იმპერიალიზმის ცნების განხილვა ასევე სხვა მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოშობს. თუ გვინდა იმის უზრუნველყოფა, რომ გლობალურ ჩრდილოეთში არსებული სოციალური სამუშაოს ზეგავლენა გლობალური სამხრეთზე სათანადო დონეზე გაანალიზდეს, მაშინ საჭიროა გავიაზროთ იდეების და პრაქტიკების განხორციელება სხვა მიმართულებითაც (მიდგლი, 1990; რაზაკი, 2000; გრეი, 2005.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, საპირისპირო მიმართულებით გადაცემაც დაფიქრებას საჭიროებს იმის თაობაზე თუ არსებობს რაიმე საფუძველი იმისა, რომ ამგვარ პერსპექტივას მივესალმოთ?

აღნიშნული დინამიკა განხილვის საგანს წარმოადგენდა პროფესიული გაცვლითი პროგრამების განხილვისას. ჰილისა და სხვების მიერ (2003) განხილული სხვადასხვა პარტნიორობები და მოდელები, ორმხრივი სწავლის მიზანს მოიცავს, გაცვლით პროგრამებთან ერთად, იდეების განვითარების ჩათვლით ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. თითოეული მათგანი იმგვარად იყო ჩამოყალიბებული, რომ „ცალმხრივი“ გადაცემით არ შემოფარგლულიყო. თითოეული მაგალითი მოიცავს სულ მცირე, ერთ ელემენტს იმისა, რომ სოციალური მუშაკების მიერ გლობალური ჩრდილოეთიდან მონოდებული ცოდნით შესაძლებელი ხდება მომსახურებების სისტემების და განათლების პროგრამების შემუშავება შედარებით ფართო დონეზე, ან ფაკულტეტის და მომსახურების ადმინისტრატორების გადამზადება. ჩრდილოეთის სპეციალისტებისთვის კი საინტერესო იყო ცოდნის შექმნა სხვა კონკრეტული ქვეყნის შესახებ, ან კონკრეტული კულტურის, ან უფრო ვიწროდ განსაზღვრული სასწავლო პროგრამის განვითარება, როგორცაა, მაგალითად, საერთაშორისო სოციალური სამუშაოს სწავლება, ან

სოციალური პოლიტიკა და ა.შ. (ჰოკენსტადი, 2003. გვ 139). აქ აღწერილი რამდენიმე პროექტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, თუ რა სარგებელი არსებობს ჩრდილოეთის ქვეყნების სტუდენტებისთვის, რომელთაც პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობა აქვთ. ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, სწავლა შეიძლება ორივე მიმართულებით განხორციელდეს. თუმცა, გაურკვეველი რჩება, ხელშესახები სარგებლის მიღება რამდენად იყო გამიზნული სასწავლო გეგმების უფრო ფართოდ შემუშავებისა, ან თუნდაც სოციალური სამუშაოს, როგორც პროფესიის უფრო ზოგადად განვითარებისათვის, როცა ეს ორივე ცოდნისა საპრაქტიკის გადაცემისას ჩრდილოეთიდან სამხრეთის ქვეყნებში.

შესაძლებელი იყო ეს? სამხრეთიდან ჩრდილოეთში ცოდნის გადაცემის იდეის მიმართ ძირეული გამოწვევა ისაა, რომ მრავალმხრივ, სტრუქტურული ურთიერთობა ქვეყნებს შორის, ნეო-კოლონიალისტური რჩება. შენარჩუნებულია დინამიკა, რომელიც ხასიათდებოდა როგორც „მეტროპოლიტანიზმი“ (კონელი, 2007.), სადაც ზეგავლენის მცირე და ხშირად შეუმჩნეველი იერარქია არსებობს. ეს ასევე შეიძლება დავინახოთ გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის, მაგალითად, როცა ვსაუბრობთ სოციალური სამუშაოს მიმართ არსებულ ტენდენციებზე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია და ახალი ზელანდია. აღნიშნულ ქვეყნებში ცდილობენ, რომ ძირითადად გაერთიანებული სამეფოს და შეერთებული შტატების იდეებსა და პრაქტიკებს დაეფუძნონ, ხოლო სხვა მიმართულებით ზეგავლენა ნაკლებად თვალსაჩინოა. გრეი (2005 გვ 236), მაგალითად, აღნიშნავს შედარებით ნაკლებ ყურადღებას საერთაშორისო იდეებისადმი სოციალური მუშაკების მხრიდან ამ მეტროპოლიტურ ცენტრებში. „პროფესიული იმპერიალიზმის“ მიღმა განვითარების ერთ-ერთი საშუალება იქნებოდა, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებმა კონსულტანტები მოიძიონ სამხრეთიდან, რომ მომსახურების შემუშავებაში, ან პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში დაეხმარონ. თუმცა, „სწავლა ჩრდილოეთისთვის“, ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ მაინც არის დაკავშირებული ინდივიდებთან, რომლებიც უფრო დიდ ცოდნას შეიძენენ კონკრეტული „სხვა“ ქვეყნის შესახებ, ან ინფორმაციას იღებენ პრაქტიკის შესახებ სხვა კონკრეტული უმცირესობის წარმომადგენელ თნიკურ საზოგადოებაში.

მაშ რა შანსი არსებობს უფრო თანასწორი, სოციალური სამუშაოს აღიარებული ფასეულობების შესაბამისი ურთიერთობის დამყარებისათვის? ერთი პასუხია ის, რომ არაა საჭირო, პარტნიორობები და გაცვლები „თანასწორი“ ან „ორმხრივი“ იყოს (მერიკორთი, 2001). რასაკვირველია, უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროფესია განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზეა, სოციალურ მუშაკებს შეიძლება სურდეთ უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება, სადაც სოციალური სამუშაო კარგად განვითარებულია. პრობლემები ჩნდება მაშინ, როცა პოსტკოლონიური დინამიკის აღიარება არ ხდება, სადაც გლობალური ჩრდილოეთის წარმომადგენლები იმ საფუძველზე მოქმედებენ, რომ მხოლოდ ერთი სანაქებო მიდგომა არსებობს სოციალური სამუშაოს

მიმართ და ცდილობენ დღის წესრიგი ნებისთი თუ უნებურად გააკონტროლონ. შესაბამისად, სტრუქტურული უთანასწორობის დადებითად განხილვა, რაც ისტორიით და პოლიტიკით არის განპირობებული, ყურადღებას მოითხოვს შემდეგი საკითხების მიმართ: რა ხდება, რა როლს ასრულებს თითოეული მხარე და რა არჩევანს აკეთებს თითოეული მათგანი ურთიერთობების შესახებ (გრეი, 2005). ალტერნატიული პასუხი, რომ ქვეყნებს შორის პარტნიორობები და გაცვლითი პროგრამები არ უნდა ხდებოდეს, არც დამაჯერებელია და არც პრაქტიკული. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფაქტორია, არის თუ არა შესაძლებელი გზის გამოძებნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ურთიერთობა თანასწორობის საფუძველზე ხორციელდებოდეს.

დასკვნის სახით, ასევე შეგვიძლია მსგავსი შეკითხვა დავსვათ გლობალური ჩრდილოეთის კონსულტანტების სამუშაოს შესახებ, რომლებიც რჩევას აძლევენ სამხრეთის მთავრობებს ან ორგანიზაციებს. ამგვარი ქმედების მარტივად თავიდან აცილება მიზანშეწონილი არ არის, არადა არ შეიძლება, რომ ქვეყნებს შორის განვითარებასთან დაკავშირებული ყველანაირი სამუშაო ამგვარი ურთიერთგაზიარების ან პარტნიორობების სახით წარიმართოს. გრეი (2005 წ.) ალტერნატიულ პოზიციას გვთავაზობს და აღნიშნავს „მორჩილების“ ელემენტის საჭიროებაზე (გვ 235) ამგვარ პრაქტიკაში, როცა ის გლობალური ჩრდილოეთის პოზიციიდან წერს:

*[ე]ს სხვაგვარ აღქმას და რეაგირებას მოითხოვს, როცა დასავლეთის სოციალური მუშაკები ახალ მინაზე შედიან, რომ სოციალური სამუშაოს საჭირო მეთოდზე კონსულტაცია გასწიონ. [...] საჭიროა მსუბუქად სვლა, სწავლა და მოსმენა, ასევე მორგება კულტურაზე, რომ არ მოხდეს ჩვენი კულტურის სხვებზე ძალიან სწრაფად თავს მოხვევა და, შესაბამისად, რომ გავუძლოთ იმპერიალიზმის დანაშაულს (გვ 236).*

ამგვარი არგუმენტი ერთგვარი რეზონანსია სხვაგან გამართულ დისკუსიებზე შიდა ძალების დინამიკების შესახებ, რომლებიც სოციალური სამუშაოს ყველა ასპექტში შეინიშნება (შეადარეთ ჰუგმანი, 1991). ამგვარი კუთხით, ეს ასევე გულისხმობს პრაქტიკაში გადანყვეტილების მიღებისადმი სიფრთხილეს. ჩვენ უნდა მოვიძიოთ გზები დაძაბულობის და პარადოქსების დასაძლევად, რაც ჩვენმა საერთო ისტორიამ და პოლიტიკებმა შექმნეს, რისთვისაც აღნიშნული განზომილებები უნდა გამოვავალავთ ჩვენს სამუშაოში. იმ ჩრდილოეთელებისთვის, რომლებიც აღნიშნულ ურთიერთგაცვლასა და პარტნიორობებში მონაწილეობენ, ასევე კონსულტირებას ახორციელებენ, ეს გულისხმობს, რომ ძალაუფლების საკითხებისა და მომსახურების ეთიკისადმი იგივე მიდგომების განვითარება საჭირო ჩვენივე პროფესიაში, როგორც ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის განხორციელებულ პრაქტიკაში მივმართავთ. გლობალური სამხრეთელებისათვის კი, ეს გულისხმობს სოციალური სამუშაოს პრაქტიკის

სხვადასხვა საკითხის შეგნებულად გააზრებას და ჩრდილოეთიდან მონოდებულ შეხედულებების გადახედვას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი (ეს შეხედულებები) ადგილობრივ სიტუაციას არ მიესადაგება (ცანგი და სხვ. 2000).

### სოციალური სამუშაო: ერთი მთლიანი თუ მრავალი?

გრეი და ფუკი (2004), ასევე გრეი (2005) კამათობდნენ, რომ სოციალური სამუშაოს უნივერსალურად გაგების მიმართ ძალიან ბევრი კონცეპტუალური და პრაქტიკული სირთულეების არსებობის მიუხედავად, მაინც არსებობს რამდენიმე კარგი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება გვსურდეს ამის კეთება. მათი აზრით, უნივერსალური მიდგომის მინიმალური დონეც კი შეგვაძლებინებს „[ავამალლოთ] ჩვენი ცოდნა და გაგება ადამიანთა პრობლემების შესახებ, გავაძლიეროთ პრაქტიკა და შემდეგ [განვავითაროთ] პროფესია მისი პროფილის ამაღლებისთვის“ (გრეი და ფუკი, 2004. გვ 637). „უნივერსალური სოციალური სამუშაოს“ ცნებაში ისინი იმ ასპექტებს გულისხმობენ, რაც სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში თეორიის და პრაქტიკის ერთგვაროვნების დემონსტრირებაა (გრეი, 2005. გვ 233). ისინი აღიარებენ, რომ ეს რთული საკითხებია შეთანხმების მისაღწევად, თუმცა, ამის მიუხედავად, უნივერსალური და ადგილობრივი ცნებების განხილვისას, იმპერიალიზმის და ინდივიდუალიზაციის, უნივერსალური და კულტურულად სპეციფიკური ფასეულობების, ასევე გლობალიზაციის და ლოკალიზაციის დაპირისპირებით, ისინი ხუთ ძირითად საკითხს გამოავლენენ სოციალური სამუშაოს თემაზე საერთაშორისო დიალოგის გასამართად. მათი აზრით, აღნიშნული საკითხები სასარგებლოა ჩვენთვის, რომ საკმარისი საერთო საფუძველი მოვამზადოთ სოციალურ სამუშაოზე საუბრის გასაგრძელებლად, როგორც ერთი მთლიანის შესახებ, ფართოდ განსხვავებულ ეროვნულ კონტექსტებში (გრეი და ფუკი, 2004. გვ 639-40).

უპირველეს ყოვლისა, უნივერსალური შეთანხმების საბაზისო დონე „დასაბუთებულ მიდგომას“ და დეტალურ აღწერას მოითხოვს, სხვადასხვა სიტუაციებში არსებული თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. ბევრიარადაა შესაძლებელი აღნიშნული განსხვავებების შეფასება, რომლებიც კონკრეტულად ერთ ადგილობრივ სიტუაციას ასახავს. თუმცა, ეს ასევე მოითხოვს, რომ ჩვენ საკუთარი დიალოგები რეალობაზე დავაფუძნოთ და არა იდეალურ ცნებებზე.

მეორე, ერთგვაროვნების მინიმალური მიმდებლობაც კი ფართო და ინკლუზიურ მიდგომას მოითხოვს პროფესიის განსაზღვრისთვის. მაგალითად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში სტანდარტული საწყისი დონის კვალიფიკაცია სოციალურ სამუშაოში, ბევრ ქვეყანაში ახლა უკვე ბაკალავრის ხარისხს წარმოადგენს (სიუპოლი და ჯონსი, 2004). თუმცა, ეს ყველა ქვეყანაში ასე არ ხდება და კოლეგების უპირობო მიღება მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში იმის საფუძველზე, თუ რა არის კვალიფიკაციის განსაზ-



ღვრული სტანდარტი მათ ქვეყანაში, გაცილებით უფრო პროდუქტიული იქნება იმისთვის, რომ სხვადასხვაგან მათ საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჩართვა შესძლონ. უფრო მეტიც, სასარგებლოა ინტერდისციპლინური სამუშაოს დაფასება და უფრო დაახლოება იმ სექტორსა და იმ კოლეგებთან, რომლებმაც, ტრადიციულად, თავიდან სოციალური სამუშაოში დაიწყეს მოღვაწეობა, მაგალითად, ისინი, ვინც *საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობის საბჭოს (ICSW)* ან *სოციალური განვითარების საერთაშორისო კონსორციუმის (ICSD)* წევრ ორგანიზაციებში მუშაობენ.

მესამე, ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ სოციალური განვითარების მიდგომის შესაბამისობას სოციალურ სამუშაოსთან. ამავე დროს, ამის ინკლუზიურ საფუძველზე განხორციელებას. აქვე ხაზს ვუსვამთ მაკრო პრაქტიკის აქტივიზაციის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი გლობალურ ჩრდილოეთში გაბატონებული ტენდენციის ფონზე, სადაც მიკრო-პრაქტიკამ აქტიურად ჩაანაცვლა შედარებით ფართო საკითხების მაკრო დონეზე განხილვის ტრადიცია, მაგალითად როგორცაა სიღარიბის ან სოციალური დეპრივაციის სხვა ფორმების მიკრო-დონეზე დაყვანით. ეს კი რეალურ პრობლემას წარმოადგენს ბევრგან. ამავედროულად, ეს არ არის მონოდება მიკრო-დონის პრაქტიკების უკუგდებისკენ, არამედ, ეს გულისხმობს ფართო ხედვის განვითარების იდეას სოციალური სამუშაოს ძირითად საქმიანობასა და მეთოდებში.

მეოთხე, სოციალური სამუშაო კონტექსტუალურია და ასეთადაც უნდა იყოს მიჩნეული. ეს ხალხისა და მათი პრობლემებისადმი ინდივიდუალურ, განყენებულ მიდგომებს კი არ აღიარებს მხოლოდ (პიროვნება-გარემოში მიდგომა), არამედ, წინა საკითხის მსგავსად, სოციალური სამუშაოს არსებულ სოციალურ კონტექსტში გააზრებას მოითხოვს.

მეხუთე, ლოკალურ დიალოგს, რომელიც მრავალფეროვნებას აღიარებს კონკრეტულ კონტექსტებს შორის და უშუალოდ ამ კონტექსტშიც, „ავთენტური“ ლოკალური (ე.ი. „ინდივიდუალური“ ამ დებატების პირობებში) სოციალური სამუშაოს განვითარების ფასილიტაციის პოტენციალი გააჩნია. შემდეგ ეს უფრო ძლიერ საფუძველს ქმნის უფრო თანასწორი საერთაშორისო დიალოგისთვის.

ამით შემოთავაზებულია იმ ნაბიჯთა ერთობლიობა, რომელიც ცდილობს დაადგინოს რა არის საერთო, „პირველადი“ ან „საბაზისო“. რასაკვირველია, განზოგადების მაღალი დონის აღიარებით, ამგვარ მიდგომაში, პირველადი იდეების გამოყენების კონკრეტული გზები შეიძლება შემდეგ „მეორად“, ან „ადგილობრივ დეტალად მივიჩნიოთ“. აქ ერთი ნამდვილად არ არის მეორეზე მნიშვნელოვანი (როგორც ეს რიგითი კატეგორიების გამოყენებით შეიძლება იგულისხმებოდეს), არამედ, მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ერთი არის ფრინველის სხეული, მეორე კი მისი ბუმბული (ნუსხაუმი, 2000. გვ 50). მაგალითად, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ აშკარა განსხვავებები არსებობს ქვეყნებს შორის ისეთ საკითხებში, როგორცაა ბალანსი მიკრო და მაკრო დონის ფოკუსს

შორის, თუ რამდენად განიხილება სოციალური განვითარება როგორც სოციალური სამუშაოს ნაწილი ან ცალკე ერთეული, ანტი-რასისტული და ანტი-დისკრიმინაციული პრაქტიკის ზუსტი მნიშვნელობა, ან თუ რამდენად არიან დასაქმებულნი სოციალური მუშაკები სამთავრობო, ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ამის მსგავსად, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მაშინ, როცა ერთ ქვეყანაში საუნივერსიტეტო, მაგისტრის ხარისხია საჭირო პროფესიული აღიარებისთვის, მეორე ქვეყანაში ტექნიკური კოლეჯის დიპლომი წარმოადგენს ათვლის წერტილს პროფესიული სოციალური სამუშაოს კვალიფიკაციისთვის. თუმცა, ყველა ამ სიტუაციაში შეთანხმებულია, რომ სათანადო განათლება, შესაბამისი ცოდნა, უნარები და ფასეულობები აუცილებელია სოციალური სამუშაოსთვის (ბარნსი და ჰუმანი, 2000). აღნიშნული განსხვავებების მიღებას, რაც თითოეულ ადგილობრივ კონტექსტში არსებობს, შეუძლია უფრო ღია დიალოგს შეუწყოს ხელი, ვიდრე მოსაზრებას კრიტერიუმების ჩამოყალიბების შესახებ, რადგანაც აღნიშნული კრიტერიუმები არა მხოლოდ რთული იქნება ზოგიერთი ქვეყნისთვის, არამედ, ფაქტობრივად, არარელევანტური (და საზიანოც კი) გახდება იქ სოციალური სამუშაოს განვითარებისთვის.

თუმცა, გვრჩება ისტორიული და პოლიტიკური რეალობა, რაც ქვეყნებსა და კულტურებს შორის ურთიერთობებში უთანასწორობას გულისხმობს. აღნიშნული იდეების და ფასეულობების იდენტიფიცირების პლურალისტური მეთოდი, რომელიც მიჩნეული იყო როგორც პირველადი, ამას უნდა ითვალისწინებდეს. კოლონიალიზმის საუკუნეები და ნეოკოლონიალიზმი, რომელიც გლობალიზაციის ბევრ ასპექტს მოიცავს, უნდა დაიძლიოს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გზებით. როგორც გრეი და ფუკი (2004. გვ 632) შეგვახსენებს, სეიდი (1978) თავის „ორიენტალიზმის“ (ინტელექტუალური ტენდენცია ანთროპოლოგიაში, ისტორიაში, პოლიტიკასა და ა.შ. „აღმოსავლური“ კულტურის იდეალიზებისა და, ამავედროულად ჰომოგენიზაციის მიზნით) კრიტიკაში აღნიშნავდა, რომ „აღმოსავლეთის“ ხალხმაც კი შეიძლება შეისისხლხორცოს „დასავლური“ კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ ის მათთვის რთულად საიდენტიფიკაციო და გასაცნობიერებელია. „დეკოლონიზაციის“ პროცესი ერთ-ერთი საკითხია, რომელიც ყველას დააფიქრებს სოციალურ სამუშაოში, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც საერთაშორისო სოციალურ სამუშაოსთან აქვს კავშირი, ან მასშია ჩართული (ყველა განზომილებით, რომელიც ან ამ წიგნშია იდენტიფიცირებული, რაც შეიცავს საშინაო პრაქტიკას სხვა ქვეყნების ხალხთან). აუცილებელი ხდება, რომ გამოვავლინოთ და კრიტიკული პასუხი გავცეთ კოლონიალიზმის ზეგავლენას ჩვენს თეორიებსა და პრაქტიკებში. ეს ასევე სინამდვილეს წარმოადგენს სოციალური მუშაკებისთვის ავსტრალიის, კანადის, ახალი ზელანდიის და შეერთებული შტატების ახალმოსახლეების საზოგადოებაში, იმის მიუხედავად, ისინი აბორიგენები არიან, თუ „მეინსტრიმის“ წარმომადგენლები (ავსტრალიური ტერმინი რომ გამოვიყენოთ).

გრეისა და ფუკის (2004) რეკომენდაციები იდეების და ქმედებებისადმი ინკლუზიური და მოქნილი მიდგომისთვის, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია ჩავეჭიდოთ იდეას, რომ სოციალური სამუშაო ცალკე ერთეულია, საერთაშორისო დონეზე ეხმაურება მიდგლის (1981) მონოდებას პრაგმატიზმისკენ (მომენტი, რასაც ისინი აღიარებენ). მიდგლის არგუმენტისთვის ეს მთავარი საკითხია, რის გამოც ის გამაფრთხილებელ შენიშვნას ურთავს: სოციალური სამუშაოს სხვადასხვა ხედვის შესაფერისობის ტესტი არის ის, რომ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ კონკრეტულ კონტექსტს. როგორც მიდგლი აღნიშნავს (1981. გვ. 170-2), თეორიების და პრაქტიკების მიღება არ უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ნიშნულზე, რომ ისინი იმ ქვეყნებიდან არიან, სადაც სოციალური სამუშაო დიდი ხანია არსებობს. ისევე, როგორც ახალი იდეები „არ უნდა იქნას მიღებული მარტო იმიტომ, რომ ისინი დასავლური სამუშაოს ალტერნატივას გთავაზობენ“. ამას გარდა, სოციალური მუშაკები არ უნდა ცდილობდნენ უნარები აიმაღლონ პრაქტიკის სხვა მეთოდებში, თუ მათი ინტეგრირება პროფესიაში ვერ მოხდება. აღნიშნული არგუმენტი ნიშნავს, რომ მიკრო-დონის პრაქტიკები არ უნდა იქნას ავტომატურად განხილული როგორც შეუსაბამო გლობალური სამხრეთის ქვეყნებში, მხოლოდ შეკითხვა უნდა დაისვას იმის შესახებ თუ რამდენად შესაფერისია ესა თუ ის პრაქტიკა ამ კონკრეტული კონტექსტისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკები ვითარდება და ისინი პრაგმატულად უნდა შეესაბამებოდეს მათ კონტექსტს და არ უნდა დაინერგონ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სოციალური სამუშაოს პრაქტიკის დომინანტური ფორმებია, რომლებიც განხორციელდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა თუ ავსტრალაზიაში. ამას კი მივყავართ დასკვნამდე, რომ იმის არბიტრები, თუ რა შეიძლება იყოს სოციალური სამუშაო და რა უნდა გააკეთოს, უნდა იყვნენ ისინი, ვისაც მისი განვითარება ნამდვილად ადარდებს ნებისმიერ პრაქტიკულ კონტექსტში. ამ კუთხით აზროვნების ხელშეწყობა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა სოციალური სამუშაოს მასშტაბი და მრავალფეროვნება მიღებული და აღიარებული იქნება, როგორც კონკრეტულ ასევე სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

## VI

### სოციალური სამუშაოს თეორიები

## სოციალური სამუშაო, როგორც დისციპლინა და პროფესია

სილვია შტაუბ-პერნასკონის მიერ

[...] სოციალური სამუშაო ხშირად მიიჩნევა ჰეტეროგენურ სფეროდ და მარტეულადაც. ამის შედეგად, სოციალური სამუშაოს თეორიული ასპექტის ინტერპრეტაცია მრავალფეროვანია. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, სწორედ მისი ჰეტეროგენურობა ხდის შეუძლებელს თეორიული ბაზის შექმნას. ამ მოსაზრების მომხრეთა აზრით, სოციალური სამუშაო პრაქტიკაში შერჩევით მიმართავს ისეთ პროფესიულ დისციპლინებს, როგორცაა სამართალი, პედაგოგია, ეკონომიკა. გამოდის, რომ სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ „მინი“ სამართლის ექსპერტები, „მინი“ განმანათლებლები, „მინი“ სოციალური ინჟინრები/მენეჯერები, „მინი“ ფსიქოთერაპევტები და ა.შ. ბევრი კურიკულუმი სოციალურ სამუშაოში იდენტიურია ამ მხრივ. ეს პოზიცია არამართებულია იმ მხრივ, რომ უგულებელყოფს ფაქტს, რომ ყველა პროფესია, გამონაკლისის გარეშე ეფუძნება და უნდა ეფუძნებოდეს კიდევ ტრანსდისციპლინურ ცოდნის ბაზას, თუ მას აქვს პრეტენზია, რომ არის პროფესია (შტაუბ-ბერნასკონი, 2009).

მეორე პოზიცია იაზრებს სოციალურ სამუშაოს, როგორც სოციალური პრაქტიკის შემდეგ მეთოდთა ნაერთს: ფსიქოდინამიკური, ბიპვეიორისტული, ამოცანაზე ორიენტირებული, ინტერაქციული, ეკოლოგიური, კომუნიკაციური, რადიკალ მარქსისტული, ანტიოპრესიული, პოსტმოდერნისტული ადვოკატობა/გაძლიერების მეთოდს (პეინი 1991, ჰოუ 1998, 1987, სტიპნი და ფორდი 2000, ჰილი, 2005 შტაუბ-ბერნასკონისთან, 2009). ეს „მოდელები“ უფრო ხშირად წრმოდგენილია კუმულატიური სახით, იმ პრობლემების განსაზღვრის გარეშე, რომლის გადაჭრაც ევალებათ და თითქოს ცდილობენ. ბევრი თვლის, რომ მათ გარეშე შეუძლებელია პრობლემების გადაჭრა სოციალურ სამუშაოში. მაგრამ რადგან ეს მოსაზრება ნაწილობრივ მაინც მცდარია, ახალ-ახალი მოდელები ვითარდება. მოვლენების ფეხდაფეხ სიარულისათვის აუცილებელია „მოდისა“ და კონცეფციათა „სეზონური ციკლის“ მდევარი იყო (შტაუბ-ბერნასკონი, 2009:10).

სოციალური სამუშაოს კონცეპტუალიზაციის მესამე გზაა მისი განსაზღვრა, როგორც „მორალური პროფესიისა“ ან „ეთიკური კარიერისა“, რომელიც ორიენტირებულია (ჯონსი და სხვები, 2007: 201–202) ჰუმანიტარულ, სოციალურ სამართლინობასა და/ან დემოკრატიულ ფასეულობებზე. ამ იდეოლოგიის საფუძველზე შემნილი პრაქტიკა „მართებული“ ეთიკური მრწამსისა და საქციელის გარანტორი უნდა იყოს და აკრიტიკებდეს ისეთ საზოგადოებრივ იდეოლოგიას, რომელიც ემყარება კაპიტალიზმს, პატერნალიზმს, პატრიარქატსა და ნეო-ლიბერალიზმს. აქ კი ჯანსაღი საბაზისო ცოდნის ფასეულობებითა და მორალით ჩანაცვლების რისკი ჩნდება. ეს შეხედულება კი სოციალურ მუშაკებს

არასწორი ემპირიული რწმენით აღავსებს, რომ თითქოს ისინი ყოველთვის არ-  
იან ისტორიის „კარგ“ მხარეს ( სონი, 2009:10).

მეოთხე პოზიცია წარმოადგენს მაკროთეორიული მიდგომების „მნიშ-  
ვნელოვან სოციალურ თეორიებს“, რომლებიც ეფუძნებიან ზოგად, აბ-  
სტრაქტულ კონცეფციებს: პარსონის სტრუქტურულ-ფუნქციურ თეორიას,  
მარქსის თეორიას, ან უფრო ახალ კრიტიკულ თეორიებს, როგორცაა ფრანკ-  
ფურტის სკოლის (ჰაბერმასი), ბეკის რისკის საზოგადოება, ლუმანის სოციალურ  
სისტემათა თეორია, ფუკოს სოციალური ინსტიტუტების კრიტიკული ანალიზი  
და ა.შ. უმრავლესი ამ ავტორისათვის (ბურდოს გარდა), სოციალური სამუშაო  
არის სოციალური პრაქტიკის პანანინა, მარგინალური, უარყოფითი მაგალითი.  
ამ თეორიებს აკლიათ ადამიანის კომპლექსური თეორიული ხედვა. მათი აზრით,  
ყველა უარყოფითი შედეგი ნატურალისტური და საინჟინრო მეცნიერებები-  
საგან დაწყებული ევგენიკური დებატებით დამთავრებული მომდინარეობს სა-  
კონცენტრაციო ბანაკებიდან (შტაუბ-ბერნასკონი 2009:11).

მეხუთე მიდგომა სოციალური სამუშაოს ჰეტეროგენურობის შესახებ ამტ-  
კიცებს, რომ ერთადერთი შესაძლო მიდგომა თეორიის ჩამოსაყალიბებლად არის  
ეკლექტიკური მიდგომა, რომლის მიხედვითაც „ყველაფერი გამოდგება“ თუ  
„იმუშავებს“ პოზიცია, რომელიც გამყარებულია პოსტმოდერნისტული, ეპისტე-  
მოლოგიური თეორიებით, რომლებიც ეფუძნება ჭეშმარიტებისა და ასევე ნეო-  
ლიბერალური მიდგომის ნაზავ თეორიას (შტაუბ-ბერნასკონი, 2009:11). ყველა  
ამ მოსაზრებას აკლია სოციალური სამუშაოს არსის გააზრება, რაც ონტოლო-  
გიური შეცდომაა ან არ ძალუძს პროფესიული თეორიიდან წამოჭრილი ეპის-  
ტემოლოგიური საკითხების გარკვევა, როგორცაა ცვლილების ან ქმედების  
სისტემების აღწერა, განმარტება, შეფასება, განსაზღვრა, საჭირო რესურსები  
და ქმედების გზამკვლევის შემუშავება ცვლილების მხარდასაჭერად.

წარმოდგენილი მიდგომების საპირისპიროდ, ლავლოკი და სხვები (2004)  
წარმოადგენენ უფრო ინტეგრირებულ მიდგომას „სოციალური სამუშაოს დის-  
ციპლინისა და პროფესიის“ შესახებ. მათი მიდგომა „ღია სამკუთხედს“ წარ-  
მოადგენს, რომელიც შედგება თეორიისაგან, [...] კვლევისა და პრაქტიკისაგან,  
ან „გამოყენებით სოციალურ მეცნიერებას დამატებული სოციალური სამუშაოს  
ფასეულობები და უნარები“ დაკავშირებული დინამიკურად (შტაუბ-ბერნასკო-  
ნი, 2009:11). სოიდან (1999) ფიქრთა ამ მიმდინარეობას უფრო სისტემურად  
მიჰყვება ამბობს რა, რომ სოციალური სამუშაოს არსი, როგორც მეცნიერული  
დისციპლინისა და პროფესიისა არის „ მის განზრახვაში გააერთიანოს თეორია,  
ცვლილების პროგრამები და ქმედების აგენტები“ (op. cit.:7). ეს არის ძირი-  
თადი მეცნიერული მიდგომა, რომლის მიზანია დააკავშიროს შემდეგი ელემენ-  
ტები: ინდივიდის შესახებ თეორია, როგორც ბიოლოგიური, ფსიქიკური და  
სოციალური არსებისა, როგორც სხვადასხვა სოციალური სისტემების წევრი;  
საზოგადოებასა და კულტურას და ინდივიდსა და საზოგადოება/კულტურას  
შორის ურთიერთობის თეორია; პოლიტიკის ან პროგრამის, როგორც პრობ-

ლემური სიტუაციების ცვლილების სქემა; და ადამიანთა ჯგუფი, მათ შორის  
პროფესიონალების, რომლებიც ჩართულები არიან სოციალური ორგანიზაციის  
სხვადასხვა ფორმებში (სოციალური მომსახურება, სოციალური მოძრაობა, სო-  
ციალური ქსელები) და რომლებსაც აღებული აქვთ ვალდებულება ეს ცვლი-  
ლება განახორციელონ სფეციფიკური მეთოდებით.

განსხვავებული პოზიციებია სოციალური სამუშაოს მეცნიერულ მიდგომებ-  
სა და პროფესიულ პრაქტიკას შორის ურთიერთკავშირისადმიც. ერთი მიდგომა  
აქცენტს აკეთებს ობიექტური ახსნისა და სუბიექტური გაგების დუალიზმზე  
(ოვერმანი, 1996), ამტკიცებს რა რომ გონებრივი პროცესების ინტერპრეტა-  
ცია აუხსნელია. მეორე პოზიცია ამტკიცებს, რომ მეცნიერება და პრაქტიკა,  
როგორც ორგანიზებული სოციალური სისტემა, განსხვავებულსა და შეუთავს-  
ებელ ლოგიკას ემყარება (შტიჩვი, 1994, უინკლერი, 1995): პირველი ჭეშმარიტე-  
ბას ეძიებს, მეორე კი ეფექტიანობას. გამოდის, რომ პრაქტიკოსი შებორკილია  
სისტემის ეფექტიანობის ლოგიკით, რაც ნიშნავს, რომ მას არ შესწევს უნარი  
გარდაქმნას მეცნიერული ახსნა ქმედებების და/ან ცოდნის და პრინციპების  
ეფექტიან სახელმძღვანელო საშუალებად რეალობის ცვლილებისა და პრობ-  
ლემების გადაჭრისათვის. არადა, ფენომენოლოგიური, განმარტებითი და ნორ-  
მატიული ცოდნის ტრანსფორმაცია ქმედების გზამკვლევად ყველა პროფესიის  
წარმომადგენელთა უმთავრესი ამოცანაა იქნება ეს თერაპევტი, არქიტექტორი,  
ფიზიკოსი, მენეჯერი თუ სოციალური მუშაკი (ბანჯი, 1995, ბორმანი, 2005;  
შონი, 1983). ეს მიდგომა, სოიდანის მიდგომასთან ერთად (1999) აყალიბებს  
სოციალური სამუშაოსადმი ხედვას, რომელიც არ გამოყოფს მეცნიერულ თეო-  
რიას პრაქტიკის მეთოდებისაგან და რაც კიდევ უფრო პრობლემურია, ლე-  
გიტიმურს ხდის დაპირისპირებას პრაქტიკასა და პრაქტიკის თეორიასა და  
მეცნიერულ თეორიას შორის, შესაძლოა ამ უკანასკნელის უგულვებლყოფის  
ხარჯზე, როგორც არასაიმედო, არასაჭირო და არაეფექტიანი. [...]

### **მერი რიჩმონდი და ჯეინ ადამსი: სოციალურ სამუშაოს ორი მთავარი თეორიული ტრადიციისაკენ გზის გაკაფვა**

სოციალური სამუშაოს თეორიული იდეების (სოიდან, 1999) სადავედ ორი  
კლასიკური თეორეტიკოსის კონტრიბუცია მიიჩნევა: მერი რიჩმონდისა (1917)  
და ჯეინ ადამსის (1902). რიჩმონდი ინდივიდსა და მის პიროვნულ მახასიათე-  
ბლებსა და დაუკმაყოფილებელ საჭიროებებზე აპელირებს კონტრეტულ სო-  
ციალურ გარემოში. იგი სოციალური პრობლემების ძირითად წყაროდ ადამიანს  
მიიჩნევს და მისი ცვლილების პროგრამა სრულად ადამიანზეა ორიენტირე-  
ბული, ამიტომაც შემთხვევაზე მუშაობა მისთვის ცვლილებისათვის ბრძოლის  
მთავარი მეთოდია. ადამსი კი საზოგადოების სტრუქტურულ და კულტურულ  
მონყოლაზე ამახვილებს ყურადღებას და მათ ზემოქმედებაზე ინდივიდზე და პი-

რიკით. ამიტომ სტრუქტურული ცვლილებისათვის ბრძოლაა მისთვის ბრძოლის ერთადერთი მართებული გზა. [...]

**სოციალური სამუშაოს სხვადასხვა თეორიები და მეთოდები, შემდეგ მახასიათებლებზე დაყრდნობით: ინდივიდის, ინდივიდებს შორის ინტერაქციის, და ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთკავშირის ფონზე.**

*ინდივიდზე ორიენტირებული თეორიული და პრაქტიკული მიდგომები*

ეს მიდგომები კონცეპტუალურად გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე რიჩმონდის კონტრიბუცია ინდივიდთან მუშაობაში. ისინი ფუკუსირებენ ინტრა-ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე და არ აქცევენ ყურადღებას სოციალურსა და კულტურულ ზეგავლენებს (პეონი, 1991).

*ფსიქოდინამიკური კონცეფცია და ფსიქონალიტიკური თეორია:* რიჩმონდისა და სალომონის კონტრიბუციის შედეგად ამ ტიპის თეორიები ძლიერ განმარტებით თეორიებად იქცნენ პრაქტიკულ საქმიანობაში (ჰოლისი, 1964). ისინი ფროიდის ფსიქონალიტიკურ თეორიას ეფუძნებოდნენ, ლიბიდოსთვის ინსტრუმენტალური მნიშვნელობის მინიჭებით ძირითადი ფიზიკური და სექსუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის და იდის, ეგოსა და სუპერეგოს განვითარების ფაზებით. ამ პროცესში პრობლემის წარმოქმნის მიზეზი არის კონფლიქტი იდსა და სუპერეგოს შორის. შედეგად მიღებული შფოთვა თავდაცვის მექანიზმს წარმოქმნის, რომელიც ხელს უშლის რეალობის აღქმას. ფლორენს ჰოლისის (1964) მიერ სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში ადაპტირებულმა ფსიქონალიტიკურმა თეორიამ განავითარა ურთიერთობების მდგრადობის, შფოთთან გამკლავების ტექნიკის, დაბალი თვით-შეფასების და თვით-დაჯერების ნაკლებობის კონცეფციები. მისი ძირითადი ფოკუსიც ინდივიდი იყო.

სოციალური მუშაკის როლია გრძნობების, შეხედულებების ინტერპრეტაცია, რესურსების მიწოდებისა და მოპოვების, მედიატორისა და დამცველის ფუნქციის შესრულება. საზოგადოება შეიძლება არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ სოციალური მუშაკის ფუნქციაა დაეხმაროს ადამიანს მისი პრობლემების გაანალიზებასა და გადაჭრაში, რეალისტური – შფოთისაგან თავისუფალი პერსპექტივის განვითარებაში და მასთან ადაპტირებაში. ამ თეორიების მომდევნო განვითარება გამონეული იყო გრძელ-ვადიანი ფსიქოდინამიკური და დირექტივას მოკლებული მეთოდებით უკმაყოფილებით, რადგან ისინი ხელმიუწვდომელი იყო დაბალი კლასისათვის.

*ქცევითი თეორიები და სოციალური სამუშაოს მეთოდები* წარმოიშვა ექსპერიმენტული ქცევითი ფსიქოლოგებისაგან, რომლებიც აკრიტიკებდნენ დი-

ფუზიურ, ძნელად ტესტირებად ფსიქონალიტიკურ თეორიებს (ჰაუი 1987:82–95). ბენეფიციარის ქცევა განიხილება, როგორც ბრაზსა და აგრესიასთან გამკლავების უნარი სხვადასხვა სიტუაციაში. ქმედებაზე–დაფუძნებული კონცეფციები მოიცავს სტიმულებზე რეაგირების კლასიკურ კონცეფციას. სოციალური მუშაკები უნდა მუშაობდნენ ინდივიდის ქცევისა და ამ ქცევის სოციალური შედეგების ურთიერთქმედებაზე, სასურველი ქცევის გაძლიერებასა და არასასურველის აღკვეცაზე. მთავარი მიზანია შესაფერისი როლური ქცევის გამომუშავება როგორც მშობლის, მოსწავლის, დაქირავებულის და ა.შ.

*კოგნიტური თეორიების* (გოლდშტეინი, 1981) მიხედვით, ადამიანი რეალობისა და პრობლემების საკუთარ ვერსიას აგებს საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით. სტიმულების ტრანსფორმაცია ხდება ცნობიერების, ყურადღების, აღწერისა და ინტერპრეტაციის პროცესის ქცევაში ასახვით. შესაძლოა არსებობდეს კონფლიქტი თვით-აღქმასა და სხვების მიერ ინდივიდის ან ქცევის აღქმას შორის. სოციალური მუშაკის ამოცანაა ისეთი საკითხების შესწავლის სტრატეგიის მხარდაჭერა, როგორცაა დისკრიმინაცია, კონცეფციის ფორმირება, ფასეულობების ჩამოყალიბება და პრობლემის გადაჭრა, რაც დღიურის/ჩანაწერების საშუალებით წარმოებს. სოციალური მუშაკი კონფრონტაციას უწევს ბენეფიციარს შეუთავსებლობებისა და ფიქრის ალტერნატიული მსვლელობის შეთავაზების გზით. მთავარი მიზანია იმის დანახვა, რომ არასასურველი და პრობლემური სიტუაციები შესაძლოა არ არის რაციონალური, მაგრამ უნდა გამოსწორდეს რაციონალური და ემპირიული მიდგომით.

*ამოცანაზე-ორიენტირებული სოციალური სამუშაო* (რეიდი და ეპშტეინი, 1972) მიზნად ისახავს ფსიქოდინამიკური სოციალური სამუშაოს ხანგრძლივი მხარდამჭერი ურთიერთობის რაციონალურად დაგეგმილი „მოკლე-ვადიანი თერაპიით“ ჩანაცვლებას. ის თავის მეთოდებად უარყოფს სფეციფიკურ ფსიქოლოგიურ ან სოციოლოგიურ საფუძვლებს, რადგან არავითარ თეორიას არ ძალუძს იმ მრავალფეროვანი პრობლემების ადეკვატურად ახსნა, რის წინაშეც სოციალური სამუშაო დგას. ცენტრალური მნიშვნელობისაა ის პრობლემები და ასპექტები, რომლებსაც ადამიანი მიიჩნევს პრობლემურად და სურს მათი შეცვლა. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის პრობლემა მიღებულია, როგორც მოცემულობა, რომელიც პრაგმატულად უნდა გადაიჭრას.

*ძლიერი მხარეების განვითარება* (სალიბი, 2002) და *გადანწყვეტილებაზე ორიენტირებული მიდგომები*. სიძლიერე და მოქნილობა დანახულია, როგორც პრობლემების გადალახვისათვის აუცილებელი რესურსი. „შიზოფრენიკი“, რომელიც მსხვერპლად იყო მიჩნეული ახლა მიიჩნევა „შიზოფრენიისაგან გადარჩენილად“, რომელმაც გადარჩენის საოცარი უნარები განვითარა. ამ პრაქტიკის მთავარ ამოცანას პრობლემასთან გამკლავებისათვის წარმოადგენს

ფიქრსა და ქცევაში მცირე ცვლილებების განხორციელება. ძლიერ მხარეებზე ფოკუსირებული მოსმენა მთავარი მეთოდია, და მოიცავს ერთობლივად დაკვირვებას, აღმოჩენას, რაც იმედის გრძობისა და ახალი ქცევის ცდის ნახალისებას ემსახურება. ამ მოდელის პრობლემა იმაშია, რომ თეორია და პრაქტიკა განსაზღვრავს სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ პრობლემას (შფოთი, უარყოფითი თვით-აღქმა, არაადეკვატური ქცევა და ა.შ.). თუ მხოლოდ ერთი პრობლემაა იდენტიფიცირებული, სიციალური სამუშაო სერიოზული ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური ან სტრუქტურული პრობლემების უგულებელყოფის რისკის წინაშეა. სხვაგვარად თუ ვიტყვით, საჭიროა პირიქით პროცესის წარმოება – გამოკვეთილმა პრობლემებმა უნდა განსაზღვრონ მეთოდის არჩევა.

ეს ორი ბოლო მეთოდი „სწრაფი შეკეთების“ ვერსიებია სოციალურ სამუშაოში და აკლიათ განმარტებითი თეორიები (ჯეიმისი ლოვლოკთან და სხვებთან, 2004). მათი გამოჩენა „მეთოდთა ბაზარზე“ ემთხვევა ნეო-ლიბერალიზმის ჰეგემონიის დასაწყისს აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიაში და ევროპაში, რომლის განვითარებაც სოციალური მომსახურებების ნეო-კლასიკური ეკონომიკის დისკუსიითაა გაჟღერებული და საბაზრო და მენეჯმენტის კონცეფციებშია ფესვგამდგარი. ისინი ითხოვენ კეთილდღეობის სისტემისა და მისი პატერნალიზმისაგან გათავისუფლებას, სოციალური მომსახურებების მომხმარებელთათვის არჩევანის თავისუფლებას, რაც სიმეტრიულ ინტერაქციაში გამოიხატება სოციალურ მუშაკსა და ბენეფიციარს შორის და ამ უკანასკნელის სრულ თავისუფლებას გადანყეტილების მიღებისას. განმარტებისა და დიაგნოსტიკის გარეშე, ეს ცნებები ემპირიულ საფუძველს მოკებულა. და ამავე დროს, მათ მიყვარათ დე-პროფესიონალიზაციის პროცესისაკენ, და პროფესიული სოციალური მუშაკების ორგანიზაციული და ადმინისტრაციული შემთხვევის მმართველი სოციალური მუშაკების ჩანაცვლებამდე სოციალური კეთილდღეობის მრავალ სფეროში.

### **ინტერაქციაზე, კომუნიკაციაზე ან ინდივიდებს შორის ქსელებზე ორიენტირებული თეორიები და მეთოდები**

ეს თეორიები ცდილობენ გასცდნენ ინდივიდზე ორიენტირებულ მიდგომებს და მოიცვან მისი გარემოსთან ურთიერთობისა და სხვა ინდივიდებთან კომუნიკაციის ასპექტები, ერთგვარად მერი რიჩმონდის კონცეპტუალურ მიდგომას ვუბრუნდებით. თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი არეალი მოიცავს სოციალური მუშაკის მუშაობას ოჯახებთან, ჯგუფებთან, როგორც ორგანიზაციის ქვე-სისტემასთან. ზოგიერთი თეორიული მიდგომა აქცენტს ფსიქოდინამიკურ თეორიაზე აკეთებს, ზოგიერთი კი ქცევით თეორიაზე; მათი უმრავლესობა მაინც სიმბოლურ ინტერაქციას და როლურ მოლოდინზეა ფოკუსირებული, განსაკუთრებით იარლიყის მიკვრასთან, სტიგმატიზაციასთან, დადანაშაულებასა

და ექსკლუზიასთან მიმართებით (მიდისა და გოფმანის ნაშრომები). თუმცა, აქცენტი ასევე კეთდება სოციალური მუშაკებისა და სხვა „ადამიანთა დამხმარე ორგანიზაციების“ პროფესიონალთა მიერ სტიგმატიზაციისა და მარგინალიზაციის საკითხებზე.

*ტრანზაქციული ანალიზი* ცნობილი მიდგომაა სოციალურ სამუშაოში ოჯახებთან. ის ეყრდნობა ფსიქოდინამიკურ თეორიას და ხაზს უსვამს პიროვნებების ეგოებს შორის ინტერაქციას (ბერნი, 1961, 1964), როდესაც ტრანზაქცია მოიცავს სხვადასხვა ეგოს მდგომარეობას, პრობლემებს, გაუგებრობებს და უარყოფითი იარლიყების მიკვრას. სოციალური მუშაკის როლია იმ კომუნიკაციური მოდელების გაანალიზება და შეცვალა, რაც სხვა ადამიანს თავს ცუდად, არაკომპეტენტურად, უსუსურად აგრძობინებს. მეორე მიდგომა ფოკუსირებულია პრობლემატურ და პარადოქსულ კომუნიკაციებზე ოჯახის წევრებს შორის. ამის მხილება ხდება პარადოქსული ინტერვენციით ან პრობლემატური ოჯახის წევრების გარშემო არსებული მითის დანგრევით. ამას მოსდევს ოჯახის არქიტექტურის, როლური თამაშების, ვიდუო ჩანაწერების, საშინაო დავალებებისა და მედიაციის ტექნიკის გამოყენება (კისშტ-აშმანი და ჰალი, 1993).

*სოციალური სამუშაო ჯგუფებთან.* ფოკუსირებულია ჯგუფის წევრებს შორის ინტერაქციით ინტერვენციაზე, და ამას მიიჩნევს ჯგუფის და/ან ორგანიზაციის სტრუქტურის და კულტურის შედეგად (კისშტ-აშმანი და ჰალი, 1993: 82–113). ჯგუფის წევრებს იგივე როლები აქვთ, მხოლოდ მცირე ცვლილება ხდება ძალთა გადანაწილებაში, ან შესაძლოა შრომის განაწილებაში. ცვლილების მიზნიდან გამომდინარე, ადამიანმა უნდა ისწავლოს გრძობების, მოვლენების ირგვლივ მოსაზრებების, ცოდნის, მხარდაჭერის და სოლიდარობის განაწილება. მომდევნო სასწავლო პროცესი გულისხმობს ჯგუფისა და ძალაუფლების სტრუქტურის მონაწილეობრივი და დემოკრატიული გზით შეცვლას. სოციალური მუშაკის როლია მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებით იყოს ამოცანაზე და ქმედებაზე ორიენტირებული. აქედან უკანასკნელს შეუძლია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიებების გააქტიურება ფართო საზოგადოებაში.

*სოციალური ქსელებისა და კოოპერატივების შენება.* ეს თეორიათა ნაკრებია, რომელიც სოციალური და კულტურული გარემოს რესურსების კონცეპტუალიზაციას ახდენს უფრო მხარდამჭერი, რესიპროკალური სამეზობლო ურთიერთობების ან კოოპერატივების ასაშენებლად საზოგადოებაში. ერთ-ერთი მაგალითია სამუშაო ადგილების შექმნა გრძელ-ვადიან უმუშევართათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ან უმცირესობებისათვის, რომლებსაც მცირე შანსი აქვთ დასაქმდნენ მეინსტრიმ ეკონომიკაში (ელსენი, 2007). ამ თეორიათა პრობლემა კომუნიკაციური მიდგომების ინტერაქციაში

მდგომარეობს, რაც „გაცვლა-გამოცვლით ურთიერთობაზე“ ფოკუსირებული და ძალიან მცირედაა დაინტერესებული ინდივიდის სოციო-კულტურული კონტექსტით, რომელიც ახდენს მასზე და მის ფსიქიკაზე, ინტერაქციაზე, კომუნიკაციაზე ზეგავლენას (ბურდო, 1983). ეს მიდგომები ხშირად აზრთა გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს, რაც კიდევ უფრო ავიწროვებს ამ თეორიას. ამ თეორიის აზრით, არ არის საჭირო სტერეოტიპების, იარლიყების, ცრუ მოსაზრებების და მათი „პროდუქტების“ – კლასიზმის, რასიზმის, სექსიზმის და ა.შ. განვითარების ახსნა სოციალიზაციისა და სოციალური სტრატეგიკაციის ფარგლებში. გაცვლა-გამოცვლითი ურთიერთობის თეორიულ კონცეფციაზე ფოკუსირებით, შესაძლოა მათი სისტემატიზაცია და ინტეგრირება სოციო-ეკონომიკურ რესურსებად (საჩუქრები, ფული ან სხვა მატერიალური სიკეთეები); ემოციურ და/ან კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ პროცესებად; ცოდნად/ფასეულობებად/წესებად; უნარებად და სოციალური კომპეტენციებად; ამ ამ ყველაფრის კომბინაცია. მაგრამ რა ხდება როცა გაცვლა-გამოცვლა ასიმეტრიულია, თუ ის არ აკმაყოფილებს რესპორტალურობის ღია და აღიარებულ ნორმას? ან ის გამოყენებულია სტაბილური ძალმომრეობითი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად?

**ინდივიდის, ჯგუფის და საზოგადოებისთვის ან მათ მიერ და სოციალურ აგენტებში ძალთა გადანაწილებაზე და სოციალურ ცვლილებაზე ორიენტირებული მეთოდები.**

ამ თეორიულ ტრადიციას ჯეინ ადამსთან და ნაჭუჭის სახლის ქალებთან მივყავართ, რომლებიც იყვნენ ფემინისტების, პაციფისტების ქომაგები და ქალ დასაქმებულებთან ერთად მონაწილეობდნენ პროფესიული კავშირების ორგანიზებაში. დღესდღეობით ამ თეორიების გაერთიანება შეიძლება რადიკალური სოციალური სამუშაოს ქვეშ, რაც გულისხმობს სტრუქტურულ, ფემინისტურ, ნეო-მარქსისტულ და ანტირასისტულ, ანტიოპრესიულ, ანტიდისკრიმინაციულ სოციალურ სამუშაოს. ეს თეორიები 1960-80-იან წლებში აღორძინდა (ფუკი, 1993, ლავარეტი და ფერგისონი, 2007). ისინი აკრიტიკებენ სოციალური პრობლემების სელექტიურ ფსიქოლოგიურ ახსნას, განსაკუთრებით კი ნაცვლად „განსაჯაროებისა“ მათ პირად პრობლემად განხილვას; საზოგადოების მიერ მსხვერპლის დადანაშაულებას; სოციალური სამუშაოს მომსახურების ინდივიდუალიზაციას, რაც ბენეფიციართა კოლექტიური ქმედებისაგან ჩამოშორებით ხორციელდება. ამ არგუმენტებს ახლავს სოციალური კეთილდღეობის სისტემის დაუნდობელი კრიტიკა, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური სააგენტოების გადამეტებულ სპეციალიზაციასა და ფონდების შემცირებას; ამ სააგენტოების მეინსტრიმის წარმომადგენლების მიერ მართვას, აქ დასადგურებულ ბიუროკრატას და „ღარიბთა მოთაფლვას“. მათი აზრით, კეთილდღეობის სის-

ტემა მმართველი კლასის მსახურია და არ ეხმარება მუშათა კლასს და მარგინალებს.

პროფესორთა ჯგუფმა მარქსისტულ ფილოსოფიას მიმართა სოციალური სამუშაოს „ჭეშმარიტი“ მიზნის შესახებ შეხვედრები: მოახდინოს სოციალური ცვლილებები (პოლშტეინი და მეინჰოლდი, 1973, ლეონარდი, 1975, გალპერი, 1980, ლავარეტი და ფერგისონი, 2007). გავრცელებული თეორიული ჰიპოთეზა იყო, რომ მომსახურების მიმღებებს – ღარიბებს, დაუსაქმებლებს, ქალებს (განსაკუთრებით კი მარტოხელა დედებს), აფრო-ამერიკელებს და ა.შ. – უნდა ემოქმედათ რაციონალურად თავიანთი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვით, როგორც კი გააანალიზებდნენ, რომ მათი პრობლემების ჭეშმარიტი მიზეზი თავად კი არ არიან, არამედ დისკრიმინაციული, ექსპლოატაციური და ოპრესიული სოციალური სტრუქტურული და კულტურული მოცემულობა. მეორეს მხრივ, სოციალური მუშაკები არ უნდა ხარჯავდნენ თავიანთ დროსა და ენერჯიას ბენეფიციარის ქცევის შეცვლაზე მხოლოდ იმისათვის, რომ ის გახდეს ე.წ. ნორმის სტანდარტის მიმდევარი.

*სტრუქტურულმა თეორიამ და სოციალურმა სამუშაომ* გააფართოვეს ეკონომიკური ფაქტორებით შემოსაზღვრული ეს მიდგომა და მოიცავს უსამართლობის, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის ურთიერთდამოკიდებული ფაქტორები (ალინსკი, 1971, მორიუ, 1990, მულალი, 1997). ამ თეორიის მიხედვით, კაპიტალისტური მაკროსოციალური სტრუქტურა განსაზღვრავს ცხოვრების შანსებს ისეთი სოციალური კატეგორიების მიხედვით, როგორცაა კლასი, რასა, გენდერი, სექსუალური, რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნები. თითოეულ კატეგორიას თავისი „მონყვლადი ინდივიდები და ჯგუფები“ ჰყავს, რომლებიც არიან სოციალური სამუშაოს მომსახურების პოტენციური და ფაქტიური მომხმარებლები. სწორედ ძალთა ურთიერთობის/ზეგავლენის გადანაწილება სოციალურ სააგენტოებს, სოციალურ მუშაკებსა და ბენეფიციარებს შორის ექცევა ამ თეორიის განსჯისა და დაკვირვების სამიზნეში.

სოციალური მუშაკების სხვადასხვა მონყვლად ჯგუფებთან მუშაობის სამი მიმართულება იკვეთება: პირველია, ძალიან კრიტიკული, ოპრესიული კაპიტალისტური სისტემის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს მუშათა კლასს, მარტოხელა დედებს და ა.შ. და მათ არგებს დასაქმების მოთხოვნებს; მეორე, სოციალური ცვლილების ქომაგი, რომელიც ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოების ორგანიზებასა და კოლექტიურ ქმედებას უწყობს ხელს; მესამე, ორივე, როგორც კაპიტალიზმის, პატრიარქალური და რასისტული საზოგადოების აგენტი და ამავდროს განზრახ ან უნებლიეთ ცვლილების გამტარი ახალი პერსპექტივების, ცოდნის, ძალაუფლების გადამცემი, რაც მუშათა კლასს, საზოგადოებას და მარგინალურ ადამიანებს სჭირდებათ იმისათვის, რომ მოახერხონ თვით-ორგანიზება და მიზნის მიღწევა. [...]

## ინტეგრაციისაკენ ლტოლვა: სისტემური თეორიის ოთხი ტალღა (ჰილისთან, 2005)

სოციალური სამუშაოს მრავალი თეორიის არსებობამ გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანეს: ერთი არის ის, რომ დავნებდეთ თეორიების ამ სიმრავლეს და სოციალური მუშაკის სუბიექტურ გადაწყვეტილებას მივანდოთ არჩევანის გაკეთება; მეორეა ინტეგრირებული თეორიული ჩარჩოს მონახვა დისციპლინისა და პროფესიისათვის, რომელიც სხვადასხვა „მოდულების“ კონტრიბუციას დააფასებს და გამოიყენებს მათ კონკრეტული სოციალური პრობლემის გადასაჭრელად. როგორც შპეჩტმა და ვიკერმა (1979) აღნიშნეს, ეს ნიშნავს, რომ „უნიტარული მიდგომა“ როგორც განმსაზღვრელი განაცხადი (op. cit.: 16) ილუზორულია. ამ ავტორების მცდელობა სოციალური შემთხვევის მართვის, ჯგუფური სამუშაოს, სათემო სამუშაოს ინტეგრირებისა სრულდება თავით, რომლის სახელწოდებაც „არასრული პროფესია“ (op. cit.: 219–232). სხვა ძალისხმევა მიმართული გამოძებნოს თეორიული საფუძველი, რომელიც გააერთიანებს ინდივიდის, სოციალური ინტერაქციისა და საზოგადოების შესახებ თეორიებს შეგვიძლია განვსაზღვროთ „სისტემურ თეორიად“. ოთხი ასეთი თეორიაა:

*ზოგადი სისტემების თეორია* (ბერტალანფი, 1968, ჰერნი, 1958; პინკუსი და მინაჰანი, 1973, გოლდშტეინი, 1973). ამ თეორიის გამოწვევა იყო ინდივიდუალისტური მიდგომა მეოცე საუკუნეში. პირველი სისტემის თეორეტიკოსი სოციალურ სამუშაოში (ჰერნი, 1958) იყენებდა ბიოლოგიურსა და კიბერნეტიკულ კონცეფციებს, როგორცაა ჰომეოსტატი, ენტროპია, უკუკავშირი ინდივიდების საჭიროებების, სიტუაციების აღწერისა და სოციალური სამუშაოს პრაქტიკის მიზნებისათვის. „ურყევი მდგომარეობის“ ან ინდივიდსა და საზოგადოებრივ სისტემებს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად, არეულობის არიდება აუცილებელი წინაპირობაა ზრდისა და განვითარებისათვის. ამ თეორიის კრიტიკა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კონცეფციები, რომელსაც ის იყენებს ასახავს მექანიკურ, ადამიანის არა-ჰუმანურ ბუნებას და ვინაირც ფოკუსი აქვს ინდივიდსა და მის გარემოზე. ის ამიტომ მარცხდება მაკრო სტრუქტურებთან გამკლავებაში და დიდ მნიშვნელობას სისტემის შენარჩუნებას ანიჭებს და მის ფუნქციონირებას პოზიტიურ მიზნად მიიჩნევს. ოჯახის სისტემა, მაგალითად, უცვლელ მდგომარეობაში უნდა შენარჩუნდეს პატრიარქალური დომინაციისა ან მშობლების მხრიდან ძალადობის მიუხედავად.

*კომპლექსური სისტემათა თეორია* (ბოლანდი და ათერთონი, 1999, ვორენი და სხვები, 1998, ლუმანი, 1984). მაშინ როცა ზოგადი სისტემათა თეორია სისტემების ფუნქციონირების სტაბილურობის იდეას იზიარებს, კომპლექსური სისტემათა თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ცვლილება, როგორც „დეტერმინისტული ქაოსი“ – სისტემის ნორმალური გამოხატულებაა. ის უმჯობესდება

იმ მომენტების საშუალებით, როდესაც სისტემა ერთი რთული მდგომარეობიდან მეორეში გადადის. სოციალურმა მუშაკებმა უნდა შეაფასონ და გამოიყენონ ეს მომენტები სოციალური სამუშაოს მიზნებისაკენ გადასართველად. ამ თეორიის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქაოსის თეორიები თავდაპირველად მათემატიკაში და ფიზიკაში, თერმოდინამიკაში და კიბერნეტიკულ ინჟინერიაში წარმოიშვა – და შეზღუდულია მათი ადამიანისა და საზოგადოებისათვის გამოყენების არეალი. თვით-ორგანიზებისა და თვით-გატანის იდეის გავრცობით გერმანელი სოციოლოგი ნიკოლას ლუმანი ავითარებს დიფერენციაციის სოციოლოგიურ თეორიას თანამედროვე საზოგადოებაში პარსონისა და დიურკეიმის ტრადიციის მიმდევრობით. ამ თეორიის მიმდევრები სოციალურ სამუშაოში (ბეკერი, 1994, მერტენი, 2000, ბომსი და შერი 2000) ამტკიცებენ, რომ სოციალური პრობლემები წარმოიქმნება ხალხის ექსკლუზიით ისეთი სოციალური სისტემებიდან, როგორცაა ოჯახი, განათლება, ეკონომიკა, პოლიტიკური და კულტურული სისტემები. დაარსდა ახალი ნახევრად-ავტონომიური სოციალური კეთილდღეობის სისტემა, რომელიც მუშაობს გარიყულების რეინკლუზიაზე ან, თუ ეს არ არის შესაძლებელი, მათ მართვასა და ადმინისტრაციაზე.

ამ თეორიული მიდგმის კრიტიკა ისაა, რომ ინდივიდები არიან მხოლოდ სოციალური სისტემის სტაბილიზაციის ფუნქციის მატარებელი. მათი სუბიექტურობა, მათ მიერ მათივე სიტუაციისა და ცხოვრების ინტერპრეტაცია, არ არის თეორიული ინტერესის საგანი. დიურკეიმის მიხედვით, ამ თეორიის მიზანია ახსნას „სოციალური“ და „სოციალური ფაქტები“. სოციალური სამუშაოს თეორეტიკოსები, რომლებიც ამ ტრადიციას მისდევენ აღნიშნავენ, რომ ამ მიდგომას ცოტა აქვს საერთო სოციალურ სამუშაოსთან; ის მხოლოდ იძლევა ორიენტაციას სოციალური მდგომარეობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სოციალური სამუშაო. ის ირიბად ახდენს ეფექტიანი შემთხვევის მართვის ლეგიტიმაციას, რომელიც ამტკიცებს, რომ დახმარების პროცესში ნდობის დამყარება ზედმეტი და არასაჭიროა.

*ეკოსისტემების პერსპექტივა* (გერმანი და გიტერმანი, 1996, ბრონფენბრენერი, 1979). ეს თეორეტიკოსები იყენებენ ეკოსისტემების ცნებას ნაწილობრივ, როგორც მეტაფორას ტრანზაქციულ ცვლილებაზე ფოკუსირებისათვის. მათთვის, პრობლემა წარმოიქმნება, როდესაც ადამიანის გარემოსა და მის საჭიროებებსა და უნარებს, უფლებებსა და მისწრაფებებს შორის შეუთავსებლობაა. ძირითადი კონცეფცია ემყარება ზრდის, განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ცვლილების მცდელობა ფოკუსირებულია ტრანზაქციებზე, ნაცვლად ინდივიდის სოციალური ფუნქციონირების განყენებული გაუმჯობესებისა.

სოციალური სამუშაოს პრაქტიკა (გერმანი და გიტერმანი, 1996) ხაზს უსვამს „**რესიპორკალურობაზე**“ დამყარებულ პარტნიორობას და „სოცოცხლის



სტრესორების“ შეფასებას ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლისას (ოჯახიდან სკოლაში, სკოლიდან სამუშაოზე) ისევე, როგორც ძლიერი მხარეებისა და უნარების გამოვლენას, მაგალითად „ეკორუკის“ გამოყენებით, რომელიც ვიზუალურად წარმოადგენს მიკრო, მეზო და მაკრო სისტემის მინი მოდელს (ბრონფენბრენერი, 1979), რომელსაც განვიხილავთ ბენეფიციართან. სოციალური მუშაკის როლია ცვლილების ხელშეწყობა, როგორც მიკრო, ასევე მეზო და მაკრო დონეზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდსა და სოციალურ გარემოს შორის ტრანზაქციებს და იდენტიფიცირება მოახდინოს ან შექმნას მხარდაჭერი საზოგადოებრივი ქსელი. ორგანიზაციულ დონეზე (სკოლა, სამუშაო, სოციალური მომსახურებები და ა.შ.), ადვოკატობა უნდა იყოს გამიზნული პოლიტიკის შეცვლისაკენ თუ ის ბენეფიციარის ინტერესების საინააღმდეგოა. ამას კი სჭირდება ისეთი უნარები, როგორცაა კოალიციის შენება, ლობირება, ტესტირება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია უფრო ახლოსაა სოციალურ სამუშაოსთან ვიდრე წინა ორი, მას მაინც აკლია ის რაც ზევით განვიხილეთ, როგორც „სტრუქტურული სოციალური სამუშაო“.

*სისტემის ფილოსოფია და სისტემური თეორია*, როგორც სოციალური სამუშაოს მეცნიერული საფუძველი (ბანჯი, 1974–84, ბანჯი და მანერი, 2004, ობრეჩტი, 2001, 2005, შტაუბ-ბერნასკონი, 1991, 2005, 2007a, 2009b, 2009c, გასერი, 2009, კლასენი, 2004, ბორმანი, 2005, ჰოლშტეინ-ბრინკმანი და შტაუბ-ბერნასკონი, 2005). ეს მიდგომა სისტემურ თეორიას მიიჩნევს ინტეგრირებულ თეორიულ ჩარჩოდ სოციალური სამუშაოს როგორც დისციპლინის, ასევე მეცნიერებისათვის. უპირველეს ყოვლისა, სისტემური თეორიის დანაწევრება ფიზიკის, ბიოლოგიის, კიბერნეტიკის და ა.შ. პრობლემატური და მცდარი ფორმა აღმოჩნდა თეორიული რედუქციისა, მაგრამ მან გაიკვალა გზა უფრო ადეკვატური, არა-რედუქციული, ევოლუციური სისტემური ხედვისაკენ. სოციალური სამუშაოს დისციპლინის თვალსაზრისით, სისტემური თეორია ფოკუსირებს ტრანსდისციპლინური ბიოლოგიის, ფსიქობიოლოგიის, ფსიქო-სოციალური და სოციალურ-კულტურული (მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური) სტრუქტურის აღწერასა და ახსნაზე. [...] სოციალურ სამუშაოს საქმე აქვს ინდივიდებთან, რომელთა საჭიროებები, გრძნობები, ფიქრები, ფასეულობები, სურვილები, იმედები, გეგმები და სწავლის უნარი ემსხვერპლება დისკრიმინაციულ და ოპრესიულ სოციალურ სისტემებსა და კულტურულ გარემოს. ეს ინდივიდები არიან სოციალური სისტემის წევრები – ოჯახიდან დანაწევრებული მსოფლიო საზოგადოებით დამთავრებული. ტრანზაქციები ინდივიდებს შორის, როგორც სოციალური სისტემის წევრებისა, შეიძლება იყოს თანამშრომლობითი, კონკურენტული, კონფლიქტური, ექსპლოატატორული ან დესტრუქციული. კლასი, გენდერი, „რასა“, უმცირესობის სტატუსი (რელიგიაზე, ეთნიკურობას, ფიზიკურ გარეგნობაზე/შესაძლებლობებზე/შეზღუდულობაზე, ან სექსუალურ ორიენტაციაზე) და დანაშაული/ძალადობა ნებისმიერი ფორმით

ყველაზე ცნობილი სოციალური პრობლემებია, რომლებთანაც სოციალურ სამუშაოს აქვს შეხება. ეს ხდება მონყვლად ინდივიდებსა და ჯგუფებს, რომლებიც მოკლებული არიან რესურსებს, ძალაუფლებას, სამართლიანობას, ღირსებას, მათი ადამიანური საჭიროებები დაუკმაყოფილებელია და მათი ადამიანური უფლებები შელახული (შტაუბ-ბერნასკონი, 2008). ისტორიულად, მოსახლეობის სეგმენტები, რომლებთანაც სოციალურ მუშაკებს უწევთ მუშაობა, არიან ინდივიდები, ოჯახები და საზოგადოება, რომლებიც დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან სოციალური სისტემის სტრატეფიკაციაში, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი ან უარყოფილი არიან უკვე კარგად დაფუძნებული პროფესიების წარმომადგენლების მიერ და/ან მათ სერიოზულად არ აღიქვამენ პოლიტიკოსები. როგორც პროფესია, სოციალური სამუშაო ეფუძნება სოციალური პრობლემების ტრანსდისციპლინურ აღწერას და ახსნას მეცნიერულად დასაბუთებული სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპების განვითარების მიზნით (მეთოდები, სტრატეგია), საღ აზრსა და ინტუიტიურ განსჯასთან ერთად. მისი აქტორები უნდა ხელმძღვანელობდნენ კეთილდღეობის, ემანსიპაციის, სოციალური სამართლიანობისა და უფლებადაცვითი პრინციპებით მეტა-ეთიკურ დონეზე. როგორც კი ამ ფასეულობების აღსრულების საკითხი დგება დღის წესრიგში, შეკითხვა პოლიტიკური მანდატის მქონე პროფესიათა თუ არა სოციალურ სამუშაო აზრს კარგავს. სპეციალური ქმედებისათვის თეორიების (მეთოდების) შერჩევა უნდა ხდებოდეს იმ პრობლემების მიხედვით, რომლებსაც გადაჭრა სჭირდებათ და არა პირიქით. [...] ისტორიულად, სოციალური სამუშაო და სოციალური პოლიტიკა ინტეგრირებული იყო სოციალური ქმედების მრავალდონიან კონცეფციაში (იხილეთ ჯეინ ადამსის ნაშრომები). დღევანდელ უკიდურესად მრავალფეროვან თანამედროვე საზოგადოებაში, ვინმე რომც შეეცადოს სოციალური სამუშაოსა და სოციალური პოლიტიკის გამიჯვნის თეორიულ დონეზე ახსნას, ერთი ცხადი და უცვლელია: ორივეს მიზანია სოციალური საკითხების გადაჭრა. სოციალური მუშაკები, როგორც „მეცნიერებაზე დაფუძნებული, გონიერი პრაქტიკოსები“ და კლიენტები თავიანთი ცხოვრებითა და პრობლემებით ერთად ცდილობენ პრობლემათა დიაგნოსტიკას, ახსნას, ფასეულობებზე და მიზნებზე ჩამოყალიბებას, რესურსების მოძიებას და მოქმედების გზების გამოახვას. ამის გაკეთება კი შესაძლოა დემოკრატიულ-მონაწილეობრივი გზით (ადამსი, 1902). ისინი ერთად აფასებენ თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებს, რათა უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ მიზნის მისაღწევად. სოციალურ სამუშაოს, როგორც დისციპლინას და პროფესიას არა მხოლოდ ორმაგი მანდატი აქვს – მედიატორისა კლიენტსა და საზოგადოებას შორის [...] (ბონიში და ლოში, 1973). მას აქვს სამმაგი მანდატი, მესამე განზომილება პროფესიულ ერთობას წარმოადგენს და შედგება [...] მეცნიერულ საფუძველზე განვითარებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და სპეციფიკური პროფესიული ეთიკისაგან.

## VII

სოციალური სამუშაოს მოდელები

## სოციალური სამუშაოს სხვადასხვა ფორმა: კლურალისტური და ინკლუზიური მოსაზრებები

რიჩარდ ჯუბმანის მიერ

### რა არის სოციალური სამუშაო?

წინა თავებში წარმოდგენილი იყო სოციალური სამუშაოს ძალიან ბევრ-ნაირი გაგება, თეორიისა და პრაქტიკის მიკრო დონიდან დაწყებული, მაკრო დონით<sup>1</sup> დამთავრებული. თუმცა, ჩვენ არ გვისაუბრია იმ საკამათო საკითხებზე, რომლებიც არსებობს ამ საქმეში და რომელიც ეხება პროცესის არსს; იმას, თუ რაზე უნდა იყოს ეს სამუშაო ძირითადად ფოკუსირებული, ინტრა და ინტერპროფესიულ საკითხებზე, თუ სოციალურ სისტემებსა და სტრუქტურებზე? რამდენად შეიძლება კამათი იმაზე, თუ რა არის სოციალური სამუშაო? ჩრდილოეთის ქვეყნებში გადასახლებული ლტოლვილების პოსტტრავმული კონსულტირება და თერაპია, სამხრეთის ქალაქების ლატაკი გარეუბნების ბინადრების სიღარიბის დაძლევა, გარემოს მენეჯმენტის პროგრამები აზიასა და აფრიკაში – არის თუ არა ყოველივე ზემოჩამოთვლილი სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სფერო. გვეხმარება თუ არა საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გათვალისწინება, ზოგადად სოციალური სამუშაოს გაგებაში? ამგვარ მსჯელობას იმ კითხვამდე მივყავართ, რომელიც სოციალურ სამუშაოს იმთავითვე ტანჯავდა, XIX საუკუნიდან მოყოლებული. ეს კითხვა კი ასეთია – სოციალურმა სამუშაომ სოციალურ საკითხებზე და ადამიანის საჭიროებებზე მიკრო დონეზე უნდა იზრუნოს, თუ მაკრო დონეზე. რომელი მიდგომა გამოხატავს მის მთავარ არსს?

სოციალური სამუშაოს განმარტება, რომელიც საერთაშორისო დონეზეც გამოსადეგი იქნებოდა, გარკვეულწილად რთული აღმოჩნდა. 2000 წელს სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის (IFSW) და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (IASSW) ერთობლივ სხდომაზე ასეთ განაცხადზე შეთანხმდნენ:

*სოციალური სამუშაოს დარგი, კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებებს, ადამიანთა ურთიერთობის პრობლემების მოგვარებას, ხალხის გათავისუფლებასა და გაძლიერებას. ადამიანის ქცევისა და სოციალური სისტემების თეორიის გამოყენებით, იგი ერევა ადამიანისა*

<sup>1</sup> სხვაგან ამავე წიგნში დავადგინეთ განსხვავება თეორიისა და პრაქტიკის მიკრო, მეზო და მაკრო დონეებს შორის ამ თავში გამოყენებული ტერმინოლოგია, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრდა და, რომელიც შემთხვევაზე მუშაობას მიკრო და თემთან მუშაობას ან თემის ორგანიზებას მაკრო დონის საკითხებად მოიაზრებს.

და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობაში. ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტურია სოციალური სამუშაოსთვის (IFSW/IASSW. 2000,2001).

ეს სამი რთული წინადადება გვანოდეებს რიგს მნიშვნელოვანი იდეებისა საერთაშორისო სოციალური სამუშაოს შესახებ. პირველ რიგში, ადასტურებს, რომ მიკრო და მაკრო პერსპექტივა, ორივე უმნიშვნელოვანესია პრაქტიკის მიზნების განმარტებისას. თუ კი საბოლოო მიზანია ადამიანების გაძლიერება და იმ გარემოებებიდან დახსნა, რომელიც ხელს უშლის მათ კეთილდღეობას, მაშინ ასევე მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის საქმიანობა ადამიანთა ურთიერთობის პრობლემების მოგვარებისთვის და სოციალური სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. მეორე კი გახლავთ განაცხადი, რომ თეორიები, რომლებიც პრაქტიკის საფუძველს ქმნიან ორივე პერსპექტივას გულისხმობს-მიკრო დონის პერსპექტივას (ადამიანის საქციელი) და მაკრო დონის თეორიებს (სოციალური სისტემები).

მიუხედავად მცდელობისა, რომ ეს განმარტება ყოვლისმომცველი ყოფილიყო, მას შექმნისთანავე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა საერთაშორისო ორგანიზაციებში (კერძო საუბრებიდან). ის დღემდე სირთულეებს უქმნის ჩვენს კოლეგებს, რომლებიც თვლიან, რომ ამგვარი განმარტება სათანადოდ ვერ ასახავს სოციალური სამუშაოსთვის მათ ქვეყანაში წაყენებულ მოთხოვნებს. უფრო მეტიც, საერთაშორისო სოციალურ სამუშაოზე საუბრისას, შეიძლება ცოტა გაურკვეველი იყოს, როგორ დაგვეხმარება ეს განმარტება გავიაზროთ ქვეყნებს შორის არსებული სოციალური სამუშაოს პრაქტიკა რომელიმე ქვეყნის შიგნით განხორციელებული სოციალური სამუშაოს პრაქტიკასთან მიმართებით. ამგვარად, შევეხეთ რა კამათს მიკრო და მაკრო პერსპექტივების შესახებ, ახლა ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ უკავშირდება სოციალური სამუშაოს ჩვენეული აღქმა საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გაგებას.

## სოციალური სამუშაოს სხვადასხვა ფორმები?

როგორც პირველი თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, სოციალურმა სამუშაომ პროფესიის სახე XIX საუკუნის ბოლოს მიიღო და ეს პროცესი ჩრდილოეთის ქვეყნებში დაიწყო (ლუნდი, 2004; ოლსონი, 2007). იმ პერიოდში ორი მიმართულებით მიდიოდა განვითარება და ორივემ თავისი წვლილი შეიტანა სოციალური სამუშაოს ისეთ პროფესიად ჩამოყალიბებაში, როგორსაც დღეს ვხედავთ. ესენი გახლდათ – ქველმოქმედების ორგანიზების ასოციაციები და დასახლების სახლების მოძრაობა (პარი & პარი, 1979; პეინი, 2005). ამ ადრეული ფორმების გამოდახილი დღემდე შეინიშნება (შესაბამისად) მიკრო და მაკრო მიდგომების ჩვენეულ გაგებაში.

საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა, არსებულ სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა; ამ საქმიანობაში აისახა ევროპული და ამერიკული იდეები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ (ქველმოქმედებით) პროვინებებსა და ოჯახებს, რომელთაც აქვთ სიღარიბის, ურთიერთობის ნგრევის, არასათანადო საცხოვრებლის ან სხვა მსგავსი პრობლემა. ამ პრობლემების სათავედ მიაჩნდათ ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, რამაც გამოიწვია ქალაქების მასიური ზრდა და სოფლების გალაცკება. თუმცა, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ თუ ზოგიერთები უმკლავდებოდნენ ასეთ გარემოებას, სხვები უკიდურეს სირთულეებსა და უსახსრობას განიცდიდნენ. გარდა ამისა, სჯეროდათ, რომ გაჭირვებულთა ქველმოქმედებით დახმარება მეტწილად იმიტომ ვერ ხერხდებოდა, რომ არ არსებობდა სისტემური მიდგომა დახმარების მიწოდებაში. არ იყო შემუშავებული მექანიზმები, რომ იმას დახმარებოდნენ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ან პროვინებისა და ოჯახებისთვის დამატებითი დახმარება მიეწოდებინათ, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, მეტი სარგებელი ენახათ ამ დახმარებიდან. ამიტომ სცადეს ამ ხარვეზების გამოსასწორებლად სათანადო მიდგომა შეემუშავებინათ. ეს მიდგომა ეფუძნებოდა იმ ურთიერთობას, რომელიც მყარდებოდა ქველმოქმედების მომხმარებლებს და შემთხვევებზე მომუშავეებს შორის, რომლებიც მუშაობდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციებში. იდეა კი ის იყო, რომ ის, ვინც ლეზულობდა ქველმოქმედებას, უკეთესად მოახერხებდა სირთულეების გამკლავების სტრატეგიის შემუშავებას და არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას. ქველმოქმედებისადმი ამგვარი „სამეცნიერო“ მიდგომა, ზოგადად მაინც, წარმოადგენს მიკრო დონის ცნების გაჩენას სოციალურ სამუშაოში. დასკვნის სახით, ეს საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლებოდა ინდივიდუალური მიდგომით და სოციალური წესრიგის საკითხებით. ბევრი ანალიტიკოსი ასეთ მიდგომას პოლიტიკურად კონსერვატიულად მიიჩნევს (ჯონსი, 1983; ლანდი, 2004; პეინი, 2005; ოლსონი, 2007).

დასახლების სახლები კი პირიქით, იმავე სოციალური საკითხებისადმი სტრუქტურულ მიდგომაზე იყო დაფუძნებული. ასეთი დახმარებები შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ მოძრაობად, როცა უფრო შეძლებული და ფორმალურად განათლებული კლასების წარმომადგენლები საცხოვრებლად და სამუშაოდ ისეთ ადგილებში გადადიოდნენ, სადაც სიღარიბე საყოველთაოდ იყო გავრცელებული. იგულისხმებოდა, რომ ეს ადამიანები ფლობდნენ სოციალურ რესურსებს, არა მხოლოდ ფინანსებს, არამედ განათლებას და უნარს გამკლავებოდნენ საზოგადოების ძალიან სწრაფად ცვალებად მოთხოვნებს (ეს იდეა შეიძლება შევაფასოთ, უფრო გვიანდელი სოციალური კაპიტალის კონცეფციის წინამორბედად. მაგალითად, იხილეთ კოქსი, 1995.). მიზანი იყო, რომ განათლებისა და ცოდნის სხვა ფორმების გაზიარების გზით, მთელი თემი (პროვინების და ოჯახების ჩათვლით) შეძლებდა სოციალური პრობლემების გადაჭრას და საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ აზრით, დასახლების

სახლებისეული მიდგომა შეიძლება შევავსოთ, როგორც სოციალურ სამუშაოში მაკრო დონის მიდგომის ადრეული საფეხური; რადგანაც ის ეფუძნებოდა სოციალური საკითხების სტრუქტურულ გაგებას და ფოკუსირებული იყო სოციალურ ცვლილებაზე (და არა პიროვნებებში და პიროვნებებს შორის დამოკიდებულებების ცვლილებაზე). ამიტომ, ანალიტიკოსების დიდი ნაწილი მას პოლიტიკურად რადიკალურად აფასებს (პარი & პარი, 1979; ლანდი, 2004; ოლსონი, 2007).

ჩრდილოეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მომხდარ ინდუსტრიალიზაციას, ურბანიზაციას და მოდერნიზაციას, ე.წ. ინდუსტრიულ რევოლუციას, შედეგად მოჰყვა სოციალური საკითხების გამწვავება. საყურადღებოა, რომ სწორედ ამის პასუხი იყო „ქველმოქმედების ორგანიზების“ და „დასახლებების“ იდეები. კიდევ ერთი ფენომენი, რომელიც ამ პერიოდს უკავშირდება არის თანამედროვე პროფესიების განვითარება; მაგალითად, სამართლის, მედიცინის, ავადმყოფზე ზრუნვის, ჯანდაცვის სფეროს და სწავლების დარგები ძალიან გაფართოვდა (ფრიდსონი, 1994). სოციალური სამუშაოც, ორივე ზემოხსენებული ფორმით, იყო ამ პროფესიონალიზმის გაფართოების მონაწილე (ჰუმანი, 1991; პეინი, 2005). ეს ორი მიდგომა ადრეული სოციალური სამუშაოსადმი სხვადასხვაგვარად იაზრებდა სოციალური საკითხების მოგვარებისა და ხალხის დახმარების მართებულ გზას.

სოციალური საკითხების მოგვარების გზების სხვადასხვაგვარად ხედვაში იმანაც შეიტანა წვლილი, რომ არსებობდა სოციალური პრობლემების მიზეზების განსხვავებული ახსნა. ერთი მხრივ, საქველმოქმედო ორგანიზაციებისეული შემთხვევებზე მუშაობის მეთოდი კონცენტრირებული იყო პიროვნების წარუმატებლობებზე (სოციალური უნარის და მორალური ორიენტაციის თვალსაზრისით). მეორე მხრივ, დასახლების სახლებისეული მიდგომა ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ სოციალური პრობლემების მთავარი მიზეზი არის სოციალურ სტრუქტურაში დამკვიდრებული უთანასწორობა. ამის შედეგად, დროთა განმავლობაში წარმოიშვა განსხვავებული ორიენტაციები ინტერვენციის პერსონალურ და კოლექტიურ ფორმებში. ორმა მიდგომამ ეფექტურად მოამზადა საფუძველი, რათა თანამედროვე სოციალური სამუშაოს თეორია და პრაქტიკა გაყოფილიყო მიკრო და მაკრო დონეებად.

ადრეული სოციალური სამუშაოს ამ ორმა განსხვავებულმა შტომ ერთობლივად დააფუძნა საუნივერსიტეტო დონის პროფესიული განათლება და წვრთნა, მაგალითად, დანიში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ამისა, დღესაც გრძელდება სოციალური სამუშაოს რაობის შესახებ კამათი, რომელიც გამოიწვია განსხვავებამ მიკრო და მაკრო პერსპექტივებს შორის (დრეიკოორდი, 2002; პეინი, 2005; მენდესი, 2007; ოლსონი, 2007). გარკვეული თვალსაზრისით, ეს კამათი შეიძლება შევადაროთ სხვა პროფესიაში არსებულ დაპირისპირებას იმის შესახებ, თუ რომელი შტო, ან საქმიანობის ასპექტი უნდა ჩაითვალოს უფრო მნიშვნელოვნად. თუმცა,

ბევრი სხვა პროფესიისგან განსხვავებით, მიკრო და მაკრო პერსპექტივებს შორის სხვაობის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება, მივიჩნიოთ ერთი „ავთენტურ“ და მეორე „არანამდვილ სოციალურ სამუშაოდ“. ბევრი მიზეზის გამო, საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გასაგებად მეტად მნიშვნელოვანია ამ დებატების გაშუქება. განსაკუთრებით კი, თუ გვსურს გავიაზროთ სამხრეთის ქვეყნებში სოციალური სამუშაოს განვითარება, რომელიც დაიწყო ჩრდილოეთის ქვეყნებიდან იდეების ექსპორტირებით, რასაც მოჰყვა ინდიჯენიზაციისა და ავთენტიზაციის პროცესი და დებატების გაგრძელება მიკრო და მაკრო პერსპექტივებს შორის განსხვავებების თაობაზე.

### ჩრდილოეთის ქვეყნებისეული თვალსაზრისი

ჩრდილოეთის ქვეყნების მიდგომა სოციალური სამუშაოსადმი არ არის ერთგვაროვანი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური სამუშაო სხვანაირად განვითარდა, ვიდრე სხვა ინგლისურენოვან (ავსტრალიაში, კანადაში, ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში) და ევროპულ ქვეყნებში. აშშ-ში სოციალური სამუშაო სხვადასხვაგანაა განთავსებული. სხვა ქვეყნებში კი არსებობს ტენდენცია, რომ ეს საქმე მხოლოდ სახელმწიფო კეთილდღეობის ინსტიტუტებმა იკისრონ. გარდა ამისა, მსჯელობა სოციალური სამუშაოს შესახებ (ე.ი. სხვადასხვა კონცეფციები და ენა, რომელიც გამოიყენება სოციალური სამუშაოს არსის ასახსნელად) სხვადასხვაგვარია ამა თუ იმ ქვეყანაში, ევროპის სხვადასხვა ნაწილში, ისევე, როგორც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამის ერთი მაგალითია ის ფაქტი, რომ „ანტირასისეული და ანტიდისკრიმინაციული“ ქცევის ენა, საკმაოდ გამოკვეთილად, დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა (მაგ., იხ., დომინელი, 2008; კლიფორდი & ბურკე, 2008). მიუხედავად იმისა, რომ ის საკითხები, რომელსაც ეს იდეები უკავშირდება, ჩრდილოეთის ყველა ქვეყანას (და ჩვენი აზრით, მთელ მსოფლიოს) ეხება.

მიკრო და მაკრო პერსპექტივებს შორის ხანგრძლივ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, ოლსონმა (ოლსონი, 2007) განაცხადა, რომ ახლანდელი სიტუაცია წარმოიშვა მიკროს მაკროზე დომინირების ხანგრძლივი პროცესის შედეგად. ის ამტკიცებს, რომ ამის მიზეზია სოციალური სამართლიანობის ფასეულობის არამართებულად დაკნინება პროფესიონალიზმისკენ სწრაფვის გამო. მისი აზრით, სოციალური სამუშაოს მიზანი უფრო სოციალური წესრიგის ხელშეწყობა უნდა იყოს. ოლსონი ფიქრობს, რომ თანამედროვე სოციალური სამუშაო ზედმეტად არის დაკავებული უნარების და ცოდნის ძიებით, რომლებიც სოციალურ სამუშაოს „ავთენტურ“ პროფესიად აქცევენ. შეერთებულ შტატებში დასახლებების მოძრაობის და ქველმოქმედების ორგანიზების სულისჩამდგმელებთან მიმართებით, ოლსონი ამბობს, რომ ამ ძიებიდან გამომდინარე, სოციალური სამუშაო „ლაპარაკობს, როგორც ჯეინ ადამსი და იქცევა, როგორც

მერი რიჩმონდი“ (ოლსონი, 2007, გვ. 60). აქ ასახულია პროფესიული ორიენტაციის ხანგრძლივი ანალიზი სოციალური სამუშაოს პროფესიად ქცევის საქმეში (ჩრდილოეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით, აშშ-ში), როცა მიკროდონის პრაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (იხ., მაგ., ელიოტი, 1993, გვ. 22).

ოლსონის კვლევის მიხედვით, სოციალური სამუშაოს პროფესიად ჩამოყალიბება, ნაწილობრივ მაინც, არის პროფესიის ლიდერთა გააზრებული და ხანგრძლივი ფიქრის შედეგი. მაგრამ მაინც ირონიულად გამოჩნდება, რომ ამ საქმიანობის ისტორია ჩრდილოეთის ქვეყნებში მხოლოდ ვინმეს ინდივიდუალური ძალისხმევით ავსნათ. სანამ სხვები დანვრილებით აღწერენ მავანთა მიზნებს, ჩვენ გავიაზროთ ზოგიერთი უფრო არსებითი ახსნა იმისა, თუ რატომ დაუკავშირდა პროფესიად ჩამოყალიბების პროცესი მიკროდონის პერსპექტივას.

პირველ ყოვლისა, როგორც აღვნიშნეთ, ამ ქვეყნებში სოციალური სამუშაოს პროფესიად ჩამოყალიბების საქმე ძირითადად სახელმწიფო კეთილდღეობის ინსტიტუტების ხელში იყო. შეერთებულ შტატებშიც კი, რომელიც ამ კუთხით განსხვავდება ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებისგან, სოციალური სამუშაოს დიდი ნაწილი ეფუძნება სხვადასხვა ტიპის კეთილდღეობის ორგანიზაციებს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი აღმოცენდა კერძო პრაქტიკის დიდი სექტორი. ისტორიულად არსებობდა ტენდენცია, რომ სოციალური მომსახურება სჭირდებათ ისეთი საჭიროებების მქონე ადამიანებს, რომელთაც, როგორც წესი არ შეუძლიათ პროფესიონალისთვის სრული ანაზღაურების გადახდა.

მეორეც იმის გამო, რომ სოციალური სამუშაო, ჩვეულებრივ, სააგენტოების მიერ ხორციელდება, აუცილებელია იმაზე ფიქრი, თუ რის საკეთებლად უნდა დაიქირაოს ასეთმა სააგენტომ სოციალური მუშაკი? ზოგიერთი ორგანიზაცია (განსაკუთრებით, არასამთავრობო არამომგებიანი სექტორიდან) ქირაობს ადამიანებს, რომლებიც იმუშავებენ სოციალური სამართლიანობის პროექტზე და კვლევებზე, იკისრებენ ადვოკატობის ფუნქციას და გამართავენ კამპანიებს, ან დაეხმარებიან თემს კოლექტიური საკითხების მოგვარებაში. ხშირად ისე ხდება, რომ ამგვარი საქმიანობისთვის, სოციალური მუშაკების გარდა, ასევე ხშირად, შეიძლება დაიქირაონ იურისტი, მეცნიერი სოციოლოგი და სხვა პროფესიის წარმომადგენლები (ან არაპროფესიონალები). ყველაზე მეტი სოციალური მუშაკი ჩაბმულია პიროვნებების და ოჯახებისთვის კეთილდღეობის სხვადასხვა მომსახურების მოწოდების საქმეში.

მესამეც უნდა ითქვას, რომ სოციალური სამუშაო იმავე გზას დაადგა, რასაც სხვა პროფესიები, რომლებიც ემსახურებიან ადამიანთა საჭიროებების დაკმაყოფილებას; ანუ სოციალური მუშაკებიც ცდილობდნენ ჰქონოდათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომლის განსაზღვრა და აღიარება მათ საქმიანობასა და პროფესიულ მანდატს მეტ დამაჯერებლობას შესძენდა. პროფესიის ჩამოყალიბების პროცესები, რომელზეც ეს თვალსაზრისი მიგვანიშნებს, ის-

ტორიულად გადაჯაჭვულია საზოგადოების მოდერნიზაციასთან. დღევანდელ სამყაროში ფასეულობები და დიდი განზრახვები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ საჯარო სფეროში მოღვაწეობის უფლება მოიპოვო. ამიტომ, ყველა პროფესია სისტემურ ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით აცხადებს პრეტენზიას ასეთ უფლებაზე. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს პროფესიონალიზმი ნაკლებად აუცილებელი მოთხოვნაა. ნეოლიბერალიზმის შედეგად მოხდა კეთილდღეობის სფეროს კომოდიფიკაცია ანუ შეცვლა. ამ შეცვლილ სფეროში სოციალური მუშაკები (სხვა პროფესიონალებთან ერთად) მომსახურების მომწოდებელთაგან კეთილდღეობის მწარმოებლებად გადაიქცნენ. ხოლო მომსახურების მიმღებნი, შესაბამისად – მომხმარებლებად (ჰუგმანი, 1998). ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და დიდი ბრიტანეთი თემზე ორიენტირებული მაკროდონის პრაქტიკის ელემენტები, თითქმის, აღარ არსებობს. რადგან „თემი“ გახდა მიკროდონის პრაქტიკის ნაწილი როგორც „სათემო ზრუნვა“ (ბატლერი და დრეიკფორდი, 2001).

თუმცა, ეს მოსაზრება მეტწილად მართალია, ისეც არ არის საქმე, რომ სოციალური საკითხების სტრუქტურული ანალიზი სრულიად შეწყვეტილიყო, ან მაკროდონის პრაქტიკას საერთოდ აღარ ექცეოდეს ყურადღება. ამის დასტურია ორი მაგალითი ავსტრალიიდან. ერთი გახლავთ ფუკის (ფუკი, 1993) მიერ შემთხვევაზე რადიკალურად მუშაობის თეორიის განვითარება. ფუკის მიდგომა გვიჩვენებს, რომ მიკროდონეზე მუშაობა, რაც გულისხმობს უშუალოდ პიროვნების და ოჯახის ცხოვრებაში ჩარევას, შეიძლება გამდიდრდეს სოციალური საჭიროებების სტრუქტურული ანალიზით, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდება ინტერვენციის მეთოდები. მსგავსად განვითარდა მოვლენები ანტირასისტულ და ანტიდისკრიმინაციულ პრაქტიკაში დიდ ბრიტანეთში. აქ ადვოკატობასა და გაძლიერებაზე დაფუძნებული ჩარევის მიკროდონის პრაქტიკაში სტრუქტურული ანალიზიც მონაწილეობს. თუმცა, ზოგიერთები, მაგალითად, ბატლერი და დრეიკფორდი, სკეპტიკურად უყურებენ ასეთი მონაწილეობის ეფექტურობას (ბატლერი და დრეიკფორდი, 2001, გვ. 16). მეორე მაგალითია მენდესის (მენდესი, 2007) გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად იმოქმედა სტრუქტურულმა კვლევებმა უშუალო პრაქტიკაზე. მან აღმოაჩინა, რომ კეთილდღეობის სააგენტოებში დასაქმებული ბევრი სოციალური მუშაკი კვლავაც მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავებაში, კვლევებში, თემის განვითარებაში, ადვოკატობაში და სტრუქტურულ ცოდნას დაფუძნებულ ინდივიდუალურ ინტერვენციაშიც. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კვლავაც აქტუალურია უცვლელი ორეულის (მიკრო და მაკრო იგულისხმება) განსხვავებულობის საკითხი. თუმცა, მენდესი (მენდესი, 2007, გვ. 42) ითვალისწინებს, რომ მისი კვლევის სფერო შეზღუდულია, რადგან ის არ შეხება სახელმწიფო სააგენტოების მუშაკებს.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რამდენად იზიარებს მიკრო და მაკროდონეებს შორის განსხვავების შესახებ დისკუსია მოსაზრებას,

რომ მაკრო დონის პრაქტიკა უცილობლად უნდა საზრდოობდეს სოციალური სისტემების კრიტიკული ანალიზით, იყოს „პროგრესირებადი“ ან იზიარებდეს და იცავდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამიტომ, სოციალური სამუშაოს ნებისმიერი პრაქტიკის განხილვისას, იმაზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, მისი ორიენტაცია მიკროს თუ მაკრო, არამედ, იმაზე თუ რამდენად არის ეს პრაქტიკა ჩართული ასეთ კრიტიკულ ანალიზში, ან რამდენად ეძიებს სოციალურ სამართლიანობას (ლანდი, 2004).

### სამხრეთის ქვეყნებისეული თვალსაზრისი

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავებში, სამხრეთის ქვეყნებში სოციალური სამუშაოს განვითარება, ბევრი თვალსაზრისით, შეიძლება შევაფასოთ, როგორც ჩრდილოეთის ქვეყნებიდან გადმონერგული ფენომენი. ეგვიპტეში, ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში სოციალური სამუშაოს განვითარების ადრეულ ეტაპებზე შეიტანეს კეთილდღეობის მომსახურების მოდელი, რომელიც პიროვნებაზე იყო ფოკუსირებული (უოლტონი & ელ ნასრი, 1988; ნანავატუ ბილუპსში, 2002; პატელი, 2005). უოლტონი და ელ ნასრი (უოლტონი & ელ ნასრი, 1988) ეგვიპტესთან დაკავშირებით ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური რეალობა, სირთულეებს უქმნიდა ადრეულ ეტაპზე მოზღვავებულ პრაქტიკოსებს, მათ შეძლეს კულტურულ გარემოში ადაპტირება. ამ პროცესს ისინი ინდიჯენიზაციას (გამშობლიურებას/გაიქაურებას) უწოდებენ (გვ. 148). თუმცა, ისინი ფიქრობენ, რომ ეს ცნება სათანადოდ ვერ გამოხატავს იმ პროცესს, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა სოციალური სამუშაოს უცხო კულტურულ გარემოში ინტეგრირებისთვის. ამიტომ ისინი მსჯელობენ ავთენტურობის პროცესზე, რაც ნიშნავს: (კონკრეტული ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინებით) სოციალური სამუშაოს ადგილობრივი მოდელის შექმნას ან აშენებას (1998, გვ. 149).

სერიოზული განსხვავება ის არის, რომ პირველი გახლავთ წარმოშობის ქვეყნიდან გარკვეულწილად ტრანსლიაცია, მეორე პროცესი კი პასუხობს სპეციფიკური საკითხებიდან წარმოქმნილ სოციალურ საჭიროებებს, იმ ქვეყნის სტრუქტურული და კულტურული რეალობის ფარგლებში, სადაც დაინერგა. ამგვარად, კონკრეტულად ეგვიპტესთან დაკავშირებით, ისინი ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთიდან და აშშ-დან იდეების გადმოღებას მოჰყვა ინდიჯენიზაციის პროცესი. ამის შემდგომი ფაზა იყო „ავთენტურობა“ იმ სირთულეებზე საპასუხოდ, რაც მსოფლიოს სხვა ნაწილებიდან ამ ფორმის სოციალური სამუშაოს გამოცდილების გადმოღებას მოჰყვა. მათი ანალიზის მნიშვნელოვანი ელემენტი გახლავთ ის, რომ ეგვიპტისთვის სათანადო სოციალური სამუშაოს შემუშავებაში აუცილებელი იყო ორივე, მიკრო და მაკრო პერსპექტივები. მათ ისიც აღნიშნეს, რომ, მართალია, ეგვიპტემ შეიმუშავა საკუთარი სეკულარული

სოციალური კეთილდღეობის მოდელი, მაგრამ მაინც აშკარაა ოფიციალური რელიგიის ძლიერი და განსაკუთრებული როლი. ასე რომ, კვლავ აუცილებელია სოციალურ სამუშაოსა და ისლამს შორის ურთიერთობის განვითარება (უოლტონი & ელ ნასრი, 1988, გვ. 154). გარდა ამისა, ისინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინტეგრირების კონცეფცია უფრო სოციალური განვითარების შენებას გულისხმობს, ვიდრე ინსტიტუციური მომსახურების მონოდებაზე დიდი ძალისხმევის დახარჯვას.

ამის მსგავსად, ოსეი-ჰუედი და მისი კოლეგები ბოცვანაში ადასტურებენ, რომ საჭიროა ადგილობრივი მიდგომა სოციალური სამუშაოს განსაზღვრასა და განვითარებაში. მათი თქმით, ეს სამუშაო „უნდა ეხამებოდეს აფრიკის (სოციალურ) გარემოს“ (ოსეი-ჰუედი და სხვები., 2006, გვ. 570; აგრეთვე იხ. ოსეი-ჰუედი, 1993). იგივეს ამბობს სილავეც (სილავე, 1995) ზამბიის შესახებ. ამ ანალიზში გათვალისწინებულია აფრიკული საზოგადოების კომუნალური სულისკვეთება. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ როგორი სოციალური საჭიროებებიც არ უნდა იყოს, სოციალურმა სამუშაომ მის მოსაგვარებლად უნდა გააერთიანოს პიროვნების, ოჯახის და საზოგადოების ძალა და რესურსები (ოსეი-ჰუედი, 1993). საინტერესოა, გავეცნოთ თუ როგორ განმარტავენ სოციალურ სამუშაოს ბოცვანას უნივერსიტეტში:

*სოციალური სამუშაოს მიზანია, გაიაზროს და შეცვალოს სხვადასხვა გარემოებები, რომლებიც ადამიანებზე ახდენენ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ზეგავლენას. ის აგრეთვე ცდილობს: თავიდან აიცილოს, გააუმჯობესოს და გაუმკლავდეს არასასურველ სოციალურ და ეკოლოგიურ სიტუაციებს; შეიმუშაოს ჩარევის სათანადო გზები, რათა დააკმაყოფილოს ადამიანების და მათი თემის საჭიროებები; შექმნას და განახორციელოს სათანადო პოლიტიკა განვითარებისთვის; გაუძღვეს და უხელმძღვანელოს სხვებს განვითარების მიზნებისკენ სწრაფვაში; ჩაატაროს კვლევები და მოარგოს აღმოჩენები სათანადო სფეროებს (ოსეი-ჰუედი და სხვები, 2006, გვ. 573).*

ბოცვანაში სოციალური სამუშაოს განმარტება გაჩნდა იმ სიტუაციაში, როცა თვალსაჩინო გახდა სხვაობა ინდივიდუალურ უნარზე დაფუძნებულ ამერიკულ/ევროპულ მოდელსა და განვითარების სოფლურ თუ კომუნალურ გეგმას შორის. ეს გეგმა შექმნა მთავრობამ, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სოციალური სამუშაო ბოცვანის ნიადაგზე უნდა აეშენებინა და განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალური კაპიტალის დაგროვებას მიანიჭა. როგორც ოსეი-ჰუედი და მისი კოლეგები (ოსეი-ჰუედი და სხვები, 2006, გვ. 573) შენიშნავენ, ამ განმარტებას რეალურად ბევრი საერთო აქვს სამხრეთის სხვა ქვეყნებში დადგენილ განმარტებებთან. ისევე, როგორც სოციალური სამუშაოსადმი ეგვიპტური (იხ. ზემოთ) თუ ზამბიური (სილავე, 1993) მიდგომიდან, აქედანაც ჩანს მიკროს და მაკროს გაერთიანების მცდელობა; განსხვავებით ჩრდილოეთის

ქვეყნებში გამართული ხანგრძლივი დებატებისგან, რომელიც აქცენტს მათ განცალკევებაზე აკეთებს.

ამის მსგავსად, სამხრეთ აფრიკაშიც 1940-იანი წლებიდან მოყოლებული, აპარტიდის ეპოქის დასრულებამდე (1990-იანი წლების დასაწყისში), სოციალური სამუშაო მთლიანად მიკრო დონის პრაქტიკისგან შედგებოდა. პრაქტიკისგან, რომელიც კონცენტრირებული იყო ჩამორჩენების მქონე ბავშვებზე და ინსტიტუციურ ჩარჩოებში იყო მოქცეული (პატელი, 2005). მუშაობის სფერო შემოიფარგლებოდა ისეთი საკითხებით, როგორცაა ოჯახის ფუნქციონირება და დანაშაული ახალგაზრდებში. აქ გავრცელებული შემთხვევებზე მუშაობის მოდელი, თითქოსდა, კონცენტრირებული იყო პიროვნულ და ურთიერთობის დეფიციტზე. პატელი ამტკიცებს, რომ დემოკრატიული მთავრობის მიღწევების შედეგად, სოციალური სამუშაო მნიშვნელოვნად შეიცვალა (და ძირითადად – სოციალური კეთილდღეობის სფერო). ახლა იქ გვაქვს განვითარებადი მოდელი, რომელიც აერთიანებს მიკრო და მაკრო საზრუნავს და პრაქტიკას. ოჯახების სოციალურ მხარდაჭერასა და ზრუნვასთან (ბავშვთა დაცვის ჩათვლით) ერთად, დღეს სამხრეთ აფრიკის სოციალური სამუშაო აგრეთვე მოიცავს: თემის ორგანიზებას – „მობილიზაციას“, ზრუნვას სახლში და თემში (რომელშიც გაერთიანებულია ფორმალური და არაფორმალური ძალისხმევა), განათლებას და პრევენციას (ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა აივ/შიდსი და ნარკოტიკების უკანონო მოხმარება), სიღარიბის დაძლევის და საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას, აღდგენითი სამართლის, სოციალური დაგეგმვის, პოლიტიკის და ადვოკატობის ხელშეწყობას (პატელი, 2005, გვ. 178 ff; მიკერი, 2008; ვილსონი, 2008; გრაჰამი, 2009; სელიპსკი, 2009). მიკრო და მაკრო დონეების კომბინირებასა და სოციალური სამუშაოს გაფართოებასთან ერთად, სოციალური სამუშაო, როგორც პროფესია, ცდილობს შერიგებისა და ნდობის აღდგენის გზით დაძლიოს აპარტიდის შედეგები (პატელი, 2005, გვ. 78).

სამხრეთის სხვა ქვეყნებში ამ დებატებს სხვადასხვა პასუხები მოჰყვა. მაგალითად, ჩინეთში სოციალური სამუშაო შედარებით ადრე დაინერგა. მაგრამ 1949 წლის რევოლუციის შემდეგ დაივიწყეს. (აქ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იგულისხმება, რადგან ჰონ კონგში, ბრიტანული კოლონიალური მმართველობისას, სოციალური სამუშაო ვითარდებოდა და პროფესიადაც ჩამოყალიბდა). პოლიტიკის საბაზრო ეკონომიკისკენ შემობრუნების შემდეგ, ჩინეთმა აღადგინა სოციალური სამუშაო, როგორც პროფესია. დღეს იქ მუშაობენ სოციალური სამუშაოს განვითარებაზე დასაქმებისა და სოციალური სამუშაოს სასწავლო პროგრამებზე (იან & ცანგი, 2005). ამგვარადვე ვითარდება მოვლენები ვიეტნამშიც (ჰუგმანი და სხვები, 2007). იანი და ჩიუნგი (იანი & ჩიუნგი 2006, გვ. 64-5) ერთ-ერთ კვლევაში უშუალოდ უოლტონს და ელ ნასრის ეხმარებიან და ამტკიცებენ, რომ „ავთენტისაცა“, პირველ რიგში, უნდა ავხსნათ, როგორც პოლიტიკური პროცესი, რომელშიც სხვადასხვა დისკუსიები მორგებულია და შეთანხმებულია გარკვეული ურთიერთმიმართებით. ეს პროცესი გულისხმობს

იდეების განახლებისა და ადგილობრივი სიტუაციისათვის მორგების მიზნით სახეცვლის პროცესს, რომელსაც „რეკონცეპტუალიზაციის“ პროცესს უწოდებენ.

ჩინეთში სოციალური სამუშაოს რეკონცეპტუალიზაციასთან დაკავშირებით, ორი ასპექტის გამოყოფა შეიძლება. 1949 წლის შემდეგ პირველად, სოციალურ კეთილდღეობას, როგორც ადმინისტრაციულ მომსახურებას, სამთავრობო ბიუროკრატია ახორციელებს. ჩინეთში ფიქრობდნენ, რომ სოციალური სამუშაოს აღდგენა გააუმჯობესებდა და პროფესიულ დონეზე აიყვანდა მომსახურების მიწოდების ტექნიკას. ამ ჭრილში სოციალური სამუშაოს მიზანია, დაეხმაროს ეკონომიკურ განვითარებას და მონაწილეობა მიიღოს სოციალური სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში (იანი & ჩიუნგი, 2006, გვ. 68). ჩინეთში საუნევერსიტეტო დონის განათლების მეშვეობით, სოციალური სამუშაოს პროფესიად ჩამოყალიბება წარმატებით მოხდა (იანი & ჩიუნგი, 2006, გვ. 68). იანმა და ცანგმა (იანი & ცანგი, 2005) შეისწავლეს ჩინეთში სოციალური სამუშაოს სწავლების ორიენტაცია და აღმოაჩინეს, რომ სოციალური სამუშაო, რომელზეც აქ ყურადღებას ამახვილებენ მოიცავს: „ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ზრუნვას ჰარმონიაზე ოჯახურ ურთიერთობებში“, „სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას“, „სოციალური პრობლემების მოგვარებას“, „სოციალურ უსაფრთხოებას და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას“ და „სოციუმის ჩართულობის ნახალისებას“ (გვ. 892-3). იანმა და ცანგმა დაასკვნეს, რომ ამ მონაცემების მიხედვით, განვითარებადი პროფესიის მიზნები შემოიფარგლება სოციალური სამუშაოს ფუნქციისა და ტექნიკის მიკრო პერსპექტივით.

მეორე, სახეზეა, ასევე მაკრო პერსპექტივების განვითარებადი ტენდენცია. ეს დასტურდება კიუს და მისი კოლეგების მიერ აღწერილი (კიუ და სხვები, 2005) სოფლის თემის განვითარების სამუშაოებით. ეს მიდგომა ემყარება სოციალური სამუშაოს მთავარი ფუნქციის განმარტებას, როგორც უნარების განვითარების ფუნქციისა. ეს განმარტება ასეთია:

*ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად დაიღოს წილი მსოფლიოს რესურსებში და გააკონტროლოს თავისი საკუთარი განვითარება; ამ უფლებებზე უარის თქმა არის სიღარიბის და ტანჯვის საწყისი. ადამიანების უნარების განვითარება, რათა თავად დაადგინონ საკუთარი ფასეულობები და პრიორიტეტები, რომლისაკენაც მიისწრაფვიან, მათი განვითარების საფუძველია (კიუ და სხვები, 2005, p. 217).*

ამგვარად, ჩინეთის სოფლებში განხორციელებული სოციალური სამუშაო აღიქმება მიკრო და მაკრო პერსპექტივების კომბინირებად. პროფესიის გააზრებისათვის ამგვარი მიდგომა გამოწვევაა ტრადიციისა და კულტურის თვალსაზრისით, მათთვისაც ვინც ამ დახმარებას იღებს და ამ დახმარების მიმწოდებლებ-



**არის თუ არა სოციალური განვითარება ჩავარდნილი რეგოლი?**

ისტვის. იმავდროულად, ეს მიდგომა გამოხატავს ჩინეთის თავისებურებებს, რადგან პრაქტიკის გამოკვეთილ მიზანთა შორის არის: თემში ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება, სოციუმის ერთსულოვნების და ჩართულობის გაძლიერება და ა.შ.

განვითარების ამ ორ განსხვავებულ მოდელს ორი საერთო ფაქტორი აქვს. პირველი, ორივე მიდგომა შემუშავებულია ჩინელი სოციალური მუშაკების მიერ, რომელთაგან ბევრი მუშაობს ჰონგკონგში, განათლება და მუშაობის პრაქტიკა ჩრდილოეთის ქვეყნებში აქვთ მიღებული (უმეტესად აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და კანადაში). მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ სხვაობები ამ მოდელებს შორის შეიძლება მივანეროთ განსხვავებულ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ საჭიროებებსა თუ შეზღუდვებს. ეს საჭიროებები და შეზღუდვები სხვადასხვაა მთავარ ურბანულ ცენტრებში (პეკინი, შანხაი) და უფრო ღარიბ განაპირა პროვინციულ რეგიონებში (იუნანი). ჩინეთის გეოგრაფიული სიდიდის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ განვითარების ეს შერეული მოდელი არ არის მართებული. მაგრამ იმ საკითხის დასმა მაინც შეიძლება – ურბანული ცენტრების და რეგიონული პერიფერიებისთვის შესაფერისი სოციალური სამუშაოს მოთხოვნები უცილობლად განსხვავდება, თუ არა ერთმანეთისგან. სათანადობა, ანუ „ავთენტურობა“, დაახლოებით ასეთი თარგმნება ტერმინი, ჩინელმა სოციალურმა მუშაკებმა ჩინეთისთვის თავად უნდა შეარჩიონ.

სამხრეთის ქვეყნების სოციალური სამუშაოს განშტოებების აქ მოყვანილი მაგალითებიდან ვხედავთ, რომ სოციალური სამუშაოს მიზნები და ამოცანები სხვადასხვაა, იმისდა მიხედვით, თუ სად, როგორ გარემოში ხორციელდება ის. მიკროფოკუსირებული პრაქტიკა, რომელიც იყო კოლონიალიზმის დროს შემოტანილი პროფესიონალიზმის ფორმა, უცილობლად არ არის სრულად უარყოფილი, მაგრამ ყველა ასეთ კონტექსტში, ასევე უნდა გავითვალისწინოთ სტრუქტურული და თემისეული პერსპექტივები, როგორც სოციალური სამუშაოს უმთავრესი ნაწილი. თუმცა, ჩრდილოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში სტრუქტურის და თემის გაგება ეფუძნება სოციალური ჰარმონიის და სოციუმის ერთსულოვნების (როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანის) ფასეულობებს. ისე არ არის, რომ სოციალური მუშაკები არ წუხდნენ უთანასწორობის საკითხებზე და სოციალური საჭიროებების სტრუქტურულ მიზეზებზე, მაგრამ ამ საკითხების მოგვარებისთვის ამ სიტუაციების შესაბამისი გზები უნდა გამოინახოს. შედეგად, მიკრო და მაკრო პერსპექტივების დაყოფა სოციალური საჭიროებების გამომწვევ მიზეზებად და მათი დაკმაყოფილების სათანადო გზებად, ჩრდილოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, აქ არ ჩანს. აფრიკული და აზიური მიდგომები ყურადღებას ამახვილებს კავშირს მიკრო და მაკრო დონეებს შორის (თუმცა, როგორც ჩრდილოეთში, აქაც არის მნიშვნელოვანი განსხვავებები ქვეყნებს შორის).

ამ დებატებისას წარმოქმნილი პოლარიზაციიდან ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რაც მიდგლიმ (1995, 1997, 1999) შემოგვთავაზა – ჩვენ თავიდან უნდა გავიაზროთ სოციალური სამუშაოს მიზნები და ტექნიკა „სოციალური განვითარების“ პირობებში. ის სოციალური განვითარების ასეთ განმარტებას გვთავაზობს:

*ეს არის სოციალური ცვლილების დაგეგმილი პროცესი, შექმნილი რათა, ეკონომიკური განვითარების დინამიკურ პროცესთან ერთად, ხელი შეუწყოს მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას (მიდგლი, 1995, გვ 25).*

მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა ჩრდილოეთის ქვეყნებში ყოველთვის არ არის აღიარებული, როგორც სოციალური სამუშაოს პერსპექტივათაგან ერთი, მიდგლი (მიდგლი, 1997, გვ. 183) შენიშნავს, რომ ინგლისში ქველმოქმედების ორგანიზაციის საზოგადოებამ თავისი ინტერვენციების სიაში დასაქმებასა და მცირე ბიზნესის განვითარებაში დახმარებაც შეიტანა. მიდგლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად სოციალური სამუშაოს ეს მოსაზრება თვისობრივად კონსერვატიულად მიიჩნეოდა, ეს იყო იმ პრაქტიკის განზრახვების არასათანადოდ დაფასება, როცა ცდილობდნენ ხელი შეეწყოს პროცესისთვის, რომელსაც დღეს „უნარების განვითარებას“ ვუწოდებთ. პრობლემის სათავე უფრო ის არის, რომ მათ ვერ მოახერხეს ღარიბთა ექსპლოატაციის დაძლევა ან ამგვარ ინტერვენციებსა და იმ დროის უფრო დამსჯელობით სოციალურ ფასეულობებს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება, რასაც შედეგად „მსხვერპლის დადანაშაულების“ პათოსი მოჰყვა. მიდგლის აზრით, მაშინ ეს პრობლემა იმანაც გააძლიერა, რომ მოხდა სოციალური სამუშაოს ექსპორტირება მსოფლიოში. კოლონიური ადმინისტრაციები კი ფოკუსირებული იყვნენ კორექტირების პროგრამებზე (როგორცაა ახალგაზრდული დანაშაული, გონებრივი შეზღუდულობა ან მოხუცებულთა პრობლემები), რაც შემთხვევაზე მუშაობის ლიმიტირებულ ხედვას წარმოადგენდა, რომელიც არ უკავშირდებოდა ეკონომიკური თუ სტრუქტურული საჭიროებების გააზრებასა და დაკმაყოფილებას. როცა მასობრივი განათლება და თემის განვითარების მსგავსი სხვა ფორმები შემოიღეს, მხოლოდ მაშინ მოხდა მაკრო პერსპექტივის უფრო მეტად ინტეგრირება მიკრო დონის დონისძიებებთან. დროთა განმავლობაში ამას მოჰყვა გაერო-ს მიერ „ერთობლივი სოციო-ეკონომიკური დაგეგმვის“ მთავარ პერსპექტივად აღიარება (მიდგლი, 1997, გვ. 185). ამას 1980-იან წლებში ძირი გამოუთხარა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის სწრაფმა გადასვლამ ნეოლიბერალურ პოლიტიკაზე და მიმდები ქვეყნების დამოკიდებულების ზრდამ საერთაშორისო დონორებზე (ჰოლი & მიდგლი, 2004, გვ. 273-7). მართალია, ამას მოჰყვა კრიტიკა, რომელმაც განაპირობა ამ პოლიტიკის მოდიფიცირება,

თუმცა, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა რეალურად თქვეს თუ არა უარი ყველა ასეთ იდეაზე (კამაკი, 2002; დიკონი, 2007).

გლობალური პოლიტიკა იმიტომ არის მნიშვნელოვანი სოციალური სამუშაოსთვის, რომ ბევრ შემთხვევაში სამხრეთის ქვეყნებს არა აქვთ სახსრები კეთილდღეობის სფეროში შემუშავებული არც საბაზისო (რეზიდუალური) და არც ინსტიტუციური პროგრამებისთვის. მაშინ, როცა სოციალური განვითარებისთვის ძალისხმევა გამძაფრდა, გაკეთებით არაფერი გაკეთებულა. ჩრდილოეთის ქვეყნებში იგივე ნეოლიბერალურმა მიდგომამ გააძლიერა პიროვნული პასუხისმგებლობა და გამოიწვია სოციალურ სამუშაოში სხვადასხვა თვალსაზრისთა კონსოლიდაცია, რაც არ არის სასიკეთო კომუნალური ან სტრუქტურული რეაგირებისთვის (ფერჯისონი და ლავარეტი, 2005; ლანდი, 2006). ამიტომ, სოციალური სამუშაოსადმი სოციალური განვითარებისეული მიდგომა, აუცილებელიც არის და იმავდროულად, ძალიან ძნელი მისაღწევიც.

სოციალური განვითარების პოტენციალი სოციალური სამუშაოში სხვადასხვა ეროვნულ და კულტურულ გარემოში მისი (სოციალური სამუშაოს) მთავარი ფუნქციების შეჯამებისას მჟღავნდება. ელიოტის (ელიოტი, 1993), მიდგლის (მიდგლი, 1995, 1997, 1999), კოქსის და პავორის (კოქსი & პავორი 2006, გვ. 35) თქმით, ეს მახასიათებლები არის:

- *საჭიროების სტრუქტურული, ეკონომიკური ასპექტებისა და თემის, ოჯახის და პიროვნული ასპექტების ერთიან ჭრილში გააზრება;*
- *სოციალურ და ფიზიკურ გარემოზე და მათ ურთიერთკავშირზე ზრუნვა;*
- *ადამიანურ რესურსებზე, სოციალურ და ეკონომიკურ კაპიტალზე ზრუნვით, უნარების განვითარებაზე ფოკუსირება;*
- *ისეთი პროცესის წარმოება, მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით, როცა მაგალითად, შედეგების მისაღწევად არსებული ძალები მაქსიმალურადაა გამოყენებული და ახალი უნარების განვითარების პროცესი გააზრებული;*
- *გენდერული, ეთნიკური, ცენტრ-პერიფერიული თანასწორობის და სხვა ისეთი სტრუქტურული საკითხების წამოყენება, რომელთაც შეიძლება ვინმეს დაზარალება და დისკრიმინაცია გამოიწვიონ.*

როგორც ავსტრალიელი ბურკეტი და მაკდონალდი (ბურკეტი & მაკდონალდი, 2005) ცხადად გვიჩვენებენ, ასეთი სოციალური სამუშაოსადმი მიდგომა გამოსადეგია, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის ქვეყნებისთვის. როგორც მიდგლი იხსენებს, ადრეულ საქველმოქმედო ორგანიზაციებში მომუშავეები ახდენდნენ როგორც სტრუქტურულ, ასევე ინტერპერსონალურ ინტერვენციას. ჩვენ დავამატებთ, რომ დასახლების სახლების თანამშრომლებიც ეხებოდნენ

ინტერპერსონალურ საკითხებს. ბირკეტი და მაკდონალდი გვიჩვენებენ, რომ ინსტიტუციური კეთილდღეობის სისტემაში მომუშავე სოციალურ მუშაკებსაც შეუძლიათ სოციალური განვითარებისეული მიდგომის ათვისება, სხვაგვარად მათი სამუშაო შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადმინისტრაციული კონტროლი ან სოციალური კონტროლის ერთგვარი ფორმა.

ავსტრალია, ჩრდილოური მოდელის ქვეყანა, დღეს ცდილობს სოციალური სამუშაო ისე შეცვალოს, რომ ის პასუხობდეს ამ პროფესიის ვალდებულებებს აბორიგენი ავსტრალიელების წინაშე. (ბრისკმანი, 2007; გრინი & ბოლდრი, 2008) სოციალური განვითარებისეული მიდგომა ბევრ რამეს გვთავაზობს ამ კუთხით. როგორც გრინი და ბოლდრი აცხადებენ, ორსაუკუნოვანზე უფრო ხანგრძლივმა კოლონიზაციამ, სერიოზულად დააზიანა ძველი კულტურა და თემებს წაართვა განვითარების უნარი. ამ საქმეში სოციალური სამუშაოც იყო ჩართული. სოციალურ მუშაკებს, ერთის მხრივ, ბავშვები გაჰყავდათ საკუთარი ოჯახებიდან და ქვეყნიდან (უფრო ხშირად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი აბორიგენები იყვნენ და არა რაიმე დამაჯერებელი კეთილდღეობის მოთხოვნების გამო); მეორე მხრივ – ძალიან ბევრ აბორიგენ ახალგაზრდას აძლევდნენ (დღევანდელ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ყველა კოლონიზირებულმა ქვეყანამ გაიარა ანალოგიური ისტორიული პროცესი. რაც გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ამის უკან მდგარი მიზეზები სისტემური იყო, ანუ სტრუქტურის და კულტურის შედეგი უფრო იყო, ვიდრე რომელიმე პირის საქმიანობის (ვივერი, 2002; ბლექსტოკი და სხვები., 2004; ბრისკმანი, 2007; გრინი & ბოლდრი, 2008).

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ ავსტრალიაში და სხვაგანაც, აუცილებელია, რომ სოციალურმა სამუშაომ უპასუხოს ამ საჭიროებებს და შექმნას მუშაობის ახალი და სათანადო გზები. სოციალური განვითარებისეული პერსპექტივა გვთავაზობს ამ საკითხის მოგვარების გზებს. სოციალური განვითარებისეული მიდგომა გვთავაზობს, რომ სოციალურმა მუშაკებმა (ისევე, როგორც სხვა პროფესიონალებმა და ადმინისტრატორებმა) ტრადიციული მოდელის მიხედვით კი არ უნდა განახორციელონ მომსახურება, არამედ ყურადღებით უნდა მოუსმინონ ადგილობრივ საზოგადოებას, იმ მიზნით, რომ თემში გაზარდონ უნარები და თემზე დაფუძნებული თვით-რწმენა (გრინი & ბოლდრი, 2008).

კოქსი და პავორი ამტკიცებენ (კოქსი & პავორი, 2006), რომ სოციალური განვითარება არის საერთაშორისო სოციალური სამუშაოს, ოთხთავან, ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი. სხვა სამი გახლავთ: გლობალური პერსპექტივა, ეკოლოგიური პერსპექტივა და ადამიანის უფლებები. ჰილი (ჰილი, 2008 ა) ასევე უკავშირებს სოციალურ განვითარებას ადამიანის უფლებებს და მდგრადობას. ეს ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როცა სოციალური სამუშაო მართებულად არის კონცენტრირებული ადგილობრივ საკითხებზე, კონტექსტი ყოველთვის უნდა

გავიაზროთ ადამიანთა საქმიანობების მიზეზებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებთან მიმართებით.

### მიკროსა და მაკროს შერწყმა: შედეგები პროფესიის ჩამოყალიბებისთვის

სოციალური სამუშაოს გააზრების გზებზე მსჯელობისას (განსაკუთრებით ჩრდილოეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თვალსაზრისის მიხედვით) შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შეუძლებელია მიკრო და მაკრო დონეების პრაქტიკის გაერთიანებაზე ლაპარაკი. სოციალური განვითარებისეული მიდგომა გვთავაზობს, რომ ეს ასე არ არის. უფრო მეტიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, არსებობს ტენდენცია ჩრდილოეთურ დებატებში ამ მიდგომებიდან ერთი ან მეორე წარმოადგინონ, როგორც სოციალური სამუშაოს „ჭეშმარიტად“ აღმწერი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგჯერ ასეთი კამათი ემსახურება სოციალური სამუშაოს კომპლექსურობისა და სოციალური საქმიანობების გააზრებისა და გადაჭრის ათასგვარი გზების წარმოჩენის დაჩრდილვას.

ამ დებატების ტერმინოლოგიამ აგრეთვე დაბადა კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ სოციალური სამართლიანობის და სოციალური სამუშაოს პროფესიონალიზაციის მიზნებმა ერთმანეთს არ შეუშალონ ხელი? (მენდესი, 2007; ოლსონი, 2007). იმაზეა ლაპარაკი, რომ სოციალურ სამუშაოს ხომ არ დაუკარგავს თავისი „მთავარი“ არსი. საერთაშორისო გამოცდილების შედარების საფუძველზე, აგრეთვე დგას საკითხი სამხრეთის ქვეყნებში ისეთ პრობლემებზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევისა, როგორცაა „სოციალური ჰარმონია“ და „სოციუმის ერთსულოვნება“. ამას ერწყმის მკაფიო ინტერესი იმისა, რომ სოციალური სამუშაო, როგორც პროფესია ისევე განვითარდეს, როგორც ჩრდილოეთის ქვეყნებში. როგორი ირონიულიც არ უნდა იყოს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ კამათის ტერმინოლოგია აგებულია ევროპული ტრადიციიდან მომავალ ფასეულობათა სისტემაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის პოსტ-საგანმანათლებლო ეპოქისეული აღქმა (უფრო ხშირად) ძალიან თავისებურ ხასიათს იძენს. ფრაზები „სოციალური ჰარმონია“ ან „სოციუმის ერთსულოვნება“ ჩრდილოეთის ქვეყნებშიც შეიძლება გაიგონოთ სოციალური მუშაკისგან, თუმცა როგორც სტატუს კვოს მხარდაჭერა გარიყული და შევინროვებული ადამიანების ინტერესთა ხარჯზე. როგორც შევნიშნეთ, სამხრეთის ქვეყნებში ტრადიციული მოსაზრებები ოჯახისა და თემის შესახებ ისევე საკმაოდ მნიშვნელოვანია, როგორც მთავარი ასპექტი სამართლიანი სოციალური წესრიგისა. სოციალური სამუშაოსთვის მხოლოდ ზედმეტად ინდივიდუალისტური აღქმის ქონა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივალნიოთ ამ ფასეულობებს ასეთ კონტექსტში შეიძლება არანაყოფიერი გამოდგეს და იმავდროულად, წარმოქმნას აშკარა ფორმა ნეოკოლონიალიზმისა. ეს არ ნი-

შნავს, რომ სოციალურ მუშაკებს აფრიკაში, აზიაში, წყნარი ოკეანის რეგიონში, სამხრეთ ამერიკაში ან (ადგილობრივ სოციალურ მუშაკებს) ჩრდილოეთის ქვეყნებში არ აქვთ იგივე ფასეულობები, რაც მათ კოლეგებს სხვაგან იმის თაობაზე, რომ სოციალური მუშაკის მხრიდან მიუღებელია ვინმეს შეურაცხყოფაში ან დაშავებაში მონაწილეობა. ეს ნიშნავს, რომ დასკვნები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს შევინროვება, უნდა გადაისინჯოს იმ გარემოსთან მიმართებით, სადაც მოქმედება ხდება. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მაშინ არის აუცილებელი, როცა საქმე ეხება ადამიანების სურვილების შეთავსებას ოჯახის ან თემის ჯგუფურ ინტერესებთან (სილავი, 1995; იოპი, 2004; მაფილე'ო, 2006).

საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ანალიზიდან, ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ პროფესიის არსი. ასეთი განმარტება მართებულად რომ ჩაითვალოს, უნდა იყოს ზოგადი და იძლეოდეს საკმაო თავისუფლებას; ისე, რომ იქონიოს აზრი და მიზანს მიაღწიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის. იმავდროულად, განმარტებამ მხარი უნდა დაუჭიროს იმას, რასაც პროფესია ფუნდამენტურად მიიჩნევს. დროთა განმავლობაში, ამან გავლენა მოახდინა პროფესიის ჩამოყალიბების პროექტზე (მენდესი, 2007; ოლსონი, 2007). თუ ოლსონი (2007) მართალია და სოციალური სამუშაოს პროფესიად ჩამოყალიბება განუყოფელია ტექნიკურად გამართული მიკრო დონის პრაქტიკის განვითარებისგან, მაშინ პროფესიის უფრო ფართო და მოქნილმა გაგებამ შეიძლება გზა დაულოცოს ამ ისტორიულ პესპექტივას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კლასიკური მოძღვრება პროფესიების შესახებ გამოყოფს მთავარ თვისებებს და მახასიათებლებს, რომლებითაც პროფესიები გამოირჩევიან ერთმანეთისგან და რომლებიც განსაზღვრავენ მათ ჩარჩოებს (ფრიდსონი, 1994). ფართო და მოქნილი თვალსაზრისი სოციალურ სამუშაოზე (განსაკუთრებით ის, რომელიც სოციალური განვითარების იდეას ითავსებს) ღიად ტოვებს კითხვას, თუ რა არის სოციალური სამუშაო და როგორი შეიძლება იყოს სხვა ახალწარმოქმნილი „სოციალური პროფესიები“ (ბილუპსი, 2002, გვ. 163, ქეთრინ კენდალის ციტირებული სიტყვების პერიფრაზი). უფრო ახალი კვლევები პროფესიების და სოციალური სამუშაოს შესახებ (იხ. ჰუმანი, 1991), აღნიშნავენ, რომ პროფესიის ჩამოყალიბება არის პროცესი, როცა ესა თუ ის საქმიანობა აკეთებს განაცხადს კონკრეტულ პრაქტიკებზე და თეორიებზე; ამ გზით მოიპოვებს პროფესია სოციალურ სტატუსს და უფლებამოსილებას. სოციალური სამუშაოს იმ დეფინიციამ, რომლითაც ეს თავი დავინწყეთ, დევს განაცხადი სოციალური სამართლიანობის და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებებისეული ფასეულობების გაგებისა. ხოლო, თუ ჩვენი ბრძოლა პროფესიად ჩამოყალიბებისთვის არ მიესადაგება იმ სამყაროს ყველა ასპექტს, რომელშიც ვმუშაობთ, და საქმიანობებს, რომლის დაკმაყოფილებასაც ვცდილობთ, ეს პროექტი უცილობლად დამარცხებისთვისაა განწირული. ასეთი დასკვნა უხერხულია, რადგან ეს ნიშნავს, რომ სოციალურმა სამუშაომ უნდა გააგრძელოს არსებობა ძალიან გაურკვეველ მდგომარეობაში, როგორც ეს უკვე 100 წელზე მეტია ხდება. სო-

ციალური სამუშაოს გაგების ალტერნატიული გზების ძიებაში მეჰერ ნანავა-ტის (წლების მანძილზე სოციალურ სამუშაოში სოციალური განვითარებისეულ პერსპექტივას უჭერდა მხარს ინდოეთში) მოსაზრება, რომ სოციალური სამუშაო უცილობლად არის „ორივე – კონსულტირებაც და სოციალური ქმედებაც“, ყველაზე ძლიერ პოზიციად გვევლნება (ციტირებულია ბილუპსში, 2002, გვ. 203). მხოლოდ ასეთ ინკლუზიურ და პლურალისტულ გაგებას შეუძლია თეორიას თუ პრაქტიკას მისცეს საჭირო ფართო თვალსაზრისი და მოქნილობა.

### საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გამოძახილი

სოციალური სამუშაოს ხედვას ინკლუზიური და პლურალისტური თვალსაზრისით ბევრი გამოძახილი აქვს საერთაშორისო სოციალური სამუშაოსთვის. აქ ყველა ის სოციალური მუშაკი იგულისხმება, რომლებიც მუშაობენ უცხოეთში, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მომსახურების მიმღებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ან საერთაშორისო საკითხებით დაკავებულ ადგილობრივ სამსახურში [...]. ყველა ამ შემთხვევაში შეუძლებელია იფიქრო იმაზე, მიკრო პრაქტიკაზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება თუ მაკროზე. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის სოციალური სამუშაო – მხოლოდ კონსულტირება თუ მხოლოდ ქმედება? (შეადარე კოქსი & პოვორი, 2006; ჰილი, 2008a).

პირველ რიგში, საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ამგვარი ხედვა პრაქტიკოსებისგან მოითხოვს კონტექსტის შესაბამისად მუშაობის უნარს. ეს ეხება ყველა დონეს – პიროვნებასთან, ოჯახთან, თემთან მუშაობას თუ მომსახურების სისტემებში საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ მაღალი ხარისხის სპეციალიზაცია (მეთოდების ან მიდგომების თვალსაზრისით) უფრო ნაკლებად გამოსადეგია, ვიდრე მოქნილად მუშაობის უნარი. საკამათო არ არის, რომ არ არსებობს სიტუაცია, რომელსაც არ სჭირდებოდეს სპეციფიკური ტიპის სამუშაო, მაგრამ ეს სპეციფიკურობა კონტექსტში უნდა გავიზნოთ, და არა განყენებულად, როგორც პროფესიის რაობის მაჩვენებელი. გამოდის, რომ მოქნილი და გულისხმიერი პრაქტიკა უდევს საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გულის გულში.

მეორე საკითხია, რომ დროთა განმავლობაში ეს მოქმედებს იმაზე, თუ როგორ ხდება სოციალური მუშაკების განსწავლა საერთაშორისო პრაქტიკისთვის. პირდაპირი ჩარევის (კონსულტირების, შემთხვევაზე მუშაობის, ჯგუფთან და თემთან მუშაობის ჩათვლით) თეორიებთან და მეთოდებთან ერთად, აუცილებელია, რომ არაპირდაპირი თეორიები და მეთოდებიც სათანადოდ იქნას განხილული სწავლის პროცესში (სოციალური პოლიტიკის, ორგანიზების, მენეჯმენტის და კვლევის ჩათვლით).

მესამე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სოციალური სამუშაოს ინკლუზიურმა და პლურალისტურმა ბუნებამ ზეგავლენა მოახდინა ფასეულობების და

ეთიკის შესახებ საერთაშორისო დებატებზე. სოციალური სამუშაო, როგორც პროფესია, ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობისათვის თავდადებაზე აკეთებს ხმამაღალ განაცხადს. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაღებს ბევრ კითხვას იმ სხვადასხვაგვარი გზების შესახებ, რომლითაც ამის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა კულტურულ და ეროვნულ გარემოში. ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკაში ჩართულმა სოციალურმა მუშაკებმა, უნდა შეძლონ ამ საკითხებს გაუსწორონ თვალი. აგრეთვე, ისინი კარგად უნდა იყვნენ გარკვეული საკუთარ ფასეულობებში და იმ მეთოდებში, რომლითაც შეიძლება ამ ფასეულობების შეთანხმება სხვების ფასეულობებთან, ისე, რომ არ მოხდეს პროფესიის საყოველთაოდ განცხადებული პრინციპების დათმობა.

მეოთხე საკითხი, რომელსაც ეს მსჯელობა წამოჭრის, ეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სოციალური სამუშაოს განხორციელების გზებს და იმას, თუ ვის დაავალებენ კონკრეტული საქმის გაკეთებას (კლეიბორნი, 2004). სოციალურ სამუშაოს უფრო ხშირად კონკრეტული პრაქტიკის კუთხით ხედავენ და უფრო იშვიათად აღიარებენ მის ფართო ფუნქციას. ეს მხოლოდ სოციალური მუშაკების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე კი არ მოქმედებს, არამედ, გვთავაზობს, რომ მთელ პროფესიას დაეკისროს პასუხისმგებლობა გადასინჯოს ის, თუ როგორ ესმით სოციალური სამუშაო სხვა პროფესიებს, ადმინისტრატორებს, იმათ ვინც გადანყვეტილებებს იღებს და ვინც მომსახურებას მოიხმარს.

ამ თავში მიმოვიხილეთ პოლარიზებული მცდელობები სოციალური სამუშაოს ბუნების დადგენისა. აგრეთვე ვისაუბრეთ საპირისპირო მოსაზრებაზე, რომ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გამოცდილებამ დაგვანახა მოქნილი, ინკლუზიური და ფლურალისტური მიდგომის საჭიროება. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, პასუხი კითხვაზე: არის თუ არა სოციალური სამუშაოს საქმე ლტოლვილების პოსტ-ტრავმული კონსულტირება და თერაპია, ქვეყნის შიგნით ბავშვის გაშვილების ადმინისტრირება, სიღარიბის დაძლევის ან გარემოს მენეჯმენტის პროექტები? დადებითი უნდა იყოს (ყველა პუნქტისთვის). საერთაშორისო პერსპექტივა გვიჩვენებს, რომ სოციალური სამუშაო არის ეს ყველაფერი და კიდევ უფრო მეტი.

## VIII

განათლება სოციალურ სამუშაოში

## განათლება სოციალურ სამუშაოში საერთაშორისო ასპარეზი

ნინო შატბერაშვილის მიერ

სოციალური სამუშაოს განათლების ინსტიტუციონალიზაციას ძირითადად მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ „სოციალურ სამუშაოს სჭირდება უფრო მეტი ვიდრე შეგირდობა, უფრო მეტი ვიდრე პრაქტიკიდან სწავლა“. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს თარიღდება სოციალური სამუშაოს სკოლის დაარსება. პირველი მერცხლები არიან ჰოლანდია, სადაც სკოლა 1896 წელს დაარსდა და გერმანია, სადაც სკოლის დაარსება 1908 წლით თარიღდება. ამის შემდეგ სოციალურ სამუშაოს სკოლა დაარსდა ჩინეთში 1922 წელს, სამხრეთ აფრიკაში 1924 წელს, ჩილეში 1925 წელს, იტალიაში 1928 წელს, ეგვიპტეში 1936 წელს, ინდოეთში 1936 წელს, საბერძნეთსა და დანიაში 1937 წელს, არგენტინაში 1939 წელს, სამხრეთ აფრიკაში 1941 წელს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი სოციალური სამუშაოს სკოლები დაარსდა ხორვატიაში 1952 წელს, სლოვენიაში 1955 წელს, სერბეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მაკედონიაში 1958 წელს. საბჭოთა კავშირის შექმნამ ზოგიერთი სკოლის ფუნქციონირება შეაფერხა, მაგალითად ჩინეთში, სადაც ჯერ კიდევ 1922 წელს ამერიკელი მისიონერების ძალისხმევით პეკინის უნივერსიტეტში სოციალური პოლიტიკისა და სოციალური სამუშაოს დეპარტამენტი იყო დაარსებული, რომელიც სოციალისტური მმართველობის იდეოლოგიას შეეწინა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ კი სოციალური სამუშაო თავიდან დაარსდა ჩინეთის საგანმანათლებლო სისტემაში 1980 წელს. ამავე პერიოდში პროფესია ვითარდება ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

სოციალური სამუშაოს განვითარება საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკას უკავშირდება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ სახელმწიფო მოხელეებმა გაანალიზეს დიდი ზომის საალმზრდელი დაწესებულებების არარენტაბელურობა და უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე. დაიწყო ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების შემუშავებაზე მუშაობა. საქართველომ 1999 წელს მიიღო კანონი შვილობილობის შესახებ, რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა.

2000 წელს საქართველოს მთავრობის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბრიტანული ორგანიზაცია *ევრი ჩაილდის* მიერ დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის პილოტური პროექტის განხორციელება სამ ქალაქში: თბილისში, თელავსა და რუსთავში. შეირჩა 18 სოციალური მუშაკი. ისინი გადამზადდნენ ვიწრო პროფილით – სოციალური სამუშაო ბავშვთა კეთილდღეობაში ბრიტანული ორგანიზაცია *ევრი ჩაილდის* მიერ. პილოტირება წარმატებით განხორციელდა

და ცხადყო დენისტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მართებულობა. ამან კი გამოიწვია სოციალური მუშაკების მომზადება საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ამავე პერიოდში საქართველოში დაბრუნდნენ ღია საზოგადოება საქართველოსა და აშშ-ს ორი წამყვანი უნივერსიტეტის: ნიუ იორკის კოლუმბიისა და სენტ ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტების სამაგისტრო კურსდამთავრებულები, რომლებმაც დაარსეს *საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია*. ასოციაციას დიდი წვლილი მიუძღვის სოციალური სამუშაოს სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში საქართველოში. მისი ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია სოციალური სამუშაოს უმაღლესი განათლების ხელშეწყობა ქვეყანაში, რაც გამოიხატა მათ აქტიურ თანამშრომლობაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ამჟამად ასოციაცია ურთიერთგანვითარების მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან.

ევროკავშირის ტემპუს ტასისის *სოციალური სამუშაოს განათლების დანერგვა* საქართველოში პროექტისა და ღია საზოგადოება საქართველოს „უმაღლესი განათლების მხარდაჭერის „პროგრამის ხელმძღვანელობით დაიწყო სოციალური სამუშაოს აკადემიზაციის პროცესი. 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ბაკალავრიატი სოციალურ სამუშაოში, ხოლო ილიას სახელობის უნივერსიტეტში მაგისტრატურა. 2008 წელს სამაგისტრო სწავლებისათვის სტუდენტების მიღება დაიწყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმაც. 2011 წელს კი ამავე უნივერსიტეტმა ევროკავშირის „ექვს ევროპულ ქვეყანაში სოციალური სამუშაოს განათლების სამსაფეხურიანი ციკლის განვითარების“ პროექტის მხარდაჭერით მიიღო პირველი კოჰორტა სოციალური სამუშაოს სადოქტორო სწავლების საფეხურზე. სწავლების ყველა დონეზე კურიკულუმის შემუშავებაში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული (შატბერაშვილი, 2011).

აკადემიური სწავლების დაარსებამ შექმნა პროფესიის აკადემიურ დონეზე დაუფლების შესაძლებლობა. აკადემიური სწავლების დიდი მონაპოვარია სტუდენტთა პრაქტიკის სწავლება. ის ხორციელდება დედაქალაქში არსებულ ყველა ორგანიზაციაში, სადაც სოციალური სამუშაოს მომსახურების მიწოდება ხდება ან იგეგმება. პრაქტიკის სწავლებას ორმხრივი დატვირთვა აქვს: პრაქტიკის ორგანიზაციები ეხმარებიან სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისათვის მზადებაში, სტუდენტები კი ეხმარებიან პრაქტიკის ორგანიზაციებს სოციალური სამუშაოს უფრო მაღალპროფესიული სტანდარტის დანერგვაში.

ამჟამად განვითარებული და განვითარებადი სამყაროს უმრავლეს ქვეყნებში ფუნქციონირებს სოციალური სამუშაოს სწავლება. სწავლება მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიურ საფეხურებზე, თუმცა პროფესიული გადამზადებაც აქტიურად ხორციელდება ზოგიერთ ქვეყნებში.

რიგ ქვეყნებში სოციალური სამუშაო უმაღლეს პროფესიულ დონეზე ისწავლება, სხვებში კი უმაღლესი განათლების დონეზე.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა ელემენტებზე აკეთებენ აქცენტს სოციალურ სამუშაოში და სოციალური პრობლემების მოგვარებისას. მაგალითად, გერმანიის სოციალურ სამუშაოში სოციალურ პედაგოგიკაზე კეთდება მეტი აქცენტი, საფრანგეთში კი ანიმაციაზე (ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომა), ზიმბაბვეში სოციალურ განვითარებაზე, ლათინურ ამერიკაში კი ხალხის ცნობიერების ამაღლებაზე, იმის რაობაზე, თუ როგორ ზემოქმედებს ძალაუფლება სხვადასხვა ჯგუფების სასიცოცხლო შანსებზე. ზოგიერთ ქვეყნებში მიმდინარეობს ინდივიდუალიზაციისა და ავთენტიზაციის მოძრაობა, რაც კოლონიზაციასთან ასოცირებული სოციალური სამუშაოს დასავლური მოდელისაგან განდგომას გულისხმობს, მაგალითად მაორთა მიდგომა ახალ ზელანდიაში, აბორიგენული მოდელი ავსტრალიაში, პრიმა ერის პერსპექტივა კანადაში და აზიური ოჯახური მოდელი მალაზიაში და სინგაპურში. ზოგიერთ ქვეყანაში სოციალური სამუშაო პარა-სამედიცინო პროფესიად მიიჩნევა, ჯანმრთელობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და სოციო-სამედიცინო ორიენტაცია აქვს.

შესაბამისად განსხვავდება კონცენტრაციები, მეთოდები, კურიკულუმი, პრაქტიკის სწავლების მოთხოვნები და დიპლომებიც კი. მაგალითად, აშშ-ში სოციალური სამუშაოს კონცენტრაციებს შორის ვხვდებით ბავშვებისა და ოჯახების, დასაქმების, საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობისა და სოციო-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, თანამედროვე სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებულ სოციალურ სამუშაოს. მეთოდებში კი სოციალურ პოლიტიკას, სოციალურ ადმინისტრაციას, კლინიკურ სოციალურ სამუშაოს, კვლევას სოციალურ სამუშაოში.

ზოგიერთ საგანმანათლებლო სივრცეში სავალდებულო კურსების ჩამონათვალში გარდა სოციალური სამუშაოს საფუძვლების და უნარების კურსებისა ვხვდებით ისეთი კურსებს, როგორცაა სოციალური ეკონომიკა (როსკილდის უნივერსიტეტი, დანია); კრიმინოლოგია, არასრულწლოვანთა სოციოლოგია, სოციალური სამუშაო სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემაში (კუპიოს უნივერსიტეტი, ფინეთში); სოციალური ანთროპოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ინდივიდუალური და სოციალური პათოლოგია, სოციო-ეკონომიკური განვითარება, ფსიქიკური ჯანმრთელობა (ჰარარეს უნივერსიტეტი, ზიმბაბვე).

გაიცემა სხვადასხვა სახის დიპლომები სხვადასხვა აკადემიურ დონეზე, მაგალითად ფინეთის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამამთავრებელს ეძლევა „ასისტენტ სოციალური მუშაკის“ დიპლომი, „სოციალური მუშაკის“ დიპლომი კი მხოლოდ ბაკალავრიატისა და სამაგისტრო სწავლების დასრულების შემდეგ. საფრანგეთში 37 სხვადასხვა სახის დიპლომი გაიცემა, მაგალითად ბავშვზე ზრუნვის მუშაკი, განმანათლებელი, მედიატორი და ა.შ. ირლანდიაში, დუბლინის ტექნოლოგიის ინსტიტუტი 2 წლიანი ტრეინინგის შემდეგ ბავშვზე ზრუნვაში გასცემს ბავშვთა ადრეული გავითარებისა და განათლების სერთი-

ფიკატს. პრაქტიკის სწავლების დატვირთვაზეც სხვადასხვა მოთხოვნებია სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა პრაქტიკის საათების რაოდენობაც. ზოგიერთი უნივერსიტეტი პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობას უცხო ქვეყანაშიც კი იძლევა (მაგალითად დანია).

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამუშაო ადამიანების კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი პროფესიაა და მისი დარეგულირება ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიაა სოციალური სამუშაო სხვადასხვაგვარად რეგულირდება სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესის დამთავრების შემდეგ სოციალურ სამუშაოს პრაქტიკის განხორციელების ნებართვა მხოლოდ ლიცენზირებულ მუშაკებს ეძლევათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ლიცენზირების გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ასეთი ქვეყნებია აშშ, კანადა (უმრავლეს ოლქებში, თუმცა სხვადასხვანაირად, ზოგან ლიცენზიას ითხოვენ, ზოგან რეგისტრაციას, ზოგან სერთიფიკატს, ზოგანაც სამივეს ნაწილობრივ), ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო, ბელგია, ავსტრია, რუმინეთი, პოლონეთი, ესტონეთი, სლოვენია (უმაღლესის დამთავრების შემდეგ სოციალურმა მუშაკმა 1 წლიანი ინტერნატურა უნდა გაიაროს და შემდეგ ჩააბაროს გამოცდა, რომელიც არის მისი დასაქმების წინაპირობა), ესპანეთი, პორტუგალია.

არიან ქვეყნები, სადაც პროფესია რეგულირებადია, მაგრამ სოციალურ მუშაკებს არ მოეთხოვებათ ლიცენზიის აღება უმაღლესის დამთავრების შემდეგ. მათ მხოლოდ გარკვეული სატრენინგო ან პრაქტიკის ვალდებულება აკისრიათ. ასეთი ქვეყნებია საფრანგეთი და გერმანია (კვალიფიკაციის მოთხოვნას უყენებს სოციალურ მუშაკს, დამატებით ტრენინგის 130 საათს და მუშობისას სუპერვიზიას, რის გარეშეც სოციალური მუშაკი ვერ დარეგისტრირდება); მალტა (დიპლომს დამატებული 2 წელი სუპერვიზიის ქვეშ მუშაობა), ფინეთი, ნორვეგია, ირლანდია, ლუქსემბურგი. არიან ქვეყნები, სადაც პროფესია არ არის რეგულირებადი: შვედეთი (სერთიფიცირებას ითხოვს), ბელორუსია, რუსეთი (თუმცა გეგმავს) და საქართველო.

სოციალური სამუშაოს პროფესიად აღიარებისთანავე მოხდა მისი რეგულირებად პროფესიათა ნუსხაში განთავსება 2004 წლის უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, თუმცა 2009 წლის ჩასწორების საფუძველზე პროფესია რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალში აღარ არის. ეს ცვლილება სახელმწიფოს მხრიდან იყო ინიცირებული, რაც ემყარებოდა მოსაზრებას, რომ პროფესიის განვითარების ადრეულ ეტაპზე რეგულირების მექანიზმის შემოღება ბარიერს უქმნის პროფესიის განვითარებას. ერთი მხრივ ლოგიკური მოსაზრება მეორე მხრივ პრობლემებს წარმოშობს ან მათ აღმოფხვრას აფერხებს: საქმე ის არის, რომ პროფესიის განვითარების ამ საწყის ეტაპზე ბუნებრივია არსებული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და მომსახურების მიმწოდებელთათვის მომსახურების ხარისხზე კონტროლის არ არსებობა ამცირებს ხარისხიანი პრაქტიკის მიწოდების ალბათობას (შატბერაშვილი, 2011).

როდესაც სოციალური სამუშაოს განათლების სისტემაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება არ შევეხოთ *სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციას*, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სოციალური სამუშაოს განათლების ინსტიტუციონალიზაციაში. ამ ორგანიზაციის დაფუძნების იდეა დასაბამს იღებს 1926 წლის საორგანიზაციო შეხვედრაზე, რომლის მიზანს სოციალური სამუშაოს პირველი საერთაშორისო კონფერენციისათვის მზადება წარმოადგენდა. ეს კონფერენცია გაიმართა პარიზში 1928 წელს. კონფერენციას 2500 წარმომადგენელი ესწრებოდა 42 ქვეყნიდან. კონფერენციის ხელმძღვანელები იყვნენ პრეზიდენტი ალის მასარიკოვა პრალიდან და გენერალური მდივანი რენე სანდი ბელგიიდან. კონფერენციის ყველაზე აქტუალური საკითხი ალის სალომონის სესია იყო სოციალური სამუშაოს ტრენინგზე.

კონფერენციის წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური სამუშაოს/სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას: *სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო კომიტეტის*, *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო კონფერენციის* და *სოციალური სამუშაოს საერთაშორისო ფედერაციას*. *სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო კომიტეტის* ოფიციალური დაფუძნება 1929 წელს მოხდა ბერლინში. ამ შეხვედრას შვიდი ევროპული ქვეყნისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ორგანიზაციის მთავარ ამოცანად სოციალური სამუშაოს სკოლებს შორის მოსაზრებებისა და გამოცდილების გაზიარება განისაზღვრა. ორგანიზაციამ მიზნად დაისახა სკოლებს შორის პედაგოგებისა და სტუდენტების გაცვლა-გამოცვლა, ორგანიზაციის დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ცენტრების ორგანიზება, სოციალური სამუშაოს საერთაშორისო კურსების დაფუძნება.

1939 წელს ორგანიზაციაში 75 სკოლა იყო განწევრიანებული 18 ქვეყნიდან. მიუხედავად წარმატებებისა გამოიკვეთა პრობლემებიც. განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად რელიგიური მიკუთვნილობა იქცა. სოციალური მომსახურებების კათოლიკური საერთაშორისო გაერთიანების წევრი სკოლები ორგანიზაციას ზედმეტად რელიგიურად ნეიტრალურად მიიჩნევდნენ. აშშ-ს სკოლები წინააღმდეგნი იყვნენ ორგანიზაციის წესდებაში რელიგიის ხსენებაზეც კი. ზოგიერთი მათგანი კი ფინანსური მიზეზების გამო იკავებდა თავს განწევრიანებაზე. ამავე პერიოდს უკავშირდება ალის სალომონთან დაკავშირებული პრობლემები. ყველა გერმანულმა სკოლამ გააუქმა წევრობა მისდამი პროტესტის ნიშნად, რადგან იგი ებრაელი იყო და ამავე დროს თავდადებული პაციფისტი, ქალთა უფლებების დამცველი და საერთაშორისო კონტაქტების მქონე. ყველა ამ ფაქტორმა იგი არაპოპულარული გახადა საკუთარ ქვეყანაში. ზოგიერთმა სკოლამ ორგანიზაციაში წევრობის წინაპირობად მისი პრეზიდენტობიდან გადაყენების მოთხოვნა წამოაყენა. ალის სალომონი ორგანიზაციის გადარჩენისათვის დათანხმდა გადადგომის მოთხოვნას, თუმცა კომიტეტის წევრებმა გააპროტესტეს ეს მოთხოვნა და მას პრეზიდენტის მანდატი აღუდგინეს. 1937 წელს სალომონს



დაატოვებინეს გერმანია. იგი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად, საიდანაც საკმაოდ გაუჭირდა ორგანიზაციის მართვა, თუმცა ფორმალურად მის პრეზიდენტად ითვლებოდა.

ომის შემდგომ პერიოდში ხელმძღვანელობა რენე სანდს დაევალა, რომელსაც ეფექტიანი რეორგანიზაციის მისია დაეკისრა. პირველი დიდი კონგრესი ომის შემდეგ 1950 წელს ჩატარდა. ორგანიზაციის ძალისხმევა განვერიანებულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმატებით დასრულდა, მან მიიღო ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტის საკონსულტაციო სტატუსი. 1950 წლის კონგრესზე, პარიზში კეტრინ კენდეღმა წარადგინა გაეროს პირველი კვლევა სოციალურ სამუშაოზე, რომელიც საფუძვლად დაედო გაეროს რეზოლუციის მომზადებას, რომლის მიხედვითაც გაერო სოციალური სამუშაოს განათლების ხელშეწყობის ვალდებულებას კისრულობს, განსაკუთრებით კი აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. რენე სანდის გარდაცვალების შემდეგ 1953 წელს ორგანიზაციის პრეზიდენტი გახდა იან ჯონი, გენერალური მდივანი კი კეტრინ კენდეღი.

1956 წელს კომიტეტმა შეიცვალა დასახელება და იგი გახდა სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაცია. ორგანიზაციამ სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო კონფერენციასთან ერთად დაიწყო სოციალური სამუშაოს საერთაშორისო ჟურნალის გამოცემა. ამ ინიციატივას ფედერაციაც შეუერთდა 1959 წელს.

1980 წელს ორგანიზაციას მეორე გერმანელი პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ორი ვადით, ჰენრიხ შრილერი. ეს პერიოდი ხასიათდება როგორც რთული ასევე დადებითი ტენდენციებით. რთული პერიოდი აპართეიდის მმართველობის პერიოდს უკავშირდება. განცალკევების პოლიტიკა აისახა აფრიკის სოციალური სამუშაოს რამდენიმე სკოლაზეც. მათმა უმრავლესობამ ორგანიზაციას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და ორგანიზაციის მანდატის შეუფერებელი დამოკიდებულება გამოავლინა. დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ სკოლების ორგანიზაციიდან გარიცხვის შესახებ. აფრიკაში ორგანიზაციამ დაკარგა კიდევ წევრები ამ პერიოდში, თუმცა 2004 წელს მათ აღადგინეს წევრობა. უარყოფითი მოვლენა იყო ასევე ის, რომ ნორდიკულმა სკოლებმა დატოვეს ორგანიზაცია აფრიკის სკოლების წევრობის საპროტესტოდ. დადებითი კი ის იყო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას მოყვა ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის სკოლებთან დიალოგის აღდგენა.

შეიძლება ჩაითვალოს რომ, ორგანიზაციის აღმავლობის პერიოდი კვლავ დაიწყო. 1992 წელს სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო კომიტეტი საკონსულტაციო სტატუსით მიიღო გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამაც. ორგანიზაციამ ადამიანის უფლებების დაცვისაკენ აიღო გეზი. გადაიჭრა აფრიკის სკოლების განვერიანების საკითხიც. 2000 წელს კი ორგანიზაციის იმდროინდელი პრეზიდენტის ლენა დომინელის მმართველობის პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა სოციალური

სამუშაოს განათლებისა და სატრენინგო სტანდარტები. ეს დოკუმენტი წარმოადგენს პრინციპულ სახელმძღვანელოს სოციალური სამუშაოს კურიკულუმის შემუშავებისათვის. სწორედ ამ დოკუმენტით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როდესაც კურიკულუმს ვავითარებდით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

სოციალური სამუშაოს პროფესიონალიზაცია უწყვეტი პროცესია. როგორც ყველა პროფესიას, ასევე სოციალურ სამუშაოს ესაჭიროება ცოდნის მუდმივი აკუმულირება, თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების დახვეწა და კვლევა, რომლის საფუძველზეც ვითარდება ახალი მიდგომები. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამუშაოს ცოდნის ბაზა იზრდება ქვეყანაში, არც პუბლიკაციათა რაოდენობა მატულობს და არც პრაქტიკოსთა კვლევები. ქვეყანაში მოქალაქეთა სოციალური უფლებების შელახვის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, სოციალური მუშაკის სოციალური აქტივიზმი ან მათი კონტრიბუცია სოციალური პოლიტიკის პროცესში არ შეინიშნება. უფლება დარღვევები არ ხდება სოციალური მუშაკის მიერ წამოჭრილი დისკუსიის საგანი (შატბერაშვილი, 2011).

იმისათვის, რომ სოციალურმა მუშაკმა, რაგინდ განსწავლული და გამოცდილი პროფესიონალიც არ უნდა იყოს, შეძლოს ეფექტიანად მოემსახუროს მომსახურების მიმღებთა ინტერესებს და მოახდინოს ცვლილებები მათ საკეთილდღეოდ, აუცილებელია ფუნდამენტური განათლების მიღება. თუმცა რამდენად შესწევთ უნარი პროფესიონალებს შეინარჩუნონ კონტროლი და გავლენა საკუთარ ცოდნაზე ამას დიდწილად განაპირობებს სოციო-პოლიტიკური ვითარება, რომელშიც მათ უწევთ მოღვაწეობა. ამიტომ, განათლების მიღებასთან ერთად აუცილებელია:

- მუდმივცვალებადი სოციალური პრობლემების ზედმიწევნით ცოდნა;
- მონყვლადი მოსახლეობის შესახებ ინფორმირებულობა;
- გამოცდილება ინტერვენციის მეთოდებში, როგორც ინდივიდის და ოჯახის, ასევე ჯგუფებისა და საზოგადოების დონეზე;
- სოციალური პრობლემების კვლევა, ინდივიდუალურსა და სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორებს შორის ურთერთკავშირის ჭრილში;

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემოა, და შესაბამისად პრობლემებიც განსხვავებულია, რომელთა დაძლევაში მოსახლეობის დახმარებაც სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობაა, სოციალური სამუშაოს პროფესიული განვითარება ყველგან სამი რთული, ფაქიზი და საკმაოდ არასტაბილური ცვლადის ურთიერთკავშირზეა დამოკიდებული:

- სოციალურ მუშაკთა შიდა პროფესიული ძალაუფლების დონეზე და მათ ძალისხმევაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ საერთო პროფესიულ მიზნებზე;
- გარე ზეგავლენის ფაქტორებზე, რომელთა დახმარებითაც პროფესია სხვა მიზნების მიღწევას შეძლებს (პროფესიული ლიცენზირების და ნოდების დაცვა, შრომის ანაზღაურება, პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევებისათვის სანქციების დანესება, კონტროლი განათლებაზე და პროფესიულ ასპარეზზე შესვლაზე);
- პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტზე, რომელშიც სოციალური სამუშაო ხორციელდება (პროფესიული პრესტიჟი, პროფესიული ცოდნის გამოვლენის ასპარეზი, ექსპერტიზა პოლიტიკის დონეზე).

(უესი-გალი, უელბორნი, 2007).

აი, სწორედ ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული სოციალური სამუშაოს, როგორც პროფესიის განვითარება.

## IX

### სოციალური სამუშაოს როლი საერთაშორისო კეთილდღეობაში

## სოციალური სამუშაო და გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები

რიჩარდ ჯუმბანის მიერ

### გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები კონტექსტში

წინა თავში განხილული საკითხებიდან რჩება განცდა, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა ასპექტი შეიძლება დავახასიათოთ როგორც „სხვა ქუთაზე“ დადგომა (მიდგლი, 1997). იმავდროულად, ადამიანის გამომგონებლობამ შექმნა კიდევ უფრო მეტი რთული ტექნოლოგია, მაგალითად, საჭმლის მომზადების უამრავი მეთოდი. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ადამიანების საზოგადოების განვითარების დონე დღესაც განსხვავებულია; ადამიანებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან სოციალურ-ეკონომიკური კლასით, სქესით, ეთნოსით და „რასით“, სექსუალურობით და უნარებით თუ უუნარობით. რა თქმა უნდა, დებატები სიღარიბის მიზეზების და მისგან თავდაღწევის გზების შესახებ, ისევე როგორც სოციალური განვითარების შემაფერხებელი სხვა ფაქტორების შესახებ, ბევრი ათწლეულია მიმდინარეობს. 1990-იან წლებში საერთაშორისო დონეზე (და სულ უფრო მეტად ცალკეულ ქვეყნებში) ამ კამათში წამყვანი იყო ეკონომიკური საკითხები, რომელიც უკავშირდებოდა „ნეოლიბერალიზმის“ თეორიას და იდეოლოგიას (დიკონი, 2007; კორელი, 2008). ამგვარი მიდგომით, ყველაზე გავლენიან ინსტიტუტებს და გადაწყვეტილების მიმღებებს სოციალური განვითარება (ადამიანების მიღწევების ჩათვლით ჯანმრთელობაში, განათლებაში, კულტურულ აქტივობაში, თემის და ოჯახის ცხოვრებაში და ასე შემდეგ) მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე ეგონათ დამოკიდებული და ზოგჯერ, მისგან წარმოქმნილიც კი.

1995 წელს კოპენჰაგენში გაიმართა მსოფლიო სამიტი სოციალური განვითარებისთვის (UN, 1995). სამიტში სულ 117 ქვეყანამ მიიღო მანაწილეობა და დასასრულ მიიღეს ათი საყოველთაო ვალდებულების შემცველი დეკლარაცია, შეთანხმება და სამოქმედო პროგრამა (UN, 1995). ამ დეკლარაციის არსი შეიძლება შევაჯამოთ, როგორც ვალდებულება:

1. შევქმნათ ისეთი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სამართლებრივი გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს მიაღწიონ სოციალურ განვითარებას;
2. აღმოვფხრათ სიღარიბე;
3. ხელი შევუწყოთ საყოველთაო დასაქმებას, როგორც ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს;
4. სტაბილური, უსაფრთხო და სამართლიანი (ადამიანის უფლებებზე და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული) საზოგადოებების

ფორმირების ხელშეწყობის გზით დავეხმაროთ სოციალურ ინტეგრაციას;

5. დავიცვათ ადამიანთა ღირსება, ხელი შევუწყოთ ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარუფლებიანობას და თანასწორობას. საზოგადოების ყველა ასპექტში გავაძლიეროთ ქალის პოზიცია;
6. მივალწიოთ საყოველთაო და ხელმისაწვდომ ხარისხიან განათლებას, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტს და პირველად ჯანდაცვას;
7. დავაჩქაროთ აფრიკისა და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარება ყველა თვალსაზრისით;
8. უზრუნველვყოთ, რომ სტრუქტურის დახვეწის პროგრამებში გათვალისწინებული იყოს სოციალური განვითარების მიზნები (განსაკუთრებით სიღარიბის აღმოფხვრა, საყოველთაო და ნაყოფიერი დასაქმების ხელშეწყობა, სოციალური ინტეგრაციის გაღრმავება);
9. მნიშვნელოვნად გავზარდოთ და/ან უკეთესად გამოვიყენოთ სოციალური განვითარებისთვის გამოყოფილი რესურსები;
10. დავხვეწოთ და გავაძლიეროთ სოციალური განვითარების სფეროში საერთაშორისო, რეგიონული და ქვერეგიონული თანამშრომლობის სისტემა.

(დეკლარაციის და მისი თანმხლები დოკუმენტების ხილვა შეგიძლიათ სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის ვებგვერდზე: <http://www.un.org/esa/socdev/wssd/>)

შეთანხმების, დეკლარაციის და სამოქმედო პროგრამის უმთავრეს არსს გამოხატავდა განცხადება, რომელიც მთავრობებმა გააკეთეს – „განვითარების ცენტრში დავაყენოთ ადამიანი და მისი საჭიროებების უფრო ეფექტურად დაკმაყოფილებისკენ მივმართოთ ჩვენი ეკონომიკა“. ამოსავალი პრინციპები იყო მეტად მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარად უკავშირდებოდა ისეთ საკითხებს, როგორც გახლავთ – ოჯახის, ადამიანთა მოდგმის მთავარი ინსტიტუტის, უპირატესობა; განსაკუთრებული საკითხები კოლონიალიზმის ისტორიიდან და აბორიგენი მოსახლეობისადმი მოპყრობა; საზოგადოების წარუმატებელი ჯგუფების საგანგებო საჭიროებები; განსაკუთრებული ყურადღება ბავშვების და მოხუცების საჭიროებებისადმი. [...] ჩვენ ვნახავთ, რომ სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტი სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მთავრობათაშორისი განხილვის ტრიბუნაა.

თუმცა, სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციის ადგილი ძალიან ეფექტურად დაიკავა ათასწლეულის განვითარების მიზნებმა (UN, 2000a). ამ შენაცვლების მიზეზებს და მისგან წარმოქმნილ შესაძლებლობებს სხვადასხვანაირად ხსნიან. კორელი კრიტიკუ-

ლად უდგება, მისი აზრით, ეს არის „შემთხვევითი ამოცანების მიუღებელი და მინიმალისტური კოლექცია, რომელიც განვითარებას არ უკავშირდება“ (კორელი, 2008, გვ. 453). ცოტა ქვემოთ ის მიზნებს „მდარე ხარისხის მინიმალისტური და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნარჩენების კრებულს“ უწოდებს (გვ. 453, 455). კორელის აზრით, ფართომასშტაბიანი ვალდებულებები (რომელიც სოციალური განვითარებისადმი ზოგად მიდგომაში, სიღარიბის შემცირებასაც გულისხმობდა) ძალიან სწრაფად შეცვალა ათასწლეულის განვითარების მიზნების მინიმალურმა ამოცანებმა. ამის ახსნა, მისი თქმით, უნდა ვეძებოთ ნეოლიბერალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აზროვნებაში. ამ აზროვნების წყარო კი გახლავთ *საერთაშორისო სავალუტო ფონდი*, *მსოფლიო ბანკი* და *ეკონომიკური თანამშრომლობის* და განვითარების ორგანიზაცია. კორელის აზრით, ეს ინსტიტუტები კვლავაც გადაჯაჭვული არიან „ვაშინგტონის კონსესუსთან“. ეს კონცეფცია, რომელიც უილიამსონმა განმარტა (უილიამსონი, 1989), ეხება ზოგად პოლიტიკურ შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და სხვა გლობალურ საფინანსო ორგანიზაციებს შორის, ის გულისხმობდა, რომ დახმარების და განვითარების მხარდაჭერა მკაცრი პირობებით უნდა განხორციელებულიყო; აგრეთვე სახელმწიფო დანახარჯები უნდა შემცირებულიყო და სიღარიბის შემცირებაზე ფოკუსირებული დახმარების სანაცვლოდ, უნდა მომხდარიყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. კრიტიკოსები კამათობენ, რომ ეს უბრალოდ იყო თავისუფალი ბაზრის უფრო სწრაფი ზრდის მამოძრავებელი, რათა სარგებელი ენახა ჩრდილოეთის კარგად განვითარებულ ეკონომიკას და მრავალეროვნულ კორპორაციებს ჰქონოდათ უსაზღვრო ბიზნეს შესაძლებლობები (მაგ., იხ. გეორგი, 1988; ჩომსკი, 1999). სტიგლიცი (სტიგლიცი, 2003, გვ. 56) ამტკიცებს, რომ ეს პოზიცია აღარ არის კონსენსუსი, მაგრამ კორელი არ ეთანხმება და აცხადებს, რომ პრაქტიკაში ეს ისევე აქტიურად გამოიყენება. ისე არ არის, რომ კორელი ფიქრობდეს, თითქოს, სიღარიბის შემცირება არ არის სოციალური განვითარების ნაწილი. მართლაც, როგორც მიდგლიმ (მიდგლი, 1995) განაცხადა, სოციალური განვითარება ახდენს ეკონომიკურ რეაგირებას ადამიანური განვითარების სოციალურ განზომილებაზე. თუმცა, ამ მიდგომაში ეკონომიკური საკითხები ჩართულია უფრო ზოგად სტრატეგიებში, როგორცაა ადამიანის განვითარების მიღწევის გზები და ეს არ უნდა იქცეს შედეგის მისაღწევ საშუალებად. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს საშუალება, რომლითაც დახმარებასა და განვითარებაში ჩართული „დონორი“ ქვეყნები უფრო მეტს მიიღებენ, ვიდრე გასცემენ (სეითი, 2006). ისეც შეიძლება დავინახოთ, რომ ვაშინგტონის კონსენსუსს, როგორც ნეოლიბერალური პერსპექტივის გამოხატულებას, ჰქონდა გავლენა ეროვნულ პერსპექტივაზე. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ მთავრობებმა ეკონომიკური პრიორიტეტები უფრო წინ დააყენეს, ვიდრე განვითარების სოციალური განზომილება (როგორცაა, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა). თუმცა, სინამდვილეში, არც ეკონომიკური და არც სოციალური თვალსაზრისით ეს შეიძლება არ იყოს მათი შორსმომავალი ინტერესი (გაბრიელი, 2006).

დიკონი (დიკონი, 2007) ეთანხმება ამგვარ თვალსაზრისს. ის სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციას ახასიათებს, როგორც „ბოლო დროის სამიტთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს“ (2007, გვ. 75); რადგან მან თავი მოუყარა ბევრი იმ კონფერენციისა და სამიტის ნააზრევს, რომლებიც ეხებოდა განათლებას, ბავშვებს, განვითარებას, ადამიანის უფლებებს და მოსახლეობას და განვითარებას. გარდა ამისა, როგორც კორელმაც აღნიშნა (კორელი, 2008, გვ. 455), სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციის ენა ასახავს უნივერსალურობის, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის სულისკვეთებას; და არის იმ უმაღლესი სტანდარტისა, რისი მიღწევაც კი შესაძლებელია (დიკონი, 2007, გვ. 76). კორელს დიკონიც ეთანხმება იმაში, რომ ამ ძალიან კარგად ჩამოყალიბებული ამოცანების საპირნონედ ათასწლეულის განვითარების მიზნები გვთავაზობს მინიმალურ ამოცანებსა და მიზნებს. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციას და, რომ დეკლარაციის მუხლები მკაფიოდ იყო ფოკუსირებული ადამიანის განვითარების ყველა ასპექტზე, უნდა დაისვას კითხვა – სულ ცოტა ხანში რატომ შემცირდა ის მინიმალურ სტანდარტებამდე? დიკონის (დიკონი, 2007, გვ. 76) აზრით, ეს გადასვლა ერთი მიდგომიდან მეორეზე ასე უნდა ავსხნათ – საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციამ, მსოფლიო ბანკისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მეშვეობით გავლენა მოახდინეს გაეროს განვითარების და დახმარების ორგანიზაციებზე (და ამდენად ეროვნულ მთავრობებზე და წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებზე). მართლაც, დიკონმა ერთგვარი ირონიით აღნიშნა, რომ გაერომ ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ჯგუფის ლიდერად ის პირი დანიშნა, ვინც მანამდე სხვა, ეკონომიკურად მომართულ ორგანიზაციებში სტრუქტურის დახვეწის ნეოლიბერალური პოლიტიკისთვის იბრძოდა. მიუხედავად ამისა, დიკონი აგრეთვე შენიშნავს, რომ მსოფლიოს ყურადღება სოციალურ განვითარებასთან მიმართებით ახლა კონცენტრირებულია ათასწლეულის განვითარების მიზნებზე და გაეროს განვითარების პროგრამა უწევს კოორდინაციას მათ მიღწევას. შეიძლება, ეს მიზნები უწინდელ განზრახვებთან შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ ახლა ისინი განსაზღვრავენ განვითარების პოლიტიკის, დაგეგმვის და პრაქტიკის საერთაშორისო კონტექსტს.

### ათასწლეულის განვითარების მიზნები

რა არის ათასწლეულის განვითარების მიზნები? ეს შეთანხმება მოიცავს რვა განსაკუთრებულ მიზანს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინიმალური ძალისხმევით მიიღწევა და, რომლებსაც ემატება სპეციფიკური ამოცანები. ამ

ამოცანების განხორციელება დაგეგმილია 2015 წლისთვის (UN, 2000a). მიზნები და მათი ამოცანები ასეთია:

1. უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა
  - ამოცანა 1 – 1990–დან 2015 წლამდე განახევრებულია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისი დღიური შემოსავალიც 1 აშშ–ის დოლარზე ნაკლებია;
  - ამოცანა 2 – მიღწეულია სრული და ნაყოფიერი დასაქმება, საკადრისი სამუშაო ყველასთვის, ქალების და ახალგაზრდების ჩათვლით;
  - ამოცანა 3 – 1990–დან 2015 წლამდე განახევრებულია იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც შიმშილით იტანჯება.
2. უნივერსალური დაწყებითი განათლების დამკვიდრება
  - ამოცანა 1 – 2015 წლისთვის, უზრუნველყოფილია ყველგან ყველა ბავშვისათვის (განურჩევლად სქესისა) დაწყებითი განათლების სრული კურსის გავლა.
3. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალებისთვის მეტი ძალაუფლების მიცემა
  - ამოცანა 1 – 2005 წლისთვის აღმოფხვრილია გენდერული უთანასწორობა დაწყებით და საშუალო განათლებაში, ხოლო განათლების ყველა დონეზე – 2015 წლისთვის.
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
  - ამოცანა 1 – 1990–დან 2015 წლამდე ორი მესამედით შემცირებულია იმ ბავშვების რაოდენობა, ვინც ხუთწლამდე ასაკისა კვდება.
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
  - ამოცანა 1 – სამი მეოთხედით შემცირებულია დედათა სიკვდილიანობა;
  - ამოცანა 2 – რეპროდუქციული ჯანდაცვა უნივერსალურად ხელმისაწვდომია ყველასათვის.
6. აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
  - ამოცანა 1 – 2015 წლისთვის შეჩერებულია აივ/შიდსის გავრცელება და დაწყებულია ამ პროცესის უკანსვლა;
  - ამოცანა 2 – 2010 წლისთვის ყველასთვის, ვისაც სჭირდება, ხელმისაწვდომია აივ/შიდსის მკურნალობა;
  - ამოცანა 3 – 2015 წლისთვის შეჩერებულია მალარიისა და სხვა სერიოზული დაავადებების შემთხვევები და დაწყებულია ამ პროცესის უკანსვლა.

7. გ. არემოს მდგრადობის უზრუნველყოფა

- ამოცანა 1 – ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში დანერგილია მდგრადი განვითარების პრინციპები; უკუქცულია ბუნებრივი რესურსების განადგურების პროცესი;
- ამოცანა 2 – შემცირებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვა; 2010 წლისთვის დანაკარგის წილი მნიშვნელოვნადაა შემცირებული.
- ამოცანა 3 – 2015 წლისთვის განახევრებულია იმ მოსახლეობის რაოდენობა, ვისაც ხელი არ მიუწვდება უსაფრთხო სასმელ წყალზე და აუცილებელ სანიტარულ პირობებზე;
- ამოცანა 4 – 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სულ ცოტა, 100 მილიონ უსახლკაროთა ცხოვრება;

8. განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის სისტემის შექმნა

- ამოცანა 1 – გათვალისწინებულია ნაკლებად განვითარებული ქვეყნების, ხმელეთით გარშემორტყმული ქვეყნებისა და პატარა განვითარებადი კუნძულოვანი სახელმწიფოების განსაკუთრებული საჭიროებები;
- ამოცანა 2 – მეტად განვითარებულია ღია, წესებზე დაფუძნებული, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული ფინანსური და ვაჭრობის სისტემა;
- ამოცანა 3 – სრულად მოგვარებულია განვითარებადი ქვეყნების ვალების პრობლემა;
- ამოცანა 4 – ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობით, განვითარებადი ქვეყნებში ხელმისაწვდომია არაძვირადღირებული აუცილებელი ნამლები;
- ამოცანა 5 – კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ხელმისაწვდომია ახალი ტექნოლოგიური მიღწევები, განსაკუთრებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში.

(ათასწლეულის განვითარების მიზნების და მასთან დაკავშირებული ამოცანების სრული ტექსტი (სხვადასხვა ენაზე) იხ. ვებგვერდზე: <http://www.un.org/millenniumgoals/>)

ისევ დგას საკითხი, ეს მიზნები და მათი სპეციფიკური ამოცანები საერთაშორისო სოციალური განვითარებისთვის უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ თუ გარკვეული სახის პროგრესად (სეითი, 2006; კორელი, 2008; მათბორი & ფერდინანდი, 2008). ყველა საფეხურის საყოველთაო განათლების ხელშეწყობა (სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაცია)

შეცვალა დანყებითი განათლების მინიმალისტურმა მიზანმა (ათასწლეულის განვითარების მიზნები); ჯანდაცვის ყველა ასპექტის გაუმჯობესების (სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაცია), ნაცვლად მივიღეთ პირველადი ჯანდაცვის მიწოდების მინიმალური დონე (ათასწლეულის განვითარების მიზნები) და სხვა. დიკონი (2007), ისევე, როგორც მათბორი და ფერდინანდი (2008) მიიჩნევენ, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნები უმნიშვნელო პროგრესიც არის და უკან დახევაც. პროგრესი მოჩანს ვადებსა და სხვა კონკრეტულ განმარტებებში, რომლებიც აკურატულობად შეიძლება მივიჩნიოთ. ადამიანის კეთილდღეობის ყველა მთავარი ელემენტი – დასაქმება, განათლება და ჯანმრთელობა – ისევ მთავარ ამოცანებად რჩება. თუმცა, ყველა ანალიტიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების ფორმულირება უკან გადადგმული ნაბიჯია. ლაპარაკია იმაზე, რომ დომინანტურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა იდეოლოგიამ (ნეოლიბერალიზმმა) იმოქმედა ამ ამოცანების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, ამოცანებში უნივერსალურობის პრეტენზია შეცვალა უღარიბეს ქვეყნებზე და მსოფლიოს მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ნაწილზე კონცენტრაციამ. საქმე ისე კი არ არის, რომ მსოფლიო საზოგადოების უღარიბეს სექტორს არ სჭირდებოდა პოლიტიკის და პრაქტიკის მხრიდან ყურადღება, მაგრამ უნივერსალური პრინციპებიდან დაშორება აკანონებს – (1) განვითარების ფარგლების დაფინანსებას (რადგან განვითარება მსოფლიო მოსახლეობის სხვა სექტორებსაც უნდა ეხებოდეს) და იმას, რომ (2) მიზნები და შედეგები საყოველთაოდ აღარ მოიაზრებოდა. როგორც მიდგლი ამბობს (მიდგლი, 1997, გვ. 181), სოციალური განვითარება „ცდილობს, ეკონომიკური განვითარების და სოციალური მიზნების მეშვეობით, გააუმჯობესოს მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა“. ყველაფერი, რაც არ უნდა გაკეთდეს, უკიდურესი საჭიროების მქონეების დასახმარებლად უნდა იყოს. თუმცა, მხოლოდ სიღარიბის გარკვეულ ასპექტებზე ფოკუსირება, უკიდურეს სიღარიბეს „განსხვავებულ“ მდგომარეობაში აყენებს, იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გაამახვილოს ადამიანის ყველას მიერ გაზიარებულ კეთილდღეობის უფლებაზე. როცა საერთაშორისო განვითარების დახმარება მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის ხელშეწყობაზეა ფოკუსირებული (და ამით ყველაზე მეტ სარგებელს მაღალგანვითარებული „დონორი“ ქვეყნები ნახულობენ), მსოფლიო მოსახლეობის უღარიბესი სექტორი კვლავაც გარიყული რჩება. აგრეთვე, ამ უღარიბეს მოსახლეობას ვეპყრობით, როგორც სხვების ეკონომიკური მიზნების მიღწევის საშუალებას და არა, როგორც დამოუკიდებელ ადამიანებს (შეადარე როულსი, 1972).

როგორც ირკვევა, ზოგიერთი მონაწილე ქვეყნის წარმომადგენელი სპეციფიკური მიზნების შესრულებას ეკონომიკურ სარგებლად უფრო მიიჩნევს, ვიდრე, ამოცანების დასახვიდან მიღებულ სიკეთედ. აგრეთვე საჭიროა იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ იმოქმედებს სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების ბევრ

საკითხზე გამართულ საერთაშორისო დებატებზე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არსებული სხვადასხვანაირი ფასეულობათა სისტემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაქტიკული პოლიტიკის დაგეგმვის დონეზე ათასწლეულის განვითარების მიზნები შეიძლება უფრო ფართო შეთანხმებას წარმოადგენს, ვიდრე შესაძლებელი იქნებოდა ბევრი ქვეყნისთვის (რომლებიც სიღარიბის აღმოფხვრაზე, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიპყრობილი ყურადღების მთავარი ბენეფიციანტები არიან). მაგალითად, ამ თვალსაზრისით, ნაკლები ნუგეში შეიძლება იყოს ის, თუ როგორ არის გამოხატული მე-2 და მე-3 მიზნებში გენდერულ თანასწორობასთან მიმართება. ეს ორივე მიზანი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განათლება არის ადამიანის განვითარების მთავარი კომპონენტი და მსოფლიო საზოგადოება უნდა ისწრაფვოდეს, რომ ის ისევე იყოს ხელმისაწვდომი გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის, როგორც ბიჭებისა და ახალგაზრდა კაცებისთვის. მართლაც, გოგონების და ახალგაზრდა ქალების განათლების საკითხი (განსაკუთრებით წერა-კითხვასთან მიმართებით) ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა ადამიანის განვითარების გზაზე, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით (გაეროს განვითარების სააგენტო, 1999; გაეროს ბავშვთა ფონდი, 1999). სხვაგვარად რომ ვთქვათ, წერა-კითხვის ცოდნა ქალებში არის ადამიანის განვითარების ყველა განზომილების მაჩვენებელიც და მამოძრავებელიც. იმავდროულად, გოგონების და ახალგაზრდა ქალების განათლების დამაბრკოლებელი ბარიერები სათანადოდ უნდა შევაფასოთ. ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება სერიოზული ცვლილებები მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კორელი (2008) მართალია თავის შეფასებაში, რომ სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის გაბედული იდეალები ასე სწრაფად გაქარწყლდა და რომ არსებობს მიზეზები, რომლებიც ეწინააღმდეგება დახმარების და განვითარების აშკარა განზრახვებს. დიკონი კი აგრეთვე გამოთქვამს ძალიან შესაწყნარებელ მოსაზრებას, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნებმა უფრო წარმატებით მიიპყრეს მსოფლიოს ყურადღება და, ყოველ შემთხვევაში, ახლა ეს არის ოფიციალური პოლიტიკა. ამ თვალსაზრისით, ათასწლეულის განვითარების მიზნები ქმნიან ნიადაგს, რომელზეც საერთაშორისო სოციალურმა სამუშაომ და სხვა სფეროებმა უნდა ააგონ თავიანთი საქმიანობა.

## შედეგები სოციალური სამუშაოსთვის

რამდენადაც ათასწლეულის განვითარების მიზნები ეკონომიკურ და სტრუქტურულ განვითარებაზეა ფოკუსირებული, შეიძლება ვიკითხოთ რამდენად მნიშვნელოვანია ის სოციალური სამუშაოს დიდი ნაწილისთვის. დასაწყისისთვის შეიძლება დაგვჭირდეს იმ პრინციპების შეჯამება, რომლებიც საფუძვლად უდევს ათასწლეულის განვითარების მიზნებს. ესენი კი გახლავთ:

1. დასაქმების მნიშვნელოვნება; შიმშილის და სიღარიბის საკითხებზე ყურადღების გამახვილება;
2. როგორ მიმართებაშია გენდერული უთანასწორობის საკითხები ადამიანის განვითარების სხვა ასპექტებთან;
3. ადამიანის განვითარებისთვის ძალისხმევაში განათლების და ჯანმრთელობის უპირატესობა;
5. გარემოს შესაბამისობა ადამიანის განვითარების სხვა მთავარ საკითხებზე რეაგირების საპასუხოდ;
6. სხვადასხვა სტრუქტურულ დონეზე პარტნიორობის იდეა (სოციალურ-ეკონომიკურ კლასებს შორის, ეკონომიკურ სექტორებს შორის, ოჯახებს, თემებს და ქვეყნებს შორის, ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის).

მაშინ, როცა ამ პრინციპებიდან ზოგიერთმა შეიძლება ინსტინქტურად სოციალურ სამუშაოზე დაგანყებინოთ ფიქრი, სხვა ასპექტები შეიძლება უფრო მეტ გააზრებას მოითხოვდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ [...], ბევრი მათგანი, ვინც განვითარების საკითხებზე მუშაობს, ამტკიცებს, რომ სოციალური სამუშაოს ყურადღება მიმართულია მიკრო დონის საკითხებისა და პოლიტიკისკენ, შედეგად ფოკუსირებული არიან ჩამორჩენილებისთვის მომსახურების მიწოდებაზე; ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს თემის კეთილდღეობაზე და მის (თავის ცალკეულ წევრებზე და ოჯახებზე ზრუნვის) შესაძლებლობაზე. ამიტომ, უფრო დეტალურად რომ გავაანალიზოთ, რა შედეგები ექნება ათასწლეულის განვითარების მიზნებს სოციალური სამუშაოსთვის, უნდა ვნახოთ რამდენად შეესაბამებიან ისინი სოციალური განვითარების იმ მიკრო დონის პრაქტიკას და პოლიტიკას, რომელშიც სოციალური მუშაკები შეიძლება მონაწილეობდნენ; უნდა გავიაზროთ მათ შორის კავშირი და როგორ უქმნის ათასწლეულის განვითარების მიზნები შესაძლებლობებს ან დაბრკოლებებს სოციალური სამუშაოს განხორციელებას ინდივიდუალურ ან მიკრო დონეზე. ამასთან, ზემოხსენებული ხუთი ზოგადი პრინციპი თავისთავად მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გენდერული უთანასწორობა უკავშირდება შიმშილს, სიღარიბეს, განათლების და ჯანდაცვის არქონას და ასე შემდეგ (შეადარე აპპ, 2008, გვ. 156).

## აივ/შიდსი

ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ არის ათასწლეულის განვითარების მიზნები ერთმანეთთან და სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული შეიძლება დავინახოთ იმაში, თუ როგორ იმოქმედა აივ/შიდსმა საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაზე (ჰეიმერი, 2007; ჩამა, 2008; დემერი & ბურგატი, 2008; ლაირდი, 2008). ამ კონტექსტში, აივ/შიდსის გავრცელების გააზრება განუყოფლად უკავშირდება ისეთი საკითხების ანალიზს, როგორცაა: ხელმისაწვდომი განათლება, ჯანდაცვის ინსტიტუციური ღონისძიებები (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის სფეროში განათლების ჩათვლით), სიღარიბე და საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიები, სოციალური ურთიერთობები, სექსუალური პრაქტიკა, ძუძუთი კვება და ბავშვზე ზრუნვის სხვა მეთოდები და ა.შ. (ჰეიმერი, 2007).

დეტალურ ხარისხობრივ კვლევაში დემერი და ბურგატარი (2008) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აივ/შიდსით ცხოვრება სხვადასხვანაირია აშშ-სა და სამხრეთ აფრიკაში. ორი ქვეყნის სხვადასხვანაირი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ამ განსხვავების ყველა ასპექტზე მოქმედებს – თუ როგორ აისახება ეს განსხვავებები ჯანდაცვის ინსტიტუციურ პრაქტიკაზე (ჯანმრთელობის სფეროში განათლების, პირის და თემის ეკონომიკური სტატუსის ჩათვლით); სოციალური კეთილდღეობის სისტემის სხვა ასპექტზე; დანაკარგთან და სტრესთან გამკლავების კულტურულ ფაქტორებზე. ბევრი თვალსაზრისით, ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები ხარისხის კუთხით უფრო იჩენს თავს, ვიდრე რადიკალურად განსხვავებული გამოცდილების სახით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთი აფრიკის შედარებითი კვლევისას აღმოჩნდა, რომ ორივე ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი სტიგმა მათზე, ვინც ეხმარება მომაკვდავ მეგობარს ან ნათესავს, აგრეთვე მათზე, ვისაც თავად აქვს აივ/შიდსის სტატუსი. ამის მსგავსად, ორივე ქვეყანაში კვლევისას გამოკითხულებმა ილაპარაკეს ხშირ უმუშევრობაზე და „ყოველდღიურად თავის გასატანად საჭირო სახსრების“ სიმწირეზე (დემერი & ბურგატი, 2008, გვ. 365). იმავდროულად, არსებული მხარდაჭერის მასშტაბი ამერიკის შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვნად დიდი იყო, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში. ამიტომ, ამ ქვეყნებში აივ/შიდსთან დაკავშირებული დანაკარგების და ცხოვრებისეული საკითხების ზეგავლენაც სხვადასხვანაირია. მაშინ, როცა კვლევის ამერიკელი მონაწილეები ლაპარაკობენ დახმარების და არსებული მომსახურების მიღების პრობლემებზე, სამხრეთ აფრიკაში ასეთი დახმარებები უბრალოდ არ არსებობს. ამერიკელი მონაწილეები ლაპარაკობენ სტიგმაზე და ექსკლუზიის განცდაზე ამასთან შედარებით უფრო მძიმეა სამხრეთ აფრიკული გამოცდილება, როცა ადამიანებს ფიზიკურად აძევებენ სახლებიდან; აკრიტიკებენ და გარიყავენ მათ, ვინც მეგობრებზე ან ნათესავებზე ზრუნავს; მატულობს დაობლებული ბავშვების და შვილმკვდარი მშობლების რაოდენობა.

ათასწლეულის განვითარების მიზნებში დაფიქსირებული ზოგიერთი ფაქტორი მოიცავს აივ/შიდსის საკითხებს; მათგან ყველაზე მკაფიოა სიღარიბის აღმოფხვრა და ჯანმრთელობის მთავარ პრობლემებთან ბრძოლა. მიზნების განზრახვები, რომლებიც ეხება სქესს, ბავშვებს, დედათა ჯანმრთელობას და განათლებას, ყველა დაკავშირებულია აივ/შიდსთან, ისევე როგორც მე-8 მიზნის მე-4 ამოცანა, რომელიც გულისხმობს, რომ ყველაზე გაჭირვებულებს გავუადვილოთ ძვირადღირებული მედიკამენტების მოპოვება. შეიძლება ეს შედეგები საერთაშორისოა, იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული პირები, ინსტიტუტები, იდეები და თავად ვირუსი გადაადგილებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. თუმცა, არსებობს შეუმჩნეველი სხვაობა იმ მეთოდებში, რომლითაც სოციალურ მუშაკებს სხვადასხვა ქვეყანაში ეფექტურად შეუძლიათ რეაგირება. ეს ამბავი არ უკავშირდება მხოლოდ უფრო დიდ ინსტიტუციურ რესურსებს, რომლებიც აქვთ ჩრდილოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს (მიუხედავად იმისა, რომ ეს გასათვალისწინებელი ფაქტორია). აგრეთვე არსებობს გამკლავებისა და დახმარების განსხვავებული ტრადიციები, რომელთაც სოციალური მუშაკები ყურადღებით უნდა ეპყრობოდნენ. როგორც დემერმა, ბურგატარმა (2008) და ლაირდმა (2008) დაადგინეს, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტური იქნებოდა პრაქტიკა, სოციალურ მუშაკებს რომ არ გაეთვალისწინებინათ აფრიკულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ გამკლავების და გადარჩენის მოდელი. ზოგიერთ სიტუაციაში სოციალურ მუშაკებს მოეთხოვებათ გამოიმუშაონ ცოდნა და უნარი იმათი დახმარებისა, ვისაც აივ/შიდსი შეეხო, რათა ამ ადამიანებს გაუჩნდეთ სარჩოს შოვნის ალტერნატიული გზები; ისინი გაუმკლავდნენ მაღალი სიკვდილიანობის ზეგავლენას დემოგრაფიაზე და განსაკუთრებით, ბავშვების ქუჩაში ცხოვრების ფართომასშტაბიან პრობლემას (ჩამა, 2008; ლაირდი, 2008). ლაირდი (ლაირდი, 2008, გვ. 148) ამტკიცებს, რომ ასეთ კონტექსტში სოციალური სამუშაოს პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს უნარების გადაცემას, მსუბუქი ტექნოლოგიისა და მიკრო ფინანსების განვითარებას და თემის განვითარებისთვის საჭირო სხვა პრაქტიკას, რომელიც იშვიათობაა უფრო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. მას ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ისეთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკიდან, როგორებიც გახლავთ ფლან ინტერნეშენალი და ოქსფამი; რომელთაც განვითარების მიზნების მისაღწევად მთელი სოფლები, თემები და დიდი ოჯახები ჩართეს პრაქტიკული დავალებების შესრულებაში. ეს სრულებით მართებულად გვეჩვენება. თუმცა, იმავდროულად დემერის და ბურგატარის (2008) აღმოჩენები ამტკიცებს, რომ სოციალური განვითარების ამ გავლენაზე რეაგირების და მისი გაცნობიერების უნარი (და არ უნდა იყოს მისი შემცველი).



## ჯანმრთელობა და ოჯახი

აივ/შიდსის სპეციფიკურ საკითხთან ერთად (რომელიც ისეთ რეგიონებში, როგორცაა აფრიკა და აზია, უფრო მეტად ქალებს ეხება, ვიდრე მამაკაცებს), ათასწლეულის განვითარების მიზნები აგრეთვე ეხება ქალებთან, ორსულობასთან და ბავშვების სიკვდილიანობასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის საკითხებს (მიზნები 4 და 5) (მუირუ, 2008). ვიზიარებთ კრიტიკულ აზრს, რომ ქალის თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების განმარტება ათასწლეულის განვითარების მიზნებში მნიშვნელოვნად დავინროვებული და შეზღუდულია, ვიდრე სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის დეკლარაციაში (იხ. მსჯელობა ზემოთ). აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ ნაწილში ადამიანის განვითარებას კვლავაც აფერხებს ის, რომ ქალის მეორეული სოციალური სტატუსი მჭიდროდ უკავშირდება რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, შვილიერებას და ბავშვების ჯანმრთელობას. მაგალითად, არსებობს მჭიდრო კავშირი ზოგადად ჯანმრთელობას და განსაკუთრებით, ქალის ჯანმრთელობას, სიღარიბეს და განათლებას შორის (მათბორი & ფერდინანდი, 2008; სეფერი და სხვები, 2008). ამ ნაშრომის შექმნის დროს გაერომ აღნიშნა, რომ დედათა დაავადების და სიკვდილიანობის რაოდენობა კვლავაც მაღალია; ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ქალი კვდება მშობიარობის ან გართულებული ორსულობის მიზეზით. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მედგარი აღმოჩნდა, რადგანაც ახლაც ისეთივეა, როგორც 1980-იანი წლების შუაში იყო დაფიქსირებული (შეადარე 1992, გვ. 201). მშობიარობისას ან მშობიარობის მიზეზით სიკვდილის შემთხვევების 99 პროცენტი სამხრეთის ქვეყნებში ხდება; ხოლო აქედან 86 პროცენტი – საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში და სამხრეთ აზიაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედათა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული შიმშილის, სიღარიბის თუ უმუშევრობის დონესთან და განათლების შესაძლებლობის არქონასთან. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს უფრო სოციალურ და არა, ცალსახად, ბიოლოგიურ ჯანმრთელობასთან. ამ რეგიონში მათი ჯანმრთელობის სტატუსი, ვისაც ძალიან ცოტა აქვს, საკმაოდ განსხვავდება იმათი სტატუსისგან, ვისაც საერთოდ არაფერი აქვს (ზიმერი, 2008).

განვითარებად ქვეყნებში დედათა ჯანმრთელობის საქმეში სოციალური სამუშაოს როლზე ლაპარაკისას, სეიპელი (1992) ამტკიცებს, რომ აქ პროფესიონალებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ. ის თვლის, რომ, პირველ რიგში, სოციალურ სამუშაოს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. სეიპელი აღნიშნავს, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა, თუ როგორ ზრუნავენ ორსულის ჯანმრთელობაზე განვითარებად და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. მისი აზრით, მნიშვნელოვანი საქმეა პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება. მეორე მხრივ, სეიპელი თვლის, რომ სოციალურმა მუშაკებმა მოსახლეობას უნდა მიანოდონ ჯანმრთელობასთან

დაკავშირებული ინფორმაცია და ცოდნა. ის აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში სოციალური მუშაკები, სხვა პროფესიის კოლეგებთან ერთად, უკვე ასრულებენ ამგვარ სამუშაოს. მესამე, სოციალური მუშაკები აქტიურად უნდა ჩაერთონ (საზოგადოებაში და განსაკუთრებით, ჯანდაცვის სისტემაში) ქალის სტატუსის ადვოკატობაში. სოციალური მუშაკების წვლილი ამ სფეროში პოლიტიკის შემუშავებასა და ადვოკატობაში არის პროფესიული უნარების მნიშვნელოვანი რეალიზაცია. მეოთხეც, მართებულია, რომ სოციალურმა მუშაკებმა ითანამშრომლონ ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებთან და მხარი დაუჭირონ მათ დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში. სეიპელი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში აფრიკის მსგავს რეგიონებში დედათა ჯანმრთელობის საქმეში მიღწეული ბევრი წარმატება თავად ადგილობრივი ქალების დამსახურებაა. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქალების გარემოს გაუმჯობესებაში, ცოდნის გაღრმავებაში, კულტურულ ცვლილებებში და ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში. ეს მსჯელობა სცილდება დედათა ჯანმრთელობის თემას, რადგან ბევრი თვალსაზრისით უკავშირდება ქალის ჯანმრთელობის უფრო ზოგად საკითხებს. თუმცა, იმ კონტექსტში, რომელსაც სეიპელი ეხება, (ავადმყოფობის და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით) ორსულობა და მშობიარობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაზებია ქალის ცხოვრებაში.

ამ მიდგომის საილუსტრაციოდ გამოდგება ჯულიას და კონდრათის (2005) მიერ აღწერილი ქალთა ჯანმრთელობის ორგანიზაცია ელ სალვადორში. ამ ორგანიზაციაში ჯანდაცვის ყველა ასპექტს ჯანდაცვის მუშაკებთან ერთად თავად ქალებიც იზიარებდნენ. ეს გულისხმობდა ორივეს, ჯანმრთელობის პრობლემების განსაზღვრასაც და ჯანმრთელობის საჭიროებების შეფასებასაც. ეს პროექტი აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივ მიდგომებს; იმ თვალსაზრისით, რომ იყენებდა იმ ცოდნას, რომელიც ქალებს უკვე ჰქონდათ საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ და წვრთნიდა ადგილობრივ ქალებს ჯანდაცვის მუშაკებად. შედეგი ის გახლდათ, რომ გაუმჯობესდა ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა და თემის თავდაჯერებაც მასთან ერთად. როგორც ჯულია და კონდრათი (ჯულია & კონდრათი, 2005, გვ. 545) აღნიშნავენ, „მიზნებს მიაღწიეს და დროთა განმავლობაში საკმარისი უნარები და შესაძლებლობები მოიპოვეს“. ამ პროცესში სარგებელი არა მხოლოდ ადგილობრივმა ქალებმა ნახეს, არამედ, მათთან მომუშავე პროფესიონალებმაც.

## ნიგნიერება და სქესი

აქ კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ მსოფლიო სოციალური სამიტის დეკლარაციის სერიოზული განცხადება გენდერული თანასწორობის შესახებ ერთგვარად გაქარწყლდა ათასწლეულის განვითარების მიზნებში. იმავდროულად, რამდენადმე წინაა ნამონეული გოგონების და ახალგაზრდა ქალების გა-

ნათლება; აღსანიშნავია, რომ მიზნებში 2 და 3 ამ უფრო ფართო კონცეფციის ასპექტები შენარჩუნებულია. კვლევამ აჩვენა, ის მოსაზრება, რომ გოგონების და ახალგაზრდა ქალების წიგნიერება არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ადამიანის განვითარებისა, იქცა ტრადიციულ სიბრძნედ (გაეროს განვითარების სააგენტო, 1999; გაეროს ბავშვთა ფონდი, 1999). ისე როგორც ქალის ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით ვნახეთ, გოგონას წიგნიერებაც ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ოჯახის ეკონომიკურ სტატუსთან (რაო, 1996; მუნო & კინანი, 2000; განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2004).

ისეთ სიტუაციებში, როცა ურთიერთობა სოციალურ სამუშაოსა და განათლებას შორის ძალიან ინსტიტუციურია, სოციალური სამუშაოს როლი ამ თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე და გააგრძელონ სწავლა (როგორც ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი). ამის მიღწევა შეიძლება სკოლაში კონსულტანტებად მუშაობის გზით. გარდა ამისა შეიძლება რეაგირება ოჯახზე ან სხვა სირთულეებზე, რომელთაც შეიძლება უზიარებდნენ გოგონას და ახალგაზრდა ქალს სკოლაში ცუდად სწავლისკენ, ან სავალდებულო საგანმანათლებლო სისტემის მიტოვებისკენ. ასეთი შემთხვევები ხდება, როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის ქვეყნებშიც (რაო, 1996; მუნო & კინანი, 2000; ფარმერი და სხვები, 2005; ლივი & ჩემბერლინი, 2007). თუმცა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონტექსტში სოციალური სამუშაოს როლი განათლებასთან მიმართებით ხშირად უფრო ფართოა და ნაკლებად არის ფოკუსირებული კონკრეტულ გოგონებზე. მაგალითად, ზოგჯერ ეს შეიძლება მოიცავდეს იმის მსგავს სამუშაოს, როგორსაც ჩრდილოეთის ქვეყნებში ასრულებენ სოციალური მუშაკები; აგრეთვე შეიძლება საქმე გვექონდეს ჯანმრთელობის, სოციალური განათლების და თემის განვითარების საკითხებთან. იმ საკითხების სიაში რომლებსაც სოციალური სამუშაო შეიძლება შეეხოს არის: გენდერული ურთიერთობა, ქალის პოზიცია საზოგადოებაში, ქალის ჯანმრთელობის საკითხები, როგორცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, და უფრო ზოგადად რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2005). მართლაც, ბევრ სიტუაციაში გოგონების წიგნიერება, ისევე როგორც ზრდასრული ქალების წიგნიერება, არ არის განცალკევებული ცოდნისგან ქალის ჯანმრთელობის და ბავშვთა დაცვის შესახებ (ადამიანის ტრეფიკინგის საფრთხის ჩათვლით – იხ. თავი 3) (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2004; აჩარია & კოირალა, 2006). ხშირად ამბობენ, რომ ქალი უზრუნველყოფს ოჯახის და თემის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. თუმცა, მათი პირადი ჯანმრთელობა ამ პროცესში შეიძლება იგნორირებული აღმოჩნდეს; ნაწილობრივ კულტურული მიზეზებით და ნაწილობრივ რესურსების არქონის გამო (სეიპელი, 1992). წიგნიერებაზე მუშაობის კომბინირება განვითარების სხვა

სფეროებთან ეფექტურია დაუყოვნებელი შედეგისთვისაც და იმიტომაც, რომ წიგნიერება, თავისთავად, ქმნის პირობებს მდგრადი განვითარებისთვის და ხალხის მონაწილეობისთვის ადგილობრივ თემებში.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ეგვიპტეში განვითარების და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრის (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი) მიერ განხორციელებული პროექტი. ეს არის ამერიკაში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აფრიკასა და აზიაში განათლების მეშვეობით განვითარებას უჭერს მხარს (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/CEDPA, 2005).

ამ პროექტმა, რომელიც ეგვიპტის ქალთა ეროვნულ საბჭოსთან ერთად განხორციელდა, ერთმანეთთან დააკავშირა გოგონების წიგნიერება და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების და მოხალისეების წვრთნა რათა:

*„თავიანთ ადგილობრივ თემებში დაეცვა გენდერული ინტერესები და მოეგვარებინა საკითხების ფართო წრე, როგორც არის ნაადრევი ქორწინება, სკოლის მიტოვება, უნიგნურობა, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ქუჩის ბავშვები, გოგონებში სოციალური და სპორტული აქტივობის ნაკლებობა, უმუშევრობა, ქალთა დისკრიმინაცია, სკოლების ნაკლებობა და სამედიცინო ზრუნვის არქონა (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/, 2005, გვ. 1).*

გარდა ამისა, თავად გოგონებმა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 240 წარმომადგენელთან და თემის სხვა ლიდერებთან ერთად გაიარეს წვრთნა, რათა შეძლებოდათ თემის ადვოკატობა. წვრთნის მონაწილეებმა შეისწავლეს საჭიროებების შეფასება, მონაცემთა შეგროვების და გაანალიზების მეთოდები, ადვოკატობის საქმეში დახმარება, ეფექტური და სტრატეგიული კომუნიკაციის უნარი, მოქმედების დაგეგმვა და მონიტორინგი, შეფასება. ამ პროექტის კვალდაკვალ და მასზე დაყრდნობით, ეგვიპტის ქალთა ეროვნულმა საბჭომ და სხვა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა განავითარეს გამოცდილი მოხალისეების და პროფესიონალების ქსელი, რომლის წევრებსაც შეუძლიათ გააგრძელონ გოგონების და ქალების ადვოკატობა რეგიონალურ და ეროვნულ პოლიტიკაში (განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობების ცენტრი/, 2005, გვ. 2).

ამ და სხვა მსგავს პროექტებში სოციალური მუშაკები მასწავლებლებთან, მედიცინის პროფესიონალებთან ადგილობრივი თემის ადმინისტრატორებთან და წევრებთან ერთად არიან ჩაბმული (აჩარია & კოირალა, 2006, გვ. 38). ასეთ კონტექსტში პრაქტიკა მოითხოვს უნარს, იმუშაო ერთდროულად მიკრო, მეზო და მაკრო მდგომარეობით; უნდა შეგეძლოს პირდაპირი ჩარევის მეთოდით იმუშაო

გოგონებთან, ახალგაზრდა ქალებთან და თემის სხვა წევრებთან (პიროვნებებთან და ჯგუფებთან მუშაობა). აგრეთვე თავისუფლად უნდა შეგეძლოს გადასვლა პროგრამების დაგეგმვაზე და შეფასებაზე, პოლიტიკის შემუშავებაზე, პროექტის ადმინისტრირებაზე და ასე შემდეგ. ეს მრავალ დონიანი მიდგომა აგრეთვე მოითხოვს, რომ სოციალურ მუშაკს შეეძლოს პარტნიორობა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და თემების წარმომადგენლებთან თუ სხვა პროფესიონალებთან. გოგონების და ქალების წიგნიერებაზე ძალისხმევის ამგვარი კომბინირება განათლებასა და ადვოკატობასთან (რომელიც ეხება უფრო ზოგად საკითხებს მათ ცხოვრებაში) არა მხოლოდ დაუყოვნებელ ეფექტს იძლევა, არამედ წვლილი შეაქვს თემის განვითარების გრძელვადიან მდგრადობაში, რადგან წიგნიერება გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს თავად უყალიბებს მზაობას მომავალში საქმიანობისთვის.

### *დასაქმება და გარემო*

ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომლითაც ათასწლეულის განვითარების მიზნები ცდილობს სიღარიბის აღმოფხვრას, დასაქმების პირობების და შესაძლებლობებს გაუმჯობესება გახლავთ (მიზანები 1 და 8). იმავდროულად, არ შეიძლება ამ მიზნების გამოყოფა მე-7 და მე-8 მიზნებში პირდაპირ თუ არა-პირდაპირ გამოხატული შედეგებისგან გარემოსა და მდგრადობასთან დაკავშირებით. რადგან სულ უფრო აშკარა ხდება ბუნებაზე ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის ზეგავლენა, ხშირდება მონოდებები გარემოს მდგრადობის გათვალისწინებით, გავაუმჯობესოთ დასაქმების შესაძლებლობები (სეიტზი, 2008). დროთა განმავლობაში ეს უკავშირდება სოციალური მდგრადობის საკითხებს და განსაკუთრებული ტიპის ინდუსტრიალიზაციის თუ ეკონომიკური საქმიანობის მოდელის სხვა ცვლილებების ზეგავლენას თემებზე.

კურუვილა (2005) აღწერს ეკონომიკური განვითარების პროგრამის ზეგავლენას ინდოეთის სანაპირო რეგიონებში მცხოვრებ თემებზე. 1950-იან წლებში ინდოეთში დაიწყო პროექტი „გაერთიანებული თევზსაჭერები“. ამ პროექტმა ბევრი პროფესიონალი და მოხალისე მოიზიდა ჩრდილოეთის ქვეყნებიდან. ისინი მუშაობდნენ ტრადიციული მეთევზეობის მიმდევარ თემებთან ჯერ კერალაში და შემდეგ ინდოეთის სხვა რეგიონებშიც (კურუვილა, 2005, გვ. 47). პროფესიონალთა შორის იყვნენ თევზჭერის ტექნიკის, ეკონომიკის და თემის განვითარების ექსპერტები. ადგილობრივ თემებზე პროექტის გრძელვადიანი ეფექტის კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობამ აითვისა თანამედროვე სამრეწველო მასშტაბის თევზჭერის მეთოდები. გარდა ამისა, სხვა მხრივ მდგომარეობა გაუარესდა; აშკარა იყო ცუდი ზეგავლენა თევზის მარაგსა და გარემოს სხვა ფაქტორებზე, უარესობისკენ შეიცვალა თემების ყოველდღიური ცხოვრება (კურუვილა, 2005, გვ. 48). განსაკუთრებით ჭარბმა თევზჭერამ და მასთან დაკავშირებულმა

ფაქტორებმა დაარღვიეს ეკოლოგიური ბალანსი. გარდა ამისა, ტრადიციული მეთევზეობის მიმდევარი თემები გარიყული აღმოჩნდნენ. შემცირდა დასაქმება და ეკონომიკური შესაძლებლობები, რადგან თევზჭერის პოლიტიკის და პრაქტიკის შეცვლამ გამოიწვია უცხოეთიდან და ინდოეთის სხვა მხარეებიდან მეთევზეების ინტენსიური შემოსვლა ამ რეგიონებში. ამასთანავე ადგილობრივ თემებს უარესობისკენ შეეცვალათ ცხოვრების სტილი, რადგან, რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, მათთვის თევზის ჭამა მიუწვდომელ სიამოვნებად იქცა.

ამ მდგომარეობის საპასუხოდ სოციალურმა მუშაკებმა, სოციალურ განვითარებაში ჩართულმა სხვა პროფესიონალებმა და მოხალისეებმა თავიანთი ძალისხმევა მიმართეს ამ თემების დახმარებისკენ, რათა სხვადასხვაგვარად მოეგვარებინათ უწინდელი „განვითარების“ შედეგები. ამ საქმიანობას ბევრი სხვადასხვა სახე ჰქონდა. ისინი – იყვნენ მედიატორები მეთევზეთა თემებსა და გარეშე ორგანიზაციებს თუ ინტერესებს შორის (შტატის თუ ქვეყნის მთავრობის განყოფილებები, საერთაშორისო ფირმები); ეხმარებოდნენ თემებს მოეძებნათ ალტერნატივა და განვითარებინათ ახალი პროფესიები; ხელს უწყობდნენ (ადგილობრივი და ეროვნული მთავრობის ძალისხმევით) რეგიონში ეკონომიკური საქმიანობისთვის მიკრო ფინანსების გამოყოფის საქმეს; ეხმარებოდნენ ბავშვებს განათლების ოფიციალური სისტემის გამოყენებაში; ატარებდნენ კონსულტაციებს თემში, ახორციელებდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს ჯანმრთელობის და ადგილობრივთათვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, ხელს უწყობდნენ სოციალურ მოძრაობებს თემში (კურუვილა, 2005, გვ. 49). აგრეთვე ცხადია, რომ საბოლოო შედეგი სავარაუდოდ იქნება ხანგრძლივად არსებული, მეტ-ნაკლებად ტრადიციული ცხოვრების სტილიდან უფრო თანამედროვეზე გადასვლა. ამგვარი მიდგომით საბოლოო შედეგს უნდა მივაღწიოთ ადგილობრივ თემებთან პარტნიორობით; ლაპარაკია იმაზე, რომ ეს ცვლილებები არ იყოს მათთვის უხეშად თავსმოხვეული და არ გამოიწვიოს მათი გარიყულობა. კურუვილას (კურუვილა, 2005, გვ. 51-2) აზრით, ეს მოითხოვს საერთაშორისო სოციალურ სამუშაოს, რომელიც ამ სიტუაციაში შეიძლება აერთიანებდეს არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე სხვა ქვეყნის სოციალურ მუშაკებს და საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე ადგილობრივ სოციალურ მუშაკებს. ამ პროფესიონალებმა უნდა იცოდნენ „დახმარების“ პოლიტიკური ეკონომიკა და ეს უნდა აქციონ ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული დებატების ღია თემად. აქ აგრეთვე საჭიროა პროფესია, რომელსაც სოციალურ ძალაუფლებასთან არაიერარქიული დამოკიდებულება ექნება, პარტნიორულად იმუშავენ „ადგილობრივი თემისთვის და მისი სახელით“ და ეცდებიან თავი აარიდოს გარეშე ექსპერტის მოსაზრებებს. და ბოლოს, შეიძლება დავამატოთ, რომ სოციალურმა მუშაკებმა უკეთ უნდა იცოდნენ, რომ სოციალური პრაქტიკა და ადამიანთა საზოგადოება დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან.

## „სიღარიბის აღმოფხვრის“ შესახებ

მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ერთმანეთს ენი-  
ნააღმდეგება, ერთი მხრივ, მიდგლის მოსაზრება, რომ განვითარების საქმეში  
საჭიროა ყურადღების გამახვილება სოციალურ ფაქტორებზე; კორელის კრი-  
ტიკა იმასა, თუ როგორ დაშორდა ათასწლეულის განვითარების მიზნები მსოფ-  
ლიო სოციალური სამიტის დეკლარაციას და, მეორე მხრივ, დააკნინა სიღა-  
რიბეს, თანასწორობასა და თანაბარუფლებიანობას შორის კავშირი (იქნება ეს  
სოციალურ-ეკონომიკური კლასის და/ან კასტის, სქესის, ეთნიკურ, რასობრივ,  
კულტურულ, რელიგიურ თუ სხვა საფუძველზე). ათასწლეულის განვითარების  
მიზნები მკაფიოდ არის ორიენტირებული სიღარიბის აღმოფხვრაზე და განს-  
კუთრებით ამახვილებს ყურადღებას სიღარიბის მატერიალურ განზომილე-  
ბაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი, ვინც ათასწლეულის განვითარების  
მიზნებს აკრიტიკებენ, ფაქტურად არ უარყოფენ ამ კავშირს. ლაპარაკია იმ-  
აზე, თუ როგორ შეიძლება ამის ყველაზე მართებულად მოგვარება და იმაზე,  
რომ ეს არ უნდა გახდეს ერთადერთი ან უპირატესი გზა ისეთი საკითხების  
მოგვარებისა, რომლებიც ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე რესურსების ან შე-  
მოსავლების მიწოდების საქმე.

მორაზესი და პინტაკი (2007) მიმოიხილავენ რა გლობალური სიღარიბის მთა-  
ვარ თეორიებს, აღნიშნავენ, რომ მართალია, ბევრი მათგანი უფრო დაიხვეწა და  
მოიცვა სოციალური და ეკონომიკური განზომილებები, ისინი მაინც ჩრდილოე-  
თის ქვეყნების კონცეფციებს და პერსპექტივებს ასახავენ. მაგალითად, ისინი  
ამტკიცებენ, რომ ეს გულისხმობს დებატებს, ერთი მხრივ, სიღარიბის, როგორც  
ინდუსტრიული სისტემისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგსა  
და მეორე მხრივ, პიროვნების წარუმატებლობის თეორიების გააზრებაზე  
(რომელიც ასე შეაჯამეს „სოციალური ინდივიდუალური ბრალეულობის პი-  
რისპირ“ {2007, გვ. 109}). შედეგად, ჩრდილოეთის ქვეყნებში ანალიზისას  
ყურადღებას ამახვილებენ თეორიებზე, რომლებიც ეხება: ინკლუზია/ექსკლუ-  
ზიას, უნივერსალურ ან ამორჩევით რეაგირებას, რესურსების განაწილებას და  
კეთილდღეობის ინსტიტუციონალიზაციას დახმარების ფორმით. ისინიც კი,  
ვინც ამ საკითხებს განვითარებად ქვეყნებში აკვირდებიან, ამ პრობლემას თავს  
ვერ აარიდებენ. ამის საპირწონედ, ვარაუდობენ, რომ თუ სიღარიბის თეორი-  
ის ჩამოყალიბებაში თავად ღარიბების ხედვას გავითვალისწინებთ, არაერთი  
ძალიან განსხვავებული გამოსავალი გამოინახება. მორაზესი და პინტაკი იშ-  
ველიებენ აიტის (2005) ნაშრომს, რომელიც აცხადებს, რომ „ეკონომიკური  
თავისუფლება“ („ეკონომიკური უსაფრთხოების“ საპირისპიროდ) არის ის, რაც  
გვჭირდება (2007, გვ. 115-16). ასეთი მიდგომა მოითხოვს ეკონომიკური საკითხ-  
ების მოგვარებას პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებთ-  
ან ერთად და არა ისე, თითქოს, შეიძლებოდეს მათი განცალკევება. ამას შე-  
დეგად მოჰყვება: სიღარიბის „ღარიბებისეული“ განმარტება (გლობალიზაციის

კრიტიკის და კოლონიალიზმის შედეგების ჩათვლით); თემის ყურადღების მო-  
ბილიზება საზომების საკითხებზე; რესურსების გადანაწილებისადმი ინკლუზი-  
ური მიდგომა (იმის აღიარებით, რომ ვაჭრობის დაუბალანსებლობა, საშინაო  
კორუფცია და ძირითადი საჭიროებები [წყლის, საკვების და მედიკამენტების/  
მედიცინის ხელმისაწვდომობა] ერთმანეთთან არის დაკავშირებული) და ჩარევა  
ადამიანური კაპიტალის განვითარებაში მონაწილეობით პრინციპებზე დაყრდ-  
ნობით (ნაცვლად, „ინფრასტრუქტურაზე“ ფოკუსირებისა, როგორც ხშირად  
ხდება) (მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 117).

აბსოლუტური სიღარიბის სოციალური განზომილების აღიარება არის  
მორაზესის და პინტაკის მსჯელობის ნაწილი. ამას მხარს უჭერს თაუნსენდიც  
(2006), რომელიც აკრიტიკებს მსოფლიო ბანკის მეთოდს, რომლის მიხედვითაც  
ის ვისაც დღეში 1 (აშშ) დოლარი აქვს შემოსავალი აბსოლუტურად ღარიბად  
ითვლება და ის, ვისაც 2 (აშშ) დოლარი აქვს შედარებით ღარიბად (ან სოციალ-  
ურ ნიადაგზე ღარიბად) მიიჩნევა. მისი აზრით, 1 (აშშ) დოლარი უნდა გაიზ-  
არდოს 1.5 (აშშ) დოლარამდე, რადგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეალური  
ფასები და ღირებულებები გაიზარდა. აგრეთვე უნდა იქნას გათვალისწინებული  
სოციალური საზომები იმის დადგენაში, თუ რა ჯდება უბრალოდ ადამიანის  
სიცოცხლის შენარჩუნება (მსოფლიო ბანკი დაგვიჩვენა ამის გაკეთებას, მაგრამ  
არ გააკეთა); ამის შედეგად კიდევ გაიზარდება ზემოაღნიშნული მაჩვენებელი  
(თაუნსენდი, 2006, გვ. 5-6). როგორც მორაზესი და პინტაკი (2007, გვ. 108)  
აღნიშნავენ, კლასიკოსი ეკონომისტი ადამ სმიტიც (ზოგჯერ უსამართლოდაც,  
იმ თეორიების ავტორად არის მიჩნეული, რომლებიც ახლა ქმნიან მსოფლიოს  
ორთოდოქსული ნეოლიბერალიზმის ნაწილს) თვლის, რომ სიღარიბის კონცეფ-  
ცია უნდა შეიცავდეს იმას, რაც აუცილებელია, რომ იცხოვრო საბაზრო დონეზე  
იმ საზოგადოებაში, რომელსაც ეკუთვნის და არა მხოლოდ იმდენს, რაც აუცი-  
ლებელია, რომ სიკვდილს გადაურჩე. ამის მიხედვით, მაშინაც კი, თუ დღიურ  
შემოსავლად 1,5 (აშშ) დოლარს ვივარაუდებთ, პლანეტის მოსახლეობის ერთი  
მესამედი ღარიბია; ხოლო 2 (აშშ) დოლარით განსაზღვრის შემთხვევაში – ორ  
მეხუთედზე მეტი გამოდის ღარიბი (თაუნსენდი, 2006, გვ. 5; მორაზესი & პინ-  
ტაკი, 2007, გვ. 113). ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ დედამიწის  
მოსახლეობის 40 პროცენტს მსოფლიო რესურსების მხოლოდ 5 პროცენტზე  
მიუწვდება ხელი.

მორაზესი და პინტაკი აქედან ასკვნიან, რომ სიღარიბის აღმოფხვრა არ  
მოხერხდება შემოსავლის და რესურსების განაწილების პრობლემიდან უბრალო-  
დ ტექნიკური გამოსავლის პოვნით. ეს არის საქმის ერთი ნაწილი, მაგრამ ის  
უნდა დაუკავშირდეს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც. არ შეიძლება,  
რომ მოხდეს „განვითარება“, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური იქნება. უფრო  
ზუსტად, მიზანი არის სოციალური განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა კი,  
მისი ნაწილია. ამ საქმეში კიდევ აუცილებლად გასათვალისწინებელია: ადა-  
მიანის შესაძლებლობების და უნარების საკითხი (ადამიანური კაპიტალი),

მონაწილეობა და ადგილობრივი კონტროლი, განათლება და ცოდნის, როგორც რესურსის ხელმისაწვდომობა და კიდევ ბევრი სხვა რამ. ეს ყველაფერი საგულისხმოა სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამებში ჩართული სოციალური მუშაკებისთვის. მათ თავიდან უნდა გაიაზრონ თავიანთი ურთიერთობა იმათთან ვის დახმარებასაც ცდილობენ და საქმე პარტნიორობისკენ ნაიყვანონ. აგრეთვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ის პრაქტიკაა მთავარი, რომელიც შესაძლებელს ხდის „ქვევიდან–ზევით“ ცვლილებების განხორციელებას და არა პირიქით „ზევიდან–ქვევით“ (იფი & თესორიერო, 2006). ამიტომ, სიღარიბის გაგება და მისი თეორიის შექმნა უფრო ღარიბებისგან სწავლის საკითხია, ვიდრე მათი შესწავლის (მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 118-19). როგორც მორაზესი და პინტაკი აღნიშნავენ, ასეთი პრინციპები ისევე გამოსადეგია ამერიკელი პროფესიონალებისთვის, რომლებიც ქარიშხლების კატრინასა და რიტას გამანადგურებელ შედეგებზე მუშაობენ, როგორც სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო მუშაკებისთვის, რომლებიც დედამიწის სხვა ნაწილში მუშაობს (შეადარე მესამე თავს).

### გავაფართოოთ სოციალური სამუშაოს როლი?

ათასწლეულის განვითარების მიზნებში გამოვლენილი მთავარი საკითხების ფორმატის გამოყენებით, ეს თავი აანალიზებს სოციალური სამუშაოს პრაქტიკის კონკრეტულ ასპექტებს. იმ კონტექსტში პრაქტიკაზეა ლაპარაკი, სადაც სიღარიბე, ზოგადი გაგებით, არის მთავარი საკითხი. გამოყენებული მაგალითები ფოკუსირებულია სამხრეთის ქვეყნებზე, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს საკითხები უფრო მაღალგანვითარებული ქვეყნების სინამდვილეშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. ამიტომ, ეს მაგალითები არ შემოიფარგლება იმ სიტუაციებით, როცა საერთაშორისო სოციალური სამუშაო გულისხმობს ცოდნის და უნარების გადაცემას ერთი ქვეყნიდან მეორეში მხოლოდ ერთი მიმართულებით, კერძოდ, ჩრდილოეთიდან სამხრეთის ქვეყნებში. აქ ნახავთ: სოციალურ სამუშაოს, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს პრაქტიკოსების და პროგრამების სპეციალისტების გადასვლას ქვეყნიდან ქვეყანაში, გაცვლას და პარტნიორობას, საერთაშორისო საკითხების, ეკონომიკური და სტრუქტურული ურთიერთობის შედეგებს.

ათასწლეულის განვითარების მიზნების მიერ წამოჭრილი საკითხების გაანალიზებას საერთაშორისო სოციალური სამუშაოსთვის საგულისხმო არაერთ შედეგამდე მივყავართ. პირველი აუცილებლობა გახლავთ იმის აღიარება, რომ სოციალური სტრუქტურები (ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები და ინსტიტუტები), ფიზიკური სამყარო (ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი რესურსები), სოციალური ურთიერთობა და კულტურა ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. წინა თავებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოციალური სამუშაოს დებატები,

რომელიც არსებობს პიროვნებაზე ფოკუსირების და სოციალურ გარემოზე ფოკუსირების იდეებს შორის (მიუხედავად მისი გადალახვის მცდელობისა სოციალური სამუშაოს „საერთაშორისო განმარტებებში“, იხ. სმფ/სმსსა, 2001) მივყავართ კამათამდე ამ ფაქტორების დაკავშირებულობის შესახებ. როგორც ვნახეთ, ჯანმრთელობა, ოჯახი, სქესი, განათლება და წიგნიერება, დასაქმება, ურთიერთობა ადამიანის სიცოცხლესა და გარემოს შორის და სხვა, ისეთი საკითხებია, რომელთაც ვერ გავიგებთ ამ პერსპექტივებიდან რომელიმე ერთის კუთხით; საჭიროა ამ საკითხების ურთიერთკავშირის გააზრება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნებში წარმოდგენილ საკითხებზე ეფექტური პრაქტიკული და თეორიული რეაგირებისთვის, საჭიროა სოციალური სამუშაოს ფოკუსის, მეთოდების და მიზნების ფართო თვალსაზრისის გამოყენება.

შედეგად ეს ისევ მოითხოვს საერთაშორისო სოციალური სამუშაოსგან მაკრო, მეზო და მიკრო პრობლემების, ანალიზის, პრაქტიკის და სხვათა გაერთიანებას და არა დაყოფას. ამ თავში მოყვანილ მაგალითებში სოციალური სამუშაოს ფუნქციებში ვნახეთ: პროგრამების დაგეგმვა, მენეჯმენტი და შეფასება, თემთან მუშაობა (შეხვედრების ორგანიზების ჩათვლით), თემებში სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის მოლაპარაკება, რესურსების დადგენა თუ მობილიზება და მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებთან მოლაპარაკება, ადვოკატობა, უშუალოდ პიროვნებებთან და ოჯახებთან მუშაობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ათასწლეულის განვითარების მიზნებში დადგენილ საკითხებზე რეაგირებისთვის სოციალურმა მუშაკებმა უნდა გამოიყენონ ფუნქციების და დავალებების სრული კრებული. ეს ეხება ჩრდილოეთის ქვეყნებში მომუშავე სოციალურ მუშაკს, რომელსაც მომსახურების მომხმარებლებთან ან საერთაშორისო წარმომავლობის საკითხებთან აქვთ საქმე. ეს ასევე ეხება სამხრეთის ქვეყანაში უცხოეთიდან სამუშაოდ ჩასულ სოციალურ მუშაკს, იმას, ვინც საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს ან, ისევ და ისევ, საერთაშორისო წარმოშობის საკითხებთან აქვს საქმე. თუ ათასწლეულის განვითარების მიზნებს და მათ უკან მდგარ არგუმენტებს სოციალური განვითარების საჭიროების შესახებ ყველგან (ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნებშიც) გამოვიყენებთ, მაშინ ეს მოსაზრება ერთგვარად აკრიტიკებს ამერიკასა და ევროპაში ზოგან არსებულ ტენდენციას, როცა სოციალური სამუშაო ფოკუსირებულია ინდივიდუალურ პირდაპირ პრაქტიკაზე და გამორიცხავს მეზო თუ მაკრო მიდგომებს. მსოფლიოს ამ ნაწილში გოგონების წიგნიერების და დედათა ჯანმრთელობის პროგრამების შემუშავებისას არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ყველაფერი აშკარად ასაბუთებს მჭიდრო კავშირს სიღარიბეს, სქესს, „რასას“, კულტურას და სხვა სოციალურ სისტემებთან და ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის. ამგვარად, ეგრეთ წოდებულ „ანტიდისკრიმინაციულ პრაქტიკას“, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში (ტომპსონი, 2006), შეიძლება ძალიან აქტუალური ვუნოდოთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. [...]

გარკვეული შეხედულებით, ათასწლეულის განვითარების მიზნების საპასუხოდ, სოციალური სამუშაოს ამგვარი გააზრება შეიძლება აღვიქვათ, როგორც პროფესიის საზღვრების გაფართოება. ზოგიერთი აქ აღწერილი სიტუაცია გულისხმობს ისეთი როლის მორგებას, რომელიც ხშირად სოციალური სამუშაოს ფარგლებს სცილდება. მაგალითად, ახალგაზრდების დახმარება ნიგნიერების საქმეში მეტწილად პროფესიონალი მასწავლებლის საქმედ ითვლება. აგრეთვე, ჯანმრთელობის საკითხებში განათლება (განსაკუთრებით ჩრდილეთის ქვეყნებში) დამოუკიდებელ პროფესიად ან საფერშლო საქმის ნაწილად ჩამოყალიბდა. საერთაშორისო შედარებითი ანალიზის საფუძველზე აღმოცენებული სოციალური სამუშაოს ფართო გაგება კი, რომლის მთავარი მიზანია სისტემური უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოფხვრა, ასეთ შეზღუდვებს დაბრკოლებად აღიქვამს. იმ სიტუაციებში, სადაც მაღალგანვითარებული რესურსები არსებობს, ამან შეიძლება მიგვიყვანოს სხვა პროფესიონალებთან ახლო პარტნიორობამდე (მუნო & კინანი, 2000). უფრო ნაკლები რესურსების მქონე ქვეყნებში სოციალურ მუშაკებს შეიძლება დასჭირდეთ, რომ თავად იკისრონ ეს ბევრნაირი როლი და იმავდროულად, იმ ფუნქციების სხვისთვის გაზიარება, რომლებსაც ადრე თავად ასრულებდნენ (ანდარი, 2007). სადაც სოციალური მუშაკები არ არიან, შეიძლება უბრალოდ სხვებისგან ველოდეთ ამ საქმის გაკეთებას და შეიძლება საკამათოც გახდეს, თუ რომელი როლი „ეკუთვნის“ სოციალურ სამუშაოს (კრეითზერი, 2002, გვ. 55; კლეიბორნი, 2004, გვ. 217). სხვა შემთხვევაში ისინი შეიძლება ერთადერთ პროფესიულ ძალად მოგვევლინონ. ყველა სიტუაციაში ეს გულისხმობს იმ თემის წევრებთან პარტნიორობას, რომელშიც სოციალურ მუშაკს უხდება მუშაობა. პროფესიული მოქნილობის შედეგი შეიძლება ის იყოს, რომ სოციალური სამუშაოს პრაქტიკა განხორციელდეს უჩვეულო ადგილებში ან ისე, რომ არ შეესაბამებოდეს სხვა კონტექსტში მომუშავე კოლეგების მიერ გააზრებულ პროფესიულ იმიჯს. აუცილებელია ადაპტაციის უნარი და იმის კეთება რაც საჭიროა. ამის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ სოციალური სამუშაო არ იქნება საქმის და პროფესიული მისიის შესაბამისი. უფრო მეტიც, ის ვერ იქნება ეფექტური.

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ ათასწლეულის განვითარების მიზნების (გაერო, 2000ა) შედეგები სოციალური სამუშაოსთვის. თუმცა, შეიძლება იმაზე კამათი, რომ ეს მიზნები დაშორებულია მსოფლიო სოციალური სამიტის დეკლარაციის (გაერო, 1995) უფრო შორსმიმავალი დაპირებებისგან, მაგრამ ისინი მაინც ქმნიდნენ საფუძველს საერთაშორისო სოციალური სამუშაოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გასააზრებლად /გასათვალისწინებლად. ამაზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ რამდენიმე თემა, რომელიც დამატებით ანალიზს მოითხოვს. პირველი გახლავთ მაკრო, მეზო და მიკრო დონის

პრაქტიკასა და თეორიას შორის მოსალოდნელი დისჰარმონია. რამდენად ურთიერდაკავშირებულნი არიან ისინი უკეთესი სოციალური სამუშაოს განხორციელებისა და ფართო საზოგადოების უკეთესი განვითარებისთვის? ან საერთაშორისო სოციალური სამუშაოს კრიტიკული ანალიზი ხომ არ ააშკარავებს სხვადასხვა მიდგომებს, რომელთა შორის განსხვავებებიც შემაფერხებელია შემოქმედებითი და ეფექტური პრაქტიკის განვითარებისათვის? [...]

# X

სოციალური სამუშაოს პერსპექტივა  
ადამიანის უფლებების დაცვაში

# თეორიები და კონცეფციები საერთაშორისო სოციალური სამუშაოს გააზრებისათვის

ლინ ჰილის მიერ

## განვითარება და ადამიანის უფლებები

*„განვითარების ამოცანაა, ადამიანებს შეუქმნას ხანგრძლივი,  
ჯანსაღი და შემოქმედებითი ცხოვრების შესაძლებლობა“.*

*(ul Haq, 1990, გვ. 9)*

საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი არის განვითარების ხელშეწყობა და ადამიანების უფლებების დაცვა. ბევრი საერთაშორისო, ეროვნული თუ ადგილობრივი ორგანიზაციისთვის განვითარება არის მთავარი საშუალება სიღარიბის და ბევრი მისი თანმხლები სოციალური პრობლემის გამკლავების საქმეში. ადამიანის უფლებები არის პრაქტიკის მიმართულება და ფილოსოფიური საფუძველი, რომელიც გულისხმობს ყველა ადამიანის პატივისცემას. ეს თავი ეხება განვითარების და ადამიანის უფლებების თეორიებს და მნიშვნელოვან პრინციპებს.

## განვითარება

განვითარება, პროცესი იქნება ეს თუ საბოლოო შედეგი, განიხილება, როგორც სიღარიბის და მისი თანმხლები პრობლემების აღმოფხვრის გზა. მართალია, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც ლიტერატურაში სოციალური სამუშაოს შესახებ განვითარებას ანალიზებენ (პაივა, 1977; ომერი, 1979; სანდერსი, 1982), მაგრამ დასავლელი (ანუ ჩრდილოეთის ქვეყნების) სოციალურ მუშაკებისთვის ჯერჯერობით ეს მაინც არ არის საყოველთაოდ გასაგები კონცეფცია. განვითარების მომხრე/მიმდევარი რომ იყო, უნდა იცოდეს: განვითარების და ჩამორჩენილობის თეორიები, განვითარებისთვის განეული ძალისხმევების ისტორია, განვითარების ინიციატივის უკან მდგარი მოდელები და კონცეფციები. განვითარების საჭიროება ისევე აქტუალურია. როგორც, გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის თავმჯდომარემ, ბრუნტლენდმა (ბრუნტლენდი, 1987, გვ. 13) აღნიშნა, „ერთი საუკუნის განმავლობაში უპრეცედენტო ზრდის შედეგად, რომელსაც თან ახლდა მანამდე წარმოუდგენელი მეცნიერული და ტექნოლოგიური ტრიუმფი, მივიღეთ ადრე რომ არ ყოფილა მსოფლიოში იმდენი ღარიბი, წერა-კითხვის უცოდინარი და უმუშევარი ადამიანი; თანაც მათი რაოდენობა კიდევ იზრდება“ (გვ. 13). გაეროს განვითარების პროგრამის უფრო გვიანდელ ანგარიშში (გაეროს განვითარების სააგენტო; 2003 გვ. 5) ვკითხუ-



ლობთ, „დედამინაზე 1,2 მილიარდზე მეტ ადამიანს (ყოველი მეხუთე) დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები აქვს სარჩოდ“.

მსოფლიომ, ცალკეულმა ერებმა და თემებმა რატომ ვერ შეძლეს მეტის მიღწევა სიღარიბის შემცირების საქმეში? არ არსებობს მარტივი პასუხი ამ კითხვაზე. თუმცა, გამოსავლის ძიებაში ბევრი განვითარებისეული თეორია, სტრატეგია და ღონისძიება შეიმუშავეს.

### განმარტება

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც უფრო ცხადი გახდა განვითარების კომპლექსურობა, გაჩნდა მისი განმარტებებიც. განვითარების ადრეული განმარტებები და სტრატეგიები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკურ ზრდას; განვითარებას აღიქვამდნენ, როგორც შედარებით განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას, ისე რომ მათ უკეთესად დაეკმაყოფილებინათ ხალხის საჭიროებები. მალე განვითარების კონცეფციას სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებიც დაემატა. აღიარეს ინსტიტუტების შექმნის დიდი მნიშვნელოვნება და ეს აისახა 1970 წელს გაეროს მიერ გამართული სოციალური პოლიტიკისა და დაგეგმვის სიმპოზიუმზე შემუშავებულ განვითარების განმარტებაში. ამ განმარტებაში წერია: განვითარება არის „ეროვნული ინსტიტუტების ან ფასეულობათა სისტემის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროცესი, რათა მოხდეს მზარდი და განსხვავებული მოთხოვნების დაკმაყოფილება; სოციალური იქნება ეს მოთხოვნები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური“ (ომერი, 1979, გვ. 12). არასამთავრობო ორგანიზაციამ, განვითარების საერთაშორისო საზოგადოებამ, რომლის წევრებიც არიან პროფესიონალები და განვითარებით დაინტერესებული სხვა პირები, 1984 წელს ასეთი განმარტება შემოგვთავაზა: ეს არის მდგრადი პროცესი მორგებული ადამიანთა უმრავლესობის საჭიროებებზე და არა მხოლოდ მატერიალურ ზრდაზე ან უმცირესობის სარგებელზე“ (მატისი, 1984). აქ ცხადად არის გამოხატული დაინტერესება თანაბარი განაწილებით და ხაზგასმულია, რომ განვითარება უფრო მეტია, ვიდრე მატერიალური პროგრესი ან მონაგარი.

ოცი წლის წინ სოციალური სამუშაოს მკვლევარი ზიმბაბვედან წერდა, რომ განვითარება არის „პიროვნების, როგორც სოციალური არსების განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს მის გათავისუფლებას და მის რეალიზებას. განვითარება უნდა იყოს მორგებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, დაწყებული: სიღარიბის, უგულვებელყოფის და ავადმყოფობის აღმოფხვრით“ (აგერი, 1986, გვ. 95). აგერი გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა გათავისუფლებასა და ადამიანის პოტენციალს. ეს ასახულია უფრო გვიანდელ განმარტებებშიც, მაგალითად, ბრაიანტი და კაფაზი განვითარებას მოიაზრებენ, როგორც „ადამიანის უფლებას განავითაროს თავისი შესაძლებლობები ისე, რომ ზეგავლენა მოახდინოს საკუთარ მომავალზე“ (ბრაიანტი & კაფაზი, 2005, გვ. 32). ეკონომ-

მისტი ამარტა შენი თავის წიგნში – „განვითარება, როგორც თავისუფლება“ იგივე იდეას ავითარებს (1999).

გარდა ზემოხსენებული გათავისუფლების და გაძლიერების კონცეფციებისა, სოციალური სამუშაო განსაკუთრებით არის დაინტერესებული განვითარების სოციალური ასპექტით. ქვემოთ ამ თავში ჩვენ განვიხილავთ სოციალურ განვითარებას.

### განვითარების თეორიები

განმარტებათა უმრავლესობა განვითარებას პროცესად მოიაზრებს. თუმცა, ადრეული ხანის თეორეტიკოსები ზოგჯერ განვითარებას მიიჩნევდნენ საბოლოო შედეგად. 1961 წელს, როცა გაერომ განვითარების პირველი ათწლეული დაიწყო, პროცესი მიჰყვებოდა კაპიტალიზმის განვითარების კლასიკურ თეორიას ან მოდერნიზაციის თეორიას. უოლტ როსტოუ, განვითარების პროცესის ანალოგად, იშველიებდა აეროპლანის გადაადგილებას სადგომიდან საფრენ ბილიკამდე (სადაც სიჩქარე უნდა აკრიფოს) და აფრენას. განვითარებაში ის ხუთ საფეხურს გამოჰყოფდა: ტრადიციას, წინაპირობებს, „აფრენას“, სიმწიფეს და მასობრივ მოხმარებას (ისბისტერი, 2003). ტრადიციული საზოგადოებები წარმოდგენილია, როგორც სტატიკური რამ, რომელიც ცხოვრებას მხოლოდ თავის გატანის დონეზე ინარჩუნებდა. „აფრენის“ კრიტიკული ფაზა „არის ინტერვალი, როცა განონანსორებული ზრდის გზაზე დაბრკოლებები და წინააღმდეგობები ბოლოს და ბოლოს დაძლეულია „(როსტოუ ციტირებულია ისბისტერთან, 2003, გვ. 37). ეს მაშინ ხდება, „როცა პოლიტიკური ძალაუფლება ისეთი ჯგუფის ხელში აღმოჩნდება, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი მთავარი საქმე ეკონომიკური ზრდაა; როცა ქვეყნის დანაზოგები ეროვნული შემოსავლის პროპორციულად ორმაგდება და როცა თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენება სოფლის მეურნეობის და მრეწველობის რამდენიმე წამყვან დარგში“ (ისბისტერი, 2003, გვ. 37-38). მოდერნიზაციის ამ კლასიკური თეორიების მიხედვით, განვითარება ერთნაირი გზით უნდა წასულიყო ყველა საზოგადოებაში. ის მოდელი, რომელმაც წარმატებით გამოიყვანა ევროპის ქვეყნები ფეოდალიზმიდან, ასევე წარმატებული უნდა ყოფილიყო აზიასა და აფრიკაში. ბევრნი ახალჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამორჩენილობისგან და სიღარიბისგან დახსნის გზად ეკონომიკურ ზრდას ხედავდნენ. ასეთი ზრდისთვის „ტრადიციული საზოგადოებების გარდაქმნის“ პროცესი უნდა დავიწყოთ (ისბისტერი, 2003, გვ. 39). მოგვიანებით გაჩნდა აზრი, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტით განსაზღვრული ეკონომიკური ზრდა იქნება ყველას მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობა, რადგან ზრდისგან მიღებული სარგებელი მდიდრებისგან ღარიბებსაც გაუნაწილებათ (ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მეშვეობით). მოდერნისტების აზრით, განვითარებისთვის საჭიროა: „უკეთესი პოლიტიკა, მეტი

ტექნოლოგიები, მეტი დახმარება, უფრო თავისუფალი ბაზრები, საიმედო დაგეგმვა“; ხოლო პოლიტიკური ან ეკონომიკური ურთიერთობის რევოლუციური ცვლილებები სულაც არ არის საჭირო (ისბისტერი, 2003, გვ. 41).

მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაციის თეორიის სათანადოდ განმარტება ძნელი აღმოჩნდა, ის მაინც ცოცხლობს. როგორც ლათინური ამერიკის შესახებ ამ ბოლოს გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ, „ნეოლიბერალური ორიენტაციის ეკონომისტები, რომლებიც მსოფლიოს მოდერნიზაციულ-თეორიული და ტრანს-ნაციონალური ერთგვაროვნების თვალთ უყურებენ, ვარაუდობენ, რომ მსოფლიო სულ უფრო მეტად მიჰყვება დასავლეთის განვითარებისეულ კურსს და ნორმატივებიც ასეთ გზას ანიჭებენ უპირატესობას“ (ეკშტეინი & უიკამ-კროული, 2003, გვ. 5). [...] ეს ეკონომისტები რეფორმებს უჭერენ მხარს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბაზარს ანიჭებენ, „უბიძგებენ“ ქვეყნებს, შეამცირონ სამთავრობო პროგრამები და გააუქმონ სავაჭრო შეზღუდვები.

დამოკიდებულების თეორია მოდერნიზაციის თეორიის ძირეულ იდეებს უპირისპირდება და განვითარებაში წარუმატებლობას ნაკლებად აბრალებს ტრადიციულ გზებს. დამოკიდებულების თეორია ვარაუდობს, რომ განვითარება ჩვეულებრივ არის ბრძოლა მსოფლიოს „მქონეთა“ და „არამქონეთა“ ქვეყნებს შორის. მდიდარი ქვეყნები დიდ როლს ასრულებენ ღარიბი ქვეყნების „ჩამორჩენის“ საქმეში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მათ გახანგრძლივებულ სიღარიბეში. ამგვარად „მესამე სამყაროს ქვეყნების სიღარიბე არ არის ტრადიციული და შემთხვევითი. ეს არის აუცილებელი თანმხლები განვითარებული ქვეყნების სიმდიდრისა“ (ისბისტერი, 2003, გვ. 43). ჩამორჩენილობის წინაპირობებს საფუძველი კოლონიზაციის ეპოქაში ჩაეყარა, როცა ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა და სანარმოო საშუალებები მხოლოდ კოლონიზატორი ქვეყნის საჭიროებებზე იყო მორგებული. მაგალითად, როცა ეკვატორული გვინეა დამოუკიდებელი გახდა, იქ მხოლოდ ორი გზა იყო ქვეყნის შუაგულიდან სანაპიროსკენ მიმავალი და არ არსებობდა სხვა მათი დამაკავშირებელი გზები. გზები მხოლოდ ტყეებიდან საექსპორტო ხეცის სანაპირომდე მისატანად იყო შექმნილი და არ ქმნიდა ქვეყნის გაერთიანებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. დღეს ნეოკოლონიალიზმი კვლავაც ასაზრდოებს ჩამორჩენილობას. განვითარების მთავარ ბარიერებად მოიაზრება ღარიბი ქვეყნების დამოკიდებულება ინდუსტრიულ ქვეყნებზე (ბაზართან, ტექნოლოგიებთან და ინფორმაციასთან მიმართებით). ეს ყველაფერი გლობალური ეკონომიკის ფარგლებში ხდება, სადაც ღარიბ ქვეყნებს ნაკლები ძალაუფლება აქვთ. ისინი ზარალდებიან ინფრასტრუქტურის სიმწირის, ფასებზე კონტროლის ნაკლებობის, სავაჭრო პირობების და ვალუტის დევალვაციის გამო. დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, განვითარება დამოკიდებულია მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ურთიერთობის რადიკალურად გარდაქმნაზე – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო კაპიტალიზმის მიმართება ამ საკითხისადმი. 1970 წლიდან მოყოლებული, როცა პირველად გაისმა მოწოდება ახალი საერთაშორისო

ეკონომიკური წესრიგისკენ და სულ ახლახანს გამართულ სავაჭრო მოლაპარაკებებზეც, ღარიბი ქვეყნები მოითხოვენ ამგვარ გარდაქმნებს. ბევრს, ვინც დამოკიდებულების თეორიას იზიარებს, სჯერა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი ვერასოდეს მოგვანჯდის დაპირებულ უნივერსალურ განვითარებას.

განვითარების მარქსისტული თეორიები შეიცავენ მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიების ზოგიერთ ელემენტს; თუმცა, ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ ინტერესთა და კლასობრივ დაპირისპირებებს განვითარებად საზოგადოებაში თუ ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის. კლასობრივი საკითხები სულ უფრო მეტად „უკავშირდება წარმოებას ან მსოფლიო ბაზრის ძალას“, იმ „არათანაბარი სარგებლის“ ჩათვლით, „რომელიც თავს იყრის სხვადასხვა სოციალური კლასის ხელში მსოფლიოს ნეოლიბერალური გარდაქმნის ფონზე“ (ეკშტეინი & უიკამ-კროული, 2003, გვ. 5).

### *განვითარების ძალისხმევის მოკლე ისტორია*

1957 წელს განა განთავისუფლდა. ამის შემდეგ კი სწრაფად მოხდა სხვა კოლონიზებული ქვეყნების განთავისუფლება აფრიკაში, კარიბის ზღვის რეგიონში თუ აზიაში. შედეგად გაჩნდა ბევრი ახალი ქვეყანა. სამხრეთ აფრიკის ბევრმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მეცხრამეტე საუკუნეში მოიპოვა, ხოლო ინდოეთი 1947 წელს გახდა დამოუკიდებელი. სწორედ ბევრი ახალგანთავისუფლებული ქვეყნის გაჩენამ და გაეროზე მათმა მზარდმა ზეგავლენამ 1960–იან წლებში გამოიწვია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების კონცენტრირება „ჩამორჩენილობის“ სირთულეებზე. 1961 წელს გაერომ განვითარების პირველი ათწლეული წამოიწყო. იმ დროს განვითარება ცხადად ეკონომიკურ ზრდას ნიშნავდა და გაეროს პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის მხარდაჭერას, ინფრასტრუქტურას თანამედროვე ეკონომიკისთვის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. მოდერნიზაციული რეცესიის მიხედვით, სჯეროდათ, რომ ამგვარი მიდგომისგან მიღებული სარგებელი გადანაწილდებოდა საზოგადოებაში და გააუმჯობესებდა ყველა მოქალაქის ცხოვრების დონეს.

1960–იანი წლების ბოლოს უკვე აშკარა გახდა, რომ ხშირად ზრდის სარგებელი არ ნაწილდებოდა ყველაზე (მდიდრისგან ღარიბზე). იმ ქვეყნებში, სადაც სწრაფად ხდებოდა ზრდა, ადამიანების კეთილდღეობა ყოველთვის არ უმჯობესდებოდა. სინამდვილეში, ხშირად მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა ნაკლებად უკავშირდებოდა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, 1965 წლიდან 1986 წლამდე ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 4,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კოსტა-რიკაში მხოლოდ 1,6 პროცენტით. ზუსტად ამავე პერიოდში კოსტა რიკამ წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა წელიწადში 5 პროცენტით შეამცირა, ბრაზილიამ კი

– მხოლოდ 2,9 პროცენტით. ამ პერიოდში 5 წელზე მცირე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა კოსტა-რიკაში წელიწადში 6,8 პროცენტით მცირდებოდა, ხოლო ბრაზილიაში მხოლოდ – 2,3 პროცენტით (გაეროს ბავშვთა ფონდი, 1990). ეს ერთი მაგალითია ბევრთაგან, რომლებიც ადასტურებენ, რომ ზრდასა და განვითარებას შორის კავშირის იდეა მცდარი იყო. ამის მიხედვით, აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდა საიმედოდ ვერ იქნება გადაბმული სოციალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

ამ აღმოჩენის შემდეგ აღიარეს, რომ განვითარება კომპლექსურია და ეკონომიკურ სტრატეგიაზე უფრო მეტს მოითხოვს. 1970-იანი წლების ბოლოდან დღემდე ბევრი დამატებითი კონცეფცია ეცილებოდა განვითარების თეორიასა და ინიციატივებში ეკონომიკას პირველობას. ეს დამატებითი კონცეფციები გახლავთ: ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომა, სოციალური ანუ ინტეგრირებული განვითარება, მდგრადი განვითარება, გენდერული განვითარება/ქალები განვითარებაში, საზომებსა და ამოცანებზე ყურადღების გამახვილება.

*ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომა.* იმ ამბავმა, რომ არ გამოვიდა სიღარიბის აღმოსაფხვრელად მდიდრების სარგებელის ყველაზე გადანაწილება, გამოიწვია ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომისაკენ მონოდება. საჭიროა მთავრობის გააზრებული ძალისხმევა, რომ განვითარების ნებისმიერი სტრატეგიის პირობებში მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები დაკმაყოფილდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აუცილებელ საკვებს, სანიტარულ პირობებს, თავშესაფარს, დაწყებით განათლებას და პირველად ჯანდაცვას (სტრიტენი & ბურკი, 1978). არსებობს მაგალითები, როცა ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომით წარმატებას მიაღწიეს. ხშირად მოყვავთ ნიმუშად კოსტა-რიკა და ინდოეთის კერალას შტატი, სადაც ამ მიდგომით წარმატებით გააუმჯობესეს კეთილდღეობის მაჩვენებლები. სხვები აღიარებენ ძირითადი საჭიროებებისეულ მიდგომას, მაგრამ არ მისდევენ მას, რადგან დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად უფრო მიმზიდველია დონორებისთვის და მთავრობებისთვის (ქალაქში დიდი საავადმყოფოების აშენება ურჩევნიათ სოფლებში იმუნიზაციის პროგრამის განხორციელებას). ძირითადი საჭიროებებისეული მიდგომა გულისხმობს სამთავრობო სუბსიდიების გამოყენებას საკვებისა და აუცილებელი მომსახურებისთვის, რაც ზრდის მთლიან შიდა პროდუქტში სამთავრობო დანახარჯების პროცენტულ წილს. [...] 1980-იანი და 1990-იანი წლებში სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის განხორციელებულმა პროგრამებმა შეამცირა ძირითადი საჭიროებების წარმატებული ღონისძიებები. ახლახანს ძირითადი საჭიროებებისეული სტრატეგია წარმატებული გამოდგა: კენიაში, მალავიში, უგანდასა და ტანზანიაში. ამ ქვეყნებში სკოლები უფასო გახდა და შედეგად, მეტი მოსწავლე შედის დაწყებით სკოლაში; ზამბიასა და ბურუნდში სოფლებში სამედიცინო მომსახურება და/ან ჯანდაცვა ქალებისა და ბავშვებისთვის უფასო გახდა (ანანი, 2006).

*სოციალური განვითარება.* განვითარების კონცეფციათა შორის, სოციალური სამუშაოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური განვითარება. სოციალური განვითარება აცნობიერებს, სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას, იმისათვის, რომ განვითარებამ უზრუნველყოს ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. სოციალური განვითარება აგრეთვე ამტკიცებს, რომ განვითარება ჰოლისტიური პროცესი უნდა იყოს. მისი ამოცანაა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გაერთიანება. მიდგლი გვიხსნის, რომ სოციალური განვითარება „არის სოციალური ცვლილების დაგეგმილი პროცესი, რომელიც ხორციელდება, რათა ეკონომიკური განვითარების დინამიკურ პროცესთან ერთად, ხელი შეუწყოს მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას“ (მიდგლი, 1995, გვ. 25). სოციალური განვითარება აგრეთვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ღარიბთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას და მონაწილეობის პროცესს. საყურადღებოა სოციალური განვითარების პაივა-სეული (1977) ადრეული განმარტება:

*სოციალური განვითარების მიზანი და არსი არის ხალხის კეთილდღეობა, ისეთი, როგორც თვითონ ხალხმა განსაზღვრა; ამის შედეგად უნდა შეიქმნას ან გადაკეთდეს ინსტიტუტები, ისე, რომ მოხდეს ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილება ყველა დონეზე (განსაკუთრებით ყველაზე დაბალ დონეზე); ამასთანავე, ეს ინსტიტუტები უნდა აუმჯობესებდეს ადამიანების ურთიერთობას და ურთიერთობას ხალხსა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის (პაივა, 1977, გვ. 329).*

ეს მოიცავს სოციალური განვითარების მთავარ შემადგენელ კონცეფციებს: მონაწილეობას, ინსტიტუტების შექმნას და სამართლიან განაწილებას. სოციალური სამუშაოს კიდევ ერთი სპეციალისტი სალიმა ომერი წერდა: „სოციალური განვითარება შეიძლება განვმარტოთ, როგორც მიზანი და პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ერთობლივ, დაბალანსებულ და გაერთიანებულ (სოციალურ და ეკონომიკურ) განვითარებას“ (ომერი, 1979, გვ. 15). შემდეგ ის აღნიშნავს, რომ სოციალური განვითარება ეხება ადამიანის და გარემოს ურთიერთობის საკითხებს; ისევე, როგორც „სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომელმაც უნდა შეცვალოს შემოსავლის, სიმდიდრის და მომსახურების განაწილების მეთოდი (გვ. 16).

სოციალური სამუშაოს ამ ადრეული სპეციალისტების განმარტებების ელემენტები მეორდება გაეროს ახლანდელ განმარტებებში. გაეროს სამდივნოს ინიციატივით გამართული სოციალური განვითარების საერთაშორისო ფორუმი ახასიათებს სოციალურ განვითარებას, როგორც ამოცანების ნაკრებს, პროცესს და პოტენციალს.

წარმატებები სოციალურ განვითარებაში ნიშნავს წარმატებებს პიროვნების კეთილდღეობაში და საზოგადოების ჰარმონიულ ფუნქციონირებაში. ეს მოიცავს პიროვნების და ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს კი უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დაკმაყოფილებით, ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნით, სიღარიბის შემცირებით, ხელმისაწვდომი სოციალური უსაფრთხოებით, სოციალური დაცვით და სოციალური მომსახურებით. ეს აგრეთვე მოიცავს სოციალური კავშირების, სტრუქტურების და ინსტიტუტების შექმნას ან შენარჩუნებას, რომელთა მეშვეობით პიროვნებები და ჯგუფები ქმნიან სიცოცხლისუნარიან საზოგადოებას. (UN, 2002, გვ. 3)

ფორუმისეული განმარტება გრძელდება და იქ აღნიშნულია, რომ „სოციალური განვითარების პროცესში მიმართავენ შესაძლებლობების, შემოსავლის, ქონების და ძალაუფლების განაწილების ბევრნაირ ფორმას“; ხოლო როგორც პერსპექტივა, სოციალური განვითარება მოიცავს ფასეულობაზე დამყარებულ მიდგომას ანუ „განვითარების ზნეობრივ მოაზრებას“ (გაერო, 2002, პ. 3). მთავარი იდეები გახლავთ სოციალური განვითარება, როგორც ფასეულობებით წარმართული გამამთლიანებელი ძალისხმევა; რომლის ყურადღება ორ რამეზეა მიპყრობილი – პიროვნების კეთილდღეობაზე და სოციალური ინსტიტუტების გაძლიერებაზე.

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში სოციალური სამუშაო გარდაიქმნა, რათა პროფესია ეროვნულ ამოცანებზე ყოფილიყო მორგებული. ეს განსაკუთრებით ცხადად აფრიკასა და აზიის ზოგიერთ ნაწილში მოხდა. მიდგლი (1999) მიიჩნევს, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარება, სოციალური კაპიტალის განვითარება და ნაყოფიერი დასაქმების პროექტები, როგორც სოციალური განვითარებისეული ჩარევის მეთოდები, უკავშირდება სოციალურ სამუშაოს.

რადგან სოციალური განვითარების თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები არ უარყოფენ ეკონომიკურ ფაქტორს, მეთოდს ზოგჯერ ინტეგრირებულ განვითარებას ან განვითარებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას უწოდებენ.

*მდგრადი განვითარება.* მდგრადი<sup>1</sup> განვითარების კონცეფცია წუხს ფიზიკურ გარემოზე ზეწოლის გამო და აღიარებს, რომ ეკონომიკური განვითარება უარყოფითად მოქმედებს რესურსებსზე. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა წინასწარმეტყველებები, რომ დედამიწა ჩამოიქცეოდა ჭარბი მოსახლეობის გამო, რომ მიწის გამოფიტვა მასობრივ შიმშილობას გამოიწვევდა და მინერალური რესურსები ამოიწურებოდა. 1972 წელს გამოქვეყნდა „ზრდის საზღვრები“ და მან საკმაო ყურადღება მიიპყრო (მიდლოუსი, რენდერსი & მიდლოუსი, ზრდის ლიმიტები, 1972). ამ წიგნმა განვითარება არამდგრადად გამოაცხადა. ამ

წიგნიეული წინასწარმეტყველება პროგრესირებადი და გამომფიტველი ზრდისა არ გამართლდა. მიუხედავად ამისა, მთავარი არგუმენტი, რომ რესურსების გამჩანაგებელი ზრდა არ შეიძლება მდგრადი იყოს, მისაღებად მიიჩნის (სტოეცი, გაზეტა & ლასკი, 1999). ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებსა და ჩინეთში სწრაფად განვითარდა მრეწველობა ისე, რომ გარემოს ან მშრომელების დაცვაზე არ უფიქრიათ. ეს გამოცდილება აგრესიული ზრდის საფრთხესა და შედეგებზე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. მეტისმეტად დაბინძურებული გარემო და სახიფათო პირობებში მუშაობით დანგრეული მშრომელების ჯანმრთელობა არის უკონტროლო განვითარების დანატოვარის ერთი ნაწილი. ამ ბოლო დროს იმატა საზრუნავმა კლიმატის ცვლილების და გლობალური დათბობის პროცესის გამო, რომელიც ადამიანის საქმიანობას უკავშირდება.

გამოჩნდა ალტერნატიული გზა – მდგრადი განვითარება – „კაცობრიობის პროგრესის გზა, რომელიც მორგებულია თანამედროვე თაობის საჭიროებებსა და სულისკვეთებებზე ისე, რომ არ ზღუდავს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ საკუთარი საჭიროებები“ (გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია, 1987, გვ. 43). განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სათანადო ტექნოლოგიებს, განახლებაზე ენერჯიას და განვითარების ინიციატივების შემუშავებისას გარემოზე ზრუნვას. 1970-იანი და 1980-იანი წლების განმავლობაში მდგრადი განვითარების მხარდამჭერი მოძრაობა გაძლიერდა. ეს იყო აღიარება იმისა, რომ მატულობს [...] გლობალიზაციის ზეგავლენა გარემოზე. 1987 წელს გაეროს გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში – ჩვენი საერთო მომავალი. ეს ანგარიში გახდა ათწლეულის ნერტილი მდგრადი განვითარებისეული მიდგომი ჩამოყალიბებისა. აღიარებულია, რომ გლობალიზაციის ზეგავლენა, განსაკუთრებით მსოფლიო მრეწველობა და ვაჭრობა, ზრდის მდგრადობის დარღვევის საფრთხეს (იუნესკო/UNESCO, 2005).

გაერო გამოყოფს მდგრადი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სამ თერთთეულთადაკავშირებულ სფეროს – საზოგადოებას, გარემოს და ეკონომიკას. თერთთეულთადაჯაჭვული საკითხებია კულტურა (იმის აღიარება, რომ „პრაქტიკა, იდენტობა და ფასეულობები“ თამაშობენ დიდ როლს მდგრადი განვითარების წარმატებაში) და სიღარიბის აღმოფხვრაზე ზრუნვა (იუნესკო/UNESCO, 2005). მდგრადობა ეხება არა მხოლოდ რესურსებს, ფიზიკურ გარემოს და ეკონომიკის ძალისხმევას ზრდისთვის, არამედ, აგრეთვე სოციალურ ინსტიტუტებს და ადამიანის განვითარებას. თუ გვინდა, რომ ამ საქმეში წინ წავიდეთ, აუცილებელია, ჰოლისტიური მიდგომა.

მდგრადობის გაუმჯობესება კომპლექსური ამოცანაა და საერთაშორისო თერთთეულთა პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. მდგრადობის მოძრაობას ასაზრდოებდა იმის აღიარება, რომ თუ ლარიბი ქვეყნებიც ისე მოიხმარენ რესურსებს, როგორც მდიდარი ქვეყნები, დედამიწის რესურსები გაჩანაგდება. სიღარიბეც და სიმდიდრეც ტვირთად აწვება დედამიწის რესურსებს. გარემოე-

<sup>1</sup> ბუნებრივი რესურსების და ენერჯიის გამოყენება ისე, რომ გარემო არ დაზიანდეს.

ბათა გამო, ღარიბები შეშას და წყალს ისე მოიხმარენ, რომ ზიანდება გარემო და მისი თვითგანახლების უნარი. მდიდრები, ღარიბებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტ ენერჯიას და სხვა რესურსებს მოიხმარენ. გარემოს დაცვის პოლიტიკა ხშირად აღიქმება, როგორც უარი უფრო მდიდარი სექტორის მიერ ღარიბი ქვეყნებისთვის განვითარების თანაბარ შესაძლებლობებზე. თუმცა, „ეკოსისტემის სამსახურების დეგრადაცია განვითარებად სამყაროში ამძიმებს სიღარიბის და საკვების უსაფრთხოების პრობლემებს, განსაკუთრებით ყველაზე ღარიბ ქვეყნებში“ (საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, გაეროს ადამიანთა დასახლებების ცენტრი, მსოფლიოს სურსათის პროგრამა, 2006). საჭიროა, „ორმხრივი ძალისხმევა; ორივეგან, ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებში, პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მოხმარებისა თუ წარმოების მეთოდების შემუშავებას. აგრეთვე პროაქტიულად უნდა განვკარგავდეთ ყველა სახის რესურსს“ (იუნესკო/UNESCO, 2005, გვ. 10).

მდგრადობის კონცეფცია განვითარების ყველა დონეზე მნიშვნელოვანია; სათემო ინიციატივებით დაწყებული მსოფლიო მნიშვნელობის მიზნების ჩათვლით. *დედამინის ქარტია* არის მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების წვლილი მდგრადი განვითარების გააზრებაში და გვთავაზობს ფართო მასშტაბიან ღონისძიებებს ეკოლოგიური და ადამიანური ჰარმონიის უზრუნველსაყოფად.

*ქალები განვითარებაში: გენდერული თვალსაზრისის მნიშვნელობა.* განვითარების და ჩარევის ადრეულ მოდელებში ქალები არ იყვნენ გათვალისწინებული. როგორც ერთი ავტორი წერს, „მიზანი განვითარების ათწლეულის მთელი ამ ღონისძიებებისა, რომელიც კაცებმა დაგეგმეს და განახორციელეს, იყო მშრომელი მამაკაცის ნაყოფიერების გაზრდა“ (ბაულდინგი & დაი, 2002, გვ. 182). დანიელი ეკონომისტი ქალის, ესტერ ბოსერაფის კვლევამ გამოავლინა განვითარებისეული მიდგომების წარუმატებლობის მნიშვნელოვანი მიზეზი – ქალების, მოსახლეობის იმ ნაწილის უგულვებლყოფა, რომელიც აფრიკაში და სხვაგანაც, აწარმოებს სურსათის უმეტესობას. „სურსათის მწარმოებელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ და არა მამაკაცები, მაგრამ მთელი სასოფლო სამეურნეო დახმარება, სესხების და იარაღების ჩათვლით, მამაკაცებს მისცეს. ამ დახმარებამ ქალებამდე ვერ მიაღწია და მამაკაცებს მისცა საშუალება მოეყვანათ გასაყიდი მოსავალი (რომელსაც მორწყვა სჭირდებოდა) ექსპორტისთვის“ (ბაულდინგი & დაი, 2002, გვ. 183). მაშინ მესამე მსოფლიოში „სქესზე დაფუძნებული ორმაგი სტანდარტები გადაბმული იყო ორმაგ ეკონომიკურ სტანდარტებთან და ამიტომ, ქალები მხოლოდ თავის გატანისათვის საკმარისი სარჩოს ამარა დარჩნენ“ (გვ. 187).

ბოსერაფის და სხვა ბევრის ნაშრომების წყალობით, აღიარეს, რომ მნიშვნელოვანია, განვითარებაში ქალების გათვალისწინება. ქალების უგულვებლყოფამ არა მხოლოდ ქალებისთვის შეაფერხა პროგრესი, არამედ დიდი უარ-

ყოფითი გავლენა ჰქონდა ოჯახებზე, ბავშვებზე და ზოგადად განვითარების პროგრესზე. ქალების წიგნიერება და მონაწილეობა შემოსავლის მიღებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვის გადარჩენასთან და ოჯახის კეთილდღეობასთან. ამიტომ განვითარების ნაკრებს დაემატა მიდგომები, რომლებიც სპეციალურად ქალებზე არის გამიზნული. დღეს ბევრი ორგანიზაცია მხარს უჭერს გენდერულ „სკრინინგს“, რომ ქალებმა ნამდვილად მიიღონ სათანადო ყურადღება. ამარტა შენი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალების როლს, ქალებს, როგორც „ცვლილების აქტიურ აგენტებს“ (ამარტა შენი, 1999, გვ. 189). მისი თქმით,

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განვითარების პროცესში ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის ქალების გაძლიერება. ამ საქმეში მონაწილე ფაქტორებია: ქალების განათლება, მათი მესაკუთრეობის საკითხი, მათი დასაქმების შესაძლებლობები და დასაქმების ბაზრის მუშაობის პრინციპები. აგრეთვე, ბევრია დამოკიდებული დასაქმების წესების თავისებურებაზე, ოჯახის და ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქალის ეკონომიკური საქმიანობისადმი, იმ ეკონომიკურ თუ სოციალურ გარემოებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ან აბრკოლებენ ამ დამოკიდებულების შეცვლას (გვ. 202).

ის დაასკვნის, რომ „დღეს განვითარების პოლიტიკურ ეკონომიკაში არაფერი არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ქალების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მონაწილეობის და მათი ლიდერობის სათანადოდ აღიარება“ (გვ. 203).

2007 წლის განვითარებისეული მიდგომა მოიცავს ყველა აქ წარმოდგენილი იდეის ელემენტს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მდგრადობის გათვალისწინების, ქალებისადმი და უკიდურესი საჭიროების მქონეთადმი ყურადღების ჩათვლით.

*საზომები და ამოცანები.* ბევრნაირი საზომი გამოიყენეს, რათა შეეფასებინათ სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დონე. მთავარი გახლავთ ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) იყენებს ქვეყნის პროგრესის შესაფასებლად სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით და იმისთვის, რომ ქვეყნებს მიუჩინოს დამსახურებული ადგილი საზომის მიხედვით. ადამიანის განვითარების ინდექსი მოიცავს ზრდასრული ადამიანის წიგნიერების მაჩვენებლებს (დაწყებით, საშუალო და მაღალ კლასებში სწავლას); სიცოცხლის ხანგრძლივობას; მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარის მსყიდველუნარიანი უნარის პარიტეტით) (UNDP, 2006). გაეროს განვითარების პროგრამის მესვეურებს სჯერათ, რომ ადამიანის განვითარების ინდექსი არის დამაკმაყოფილებელი შემაჯამებელი საზომი ადამიანის განვითარებისა. ეს იმაში გამოიხატა, რომ 2006 წელს ინდექსის ყველაზე დაბალი ქულა (311) ნიგერს ჰქონდა, ყველაზე მაღალი – კი ნორვეგიას (965). რადგან

ადამიანის განვითარების ინდექსი 1990 წლიდან გამოიყენება, არსებობს განვითარების მონაცემები. ინდექსი ფართოდ გამოიყენება და ხშირად მიმართავენ მას ქვეყნების რანგების მიხედვით დალაგებისას; ამ ტექსტში თქვენ ნახავთ იმ ქვეყნების ადამიანის განვითარების ინდექსებს, რომლებიც მაგალითად არის მოყვანილი. 2005 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ სიახლე შემოიტანა და დაიანგარიშა შერჩეული ქვეყნების მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 20 პროცენტის ადამიანის განვითარების ინდექსი. ჩვეულებრივ ადამიანის განვითარების ინდექსი ასახავს განვითარების საერთო მიღწევებს, ეს მიღწევები ხშირად ყველაზე ღარიბებს არ უნაწილდებათ.

ბევრად უფრო ყოვლისმომცველი საზომი შეიმუშავა სოციალური სამუშაოს მკვლევარმა რიჩარდ ესტესმა. მისი სოციალური განვითარების ინდექსი (ISP) აერთიანებს 45 მაჩვენებელს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის სტატუსს 10 სფეროში, ესენია: განათლება, ჯანმრთელობა, ქალები, თავდაცვისუნარიანობა, ეკონომიკა, დემოგრაფია, გეოგრაფია (სერიოზული ბუნებრივი კატასტროფები), კულტურული მრავალფეროვნება, პოლიტიკური ქაოსი და კეთილდღეობის ძალისხმევა (ესტერი, 2005). ის, რომ სოციალური განვითარების ინდექსი მოიცავს მაჩვენებლების ამდენ ნაირსახეობას, ხაზს უსვამს სოციალურ განვითარებასა და ადამიანის კეთილდღეობაზე გავლენის მქონე ფაქტორების კომპლექსურობას. აქ ერთადაა არეული შედეგები და ძალისხმევა; მაგალითად, ქვეყნის მიერ სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პოზიტიური ნაბიჯი) და სამხედრო დანახარჯები (ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებებიდან გადინება). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იდეა, რომელზეც სოციალური განვითარების ინდექსი ამახვილებს ყურადღებას გახლავთ ის, რომ განვითარება არის დაუსრულებელი პროცესი და ყველა ქვეყანა, ბევრი თვალსაზრისით, „განვითარებადია“ ან მოითხოვს განვითარებას.

ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs) (განვითარების მიზნები და ამოცანები ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის) არის ძალისხმევა, განვითარების ისეთი ამოცანები დავსახოთ, რომლის შედეგებისთვისაც საზომი არსებობს. [...] 2000 წელს გაერომ ჩაატარა ათასწლეულის სამიტი და რვა მიზანი დასახა. ეს გახლავთ ის ამოცანები, რომლებიც იმ დროისთვის საზრიანად მიიჩნეეს და რომელთა მიღწევაც შესაძლებელია 2015 წლისთვის, რათა გვექონდეს პროგრესი განვითარებაში. ათასწლეულის სამიტს წინ უსწრებდა 1995 წლის სოციალური განვითარების სამიტი, რომელმაც გამოსცა 10 ვალდებულება განვითარებისთვის. ეს 10 ვალდებულება ზოგადი სახით იყო განცხადებული (მაგალითად, მე-2 ვალდებულება – მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრა), ათასწლეულის განვითარების მიზნები კი ამ ვალდებულებებს კონკრეტული და გაზომვადი სახით გვანვდის. ათასწლეულის განვითარების 8 მიზანი შემოკლებული სახით ასეთი გახლავთ:

მიზანი 1: უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა. ამოცანა: 1990–დან 2015 წლამდე განახევრდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვთ.

მიზანი 2: 2015 წლისთვის მსოფლიოში დაწყებითი განათლება საყოველთაო გახდეს.

მიზანი 3: წავახალისოთ გენდერული თანასწორობა და გავაძლიეროთ ქალები.

ამოცანა: (უმჯობესია) 2005 წლისთვის აღმოვფხვრათ გენდერული სხვაობა დაწყებით და საშუალო განათლებაში; ხოლო არაუგვიანეს 2015 წლისა – განათლების ყველა საფეხურზე.

მიზანი 4: შევამციროთ ბავშვთა სიკვდილიანობა.

ამოცანა: 1990–დან 2015 წლამდე ორი მესამედით შევამციროთ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა.

მიზანი 5: გავაუმჯობესოთ დედების ჯანმრთელობა.

ამოცანა: 1990–დან 2015 წლამდე სამი მეოთხედით შევამციროთ დედების სიკვდილიანობის წილი.

მიზანი 6: შევებრძოლოთ აივ/შიდსს, მალარიას და სხვა დაავადებებს.

ამოცანა: 2015 წელს დავინყოთ აივ/შიდსის გავრცელების მასშტაბის შემცირება.

მიზანი 7: უზრუნველყოთ გარემოს მდგრადობა.

ამოცანა: ქვეყნების პოლიტიკაში და პროგრამებში დავნერგოთ მდგრადი განვითარების პრინციპები და გეზი შევუცვალოთ ბუნებრივი რესურსების დაკარგვის პროცესს. გავანახევროთ იმ ადამიანების წილი, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი უსაფრთხო სუფთა სასმელ წყალზე და სანიტარიაზე.

მიზანი 8: განვაავითაროთ მსოფლიო პარტნიორობა განვითარების საქმეში.

ამოცანა: (1) მივხედოთ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების საგანგებო საჭიროებებს; (2) განვაავითაროთ ღია, კანონზე დამყარებული, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული სავაჭრო და ფინანსური სისტემები; (3) მთლიანად მოვაგვაროთ განვითარებადი ქვეყნების ვალების საკითხი; (4) განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობით, შევიმუშაოთ და დავნერგოთ ახალგაზრდებისთვის ღირსეული და ნაყოფიერი შრომის სტრატეგიები; (5) განვითარებად ქვეყნებში ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობით ხელმისაწვდომი გავხადოთ აუცილებელი წამლები; (6) კერძო სექტორთან თანამშრომლობით ხელმისაწვდომი გავხადოთ ახალი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში. (გაეროს საჯარო ინფორმაციის განყოფილება, 2005; გაეროს განვითარების პროგრამა, 2003).

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში განვითარების შესახებ გაეროს ინიცირებულ დისკუსიაში ათასწლეულის განვითარების მიზნები დომინირებს; იგი აგრეთვე გავლენას ახდენს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დიდ ნაწილზე. მიზნებისკენ სვლას აკვირდება ქვეყანა, რეგიონი და პერიოდულად

გაერო ანგარიშებს გამოსცემს საყოველთაო მიღწევების შესახებ. დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა ისე წინ წასული რომ სრულად დააკმაყოფილოს მიზნები. მაგალითად, მიზანი 3-ის ერთ-ერთი ამოცანა იყო 2005 წლისთვის დან-ყებით და საშუალო განათლებაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა; ბევრი ქვეყანა ვერ ახერხებს ამ შუალედური ამოცანის შესრულებას.

### შეჯამება

განვითარების პროექტებისთვის ახალ სტრატეგიებზე მუშაობის პროცესში განვითარების კონცეფცია კვლავაც იხვეწება. ბრაიანი და კაპაზი ამტკიცებენ, რომ ადგილობრივად და გლობალურად განვითარება ხელახლა უნდა მოვიაზროთ, როგორც სიღარიბის აღმოფხვრის გზა (2005). ისინი „ნაკლებად ასხვავებენ ‘განვითარებად’ და ‘განვითარებულ’ ქვეყნებს და უბრალოდ სიღარიბის შემცირებაზე ამახვილებენ ყურადღებას“ (გვ. 59). ეს ემთხვევა ესტესის მიდგომას, რომელიც სოციალური განვითარების ინდექსით ზომავს ქვეყნის პროგრესს განვითარების საქმეში. განვითარება სიღარიბის შემცირებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული და ამ ძალისხმევის ცენტრი ხალხი უნდა იყოს; ამგვარი მიდგომა შეესაბამება სოციალური სამუშაოს მისიას (ანანი, 2006). ეს მოსაზრება (რომ განვითარების ამოსავალი წერტილი ხალხი უნდა იყოს) ჯერ კოპენ-ჰაგენის დეკლარაციაში გამოჩნდა და შემდეგ განმეორდა გაეროს გენერალური მდივნის 2006 წლის ანგარიშში. როგორც მომდევნო თავებშია ნაჩვენები, კიდევ ბევრი საქმე რჩება გასაკეთებელი, რომ განვითარების წინსვლა რეალობად იქცეს დედამიწის ბევრი მაცხოვრებლისთვის.

### ადამიანის უფლებები

მეორე მთავარი საკითხი მსოფლიოში არის მოძრაობა ადამიანის უფლებებისთვის. საერთაშორისო სოციალურ სამუშაოსთვის ადამიანის უფლებების მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება. ადამიანის უფლებები ერთდროულად მარტივიც არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლებები, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია. ადამიანის უფლებები არის საერთაშორისო სამართლისა და პროცედურების ფართო და კომპლექსური სისტემა. წიგნის ამ ნაწილში განვიხილავთ ადამიანის უფლებების იდეასა და იმ ძირითად ხელშეკრულებებს, რომლებიც ქმნიან ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს. ასევე მოკლედ მიმოვიხილავთ გაეროს ადამიანის უფლებების სტრუქტურასა და ადამიანის უფლებების მოუგვარებელ საკითხებზე მიმდინარე დისკუსიებს. თავის ბოლოში შემოგთავაზებთ კომენტარებს ადამიანის უფლებებში სოციალური სამუშაოს როლზე. [...]

### ადამიანის უფლებების ფილოსოფია

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში მკაფიოდ არის გაცხადებული ის ფილოსოფია, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს. „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით“ (გაერო, 1948, მუხლი 1). როგორც ადამიანის უფლებების მკვლევარი ჯეკ დონელი აღნიშნავს:

საკუთრივ ტერმინი ადამიანის უფლებები მიანიშნებს ორივეს, მის ბუნებასა და წარმომავლობას: ეს უფლებები ადამიანს აქვს უკვე იმიტომ, რომ ის ადამიანია. ეს უფლებები ნებისმიერ ადამიანს აქვს, განურჩევლად მისი უფლებებისა და მოვალეობებისა, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს (ან არ გააჩნდეს) როგორც მოქალაქე, ოჯახის წევრს, მოსამსახურეს, ან რომელიმე საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრს (ჯეკ დონელი, 1993, გვ. 19).

ადამიანის უფლებებს არ სჭირდება მოპოვება. ისევე როგორც არ შეიძლება, მისი ჩამორთმევა ცალკეული ჯგუფებისთვის. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლის თანახმად, „თითოეულ ადამიანს მინიჭებული აქვს ამ დეკლარაციაში გაცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა რწმენისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა“.

1948 წელს გაეროს მიერ ახალშექმნილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებამ, ერთგვარი დასაბამი მისცა თანამედროვე ადამიანის უფლებებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ის „არაფრისგან“ არ აღმოცენებულა. ადამიანის უფლებების ფილოსოფიური იდეები მსოფლიოს თითქმის ყველა ძირითად რელიგიაში დევს. პოლიტიკურ სფეროში ამ საკითხის წანამძღვრები გახლავთ (სულ ცოტა) „Magna Carta“ (1215), ადამიანისა და მოქალაქის უფლებების ფრანგული დეკლარაცია და აშშ-ს კონსტიტუციის კანონი უფლებების შესახებ. საფრანგეთის რევოლუციის დროს აქტივისტებმა ქალთა უფლებების დეკლარაცია შეადგინეს.

#### ადამიანის უფლებათა ლექსიკონი

**მიერთება:** „ქმედება, როცა ხელშეკრულების არახელმომწერი ქვეყანა გამოთქვამს მზადყოფნას, გაეროს გენერალური მდივნისთვის „მიერთების ინსტრუმენტის“ გადაცემის მეშვეობით, გახდეს ხელშეკრულების მონაწილე. მიერთებას ისეთივე იურიდიული შედეგი აქვს, რაც რატიფიცირებას“. (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი [UNOHCHR], 2005b ).

**კონვენცია:** იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება.

**ქარტია:** იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმება.

**დეკლარაცია:** განცხადება საერთაშორისო მიზნების ან „შეთანხმებული პრინციპებისა და სტანდარტების შესახებ“. თუმცა, არ არის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი (გაეროს განვითარების პროგრამა 2000, გვ. 17).

**დათქმა:** განცხადება, რომლითაც მონაწილე მხარე უფლებას იტოვებს მხარი არ დაუჭიროს ხელშეკრულების გარკვეულ დებულებებს. ამით ქვეყანა მიაწინებს, რომ „ის მზად არის შეასრულოს ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, გარდა იმ რამდენიმე დებულებისა. ამასთან, დათქმა ხელშეკრულების საგანსა და მიზანს არ აპროტესტებს“ (UNOHCHR, 2004).

**რატიფიცირება:** ქვეყნის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება ქმნის ხელშეკრულების მხარდაჭერის იურიდიულ ვალდებულებას და მარატიფიცირებელი ქვეყანა ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარე. მხოლოდ ხელმომწერ ქვეყანას შეუძლია ხელშეკრულების რატიფიცირება. სხვაგვარად, ქვეყნებს შეუძლიათ მიუერთდნენ ხელშეკრულებას (იხ. ზემოთ „მიერთება“).

**ხელმოწერა:** პირველი ნაბიჯი, რომელიც მიაწინებს, რომ ქვეყანას სურს გაიზიაროს ხელშეკრულების დებულებები. თუმცა, ხელშეკრულება მისთვის ჯერ არ არის იურიდიულად სავალდებულო.

**მონაწილე მხარეები:** ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს ხელშეკრულების რატიფიცირება.

**ხელშეკრულების ორგანოები:** კომიტეტები, რომლებიც შეიქმნენ ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებების ფარგლებში, რათა ზედამხედველობა გაუწიონ მონაწილე მხარეების მიერ ხელშეკრულებების შესრულებას“ (UNDP, 2000, გვ. 17).

მეოცე საუკუნეში ერთა ლიგის ქარტია, ერთა ლიგისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ბევრი ინიციატივა ადამიანის უფლებების ზოგიერთ მინიმალურ იდეალს მაინც გამოხატავდა. თუმცა, არ არსებობდა ამ უფლებების სრული განმარტება. [...] 1920-იანი წლების დასაწყისში ერთა ლიგამ შეიმუშავა და მიიღო ბავშვთა უფლებების დეკლარაცია. ლიგას ჰქონდა ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე კომიტეტები, როგორცაა მაგალითად, ტრეფიკინგთან ბრძოლის კომიტეტი (რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალური სამუშაოს პიონერი – გრეის აბოტი). ლიგა აგრეთვე სპონსორობდა ბავშვთა შრომისა და სასჯელის სისტემის რეფორმის ბევრ ინიციატივას. აგრეთვე ლი-

გის ქარტია კოლონიზებულ ქვეყნებში ზოგიერთი სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების საგანგებოდ დაცვისაკენ მოუწოდებდა.

საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების სისტემის გაჩენას მნიშვნელოვანწილად მეორე მსოფლიო ომის საშინელებებმა, განსაკუთრებით ჰოლოკოსტმა და ნაცისტების სისასტიკემ მისცა ბიძგი. როგორც ჩანს, ერთგვარი დანაშაულის გრძნობაც არსებობდა დასავლეთის წამყვან ქვეყნებში; მიუხედავად იმისა, რომ 1930-იან წლებში ისინი არაერთხელ შეიკრიბნენ და იმსჯელეს გერმანიაში აგრესიასა და ადამიანის უფლების დარღვევებზე, საბოლოოდ გადანყვიტეს, რომ ეროვნული სუვერენიტეტი არ იძლეოდა მოქმედების საშუალებას (ვრონკა, 2003). შესაბამისად, პრეამბულაში ვკითხულობთ: „ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულბელყოფასა და აბურად აგდებას შედეგად მოყვა ბარბაროსული აქტები, რომელმაც ალაშფოთა კაცობრიობის სინდისი“ (გაერო, 1948).

1947 წელს ახალჩამოყალიბებულმა გაერომ, ზოგიერთი დელეგატისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეთა საფუძველზე, შექმნა ადამიანის უფლებათა კომისია, რომელსაც სათავეში ელეონორა რუზველტი ჩაუდგა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ თანამდებობაზე ქალი განზრახ დანიშნეს, რათა ერთგვარად დაეკნინებინათ კომისიის მნიშვნელობა (ვრონკა, 2003). ასეა თუ ისე, 1948 წლის ზაფხულისთვის კომისიამ მოამზადა ადამიანის უფლებათა დოკუმენტის პროექტი და გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო მისი განხილვა (მოსინკი ციტირებული რეიჩერტთან, 2003) (შედარებისთვის, ბავშვთა უფლებების კონვენციის პროექტზე მუშაობა მთელი ათი წელი მიმდინარეობდა). დოკუმენტის წინააღმდეგ არავინ წასულა. თუმცა, საბჭოთა ბლოკმა, საუდის არაბეთმა და სამხრეთ აფრიკამ თავი შეიკავეს. ამ ხელშეკრულებას ერთგვარი ჩრდილი მიაყენა იმან, რომ 1948 წელს სამხრეთ აფრიკაში სრულად და ოფიციალურად აამოქმედეს აპარტეიდის კანონი. ეს თითქოს გამომაფხიზლებელი უნდა ყოფილიყო ყველასთვის, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებას ამ მოვლენისთვის დიდად არ მიუქცევია ყურადღება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების პერიოდში გაეროში 56 ქვეყანა იყო განვერდიანებული. მათგან სულ რამდენიმე იყო აფრიკის კონტინენტიდან. ამას ხშირად მიიჩნევენ დოკუმენტზე დასავლეთის ქვეყნების ძლიერი ზეგავლენის მიზეზად. თუმცა, ადამიანის უფლებათა კომისიის წევრებად აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან ერთად იყვნენ ეგვიპტე, ინდოეთი, ირანი, ლიბანი, პანამა, საბჭოთა კავშირი, ურუგვაი, ფილიპინების რესპუბლიკა და ჩინეთი (რეიჩერტი, 2003).



ადამიანის უფლებები როგორც საერთაშორისო  
სამართლის სისტემა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან მოყოლებული ადამიანის უფლებათა საკითხებზე გაერომ 200-ზე მეტი დოკუმენტი დაამტკიცა (სნარი, 2002). ბევრი სხვა კი რეგიონულმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ადამიანის უფლებების შესახებ ფართომასშტაბინი და კომპლექსური მსჯელობის ფარგლებში. 1948 წლიდან ადამიანის უფლებათა სფერო მკაფიოდ განისაზღვრა (გაეროს მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დებულებებით. ეს არის გარდამტეხი და საოცრად ყოვლისმომცველი დოკუმენტი. აქ უფლებების სამი „თაობა“ გამოიკვეთა (ვრონკა, 1995). პირველი რიგი უფლებებისა არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მე-3-დან 21-ე მუხლის ჩათვლით ეს უფლებები განსაზღვრულია, როგორც სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება; თავისუფლება ნამებისგან და არაადამიანური სასჯელისგან; თავისუფლება გაუმართლებელი დაკავებისა და დაპატიმრებისგან; თავყრილობის თავისუფლება; აზრის გამოთქმის თავისუფლება და ა.შ. დოკუმენტი ასევე გვპირდება დემოკრატიული მმართველობის უფლებას. როგორც 21 მუხლშია აღნიშნული, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში“. შემდეგ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა. ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური ფორმით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“ (გაერო, 1948). პირველი თაობის ამ უფლებებს ხშირად „ნეგატიურ უფლებებად“ მოიხსენებენ, ვინაიდან, ისინი ხელისუფლებისგან ითხოვენ ნეგატიური ქმედებებისგან, ან ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების შეზღუდვისგან თავის შეკავებას.

22-ე და 27-ე მუხლის ჩათვლით მოცემულია (მეორე თაობის) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ეს მოიცავს: სოციალური უსაფრთხოების, საკადრისი დასაქმების, დასვენების და გართობის, საკვების, ჩასაცემლის, საცხოვრებლის, ჯანდაცვის, განათლების და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებს. 25 მუხლის 1 პარაგრაფი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ სამუშაოზე. აქ ვკითხულობთ:

*ყოველ ადამიანს – აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, (საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო ზრუნვისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით) რომელიც აუცილებელია პირადად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად; უფლება იყოს უზრუნველყოფილი უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის,*

*მოხუცებულობის ან არსებობის საშუალების დაკარგვის (მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო) სხვა შემთხვევაში.*

ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს „პოზიტიური უფლებები“ შეარქვეს, რადგან ქვეყანამ საგანგებო ნაბიჯები უნდა გადადგას მოქალაქეების ამ უფლებების დასაკმაყოფილებლად.

28-ე მუხლი ზოგადად აღწერს მესამე თაობის უფლებებს. ეს ის უფლებებია, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო საქმიანობით და თანამშრომლობით შეიძლება იყოს გარანტირებული. აქ ვკითხულობთ: „ყოველ ადამიანს აქვს ისეთ სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება, რომლის პირობებშიც, შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა სრულად განხორციელება“. ეს განცხადება შეჯერებულია 22-ე მუხლთან, რომელიც აღნიშნავს, რომ: „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უსაფრთხოების უფლება და უნდა შეეძლოს, ეროვნული ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში), განახორციელოს თავისი ღირსების შესაფერისი უფლებები. ამ მუხლის მიხედვით, ადამიანს ენიჭება მშვიდობის, პატიოსანი ვაჭრობის და, უბრალოდ, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის უფლება. იფის მიხედვით (იფი, 2001), მესამე თაობის უფლებები მოიცავს ეკონომიკური განვითარების უფლებას; უფლებას განეკუთვნებოდეს სტაბილურ, ერთსულოვან საზოგადოებას; გარემოს დაცვით უფლებას, კერძოდ, უფლებას გქონდეს სუფთა და დაუბინძურებელი ჰაერი, წყალი და საკვები; უფლებას იცხოვროს ისეთ ფიზიკურ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს მიაღწიოს სრულ ადამიანურ პოტენციალს“ (გვ.39) .

*საერთაშორისო ხელშეკრულებები.* ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია არის მრავლისდამტევი დეკლარაცია. საერთაშორისო სამართალში ეს ნიშნავს, რომ ეს არის განაცხადი კეთილი განზრახვების შესახებ, რომელსაც კანონის ძალა არ აქვს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას მოყვება ორი ხელშეკრულება, რომლებშიც განსაზღვრულია ხელმომწერი ქვეყნების ვალდებულებები: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების საერთაშორისო პაქტი (ICESCR). ორივე მათგანი 1966 წელს მიიღო გენერალურმა ასამბლეამ. ეს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი დეტალურად განავრცობს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელოვან დებულებებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს, მას შემდეგ, რაც 35-მა ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება (ძალაში შესვლისთვის საჭირო პროცედურა) (UNOHCHR, 2005a). ამჟამად უკვე 155 ქვეყანამ გააკეთა ამ დოკუმენტის რატიფიცირება და გახდა პაქტის მონაწილე მხარე (UNOHCHR, 2006). ეკონომიკური, სოციალური

და კულტურული უფლების საერთაშორისო პაქტი ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს და მას 152 ქვეყანა მიუერთდა. აშშ-ს არ მოუხდენია მისი რატიფიცირება და მეტწილად არ უჭერს მხარს სოციალური და განსაკუთრებით, ეკონომიკური უფლებების კონცეფციას (UNOHCHR, 2006).

*მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფების დამცველი ხელშეკრულებები.* მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და პაქტები უზრუნველყოფენ ყველა (კატეგორიის) ხალხის დაცვას, მაინც გრძელდება ადამიანების ზოგიერთი ჯგუფების ჩაგვრა და მათი უფლებების შეზღუდვა. ამიტომ, აუცილებელი გახდა დამატებით ახალი დეკლარაციებისა და კონვენციების მიღება. ამ დოკუმენტთაგან სოციალური სამუშაოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (ICIFRD), კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW); და კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (CRC). ორი პაქტი, ზემოხსენებული სამი კონვენცია და ორი ხელშეკრულება ([1]კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ [1984] და [2] ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია [1990]) ქმნიან „შვიდ მთავარ საერთაშორისო ხელშეკრულებას ადამიანის უფლებების შესახებ“ (UNOHCHR, 2005b). თითოეულ მათგანს ადამიანის უფლებათა შესაბამისი კომიტეტი ხელმძღვანელობს, რომელიც იღებს ანგარიშებს და ზედამხედველობს წევრი ქვეყნების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას. ამ შვიდი ხელშეკრულებიდან, აშშ-მ მხოლოდ (1) რასობრივი დისკრიმინაციის კონვენციას, (2) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების პაქტს და (3) წამების წინააღმდეგ კონვენციას გაუკეთა რატიფიცირება. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებათაგან, ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება გააკეთა ყველაზე მეტმა ქვეყანამ. ეს კონვენცია უზრუნველყოფს ბავშვთა გადარჩენის, დაცვის და განვითარების უფლებას. მხოლოდ აშშ-ს და სომალის არ გაუკეთებია ამ დოკუმენტის რატიფიკაცირება. კანადას რატიფიცირებული აქვს ყველა ხელშეკრულება, გარდა მიგრანტი მუშის კონვენციისა. ეს ხელშეკრულება 2003 წელს შევიდა ძალაში და ჯერ მხოლოდ 34 ქვეყანაა მასთან მიერთებული (UNOHCHR, 2006). ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება რომ ამუშავდეს (ან ადამიანის უფლებათა ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ძალაში რომ შევიდეს), მისი რატიფიცირება უნდა მოახდინოს ქვეყნების დადგენილმა რაოდენობამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება ან მასთან მიერთება ნიშნავს, რომ ქვეყანა ეთანხმება მის დებულებებს და მზად არის მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების განხორციელებაში. ქვეყანას შეუძლია მხოლოდ ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს,

რომ მის პრინციპებს ზოგადად უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება არ არის მისთვის იურიდიულად სავალდებულო.

გაეროს ფორმატში შემუშავებული დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების გარდა, არსებობს ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულებები. ერთი ასეთი მაგალითია ევროპის სოციალური ქარტია. ეს ქარტია 1961 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მოგვიანებით დაიხვეწა და გაფართოვდა.

იგი ვერაფერს ხედავს ცუდს იმაში, რომ მომავალში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით გაჩნდეს ახალი და განსხვავებული მოსაზრებები:

*მართალია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ალბათ, წარმოადგენს მეოცე საუკუნეში კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე ღირსესანიშნავ მიღწევას, ის არ უნდა განვიხილოთ, როგორც უნივერსალური და ხელუხლებელი ქვეყნების მიერ. ეს შთამბეჭდავი და შთამავლებელი ნაშრომია, საყურადღებო რადიკალური დასკვნებით... მაგრამ ეს დეკლარაცია არავითარ შემთხვევაში არ არის წმინდა წერილი. დროთა განმავლობაში ის შეიძლება შეიცვალოს, როცა გაჩნდება ახალი იდეები და ახალ საკითხებს მიენიჭება უპირატესობა (იფი, 2001, გვ. 6).*

იფი დასძენს, რომ ეს არ არის უნივერსალურობის საწინააღმდეგო არგუმენტი, არამედ, უფრო ადამიანის უფლებათა კონცეფციის დახვეწისთვის მზადყოფნაა.

*განუყოფლობის პრინციპი.* ადამიანის უფლებათა კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტია უფლებათა განუყოფლობის პრინციპი. ეს არის ადამიანის უფლებების გლობალური ხედვა. იმისთვის, რომ პიროვნების ღირსება არ შეილახოს, ყველა სახის უფლება უნდა იყოს დაცული, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, კულტურული და პოლიტიკური უფლებები და რამდენადაც შესაძლებელია, გლობალური მასშტაბით. პოლიტიკური თავისუფლება ბევრს არაფერს მისცემს მშვიერ ხალხს; კარგად დაპურებულ ხალხს სამოქალაქო თავისუფლების გარეშე, აკლია ადამიანური ღირსების მთავარი კომპონენტი; და ბოლოს, მშვიდობისა და სამართლიანობის მსოფლიო წესრიგის გარეშე, არც ერთი ეს უფლება არ იქნება გარანტირებული.

### ევროპის სოციალური ქარტია

1961 წელს ევროპის საბჭომ ევროპის სოციალური ქარტია შეიმუშავა. მისი მიზანია, წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფა და შემდგომი გამოყენება. ის გვთავაზობს, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე; „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, ეროვნული თუ სო-

ციალური წარმომავლობისა“ (ევროპის საბჭო, 1961). 1996 წელს ქარტია დახვეწეს, რათა შეენარჩუნებინათ მიღწევები და „მიეცათ მისთვის ახალი იმპულსი“ (ევროპის საბჭო, 1996, გვ.1). 1996 წლის ვერსია ცდილობს უპასუხოს იმ სოციალურ ცვლილებებს, რომელებიც მას შემდეგ მოხდა, რაც ქარტიის თავდაპირველი ვარიანტი მიიღეს. თავდაპირველი ქარტია მიზნად ისახავდა ძირითადი უფლებებისა და პრინციპების მიღწევას, როგორცაა მუშების, ქალების, ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები. 1996 წლის ვერსია აფართოებს ამ პრინციპებს, განსაკუთრებით, მუშათა უფლებების დარგში. განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას სოციალური კეთილდღეობის მომსახურების და სამედიცინო დახმარების მიღების უფლებაზე, სიღარიბის და სოციალური ექსკლუზიისგან დაცვის უფლებაზე, საცხოვრებლის და ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უფლებაზე.

განუყოფლობა ბრწყინვალე პრინციპია, მაგრამ ადამიანის უფლებების ისტორიის მანძილზე ის არაერთხელ უარყვეს. ცივი ომის პერიოდში, საერთაშორისო არენაზე დაპირისპირებას ხშირად იწვევდა ის, რომ საბჭოთა ბლოკი უარს ამბობდა, ეცნო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ხოლო აშშ (და ზოგჯერ მისი მოკავშირეებიც) უარყოფდნენ ან ცვლიდნენ ეკონომიკური და სოციალური უფლებების იდეებს. შეიძლება სოციალური სამუშაოს პროფესიას აქვს პრეტენზია, რომ მართლაც ესმის უფლებების განუყოფლობის იდეა თავისი ერთდროული აქცენტი ინდივიდუალურ თვითგამორკვევაზე, განვითარებაზე, სოციალურ და ეკონომიკურ სამართლიანობაზე.

*უნივერსალიზმი.* ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ძირითადად ისეა შედგენილი, რომ უნივერსალურობაზე უნდა იყოს მორგებული. ამასთან, პროცესი იძლევა იმის უფლებას, რომ ქვეყნებმა თავი შეიკავონ ხელშეკრულებების ზოგიერთ დებულებასთან მიმართებით და შემოგვთავაზონ უნივერსალიზმის იდეის ოდნავ შეცვლა. ამ თავშეკავებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ხელშეკრულების ძირითად არსს. ბრალდებები, რომ ეს დოკუმენტი დასავლურ ყაიდაზეა შექმნილი, ადამიანის უფლებათა სისტემას „რეჟიმად“ წარმოაჩენს და ზოგიერთი შიშობს, რომ მას გამოიყენებენ, სუსტი და განსაკუთრებით, ღარიბი განვითარებადი ქვეყნების სუვერენიტეტის გამონწვევად. მართლაც, 1948 წელს, აშშ-ს ანთროპოლოგიურმა ასოციაციამ გააკეთა განცხადება, სადაც „უარს ამბობდა ადამიანის უფლებების ნორმების უნივერსალურობაზე“. განცხადებაში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში „ჩამოთვლილია ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც კულტურულად, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად არაუნივერსალურია“ (ფოქსი, 1998). მას შემდეგ საკმაოდ გამძაფრდა დებატები

თემაზე უნივერსალიზმი თუ ფარდობითობა. რაც შეეხება სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სფეროს, განსაკუთრებით გართულდა და გამწვავდა კამათი ბავშვების, ქალების, სხვა ჩაგრული ჯგუფებისა და ოჯახის უფლებების შესახებ.

1981 წელს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციამ მიიღო ადამიანისა და ხალხების უფლებების აფრიკული ქარტია. რეგიონულ ხელშეკრულებებს შორის ეს დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ცდილობს ადამიანის უფლებების კულტუროლოგიურ კონტექსტში გააზრებას. ქარტიაში დევს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების იდეა, როგორც მუტუა (2000) განმარტავს, „ქარტიის აზრით, ინდივიდუალური უფლებები აზრს კარგავენ სოციალურ და პოლიტიკურ ვაკუუმში, თუ შერწყმული არ არიან პიროვნების მოვალეობებთან... ამრიგად, პიროვნებებზე მოვალეობების დაკისრებით, ის ცდილობს პიროვნების უფლებები მოარგოს თემისა და პოლიტიკური საზოგადოების უფლებებს (გვ.8). ასე მაგალითად, 21-ე მუხლის მიხედვით, პიროვნებას აქვს მოვალეობა „გაუფრთხილდეს ოჯახის ჰარმონიულ განვითარებას და იმრომოს ოჯახის ერთსულოვნებისა და პატივისცემისთვის; ყოველთვის პატივი სცეს მშობლებს და, საჭიროების შემთხვევაში, არჩინოს ისინი“ (მუთუა, 2000, გვ. 8). [...]

#### *ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები*

გაეროს მიერ დადგენილ და მართულ ადამიანის უფლებებს, ახორციელებს კომპლექსური ბიუროკრატიული აპარატი. აქ გაერთიანებულია: ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (გაეროს სამდივნოს დეპარტამენტი); სხვადასხვა ხელშეკრულების კომიტეტები; ადამიანის უფლებათა საბჭო; საგანგებო ექსპერტები და კიდევ ბევრი სხვა. 1946 წელს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა კომისია. ის 56 წევრი ქვეყნისგან შედგებოდა და ყოველ წელს იკრიბებოდა, რათა განეხილა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. რადგან კომისიით ბევრი იყო უკმაყოფილო და იმის გათვალისწინებით, რომ მისი ზოგიერთი წევრი სახელმწიფო თავადაც მნიშვნელოვნად არღვევდა ადამიანის უფლებებს, ამ ცოტა ხნის წინ კომისია გააუქმეს. მის ნაცვლად ახალი ორგანო, ადამიანის უფლებათა საბჭო, შეიქმნა. ეს 2006 წელს მოხდა და ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, რამდენად გაამართლებს ეს ახალი სტრუქტურა.

უმაღლესი კომისრის უმნიშვნელოვანესი საქმეა მსოფლიოს ყურადღება მიაპყროს ადამიანის უფლებების ზნეობრივი მხარისკენ. ირლანდიელი მერი რობინსონი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1997-2002 წლებში მუშაობდა, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სიღარიბეზე და ამას ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზულ დარღვევად მიიჩნევდა. მის მემკვიდრეს, ბრაზილიელ სერხიო ვიეირა დე მელოს, არ დასცალდა სრულყოფილად ემუშავა. ის ტრაგი-

კულად დაილუბა ერაყში, როცა გენერალური მდივნის საგანგებო დავალებას ასრულებდა. კანადელი ლუის არბორი უმაღლეს კომისრად 2004 წელს დაინიშნა.

სოციალური სამსახურისათვის საინტერესო ხელშეკრულებების განხორციელებაზე მუშაობს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კომიტეტი: ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი; რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და ბავშვთა უფლებების კომიტეტი. ეს კომიტეტები განიხილავენ და აფასებენ ანგარიშებს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ მონაწილე ქვეყნები შესაბამისი ხელშეკრულების დებულებებს. მონაწილე მხარეები ზრუნავენ ადამიანის უფლებათა კომიტეტებისა და მათი პერსონალის შენახვაზე. ისინი ვალდებული არიან, კომიტეტს პერიოდულად ჩააბარონ ანგარიში ჩატარებული სამუშაოს თაობაზე. მონაწილე ქვეყნის ანგარიში მისივე ჩატარებული კვლევის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტია, იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ქვეყანა კონკრეტულ ხელშეკრულებას თუ კონვენციას. კომიტეტის თითოეულ სხდომაზე იგეგმება რამდენიმე ქვეყნის ანგარიშის მოსმენა და მათი მთავრობის წარმომადგენლებთან დიალოგი. მკითხველს შეუძლია მოიძიოს მონაწილე ქვეყნების ანგარიშები, ადამიანის უფლებათა შესაბამისი კომიტეტის კომენტარები და სხდომაზე წარმოდგენილი მთავრობის პასუხი ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ვებგვერდზე: [www.ohchr.org](http://www.ohchr.org)

*გაეროსა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ვალდებულებების შესრულების საქმეში*

ადამიანის უფლებათა გლობალური მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ ყველას მიერ ყველა ვალდებულების შესრულებას. ზოგი იმასაც ფიქრობს, აზრი აქვს თუ არა ისეთ საერთაშორისო კანონებს, რომლებიც ვერ მუშაობენ. ბოლოს და ბოლოს, რუანდის, დარფურის, კამბოჯის და ბოსნიის ამბები ხომ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ხელშეკრულებების მიღების შემდეგ მოხდა. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW) უკვე მიღებული იყო, როცა თალიბანმა ქალების დაჩაგრვა მოახერხა. მსგავსი მაგალითები ბევრია.

კარგი, რასაც გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემა აკეთებს, არის ის, რომ წარმოადგენს გლობალური სტანდარტების საცავს და აქვს უწყებები, რომლებსაც შეუძლიათ მონადინებული ქვეყნების წაახალისება და დახმარება მუშაობაში. გაეროს ცოტა რამის გაკეთება შეუძლია, როცა ქვეყანას არ უნდა პატივი სცეს თავისი მოქალაქეების ადამიანის უფლებებს. ამდენად, ხელშეკრულებების მონაწილე ბევრი სახელმწიფო უხეშად არღვევს ადამიანის იმ უფლებებს, რომლის მხარდაჭერაც მისმა მთავრობამ იკისრა. რობერტ დრინანი თავის წიგნში, (დრინანი, შერცხვენის მობილიზაცია, 2001) გვთავაზობს ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ „შერცხვენის“ ტაქტიკა. [...]

თუმცა, სამწუხაროდ, არიან ისეთი ქვეყნებიც, რომელთა შერცხვენა შეუძლებელია.

როგორ უნდა ჩაერიოს მსოფლიო თანამეგობრობა, როცა აშკარაა მოქალაქეთა ადამიანის უფლებების დარღვევა? გენოციდის შემთხვევებშიც კი, გაერო ნელა და უხალისოდ მოქმედებდა. საერთაშორისო ურთიერთობის უმთავრესი პრინციპი სახელმწიფო სუვერენიტეტი; ეს კი გამორიცხავს სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევას და სხვა ქვეყანაში სამხედრო ინტერვენციას. ადამიანის უფლებათა გლობალური სტანდარტების დადგენა და მისი შესრულების მექანიზმის შექმნა, ერთგვარად ზღუდავს სუვერენიტეტს. ერთ-ერთი ანალიზის მიხედვით, „ცივი ომის შემდეგ სულ უფრო მატულობს ისეთი მიდგომა, რომ თუ ქვეყანა სერიოზულად და სისტემატურად არღვევს ადამიანის უფლებებს, მას დაეკარგება ან დროებით შეუჩერდება თანასწორის სტატუსი სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ (სენდჰოლთი, 2002, გვ. 208). იყო შემთხვევები, როცა საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა სამხედრო ჩარევას. მაგალითად, 1990-იან წლებში ბოსნიასა და სომალიში ასეთი ჩარევა, უმთავრესად, ადამიანის უფლებების დასაცავად და ჰუმანიტარული მოსაზრებით განხორციელდა. იყო შემთხვევა, როცა ეკონომიკური სანქციები სცადეს. თუმცა, დონელის (2002) აზრით, ასეთმა ქმედებამ ბევრი ვერაფერი დააკლო დამნაშავე ლიდერებს, სამაგიეროდ, კიდევ უფრო დაამძიმა ხალხის, ანუ მსხვერპლის, ტანჯვა. სუვერენიტეტის შელახვა, როგორც წესი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება.

1998 წელს მსოფლიო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) შექმნას, რომელიც 2002 წელს ამოქმედდა. როგორც სასამართლოს ვებგვერდზე აღნიშნული (2007), ის არის „დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც ასამართლებს იმ პირებს, რომლებსაც ბრალი ედებათ საერთაშორისო თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებში, ისეთებში როგორც არის გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაულებები“ (n.p.). სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამიზნულია, როგორც უკანასკნელი ინსტანცია და განიხილავს მხოლოდ განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევებს, მხოლოდ მაშინ, თუ ეროვნულმა სასამართლომ ვერაფერი მოიმოქმედა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ოთხი საქმის გამოძიება დაიწყო; ესენი გახლავთ: უგანდის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და დარფურის რეგიონის (სუდანი) საქმეები. ვინაიდან სუდანი სასამართლოს წევრი არ არის (ICC, 2007), მისი საქმე სასამართლოში გაეროს უშიშროების საბჭომ წარადგინა. დღეისათვის 104 სახელმწიფო სასამართლოს წევრი. აშშ ჯერ კიდევ 2002 წელს, სანამ სასამართლო ოფიციალურად შეუდგებოდა მუშაობას, გამოვიდა წინასწარი შეთანხმებიდან. მიზეზად ის დაასახელეს, რომ ამერიკის მოქალაქეები პოლიტიკური მოსაზრებით შეიძლება მიზანში ამოელოთ. თუმცა, ხელშეკრულებასა და სასამართლოს პროცედურებში, ასეთი

მოქმედებისგან დამცავი ბევრი მექანიზმი გათვალისწინებული (“International Criminal Court: Let the Child Live, ~ 2007). სასამართლო უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებების ამაზრზენი დარღვევების დაუსჯელობის აღკვეთის საქმეში. თუმცა, ადამიანის უფლებების სტანდარტების ეფექტურად დამკვიდრების საშუალებები (განსაკუთრებით, არასამხედრო მეთოდები) ჯერ ისევ ჩამორჩება სასურველ დონეს.

*ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები.* არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა სფეროში. მათი საქმიანობა ძირითადად გაეროს ხელშეკრულების მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებს ეფუძნება. ისინი მოქმედებენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად და გაცილებით აქტიურად რეაგირებენ კონკრეტულ დარღვევებზე. ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული არასამთავრობო ორგანიზაცია გახლავთ „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International – AI). ის 1961 წელს დაარსდა, როგორც „აზრის გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების დამცველი მუდვიმოქმედი საერთაშორისო მოძრაობა“. ეს ორგანიზაცია ამხილებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს და ამით ზეწოლას ახორციელებს დამრღვევ მთავრობებზე. საერთაშორისო ამნისტია თავის თავს „საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დამცველთა მსოფლიო მოძრაობას“ უწოდებს (Amnesty International [AI], 2006). საერთაშორისო ამნისტიამ უდავოდ არაერთი პატიმარი გადაარჩინა სიკვდილს და კარგად დაანახა საზოგადოებას შეურაცხყოფის ადამიანური სახე. საერთაშორისო ამნისტია ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე ამახვილებს ყურადღებას. მართალია, მისი აზრით, ადამიანის უფლებები განუყოფელია, მაგრამ ორგანიზაცია „ძირითადად ფიზიკური ხელშეუხებლობის, თავისუფალი აზროვნებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლებების უხეშად დარღვევის აღმოფხვრაზე“ ამახვილებს ყურადღებას (AI, 2006).

1996 წელს საერთაშორისო ამნისტიამ გამოსცა დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდა ჯანდაცვის სპეციალისტებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იკისრონ ადამიანის უფლებების დარღვევების გამოაშკარავების საქმეში. „საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის, განსაკუთრებით ნამების ფაქტების გამოძიებაში, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ჯანდაცვის სპეციალისტების დახმარება“ (AI, 1996). მართალია, ეს ექიმებსა და ექთნებს ეხება, მაგრამ სოციალური მუშაკებიც ჯანდაცვის პროფესიონალები არიან და ამიტომ, მათაც უნდა იცოდნენ ამ პასუხისმგებლობის შესახებ. იმავდროულად, დეკლარაცია, „მოუწოდებს საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებს, გაეროსა და მის შესაბამის ორგანოებს ყურადღება გაამახვილონ ჯანდაცვის პროფესიონალების ეთიკურ პასუხისმგებლობაზე, რათა მათ ხმა აიმაღლონ თავიანთ პაციენტებზე განხორციელებული ძალადო-

ბის წინააღმდეგ. „ამით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციასა (IFSW) და სოციალური სამუშაოს სკოლების საერთაშორისო ასოციაციას (IASSW)“ (I, 1996).

ჰუმან რაიტს ვოჩი (Human Rights Watch/HRW) არის აშშ-ში დაფუძნებული ყველაზე დიდი ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც მთელ მსოფლიოს მოიცავს. მისმა წინამორბედმა ჯგუფებმა 1978 წლიდან დაიწყეს საქმიანობა და 1988 წელს გაერთიანდნენ, როგორც ჰუმან რაიტს ვოჩი. ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში მისი მთავარი იარაღია კვლევები და საჯაროობა. აგრეთვე ზოგჯერ ის პირდაპირ იბრძვის ცვლილებისთვის. ჰუმან რაიტს ვოჩის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ მისი ერთ-ერთი ამოცანაა „უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს“ ადამიანის უფლებების დამრღვევი მთავრობები (HRW, 2006a). ჰუმან რაიტს ვოჩის ინტერესების სფერო მოიცავს ადამიანის უფლებების ფართო სპექტრს, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებს, ქუჩის ბავშვებისადმი მოპყრობას, დამნაშავე ლიდერების გასამართლებას, პატიმართა უფლებებს, საიმეგრაციო კანონმდებლობას, სექსუალურ უმცირესობათა საკითხებსა და ბევრ სხვას.

*ადამიანის საერთაშორისო უფლებების დაცვის  
სამომავლო და მოუგვარებელი სფეროები*

არსებობს ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი, რომელსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი თითქმის არ იცავს; თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, კონვენციებსა და სხვა სპეციალიზებულ ხელშეკრულებებში ასახულ ზოგიერთ საკითხს. ახალი ხელშეკრულება, რომელიც ამ სტატიის წერის დროს ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, დაიცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა უფლებებს. არ არსებობს სპეციალური ხელშეკრულება სექსუალური უმცირესობების დასაცავად; ისევე, როგორც არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობას სამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩადენილი დანაშაულისგან.

*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.* 2006 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დაცვის კონვენციას. 2007 წლის 30 მარტს კონვენცია და მისი არასავალდებულო ოქმი გაიხსნა ხელმოწერისა და რატიფიკაციისთვის. 2007 წლის მაისისთვის 81 სახელმწიფოს და ევროპულ გაერთიანებებს ჰქონდა კონვენციისთვის ხელი მოწერილი, ხოლო მათგან 44-მა არასავალდებულო ოქმსაც მოაწერა ხელი. იამაიკამ მარტში პირველმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, ხოლო კიდევ ექვსმა ქვეყანამ 2007 წლის ბოლოდმე დაასრულა რატიფიცირების პროცესი (UNOHCHR, 2007). როგორც

კი მეოცე ქვეყანა გაუკეთებს ხელშეკრულებას რატიფიკაციას, ის ძალაში შევა და მიიღებს საერთაშორისო სამართლის სტატუსს და მსოფლიოს უფრო მეტ მოქალაქეზე გავრცელდება ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებები.

ხელშეკრულება დიდი ხანი მზადდებოდა. ჯერ კიდევ 1975 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების თაობაზე. როგორც ყველა დეკლარაციას, მასაც არ ჰქონდა იურიდიული ძალა; მან მხოლოდ მორალური პრინციპები ჩამოაყალიბა. 2001 წელს გენერალურმა ასამბლეამ შექმნა კომიტეტი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საერთაშორისო კონვენცია. მანამდე კი, გაეროს ინიციატივით ჩატარდა და 2002 წელს გამოქვეყნდა კვლევა – ადამიანის უფლებები და ???: გაეროს ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების ამჟამინდელი გამოყენება და სამომავლო პოტენციური შეზღუდულობის კონტექსტში. ამ ნაშრომმა ყურადღება გაამახვილა იმხანად არსებული ინსტრუმენტების გამოყენებაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ხელშეწყობის საქმეში. ხელშეკრულებაზე მუშაობა და მასზე შეთანხმება შედარებით სწრაფად მოხდა. 2003 წლის ივნისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებისა და ღირსების დამცველი ფართო და ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონვენციის დროებითმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი კონვენციის პროექტის შესაქმნელად. ამ ნაბიჯს ხელი შეუწყო გენერალურმა ასამბლეამ. ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აღნიშნა, რომ „ეს იყო საერთაშორისო სამართლის ისტორიაში ყველაზე სწრაფად შეთანხმებული ადამიანის უფლებათა დამცველი ხელშეკრულება; თანაც – პირველი, რომელიც ძირითადად ინტერნეტის საშუალებით ლობირების შედეგად შემუშავდა“ (UN News Centre, December 13, 2006).

ეს კონვენცია მოუწოდებს მონაწილე ქვეყნებს გააუქმონ ისეთი დისკრიმინაციული კანონები თუ წეს-ჩვეულებები, რომლებიც ბღალავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს და მიიღონ ახალი კანონები მათი უფლებების დასაცავად. როგორც კონვენციაშია აღნიშნული, „მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს სრულად და თანასწორად გამოიყენოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები. აგრეთვე უზრუნველყოს ამ ხალხის კუთვნილი ღირსება“ (UNOHCHR, 2007, მუხლი 1). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებად მოიაზრებიან ისინი, „ვისაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან სენსორული ჩამორჩენა, რამაც, თუ გავითვალისწინებთ სხვა წინააღმდეგობებს, შეიძლება არ მისცეს მათ საშუალება სხვა ადამიანებთან თანასწორად, სრული და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (მუხლი 1). კონვენციის ერთ-ერთი მთავარი იდეაა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა „კუთვნილი უფლება, იცხოვრონ საზოგადოებაში სხვებთან თანასწორ საწყისებზე“. აქ

აგრეთვე გაცხადებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ უფლება იცხოვრონ დამოუკიდებლად და თვითონ აირჩიონ, თუ როგორ განკარგონ საკუთარი ცხოვრება.

*სექსუალური ორიენტაცია.* გაცილებით ნაკლებია გაკეთებული სექსუალური ორიენტაციის თვალსაზრისით ანუ სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვისთვის. მართლაც, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახურის ვებგვერდზე სექსუალური ორიენტაცია არ არის მოხსენიებული სამსახურის სამუშაო საკითხებში. 80-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს კანონები, რომლებიც კრიმინალურ ქმედებად მიიჩნევენ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ნებაყოფლობით სექსს. შვიდ ქვეყანაში ასეთი საქციელი შეიძლება სიკვდილითაც დაისაჯოს (ფლეშმანი, 2007). მსოფლიო ბევრ ქვეყანაში გეი მამაკაცები და ლესბოსელი ქალები შეურაცხყოფისა და ფიზიკური ანგარიშსწორების დიდი რისკის წინაშე დგანან (კარი, 2003; ფლეშმანი, 2007).

მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებების კომიტეტებმა ქვეყნების ანგარიშების მიმოხილვისას ყურადღება გაამახვილეს ჰომოსექსუალების დისკრიმინაციასა და მათზე ძალადობაზე. ბრაზილიამ სპონსორობა გასწია, რათა ადამიანის უფლებათა კომისიის 59-ე სესიაზე ადამიანის უფლებების და სექსუალური ორიენტაციის რეზოლუციის პროექტი განეხილათ. ამას იმდენი მონაწილემდეგ გამოუჩნდა და ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა, რომ შედეგად არაფერი მოჰყოლია (გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 2003). არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო აქტიურად ლობირებენ სექსუალური უმცირესობების საკითხს. სულ ახლახანს ჰუმან რაითზ ვოჩი გამოვიდა ინიციატივით, რომ საიმ-იგრაციო კანონში აღიარონ ერთი და იმავე სქესის პარტნიორები (HRW, 2006b). აშშ-ს ბევრი მოქალაქე იძულებულია, გადაიხვეწოს ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ ურთიერთობას აღიარებენ. მსოფლიოში სულ ცოტა 19 სახელმწიფოა, რომელიც თავისი მოქალაქეებისა და მუდმივი რეზიდენტების იმავე სქესის პარტნიორებს გარკვეულ საიმ-იგრაციო შეღავათებს სთავაზობს. ასეთი ქვეყნებია კანადა და ევროკავშირის 13 სახელმწიფო (ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ისლანდია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი და შვეიცარია). სხვა კონტინენტებიდან ამ სიაში შედიან ბრაზილია, ისრაელი, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. თუმცა, აშშ კვლავაც ამის წინააღმდეგია (HRW, 2006b).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციით, კვლავაც სერიოზულად ირღვევა ადამიანის უფლებები, გარკვეული პროგრესი მაინც გვაქვს. სამხრეთი აფრიკის კონსტიტუციაში არის მუხლი, რომელიც მოქალაქეებს სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციისგან იცავს. აგრეთვე ეკვადორის, პორტუგალიისა და ფიჯის კონსტიტუციები, კრძალავენ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის მოტივით (“Gay Rights: Until Death Do Us Part,” 2006). ბრაზილიამაც შეიმუშავა

მსგავს დისკრიმინაციაზე საჩივრების მიღების პროცედურა და ამასთან დაკავშირებით გარკვეული სწავლება ჩაუტარა პოლიციელებს. დანამ 1989 წლიდან აღიარა ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა სამოქალაქო ორგანიზაციები. ნიდერლანდებმა და ბელგიამ საქორწინო კანონმდებლობიდან ამოიღეს ყველა მითითება სქესზე (სტერლინგი, 2004). ამ წიგნის მომზადების პერიოდში ერთი და იმავე სქესის წყვილთა ქორწინება კანონიერი იყო ხუთ ქვეყანაში (ბელგია, ესპანეთი, კანადა, ნიდერლანდები და სამხრეთი აფრიკა) და აშშ-ს ერთ შტატში (მასაჩუსეტში). პარტნიორობა და სამოქალაქო კავშირები აღიარებულია ევროპის ათ ქვეყანაში, ახალ ზელანდიაში, ჰონგკონგსა და არგენტინის ერთ-ერთ შტატში (“Gay Rights,” 2006).

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, მსოფლიოს ბევრ ნაწილში ჰომოსექსუალობა დანაშაულად ითვლება და გეი დისკრიმინაციისა და ფიზიკური ანგარიშსწორების სამიზნეა. იმის გათვალისწინებით, რომ ჰომოსექსუალობას კრძალავს რამდენიმე ძირითადი რელიგია და ბევრი ქვეყნის მთავრობა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში მოხერხდეს ასეთი ადამიანების საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაცვა გაეროს დონეზე. გაეროს უმაღლესი კომისარი ლუიზ არბორი ცდილობს ადამიანის უფლებები სექსუალურ უმცირესობებზეც განავრცოს. მან გააკრიტიკა ის კანონები, რომლებიც ჰომოსექსუალობას დანაშაულთან აიგივებენ, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების აშკარა დარღვევა. 2006 წელს თავის გამოსვლაში მან თქვა: „არც ეროვნული კანონმდებლობა, არც წეს-ჩვეულებები ამართლებს გეების, ლესბოსელების, ბისექსუალების და ტრანსგენდერების შევიწროებას, ცემას, წამებას და, მითუმეტეს, მკვლელობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ასეთები არიან ან ზოგიერთებს ასეთებად მიაჩნიათ“ (ფლემმანი, 2007, გვ. 12).

*ადამიანის უფლებების დარღვევა არასამთავრობო სტრუქტურების მიერ.* ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო სამსახურები ყურადღებას ამახვილებდნენ საჯარო, სამთავრობო სფეროებზე. ადამიანის უფლებათა დამცველები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კერძო მილიციებსა და მეამბოხე ჯგუფებს. სოციალურ მუშაკებს კარგად მოეხსენებათ, რომ ადამიანის უფლებები შეიძლება დაარღვიონ (და არღვევენ კიდევ) მრავალეროვნულმა და ნაციონალურმა კორპორაციებმა, კერძო ორგანიზაციებმა, ოჯახებმა და მეზობლებმა. ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი სფერო და მათი პოტენციური დაცვა კვლავაც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და გლობალურ დონეზე ნაკლებად არის რეგულირებული.

## ადამიანის უფლებები და სოციალური სამუშაო

ადამიანის უფლებათა მოძრაობა ეფუძნება თითოეული ადამიანის პატივისცემის და ღირსების სათანადო დაფასებას. ადამიანის პატივისცემა და პიროვნების ღირსება არის სოციალური სამუშაოს საყრდენი. ამდენად, სრული ჰარმონიაა სოციალურ სამუშაოსა და ადამიანის უფლებებს შორის. ამაზე დაყრდნობით, სოციალური მუშაკების საერთაშორისო ფედერაციამ (1988) თავის პოლიტიკის დოკუმენტის წარდგინებას ასეთი განცხადება წაუშემა: „სოციალური სამუშაო იმთავითვე ადამიანის უფლებათა პროფესიაა. მისი ძირითადი პრინციპია თითოეული ადამიანის კუთვნილი ღირსება, ხოლო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა – მიუკერძოებელი სოციალური სტრუქტურების განვითარება, რომლებსაც შეეძლება უზრუნველყონ ადამიანის უსაფრთხოება და დაცვან მისი ღირსება“. [...] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო სოციალური სამუშაოს პოლიტიკის სამ მთავარ დოკუმენტში (სოციალური სამუშაოს გლობალური დეფინიცია, განცხადება ეთიკურ პრინციპებზე და სოციალური სამუშაოს განათლებისა და წვრთნის გლობალური სტანდარტები) ლაპარაკია ადამიანის უფლებებზე (IASSW, 2004).

### დასკვნა: განვითარებისა და ადამიანის უფლებების ურთიერთკავშირი

განვითარება და ადამიანის უფლებები დიდწილად განუყოფელია; განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სოციალური სამუშაოს პრაქტიკას საერთაშორისო არენაზე. სოციალური განვითარების ზემოთ მოყვანილი განმარტება, გულისხმობს ადამიანის უფლებების გამოყენებას განვითარების კომპონენტად. გაეროს მრავალ დეკლარაციასა და კონვენციას შორის არის დეკლარაცია განვითარების უფლებაზე (გაერო, 1986). ეს დეკლარაცია აცხადებს, რომ

*განვითარება ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ის მოუწოდებს ყველას მონაწილეობა მიიღოს, წვლილი შეიტანოს და ისარგებლოს სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებით, რომელშიც ყველა ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები სრულად იქნება რეალიზებული. დეკლარაციაში გაცხადებულია, რომ ადამიანი განვითარების ცენტრალური ფიგურაა და ის უნდა იყოს განვითარების უფლების აქტიური მონაწილე და სასიკეთო შედეგების მომხმარებელი (UN Centre for Human Rights, 1994, გვ. 23.*

როგორც პიტერ უვინი (2004) წერს, „უმაღლეს დონეზე განვითარება და ადამიანის უფლებები ერთი და იმავე პროცესის განუყოფელი ნაწილები ხდებიან, ისე როგორც ქსოვილის ორი ძაფი. ზღვარი ადამიანის უფლებებსა და

განვითარებას შორის იშლება და ორივე კონცეპტუალურად და პრაქტიკულად ხდება სოციალური ცვლილების ერთი პროცესის განუყოფელი ნაწილი“ (გვ. 175). ამგვარად, ადამიანის უფლებები მოიცავს განვითარების უფლებას და განვითარება უნდა გულისხმობდეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას, სათაურშიც და განვითარების პროცესშიც. ადამიანის უფლებების ჩართვა განვითარების პროცესებსა და პროექტებში ნიშნავს „მონაწილეობისა და საჯაროობის აბსოლუტურ აუცილებლობას“ (გვ. 182); ეს ორივე საერთაშორისო სოციალური სამუშაოს მნიშვნელოვანი პრინციპია და მორგებულია პროფესიულ ეთიკაზე.

თუ განვითარება ადამიანზეა ორიენტირებული და სიღარიბე ითვლება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად, მაშინ საერთაშორისო სოციალური სამუშაოს შესაბამისი მანდატი უნდა იყოს, განვითარებისა და ადამიანის უფლებების ერთდროული ხელშეწყობა.

## XI

### ლოკალური არის გლობალური და გლობალური არის ლოკალური



## ლოკალური არის გლობალური და გლობალური არის ლოკალური

გრემ სიმპსონისა და სიუ ლორენსის მიერ

### შესავალი

ჩვენ ვინყებთ ამ თავს გლობალიზაციის კონცეფციის განხილვით. გვინდა გიჩვენოთ, რომ დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ადამიანების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას ის, რაც სხვაგან ხდება. სწორედ ამას გამოხატავს იდეა გამოთქმისა „ყველაფერი გლობალური ლოკალურია“. ჩვენ გლობალიზაციას სამ დონეზე განვიხილავთ, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებულია.

1. *კაპიტალი – ეს არის ფინანსური ბაზრები და ინვესტირების გზები, როცა კომპანიებს ნებისმიერ იმ ქვეყანაში შეუძლიათ ფულის დაბანდება, რომელშიც მეტ მოგებას ნახავენ. ამგვარად კაპიტალს შეუძლია სწრაფად იმოძრაოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.*
2. *მუშახელი – ისინი ადამიანები არიან. გლობალიზაცია მხოლოდ ფულის მოძრაობით არ შემოიფარგლება, არამედ ის აგრეთვე გულისხმობს ქვეყნიდან ქვეყანაში ხალხის გადაადგილებას.*
3. *ცოდნა – ეს არის ინფორმაცია, იდეები, უნარი და ის გზები, რომლის საშუალებითაც ეს ყველაფერი სულ უფრო მეტად გლობალური ხდება და არ შემოიფარგლება რომელიმე ქვეყნით ან კონტინენტით.*

*ამ თავში სათითაოდ განვიხილავთ ამ თემებს. [...]*

### გლობალიზაცია და კაპიტალის მოძრაობა

უცნაურად მოგეჩვენებათ გლობალური სოციალური სამუშაოს სწავლის ამ საკითხით დაწყება, მაგრამ კაპიტალის მოძრაობა ხომ უზარამაზარ გავლენას ახდენს ყველა ჩვენგანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. 2008 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის მოვლენები აშკარად ამაზე მეტყველებს. ის, რაც ეგრეთ წოდებული „კრედიტების დამსხვრევით“ დაიწყო, 2008 წლის ოქტომბრისთვის (როგორც იაპონიის პრემიერ მინისტრმა, ტარო ასომ, თქვა) „ისეთ ფინანსურ ქარიშხალში გადაიზარდა, როგორიც მხოლოდ 100 წელიწადში ერთხელ ხდება“ (ელიოტი & მაკცარი, 2008).

მიზეზი ეკონომიკური კრიზისისა ბევრი იყო და ამის გაანალიზება სცილდება ამ თავის თემატიკას. ჩვენ გვინდა, ჯერ ის დავადგინოთ, თუ რა შედეგები ჰქონდა სოციალური სამუშაოსთვის ფინანსურ დაღმასვლას ადგილობრივ და მსოფლიო კონტექსტში.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, ჩვეულებრივ, როცა ეკონომიკას უჭირს ბევრად ნაკლები ფული იხარჯება „კეთილდღეობაზე“ და სოციალურ მომსახურებაზე. ტონი ტრავერსი ლონდონის ეკონომიკის სკოლიდან „გარდიანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ ეკონომიკის დაღმასვლის გამო ათი წლის განმავლობაში შეზღუდული იქნება საჯარო დანახარჯები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წინა კრიზისების დროს საჯარო დანახარჯები შემცირდა (გარდიანი, 2008). ბრიტანეთის მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო, მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად მეტი სესხი აეღოთ. თუმცა ნასესხები ფული ბოლოს და ბოლოს უნდა დააბრუნო; ეს კი, როგორც წესი, გადასახადების გაზრდისა და დანახარჯების შემცირების საშუალებით მიიღწევა. სოციალურ სამუშაოს ამგვარი შემთხვევები ადრეც ჰქონია. თუმცა, სავარაუდოდ, მომსახურებაზე მოთხოვნა, განსაკუთრებით ხანდაზმულების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა მომსახურებაზე, იზრდება, რადგან იზრდება მოსახლეობის საშუალო ასაკი. [...] ბრიტანეთის ადგილობრივი ხელისუფლებების კუთვნილი ფულის დიდი რაოდენობა ისლანდიის ბანკებში ინახებოდა, რომლებიც გაკოტრდნენ. ეს ამბავი კიდევ ერთი დასტურია იმისა, როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული საბანკო კრიზისი და სოციალური სამსახური. ბბს-ის რეპორტაჟების სერიამ გამოავლინა, რომ ბრიტანეთის საქველოქმედო ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებებს და მომსახურების მიწოდებლებს ერთ მილიარდ ფუნტზე მეტი ჰქონდათ შენახული ისლანდიის ბანკებში (BBC News, 2008a). კენტის საგრაფოს საბჭოს 50 მილიონი ფუნტი ჰქონდა ისლანდიაში შენახული, ხოლო ნოტინჰემის ქალაქის საბჭოს - 42 მილიონი ფუნტი (BBC News, 2008b). სავარაუდოდ, ეს დანაკარგი (თუ სრულად არ ანაზღაურდა) ზოგიერთ საგრაფოში აუცილებლად გამოიწვევს სამუშაო ადგილების შეკვეცას და მომსახურების შემცირებას (BBC News, 2008c).

მეორე – ხშირად ისე ხდება, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს ეგრეთ წოდებული „სოციალური პრობლემები“ მრავლდება, რადგან მატულობს უმუშევრობა, შედარებითი სიღარიბის დონე და ხშირად - დანაშაულიც. მოკლედ, ეკონომიკური კრიზისი ამძაფრებს უკვე არსებულ უთანასწორობას და განსხვავებას მდიდარსა და ღარიბს შორის (გლინი, 2006). თუმცა, ძნელია დანაშაულის სტატისტიკის გაანალიზება, მერტონის (1957) 1930-იან წლების და მარქსიზმის დანაშაულის კონფლიქტის თეორიების მიხედვით, მან (დანაშაულმა) უნდა მოიმატოს (მუნსიე, 1999). აგრეთვე არსებობს მტკიცებულება, რომ ეკონომიკური კრიზისის და მზარდი სიღარიბის დროს მატულობს ფსიქიკური დაავადებები (პილგრიმი & როჯერსი, 1999). დარხემის (2002) ცნობილი კვლევა გვიჩვენებს, რომ თვითმკვლელობები სწრაფი სოციალური ცვლილებების პერიოდს უკავშირდება.

მესამე – ჩვეულებრივ ეკონომიკური კრიზისისგან ყველაზე მეტად ღარიბები ზარალდებიან. განვითარებული ეკონომიკის პირობებში ღარიბები სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში არ რჩებიან კომპენსაციის გარეშე. 2008 წლის

ოქტომბერში ვარაუდობდნენ, რომ 2009 წლის დასაწყისისთვის ბრიტანეთში უმუშევართა რაოდენობა 2 მილიონს მიაღწევდა. ნაკლებად განვითარებულ სამხრეთ ნახევარსფეროში კრიზისმა იმოქმედა საყოველთაო სიღარიბის აღმოფხვრის შორეულ გეგმებზე. ისეთი პირი უჩანდა, რომ მთავრობები საზღვარგარეთის დახმარებისა და განვითარებისთვის დაპირებულ სახსრებს ვეღარ გაიღებდნენ, რადგან ისინი სულ უფრო მეტ ყურადღებას საკუთარ ეკონომიკურ სირთულეებზე ამახვილებდნენ (ელიოტი, 2008). აგრეთვე სავარაუდოდ, განვითარებული ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ეკონომიკური სიტუაცია იმოქმედებდა სამხრეთის ქვეყნებში გადარიცხული ფულის რაოდენობაზე. იმ ფულზეა ლაპარაკი, რომელსაც საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ადამიანები უგზავნიან თავიანთ ოჯახებს. 2007 წელს აშშ-დან მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში ამგვარად გადარიცხული ფულის ოდენობა 251 მილიარდი ამერიკული დოლარი იყო; კრიზისის დროს კი ამ რაოდენობამ კლება დაიწყო (რეთა და სხვები, 2008).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შედეგი კაპიტალის გადაადგილების არის სამუშაო ადგილების შემცირება და ეკონომიკის ამ ტენდენციამ 1990-იან წლებშიც იჩინა თავი. ნაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი სასწავლო შემთხვევა, რომელიც იმის მაგალითია, თუ როგორ დაკარგეს სამსახური (დამსაქმებლის გადაწყვეტილების კვალდაკვალ) შოტლანდიაში დაბალი ანაზღაურების მქონე მუშებმა და როგორ დგას ასეთი საფრთხის წინაშე უფრო ბევრი მათგანი.

სასწავლო შემთხვევა

2006 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა დიდმა საფინანსო ჯგუფმა გამოაცხადა, რომ მისი საქმიანობის ბრიტანულ სექტორში 4 500 სამუშაო ადგილი გაუქმდებოდა. ამათგან 450 კაცს შოტლანდიაში მდებარე სატელეფონო ცენტრებიდან დაითხოვდნენ. ყველაზე მეტად ეს ცვლილება შეეხო პეტის ცენტრს, რომელიც ტრადიციულად სადაზღვევო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ბაზა იყო და რომელიც განსაკუთრებით არის დამოკიდებული „სატელეფონო ცენტრის ეკონომიკაზე“. შოტლანდია თავისთავად შედარებით პატარა ქვეყანაა, რომელშიც სატელეფონო ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაქმების ბაზარზე, რადგან შოტლანდიის ეკონომიკაში დაბალი ხელფასები და მაღალკვალიფიციური მუშახელი ჩვეულებრივ ამბავია. 2005 წელს სატელეფონო ცენტრებში 50 000 ადამიანი დასაქმდა და შოტლანდიიდან დიდი რაოდენობის სამუშაო ინდოეთში არ გადინებულა. ქვეყნის მასშტაბით სამუშაო ადგილების დაკარგვის კომპენსაცია უნდა მომხდარიყო დიდ ბრიტანეთში თანამშრომლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანით. კომპანია ამ ოპერაციის საშუალებით წელიწადში 50 მილიონი ფუნტის დაზოგვას აპირებდა. ცოტა ხნის წინ მან გამოაცხადა, რომ ნახევარ წელიწადში 1,7 მილიარდი ფუნტი მოიგო.

(ბაუკერ, 2005; The Scotsman Business, 2006; Ross & Brown, 2006)

სასწავლო შემთხვევაში გვაქვს არაერთი ასპექტი გლობალიზაციის ზეგავლენაზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კაპიტალის მოძრაობას. პირველი ასპექტი - ეგრეთ წოდებული სამუშაოს გადინების მიზეზი გახლავთ კომპანიის მცდელობა, იაფი მუშახელის გამოყენებით მაქსიმალურად გაიზარდოს მოგება. ინდოეთის ნახევარკუნძულზე ინვესტირება, ძირითადად, მოგების გაზრდის მიზანს უკავშირდება და არა ამ რეგიონის ეკონომიკის განვითარებას. მეორე ასპექტი - რეალური „დანაზოგი“, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანია, საერთო მოგებასთან შედარებით მცირეა. მესამე ასპექტი - მოსალოდნელია არა მხოლოდ სატელეფონო ცენტრების გადატანა, რომელიც შოტლანდიასა და დიდი ბრიტანეთის სხვა ნაწილებში სამუშაო ადგილების დაკარგვას გამოიწვევს, არამედ ზოგიერთ მუშას დიდ ბრიტანეთში ერთი ადგილიდან მეორეზე მოუწევს გადასახლება. თუმცა, მეორე მხრივ, მეტი სამუშაო ადგილი იქმნება ინდოეთში და იქ ბევრი ხალხი უფრო კარგად ანაზღაურებად სამსახურს მიიღებს. და ბოლოს, მოგების მაქსიმალურად გაზრდის სურვილით და „კაპიტალის“ გადაადგილების საშუალებით დაგეგმილმა ნაბიჯმა, დიდი გავლენა იქონია ხალხის ცხოვრებაზე შოტლანდიაში, დიდ ბრიტანეთში და ინდოეთშიც. სამუშაო ადგილები მენეჯერის გადაწყვეტილებით გადანაცვლდება. მენეჯერი კი, პირველ რიგში, მოგების მიღებაზეა პასუხისმგებელი და არა მუშახელის წინაშე. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ეს გლობალური საკითხი პირდაპირ გავლენას ახდენს „ადგილობრივ“ სინამდვილეზე.

სოციალური მუშაკებისათვის გლობალიზაციის ამ ასპექტთან დაკავშირებით საგულისხმოა სულ ცოტა ორი მნიშვნელოვანი ფაქტი. პირველი - სამსახურის დაკარგვამ და უმუშევრობამ შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები ადამიანთა ცხოვრებაში, რომელსაც შეიძლება, სოციალური მუშაკების ჩარევა დასჭირდეს. უმუშევრობა იწვევს შემოსავლის შემცირებას და ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ცხოვრებაზე. თუ დიდ ბრიტანეთში თვითონ სიღარიბე არ არის სოციალური მუშაკის მხრიდან ჩარევის ძირითადი მიზეზი, ბევრი იმათგან, ვისთანაც სოციალურ მუშაკებს აქვთ საქმე, ღარიბია. ფაქტორთა დიდი წილი, მათ შორის, ღარიბთა კეთილდღეობა, სახლში უბედური შემთხვევების დიდი ალბათობა, ცუდი კვება, სტრესის მაღალი დონე, სიღარიბეს უკავშირდება. უფრო მეტი საბუთია იმის დამადასტურებელი, რომ ფსიქიკური დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს სამუშაოს დაკარგვით და მისგანვე გამოწვეული თვითპატივისცემის შემცირებით. მეორე საკითხი - მუშახელის გადაადგილება დიდ ბრიტანეთში (ინდოეთში მუშახელი უკეთესი ხელფასის საძებნელად დღესაც ქალაქიდან ქალაქად დადის) ხშირად იზოლაციის მიზეზი ხდება, რადგან ეს ყოველთვის ნიშნავს ოჯახსა და მეგობრებთან განშორებას.

შეფილდის უნივერსიტეტში და საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტში ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, BBC-მ შექმნა ვებგვერდი, რომელშიც ნაჩვენებია, სად ცხოვრობს ხალხი, რომელიც საზღვარგარეთ დაიბადა და დღეს ბრიტანეთის მაცხოვრებელია. 2001 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, დიდი

ბრიტანეთის მოსახლეობის 7,5 პროცენტი საზღვარგარეთაა დაბადებული. კატეგორია „საზღვარგარეთ დაბადებული“ აღრიცხავს იმას, თუ სად არის დაბადებული ადამიანი, და არა მის ეთნიკურ კუთვნილებას, რადგანაც დიდი ბრიტანეთის შავკანიანი და ეთნიკური უმცირესობის დიდი ნაწილი დიდ ბრიტანეთშივეა დაბადებული. ამ ბოლო დროს ევროკავშირის სივრცეში მუშახელის გადაადგილება გახშირდა. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია „საზღვარგარეთ დაბადებულ“ მაცხოვრებელთა რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალი იყოს. მონაცემები ცხადყოფს, რომ მიგრანტთა დიდი ნაწილი დაბალანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს, რაც იაფ მუშახელზე მზარდ მოთხოვნაზე მიუთითებს. [...]

### გლობალიზაცია და ადამიანების გადაადგილება - მიგრაცია

მიგრაცია ალბათ ერთ-ერთი ძირითადი სფეროა, სადაც გლობალური და ლოკალური საკითხები შეიძლება დავაკავშიროთ. ის აგრეთვე ერთადერთი სფეროა, რომელშიც სოციალური სამუშაო, შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტად „საერთაშორისოა“. დიდი ბრიტანეთის სოციალურ მუშაკებს ამ ქვეყნის ახალ მიგრანტებთანაც ექნებათ საქმე. ამიტომაც მნიშვნელოვანია მათ გააღრმავონ იმის გააზრებაზე დაფუძნებული ცოდნა, თუ რამდენად დიდია გლობალურის გავლენა ლოკალურ საკითხებზე და რამდენად სჭირდებათ ამ ასპექტების გამოყენება საკუთარი პრაქტიკის სრულყოფისათვის. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ იმიგრაციაზე დიდ ბრიტანეთში, საგულისხმოა შევნიშნოთ, რომ 5,5 მილიონი ბრიტანელი მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. ეროვნული სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 2006 წელს დიდ ბრიტანეთში დაბადებული 200 000-ზე მეტი ადამიანი სხვა ქვეყანაში გადასახლდა. ბევრი მათგანი მიდიოდა უფრო თბილი კლიმატისა და „ცხოვრების უკეთესი სტილის“ საძებნელად, ზოგიერთი კი უბრუნდებოდა დაბადების ადგილს. ეს მონაცემები გვეხმარება იმის გაგებაში, რომ არსებობს „განზიდვისა“ და „მიზიდვის“ ფაქტორები და რომ დიდი ბრიტანეთიც ის ქვეყანაა, რომელსაც ჯერ კიდევ ახასიათებს ემიგრაციის მაღალი დონე ისევე, როგორც უფრო გახშირებული იმიგრაცია (კურთისი, 2007).

მიგრაცია, იმავდროულად, არის პრობლემა, რომლითაც პოლიტიკური პარტიებიც არიან დაინტერესებული. 2007 წლის 1 იანვარს რუმინეთისა და ბულგარეთის ევროკავშირში შესვლამ გამოიწვია ამ ქვეყნებიდან მიგრანტთათვის კვოტების შემოღება დიდ ბრიტანეთში და გაამკაცრა შესვლის წესები, რადგან მიგრაციის საკითხით დაინტერესდნენ პოპულისტური პოლიტიკოსები. ამიტომაც აუცილებელია, სოციალურმა მუშაკებმა დაინახონ მიგრაციის პროცესის საფუძველი და გაიაზრონ მასზე მოქმედი ფაქტორები.

მიგრაციის კვლევა, როგორც წესი, ადგენს, რომელია „განზიდვა-მიზიდვის“ ფაქტორები. ეს კი აგვისნის, თუ რატომ გადაადგილდებიან ადამიანები. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ორი ფაქტორი ერთდროულად

არსებობს; არა მხოლოდ „განზიდვის“ ფაქტორები არსებობს, რომელიც ნაახ-  
ალისებს ან უბიძგებს ხალხს, დატოვოს მშობლიური ქვეყანა, არამედ აგრეთვე  
არსებობს „მიზიდვის“ ფაქტორები, რომელიც იმ ქვეყანას უკავშირდება,  
რომელშიც აპირებენ გადასვლას. ჩვენ მოგვიანებით ვიმსჯელებთ ევროკავში-  
რის გაფართოებაზე, თუმცა, უპირველესად გამოვიკვლიოთ „მიზიდვა-განზიდ-  
ვის“ იმ ფაქტორებს, რომელიც ახლა მოქმედებს იმიგრაციაზე დიდ ბრიტანეთში.  
სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მიგრაცია მოიცავს ადამიანთა ერთი  
ქვეყნიდან მეორეში გადასვლის ყველა ასპექტს. ხშირად ეს მუშაობის უფლების  
მოპოვებას ბრალდება, რათა მიგრანტმა ის სამუშაო შეასრულოს, რომელიც  
უკვე იშოვა. ზოგჯერ მიგრანტს სურს, ოჯახის იმ წევრებს შეუერთდეს, სხვა  
ქვეყანაში რომ ცხოვრობენ. ზოგჯერ გადასვლის მიზეზი თავშესაფრის ძებ-  
ნაა, როცა მიგრანტი სხვა ქვეყანაში ცხოვრების უფლებას ითხოვს, რადგან  
სამშობლოში ცხოვრება მისთვის აღარ არის უსაფრთხო. ხშირად თავშესაფ-  
რის მთხოვნელნი საზოგადოების განსჯის საგნად იქცევიან ხოლმე. გლობალ-  
ური მასშტაბით თავშესაფრის მაძიებელთა მცირე ნაწილი ჩამოდის ევროპაში.  
გაეროს გამოთვლით, მსოფლიოში 20 მილიონი ლტოლვილი და ქვეყნის შიგნით  
იძულებით გადაადგილებული პირია (ვინც სახლი დატოვა, ჩვეულებრივ, ომის  
მიზეზით). ჩვეულებრივ, ადამიანები მოსაზღვრე ქვეყნებში გარბიან, ამიტომაც  
ამ თვალსაზრისით, ძირითადად, მიგრაცია სამხრეთის ერთი ქვეყნიდან მეო-  
რეში შეინიშნება. ბოლო დროის მაჩვენებლებით, ახლო აღმოსავლეთში ერაყის  
კონფლიქტის შედეგად თავშესაფრის 300 000 მაძიებელი უნდა იყოს, რომელთა  
დიდი ნაწილი იორდანიაში გადავიდა. დიდ ბრიტანეთში თავშესაფრის მაძიე-  
ბელთა საერთო რიცხვი 2008 წლის იანვარ-მარტში 7705 იყო (6595 დამოკ-  
იდებულ პირთა გარდა), მათ შორის ყველაზე მეტი იყო ავღანელი, ერაყელი,  
ზიმბაბველი, ირანელი და ერიტრიელი. იმავე სამ თვეში თავშესაფრის 3025  
მაძიებელს უარი უთხრეს თავშესაფარზე დიდ ბრიტანეთში (Home Office, 2008).

თუ თავშესაფრის მაძიებელთა მშობლიურ ქვეყნებს დავაკვირდებით, დავი-  
ნახავთ, რომ მნიშვნელოვანი „განზიდვის“ ფაქტორი ომია. ხშირად ეს არის შინა-  
გან პოლიტიკურ ძვრებთან დაკავშირებული სამოქალაქო ომი. სხვა ქვეყნებში  
შეიძლება ვნახოთ, რომ ხშირად ადამიანები რეპრესიულ რეჟიმს გაურბიან.  
მსოფლიოში ჩვენ „ეთნიკური წმენდის“ სხვადასხვა ფორმა გვინახავს, რომელ-  
იც აიძულებს ადამიანებს, ეძებონ თავშესაფარი და ლტოლვილის სტატუსი. ეს  
ყველაზე საგულისხმო „განზიდვის“ ფაქტორებია მიგრაციის საქმეში.

მიგრაციის „მიზიდვის“ ფაქტორი ამ თავის პირველ ნაწილთან გვაბრუნებს,  
რომელიც ეხება მოთხოვნას იაფ მუშახელზე. არსებობს ბევრი ანეკდოტი იმის  
თაობაზე, რომ ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში უამრავი არარეგულირებადი,  
აღურიცხავი ან „არაღელვარული“ მშრომელი ცხოვრობს. ხაზი უნდა გავუსვათ,  
რომ „მიზიდვის“ ეს ფაქტორი - მოთხოვნა იაფ მუშახელზე, უკვე არსებობს, ის  
სამუშაოს საძიებლად ჩამოსულ ადამიანებს არ შეუქმნიათ. უნდა დავამატოთ,  
რომ დიდ ბრიტანეთში მიგრაციის „მიზიდვის“ სხვა ფაქტორია ინგლისური, რო-

გორც საერთაშორისო დომინანტი ენა. ბევრი ადამიანი უპირატესობას ანიჭებს  
დიდ ბრიტანეთს სწორედ იმიტომ, რომ ინგლისურად ლაპარაკობს. სხვადასხვა  
ეროვნების წარმომადგენელთა ჩამოყალიბებული ჯგუფების არსებობა დიდ  
ბრიტანეთში აგრეთვე დამატებითი „მიზიდვის“ ფაქტორია: იქ ბევრი ადამიანი  
იპოვის თავისი მშობლიური ქვეყნის სათვისტომოს. შავკანიანი და ეთნიკური  
უმცირესობის კარგად დამკვიდრებული სათვისტომოების არსებობა მრავალ  
ქვეყანაში, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის ქვეყნებში, წარსულში არსებული კო-  
ლონიური ურთიერთობიდან იღებს სათავეს. მოთხოვნა იაფ მუშახელზე (ისევე  
როგორც უნარ-ჩვევათა ხარვეზის ამოსავსებად მაღალი დონის პროფესიონ-  
ალებზე) ხშირად ეფუძნებოდა (უმეტესად ძალიან არათანასწორუფლებიან)  
კოლონიურ ურთიერთობას; ამასთანავე არსებობდა საერთო ენა და საგანგებო  
საემიგრაციო რეგულაციები.

„მიზიდვის“ ფაქტორებისა და იაფ მუშახელზე მოთხოვნაზე ლაპარაკისას  
მიგრაციის სხვა ასპექტს მივაღწეოთ: ადამიანთა ტრეფიკინგის პრობლემას.  
ტერმინი „ადამიანთა ტრეფიკინგი“ აღნიშნავს ერთი ქვეყნიდან მეორეში ადა-  
მიანთა არაღელვარულ გადასვლას მოგების მიზნით. ბოლო დროს ამის მრავალი  
შემთხვევა არსებობს. ერთ-ერთი მთავარი სფერო უკავშირდება ქალთა უკანონო  
ტრეფიკინგს, რომლებიც ხშირად ლეგალური სამუშაოსა და უკეთესი მომავ-  
ლის დაპირებით ჩამოჰყავთ უცხოეთიდან, შემდეგ კი მათ იძულებით ჩააბამენ  
ხოლმე სექსის ინდუსტრიაში ან პროსტიტუციაში. 2006 წლის ოქტომბერში შე-  
ფილდში გაიხსნა ცენტრი, რომელიც იმ ადამიანებთან მუშაობს (ძირითადად,  
ქალებთან), რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი იყვნენ. ცენტრი აერთიანებს  
სხვადასხვა სფეროს მეცნიერებსა და ექსპერტებს, რომლებიც ერთად მუშაო-  
ბენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდასაჭერად. ცენტრის გახსნაზე გენერ-  
ალური პროკურორის მოადგილემ, მაიკ ობრაიენმა, თქვა:

*ზოგიერთ მსხვერპლს არც კი აქვს გააზრებული, რომ ტრეფიკინგის მსხ-  
ვერპლია, სანამ დაპირებული მიმტანობის ნაცვლად, პროსტიტუციაში არ აღ-  
მოჩნდება ჩათრეული, სანამ არ სცემენ და არ გააუპატიურებენ. მე მითხრეს,  
რომ დღეს ლონდონში ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალი შეიძლება სულ რაღაც  
3 000 ფუნტად გაიყიდოს. ბევრი მათგანი ტერორში ცხოვრობს და სჯერა, რომ  
თუ გაიქცევა „სუტენიორი“ მას მოკლავს.*

(BBC News, 2006a)

ცენტრის გახსნას პოლიციის სერიოზული ღონისძიებები უძღოდა წინ,  
როცა გადაარჩინა 84 ქალი და 12 ბავშვი აფრიკიდან, მაღალიზიდიდან, ტაილან-  
დიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამგვარად, ამ რეგიონში სოციალურ მუ-  
შაკებს და მათთან დაკავშირებულ პროფესიონალებს დიდი პასუხისმგებლო-  
ბა დაეკისრებათ. დიდ ბრიტანეთში „სოციალურ მუშაკად“ მომუშავე ბევრი  
პროფესიონალი ყოველდღიურად ვერ ხედავს თავშესაფრის მაძიებლებს,  
თუმცა, ბევრი მუშაობს მათთან. როგორც ამ წიგნის სხვა თავებში ვნახავთ,

ეს გლობალური საკითხი განუხრელად ქმნის დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული სოციალური სამუშაოს საფუძველს. სხვა ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რეგულარული ურთიერთობა აქვთ სოციალურ მუშაკებთან. იმ ადამიანებთან მუშაობა, რომელთაც ტრავმა და დანაკარგი გადაიტანეს, დიდწილად ადგილობრივი პრაქტიკის ნაწილია, თუმცა, წიგნის ეს მონაკვეთი გვიჩვენებს, რომ მას გლობალური ფაქტორები აძლევს დასაბამს.

ადამიანთა ტრაფიკინგს შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები ჰქონდეს. ერთი ინტერვიუს მიხედვით, შეფილდის ცენტრის ქალებსა და ბავშვებს დღეში 30-ჯერ მაინც აუპატიურებდნენ და შეურაცხყოფდნენ (BBC News, 2006a). ადამიანთა არალეგალური გადაადგილების კიდევ ერთი ფორმა არის ადამიანთა „კონტრაბანდა“. ადამიანები ხშირად უზარმაზარ თანხას იხდიან, რათა დასავლეთში უკეთეს ცხოვრებას მიაღწიონ, მაგრამ ჩასვლისას ისინი მძიმე შრომის, ექსპლოატაციისა და ზოგჯერ უფრო მძიმე შედეგების მსხვერპლი ხდებიან.

### სასწავლო შემთხვევა

2004 წლის სექტემბერში 23 ჩინელი დაილუპა მორექემის ყურეში ზღვის პროდუქტების მოპოვებისას ჩინელი მუშები, რომლებსაც არალეგალურად ამუშავებდა და აკონტროლებდა კრიმინალური ბანდა, ლივერპულიდან ჩრდილოეთ ლანკაშირში გადაიყვანეს, რათა მორექემის ყურის სახელგანთქმულ წყლებში ზღვის პროდუქტი მოეპოვებინათ. როცა მოქცევამ მათ სრულად მოუჭრა გზა, მათი უმრავლესობა ჩაიძირა, მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩა. სასამართლო პროცესზე, რომელზეც ბანდის მეთაურები დამნაშავედ სცნეს და დააპატიმრეს, აღმოჩნდა, რომ ბევრმა ჩინელმა მუშამ დაურეკა ჩინეთში თავის ახლობლებს, როდესაც ისინი სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ყველამ არ იცოდა, როგორ უნდა დაკავშირებოდა საგანგებო სამსახურს, თუმცა ერთმა ეს გააკეთა. ბანდის ერთ მეთაურს 14 წლით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო მის ორ თანამოაზრეს 4 და 2 წლით პატიმრობა. სასამართლო პროცესზე ითქვა, რომ იმიგრაციის სამსახურმა იცოდა არალეგალური ბანდის არსებობის ამბავი, მაგრამ არაფერი გააკეთა.

(Sources: Casciani, 2005; BBC News, 2006b)

მორექემის ყურის მუშების ამბავი გვიჩვენებს, როგორ მართავს ადამიანთა ტრაფიკინგს ეკონომიკური ექსპლოატაცია. ჩინელები დაბალანაზღაურებადი მუშები იყვნენ, რომლებსაც დიდი თანხა ჰქონდათ გადახდილი დიდ ბრიტანეთში არალეგალურად გადასვლაში. როცა უკვე იქ იყვნენ, ისინი იტანდნენ ძალიან სახიფათო სამუშაო პირობებს, ხელფასები კი საკმაოდ მცირე ჰქონდათ. მორექემის ყურის ლოკალური ტრაგედია სინამდვილეში გლობალურია, რადგან

მან იმოქმედა, მსოფლიოს მეორე მხარეს დარჩენილ, მათ პარტნიორებსა და ბავშვებზე.

გლობალიზაციის შესწავლა კაპიტალისა და ხალხის მოძრაობის თვალსაზრისით გვიჩვენებს, რომ ამ პროცესს სარგებლის ნახვის სურვილი ამოძრავებს. ამან შეიძლება მიიღოს შედარებით მსუბუქი ფორმა ქვეყანაში სამუშაო ადგილების გადაადგილებისა, როცა ადამიანები გადაადგილდებიან ქვეყნის საზღვრებში. ეს შეიძლება ნიშნავდეს სამუშაოს დაკარგვას ერთ ქვეყანაში, სადაც მუშახელი „ზედმეტად ძვირი“ ჩანს. ყველაზე მძიმეა, თუ ამან, სექსუალური ექსპლოატაციისთვის ან მეტისმეტად დაუზოგავი მუშაობისთვის, ადამიანთა არალეგალური ტრაფიკინგის სახე მიიღო. ორივე შემთხვევაში: ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე სოციალურ სამუშაოს საქმე აქვს ადამიანებთან, რომლებსაც ტრავმა და არეულობა აქვს გადატანილი გლობალიზაციის ზემოქმედებით ასპექტების შედეგად. ეს პირველხარისხოვანი საკითხია 21-ე საუკუნის პრაქტიკოსისათვის, რომელიც ვეღარ უგულებელყოფს გლობალურ სურათს.

### გლობალიზაცია და ცოდნა

გლობალიზაციის მესამე ასპექტი, რომლის განხილვასაც ვაპირებთ ცოდნის გლობალიზაციაა. ბელი (1980) ერთ-ერთი პირველი მწერალი იყო, რომელმაც გამოიკვლია, როგორ იმოქმედებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ადამიანთა ცხოვრებაზე. სხვებმა ეს იდეები განავრცეს, განსაკუთრებით კასტელსმა (2001). უპირველესად, ცოდნის გლობალიზაციის ყველაზე ცხადი ნიშანი არის სიახლეების გაგების სისწრაფე და სიმარტივე. მობილური ტელეფონით ყველას შეუძლია სურათი გადაუღოს „ახალ ამბავს“. ჩვეულებრივ ადამიანებს შეუძლიათ თვითმხილველები გახდნენ და სხვებსაც გაუზიარონ ეს მასალა. ამგვარად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ განვითარებამ მოიტანა ის, რომ ადამიანს შეუძლია მეტი მონაწილეობა მიიღოს ახალი ამბების შეგროვებაში.

მეორე მხრივ, ჩვენ არა მხოლოდ ინფორმაციის სწრაფად შეგროვება და გავრცელება შეგვიძლია, არამედ გაცილებით მეტზე თავად მიგვიწვდება ხელი. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე წუთში გავიგოთ მსოფლიოს მეორე მხარეს მდებარე ქვეყნების ამბები. ასე, რომ მართებული იქნება იმის თქმა, რომ ჩვენ „ინფორმაციით გადავიტვირთეთ“. დიდი ბრიტანეთის აზიელი ოჯახების დიდ ნაწილს სავარაუდოდ სატელევიზიო ტელევიზია უნდა ჰქონდეს (ბენეტი და სხვები, 2006). შესაბამისად, ამ გზით მათ არა მხოლოდ გასართობი პროგრამების ნახვა შეუძლიათ მშობლიურ ენაზე, არამედ იმისაც, თუ როგორ გადაიციმა ახალი ამბები სხვა ქვეყნებში.

მესამე საკითხი: ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ახალი ტექნოლოგიებით კომუნიკაციის გამარტივებამ ადამიანთა ცხოვრება შეცვალა. კომუნიკაციის გამარტივებამ შესაძლებელი გახადა სამუშაო ადგილის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე,

როგორც კაპიტალის მოძრაობის შესახებ ლაპარაკისას აღვნიშნეთ. ტექნოლოგიური განვითარების გარეშე სატელეფონო ცენტრების გადატანა სხვადასხვა ქვეყანაში შეუძლებელი იქნებოდა. სხვა მხრივ, კომუნიკაციის გამარტივებამ ოჯახებს საშუალება მისცა იმ ნათესავებს დაუკავშირდნენ, რომლებიც სამუშაოს საძებნელად გაემგზავრნენ. ზემოთ ხსენებულ ჩინელ მუშებსაც საშუალება ჰქონდათ უკანასკნელად გასაუბრებოდნენ ჩინეთში მყოფ ახლობლებს. ასე რომ, ცხადია, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა მიგრაციის ბუნება შეცვალა და შეუფერხებელი კონტაქტის შესაძლებლობა მოგვცა. ამგვარად, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებთან დაკავშირებულ სოციალურ მუშაკებს გამოცდილება ადვილად დაანახვებს, როგორ იღებს „ლოკალური“ „გლობალურის“ მნიშვნელობას. „ლოკალურმა“ შეიძლება მოიცვას შორეული ადგილები, განსაკუთრებით ვებკამერის ტექნოლოგიის განვითარების შემდეგ. ამის კიდევ ერთი ასპექტი ჩანს „ვირტუალური“ კომუნიკაციის განვითარებაში.

ვირტუალურ საზოგადოება ახლო მცხოვრებ ადამიანებს კი არ აერთიანებს, არამე იმათ, ვისაც საერთო ინტერესები აქვთ (კალჰაუნი, 1998). ინტერნეტის გამოყენება არა მხოლოდ ოჯახებს აკავშირებს, არამედ ქმნის ახალ საერთო ინტერესების მქონე საზოგადოებებს. ჩვენ შეგვიძლია შევუერთდეთ „ჩათს“ ან საფოსტო ნუსხას, და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ვებგვერდიდან მივიღოთ ინფორმაცია იმ საკითხებზე, გლობალურ დაინტერესებას რომ იწვევს. ასეთი საზოგადოებები გლობალური მარკეტინგის ადგილიც შეიძლება იყოს. მაგალითად, ბევრი საფეხბურთო კლუბი წარმოადგენს თავის „ბრენდს“ მთელ მსოფლიოში. ინგლისელ ყმანვილს შეუძლია ბარსელონას გულშემატკივრობა, ისევე როგორც კორეელს – მანჩესტერ იუნაიტედისა. სხვა მხრივ, გლობალურ კომუნიკაციას შეიძლება უარყოფითი მხარეც ჰქონდეს, მაგალითად, ინტერნეტზე დამყარებული დანაშაული (ვინაობის გაყალბება) და ექსპლუატირებულ ქალთა და ბავშვთა სურათების გამოქვეყნება.

საბოლოოდ, უნდა ვთქვათ, რომ გლობალიზაციის ამ ასპექტს განსაკუთრებული ეფექტი აქვს, მით უფრო – მიგრირებულ ოჯახებთან დაკავშირებით; მაგრამ იმავდროულად, არსებობს ხელმისაწვდომობის საკითხი. გლობალური კომუნიკაციის განვითარება შეიძლება იყოს ინკლუზიის ხელშემწყობი, თუმცა, იმავდროულად მან შეიძლება მნიშვნელოვანწილად განაპირობოს ადამიანთა გარიყულობა. ასე რომ, თუ ტექნოლოგიებზე ხელი არ მიგინვდებათ, მასში ვერ მიიღებთ მონაწილეობას, ამიტომაც ბევრი ადამიანისათვის „ლოკალური“ დონეზე „გლობალური“ მიუწვდომელი რჩება. თუმცა მათ ცხოვრებას და ცხოვრების შესაძლებლობებს მაინც აყალიბებს მსოფლიოს სხვა კუთხეში მიმდინარე ამბები და გლობალური კაპიტალისა და მუშახელის მოძრაობა.

## სათქმელის თავმოყრა – კულტურის გლობალიზაცია

ჩვენ გლობალიზაციის სამი ასპექტი წარმოვადგინეთ, რომელთა გააზრება მთავარია ლოკალურსა და გლობალურს შორის კავშირის გაგებისათვის. ამ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავთ ამერიკელი სოციოლოგის ჯორჯ რიცერის (1993) შრომას. მან შეისწავლა ამერიკული „კულტურის“ და პრაქტიკის ზოგიერთი ფორმის მსოფლიოში გავრცელება, რომელსაც ის საზოგადოების მაკდონალდიზაციას უწოდებს.

### კვლევის რეზიუმე

რიცერი ამტკიცებს, რომ ბიზნესი შეიჭრა დასვენების სამყაროში და იგი კულტურის ისეთ ფორმებად აქცია, რომელიც შეიძლება გაიყიდოს. ის რომ მთელ მსოფლიოში გაიყიდოს, საჭიროა გარკვეული თვისებები ჰქონდეს – ეფექტურობა, ანგარიშიანობა და პროგნოზირებადობა. ეფექტურობა ნიშნავს, რომ უადვილესი გზით მოიპოვო ჰამბურგერი და რიცერი ამტკიცებს, რომ სწრაფი კვების დანესებულებებში შენ „ირჩევ“ შეზღუდული მენიუდან და აქედან გადახვევა არ არის მიღებული. ანგარიშიანობა, ნიშნავს, რომ რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხარისხი და კულმინაცია გახლავთ პროდუქტის პროგნოზირებადობა, ის ძალისხმევა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას, ყოველთვის იცოდეს სად რა ელოდება... სამყარო, რომელიც სურპრიზებს არ გვთავაზობს. (1993, გვ.99). ეს ხელს უწყობს გლობალური კულტურის ფენომენის შექმნას. მრავალფეროვანი ორგანიზაციები დომინირებს მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქის ხედში. მთავარია პროდუქტისა და მუშახელის კონტროლი, წარმოების გამარტივება ან რაციონალიზაცია, განსხვავებათა აღმოფხვრა, რათა გარანტია გვექონდეს, რომ არ იქნება „სიურპრიზები“. რიცერი ამტკიცებს, რომ ეს მეოცე საუკუნის მიწურულის მახასიათებლებია, რომელსაც ის რკინის გალიას ადარებს. ეს გალია დაუბრკოლებლად მიემართება წინ და მას უნდა გადაველობოთ.

ჩვენ ვნახეთ, როგორ დომინირებს გლობალიზაცია ადამიანთა ცხოვრებაზე, მათ დასვენებაზეც კი, და ამას ამოძრავებს პროდუქტის გასაყიდად ახალი ბაზრების ძიება. რა თქმა უნდა, კულტურის გლობალიზებაში ყველაფერი ცუდი არ არის. ხელოვნებისა და განსაკუთრებით – მუსიკის გავრცელება მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი გზაა დავინახოთ, გლობალური ტენდენციები როგორ მოქმედებს ადგილობრივ გემოვნებაზე მრავალფეროვნების დაურღვევლად. „მსოფ-

ლიო მუსიკის“ ხელმისაწვდომობა ამის მაგალითია, მაგრამ ხშირად ამას თან ახლავს ადგილობრივ მუსიკოსთა გამოყენება, რომლებიც ყოველთვის ვერ ღებულობენ სრულ ანაზღაურებას. „მსოფლიო სამზარეულო“ მეორე მაგალითია; მაშინ როცა დიდ ბრიტანეთში ბევრი სხვადასხვა ტიპის რესტორანია, ბევრი მათგანი უფრო ხშირად „გაინგლისურებულ“ კერძებს წარმოგვიდგენს და არა ნაციონალურ სამზარეულოს. ჩინური რესტორანი (რომელშიც თავის ინგლისელ კლიენტებს თავაზობს ბუფეტს პრინციპით „ყველაფერი, რასაც შეჭამ“) ჩინელების საზოგადოებას, ჩვეულებრივ, უფრო ნაღდ კერძებს სთავაზობს.

### გლობალიზაცია – ახლი თუ ძველი?

გლობალიზაციაზე არსებულ თვალსაზრისთა დიდი ნაწილი მას ხედავს, როგორც ახალ ფენომენს. ბუნებრივია, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური განვითარება მიგვანიშნებს, რომ ეს მართლაც ასეა. გარდა ამისა, ვვარაუდობთ, რომ ბოლო დროის პროგრესმა გაზარდა ტემპი და გავლენა გლობალურისა ლოკალურზე და ამაში არაფერია ახალი. განიხილე შენი საკუთარი ოჯახის ისტორია. თუ წინა თაობებმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალეს, სავარაუდოდ ეს „გლობალურ ეპოქამდე“ მოხდებოდა. დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ორივეს ვხვდებით: ემიგრაციასა და იმიგრაციას. აქედან ზოგი საკუთარი „არჩევანი“ იყო, ზოგი კი - იძულების შედეგი. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დოქტორი ბარნადო უკეთესი ცხოვრებისათვის ბავშვებს კანადაში ასახლებდა. მიგრანტი ბავშვების ფონდმა იმის დამადასტურებელი საბუთები აღმოაჩინა, რომ 1960-იან წლებშიც კი ბავშვებს ავსტრალიაში აგზავნიდნენ. უფრო ადრე კოლონიებში გადასახლება იყო სასჯელი, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში გამოიყენებოდა. მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთი ყოველთვის ემყარებოდა მიგრანტთა შრომას, „ეპატიჟებოდა“ ქვეყანაში ადამიანებს დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად. არსებობს მოზრდილი ირლანდიური თემები, რომლებიც 1840-იან წლებიდან მოყოლებული ივსება ირლანდიელი მუშახელით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემჩნეოდა მნიშვნელოვანი მოძრაობა მიგრანტებისა კარიბის ზღვის რეგიონიდან, შემდეგ კი ინდოეთის ნახევარკუნძულიდან და აფრიკიდან (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ აფრიკელი აზიელები მათი უგანდიდან გამოძევების შემდეგ 1970-იან წლებში). კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებით, ბიზნესი ყოველთვის ეძებს იაფ მუშახელს, ნედლეულს და ახალ ბაზრებს; ევროპულ იმპერიებს მართლაც ეს აძლიერებდა. კაპიტალის ამგვარი მოძრაობა, თუმცა, სუსტად, მაგრამ მაინც განაპირობებდა ეკონომიკის ნაკარნახევ მიგრაციას და დასახლებებს მთელ მსოფლიოში. ამას მოჰყვებოდა ადგილობრივი კულტურით მოხიზვლა, ეს კი სერიოზულ კვალს ტოვებდა ხელოვნებაზე ჩრდილოეთის ქვეყნებში.

ამგვარად, ძალები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს ძერწავს, იმის გაგრძელებაა, რაც ადრე ხდებოდა. 2007 წელს შესრულდა 200 წელი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მონებით ვაჭრობის გაუქმებიდან. ეს იყო დროული შეხსენება არა მხოლოდ ბრიტანული მხარის მონაწილეობისა ამ არაჰუმანურ საქმიანობაში, არამედ იმისაც, რომ დღესაც იბრძვიან მონობის წინააღმდეგ. მონობა სავარაუდოდ გლობალიზებისკენ სწრაფვის შიშველი მანიფესტაცია იყო, ექსპლოატაციასა და სარგებელზე დამყარებული, რომელსაც ადამიანების მცირე ნაწილისათვის მოჰქონდა დიდი სიმდიდრე, ბევრი სხვისთვის კი – ფუძისაგან მონყვეტა, სიღატაკე ან სიკვდილიც კი.

### ევროკავშირი, ლოკალური და გლობალური

ბოლო ნაწილში მივადეთ ერთ სადავო საკითხს. ევროკავშირის გაფართოებამ მიგრაციის ახალი ფორმა მოიტანა ევროკავშირის ფარგლებში, რომელიც იცავს მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას, როგორც მისი ერთ-ერთი საყრდენი პრინციპი (გეიერი, 2000). მას მერე, რაც საზღვრები გააფართოვა, ევროკავშირმა უფრო მეტი აკრძალვები დაანესა იმათ მიმართ, ვინც არ არიან ევროკავშირის მოქალაქეები და გააძლიერა „ევროპის ციხესიმაგრის“ პოლიტიკა. თუმცა, ეს არ უშლის ხელს ათასობით პოტენციურ მიგრანტს დასავლეთ აფრიკიდან თავი გასწიროს ესპანეთის კანარის კუნძულების (და შესაბამისად, ევროკავშირის) მიღწევისთვის. 21-ე საუკუნის დასაწყისში ევროკავშირის გაფართოებამ აღმოსავლეთი ევროპის ბევრი ლარიბი ქვეყანა მოიცვა და აქედან შედარებით ახალგაზრდა მუშახელი დაიძრა დასავლეთის ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებისკენ. ამ დაბალანაზღაურებადი მუშახელის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მიმღები დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა. 2006 წელს გაზეთის ფურცლები ხშირად მოგვითხრობდნენ „პოლონელი სანტექნიკოსის“ ამბებს – როგორ ჩამოდის კარგი ხელოსანი დიდ ბრიტანეთში და (ხშირად ძალიან დაბალი ტარიფებით) როგორ ამოავსებს მომსახურების სფეროს ხარვეზებს. ბაზრის მეორე მხარეს აღმოსავლეთ ევროპამ სოციალურ მუშაკებს დასაქმება შესთავაზა; მათ, ვინც დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში გაიარეს წვრთნა, საკუთარ ქვეყნებში პროგრამებში მიიღეს მონაწილეობა, გარდა ამისა, უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს ძებნაში ისინი დიდ ბრიტანეთს მოადგნენ, სადაც სოციალურ მუშაკთა სიმცირეა (ბერი, 2006). ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურთან დაკავშირებით (NHS), სადაც სამედიცინო პერსონალს განვითარებადი ქვეყნებიდან ქირაობენ.

იბადება აშკარად ეთიკური კითხვები ამ ტენდენციასთან დაკავშირებით: რა თქმა უნდა, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები არ უნდა იტაცებდნენ გამოცდილ მუშახელს იმ ქვეყნებიდან, რომელთაც ისინი თავად სჭირდებათ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება ჯანდაცვის

პროფესიონალებს და სულ უფრო მეტად დიდი ბრიტანეთის სოციალურ სამუშაოს, რომელიც თანდათან ინტერნაციონალური ხდება. ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც. მიგრაციის ეკონომიკური საკითხის განხილვისას სახელმწიფოები ცდილობენ მიიღონ სარგებელი და მოგება, რომელიც გადაადგილებას მოაქვს. ამგვარად, მთავრობა სრულიად (ე.ი. მთლიანად) არ ზღუდავს კაპიტალს, რადგანაც ის პოტენციური მოგების მაქსიმალურად გაზრდას ცდილობს. ჯერჯერობით, ადამიანს, რომელიც გადაწყვეტს, რომ მისი უნარი უკეთესად დაფასდება დიდ ბრიტანეთში, აქ სახელმწიფო რეგულაციები და ხალხისგან მტრული დამოკიდებულება ელოდება. კაპიტალიზმის ერთ-ერთი თვისება, რომელიც კარლ მარქსმა შენიშნა, სწორედ ეს იყო: კაპიტალს საზღვრები არ აქვს. მარქსის აზრით, მუშათა კლასიც „ინტერნაციონალურია“. მუშათა ამგვარი სოლიდარობა თითქმის გაუჩინარდა 21-ე საუკუნის დასაწყისის ინდივიდუალიზმში. თუმცა, სოციალური მუშაკებისთვის, რომლებსაც მართლმსაჯულებასა და თანაბარუფლებიანობასთან აქვთ საქმე, ლოკალური და გლობალური ასპექტები – ორივე საგულისხმო საკითხია.

## XII

### სოციალური მუშაკის როლი სოციალური ერთსულოვნების დამკვიდრებაში



## ახალი თანასწორობისკენ: სოციალური დაყოფა გლობალურ კონტექსტში

კარან ლიონისი, კეთლინ მენიონისი, მერი კარლსენის მიერ

### შესავალი

მიდგლი (მიდგლი, 1997b, გვ. 19) ამბობს, რომ „თუ სოციალურ სამუშაოს, როგორც პროფესიას გადარჩენა უნერია, ის უნდა გასცდეს ჩამორჩენილობაზე ზრუნვის ვიწრო ფარგლებს და ხელი უნდა შეუწყოს სოციალური კეთილდღეობის საქმეს“. შემდეგ ის განაგრძობს, რომ ამის დამკვიდრება განვითარებისეული პერსპექტივის მეშვეობით შეიძლება. სწორედ ამ პერსპექტივას გავუწევთ ჩვენც რეკომენდაციას. ჩვენ აქ უფრო სოციოლოგიური პერსპექტივით დავინტერესდებით, რათა გავაანალიზოთ „სხვაობა“ და ეგალიტარული ურთიერთობის პოპულარიზაციისთვის ძალისხმევა.

რა არის ახალი თანასწორობა? როგორ ვხედავთ ჩვენ სხვებს და საკუთარ თავს? როგორ აისახება ეს გლობალიზაციის ხანაში ჩვენს ქმედებებში და უმოქმედობაში? ეს არის ამ თავის ძირითადი საკითხები. ადამიანების დაყოფა სქესის, რასის, ეთნოსის, ეროვნებისა და რელიგიის მიხედვით, არის ჩვეულებრივი თემა ყველა საზოგადოებაში. დიფერენციაცია ხდება მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე. თუმცა, პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ადამიანები სხვადასხვანაირად მიეკუთვნებიან თუ გაემიჯნებიან სხვადასხვა დაჯგუფებას.

სოციოლოგიის თეორიაზე უფრო განზოგადებული დებატების მიხედვით, ეროვნული სახელმწიფოს ეროზიამ, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით, გაართულა ერთადერთი გამაერთიანებელი (სოციოლოგიური) თეორიის ძიება. მოგვიანებით გლობალიზაციამ შექმნა ახალი ფორუმები სოციალური მოძრაობებისთვის, რომლებმაც წინ წამოწიეს სოციალური თანასწორობის და ადამიანის უფლებების საკითხები ადგილობრივ თუ გლობალურ საზოგადოებებში. იმავდროულად, სწორედ გლობალიზაციამ გააღრმავა მატერიალური უთანასწორობით გამოწვეული ზღვარი ადამიანებს შორის.

ამის შედეგად, სულ უფრო და უფრო კარგავს აზრს სოციოლოგიის ერთსულოვანი და ერთადერთი განმარტების ძიება. ამასთან, რა თქმა უნდა, არანაკლებად კარგავს აზრს თეორიაც, რომელიც მოიცავს გლობალიზებული საზოგადოების მრავალგვარობას. ამის გათვალისწინებით, სოციოლოგიის სპეციალისტები უნდა დააკვირდნენ ორივეს (სოციუმის დაყოფასაც და ერთსულოვნებასაც) და მიიღონ შესაძლებლობების და ტოლერანტობის კონცეფციები. ამ გზით ისინი გაიგებენ იმ სამყაროს არსს, რომელსაც შეისწავლიან და მიხვდებიან, რომ ეს დინამიკური კონცეფციები მუდმივ გამოძიებას მოითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ გარდაუვალია ბევრი სუბიექტური თვალსაზრისის

არსებობა, სოციოლოგები უნდა შეეხონ ყველა ამ მოსაზრებას და თან ისიც უნდა ესმოდეთ, რომ სახიფათოა ყოვლისმომცველი თეორიების შექმნა. თეორიისა, რომელიც გარკვეულ კომპრომისს გულისხმობს, თუმცა საეჭვოა მისი შინაარსი.

წინამდებარე თავი ანალიზებს სოციალურ დაყოფას საერთაშორისო თვალსაზრისით და იკვლევს იმ უთანასწორობების მოგვარების მეთოდებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს პიროვნებებზე და თემებზე. პირველად ჩვენ მიმოვიხილავთ სოციალური თეორიის ზოგიერთ ქვაკუთხედს, სოციუმის დაყოფას და სოციუმის ერთსულოვნებას. იმაზეც ვისაუბრებთ, როგორ მოვიაზრებთ ჩვენ „სხვას/უცხოს“. გავაანალიზებთ განსხვავებულ პერსპექტივებს ძალაუფლებასა და იერარქიებზე. ამით მოვამზადებთ ნიადაგს თანასწორობების და უთანასწორობების მიძიმე შედეგების მოკლე მიმოხილვისთვის. გავამახვილებთ რა ყურადღებას სოციალურ სამართლიანობაზე და ადამიანის უფლებებზე, ვისაუბრებთ ზოგიერთ მიმდინარე დისკუსიაზე ახალი თანასწორობის (ნდობის, ანგარიშვალდებულების და მონაწილეობის ჩათვლით) პირობებში მუშაობის შესახებ. ჩვენ აგრეთვე განვიხილავთ უფლებებზე დაფუძნებულ და შესაძლებლობებისეულ მიდგომებს. ბოლოს, ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ახალი თანასწორობის კონცეფცია საერთაშორისო სოციალურ სამუშაოში ჩაბმულ პროფესიონალებზე.

### სოციალური დაყოფისა და სოციალური ერთსულოვნების გაანალიზება

დაყოფა და ერთსულოვნება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოიაზრებენ და რა ადგილს მიუჩენენ სოციალური მუშაკები საკითხებს სოციალურ კონტექსტში. შემდეგ ეს თვალსაზრისი მოქმედებს იმ სტრატეგიების შემუშავებაზე, რომლებიც გამოიყენება სოციალური დაყოფისთვის და საუკეთესოდ ააქტიურებს სოციალურ ქმედებას და ზრდის სოციალურ ერთსულოვნებას. როცა ვგეგმავთ რამენაირ სოციალურ რჩევას (ეს იქნება პიროვნების, ოჯახის, თემის, ერთი თუ რამდენიმე ქვეყნის დონეზე), მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ გავაცნობიეროთ, რომ საზოგადოების ყველა ფენას, ყველა ერსა და რეგიონს სხვადასხვანაირი ძალაუფლება აქვს. კოსმოპოლიტურ თემში ტოლერანტობის გაზრდისთვის გარჯა, ყოველთვის არის სოციალური მუშაკისთვის მნიშვნელოვანი ამოცანა. ზოგი თვლის, რომ საჭიროა გვესმოდეს მულტიკულტურულობა, განვახორციელოთ კულტურულად და ეთნიკურად განსხვავებული პრაქტიკა (იხ. მაგ. ლამი, 2000). სხვები ფიქრობენ, რომ თავი უნდა ავარიდოთ აშკარა თუ შეფარულ რასისტულ პრაქტიკას და შევიმუშაოთ ცხადად ანტირასისტული სტრატეგიები (დომინელი, 1997, 2002). ადამიანის უფლებები,

სოციალური დაყოფა, ძალაუფლება და იერარქია, ყველაფერ ამას აქვს საერთო მამოძრავებელი, ის თუ როგორ მოვიაზრებთ ჩვენ სხვებს და საკუთარ თავს.

იმისთვის, რომ გავაანალიზოთ განსხვავებისა და სოლიდარობის მექანიზმები, საჭიროა გადავხედოთ თვითგამორკვევის ცნებას. სოციოლოგიის სხვადასხვა დარგი შეიძლება დაგვეხმაროს თვითგამორკვევის კონცეფციის და იმის დაზუსტებაში, თუ როგორი წვლილი შეაქვს მას სოციალური დაყოფის და ერთსულოვნების მოაზრებაში. თვითგამორკვევა გვაძლევს იმის გაგებას, თუ ვინ ვართ ჩვენ (როგორც პიროვნება ან როგორც ჯგუფის წევრი), როგორ ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული და რა გვასხვავებს სხვებისგან. თვითგამორკვევა არის იარაღი ან მარკერი, რომლის საშუალებითაც ვიყენებთ ერთგვარობის ან განსხვავების პრინციპებს და ვქმნით საფუძველს ორიენტირების, სოციალური დაყოფისთვის და სოციალური ერთსულოვნებისთვის. ამ თვალსაზრისით თვითგამორკვევა არის ურთიერთდამოკიდებულება ან დაძაბულობა პიროვნების ქმედებასა და საზოგადოების სტრუქტურას შორის. თვითგამორკვევა ერთმანეთთან აკავშირებს იმას, თუ როგორ ხედავს პიროვნება საკუთარ თავს და როგორ გვხედავენ ჩვენ სხვები (ვუდვორდი, 2000).

„სხვას/უცხოს“ შეიძლება ბევრნაირი ფორმა ჰქონდეს. ის შეიძლება გამოიხატოს გენდერულ, რასობრივ, ასაკობრივ, (ფიზიკური თუ გონებრივი) შესაძლებლობების, ეთნიკურ, კლასობრივ, რელიგიურ, პოლიტიკური ორიენტაციის და სხვაგვარ სხვადასხვაობაში. გარდა ამისა, იგი თავს იჩენს იმაში, რასაც ვჭამთ, სადაც ვცხოვრობთ, როგორც ვთამაშობთ, რა საქმესაც ვემსახურებით, რასაც ვსწავლობთ და როგორც გადავადგილდებით ერთი ადგილიდან მეორეზე. ზოგიერთ კულტურაში ზოგიერთი დაჯგუფება მემკვიდრეობითი და ფიქსირებულია, მაგრამ ყველგან ეს ასე არ არის. მაგალითად, რომელიმე საზოგადოებაში შეიძლება იყოს ერთგვარი მტრული ურთიერთდამოკიდებულება ვეგეტარიანელებს და ხორცის მჭამელებს შორის. ანთროპოლოგები და განვითარების ფსიქოლოგები იტყობენ, რომ ადამიანის ბუნებაში დევს სწრაფვა დახურული დაჯგუფების შექმნის და მისი წევრობისკენ. თავისთავად, ამას შედეგად მოსდევს გარეშე (მიუღებელთა) ჯგუფის შექმნა. როგორც ჩანს, ჩვენ არ გვბეზრდება ამ გამყოფი საზღვრების შექმნა. სოციალური ინკლუზია და ექსკლუზიაც მსგავსი კონცეფციაა, ოღონდ უფრო მჭიდროდ გადაბმული რესურსების მოხმარებასთან. ამ დაჯგუფებებს შორის ბრძოლას შედეგად მოჰყვება „უცხოდ“ შერაცხვა.

როგორც არ უნდა იყოს, ჯგუფის თითოეული წევრის ვინაობას/იდენტობას აქვს ბევრი ასპექტი ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური, კლასობრივი, სამსახურეობრივი, ოჯახის/თემის მდგომარეობა და სხვა. ოკლი (2002) საუბრობს სირთულეზე განსაზღვრო საკუთარი თავი მხოლოდ გენდერული ან სექსუალური ორიენტაციის, კარიერის ან ა.შ. მიხედვით. თითოეული ელემენტი ემატება შეთანხმებულ მთლიანობას და აგრეთვე, ყოველი ასპექტი შეიძლება დომინანტური აღმოჩნდეს რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში და პიროვნების

მხოლოდ ერთი ნიშნით დასათაურება არაზუსტი ან ნაწილობრივი გამოდის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ვინაობის ელემენტები ურთიერთგამომრიცხველი აღმოჩნდება ხოლმე.

ჩვენი კულტურული ვინაობა არის ჯგუფური იდენტობის ერთი ფორმა. ამ ჯგუფის წევრებს ჩვეულებრივ აქვთ ერთნაირი რწმენა და ქცევა (იდეები, ჩვევები და ადათები). ჩვენი კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი დგინდება ჩვენი და „სხვა/უცხო“ კულტურების შედარებითი ანალიზით. ეს გვეხმარება განსხვავებების გამოვლენაში და გვაკავშირებს მსგავსი მახასიათებლების მქონე ადამიანებთან. ასეთივე შედარებითი ანალიზი და სხვაობის გამოვლენა ხდება ჩვენი მრავალმხრივი იდენტობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით; და ბოლოს, მახასიათებლების ნაზავი ქმნის ჩვენს ინდივიდუალურობას.

ბევრ დასავლურ ქვეყანაში მულტიკულტურიზმისკენ სვლა ნაწილობრივ აისახა საზოგადოებაში არსებულ მრავალნაირ დაყოფაში. მაგრამ ამ ფენომენმა, როგორც ჩანს, ვერ მოახერხა ჩასწვდომოდა ინდივიდუალურ დონეზე გამომყდავნიებულ დამკვიდრებულ მრავალგვარობას. ეს განსაკუთრებით აშკარაა იმ ქვეყნებში, ან რეგიონებში, სადაც მხარს უჭერენ თანასწორუფლებიანობას ან ქრელი საზოგადოებისეულ შეხედულებებს. ეთნიკურად მრავალფეროვან პრაქტიკასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრისას, ლამი (ლამი, 2000, გვ. 74) ამბობს, რომ „იმისთვის, რომ გადავლახოთ ინდივიდუალურობასა და კოლექტიურობას შორის არსებული უფსკრული, სოციალურმა სამუშაომ უნდა დაიხმაროს კოსმოლოგიური ორიენტაცია, რომელიც ხაზს უსვამს ოჯახის, სულიერების და ბუნების მნიშვნელოვნებას“.

როგორც არ უნდა იყოს, იდენტობა, არა ფიქსირებული, არამედ დინამიკურია. ის არის იმ სოციოპოლიტიკური და ფსიქოლოგიური გარემოს გამოძახილი, რომელშიც იმყოფება პიროვნება. ეს ცვალებადობა წარმოქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს იდენტობის პოლიტიკასთან (როგორიცაა რასიზმი, სექსიზმი და სხვა სტერეოტიპები) მიმართებით. არ არის აუცილებელი, რომ ეს „იზმები“ ფიქსირებული ან ერთნაირი იყოს; მაგალითად დომინელი (დომინელი, 1997) გვთავაზობს, რომ არსებობს რასიზმის სამი კომპონენტი: პერსონალური, ინსტიტუციური და კულტურული. ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ჩვენი იდენტობის სხვადასხვა ასპექტი გადმოდის წინა პლანზე. მაგალითად, ვინმეს კანის ფერი მხოლოდ მაშინ ხდება აქტუალური, როცა ის აშკარა უმცირესობად იქცევა ან, როცა მის გარშემო აშკარა უმცირესობის წარმომადგენლები არიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ადამიანი „უცხოდ“ გადაიქცევა, მისი იდენტობაც განსხვავებულობის შეგრძნებით ყალიბდება. ჯონ-ბაპტისტი (2001) ამტკიცებს, რომ ცვალებადობა (ანუ ჰიბრიდულობა) არის ახალი სახელი დალტონიზმის ან ასიმილაციისთვის. ჯონ-ბაპტისტი იქვე მოგვინოვებს, ბოლო მოვულოთ ევრო-ცენტრულ ბოროტებს, რომლებიც ისევ არსებობენ სოციალურ სამუშაოში. ის ამტკიცებს, რომ სოციალურ მუშაკს „რასისტული დაყოფის“ მიღმა უნდა გააფართოოს პრაქტიკა და გაითვალისწინოს კულტურული განსა-

კუთრებულობის ასპექტები, რომელიც გვეხმარება სოციალური კეთილდღეობის და უსახსრობის დეფინიციების გაგებაში“ (გვ. 277).

ლაინგი (ლაინგი, 1990, გვ. 25-26) აცხადებს, რომ „ყოველი ჩვენგანი არის სხვა სხვათათვის“. იდენტობის პოლიტიკაში ამის გამოვლინების ერთი მაგალითი შემოგვთავაზა დებუჯუამ. 1948 წელს ის იკვლევდა რასიზმის საკითხებს ამერიკის შეერთებული შტატების „თეთრ“ და „შავ“ მოსახლეობაში. დებუჯუა ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატების რასისტული დაძაბულობა იყო აშკარად თეთრი, და არა შავი, საკითხი, რადგან ეს იყო უმრავლესობის მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი განსხვავებული იყო უმცირესობა (ციტირებულია კორდთან, 2003). დღეს ეს შეიძლება უფრო და უფრო ცხადი ხდება, მაგრამ იმ დროს ეს რევოლუციური აზრი იყო. ეს საკითხი თანამედროვე მოვლენებთან არის განსაკუთრებულად დაკავშირებული. ლაპარაკია, ქარიშხალი კატრინას მიერ ახალ ორლეანში გამოწვეულ ნგრევაზე (2005) და შედეგად გაჩენილ, აშკარა, რასისტულ გადახრებზე. ეს ტენდენცია დახმარების მიწოდებისას გამოვლინდა პერსონალურ და ინსტიტუციურ დონეზე. მარტივად რომ ვთქვათ, რასიზმი არსებობს რასისტის გონებაში. თუმცა, შედეგები არა მხოლოდ პიროვნების, ან ჯგუფის წევრთა გონებაში არსებობს. დომინელის (1997) უწერია, რომ რასიზმის აღმოფხვრისთვის საჭიროა მონანილეობა ყველასი, ვინც აცნობიერებს, რომ იგი რასიზმის წინააღმდეგია. ის ამბობს, რომ მაგალითად, ბრიტანეთში „თეთრ და შავ ხალხს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აქვს რასიზმთან“ (გვ. 15). მიუხედავად თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკისა და რიტორიკისა, რასიზმი (ინდიფერენტულობის და აგრესიის სახით) შესამჩნევია სოციალურ სამუშაოშიც და მის მიღმაც (დომინელი, 1997, გვ. xv). თანამედროვე საზოგადოებაში მოხდა ჩვენ და ისინის ორეულის ინსტიტუციონალიზაცია. ერთნაირი შესაძლებლობების პრაქტიკამ სცადა შეხებოდა განსხვავებებს. თუმცა, ამაზე უფრო დეტალურად მოგვიანებით ვიმსჯელებთ.

როგორც სოციალური მუშაკები, ჩვეთვის იდენტობის კონცეფციის დაფასებას სასიცოცხლო მნიშვნელოვნება აქვს. ეს გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ იარლიყის მორგების ეფექტები და გავიგოთ, როდის და როგორ იწყებს ხალხი ამ იარლიყებთან იდენტიფიცირებას. სოციოლოგებმა დიდი ხანია დაინახეს იარლიყების მორგების საფრთხე, გარკვეულწილად იმიტომაც, რომ იარლიყები იშვიათად არის ზუსტი (ლაინგი, 1990). ლაინგის თქმით (ლაინგი, 1990, გვ. 11), „ცოტაოდენი სიმართლე იარლიყსა და „სოციალურ რეალობას შორის არის“... მაგალითად, ახალგაზრდა, რომელსაც ანტისოციალურის იარლიყი მოარგეს, შეიძლება მოერგოს ამ როლს, ან არ მოერგოს. როგორც სზასმა (1970) აღნიშნა, ვინმეს საქციელის იარლიყით მონიშვნა, შეიძლება იყოს ერთგვარი სოციალური კონტროლი, აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს ღირსების დაკარგვა.

ლამი (2000) ამბობს, სოციალურ მუშაკებს სჭირდებათ სპეციალური ცოდნა/წვრთნა მულტიკულტურულ პრაქტიკაში, რომელიც იქნება დაფუძნებული კომპეტენტურობაზე. (გუტიერესი და ლუისი 1999, გვ. 12) ვარაუდობენ, რომ

სოციალური სამუშაოსეული მიდგომა სოციალური მრავალფეროვნებისა და ჩაგვრისადმი შეიცავს სამ მთავარ სახეობას: ეთნოცენტრულს (ამის მთავარი მიზანია, უარი თქვა იდენტობაზე დომინანტური ფასეულობების და ქცევის სასარგებლოდ), ეთნომგრძობიარეს (ამის მთავარი მიზანია, იდენტობაში წაახალისოს სიამაყე, მრავალფეროვანი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით), ეთნოცნობიერი (რომლის მთავარი მიზანია, „სრული განვითარების“ ბარიერების აღმოფხვრა სოციალური სტრუქტურების შექმნით).

### *გლობალიზაციის გავლენა იდენტობაზე*

იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება იდენტობის მოაზრება პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში, მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ შევაფასოთ გლობალიზაციის ზეგავლენა. [...] გლობალიზაციის ენა ვერ გასცდა სადავო გეოპოლიტიკურ იარაღებს ან დედამიწის დაყოფას, როგორცაა დასავლეთ-აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი-სამხრეთი, დანინაურებული/ინდუსტრიული – რურალური/აგრარული, კაპიტალისტური/კომუნისტური, განვითარებადი – განვითარებული – განუვითარებელი, პირველი – მეორე – მესამე სამყარო. უფრო საინტერესოა ათი წლის წინ ო'გორმანის (1992) მიერ გაკეთებული მსოფლიოს ეკონომიკური დაყოფა. მან ერთი მესამედი „მქონეებს“ მიაკუთვნა და ორი მესამედი – „არმქონეებს“. ო'გორმანი აღნიშნავს რომ, მართალია, ეს „იარაღები“, მნიშვნელოვანწილად, კონკრეტულ საზოგადოებებზეა მორგებული, მაგრამ ღარიბ საზოგადოებებშიც არსებობენ „მქონეები“ და ყველაზე დალხინებულ მოსახლეობებშიც არიან „არმქონეები“. როცა სიღარიბე უფრო აქტუალურად დგება განვითარების დღის წესრიგში, ეს მსოფლიოს დანახვის საინტერესო გზად იქცევა, რადგან გვიჩვენებს ადამიანების ქსელს სახელმწიფო საზღვრების გაუთვალისწინებლად. გლისანტი (1996) ამტკიცებს, რომ საზღვრების გარღვევით კულტურებს შორის კავშირის გამრავალფეროვნებამ კრეოლიზაციამდე (creolization<sup>1</sup>) მიგვიყვანა. გლისანის თქმით, ეს პროცესი არც ერთ ჩვენგანს არ აუვლის გვერდს. ვერგესი გვაფრთხილებს და გვაცნობს ჰიპოთეზას, რომ „კრეოლიზაციის პროცესი იარსებებს სხვა პროცესების პარალელურად; იმ პროცესებისა, რომელიც მოიტანა კონტაქტმა და კონფლიქტმა; მაგალითად, როგორცაა ინდიფერენტული მულტიკულტურალიზმი, აპარტიდი, სეგრეგაცია და ეთნიკური ანკლავები“ (ციტირებულია კეინთან, 2004, გვ. 195).

კასტელსი (1998) გვთავაზობს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში სხვანაირად მიუდგეთ ხალხის დაყოფის და ერთსულოვნების მოაზრებას. კასტელსი ლაპარაკობს მეოთხე სამყაროს ანუ ინფორმაციული კაპიტალიზმის აღ-

მოცენებაზე. ინფორმაციული კაპიტალიზმი ეს არის „ქსელების და იდენტობის ურთიერთქმედებით გამოწვეული გლობალური სოციალური გაცვლის პროცესი“. კასტელსის თქმით, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, სხვადასხვა ერების და კულტურების გამაერთიანებელი ახალი ქსელების/კავშირების ჩამოყალიბება ქმნის მეოთხე სამყაროს. ეს უცილობლად გააჩენს ბევრ „შავ ხვრელს“ (ტერმინი კასტელსისაა), ანუ უფლებანართმეულ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ ახალ ქსელში ჩართვა. მისი თქმით, ეს შავი ხვრელები სიღარიბის შედეგი იქნება და მხოლოდ მეტი სიღარიბისკენ წაგვიყვანს (გვ. 166–167). ის დაკავშირებული იქნება ისეთ საკითხებთან, როგორცაა ნარკოდამოკიდებულება, ფსიქიკური ავადობა, ახალგაზრდების დანაშაული, პატიმრობა და უკანონობა. ეს ყველაფერი კი გამოიწვევს სოციალური ექსკლუზიას და მსოფლიოში დანაშაულის მატებას. ამიტომ, სოციალურმა მუშაკებმა წვლილი უნდა შეიტანონ იმაში, რომ მათ კლიენტებს ხელი მიუწვდებოდეთ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დამყარებულ ქსელებზე (და სხვა რესურსებზე).

### *ძალაუფლება, იერარქიები და სოციალური კაპიტალი*

როგორც ვნახეთ, ინდივიდუალური იდენტობა არის კომპლექსური, ცვალებადი და ექცევა გარეშე ძალების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც არსებობენ სხვადასხვა დონეებზე, მიკროდან დაწყებული მაკროთი დამთავრებული. თუმცა, არ ჩანს თუ რა განაპირობებს ცვლილებას, რა არის მიზეზი, რომელიც გავლენას ახდენს იდენტობის ჩამოყალიბებაზე და მის რეფორმულირებაზე. ზოგის აზრით, ძალაუფლება და იერარქიები ზემოქმედებენ ცვლილების აგენტზე. თუმცა, ძალაუფლება ყოველთვის ნეგატიური ძალა არ არის და შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ცვლილების პოზიტიურ აგენტად.

ფრანგმა ფილოსოფოსმა ფუკომ სრულიად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა ძალაუფლებასა და იერარქიებზე. მისი თეორია მიკრო ძალაუფლების შესახებ გვარწმუნებს, რომ ძალაუფლება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს ყველა ურთიერთმიმართებაში. ადრე (ევროცენტრული თვალსაზრისით) ძალაუფლება მოიზრებოდა როგორც იერარქია, რომლის მწვერვალზეც თეთრი ევროპელი მამაკაცი იდგა. მაგრამ ფუკოს სჯერა, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ურთიერთქმედებებში. ამიტომაც, ის უფრო კომპლექსური იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილია მარტივ იერარქიაში (რაბინოვი, 1991).

ძალაუფლება იმდენ ხანს იყო ჩვენი სოციალური სტრუქტურის ნაწილი, რომ მორჩილება თითქმის ინსტიქტად გადაგვექცა. 1950-იან წლებში ფსიქოლოგმა მილგრამმა აშშ-ში ჩაატარა ცნობილი და სადავო ექსპერიმენტი მორჩილებასა და უფლებამოსილებაზე. ამ ექსპერიმენტის ფარგლებში, მან შეისწავლა ძალაუ-

<sup>1</sup> ენის შეცვლა სხვა ენასთან შერწყმის შედეგად.

ფლების ზემოქმედება „ნორმალურ“ ადამიანებზე. მონანილებს სჯეროდათ, რომ ისინი იყვნენ დაყოფილი მასწავლებლებად და მოსწავლეებად (სინამდვილეში, მოსწავლეები როლის შემსრულებლები იყვნენ). მასწავლებლებს დაავალეს მოსწავლეებისთვის გარკვეული კითხვები დაესვათ. როცა მოსწავლეებმა არასწორად უპასუხეს, მასწავლებლებს უბრძანეს, მოსწავლეები მზარდი დაბვის ელექტრომოკით დაესაჯათ. ექსპერიმენტის მიზანი იყო, გამოეცადა პიროვნების ჯანსაღი ეთიკისა და მორალის დაპირისპირება ძალაუფლების მქონე ადამიანისადმი მორჩილებასთან (ამ მორჩილების ხარისხი/დონე). აღმოჩნდა, რომ „მასწავლებელთა“ ორი მესამედი ბოლომდე მიჰყვა ინსტრუქციას; მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო, რომ სერიოზულ ტკივილს აყენებდა სხვას. მილგრამმა გვაჩვენა, რომ ძალაუფლება, არამართებულად გამოყენებულიც კი, ფლობს პოტენციალს გააქარწყლოს სწორისა და არასწორის პიროვნებისეული აღქმა (ბლასი, 2004).

შედეგად, არენდტმა (1970) ომის წინა პერიოდის ნაცისტური გერმანიის გამოცდილების გათვალისწინებით, დამაჯერებლად განაცხადა, რომ არსებობს „მე მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც დამავალესეული“ მენტალიტეტი. მან ჩამოაყალიბა თეორიები, თუ როგორ შეიძლება „ნორმალური“ კაცი გადაიქცეს ომის „იარაღად“. ეს იყო ძლიერი თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა სოციალურ ერთსულოვნებასა და მის დესტრუქციულ პოტენციალზე, იმ პირობებში როცა მასზე ზემოქმედებს, თითქოსდა უპირობო, ძალაუფლება.

ფემინისტი მკვლევარების შრომებმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს კონცეფციებზე ძალაუფლებისა და იერარქიის შესახებ. ამ ნაშრომებში გაანალიზებულია ჰეგემონური, ევროცენტრული, მამრზე დამყარებული სოციალური კონსტრუქციის დამკვიდრებული „ნორმები“. შედეგად კი ამ მკვლევარებმა მოახერხეს ეჭვქვეშ დაეყენებინათ სტატუსკვო. ბევრი თეორია, რომელიც თითქოსდა, თანასწორუფლებიანობის გზას მისდევდა, აღმოჩნდა, რომ ამყარებდა ძალაუფლების იერარქიას საზოგადოებებში და საზოგადოებებს შორის. ფემინისტური მოძრაობის შედეგად მომხდარი, (პატრიარქალური) ძალაუფლების იერარქიის რეალური და/ან სავარაუდო ცვლილებები სხვადასხვა საზოგადოებამ სხვადასხვანაირად განიცადა (ამ თემაზე მსჯელობის გასაგრძელებლად იხ. პისი & პრინგლი, 2001).

ძალაუფლების თვალსაზრისით ქსელების შედარებაც შეიძლება, რადგან ისინი უფრო ლატერალურად მუშაობენ ვიდრე იერარქიულად. ეს უკავშირდება „სოციალური კაპიტალის“ იდეას, რომელიც უფრო აღიარებულია. სოციალურ კაპიტალს სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად (ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველად) განმარტავს. სოციალური კაპიტალის მთავარი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ქსელები სარგებლის მომტანია. ეს ბურდიეს სიმბოლური კაპიტალის იდეაზე იყო მორგებული (1997) და ამის შესახებ ლოურიც მსჯელობდა (1977). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ვადგენთ ჩვენს იდენტობებს იდენტიფიკაციის და დიფერენციაციის გზით. სწორედ ეს იდენტიფიკაცია და დიფერ-

ენციაციაცია არის სოციალური კაპიტალის მამოძრავებელი. სოციალური კაპიტალი ყველა „სოციალური ქსელის“ (რომელიც ხალხმა იცის) გაერთიანებული ფასეულობაა და ამ ქსელებიდან ნამოსული ერთმანეთის მხარდაჭერის მზაობაა („ურთიერთთანადგომის ნორმები“) (პუტნემი, 2001). ამ კონცეპციასთან დაკავშირებულ სარგებელთა შორის გახლავთ ნდობა, რესპროკალურობა, თანამშრომლობა და საზოგადოების ერთიანობა. სოციალური კაპიტალი დამოკიდებულია სოციალურ ქსელებზე და ინფორმაციის ნაკადზე, კოლექტიურ ქმედებაზე და იდენტობის ფართო ცნებაზე; ის აგრეთვე მოიცავს ინკლუზიისა და ექსკლუზიის იდეებს. ხშირად ფიქრობენ, რომ სოციალური კაპიტალი არის სოციუმის შემადგულებელი ძალა, რომელიც გვაერთიანებს და მზარდი გლობალიზაციის ფონზე არის გზა სოციალური ერთსულოვნებისკენ. როცა ასეთი სოციალურ ერთსულოვნება (მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფის ან დაავადების გამძვინვარების გამო) საფრთხეშია, ან გამქრალია, მაშინ შეიძლება სოციალური მუშაკების ჩარევა დაგვჭირდეს. მოგვიანებით ამ თავში ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ძალაუფლებისა და სოციალური კაპიტალის საკითხებს, როცა ლაპარაკი გვექნება მონანილეობრივი მიდგომის მომძლავრებაზე კვლევასა და პრაქტიკაში.

#### *თანასწორობები და უთანასწორობები*

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების დაყოფა ბევრნაირია და კიდევ უფრო გართულდა, მას შემდეგ, რაც გლობალიზაციამ მოგვანოდა ახალი იდეები და იდენტობის განსხვავებული მოსაზრებები. შედეგად მივიღეთ „უცხოების“ მზარდი სია. რასა, სქესი, ეთნოსი, კლასი, ქონება, რელიგია, განათლება, ტექნოლოგიური ცოდნა და ენა მხოლოდ ნაწილია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ, იმაზე თუ რამდენად მიუწვდება პიროვნებას ხელი ძალაუფლებასა და რესურსებზე. უთანასწორობა ხელშესახები ხდება, როცა ვხედავთ, რომ 2002 წელს სიცოცხლის ხანგრძლივობა სიერა ლიონეში 34 პროცენტი იყო, ხოლო იაპონიაში 81,9 პროცენტი (WHO, 2004b). სიერა ლიონეში მთლიანი ეროვნული შემოსავლის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი წილი ერთ სულ მოსახლეზე არის \$ 490, ხოლო ნორვეგიაში – \$ 35,840 (UNFPA, 2004). [...] ადამიანმა შეიძლება, ძალაუფლება, სტატუსი და ა.შ. „დაკარგოს“, ისევე როგორც „არასდროს ჰქონდეს“, როგორც მილიონობით ღარიბ ადამიანს. თუმცა, ახალ სამყაროში, სადაც იდენტობის საკითხი გართულებული, ცვალებადი და ძალიან მობილურია, როგორ უნდა განვსაზღვროთ თანასწორობის კონცეფცია? [...]

ჩვენ ვხედავთ მატერიალურ უთანასწორობას მთელ მსოფლიოში და ნებისმიერ თემში, მაგრამ ზოგიერთ ჯგუფს აქვს დამატებითი სირთულეები; მათთვის რესურსები ან ძალაუფლება არ არის ხელმისაწვდომი, ისე, რომ მიაღ-

ნიონ თანასწორობას. ამ ჯუფებში შედიან ბავშვები და მოხუცები, ფიზიკურად ან ფსიქიკურად დაავადებულები, შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შეზღუდულობის მქონე ადამიანები. გარდა ამისა, ჩვეულებრივად ქალებს აქვთ ნაკლები საშუალებები, უფრო დიდი რეპროდუქციული ვალდებულებები, ნაკლები ძალაუფლება და სტატუსი, ნაკლები მობილურობა და ნაკლები დაცვა ძალადობისგან [...]. ამის მსგავსად, ე.წ. დაბალი კლასის წარმომადგენლები ან სოციალურ ექსკლუზიაში მოქცეული ადამიანები ხშირად საზოგადოებიდან გარიყულად ცხოვრობენ და სათანადოდ არ მიუწვდებიან ხელი სხვადასხვა მომსახურებებსა და რესურსებზე, რაც საშუალებას მისცემდა მათ გამოეყენებინათ კუთვნილი ადამიანის უფლებები.

ინსტიტუციური უთანასწორობის ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და თანამედროვე ნიმუში იყო სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის რეჟიმი. აქ სოციალური დაყოფა კანონთა სისტემას ედო საფუძვლად. სრული დემოკრატიის დაწესების შემდეგაც კი, სულში გამჯდარი სოციალური ნორმების გამო, სამხრეთ აფრიკის ბევრი მოქალაქისთვის ქვეყნის თანასწორობა შორეულ ოცნებად რჩება. სამხრეთ აფრიკას კვლავინდებურად ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო ეკონომიკა აქვს. აქ მოსახლეობის უმდიდრესი 10 პროცენტისთვის ეკონომიკური რეზერვი 51,2 პროცენტი, ხოლო ყველაზე ღარიბი 40 პროცენტისთვის – 30 პროცენტი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ვინაობის/იდენტიფიკაციის კონტექსტში, თეთრებსა და შავებს შორის დაყოფა აშკარად თვალსაჩინოა (იქვე) (იხ. ნოიუუ, 2004). სოციალური უკმაყოფილება აშკარაა, რადგან დანაშაულის რაოდენობა ისევ შოკის მომგვრელია. თუმცა მკვლელთა ისე ხშირი აღარ არის (1994 წელს 10 ათას კაცზე 70 მკვლელთა მოდიოდა, 2000 წელს კი – 39). ნოიუ ამტკიცებს, რომ სოციალურმა მუშაკებმა დიდი როლი შეასრულეს აპარტეიდის დამხობაში, მაგრამ ახლა, როცა დადგა დრო 1994 წელს ინიცირებული დემოკრატიის მიზნების განხორციელებისა, მათი ძალისხმევა შესუსტდა.

რატომ გრძელდება ამგვარი სიტუაცია? სავარაუდოდ, ბევრი ჩვენგანი მერიტოკრატიაში<sup>2</sup> ცხოვრობს, მაგრამ მაინც ვართ დაყოფილი დამსახურებულ მქონელებად და დაუმსახურებელ არმქონელებად. ეს თვალსაზრისი ამყარებს რწმენას, რომ ისინი, ვინც სიღარიბეში ცხოვრობენ, იმსახურებენ ასეთ ბედს, ან მათი სიღარიბე არის მათივე პირადი ნაკლის შედეგი. ხოლო, შეძლებულებმა მძიმე შრომისა და ბრძნული გადაწყვეტილებების საშუალებით მოიპოვეს ყველაფერი. ეს დაყოფა მიმზიდველი ჩანს, რადგან საქმეს აადვილებს და მქონეებს ათავისუფლებს უქონელთათვის მსხვერპლის გაღების ვალდებულებისგან. ასეთი რწმენა მქონეებს აძლევს უფლებას გვერდიდან უდრტვიწველად უყურონ სხვადასხვანაირ უბედურებას (შიდს-ი, შიმშილი

და ომი) როგორ ანადგურებს იმათ, ვისაც როგორც ჩანს, არ აქვთ საკუთარი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინიციატივა. ასეთი მოსაზრება უპირისპირდება (საერთაშორისო) სოციალური სამუშაოს მორალურ წანამძღვრებს, იმას მაინც, რომელიც სოციალურ სამართლიანობას ემყარება. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბლერი, გიდენსთან ერთად, ადვოკატირებდა „მესამე გზას“, რომელიც ცდილობს იპოვოს ბალანსი თანასწორობას და მერიტოკრატიას შორის (2002). შესაძლებელია თუ არა ამ მიდგომაში დამკვიდრებული დაპირისპირების გადალახვა, ეს კიდევ სანახავია.

## სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების ზეგავლენა

სოციალური სამართლიანობა და ადამიანის უფლებები ორივე შეიძლება შევაფასოთ, როგორც სოციალური ქმედებების საფუძველი, რომელიც უპირისპირდება უთანასწორობის ნეგატიურ შედეგებს – ძალაუფლების დაუბალანსებლობას და სოციალურ დაყოფას. სოციალური სამუშაო არის პრაქტიკული პროფესია ფასეულობათა ძლიერი სისტემით და სავარაუდოდ ის ემყარება სოციალურ სამართლიანობას. ამერიკის სოციალური მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (NASW) განცხადებით, „სოციალური სამართლიანობა არის ხედვა იმის თაობაზე, რომ ყველა იმსახურებს თანასწორ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს და შესაძლებლობებს. სოციალური მუშაკების მიზანია, გახსნან მიღწევისა და შესაძლებლობების კარი ყველასთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მეტად უჭირს.“ (NASW, 2004).

### სოციალური სამართლიანობა

სოციალური სამართლიანობა ემყარება სოციალური კონტრაქტის/შეთანხმების ბევრ თეორიას. ამ თეორიათაგან ბევრი აღიარებს, მთავრობის მიერ მონოდებულ, სოციალური კეთილდღეობის იდეას (ადამიანის უფლებების ჩათვლით). მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის კონტრაქტი ხალხსა და მთავრობას შორის, თანაბარი სარგებლის მისაღებად (ნუსბაუმი, 2000a). დომინელი, რომელიც ანტირასისტულ სოციალურ სამუშაოზე წერს, გვთავაზობს, რომ:

*სოციალური მუშაკების მოვალეობაა საჯარო ყურადღება მიაპყრონ იმათ სიმამაცეზე, ვინც იბრძვის სოციალური ექსკლუზიის გადასალახავად და ცდილობს გააძლიეროს ისინი, ვინც გარემოებების ტვირთის ქვეშ არიან მოქცეულნი. არათანასწორ სამყაროში სოციალური სამართლიანობისა და ადამი-*

<sup>2</sup> ქვეყანა ან სოციალური სისტემა, სადაც ადამიანი ძალაუფლებას ან ფულს თავისი უნარების/შესაძლებლობების შესაბამისად ღებულობს.

ანის განვითარების ნახალისება იძლევა სოციალური სამუშაოს პრაქტიკისთვის საზრიან საფუძველს/raison d'être. (დომინელი, 2002, გვ 4)

დოკლათისა და რესურსების ყველასთვის სამართლიანად და თანასწორად მიწოდება არის მთავარი სოციალურ სამართლიანობაში. მაგრამ ის აგრეთვე პასუხისმგებლობების თანაბრად განაწილებასაც გულისხმობს. ამიტომაც, ისინი, ვინც სოციალურ სამართლიანობას უჭერენ მხარს, იბრძვიან სიღარიბის და მიკერძოებულის, რასისტული პოლიტიკის აღმოფხვრისთვის.

დისკუსიები სოციალური სამართლიანობის შესახებ ხშირად თანაბარ შესაძლებლობებსაც ეხება და ეს წარმოქმნის ამ თეორიის სადავო ასპექტებს. სოციალური სამართლიანობის ოპონენტები ხშირად კამათობენ, რომ თანაბარი საშუალებების პოლიტიკის გზები ურთიერთგამომრიცხველია, რადგან მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ფავორიტიზმს, ხოლო „ფერზე თვალისდახუჭვის“ პოლიტიკა შეიძლება რასიზმს მალავდეს (დომინელი, 1997). დომინელი (2002) მოგვიწოდებს ანტირასისტული პრაქტიკისკენ, რადგან თვლის, რომ ეს არის თანაბარუფლებიანი ურთიერთობის საფუძველი. თანამშრომელთა დაქირავების პრაქტიკის მაგალითზე ვხედავთ, რომ თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკა ხშირად დასაქმების უფრო დიდ შანსს აძლევს იმათ, ვინც ამ კონკრეტულ დარგში ნაკლებ კომპეტენტურია (შეიძლება უფრო უმცირესობის სტატუსის გათვალისწინებით, და არა კვალიფიკაციის). ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება მერიტოკრატიას. კონტრარგუმენტი გახლავთ ის, რომ ძალაუფლების ისტორიული დისბალანსის და უსამართლო „იზმების“ გამოსასწორებლად, თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის მხარდაჭერა ქმნის აუცილებელ მექანიზმს ბალანსის მისაღწევად; იმავდროულად ეს არის ერთი გზა სიღარიბის აღმოსაფხვრელად.

სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, სიღარიბე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. რესურსები და მსოფლიოს კეთილდღეობა ყოველი ადამიანისთვის ერთნაირად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს მათი უფლებაა. ტაილერის და მისი თანაავტორების თქმით (1997), სოციალური სამართლიანობის მოაზრების ორი სკოლა შეიძლება გამოვყოთ: იდენტობაზე დამყარებული და რესურსებზე დამყარებული. იდენტობაზე დამყარებული სოციალური სამართლიანობა გულისხმობს, რომ „ადამიანები სხვებთან ურთიერთობას ამყარებენ, რათა საკუთარი თავი იგრძნონ კარგად (გვ. 185) და, რომ სწორედ ეს სოციალური ურთიერთობა არის თავიდათავი უსამართლობისა და სამართლიანობისა. რესურსებზე დამყარებული სოციალური სამართლიანობა ვარაუდობს, რომ „ადამიანები ურთიერთობას ამყარებენ, რათა საკუთარი თავისთვის მოიპოვონ რესურსები“ (გვ. 181) და, რომ ეს ურთიერთობა არის თავიდათავი უსამართლობის და სამართლიანობისა.

სამართლებრივ ჩარჩოებზე თუ ვისაუბრებთ, არსებობს სოციალური სამართლიანობისკენ მიმავალი სამი მთავარი გზა: დისტრიბუციული<sup>3</sup>, პროცედურული<sup>4</sup> და რეტრიბუციული<sup>5</sup> სამართლიანობა. დისტრიბუციული სამართლიანობა ეხება სამართლიან შედეგებს ან გამოსავლებს. ამის მაგალითად გამოდგება კომპენსაციის მოთხოვნა და თანასწორ შესაძლებლობებზე დავა. პროცედურული სამართლიანობა ეხება პროცედურების და მმართველობის სამართლიანი სისტემის შექმნას და მხარდაჭერას. კარგი მთავრობის კონცეფციამ ბოლო წლებში შექმნა მნიშვნელოვანი ჩარჩოები განვითარებისთვის. ამით დონორებისთვის, როგორცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მიმღებ მთავრობებთან თანამშრომლობის ახალი გზა გაიხსნა, რათა განვითარებისთვის მონოდებულ დახმარებას ნამდვილად ჰქონდეს კარგი შედეგი და ხანგრძლივი ეფექტი. რეტრიბუციული სამართალი გულისხმობს სამართლიან პასუხისგებას ან სასჯელს (ტაილერი და სხვები, 1997). ეს სისხლის სამართლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მოიცავს კანონის დამრღვევის დაპატიმრების იდეას. ზოგადად ეს ორი მიზეზით კეთდება: დამრღვევის დასასჯელად და მოსახლეობის დასაცავად. ამ სისტემის ყველაზე უკიდურესი ფორმა გახლავთ ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის აშშ–სა და ჩინეთში) მიღებული სიკვდილით დასჯა. ყველა ეს მოვლენა ეხება სოციალური მუშაკების მიერ მომსახურების განვითარებას დასავლეთში, ისევე, როგორც სოციალური და თემის განვითარების პროგრამებს სამხრეთის ქვეყნებში.

სოციალური კეთილდღეობის და სისხლის სამართლის სისტემებში, იზრდება ყურადღება მეოთხე სფეროზე – ალდგენით სამართალზე (ლოსონი და კატზი, 2004). ანაზღაურების სამართლისეული მიდგომა ნასესხებია (მაგ., კანადისა და ახალი ზელანდიის) კულტურასა და სამართალზე დაფუძნებული პრაქტიკიდან (ფოქსი, 2005). ეს ცვლის იმ გზას, რომლითაც ზოგიერთი პოლიციური ძალები უდგებიან დანაშაულს, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დანაშაულს. იდეა ის გახლავთ, რომ დამნაშავეს თხოვენ მსხვერპლთან პირისპირ, უსაფრთხო მოლაპარაკების გზით გამოასწოროს/ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ამ სიტუაციაში მსხვერპლს შეუძლია, გამოთქვას, თუ რა ზეგავლენა იქონია მასზე დანაშაულმა (მაგ., საკუთრების დაკარგვა, ემოციური ზენოლა). ასეთი მოლაპარაკებისას შეიძლება ანაზღაურებაზე შეთანხმება, რომელიც ჩანაცვლებს დამნაშავეს დაკავებას. თუ ეს ეფექტური აღმოჩნდა, ეს არა მხოლოდ შეაჩერებს რეციდივიზმს, არამედ, დაეხმარება ახალგაზრდებს გაისიგრძეგანონ მათივე დანაშაულის უარესი შედეგების შესაძლებლობა (ლოსონი და კატზი, 2004). შეიძლება შედეგი სამმაგი იყოს – შერიგება, ანაზღაურება და ტრანფორმაცია

<sup>3</sup> რესურსების და უფლებების სამართლიანად/ერთნაირად მიწოდება.

<sup>4</sup> გადანყვეტილების მიღების პროცესის სამართლიანობა და გამჭვირვალობა.

<sup>5</sup> როცა სასჯელი სამართლიანია და შეესაბამება/ასწორებს ჩადენილ დანაშაულს/შეცდომას.

(იქვე). აღდგენითი სამართლის პრინციპებსა და პრაქტიკას ვხვდებით მაკრო დონეზეც; მაგალითად, სამხრეთ აფრიკასა და რუანდაში გავრცელებულ ჭეშმარიტებისა და შერიგების პროცესებში.

### *შესაძლებლობებისეული მიდგომა*

შესაძლებლობებისეული მიდგომა უკავშირდება ადამიანის უფლებებს და წინა პლანზე წამოწევს თანასწორობის საკითხს. შენი (1982) და ნასბაუმი (2000ბ), ადამიანის შესაძლებლობებზე მსჯელობისას, ყურადღებას ამახვილებენ ინდივიდუალურ სოციალურ აგენტებზე. შენი (1982, 1999) ადამიანურ კაპიტალს ხედავს, როგორც უნარებს, ცოდნასა და ძალისხმევას, რასაც არა-პროდუქტიულობამდე მივყავართ. ადამიანის უნარიანობა მას ესმის, როგორც ფოკუსირება შესაძლებლობაზე, რათა შემატო ფასეულობა პიროვნულობას. ხოლო „ფუნქციონირება“ არის ის, რასაც ადამიანი მიაღწევს. შესაძლებლობებისეული მიდგომა შეიძლება იყოს მცდელობა გავიგოთ, რატომ მოქმედებენ ადამიანები ასე და არა სხვაგვარად. ეს არა მარტო აადვილებს („ფუნქციონირების“) შედეგების გაგებას, არამედ შედეგების მიღების პროცესსაც. აქ შედის პროცედურის უსამართლობები, პიროვნების არჩევანის თავისუფლება, სისტემური ან სტრუქტურული უთანასწორობები. შენი (1999) გვთავაზობს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჩვენ უნდა მივცეთ ადამიანებს საშუალება, სოციო-ეკონომიკური განვითარების ფარგლებში, შექმნან საკუთარი შესაძლებლობები (ან ქმედებები, რომლებიც ფასეულია მათთვის), მიუხედავად იმისა, თუ რას გვკარნახობს საზოგადოება. შესაძლებლობებისეული მიდგომის სანიმუშოდ წარმოიდგინეთ, ორი ახალგაზრდა კაცი, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ. ერთმა მათგანმა იმიტომ აირჩია ქუჩაში ცხოვრება, რომ მას არ მოსწონს კომფორმისტული საზოგადოების აკრძალვები, ქუჩაში კი თავს უფრო კომფორტულად და თავისუფლად გრძნობს. მეორეს არ აქვს ფული, დაკარგა სამსახური და საცხოვრებელი. ორმა ახალგაზრდა კაცმა ერთნაირი შედეგი მიიღო და ისინი კეთილდღეობის ერთნაირი პრინციპით ცხოვრობენ. მაგრამ ამ ორი ადამიანის გაკეთებული არჩევნის უკან სხვადასხვა მიზეზი დგას. შესაძლებლობებისეული მიდგომა აღიარებს სხვადასხვა მოტივაციებს და აწოდებს მათ საჭიროებაზე უკეთესად მორგებულ მომსახურებას. ამ საქმეში ის ტოლერანტობის და მონაწილეობის ჩარჩოებში მოქმედებს.

ნასბაუმიც (2000ბ) უჭერს მხარს შესაძლებლობებისეულ მიდგომას. მაგრამ მისი ყურადღება უფრო მიჰყრებოდა საერთაშორისო პოლიტიკასა და სოციალურ სამართლიანობაში გენდერული განსხვავების უაღრეს მნიშვნელოვნებაზე. მან აგრეთვე ფასეულობა შემატა შესაძლებლობებისეულ მიდგომას „ჰუმანურობის“ იდეის წინ წამოწევით და ადამიანის ღირსების მნიშვნელოვნების აღიარებით. შენისა და ნასბაუმისთვის შესაძლებლობებისეული მიდგომა არის ალტერნატიული პოზიცია კეთილდღეობის გასააზრებლად. ნასბაუმის შესა-

ძლებლობებისეული მიდგომა უფლებებით სარგებლობის ისეთივე საბაზისო პოსტულატია, როგორც მაგალითად ადამიანის უფლებები (2000ა).

### *ადამიანის უფლებები*

ადამიანის უფლებები შეიძლება აღვიქვათ, როგორც გამაერთიანებელ სოციალურ პრინციპთა ნაკრები, დაყოფის გარშემო არსებული მრავალრიცხოვანი დისკუსიების საპირისპიროდ. ამდენად, ისინი ქმნიან მნიშვნელოვან სახელმძღვანელო ინსტრუმენტს იმისა, თუ როგორ შეიძლება დავძლიოთ ან გავუმკლავდეთ სოციალური დაყოფის ნეგატიურ ასპექტებს, როგორცაა ინსტიტუციური და ჩვეულებრივი უთანასწორობები. გაეროსა და სხვა ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ შეემუშავებინათ უნივერსალურად მისაღები და ხელშეუხებელი ადამიანის უფლებები, რომლებიც ქმნიან იმის გაგების საფუძველს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობა. თუმცა, როგორც ხერხი, ადამიანის უფლებები მხოლოდ იმდენად არის კარგი, რამდენადაც ჩვენ ვახერხებთ მის გამოყენებას.

ადამიანის უფლებების უნივერსალურ ნაკრებს თავისი კრიტიკოსებიც ჰყავს. ზოგი ამ იდეას უარყოფს, როგორც იმპერიალისტური სამყაროს წესრიგის გადმონაშთს. სხვები აღნიშნავენ, რომ პოსტმოდერნიზმში, მისი მრავალი ხედვითა და ფრაგმენტული სამყაროთი, არ არის ადგილი უნივერსალურისთვის (იფი, 2001ა). გარდა ამისა, ადამიანის უფლებებს, როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია (1948) მიგვანიშნებს, აკრიტიკებენ დასავლური ინდუსტრალიზებული კულტურისადმი მიკერძოებისთვის, ან ზედმეტად განზოგადებულობისთვისა და მის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეებისთვის. შედეგად, ზოგიერთმა რეგიონმა საკუთარი დეკლარაცია მიიღო. მაგალითად, აფრიკის ლიდერები შეიკრიბნენ და, უნიკალური აფრიკული მახასიათებლების გათვალისწინებით, მიიღეს ადამიანის უფლებათა ორი მნიშვნელოვანი ქარტია – ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (1981) და ბავშვის უფლებების და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია (1999) (სიუპოლი, 1994). ევროპაში, ევროპის საბჭოში (გეოგრაფიულად ევროკავშირზე უფრო დიდი და ძველი დაჯგუფების) წარმოდგენილი, ბევრი ქვეყნის მოქალაქეებს შეეძლოთ, (ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით [1950] გათვალისწინებულ) ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ეჩივლათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ბევრმა ქვეყანამ მოგვიანებით ეროვნული კანონმდებლობაც შექმნა ამ სფეროში.

თუმცა, ისიც რაც ადამიანის ხელშეუხებელ უფლებებს ქმნის აწყდება წინააღმდეგობებს. ნაკლებია კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ როგორ არის ადამიანის უფლებები დადგენილი ან რომელია მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური უფლებები; რა უფრო წინ დგას ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებები.



მართლაც, დროთა განმავლობაში მოხდა ადამიანის უფლებების ჩვენეული გაგების ადაპტირება და გაფართოვება. იფმა (2001ა) გამოყო ადამიანის უფლებების სამი თაობა, რომლებმაც მოგვიყვანა ამ საკითხის დღევანდელ გაგებამდე. პირველი თაობა აღმოცენდა მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლობის ეპოქიდან და სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებას მოიაზრებდა. ამ თაობის ადამიანის უფლებებს იყენებენ ადვოკატობის საქმეში და ამ უფლებების საფუძველზე მოხდა ბევრი თანამედროვე სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. მეორე თაობა მოიცავდა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ამ უფლებებზე გავლენა ფემინიზმმა მოახდინა და ის ბევრ სფეროში გამოიყენება, მათ შორის სოციალურ სამუშაოშიც. ადამიანის უფლებების მესამე თაობა ცდილობს წარმოადგინოს მთელი რიგი უნივერსალობებისა, რომელიც კარგად ჩანს ბევრ ფართომასშტაბიან ინიციატივაში (იქვე), როგორცაა ათასწლეულის განვითარების მიზნები (სიუპოლი, 2004) და მსოფლიო მოძრაობა სიღარიბის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ადამიანის უფლებები თანდათან სოციალური ურთიერთქმედების სულ უფრო მეტ ფილოსოფიურ სფეროს მოიცავს. აგრეთვე იზრდება მისი გამოყენების მასშტაბი, ისე, რომ ის ყველა ცოცხალ ადამიანს მიესადაგებოდეს.

ადამიანის უფლებების მესამე თაობა იმ საუკუნის ნაშეირია, რომელიც მოესწრო საოცარი მასშტაბის ომებსა და მსოფლიო იმპერიების ნგრევას. მართალია მას კეთილშობილური მიზნები აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ყველაფერი უნივერსალურის სარგებლიანობა და სიცოცხლისუნარიანობა სადავოა. უნივერსალური ადამიანის უფლებების შექმნის პროცესი შეიძლება იქცეს განსხვავებული აზრის ჩახშობად, სხვადასხვაგვარი მოსაზრებების უგულვებლყოფად და წყალ-წყალა კანონების შექმნად, კანონებისა, რომლებზე დათანხმებაც ადვილია და თავის არიდებაც. ამ პრინციპების შექმნის მამოძრავებელმა ძალამ გაერომ მოიპოვა მოჩვენებითი და ძალაუფლების არმქონე ორგანიზაციის რეპუტაცია. „უფრო ხშირად ხელს იშვერენ იმ ადამიანის უფლებებისკენ, რომელსაც დღეს ჩვენ ვეთაყვანებით, იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად იმსჯელონ მათზე“ (ო'ნეილი, 2002). მაგალითად, რაც შეეხება ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას, სიცოცხლის უფლებას, ბევრმა სახელმწიფომ წამოაყენა რიგი ულტიმატუმებისა ამ „უფლებებისთვის“. ასეთი ულტიმატუმები უკავშირდება შობადობის კონტროლის პოლიტიკას (იმაზე დავისას, თუ როდის იწყება სიცოცხლე), ისევე, როგორც თვითმკვლელობის და სიკვდილით დასჯის მხარდაჭერას სასიცოცხლო ციკლის მეორე ბოლოში. ამგვარად ბევრ სახელმწიფო და ეროვნულ სამართალში წარმოიშვა მრავალნაირი კანონი, რომლებიც წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე.

როგორც ამბობენ, ადამიანის უნივერსალური უფლებები, თავისი ბუნებით, არის განზოგადებული. ადამიანის უფლებების დეკლარაციის აღიარების შემდეგ, 1948 წელს აუცილებელი გახდა ზოგიერთი ჯგუფის უფლებების განსაკუთრებით გამოყოფა. დღეს სხვადასხვანაირი უფლებების ნაკრებები არსე-

ბობს სხვადასხვა ჯგუფისთვის, ბავშვთა, ქალთა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩათვლით. [...] მანდერსონმა (2004) შეისწავლა კონვენციის საჭიროება, რომლითაც უნდა მოხდეს მსოფლიოში მცხოვრები დაახლოებით 600 მილიონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის უფლებებისა და მდგომარეობის დაცვა. ამ ადამიანების 80 პროცენტი მწირი რესურსების მქონე საზოგადოებაში ცხოვრობს და მათთვის განსაკუთრებულად ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა, განათლება და დასაქმება.

გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები, იმ საზოგადოებაში, სადაც ხელუხლებელ უფლებებს ენიჭება უპირატესობა. ნებისმიერი უფლების დეკლარაციის მიღმა იმალება პასიური შეხედულება ადამიანის სიცოცხლესა და მოქალაქეობრიობაზე. უფლებები პასუხობს კითხვებს „რა მეკუთვნის მე?“ ან „რა უნდა მივიღო მე?“ ის არ პასუხობს აქტიური მოქალაქეების შეკითხვას – „რა უნდა გავაკეთო მე?“ (ო'ნეილი, 2002). იფი და ფისკე (2006) ამტკიცებენ, რომ ადამიანის უფლებებში პასუხისმგებლობებთან შედარებით გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული უფლებებით სარგებლობს. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებები არ შეიძლება ჰქონდეთ (და არც აქვთ) მინიჭებული იმ თემების ან ქვეყნების მაცხოვრებლებს, სადაც ადამიანის მოვალეობები არ განაპირობებს მათ წარმატებას. ეს იმ ქვეყნებში ხდება, სადაც კორუფცია და ავტოკრატიაა გაბატონებული. ალბათ საჭიროა, რომ შეიქმნას სათანადო დეკლარაცია ადამიანის მოვალეობების შესახებ (იქვე). საინტერესოა, რომ ბავშვის უფლებების და კეთილდღეობის აფრიკულ ქარტილაში (1999) ბავშვის უფლებები განერილია ოჯახის წინაშე მათი პასუხისმგებლობების კონტექსტში.

ადამიანის უფლებებიდან შეიძლება გამოსადეგი პრინციპების ამოკრება სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად და ეს პრინციპები გამოიყენება, მაგრამ ისინიც არ არის შეუზღუდავი. ადამიანის უფლებები ქმნის საფუძველს და ძალისხმევის ობიექტს საერთაშორისო სოციალური სამუშაოს ფორმულირებისთვის (რეიჩერტი, 2003; იფი, 2001ა). აგრეთვე ამზადებს ნიადაგს უფლებებზე დამყარებული პრაქტიკისეული მიდგომებისთვის, რაც მას (ადამიანის უფლებებს) თეორიიდან პრაქტიკად აქცევს. იფი და ფისკე (2006) ამტკიცებენ, რომ თემის განვითარებისეული პერსპექტივის მოშველიება შეიძლება დაგვეხმაროს ადამიანის უფლებების რეალიზებაში.

### *უფლებებზე დამყარებული მიდგომა*

ადამიანის უფლებების კონცეფცია მიზნად ისახავს, დაძლიოს დაყოფა და სექტურობა. ის ცდილობს ადამიანის ფასეულობების უნივერსალური სისტემის საშუალებით, გააერთიანოს სხვადასხვა ხალხები. ამის ერთი შედეგი გახლავთ განვითარების ახალი პათოსი, რომელსაც *უფლებებზე დამყარებული მიდგო-*

მა ეწოდება. მთავარი ასპექტი უფლებებზე დამყარებული მიდგომისა არის მონაწილეობის უფლება, რომელიც მოიცავს ხმის მიცემის უფლებას და საკუთარი უფლებების ადვოკატობის შესაძლებლობას. ეს მიდგომა განვითარების გაგებას გამიჯნავს ქველმოქმედების და ქველმოქმედის (ან მოწყალეების გაღების) დამოკიდებულებისგან. სანაცვლოდ გვთავაზობს მიდგომას, როცა მომსახურება და რესურსები ყველასაგან აღიქმება ადამიანის ძირითად უფლებად და აუცილებლად გულისხმობს მონაწილეობას. შედეგად, ეს მიდგომა აძლიერებს ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობენ „განვითარებაში“. მალღება მათი სტატუსი განვითარებული ქვეყნების დონემდე. ეს ემყარება იმ პოსტულატს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და უნდა ჰქონდეს შესაბამისი ადამიანის უფლებები. ხშირად ამ მიდგომის მეთოდების საფუძვლად გაეროს ადამიანის უფლებების დეკლარაციას ასახელებენ. ქალთა უფლებებისა და სხვა „ავტონომიური“ უფლებებისთვის მოძრაობებამ ნიადაგი მოამზადა უფლებებზე დამყარებული მიდგომის განვითარებისთვის. უფლებებზე დამყარებულმა მიდგომამ წვლილი შეიტანა დებატების გამართვაში ისეთ საკითხებზე, როგორცაა მოქმედების ლეგიტიმურობა, ძალაუფლების იერარქიები და ანგარიშვალდებულება, განსაკუთრებით კი, ეს საკითხი უკავშირდება მსოფლიო ბანკის მსგავსი სააგენტოების განვითარებას.

სოციალური მუშაკები ხშირად უწევენ ადვოკატობას იმ ადამიანებს, ვისი უფლებებიც შელახეს ან უგულვებლად ყვეს (ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პატიმრები). სოციალური სამუშაოს მოქცევამ ადამიანის უფლებების პროფესიის ჩარჩოებში, გახსნა განვითარების ახალი გზები და შექმნა იდენტობის ახალი ფორმა – მსოფლიოს მოქალაქე. უფლებებზე დამყარებული მიდგომა ადამიანებს მოქალაქეებად მოიაზრებს და არა კეთილდღეობის აქციონერებად, კლიენტებად ან ბენეფიციარებად. „კლიენტი“ არ არის მკაფიო და, მოქალაქესთან ან პარტნიორთან შედარებით, სხვადასხვა პროფესიულ მნიშვნელობას მოიცავს. აგრეთვე, განვითარების სააგენტოებმა განვითარებად ქვეყნებში დაიწყეს ადამიანების მოაზრება პარტნიორებად და მოქალაქეებად; და არა დახმარების უსახურ მიმღებებად. ამ ცვლილებამ ბევრი დებატები გამოიწვია, რადგან უფლებებზე დამყარებული მიდგომის დამკვიდრება აუცილებლად გამოიწვევს ძალაუფლების იერარქიის ცვლილებას. ამგვარად, განვითარების პრაქტიკოსები, სოციალური მუშაკების ჩათვლით, მზად უნდა ყოფილიყვნენ უსიტყვოდ დაეთმოთ ძალაუფლებისა და კონტროლის ნაწილი. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა.

ბევრი სოციალური მოძრაობა მიმართავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონკრეტულ განმარტებას. მაგრამ უფრო ჰოლისტიური მიდგომა მოიცავს ნაკლებად თვალშისაცემ ასპექტებსაც, როგორცაა კულტურული და სოციალური უფლებები, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულად მოიაზრება. მაგალითად, ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური უფლებები; მაშინ, როცა სხვაგან, ინდივიდუალურზე

უფრო მალა, აყენებენ თემის და საზოგადოების უფლებებსა თუ მოვალეობებს. უფრო ფართო გადმოსახედიდან, თავისთავად (სოციო-ეკონომიკური) განვითარება შეიძლება ჩაითვალოს უფლებების შემზღუდველად (თუმცა, ბევრი მთავრობა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება). კონსენსუსის მონახვა ძნელი და შეიძლება არსასურველიც აღმოჩნდა. თანაც აქ სხვა საინტერესო საკითხები გამოდის წინა პლანზე: რომელმა უფლებამ რომელი უნდა შეცვალოს და, კიდევ უფრო საყურადღებოა, თუ ვისი უფლებები უფრო მნიშვნელოვანია? მაგალითად, პიროვნების უფლებები უფრო მნიშვნელოვანია, თუ თემისა? როდის შეიძლება ბავშვების უფლებები მშობლების უფლებებზე წინ დავაყენოთ? უფლებებზე დამყარებული ახალი მიდგომა გვთავაზობს პოზიტიური ცვლილებების პოტენციალს, მაგრამ ზოგს არ სჯერა ამის. მაგალითად, სოციალური ცვლილების ბევრი სააგენტო, იმათი ჩათვლით, რომლებიც მონაწილეობდნენ უფლებებზე დამყარებული მიდგომის შემუშავებაში, ვერ ახერხებს, ან არ არის მონადინებული, პრაქტიკაში გამოიყენოს ის, რისთვისაც იბრძოდა. როგორც ჩანს, მათ აითვისეს ტერმინოლოგია, მაგრამ სრულად არ დანერგეს, ან არც კი გაიაზრეს, მათი მნიშვნელობა. მათი მხრიდან ამ მიდგომის მიღებას, არ მოჰყვა ორგანიზაციულად და პრაქტიკულად მისი დანერგვა (იბენი, 2003). 1997 წლის (მიმდინარე) კვლევაში ვოლასი აკრიტიკებდა ბრიტანულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩვეულებრივ სამხრეთულ ორგანიზაციებთან კავშირების დეგრადირებისთვის და რიტორიკასთან მიბრუნებისთვის (ციტირებულია სანდერლანთან, 2004).

მაგალითისთვის ვნახოთ სხვადასხვა მთავრობის პოლიტიკა პროსტიტუციასთან მიმართებით. ბევრ ქვეყანაში პროსტიტუცია და მასთან დაკავშირებული დანაშაულებანი არაკანონიერია, თუმცა, ითვლება, რომ ბევრ ასეთ დანაშაულს მსხვერპლი არ მოჰყვება. ეს საინტერესო მაგალითია, რადგან აქ პიროვნების უფლებები უპირისპირდება თემის უფლებებს. მთავრობებს უხდებათ ბევრი კომპლექსური საკითხის მოგვარება; რა უფრო სერიოზულია, პიროვნების უფლება გაყიდოს სექსი თუ ის რისკი, რომელიც პროსტიტუციამ შეიძლება შეუქმნას საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას? საკითხს ისიც ართულებს, რომ გასარკვევია, პროსტიტუცია საერთოდ არის თუ არა არჩევანი? თუ არსებობს შეფარული სოციალური სტრუქტურები, რომელიც ზღუდავს სექსის გამყიდველი ადამიანის არჩევანს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ საკითხს სექსუალურ სამუშაოსთან დაკავშირებული ძალადობა და დამოკიდებულებებიც ართულებს. ეს გამოდგება შესაძლებლობებისეული მიდგომის პოტენციალის სამაგალითოდ; მიდგომისა, სადაც ყველა შემთხვევა უნიკალურია და უნივერსალურობების გამონახვა არაფერში გეხმარება. ადამიანის უფლებებისეული მიდგომის თანახმად, მთავარი ძალისხმევა იქით უნდა მივმართოთ, რომ სექსუალურ საქმიანობაში ჩაბმულ ადამიანებს ჰქონდეთ თანაბარი უფლებები და იყვნენ ადვოკატობის გულის გული, რათა ისე გაძლიერდნენ, რომ თავად თქვან საკუთარი სათქმელი [...]

უფლებებზე დამყარებული მიდგომის კარგი მაგალითია კანადის ბრძოლა ოჯახურ ძალადობასთან. ტრადიციულად, ოჯახური ძალადობა აღიქმება არა სახელმწიფო, არამედ საშინაო საკითხად, კერძო/პიროვნულ საქმედ. მაგრამ აქტივისტები იბრძოდნენ, რომ შეეცვალათ საოჯახო ძალადობის მოაზრებისა და მისი მოგვარების საკანონმდებლო და ადათობრივი საფუძვლები. ამოსავალი წერტილი ამ მოძრაობისა იყო პიროვნების უფლება, არ განიცდიდეს ძალადობას. კანადაში დიდ წარმატებას მიაღწია საოჯახო ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლამ (ქალთა საერთაშორისო ქსელი, 2001). კანადაში თეთრი ბაფთის (საერთაშორისო) კამპანია (White Ribbon Campaign) წამოიწიეს, როგორც საჯარო ღონისძიება, მაჩვენებელი საზოგადოების ძალისხმევისა (მით უმეტეს, რომ ამ საქმეში მამაკაცებიც მონაწილეობდნენ), ბოლო მოელო ქალებზე ძალადობისთვის (კაუფმანი, 2001). გარდა ამისა, უფრო მეტი და მეტი ადამიანი, ორგანიზაცია და მთავრობა აცნობიერებს სოციალური პრობლემების და ოჯახური ძალადობის კავშირს ბევრ სხვა სოციალურ სენთან.

უფლებებზე დამყარებული მიდგომა შეიძლება გამოსადეგი იყოს, მაგრამ მასაც აქვს თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. როგორც არ უნდა იყოს, თუ ის ეფექტურია, მან უნდა გააძლიეროს ადამიანები, გამოხატოს მათდამი თანადგომა და დაეხმაროს მათ საკუთარ მომავალზე ზრუნვაში. ავად სახსენებელ გაძლიერების კონცეფციას ზედმეტად ხშირად მიმართავენ; თუმცა, მისი გულის გული იდეა იყო უთანასწორობასთან, ძალაუფლების იერარქიებთან და უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. გუტიერესი და თანაავტორები (1998) გაძლიერების პრაქტიკაში გამოყენების სპეციალურ გზებს გვთავაზობენ. ეს გზა ემყარება ისეთ პრინციპებს როგორცაა: უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა, პიროვნების ჰოლისტიური მოაზრება, საკუთარ ძალებში დამარწმუნებელი დახმარების პროცესი (რომელიც გვიჩვენებს „ურთიერთობის ძალის,“ და არა „ურთიერთობაზე ძალადობის“ მოდელს). ბოლოს აქვე ლაპარაკია იმ მრავალნაირ როლზე, რომელიც სოციალურმა მუშაკებმა უნდა იკისრონ გაძლიერების პრაქტიკაში.

### *მონაწილეობა*

თავისთავად მონაწილეობა ერთდროულად არის საშუალება და მიზანიც. მონაწილეობა თანამშრომლობს სოციალურ ერთსულოვნებასთან, აუმჯობესებს მას და მიზნად ისახავს გაათანაბროს ძალაუფლების იერარქიები. მონაწილეობის გაგებისთვის მთავარია ძალაუფლების განაწილების და გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების დემოკრატიული პრინციპები. მაგრამ კორნუალი (2002) აგრეთვე გამოჰყავს (განსაკუთრებით გენდერული) თანასწორობის მნიშვნელობას მონაწილეობრივი მიდგომაში.

1970–იან წლებში პოპულარული გახდა განვითარების ფარგლებში *თემის მონაწილეობა*. მაშინ დაისვა ფუნდამენტური შეკითხვები, მათ შორის, ვინ უნდა განსაზღვროს განვითარების შედეგები და რამდენად უნდა იქნას ადგილობრივი ცოდნა გამოყენებული? ამ დროს ფრეიერის (1970) იდეები იმის შესახებ, რომ განათლება ემანსიპაციას იწვევს, ზეგავლენას ახდენდა სხვადასხვა პროფესიულ პარადიგმაზე/მოდელზე. თემის მონაწილეობა იყო იმ მიდგომის მკვეთრი, „თავდაყირა ამოტრიალება“, რომელიც განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი ცოდნის გამოყენებას და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას. ჩემბერსს ხშირად მიიჩნევენ განვითარებაში მონაწილეობრივი მიდგომის დამფუძნებელ მამად. ის ამტკიცებს, რომ დემოკრატიული და მონაწილეობრივი მეთოდები აუცილებელია სოციალური მდგრადობისთვის და აცხადებს, რომ სიღარიბე გარდაუვალი კი არ არის, არამედ, უფრო სოციალური ქმედების პრობლემაა (1997). ჩემბერსის აზრით, პროფესიონალებს აქვთ ტენდენცია ზედმეტად გაამარტივონ კომპლექსური საკითხები. ამან კი განაპირა რეგიონების თემებში ცუდად მორგებული პროგრამების განვითარება. მონაწილეობისეული მიდგომა ახლა მთავარ მიმართულებად იქცა. მას ისეთი სხვადასხვაგვარი ჯგუფები მოიხმარენ, როგორც გახლავთ მსოფლიო ბანკი და სათემო ორგანიზაციები. ამ მიდგომამ მთავრობისა და კერძო სექტორის პოლიტიკაშიც კი გამოიხატა გზა. იმ ორგანიზაციების უმრავლესობა, რომელთაც უნდათ, რომ სერიოზულად გამოიყურებოდნენ მრავალფეროვან სოციალურ ნუსხაში, არ გეგმავენ ისეთ პროგრამებს და პოლიტიკას, რომელიც (ქალაქზე მაინც) არ უჭერს მხარს მონაწილეობრივ მიდგომას.

მონაწილეობრივი მეთოდოლოგიის ოპონენტები, მათ შორის კრეიგი და პორტერი (1997), ამტკიცებენ, რომ მონაწილეობრივი ბევრი მიდგომა მხოლოდ გარეგნულად არის ინკლუზიური; სინამდვილეში კი კონტროლის არსებულ სისტემებს უფრო ამყარებს. არსებითად, თუ მონაწილეობა ნიშნავს თემის ლიდერისთვის დამატებითი ხმის უფლების მიცემას, მიდგომა არც ძალაუფლების სტრუქტურას ცვლის თემში და არც ყველაზე მონყვლადი ადამიანების მოსაზრებას იძიებს. თავად ჩემბერსი (1997) მიუთითებს მონაწილეობრივი მიდგომის ერთ ხარვეზზე, იმაზე, რომ მან შეიძლება გააძლიეროს ძალაუფლების არსებული სტრუქტურა. ის კითხულობს, თუ როგორ შეიძლება დაჩაგრულთა ხმების გაგონება, თუ სერიოზულად აღქმა და რა მოჰყვება ძალაუფლების დინამიკის შეცვლას. ჩემბერსი კითხულობს – შეუძლია თუ არა გარეშე პირს გაიგოს თემის შიდა დინამიკა; როგორ ზეგავლენას მოახდენს ძალაუფლების იერარქიებზე მათი ურთიერთქმედება კონსენსუსის მიღწევის პრაქტიკასთან? (1997).

## XIII

სოციალური ადვოკატობა

## სოციალური მუშაკი, როგორც სოციალური ადვოკატი

ნინო შატბერაშვილის მიერ

**ადვოკატობის მოვალეობა სოციალურმა მუშაკებმა ისტორიულად იკისრეს და წარმატებითაც ახორციელებდნენ მას,** განსაკუთრებით კი წინა საუკუნის დასაწყისში. სოციალური მუშაკები აქტიურად იბრძოდნენ ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის, ქალთა ქონების ფლობის უფლებისათვის, თანაბარი ხელფასებისათვის. პაციფისტთა მოძრაობაც, რასაც ღვანლომოსილი სოციალური მუშაკები ახორციელებდნენ, გარკვეულწილად ხომ უფლება დაცვითი ხასიათის მატარებელია.

**ადვოკატობის მისია ჩვენს დროშიც ხაზგასმულია სოციალური სამუშაოს ყველა საერთაშორისო შეთანხმებებში.** მაგალითად, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ სოციალურ მუშაკთათვის ჩამოყალიბებულ გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებთან გამკლავების ხუთ ელემენტს შორის ადვოკატობა უმთავრესია (შატბერაშვილი, 2011). წარმოგიდგინთ ხუთივეს:

1. 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უნივერსალური განათლებისადმი ხელმისაწვდომობა;
2. დასაქმების ხელშეწყობა (განსაკუთრებით მათთვის, ვინც „ღია“ შრომის ბაზარზე დისკრიმინირებულია ან დისკრიმინაციის რისკის წინაშეა);
3. სოციალური დაცვის ლობირება და სოციალური დაცვის პროგრამებში წვლილის შეტანა იმ ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად, რომლებსაც არ ძალუძთ თავად დაიცვან საკუთარი უფლებები (მაგ., ასაკის ან უუნარობის გამო);
4. ბავშვთა დაცვა გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად;
5. ახალი ინიციატივების განვითარება მოქალაქეთა მონაწილეობისა და მათი უფლებამოსილების გაზრდის საფუძველზე.

დამეთანხმებით, რომ თითოეული არის ადვოკატობის ელემენტების შემცველი, ზოგიერთი კი ექსლუზიურად ადვოკატობის განხორციელებას გვავალებს. **ადვოკატობის ფუნქცია არ არის ლოკალური პროფესიული ვალდებულება, ის საერთაშორისო პროფესიული მისიაა, რომელიც არ უნდა გახუნდეს დროსა და სივრცეში.** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს პროფესიულ მისიას კი არ ვახორციელებთ, არამედ უბრალოდ სამსახურებრივ მოვალეობას.

სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსის მიხედვით კი, ადვოკატობა არის ამ პროფესიის წარმომადგენელთა ძირითადი პროფესიული ვალდებულება. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით კი:

*სოციალური სამუშაოს ძირითად მისიას წარმოადგენს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება და მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ფენების კეთილდღეობაზე ზრუნვა.*

რამდენად ვახორციელებთ ჩვენ ამ მისიას? გვევალება კი ეს ჩვენ ჩვენი დასაქმების ადგილზე? თუ მიუხედავად იმისა გვევალება თუ არა ის მაინც ჩვენი პროფესიული ვალდებულებაა? მოდით შევეცადოთ ქართული სინამდვილის გააზრებას ამ მიმართულებით:

ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საქართველოს საზოგადოების დიალოგის გაუმჯობესება სოციალური სამუშაოს პოლიტიკის განსავითარებლად“ ფარგლებში სოციალური სამუშაოს სიტუაციურმა ანალიზმა, რომლის მიზანი იყო საქართველოში არსებული სოციალური სამუშაოს მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ცხადყო, რომ დამქირავებელთა მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტს აქვს წაყენებული დაქირავებულ სოციალურ მუშაკთა სამუშაო აღწერილობაში ადვოკატობის მოთხოვნა. უფრო მეტიც, ზოგიერთი დამქირავებელი, პოლიტიკური თუ ინსტიტუციური სარგებლის მოპოვების მიზნით, ერიდება აგრესიული პოლიტიკის გატარებას ბენეფიციარის ინტერესების დასაცავად. სოციალური მუშაკიც დგას ორგანიზაციული მოთხოვნების ტყვეობასა და პროფესიულ ეთოსს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე. ეს კი საკმაოდ რთული არჩევანია. თუმცა იგი ჩვენი გასაკეთებელია პროფესიის განვითარების ამ საწყისს ეტაპზე. გამოდის, რომ ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა არ გავახუნოთ ეს ფუნქცია და გამუდმებით ვასწავლოთ დაინტერესებულ პირებს რა არის ნამდვილი სოციალური სამუშაო, რას გულისხმობს ის, და რამდენად დიდი ადგილი უჭირავს პროფესიული ფუნქციის განხორციელებაში ადვოკატობას.

შნაიდერისა და ლესტერის (2001) მიხედვით, ადვოკატობა სოციალურ სამუშაოში არის მომსახურების მიმღების (მიმღებების) ან მიზეზების ექსკლუზიური და ერთობლივი წარდგენა ფორუმზე, უსამართლო და უპასუხისმგებლო სისტემაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სისტემატიური ზემოქმედების მოხდენის მიზნით.

რადგან სოციალური სამუშაოს მისიას წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანზე ზრუნვა, არამედ ადამიანზე და მის სოციალურ გარემოზეც, ლითონერ-ფელნერი და პეტრი (1997) ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ „სოციალური

სამუშაოს პროფესია მიიჩნევს ბენეფიციარის ადვოკატობას ეთიკურ პასუხისმგებლობად და სოციალური მუშაკის ძირითად ფუნქციად“. გროსერის აზრით (1965), მართალია ადვოკატობა სამართლის სფეროდანაა კოოპტირებული, მაგრამ სოციალური ადვოკატი უნდა იყოს არა მხოლოდ უფლება დამცველი, შუამავალი, ექსპერტი, კონსულტანტი, მეგზური ან სოციალური თერაპევტი, არამედ „სოციალური კონფლიქტის პარტიზანი“. ბრაიარმა (1968) კი ადვოკატობა სოციალურ სამუშაოში შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიაში განათავსა. აი რა დიდია ადვოკატობის როლი ჩვენს პროფესიაში.

### **რითია განპირობებული სოციალური მუშაკის სურვილი გახდეს უფლება დამცველი**

მოდით შევეცადოთ გავიაზროთ რა ამოძრავებს სოციალურ მუშაკს, როდესაც ის უფლება დამცავი ხდება? ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, ლესტერი და შნაიდერი (2001) კი ასეთ კლასიფიკაციას გვთავაზობენ:

- *გალიზიანება, რომელიც ახლავს არასასიკეთო ცვლილებებზე ორიენტირებული სამუშაოს შესრულებას;*
- *სასიკეთო ცვლილების ინიცირების გამოცდილება;*
- *ჩაგვრისა და დამცირების პირადი გამოცდილება;*
- *სოციალური ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ზეგავლენა;*
- *თვით-რწმენა, რომ შეგვიძლია სასიკეთო ცვლილებების კეთება ადამიანთა საკეთილდღეოდ.*

დაუცველი ადამიანების ინტერესთა დაცვა კი განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან. დაუცველობის ფაქტორი ორგანოა:

- *გარემოთი გამოწვეული და*
- *პიროვნული უნარებით გამოწვეული.*

ზოგიერთ შემთხვევაში პირველი დომინირებს, ზოგიერთში კი მეორე. ისეთი სიტუაციებიც ხშირია, როდესაც ორივეა სახეზე. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ადამიანს არ აქვს გააზრებული საკუთარი უფლებები და საჭიროებები, რაც ამ უფლებებით სარგებლობას მოითხოვს. სოციალური მუშაკის ვალია იგი მას დაეხმაროს ამ უფლებებში გათვითცნობიერებაში და ასწავლოს საკუთარი უფლებებით სარგებლობა საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

საჭიროების კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ზოგს ენიჭება უფლება ისარგებლოს სოციალური მომსახურებით, ზოგს კი არა ეთიკური განსჯის საკითხია იმის შესახებ, თუ რა სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია სოციალური პრობლემების გადაჭრისა და მწირი რესურსების ეფექტიანად და სამართლიანად გადანაწილებაში. პროფესიული პასუხისმგებლობის გააზრების შემდეგ

კი სოციალური ადვოკატობის ანბანის ცოდნაა საჭირო. რაც უფრო კარგად ვფლობთ ადვოკატობის ტექნიკას, მით უფრო ეფექტიანად ვასრულებთ სოციალურად დაუცველთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ვალდებულებას.

**ადამიანის საჭიროებების თემა არსებითია სოციალური მუშაკებისათვის,** რადგან მათი დაუკმაყოფილებლობა ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხარისხი მცირდება, მას გადარჩენის ან განვითარების საფრთხე ემუქრება. სხვადასხვა ასაკში ეს თემა განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, ბავშვების საჭიროებებზე საუბრისას იგი კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან ბავშვობა ცხოვრების ის პერიოდია, განსაკუთრებით კი ადრეული ბავშვობა, რომლის განმავლობაშიც დაუკმაყოფილებელი საჭიროებების კვალი მთელი ცხოვრების განმსაზღვრელია (შატბერაშვილი, 2010).

მოდით ჯერ ჩამოვყალიბდეთ თუ **რისთვის გვჭირდება ჩვენ ადამიანთა საჭიროებების ცოდნა?** იმისათვის, რომ ვიზრუნოთ სხვა ადამიანზე, დავიცვათ მისი ინტერესი და უფლებები აუცილებელია ჯერ მათი საჭიროების განსაზღვრა. ამავე დროს არა მხოლოდ საჭიროების დაუკმაყოფილებლობაა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის შემცველი, არამედ დეფიციტის ხარისხიც. რასაკვირველია ყველა საჭიროების გაზომვა თანაბრად ადვილი არ არის, მაგალითად, მენტალური ან განათლების საჭიროების გაზომვა ისე ზუსტად, როგორც საკვები საჭიროებისა რთულია. თუმცა, ნორმალური გონებრივი შესაძლებლობების ზღვარი დადგენილია ყველა ასაკისათვის. უფრო რთულია ემოციური საჭიროებების დადგენა, რადგან ეს ძალიან პირადულია, შესაბამისად ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და მათი დაკმაყოფილება არ ექვემდებარება საერთო „მკურნალობას“ (არლტი, 1933). ჩვენ უნდა ვინტერესდებოდეთ არა მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლითაც ადამიანები შეძლებენ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, არამედ იმ საშუალებებითაც, რომლითაც ისინი არა-საბაზისო საჭიროებების – სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას შეძლებენ.

იმისათვის, რომ **დავაკმაყოფილოთ ადამიანის საჭიროებები გვჭირდება მატერიალური რესურსები, დრო და ცოდნა** (არლტი მეისთან და პენტისეკთან, 2009). გარდა მატერიალური რესურსების დეფიციტის გამო გამოწვეული დაუკმაყოფილებელი საჭიროებებისა, ბევრია ისეთიც, რომელიც ერთის მხრივ ადამიანის საჭიროებების შესახებ უცოდინრობის, ან ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ეფექტიანი გზების არ ცოდნითაა გამოწვეული. რადგან შევთანხმდით, რომ საჭიროებების დაკმაყოფილებას გარდა სურვილისა ცოდნა სჭირდება, მოდით სოციალური ადვოკატობის ანბანის შესწავლას შევუდგეთ.

## სოციალური ადვოკატობის განხორციელების დონენი

სოციალური ადვოკატობა სამ დონეზე ხორციელდება:

- ინდივიდისა და ოჯახის დონეზე;
- სისტემისა და პოლიტიკის დონეზე და
- საკანონმდებლო დონეზე.

### ადვოკატობა ინდივიდისა და ოჯახის დონეზე

**„ბენეფიციარის დაცვის“ საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდს ან ოჯახს არ ძალუძს საკუთარი ძალებით დაიცვას თავისი ინტერესები და საჭიროა ჩარევა მათ გარემომცველ „სისტემაში“.**

ინდივიდისა და ოჯახის დაცვის ელემენტები სამ ძირითად კატეგორიად ხარისხდება: შეფასება, დაგეგმვა და ქმედება.

**შეფასება,** როგორც დაცვის პირველი საფეხური მოითხოვს ბენეფიციარის მდგომარეობაში ზედმინვენით გარკვევასა და პრობლემის არსში ჩანვდომას. ამისათვის აუცილებელია შევავსოთ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, მოვახდინოთ პრობლემის კონცეპტუალიზაცია იმგვარად, რომ მის გადასაჭრელად რეალური სამუშაო გეგმა შევიმუშაოთ. თუ მრავალ-პრობლემიან სიტუაციასთან გვაქვს საქმე, ავწონ-დავწონოთ რა უნდა იყოს პირველი ნაბიჯი (შატბერაშვილი, 2008).

შეფასება გულისხმობს, იმის განსაზღვრასაც თუ რა შეუძლია ბენეფიციარს გააკეთოს საკუთარი თავისთვის საკუთარი ძალებით. ამისათვის აუცილებელია:

- გამოვიყენოთ მისი ძლიერი მხარეები;
- შევავსოთ შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებლად იმოქმედოს ჩვენი რჩევებისა და წარდგენის გარეშე;
- აქვს თუ არა მას გამომუშავებული ისეთი აუცილებელი უნარ-ჩვევები, როგორცაა ტოლერანტობა სიბრაზისა და გაღიზიანების მიმართ;
- გვაქვს თუ არა იმის დრო, რომ ვიმუშაოთ მისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- არის თუ არა იგი საკმარისად მოტივირებული, რომ ჩაერთოს პროცესში დამოუკიდებლად ან ჩვენთან ერთად.

შეფასება ასევე გულისხმობს იმ ორგანიზაციისა ან/და ინდივიდის იდენტიფიცირებას, რომელსაც შესწევს ამ პრობლემის გადაჭრის უნარი. აუცილებელია, განვსაზღვროთ სისტემის რომელი სეგმენტია პასუხისმგებელი, რომელ

ინდივიდებს შეუძლიათ დახმარება, ან ვის შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მათზე. უნდა დავფიქრდეთ რა გაზრდის ძალაუფლების მქონეთა მოტივაციას, რომ დაგვეხმარონ.

სხვადასხვა სისტემებს სხვადასხვა მიზნები აქვთ (მაგ. ფსიქიკური ჯანმრთელობის, ბავშვთა კეთილდღეობის, განათლების, სასჯელაღსრულების და ა.შ.), მაგრამ ყველა ეს სისტემა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს უნდა ემსახურებოდეს, რაც საბოლოო მიზნამდე – მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

**დაგეგმვის პროცესი** სამი კომპონენტისაგან შედგება: მიზანი, სტრატეგია და ტაქტიკა.

**გვახსოვდეს**, რომ სამოქმედო გეგმა, პარტნიორები და სამოქმედო დრო წინასწარ განსაზღვრული უნდა გვექონდეს. ბენეფიციარი უნდა ჩავრთოთ დაგეგმვის პროცესშიც, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში თუ მისი გამოცდილება პრობლემასთან მიმართებაში მეტად ინდივიდუალურია, ჩვენ კი ამის გამოცდილება საერთოდ არ გვაქვს. მაგალითად, თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამსახურში ვართ და თავად უმრავლესობას წარმოვადგენთ, ან მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა დაცვას ვახორციელებთ და თავად არასოდეს ვყოფილვართ მომხმარებელი. აუცილებელია გავუზიაროთ გეგმა კოლეგებს, ეს გეგმის დახვეწაში დაგვეხმარება. უნდა გვექონდეს ალტერნატიული გეგმაც.

**ქმედება** საჭირო კონტაქტების დამყარებასა და სამუშაოს შესრულებას გულისხმობს. მოგეხსენებათ, რომ ყველა ცვლილება ადამიანების საშუალებით ხორციელდება, ამიტომ პრობლემის გადაჭრა დიდწილად დამოკიდებული იმაზე თუ ვის ვიცნობთ. უნდა შევეცადოთ ვიყოთ კოლეგიალური და მეგობრული და შევექმნათ რესპროკალური გარემო – დამეხმარები დაგვეხმარები.

**გვახსოვდეს**, სანამ ვინმეს დავადანაშაულებთ წარუმატებლობაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რაც მოგვეთხოვებოდა წარმატების მისაღწევად ყველაფერი შევასრულეთ.

### **ადვოკატობა სისტემისა და პოლიტიკის დონეზე**

მოდით, ახლა სისტემისა და პოლიტიკის დონეზე დაცვის მიმოხილვა დავიწყოთ.

**სისტემა რეგულირებადი ორგანიზებული საქმიანობის სფეროა, რომელშიც მოიაზრება ამავე სისტემაში მყოფ ადამიანთა და ორგანიზაციათა ზოგიერთი საქმიანობის მაკონტროლებელი ავტორიტეტისა და ძალაუფლების მქონე პირები და კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები და სუბ-**

**იექტები. პოლიტიკა კი ზოგადი ან კონკრეტული გეგმაა, რომელსაც ორგანიზაცია ან ხელისუფლება იყენებს სამოქმედო მიმართულებად.**

სოციალური სამუშაოს პროფესიის აქცენტი საზოგადოების წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემებზე უნდა კეთდებოდეს და არ უნდა შემოიფარგლებოდეს ინდივიდუალური საჭიროებების მოგვარებით. ეს კი ხშირად სისტემურ დონეზე ცვლილებების ინიცირებას მოითხოვს. ამით ვზოგავთ ჩვენს დროსა და ენერჯიას, რადგან ის რაც პრობლემურია ერთისათვის და ამავე დროს პრობლემურია ოთხმოცდაცხრამეტისთვის ასი სოციალური მუშაკის დამოუკიდებელი, თუნდაც გულანთებული ძალისხმევის შედეგადაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დამატებითი ასისათვის არ გახდება პრობლემური. ასეთ შემთხვევებში კი ძალისხმევის გაერთიანება, უფრო მობილიზებული და ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებაა საჭირო, თუნდაც უფრო დიდ დროს და რესურსების კონსოლიდაციას მოითხოვდეს.

**როგორ შევცვალოთ სისტემა?** შიგნიდან გარეთ, გარედან შიგნით, შეფასების, დაგეგმვისა და ქმედების ელემენტების მოცვით თუ ძალაუფლების მქონეთა დარწმუნებით ცვლილების აუცილებლობაში.

ცვლილების მოხდენა შიგნიდან გარეთ უამრავ გაურკვეველობას უკავშირდება, მათ შორის სამსახურის დაკარგვის რისკს, რაც დღევანდელი უმუშევრობის ფონზე კიდევ უფრო რეალისტური და საფრთხილო რისკია. არსებობს ასევე დანინაურების შანსის დაკარგვის შიში. სოციალური მუშაკებისთვის, რომლებსაც აქვთ ამბიციები მეტი აღიარება მოიპოვონ, მეტი ანაზღაურება მიიღონ, შიდა ადვოკატობის საფასური დრამატულად იზრდება, რადგან საფრთხის ქვეშ ექცევა მათი სტატუსის, უსაფრთხოებისა და ზემოთ მობილობის საკითხი.

**გვახსოვდეს**, რომ შეუპოვარი სოციალური მუშაკი ფასობს პროფესიულ წრეებშიც და მათ თვალშიც, ვისაც ის ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები ხედავენ ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობას და სურთ ამისათვის ბრძოლა, მათ უკან ხევს დამქირავებლის მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიების გატარების საფრთხის შიში, რომლისაგანაც მათ ძნელად თუ ვინმე დაიცავს. აქ პროფესიული ადვოკატობის მექანიზმის გაძლიერებაზე უნდა ჩავფიქრდეთ. იმ ქვეყნებში, სადაც ის ძლიერია, სოციალური მუშაკის მოურიდებლად სამსახურიდან დათხოვნასაც უფრო ერიდება დამქირავებელი.

ამავე დროს ბენეფიციარის სახელით საუბარი მოითხოვს იმის გათვალისწინებასაც თუ რა რესუსურსი არსებობს ორგანიზაციაში ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კეთილდღეობისათვის სახელმწიფო ხარჯების შემცირების



პოლიტიკის ფონზე სულ უფრო ძნელი ხდება ადმინისტრაციული წინააღმდეგობის გადალახვა.

*ბერკეტი, რომელიც სოციალურ მუშაკს აქვს  
ადვოკატობის განხორციელებაში*

მოდით განვიხილოთ რა ბერკეტი აქვს სოციალურ მუშაკს ხელში ადვოკატობის განხორციელებაში წარმატებისათვის. უპირველეს ყოვლისა ბენეფიციარის დაცვის ლეგიტიმურობას სოციალური მუშაკისათვის მისი პროფესიული მანდატი განაპირობებს, რადგან ეს მისი პროფესიული ეთიკის საკითხია. რასაკვირველია იმ ქვეყნებში, სადაც პროფესიული ეთიკის კოდექსი კანონიერი დოკუმენტია, და მის დარღვევას სანქციებიც ახლავს, პროფესიულად გამართლებული ქმედების დაცვის მეტი ბერკეტი არსებობს და პირიქით დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიონალს. პატის (1974) აზრით, როდესაც ადვოკატობის მისია დამქირავებელი ორგანიზაციის პოლიტიკასა და პროცედურებთან კონფლიქტშია, პრაქტიკოსი ბენეფიციარის ინტერესებს ორგანიზაციულზე მაღლა უნდა აყენებდეს. ეს მისი პროფესიონალიზმის გამოხატულებაა ავტომატურად.

ადმინისტრატორების მხრიდან ბიუროკრატიული პოლიტიკისა და პროცედურების შენარჩუნების მცდელობა მათი პროფესიული და/ან თანამდებობრივი როლის დაცვას ემსახურება, რაც ჩვენგან არ მოითხოვს ჩვენი როლის უმაღლეს უგულვებლყოფას. ადმინისტრატორები, რომლებიც უგულვებლყოფენ „წინა ხაზზე“ მდომი სოციალური მუშაკების მოსაზრებებს, ემსახურებიან პრობლემის გაღვივებას ნაცვლად იმისა, რომ ემსახურობდნენ მის გადაჭრას. ჩვენ კი თუ თავად უგულვებლყოფით იმას, რისთვისაც ვიბრძვით, შევეუერთდებით ამ პრობლემების გამღვივებელთა გუნდს.

*რამდენიმე ხერხი ბენეფიციარის ინტერესების დაცვისათვის*

პატი (1974) გვთავაზობს რამდენიმე ხერხს, რაც ჩვენი დამქირავებლების წინაშე ბენეფიციარის ინტერესების დაცვისას გამოგვადგება:

1. ადვოკატს უნდა შეეძლოს პრობლემის ირგვლივ საკუთარი ცოდნის გამომჟღავნება. ეს მას საშუალებას აძლევს მას მოუსმინონ და მის მიერ შეთავაზებული გამოსავალი ყურად იღონ;
2. ადვოკატს უნდა შეეძლოს მისი არგუმენტების დამქირავებელი სააგენტოს ინტერესებთან შესაბამისობაში წარმოდგენა. თუ ორგანიზაციის მისიაა სამიზნე ჯგუფების ინტერესების დაცვა, მაშინ სოციალურ მუ-

შაკზეა დამოკიდებული რამდენად ნათლად წარმოადგენს და დაასაბუთებს ბენეფიციარის ამ კონკრეტული პრობლემის მოგვარების ორგანიზაციულ მისიასთან შესაბამისობას;

3. სოციალური მუშაკი უნდა დაეხმაროს დამქირავებელს „ერთობლივი“ ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. მათ მართებთ შეახსენონ დამქირავებლებს, რომ ისინი უნდა გეგმავდნენ და ახორციელებდნენ ხალხთან ერთად და არა ხალხისთვის;
4. სოციალურმა მუშაკმა უნდა გაანათლოს ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ კოლეგები, რომლებიც ამავე უწყებაში მუშაობენ, რათა ერთობლივად ჩამოყალიბდნენ დამქირავებლისათვის პრობლემის მოგვარების შეთავაზების გეგმაზე;
5. ადვოკატობის ხარჯთ-ფექტიანობა კარგი დამარწმუნებელი არგუმენტია მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის;
6. ადვოკატობის სტრუქტურა უნდა ასახავდეს სააგენტოს ყველა უწყების კონტრიბუციის დონეს.

ბევრი სააგენტო ცვლილების მოთხოვნისადმი ლოიალური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იძულებულია ან როდესაც მისი იგნორირება აღარ ხერხდება. ზოგადად ხშირია შემთხვევები, როდესაც ცვლილების მცდელობა წინააღმდეგობას აწყდება სტატუს კვოს დარღვევის შიშით.

ბევრ სააგენტოში სოციალური სამუშაოს პრაქტიკა განსაზღვრულია მმართველი რგოლის მიერ, რომელშიც იშვიათად თუ არის წარმოდგენილი სოციალური მუშაკი. ჯეფი (1978) თვლის, რომ მენეჯერული რგოლის პრაქტიკაზე ზეგავლენა მდორე პრაქტიკის სინდრომის რაციონალიზაციას იწვევს.

ალბერტი (1983) გვთავაზობს ორგანიზაციაში დანერგილი წესებისა და რეგულაციების შესაცვლელად ფაქტების მოძიებისა და დაზუსტებისთვის კითხვებს:

- არსებობს თუ არა რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ცვლილებების გატარებისათვის სააგენტოს უფლებამოსილებას ანიჭებს?
- სააგენტოს შიდა რეგულაციები შესაბამისობაშია იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლითაც სააგენტო ოპერირებს?
- ადვოკატთა მიერ ინტერპრეტირებული რეგულაცია შესაბამისობაშია იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლითაც სააგენტო ოპერირებს?

## ადვოკატობა საკანონმდებლო დონეზე

ახლა მოდით განვიხილოთ რას გულისხმობს ადვოკატობა საკანონმდებლო დონეზე.

**საკანონმდებლო დონეზე ადვოკატობა გულისხმობს სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნას. დახვეწილი კანონმდებლობა ეფექტიანი აღსრულების მექანიზმით პრობლემების მოგვარების წინაპირობაა.**

საკანონმდებლო დონეზე ადვოკატობისათვის აუცილებელია: კოალიციის შექმნა და მოლაპარაკებების წარმოება და კომპრომისი შეთანხმების მისაღწევად საკანონმდებლო განაცხადებსა და კანონპროექტებზე.

არსებობს კანონპროექტის კანონად გადაქცევის სხვადასხვა, როგორც ხელისშემშლელი, ასევე ხელისშემწყობი ფაქტორი (შატბერაშვილი, 2007).

### ხელის შემშლელი ფაქტორებია:

- დიდი ფისკალური ცვლილებები: კანონპროექტს დასჭირდება მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების გამოყოფა;
- დიდი სოციალური ცვლილებები: ბევრი ხალხი, ორგანიზაციები და პროგრამები დაზარალებიან. მომსახურებების მიწოდების სისტემა საგრძნობლად შეიცვლება და ბენეფიციართა რიცხვი კი საგრძნობლად გაიზრდება.
- არაპოპულარული შინაარსი: კანონპროექტი ეხება იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც მიიჩნევიან უვარგის, კორუმპირებულ ან სტიგმატიზირებულ ადამიანებად.

### ხელის შემწყობი ფაქტორებია:

- მცირე ფისკალური ცვლილებები: განხორციელების ღირებულება დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.
- უმნიშვნელო ან არარსებული სოციალური ცვლილებები: შემოთავაზებული ცვლილებები მოითხოვს მინიმალურ შესწორებებს არსებულ რეგულაციებში.
- პოპულარული შინაარსი: საზოგადოება სიმპათიითაა განწყობილი ამ კანონის ბენეფიციართა მიმართ.

საჭიროა გავითვალისწინოთ კანონმდებელთა პირადი ინტერესები. წარმოდგენილ კანონპროექტს ან ინიციატივას მათთვის ან პირადი სარგებელი უნდა მოჰქონდეს ან აქტუალური იყოს სხვადასხვა მოსაზრებით: პოლიტიკური

ან სოციალური მოტივით, ან მათთვის პოპულარობის მომტანი უნდა იყოს. მეტი ფულის მოთხოვნა, მეტი ძალაუფლების ან სოციალურ მუშაკთა სამუშაო სტატუსის განმტკიცება არ არის კანონმდებელთათვის საინტერესო მოტივაცია. კანონმდებელს უნდა ამოძრავებდეს არა მარტო კანონპროექტის გატანის ჟინი, არამედ ამ განაცხადის სხვა კანონმდებელთათვის „მიყიდვის“ მოტივაცია.

საკანონმდებლო ადვოკატობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტების მინოდებას. ფაქტები პოლიტიკის შექმნის პროცესის მამოძრავებელი ძალაა. საკანონმდებლო ადვოკატობაში ორი ტიპის ფაქტია გამოსადეგი:

- ფაქტები, რომლებიც თვით პრობლემას განსაზღვრავენ, და
- ფაქტები, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას, იმ ხალხზე, ვინც ამ პრობლემით დაზარალდა ან იმ ხალხზე, ვისაც აქვს ზეგავლენა მათ გადაჭრაზე.

იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ფაქტები საკანონმდებლო ადვოკატობისთვის, აუცილებელია გვექონდეს ინფორმაცია:

- პრობლემაზე და იმ ხალხზე, ვისაც ეს კანონმდებლობა შეეხება;
- საკანონმდებლო პროცესზე;
- კანონზე;
- ფისკალურსა და პოლიტიკურ ვითარებაზე;

აუცილებელია ბენეფიციარის ან ბენეფიციართა ჯგუფის საჭიროებების რაც შეიძლება ზუსტად და ზედმინევით აღწერა. პრობლემა უნდა შეფასდეს, დასაბუთდეს, გაანალიზდეს, გამოიკვლიოს გულდასმით, აღინეროს მისი ისტორიული განვითარება და მასშტაბები, ზეგავლენა კლიენტებზე, ზეგავლენა საზოგადოებაზე და თემზე. ადვოკატები უნდა იცნობდნენ არსებულ კანონმდებლობას და აანალიზებდნენ მათ ნაკლსა და დადებით მხარეებს. სოციალურ ადვოკატს უნდა შეეძლოს დასაბუთებულად წარმოადგინოს განაცხადის უპირატესობა არსებულ, მოქმედ კანონებზე.

კანონპროექტს უფრო მეტად დამაჯერებელს ხდის და მის წარმატებას დიდწილად განაპირობებს პირადი თავდადება. ამიტომ, რაც უფრო მეტი დასაცავი ჯგუფის წარმომადგენელი სოციალური მუშაკია ჩართული სამუშაო ჯგუფში, მით უფრო დამაჯერებელია ცვლილების მოთხოვნა. ეს კი გარკვეულწილად ცვლილებას რეალისტურადაც აქცევს.

ადვოკატმა კანონმდებელს დეტალური ფისკალური პროგნოზი უნდა წარუდგინოს. კანონმდებლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ რა ხარჯებთანაა დაკავშირებული კანონპროექტის განხორციელება, რამდენია საწყისი ღირებულება, ღირებულება ერთი წლის შემდეგ, მიმდინარე ხარჯები, საჭირო აღ-

ჭურვილობა. ასევე დაანგარიშებული უნდა იყოს რა იქნება ღირებულება თუ კანონპროექტი ვერ გავა.

**გვახსოვდეს,** კანონმდებლები უპირატესობას ისეთ პოლიტიკას ანიჭებენ, რომლის გატარების მცდელობაც იყო წარსულში. ასეთი კანონპროექტების მიღების საჭიროება უფრო ადვილი დასამტკიცებელია, ვიდრე სულ ახალი ინიციატივისა.

### წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები

სოციალური ადვოკატი ძლიერი ლიდერული უნარ-ჩვევებით უნდა გამოირჩეოდეს. მას უნდა შეეძლოს არა მარტო მოკვლევა და კრიტიკული ანალიზი, არამედ სამუშაოს დელეგირება და დიდი ამოცანის პატარა-პატარა კომპონენტებად დაყოფა, რათა პროცესი უფრო ადვილი სამართავი იყოს. ადვოკატობა არის ქმედება და არა მხოლოდ საუბარი, თუმცა ადვოკატურის ჯგუფში უნდა იყვნენ ორატორული ნიჭის მქონე ადამიანებიც. ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით ჩავუღრმავებთ.

#### ჯგუფური სამუშაო

ადვოკატობის წარმატებას დიდწილად განაპირობებს ჯგუფური სამუშაო. ადვოკატობის ისტორიის მანძილზე იშვიათად თუ შევხვდებით ინდივიდუალური ადვოკატობის წარმატებულ შემთხვევებს, როდესაც ინდივიდმა შესძლო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ძალაუფლების მქონეთა დარწმუნება ცვლილების აუცილებლობაში. ადვოკატობა, განსაკუთრებით თუ ეს მარგინალურ ჯგუფებს ეხება, ჯგუფური უნდა იყოს შემდეგი 4 მიზეზის გამო:

- დემოკრატიულ სახელმწიფოში ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება თუ მას ამომრჩეველთა უმრავლესობა უჭერს მხარს;
- ადვოკატობას თავდაუზოგავი შრომა სჭირდება;
- ჯგუფური მუშაობა იდეების ტესტირების საშუალებას იძლევა;
- საზოგადოებისა და მედიის ყურადღების მიპყრობა ჯგუფებს მეტად ხელეწიფებათ, ვიდრე ინდივიდებს.

ადვოკატური ჯგუფების შემდეგი ტიპები არსებობს:

- მიზნობრივი ჯგუფები;
- სავაჭრო ასოციაციები;
- პროფესიული ასოციაციები;
- კავშირები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

- რელიგიური და ეთნიკური ორგანიზაციები;
- გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციები;
- კოალიციები;
- მრჩეველთა საბჭოები.

ახალი ჯგუფის შექმნამდე დანიშნეთ საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მოემსახურება საერთო ინტერესების გამოკვეთასა და საერთო პოზიციების დაფიქსირებას, რასაც ურთიერთთანხმებული სტრუქტურის განვითარება და სამოქმედო გეგმის შექმნა მოჰყვება. ადვოკატისათვის აუცილებელია გააფართოოს თავის მხარდამჭერთა წრე. რაც უფრო მეტი ადამიანი უჭერს მხარს ახალ ინიციატივას და რაც უფრო მეტია მათ შორის გავლენიანი პირი, მით უფრო იზრდება კანონპროექტის გასვლის შანსი. ამიტომ, კოალიციის შექმნა გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობაა.

არსებობს საკანონმდებლო კოალიციის ორი სხვადასხვა სახეობა: დროებითი, ერთჯერადი კოალიცია და ფორმალური, მუდმივმოქმედი კოალიცია. რა სახის კოალიცია ნაადგება საკითხის წარმატებით გადაწყვეტას ამ საკითხის აქტუალობის, სიმწვავისა და მოცვის მიხედვით განისაზღვრება. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც თუ რამდენად აერთიანებს ეს საკითხი კოალიციის წევრებს: ამჟამად თუ მუდამ. კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის ბრძოლა შესაძლოა კოალიციის ზოგიერთი წევრისათვის ამ ეტაპზე იყოს მომგებიანი და აქტუალური, სხვებისათვის კი ეს პროფესიული ვალდებულებაა და დროში არ ხუნდება მისი წარმატებით გადაჭრისაკენ მიმართული ბრძოლის ჟინი.

**გვახსოვდეს,** რომ მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა კოალიციის წევრთა დამოკიდებულება და თავდადების ხარისხი მოცემული საკითხის მოგვარებისადმი არ არის ყოველთვის მნიშვნელოვანი. რადგან ამ ეტაპზე ეს თავდადება არსებობს ე.ი. ამ ეტაპზე ეს ერთობაც უფრო მეტი წარმატების მომტანია ვიდრე დამოუკიდებელი ბრძოლა.

#### საკითხთა უპირატესობის დადგენის წესი

დღესდღეისობით პრობლემათა მორევში მრავლადაა სოციალური პრობლემები და შესაბამისად გვამოძრავებს სურვილი იმისა, რომ მოვაგვაროთ რაც შეიძლება მეტი პრობლემური საკითხი თუ სიტუაცია. არადა ყოველი საკითხის მოგვარებისათვის სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვა წარმატების შანსი არსებობს. ამიტომ აუცილებელია შეგვეძლოს მოცემულ დროში და მოცემული რესურსებით უდიდესი შანსის მქონე საკითხის იდენტიფიკაცია. საკითხთა უპირატესობის დასადგენად კი შემდეგი კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ:

- საკითხის რელევანტურობა ყველასათვის, ვის ინტერესებსაც ვიცავთ;
- საკითხის წარმატებულად წარდგენის შესაძლებლობა;
- საკითხის გადაჭრა არსებული რესურსების გათვალისწინებით;

- *საკითხის დიდმნიშვნელოვნება საზოგადოებისათვის.*

**გვახსოვდეს**, ნებისმიერი პოლიტიკური ინიციატივა საჭიროებს შეფასებას. ამის გარეშე შეუძლებელია დაშვებული შეცდომების მიზეზებისა და წარმატებების ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზება. ამის გარეშე კი შეუძლებელია დაგეგმვის, პრობლემის ფორმულირების, მისი განხორციელებისა და მოქმედების ეფექტიანობის გაზრდა. შეფასების დანყება კი აუცილებელია საწყისი ეტაპიდანვე, რადგან შემდგომ ეტაპზე წინა ეტაპის მონაცემების მოპოვება შეუძლებელია. შეფასების ეტაპს დეტალურად ქვევით განვიხილავთ.

*სოციალურ ადვოკატის პროფესიული თვისებები*

მოდით ეხლა შევეცადოთ იმის გააზრებას თუ **რა თვისებები აქვს ადვოკატებს სოციალურ სამუშაოში?** შნაიდერისა და ლესტერის (2001) აზრით, სოციალურ მუშაკს ადვოკატის როლის შესრულებისთვის შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

**ქმედებაზე ორიენტირებული** – ადვოკატობა სოციალური მუშაკისაგან მოითხოვს ქმედებას, ცვლილების ინიცირებასა და განხორციელებას. ადვოკატობა არ არის უბრალოდ დამოკიდებულება ან რწმენა. სოციალურმა მუშაკმა ინიციატივა უნდა გამოიჩინოს. სოციალური მუშაკები აკეთებენ კვლევას, ქმნიან კოალიციებს, მობილიზებას უკეთებენ ჯგუფებს და თემს, მონაწილეობენ დაგეგმვაში, სტრატეგიის შემუშავებაში, გადაწყვეტილებების მიმღებებზე ზემოქმედებაში, ახორციელებენ სავლელ სამუშაოებს და გვთავაზობენ ალტერნატიულ პოლიტიკას. ადვოკატი სოციალურ სამუშაოში არის ქმედებებისა და მოვლენების „კატალიზატორი“. ჯეინ ადამსმა ერთხელ ბრძანა, რომ ქმედება ადამიანებს ჭეშმარიტებასთან აახლოვებს და მათ სიმართლის თქმის საშუალებას აძლევს (ლაური, 1975).

**უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი** – ადვოკატობა სოციალურ სამუშაოში ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლას გულისხმობს სამართლიანობის პრინციპის დაცვით. ამ როლში სოციალურ მუშაკებს უწევთ კამათიც, საჯარო გამოსვლებიც, როცა ბენეფიციარის უფლებები რისკის წინაშეა ან უთანასწორობაა დამკვიდრებული საზოგადოებაში. როგორც ფრედოლინო (1990) აღნიშნავს, ადვოკატობა ძალაუფლების, ავტორიტეტისა და რესურსების გადანაწილებას გულისხმობს, რისი ნებით დათმობაც არავის სურს.

**არანეიტრალური** – უსამართლობის, უთანასწორობის, ჩაგვრის, დისკრიმინაციის და სიღარიბის ფონზე, სოციალური მუშაკები არ რჩებიან ნეიტრალურნი განურჩევლად იმისა, რა პრობლემის წინაშეა ნებეფიციარი და

ვის უნდა მივმართოთ მის დასაცავად. პროფესიის ღირებულებები სოციალურ მუშაკს ავალდებულებს მოწყვლადთა, რისკის წინაშე მყოფთა და წარუმატებელთა მხარდაჭერას. სოციალური სამუშაოს მთავარი მისია ხომ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ფრეირის (1990:5) აზრით, სოციალური მუშაკი არ არის ნეიტრალური აგენტი, არც პრაქტიკაში და არც ქმედებაში“. ამიტომ, მაკკორმიკის (1970) აზრით, ადვოკატობა წარუმატებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თავდაუზოგავი შრომაა და სოციალური მუშაკი ვერ იქნება ნეიტრალური.

**პოლიტიკისა და პრაქტიკის დაკავშირების უნარის მქონე** – დევისმა (1993) ბრძანა, რომ ადვოკატობა სოციალურ სამუშაოში ორმაგ ორიენტაციას მოითხოვს: პოლიტიკა და პრაქტიკა. რადგან ბენეფიციართა და თავად პროფესიონალების ცხოვრებაზე მუდმივად ახდენს ზემოქმედებას სახელმწიფო თუ ორგანიზაციული პოლიტიკა, სოციალური სამუშაოს ინტერვენცია უნდა მოიცავდეს ცვლილებას როგორც პოლიტიკის, ისე სისტემისა და ბენეფიციარის დონეზე. საზოგადოებისა თუ თემის ზემოქმედებას ბენეფიციარზე პირველ რიგში კლინიკური სოციალური მუშაკები აღმოაჩენენ, რადგან სწორედ ისინი დგანან „წინა ხაზზე“. ბენეფიციარის დაუყონებლივი საჭიროების დაკმაყოფილება კი არ არის საკმარისი, როცა ამ საჭიროების გამომწვევი მიზეზები აღმოუფხვრელია.

**მომთმენი და იმედიანი** – ფრეირმა (1990) ადვოკატობა სოციალურ სამუშაოში აღწერა, როგორც „მოუთმენელი მოთმინება“. არც მოთმინება და არც მოუთმენლობა არ არის საკმარისი ადამიანის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. თუ ჩვენ მხოლოდ მომთმენნი ვიქნებით, ქმედების დრო არასოდეს დადგება; თუ ჩვენ მუდამ მოუთმენლები ვიქნებით, ჩვენ შესაძლოა ისტორიული რეალობები უგულვებლევყოთ და შესაძლებლობის რეალობა გაგვისხლტეს. ამიტომაც, სოციალურმა მუშაკებმა უნდა მისდიონ „მოუთმენელი მოთმინების“ სტრატეგიას, რადგანაც მას აქვს წარმატების მეტი შანსი ჩვენს რთულ სამყაროში. ის ასევე რეალისტურ იმედს უსახავს როგორც ბენეფიციარს, ასევე სოციალურ მუშაკს. არსებული პრობლემებისადმი ადეკვატური რეაგირების სურვილი სოციალურ მუშაკს პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლას ავალდებულებს. სოციალური მუშაკები მომსახურების მიმღებებს იმედს უსახავენ როგორც მოკლე, ასევე გრძელ ვადაში სწორედ შეუდრეკელი აქტივიზმით.

**ადამიანის გაძლიერებაზე ორიენტირებული** – სოციალური სამუშაო სცილდება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისაკენ მიმართული დახმარების პატერნალისტურ ფორმას. ადვოკატობა სოციალურ სამუშაოში გულისხმობს ბენეფიციარისათვის პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებას და ლიდერობის რაც შეიძლება მალე გადაცემას. სოციალური მუშაკები ბენეფიციარის კომპეტენტურობის განცდის გაძლიერების მიზნით ასწავლიან, არწმუნებენ და ამხნევენ მას, რომ თავად შესძლოს მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე პროცესებში. პერლმანი და ედვარდსი (1982) ადვოკატს

სოციალურ სამუშაოში ახასიათებს, როგორც პირს, რომელიც პატივს სცემს, მხარს უჭერს, იყენებს და იცავს მონაწილეთა ინიციატივას და ჯგუფის ავტონომიას.

### კომუნიკაციის უნარი

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, რაც არა მხოლოდ სოციალურ მუშაკს, არამედ ყველა უფლება დამცავს უნდა ჰქონდეს არის კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარი.

რა არის კომუნიკაცია? კომუნიკაცია გარკვეულწილად გამგზავნის მიერ მიმღებზე ზეგავლენის მოხდენის პროცესია. კომუნიკაციის პროცესი მრავალი კომპონენტისაგან შედგება. წარმოგიდგინოთ, მაგალითად „ლასველის ფორმულას“, რომლის მიხედვითაც კომუნიკაცია შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- ვინ ამბობს;
- რას ამბობს;
- ვის ეუბნება;
- რა საშუალებით;
- რა განზრახვით;
- რა ეფექტით.

**კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა არსებობს:** სიმეტრიული ან ასიმეტრიული, უნებლიე ან ნებელობითი, ვერბალური ან არავერბალური. მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

**სიმეტრიულია კომუნიკაცია,** რომელიც მასში ჩართვის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს კომუნიკაციის მონაწილეებს, მაგალითად, მეგობრების, კოლეგების ან ოჯახის წევრების საუბარი. ასიმეტრიულია კომუნიკაცია, როდესაც კომუნიკაციის პროცესში მონაწილე მხარეებს არათანაბარი მონაწილეობის საშუალება აქვთ, მაგალითად ლექცია, სატელევიზიო გადაცემა და ა.შ.

**უნებლიეა კომუნიკაცია,** როდესაც მონაწილეებს არ აქვთ გადანყვეტილი, მაგრამ მაინც უნებთ კომუნიკაცია, მაგალითად ავტობუსში, თვითმფრინავში და ა.შ. ნებელობითია კომუნიკაცია, როდესაც მონაწილეები საკუთარი სურვილით ამყარებენ კომუნიკაციას.

**ვერბალური კომუნიკაცია** მეტად სტრუქტურირებულია ვიდრე არავერბალური. მას მკაფიოდ გამოხატული დასაწყისი და დასასრული აქვს. არავერბალური კომუნიკაციისას არ ვსაუბრობთ, მაგრამ ის გარკვეულწილად მართავს კომუნიკაციის მიმდინარეობას. არავერბალური კომუნიკაცია იქამდე გრძელდება, სანამ მონაწილეები ერთმანეთის მხედველობის არეში არ-

იან. პიროვნების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის არა მარტო მისი საუბარი, არამედ მისი გარეგნობაც, ჩაცმულობაც და სხეულის მოძრაობაც.

**სოციალური ადვოკატობისას სასურველია ნებელობით ვერბალურ კომუნიკაციას მივალწიოთ.** თუმცა ეს ხშირად თითქოს შეუძლებელია. თუ ეს არ არის შესაძლებელი ჩვენ ყველა ფორმა უნდა გამოვიყენოთ მათთან კომუნიკაციისათვის, ვისთან ურთიერთობაც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ან საკითხთა განხილვისათვის გვჭირდება.

**გვახსოვდეს,** რომ კომუნიკაცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული თუ მონაწილეების აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება და ფორმა ერთნაირი ან მსგავსია. მსმენელის მიერ სიტუაციის გაგება მუდამ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს, რადგან იგი გაგების პროცესზე ზეგავლენას ახდენს. ამიტომ მნიშვნელოვანია რას და რა მიზნით ვეუბნებით მოსაუბრეს, რისი მიღწევა გვსურს.

ადვოკატობა მოითხოვს უამრავ შეხვედრებს, საჯარო დისკუსიებსა და გამოსვლებს. ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ საკითხის ზედმიწევნით ცოდნა, რაზეც უნდა ვისაუბროთ, არამედ იმის ცოდნაც როგორ უნდა წარვადგინოთ ის, რომ უფრო მისაღები და საინტერესო ვიყოთ მსმენელისათვის. რადგან დროს ვხარჯავთ შეხვედრაზე ე.ი. მონაწილეთა მომხრეებად ჩამოყალიბება ან სულ მცირე მათი ინფორმირება გვსურს საკითხის შესახებ. ამიტომაც, მოდით პრეზენტაციის ტექნიკებს გავეცნოთ.

### პრეზენტაციის უნარი

ნებისმიერი პრეზენტაციის მიზანს აუდიტორიის დარწმუნება და მოტივაცია წარმოადგენს იმ საკითხის სასარგებლოდ, რასაც ვლობირებთ. საკუთარი თავისა და სათქმელის ჯეროვნად წარდგენის გარეშე კი ჩვენი გრძნობების, დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გადაცემა მსმენელისათვის ძნელია. პრეზენტაციაზე მუშაობა შემდეგ ფაზებს მოიცავს:

- მომზადება;
- წარმართვა;
- შედეგების დამუშავება.

პრეზენტაციის შინაარსი კი მოიცავს:

- შესავალს;
- ძირითად ნაწილს;
- დასასრულს.

პრეზენტაცია მისაღმებით უნდა დავინყოთ. მისაღმების შემდეგ, შესავალ ნაწილში მსმენელს უნდა გავაცნოთ პრეზენტაციის მიზნები, თემატიკა და მიზანი. ასევე, აუცილებელია მსმენელს მოვახსენოთ პრეზენტაციის მიმდინარეობის გეგმა. ეს მათ არა მარტო ინფორმირებულ და მომზადებულ მსმენელებად აქცევს, არამედ მათ მიერ ჩვენი პრეზენტაციისათვის დახარჯული დროის გამო მათ მიმართ ჩვენს ანგარიშვალდებულებას გამოხატავს. მათ უნდა იცოდნენ როგორ არის დაგეგმილი ის დრო, რაც მათ ჩვენ დაგვითმეს.

აღბათ თავადაც გამოგიცდიათ, რომ რაგინდ საინტერესო თემაც არ უნდა იყოს მხოლოდ პასიური მსმენელის როლში ყოფნა დიდი ხნით ძნელია და აღქმის ხარისხსაც ამცირებს. ამიტომ კარგი პრეზენტატორი პრეზენტაციის დასაწყისშივე მონაწილეების მოტივირებას ცდილობს თემის ირგვლივ. ამის მიღწევა კი შესაძლებელია კითხვების დასმით, ინტერესის გაჩენით, პირადი სარგებლის აღნიშვნით, პროვოცირებით.

ამის შემდეგ გადავდივართ პრეზენტაციის ძირითად ნაწილზე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ დროს მსმენელთათვის თემის სისტემურად გადაცემა ხორციელდება. ამ ნაწილის დასასრულს აუცილებელია ძირითადი საკითხების დაჯამება.

დასასრულსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ყველაზე უფრო შთამბეჭდავია. თუ დასაწყისში თქვენ მსმენელის ყურადღების მოპოვების მიზნით მათ „განაწყენებას“ ერიდებოდით, დასასრულს შეგიძლიათ „გააბრაზოთ“ კიდევ ისინი. ამ დაპირისპირების შედეგად კი მათ მიანდოთ დასკვნების გაკეთება. თუ „მომხრეთა“ წინაშე წარადგენთ თემას, მაშინ რაც შეიძლება ანალიტიკური პრეზენტაცია უნდა იყოს, რადგან მსმენელის „მომხრეებად“ გარდაქმნაზე დროის დაკარგვა აღარ არის საჭირო. ეს დრო შეგიძლიათ საკითხში ჩაღრმავებას დაუთმოთ.

პრეზენტაციის წარმართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს გარეგნობასაც, ჩაცმულობასაც, მეტყველებასაც და ჯესტიკულაციასაც. მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ჩვენი შინაგანი განწყობა და გარეგნობა ხშირაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. გამოდის, რომ როგორც გამოიყურებით, ისეთივე იქნება თქვენი პრეზენტაციაც. გარეგნულ სახეს განსაზღვრავს აუდიტორია, რომელსაც ვხვდებით. მაგალითად, თუ სერიოზულ საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით მსმენელს ფორმალურ ვითარებაში, ამ გარემოსთან არ იქნება თავსებადი მძიმე მაკიაჟით ან მოუწესრიგებელი თმის ვარცხნილობით, გადატვირთული სამკაულებით ან ნაბახუსევი იერით გამოცხადება. ასეთ შეხვედრაზე სასურველია მსუბუქი მაკიაჟით და კლასიკური ვარცხნილობით გამოვცხადდეთ.

აღბათ არაერთხელ ყოფილხართ მდომარეობაში, როდესაც ძალიან ლამაზად და მოდურად გაცვიათ, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობთ. არის სიტუაციები, როცა ეს უხერხულობა მოთმენად ღირს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასე არ

არის. თქვენ სათქმელზე ორიენტირებული უნდა იყოთ და ამ დროს თუ იმაზე ფიქრობთ ხომ არ გიჩანთ გარდევული მაისური, ან გამოკვეთილი ხომ არ არის თქვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილები, ან გიჭერთ ფეხსაცმელი, რაც შემანუხებელი დისკომპორტია და ა.შ. თქვენს სათქმელზე ფიქრს ამ დისკომფორტთან გამკლავებისთვის დახარჯული ძალისხმევა ასუსტებს და შესაძლოა ისეთი შთამბეჭდავი ვეღარ აღმოჩნდეთ. ამავე დროს ტანსაცმელი პრეზენტაციის მიზანს უნდა შეეფერებოდეს. თუ მაგალითად, პარლამენტში უნდა წარადგინოთ პროექტი და თქვენ გახეხილ ჯინსებსა და გამჭვირვალე მაისურში მიევილინებით მსმენელს, თავიდანვე გაგიჭირდებათ მსმენელის ყურადღების მობილიზება. როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს სათქმელი, აუდიტორიაში ცოტა თუ აღმოჩნდება ისეთი, ვიზეც სტერეოტიპული წარმოდგენები არ მოქმედებს. ამიტომ, თავიდანვე დაკარგავთ მსმენელთა გარკვეულ ნაწილს.

პრეზენტაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობით კონტაქტს. ის თქვენი დავდაჯერებულობის დემონსტრირებაა. ეს კი სანდო ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს. საჭიროა აუდიტორიას თანაბრად გაუწინაწილოთ ჩვენი მზერა. ამას ვი უხერხულობაც ახლავს ზოგჯერ, რადგან ყველა ერთნაირი ინტერესით ან სიმპათიით სახეზე არ გვისმენს. ხშირად ძალიან უკმაყოფილო ან უნდობლობით განმსჭვალულ სახეებსაც ვიხილავთ. რა გინდ თავში დარწმუნებულებიც არ უნდა ვიყოთ, მაინც მოქმედებს ასეთი უარყოფითი განწყობა ჩვენზე და შესაბამისად ჩვენს სათქმელზეც. ამიტომ, განსაკუთრებით კი თუ დამწყები პრეზენტატორი ხართ (რადგან თანდათან ამ უხერხულობების დაძლევის ტექნიკას თავად გამოიმუშავებთ), შეარჩიეთ აუდიტორიაში „დადებითი პიროვნება“, რომელიც გაგამხნევებთ პრეზენტაციისას. როცა აუდიტორიას თვალს არიდებთ, მათ შეიძლება ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, რომ ან არ ხართ დარწმუნებული იმაში, რასაც ამბობთ; ან პატივისცემით არ ხართ განმსჭვალული აუდიტორიისადმი; ან ზედმეტად კონცენტრირებული ხართ სათქმელზე და სწორედ ახლა ფიქრობთ რა უნდა თქვათ შემდგომ.

პრეზენტაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს ხმას და საუბრის ტემპსაც. აღბათ შეგიმჩნევიათ კიდევ, რომ ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი ინტერესით უსმენთ ვიდრე სხვას, განურჩევლად იმისა, რას ლაპარაკობს. მოახდინეთ ხმის პროექტირება. ცვალებით საუბრის სისწრაფე და ტონი, რაც არსებითი პუნქტების გამოკვეთის საშუალებას მოგცემთ და საუბარიც ნაკლებ მონოტონური და მოსაწყენი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზენტაციის ენას. ის დიდწილად განაპირობებს მსმენელთა ინტერესს. ისაუბრეთ მარტივი ენით, რომ ყველასათვის გასაგები იყოს სათქმელი. თუ რაიმე ტერმინი დაგავიწყდათ, შეეცადეთ ის ახსნათ სხვა სიტყვებით, ამის გამო ნუ შეაყოვნებთ სათქმელს. არ შეეცადოთ დავიწყებული სიტყვის შესვლით შეცვლას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჟესტების ენასაც. პრეზენტაციისას ხელები თქვენსა და მსმენელს შორის დამაკავშირებელი საშუალებაა. ის ასევე თქვენი შინაგანი შფოთის შენიღბვის საშუალებაა. შეეცადეთ ძალიან არ გადატვირთოთ საუბარი ჟესტებით. უხერხულობის შესანიღბად ნურც ჯიბეში ჩაიყოფთ ხელებს, რადგან ეს უპატივცემულობად აღიქმება ადამიანების მიერ. ასევე აკონტროლეთ ხელებით რაიმე საგნის ან თქვენივე ტანსაცმლის ღილების ან რაიმე სხვა აქსესუარის წვალება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელების ადგილმდებარეობას. მაგალითად, თუ ხელები წელის ხაზს ქვემოთაა ეს უარყოფით გავლენას ახდენს, ხოლო თუ მკერდის ხაზს ზემოთ დადებითს, ხოლო წელის ხაზსა და მკერდს შორის ნეიტრალური გავლენის მქონეა. ეს თითქოს წვრილმანებია, მაგრამ ეს წვრილმანები საბოლოო ჯამში დიდ ზეგავლენას ახდენს მსმენელზე. ამიტომ მათი გათვალისწინება თქვენი პრეზენტაციის წარმატების საწინდარია.

**გვახსოვდეს**, ადამიანი ნაკითხულის 10 პროცენტს იმახსოვრებს, მოსმენილის 20 პროცენტს, ერთდროულად ნანახისა და მოსმენილის 33 პროცენტს, ხოლო თავად გაკეთებულის 70 პროცენტს. ამიტომ შევეცადოთ მაქსიმალურად ინტერაქტიული პრეზენტაცია გავმართოთ.

თუ წერილობით ადვოკატობას ვიყენებთ, აუცილებელია სათქმელი რაც შეიძლება მოკლედ ჩამოვაცალიბოთ. ერთ საკითხთან დაკავშირებული წერილი 1 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. მართალია მოკლედ თქმა მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ვრცლად, მაგრამ ზრდის ალბათობას, რომ წაიკითხავენ. ეს კი დროის დახარჯვად ღირს.

### სოციალური ადვოკატის როლის შესრულებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორები

მოდით განვიხილოთ რა ხელის შემშლელი ფაქტორები დომინირებენ ადვოკატის როლის შესრულებისას სოციალურ სამუშაოში? შნაიდერისა და ლესტერის აზრით (2001), ესენია:

**მომსახურების როლით პრეოკუპაცია** – ბოლო ხანებში სოციალურ სამუშაოში გამოიკვეთა უშუალო პრაქტიკის მინოდების უპირატესობა. გარე პოლიტიკაზე ზემოქმედების ნაცვლად, სოციალური სამუშაოს სააგენტოები და მათში დასაქმებული სოციალური მუშაკები თავიანთ ენერჯიას უშუალო პრაქტიკის განხორციელებას ახმარენ.

**მენეჯერული მოსაზრებები** – ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემების, ყოველდღიური სამუშაო პროცედურების, ორგანიზაციული ნორმების, პოლიტიკის, და დაუსრულებელი შემცირებების ფონზე, სოციალური სამუშაო ნაკარ-

ნახევია დე ფაქტო მენეჯერების და არა პროფესიონალების შეხედულებებით. ქმედითობა ეფექტიანობაზე მაღლა დგას.

**პროფესიული ნორმებისა და სტანდარტების ნაკლებობა** – ადვოკატობის სფერო არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და მისი განმარტებებიც მრავალნაირი და დამაბნეველია. მცირე ხილვადი და ლეგიტიმური პროფესიული ნორმები და სტანდარტები ართულებენ სოციალური მუშაკის ქმედების ადვოკატობად რანჟირებას.

**დასაქმების პირობები** – სოციალურ მუშაკთა დასაქმების პირობები აფერხებს მათ მიერ ადვოკატობის როლის რეალიზებას. მათ ჩვეულებრივ მასპინძლობს გარემო, სადაც წესები სამედიცინო პერსონალის ან სამართალ დამცავების მიერაა შემუშავებული (მაგალითად ჯანდაცვის ობიექტებზე ან სასჯელ აღსრულების ან პრობაციის სისტემაში). ეს წესები კი ვრცელდება სოციალურ სამსახურზეც და ხშირად სოციალური სამუშაოს ღირებულებების გვერდის ავლას მოითხოვს. ასეთ გარემოში სოციალური მუშაკების უნარი აწარმოონ ადვოკატობა შეზღუდულია. ასეთ გარემოში სოციალურ მუშაკს უწევს კომპრომისებზე წასვლა ბენეფიციარისა და დამსაქმებელი სააგენტოს პრიორიტეტებს შორის.

**ადვოკატობის, როგორც კონფრონტაციის გააზრება** – ადვოკატობა ხშირადაა გააზრებული, როგორც კონფრონტაცია და ამიტომაც სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან თუ სააგენტოებთან ურთიერთობების დაფუჭებისა და/ან სამსახურის დაკარგვის რისკის წინაშე აყენებს სოციალურ მუშაკს. არსებობს სოციალური ქმედებისა და ადვოკატობის დავების სტრატეგიასთან, ნორმის სტრატეგიასთან და ნორმის დარღვევის სტრატეგიასთან გათანაბრების ტენდენცია. სტრატეგიის არჩევით იქმნით პროფესიულ პორტრეტს.

**ბენეფიციარის საჭიროებებში დაურწმუნებლობა** – ბენეფიციარის სიტუაციაში გაურკვეველობა სოციალურ მუშაკს ხშირად უკარგავს ადვოკატობის სურვილს. ბენეფიციარის დამაბნეველი, ზოგჯერ პროვოკაციული საქციელი ბუნდოვანს ხდის მის საჭიროებებს და სოციალურ მუშაკს ეფექტიანი ადვოკატობის პრაქტიკის განხორციელების საშუალებას არ აძლევს.

**პროფესიონალიზმთან დაკავშირებული პრობლემები** – ისტორიულად სოციალური მუშაკები აღიარებისა და დაფასების მაძიებლები არიან. ამ სურვილს ხშირად პროფესიული გამბედაობა ეწირება მსხვერპლად, რადგან ის სოციალურ მუშაკებს ბოჭავს „რესპექტაბელური“ პროფესიის ნორმების მიღმა რაიმე ქმედების განხორციელებაში.

**სტატუსის დაკარგვის შიში** – რადგან სოციალური მუშაკების ბენეფიციარები ხშირად არიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ან ამ საზოგადოებისათვის მიუღებელი ან საზოგადოების მხრიდან დაუფასებელი ან უპატივცემულო მოპყრობის „ღირსნი“, შესაბამისად მათი სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ზოგიერთი სოციალური მუშაკი ერიდება მათ ადვოკატობას მათი სტატუსის ბენეფიციარების სტატუსთან გათანაბრების შიშით.

**სხვა შიშები** – ზოგიერთი სოციალური მუშაკი ერიდება პოლიტიკურ ქმედებებში ჩართვას, ან მას მედიის ყურადღების ცენტრში და სახალხო განხილვების სუბიექტად ყოფნას. ზოგიც ერიდება ლეგალურ სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, რაც ხშირად ადვოკატობის თანმხლებია. ზოგიერთნი კი კოლეგებთან დაპირისპირებას არიდებენ თავს. ბევრსაც სამუშაოდან დათხოვნის რისკი აფერხებს.

**ტრენინგისა და განათლების ნაკლებობა** – სოციალური სამუშაოს განათლების სისტემაში სულ უფრო შემცირდა ადვოკატობის ტექნიკის სწავლება. ადვოკატობის პრაქტიკა თითქმის აღარ ფიგურირებს სოციალური სამუშაოს კურიკულუმში. სოციალური სამუშაოს პროფესიული განათლება და პრაქტიკა დაპირისპირების ორიენტაციას ერიდება და კონსენსუსის ორიენტაციის ლეგიტიმაციისაკენ იხრება. მცირდება ასევე პოლიტიკური შინაარსის მქონე მასალის შემცველობა სოციალური სამუშაოს კურსებში, უშუალო პრაქტიკის ინტერვენციის მეთოდისაკენ აშკარა გადახრის ფონზე.

**ინტერვენციის სტრატეგიის არაპოპულარობა** – ერთ-ერთი ბარიერია ასევე სოციალურ სფეროში სახელმწიფო ინტერვენციის არა-პოპულარობა. ბევრი მოქალაქისა თუ სფეროს ექსპერტის აზრით, სახელმწიფო კეთილდღეობის პოლიტიკა არ არის ეფექტიანი, არ არის სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული და არ ემსახურება შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას.

**ადვოკატობის არსის გაუაზრებლობა** – ხშირად ადვოკატობის არსი გაუაზრებელია. ადვოკატობა არის საქმიანობა, რომელიც მოითხოვს მოთმინებას, შეუდრეკელობას, გრძელ ვადიან თავდადებას, ენერგიას, მხარდაჭერას, კვლევას, პოლიტიკურ უნარ-ჩვევებს, ცოდნას სახელისუფლო მოწყობის შესახებ, ანალიზის უნარს. ზოგჯერ კომპრომისზე წასვლაცაა საჭირო. ადვოკატობით ხშირად შეუძლებელია საკითხის სწრაფი მოგვარება. ეს უნარები კი არ არის სოციალურ მუშაკთა უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელი. თანაც, ისინი განვითარებასაც ადვილად ექვემდებარებიან.

### სოციალური ადვოკატობის საასპარეზო სივრცე

**სად აწარმოებენ სოციალური მუშაკები ადვოკატობას?** ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადვოკატობასაც გაუფართოვა ასპარეზი. ინტერნეტის განვითარებამ გააფართოვა ადვოკატურისათვის ასპარეზი. პირისპირ შეხვედრების აუცილებლობა ჩაანაცვლა ელექტრონულ სივრცეში კომუნიკაციის შესაძლებლობამ. რაზეც ადრე იხარჯებოდა დრო, ეხლა შესაძლებელია ის რაოდენობის ზრდასა და ხარისხის დახვეწას მოვახმაროთ. ინტერნეტი გასაოცარი საშუალებაა სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად. მისი საშუალებით არა მარტო ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაა შესაძლებელი, არამედ კოალიციების შექმნაც. შესაძლებელი გახდა სატელეფონო კონფერენციების მოწყობაც. ეს ინ-

ფორმაციისა და მხარდაჭერის მოპოვების შანსს ზრდის სხვადასხვა საადვოკატო პროექტებისათვის, კვლევის ჩატარებისათვის, პრობლემების გადაჭრაში სხვათა მონაწილეობის მოპოვებისათვის. ამიტომ პრაქტიკოსებს სჭირდებათ ტექნოლოგიური პროგრესის ფეხდაფეხ სიარული. კასტელის თქმით, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, სხვადასხვა ერების და კულტურების გამაერთიანებელი ახალი ქსელების/კავშირების ჩამოყალიბება ქმნის მეოთხე სამყაროს. ეს კი უცილობლად გააჩენს ბევრ „შავ ხვრელს“ (ტერმინი კასტელისაა), ანუ უფლებანართმეულ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ ახალ ქსელში ჩართვა. ამიტომ სოციალურმა მუშაკებმა უნდა იზრუნონ ციფრული დაყოფის აღკვეთაზე. ისინი უნდა შეეცადონ სხვაობის შემცირებას იმ ადამიანებს შორის, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ტექნოლოგიური მონაპოვრები და ვისთვისაც ეს ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია.

### შეფასება სოციალურ ადვოკატობაში

**როგორ შევასწავლოთ ჩვენი ადვოკატობის ძალისხმევა? და რაში გვჭირდება შეფასება?** ეფექტიანი სოციალური სამუშაო გულისხმობს საადვოკატო ძალისხმევის სარგებლიანობისა და მიღწევების რეგულარულ შეფასებას. გვჭირდება ვიცოდეთ რამდენად მივალწიეთ დაგეგმილ მიზანს, რამდენად ეფექტიანი იყო გუნდური მუშაობა. თუ წარუმატებელი იყო რა არის ამის მიზეზი. კმაყოფილები დარჩნენ თუ არა დაცვის სუბიექტები. ამ კითხვებზე პასუხები დაგვეხმარება გავიაზროთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, გავზომოთ ჩვენი მიღწევები წარმატების ინდიკატორებთან მიმართებაში, გავიაზროთ რა არის შესაცვლელი.

**როგორ დავინყოთ შეფასება?** შეფასება უნდა დავინყოთ იმის განსაზღვრით თუ რისი შეფასება გვსურს. ჩვეულებრივ, პროგრამის ან ინიციატივის დასაწყისშივე ჩამოვყალიბებთ მიზნის მისაღწევად საჭირო გავზომვად ამოცანებს რასთან მიმართებაშიც გავზომავთ ჩვენს ქმედებებს პროექტის ან ინიციატივის განმავლობაშიც და დასრულებისასაც.

ალტმანის (1994) მიხედვით, სოციალური სამუშაოს ადვოკატობის შეფასება სამგვარად შეიძლება:

- პროცესის გაზომვით;
- შედეგის გაზომვით და
- ზეგავლენის გაზომვით.

მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:

**პროცესის გაზომვა.** პროცესზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ რამდენად კარგად განხორციელდა ადვოკატობის პროცესი. რამდენად სწორად



წარმართა იგი? საკმარისი იყო თუ არა დაგეგმილი რესურსის გამოყენება? ეფექტიანი იყო კომუნიკაცია? ჰქონდა თუ არა მას საზოგადოების მხარდაჭერა? ადეკვატური იყო ხელმძღვანელობა? სხვა ჯგუფებმა თუ გაგინათ მხარდაჭერა? რა ხდებოდა კრიტიკული მოვლენებისას?

**შედეგის გაზომვა.** შედეგებზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ რამდენად მიაღწია ადვოკატობის მცდელობამ სპეციფიკურ მიზნებს. ეს ჩვეულებრივ კონკრეტული და რაოდენობრივი მონაცემებია:

- *მინოდებული მომსახურებების ტიპი და სიხშირე. რამდენი შეხვედრა ჩატარდა? რამდენი ახალი მომსახურებაა ახლა ხელმისაწვდომი?*
- *საზოგადოების ან ჯგუფის ქმედებები. რამდენი გაფიცვა მოეწყო? რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ფორუმში? რამდენი მიტინგი გაიმართა ლიდერების მიერ?*
- *ცვლილებები პროგრამაში. განხორციელდა ცვლილებები პოლიტიკაში და/ან კანონმდებლობაში? დაინერგა ახალი მომსახურებები?*
- *ხელმისაწვდომობა მომსახურებებზე. უფრო მეტ ბენეფიციარს მოემსახურეთ? რა იყო ბარიერები?*
- *მიღწეულ შედეგთა რაოდენობა. პროგრამის ან ინიციატივის შედეგების გადახედვა და პროგრესის ჩანაწერების გაკეთება.*

**ზეგავლენის გაზომვა.** ზეგავლენის გაზომვაზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ რამდენად განხორციელდა ადვოკატობის შედეგად რეალური ცვლილებები. ამ შედეგების გაზომვა კი საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, რაც პროგრამის ან ინიციატივის დაწყებამდე უნდა შეგროვდეს.

შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბაზის შექმნა, რაც გულისხმობს როგორც მონაცემების, კვლევის, აქტიუალური ინფორმაციის ანკეტირებას, ასევე შეხვედრების ოქმების, ცნობილი და გავლენიანი ადამიანების მოსაზრებების დაფიქსირებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურებების მიმღებთა კმაყოფილების თუ საჩივრების ჩანერას.

### **დამოკიდებულება შეცდომებისადმი**

შეფასებისას რეალურად ხდება მთავარი: ჩვენ ვაანალიზებთ ჩვენს შეცდომებს. იმის მიხედვით თუ რა დამოკიდებულება გვაქვს შეცდომებისადმი შეგვიძლია ის ავირიდოთ ან ისევ დავუშვათ.

**როგორია თქვენი დამოკიდებულება შეცდომებისადმი?** ალბათ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ის აუცილებლად მოგვივა როდესმე. ეს განსაკუთრებით მართალია ჩვენი პროფესიის წარმომადგენელთათვის, რადგან საქმე გვაქვს

მუდმივ ცვალებად გარემოსთან, განსხვავებული მოცემულობის ადამიანებთან სხვადასხვაგვარი პრობლემებით, მათ განსხვავებულ დამოკიდებულებებთან ამ პრობლემებისადმი და განსხვავებულ შესაძლებლობებთან მათი გადაჭრისათვის. ამიტომ მთავარია ჩვენ ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ როგორ უნდა ავიცილოთ შეცდომა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ როცა მას დავუშვებთ.

**გვახსოვდეს**, რომ ჩვენს შეცდომებში სხვა არ უნდა დავადანაშაულოთ. შეცდომის გამო მიზანს არ უნდა დავშორდეთ. როგორც ზევით ვთქვით, სწრაფად ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია, და ისიც შეუძლებელია, რომ წარმატებას შეუცდომლად მივალნიოთ მუდამ. შეცდომა ახალი გამოსავლის ძიების დასაწყისია და ის ქმედების დასასრულს კი არ წარმოადგენს, არამედ მიზნისაკენ მიმავალი ახალი გზების გააზრების დასაბამია.

### **პროფესიულ სირთულეებთან გამკლავების გზები**

დგება დრო ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული პროფესიული დილემები. ძალიან სტრესულია გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს. განსაკუთრებით საქართველოში, სადაც იგი დგას რესურსების სიმწირის, საზოგადოების, მათ შორის დამქირავებლების მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშე. ადამიანებს კი სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (1983) შემდეგ გამოსავალს გვთავაზობენ:

**გადანვა და პროფესიის/სამუშაო ადგილის მიტოვება;** იმედგაცრუებული სოციალური მუშაკისათვის ეს გამოსავალი სიტუაციის გარიდებისა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩენას ნიშნავს. ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზე ეს შესაძლოა მართლაც მართებული გადაწყვეტილებაა, თუმცა ამას დრო გვიჩვენებს. ზოგჯერ ორგანიზაციიდან წასვლა უკეთესი გამოსავალია, რადგან შესაძლოა იმ კონკრეტული ორგანიზაციის მანდატია პროფესიული ფასეულობების შემზღუდველი და შემლახავი. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიიდან წასვლაა საჭირო. აქ რასაკვირველია ადამიანის ბუნებაა გადამწყვეტი: მისი რისკის გაღების ხარისხი, მისი ბრძოლის, დღევანდელი სიტუაციისა და საკუთარი ძალების რეალისტურად შეფასების, მომავლის განჭვრეტის უნარი და ა.შ.

**გადანვა, მაგრამ პროფესიაში/სამუშაო ადგილზე დარჩენა;** ზოგიერთი პრაქტიკოსი გადანვის მიუხედავად არათუ არ იცვლის პროფესიას, არამედ სამუშაო ადგილზეც რჩება. ისინი თავს სისტემის მსხვერპლად, მასთან ბრძოლაში უუნაროდ გრძნობენ. ისინი ეგუებიან იმ ფაქტს, რომ არ აქვთ სიტუაციის კონტროლის ბერკეტი. ისინი ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალური ნებეფიციარ-

ისათვის, მაგრამ უგულბელყოფენ უფრო ფართო პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ ორგანიზაციულ ნორმებს და თმობენ ადვოკატობის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში პროფესია „მონოდება“ აღარაა, ის „უბრალოდ სამუშაო“.

**„ტუნელის“ ხედვის განვითარება;** ხშირ შემთხვევაში, ისეთ სოციალურ მუშაკსაც კი, რომელიც არ არის ჯერ გადამწვარი, უვითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხმარება ბენეფიციარს ინდივიდუალურ დონეზე, მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს უფრო ფართო პლანში, უფრო ზოგადი პრობლემების მოგვარებისათვის ამკარად და დაუფარავად. ის ორგანიზაციაში რჩება, მაგრამ ის ორგანიზაციისა და თემის ცხოვრების მიღმაა. იგი ბენეფიციარზე ორიენტირებული რჩება და არ იბრძვის ცვლილებისათვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განსხვავება წინა გამოსავალთან შედარებით ისაა, რომ თუ წინა შემთხვევაში არსებობს ორგანიზაციასთან იდენტობის გრძნობა, ამ შემთხვევაში ის არ არსებობს.

**ენერჯის სადმე სხვაგან მიმართვა;** ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და უერთდება იმდენ ორგანიზაციასა და ჯგუფს, რამდენის საშუალებასაც დრო და ენერჯია აძლევს. სისტემური ცვლილების მიღწევას ისინი ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობენ. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმწიფებელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილებისათვის ბრძოლაში არ აფერხებს.

**ცვლილების ინიცირება;** ეს ცვლილებისათვის უფრო მობილიზებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთიანდებიან კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად. რეალურად განხორციელებად ცვლილებას სჭირდება სელექტიურობა, იმის აღიარება, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად მოგვარებადი არაა, და საჭიროა გონივრული არჩევნის გაკეთება. ამავე დროს არჩევანი გასაკეთებელია ცვლილების მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ყველა ცვლილება დროს მოითხოვს და ერთბაშად მიზანს ვერ აღწევს, ამიტომ ხშირად ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაა საჭირო. ხოლო ამ სვლის თანმიმდევრობა პრობლემის შესახებ ღრმა ცოდნასა და მისი მოგვარებისათვის გონივრულად დაგეგმილ ბრძოლას ითხოვს. ხშირად ეს სოციალური მუშაკები კოლეგებისაგან კრიტიკას იმსახურებენ ფართო პრობლემების მოგვარებისათვის ინდივიდუალური პრობლემების მსხვერპლად გაღების გამო.

აღბათ ხვდებით სულით მებრძოლი და უდრეკი პრაქტიკოსისათვის რომელი ვარიანტია შესაფერისი და რატომ.

ბოლოს კი მინდა პროფესიული ეგოიზმის კუთხითაც შევხედოთ ადვოკატობის საკითხს. ის მნიშვნელოვანია ყველა ჩვენთაგანისათვის, რადგან არა მხოლოდ მათი ინტერესების დაცვის საშუალებაა, ვიზეც გული შეგვტკივა,

არამედ ჩვენი საკუთარი ინტერესებისაც. ბევრი თქვენთაგანი ჩემი საყვარელი სტუდენტი ან კოლეგაა, ვისთანაც უკვე არა მხოლოდ კოლეგიალური, არამედ მეგობრული ურთიერთობაც მაქვს. ზოგიერთებთან ერთად დიდი ბრძოლებიც გამივლია, მოგებით თუ წაგებით. ისინი, კი ვისაც არ ვიცნობ დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან განსხვავებული შეხედულებებისა არ იქნებიან პროფესიული საკითხების მიმართ. ამიტომ ყველას მოგმართავთ, რომ მოდით ერთად დავძლიოთ უსუსურობისა და დაუცველობის შეგრძნება და ერთად შევებრძოლოთ არალოგიკურ და უსამართლო გადაწყვეტილებებს. გავერთიანდეთ სასიკეთო ცვლილებებისათვის და აღარ ვიგრძნოთ თავი დასტრესილად და დაუცველად.

სამართლიანი სისტემა ასარგებლებს არა მარტო ჩვენი მომსახურების მიმღებებს, არამედ ჩვენც. გამოდის, რომ ჩვენ ჩვენი თავისთვის ვლობირებთ. ადვოკატობით ჩვენს ხმას ადრესატამდე მივიტანთ და ამას გავაკეთებთ არა მარტო იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი პროფესიული ეთიკის საკითხი, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის სწორი გზა საზოგადოების სასიკეთოდ ქმედებისათვის, ამით ვზურნავთ არა მარტო სხვებზე, არამედ ჩვენს თავზეც.

## **XIV**

**საერთაშორისო სოციალური სამუშაოს  
პერსპექტივის განვითარება**

## საერთაშორისო სოციალური სამუშაოს პარსპექტივის განვითარება

პარან ლიონისა და სიუ ლორენის მიერ

[...]

### დემოგრაფიის კავშირი სოციალურ საქმიანობასთან

სხვადასხვა ქვეყნისათვის საჭირო სოციალური სამუშაოს ფორმა, ნაწილობრივ იმით განისაზღვრება, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ ქვეყანაში და როგორია საზოგადოებაში გენდერული ბალანსი და ასაკობრივი განაწილება. ის თუ როგორი ბალანსია საზოგადოების მოთხოვნებსა და რესურსების (წყლის, სახნავ-სათესი მიწის, საძოვრების, გაზისა და ნავთობის) მიწოდებას შორის მნიშვნელოვნად განაპირობებს, თუ როგორ პირობებში იცხოვრებს ხალხი. მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა და ზრდის ტემპი, ისევე, როგორც მოსახლეობის მატება ან კლება ცალკეულ ქვეყნებში, ქმნის სირთულეებს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და სახელმწიფოთა მთავრობებისთვის. გარდა ამისა, ეს ცვლილებები მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე ან სტაბილურობაზე.

მსოფლიოს მოსახლეობა 2008 წლის შუაში 6,7 მილიარდზე მეტი იყო, მაგრამ ეს რაოდენობა მნიშვნელოვანი ტემპით იზრდება (2007 წელს 1,188 პროცენტით გაიზარდა). მაგალითად, 1930 წლიდან 2000 წლამდე მსოფლიო მოსახლეობა 2 მილიარდიდან 6 მილიარდამდე გაიზარდა (CIA World Factbook, 2009). ახლახანს შემოღებული ერთი ბავშვის პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც მოსახლეობის ზრდის გაკონტროლებას ისახავს მიზნად, ჩინეთის მოსახლეობა ყველაზე დიდია და 1 მილიარდს აჭარბებს (1 330 044 544). 1,5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს უაღრესად მჭიდროდ დასახლებულ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. ამათგან უმრავლესობა ინდოეთში (1 147 995 904). შედარებით ნაკლები (153 546 896) ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ძალიან მჭიდროდ ბანგლადეშსა და პაკისტანში (172 800 048). აგრეთვე ძალიან დიდი მოსახლეობა ჰყავს აშშ-ს (303 824 640), ბრაზილიას (196 342 592), რუსეთს (140 702 096), იაპონიას (127 288 416) და მექსიკას (109 955 400). ყველა ზემოჩამოთვლილ ქვეყანას სხვადასხვა ტერიტორია უკავია, აქვს განსხვავებული ბუნებრივი რესურსები და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. ზოგი მათგანი ძალიან მდიდარია (იაპონია და აშშ), ზოგი კი არც ისე (რუსეთი). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ქვეყანაში დიდია ზღვარი საზოგადოების ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ ფენებს შორის. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა, ზემოხსენებული ქვეყნებისგან განსხვავებით, გეოგრაფიულად და დემოგრაფიულად უფრო მცირეა. აქ ყველაზე დიდი მოსახლეობა ჰყავთ გერმანიას (82 369 552), საფრანგეთს (64 059 792) და გაერთიანებულ სამეფოს (60 943 912). ხოლო ქვეყნების უმრავლესობის მოსახლეობა 10

მილიონზე ნაკლებია; მაგალითად, როგორც შვედეთის (9 045 389) და ირლანდიის (4 156 119) (CIA World Factbook, 2009).

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ეს რიცხვები მხოლოდ ნაწილობრივ ინფორმაციას გვაწოდებენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია გენდერული თანაფარდობა. მსოფლიოს მასშტაბით ერთ ქალზე 101 მამაკაცი მოდის, მაგრამ ეს თანაფარდობა სხვადასხვა სხვადასხვა ქვეყანაში და ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე. ზოგიერთ ქვეყანას მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და კუვეიტში 15-დან 49-წლამდე მოსახლეობაში ერთ ქალზე შესაბამისად 2,68 და 1,80 მამაკაცი მოდის (ასეთი მაჩვენებელი ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმიგრანტი მამაკაცების დიდი რაოდენობით). ხოლო დაბადებიდან 14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ჩინეთსა და ინდოეთში ერთ ქალზე შესაბამისად 1,13 და 1,10 მამაკაცი მოდის (აშშ-ს სტატისტიკის ბიურო, 2009). როგორც ირკვევა, ჩინეთსა და ინდოეთში ბავშვებში ბიჭებს ამჯობინებენ გოგონებს. პრესაში დროდადრო ნახავთ ჩვილი გოგონების მიტოვების, მოუვლელობის და მოკვლის ამბავსაც კი. იმ ქვეყნებში სადაც, ცოტა ხნის წინ სამოქალაქო ან მეზობელ ქვეყანასთან ომი იყო და ბევრი მამრობითი სქესის მოქალაქე მონაწილეობდა ბრძოლებში, საპირისპირო მხარესაა გადახრილი გენდერული ბალანსი; მაგალითად, სიერა ლეონესა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ერთ ქალზე შესაბამისად 0,93 და 0,98 მამაკაცი მოდის. მსოფლიოს მასშტაბით კი 65 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის თითოეულ ქალზე 1,07 მამაკაცი მოდის, მაგრამ 65 წლის ასაკის შემთხვევაში ეს ბალანსი საპირისპირო მხარეს იხრება და თითოეულ ქალზე 0,781 მამაკაცი მოდის (CIA World Factbook, 2009).

შობადობის მაჩვენებელი და ასაკობრივი გადანაწილება უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვადაგენთ, რომელიმე ქვეყნის მოქალაქეების რა ნაწილია შრომისუნარიანი და როგორია პროპორცია იმათ შორის, ვისაც ზრუნვა სჭირდება (მცირეწლოვანებიც და ხანდაზმულებიც) და ვისაც შეუძლია ამ ზრუნვის განხორციელება. მსოფლიოს მოსახლეობის 27,3 პროცენტი 0-14 წლის არის, 65,1 პროცენტი 15-64 წლის და მხოლოდ 7,6 პროცენტი არის 65 წლის და უფრო მეტის (CIA World Factbook, 2009). ტრადიციულად ბევრი ნაკლებად განვითარებული ქვეყნის დემოგრაფიული პროფილი პირამიდის ფორმის არის; მაღალია შობადობის მაჩვენებელი და ძალიან ცოტაა იმათი რიცხვი, ვინც მოხუცებულობას აღწევს. თუმცა, შიდს-ის ეპიდემიამ აფრიკის რიგ ქვეყნებში შეცვალა მოსახლეობის პროფილი; საგრძნობლად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის და იმათი რაოდენობა, ვისაც შეუძლია იზრუნოს დამოკიდებულ ბავშვებზე და მოხუცებულებზე (ლიონსი და სხვები, 2006).

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში პრობლემაა შობადობის დაბალი მაჩვენებელი. მაშინ, როცა პენსიონერი მოსახლეობის რაოდენობაც იზრდება და ის დროის მონაკვეთიც, როცა პენსიაზე გასული ადამიანები (ჩვეულებრივ, 65 წლიდან) ცოცხლობენ. ასე მაგალითად, უკანასკნელი მონაცემები გვიჩვენებს, რომ გერმანიას აქვს შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ევროპაში (8,5 ახალ-

შობილი 1000 სულ მოსახლეზე 2004 წელს). ამ სიტუაციაში სადარდებელი ხდება ზრდის მაჩვენებლის კლება, ეკონომიკური დაღმავლობა და შემცირებული და მოხუცებული მოსახლეობა (ჰარდინგი, 2006). იგივე აღწერა გვამცნობებს, რომ დიდ ბრიტანეთში ათას მოსახლეზე 12 ბავშვი იბადება და ირლანდიაში 15.2. ამ რიცხვებით და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლებით დგინდება ქვეყნის მოსახლეობის შუალედური ასაკი. ყველაზე მაღალი შუალედური ასაკი არის იაპონიაში 42,9 წელი, ყველაზე დაბალი უგანდაში 14,8 წელი (გაერო, 2007, ცხრილი 111,5, გვ 66). ტერმინი შუალედური ასაკი აღნიშნავს რიცხვს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს: როცა ერთი ნახევარი შუალედურ ასაკზე უმცროსია, ხოლო მეორე ნახევარი კი უფროსი.

დემოგრაფიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ასპექტია ურბანიზაციის პროცესი. დღითიდღე იზრდება სოფლად მაცხოვრებელთა ქალაქში დასახლების მაჩვენებელი. თუ მეცხრამეტე საუკუნეში ურბანიზაცია „დასავლური“ ტენდენცია იყო, მეოცე საუკუნეში ის აზიისა და აფრიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ნიშანია, სადაც ხალხი სოფლებიდან ქალაქში ძირითადად დასაქმების იმედით მოედინება. მაშინ როცა სოფელი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და თემის მხარდაჭერის პერსპექტივას სთავაზობს ადამიანებს, ქალაქი შეიძლება სიღარიბის ან დაავადებებისადმი მოწყვლადობისა (ცუდი კვების, ანტისანიტარიისა და სუფთა სასმელი წყლის დეფიციტის გამო) და კრიმინალის რისკის წინაშე აყენებდეს ამ ადამიანებს.

### საერთაშორისო პერსპექტივა სოციალური სამსახურების ორგანიზებაზე

მეორე თავში გამოვთქვით მოსაზრება, იმის თაობაზე, თუ გლობალიზაციამ რამდენად შეამცირა სახელმწიფოს ძალაუფლება. ეს ამკარაა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდი ბრიტანეთი ახლა არის დიდი რეგიონული დაჯგუფების – ევროკავშირის წევრი, რომელსაც თავისი პარლამენტი აქვს და ძალაუფლება იმოქმედოს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკაზე. ეს ყველაფერი ეხება სოციალურ მუშაკებსაც, რადგან შედეგად, ხდება სახელმწიფო კეთილდღეობის შეცვლა. „სახელმწიფო კეთილდღეობის“ იდეის შემუშავება განსაკუთრებით აქტუალური იყო ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (და ნაკლებად აქტუალური თანამეგობრობის უფრო დაღმარებულ ქვეყნებში, როგორცაა კანადა და ახალი ზელანდია). მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, სადაც სოციალური მომსახურება საბაზრო წესით (კერძო სექტორის მიერ), მოხალისეების ან არაფორმალური სექტორის მიერ ხორციელდება. ჩვენ ახლა უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ ყველა ეს მეთოდი.

სახელმწიფოს როლი სოციალური მომსახურების  
მონოდების საქმეში

ბრიტანული სახელმწიფო კეთილდღეობა 1940-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა, რასაც წინ უსწრებდა მნიშვნელოვანი ანგარიშის (ბევერიჯის მოხსენება, 1942) გამოქვეყნება, რომელიც მხარს უჭერდა სამსახურების შექმნას ქვემო-ჩამოთვლილი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად:

- სიღარიბე (სოციალური დაზღვევის გადასახადები);
- ცუდი ჯანმრთელობა (ჯანდაცვის ეროვნული სამსახური);
- უგულვებელყოფა (საყოველთაო განათლება);
- უსაქმურობა (უმუშევრობის შემწეობა);
- სანოლით უზრუნველყოფა (იაფი საცხოვრებელი).

ომის დროს ბავშვების ქალაქებიდან ევაკუირების გამოცდილებამ, ამ ბავშვების ოჯახებთან დაშორების შედეგებმა და მათი მინდობით აღზრდის პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ბავშვთა დაცვის საკითხი. შედეგად კი შეიქმნა ბავშვთა დეპარტამენტები (ერთ-ერთი იმ სამსახურთაგან, რომელიც შეერწყა ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური სამსახურის დეპარტამენტებს 1970 წელს და მოგვიანებით, 2008 წელს, მათი უმრავლესობა განათლების სამსახურში გადაიტანეს).

რეალურად, სახელმწიფო კეთილდღეობა (მაგალითად, ფინანსური დახმარება სოციალური დაზღვევის გზით) პირველად გერმანიაში შემოიღეს XIX საუკუნის ბოლოს. ამ ბოლო დროს სახელმწიფო კეთილდღეობა ყველაზე მეტად განვითარდა ჩრდილოეთის ქვეყნებში, როგორცაა დანია და შვედეთი, იქ მომხმარებელს მაღალი ხარისხის უნივერსალურ მომსახურებას აწვდიან. მართალია, სახელმწიფო კეთილდღეობის შექმნა და შენახვა ნაწილობრივ შეძლებული სახელმწიფოს ფუნქციაა, მაგრამ ამ საქმეში პოლიტიკური იდეალები და კულტურული ფასეულობებიც თამაშობს როლს. აქ იმ ფასეულობებზეა ლაპარაკი, რომელიც მიზნად ისახავს თანასწორობის საზოგადოების შექმნას, სადაც საბადებელი თანაბრად ნაწილდება და საზოგადოების ფენებს ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავებული შემოსავალი არ აქვთ. ამიტომაც, ისეთმა ძლიერმა ქვეყანამ, როგორცაა აშშ უარი თქვა სახელმწიფო კეთილდღეობის შექმნაზე, რადგანაც ამ სახელმწიფოს პოლიტიკაში უფრო დიდი ყურადღება ექცევა პიროვნულ ძალისხმევას და არჩევანს, ვიდრე სოციალურ სოლიდარობას.

სახელმწიფო კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ასპექტია თუ როგორი მასშტაბით ხდება მომსახურების დაფინანსება და მონოდება სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი სტრუქტურების მიერ (“ადგილობრივი სახელმწიფოს” მიერ დიდ ბრიტანეთში და „მუნიციპალიტეტის” მიერ ბევრ სხვა ქვეყანაში). ეს აშკარად ჩანს დიდ ბრიტანეთში, სადაც ბევრი სოციალური მუშაკი ახორციელებს ინდივიდუალურ სოციალურ მომსახურებას. მაგალითად, XXI

საუკუნის დასაწყისში ახალკურსდამთავრებული სოციალური მუშაკების დაახლოებით 80 პროცენტი საქმედობდა სოციალური მომსახურების დეპარტამენტში (ლაიონსი და მონიონი, 2004). დანია და შვედეთში კიდეც უფრო მეტი სოციალური მუშაკი მუშაობს მუნიციპალიტეტებში.

როგორც არ უნდა იყოს, 1980-იან და 1990-იან წლებში სახელმწიფო კეთილდღეობას ბევრი მონინაალმდევე ჰყავდა. მას ინუნებდნენ სიძვირის, მასზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების და თავისუფალი არჩევნის შეზღუდვის გამო. ეს კრიტიკა ბევრ ქვეყანაში იყო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მხარდასაჭერად გაჩაღებული მოძრაობის გამოძახილი, რომელიც, თავისთავად გლობალიზაციის ნიშანია. შედეგად, იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ყვაოდა სახელმწიფო კეთილდღეობა, ის მთლიანად არ დანგრეულა, მაგრამ სახელმწიფოს როლი უწინდელთან შედარებით შემცირდა. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფომ (ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურებიც იგულისხმება), რომელიც ყველა მომსახურებას უშუალოდ ახორციელებდა, მთელი ძალისხმევა დაგეგმვაზე, რეგულირებაზე და სამსახურების დაქირავებაზე გადაიტანა. ახლა უშუალოდ მომსახურების განხორციელებაზე კერძო და მოხალისეთა სექტორები აგებენ პასუხს. შედეგად მივიღეთ „კეთილდღეობის შერეული მოდელი”, რომელიც ახლა უფრო გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში (იხ. კარი, 2008).

კერძო და მოხალისეთა სექტორების როლი

კერძო და მოხალისეთა სექტორებს აქვთ რიგი განმასხვავებელი ნიშნები. კერძო სექტორი მოგებაზეა ორიენტირებული, რაც საკმაოდ საყურადღებოა. ხოლო მოხალისეთა სექტორს ზოგჯერ განმარტავენ როგორც „არამომგებიანს”. როგორც არ უნდა იყოს, მათ ერთნაირი მახასიათებლებიც აქვთ; მაგალითად, მათ შეუძლიათ მომსახურების ბევრი ნაირსახეობის მიწოდება (მომხმარებლებს მეტი არჩევანის საშუალებას აძლევენ). ეს კი, შეიძლება ითქვას, უკეთ პასუხობს ცვალებად სოციალურ საჭიროებებს და მომხმარებელთა მოთხოვნებს. გარდა ამისა, სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ამ ორივე სექტორს სახელმწიფო მინიმალურ სტანდარტებს უწესებს და ქირაობს მათ, რათა გადააბაროს თავისი საქმე.

დიდ ბრიტანეთში ზოგადად კერძო სექტორი შედარებით პატარაა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელ ადგილზე მომსახურების მონოდების საქმეში, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა მომსახურებაში. საპირისპირო სიტუაციაა აშშ-ში, სადაც კერძო სააგენტოები ახორციელებენ მრავალგვარ „სოციალურ მომსახურებას”. ზოგი მათგანი ქირაობს სოციალურ მუშაკებს, ხშირად კონსულტანტებსა და უშუალო პრაქტიკის პრაქტიკოსებს. მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ კერძო სექტორს უშუალოდ მომხმარებლები უხდიან

მომსახურების საფასურს, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში საფასურის ანაზღაურება სადაზღვევო სისტემითაა შეიძლება. ანაზღაურების საკითხი ზღუდავს მომსახურების ხელმისაწვდომობას და მომხმარებელთაგან გამორიცხავს ხელმოკლე ადამიანებს. ამის გამო შეიძლება შეიქმნას, რეალური ან წარმოსახვითი, განსხვავება კერძო სექტორის და სახელმწიფო ან მოხალისეთა ორგანიზაციების მიერ მონოდებულ მომსახურების სტანდარტებს შორის.

რაც შეეხება მოხალისეთა სექტორს, მას ზოგჯერ „მესამე სექტორს“ უწოდებენ და მომსახურების მომწოდებელ სააგენტოებს, ტრადიციულად, „საქველმოქმედო ორგანიზაციებად“ მოიხსენებენ (ბრიტანეთში მოხალისეთა ორგანიზაციების უმრავლესობას დღემდე ქველმოქმედების სტატუსი აქვს). თუმცა, ახლა უფრო ხშირად მათ არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGO) ან, თუ ისინი საერთაშორისო დონეზე მუშაობენ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს (INGO) უწოდებენ (მაგალითად, ოქსფამი ან საერთაშორისო ამინისტია). დიდ ბრიტანეთში ზოგიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ისტორია (მაგალითად, NSPCC და ბერნარდო'სი) XIX საუკუნეში იწყება (როცა სახელმწიფოს ჯერ არ ჰქონდა სოციალური სექტორი) და ამ ორგანიზაციების განყოფილებები, ან მათი მსგავსი ორგანიზაციები ავსტრალიასა და კანადაშიც შეიქმნა. ძირითადად ამ ორგანიზაციების როლი დიდ ბრიტანეთში მოკრძალებულია; 1990-იანი წლებიდან მათ დაეკისრათ მეტი სახელმწიფოსეული პასუხისმგებლობა მომსახურების მიწოდებაზე და სულ უფრო მეტი სოციალური მუშაკია იქ დასაქმებული. ეს ცვლილება შეიძლება შევაფასოთ, როგორც გამოძახილი მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციისა, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ან ევროპაში გავრცელებული „ძალაუფლების დეცენტრალიზაციის“ იდეისა. „ძალაუფლების დეცენტრალიზაციის“ პრინციპი გვთავაზობს, რომ გადამწყვეტილების მიღება და პასუხისმგება უნდა მოხდეს პრობლემასთან ყველაზე დაახლოებულ დონეზე. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როცა ოჯახის ან მოხალისეთა სექტორის რესურსები ვერ განვდება მოთხოვნილებებს. ეს იდეა კათოლიკური ეკლესიის სწავლებიდან მოდის და მან წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის სოციალური სისტემის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით საფრანგეთის (კანანი და ავტორები, 1982).

ამიტომ, მოხალისეთა ორგანიზაციების ისტორია და მნიშვნელობა მეტად განსხვავებულია ზოგიერთ სხვა ევროპულ ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში 1940-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული სოციალურ მომსახურებას ძირითადად მოხალისეთა სექტორი ახორციელებს. როგორც ჩანს, ამას ორი მიზეზი აქვს. ლორენცი (1994) აღნიშნავს, რომ ეს გამოიწვია (1930-იანი წლების ნაცისტური მოძრაობის გამოცდილების ფონზე) ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერების შიშმა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სოციალური სამსახურების უმართებულოდ გამოყენების მაგალითმა. იმავდროულად, ომის შემდგომ წლებში ამერიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპის

(გერმანიის ჩათვლით) აღდგენის საქმეში და იმასაც შეუწყო ხელი, რომ სოციალური მომსახურება სახელმწიფოს კი არა, მოხალისეთა სექტორს განეხორციელებინა. ამგვარი მიდგომა აგრეთვე შეესაბამებოდა გერმანელი ხალხის კულტურულ ფასეულობებს (სადაც ტრადიციულად, ნახევარი კათოლიკეა და ნახევარი პროტესტანტი), რომელიც უპირატესობას ანიჭებს ძალაუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპს.

[...]

#### *არაფორმალური სექტორის როლი*

ეს სექტორი მოიცავს რიგს რეალური ან პოტენციური დამხმარეებისა და მზრუნველებისა, ძირითადი ან დიდი ოჯახიდან დანყებული, მეგობრებით და მეზობლებით დამთავრებული. ამ წრეს აფართოვებენ უანგარო და ცალსახად მოხალისე ჯგუფები, როგორცაა სამეზობლო ასოციაციები და ახალგაზრდების ორგანიზებული ჯგუფები. როგორც წესი, სოციალური მუშაკები არ არიან ამ სექტორში „დასაქმებული“. მაგრამ ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ სოციალურმა მუშაკმა იცოდეს ოჯახის და თემის რესურსების შესახებ და მათთან შეთანხმებულად იმუშაოს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა იმ შემთხვევაში, როცა პროფესიული ინტერვენციის მთავარი სამიზნეა თემის განვითარება და არა პერსონალური ზრუნვა.

სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ ძირითადი სოციალური მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით, ეს იყო ისტორიულად მნიშვნელოვანი სექტორი ყველა ქვეყანაში. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება ბევრ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში. ნაწილობრივ ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს (მაგალითად, უკრაინას) არ აქვს საზოგადოებრივი კეთილდღეობის დიდი სამსახურების და არც არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებელი ფული. ეს აგრეთვე მნიშვნელოვანია (დიდ) ოჯახზე და/ან უფრო ფართო თემზე კულტურულ შეხედულებებთან მიმართებით. მაგალითად, კონფუციანელთა საზოგადოებაში (მაგალითად, ჩინეთში) მთელ რიგ პრობლემებზე (ბავშვის საქციელზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ცოლ-ქმრის ურთიერთობაზე) ლაპარაკი ოჯახის გარეთ სამარცხვინოდ ითვლება.

იმ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული სოციალური სამსახურები, ზოგიერთ ეთნიკურ უმცირესობაში შეიძლება არსებობდეს რწმენა, რომ უმჯობესია თითონ მიხედონ თავიანთი თემის წევრებს, ვიდრე მიმართონ უმრავლესობის „ხელისუფლებას“ ან პროფესიონალებს. ასეთი შემთხვევები შეიძლება მოხდეს, როცა რომელიმე ჯგუფი დასახლდება ახალ ადგილზე; სოციალურ სამსახურებთან ურთიერთობა შეიძლება ენობრივმა ბარიერმა შეზღუდოს და ამ ხალხმა დახმარებისთვის იმას უნდა მიმართოს, ვისაც აქვს მსგავსი გამოცდილება და მსგავსი კულტურული შეხედულებები. ეს საკითხ-

ები მსჯელობის საგანი გახდა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში. ლაპარაკია იმაზე, თუ რამდენად არიან მზად სამსახურები გაითვალისწინონ კონკრეტული რეგიონის ეთნიკური საჭიროებები და როგორ ჯობია სოციალური მუშაკების განვრთნა „კულტურათა კომპეტენციებში“.

კეთილდღეობის ეკონომიკის შერეულ მოდელზე გადასვლის საქმეში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ოჯახის და თემის რესურსების აღიარებამ და ისეთმა ჩარევამ, რომელიც გააუმჯობესებს არაფორმალურ სექტორს. ერთი ასეთი მაგალითი არის 1990-იანი წლების ბოლოს Sure Start-ის დაფუძნება დიდ ბრიტანეთში. ეს უნდა გამხდარიყო საფუძველი ადგილობრივი თემების საქმიანობისთვის, რათა დახმარებოდნენ ხელმოკლედ მცხოვრებ მშობლებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე ზრუნვაში. თუმცა, ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც საზოგადოების მილიონობით მოწყვლადი წევრისთვის პრევენციის და ზრუნვის დაფინანსების შეწყვეტა. მაგრამ მეორე მხრივ, ამით შეიძლება მოხერხდეს პიროვნებების თუ თემების გაძლიერება და იმ ძლიერი მხარეების დაფასება, რომელიც მათ აქვთ. აშკარაა, რომ ზრუნვის შერეული ეკონომიკა უნდა გულისხმობდეს არაფორმალურ სექტორსაც; საამისოდ პროფესიონალებმა უნდა განავითარონ თავიანთი უნარები და ისწავლონ ჯგუფთან და თემთან მხარდამხარ მუშაობა. ამგვარ მიდგომას სოციალური სამუშაოს კურსებზე ბრიტანეთზე უფრო მეტად ევროპის სხვა ქვეყნებში ასწავლიან.

### ოჯახების როლის და ფორმის შეცვლა

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ოჯახის მიერ თავისი წევრებისთვის ძირითადი მომსახურების მოწოდებაზე. [...] სოციალური წესრიგის ამ უმცირესი ერთეულის უნივერსალურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ითქვას ოჯახების ფუნქციისა და ფორმის შესახებ. ეს ყველაფერი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და აგრეთვე განსხვავებები იჩენს თავს, როცა მათ საერთაშორისო გადასახედიდან ვუყურებთ. უფრო სწორია ვისაუბროთ „ოჯახებზე“ და არა „ოჯახზე“, რადგან ბევრ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ოჯახის ფორმა.

ძველ სოციოლოგიურ ნაშრომებში დასავლური საზოგადოების „ოჯახის“ შესახებ განასხვავებდნენ ძირითად ოჯახს: მამა, დედა და 2-4 ბავშვი და დიდ ოჯახს. ეს უკანასკნელი ხშირად შედგებოდა სამი თაობისგან და შეიძლება აგრეთვე დაუქორწინებელი ბიძების, მამიდებისა ან ბიძაშვილებისაგან. ასეთი ოჯახები კიდევ არსებობს ზოგ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში და აგრეთვე ზოგიერთ საკმაოდ შეძლებულ სახელმწიფოშიც, ისეთში, როგორიც არის ტაილანდი. ასეთი დიდი ოჯახები ახერხებდნენ გამკლავებოდნენ ოჯახის ბევრნაირ პრაქტიკულ, სოციალურ და ემოციურ საჭიროებას; ისინი აწესებდნენ შეზღუდვებს და შესაძლებლობებს ოჯახის ცალკეული წევრებისთვის; კოლექტიურად

კი, დიდი ოჯახები ხელს უწყობდნენ სტაბილური საზოგადოების შექმნას, სადაც ადამიანები თავს დაცულად გრძობდნენ.

ახლა დასავლური ორიენტაციის ქვეყნებში ამ ფორმის ოჯახებს უფრო იშვიათად შეხვდებით, ვიდრე ერთი საუკუნის წინ. თუმცა, ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში შეიძლება სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ერთჭერქვეშ ცხოვრობდნენ ეკონომიკური გარემოებების ან საკუთარი არჩევნის გამო. იმაზეც არის მსჯელობა, რომ ზოგმა ოჯახმა შეინარჩუნა (ან აღადგინა) ოჯახისეული ფუნქციის პრაქტიკული და ემოციური ურთიერთდახმარების ზოგიერთი ასპექტი (მაგალითად ბავშვებზე ზრუნვაში მონაწილეობენ ბებია-ბაბუები ან დები ერთმანეთს ენაცვლებიან), მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებსავარაუდოა, ეს ადამიანები ერთჭერქვეშ ცხოვრობდნენ. ისიც შესაძლებელია, რომ ახლა უწინდელზე უფრო მეტი ოჯახი აცხოვრებს თავისთან და უშუალოდ ზრუნავს თავის წევრზე, რომელიც მოხუცებულია ან ფიზიკური თუ გონებრივი უნარები აქვს შეზღუდული. ეს გამონკვეთელია „სათემო მზრუნველობაზე“ გადასვლით. [...]

როცა ვლაპარაკობთ ბავშვების ან მოწყვლადი ზრდასრული ნათესავების მოვლაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძირითადად (ყოველთვის არა) იგულისხმება, რომ ქალები ზრუნავენ თავიანთ ნათესავებზე, უფრო ხშირად დედები, დები ან ქალიშვილები. ეს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საგრძნობლად შეიცვალა ქალის როლი და მოვალეობები. ტრადიციულად (და ბევრ საზოგადოებაში ახლაც ასეა), ქალი ასრულებდა საშინაო სამუშაოს და მარტოხელა ქალებიც კი, ამის გამო შეზღუდული იყვნენ, როცა საქმე მათ განათლებას და სამსახურს ეხებოდა. ეს ფაქტორი სოციალური სამუშაოს სათავეებთანაც კი განმსაზღვრელი იყო. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დროს დიდ ბრიტანეთში და ბევრ სხვა ქვეყანაშიც ქალები შეადგენდნენ მშრომელთა დიდ ნაწილს. მას შემდეგ, რაც შედარებით ცოტა ხნით ისინი თავიანთ საშინაო მოვალეობებს დაუბრუნდნენ, 1960-იან წლებში დაიწყო ქალების გათავისუფლება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და სხვაგანაც.

ამ მოძრაობას ჰქონდა რიგი ასპექტებისა და შედეგებისა. მათ შორის იყო, თავად ქალების დამოკიდებულების შეცვლა და თანასწორად მოპყრობის მოთხოვნა. ეს ცვლილებები ხელშესახები იყო განათლების და დასაქმების სფეროში. მოგვიანებით ამ მოვლენებმა ბევრ საზოგადოებაში საკანონმდებლო ცვლილებები გამოიწვია. ამ სოციალური მოძრაობის პარალელურად ხდებოდა სამეცნიერო/სამედიცინო წინსვლა. ალბათ, ამ დარგში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოგონება, რომელმაც ბევრ ქალს პირველად მისცა საიმედო საშუალება გაეკონტროლებინა თავისი რეპროდუქციული ფუნქცია (ალბათ, სწორედ ამან, უნებურად გამოიწვია შობადობის კლება ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, რაც უკვე აღვნიშნეთ ამ თავში).

სულ უფრო მეტი ქალი შევიდა ან დარჩა შრომის ბაზარზე. აქეთკენ მოძრაობა ნაწილობრივ განპირობებული იყო აუცილებლობით, რადგან იზრდებოდა



ცხოვრების სტანდარტები და ღირებულება. ეს არანაკლებ შეეხო შვედეთსა და ფინეთს, სადაც კეთილდღეობის მიწოდების მაღალი ხარისხი მაღალ გადასახადებს მოითხოვს. ამ ქვეყნებში შედარებით ხანგრძლივია მშობლების შვებულებები (ეს ეხება ორივე მშობელს, მამასაც აძლევენ შვებულებას და დედასაც). გარდა ამისა, აქ არის მაღალი ხარისხის საბავშვო ბაღები და გახანგრძლივებული სკოლები ბავშვებისთვის.

სხვაგან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ორივე სქესის ადამიანებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს დიდი ხნის წინ უჭერდნენ მხარს (დასაქმებულსთან დაკავშირებით მაინც) და საჯარო საბავშვო ბაღები სკოლამდელთათვის ნორმა იყო. ეს სიტუაცია ძირითადად შეიცვალა 1989 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ბევრი ოჯახი სიღარიბეში ჩავარდა, რადგან სამუშაო ადგილები ტრადიციულ მრეწველობაში აღარ იყო და საჯარო სამსახურები (საბავშვო ბაღები) დაიხურა. ბაღების დახურვის მიზეზი იყო ის, რომ ახალშექმნილი მთავრობები (მაგალითად ლიტვის) მიიწვედნენ პრივატიზაციისკენ, რათა შეერთებოდნენ მსოფლიოს კაპიტალისტურ ეკონომიკას.

ოჯახის ფორმის ცვლილებას კიდევ ქალთა ემანსიპაციამ შეუწყო ხელი და მოგვიანებით იმ უფლებებმა, რომელიც გეი მამაკაცებმა და ლესბოსელებმა ქალებმა მოითხოვეს; შედეგად კი, მომრავლდა ოჯახები მარტოხელა მშობლით, (სადაც, ჩვეულებრივ, ქალია უფროსი) ან ოჯახები, სადაც ორივე მშობელი ქალია (უფრო იშვიათათადად მამაკაცი). ეს ორივე ცვლილება პრობლემურად აღიქმებოდა. პოლიტიკის დამგეგმავები წუხდნენ იმაზე, თუ როგორ შეძლებს მარტოხელა მშობელი ოჯახის გაძლოლას? ხოლო საზოგადოების ჯგუფები (ზოგჯერ რელიგიური) მიიჩნევდნენ, რომ ყველა გადახვევა ტრადიციული ოჯახიდან (როცა ბავშვს ჰყავს დედა და საპირისპირო სქესის მამა) არის ამორალური ან უბრალოდ „ცუდი ბავშვებისთვის“. რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი არგუმენტი ყველანაირი პოზიციის მხარდასაჭერად. მაგრამ ფაქტია, რომ დღესდღეობით დასავლეთის საზოგადოებების უმრავლესობისთვის მისაღები აღმოჩნდა ბევრი ისეთი ოჯახი, რომელიც არ ემთხვევა იდეალური მცირე ოჯახის მოდელს, რომელიც ნორმად იყო მიჩნეული ბრიტანეთსა და ამერიკაში წინა თაობაში.

ეს ცვლილებები აისახა სოციალური სამსახურების ორგანიზებაში და თავად სოციალური მუშაკების როლში. პირველ რიგში, ის რომ ქალისგან მოელოდნენ უფრო მეტს მოწყვლად ნათესავებზე უშუალოდ ზრუნვის საქმეში შეიცვალა. ბევრ ქვეყანაში, გერმანიისა და საფრანგეთის ჩათვლით, სულ უფრო ცოტა ქალს შეუძლია (ან სურს) ვინმეს მოვლა. მეორე მხრივ, ადრე სოციალურ მუშაკებს უწევდათ მცირე ოჯახში ცოლ-ქმრის ურთიერთობის ან ბავშვის აღზრდის პრობლემებზე მუშაობა. ახლა კი, მათ უფრო ხშირად უხდებათ იმ ქალების დახმარება, რომლებიც ტოვებენ მოძალადე პარტნიორს ან ცდილობენ მარტო გაუმკლავდნენ ოჯახს.

გარდა ამისა, იმატა დანგრეული ოჯახების რაოდენობამ. საკმაოდ ბევრი ხალხი ფიქრობს, რომ (თუ ხელმეორედ არ იქორწინებს) სტაბილური ურთიერ-

თობა ექნება პარტნიორთან. შედეგად, ბევრ ბავშვს უწევს ცხოვრება „ხელახლა შექმნილ ოჯახებში“. ასეთ ოჯახებში ურთიერთობა ნაცვალ მშობლებთან (ან ნახევარ და-ძმასთან) შეიძლება პრობლემატური ან საზიანო იყოს ბავშვისთვის. ამ ცვლილებებმა სოციალურ მუშაკებს შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის დარგშიც ახალი სირთულეები შეუქმნა. სხვადასხვა საზოგადოებაში სოციალური მუშაკები კამათობენ იმაზე, სწორია თუ არა ბავშვის განთავსება აღსაზრდელად მარტოხელა მშობელთან ან ოჯახში, სადაც იდენტური სქესის მშობლები არიან. ამგვარი ოჯახი ვერ აკმაყოფილებს ტრადიციულ წარმოდგენას შემცვლელი ოჯახის შესახებ, სადაც ბავშვი შეიძლება აღსაზრდელად განთავსდეს.

მაგრამ, როგორც მსოფლიოში მამაკაცის და მამაკაცურობის შესახებ გამოცემულმა წიგნმა გვიჩვენა (პისი და პრინელი, 2001), ქალთა ემანსიპაცია გლობალური ფენომენი არ არის. ამ წიგნის ცალკეულ თავებში ძირითადად მოყვანილია მაგალითები აფრიკული, აზიური და სამხრეთ ამერიკული საზოგადოებების ცხოვრებიდან, სადაც მეპატრონული დამოკიდებულება და ქცევა ისევ არსებობს და ზღუდავს ქალის შესაძლებლობებს. ზოგჯერ კი, ეს სერიოზულ გავლენას ახდენს ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და გენდერულ ბალანსზეც კი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთში ერთი ბავშვის პოლიტიკამ, როცა ბიჭები ურჩევნიათ, შედეგად მოგვცა მთელი სოფლები, სადაც ოციდან ოცდაათ წლამდე ახალგაზრდა მამაკაცებს არანაირი შანსი არ აქვთ ცოლის პოვნისა. ხშირია ბავშვებში სიმსუქნე და ეგოისტური ქცევა, რადგან „ერთადერთ შვილს“ ანებივრებენ. გოგონები კი, მზრუნველობამოკლებულთა თავშესაფრებში ცხოვრობენ ან აშვილებენ (არაპროპორციული რაოდენობით) საზღვარგარეთაც კი.

განსხვავებული დამოკიდებულება ოჯახის მიმართ, მამის ავტორიტეტი და დედის როლი ზოგჯერ პრობლემატურია, როცა ტრადიციული საზოგადოების წარმომადგენლები ეთნიკურ უმცირესობად დასავლეთში დასახლდებიან. დიდი ბრიტანეთის მსგავს ქვეყნებში ახალგაზრდა ქალს და კაცს შორის მოსალოდნელი „თავისუფალი და ადვილი“ ურთიერთობის დამყარება შეიძლება დაუპირისპირდეს (მაგალითად, პაკისტანური ან სომალური) ოჯახის ნორმებს. შედეგად კი ვლბებულობთ უბედურ პიროვნებებს, ოჯახურ კონფლიქტებს, შერცხვენილ და ღირსებადაკარგულ ოჯახებს. დროთა განმავლობაში ამის გამო შეიძლება ახალგაზრდა თავის სამშობლოში დააბრუნონ „ნაძალადევი ქორწინებისთვის“ ან ზოგჯერ ე.წ. „ღირსების მკვლელობის“ მსხვერპლადაც კი. ასეთი მოვლენები სოციალურ მუშაკებს სირთულეების პირისპირ აყენებენ, მათ უნდა ესმოდეთ დინამიკა და პატივი უნდა სცენ ოჯახის ნორმებს, რომელიც ასე განსხვავდება მათი საკუთარი ოჯახის ნორმებისგან. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, მათ უნდა მოახერხონ დაიცვან პირადი უფლებები ახალგაზრდისა, რომელსაც შეიძლება გარეშე (არა ოჯახის წევრის მიერ) დაცვა სჭირდება. ამ საქმეში აგრეთვე საჭიროა, სანდო ურთიერთობის დამყარება თემის შესაბამის

ლიდერთან, რომელმაც შეიძლება კულტურული მედიატორის როლი იკისროს. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ სოციალურ მუშაკს სჭირდება სხვადასხვა კულტურულ და ზოგჯერ სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში მუშაობის უნარიც. ამიტომაც, ამ თავში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ენობრივ ბარიერზე და თარჯიმნის მეშვეობით მუშაობის უნარზე.

ბოლო ორი ქვეთავიდან გამოტანილი დასკვნები ასეთია:

- განვითარებულ ქვეყნებშიც კი (როგორცაა გერმანია და დანია) საკმაოდ განსხვავებულია სახელმწიფოს როლი და მოხალისეთა სექტორი;
- დიდ ბრიტანეთთან შედარებით, აშშ-ში გაცილებით მეტი სოციალური მუშაკი არის „თვითდასაქმებული“ ან მუშაობს კერძო ორგანიზაციებში. იმავდროულად, არის საერთაშორისო ტენდენცია, რომ სოციალური მომსახურება განახორციელონ კერძო ორგანიზაციებმა, რომელთაგან ზოგი საერთაშორისო/მრავალეროვნული კორპორაციაა;
- არაფორმალური მზრუნველობა არის ნორმა მსოფლიოს ბევრ სამხრეთულ ქვეყანაში და ამ ბოლო დრომდე მეტად მნიშვნელოვანი იყო საბერძნეთსა და ესპანეთში;
- ჩრდილოეთის ქვეყნებში ახლა უფრო ბევრი სახის ოჯახი არსებობს. ქალმა კი, რომლის როლიც შეიცვალა და რომელიც მუშაობს, შეიძლება ველარ იზრუნოს ბავშვებზე ან მონყვლად ზრდასრულ ნათესავებზე.

### თარჯიმნის დახმარებით მუშაობა

ამ თავში ძირითადად ვისაუბრეთ რიგი საკითხების საერთაშორისო პერსპექტივაზე, როგორცაა დემოგრაფია, სოციალური სამსახურების ორგანიზების სხვადასხვა გზები, სხვადასხვა იდეები „ოჯახის“ შესახებ. მიგრაციის თემა ყოველ შემთხვევაში იჩენდა თავს. მიგრაციის ახლანდელი მოდელი ყველა სოციალური მუშაკისგან მოითხოვს სხვადასხვა კულტურებთან მუშაობის უნარს. ჩვენ გვგონია, რომ ზოგიერთ სოციალურ მუშაკს მოუწევს მუშაობა „ტრანსნაციონალურ“ გარემოში; რადგან დიდი ოჯახები სხვადასხვა კულტურულ გარემოში სახლდებიან ან მაგალითად, უშვილო ოჯახები შვილობილს საზღვარგარეთ ეძებენ.

[...] ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის ან სხვა ქვეყანაში სოციალურ საქმიანობაში მონაწილეობის ერთ-ერთი ასპექტია გამოიშუშო თარჯიმნის დახმარებით მუშაობის უნარი. სანდერსი (2003) ფიქრობს, რომ . . . ლინგვისტური უმცირესობები იჩაგრებიან, იმ მზრუნველობის პირობებთან და დონესთან მიმართებით, რომელსაც ლებულობენ (გვ. 74). მან და სხვებმაც აშკარად დაგვანახეს, რომ ბავშვების ან (იმავე საზოგადოებიდან) სხვა ბენეფიციარების გამოყენება თარჯიმნებად არ უნდა იყოს რეკომენდირებული. მათი გამოყენება

არამართებულია და წამოჭრის გაგების, კონფიდენციალურობის, ინტერესთა კონფლიქტის და ძალაუფლების დინამიკის საკითხებს. ამიტომ, ამ საქმისთვის, როცა კი შესაძლებელია, უნდა მივმართოთ სათანადოდ განვრთნილ თემის ან საჯარო სამსახურის თარჯიმანს. ეს ადამიანი უნდა იცნობდეს სოციალურ სამუშაოს, კარგად უნდა ესმოდეს თავისი როლი და მოცემული კულტურული სიტუაცია. თარჯიმნის დახმარებით მუშაობისას, მას უნდა ავუხსნათ რას მოველით მისგან და უნდა ვეცადოთ დამყარდეს სამუშაო ურთიერთობა როგორც ორ პროფესიონალს შორის, ასევე ბენეფიციართან. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ ორმხრივი ურთიერთობა, სამხრევად გარდაიქმნება.

სანდერსი გვთავაზობს ზოგიერთ პრაქტიკულ ხერხს, რომელსაც შეიძლება მივმართოთ, როცა ინტერვიუს თარჯიმნის დახმარებით ვატარებთ. ის გვაფრთხილებს, რომ საჭიროა, საქმისთვის სათანადო მომზადება, სამხრევო მსჯელობა ყველას როლის და მოლოდინის შესახებ. შემოთავაზებული ნაბიჯები ასეთია:

- განვმარტოთ ინტერვიუს მიზანი;
- გავაორმაგოთ ჩვეულებრივი ინტერვიუს დრო;
- მივუთითოთ რამდენ ხანს გასტანს შეხვედრა;
- ვუზრუნველყოთ, რომ ბენეფიციარი და თარჯიმანი ერთსა და იმავე ენაზე ან დიალექტზე ლაპარაკობდნენ. (მაგალითად, არაბული მეექვსე ყველაზე გავრცელებული ენაა მსოფლოში, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირ არაბულზე ლაპარაკობენ. ინდოეთში ბევრი სხვადასხვა ენაა გავრცელებული, ამიტომ, მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ვილაც „ინდოელია“, საკმარისი არ არის);
- თუ შესაძლებელია, თარჯიმნის სქესი დავამთხვიოთ ბენეფიციარის სქესს;
- თუ ასაკობრივი სხვაობა დიდია, ვიფიქროთ იმაზე, რა შეიძლება ამან გამოიწვიოს;
- გავითვალისწინოთ სავარაუდო პოლიტიკური, კულტურული ან რელიგიური სხვაობები, მაშინაც კი, თუ ხალხი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს;
- გავითვალისწინოთ მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტი;
- ფრთხილად ვიყოთ, რომ თარჯიმანმა ან მომსახურების მომხმარებელმა არ გააკეთოს არასწორი დასკვნები.

ბევრი ამ „ნაბიჯთაგან“ ჩვენი საფიქრალია, როცა განსხვავებულ კულტურულ გარემოში გვინევს მუშაობა, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ენობრივი ბარიერი. მაგრამ უფრო პრობლემურია, როცა ორი ადამიანი მესამეს მეშვეობით ელაპარაკება ერთმანეთს. ამ პროცესს საკმაოდ გამოცდილი სოციალური მუშაკებიც ამაფორიაქებლად და დამქანცველად მიიჩნევენ. თუმცა, ინტერვიუმდე სოციალურ მუშაკს და თარჯიმანს თუ ექნებათ დალაპარაკების

დრო და ინტერვიუს შემდეგაც დააზუსტებენ საკითხებს, ეს ორივე მხარეს მისცემს საშუალებას კარგად შეასრულოს თავისი როლი. ეს ბენეფიციარსაც კარგ სამსახურს გაუწევს (ამავე საკითხზე მსჯელობენ ტრაიბი და რავალი, 2002). და ბოლოს, ლუკოკმა და სხვებმა (2006) აღმოაჩინეს, რომ ჯერ არ არსებობს ემპირიული გამოკვლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ელაპარაკოს სოციალური მუშაკი ბავშვებს თარჯიმნის დახმარებით, ისე, რომ სასურველ შედეგს მიიღოს (გვ. 29). მაგრამ ზოგჯერ ბავშვებთან, ისევე როგორც ზრდასრულებთან მუშაობისას უნდა მივმართოთ თარჯიმანს და ზოგი იმ ნაბიჯთაგან, რომელიც ზემოთ შემოგთავაზეთ აქაც გამოგადგებათ.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Albert, R. (1983). Social Work Advocacy in the Regulatory Process. *Social Casework*, 64, 473-479.
- Altman, D.G. (1994). Public Health Advocacy: Creating Community Change to Improve Health.
- Arlt, I. (1933). *Charity Organization Quarterly: A Journal of Case-Work and Social Effort*, II, 3-23.
- Palo Alto, CA:Stanford Center for Research in Disease Prevention.
- Bryer, D., & Magrath, J. (1999). New Dimensions of Global Advocacy. *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 28 (4th Supp.), 168-177.
- Davis, K.E. (1993, March/April) The Need for Social Workers t Advocate. *Virginia NASW Newsletter*, 4.
- Ewijk, H. (2010). *European Social Policy and Social Work: Citizenship-based Social Work*. Routledge
- Freddolino, P.P. (1990). Mental Health Rights Protection and Advocacy. *Research in Community and Mental Health*, 6, 379-407.
- Freire, P. (1990). A Critical Understanding of Social Work (M. Moch, Trans.). *Journal of Progressive Human Services*, 1, 3-9.
- Grosser, C.F. (1965). Community Development Programs Serving the Urban Poor. *Social Work*, 7, 15-21.
- Healy, L.M. (2008). *International Social Work: Professional Action in an Interdependent World*. Oxford University Press.
- Hugman, R., (2010). *Understanding International Social Work: Critical Analysis*. Palgrave Macmillan
- IFSW (2004). Ethics in Social Work, statement of Principles. Available at:<http://www.ifsw.org/en/p38000324.htm>
- Jaffe, E.D. (1978). On Problems of Loyalty: Who Owns Social Work? *International Social Work*, 21, 38-42.
- Litzelfelner, P., & Petr, C.G. (1997). Case Advocacy and Child Welfare. *Social Work*, 42, 392-402.
- Lawrence, S., Lyons, K., Simpson, G., Huegler, N., (2009). *Introducing International Social Work*. Learning Matters Ltd.
- Lourie, N.V. (1975). The Many Faces of Advocacy. In I.N. Berlin (Ed.), *Advocacy for Child Mental Illness*. New York: Brunner/Mazel.
- Lyons, K., Manion, K., Carlsen, M., (2006). *International Perspectives on Social Work: Global Conditions and Local Practice. Towards a New Equality: Social Division in a Global Context*, pp. 40 – 60. Palgrave Macmillan

Maiss, M., & Panticsek, P. (2009). Theory with Passion: Ilse Arlt and Current Questions in Social Work, 45-60.

McCormick, M.J. (1970). Social Advocacy: A new Dimension in Social Work. Social Casework, 51(1), 3-11.

მინდაძე, ი., (2009). ფსიქოლინგვისტიკა. არეტე

Patti, R.J. (1974). Limitations and Prospects of Internal Advocacy. Social Casework, 55, 537-545.

Pearlman, M.H., & Edwards, M.G. (1982). Enabling in the Eighties: The Client Advocacy Group. Social Casework, 63(9), 532-539.

სოციალური სამუშაოს სიტუაციურმა ანალიზი (2011). საქართველოს საზოგადოების

დიალოგის გაუმჯობესება სოციალური სამუშაოს პოლიტიკის განსაზღვრებლად.

ღია საზოგადოება საქართველო.

შატბერაშვილი, ნ., (2007). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა.

სოციალური მუშაკის როლი სოციალურ ადვოკატობაში.

შატბერაშვილი, ნ., (2008). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა.

სოციალური დაცვა საკანონმდებლო დონეზე.

შატბერაშვილი, ნ., (2010). სალექციო კურსი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა.

საჭიროების თეორია.

შატბერაშვილი, ნ., (2011). სოციალური ადვოკატობა, სატრენინგო მასალა სოციალური

მუშაკებისათვის

საერთაშორისო პერსპექტივა სოციალურ მუშაკთა პრაქტიკაში

შატბერაშვილი, ნ., (2011). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალური სამუშაოში.

საერთაშორისო პერსპექტივა სოციალურ მუშაკთა პრაქტიკაში

Schneider, R.L., Lester, L., (2001). Social Work Advocacy. Webcom, limited

Sherman, W.R., & Wenocur, S. (1983). Empowering Public Welfare Workers Through Mutual Support. Social Work, 28 (5), 375-379.

Soydan, H. (1999) The History of Ideas in Social Work. Venture Press

Staub-Bernasconi, S. (2009). Theories and Methods of Social Work Exploring Different Perspective. Faculty of Social Work, University of Ljubljana. Birografica BORI d.o.o.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა სოციალურ მუშაობაში

ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი

ავტორი - ნათელა ფარცხალაძე

სადოქტორო ნაშრომი

თბილისი, 2020



## თავი 3. ინსტიტუციონალიზების უარყოფითი შედეგები

### ინსტიტუციონალიზების გავლენა ინდივიდზე

1990-იან წლებამდე, სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა მტკიცებულებებს ინსტიტუციონალიზების უარყოფით გავლენის შესახებ ბავშვის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე. თუმცა, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი ასეთი მონაცემები 90-იან წლებში გამდიდრდა აღმოსავლეთ ევროპაში დიდი ზომის ბავშვთა სახლებში აღზრდილი ბავშვების შესწავლის გზით მიღებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემებით (OHCHR, 2011). ამ ეტაპზე ინსტიტუციების საზიანო გავლენის დამტკიცება უკვე შესაძლებელი გახდა ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ფიზიკური განვითარების, ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარების სირთულეების, მათი ქცევის პრობლემების, დასაქმების შეზღუდული პერსპექტივების და სხვა მტკიცებულებების დოკუმენტირებით.

განსაკუთრებით საგულისხმოა უკანასკნელ ათწლეულებში რუმინეთიდან გაშვილებული ბავშვთა სახლების აღსაზრდელების კვლევები. ბავშვებზე დაკვირვება გაგრძელდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და კვლევებმა დაადასტურა ინსტიტუციონალიზების გრძელვადიანი მრავალწლიანი უარყოფითი გავლენა ბავშვებზე. მაგალითად, ბუქარესტის ადრეული ჩარევის პროექტის გრძელვადიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებს, რომლებმაც მცირე ასაკში ინსტიტუციებიდან გადაინაცვლეს მიმღებ ოჯახებში, საგრძნობლად გაუმჯობესდათ კოგნიტური და ემოციური განვითარების არაერთი მაჩვენებელი. მათი განვითარება საგრძნობლად წინ უსწრებდა იმ ბავშვების მახასიათებლებს, რომლებიც დარჩნენ ინსტიტუციურ ზრუნვაში (Bilson, 2009). ინსტიტუციებში დარჩენილ და მიმღებ ოჯახებში გადაყვანილ ბავშვებს შორის ეს სხვაობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო ადრეულ ასაკში დეინსტიტუციონალიზების შემთხვევაში.



ამავე ჯგუფის ბავშვებზე ჩატარებული სხვა კვლევებით დადგინდა, რომ 16 წლის ასაკისთვის ინსტიტუციონალიზებული ბავშვების 35-50%-ს აღნიშნებოდა უძილობა, გაღიზიანებადობა, უყურადღებობა, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობების სირთულეები (O'Connor et al. 2000).

ინსტიტუციონალიზება განსაკუთრებით საზიანოა 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, ვინაიდან ეს არის ბავშვის განვითარებისთვის ყველა მნიშვნელოვანი და მგრძობიარე ეტაპი. რუმინეთში ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ამ და სხვა კვლევებით ასევე დადგინდა, რომ ინსტიტუციებიდან გაშვილების შემდეგ ბავშვების პროგრესი უფრო კეთილსაიმედო იყო ბავშვის ადრეულ ასაკში, განსაკუთრებით კი ექვს თვემდე ასაკში გაშვილების შემთხვევაში. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციონალიზების ისტორიის არმქონე გაშვილებულ ბავშვებთან შედარებით, მათ მაინც უფრო ხშირად უვლინდებოდათ ქცევისა და განვითარების ჩამორჩენის პრობლემები (Bilson, 2009).

განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა ასევე დაადგინდა, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვების ექვს თვეზე ხანგრძლივად ინსტიტუციონალიზების შემთხვევაში მზრუნველ ოჯახში ბავშვის განთავსების შემდეგ დინამიკა ნაკლებად დადებითი იყო ვიდრე უფრო მცირე ვადით ინსტიტუციონალიზებული ბავშვების შემთხვევაში (Rutter et al., 2007; O'Connor et al. 2000). ინსტიტუციური გამოცდილების მქონე და არმქონე ბავშვების გაშვილების შედარებისას სხვა კვლევებით ასევე დგინდება, რომ პირველ ჯგუფს საგრძნობლად უფრო მაღალი აქვს ახალგაზრდობაში სოციალური პრობლემების რისკი (Hodges and Tizard, 1989).

მრავალრიცხოვანი მტკიცებულებები ასევე მიუთითებს, რომ ჩვილ ასაკში ინსტიტუციონალიზებული ბავშვებისთვის ხშირად დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორცაა, მცირე წონა და თავის გარშემოწერილობა, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხება, მხედველობის და სმენის პრობლემები, სუსტი იმუნური სისტემა, რაც გამოწვეულია არასათანადო კვებითა და გარემო პირობებით, სტიმულაციის ნაკლებობით და ა.შ. (Mulheir et al., 2007; Smyke et al., 2007): მცირე ასაკში ინსტიტუციონალიზების

განსაკუთრებით მძიმე გავლენის გამო, ბოლო ათწლეულში არაერთ ქვეყანაში სრულად აიკრძალა 3 წლამდე ბავშვების ინსტიტუციურ ზრუნვაში განთავსება.

აღმოსავლეთ ევროპის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჩარატებული კვლევებით ასევე დადგენილია, რომ განსხვავებით ოჯახურ გარემოში აღზრდილი ბავშვებისგან, ინსტიტუციონალიზებულ ბავშვებს ოთხი წლის ასაკისთვის უჭირთ ჯდომა, დგომა, სიარული და მეტყველება (Nelson et al., 2011). ისინი ასევე ხასიათდებიან სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობით, ხშირად აქვთ აუტისტური ქცევა, სხვებზე მეტად საჭიროებენ მეტყველების თერაპიასა და ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურებებს (Bilson, 2009).

ინსტიტუციების უარყოფითი გავლენა დგინდება ნერვული სისტემის ინსტრუმენტული კვლევითაც. 38 და მეტი თვის მანძილზე ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ტომოგრაფიულმა კვლევამ (PET) აჩვენა, რომ მათი ტვინის პრეფრონტალური ქერქის ზოგიერთ უბანში და შუბლის წილებში საგრძნობლად იყო დაქვეითებული მეტაბოლოზმი. ეს კი განაპირობებს ბავშვის კოგნიტური განვითარების შეფერხებას, იმპულსურობას, ყურადღების დეფიციტს და სოციალური ფუნქციონირების სირთულეებს (Nelson et al., 2011). ასევე ცნობილია, რომ ინსტიტუციონალიზებული ბავშვების თავის გარშემოწერილობა და ტვინის მოცულობა უფრო პატარაა, ვიდრე ამ ასაკის ოჯახურ გარემოში მცხოვრები ბავშვებისა (Rutter, 1996). ძირითადი მზრუნველის არარსებობის და სტიმულაციის ნაკლებობისა გამო შეფერხებულია თავის ტვინის ნერვული გზების განვითარება (Schoore, 2001).

ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა კიდევ უფრო მწვავედ იქ ინდივიდუალური მიდგომების ნაკლებობის გამო. რეგიონის ექვსი ქვეყნის მონაცემები აჩვენებს, რომ მომვლელების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას ბავშვის დაწესებულებაში მოხვედრის მიზეზების, მისი ოჯახური მდგომარეობის და გაწერის შესაძლებლობების შესახებ. ინსტიტუციაში საშუალო დაყოვნების 5-10 წლიანი ვადის მიუხედავად, მომვლელებმა ცუდად იცოდნენ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის და ინდივიდუალური

საჭიროებების შესახებ (EveryChild, 2011a). ინსტიტუციებში ზრუნვის აღნიშნული მახასიათებლები მოზრდილ ასაკში ხდება ბავშვების დაბალი თვითშეფასების და თვითრწმენის მიზეზი.

ინსტიტუციონალიზების უარყოფითი გავლენა მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე განხილულია მომდევნო ქვეთავში.

## ძალადობა ინსტიტუციებში

გაეროს გლობალურმა კვლევამ ძალადობის საკითხებზე დაადგინა ინსტიტუციებში ბავშვებზე ძალადობის მაღალი სიხშირე. კერძოდ, ძალადობა ინსტიტუციებში ექვსჯერ აღემატება ძალადობას მიმღებ ოჯახებში. ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვები ოთხჯერ უფრო ხშირად ხდებიან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე ოჯახურ გარემოში მცხოვრებნი (UN, 2006). შშმ ბავშვები ინსტიტუციებში ძალადობრივი მობყრობის და უგულვებელყოფის კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან. 1990-2000 წლებში რეგიონში დოკუმენტირებული იყო ინსტიტუციებში ბავშვებზე ძალადობის, მათ შორის წამებასთან და არაადამიანურ მობყრობასთან გათანაბრებული არაერთი შემთხვევა (OHCHR, 2011).

ინსტიტუციურ გარემოში ძალადობა, არ უკავშირდება მხოლოდ არაადეკვატურ ფიზიკურ გარემოს, კვებას და მოვლას, რაც რეგიონის არაერთი ინსტიტიციის დამახასიათებელი ნიშანია. ხაზგასმას საჭიროებს ის ფაქტი, რომ ინსტიტუციებში ინვესტირება და პირობების გაუმჯობესება ვერ უზრუნველყოფს არაძალადობრივ გარემოს. ემოციური დეპრივაცია, უგულვებელყოფა და სხვა სირთულეები, ინსტიტუციური ზრუნვის მუდმივ თანმდევ ფაქტორებს წარმოადგენს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში (OHCHR, 2011). ეს დასტურდება ჯონსონის მიერ ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვით, რომელიც აჩვენებს რომ ინსტიტუციურ დაწესებულებაში აღინიშნება მიჯაჭვულობის დეფიციტი (განალიზებული 12 კვლევიდან 11 კვლევა); სოციალური და ქცევის პრობლემების არსებობა (17-დან 16 კვლევა); კოგნიტური განვითარების შეფერხება (13-დან 12 კვლევა) (Johnson et al., 2006).

## ინსტიტუციონალიზების გავლენა საზოგადოებაზე

ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა არ შემოიფარგლება ინდივიდების ჯანმრთელობასა და ფსიქოსოციალურ განვითარებაზე უარყოფითი ეფექტით (Browne, 2009). ინსტიტუციონალიზებას ნეგატიურად გავლენა აქვს თემისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. პრობლემას წარმოადგენს „დაკარგული თაობების“ თემში სრულფასოვანი ინტეგრაცია, სამსახურებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართვა.

კვლევები აჩვენებს, რომ ინსტიტუციური გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს შორის ადგილი აქვს ანტისოციალური ქცევის, ნივთიერებებზე დამოკიდებულების და კანონსაწინააღმდეგო ქმედების გაზრდილ რისკებს. მაგალითად რუსეთში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ იქ ინსტიტუციების დატოვების შემდეგ სამიდან ერთი ბავშვი ხდება უსახლკარო; ხუთიდან ერთი იმყოფება კონფლიქტში კანონთან; ათიდან ერთის სიცოცხლე კი, თვითმკვლელობით მთავრდება (Tobis, 2000).

სოციალური ქსელის უქონლობა, თანამდევნი სტიგმატიზაცია, სოციალური და ემოციური განვითარების შეფერხება ხელს უშლის ინსტიტუციაში აღზრდილ ახალგაზრდებს საკუთარი თავის რეალიზებაში. მათ ხშირად არ აქვს სათანადო განათლება და არ არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლებების შესახებ, რაც განაპირობებს უმუშევრობის მაღალ დონეს ან შრომითი ექსპლუატაციის გაზრდილ რისკს (Curry, 1991).

შესაბამისად, ინსტიტუციონალიზება ბავშვების მიერ დაწესებულებების დატოვების შემდეგაც კი ძვირი უჯდება საზოგადოებას ახალგაზრდების უმუშევრობის, სოციალური დახმარებაზე დამოკიდებულების, პენიტენციურ სისტემაში ყოფნის და ზოგადად, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის არასაკმარისი შესაძლებლობების გამო.

რაც შეეხება ინსტიტუციონალიზების პირდაპირ დანახარჯებს, მოლდოვაში, რუმინეთში, რუსეთში და უკრაინაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინსტიტუციური ზრუნვა ექვსჯერ უფრო ძვირია ვიდრე ოჯახების დახმარება; სამჯერ უფრო ძვირია ვიდრე მინდობით აღზრდა და ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე მცირე ზომის საოჯახო სახლების მომსახურება (Carter, 2005). 13 ქვეყანაში შეფასებული ხარჯები კი აჩვენებს, რომ ინსტიტუციური ზრუნვა ორჯერ უფრო ძვირია მცირე ასაკის შშმ ბავშვების მინდობით აღზრდასთან შედარებით (Browne et al., 2005). აშშ-ში ჩატარებული კვლევები კი მიუთითებს, რომ ინსტიტუციური ზრუნვა ოჯახურ ზრუნვასთან შედარებით სამ-ხუთჯერ უფრო ძვირი ჯდება (Casey Foundation, 2010).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა სოციალურ მუშაობაში

ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის  
რეფორმის შეფასების მეთოდი

ავტორი - ნათელა ფარცხალაძე

სადოქტორო ნაშრომი

თბილისი, 2020

## თავი 2. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა

### საქართველოში

#### დემოგრაფიული მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2003-2018 წლებში ქვეყნის მოსახლეობა 3.8 მილიონის ფარგლებში მერყეობდა (მაგ. 2003 წელს მოსახლეობა 3,951 მილიონი იყო, 2018 წელს კი 3,726 მილიონი) (საქსტატი, 2018). მათ შორის, ბავშვების რაოდენობა კი, 800,000-ის ფარგლებში იყო. სხვადასხვა მონაცემებით, 2012-2015 წლებში ბავშვთა პოპულაცია 16.1 პროცენტით შემცირდა, 930,000-დან 780,000 ათასამდე. ხანდაზმული მოსახლეობის წილის ზრდის და ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის დაბერების მიუხედავად, აღსანიშნავია ამავე პერიოდში ქვეყანაში შობადობის მცირე მატება წინა პერიოდთან შედარებით (საშუალოდ 0.5 პროცენტი წელიწადში). 2016 წლიდან კი, შობადობის მატება უფრო საგრძნობი გახდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017). საქართველოში, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნებში, არაბუნებრივად მაღალია ბიჭების შობადობა. სტანდარტული 1.03-1.06 შეფარდების ნაცვლად, საქართველოში სქესთა თანაფარდობა 1.104 უტოლდება (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2017).

#### სოციალურ-პოლიტიკური ვითარება

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში აღინიშნებოდა სწრაფი ეკონომიკური განვითარება (წელიწადში 9 პროცენტი 2004-2008 წლების განმავლობაში). თუმცა, 2008 წლის ომმა და გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის განვითარებაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია (World Bank, 2010).

„საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის“ 2009, 2011 და 2013 კვლევების თანახმად, ამ წლებში საქართველოში სიღარიბის შთამბეჭდავი შემცირება აღინიშნა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014ბ, 2015). თუმცა, სხვა შინამეურნეობებთან

შედარებით, ბავშვებმა და ბავშვიანმა შინამეურნეობებმა ამ მიღწევებით ყველაზე ნაკლები სარგებელი მიიღეს. მთლიანობაში, 2009-2017 წლების საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევის მონაცემებით, ქალაქებსა და სოფლებში დაფიქსირდა სიღარიბის მაჩვენებლის შემდეგნაირი დინამიკა (იხ. ცხრილი #1):

ცხრილი #1 – 2009-2017 სიღარიბის მაჩვენებლების დინამიკა საქართველოში

		2009 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 3,258)	2011 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,713)	2013 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,374)	2015 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,939)	2017 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,805)
	ქალაქად	10.0	6.4	5.8	2.1	7.5
უკიდურესი	სოფლად	13.0	12.7	6.1	3.0	6.2
	სულ	<b>11.5</b>	<b>9.4</b>	<b>6.0</b>	<b>2.5</b>	<b>6.8</b>
	ქალაქად	19.6	19.7	22.6	22.1	29.8
ფარდობითი	სოფლად	37.6	31.0	31.9	32.1	33.4
	სულ	<b>28.4</b>	<b>25.2</b>	<b>27.1</b>	<b>26.8</b>	<b>31.6</b>
	ქალაქად	37.7	34.1	23.6	17.4	25.5
ზოგადი	სოფლად	60.7	48.0	33.6	26.3	29.5
	სულ	<b>49.0</b>	<b>40.9</b>	<b>28.4</b>	<b>21.7</b>	<b>27.6</b>

ბავშვების მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა უღარიბესი შინამეურნეობების შემთხვევაში. 2013 წელს უკიდურესად ღარიბ მოსახლეობაში ბავშვების წილმა 28 პროცენტს მიაღწია, რაც აღემატება 2011 და 2009 წლების მაჩვენებლებს. ამის მიუხედავად, ბავშვიან ღარიბ შინამეურნეობებს მიზნობრივი სოციალური დახმარების (მასში შემავალი სოციალური მომსახურებებისა და სხვა ბენეფიტების ჩათვლით) მიღების ნაკლები შანსი ჰქონდათ უბავშვო შინამეურნეობებთან შედარებით (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2015). ასევე, აღსანიშნავია, რომ 2013-2015 წლებში საქართველოში სიღარიბის დონე, შემცირების შემდეგ, 2017 წლის მონაცემებით საგრძნობლად გაიზარდა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018).



ამავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. მაგალითად, 2010 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი ბიუჯეტის 34.7 პროცენტთან 42.3 პროცენტამდე გაიზარდა. თუმცა, საერთო შიდა პროდუქტის მხოლოდ 4.1 პროცენტი იხარჯებოდა სოციალურ დაცვის პროგრამებზე (UNICEF, 2010a). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მონაცემებით, სოციალურ დაცვაზე დახარჯული თანხები მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 4.1 პროცენტი იყო.

### პოლიტიკური ნება და საერთაშორისო მხარდაჭერა<sup>1</sup>

1994 წლიდან საქართველო არის ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტის ხელმომწერი მხარე, როგორცაა გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებულმა ამ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტმა აღიარა 18 წლამდე ყველა ადამიანზე განსაკუთრებული ზრუნვის და დაცვის საჭიროება. კონვენციით ბავშვი განისაზღვრა დოკუმენტში გაწერილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების სუბიექტად, რომელთა განხორციელების უზრუნველსაყოფად კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო ვალდებულია გადასინჯოს ეროვნული კანონმდებლობა და სისტემები, კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დღეისათვის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა მსოფლიოს ყველა ქვეყანამ, ამერიკის შეერთებული შტატებისა გარდა.

რაც შეეხება ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატურ ოქმებს, ხელმომწერი სახელმწიფოების ნუსხა არაერთგვაროვანია, ოქმების შინაარსის და მიღების თარიღის მიხედვით. 2000 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი ფაკულტატური ოქმი - „ფაკულტატური ოქმი შეიარაღებულ

---

<sup>1</sup> ქვეთავი შეიქმნა შემდეგ სტატიაზე დაყრდნობით: Greenberg, A.L., and Partskhaladze, N. (2014) How the Republic of Georgia Nearly Eliminated the Use of Institutional Care for Children. *Infant Mental Health Journal*, Vol. 35(3), 1–6 (2014).

კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“ და „ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ.“ 2014 წელს კი მიღებულ იქნა „ფაკულტატური ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ“ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014). საქართველო სამივე ფაკულტატური ოქმის ხელისმომწერია და, ამრიგად, ვალდებულია, დაიცვას ამ სამი დოკუმენტით გათვალისწინებული უფლებები.

საგულისხმოა, რომ 1994 წელს კონვენციის რატიფიცირების მიუხედავად, რეგიონის ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმირების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო. კერძოდ, 1999 წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობით დაიწყო დეინსტიტუციონალიზების საპილოტე პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამიზნე დიდი ზომის ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზება და ბავშვის ოჯახთან განცალკევების პრევენცია. პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ევრიჩაილდ“ შეარჩია 18 ადამიანი, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდათ სხვადასხვა სპეციალობებში და მოკლევადიანი გადამზადების შედეგად დაიქირავა ისინი სოციალური მუშაკების თანამდებობაზე (Doel et al., 2016). 2001 წლიდან კი, დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა და შესაბამისად, სოციალური მუშაკების ჯგუფი გადავიდა სახელმწიფო მართვის ქვეშ (OPM, 2009).

მთავრობამ განსაზღვრა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის მიზნები, კერძოდ კი, ყველა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა. რეფორმის ადრეულ ეტაპზე პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. ბავშვთა ინსტიტუციონალიზების შემცირება;

2. დეინსტიტუციონალიზება, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, გაშვილების ან ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსების გზით (Strategic Research Institute, 2007),

2005 წელს, საქართველოს პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია (არსებობდა 2009 წლამდე), რომელსაც დაევალია რეფორმისთვის საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სტრუქტურული ცვლილებების გატარება. რეფორმის მიმართ გაზრდილი ყურადღება და კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება განპირობებული იყო როგორც მთავრობის გაზრდილი ინტერესით ბავშვთა უფლებების შესახებ, ასევე მთელი რიგი საერთაშორისო აქტორების ზეწოლით, რომელთაც საქართველოს მთავრობას ბავშვთა დაცვის სისტემის რეფორმირებისკენ მოუწოდებდნენ (USAID, 2006). საერთაშორისო ბერკეტებს შორის, კონვენციის რატიფიცირების გარდა, უნდა გამოიყოს ევროკავშირის საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა კომისიის შექმნა (Transparency International Georgia, 2006). კომისიის გადაწყვეტილებით, ბავშვზე მეურვეობისა და მზრუნველობის პასუხისმგებლობა, რომელსაც იმ დროისთვის ინაწილებდა რამდენიმე ადგილობრივი და ცენტრალური სტრუქტურა, გადაეცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს (OPM, 2009).

ამავე პერიოდში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ - შჯსდ (ამჟამად - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) დაიწყო მიზნობრივი სოციალური დახმარების (TSA) ახალი პროგრამა და დაიქირავა სოციალური აგენტები. პროგრამა მოიცავდა მატერიალურ და არამატერიალურ დახმარებას სიღარიბის მიღმა მცხოვრები პირებისთვის, რომელთა შეფასებას ახალი მეთოდოლოგიით

ახორციელებდნენ სოციალური აგენტები. პროგრამამ ჩაანაცვლა 2006 წლამდე არსებული კატეგორიული ბენეფიტები, რომლებიც გაიცემოდა მარტოხელა პენსიონერებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და ზრდასრულებზე, მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთან ჰყავდათ შვიდი ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვი (World Bank, 2008).

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სოციალური კეთილდღეობის რეფორმასთან უკეთ კოორდინირების მიზნით, 2006 წელს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბავშვზე მეურვეობისა და მზრუნველობის პასუხისმგებლობა 2008 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გადასცემოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც კურირებდა სოციალური დაცვის სხვა პროგრამებს.

ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის პირველმა სამთავრობო სამოქმედო გეგმამ, რომელიც მოიცავდა 2005-2007 წლებს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეფორმის საწყისი ეტაპზე. თუმცა ის სრულყოფილად არ ასახავდა ოჯახის გაძლიერების და პრევენციული მომსახურებების შექმნის საჭიროებას და ძირითადად კონცენტრირებული იყო დეინსტიტუციონალიზების საკითხებზე (საქართველოს მთავრობა, 2005). 2008-2011 და 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმები უფრო მრავლისმომცველი გახდა და ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებების დახურვიდან აქცენტი გადაიტანა ბავშვთა დაცვის სისტემის დეინსტიტუციონალიზების, მულტისექტორული მუშაობისა და ბავშვებისა და ოჯახების გაძლიერების კომპლექსური ხედვის მნიშვნელობაზე (საქართველოს მთავრობა, 2008; საქართველოს მთავრობა, 2012; Greenberg and Partskhaladze, 2014; ნამიჭიშვილი, 2015). ამ პერიოდში, მთავრობამ გამოსცა ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის და რეფერირების შესახებ, რომელიც შჯსდ, შინაგან საქმეთა,

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მულტისექტორული თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითი იყო. რეფერირების პროცედურების მოქმედი ვერსია, დამტკიცებული იყო 2016 წელს (საქართველოს მთავრობა, 2010, 2016).

ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ სფეროში დასახული მიზნები ითვალისწინებდა:

- ყველა დარჩენილი სახელმწიფო ბავშვთა სახლის დახურვის აუცილებლობას და ამ პერიოდში ახალ ჩარიცხვებზე მორატორიუმის გამოცხადებას;
- ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ოჯახური გარემოებების გათვალისწინებას, კერძოდ კი იმ ფაქტს, რომ უსაფრთხო რეინტეგრაციისთვის აუცილებელი იყო ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა და მომსახურებებით გაძლიერება;
- მიმღები ოჯახების რაოდენობისა და შესაძლებლობების გაზრდას;
- რეინტეგრაციის და მიმღებ ოჯახებში განთავსების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეინსტიტუციონალიზებული ბავშვებისთვის მცირე ზომის საოჯახო სახლების დაარსებას;
- დღის ცენტრის მომსახურების მნიშვნელობის გაანალიზებას და დამატებითი ოჯახის დამხმარე მომსახურებების შექმნის საჭიროებას;
- ტრანსფორმაციის პროცესში სოციალური მუშაკების მნიშვნელობას და დამატებითი კადრების საჭიროებას;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის პროვენციისა და რეაგირების მექანიზმებისა და მომსახურებების განვითარების საჭიროებას;
- სახელმწიფოს მიერ დანერგილი სიახლეების მდგრადობის უზრუნველყოფის აუცილებლობას (Greenberg and Partskhaladze, 2014).

### სოციალური მუშაობა საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში სოციალური მუშაკების მცირე ჯგუფი პირველად დაიქირავეს და არაკადემიური სატრენინგო პროგრამით გადაამზადეს

1999 წელს. პარალელურად, ღია საზოგადოების ფონდის (OSF) მხადრაჭერით 2000 წლიდან დაიწყო საგრანტო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა შერჩეული კანდიდატების აშშ-ს ორ წამყვან უნივერსიტეტში (კოლუმბიის უნივერსიტეტი და სენტ ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტი) სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამით გადამზადებას. პროგრამაში სწავლისათვის შერჩეული იყვნენ პროფესიონალები, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდათ მონათესავე პროფესიებში და ჰქონდათ სოციალურ სფეროში მუშაობის ინტერესი და გამოცდილება. პროგრამაში ჩართული შვიდი ქვეყნისთვის (აზერბაიჯანი, მონგოლეთი, საქართველო, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) ყოველწლიურად გაიცემოდა 16 სასწავლო გრანტი, რაც თითოეულ ქვეყანას საშუალებას აძლევდა ყოველწლიურად შეერჩია ერთი ან ორი კანდიდატი. პროგრამის ფუნქციონირების ათიოდე წლის განმავლობაში საქართველოდან სოციალურ მუშაობაში სამაგისტრო განათლების მიიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა 15-ზე მეტი პროფესიონალი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოში პროფესიის განვითარებაში (Doel et al., 2016).

2004 წელს პროგრამის კურსდამთავრებულებმა დააფუძნეს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, რომელმაც შემდგომ წლებში გააერთიანა დარგის 600-მდე სპეციალისტი და ქომაგი. ასოციაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყანაში ბავშვთა დაცვის, მართლმსაჯულების, განათლების, გერონტოლოგიის და სხვა მიმართულებებით პროფესიის განვითარებაში; ასევე მონაწილეობა მიიღო სოციალური სამუშაოს აკადემიური პროგრამების განვითარებასა და კადრების გადამზადების სხვა ინიციატივებში.

2006 წელს ევროკავშირის და ღია საზოგადოების მხადრაჭერით, აკადემიურ დონეზე სოციალური მუშაობის საბაკალავრო, სამაგისტრო, სასერტიფიკატო და მოგვიანებით სადოქტორო პროგრამების შექმნამ თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა

საქართველოში ამ პროფესიის განვითარება. თანდათანობით გაიზარდა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რიცხვი, ასევე მათ შორის შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობაც. ათობით პრაქტიკოსმა სოციალურმა მუშაკმა გაიარა უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელებული გრძელვადიანი სასერტიფიკატო ტრენინგი.

2011 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზის თანახმად, იმ ეტაპისთვის გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა შორის, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, 10 პროცენტს მიღებული ჰქონდა მაგისტრის ხარისხი სოციალურ სამუშაოში, 9 პროცენტს ბაკალავრის ხარისხი სოციალურ სამუშაოში, 21 პროცენტს კი გავლილი ჰქონდა სასერტიფიკატო კურსი (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011).

ამავე პერიოდში, შჯსდ ადმინისტრაციული მონაცემების თანახმად, სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოში (სმს) დასაქმებული ჰყავდა 170 სოციალური მუშაკი, რომელთა უდიდეს ნაწილს გავლილი ჰქონდა სასერტიფიკატო ან აკადემიური პროგრამა სოციალურ სამუშაოში. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის მიზნების განსახორციელებლად და სისტემის დეინსტიტუციონალიზების პროცესის მხარდასაჭერად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ევროკავშირის და სხვა დონორების ფინანსური რესურსებით, შესაძლებელი გახდა რეფორმისთვის საკვანძო ასპექტების დამატებითი დაფინანსება. არასამთავრობო აქტორები (UNICEF, EU Tempus/Tacis Project და ა.შ.), ფინანსური მხარდაჭერის გარდა, სახელმწიფოს ეხმარებოდნენ ტექნიკური ექსპერტიზითა და პროცესების კოორდინირების ხელშეწყობით.

სახელმწიფო სოციალური მუშაკებისა და ზოგადად, რეფორმის მხარდასაჭერად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა (გადავარჩინოთ ბავშვები და EveryChild) დონორული რესურსებით დამატებით დაიქირავეს 50 კვალიფიციური სოციალური მუშაკი, რომლებიც სააგენტოსთან კოორდინაციით ჩაერთვნენ ბავშვების შემთხვევების მართვაში (Greenberg and Partskhaladze, 2014). არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური მუშაკები მიმაგრებულები იყვნენ ინსტიტუციებზე, რომელთა დახურვაზეც მუშაობდა სამინისტრო და სახელმწიფო სოციალურ მუშაკებთან ერთად უზურნველყოფდნენ იქ განთავსებული ბავშვების რეინტეგრირებას ან ზრუნვის სხვა ფორმებში განთავსებას. სოციალური მუშაკების ფუნქციაში შედიოდა ბავშვების, მათი ბიოლოგიური ოჯახების და საჭიროების შემთხვევაში ნათესავების შეფასება, ბავშვებთან თანამშრომლობით მათი ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, რეინტეგრაციისთვის ოჯახების მოძიება, საჭიროებების დადგენა და ბავშვებისა და ოჯახების ფსიქო-სოციალური და მატერიალური მხარდაჭერა, შემთხვევის მონიტორინგი და ა.შ. ასევე სოციალური მუშაკების როლს წარმოადგენდა სახელმწიფო და დონორული რესურსებით დაფინანსებული დამატებითი ფონდების განკარგვაზე რეკომენდაციების შემუშავება, რომელთაც გადაწყვეტილების მისაღებად განიხილავდა მეურვეობის საბჭო.

რეფორმის ამ ეტაპზე, სამი წლის განმავლობაში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური მუშაკების მიერ შეფასებული იყო 1,200 ბავშვი და მათი ოჯახები. სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მუშაკების ამგვარმა მჭირდო თანამშრომლობამ, დიდი გავლენა იქონია დეინსტიტუციონალიზების პროცესის ხარისხიანად და დროულად წარმართვაზე. სახელმწიფოსთან წინასწარ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, პროექტული მხარდაჭერის დასრულების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაქირავებული სოციალური მუშაკების ნაწილი დასაქმდა სოციალური მომსახურების სააგენტოში (სმს).



მოცემული ნაშრომი მოიცავს საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის რეფორმის გარკვეულ პერიოდს (2010-2016) და შესაბამისად, ძირითადად განიხილავს სისტემის მახასიათებლებს, რომლებიც რელევანტურია ამ კვლევისთვის. თუმცა, ასევე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რეფორმების ინტენსიური ფაზის დასრულების შემდეგ ამ სფეროს განვითარების დინამიკა საგრძნობლად შეფერხდა. ბევრი პრაქტიკოსისა და სფეროს ექსპერტის აზრით, სოციალური მომსახურების სამსახური ვერ პასუხობს ბავშვთა და სხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს, რაც განპირობებულია სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობით (და ცალკეულ შემთხვევებში არასთანადო კვალიფიკაციით), რთული სამუშაო პირობებით და სამუშაო გარემოთი, დიდი დატვირთვით, კადრების გადინებით, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული ზედამხედველობის სისტემების გაუმართაობითა და სოციალური მომსახურებების სიმწირით (ნამიჭეიშვილი, 2015).

ბოლო წლების მოვლენებიდან, აღსანიშვნის ღირსია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „კანონი სოციალური მუშაობის შესახებ“ (საქართველოს მთავრობა, 2018.). კანონი ვრცელდება საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებზე და განსაზღვრავს მათ სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს. მიუხედავად იმისა, რომ სფეროს ექსპერტები მიუთითებენ კანონში და კანონის განხორციელების გეგმაში არსებულ მთელ რიგ ხარვეზებზე, რომლებიც სრულად არ ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, მთლიანობაში, აღნიშნული კანონის მიღება მნიშვნელოვან წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2019 წელს გამოცემული გაიდლაინი (Guidelines to Strengthen the Social Service Workforce for Child Protection), სოციალური მომსახურებების მუშაკთა გლობალური ალიანსის დოკუმენტები და სფეროს გაძლიერებაზე მიმართული არაერთი სხვა მასალა მიუთითებს სოციალური მუშაობის

პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობის მნიშვნელობაზე (UNICEF, 2019). საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყანაში სოციალური მუშაობის შესახებ კანონის შემუშავება, კარგ საფუძველს ქმნის როგორც სოციალური მუშაკების კლიენტების დაცვისთვის, ასევე ამ პროფესიის წარმომადგენელთა უკეთესი განვითარებისთვის.

საერთაშორისო გამოცდილება ასევე მიუთითებს სოციალური მუშაკების პროფესიული რეგულირების/ლიცენზირების მნიშვნელობასა და რეგულირების წესის გარდამავალი ეტაპების დამკვირდების შესაძლებლობაზე (GSSWA, 2016). სოციალური მუშაობის შესახებ კანონპროექტის განხილვისას შემოთავაზებული იყო მუხლები სფეროს რეგულირების გარდამავალი წესის შესახებ. ინიციატივის თანახმად, საწყის ეტაპზე ლიცენზირებას დაექვემდებარებოდნენ როგორც აკადემიური ხარისხის მქონე სოციალური მუშაკები, ასევე კანონით გათვალისწინებული სერტიფიკატების მქონე პირები. მომდევნო ეტაპზე კი, ლიცენზირებას დაექვემდებარებიან მხოლოდ აკადემიური ხარისხის მქონე სოციალური მუშაკები. თუმცა, აღნიშნული პროგრესული რეგულირების მოთხოვნამ კანონის საბოლოო ვერსიაში ასახვა ვერ ჰპოვა.

ასევე აღსანიშნავია სოციალური მუშაკების პროფესიული კადრების ინფორმაციის მართვის სისტემების და/ან რეგისტრირების სისტემის არსებობის აუცილებლობა, რაც სფეროს პოლიტიკის შემქმნელებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დამქირავებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აძლევს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. თუმცა, საქართველოში ასეთი სისტემების არარსებობის გამო, დაზუსტებით არ არის ცნობილი თუ როგორია ქვეყანაში სამთავრობო და არასამთავრობო სფეროებში დასაქმებულთა კვალიფიკაცია, ზუსტი რაოდენობა, განაწილება, უფლება-მოვალეობები და ა.შ. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მონაცემებით, 2018 წელს ქვეყანაში დასაქმებული იყო 800

სოციალური მუშაკი, რომელთაგან 55 პროცენტი მუშაობდა სახელმწიფო სექტორში, 45 პროცენტი კი, არასამთავრობო ორგანიზაციებში; აკადემიური ხარისხის მქონე 60-მდე სოციალური მუშაკი კი დაუსაქმებელი იყო. იმ დროისათვის, სოციალური მუშაკების ყველაზე დიდი დამქირავებელი იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (სმს) (სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა 53 პროცენტი); სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა 23 პროცენტს ჰქონდა შესაბამისი აკადემიური განათლება, ხოლო 19 პროცენტს კი გავლილი ჰქონდა 1-წლიანი სასერტიფიკატო პროგრამა (OPM, 2018). 2019 წლის დასაწყისის მონაცემებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სმს-ში 250 ვაკანტურ ადგილზე დასაქმებული იყო 220-მდე სოციალური მუშაკი, რომლებიც მუშაობენ კანონმდებლობით განსაზღვრული 27 მიმართულებით. 2020 წლის დასაწყისში კი, რეორგანიზაციის პროცესში, დაქირავებული სოციალური მუშაკების რიცხვი 240-დან თითქმის 20 პროცენტით შემცირდა.

ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული მონაცემების არსებობის მიუხედავად, ქვეყანაში კვლად პრობლემად რჩება სოციალურ მუშაკთა მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის არარსებობა, რაც სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს დიდწილად ბუნდოვანს ხდის.

### **ჭიშკრის დარაჯობა და ოჯახის დამხმარე მომსახურებები**

როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც ინსტიტუციებში და სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული ბავშვების უდიდეს ნაწილს ჰყავს ერთი მშობელი მაინც. სხვადასხვა წყაროების თანახმად, საქართველოში, რეფორმის ადრეულ ეტაპზე ინსტიტუციებში განთავსებული ბავშვების 85-93 პროცენტს ჰყავდა მშობლები (Greenberd and Partskhaladze, 2014; Strategic Research Institute, 2007). ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, ინსტიტუციონალიზების წამყვანი მიზეზი იყო სიღარიბე. ასევე საგულისხმოა, რომ

ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა არ განიხილებოდა უკიდურეს ზომად და ქვეყანაში არასაკმარისად იყო განვითარებული „ჭიშკრის დარაჯობის“ სისტემა.

სწორედ ამიტომ, აუცილებელი გახდა ჭიშკრის დარაჯობის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება, რომელმაც 2012 გაამკაცრა სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვის განთავსების მოთხოვნები. კერძოდ კი, აიკრძალა ბავშვის ოჯახთან განცალკევება მხოლოდ ეკონომიკური სიდუხჭირისა და უსახლკარობის გამო და ეს ზომა ბავშვზე ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულვებელყოფის შემთხვევებისთვის გახდა რეკომენდებული.

ჭიშკრის დარაჯობის მექანიზმები შეეხო ყველა ტიპის სადღეღამისო სამზრუნველო დაწესებულებაში ბავშვების განთავსებას/ამორიცხვას და უფრო მკაფიოდ განსაზღვრა შჯსდ სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვა სტრუქტურების როლი. კერძოდ, დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებების გაძლიერება: სადღეღამისო ზრუნვაში ჩართვის საფუძვლების მოწესრიგება (ძალადობა, ობლობა, მიტოვება); სამედიცინო ექსპერტიზის უზრუნველყოფა; ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების გაძლიერება; 6 წლამდე ბავშვების ასაკის განთავსების აკრძალვა ჩვილ ბავშვთა სახლში; ბავშვთა სახლების დახურვა; მინდობითი აღზრდისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების გამოყენების მაქსიმალური შეზღუდვა; 24 საათიან ზრუნვაში არსებული ყველა ბავშვის შემთხვევის გადახედვა ოჯახებთან რეინტეგრაციის მიზნით; მომსახურებათა პრიორიტეტიზაცია – ნათესაური მინდობითი აღზრდა, მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი; მინდობით აღზრდელის მოძიება/გადამზადება; შშმ ბავშვების გამოვლენა, შეფასება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და ა.შ. (შჯდს,2012).

ჭიშკრის დარაჯობის სისტემის გამართულად ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში ოჯახის დამხმარე მომსახურებებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების არსებობასა და მათდამი ხელმისაწვდომობაზე. როგორც ზემოთ

აღინიშნა, 90-იან წლებში საქართველოში ყურადღება არ ექცეოდა ამ სახის მომსახურებების შემუშავებას. მოგვიანებით, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტების მოთხოვნით, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისეთი მომსახურებების მიწოდებას, როგორცაა დედათა და ბავშვთა თავშესაფრები, დღის ცენტრები, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამები, კრიზისში მყოფი ოჯახებისთვის გადაუდებელი დახმარება, შინმოვლის სერვისები და სხვა. საწყის ეტაპზე, მსგავსი მომსახურებები სრულად ან დიდწილად ფინანსდებოდა და მიეწოდებოდა არასამთავრობო სექტორის მიერ.

2000-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფომ მცირე მასშტაბებით დაიწყო ოჯახის დამხმარე მომსახურებების მიწოდება/დაფინანსება. განვითარდა მომსახურებების მიმწოდებელთა ქსელი და დაინერგა მომსახურებების არასახელმწიფო პროვაიდერებისგან შესყიდვის (აუთსორსინგი) და ვაუჩერული დაფინანსების სისტემა, რომელიც მომსახურებების ხარისხისა და ხარჯთეფექტურობის უზრუნველსაყოფად პროგრესულ მექანიზმს წარმოადგენდა. სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახების შვილებისთვის დღის ცენტრების და ზოგიერთი სხვა პრევენციული სერვისები სრულად დაფინანსდა (თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში პრობლემური გახდა ვაუჩერის ღირებულება და შესაბამისად, მომსახურებების დაფინანსების სიმწირე) (შჯსდ სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტები (2011) და ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები (2014) (შჯსდს, ბრძანება №01-13/ნ, 2011; საქართველოს მთავრობა, დადგენილება №66, 2014).

სამინისტროს ადმინისტრაციული მონაცემების თანახმად, 2009-2012 წლებში თბილისსა და რეგიონებში დღის ცენტრების რაოდენობა 55-მდე გაიზარდა (აქედან 14 ცენტრი ფუნქციონირებდა თბილისში). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ბავშვთა და სხვა დღის ცენტრებზე გამოყოფილი ბიუჯეტი დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდა (275 000-დან 2 175 066 ლარამდე). ამავე წყაროს თანახმად, მაგ. 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით დღის ცენტრებში 8-ჯერ მეტი ბავშვი ირიცხებოდა (შესაბამისად 349 და 44).

მიუხედავად საგულისხმო მიღწევებისა, მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს პრევენციული მომსახურებების მიწოდების სირთულეებიც. მომსახურებების სიმწირეს, რომელიც განსაკუთრებით გამოკვეთილია საქართველოს რეგიონებში, კიდევ უფრო ართულებს მათდამი მისაწვდომობის შემაფერხებელი ბარიერები, როგორცაა ტრანსპორტირების სირთულეები და ღირებულება; ისეთი მატერიალური რესურსების ნაკლებობა, როგორცაა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; დოკუმენტაციის და რეგისტრაციის ადგილის არქონა; სახელმწიფო ენის არცოდნა და ა.შ. (Prudiconsult, 2015). მომსახურებები არათანაბრადაა განაწილებული თბილისსა და რეგიონებს შორის. ასევე ხშირ შემთხვევაში პრობლემურია მომსახურებების ხარისხი და მათი ეფექტურობა. არ არსებობს მომსახურებები სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისთვის (Prudiconsult, 2015).

## დიდი ზომის ინსტიტუციური დაწესებულებები და სხვა ალტერნატიული მომსახურებები

რეფორმის დაწყებამდე საქართველოში ფუნქციონირებდა სხვადასხვა დაქვემდებარებაში მყოფი ათობით დიდი ზომის ინსტიტუციური დაწესებულება. კერძოდ, 2005 წლამდე პერიოდში არსებული 45 დაწესებულებიდან ნაწილი იყო შჯდს სამინისტროსა და განათლების სამინისტროების, ნაწილი კი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებასა და დაფინანსებაზე.

ერთიანი პოლიტიკისა, დაფინანსებისა და მონიტორინგის მექანიზმების არარსებობის მნიშვნელობის გაცნობიერებამ განსაზღვრა 2005 წელს სამზრუნველო

დაწესებულებების განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადატანა. 2010 წელს ბავშვთა დაცვის სისტემის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადატანის შემდეგ კი, დარჩენილი 37 დაწესებულებიდან 24 სამზრუნველო დაწესებულება დაექვემდებარა ამ სამინისტროს. 13 სკოლა პანსიონის სტატუსის მქონე დაწესებულება დარჩა განათლების სამინისტროს მმართველობაში. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ხუთ სკოლა პანსიონში იყო განსაკუთრებით არაკეთილსაიმედო გარემო და არ ხორციელდებოდა სათანადო საგანმანათლებლო პროცესი. შესაბამისად მოხდა ამ დაწესებულებების დახურდა და განათლების სამინისტროს მმართველობაში დარჩა რვა სკოლა პანსიონი, რომლებიც ემსახურებოდა სმენა და მხედველობადაქვეითებულ და სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს (Greenberg and Partskhaladze, 2014).

მთლიანობაში 2005-2013 წლებში დაიხურა 32 დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულება. შჯსდ განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ორი დაწესებულება - ჩვილ ბავშვთა სახლი, რომელშიც განთავსებული იყვნენ შშმ ჩვილები და კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი. შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების დეინსტიტუციონალიზების შედარებით დაბალმა ტემპმა გარკვეული ჯგუფების კრიტიკა გამოიწვია. თავის 2013 წლის ანგარიშში ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Disability Rights International ამტკიცებდა, რომ შშმ ბავშვების და ზრდასრულების საჭიროებები არ იყო ასახული მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგში (DRI, 2013).

როგორც ზემოთ აღინიშნა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის საწყისი ეტაპიდან, პარალელურად დაიწყო ალტერნატიული მომსახურებების, კერძოდ მცირე ზომის საოჯახო სახლებისა და მიმღები ოჯახების მომსახურებების დამკვირდება.

2017 წლამდე საქართველოში მცირე ზომის საოჯახო სახლები ემსახურებოდა მხოლოდ 6-იდან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ბავშვებს. სახლებში საცხოვრებლად ასევე რჩებოდნენ 18 წელს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებიც. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, მცირე ზომის საოჯახო სახლების მომსახურების გამოყენება რეკომენდებული იყო იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ ხერხდებოდა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება. თუმცა, რეფორმის ადრეულ ეტაპებზე მომსახურებაში ბავშვების განთავსება მხოლოდ აღნიშნული შემთხვევებით არ იყო ლიმიტირებული.

2018-2019 წლებში ქვეყანაში შეიქმნა შეზღუდული უნარების მქონე ჩვილებისთვის განკუთვნილი მცირე ზომის საოჯახო სახლები, რომელთა დაარსების წამყვანი მიზანი იყო ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზება. ფუნქციონირებას განაგრძობს წინა ეტაპზე დაარსებული 30-ზე მეტი სახლიც.

საქართველოში დაარსებული მცირე ზომის საოჯახო სახლები ოპერირებდნენ ორი განსხვავებული მოდელით. სახლების ერთი ჯგუფი (ე.ს. პოლონური მოდელი) დაკომპლექტებული იყო პროფესიონალების ჯგუფით, რომლებიც მუშაოდნენ ცვლებში და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის საკუთრებაში მყოფ სახლში ზრუნავდნენ 10-მდე მზრუნველობამოკლებულ ბავშვზე. მეორე მოდელის სახლებში კი, მაქსიმუმ 8 ბავშვთან სამუშაოდ დაქირავებული იყვნენ ე.წ. დედობილ-მამობილი და მათი შემცვლელი წყვილი (როგორც წესი ცოლ-ქმარი). ძირითადი მომვლელები მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის საკუთრებაში მყოფ სახლში ბავშვებთან ატარებდნენ 5 დღე-ღამეს, რაც მათი გარემოს მეტ სტაბილობას უზრუნველყოფდა.



მცირე ზომის საოჯახო სახლების მომსახურება იძლევა ბავშვების თემში ინტერგრირების უკეთეს საშუალებას, რადგან სახლები განთავსებულია ქალაქებისა და სოფლების მჭიდროდ დასახლებულ უბნებში და ბავშვები სწავლობენ მიმდებარე სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში. სახლები (განსაკუთრებით პირველი მოდელის) ასევე იძლეოდა მულტიდისციპლინური გუნდის (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, აღმზრდელი, პედაგოგი და ა.შ.) მუშაობის კარგ შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. თუმცა, საუკეთესო შემთხვევაში, ეს სახლები განიხილებოდა როგორც ბავშვების დროებითი საცხოვრებელი, რეინტეგრაციის და მიმდებ ოჯახში განთავსების მოლოდინში.

შეჯდ სამინისტროსა და იუნისეფის მონაცემებით, 2006-დან 2012 წლამდე მცირე ზომის საოჯახო სახლებში განთავსებული ბავშვების რაოდენობა 70-დან 325-მდე გაიზარდა (UNICEF, 2009a). 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 46 მცირე ზომის საოჯახო სახლში 321 ბავშვი ცხოვრობდა.

მცირე ზომის საოჯახო სახლების განვითარების პარალელურად, ქვეყანაში დაინერგა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ალტერნატიული მომსახურების მიწოდების ერთი, კიდევ უფრო სასარგებლო პრაქტიკა. კერძოდ, შეიქმნა მინდობით აღზრდისა და ნათესაური მინდობით აღზრდის მომსახურება. 2000-2005 წლებში საპილოტე პროექტის ფარგლებში ეს მომსახურება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და განათლების სამინისტროს მიერ მიეწოდებოდა 183 ბავშვს (UNICEF, 2006).

საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რომელიც პირველად მიღებულ იქნა 1999 წელს (არსებობს 2006, 2009 და 2017 წლების ვერსიებიც) არეგულირებდა აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა შერჩევის კრიტერიუმებს, მინდობით აღზრდის ფორმებს (ნათესაური, არანათესაური,


რეგულარული, გადაუდებელი, განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის) და სხვა საკითხებს. მომსახურების დანერგვის ადრეულ ეტაპზე მიმღები ოჯახების ანაზღაურება 200 ლარს შეადგენდა. 2011 წელს ანაზღაურებამ 450 და 600 ლარს მიაღწია (რეგულარული და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის) (Greenberg and Partskhaladze, 2014). დღევანდელი მდგომარეობით ქვეყანაში მოქმედებს მინდობით აღზრდის ფინანსური უზრუნველყოფის შემდეგი წესი:

- ნათესაური მინდობით აღზრდა - თვეში 200 ლარი;
- არანათესაურ მინდობით აღზრდა - ერთი კალენდარული დღე - 16 ლარი;
- ნათესაურ მინდობით აღზრდაში განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის - თვეში 375 ლარი;
- არანათესაურ მინდობით აღზრდაში განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის - ერთი დღე - 30 ლარი;
- გადაუდებელი მინდობით აღზრდა - ერთი დღე - 20 ლარი;
- ჩამნაცვლებელი მინდობით აღზრდა - ერთი დღე - 30 ლარი.

ისევე როგორც მცირე ზომის საოჯახო სახლების შექმნაში, მიმღები ოჯახების მომსახურების დაარსებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არასამთავრობო სექტორმა. მაგალითისთვის, შჯსდ სამინისტროს, სმს, გაეროს ბავშვთა ფონდსა და ბრიტანული ორგანიზაცია EveryChild-ს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, EveryChild-ი წლების მანძილზე ეხმარებოდა სახელმწიფოს მიმღები ოჯახების მომსახურების განვითარებაში, ოჯახების მოზიდვაში, შერჩევასა და გადამზადებაში. თუმცა, ოჯახების რეგისტრაცია, მათში ბავშვის განთავსების გასაწყვეტილების მიღება, განთავსება და მონიტორინგი, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენდა (ისევე როგორც მცირე ზომის საოჯახო სახლების შემთხვევაში).

მიმღები ოჯახების განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მხოლოდ ინსტიტუციებიდან ბავშვების გამოყვანაში, არამედ საჭიროების გარეშე ბევრი მათგანის მცირე ზომის საოჯახო სახლებში განთავსების პრევენციაში. გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის მონაცემებით, რეფორმის საწყის ეტაპზე ინსტიტუციებში ცხოვრობდა 4,100 ბავშვი, ხოლო მიმღებ ოჯახებში - 130. 2013 წელს კი, ინსტიტუციებში 120, მიმღებ ოჯახებში - 1055 (აქედან 135 ბავშვი 0-3 წლამდე), ხოლო იმ დროისთვის ახლადშექმნილ მცირე ზომის საოჯახო სახლებში - 325 (იხ. სქემა #2).

სქემა #2 – 2005-2012 სააღმზრდელო დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზების სტატისტიკა საქართველოში



წყარო: ფარცხალაძე, ნ. (2014). ბავშვთა დაცვის სისტემის დეინსტიტუციონალიზება საქართველოში. მოხსენება კონფერენციაზე Growing with Children's Rights. ევროპის საბჭო. დუბროვნიკი, ხორვატია

მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემაში არსებული არაერთი ხარვეზის მიუხედავად, ჭიმკრის დარაჯობის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებამ და პრევენციული და ოჯახის დამხმარე მომსახურებების ეტაპობრვმა გაძლიერებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში ინსტიტუციონალიზების დონის შემცირებას.

დროთა განმავლობაში ასევე საგრძნობლად შეიცვალა ალტერნატიული მომსახურებების სხვადასხვა ფორმებში ბავშვების გადანაწილების თანაფარდობაც. 2018 წელს 705 მიმღებ ოჯახში განთავსებული იყო 1482 ბავშვი; 46 მცირე ზომის

საოჯახო სახლში - 321 ბავშვი; შშმ ბავშვების 2 მცირე ზომის საოჯახო სახლში - 14; ჩვლი ბავშვთა სახლში - 49 შშმ ჩვილი; კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში - 28 (UNICEF, 2018). დამატებით, საპატრიარქოს მართვაში მყოფ 3 ლიცენზირებულ დაწესებულებებში ცხოვრობდა 211 ბავშვი (UNICEF, 2018), ხოლო სხვა არალიცენზირებულ რელიგიურ რეზიდენტულ დაწესებულებებში 1100-ზე მეტი ბავშვი (Kakachia, 2016).

## ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეინტეგრაცია არის სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული პირის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან (მზრუნველთან) საცხოვრებლად დაბრუნება (საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მუხლი 4) (საქართველოს მთავრობა, 2006). რეინტეგრაციას ექვემდებარება ბავშვი, რომელიც იმყოფება ბავშვთა სახლში, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ან მინდობით აღზრდაში.

ქვეყანაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით 2000 წლიდან პილოტური პროგრამის ფარგლებში, ხოლო 2002 წლიდან სახელმწიფო პროგრამით დაინერგა სახელმწიფო ფულადი დახმარება. დახმარების სახით ბიოლოგიურ ოჯახს ყოველ რეინტეგრირებულ ბავშვზე დაუწესდა რეინტეგრაციის ყოველთვიური შემწეობა, რომელიც კვლევის ჩატარების პერიოდში შეადგენდა ყოველთვიურად 90 ლარს (ჯანმრთელ ბავშვზე) და 130 ლარს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვზე. 2020 წლის მდგომარეობით შემწეობა გაიზარდა 100 და 160 ლარამდე (ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის შემთხვევაში). დამატებით, 2010 წლიდან ყოველი რეინტეგრირებული ბავშვი უზრუნველყოფილი იყო ჯანმრთელობის დაზღვევით. საჭიროებისა და ასეთი მომსახურებების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ოჯახები ასევე იღებენ გაძლიერებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა სოციალურ მომსახურებებს.


2010-2014 წლებში გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა მთავრობის დახმარებას ბავშვზე ზრუნვის რეფორმის განხორციელებაში, სხვა მნიშვნელოვან აქტივობებთან ერთად შეიქმნა რეინტეგრაციის მხარდამჭერი დამატებითი ფონდი. ოჯახის გაძლიერებაზე მიმართული ეს ფონდი ერთჯერადი მატერიალური დახმარების გზით მხარს უჭერდა ოჯახებში ბავშვების დასაბრუნებლად იქ პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ სარემონტო სამუშაოების, ავეჯის, საოჯახო ტექნიკას და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შესყიდვის სახით. პროექტის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები „გადავარჩინოთ ბავშვები“ და „საქართველოს ბავშვები,“ სმს-ს სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობით ჩართულნი იყვნენ რეინტეგრაციისთვის ოჯახების გაძლიერების პროცესში, შეაბამისად 6-18 და 0-6 წლის ბავშვებისთვის (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014).

პროექტული მხარდაჭერის სხვა მიმართულებები იყო მოწყვლადი ოჯახების გაძლიერება, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ალტერნატიული მომსახურებების განვითარება, ბავშვზე ზრუნვის სისტემაში პოლიტიკის, ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება, ძალადობის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების მხარდაჭერა და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეინტეგრაციაზე, ოჯახების გაძლიერებაზე და ზოგადად, სისტემის გაძლიერებაზე ამ პერიოდში მიმართულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. 2013 წლის მონაცემებით დეინსტიტუციონალიზებული ბავშვების 30 პროცენტი დაბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახებში; 28 პროცენტი - გადავიდა მცირე ზომის საოჯახო სახლებში; 32 - განთავსდა მიმღებ ოჯახებში; სამმა პროცენტმა დატოვა სახელმწიფო ზრუნვა, სრულწლოვანებას

მიღწების გამო; დანარჩენი ბავშვების მდგომარეობა კი, გაურკვეველი იყო (იხ. დიაგრამა #3) (Greenberg and Partskhaladze, 2014).

დიაგრამა #3 – დეინსტიტუციონალიზების შედეგად ბავშვთა განთავსების სტატისტიკა საქართველოში (2013 წელი)



წყარო: ფარცხალაძე, ნ. (2014). ბავშვთა დაცვის სისტემის დეინსტიტუციონალიზება საქართველოში. მოხსენება კონფერენციაზე Growing with Children's Rights. ევროპის საბჭო. დუბროვნიკი, ხორვატია

პროექტის ფარგლებში 2011-2013 წლებში “გადავარჩინოთ ბავშვები“-ს მიერ ჩატარდა რეინტეგრირებული ოჯახების საჭიროებათა შეფასების ორი კვლევა. პირველი აფასებდა იმ ოჯახებს, რომლებშიც რეინტეგრაცია მოხდა სახელმწიფო და დონორული რესურსებით. მეორე კვლევამ დაფარა ოჯახები, რომლებშიც ბავშვების დაბრუნებისას გამოყენებული იყო მხოლოდ სახელმწიფო რესურსები (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014). კვლევებით შესწავლილი იყო 2010 -2012 წლებში რეინტეგრირებული ბავშვების სრული პოპულაცია და პროექტის კვლევის თემატიკის პარალელურად ითვალისწინებდა მოცემული დისერტაციის კვლევის გარკვეულ კომპონენტსაც.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა სოციალურ მუშაობაში

ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის  
რეფორმის შეფასების მეთოდი

ავტორი - ნათელა ფარცხალაძე

სადოქტორო ნაშრომი

თბილისი, 2020

## თავი 4. თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩო

### მიჯაჭვულობის თეორია

ინსტიტუციური ზრუნვის უარყოფითი გავლენა ბავშვის სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ნეირობიოლოგიურ განვითარებაზე კარგად არის დასაბუთებული მიჯაჭვულობის თეორიითა და არაერთი კვლევით (Bowly, 1951; Hodges and Tizard, 1989; Bullock, et al., 1993; Buote, 2006, და ა.შ.). 1950-იანი წლებიდან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში დაიწყო მსჯელობა ინსტიტუციების, განსაკუთრებით კი, დიდი ზომის იზოლირებული ინსტიტუციების მიერ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის მიწოდებული მომსახურების არასასურველ გავლენაზე. ინსტიტუციური ზრუნვის კრიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა და “ანტი-ინსტიტუციურ” მოძრაობაში გადაიზარდა, 1960-იან წლებში (Crimmens and Milligan, 2005).

განვითარებულ ქვეყნებში ინსტიტუციური ზრუნვის კრიტიკას დიდწილად, საფუძველი დაუდო ბრიტანელი ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და ფსიქოანალიტიკოსის, ჯონ ბოულბის (1907-1990) მიჯაჭვულობის თეორიამ. თეორიის თანახმად, ბავშვის ემოციური მიჯაჭვულობა უფროსისადმი არის ევოლუციურად მნიშვნელოვანი რეაქცია, რომელიც განაპირობებს მის გადარჩენას და სრულფასოვან განვითარებას. 1951-ში გამოქვეყნებული პიონერული ნაშრომების თანახმად, ბოულბი „მიჯაჭვულობას“ განმარტავს, როგორც ბიოლოგიურ დედასთან ჩამოყალიბებულ კავშირს, რომლის არარსებობა განაპირობებს განვითარების შეფერხებას (Bowlby, 1951). შემდგომ ნაშრომებში ბოულბიმ დედასთან მიჯაჭვულობიდან აქცენტი გადაიტანა ძირითად მზრუნველზე მიჯაჭვულობის მნიშვნელობაზე. ის ამტკიცებდა, რომ ბავშვი, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, საჭიროებს ინდივიდუალიზებულ ემოციურ კავშირს (არა აუცილებლად ბიოლოგიურ მშობელთან, მათ შორის, დედასთან) და ასეთის არარსებობა აფერხებს მის ემოციურ განვითარებას (OHCHR, 2011).



ვერა ფელბერგის (1991) თეორიის თანახმად, ტირილი არის ახალშობილის სამყაროსთან კომუნიკაციის ერთადერთი გზა და იწვევს ბავშვის აღზუნებას. ძირითადი მზრუნველი რეაგირებს ტირილზე და აკმაყოფილებს ბავშვის საჭიროებას. სიცოცხლის პირველი თვეების განმავლობაში ამ ციკლის მრავალჯერადი განმეორება იწვევს დასწავლას, ნდობისა და უსაფრთხოების შეგრძნების ჩამოყალიბებას და ძირითად მზრუნველთან მიჯაჭვულობას. ეს კი, მოგვიანებით, ბავშვის თვითშეფასების განვითარების წინაპირობაა. მუდმივი მზრუნველის არყოლის და ბავშვის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ბავშვი სწავლობს, რომ მოთხოვნას შედეგი არ მოჰყვება და ამცირებს ტირილს (გარემოსთან კომუნიკაციას), ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში რჩება აღზუნების მდგომარეობაში და ვერ ახერხებს ნორმალური განვითარებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელებას (მაგ. თამაშს და ა.შ.) (Mulheir at al., 2007).

მიჯაჭვულობის თეორიის პირველი ემპირიული გამოცდის - „უცნაური სიტუაციების“ ექსპერიმენტის საფუძველზე 1970-იან წლებში მეცნიერმა მარი ეინსვოტმა გამოყო მიჯაჭვულობის სამი ტიპი: სანდო, განრიდებული და ამბივალენტური მიჯაჭვულობა (Ainsworth, 1985). მოგვიანებით კი, მაინის და სოლომონის მიერ გამოიკვეთა მეოთხე ტიპი - დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა (Solomon, 1989; Cairns, 2002).

- სანდო მიჯაჭვულობა – ჩვილები მშობელს იყენებენ, როგორც უსაფრთხო ბაზისს. განშორების შემთხვევაში ისინი ტირიან, მშობლის დაბრუნებისთანავე ისინი აქტიურად იწყებენ კონტაქტის ძიებას და ტირილს დაუყოვნებლივ წყვეტენ. სანდო მიჯაჭვულობის დროს, ბავშვები ადვილად შედიან კონტაქტში სხვა პირებთან/უფროსებთან, არ ეშინიათ გარე სამყაროსი და მშობლის/მზრუნველის წასვლის.
- განრიდებითი მიჯაჭვულობა – ჩვილები მშობლის ყოფნა-არყოფნაზე არ რეაგირებენ. დედის მიერ მისი დატოვების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში დისტრესს არ განიცდიან; რთულად შედიან კონტაქტში უცხოებთან.

- ამბივალენტური მიჯაჭვულობა– ბავშვები განშორებამდე მშობლებთან ახლო კონტაქტის ძიებაში არიან, მშობლის წასვლისას დისტრესს განიცდიან და მისი დაბრუნებისას კი გამოხატავენ შერეულ გრძნობებს – ეკვრის და უბრაზდება მას, აყვანისას ეწინააღმდეგება, ზოგჯერ ურტყამს კიდეც, აყვანისას ზოგჯერ ტირილს აგრძელებს, მაგრამ მშობელს ებლაუჭება; რთულად ან არ შედის კონტაქტში უცხოებთან.
- დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა– ეს არის სუსტი მიჯაჭვულობის ტიპი.

ზოგიერთი ავტორი ასევე გამოყოფს სიტუაციას, როცა მიჯაჭვულობა საერთოდ არ ყალიბდება. ასეთი ვითარება მოსალოდნელია ისეთ ინსტიტუციებში, როდესაც ბავშვს შეხება აქვს „ბევრ, ანონიმურ, სერიულ მზრუნველთან“ (Howe, 1995). კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანების 55-70 პროცენტს უყალიბდება სანდო მიჯაჭვულობა. ბავშვობის პერიოდში, ისინი ავერსიული ქცევიდან ადვილად გადადიან მიმზიდველ ქცევაზე. იცინიან, ავლენენ ცნობისმოყვარეობას, კონტაქტში შედიან მზრუნველთან. ზრდასრულ ასაკში ეს ადამიანები ავლენენ თანამიმდევრულ, ემციურად შესაბამის (კონგრუენტულ) ქცევას (Cairns, 2002).

თავის ტვინის განვითარების პროცესში, სანდო მიჯაჭვულობის მქონე ბავშვებს უყალიბდებათ კომპლექსური ტვინის ღერო (რომლის განვითარება ასევე დამოკიდებულია ბავშვის გენეტიკისა და ტემპერამენტზე). ტვინის ღეროს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების სათანადოდ განვითარების შედეგად, ასეთი ბავშვები გამოირჩევიან მედეგობით, მოქნილობით, ძლიერი ხასიათით და ა.შ.

თანამედროვე კვლევები ასევე ადასტურებს, რომ ინსტიტუციაში მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 17.1 პროცენტს აღენიშნება სანდო მიჯაჭვულობა, მაშინ როდესაც ეს მონაცემი სხვა ბავშვებისთვის საშუალოდ 62 პროცენტს შეადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ პირველ ჯგუფში დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობის არსებობა დასტურდება

ბავშვების 72.8 პროცენტში, მაშინ როდესაც მეორე ჯგუფის ბავშვების მხოლოდ 15 პროცენტს უყალიბდება დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა (Bakermans-Kranenburg et al., 2014).

მნიშვნელოვანია მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების კულტურული თავისებურებების აღნიშვნაც. მიჩნეულია, რომ სანდო მიჯაჭვულობის მითითებული საშუალო მაჩვენებელი (55-70 პროცენტი) თანაბრად არ ვრცელდება ყველა ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფზე. მაგალითად, გერმანელი, იაპონელი და ებრაელი ბავშვების შედარებით დიდ პროცენტს მიაკუთვნებენ განრიდებული მიჯაჭვულობის მქონეთა ჯგუფს (Grossman et al., 2006; Grossman, 2003; Matikka et al., 2001; Howe et al., 1999; Howe, 2006).

ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძნობა ძირითად მზრუნველთან. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციების ნაწილი ბავშვებს უზრუნველყოფს უსაფრთხო და კეთილმოწყობილი ფიზიკური გარემოთი, დამაკმაყოფილებელი სამედიცინო მომსახურებით და სრულფასოვანი კვებით, მომვლელების დიდი რიცხვი, ბავშვებისა და მომვლელების დიდი თანაფარდობა, ცვლებში მუშაობა და მომვლელთა მუდმივი ცვლა, ვერ უზრუნველყოფს მიჯაჭვულობის გრძნობის ჩამოყალიბებისთვის საჭირო სტაბილურ ურთიერთობებს (Zeanah et al., 2005).

საყურადღებოა, რომ ინსტიტუციონალიზების გავლენა მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე დიდწილად დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციონალიზების უარყოფითი გავლენა დოკუმენტირებულია ბავშვის განვითარების ყველა ეტაპზე, მტკიცებულებები მიუთითებს, რომ განსაკუთრებით დიდი რისკის წინაშე არიან სამ წლამდე ბავშვები (Browne, 2009). ასევე,

დადასტურებულია ექვს თვემდე ინსტიტუციონალიზებული ბავშვების განვითარების გრძელვადიანი უარყოფითი შედეგები (Rutter et al. 2007).

ჰოდგის და ტიზარდის არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვებს, რომელთაც აქვთ ინსტიტუციონალიზების გამოცდილება, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მათი შვილად აყვანა ან რეინტეგრაცია, აქვთ ქცევის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: 1) ურთიერთობებში უფროსებზე ორიენტირება, 2) თანასწორებთან ურთიერთობის სირთულეები, 3) საუკეთესო მეგობრების სიმწირე/არარსებობა, 4) სირთულეების დროს თანატოლებისთვის დახმარებისთვის მიმართვის სირთულეები, 5) ამხანაგების შერჩევისას ნაკლები სელექტიურობა. წარსულში ინსტიტუციონალიზებული ბავშვების 50 პროცენტი ავლენდა ამ ხუთიდან ოთხ მახასიათებელს, მაშინ როცა არაინსტიტუციონალიზებული ბავშვების საკონტროლო ჯგუფში ეს მახასიათებლები მხოლოდ ოთხ პროცენტში შეინიშნებოდა (Browne et al., 2006a).

დადგენილია, რომ ძირითად მზრუნველზე მიჯაჭვულობა არის 12-19 წლის ახალგაზრდებს შორის თვითშეფასების, ცხოვრების ხარისხის და საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი. შესაბამისად, ინსტიტუციონალიზების სხვა მავნე შედეგების გარდა, ინსტიტუციურ დაწესებულებაში მცხოვრებ ბავშვებს შორის მიჯაჭვულობის გრძნობის განვითარების სირთულეები შესაძლოა განხილულ იქნას მათი ცხოვრების ხარისხის შედარებით დაბალი მაჩვენებლების ერთ-ერთ მიზეზად. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მიმღებ ოჯახებში ცხოვრებისას ინდივიდების ცხოვრების ხარისხი აღემატება მათივე ცხოვრების ხარისხს ინსტიტუციურ გარემოში (Conroy et al., 2002).

კვლევები ასევე ადასტურებს სანდო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ოჯახურ გარემოში განთავსების შემდეგ,

განსაკუთრებით კი, ადრეულ ასაკში რეინტეგრაციისა და გაშვილების შემთხვევაში (Van IJzendoorn et al., 2006). აღნიშნული მტკიცებულება, კიდევ ერთხელ მიუთითებს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის მნიშვნელობასა და ადრეული რეინტეგრაციის დადებით შედეგებზე.

## მედეგობა

როგორც ცნობილია, ინსტიტუციური ზრუნვა, ძალადობა, ცუდი მოპყრობა, უარყოფით გავლენას ახდებს ბავშვის განვითარებაზე. თუმცა, უარყოფითი გავლენის ხარისხი და ნაირსახეობა ინდივიდუალურია და მკვეთრად განსხვავდება ცალკეული პირებისთვის. დადგენილია, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა 13-30 პროცენტს არ აღნიშნება მნიშვნელოვანი ან პერსისტენტული პრობლემები. ასევე, ვარირებს ერთსა და იმავე დაწესებულებაში თანაბარი დროით განთავსებული ბავშვების შედეგები. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანის ფუნქციონირება არც კი განსხვავდებოდეს ოჯახურ გარემოში აღზრდილი ბავშვებისგან (Lambert, 2001). ასევე, შეიძლება ვარირებდეს ინსტიტუციონალიზებული ბავშვების გართულებები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს მძიმე ფსიქიკური აშლილობიდან უმნიშვნელო ცვლილებებამდე (Van IJzendoorn, et al., 2011).

დადგენილია, რომ სახელმწიფო ზრუნვაში აღზრდილი ბავშვების, ისევე როგორც რისკის ქვეშ მყოფი სხვა ბავშვების, პოზიტიური და ნეგატიური შედეგები და მათი ხარისხი გარკვეულწილად აიხსნება პიროვნების მედეგობით. ტერმინი „მედეგობა“ ეკუთვნის რუტერს (1987), თუმცა მედეგობის (resilience) საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია დღემდე არ არსებობს (Fraser, 1997).

გილიანის დეფინიციით, მედეგობა არის პროცესი, როცა ბავშვი, გარკვეული მახასიათებლების დახმარებით, ახერხებს ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევას,

გადარჩენასა და განვითარებას (Conway, 2012; Gallagher, 1999). მედეგობა, ასევე, განიმარტება როგორც რთულ პირობებში ნორმალური განვითარება. მეცნიერების სხვა ჯგუფის განმარტებით, მედეგობა არის რთული და არაკეთილსაიმედო პირობების მიუხედევად, ადამიანის ეფექტური ადაპტაციის პროცესი, უნარი ან გამოსავალი (Kendrick, 2008).

ლიტერატურის მიმოხილვა ადასტურებს, რომ ყველა არსებული დეფინიცია აერთიანებს ორ ძირითად მახასიათებელს, როგორებიცაა მედეგობის პროცესის დინამიკურობა და არაკეთილსაიმედო პირობებში პოზიტიური ადაპტაცია (Luthar, 2003). ასევე, დადგენილია, რომ მედეგობა არის მრავალსპექტიანი მახასიათებელი, რომელიც კავშირშია პიროვნულ მახასიათებლებთან და სოციალურ გარემოსთან.

გარმეზის, რუტერის, ქუინტონის და ფრეიზერის რისკის და მედეგობის თეორიები და მრავალი კვლევა მიუთითებს, ერთი მხრივ, მედეგობის და, მეორე მხრივ, მოწყვლადობის მიზეზებზე. შესწავლილია მედეგობის ჩამოყალიბების მთელი რიგი რისკ ფაქტორები და დამცავი ფაქტორები, ასევე იმ ინსტიტუციების საერთო და ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც რისკს უქმნიან ბავშვის განვითარებას (Rutter, 1996; Werner, 1995). ასევე აღინიშნება, რომ მედეგობა არ არის აბსოლუტური ცნება და არ გულისხმობს ადამიანის მიერ ყველა სირთულესთან ერთნაირი წარმატებით გამკლავების უნარს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მედეგად მიჩნეული ახალგაზრდების მხარდაჭერაც (Coleman and Hagell, 2007).

დამცავ ფაქტორებად ითვლება მედეგობის მექანიზმები, რომელთა დახმარებით ხდება იმ ნაგატიური რეაქციის აღმოხვრფა/შემცირება, რომელიც ორდინარულ სიტუაციაში გამოიწვევდა არასასურველ შედეგებს (Rutter, 1996; Werner and Smith, 1992). მათ შორის, აღსანიშნავია ინდივიდის პირადი მახასიათებლები, როგორებიცაა პოზიტიური თვითშეფასება, კომუნიკაბელურობა, იუმორის გრძნობა, ემპათიურობა

და ა.შ. ზოგიერთი ბავშვი, მათი გარეგნობიდან და პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ნაკლებად დგას გარკვეული რისკების წინაშე ან სხვებზე უფრო ადვილად ართმევს მათ თავს. ასევე, ბავშვისთვის სპეციფიკური მედეგობის მექანიზმებიდან აღსანიშნავია გენეტიკური ფაქტორები, რომლებიც ამცირებს ან ზრდის ბავშვის მოწყვლადობას ინსტიტუციური დეპრივაციის მიმართ. ასევე, გენეტიკური ფაქტორები შეიძლება ბლოკავდეს ეფექტს, ან ამცირებდეს სენსიტიურობას გარკვეული რისკების მიმართ (Van IJzendoorn, 2011). ამგვარი ფაქტორების არსებობა არაერთი კვლევით არის დადასტურებული და მტკიცებულებების რიცხვი დღითიდღე იზრდება (Caspi et al., 2003).

მედეგობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტორად მიჩნეულია მჭიდრო ოჯახური კავშირები, ემოციურად სტაბილური მშობელი ან ოჯახის წევრი და ა.შ. ასევე მხარდამჭერი სოციალური გარემო, თემი ან თანატოლები, „მნიშვნელოვანი უფროსი მეგობარი,“ უსაფრთხო სკოლა, კლასგარეშე აქტივობებში ჩართვა და ა.შ. (Ungar, 2008).

მედეგობის რისკ ფაქტორებად განიხილება ინდივიდის ის პიროვნული მახასიათებლები და გარემო ფაქტორები, რომლებიც ზრდის არასასურველი შედეგების დადგომის რისკს. ასეთი ფაქტორებია: დაბალი აკადემიური მოსწრება, განათლებაზე მცირე აქცენტი, ცხოვრების რთული გამოცდილება, მათ შორის, სიღარიბე, ოჯახური კრიზისი, ინსტიტუციური გარემო და სტიმულაციის ნაკლებობა, კანონთან კონფლიქტში მყოფი ამხანაგები და ა.შ. პიროვნული მახასიათებლებიდან კი გამოყოფენ განრიდებულ მიჯაჭვულობას, დაბალ თვითშეფასებას, დეპრესიას და ა.შ. (Greenwell, 2003; Colton, 2002; Johnson, 1992).

ინსტიტუციების საერთო უარყოფით ეფექტად მიიჩნევა რეჟიმი, ზრუნვის არასათანადო ხარისხი და სტიმულაციის ნაკლებობა. ხოლო ინსტიტუციების

სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამოყოფენ ცალკეული მზრუნველების გამორჩეულ ყურადღებას, გარემოებათა თანხვედრას, რომლებმაც პოზიტიური გავლენა იქონიეს ბავშვის განვითარებაზე და ა.შ. ინსტიტუციური ფაქტორების შესწავლამ, ასევე, დაადასტურა, რომ ცალკეული გარემო პირობების გაუმჯობესება ვერ ახდებს ბავშვის განვითარების სირთულეების პრევენციას და დადებითად ვერ მოქმედებს მიჯაჭვულობის ან მედეგობის ჩამოყალიბებაზე (Van IJzendoorn, 2011).

გარემოს თანახმად, არსებობს მედეგობის სამი ტიპი: პირველი ტიპი, ე.წ. „რისკების გადალახვა,“ გულისხმობს მაღალი რისკების მიუხედავად პოზიტიური შედეგების მიღებას; მეორეა „სტრესულ ვითარებაში კომპეტენციების შენარუნება.“ ამ დროს, ბავშვი ახერხებს ეფექტურად ფუნქციონირებას რთული გარემო პირობების მიუხედავად; მესამეა „ტრავმის შემდგომი აღდგენა,“ რომელიც გულისხმობს მძიმე სტრესული სიტუაციის შემდეგ, რეაბილიტაციასა და ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას (Masten, 2001). ითვლება, რომ მაღალი ცხოვრების ხარისხის მისაღწევად, აუცილებელია ბავშვობასა და შემდგომ პერიოდებში მედეგობის სამივე ტიპის არსებობა.

კვლევები ადასტურებს მიჯაჭვულობასა და მედეგობის განვითარებას შორის კავშირსაც (Buote, 2006). კერძოდ, სანდო მიჯაჭვულობა დადებითად მოქმედებს მედეგობის ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა: ოპტიმიზმი, ეფექტურობა, უფროსებთან დამოკიდებულება, თანატოლებთან ურთიერთობა და მნიშვნელოვანი ზრდასრულების რაოდენობა. გარდა ამისა, სტრესისადმი მედეგი ახალგაზრდები ხასიათდებიან განრიდებითი მიჯაჭვულობის დაბალი ალბათობით (Buote, 2006).

დადგენილია, რომ ბავშვებს და ახალგაზრდებს, რომლებიც ითვლებიან მედეგ პიროვნებად, ჰყავთ „მნიშვნელოვანი ზრდასრული“, რომელსაც სჯერა მათი (Masten 2001; Werner, 1989, 1995). მინიმუმ ერთი „მნიშვნელოვანი უფროსის“ არსებობა



აუცილებელია მედეგობის ჩამოყალიბებისთვის (Werner and Smith, 1992). „მნიშვნელოვანი ადამიანის“ არსებობის მნიშვნელობაზე საუბრობენ წარმატებული ახალგაზრდებიც (Rutter et al., 2007).

რთული წარსულის მქონე ბავშვებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი უფროსი, რომელიც მასზე ზრუნავს, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, ნივთიერებათა ავადმომარების ნაკლები რისკი, ძალადობის ნაკლები გამოვლინება, თანატოლებთან და უფროსებთან უკეთესი ურთიერთობა, თვითრწმენა, ოპტიმიზმი, უკეთესი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, უფრო მაღალი თვითშეფასება, სუბიექტური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე და ცხოვრების უკეთესი ხარისხი (Werner and Smith, 1992; Rutter, 1993; Greenwell, 2003; Rutter et al., 2007). ამავდროულად, მედეგი ახალგაზრდები გამოირჩევიან უნარით, მიმართონ არაფორმალური დახმარების ქსელებს. ამასთანავე, მათთვის მნიშვნელოვანი დახმარების შესაძლო წყაროდ ისინი ასევე ასახელებენ მეგობრებს, რელიგიურ პირებს, მასწავლებლებს, ბებია-ბაბუებს, უფროს და-ძმას, მწვრთნელებს, ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერებს, სკოლის სოციალურ მუშაკებს და სხვა საჯარო მოხელეებს, მეზობლებს და ა.შ. (Werner and Smith, 1992; Greenwell, 2003). არაერთი კვლევის თანახმად, ბავშვის ცხოვრებაში პოზიტიური ზრდასრულის არსებობა, ასევე მასთან გატარებული დრო, გადამწყვეტ როლს თამაშობს მედეგობის განვითარებაში (Jackson et al., 1998). ხოლო ბავშვებს, რომელთაც მცირე ასაკში დააგროვეს უფროსებთან არასათანადო ურთიერთობების გამოცდილება, განიცდიან ნდობისა და მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების პრობლემას, აქვთ მდგრად პიროვნებად ჩამოყალიბებისა და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების მიღების ნაკლები შანსი.

აქედან გამომდინარე, საგულისხმოა რეინტეგრაციის ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის დროს, სტაბილური მხარდაჭერისა და ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის „მნიშვნელოვან ფიგურასთან“ ურთიერთობის შენარჩუნება (Greenwell, 2003),

რომელიც მხარს დაუჭერს ახალგაზრდას ახალ აკადემიურ ან საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტირებაში. ამგვარი „შემობრუნების წერტილი,“ ნეირობიოლოგიური თვალსაზრისით, იძლევა ჯანსაღი განვითარების საშუალებას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის პერიოდში უარყოფითი გამოცდილების გადახედვისა და პოზიტიური განვითარებისთვის (Rutter, 1993).

კვლევები ასევე ადასტურებს, რომ განათლება წარმოადგენს მედეგობის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს და დამცავ ფაქტორს. წარმატება აკადემიურ სფეროში არის პიროვნების განვითარების და ახალგაზრდობასა და ზრდასრულ ასაკში მისი ცხოვრების მაღალი ხარისხის განმაპირობებელი კრიტიკული ელემენტი (Jackson, 2001). თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური მუშაკები არასაკმარის ყურადღებას ანიჭებენ ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებას. ახალგაზრდებს, რომელებიც წარმატებულები იყვნენ სახელმწიფო ზრუნვაში, ჰკითხეს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მათი სოციალური მუშაკები მათ განათლებას (განსაკუთრებით, უმაღლეს განათლებას). 92 პროცენტის პასუხი იყო - არავითარ ყურადღებას. ისინი აღიარებდნენ, რომ სოციალური მუშაკები გარკვეულ დახმარებას უწევდნენ მათ განათლების მისაღებად ფინანსების მოძიებაში, ან სკოლაში დაბრუნებაში, თუმცა არა განათლების მისაღებად მოტივაციის გაზრდასა და სხვა სირთულეების დაძლევაში (Jacknon, 1998). სოციალური მუშაკების და აღმზრდელების რეკომენდაციები ამ მიმართულებით ან არ არსებობდა, ან ძალიან დაბალ სტანდარტებს სთავაზობდა ახალგაზრდებს.

მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები განსხვავებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე აფასებენ პიროვნების მედეგობას. პიროვნების ფუნქციონირების გარეგანი გამოვლინებების გარდა, განიხილება მისი სუბიექტური კეთილდღეობის/ცხოვრების ხარისხის გაზომვისა და გათვალისწინების აუცილებლობაც (Luthar, 2003; Masten, 2001; Greenwell, 2003). ლუთარის თანახმად, არ

არსებობს მედეგობის ზუსტი საზომი, თუმცა, ემოციური კარგად ყოფნა მედეგობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სანდო მეთოდია (Luthar, 2003). ასევე, მიღებულია მედეგობის სხვადასხვა ასპექტის, კერძოდ განათლების, სოციალური ფუნქციონირების და ა.შ. შეფასების მეთოდები (Song, 2003). მედეგობის შეფასების აღნიშნული და სხვა მეთოდები გამოიყენება არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ მისთვის მიწოდებული ინტერვენციების ეფექტურობის შესაფასებლად (Greenwell, 2003).

## ეკოლოგიური სისტემების თეორია

სოციალური მუშაობის და ბავშვთა განვითარების სფეროებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიური სისტემების თეორიას. ბრონფენბენერის<sup>1</sup> თეორიის თანახმად, ბავშვის განვითარებას განსაზღვრავს მისი მრავალგანზომილებიანი გარემო და ბავშვის გარშემო არსებული ცალკეული კომპონენტების ურთიერთქმედება (Bronfenbrenner, 1979 and 1994). თეორია აღწერს ბავშვის გარემომცველ ოთხ სისტემას. ესენია:

- **მიკროსისტემა** - ბავშვის გარემო, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ბავშვზე. მიკროსისტემის ნაწილებია ოჯახი, სკოლა, მეგობრები, სამეზობლო. სწორედ ამ სისტემაში ხდება სოციალური დასწავლა, როლური-მოდელის მაგალითის გადაღება და ა.შ. რაც უფრო მზრუნველი, სანდო და მასტიმულირებელია მიკროსისტემის ელემენტები, მით უფრო პოზიტიურია ბავშვზე მათი გავლენა. მიჩნეულია, რომ მიკროსისტემის ის ელემენტები, რომლებთანაც უშუალო შეხება აქვს ბავშვს, ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარებასა და სუბიექტურ კეთილდღეობაზე.

---

<sup>1</sup> ური ბრონფენბენერი (1917 - 2005). ბავშვის განვითარების ეკოლოგიური სისტემების თეორიის ავტორი, ამერიკელი განვითარების ფსიქოლოგი

ეკოლოგიური სისტემების თეორიის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაზე გავრცელების მცდელობა გულისხმობს მიკროსისტემაში ბავშვთან და ოჯახთან მომუშავე სოციალური მომსახურებების მუშაკების გათვალისწინებას. აღსანიშნავია, რომ კეთილდღეობის სისტემაში ჩართული ბავშვებისთვის, სოციალური მუშაკი და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორებია (Julien-Chinn, 2017).

- **მეზოსისტემა** გულისხმობს მიკროსისტემის ელემენტებს შორის კავშირს და ურთიერთქმედებას. ამ კავშირების პოზიტიური ან არაჯანსაღი ხასიათი დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე. მაგალითისთვის, ოჯახისა და სკოლის კავშირის შემთხვევაში მშობლ(ებ)ის პოზიტიური ან ნეგატიური ჩართულობა ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის კეთილდღეობაზე. გარდა ამისა, ბავშვის ურთიერთობა მიკროსისტემის ერთ კომპონენტებთან, გავლენას ახდენს დანარჩენ კომპონენტებთან მის ურთიერთობაზე. მაგალითად, ოჯახის წევრებთან დაძაბული ურთიერთობა, შესაძლოა გახდეს სკოლასთან რთული ურთიერთობების მიზეზი (Langer and Lietz, 2014).

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში მეზოსისტემის მაგალითებია ბავშვისა და მისი სოციალური მუშაკის ან სოციალური მუშაკისა და მისი სუპერვაიზორის და დამჭირავებელი ორგანიზაციის ურთიერთქმედება.

- **ეგზოსისტემა** გულისხმობს ორი ან მეტი ისეთი სისტემის ინტერაქციას, რომლებიც არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ბავშვის უშუალო გარემოზე. მაგალითისათვის, ბავშვის განვითარებასა და მდგომარეობაზე ზემოქმედებას ახდენს მისი მშობლების დასაქმების ადგილი, ვინაიდან ის, დიდწილად განსაზღვრავს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას, მშობლის გუნებ-განწყობას, დროის ნაკლებობას ან შესაძლებლობას, მოიცალოს ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ა.შ. (Bronfenbrenner, 1994).


ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში ეგზოსისტემის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ქვეყნის სოციალური და ბავშვთა დაცვის სისტემის პოლიტიკა, ასევე სოციალური მუშაკის დამსაქმებელი ორგანიზაციის რესურსები. არასაკმარისად პრიორიტიზებულ და ცუდად დაფინანსებულ ბავშვთა დაცვის სისტემაში სოციალურ მუშაკებს შეიძლება ჰქონდეთ დიდი დატვირთვა და დაბალი ანაზღაურება, რაც გავლენას იქონიებს მათი ბავშვებთან მუშაობის ხარისხზე.

- **მაკროსისტემა** გულისხმობს ბავშვის სოციალურ-კულტურულ გარემოს მისთვის დამახასიათებელი ღირებულებებით, ნორმებით, ტრადიციებით (მათ შორის მავნე ტრადიციებით) და ფასეულობებით (Johnson, 2008). მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი შედარებით დისტანცირებულია მაკროსისტემისგან, ეს სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიკროსისტემაზე და შესაბამისად, ბავშვის განვითარებაზე (Allen-Meares and Lane, 1987). მაკროსისტემის ელემენტები, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, დემოკრატიის ხარისხი, პოლიტიკური სისტემა და მრავალი სხვა, განსაზღვრავს ბავშვის მიერ მიღებული მხარდაჭერის ხარისხს.

ზემოთ ჩამოთვლილ სისტემებზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს დროითი განზომილება - **ქრონოსისტემა**, რომელშიც არსებობენ ეკოსისტემის კომპონენტები. ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ეპოქაში, მსგავსი მოვლენები განსხვავებულად მოქმედებენ ბავშვზე. მაგალისთვის, განსხვავებულია ეკოსისტემის ცალკეული კომპონენტების გავლენა ბავშვზე ჩვილობაში და თინეიჯერობის პერიოდში (სასიცოცხლო ციკლის ეტაპის გავლენა). ასევე მკვეთრი განსხვავებაა 21-ე საუკუნის დასაწყისში და მეორე მსოფლიო ომის დროს ერთიდაიგივე ასაკის ბავშვების ეკოსისტემების მახასიათებლებში (ეპოქის გავლენა).

ბავშვთა დაცვის სისტემაში ქრონოსისტემის მაგალითებია: ბავშვთან მომუშავე ორგანიზაციის სამუშაო განრიგი, კვარტალური და წლიური სამუშაო გეგმა, რეფორმის ეტაპები და ა.შ. (იხ.სქემა #3)

სქემა #3 - ეკოლოგიური სისტემები



წყარო: Johnson, 2008

ეკოლოგიური სისტემების თეორიის თანახმად, ბავშვი და მისი ეკოსისტემის ელემენტები ორმხრივად და დინამიურად ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ამ პროცესში, ბავშვი არის როგორც ზეგავლენის ობიექტი, ასევე ზემოქმედების მომხდენი ერთეული.

ეკოლოგიური სისტემების თეორია მიჩნეულია სოციალური მუშაობის ინტერვენციების დაგეგმვის და კლიენტების სირთულეების კონცეპტუალიზების მნიშვნელოვან თეორიულ საფუძვლად (Pardeck, 1988). განსხვავებით სხვა მიდგომებისგან, ეკოლოგიური სისტემების თეორიის საფუძველზე, სოციალური მუშაკი, ინდივიდის სირთულეებსა და პრობლემურ სოციალურ ფუნქციონირებას,

განიხილავს არა როგორც მის 'პათოლოგიას,' არამედ როგორც ეკოსისტემასა და ინდივიდს შორის ურთიერთქმედების შედეგს და ეკოსისტემის დადებით ან უარყოფით გავლენებზე ინდივიდის რეაქციას (ზოგ შემთხვევაში არასათანადო ადაპტაციას). ეს კი, სოციალური მუშაკისგან მოითხოვს თანამშრომლობას არა მხოლოდ ბავშვთან, არამედ მის ოჯახთან, საცხოვრებელ გარემოსთან, სკოლასთან და ეკოსისტემის სხვა ელემენტებთან, რათა მოხერხდეს მათ შორის პოზიტიური ურთიერთქმედების უზრუნველყოფა. ეკოლოგიური სისტემების თეორიით კარგად აიხსნება სოციალური მუშაკის რამდენიმე პროფესიული როლის გაძლიერების მნიშვნელობა (მაგ. მედიატორი, ადვოკატი და ა.შ.) (Siporin, 1980).

ეკოლოგიური სისტემების თეორია ასევე წარმოადგენს შესაფერის ჩარჩოს ინდივიდის, მათ შორის ბავშვების ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად (Tissington, 2008), ვინაიდან ცხოვრები ხარისხი არის მრავალგანზომილებიანი კონცეფცია, რომლებიც გულისხმობს საკუთარი თავისა და გარემოს ურთიერთქმედების ხასიათის შესახებ ინდივიდის აღქმას (Schalok et al., 2002). ცხოვრების ხარისხი ზომავს იმას, თუ რამდენად კეთილსაიმედოა არსებული ეკოსისტემის კომპონენტები ინდივიდის კარგი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

## ცხოვრების ხარისხი<sup>2</sup>

ცხოვრების ხარისხის კონცეფცია ანტიკური პერიოდიდან არსებობს. ბერძენი ფილოსოფოსები ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-IV საუკუნეებში უკვე განიხილავდნენ „კარგი ცხოვრების“ იდეებს. არისტოტელეს მოსაზრებით, ადამიანები ეძებენ ბედნიერებას და კარგ ცხოვრებას. მათ მხოლოდ იმიტომ სურთ მიზნების მიღწევა, რომ

---

<sup>2</sup> ქვეთავი შეიქმნა შემდეგ სტატიაზე დაყრდნობით: Partskhaladze, N. (2016). Quality of Life of Deinstitutionalized Children as an Outcome Measure of the Child Care System Reform in Georgia. Journal of Young Researchers. Students' Electronic Scientific Journal of the Faculty of Social and Political Sciences at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეს მათ გააბედნიერებთ (Matikka, 2001). არისტოტელეს აზრით, კარგი ცხოვრება არის ყველაზე სასურველი ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რამდენად სასარგებლოა ის საზოგადოებისთვის. კარგი ცხოვრება მოიცავს ისეთ კონცეფციებს, როგორცაა ბედნიერება, სიამოვნება, კეთილდღეობა და ა.შ. (Ostenfeld, 1994). ამავდროულად, იმ პერდიდში ითვლებოდა, რომ ცხოვრების ხარისხი კავშირშია მორალურობასთან და მხოლოდ მაღალხნეობრივ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს „კარგი ცხოვრება“ და ჩაითვალოს ბედნიერად (Matikka, 2001).

ცხოვრების ხარისხის პოსტმოდერნისტული კონცეფცია წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქტს და მუდმივად დახვეწის პროცესშია. მაგალითად, 1960-იან წლებში მოღვაწე მეცნიერი ვორნერ ვილსონი ბედნიერად მიიჩნევდა ადამიანს, რომელიც არის ახალგაზრდა, ჯანმრთელი, კარგად განათლებული, ექსტროვერტი, ოპტიმისტი, რელიგიური, დაოჯახებული; აქვს მაღალი სამუშაო მორალი, თვითშეფასება, ანაზღაურება და ინტელექტი (Diener et al., 1999; Smith et al., 1999). თუმცა, აღნიშნული მიდგომა თანდათანობით შეიცვალა, რადგან დადგინდა, რომ ადამიანის დემოგრაფიული მაჩვენებლები სუსტად არის დაკავშირებული ცხოვრებით მის სუბიექტურ კმაყოფილებასთან (Diener and Diener, 1996; Pavot and Diener, 1993). შესაბამისად ცხოვრების ხარისხის კონცეფციამ გაიზიარა ეკოლოგიური სისტემების თეორიის პერსპექტივა, რომელიც ხაზს უსვავს კონტექსტის/გარემოს (მაგ. ოჯახი, სკოლა, თემი) გავლენას ადამიანის ფუნქციონირებასა და ადაპტაციის უნარებზე (Matikka, 2001; Diener et al, 1999).

ცხოვრების ხარისხის კონცეპტუალიზაციის მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1990-იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან ცხოვრების ხარისხის კონცეფცია გამოიყენება არა მხოლოდ როგორც მასენსიტიზებელი ცნება, არამედ როგორც მომსახურებების მიწოდების და მათი შედეგების შეფასების ჩარჩო (Verdugo et al., 2005).



90-იანი წლების ბოლოსთვის, განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებული იყო ცხოვრების ხარისხის 100-მდე დეფინიცია და ცხოვრების ხარისხის სხვადასხვა ასპექტების გასაზომი ათასზე მეტი ინსტრუმენტი. ამ პერიოდში ჩატარებული 10,000-ზე მეტი წყაროს მეტაანალიზმა აჩვენა, რომ გაწეული სამუშაოს მასშტაბურობის მიუხედავად, არ არსებობდა ლიტერატურა, რომელშიც სრულყოფილად იყო განხილული ცხოვრების ხარისხის კონცეფცია, საზომი ინსტრუმენტები, გამოყენების სფეროები, მეთოდები და ა.შ. (Schalok et al., 2002).

თუმცა, მეცნიერები თანხმდებიან განსაზღვრებაზე, რომლის თანახმადაც ცხოვრების ხარისხი არის მრავალგანზომილებიანი კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს საკუთარი თავის და გარემოებების შესახებ ინდივიდის აღქმას, მისი იდენტობის, განვითარების დონის და სიტუაციის მიხედვით (Cummins, 2005; McGillivray et al., 2007;).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, ცხოვრების ხარისხი ასახავს ინდივიდის აზრს ცხოვრებაში მისი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ეყრდნობა კონკრეტული პიროვნების კულტურულ და ღირებულებით სისტემებს, რომელშიც ის ცხოვრობს და იმ მოლოდინებს, სტანდარტებსა და მიზნებს, რომლებისკენაც ის ისწრაფის (WHOQOL Group, 1999).

ცხოვრების ხარისხის განმარტება კარგად ასახავს ცხოვრების ხარისხის სუბიექტურ ხასიათს, რომელზეც გავლენას ახდენს გარემო, კულტურული და სოციალური კონტექსტი (Bognar, 2010). ამიტომაც, განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების ხარისხის კონცეფცია უფრო და უფრო პოპულარული ხდება ისეთ სფეროებში, როგორცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციალური უზრუნველყოფა, დასაქმება, ჯანდაცვა, ეკონომიკა, საერთაშორისო განვითარება, პოლიტიკა და ა.შ. (Michalos, 2002). 2000-იან წლებში ჩატარებულმა მიმოხილვამ გამოავლინა 23 განსხვავებული მიზნის

მატარებელი ცხოვრების ხარისხის კვლევა, რომლებიც სხვადასხვა სისტემებში და სფეროებში აფასებდნენ ამ კონცეპტის მნიშვნელობას (Verdugo et al., 2005). მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სფეროებსა და ქვეყნებში ხშირად გამოიყენება მრავალი განსხვავებული ტერმინები (მაგ. ფილოსოფიაში (კარგი ცხოვრება), ფსიქოლოგიაში (ბედნიერება და სუბიექტური კეთილდღეობა), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებები (მომსახურების ხარისხი) და ა.შ.), მათ ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებენ და ძირითადად ურთიერთშემცვლელად იყენებენ (Matikka, 2001; Joronen, 2005).

ცხოვრების ხარისხის განსაზღვრისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სუბიექტური კეთილდღეობის/კარგად ყოფნის (well-being) სუბიექტური და ობიექტური განზომილებების გამოყენებას, რომლებიც უნდა გაიზომოს ინდივიდისთვის უნიკალური კრიტერიუმების და სტანდარტების შესაბამისად (Gilman and Huebner, 2003; Cummins, 2005). ობიექტური ინდიკატორები ცხოვრების ხარისხს ზომავს ინტერპერსონალურად დაკვირვებადი და ვერიფიცირებადი მონაცემების (interpersonally observable and verifiable data) მიხედვით, როგორცაა შემოსავალი, დასაქმება, ჯანმრთელობის სტატუსი და ა.შ. ეს ინდიკატორები ცვალებადია საზოგადოებრივ-კულტურული კონტექსტის მიხედვით (Change et al., 2003). სუბიექტური ინდიკატორები ეფუძნება ცხოვრებით კმაყოფილების, შეგრძნებების, განწყობების სუბიექტურ აღქმას და შეფასებას (მაგ. ადაპტირების უნარი; სოციალური კავშირები, მათი ხარისხი და ინტენსივობა; თვითშეფასება და ა.შ.) (Keith and Schalock, 1994; Schalock and Keith, 1993). სუბიექტური ინდიკატორების შესაფასებლად გამოიყენება აღწერითი და ანალიზის მეთოდები. პირველით აღიწერება ცხოვრების ხარისხის ელემენტები. მეორე მეთოდი კი, მკვლევარებს აძლევს საშუალებას გაანალიზონ ინდივიდის სუბიექტური მოსაზრება საკუთარი ცხოვრების ცალკეული ასპექტების შესახებ (Bognar, 2010).

მართალია, მკვლევარების ნაწილი ჯერ კიდევ მხარს უჭერს ექსკლუზიურად ობიექტური ინდიკატორების გამოყენება, მათი უმრავლესობა თანხმდება სუბიექტური ინდიკატორების გამოყენების აუცილებლობაზე. დადგენილია, რომ ობიექტური ინდიკატორები მოულოდნელად დაბალ კორელაციაშია ცხოვრების ხარისხთან და ცხოვრებით კმაყოფილებასთან. მაგალითად, დემოგრაფიული მაჩვენებლების (ასაკი, სქესი) სუსტი კორელაცია ცხოვრების ხარისხთან დადგენილია აშშ-ში, ავსტრალიაში, პორტუგალიაში და სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებში. ოჯახის შემოსავლის კორელაცია სუბიექტურ კეთილდღეობასთან ( $r$ ) 0.01-0.2 ფარგლებში მერყეობს, მაშინ როდესაც ინდივიდის მიერ მითითებული მეგობრების რაოდენობის და სუბიექტური კეთილდღეობის კორელაცია 0.2 და მეტია (Gilman and Huebner, 2000).

განსხვავებით ობიექტური ინდიკატორებისგან, ცხოვრების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდებს დადებითი და უარყოფითი ცხოვრებისეული მოვლენები. მაგალითად, ყოველდღიური მოვლენების (მეგობრებთან და ახლობლებთან ურთიერთობა, საინტერესო ჰობი) კორელაცია ცხოვრების ხარისხთან ( $r$ ) 0.40-შეადგენს. ბავშვები, რომლებიც ხვდებიან სტრესულ გარემოში, ხასიათდებიან სუბიექტური კეთილდღეობის მრავალგანზომილებიანი მაჩვენებლის დაბალი დონით. მაგალითად, ბავშვებს, რომლებიც საცხოვრებლად გადადიან რეზიდენტულ დაწესებულებებში, აქვთ ოჯახურ გარემოში მცხოვრებ სხვა ბავშვებთან და საკუთარ ოჯახში ცხოვრების ხარისხის შედარებით დაბალი მაჩვენებლები (Gilman and Handwerk, 2001).

ასევე მნიშვნელოვანია ცხოვრების ხარისხის სუბიექტურ შეფასებაზე პიროვნული თვისებების გავლენა. აშშ მოსწავლეებს შორის დადგენილია ამ ორ მაჩვენებელს შორის,  $r = 0.40 - 0.60$  კორელაცია. თუმცა ეს მონაცემი შედარებით დაბალია სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის (მაგ. პორტუგალია). დადგენილია, რომ მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ სოციალური ინტერესის მაღალი დონე, აქვთ ცხოვრების ხარისხის

უფრო მაღალი მაჩვენებლები (Huebner, 1994). ასევე აშკარაა ცხოვრების ხარისხისა და სუბიექტური კეთილდღეობის კორელაცია პიროვნული მახასიათებლების ცვლილებასთან, რომელიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ახალგაზრდობის ასაკიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლასთან (მაგ. გაზრდილი ექსტრავერტულობა, შემცირებული ნარცისიზმი) (Tomy and Cummins, 2011); სარისკო ქცევასა და ნივთიერებათა ავადმობხმარებასთან (მაგ. მარიხუანას, ნიკოტინის, ალკოჰოლის, კოკაინის მოხმარება) და სხვა (Gilman and Huebner, 2003).

აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ცხოვრების ხარისხზე ინდივიდუალური, სუბიექტური გარემოებების გავლენა უთანაბდრება ან აღემატება ობიექტური გარემოებების გავლენას და შესაბამისად, სუბიექტური ინდიკატორების გამოყენება აუცილებელია ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად (Gilman and Huebner, 2003).

კვლევებმა ასევე დაადგინა რომ საკუთარი ცხოვრების ხარისხზე პოზიტიურ თვალთახედვას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პიროვნების ადაპტაციის უნარზე. პოზიტიური თვალთახედვა განაპირობებს სოციალური და პერსონალური განვითარების უკეთეს შესაძლებლობებს და სირთულებთან გამკლავების ეფექტურ მექანიზმებს (Diener and Diener, 1996; Gilman and Huebner, 2003). ცხოვრების ხარისხზე ადამიანის პოზიტიური თვალთახედვა ასევე ხელს უწყობს (თუმცა არ განაპირობებს) კარგი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას (Roberts, 1998).

ლიტერატურის ანალიზით დადგინდა, ცხოვრების იმ ელემენტების მეტ-ნაკლებად მდგრადი ნუსხა, რომლებიც განაპირობებენ ცხოვრების ხარისხს. ამ ელემენტებს უწოდებენ ცხოვრების ხარისხის პერსონის მიერ მითითებულ ძირითად ასპექტებს (person-referenced core QoL domains) (Hughes et al., 1995; World Health Organization, 1995; Schalock et al., 2002; Cummins, 1997; Verdugo et al 2005). ყველაზე ფართოდ

გამოყენებული ასპექტები, რომლებიც მოიცავს სუბიექტურ და ობიექტურ მაჩვენებლებს არის:

- ემოციური კეთილდღეობა (well-being): უსაფრთხოება, სტაბილური გარემო და ა.შ.
- ინტერპერსონალური ურთიერთობები: მეგობრობა, ინტიმური ურთიერთობები
- მატერიალური მდგომარეობა: საკუთრებაში არსებული ნივთები, დასაქმება
- პირადი განვითარება: განათლება, კლასგარეშე აქტივობები
- ფიზიკური მდგომარეობა: ჯანმრთელობა, მობილობა, კვება
- თვითგამოხატვა: არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, პირადი მიზნები
- სოციალური ინკლუზია: არაფორმალური ქსელი, ჩართულობა
- უფლებები: პრივატულობა, სამართლიანობის განცდა და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, რომ ინდივიდები განსხვავებულ მნიშვნელობას/“წონას“ ანიჭებენ ზემოაღნიშნული სფეროების შესაბამის ინდიკატორებს. თუმცა, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ინტიმურობა/ახლო ურთიერთობები, შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრების ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებად (Bearsley, 1997).

ასევე საინტერესოა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, უფროსებისთვის ფართოდ გამოყენებულ ასპექტებს შორის, ბავშვებისთვის ყველაზე რელევანტური და/ან დიდი წონის მატარებელია ასპექტები, რომლებიც ეხება ემოციურ კეთილდღეობას და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს. არსებობს ვარაუდი, რომ დანარჩენი სფეროების წონა გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მათი გავლენა ზემოაღნიშნულ ორ ასპექტზე (Fattore et al., 2009).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა სოციალურ მუშაობაში

ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი

ავტორი - ნათელა ფარცხალაძე

სადოქტორო ნაშრომი

თბილისი, 2020

# თავი 1. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა: რეგიონული და ადგილობრივი კონტექსტი

## ინსტიტუციური ზრუნვა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნები<sup>1</sup>, მათ შორის საქართველო, ათწლეულების მანძილზე გამოირჩეოდნენ სოციალური დაცვის მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებული სისტემებით, სახელმწიფო ზრუნვაზე დიდი დამოკიდებულებითა და ინსტიტუციურ დაწესებულებებში ბავშვთა განთავსების მაღალი სიხშირით (UNICEF, 2011). კომუნისტური რეჟიმის დროს, ამ ქვეყნებში ბავშვთა ინსტიტუციონალიზება განიხილებოდა ბავშვთა დაცვის ფართოდ გავრცელებულ მეთოდად და გამოიყენებოდა სიღარიბის, ოჯახში ძალადობის, მშობლებისა და ბავშვების ქროკიკური დაავადებების, ნივთიერებაზე დამოკიდებულების და სხვა პრობლემების არსებობის დროს.

სამედიცინო მოდელის და დეფექტოლოგიის პრინციპების პრიორიტეტულობის, პროფესიული სოციალური მუშაობის არარსებობის და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, თემზე დაფუძნებული მომსახურებების სიმწირის გამო, ინსტიტუციურ გარემოში აღზრდა წარმოადგენდა მზრუნველობამოკლებული, შეზღუდული შესაძლებლობების, ქცევის პრობლემების მქონე და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისთვის და ზრდასრულებისთვის სახელმწიფოს მიერ ფართოდ შეთავაზებულ გამოსავალს (UNICEF, 2010a).

---

<sup>1</sup> გაეროს ბავშვთა ფონდის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (ადრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეგიონი) ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბელორუსი, ბოსნია და ჰერცეგონინა, ბულგარეთი, თურქეთი, თურქმენეთი, კოსოვო (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1244), მოლდოვა, მონტენეგრო, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, ხორვატია.



საბჭოთა კავშირის ფორმირების ადრეული ეტაპიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მოქალაქის აღზრდის მაკარენკოს<sup>2</sup> პრინციპებს, მოწყვლადი ინდივიდების დაცვისა და დახმარების გარდა, ინსტიტუციური დაწესებულებები ასრულებდნენ სოციალური რეგულირების როლსაც და ახორციელებდნენ შემდეგ ფუნქციებს:

- მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების იზოლირება;
- კოლექტიურ კულტურაში ინდივიდების სოციალიზება;
- ბავშვების (განსაკუთრებით კი ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვების) განათლება და შრომით ბაზარში ჩართვა;
- შეზღუდული უნარების მქონე პირების სწავლება და ინსტიტუციებში შექმნილ სამუშაო ადგილებზე დასაქმება;
- არასრულწლოვანი და ზრდასრული დამნაშავეების გამოსწორება;
- ეთნიკური უმცირესობების ასიმილირება და ა. შ. (Tobis, 2000).

ამ პერიოდში, რუსეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში საგრძნობლად გაიზარდა ინსტიტუციური აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა. მხოლოდ რუსეთში, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რიცხვი 30,000-დან (1917 წ.) 540,000-მდე გაიზარდა (1921 წ.). მაკარენკოს მიერ, მილიონობით უსახლკარო ბავშვისთვის ორგანიზებულმა რეზიდენტულმა სარეაბილიტაციო პროგრამებმა, რომლებიც კომუნისტური პარტიის მიერ განიხილებოდა როგორც წარმატებული ინიციატივა, ეს მიდგომა პოპულარული გახდა სოციალისტური ბლოკის სხვა ქვეყნებშიც (Bronfenbrenner ციტირებული Tobis-თან 2000).

---

<sup>2</sup> ანტონ მაკარენკო, პედაგოგი და მწერალი (1888-1939 წწ). საბჭოთა განათლების თეორიისა და სისტემის დამფუძნებელი.  
[http://www.ibe.unesco.org/fileadmin/user\\_upload/archive/Publications/thinkerspdf/makarene.pdf](http://www.ibe.unesco.org/fileadmin/user_upload/archive/Publications/thinkerspdf/makarene.pdf)

მეორე მსოფლიო ომის დროს 27 მილიონი საბჭოთა მოქალაქის დაღუპვამ, ომის შემდგომმა ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ, კიდევ უფრო გაზარდა ბავშვთა დაცვის ამ ფორმის გამოყენების სიხშირე. ამავდროულად, მოსახლეობის რაოდენობის და სამუშაო ძალის გაზრდის მიზნით, საბჭოთა კავშირისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბლოკის ქვეყნების ხელმძღვანელობამ დაამკვირდა ნატალისტური პოლიტიკა, გაამკაცრა აბორტთან და განქორწინებასთან დაკავშირებული რეგულაციები და გაამარტივა ბავშვების ინსტიტუციონალიზების მექანიზმი (Harwin, 1996).

ინსტიტუციური ზრუნვის პოპულარობის მიუხედავად, ამ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა ომის შემდგომ პერიოდში, საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კომისარის მიერ შეფასებული იყო როგორც „სრულიად აუტანელი“ (Harwin, 1996). მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა კანონმდებლობა, რომელმაც ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებები ორ კატეგორიად - ჩვილ ბავშვთა სახლებად (0-7 წლის ბავშვებისთვის) და რეგულარულ ბავშვთა სახლებად (8-18 წლის ბავშვებისთვის) დაჰყო. გარდა ამისა, რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში შეიქმნა მინდობით აღზრდის სერვისი. მინდობით აღზრდელებს დაენიშნათ ანაზღაურება. თუმცა, ინსტიტუციებში უმძიმესი ვითარებისა და ალტერნატიული მომსახურების შექმნის მიუხედავად, ინსტიტუციონალიზებული ბავშვების რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა. ომის შემდგომ პერიოდში რეგიონის ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობამ 1,500,000 მიაღწია.

1950-1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სოციალური დაცვის სისტემა და ცხოვრების მინიმალური სტანდარტი. ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფართომასშტაბიანი პროგრამებიდან აღსანიშნავია უნივერსალური ჯანდაცვა, ასაკობრივი პენსია, „ინვალიდობის“ პენსია, სადეკრეტო შვებულება, მრავალშვილიანობის შემწეობა, უფასო სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლება, საცხოვრისით უზრუნველყოფა და სხვა სუბსიდირებული პროგრამები (Kuddo, 1998).

ამ პერიოდში, ოჯახების ფულადი და არამატერიალური საოჯახო დახმარებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო ბიუჯეტი რეგიონის ქვეყნებში ორჯერ აღემატებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ დადგენილ სტანდარტს. გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობის ფონზე, შემცირდა ინსტიტუციურ დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების რიცხვი და რეგიონის 5,500 დიდი ზომის ინსტიტუციაში 800,000-ს მიაღწია (UNICEF, 1995).

თუმცა, ეკონომიკური აღმავლობის მიუხედავად, ინსტიტუციონალიზების ტენდენცია ყველა ქვეყანაში თანაბრად არ შემცირებულა. მაგალითად რუმინეთში, ჩაუმესკუს მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით აქტიური იყო ნატალისტური პოლიტიკა; ასევე, ქალთა დასაქმების ხელშესაწყობად, წახალისებული იყო ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება. რუმინეთში ბავშვთა ინსტიტუციონალიზების მაჩვენებელი რეგიონში ყველაზე მაღალი - 1.8 პროცენტი იყო. ინსტიტუციონალიზებული ბავშვების 10-40 პროცენტი ჩვილ ბავშვთა სახლში, ბავშვთა სახლში და შემდეგ, ზრდასრული ადამიანებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში მთელ ცხოვრებას ატარებდა. ხანგრძლივი ინსტიტუციონალიზების პრაქტიკა მიღებული იყო რეგიონის სხვა ქვეყნებშიც (Zamfir and Zamfir, 1996). იუნისეფის უკანასკნელი მონაცემებით, რეგიონში ბავშვის და ოჯახის განცალკევების და ინსტიტუციონალიზების სიხშირე კვლავ აღემატება მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. ის შეადგენს 666 ინსტიტუციონალიზებულ ბავშვს 100,000 ბავშვთა მოსახლეობაზე, რაც 5-ჯერ აღემატება მსოფლიო მაჩვენებელს (120/100,000-ზე) (UNICEF, 2018).

1970-იანი წლებიდან რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა ინსტიტუციური ზრუნვის უარყოფითი გავლენის დამადასტურებელი ადგილობრივი მტკიცებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები მწირი და არაპოპულარული იყო, ისინი იმეორებდნენ განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული კვლევების შედეგებს. ლანგმეიერისა და მატეცკის (Tobis, 2000) მიერ ჩეხოსლოვაკიის ინსტიტუციებში და საკუთარ ოჯახებში მცხოვრები ჩვილებისა და მცირე ასაკის ბავშვების კვლევამ აჩვენა, რომ ინსტიტუციონალიზებული ბავშვები ხასიათდებოდნენ მეტყველებისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ჩამორჩენით. რუსეთში დოკუმენტირებული იყო ინსტიტუციებში ბავშვებზე ძალადობის, კრიმინალური წარსულის მქონე თანამშრომლების

დაქირავების და ბავშვთა შორის სუიციდის ფაქტები (Harwin, 1996). ერთ-ერთი საბჭოთა მკვლევარის მოსაზრებით, „ბავშვებს რომლებიც არ იზრდებიან ოჯახურ გარემოში, აქვთ განვითარების შეფერხების უფრო დიდი რისკი, ვიდრე ოჯახური კოლექტივის წევრ ბავშვებს“ (Bronfenbrenner ციტირებული Tobis, 2000).

თუმცა, საბჭოთა ბლოკის ქვეყნების ხელმძღვანელობა სათანადოდ მაინც არ აფასებდა ბიოლოგიური ოჯახის როლს და არასაკმარისად ეხმარებოდა რთულ ვითარებაში მყოფ ოჯახებს. სახელმწიფოს ხედვა მხარდამჭერი სერვისების თაობაზე იყო ხისტი, არ ითვალისწინებდა ბავშვების და ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებს და ხშირად ვლინდებოდა ოჯახის ცხოვრებაში უხეში ჩარევისა და ინსტიტუციონალიზების სახით; არ ხდებოდა სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარება; მსოფლიოში უკვე დაწყებული დეინსტიტუციონალიზების პროცესის მიუხედავად, ამ რეგიონში გადაწყვეტილებების მიმღებთა ხედვა განსხვავებული იყო და არ ეყრდნობოდა არსებულ მტკიცებულებებს; იშვიათად ტარდებოდა ბავშვზე ზრუნვის მომსახურებების ეფექტურობის შესაფასებელი კვლევები და არ ხდებოდა მოპოვებული მტკიცებულებებით პოლიტიკის ინფორმირება (EveryChild, 2005).

### ინსტიტუციური ზრუნვა გარდამავალ პერიოდში

1990-იანი წლების დასაწყისში, ტოტალიტარული სისტემის კოლაფსმა განაპირობა სოციალისტური იდეოლოგიის რღვევა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, უმუშევრობის დონის ზრდა და ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. 1989 წლიდან 1995 წლამდე შუალედში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დასაქმების დონე შემცირდა 15 პროცენტით, ხოლო შრომის ანაზღაურება, 45 პროცენტით. ამავე პერიოდში 75 მილიონით გაიზარდა სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა (UNICEF, 1995; UNICEF, 1997).

წარმოქმნილმა რეალობამ, ინსტიტუციური ზრუნვისადმი უკვე ჩამოყალიბებულმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ და ალტერნატიული მომსახურებების სიმწირემ, გამოიწვია სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.

გაიზარდა ოჯახთან განცალკევებული ბავშვების მეურვეებისა და მინდობით აღმზრდელთა ოჯახებში განთავსების შემთხვევებიც, თუმცა, სახელმწიფო ზრუნვის ყველაზე ხშირ ფორმას კვლად ინსტიტუციური ზრუნვა წარმოადგენდა (Thoburn, 2008).

აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით საგულისხმოა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი შობადობის და ბავშვთა პოპულაციის საგრძნობი შემცირების ფონზე. საგანგაშო იყო ჩვილ ბავშვთა ინსტიტუციონალიზების გაზრდილი სიხშირეც, რადგან ადრეულ ასაკში ინსტიტუციონალიზება, განსაკუთრებით საზიანოა ბავშვის განვითარებისთვის. 90-იან წლებში რეგიონის მასშტაბით 1-3 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების რაოდენობა საშუალოდ 30 პროცენტით შემცირდა, ხოლო ინსტიტუციონალიზების სიხშირე 20 პროცენტით გაიზარდა (ესტონეთში დაფიქსირდა 75 პროცენტიაანი ზრდა) (UNICEF, 1997). ინსტიტუციონალიზებული ჩვილების 94-98 პროცენტს ჰყავდა ერთი მშობელი მაინც, რომლის არსებობა სახელმწიფო ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო (Browne et al., 2005, 2006a, 2006b; Carter, 2005; Tobis, 2000). ჩვილ ბავშვთა ინსტიტუციონალიზების ტენდენცია შედარებით ნაკლებად იყო გამოხატული კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დიდ ნაწილში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ოჯახურმა ტრადიციებმა და არაფორმალური მხარდაჭერის ქსელმა მნიშვნელოვან როლი შეინარჩუნა ბავშვთა დაცვის პროცესში.

მიუხედავად ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებებისა, გარდამავალ პერიოდში რეგიონში მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო ზრუნვაზე დახარჯული რესურსები. მაგალითისთვის, ბულგარეთში, ინსტიტუციონალიზების ზრდის პარალელურად, სახელმწიფო დანახარჯები შემცირდა დაახლოებით 75 პროცენტით (UNICEF, 1997). მკვლევარების შეფასებით, ამ პერიოდისთვის საქართველოს ბავშვთა დაცვის სახელმწიფო სისტემამ ფაქტობრივად სრული კოლაფსი განიცადა (UNICEF, 2000).

ზოგ ქვეყანაში დაიხურა ინსტიტუციების ნაწილი და გაიზარდა რეზიდენტების რაოდენობა მოფუნქციონირე დაწესებულებებში. მაგალითად, საქართველოში, 1993-1996 წლებში, დაიხურა სამი სახელმწიფო ინსტიტუციური დაწესებულება და მათმა რიცხვმა ცხრა შეადგინა. თუმცა, ამავდროულად არ შექმნილა არც ოჯახის დამხმარე და არც ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული

მომსახურებები და გაიზარდა არასახელმწიფო რეზიდენტული დაწესებულებების რიცხვი. რესურსების ნაკლებობის გამო, კიდევ უფრო გაუარესდა ინსტიტუციურ დაწესებულებებში არსებული პირობები და ზრუნვის ხარისხი (UNICEF, 1995).

გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, გარდამავალ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი ხასიათდებოდა ინსტიტუციონალიზების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მსოფლიო მასშტაბით. 1990-იან წლებში ამ მაჩვენებელმა 100,000 ბავშვზე 1,450 მიაღწია, რაც რეგიონის ბავშვთა მოსახლეობის 0.7 პროცენტის შეადგენს (UNICEF, 2009c). რეგიონში ინსტიტუციონალიზების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნებოდა რუმინეთში, ხოლო ყველაზე დაბალი (0.5 პროცენტი) - ალბანეთში. ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ერთი მესამედი ცხოვრობდა რუსეთში.

არასამთავრობო ორგანიზაცია EveryChild-ის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 2002 წელს ინსტიტუციებში ჩარიცხული იყო 1.3 მილიონი ბავშვი, მაშინ როდესაც იუნისეფისთვის მოწოდებული ოფიციალური მონაცემებით ეს რიცხვი 719,910 უტოლდებოდა (Carter, 2005).

გაეროს ბავშვთა ფონდის TransMonEE<sup>3</sup> 2015 მონაცემთა ბაზაში (ფარავს 1989-2014 წლებს) აღნუსხული ინსტიტუციონალიზებული ბავშვები ასევე სრულად არ მოიცავდა ყველა ქვეყნისა და წლის მონაცემს (მაგ. ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ყაზახეთი, მონტენეგრო, სერბეთი). საქართველოში სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების შესახებ 2004-2006 წწ. ოფიციალური სტატისტიკა არ იყო გადაცემული TransMonEE მონაცემთა ბაზაში. ქვეყნებში სრულად არ იყო აღწერილი სკოლა პანსიონებში, დახურული ტიპის დაწესებულებებში და სხვა რეზიდენტულ მომსახურებებში მცხოვრები ათასობით ბავშვი (World Bank, 2010; UNICEF, 2015a; UNICEF, 2015b).

---

<sup>3</sup> გაეროს ბავშვთა ფონდის TransMonEE 2015 მონაცემთა ბაზა <http://www.transmonee.org/>

მონაცემთა სიმწირით გამოირჩეოდა ინფორმაცია ინსტიტუციებში და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების მიზეზების შესახებ. მთლიანობაში, ინსტიტუციური ზრუნვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები რეგიონის ყველა ქვეყანაში არასრული და არასანდო იყო. ადგილი ჰქონდა მკაცრ ცენზურას და მონაცემებით მანიპულირებას; განსხვავდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია; არ არსებობდა ინსტიტუციური ზრუნვის ერთიანი დეფინიცია; ბავშვების ჩარიცხვის წესების მრავალფეროვნების გამო, საგრძნობლად განსხვავდებოდა აღნუსხული ინსტიტუციონალიზებული ბავშვების პროფილი და ა.შ. მონაცემების შეგროვების უკვე არსებულ ხარვეზებს გარდამავალ პერიოდში დაემატა ამ სფეროზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების შესუსტება, დაფინანსების და კადრების ნაკლებობა და სხვა სირთულეები, რამაც კიდევ უფრო გაართულა სანდო მონაცემების შეგროვება და შექმნილი ვითარების ანალიზი.

### რეფორმების პირველი ეტაპი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1989 წელს მიიღო და 1990 წლიდან ძალაში შევიდა ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც, კონვენციის დამატებით ოქმებთან ერთად, წარმოადგენს კომპლექსურ საკანონმდებლო სტანდარტს და ავალდებულებს სახელმწიფოებს შექმნან ბავშვთა დაცვის ადექვატური სისტემები. კონვენციის თანახმად, ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებელად უნდა იყოს დაცული. ოჯახს უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი (UN, 1989).

კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ბავშვის ოჯახთან დაშორების პრევენცია - „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და

პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს“ (მუხლი 9); ხელი შეუწყონ მშობლებს შვილების აღზრდაში - „მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწყვენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს ბავშვის აღსაზრდელად მათი მოვალეობის შესრულებაში და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას“ (მუხლი 18); დაიცვან ბავშვი ძალადობის ყველა ფორმისგან (მუხლი 19) და ა.შ. იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან განცალკევება და ამოწურულია ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ყველა შესაძლებლობა (ნათესაური და პროფესიული მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა), კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს შესთავაზოს ბავშვს ოჯახური გარემოს ტოლფასი ალტერნატიული მზრუნველობა (UN, 2009).

ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ადვოკატირებისა და მხარდაჭერის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონის ქვეყნებში ბავშვთა უფლებების გაცნობიერების საქმეში. კონვენციამ საფუძველი დაუდო სახელმწიფოთა ვალდებულებების გაანალიზებასა და სხვა საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული მნიშვნელობის საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებას (მაგ. ევროკავშირის 2006 წლის კომუნიკე „ევროკავშირის ბავშვის უფლებათა სტრატეგიის გზაზე;“ ევროკავშირის ბავშვის უფლებების დაცვის გაიდლაინები 2011; ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა სტრატეგია 2016-2021 და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებამდეც არსებობდა რამდენიმე საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომლებიც სპეციფიურად ამახვილებდა ყურადღებას ბავშვის უფლებაზე, კერძოდ კი უფლებაზე, იცხოვროს ბიოლოგიურ ოჯახში და თემში. ეს დოკუმენტებია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია (მუხლი 8) (ადამიანია უფლებათა ეროვნული



სასამართლო, 2010) და ევროპის სოციალური ქარტიის განახლებული ვერსია (მუხლი 16) (ევროპის საბჭო, 1996). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR) (მუხლი 10) (გაერო, 1966).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციამ და რეგიონის ქვეყნებში ამ პერიოდში მომძლავრებულმა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულმა მიდგომებმა, შექმნა ინსტიტუციური ზრუნვისა და ზოგადად, ბავშვთა დაცვის სისტემის რეფორმირების საფუძველი. 1990-იანი წლების ბოლოდან, ქვეყნებმა სხვადასხვა ინტენსიობით დაიწყეს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემების რეფორმირებისკენ ნაბიჯების გადადგმა (UNICEF, 2004a). ამ პროცესს ასევე ხელი შეუწყო საბჭოთა რეჟიმის დასრულებამ, რამაც შესაძლებელი გახადა რეგიონში თანამედროვე იდეებისა და მიდგომების დამკვირდებისა და ბავშვთა უფლებების აღიარებისკენ წინსვლა. განვითარებული ქვეყნებისთვის, რომელთაც გაუჩნდათ სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში მუშაობის შესაძლებლობა, ასევე ქვეყნების შიგნით აშკარა გახდა, რომ რეგიონში გამეფებული ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და უგულებელყოფდა ბავშვის უფლებებს (OHCHR, 2011).

დღის წესრიგში მწვავედ დადგა ბავშვთა დაცვის სისტემის საბაზისო ელემენტების შექმნის, ინსტიტუციურ ზრუნვაზე და მთლიანობაში, სახელმწიფო ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირების საჭიროება. ქვეყნებში სხვადასხვა ინტენსიობით დაიწყო ოჯახის დამხმარე და ოჯახური ტიპის ალტერნატიული მომსახურებების განვითარება.

თუმცა, მთლიანობაში შეიძლება იქვას, რომ რეფორმების სიჩქარე და ეფექტურობა ქვეყნების უმრავლესობაში არასაკმარისი და არათანაბარი აღმოჩნდა (Bilson and Markova, 2007). ქვეყნებში არსებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა გარემომ, განსხვავებული, ძირითადად კი, უარყოფითი გავლენა მოახდინა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის დეინსტიტუციონალიზების პროცესზე (European Network on Independent Living, 2013).

ბავშვის უფლებათა კონვენციის ძალაში შესვლიდან და რეგიონის ქვეყნების მიერ მისი რატიფიცირებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ჩვენი რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნებში, კონვენციის პრინციპების დანერგვა არათანაბარი და არასრულფასოვანია. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ასობით ათასი ბავშვი ჯერ კიდევ განცალკევებულია ბიოლოგიურ ოჯახთან, არა ბავშვის საუკეთესო ინტერესების, არამედ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, უნარშეზღუდულობისა და დისკრიმინაციის მიზეზით. ინსტიტუციონალიზების და რეფორმის არაეფექტურობის პრობლემა არაპროპორციულად მწვავეა შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების შემთხვევაში (EuroChild, 2014).

როგორც არაერთი ანგარიში ცხადყოფს, რეგიონში 2000-2015 წლებში განხორციელებული რეფორმისთვის დამახასიათებელი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია (UNICEF, 2001; UNICEF, 2008; UNICEF, 2012; Tobis, 2000):

- განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, სტაბილურია ან გაიზარდა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობა. გაეროს ბავშვთა ფონდისთვის რეგიონის 11 ქვეყანაში ჩატარებულმა დამოუკიდებელმა შეფასებამ აჩვენა, რომ 2012 წლისთვის, მხოლოდ სამ ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ბელორუსი, რუმინეთი) მოხერხდა ბავშვისა და ოჯახის განცალკევების სიხშირის შემცირება.
- ქვეყნების უმრავლესობაში შემციდრა ინსტიტუციებში ბავშვების განთავსება და რეზიდენტი ბავშვების რაოდენობა (შემცირებული შობადობის გათვალისწინების გარეშე, საშუალოდ 13 პროცენტით). 2000-2009 წლებში, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ყველა ბავშვთან შეფარდებით, ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების წილი 61.4 პროცენტიდან 46.35 პროცენტამდე შემცირდა.

ეს ტენდენცია გავრცელდა სამ წლამდე ასაკის ბავშვებზეც. თუმცა, განსხვავებულია ცალკეული ქვეყნების მიდგომები. მაგალითად, საქართველოში ამავე პერიოდში, ინსტიტუციონალიზებული ბავშვების რაოდენობა შემცირდა 38 პროცენტით, ხოლო


ინსტიტუციონალიზებული ჩვილების რაოდენობა - 42 პროცენტით. ბულგარეთში 2005-2012 წლებში ინსტიტუციები დატოვა ბავშვების 41.5 პროცენტმა, მაშინ როდესაც არ შემცირებულა სამ წლამდე ბავშვების ინსტიტუციონალიზების სიხშირე.

1. გაიზარდა ოჯახთან განცალკევებული ბავშვების მეურვეებთან და მინდობით აღმზრდელებთან განთავსების ალბათობა და 2007 წლიდან გადააჭარბა ინსტიტუციებში განთავსების სიხშირეს (54 პროცენტი). თუმცა, ინსტიტუციურ ზრუნვასა და მიმღებ ოჯახებში განთავსების სიხშირე რეგიონის მასშტაბით ვარიირებს 12-დან 69 პროცენტამდე, რაც საგრძნობლად ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის მონაცემებს (>80 პროცენტი - შვედეთი ა.შ.).
2. მაღალია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვების ინსტიტუციონალიზების სიხშირე და ზრუნვაში დაყოვნების პერიოდი. მაგალითად, საქართველოში, შეზღუდული უნარების არ მქონე ბავშვების 68 პროცენტი ინსტიტუციებს ტოვებს ჩარიცხვიდან 12 თვეში, მაშინ როდესაც შშმ ბავშვების 41 პროცენტის ინსტიტუციებში დაყოვნება არის ორ წელზე მეტი.
3. არ შეინიშნება დისბალანსი გოგოების და ბიჭების ინსტიტუციონალიზების თვალსაზრისით. საქართველოში, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნებში, არაბუნებრივად მაღალია ბიჭების შობადობა. სტანდარტული 1.03-1.06 შეფარდების ნაცვლად, საქართველოში სქესთა თანაფარდობა არის 1.104, რაც უთანაბრდება ჩინეთის და ინდოეთის მონაცემებს და კიდევ უფრო იზრდება მეორე და შემდეგი მშობიარობის დროს. ამ მონაცემების მიუხედავად, ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვების სქესობრივი თანაფარდობა თანაბარი იყო 2010 წელს (Nachkebia et al., 2010) და 2016 წლის მონაცემებით მდგომარეობა არ შევცვლილა.
4. აღსანიშნავია დასავლეთ ევროპის და ჩვენი რეგიონის ქვეყნებში ბავშვთა ინსტიტუციონალიზების მიზეზებს შორის ფუნდამენტური განსხვავებები. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არ ხდება ჩვილი ბავშვების ინსტიტუციურ ზრუნვაში განთავსება. ბავშვების (განსაკუთრებით კი, ჩვილ ბავშვთა) ოჯახთან განცალკევების წამყვანი მიზეზია მშობლის მიერ ბავშვზე ძალადობა და უგულვებელყოფა (69 პროცენტი), მიტოვება (4 პროცენტი), შეზღუდული უნარები (4 პროცენტი), სხვა სოციალური პრობლემები (23 პროცენტი) (Mulheir et al., 2007). ამავდროულად, ჩვენს რეგიონში ფორმალურ ზრუნვაში განთავსების წამყვანი მიზეზი არ არის მზრუნველის არარსებობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესები. რეგიონის მასშტაბით სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების,

მათ შორის, სამ წლამდე ბავშვების, მხოლოდ 2-5 პროცენტი არის ობოლი; 25 პროცენტი სოციალური „ობოლია“, 23 პროცენტს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები, 32 პროცენტი მიტოვებულია, 14 პროცენტი კი, ძალადობის მსხვერპლია. სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ყველაზე ხშირ მიზეზად სიღარიბის გამო მიტოვება არის მიჩნეული (UNICEF, 2009c; UNICEF, 2010a) (იხ. დიაგრამა #1 და დიაგრამა #2).


5. გარდა ამისა, ამ რეგიონში ინსტიტუციური ზრუნვის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია პროფესიონალთა მხრიდან ოჯახის წევრების მიმართ ნდობის ნაკლებობითა და მათი და მოსახლეობის მხრიდან ბავშვზე ზრუნვის ამ ფორმისადმი მაღალი მიმდებლობით.

დიაგრამა #1 - ინსტიტუციონალიზების მიზეზები დასავლეთ ევროპაში



წყარო: Mulheir et al., 2007

დიაგრამა #2 - ინსტიტუციონალიზების მიზეზები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (%)



წყარო: Mulheir et al., 2007

### ბავშვთა დაცვის სისტემის კომპონენტები

დაცულ გარემოში აღზრდა ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, აუმჯობესებს ჯანმრთელობის და განათლების დონეს და განაპირობებს წარმატებული თაობების აღზრდას (UN, 2010). დაცული გარემოს შექმნისთვის კი, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ეფექტური ბავშვთა დაცვის სისტემა, რომლებიც წარმოადგენს ბავშვთა საჭიროებებისადმი სენსიტიური სოციალური დაცვის სისტემის ნაწილს (UNICEF, 2008b).

გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის სტრატეგიის და სხვა წყაროების თანახმად, მიჩნეულია, რომ ბავშვთა დაცვის სისტემა გულისხმობს „საკანონმდებლო ჩარჩოს, პოლიტიკის, რეგულაციების, მომსახურებების, მონიტორინგის სისტემის და სოციალური სექტორის - სოციალური დაცვის, განათლების, უსაფრთხოების, მარლმსაჯულების კოორდინირებულ მუშაობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია და რეაგირება“ (გვ. 5, UNICEF, 2008b). ის მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს: ა) ნორმატიული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს სისტემის საზღვრებს და მის უფლება-

მოვალეობებს; ბ) ოპერაციული პროცედურები, მათ შორის ინდივიდის საჭიროებათა შეფასების, ზრუნვის გეგმის შემუშავების, გადაწყვეტილებების მიღების და მონიტორინგის, შემთხვევის მართვის ფორმალური მექანიზმები; გ) ბავშვთა და სოციალური დაცვის სერვისების მინიმალური სტანდარტები, რომლებიც არეგულირებს მიწოდებული მომსახურების ხარისხს; დ) ფუნქციური სოციალური სამსახური; ე) ოჯახის დამხმარე და ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებები და ა.შ.


რეგიონის გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნებში განხორციელებული რეფორმების შედეგად მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო კომპონენტის თანაბრად განვითარება. არსებული სოციალური და ბავშვთა დაცვის სისტემები სრულად ვერ პასუხობენ არსებულ მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფენ ბავშვთა ადეკვატური დაცვის უფლების განხორციელებას. ვერ ხერხდება ბავშვებისა და ოჯახების ინდივიდუალური საჭიროებებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების პროაქტიულად და ეფექტურად დაცვა, რაც ვლინდება ბავშვების ოჯახებთან განცალკევების საგანგაშო ტენდენციაში (UNICEF, 2009b).

სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის განვითარება, ბევრი ავტორის თანახმად, წარმოადგენს რეფორმის მნიშვნელოვან ხარვეზს, არის ბავშვთა დაცვის მომსახურებების შეზღუდული არჩევანი და ხელმისაწვდომობა, სტანდარტების არ არსებობა და მომსახურების დაბალი ხარისხი, მწირი დაფინანსება, პრევენციულ მომსახურებებზე არასაკმარისი აქცენტი. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნების უმრავლესობაში, არსებული მომსახურებები კონცენტრირებულია დიდ ქალაქებში (მაგ. საქართველოში), ათწლეულების განმავლობაში აქვს პილოტური ხასიათი და ა.შ. (UNICEF, 2009a; EveryChild 2005, EuroChild, 2013).

ვინაიდან ბავშვთა დაცვის სისტემა ემსახურება მრავალფეროვანი საჭიროებების მქონე ბავშვებს, აუცილებელია, რომ მან უზრუნველყოს „მომსახურებების უწყვეტობა,“ რომელიც გულისხმობს მომსახურებების სრულ სპექტრს და პასუხობს ინდივიდის საჭიროებებს ცხოვრების ყველა ეტაპზე (Better Care Network, 2009; Faith to Action Initiative, 2015) (იხ. სქემა #1).

ბავშვის, ოჯახისა და თემის ჰოლისტური ხედვა, რომელიც წარმოადგენს ბავშვთა დაცვის სისტემური მიდგომის განუყოფელ ნაწილს, აუცილებელს ხდის “მომსახურებების უწყვეტობა” მოიცავდეს პრევენციულ და რეაგირების სერვისებს და კოორდინირებული იყოს სხვა სისტემების ფუნქციონირებასთან (Wulczyn, et al., 2010).

სქემა #1 - ობოლი და მოწყვლადი ბავშვების მომსახურებების უწყვეტობა



წყარო: Faith to Action Initiative, 2015

არსებული ლიტერატურის თანახმად, პრევენციული და სირთულეებზე რეაგირების მომსახურებები დაჯგუფებულია სამ წამყვან მიმართულებად. ესენია:

1. სახელმწიფო (სტატუტორული) მომსახურებები, რომელთა როლია ბავშვებისა და ოჯახების იმ სერვისებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ ესაჭიროებათ და ეკუთვნით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის თანახმად. სტატუტორული მომსახურებების

მიწოდება სახელმწიფო ვალდებულებაა და დაუშვებელია ამ როლის სხვა აქტორებისთვის გადაცემა. სტატუტორული მომსახურებების მიწოდებისას სახელმწიფოს წარმომადგენელია და ამ პროცესში წამყვან როლს თამაშობს სოციალური მუშაკი.

2. ოჯახის დამხმარე მომსახურებები, რომელთა მიზანია ბავშვისა და ოჯახის განცალკევების პრევენციის და მშობლების გაძლიერება, რათა მათ სრულფასოვნად შეასრულონ თავისი როლი. ეს მომსახურებები, შესაძლოა ბავშვებს და ოჯახებს მიაწოდონ სახელმწიფო და არასახელმწიფო პროვაიდერებმა.
3. ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებები, რომლებიც განკუთვნილია ბავშვებისთვის, რომელთა საუკეთესო ინტერესია ოჯახთან განცალკევება. ბავშვის ოჯახთან განცალკევება და მისი ოჯახის ჩამნაცვლებელ ნებისმიერ მომსახურებაში განთავსება, უნდა ხდებოდეს უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურის გადაწყვეტილებით (Horwath, 2007; UNICEF, 2009b).

ქვემოთ აღწერილია ბავშვთა დაცვის სისტემის საკვანძო ელემენტები, რომელთა არსებობა აუცილებელია სისტემის ფუნქციონირებისთვის და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენციისა და რეაგირებისთვის.

## სოციალური მუშაობა<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> ქვეთავი შეიქმნა შემდეგ სტატიაზე დაყრდნობით: Partskhaladze, N. (2017). Development of Social Service Workforce in Georgia and Countries of CEE/CIS Region. Journal of Young Researchers. Students' Electronic Scientific Journal of the Faculty of Social and Political Sciences at Ivane Javakhishvili Tbilisi State University



საერთაშორისო ფედერაციის დეფინიციით, სოციალური მუშაობა არის პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინა, რომლის მიზანია სოციალური ცვლილებების, ინდივიდების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა (IFSW, 2014). სოციალური მუშაობის როლია ინდივიდების, ოჯახების, ჯგუფებისა და თემის დახმარება, რათა გაძლიერდეს მათი სოციალური ფუნქციონირება და შეიქმნას ამისთვის საჭირო სოციალური გარემო (NASW, 1973).

თუმცა, სოციალისტური ბლოკის ქვეყნების მთავრობები არ აღიარებდნენ რეგიონში სოციალური პრობლემების არსებობას, კრიზისში მყოფი ოჯახების მხარდაჭერის საჭიროებასა და სოციალური სამუშაოს პროფესიის განვითარების მნიშვნელობას (Family for Every Child, 2015a). შესაბამისად, საბჭოთა კავშირის შემადგენელ 15 ქვეყანაში ამ პროფესიის განვითარება დაიწყო მხოლოდ კავშირის ბოლო წლებში ან მისი დაშლის შემდეგ და უკავშირდებოდა ქვეყნებში იმ პერიოდში ინიცირებულ რეფორმებსა და ბუნებრივ კატასტროფებს. მაგალითად სომხეთში სოციალური მუშაობის განვითარებას საფუძვლად დაედო 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის დაწყება და ამ ჯგუფების მიერ მიწისძვრით დაზარალებულთა მხარდასაჭერად პროფესიის განვითარების აუცილებლობის გაანალიზება. რუსეთში სოციალური მუშაობის პირველ აკადემიურ პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1991 წელს; უკრაინაში, მოლდოვაში, ყაზახეთში და სხვა ქვეყნებში, მსგავსი პროგრამები შეიქმნა 2000-იანი წლების დასაწყისში (Partskhaladze, 2017).

ვითარება განხვავებული იყო რეგიონის აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში. განსხვავებით საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისგან, ამ რეგიონის არაერთ ქვეყანაში სოციალურ მუშაობას და შესაბამის აკადემიურ განათლებას ადრეულ ეტაპზე დაედო საფუძველი. თუმცა საბჭოთა იდეოლოგიამ, რომელიც ამტკიცებდა რომ სოციალისტური მმართველობის ქვეყნებში მოსახლეობას არ ჰქონდა სოციალური პრობლემები და შესაბამისად, არ საჭიროებდა სოციალური მუშაკის დახმარებას, გარკვეული პერიოდით ამ ქვეყნებშიც გამოიწვია სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების დახურვა და პროფესიის როლის მივიწყება (Zaviršek, 2008). მაგ. რუმინეთში პროფესიის განვითარება დაიწყო 1930-იანი წლებიდან, როდესაც დაარსდა სოციალური დახმარების სკოლა; სკოლა

დაიხურა 1952 წელს და აღდგენილ იქნა 1992 წელს (Rachieru, 2005). უნგრეთში სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამა გაუქმდა 1948 წელს, ხოლო ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში 1952 წელს და მათ აღდგენას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა (Seibel ციტირებული Završek, 2008). ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში სოციალურ მუშაობას საფუძველი დაედო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და სოციალური მუშაობის სკოლები შეიქმნა 1950-იან წლებში (ხორვატია - 1952; სლოვენია - 1955; მაკედონია - 1957; სერბეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა - 1958 (Završek, 2008). თურქეთში სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამები შეიქმნა 1960-იანი წლებიდან. თუმცა, ზოგიერთი ავტორის თანახმად, მთლიანობაში, „სოციალური მუშაობის სფეროში აკადემიური განათლებისა და პრაქტიკის ტრადიცია საბჭოთა და კომუნისტური ბლოკის სხვა ქვეყნებში შეზღუდულია“ (UNICEF, 2013).

განვითარებული ქვეყნების, ასევე რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებიდან აშკარა იყო, რომ სოციალური მუშაობის ძირითადი ფუნქციები და მათი განხორციელების უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალების არსებობა აუცილებელი იყო ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. 1990-2000-იან წლებში ქვეყნების მთავრობებისთვის და მითუმეტეს, რეფორმის მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, აშკარა გახდა, რომ სოციალური მუშაკების მომზადებისა და რეფორმის მიზნების განხორციელებაში მათი ჩართვის გარეშე ეს პროცესი ვერ წარიმართებოდა. შესაბამისად, რეგიონის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში სოციალური მუშაობის მასშტაბური პროფესიული განვითარება დეინსტიტუციონალიზების პროცესის დაწყებას დაუკავშირდა (Doel et al., 2016).

მოგვიანებით, გაეროს ალტერნატიული ზრუნვის გაიდლაინებში მკაფიოდ აისახა სოციალური მუშაკის როლი ოჯახების გაძლიერების, მათთვის ბავშვის აღზრდისთვის საჭირო უნარების განვითარების და ბავშვის ოჯახთან განცალკევების პრევენციის საქმეში (UN, 2010). ეს როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის (შშმ ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, დაშორებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვები), რომელთა წილი სახელმწიფო ზრუნვაში არაპროპორციულად მაღალია (UNICEF, 2015c).

ქვეყნებისთვის აშკარა გახადა, რომ სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის მრავალფეროვანი საჭიროებების შეფასებისა და დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი იყო სისტემის მიერ სოციალური მუშაობის შემდეგი ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა:

- საველე სამუშაო (აუთრიჩი) და სირთულეების მქონე ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა,
- კონსულტირება, მათი უფლებებისა და არსებული რესურსების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება,
- პრევენციული ღონისძიებების გატარება და ადრეული ჩარევა,
- მომსახურების მიწოდება და სხვა სერვისებთან დაკავშირება,
- ჭიშკრის დარაჯობა,
- თემთან მუშაობა,
- შემთხვევის მართვა და სხვა სექტორებთან/მომსახურებებთან კოორდინირება და ა.შ.

ამ მნიშვნელოვანი კომპლექსური ღონისძიებების შესასრულებლად კი, დღის წესრიგში ასევე დადგა შესაბამისი კვალიფიკაციის, მანდატისა და სამუშაო აღწერილობის მქონე სოციალური მუშაკების არსებობა, რომელთაც ქალაქად და სოფლად თანაბრად მიუწვდებათ ხელი ბენეფიციარებთან და მათთვის განკუთვნილ სოციალურ მომსახურებებთან. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, გამოიკვეთა სოციალური მუშაკების პროფესიული მხარდაჭერის და საქმიანობის ხარისხის კონტროლის საჭიროებაც, რათა სრულფასოვნად ყოფილიყო დაცული მოწყვლადი ინდივიდების უფლებები და მომხდარიყო სოციალური მუშაკების მუდმივი გაძლიერება, საქმიანობის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ბოლო ათწლეულებში რეგიონის ქვეყნებში ამ მიმართულებით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი აღწერილია არაერთ დოკუმენტში (UNICEF, 2004; UNICEF, 2015c, UNICEF, 2015a; Doel et al., 2016; Greenberg and Partskhaladze, 2014). თუმცა, არანაკლებ

საყურადღებოა სფეროში დღემდე არსებული სირთულეები. სოციალური მუშაკის როლის ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ყველაზე კარგად განვითარების მიუხედავად, 2015-2016 წლების მონაცემებით, რეგიონის სამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობდნენ ბავშვებთან მომუშავე სახელმწიფო (სტატუტორული) სოციალური მუშაკები და არ არსებობდა სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამა (აზერბაიჯანი, თურქმენეთი და უზბეკეთი). 2020 წელს აკადემიური პროგრამა არ ფუნქციონირებს მხოლოდ თურქმენეთში.

ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის მიერ დაქირავებულ სოციალურ მუშაკებს ჰქონდათ დაბალი ანაზღაურება, ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდათ პროფესიული სტანდარტები და სამუშაო აღწერილობები, არასაკმარისი იყო მათი ავტორიტეტი. განსხვავებული იყო სოციალურ მუშაკებად დაქირავებულ პირთა კვალიფიკაცია: ქვეყნების ერთ ჯგუფში სოციალურ მუშაკებად მუშაობდნენ მხოლოდ შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე პროფესიონალები (მაგ. სერბეთში, ხოვრატიაში და ა.შ); მეორე ჯგუფში, ამ თანამდებობაზე დაქირავებული იყვნენ სოციალური მუშაკები და სხვა სფეროებში უმაღლესი განათლების მქონე პირები (მაგ. საქართველოში); ხოლო ქვეყნების მესამე ჯგუფში, სოციალური მუშაკები ეწოდებოდათ კვალიფიციურ და ასევე, უმაღლესი განათლების არმქონე პირებს (UNICEF, 2006; UNICEF, 2015a; UNICEF, 2015c). ყველა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი, ცენტრიდან დაშორებულ ლოკაციებში, დამახასიათებელი იყო კადრების მწვავე ნაკლებობა.

ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, ხშირია სოციალური მუშაკების კრიტიკა, რადგან, ამ და სხვა, ობიექტური და სუბიექტური სირთულეების გამო, ისინი ხშირად სრულფასოვნად ვერ ახორციელებენ სოციალური მუშაობის ფუნდამენტურ ფუნქციებს (UNICEF, 2015c; Shatberashvili, 2016). თუმცა, ამ ვითარების მიზეზებისა და შედეგების შესახებ ადგილობრივი მტკიცებულებები მწირია და საჭიროებს დამატებითი კვლევას.

სოციალურ მუშაობაში არსებული სირთულეების, მათ შორის მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი სიმწირის გამო, უკანასკნელ ათწლეულში საერთაშორისო დონეზე დამკვიდრდა სოციალური მომსახურებების მუშაკის ცნება. სოციალური მომსახურებების მუშაკთა გლობალური ალიანსის განმარტებით, ტერმინი - სოციალური მომსახურებების მუშაკები მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებში დასაქმებული პროფესიონალების და პარაპროფესიონალების ფართო ჯგუფს, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, ახალგაზრდებთან, ზრდასრულ და ხანდაზმულ პირებთან, ოჯახებთან და თემთან, რათა უზრუნველყონ მათი სრულფასოვანი განვითარება (Global Social Service Workforce Alliance, 2019). სოციალური მუშაკების მსგავსად, სოციალური მომსახურებების მუშაკების საქმიანობა ფოკუსირდება პრევენციული, რეაგირების (responsive) და პრომოციული (promotive) მომსახურებების მიწოდებაზე, რომლებიც ეფუძნება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ადგილობრივ გამოცდილებას, სფეროსთვის სპეციფიურ და დისციპლინათაშორის ცოდნას და უნარებსა და ეთიკის პრინციპებს.

აღნიშნული დეფინიცია ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ მწირი რესურსების მქონე ქვეყნებში, მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობენ არა მხოლოდ სოციალური მუშაკები, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება სოციალური მუშაობის საერთაშორისო დეფინიციას, არამედ ბევრი განსხვავებული კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მქონე მუშაკთა ჯგუფები. სოციალური მუშაობის ხარისხიანი მომსახურებების მიწოდებისა და შესაბამისად, მოწყვლადი ჯგუფების უფრო მაღალი დაცულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა აღიარონ აღნიშნული რეალობა და დასახონ სფეროს რეგულირების გეგმები, რაც უნდა მოიცავდეს კვალიფიციური სოციალური მუშაკებისა და პარაპროფესიონალების და მოხალისეების უფლება-მოვალეობების გამიჯვნას. მნიშვნელოვანია, დადგენილი იყოს ამ ჯგუფების წარმომადგენელთა საქმიანობის საზღვრები, რათა ნაკლებად კვალიფიციურმა მუშაკებმა დროულად გადაამისამართონ კლიენტები საჭირო კვალიფიკაციის მქონე სოციალურ მუშაკებთან და სტატუტორული მომსახურებების მიმწოდებლებთან. პროფესიული სუპერვიზიის მექანიზმები უნდა მოიცავდეს კვალიფიციური სოციალური მუშაკების სუპერვიზიას და ასევე, კვალიფიციური მუშაკების მიერ პარაპროფესიონალებისა და მოხალისეების ზედამხედველობის მექანიზმს; ფორმალური და უწყვეტი განათლების სისტემის პროგრამები უნდა

ითვალისწინებდეს ყველა ამ ჯგუფის საგანმანათლებლო საჭიროებებსა და საბაზისო ცოდნას და წარმოდგენილი იყოს აკადემიური, სასარტიფიკატო და მოკლევადიანი ტრეინინგების სახით და ა.შ.

### ჭიშკრის დარაჯობა

ჭიშკრის დარაჯობა (Gatekeeping) ბავშვთა დაცვის სისტემის ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია. ის გულისხმობს ბავშვის საჭიროებების შეფასებას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების შერჩევის პროცესს, რომელიც წინ უძღვის სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვის განთავსებას, ემსახურება ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციას, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების და ა.შ. ჭიშკრის დარაჯობის მიზანია, აუცილებლობის გარეშე სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვის განთავსების პრევენცია. თუმცა, კარგად გამართული მექანიზმი ასევე იძლევა საშუალებას, სათანადოდ გაკონტროლდეს რესურსების გამოყენება, განისაზღვროს მომსახურებების საჭიროება, დადგინდეს სისტემაში ბავშვების გადინების ტენდენცია და ა.შ.

ჭიშკრის დარაჯობის სტატუტორული (სახელმწიფო) ფუნქციაა და მისი განხორციელება ხდება პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების, სოციალური მუშაკების, სოციალური და ჯანდაცვის სისტემის პროფესიონალების მიერ. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პროცესში თემის წევრებისა და მომსახურებათა მიმწოდებლების ჩართვა (UNICEF Innocenti Office Research Centre, 2003).

ჭიშკრის დარაჯობის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, აუცილებელია სისტემის შემდეგი ელემენტების არსებობა (Bilson and Harwin, 2003):

- თემზე დაფუძნებული ოჯახის დამხმარე მომსახურებები რთულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და ოჯახებისთვის
- შეფასების და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად მომსახურებების შერჩევა და მიწოდება
- შეფასებაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე და მომსახურებების მართვაზე პასუხისმგებელი სააგენტო
- ინფორმაციის მართვის სისტემა და შედეგებისა და უკუკავშირის გაანალიზების მექანიზმი.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პოლიტიკა და ბავშვთა დაცვის სისტემის პრიორიტეტები განსაზღვრავენ ჭიშკრის დარაჯობის სისტემის მიდგომებს. ქვეყნების ნაწილში ჭიშკრის დარაჯობის წამყვანი ფუნქციაა შეზღუდული ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად. სხვა ქვეყნებში კი, ჭიშკრის დარაჯობა ფოკუსირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესზე და გულისხმობს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დეტალურ შეფასებასა და მომსახურებათა შესაძლო ვარიანტებიდან საუკეთესოს შერჩევას. თუმცა, „კარგი გეითქიფინგი, უფრო დამოკიდებულების და ფილოსოფიის საქმეა, ვიდრე რესურსების არსებობის“ (Bilson and Harwin, 2003).

სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების, ოჯახური გარემოს მნიშვნელობის და ინსტიტუციური ზრუნვის გავლენის შესახებ რეგიონის გადაწყვეტილებების მიმღებების და ზოგიერთი პროფესიონალის არასაკმარისი ინფორმირებულობა და მოძველებული მიდგომები შეიძლება ჩაითვალოს გეითქიფინგის განხორციელების ერთ-ერთ სირთულედ (Bilson and Harwin, 2003). აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ იყო გამოხატული საქართველოში ბავშვთა დაცვის რეფორმირების საწყის ეტაპზე, როდესაც რეფორმის განმახორციელებელი ჯგუფები რეგულარულად აწყდებოდნენ ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებების პერსონალის და ხელმძღვანელობის, ასევე ზოგიერთი გადაწყვეტილების მიმღების რეზისტენტობას. ბევრ მათგანს სჯეროდა, რომ მათი ბავშვთა სახლი ან სკოლა-პანსიონი უკეთეს გარემოს სთავაზობდა ბავშვებს, ვიდრე ხელმოკლე ოჯახი.

რეგიონისთვის დამახასიათებელი დამატებითი გამოწვევებიდან ასევე აღსანიშნავია კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა (განსაკუთრებით კი სოციალური მუშაკების), ოჯახის დამხმარე მომსახურებების სიმწირე, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობების გადაფარვა და არაკოორდინირებული მუშაობა, კანონმდებლობის ხარვეზები, ფინანსური რესურსების სიმწირე, მართვის სისტემების გაუმართაობა, ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება და ა.შ. (Davis, 2006).

მთლიანობაში, რეგიონის ქვეყნებში შეზღუდული იყო გეითქიფინგის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში შეინიშნება სისტემის ცალკეული კომპონენტების წარმატებული განვითარება, იშვიათად ხდება სისტემური მიდგომების დამკვირდება (Bilson, 2009). ცალკეული ქვეყნების პრაქტიკა კი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ გაუგებარია ჭიშკრის დარაჯობის კონცეფცია (UNICEF, 2015c). შესაბამისად, არ ხდება სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვების არასაჭირო განთავსების შეზღუდვა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების უპირატესობების აღიარება, რაც განაპირობებს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების მაღალ სიხშირესთან დაკავშირებულ ზემოთ ნახსენებ ტენდენციას.

### ოჯახის დამხმარე მომსახურებები

როგორც უკვე აღინიშნა, მომსახურებების უწყვეტობა აერთიანებს ბავშვთა და სოციალური დაცვის ყველა მომსახურებას, რომელთაგან აქცენტი კეთდება ოჯახის მხარდამჭერ სერვისებზე.

გაეროს ალტერნატიული ზრუნვის გაიდლაინის თანახმად, „ოჯახი არის საზოგადოების ფუნდამენტური ერთეული და ბავშვის აღზდრის, კეთილდღეობის, დაცვის ბუნებრივი გარემო... ძალისხმევა პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს ბავშვის ოჯახში შენარჩუნებაზე ან მის ბიოლოგიურ ოჯახში ან ოჯახის სხვა წევრებთან დაბრუნებაზე. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ოჯახებისთვის საჭირო დამხმარების უზრუნველყოფაზე“ (გვ. 2) (UN, 2010). გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და გაიდლაინების გარდა, ბევრი საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტი და აქტორი აღიარებს და მოითხოვს ოჯახის დამხმარე მომსახურებების განვითარებას, მომსახურებების ხარისხის კონტროლს და ეფექტურობის კვლევას (EuroChild, 2013; European Commission, 2013).

რეგიონის მასშტაბით მილიონობით ოჯახი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში და აქვს სხვა პრობლემები, რომლებიც ართულებს ბავშვის ჰოლისტური საჭიროებების სრულფასოვნად დაკმაყოფილებას. ამიტომ მათ ესაჭიროებათ ოჯახის დამხმარე მომსახურებები,



რომლებიც წარმოადგენს ბავშვის მიტოვების და ინსტიტუციონალიზების პრევენციის საუკეთესო სტრატეგიას და უზრუნველყოფს ბავშვის კეთილსაიმედო გარემოში აღზრდას, მათი პოტენციალის რეალიზებას და ცხოვრების ხარისხის გაზრდას (EuroChild, 2013).

განარჩევნ ოჯახის ფორმალური დახმარების ორ ძირითად ფორმას - ოჯახის დამხმარე მომსახურებებს და ოჯახის ეკონომიკურ მხარდაჭერას. ამ მომსახურებების ძირითადი მიზნებია ოჯახებში პრობლემების გაჩენის პრევენცია და ოჯახის ძლიერი მხარეების მხარდაჭერა და ხელშეწყობა. ოჯახის დამხმარე ფორმალური სერვისები ექსკლუზიურად ორიენტირებულია ბავშვის და ოჯახის გაძლიერებაზე, მაშინ როდესაც ეკონომიკურ მხარდაჭერას, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს მონეტარული დახმარების ან სხვა პროგრამების სახით, აქვს უფრო ფართე მიზნები. ის მიმართულია ოჯახების და ინდივიდების ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და პროდუქტიულობის ზრდაზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ბავშვების და ოჯახის სხვა წევრების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოჯახის არაფორმალური დახმარების მექანიზმები. დახმარების ეს ფორმა ტრადიციული და ბევრად უფრო გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენს რეგიონში, კერძოდ კი კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დიდ ნაწილში, არაფორმალური მხარდაჭერის ქსელმა და ოჯახურმა ტრადიციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბავშვთა ოჯახის ჩამნაცვლებელ ფორმალურ მომსახურებებში განთავსების შედარებით დაბალი დონის შენარჩუნებაზე.

ზოგადად, ოჯახის დამხმარე მომსახურებები განისაზღვრება როგორც ნაბისმიერი აქტივობა, რომელიც მხარდაჭერილია სახელმწიფოს, თემის ან ინდივიდის მიერ, ბავშვის ოჯახში აღზრდის უზრუნველსაყოფად (Gardner, 2003).

ოჯახის დამხმარე მომსახურებების მაგალითებია: დედათა და ბავშვთა თავშესაფრები, მარტოხელა დედების მხარდაჭერა, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამები, დღის ცენტრები, ბავშვთა და მშობლების საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პროგრამები, შინმოვლის და განტვირთვის (*respite*) სერვისები, კრიზისში მყოფი ოჯახებისთვის გადაუდებელი დახმარება, ფინანსური, იურიდიული და ფსიქო-სოციალური დახმარება და მრავალი სხვა. ეს მომსახურებები, შესაძლოა, თავმოყრილი იყოს ერთ ადგილას („one stop shop” მოდელი) ან მიეწოდებოდეს სპეციალიზებული მომსახურებების სახით სხვადასხვა პროვაიდერების მიერ (Bilson and Harwin, 2003).

ოჯახის დახმარება ეფუძნება არაერთ თეორიას და კონცეფციას, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მიჯაჭვულობის თეორია (Bowly ციტირებული Daly et al., 2015), რომელიც საუბრობს ბავშვის მშობელთან/მზრუნველთან უსაფრთხო მიჯაჭვულობის მნიშვნელობაზე და ადამიანის განვითარების ეკოლოგიური თეორია (Bronfenbrenner ციტირებული Tobis-თან 2000), რომელიც ხაზს უსვავს სხვადასხვა გარემოში სხვა ადამიანებთან სოციალური კავშირების მნიშვნელობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში მომსახურებების განვითარება ნაკლებად ეყრდნობა არსებულ თეორიულ ჩარჩოს. მათი შექმნა ძირითადად განპირობებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის თითქმის უნივერსალური რატიფიცირებით; ბავშვის ოჯახთან განცალკევების (განსაკუთრებით ადრეულ ასაკში) დადასტურებული უარყოფითი გავლენით, ინსტიტუციური ზრუნვის მაღალი ღირებულებით და ა.შ.

მკვლევარებისთვის ეჭვს არ იწვევს ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტურობა და ბავშვის ოჯახთან დაშორების პრევენციაზე მათი გავლენა. თუმცა, არსებული მტკიცებულებები ძირითადად მოპოვებულია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში (აშშ, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები). მწირია ჩვენი რეგიონისთვის სპეციფიური კვლევები, რომელშიც დოკუმენტირებულია ოჯახის დამხმარე მომსახურებების დადებითი შედეგი ბავშვების და ოჯახების კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხზე. გამოყენებული მეთოდოლოგია ყოველთვის არ ითვალისწინებს მომსახურებების მიმღებთა მოსაზრებას მიღებული მომსახურების ეფექტურობის თაობაზე. შესაბამისად, ბევრი ავტორის აზრით, ოჯახის დამხმარე მომსახურებები საჭიროებს დამატებით კვლევას (Daly et al., 2015).

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის დაწყებიდან 15-20 წლის შემდეგ, რეგიონის ზოგიერთ ქვეყნებში შეიმჩნევა ოჯახის დამხმარე მომსახურებების განვითარების დადებითი ტენდენცია. გარკვეულწილად დადგინდა ოჯახის დამხმარე მომსახურებების ხარჯთეფექტურობა რეზიდენტულ ზრუნვასთან შედარებით (მაგ. საქართველოში Gugushvili and Arganashvili, 2008).

ცალკეულ შემთხვევებში, დეინსტიტუციონალიზებისთვის საჭირო აქტივობებისა და ფინანსური რესურსების დაგეგმვას თან ახლავს ალტერნატიული მომსახურებებისა და ოჯახის დამხმარე სერვისების განვითარებისთვის საჭირო დაგეგმარება (მაგ. რუმინეთის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის 2014-2020 ოპერაციული პროგრამები და სხვა), რაც ზრდის მსგავსი რეფორმების წარმატების შანსს. თუმცა, მთლიანობაში რეგიონის ქვეყნებში პრევენციული და ოჯახის დამხმარე მომსახურებები მაინც არასაკმარისად ეფექტური და ხელმისაწვდომია. ისინი ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას იყვნენ “პროაქტიული, ყოვლისმომცველი, ადგილობრივ სფეროებში მორგებული და მდგრადი“ (UNICEF, 2015a). ხშირ შემთხვევაში ახალი მომსახურებები წარმოადგენენ მაღალშემოსავლიანი ქვეყნების სერვისების დუბლირებას, არ არიან ადაპტირებული ადგილობრივ საჭიროებებზე, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინარჩუნებენ პილოტურ ხასიათს და არ ფინანსდებიან მდგრადი წყაროებიდან (Barrientos A.J., 2013).

## რეინტეგრაცია

ბავშვის უფლებათა კონვენციის პრემბულაში ნათქვამია, რომ „უსაფრთხო ოჯახი არის საუკეთესო გარემო გოგონებისა და ბიჭების აღსაზრდელად“ (UN, 1989). შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევაა საჭირო ოჯახთან განცალკევებული მილიონობით ბავშვის ოჯახში დაბრუნებისა და ინტეგრაციისთვის. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ოჯახის გაერთიანება არის სწორედ ის, რაც სურთ ოჯახებისა და ბავშვების დიდ ნაწილს (BCN, 2012).

განმარტების თანახმად, რეინტეგრაცია არის ოჯახთან განცალკევებული ბავშვის (ბიოლოგიურ) ოჯახში სამუდამოდ დაბრუნება, რათა უჯახმა უზრუნველყოს მისი დაცვა და ზრუნდა, ოჯახთან კუთვნილებისა და მიჯაჭვულობის დამკვირდება (BCN et al. 2013).

რეინტეგრაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ჩვენს რეგიონში, სადაც ათწლეულების მანძილზე ზედმეტად გამარტივებული იყო ბავშვის ოჯახთან განცალკევება, ბავშვების 90 პროცენტს ჰყავდა ერთი ან ორივე მშობელი და მათი ძალიან მცირე ნაწილი იყო ძალადობის და უგულვებელყოფის მსხვერპლი. შესაბამისად, ოჯახების მხარდაჭერისა და სხვა საჭირო ზომების მიღების შედეგად, არსებობს წარმატებული რეინტეგრაციის დიდი პოტენციალი.

თუმცა, ოჯახის არსებობა, ავტომატურად არ ნიშნავს დაბრუნების შესაძლებლობას და რეინტეგრირების სიმარტივეს. მიუხედავად ოჯახში დაბრუნების შესაძლებლობის პოზიტიურობისა, გრძელვადიანი განშორების შემდეგ ოჯახში დაბრუნება დაკავშირებულია არაერთ სირთულესთან (HMSO, 1991). კერძოდ, რაც უფრო ხანგრძლივია ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში აღზრდის გამოცდილება, მით უფრო რთული და პრობლემურია მისი ოჯახში დაბრუნება, ვინაიდან განშორების პერიოდში ადგილი აქვს ოჯახური გარემოს ცვლილებას, ოჯახის წევრებთან გაუცხოებას, ოჯახის ახალი წევრების გაჩენას, მშობლების დაბერებას და ა.შ. (EveryChild, 2011a). აღნიშნული განსაკუთრებით შესამჩნევია იმ შემთხვევაში, როდესაც ალტერნატიული მომსახურება არ უზრუნველყოფს ოჯახთან რეგულარული კონტაქტის შენარჩუნებას, რაც რეგიონში საკმაოდ ფართოდ დამკვირდებულ პრაქტიკას წარმოადგენდა.

თუმცა, ამავდროულად, კვლევები ადასტურებს, რომ ბავშვები რომლებიც ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებებში ცხოვრების გამოცდილების შემდეგ დაბრუნდნენ ოჯახებში, იქ არსებული სირთულეების მიუხედავად, აღწერენ ოჯახურ გარემოს როგორც პოზიტიურს და სასურველს, ვინაიდან ოჯახი რჩება იმ სტაბილურ ერთეულად, რომელიც არ იცვლება, მასთან განშორების შემთხვევაშიც კი (HMSO, 1991). კვლევებით ასევე დასტურდება, რომ როდესაც ბავშვები ჩართულები არიან თავის შემდგომ

განთავსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში, შემთხვევების უმრავლესობაში ისინი უპირატესობას ანიჭებენ ოჯახში დაბრუნებას (BCN et. al 2013). მსაგვსი გადაწყვეტილება უფრო ხშირია ბავშვების მცირე ასაკის შემთხვევაში.

ვინაიდან რეინტეგრაციისთვის აუცილებელია ოჯახური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ბავშვისა და ოჯახის სრული შეფასება და რეინტეგრაციის გეგმის ერთობლივად შემუშავება. შეფასება ასევე უნდა მოიცავდეს არსებული რისკების შემარბილებელი ნაბიჯების განსაზღვრას. მნიშვნელოვანია ბავშვმა და მისი ოჯახის წევრებმა იცოდნენ, თუ ვის მიმართონ პრობლემის შემთხვევაში და როგორი იქნება რეინტეგრაციის შემდეგ სისტემის მხრიდან მათი მხარდაჭერა.

რეინტეგრაცია არ არის მხოლოდ ბავშვის ფიზიკურად დაბრუნება ოჯახში, არამედ წარმოადგენს გრძელვადიან პროცესს, რომლის დროსაც აღდგება ან ყალიბდება მიჯაჭვულობა და იქმნება ოჯახური ურთიერთობების ახალი დინამიკა (Inter-agency Group on Children's Reintegration, 2016). ამიტომ, რეინტეგრაციის წარმატებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესში სოციალური მუშაკის ხარისხიანი ჩართულობა. სოციალური მუშაკი პასუხისმგებელია ბავშვთან და ოჯახის სხვა წევრებთან მუშაობასა და მათ შეფასებაზე, მათთან და სხვა პროფესიონალებთან ერთად ბავშვის ოჯახში დაბრუნების გეგმის შემუშავებაზე, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე მომსახურებებში ოჯახის წევრების ჩართვასა და რეინტეგრაციის პროცესის ხანგრძლივ მხარდაჭერაზე (EveryChild, 2011b).

ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შემდეგი მინიმალური კრიტერიუმების გათვალისწინება:

- ოჯახი იღებს პასუხისმგებლობას დაიბრუნოს ბავშვი და იმუშაოს განცალკევების მიზეზების შემცირებასა და აღმოფხვრაზე

- ოჯახს ესმის, ოჯახთან განცალკევების უარყოფითი გავლენის შესახებ და მზად არიან გაუმკლავდნენ ბავშვის შესაძლო რთულ ქცევას
- ოჯახის წევრებს აქვთ ბავშვზე ზრუნვის უნარები და მზად არიან გაიღრმავონ საჭირო ცოდნა
- ოჯახს აქვს უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი და ბავშვისთვის საჭირო გარემო (საწოლი და ა.შ.)
- ოჯახს გაცნობიერებული აქვს ბავშვის უფლებები.

ამ კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, საკვანძო მნიშვნელობა აქვს სოციალური მუშაკის კომპეტენტურობასა და პროფესიულ ეთიკას. ასევე მის ხელთ არსებული მომსახურებების, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების სპექტრს.

შემთხვევის მართვაში სოციალური მუშაკის წამყვანი როლის გარდა, წარმატებული რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა მრავალი სტრუქტურის ჩართულობა და კოორდინირებული მუშაობა. ეს სტრუქტურებია: სკოლა ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, პოლიცია, ადგილობრივი ხელისუფლება და ა.შ. სოციალურ მუშაკს ევალება ბავშვის და ოჯახის ამ სტრუქტურებთან დაკავშირება და საჭირო მომსახურებების მიღებაში მხარდაჭერა. ასევე, რიგ შემთხვევებში, საჭიროა ოჯახის წევრების ინფორმირება განათლების, ჯანდაცვის და სხვა სოციალური მომსახურებების მნიშვნელობაზე და არარსებული მომსახურებების შექმნის ადვოკატირება.

რეინტეგრაციის პრიორიტეტულობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და უკეთესი გამოსავლის გარდა, დასტურდება ფინანსური გათვლებითაც. კვლევები ადასტურებს, რომ რეინტეგრაციაზე გაღებული ხარჯები, 10-15-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ინსტიტუციური ზრუნვის ღირებულება (EveryChild, 2005). მსოფლიო ბანკის გათვლებით, 1998 წელს რუმინეთში საშუალოდ ბავშვზე რეინტეგრაციის ხარჯი შეადგენდა 19 აშშ დოლერს, მაშინ როდესაც სახელმწიფოს ინსტიტუციური მომსახურება 10-14-ჯერ მეტი უჯდებოდა (UNICEF, 2018).

კვლევებით ასევე დასტურდება, რომ ინსტიტუციონალიზებულ ადამიანებს აქვთ დაბალი ცხოვრების ხარისხი და თემზე დაფუძნებული მომსახურებების მხარდაჭერით ინსტიტუციური ზრუნვიდან სათემო მომსახურებაში გადასვლა აუმჯობესებს მათ ცხოვრების ხარისხს და ამცირებს მომავალში სოციალურ ბენეფიტებზე მათ დამოკიდებულებას (European Network on Independent Living, 2013). კვლევებით დასტურდება, რომ ინსტიტუციიდან თემში ტრანზიციისას, თემზე დაფუძნებული მომსახურებების არსებობა წარმოადგენს ბავშვისთვის საუკეთესო შედეგების მიღების მთავარ მიზეზს (Kluger et al., 2001).

### ოჯახის ჩამნაცვლებელი (ალტერნატიული ზრუნვის) მომსახურებები

განვითარებული სამყარო ბიოლოგიურ ოჯახს მიიჩნევს ბავშვის აღზრდისთვის საუკეთესო გარემოდ. თუმცა, როდესაც დახმარების მიუხედავად არ არის შესაძლებელი ბავშვის ოჯახთან განცალკევების პრევენცია ან ოჯახში დაბრუნება, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს და მიიღოს სათანადო ზომები, რათა ბავშვი უზრუნველყოფილი იყოს ალტერნატიული მომსახურებით. სახელმწიფო ვალდებულია კომპეტენტური სტრუქტურების ჩართვით აწარმოოს განთავსება, მონიტორინგი და ოჯახთან განცალკევების მიზანშეწონილების რეგულარული გადახედვა (Bullock et al., 1993; UNCRC, 2010).

ბავშვის უფლებათა კონვენციის 21ბ მუხლი აყალიბებს ბავშვის ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებებში განთავსების იერარქიას და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახის შემდეგ უპირატესობას ანიჭებს ალტერნატიულ ოჯახურ გარემოში აღზრდას. მოკლევადიანი ან გრძელვადიანი განთავსებისთვის შესაძლებელია როგორც ფორმალური ისე არაფორმალური ოჯახური გარემოს გამოყენება (Schiff et al., 2006).

ალტერნატიული ზრუნვის სფეროში ბავშვის უფლებათა კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებები უფრო დეტალურად არის გაწერილი გაეროს ალტერნატიული ზრუნვის გაიდლაინებში (United Nations, 2010). გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2009 წელს

მიღებული ეს დოკუმენტი სთავაზობს სახელმწიფოებს სტანდარტებს, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვის განთავსება. ალტერნატიულ ზრუნვაში, მათ შორის არაფორმალურ ზრუნვაში, განთავსების გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, სტაბილური გარემოს და განთავსების პერმანენტულობის უპირატესობას, უსაფრთხოების მოთხოვნებს, მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების აუცილებლობას და ა. შ. (UN, 2010).

კონვენციის, ალტერნატიული ზრუნვის გაიდლაინების და არაერთი სხვა წყაროს თანახმად, განთავსების პრიორიტეტულობა განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით: ნათესაური მინდობით აღზრდა, მინდობით აღზრდა, რეზიდენტული ზრუნვა მცირე ზომის საოჯახო სახლებში (Better Care Network, 2012). შვილად აყვანა პრიორიტეტულ არჩევანად განიხილება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ბავშვის რეინტეგრაციის შანსი. ყველაზე ნაკლებად სასურველ და ბავშვის განვითარებაზე უარყოფითი გავლენის მქონე ფორმად განიხილება დიდი ინსტიტუციები, რომელთა გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევებში, როცა არ ხერხდება ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირება, უნდა მოხდეს მათი გაშვილება, მინდობით აღზრდაში და მცირე ზომის საოჯახო სახლები (ნაკლებად სასურველი) გადაყვანა (UNICEF, 2008).

### ნათესაური მინდობით აღზრდა

ნათესაური მინდობით აღზრდისას ბავშვი განთავსებულია მისთვის ნაცნობი ნათესავის ან ოჯახის ახლო მეგობრის ოჯახში. ნათესაური მინდობით აღზრდა არის ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურების ტრადიციული ფორმა, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ფორმალური სტრუქტურის გადაწყვეტილებით ან არაფორმალურად. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს აქვთ კარგი პროგნოზი და შედეგები, ბავშვის ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, იდენტობის ჩამოყალიბების, ნათესავებთან ურთიერთობის შენარჩუნებისა და განთავსების სტაბილულობის თვალსაზრისით (Berridge and Cleaver, 1997).



ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მასშტაბით, ოჯახთან განცალკევებული ბავშვების უდიდესი ნაწილი იზრდება ნათესაურ მინდობით აღზრდელთან. ალტერნატიული ზრუნვის ეს ფორმა სთავაზობს ბავშვს ოჯახთან ყველაზე მიახლოებულ გარემოს, უნარჩუნებს ბავშვს კულტურულ თავისებურებებს და ოჯახურ ტრადიციებს. ნაცნობი გარემო, ხშირად არის ბავშვის მიერ ზრუნვის ამ ფორმის არჩევის წამყვანი მიზეზი (Berridge, 1997).

აივ/შიდსით დაზარალებულ აფრიკის ქვეყნებში, მზრუნველობამოკლებული ბავშვების 90 პროცენტი სწორედ ნათესაურ მინდობით აღზრდაშია განთავსებული (Sherr et al., 2014).

თუმცა, ზრუნვის ამ ფორმის ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ქვეყნების დიდ ნაწილში არ ხდება ნათესაური მინდობით აღზრდის რეგისტრირება, ადექვატური მხარდაჭერა და ოჯახებში ბავშვის მდგომარეობის მონიტორინგი (Berridge, D. 1997). არასაკმარისად ხდება განვითარების გეგმის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა (Casey Foundation, 2018). ნათესაურ გარემოში ცხოვრების მიუხედავად იშვიათი არ არის მათი ინტერესების უგულვებელყოფა, იძულებითი შრომა, ძალადობა.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ალტერნატიული ზრუნვის ამ ფორმის რეგისტრაცია, მხარდაჭედა, ანაზღაურება და მონიტორინგი, რათა დაცული იყოს იქ განთავსებული ბავშვების საუკეთესო ინტერესი (Asam, 2014).

აღნიშნული სირთულეების ფონზე მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოში 2009 წლიდან არსებობს ნათესაური მინდობის აღზრდის საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ასევე განსაზღვრავს ფინანსურ ანაზღაურებას (საქართველოს მთავრობა, 2009).

## მინდობით აღზრდა

ფორმალური მინდობით აღზრდისას, მზრუნველობამოკლებული ბავშვი განთავსებულია ოჯახში, რომელსაც ბავშვთან არ აქვს ნათესაური კავშირი (Better Care Network, 2009). ალტერნატიული ზრუნვის გაიდლაინების თანახმად, ოჯახის შერჩევა, მომზადება, ბავშვის განთავსება და ზედამხედველობა ხდება კომპეტენტური სტრუქტურის მიერ, როგორც არის სასამართლოს ან ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება. მინდობით აღზრდის დროს ბავშვის განთავსება ხდება მიმღები ოჯახის საცხოვრებელ გარემოში (UN, 2009). მინდობით აღზრდელი/დედობილ-მამობილი, გაწეული სამუშაოსთვის იღებს ფინანსურ ანაზღაურებას, რომელიც, როგორც წესი, განსხვავებულია მინდობით აღზრდის სხვადასხვა ფორმებში.

განთავსების საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ხარისხიანი მომსახურების დროულად უზრუნველსაყოფად და დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ქვეყანაში უნდა არსებობდეს და პასუხიმგებელი სტრუქტურის მიერ მუდმივად ივსებოდეს დარეგისტრირებული და/ან აკრედიტებული მინდობით აღზრდელის რეგისტრი (UN, 2010). მიმღები ოჯახების მოძიების, შეფასების და დარეგისტრირების შემდეგ, ოჯახში ბავშვის განთავსებამდე, აუცილებელია მიმღები ოჯახების მომზადება. ასევე საგულისხმოა დამატებითი ტრენინგების საჭიროება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ბავშვის სპეციფიური საჭიროებებითა და სფეროს სიახლეების გაცნობის აუცილებლობით (EveryChild, 2011b). მინდობით აღზრდის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის განთავსების გეგმის არსებობა, მისი შესრულების რეგულარული კონტროლი და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება. ასევე საჭიროა ოჯახის რეგულარული მხარდაჭერა და ზრუნვიდან გასასვლელად ბავშვის მომზარება.

ისევე როგორც სხვა მომსახურებებში, აქაც მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი, რომელსაც ევალება მიმღები ოჯახის შერჩევა, ბავშვის და ოჯახის თავსებადობის დადგენა, ბავშვის სურვილების გათვალისწინება, შეგუების პროცესში ბავშვის მხარდაჭერა და ოჯახში რეგულარული ვიზიტების განხორციელება. გარდა ამისა, ბავშვის ქეისის ეფექტურად მართვისთვის

მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკი თანამშრომლობდეს ბავშვისთვის საჭირო სხვა მომსახურებებთან და სისტემებთან, როგორცაა ბავშვი, სკოლა, ჯანდაცვის ობიექტები და სხვა.

ისტორიულად, მიმღებ ოჯახში განთავსება განიხილებოდა დროებითი განთავსების მეთოდად რეინტეგრაციის მომლოდინე ბავშვებისთვის. თუმცა, ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარებასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა პერმანენტული განთავსებისთვის (სრულწლოვანებამდე) ამ მომსახურების გამოყენების სიხშირე და მნიშვნელობა (Asam, 2014). თუმცა ეს ტენდენცია თანაბრად არ არის გავრცელებული მსოფლიოს ყველა რეგიონში. განსხვავებით ჩრდილო ამერიკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან, სადაც მინდობით აღზრდა წარმოადგენს ალტერნატიული ზრუნვის წამყვან ფორმას, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ამ მომსახურების გამოყენება კვლავ შეზღუდულია პოლიტიკური იდეოლოგიის, მოსახლეობის მიდგომების, საკანონმდებლო ბაზის და სხვა გარემოებების გამო.

დღესდღეობით ჯანმრთელობის პრობლემების არმქონე, შეზღუდული უნარების მქონე, რთული ქცევის და სხვა ჯგუფების ახალშობილი, საშუალო, თუ დიდი ასაკის ბავშვებისთვის განარჩევენ მინდობით აღზრდის შემდეგ ძირითად ფორმებს:

- მოკლევადიან/გადაუდებელი მინდობით აღზრდა, რომელიც გამოიყენება კრიზისული სიტუაციის დროს, დაუყოვნებელი განთავსების საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, ასევე ისეთ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდული უნარების მქონე ბავშვის მშობლებს სჭირდებათ განტვირთვა და ბავშვის უსაფრთხო გარემოში რამდენიმე დღით განთავსება.
- საშუალო-ვადიანი მინდობით აღზრდა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახთან მიმდინარეობს მუშაობა და გაძლიერების შემდეგ შესაძლებელია ბავშვის რეინტეგრაცია.

- გრძელვადიანი/პერმანენტული მინდობით აღზრდა გამოიყენება შემთხვევებში, როდესაც ვერ ხერხდება ბავშვის რეინტეგრირება ან გაშვილება. შემთხვევების უმრავლესობაში ეს არიან დიდი ასაკის, რთული ქცევის, კანონთან კონფლიქტში მყოფი, შეზღუდული უნარების მქონე ბავშვები (CELCIS, 2013).

ნებისმიერ ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ალტერნატიული ზრუნვის სხვა ფორმებში, მინდობით აღზრდაში განთავსების ყველა ფორმაში, აუცილებელია რეგულარულად გადაიხედოს ბავშვის მინდობით აღზრდაში დარჩენის საჭიროება, ბიოლოგიურ ოჯახში მისი დაბრუნების შესაძლებლობა ან გაშვილების შანსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მინდობით აღზრდის სათანადო ხარისხი და ბავშვის საუკეთესო ინტერესი (Fees et al., 1998; Chamberlain and Reid, 1991; Chamberlain et al., 2007; Curtis et al., 2001).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზების და ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შედეგად მკვეთრად გაიზარდა მინდობით აღზრდის მნიშვნელობა. მოხდა წლობით ინსტიტუციონალიზებული ბავშვების ოჯახურ გარემოში განთავსება. გაიზარდა მინდობით აღზრდის წილი, ინსტიტუციურ ზრუნვასთან შედარებით (54 პროცენტი) (BCN and Every Child, 2012). თუმცა, ეს პროგრესი თანაბრად არ გავრცელდა მინდობით აღზრდის საჭიროების მქონე ყველა ჯგუფზე. მაგალითად, მინდობით აღზრდა არაპროპორციულად დაბალია შშმ ბავშვებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებული ბავშვების დიდ ნაწილს (BCN and Every Child, 2012). ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მონაცემები ადასტურებს, რომ მიმღები ოჯახები უპირატესობას ანიჭებენ ქცევის პრობლემების არმქონე მცირეწლოვან ბავშვებს, მაშინ როდესაც შშმ ბავშვები, თინეიჯერები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, იძულებულნი არიან ცხოვრება გააგრძელონ დიდი ზომის ინსტიტუციურ დაწესებულებებში ან მათი სრული ლიკვიდაციის შემთხვევაში, გადავიდნენ მცირე ზომის საოჯახო სახლებში (Anghel et al. 2013; DRI, 2013; Family for Every Child, 2015).

ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) შშმ პირებზე ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მიმღებ ოჯახებში ცხოვრებისას ინდივიდების ცხოვრების ხარისხი აღემატება მათივე ცხოვრების ხარისხს ინსტიტუციურ გარემოში (Conroy et al., 2002). ბავშვები, ძირითადად, პოზიტიურად არიან განწყობილი მიმღები მშობლების მიმართ და ახერხებენ ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობის შენარჩუნებას (Chapman et al., 2004).

კარტერის მიერ რუმინეთში, მოლდოვაში, რუსეთის ფედერაციაში, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ალტერნატიული ზრუნვის ეს ფორმა, ამავდროულად, ამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს. კერძოდ, პროფესიულ მიმღებ ოჯახში ზრუნვის ღირებულება ინსტიტუციური ზრუნვის ღირებულების 16-38 პროცენტია. ხოლო ზოგადად, თემზე დაფუძნებული ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებების ხარჯი უტოლდება ინსტიტუციური ზრუნვის ხარჯების 42-67 პროცენტს (Gross, 2009). გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის გათვლებით, მიმღები ოჯახის მომსახურების ღირებულება 2.5-ჯერ უფრო დაბალია ინსტიტუციური ზრუნვის ხარჯებთან შედარებით (UNICEF, 2018).

აშშ-ში კი დადგენილია, რომ რეზიდენტული მომსახურების თვითონ ღირებულება დაახლოებით ექვსჯერ აღემატება ჯანმრთელობის პრობლემების არმქონე ბავშვების მიმღები ოჯახის აღზრდის ღირებულებას და ორ-სამჯერ აღემატება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სპეციალიზებული მინდობით აღზრდის ხარჯებს (EveryChild, 2011a).

მინდობის აღზრდის რეზიდენტულ მომსახურებასთან უპირატესობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არჩევანი არ არის ავტომატური, როდესაც შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილება უნდა გაკეთდეს რეზიდენტული ზრუნვის სასარგებლოდ. ასეთი შემთხვევები ხშირია, როდესაც ალტერნატიული მომსახურება აუცილებელია ბევრი დედ-მამისშვილისთვის და ვერ ხერხდება ყველა მათგანის ერთ მიმღებ ოჯახში განთავსება.

## რეზიდენტული მომსახურება

რეზიდენტული მომსახურების თანამედროვე განმარტება მოიცავს დიდ და მცირე ზომის დაწესებულებებს, რომლებშიც ბავშვებზე 24 საათის განმავლობაში ზრუნავენ დაქირავებული თანამშრომლები. განმარტების თანახმად, დიდი ზომის ინსტიტუციებში განთავსებულია 25 ან მეტი ბავშვი. მცირე ზომის დაწესებულებები ემსახურება 11-24 ბავშვს. ხოლო ოჯახური ტიპის სახლები განთავსებულია თემში და განკუთვნილია 10 ან ნაკლები ბავშვისთვის (Browne, 2009).

გაეროს ალტერნატიული ზრუნვის გაიდლაინების თანახმად, აუცილებელია იმის გაანალიზება, რომ რეზიდენტული ზრუნვა და ოჯახურ გარემოში აღზრდა, ზოგიერთი ბავშვისთვის ერთმანეთის შემავსებელი კომპონენტებია, თუმცა ასეთ შემთხვევებში რეზიდენტული ზრუნვა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად (UN, 2010). ცალკეული ბავშვები, რომელთაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ მძიმე ოჯახური გამოცდილება ბიოლოგიურ და მიმღებ მშობლებთან, ან ბევრჯერ მოხდა მათი მიმღები ოჯახიდან გამოყვანა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლოა საჭიროებდნენ რეზიდენტულ დაწესებულებაში რეაბილიტაციას (CELCIS, 2013). ასევე, რეზიდენტული ზრუნვა დასაშვებია, როდესაც ბავშვს ესაჭიროება თერაპიული ინტერვენციები ან აქვს განსაკუთრებული საჭიროებები (EuroChild, 2013). თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, რეზიდენტული მომსახურების ყველა ფორმის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაციის ხელშეწყობა ან ოჯახურ გარემოში ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველყოფა (BCN, 2012). საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში ცხოვრების პერიოდში, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებისა და მომსახურების მიწოდების პროცესში უნდა ხდებოდეს ბავშვის, ოჯახის წევრებისა და ნათესავების მაქსიმალური ჩართვა (Raymond, 1998). ასევე გასათვალისწინებელია, რომ რეზიდენტული მომსახურების საჭიროების შემთხვევებში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას თემში განთავსებული მცირე ზომის საოჯახო სახლები, რომელთაც ჰყავთ საკმარისი რაოდენობით თანამშრომლები და უზრუნველყოფენ ბავშვების განათლებასა და თემში ინტეგრაციას.

კვლევების და დაკვირვებების საფუძველზე დადგენილია, რომ სამ თვეზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მშობლის ან მეურვის მზრუნველობის გარეშე ბავშვის ცხოვრება წარმოადგენს „ხანგრძლივ რეზიდენტულ ზრუნვას“ და უარყოფითი გავლენა აქვს ბავშვის განვითარებაზე (EuroChild, 2014).

მნიშვნელოვანია, რეზიდენტული ზრუნვა არ იყოს გაიგივებული დიდი ზომის ინსტიტუციურ დაწესებულებებში ზრუნვასთან. ზრუნვის ეს ფორმა, რომელიც უფრო დეტალურად მოგვიანებით არის აღწერილი, ასოცირებულია არაერთ პრობლემასთან, მათ შორის ბავშვების ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების შეფერხებასთან, ბავშვთა მიმართ ძალადობასთან, მაღალ ადმინისტრაციულ ხარჯებთან და ა.შ. ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ინსტიტუციური ზრუნვა, საჭიროა შემუშავებული იყოს დეინსტიტუციონალიზების გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ალტერნატიული მომსახურებების განვითარებას და რაც მთავარია, ოჯახთან ბავშვის განცალკევების რისკების შემცირებას (Youll et a., 1989).

რეზიდენტული დაწესებულებების, განსაკუთრებით კი ინსტიტუციონალიზების უარყოფით შედეგებთან ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია მათი გამოყენების მიზეზებთან ბრძოლა, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსგავსია რეგიონის ყველა ქვეყანაში. კერძოდ:

- სიღარიბე და ოჯახური სირთულეები: ბავშვების დიდი ნაწილი ინსტიტუციონალიზებულია უკიდურესი სიღარიბის, ოჯახში ძალადობის, ბუნებრივი კატასტროფების და სხვა მსგავსი მიზეზების გამო. მშობლების უმრავლესობისთვის, ასევე ბევრი ქვეყნის ბავშვთა დაცვის სისტემაში მხარდაჭერის სხვა ფორმების არქონის გამო, აღნიშნულ გარემოებებში ინსტიტუციებში ბავშვების განთავსება ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს.

- არარეზიდენტული ალტერნატიული და ოჯახის დამხმარე მომსახურებების ნაკლებობა: ხშირად რეზიდენტული დაწესებულება ბავშვისთვის ქუჩაში ცხოვრების, ძალადობის და სხვა სირთულეებისგან თავის დაღწევის ერთადერთი ალტერნატივაა.

- განათლების სისტემასთან შეზღუდული წვდომა: რეგიონის ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში, შეზღუდულია საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა. ასეთ შემთხვევებში, ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ ბავშვის

რეზიდენტულ დაწესებულებაში განთავსება არის მისთვის განათლების მიღების ერთადერთი საშუალება, რადგან ამ დროს ბავშვს შეუძლია ისწავლოს დაწესებულებასთან არსებულ ან ახლო მდებარე სკოლაში.

- დისკრიმინაცია: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი (მაგ. ბომა ბავშვები აღმოსავლეთ ევროპაში) და სხვა სტიგმატიზებული ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვები, როგორცაა შშმ, ქორწინების გარეშე დაბადებული და სხვა ბავშვები, სხვებზე ხშირად ხვდებიან რეზიდენტულ ზრუნვაში, განსაკუთრებით კი ინსტიტუციებში.

- ინსტიტუციების „ბიზნესი“: ინსტიტუციებში დიდი ოდენობით სახელმწიფო, დონორული და კერძო სახსრების ინვესტირების შემდეგ, რთულდება რესურსების მოძიება ალტერნატიული და ოჯახის დამხმარე მომსახურებებისთვის. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, ინსტიტუციები ფუნქციონირებს არა ბავშვის საუკეთესო ინტერესის, არამედ ადმინისტრაციისა და თანამშრომელთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევაში, ინსტიტუციები აქტიურად მუშაობენ ბავშვების მოზიდვაზე.

- ინსტიტუციების საზოგადოებრივი მხარდაჭერა: კრიზისის დროს კერძო პირები და დონორი ორგანიზაციები ცდილობენ ობოლი და მოწყვლადი ბავშვების დახმარებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე და ალტერნატივებზე ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ისინი ამას აკათებენ ინსტიტუციების დაარსების ან არსებული დაწესებულებების დაფინანსების გზით. შედეგად კი, ხდება მეტი ბავშვების მოზიდვა დაწესებულებებში და მშობლებთან მათი ხელოვნურად განცალკევება (Save the Children, 2014).

რეზიდენტული ზრუნვის მასშტაბებისა და ხარისხის რეგულირებისთვის აუცილებელია სახელმწიფო სტრატეგიის და საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა. უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურები უნდა ქმნიდნენ და/ან ამტკიცებდნენ ზრუნვის სტანდარტს და უზრუნველყოფდნენ რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგს. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა ნებისმიერი სახელმწიფო და არასახელმწიფო რეზიდენტული დაწესებულების გასახსნელად ნებართვის გაცემასა და პროვაიდერების კონტროლში. მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის ჩვენი რეგიონის რეალობაში, აღნიშნული სფეროს რეგულირების ნაკლებობა ხდება ბავშვების ოჯახებთან განცალკევებისა და დეინსტიტუციონალიზების პროცესების შეფერხების მიზეზი. მაგალითად საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროცესში, დეინსტიტუციონალიზების პროცესი შეეხო



მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას. თუმცა, შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მკაცრი რეგულირების არარსებობის გამო, ბოლო წლებში, სახელმწიფო შეკვეთის გარეშე შეიქმნა არაერთი არასახელმწიფო რეზიდენტული დაწესებულება, რომლებშიც, არაოფიციალური მონაცემების თანახმად განთავსებულია 1100-ზე მეტი ბავშვი (Kakachia, 2016). მსგავსი ტენდენცია შეინიშნება მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

მტკიცებულებები ასევე ადასტურებს, რომ დაბალი მთლიანი შიდა პროდუქტის მქონე ქვეყნებში, ასევე ქვეყნებში, სადაც დაბალია სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე, უფრო ხშირია ბავშვთა და მშობლების ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები, ასევე ბავშვთა მიტოვების შემთხვევები. ეს კი, მსგავს ქვეყნებში რეზიდენტულ/ინსტიტუციურ ზრუნვაზე მომატებული მოთხოვნის მიზეზი ხდება (Browne et al., 2005). ამავდროულად, არაერთი ქვეყნის მაგალითი და კვლევა ადასტურებს, რომ რეზიდენტული ზრუნვის ღირებულება საგრძნობლად აღემატება როგორც ოჯახის გაძლიერების ხარჯებს, ასევე ალტერნატიული ზრუნვის სხვა ფორმებზე გაწეულ დანახარჯებს. შესაბამისად, ღარიბ ქვეყნებს აქვთ არაპროპორციულად მაღალი დანახარჯები რეზიდენტულ ზრუნვაში ბავშვების ხშირი განთავსების გამო.

მაგალითად, რუმინეთში დიდი ზომის ინსტიტუციებში ბავშვზე გაწეული თვიური ხარჯი საშუალოდ 250 აშშ დოლარი იყო, მცირე ზომის რეზიდენტულ დაწესებულებაში 130 აშშ დოლარი, მიმღებ ოჯახში 100 აშშ დოლარი. რეინტეგრაცია კი, სახელმწიფოს 20 აშშ დოლარი უჯდებოდა (UNICEF, 2018).

აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარებული კვლევების თანახმად, ინსტიტუციების მაღალი ღირებულება დიდწილად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ იქ დასაქმებული თანამშრომლების 33-50 პროცენტს არ აქვს პირდაპირი შეხება ბავშვებთან. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გაღებული დანახარჯები არ ხმარდება ბავშვების კეთილდღეობას (Browne, et al., 2006b).

## მცირე ზომის საოჯახო სახლები

ტერმინოლოგიაში მცირედი განსხვავებების მიუხედავად, მცირე ზომის საოჯახო სახლი შეიძლება განისაზღვროს როგორც პერსონალიზებული რეზიდენტული ზრუნვა, რომელიც მიეწოდება ერთი ან მეტი პირის მიერ, სახლში, რომელიც არ არის მის საკუთრებაში. სხვადასხვა მოდელის მცირე ზომის საოჯახო სახლში, ოჯახურ გარემოში ერთდროულად შეიძლება ზრუნავდნენ 10 ან მაქსიმუმ 15 ბავშვზე (Pinheiro, 2006). განარჩევენ მოდელებს, როდესაც მცირე ზომის საოჯახო სახლში დაქირავებული არიან ე.წ. დედობილ-მამობილი, რომელთაც აქვთ ბავშვებზე ზრუნვის გამოცდილება და გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. ასევე შესაძლებელია აღნიშნული მომსახურება მიეწოდებოდეს პროფესიონალების მიერ.

მცირე სახის საოჯახო სახლების მომსახურება იძლევა ბავშვთან მულტიდისციპლინური გუნდის (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, აღმზრდელი, პედაგოგი და ა.შ.) მუშაობისა და ბავშვისა და მშობლის ჩართულობის უზრუნველყოფის კარგ შესაძლებლობას, რაც ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების საწინდარია.

ევროპის საბჭოს ბავშვზე ზრუნვის რეკომენდაციების თანახმად, ოჯახური ტიპის სახლებში ბავშვები განაწილებული უნდა იყვნენ ორ-სამ ადგილიან საწოლ ოთახებში, სწავლობდნენ საჯარო სასწავლო დაწესებულებებში და მაქსიმალურად ინტეგრირებულნი იყვნენ თემში (Gudbrandsson, 2004).

ექსპერტები თანხმდებიან, რომ მცირე ზომის საოჯახო სახლები, როგორც დროებითი ან პერმანენტული ზრუნვის ფორმა, აუცილებელია და გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება წარმოადგენდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს. მცირე ზომის საოჯახო სახლები განსაკუთრებით ეფექტურია დიდი ასაკის ბავშვების და ახალგაზრდებისთვის, ძალიან მძიმე უნარშეზღუდვის შემთხვევაში და ასევე მრავალი დედმამიშვილისთვის, რომელთა ერთად განთავსებისთვის არ მოიძებნა მიმღები ოჯახი. ასევე შესაძლებელია მომსახურების ამ ფორმის გამოყენება ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისთვის (UNICEF, 2010a).

თუმცა, ზრუნვის ამ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ფორმის გამოყენების დროს, უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი და რეინტეგრაციის შესაძლებლობის განხილვა. მცირე ზომის მიუხედავად, ინდივიდუალური მიდგომების ნაკლებობამ და „ყველასთვის ერთი ზომის“ მიდგომების გამოყენებამ შესაძლოა მომსახურების ეს ფორმასაც გახადოს ბავშვისთვის საზიანო და დამაზიანებელი (Mulheir, 2007).

### ინსტიტუციური დაწესებულებები

როგორც უკვე აღინიშნა, ტერმინი ინსტიტუცია ან ინსტიტუციური ზრუნვა შეიძლება განიმარტოს როგორც რეზიდენტული ზრუნვა, რომელიც გრძელდება სამ თვეზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და განკუთვნილია ბევრი ბავშვისთვის (Mulheir, 2007). ინსტიტუციური დაწესებულებების მრავალრიცხოვნებისა და მრავალფეროვნების გამო რთულია მათი საერთო მახასიათებლების ზუსტად განსაზღვრა, თუმცა, მთლიანობაში ითვლება, რომ ზრუნვის ეს ფორმა ხასიათდება ინდივიდუალური მიდგომების არარსებობით, რიგიდული რეჟიმით, სოციალური იზოლაციით, ზრუნვის სისტემაზე დამოკიდებულების შექმნით და მრავალი სხვა უარყოფითი მახასიათებლით (Eurochild, 2014).

განარჩევნ ინსტიტუციების რამდენიმე კატეგორიას, კერძოდ:

- ინსტიტუციები, რომლებშიც ხდება ბავშვის განვითარების, ჯანმრთელობის სტიმულაციის და სოციალიზაციის საჭიროებების შეზღუდვა
- ინსტიტუციები, სადაც ადექვატურია ჯანდაცვა და კვება, თუმცა არ ხორციელდება სათანადო სტიმულირება და ურთიერთობების ჩამოყალიბება
- ინსტიტუციები, სადაც კმაყოფილდება ბავშვის საბაზისო საჭიროებები, მაგრამ მაინც ვერ ხდება სტაბულური საცხსოვრებელი გარემოსა და ურთიერთობების დამკვიდრება (Van Ijzendoorn et al., 2011).

რისკები განსაკუთრებით მაღალია ინსტიტუციებში, რომლებიც განთავსებულია თემისგან მოშორებით და რომელთაც აქვთ საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულებები. ასევე მიჩნეულია, რომ რაც უფრო დიდი ზომისაა ინსტიტუციური დაწესებულება, მით უფრო მცირეა იმის შანსი, რომ ბავშვს მიეწოდოს ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით დაგეგმილი მომსახურება და მკურნალობა, ხელი შეეწყოს მის თემში ინტეგრირებას და მოხერხდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მისი ჩართვა (Ed-hock Expert Group on the Transition from Institutional to Community Care ციტირებული EuroChild, 2014).

მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, ინსტიტუციური დაწესებულებების საერთო მახასიათებლები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- 25-ზე მეტი ბავშვისთვის განკუთვნილი დაწესებულება (გამონაკლისია 11-25 ბავშვისთვის განკუთვნილ მცირე ზომის ინსტიტუცია (Mulheir, 2007).
- დიდი ჯგუფები და საწოლი ოთახები (საშუალოდ 9-16 ბავშვი; დოკუმენტირებულია 70-კაციანი ჯგუფების არსებობაც)
- აღმზრდელის და ბავშვების დაბალი საშუალო თანაფარდობა 1:8 (დოკუმენტირებულია 1:31 თანაფარდობაც)
- ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის თვალსაზრისით ჰომოგენური ჯგუფები
- მომვლელების მუდმივი ცვლა. ამის მიზეზებია: თანამშრომლების ხშირი ცვლა, 24-საათიანი სამუშაო განრიგი და 3 დღიანი შუალედი, სხვადასხვა ჯგუფებთან მუშაობა, ხანგრძლივი შვებულება და ა.შ. დოკუმენტირებულია შემთხვევები, როდესაც ბავშვებს 20 თვის განმავლობაში ჰყავდათ 50-100 სხვადასხვა მომვლელი
- ბევრ ზრდასრულ ადამიანთან, მათ შორის ექიმთან, ექთანთან, ფსიქოლოგთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, მოხალისეებთან, პოტენციურ მშვილებლებთან და ა.შ. მოკლევადიანი შეხება

- მომვლელების არასაკმარისი მომზადება. შემთხვევების უმრავლესობაში მომვლელთა ტრენინგები ფარავს ჯანდავცის და არა სოციალური იზოლაციის დამლევის საკითხებს. გარდა ამისა, მომვლელების დროის დიდი ნაწილი არ ეთმობა ბავშვებთან ურთიერთობას და მათ სტიმულირებას
- მომვლელთა უდიდესი ნაწილი ქალია, ამიტომ ბავშვებს არ აქვთ მამაკაცებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები
- მომვლელთა დიდი ნაწილი ბავშვებთან არ ამყარებს ემოციურ კავშირს და მათთან მუშაობას უდგება როგორც რიგით სამსახურებრივ მოვალეობას (Van Ijzendoorn et al., 2011).

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ხანგრძლივი ინსტიტუციური ზრუნვა დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში სრულიად შეუთავსებელია ბავშვის განვითარების საჭიროებებთან და უფლებებთან. მასობრივი მომსახურებები არ იძლევა ბავშვის, მისი ოჯახისა და თემის გაძლიერების და საჭირო მხარდაჭერის საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს მათი ჩანაცვლება ჯანსაღი ალტერნატივებით და რაც მთავარია, ბავშვისა და ოჯახის განცალკევების პრევენცია.

არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ბევრმა ქვეყანამ სრულად გააუქმა ან მკვეთრად შეამცირა ინსტიტუციური დაწესებულებების რაოდენობა. თუმცა, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მასშტაბით ჯერ კიდევ არსებობს მრავალი ტიპის ინსტიტუცია, რომლებიც განეკუთვნება როგორც ბავშვთა კეთილდღეობის, ასევე ჯანმრთელობის დაცვის/ფსიქიკური ჯანმრთელობის და განათლების სისტემებს. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ფარგლებში, ინსტიტუციები გამოიყენება როგორც დროებითი თავშესაფრები, მზრუნველობამოკლებული ბავშვების საცხოვრებელი ადგილი ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებამდე, ან როგორც გრძელვადიანი საცხოვრებელი.

**სოციალური ადვოკატიბა  
სოციალური მუშაკებისთვის**

**ნინო შატბერაშვილი**

**ნინო შატერაშვილი**

## ავტორისაბან

სოციალური ადვოკატობა სოციალური მუშაკის პროფესიული მანდატის უმთავრესი ნაწილია. უდიდესია კმაყოფილების განცდა, როდესაც ადამიანების საკეთილდღეოდ რაღაცას აკეთებ, ამასთან, გააკეთე ისე, როგორც ეს პროფესიას ეკადრება და უკმაყოფილების განცდა, თუ ამის გაკეთება ვერ შეძელი, რომელიც დაგიამდებია მხოლოდ იმის გააზრებით, რომ ყველაფერი გააკეთე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. გარდა ამისა, პროფესიული ეგოიზმის კუთხითაც შევხედოთ ადვოკატობის საკითხს. ის მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანისათვის, რადგან არა მხოლოდ მათი მისწრაფებათა დაცვის საშუალებაა, ვისზეც გული შეგვტკივა, არამედ ჩვენი საკუთარი ინტერესებისაც. ბევრი თქვენგანი ჩემი საყვარელი კოლეგა და/ან სტუდენტია, ვისთანაც უკვე არა მხოლოდ კოლეგიალური, არამედ მეგობრული ურთიერთობაც მაქვს, ზოგიერთებთან ერთად დიდი ბრძოლებიც გამივლია, მოგებით თუ წაგებით. ისინი კი, ვისაც არ ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან განსხვავებული შეხედულებებისა არ იქნებიან პროფესიული საკითხების მიმართ. ამიტომ ყველას მოგმართავთ, რომ, მოდით, ერთად დავძლიოთ უსუსურობისა და დაუცველობის შეგრძნება და ერთად შევებრძოლოთ ალოგიკურ და უსამართლო გადაწყვეტილებებს. გავერთიანდეთ სასიკეთო ცვლილებებისათვის და აღარ ვიგრძნოთ თავი სტრესულად და დაუცველად. ამისათვის კი გარკვეული ცოდნა გვჭირდება, რაშიც ეს სახელმძღვანელო დაგვეხმარება.

ენობრივი რედაქტორი:

მაია იანტბელიძე



სახელმძღვანელო შექმნილია საერთაშორისო  
განათლების ცენტრისა და ფონდ ღია საზოგადოების  
მხარდაჭერით



## შიგთავსი

<b>თავი 1. სოციალური მუშაკის როლი სოციალურ ადვოკატირებაში.....</b>	<b>7</b>
რა ავალდებულებს სოციალურ მუშაკს სოციალურ ადვოკატირებას.....	7
სოციალური მუშაკის ბრძოლა სოციალური უფლებებისათვის .....	13
რითია განვირობებულნი სოციალური მუშაკის სურვილი, გახდეს უფლებადამცველი .....	22
სოციალური ადვოკატის პროფესიული თვისებები .....	24
ბარკაბები, რომელიც სოციალურ მუშაკს აქვს ადვოკატირების განხორციელებაში .....	27
სოციალური ადვოკატის როლის შესრულებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები .....	28
პროფესიულ სირთულეებთან გამკლავების გზები .....	31
<b>თავი 2. ადვოკატირების მასშტაბები .....</b>	<b>35</b>
ადვოკატირება ინდივიდუალურ დონეზე .....	35
მიზნის ადვოკატირება .....	37
ბენეფიციარების ინტერესების დაცვის ხერხები .....	40
ადვოკატირება საკანონმდებლო დონეზე .....	43
სოციალური ადვოკატირება სოციალური ცვლილებისათვის .....	46
სოციალური ადვოკატირების საასპარეზო სივრცე .....	57
<b>თავი 3. სოციალური ადვოკატირება</b>	
<b>სხვადასხვა სფეროში და სამიზნე ჯგუფთან .....</b>	<b>60</b>
სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში .....	60
სოციალური მუშაობის მოკლე ისტორია	
ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში.....	60
სოციალური მუშაობა ბავშვებთან და ოჯახებთან.....	62

<b>სოციალური ადვოკატიობა სკოლაში</b> .....	71
<b>სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სფეროში</b> .....	78
სოციალური მუშაობის მოკლე ისტორია მართლმსაჯულების სფეროში.....	79
სოციალური მუშაობის სპეციფიკა მართლმსაჯულების სტემაში .....	81
პოზიციები, რომლებიც ჯერ კიდევ შესაჯერებელია .....	88
<b>სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში</b> .....	90
რა არის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.....	90
სოციალური მუშაობის მოკლე ისტორია ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში .....	95
სოციალური მუშაობის ადვოკატიობის როლი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში .....	96
<b>სოციალური ადვოკატიობა ფსიქიკური ჯანმრთელობის ფეროში</b> .....	102

#### **თავი 4. წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები**

<b>სოციალურ ადვოკატიობაში</b> .....	115
<b>ჯგუფური სამუშაო</b> .....	115
<b>საკითხთა უპირატესობის დადგენის წესი</b> .....	117
<b>კომუნიკაციის უნარი</b> .....	117
<b>პრაგმატიციის უნარი</b> .....	119
<b>საზოგადოების მოზადება საადვოკატო საკითხის გასაცნობად</b> .....	127

#### **თავი 5. შეფასება და მონიტორინგი სოციალურ ადვოკატიობაში**.....

<b>დამოკიდებულება შეცდომებისადმი</b> .....	133
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	138

## თავი 1. სოციალური მუშაკის როლი სოციალურ ადვოკატობაში

### რა ავალდებულებს სოციალურ მუშაკს სოციალურ ადვოკატობას

ადვოკატობის მოვალეობა სოციალურმა მუშაკებმა ისტორიულად იკისრეს და წარმატებითაც ახორციელებდნენ მას, განსაკუთრებით კი, წინა საუკუნის დასაწყისში. სოციალური მუშაკები აქტიურად იბრძოდნენ ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის, ე.წ. სუსტი სქესის ქონების ფლობის უფლებისათვის, თანაბარი სამუშაო პირობებისათვის. პაციფისტთა მოძრაობაც, რასაც ღვანლომოსილი სოციალური მუშაკები აკეთებდნენ, გარკვეულწილად ხომ უფლებადაცვითი ხასიათის მატარებელია.

ადვოკატობის მისია ჩვენს დროშიც ხაზგასმულია სოციალური სამუშაოს ყველა საერთაშორისო შეთანხმებებში. მაგალითად, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ სოციალურ მუშაკთათვის ჩამოყალიბებულ, გლობალიზაციის გეგავლენის შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებთან გამკლავების ხუთ ელემენტს შორის ადვოკატობა უმთავრესია (შატბერაშვილი, 2011). წარმოგიდგინთ ხუთივეს:

1. 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უნივერსალური განათლებისადმი ხელმისაწვდომობა;

2. დასაქმების ხელშეწყობა (განსაკუთრებით მათთვის, ვინც “ღია” შრომის ბაზარზე დისკრიმინირებულია ან დისკრიმინაციის რისკის წინაშეა);

3. სოციალური დაცვის ლობირება და სოციალური დაცვის პროგრამებში წვლილის შეტანა იმ ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად, რომლებსაც არ ძალუძთ თავად დაიცვან საკუთარი უფლებები (მაგალითად, ასაკის ან უუნარობის გამო);

4. ბავშვთა დაცვა გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად;

5. ახალი ინიციატივების განვითარება მოქალაქეთა მონაწილეობისა და მათი უფლებამოსილების გაზრდის საფუძველზე.

დამეთანხმებით, რომ თითოეული არის ადვოკატობის ელემენტების შემცველი, ზოგიერთი კი ექსლუზიურად ადვოკატობის განხორციელებას გვავალებს. ადვოკატობის ფუნქცია არ არის ლოკალური პროფესიული ვალდებულება, ის საერთაშორისო პროფესიული მისიაა, რომელიც არ უნდა გახუნდეს დროსა და სივრცეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენს პროფესიულ მისიას კი არ ვახორციელებთ, არამედ, უბრალოდ, სამსახურებრივ მოვალეობას.

სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსის მიხედვით, ადვოკატობა არის ამ პროფესიის წარმომადგენელთა ძირითადი პროფესიული ვალდებულება. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით კი:

*სოციალური სამუშაოს ძირითად მისიას წარმოადგენს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება და მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სოციალურად დაუცველი ფენების კეთილდღეობაზე ზრუნვა.*

შნაიდერისა და ლესტერის (2001) მიხედვით, ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში არის მომსახურების მიმღების (მიმღებების) ან მიზეზების ექსკლუზიური და ერთობლივი წარდგენა ფორუმზე, უსამართლო და უპასუხისმგებლო სისტემაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სისტემატური ზემოქმედების მოხდენის მიზნით.

რადგან სოციალური მუშაობის მისიას წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანზე ზრუნვა, არამედ მის სოციალურ გარემოზეც, ლითზერფელნერი და პეტრი (1997) ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ სოციალური მუშაობის პროფესია მიიჩნევა ბენეფიციარის ადვოკატობას ეთიკურ პასუხისმგებლობად და სოციალური მუშაკის ძირითად ფუნქციად. გროსერის აზრით (1965), მართალია,

ადვოკატობა სამართლის სფეროდანაა კოოპტირებული, მაგრამ სოციალური ადვოკატი უნდა იყოს არა მხოლოდ უფლებადამცველი, შუამავალი, ექსპერტი, კონსულტანტი, მეგზური ან სოციალური თერაპევტი, არამედ „სოციალური კონფლიქტის პარტიზანი“. ბრაიარმა (1968) კი ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიაში განათავსა. აი, რა დიდა ადვოკატობის როლი ჩვენს პროფესიაში.

სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი, სოციალური პრინციპების ჩამოყალიბებისას, ერთ-ერთ უმთავრეს ფასეულობად ასახელებს სოციალურ სამართლიანობასაც. ის ნათლად გვეუბნება, რომ სოციალურ მუშაკებს მართებს არა მხოლოდ თავად რეაგირება სოციალურ უსამართლობაზე ან სოციალური სამართლიანობისათვის პროფესიული თემის მობილიზება, არამედ ისინი „ცდილობენ გამოიწვიონ საზოგადოების რეაგირება ადამიანთა გარკვეული ნაწილის ჩაგვრაზე [...] ყველა ინდივიდის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში“ (სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსი, 2009:6). ეს კი, ავტომატურად პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას გულისხმობს.

ხშირად გვესმის შეფასება, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკის ადვოკატობაც ამას ეხება. ხშირად სოციალური მუშაკებისგანაც გვესმის, რომ სოციალური მუშაობა აპოლიტიკური პროფესიაა. თუმცა, პოლიტიკას თუ ისე განვმარტავთ, როგორც პოლიტიკის მეცნიერებათა ღირსეული წარმომადგენელი, ჰაროლდ ლასველი, გვთავაზობს (ლასველი, 1936 ჰოფერთან, 2012:25): „პოლიტიკა არის პროცესი, რომლის დროსაც წყდება ვინ რას, როდის და როგორ იღებს“, გამოდის, რომ პოლიტიკა არის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ კარგი მიზნებისათვისაც.

სოციალური მუშაკი ხშირად სკეპტიკურადაა განწყობილი საკუთარი როლისადმი, მოახდინოს ცვლილებები, რადგან ის არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი. ეს შეიძლება ნაწილობრივ სიმართლეა, მაგრამ ის ხომ ყოველთვის არის ადვოკატობის გზით

გადანწყევტილებების მომნიფების პროცესში მონაწილეობის უნარიანი. მაგალითად, მაიკ მონკრიფი, ფორტ ვორსის (ტეხასის შტატი) მერი ამბობს, რომ სოციალურ მუშაკებსა და პოლიტიკოსებს საერთო მიზანი აქვთ - დაეხმარონ ადამიანებს. ბარბარა მიკულსი, ამერიკის შეერთებულ შტატების სენატორი მერილენდიდან, ამბობს, რომ „პოლიტიკა არის სოციალური მუშაობა ძალაუფლებით“ (რეიჩი, 1995:1, ჰოეფერთან, 2012:26).

დომინელი (1997) გვარწმუნებს, რომ სოციალურ მუშაკებს აკლიათ ფინანსური და ორგანიზაციული რესურსი ალტერნატიული იდეოლოგიების შექმნისთვის. თუ ისინი თავს იკავებენ პოლიტიკური ქმედებებისაგან „უმოქმედობით, ისინი პოლიტიკურად მოქმედებენ“ (დომინელი, 1997:135). რეიჩის აზრით კი: (რეიჩი, 1995:1 ჰოეფერთან, 2012:26), „მათ (სოციალურ მუშაკებს) მართებთ პოლიტიკური ქმედება, როგორც მუშაობის ცენტრალური, მუდმივ მიმდინარე კომპონენტი, ცრუ პროფესიონალიზმის იმიჯიდან გამოსვლა, რაც გამოყოფს პროფესიულ პასუხისმგებლობას მწვავე სიღარიბის, ძალაუფლების და პოლიტიკის რეალობიდან“. ის ფიქრობს, რომ თუ სოციალური მუშაკები არ მოქმედებენ, როგორც ადვოკატები, მათი პოლიტიკური იდეები და ფასეულობები ვერ იქნება წარმოდგენილი პოლიტიკურ წრეებში. ხოლო როდესაც ისინი ადვოკატობის პრაქტიკას ეწევიან, ადამიანთა მდგომარეობის შესახებ სპეციალურ ცოდნას აწოდებენ პოლიტიკოსებს და თან ამ ადამიანთა ძლიერ მხარეებსა და არა პათოლოგიებზე აქცენტით.

აბოტის (1988 ჰოეფერთან, 2012) კვლევა მიუთითებს, რომ სოციალური მუშაკები, სტუდენტებიც კი, სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შედარებით მალლა დგანან სოციალური მუშაობის ოთხი ღირებულებისადმი ერთგულებით:

1. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა
2. სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება
3. ინდივიდუალური თავისუფლებებისადმი თავდადება
4. თვითგამორკვევის მხარდაჭერა.

რამდენად ვახორციელებთ ჩვენ ამ მისიას? გვევალება კი ეს ჩვენი დასაქმების ადგილზე? თუ, მიუხედავად იმისა, გვევალება თუ არა, ის მაინც ჩვენი პროფესიული ვალდებულებაა? მოდით, შევეცადოთ ქართული სინამდვილის გააზრებას ამ მიმართულებით:

ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საქართველოს საზოგადოების დიალოგის გაუმჯობესება სოციალური სამუშაოს პოლიტიკის განსავითარებლად“ ფარგლებში სოციალური მუშაობის სიტუაციურმა ანალიზმა (2011), რომლის მიზანი იყო საქართველოში არსებული სოციალური მუშაობის მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ცხადყო, რომ დამქირავებელთა მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტს აქვს წაყენებული დაქირავებულ სოციალურ მუშაკთა სამუშაო აღწერილობაში ადვოკატობის მოთხოვნა. უფრო მეტიც, ზოგიერთი დამქირავებელი, პოლიტიკური თუ ინსტიტუციური სარგებლის მოპოვების მიზნით, ერიდება აგრესიული პოლიტიკის გატარებას ბენეფიციარის ინტერესების დასაცავად. სოციალური მუშაკიც დგას ორგანიზაციული მოთხოვნების ტყვეობასა და პროფესიულ ეთოსს შორის არჩევნის გაკეთების წინაშე. ეს კი საკმაოდ რთული არჩევანია და იგი ჩვენი გასაკეთებელია. გამოდის, რომ ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა, არ გავახუნოთ ეს ფუნქცია და გამუდმებით ვასწავლოთ დაინტერესებულ პირებს, რა არის ნამდვილი სოციალური მუშაობა, რას გულისხმობს ის და რამდენად დიდი ადგილი უჭირავს პროფესიული ფუნქციის შესრულებაში ადვოკატობას. ბოლო წლებში სოციალური მუშაკები აშკარად გააქტიურდნენ ამ კუთხით. ამის მიზეზი კი ალბათ ის არის, რომ საუნივერსიტეტო წიაღში გამოზრდილი პროფესიონალები მართებულად იაზრებენ მათ პროფესიულ როლს, სიტუაციური ანალიზის მომზადებისას კი საუნივერსიტეტო სწავლების საბაკალავრო პროგრამას ჯერ მხოლოდ ერთი გამოშვება ჰყავდა (სულ ორმოცამდე სტუდენტი), სამაგისტროს კი - ორი (დაახლოებით, 35 სტუდენტი).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებს პრაქტიკის სწავლების კომპონენტში აქვთ სოციალური პროექტების



განხორციელების ვალდებულება. ეს კომპონენტი სწორედ ადვოკატობის განხორციელების მიზანს ემსახურება. ამას, მათი ურავლესობა, ძალიან კარგად ართმევს თავს. ბევრი ძალიან საინტერესო პროექტიც ჩამიბარებია, დაგეგმილისამებრ განხორციელებული თუ სხვადასხვა მიზეზის გამო (ზოგჯერ სტუდენტისაგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამოც) განუხორციელებელი, მაგრამ კარგად დაგეგმილი, აქტუალური ამოცანებით. მაგრამ ადვოკატობა მიანც ინდივიდუალურ დონეზე ხდება უმრავლეს შემთხვევაში. შესაძლოა, სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ მაკრო ადვოკატობის ფუნქციის ეფექტიანად განხორციელებას იმიტომაც, რომ სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამები არ იძლევა შესაძლებლობას, აღჭურვონ ისინი იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც მათ ასეთი საქმიანობის შესაძლებლობას მისცემდა. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკა სოციალური მუშაობის მიმართულებებზე სასწავლო პროგრამის დიდ ნაწილს იკავებს, პრაქტიკის სწავლების ორგანიზაციათა ჩამონათვალში ჯერ არ არის არც ერთი პოლიტიკის განმახორციელებელი უწყება.

მიუხედავად სოციალურ მუშაკთა რწმენისა პროფესიის ფასეულობებისადმი, სიკაისა და როზენსკის კვლევამ (1997 ჰოფფერთან, 2012) გვიჩვენა, რომ სოციალური ადვოკატობა მათ არ მიაჩნიათ უპირატეს პროფესიულ მოვალეობად, საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ კი თითქოს სანინაალმდეგო წარმოაჩინა, მაგრამ გამოააშკარავა ისიც, რომ სოციალურ მუშაკებს ადვოკატობა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე მიაჩნიათ საკუთარ მოვალეობად. არადა, გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა 59.8 პროცენტი პროფესიულ მოვალეობად მიიჩნევს სოციალური ცვლილებების ინიცირებას, რაც მაკრო-დონის ადვოკატობის გარეშე რთული მისაღწევია (სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, 2011).

## სოციალური მუშაკის ბრძოლა სოციალური უფლებებისათვის

ცხოვრებისეული ცოდნისაგან დაგროვილი იდეები და პერ-ცეფციები ხელს უწყობს სოციალური კონსტრუქციების ფორმირებასა და/ან სოციალური რეალობის აღქმას, რაც სოციალურ მუშაკებს აქვთ სიღარიბესა და უთანასწორობაზე (ჰეკინგი, 1999; სერლი, 1995 კოქსთან 2016).

სოციალურ მუშაკთა და სოციალური მუშაობის პროფესიის ინტე-რესია ცხოვრებისეული გამოცდილებების დაკავშირება სოციალურ კონსტრუქციასთან, მთავრობის ძალისხმევის გაუმჯობესებისათვის (ბალოკი, 1995; გროსკინდი, 1994; სტიგლიცი, 2012 კოქსთან 2016). გადანწყვეტილების მიმდებმა პირებმა სწორედ სოციალური მუშაკისაგან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გადანწყვეტონ, თუ რამდენად დაიბეგრონ დასაქმებულები სოციალურად დაუცველთა მხარდაჭერისათვის, რამდენად ინდივიდუალურია ის მახასიათებლები, რომელთა გამოც ადამიანი სოციალურად დაუცველია და თუ ისინი ამ მდგომარეობაში სტრუქტურული ბარიერების გამო აღმოჩნდნენ, არის თუ არა ეს განპირობებული პრესოციალური თუ სოციალური ფაქტორე-ბით.

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული დოზით უწყობენ ხელს სოცი-ალურად მოწყვლადებს. ქვეყნები ამჟამინდელი ტვირთის ზიდვის მიზან-საც სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ზოგიერთი ქვეყანა იაზრებს, რომ უსაფრთხოების ქსელის პროგრამები, უპირველესად, საზოგადოებაში უთანასწორობის დონის შემცირების ან გაზრდის არიდებისთვისაა საჭირო. ზოგიერთთა აზრით, ეს პროგრამები სამუშაო ეთიკის ეროზიას ინვეს, თუმცა არა ერთი კვლევა ასკვნის, რომ უსაფრთხოების ქსელის პროგრამები არ ახდენს გავლენას დასაქმების შესახებ გადანწყვეტილებაზე (ჯენსონი, 2016). სწორედ ამაზე დამოკიდებული როგორი პოლიტიკა ფორმირდება ქვეყანაში ამ უდიდესი სოციალური პრობლემის და-საძლევად და რამდენად იქნება ის სოციალური უთანასწორობის ზრდის ან კლების განმაპირობებელი, რას გაიღებენ მოქალაქეები ერთმანეთის მხარდაჭერისათვის, რა პერიოდით მიიჩნევენ თავს ვალდებულად

იყვნენ სოლიდარულნი თანამოქალაქეთა პრობლემებისადმი, რატომ მიაჩნიათ ან უნდა მიაჩნდეთ თავი ვალდებულად იტვირთონ ეს პასუხისმგებლობა, ეს მათ ინტერესშიც არის თუ მხოლოდ მხარდაჭერის მიმღებთან ინტერესს ემსახურება. მაგალითად, მდიდარი ამერიკელი იხდის მხოლოდ 15 პროცენტამდე საშემოსავლო გადასახადს, როდესაც მათი ევროპელი თანამედროვეები იხდიან 50 პროცენტს. შესაბამისად, ევროპელ ღარიბთათვის უსაფრთხოების ქსელის პროგრამები უფრო ხელგაშლილია და ეკონომიკური უთანასწორობაც ნაკლებია, ვიდრე შტატებში (ჯენსონი, 2016).

სოციალური კეთილდღეობის ადვოკატობა ასახავს ბრძოლას ინდივიდუალურსა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის. კონსერვატიული შეხედულებების მქონენი არ იზიარებენ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს დიდი როლი აქვს ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, რომ პროგრამები უნდა იყოს ხანგრძლივი, რადგან თვლიან, რომ ეს იწვევს მათ დამოკიდებულებას სისტემაზე. უფრო ლიბერალური შეხედულებისამებრ კი, კეთილდღეობის მომსახურება უნივერსალური უნდა იყოს.

ბევრი ფიქრობს, რომ მსუყე უმუშევრობის დახმარება ადამიანს სამუშაოს მაძიებლობის ჟინს უქრობს. თუმცა არ არსებობს დაუსაქმებლობის კულტურის მტკიცებულება, რადგან უმრავლესი დაუსაქმებელი დასაქმების სურვილითაა. თუმცა სამუშაო, რომელსაც მათ სთავაზობენ, ხშირად ნახევარშტატიანი, დაბალშემოსავლიანი, სახიფათოა, რაც ხშირად გეგარბი სამუშაო საათების შესრულების მიუხედავად, მათ მაინც საბაზისო საჭიროებების დაუკმაყოფილებლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარების წინაშე აყენებს. ამიტომ მაღალი დაუსაქმებლობის ბენეფიტები აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკასთან კომბინაციაში უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირების მხარდამჭერი ფაქტორია (ფურაკერი 2009 ნიუმენტან, 2010). უამრავი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ მაღალი უმუშევრობის დაზღვევა ზრდის თვითშეფასებასა და თვითდაჭერებას და ამიტომაც დადებით გეგავლენას ახდენს ადამიანის სამუშაოს მაძიებლობის მოტივაციაზე (DWP 2010c).

ზოგიერთ ქვეყანას აქვს ან ჰქონია სანქციები უმუშევრობისათვის. პირობითობა განსხვავებულ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ნაწილია. თუმცა, კვლევები გვიჩვენებს, რომ სანქცირება ნაწილობრივ ეფექტიანია, მაგრამ სოციალურად დაუცველ ადამიანებში ის სოციალურ ექსკლუზიასა და ჩრდილოვან ეკონომიკაში მონაწილეობას იწვევს (Social Exclusion Unit 2004, para.7.29). შვეიცარიის დასაქმების პოლიტიკის კვლევა გვიჩვენებს, რომ დასაქმებაზე უარი ბენეფიტის დაკარგვას განაპირობებს, რაც ავტომატურად ზრდის მონყვლადობის მაჩვენებელს (მაედერი და ნადაი, 2009). გრეგის კვლევის რესპონდენტები (2009) ამბობენ, რომ ისინი სანქცირებული ისეთი მიზეზებით გახდნენ, რომლებზეც მათ არ ჰქონდათ კონტროლი. მაგალითად, ზოგმა ვერ აირიდა სამუშაოს დაკარგვა თანამშრომლის მხრიდან ბულინგის გამო, ზოგიერთმა დასაქმების დროს ტრენინგი პირადი პრობლემების გამო შეწყვიტა და ა.შ. ზოგიერთი სანქცირებული ამის შესახებ წინასწარ ინფორმირებულიც კი არ იყო. ამიტომ გრეგი თვლის, რომ დაუსაქმებლები უნდა ჩაერთონ „პერსონალიზებული რეინტეგრაციის“ პროგრამებში, რომლებიც მათ დასაქმების ბაზარზე ადგილის მოპოვებაში დაეხმარება (2009 ნიუმენთან, 2010:98). ჯინი (2009) თვლის, რომ პირობითობა დასაქმების ვალდებულებას ინდივიდებს აკისრებს სახელმწიფოს ნაცვლად და მათვე ადანაშაულებს იმ სიტუაციაში ყოფნისთვის, რომელიც შეექმნათ.

თუ დავფიქრდებით, რა სახის სამუშაოებია ხელმისაწვდომი თემში, რამდენად ინფორმირებულია მოქალაქე არსებული შესაძლებლობების თაობაზე, რამდენად თანაბარი პირობებია დასაქმებისათვის თემის ყველა წევრისათვის, განურჩევლად სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა; ხელმისაწვდომია თუ არა დღის ცენტრის მომსახურება ყველა თემში, ახალგაზრდა მშობლებმა რომ შეძლონ დასაქმება; როგორ არის გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება არ არის თემში; დაუსაქმებელმა არ შეიზღუდოს თავი სხვა ლოკაციაში მუშაობისაგან; საკმარისია თუ არა ანაზღაურება არსებობისათვის მაინც, რამდენად უზრუნველყოფს დასაქმებულის

შემოსავალი ნორმალურ ცხოვრების პირობებს? არის თუ არა გადამზადების კურსები ხელმისაწვდომი მოთხოვნილ საქმიანობებზე, რომ ადამიანმა შეძლოს ხელობის/პროფესიის შეცვლა და ა.შ. მიხვდებით, რომ სოციალურ მუშაკებს ულევია საადვოკატო თემა აქვთ.

სოციალური მუშაკები, ძირითადად, სამი პრინციპით ხელმძღვანელობენ პროფესიული როლის აღსრულებისას, რომლებიც 1948 წლის ადამიანის უფლებების დეკლარაციიდანაა:

1. შეისწავლეთ სიმართლე და წარმოადგინეთ ფაქტები ადამიანის უფლებების შესწავლისას;
2. დაიჭირეთ თანმიმდევრული პოზიცია წარსული, ახლანდელი და სამომავლო ძალადობრივი ქმედებებისადმი;
3. ითანამშრომლეთ ადამიანის უფლებების დამცველ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან.

ეს პრინციპები წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სოციალური მუშაობის მორალურ საფუძველს, როგორც ინდივიდის, ასევე თემის თუ პოლიტიკის ადვოკატობის დონეზე (იფი, 2001 კოქსთან, 2016).

რატომ არის სოციალური უფლებების დაცვა ყველაზე რთული? ალბათ იმიტომ, რომ არ არსებობს მყარი სტანდარტები და იმიტომაც, რომ სოციალური გარემო ყოველწამიერად იცვლება. იცვლება სოციალური ცხოვრების წესი და მიმდებლობა ცხოვრებისეული საკითხებისადმი, მრავალფეროვნდება სოციალური ქსოვილის ელემენტები. ამასთან, ცვლილებები აუცილებლად არ არის განპირობებული ქვეყნის სოციალური ან ეკონომიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ხშირად ისე ხდება, რომ უმთავრესი სოციალური უფლება დაუცველი რჩება მდიდარ ქვეყნებშიც კი.

დასაქმების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სოციალური უფლებაა. ამასთან ის, ნორმალური სოციალური ცხოვრების ყველაზე

უფრო ხელშემშლელი მიზეზის - სიღარიბისგან თავის დაღწევის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. თუმცა ბევრი ქვეყნის გამოცდილება ამას არ ამტკიცებს. მათ შორისაა საქართველოც. ინგლისში დაბალშემოსავლიან დასაქმებულ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი იზრდება დაუსაქმებელთა ოჯახებში იგივე მაჩვენებლის შემცირების ფონზე. ღარიბი სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ოჯახში, რომელშიც ერთი წევრი მაინც მუშაობს (პარლამენტი და კოლეგები 2008 ნოემბერთან, 2010).

დაბალშემოსავლიანი ოჯახები უფრო ხშირად არიან არასასურველი კასკადური მოვლენების წინაშე, რაც უამრავი ერთმანეთზე გადაჯაჭვული პრობლემის უწყვეტ ციკლში ითრევს მათ. გაეროს ბავშვთა ფონდის 2018 წლის საქართველოს ბავსვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაღალი მაჩვენებლის (97 პროცენტი) მიუხედავად, განათლებას აღარ იღებს 15-18 წლამდე ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი და საბავშვო ბაღების არარსებობის გამო, დაახლოებით, 14 000 ბავშვი არ დადის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა (2015) და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის (2017) კვლევები ბავშვთა შრომაზე საუბრობენ, მათ შორის, საგაკვეთილო პროცესისას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამჟამინდელი რთული სოციო-ეკონომიკური სიტუაციიდან იმგვარი გამოსავალი აქვს არჩეული ზოგიერთ ოჯახს, რომელიც მათ ამ სიტუაციაში დიდხანს ყოფნას განაპირობებს, სამწუხაროდ. ხშირად ოჯახები ამას ასე არ იაზრებენ და აქ დიდია სოციალურ მუშაკთა როლი.

სოციალური მუშაკი მათ პრობლემების მოკლედვადიანი და გრძელვადიანი პერიოდით მოგვარების გეგმის დასახვაში ეხმარება; მთელ საზოგადოებას კი ამ პრობლემის დაძლევით საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის შანსების გააზრებაში. თუ გადავხედვით ადვოკატობის რუკას, რომელიც ქვევითაა წარმოდგენილი ადვილად დავინახავთ ამ კავშირებს.

**ადვოკატობის რუკა**

**პრობლემა:** კლიენტი და მისი ოჯახი შიმშილობს ყოველი თვის ბოლოს.

**სასურველი შედეგი:** კლიენტს და მის ოჯახს აქვს საკმარისი საკვები თვის განმავლობაში.

**სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული საბოლოო შედეგი საზოგადოებისათვის:** საზოგადოება, სადაც ყველას აქვს ადეკვატური ოდენობის საკვები.

	ამოცანა	მოკლე ვადიანი შედეგი	შუალედური შედეგი	გრძელვადიანი შედეგი	საბოლოო შედეგი
კლიენტი და მისი ოჯახის წევრები	რესურსების ალტერნატიული საშუალებების მოძიება	ინფორმირებული არიან არსებული რესურსების შესახებ  დაასრულეს სააპლიკაციო პროცესი	კლიენტებისათვის ხელმიწვდომია საკვებით დახმარების პროგრამები	კლიენტები იღებენ საკვების ადეკვატური ოდენობას  საკვების თვალსაზრისით, თვით დახმარებისუნარიანი არიან	საზოგადოება, სადაც ყველას აქვს საკვების ადეკვატური ოდენობა

	ამოცანა	მოკლე ვადიანი შედეგი	შუალედური შედეგი	გრძელვადიანი შედეგი	საბოლოო შედეგი
სოციალური მუშაკი	<p>კლიენტი ეცნობა არსებულ რესურსებს</p> <p>სოციალური მუშაკი იცნობს პროგრამების პოლიტიკას და სააგენტოს შეზღუდვებს</p> <p>სოციალური მუშაკი ინფორმირებულია ასეთი პროგრამების რაოდენობის ზრდის საჭიროების შესახებ</p>	<p>კლიენტი ეცნობა არსებულ რესურსებს</p> <p>სოციალური მუშაკი იცნობს პროგრამების პოლიტიკას და სააგენტოს შეზღუდვებს</p> <p>სოციალური მუშაკი ინფორმირებულია ასეთი პროგრამების რაოდენობის ზრდის საჭიროების შესახებ</p>	<p>კლიენტები ირჩევენ საკვების დეფიციტის აღმოფხვრის გზას</p> <p>სოციალური მუშაკი ცდილობს სხვა ორგანიზაციების პოლიტიკაზე ზეგავლენას და ადვოკატობს პროგრამული ბიუჯეტის ზრდას</p>	<p>კლიენტებს აქვთ მეტი ინფორმაცია სისტემისა და მისდამი ხელმისაწვდომობის შესახებ</p> <p>ადვოკატობის სამიზნეებს მეტი ინფორმაცია აქვთ პროგრამის საჭიროების შესახებ</p> <p>სააგენტოები მეტ რესურს იღებენ საკვებით უზრუნველყოფის პროგრამისათვის</p>	<p>საზოგადოება, სადაც ყველას აქვს საკვების ადეკვატური ოდენობა</p>

	ამოცანა	მოკლე ვადიანი შედეგი	შუალედური შედეგი	გრძელვადიანი შედეგი	საბოლოო შედეგი
სათემო პროგრამები (როგორცაა საკვების ბანკები)	<p>სააგენტოები საზოგადოებას გააცოცხლებს საკვების შეგროვებისა და გავრცელების შესახებ და პროცედურებს</p>	<p>პროგრამები გადახედავენ წესებსა და პროცედურებს გაუმჭობესების მიზნით</p>	<p>სააგენტოები შეეცდებიან შესაძლებლობების ფარგლებში სარგებლის გაზრდას და მაქსიმალურად სამართლიანად გადანაწილებას.</p> <p>სააგენტოები შეეცდებიან შესაძლებლობების ფარგლებში სარგებლის გაზრდას და მაქსიმალურად სამართლიანად გადანაწილებას</p>	<p>სააგენტოები თავიანთ პოლიტიკას და პროცედურებს სოციალური სამართლიანობის ჭრილში გადახედავენ</p>	<p>საზოგადოება, სადაც ყველას აქვს საკვების ადეკვატური ოდენობა</p>



	ამოცანა	მოკლე ვადიანი შედეგი	შუალედური შედეგი	გრძელვადიანი შედეგი	საბოლოო შედეგი
სახელმწიფო პროგრამები	ადვოკატობი აიძულებენ კანონ-მდებლებს და სააგენტოებს კანონების, წესების, პროცედურების გადახედვას სარგებლის გაზრდის მიზნით	კანონ-მდებლები და პროგრამის ადმინისტრაცია მზადაა გადახედოს წესებსა და პროცედურებს			საზოგადოება, სადაც ყველას აქვს საკვების ადეკვატური ოდენობა

სიღარიბისადმი სოციალურ მუშაკთა დამოკიდებულება შეიცვალა სამოციანიდან ოთხმოციან წლებში. 80-იან წლებში სოციალური მუშაკები სიღარიბეს უფრო სტრუქტურულ პრობლემად მიიჩნევდნენ, ვიდრე 60-იანებში. სხვადასხვა ქვეყანაში ამას განსხვავებული მიზეზი აქვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძირითადად, ამას განაპირობებს შემდეგი:

1. შემთხვევაზე მუშაობა და ფსიქოთერაპია გახდა სოციალური მუშაობის ძირითადი მეთოდი;
2. რეიგანის ადმინისტრაციის გულგრილობამ სოციალური მუშაობისადმი სოციალური ცვლილებებისადმი რწმენა შეამცირა.

ვან სოესტი (1995 ჰოფფერთან, 2012) წარმოგვიდგენს სოციალური სამართლიანობის სამ ხედვას:

- ◆ ლეგალური სამართლიანობა, რომელიც აყალიბებს ადამიანის
- ◆ სამართლიანობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანების ვალდებულებებს ერთმანეთისადმი;
- ◆ დისტრიბუციული სამართლიანობა, რომელიც საზოგადოების ვალდებულებებზე აკეთებს აქცენტს მისი წევრებისადმი.

სწორედ ამ უკანასკნელზე მიმდინარეობს უფრო ხშირად დისკუსია

სოციალური მუშაობის კონტექსტში. ამიტომაც სოციალურ მუშაკებს მართებთ, მეტი ყურადღება მიაქციონ პოლიტიკოსთა დებატებს რესურსების რედისტრიბუციის შესახებ.

სოციალური მუშაობა რესურსების გადანაწილების ევალუატარულ ხედვას ეფუძნება და იშვიათად თუ შეგვხვდებათ ლიბერტარიანული შეხედულების გამზიარებელი სოციალური მუშაკი. თუმცა ხშირად მოისმენთ კოლეგათა დავას იმის თაობაზე, შესაძლებლობების თანასწორობა რეალურად არსებობს თუ არა ან საბოლოო შედეგების თანაბრობაა უფრო სამართლიანი თუ შესაძლებლობებისა. ლიბერტარიანული ხედვით, ნებისმიერი შედეგი, რაგინდ უთანასწოროც უნდა იყოს, სოციალურად სამართლიანია, თუ დაწესებული წესის შესაბამისად მიიღწევა. გამოდის, რომ ასეთ სიტუაციაში იმ ადამიანთა, რომლებმაც თავად ვერ შეძლეს ცხოვრებისეული საჭიროებების უზრუნველყოფა, მხარდაჭერის ერთადერთ გზად ქველმოქმედება რჩება - სხვათა სურვილი, ნება, რომ გაიღოს დახმარება. ასეთ სიტუაციაში სოციალურ მუშაკებს დიდი პასუხისმგებლობა დაანგებოდა. სოციალური მუშაობა ხომ სოციალური პასუხისმგებლობების გაანალიზებას აღიარებს და არა მხოლოდ სურვილის მიხედვით მონყალების გაცემისა.

სოციალური მუშაკები საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზეც ზრუნავენ, პოლიტიკოსების სოციალური პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ ხედვაზე. კლიენტების ჩართვა ამომრჩეველთა რეგისტრაციის კამპანიებში ხელს უწყობს სხვადასხვა კანდიდატის პოზიციების შესახებ მათ ინფორმირებას. ბუნებრივია, კანდიდატი, რომელიც ღარიბთა მხარდაჭერას გამოხატავს, მათ ხმებსაც მოიხვეჭს. ან კანდიდატი, რომელიც კონკრეტული სამიზნე ჯგუფის ინტერესებისადმი გამოხატავს მეტ თავდადებას (მაგალითად, ომის ვეტერანებისადმი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისადმი, მებღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი და ა.შ.), ამ ჯგუფის სიმპატიას დაიმსახურებს. მისი წარმატების ხარისხის მიუხედავად, სოციალური მუშაკი ადამიანს ლიდერობის უნარ-ჩვევებს, თვითშეფასებას, თავდაჭერებას, საკუთარი ძალებისადმი რწმენას უვითარებს, როდესაც ეს უკანასკნელი საკუთარი საჭიროებების დეკლარირებას ახდენს და საკუთარ უფლებებს იცავს საარჩევნო ყუთთან.

## რითია განპირობებული სოციალური მუშაკის სურვილი, გახდეს უფლებადამცველი

მოდით, შევეცადოთ გავიაზროთ, **რა ამოძრავებს სოციალურ მუშაკს, როდესაც ის უფლებადამცავი ხდება?** ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, ლესტერი და შნაიდერი (2001) კი ასეთ კლასიფიკაციას გვთავაზობენ:

- ◆ გაღიზიანება, რომელიც ახლავს არასასიკეთო ცვლილებებზე ორიენტირებული სამუშაოს შესრულებას;
- ◆ სასიკეთო ცვლილების ინიცირების გამოცდილება;
- ◆ ჩაგვრისა და დამცირების პირადი გამოცდილება;
- ◆ სოციალური ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ზეგავლენა;
- ◆ თვითრწმენა, რომ შეგვიძლია სასიკეთო ცვლილებების კეთება ადამიანთა საკეთილდღეოდ.

დაუცველი ადამიანების ინტერესთა დაცვა კი განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან. დაუცველობის ფაქტორი ორგვარია:

- ◆ გარემოთი გამონწვეული
- ◆ პიროვნული უნარებით გამონწვეული.

ზოგიერთ შემთხვევაში პირველი დომინირებს, ზოგიერთში კი - მეორე. ისეთი სიტუაციებიც ხშირია, როდესაც ორივეა სახეზე. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ადამიანს არ აქვს გააზრებული საკუთარი უფლებები და საჭიროებები, რაც ამ უფლებებით სარგებლობას გულისხმობს. სოციალური მუშაკის ვალია, იგი მას დაეხმაროს ამ უფლებებში გათვითცნობიერებაში და ასწავლოს თავისი უფლებებით სარგებლობა საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

საჭიროების კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ზოგს ენიჭება უფლება ისარგებლოს სოციალური მომსახურებით, ზოგს კი არა, ეთიკური

განსჯის საკითხია იმის შესახებ, თუ რა სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია სოციალური პრობლემების გადაჭრისა და მწირი რესურსების ეფექტიანად და სამართლიანად გადანაწილებაში. პროფესიული პასუხისმგებლობის გააზრების შემდეგ კი სოციალური ადვოკატობის ანბანის ცოდნაა საჭირო. რაც უფრო კარგად ვფლობთ ადვოკატობის ტექნიკას, მით უფრო ეფექტიანად ვასრულებთ სოციალურად დაუცველთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ვალდებულებას.

ადამიანის საჭიროებების თემა არსებითია სოციალური მუშაკებისათვის, რადგან მათი დაუკმაყოფილებლობა ნიშნავს, რომ მისი სიცოცხლის ხარისხი მცირდება, მას დაღუპვის ან განვითარების შეწყვეტის საფრთხე ემუქრება. სხვადასხვა ასაკში ეს თემა განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, ბავშვების საჭიროებებზე საუბრისას იგი კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან ბავშვობა ცხოვრების ის პერიოდია, განსაკუთრებით კი, ადრეული ბავშვობა, რომლის განმავლობაშიც დაუკმაყოფილებელი საჭიროებების კვალი მთელი ცხოვრების განმსაზღვრელია (შატბერაშვილი, 2010).

იმისათვის, რომ ვიზრუნოთ სხვა ადამიანზე, დავიცვათ მისი ინტერესი და უფლებები, აუცილებელია ჯერ მათი საჭიროების განსაზღვრა. ამავე დროს, არა მხოლოდ საჭიროების დაუკმაყოფილებლობაა ჩვენთვის აუცილებელი ინფორმაციის შემცველი, არამედ დეფიციტის ხარისხიც. რასაკვირველია, ყველა საჭიროების გაზომვა თანაბრად ადვილი არ არის, მაგალითად, მენტალური ან განათლების საჭიროების გაზომვა ისე ზუსტად, როგორც საკვები საჭიროებისა, რთულია. თუმცა ნორმალური გონებრივი შესაძლებლობების ზღვარი დადგენილია ყველა ასაკისათვის. უფრო რთულია ემოციური საჭიროებების დადგენა, რადგან ეს ძალიან პირადულია, შესაბამისად, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და მათი დაკმაყოფილება არ ექვემდებარება საერთო „მკურნალობას“ (არლტი, 1933). ჩვენ უნდა ვინტერესდებოდეთ არა მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებითაც ადამიანები შეძლებენ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, არამედ იმ შესაძლებლობებითაც, რომლებითაც ისინი არასაბაზისო – სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას შეძლებენ.

იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ადამიანის საჭიროებები, გვჭირდება მატერიალური რესურსები, დრო და ცოდნა (არლტი მელსთან და პენტისეკთან, 2009). გარდა მატერიალური რესურსების დეფიციტის გამო გამონწვეული დაუკმაყოფილებელი საჭიროებებისა, ბევრია ისეთიც, რომლებიც, ერთი მხრივ, ადამიანის საჭიროებების შესახებ უცოდინრობის ან მათი დაკმაყოფილების ეფექტიანი გზების არცოდნითაა გამონწვეული. საჭიროებების დაკმაყოფილებას, გარდა სურვილისა, ცოდნა სჭირდება, ამიტომ სოციალური ადვოკატობის ანბანის შესწავლას უნდა შევუდგეთ.

### სოციალური ადვოკატის პროფესიული თვისებები

მოდით, ახლა შევეცადოთ იმის გააზრებას, თუ რა თვისებები აქვთ ადვოკატებს სოციალურ მუშაობაში? შნაიდერისა და ლესტერის (2001) აზრით, სოციალურ მუშაკს ადვოკატის როლის შესრულებისთვის შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

ქმედებაზე ორიენტირებული - ადვოკატობა სოციალური მუშაკისაგან მოითხოვს ქმედებას, ცვლილების ინიცირებასა და განხორციელებას. ადვოკატობა არ არის, უბრალოდ, დამოკიდებულება ან რწმენა. სოციალურმა მუშაკმა ინიციატივა უნდა გამოიჩინოს. ეს უკანასკნელნი აკეთებენ კვლევას, ქმნიან კოალიციებს, მობილიზებას უკეთებენ ჯგუფებს და თემს, მონაწილეობენ დაგეგმვაში, სტრატეგიის შემუშავებაში, გადანყვეტილებების მიმღებებზე ზემოქმედებაში, ახორციელებენ სავლელ სამუშაოებს და გვთავაზობენ ალტერნატიულ პოლიტიკას. ადვოკატი სოციალურ მუშაობაში არის ქმედებებისა და მოვლენების „კატალიზატორი“. ჯინ ადამსმა ერთხელ ბრძანა, რომ ქმედება ადამიანებს ჭეშმარიტებასთან აახლოვებს და მათ სიმართლის თქმის საშუალებას აძლევს (ლაური, 1975).

უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი-ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლას გულისხმობს სამართლიანობის პრინციპის დაცვით. ამ როლში

სოციალურ მუშაკებს უნევთ კამათიც, საჯარო გამოსვლებიც, როცა ბენეფიციარის უფლებები რისკის წინაშეა ან უთანასწორობაა დამკვიდრებული საზოგადოებაში. როგორც ფრედოლინო (1990) აღნიშნავს, ადვოკატობა ძალაუფლების, ავტორიტეტისა და რესურსების გადანაწილებას გულისხმობს. ამის ნებით დათმობა კი არავის სურს.

არანეიტრალური - უსამართლობის, უთანასწორობის, ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და სიღარიბის ფონზე, სოციალური მუშაკები არ რჩებიან ნეიტრალური განურჩევლად იმისა, რა პრობლემის წინაშეა ბენეფიციარი და ვის უნდა მივმართოთ მის დასაცავად. პროფესიის ღირებულებები სოციალურ მუშაკს ავალდებულებს მოწყვლადთა, რისკის წინაშე მყოფთა და წარუმატებელთა მხარდაჭერას. სოციალური მუშაობის მთავარი მისია ხომ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ფრეირის (1990:5) აზრით, „სოციალური მუშაკი არ არის ნეიტრალური აგენტი, არც პრაქტიკაში და არც ქმედებაში“. ამიტომ, მაკკორმიკის (1970) აზრით, ადვოკატობა სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თავდაუზოგავი შრომაა და სოციალური მუშაკი ვერ იქნება ნეიტრალური.

პოლიტიკისა და პრაქტიკის დაკავშირების უნარის მქონე – დევისმა (1993) ბრძანა, რომ ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში ორმაგ ორიენტაციას მოითხოვს: პოლიტიკა და პრაქტიკა. რადგან სახელმწიფო თუ ორგანიზაციული პოლიტიკა ბენეფიციართა და თავად პროფესიონალების ცხოვრებაზე მუდმივად ახდენს ზემოქმედებას, სოციალური მუშაობის ინტერვენცია უნდა მოიცავდეს ცვლილებას როგორც პოლიტიკის, ისე სისტემისა და ბენეფიციარის დონეზე. საზოგადოებისა თუ თემის ზემოქმედებას ბენეფიციარზე, უპირველესად, კლინიკური სოციალური მუშაკები აღმოაჩენენ, რადგან სწორედ ისინი დგანან „წინა ხაზზე“. ბენეფიციარის დაუყოვნებლივი საჭიროების დაკმაყოფილება კი არ არის საკმარისი, როცა ამ საჭიროების გამომწვევი მიზეზები აღმოუფხვრელია.

მომთმენი და იმედიანი - ფრეირმა (1990) ადვოკატობა სოცი-

ალურ მუშაობაში აღწერა, როგორც „მოუთმენელი მოთმინება“. არც მოთმინება და არც მოუთმენლობა არ არის საკმარისი ადამიანის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. თუ ჩვენ მხოლოდ მომთმენი ვიქნებით, ქმედების დრო არასოდეს დადგება; თუ ჩვენ მუდამ მოუთმენლები ვიქნებით, ჩვენ, შესაძლოა, ისტორიული რეალობები უგულვებელვყოთ და შესაძლებლობის რეალობა გაგვისხლტეს. ამიტომ სოციალურმა მუშაკებმა უნდა მისდიონ „მოუთმენელი მოთმინების“ სტრატეგიას, რადგანაც სწორედ ამას აქვს წარმატების მეტი შანსი ჩვენს რთულ სამყაროში. ის ასევე რეალისტურ იმედს უსახავს როგორც ბენეფიციარს, ასევე სოციალურ მუშაკს. არსებული პრობლემებისადმი ადეკვატური რეაგირების სურვილი სოციალურ მუშაკს პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლას ავალდებულებს. სოციალური მუშაკები მომსახურების მიმღებებს იმედს უსახავენ როგორც მოკლე, ასევე გრძელ ვადაში სწორედ შეუდრეკელი აქტივიზმით.

ადამიანის გაძლიერებაზე ორიენტირებული - სოციალური მუშაობა სცილდება ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესისაკენ მიმართული დახმარების პატერნალისტურ ფორმას. ადვოკატობა სოციალურ მუშაობაში გულისხმობს ბენეფიციარისათვის პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებასა და ლიდერობის რაც შეიძლება მალე გადაცემას. სოციალური მუშაკები ბენეფიციარს, მისი კომპეტენტურობის განცდის გაძლიერების მიზნით, ასწავლიან, არწმუნებენ და ამხნევენ, რომ თავად შესძლოს მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე პროცესებში. პერლმანი და ედვარდსი (1982) ადვოკატს სოციალურ მუშაობაში ახასიათებს, როგორც პირს, რომელიც პატივს სცემს, მხარს უჭერს, იყენებს, იცავს მონაწილეთა ინიციატივას და ჭკუფის ავტონომიას.

## ბერკეტი, როგორც სოციალურ მუშაკს აქვს ადვოკატობის განხორციელებაში

მოდით, განვიხილოთ, რა ბერკეტი აქვს სოციალურ მუშაკს ადვოკატობის განხორციელებაში წარმატებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ბენეფიციარის დაცვის ლეგიტიმურობას სოციალური მუშაკისათვის მისი პროფესიული მანდატი განაპირობებს, რადგან ეს მისი პროფესიული ეთიკის საკითხია. რასაკვირველია, იმ ქვეყნებში, რომლებშიც პროფესიული ეთიკის კოდექსი კანონიერი დოკუმენტია და მის დარღვევას სანქციებიც ახლავს, პროფესიულად გამართლებული ქმედების დაცვის მეტი ბერკეტი არსებობს და პირიქით, დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიონალს. მნიშვნელოვანი ბერკეტია, ასევე, სოციალური მუშაობის პრაქტიკის სტანდარტები. პრაქტიკის სტანდარტები არის სწორედ ის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც სოციალურ მუშაკს სხვადასხვა დონეზე და სამიზნე ჯგუფთან მუშაობის სტანდარტს განუსაზღვრავს, მიუხედავად იმისა, სადაა ის დასაქმებული. თუნდაც ის კერძო პრაქტიკას ახორციელებდეს, მას ამ სტანდარტების ფარგლებში მართებს მომსახურების მიწოდება. სამწუხაროდ, ამ სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში ჯერ ისევ არ არის დამტკიცებული არც ეთიკის კოდექსი და არც მომსახურების სტანდარტები, თუმცა 2018 წელს მიღებული კანონი სოციალური მუშაობის შესახებ ორივეს ლეგიტიმაციას გვაუწყებს.

პატის(1974)აზრით, როდესაც ადვოკატობის მისია დამქირავებელი ორგანიზაციის პოლიტიკასა და პროცედურებთან კონფლიქტშია, პრაქტიკოსი ბენეფიციარის ინტერესებს ორგანიზაციულზე მაღლა უნდა აყენებდეს. ეს მისი პროფესიონალიზმის ავტომატური გამოხატულებაა. ადმინისტრატორების მხრიდან ბიუროკრატიული პოლიტიკისა და პროცედურების შენარჩუნების მცდელობა მათი პროფესიული და/ან თანამდებობრივი როლის დაცვას ემსახურება, რაც ჩვენგან არ მოითხოვს ჩვენი როლის უმაღვე უგულებელყოფას. ადმინისტრატორები, რომლებიც არ ითვალისწინებენ „წინა ხაზზე“ მდგომი სოციალური მუშაკების მოსაზრებებს, პრობლემის გადავივებას უწყობენ ხელს, ნაცვლად იმისა, რომ ემსახურებოდნენ მის გადაჭრას. ჩვენ კი თუ თავად უგულებელვყოფთ იმას, რისთვისაც ვიბრძვით, შევუერთდებით ამ პრობლემების გამლვივებელთა გუნდს.



## სოციალური ადვოკატის როლის შესრულებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები

განვიხილოთ, რა ხელშემშლელი ფაქტორები დომინირებენ ადვოკატის როლის შესრულებისას სოციალურ მუშაობაში? შნაიდერისა და ლესტერის აზრით (2001), ესენია:

**მომსახურების როლით პრეოკუპაცია** - ბოლო ხანებში სოციალურ მუშაობაში გამოიკვეთა უშუალო პრაქტიკის მიწოდების უპირატესობა. გარე პოლიტიკაზე ზემოქმედების ნაცვლად, სოციალური მუშაობის სააგენტოები და მათში დასაქმებული სოციალური მუშაკები თავიანთ ენერჯიას მხოლოდ უშუალო პრაქტიკის განხორციელებას ახმარენ.

**მენეჯერული მოსაზრებები** - ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემების, ყოველდღიური სამუშაო პროცედურების, ორგანიზაციული ნორმების, პოლიტიკისა და დაუსრულებელი შემცირებების ფონზე, სოციალური მუშაობა ნაკარნახევია დე ფაქტო მენეჯერების და არა პროფესიონალების შეხედულებებით. ქმედითობა ეფექტიანობაზე მაღლა დგას.

**პროფესიული ნორმებისა და სტანდარტების ნაკლებობა** - ადვოკატობის სფერო არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და მისი განმარტებებიც მრავალნაირი და დამაბნეველია. მცირედ ხილვადი და/ან ლეგიტიმურობას მოკლებული პროფესიული ნორმები და სტანდარტები ართულებს სოციალური მუშაკის ქმედების ადვოკატობად რანჟირებას.

**დასაქმების პირობები** - სოციალურ მუშაკთა დასაქმების პირობები აფერხებს მათ მიერ ადვოკატობის როლის შესრულებას. მათ, ჩვეულებრივ, მასპინძლობს გარემო, სადაც წესები სამედიცინო პერსონალის ან სამართალდამცავების მიერაა შემუშავებული (მაგალითად, ჯანდაცვის ობიექტებზე ან სასჯელაღსრულების ან პრობაციის სისტემაში). ეს წესები კი ვრცელდება სოციალურ სამსახურზეც და ხშირად სოციალური მუშაობის ღირებულებების გვერდის ავლას მოითხოვს. ასეთ გარემოში სოციალური მუშაკების უნარი, ანარმონ

ადვოკატობა, შეზღუდულია და მათ უნევთ კომპრომისებზე წასვლა ბენეფიციარისა და დამსაქმებელი სააგენტოს პრიორიტეტებს შორის.

**ადვოკატობის, როგორც კონფრონტაციის გააზრება** - ადვოკატობა ხშირადაა გააზრებული, როგორც კონფრონტაცია და ამიტომაც სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან თუ სააგენტოებთან ურთიერთობების გაფუჭებისა და/ან სამსახურის დაკარგვის რისკის წინაშე აყენებს სოციალურ მუშაკს. არსებობს სოციალური ქმედებისა და ადვოკატობის დავების სტრატეგიასთან, ნორმის სტრატეგიასთან და ნორმის დარღვევის სტრატეგიასთან გათანაბრების ტენდენცია. არადა, სწორედ სტრატეგიის არჩევით იქმნით პროფესიულ პორტრეტს.

**ბენეფიციარის საჭიროებებში დაურწმუნებლობა** - ბენეფიციარის სიტუაციაში გაურკვეველობა სოციალურ მუშაკს ხშირად უკარგავს ადვოკატობის სურვილს. ბენეფიციარის დამაბნეველი, ზოგჯერ პროვოკაციული საქციელი ბუნდოვანს ხდის მის საჭიროებებს და სოციალურ მუშაკს ეფექტიანი ადვოკატობის პრაქტიკის განხორციელების საშუალებას არ აძლევს.

**პროფესიონალიზმთან დაკავშირებული პრობლემები** - ისტორიულად სოციალური მუშაკები აღიარებისა და დაფასების მაძიებლები არიან. ამ სურვილს ხშირად პროფესიული გამბედაობა ეწირება მსხვერპლად, რადგან ის სოციალურ მუშაკებს ბოჭავს „რესპექტაბელური“ პროფესიის ნორმების მიღმა რაიმე ქმედების განხორციელებისას.

**სტატუსის დაკარგვის შიში** - რადგან სოციალური მუშაკების ბენეფიციარები ხშირად არიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ან საზოგადოებისათვის მიუღებელი, ან საზოგადოების მხრიდან დაუფასებელი, ან უპატივცემულო მოპყრობის „ღირსნი“, შესაბამისად, მათი სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ზოგიერთი სოციალური მუშაკი ერიდება მათ ადვოკატობას თავისი სტატუსის ბენეფიციარების სტატუსთან გათანაბრების შიშით.

**სხვა შიშები** – ზოგიერთი სოციალური მუშაკი ერიდება პოლიტიკურ

ქმედებებში ჩართვას ან მასმედიის ყურადღების ცენტრში და სახალხო განხილვების სუბიექტად ყოფნას. ზოგიც თავიდან იცილებს სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, რაც ხშირად ადვოკატობის თანმხლებია. ზოგიერთნი კი კოლეგებთან დაპირისპირებას გაურბიან. ბევრსაც სამუშაოდან დათხოვნის რისკი აფერხებს.

**ტრენინგისა და განათლების ნაკლებობა** - სოციალური მუშაობის განათლების სისტემაში სულ უფრო შემცირდა ადვოკატობის ტექნიკის სწავლება. ადვოკატობის პრაქტიკა თითქმის აღარ ფიგურირებს სოციალური მუშაობის კურიკულუმში. სოციალური მუშაობის პროფესიული განათლება და პრაქტიკა დაპირისპირების ორიენტაციას ერიდება და კონსენსუსის ორიენტაციის ლეგიტიმაციისაკენ იხრება. მცირდება, ასევე, პოლიტიკური შინაარსის მქონე მასალის შემცველობა სოციალური მუშაობის კურსებში, უშუალო პრაქტიკის ინტერვენციის მეთოდისაკენ აშკარა გადახრის ფონზე.

**ინტერვენციის სტრატეგიის არაპოპულარობა** - ასევე ერთ-ერთი ბარიერია სოციალურ სფეროში სახელმწიფო ინტერვენციის არაპოპულარობა. ბევრი მოქალაქისა თუ სფეროს ექსპერტის აზრით, სახელმწიფო კეთილდღეობის პოლიტიკა არ არის ეფექტიანი, არ არის სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული და არ ემსახურება შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას.

**ადვოკატობის არსის გაუაზრებლობა** - ხშირად ადვოკატობის არსი გაუაზრებელია. ადვოკატობა არის საქმიანობა, რომელიც მოითხოვს მოთმინებას, შეუდრეკელობას, გრძელვადიან თავდადებას, ენერგიას, მხარდაჭერას, კვლევას, პოლიტიკურ უნარ-ჩვევებს, ცოდნას სახელისუფლო მონყობის შესახებ, ანალიზის უნარს. ზოგჯერ კომპრომისზე წასვლაცაა საჭირო. ადვოკატობით ხშირად შეუძლებელია საკითხის სწრაფი მოგვარება. ეს უნარები კი არ არის სოციალურ მუშაკთა უმრავლესობისათვის ხელმიწვდომელი. თანაც, ისინი განვითარებასაც ადვილად ექვემდებარებიან.

რადგან ხელშემშლელია ისიც, რომ სოციალური მუშაკი თავად აღიქმება იმ ჭკუფის წარმომადგენლად, რომელსაც ადვოკატობს

და თუ ეს ჯგუფი სოციალურად მიუღებელია, მას ბარიერები ხვდება არა მხოლოდ პროფესიული, არამედ პიროვნული თვალსაზრისითაც. ხშირად მის საქმიანობას ფრაგმენტულად აღიქვამენ და მაგალითად, სოციალური მუშაკს, რომელიც რესურსების მოძიებაზე ხარჯავს ძალისხმევას, რადგან ეს მისი ბენეფიციარისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „რესურსების გოგო“ შეარქვან და მისი საადვოკატო მოღვაწეობა მხოლოდ ამ დონეზე საქმიანობით შემოსაზღვრონ (მაკლოგლინი, 2009, თეთრაძესთან, 2018:18).

### **პროფესიულ სირთულეებთან გამკლავების გზები**

დგება დრო, ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ **როგორ გადავჭრათ ჩვენ წინაშე არსებული პროფესიული დილემები**. ძალიან სტრესულია გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს. განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც იგი დგას რესურსების სიმწირის, საზოგადოების, მათ შორის, დამქირავებლების მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშეც. ადამიანებს კი სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (1983) შემდეგ გამოსავალს გვთავაზობენ:

**გადანვა და პროფესიის/სამუშაო ადგილის მიტოვება** - იმედგაცრუებული სოციალური მუშაკისათვის ეს გამოსავალი სიტუაციის გარიდებასა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩენას ნიშნავს. ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზე ეს შესაძლოა, მართლაც, მართებული გადაწყვეტილებაა, თუმცა ამას დრო გვიჩვენებს. ზოგჯერ ორგანიზაციიდან წასვლა უკეთესი გამოსავალია, რადგან შესაძლოა იმ კონკრეტული ორგანიზაციის მანდატია პროფესიული ფასეულობების შემზღვეველი და შემლახავი. ეს კი აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიიდან წასვლაა საჭირო. აქ, რასაკვირველია, ადამიანის ბუნებაა გადამწყვეტი: მისი რისკის გაღების ხარისხი, ბრძოლის, დღევანდელი სიტუაციისა და საკუთარი ძალების რეალისტურად შეფასების, მომავლის განჭვრეტის უნარი და ა.შ.

**გადანვა, მაგრამ პროფესიაში/სამუშაო ადგილზე დარჩენა** - ზოგიერთი პრაქტიკოსი, გადანვის მიუხედავად, არათუ არ იცვლის პროფესიას, არამედ სამუშაო ადგილზეც რჩება, თუმცა თავს სისტემის მსხვერპლად, მასთან ბრძოლაში უუნაროდ გრძნობს. ისინი ეგუებიან იმ ფაქტს, რომ არ აქვთ სიტუაციის კონტროლის ბერკეტი და ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალური ბენეფიციარისათვის, მაგრამ უგულებელყოფენ უფრო ფართო პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ ორგანიზაციულ ნორმებს და თმობენ ადვოკატობის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში პროფესია „მონოდება“ აღარაა, ის „უბრალოდ, სამუშაოა“.

**„ტუნელის“ ხედვის განვითარება** - ხშირ შემთხვევაში, ისეთ სოციალურ მუშაკსაც კი, რომელიც არ არის ჯერ გადამწვარი, უვითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხმარება ბენეფიციარს ინდივიდუალურ დონეზე, მას არ შესწევს უნარი, იბრძოლოს უფრო ფართო პლანში, უფრო ზოგადი პრობლემების მოგვარებისათვის აშკარად და დაუფარავად. ის ორგანიზაციაში რჩება, მაგრამ ის ორგანიზაციისა და თემის ცხოვრების მიღმაა. იგი ბენეფიციარზე ორიენტირებული რჩება და არ იბრძვის ცვლილებებისათვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განსხვავება წინა გამოსავალთან შედარებით ისაა, რომ თუ წინა შემთხვევაში არსებობს ორგანიზაციასთან იდენტობის გრძნობა, ამ შემთხვევაში ის არ არსებობს.

**ენერჯის სადმე სხვაგან მიმართვა** - ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და უერთდება იმდენ ორგანიზაციასა და ჯგუფს, რამდენის საშუალებასაც დრო და ენერჯია აძლევს. სისტემური ცვლილების მიღწევას ისინი ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობენ. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმწიფებელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილებისათვის ბრძოლაში არ აფერხებს.

**ცვლილების ინიცირება** - ეს ცვლილებისათვის უფრო მობილი-

გებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთიანდებიან კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და სხვა მოქალაქეებთან სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად. რეალურად განხორციელებად ცვლილებას სჭირდება სელექტიურობა, იმის აღიარება, რომ ყველა პრობლემას არ აქვს ერთდროულად მოგვარების პერპექტივა და საჭიროა გონივრული არჩევნის გაკეთება. ამავე დროს, არჩევანი გასაკეთებელია ცვლილების მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ყველა გარდაქმნა დროს მოითხოვს და ერთბაშად მიზანს ვერ აღწევს, ამიტომ ხშირად ნაბიჯ–ნაბიჯ სვლაა საჭირო. ხოლო ამ სვლის თანმიმდევრობა პრობლემის შესახებ ღრმა ცოდნასა და მისი მოგვარებისათვის გონივრულად დაგეგმილ ბრძოლას ითხოვს. ხშირად სოციალური მუშაკები კოლეგებისაგან კრიტიკას იმსახურებენ სირთულეების მოგვარებისათვის ინდივიდუალური პრობლემების მსხვერპლად გაღების გამო.

აღბათხვდებით, სულითმებრძოლი და უდრევი პრაქტიკოსისათვის რომელი ვარიანტია შესაფერისი და რატომ.

### **საშინაო დავალება:**

1. უნდა შეუდგნენ თუ არა „პერსონალიზებული რეინტეგრაციის“ პროგრამების ადვოკატობას სოციალური მუშაკები? გთხოვთ, დაასაბუთეთ პასუხი.
2. გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ხშირად ზღუდავს ადამიანებს სოციალური ცხოვრებაში. ამ საკითხის ადვოკატობა არის სოციალური მუშაკის ფუნქცია? გთხოვთ, დაასაბუთეთ პასუხი.
3. გაიხსენეთ სოციალური ადვოკატობის შემთხვევა, რომლისთვისაც ადვოკატობის მეთოდები და/ან სივრცე ცვალებადმა სოციალური ცხოვრების წესმა შეცვალა.

4. რა არის სოციალური მუშაკის როლი ისეთ სიტუაციაში, რომელშიც ადამიანების მიერ არასახარბიელო სიტუაციიდან არჩეული გამოსავალი ამ სიტუაციაში მათ დიდხანს ყოფნას განაპირობებს?

5. შნაიდერისა და ლესტერის მიერ იდენტიფიცირებულ ხელშემშლელ ფაქტორებს შორის რომელი დონიმირებს სოციალურ მუშაობაში ადვოკატობის როლის განხორციელებისას საქართველოში? რა არის ამის მიზეზი?

## თავი 2. ადვოკატობის მასშტაბები

ადვოკატობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდივიდუალური ან ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, ასევე ორგანიზაციული, სისტემური და საკანონმდებლო ცვლილებებისათვის. თუ პირველი კონკრეტული პრობლემის მოგვარებას ემსახურება, რაც ავტომატურად არ გამორიცხავს იდენტური სირთულეების მქონეთა პრობლემების მოგვარებასაც, ბოლო ორი იმთავითვე უფრო მასშტაბური ცვლილებებისათვის ხორციელდება. მოდით, განვიხილოთ თითოეული: ადვოკატობა ინდივიდუალურ დონეზე და მიზნის ადვოკატობა.

### ადვოკატობა ინდივიდუალურ დონეზე

„ბენეფიციარის დაცვის“ საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდს ან ოჯახს არ ძალუძს თავისი ძალებით დაიცვას საკუთარი ინტერესები და საჭიროა ჩარევა მის გარემომცველ “სისტემაში”. ინდივიდისა და ოჯახის დაცვის ელემენტები სამ ძირითად კატეგორიად ხარისხდება: შეფასება, დაგეგმვა და ქმედება.

შეფასება, როგორც დაცვის პირველი საფეხური მოითხოვს ბენეფიციარის მდგომარეობაში ზედმიწევნით გარკვევასა და პრობლემის არსში ჩანვდომას. ამისათვის აუცილებელია შევადგოთ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან, მოვახდინოთ პრობლემის კონცეპტუალიზაცია იმგვარად, რომ მის გადასაჭრელად რეალური სამუშაო გეგმა შევიმუშაოთ. თუ მრავალპრობლემიან სიტუაციასთან გვაქვს საქმე, ავწონ-დავწონოთ, რა უნდა იყოს პირველი ნაბიჯი (შატბერაშვილი, 2008).

შეფასება გულისხმობს იმის განსაზღვრასაც, თუ რა შეუძლია ბენეფიციარს გააკეთოს საკუთარი თავისთვის თავისი ძალებით. ამისათვის აუცილებელია:

- ◆ დავეყრდნოთ მის ძლიერ მხარეებს;



- ◆ შევადგასოთ, შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებლად იმოქმედოს ჩვენი რჩევებისა და წარდგენის გარეშე;
- ◆ გავიაზროთ, აქვს თუ არა მას გამომუშავებული ისეთი აუცილებელი უნარ-ჩვევა, როგორცაა ტოლერანტობა სიბრაზისა და გაღიზიანების მიმართ;
- ◆ ავწონ-დავწონოთ, გვაქვს თუ არა იმის დრო, რომ ვიმუშაოთ მისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- ◆ გავანალიზოთ, რამდენად არის იგი საკმარისად მოტივირებული იმისათვის, რომ ჩაერთოს პროცესში დამოუკიდებლად ან ჩვენთან ერთად.

შეფასება ასევე გულისხმობს იმ ორგანიზაციისა ან/და ინდივიდის იდენტიფიცირებას, რომელსაც შესწევს ამ პრობლემის გადაჭრის უნარი. აუცილებელია, განვსაზღვროთ სისტემის რომელი სეგმენტია პასუხისმგებელი, რომელ ინდივიდებს შეუძლიათ დახმარება ან ვის შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მათზე. უნდა დავფიქროდეთ, რა გაზრდის ძალაუფლების მქონეთა მოტივაციას, რომ დაგვეხმარონ.

სხვადასხვა სისტემას განსხვავებული მიზნები აქვს (მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ბავშვთა კეთილდღეობის, განათლების, სასჯელალსრულების და ა.შ.), მაგრამ ყველა ეს სისტემა კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფს უნდა ემსახურებოდეს, რაც საბოლოო მიზნამდე - მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

დაგეგმვის პროცესი სამი კომპონენტისაგან შედგება: მიზანი, სტრატეგია და ტაქტიკა. სამოქმედო გეგმა, პარტნიორები და სამოქმედო დრო წინასწარ განსაზღვრული უნდა გვექონდეს. ბენეფიციარი უნდა ჩავრთოთ დაგეგმვის პროცესშიც, განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, თუ მისი გამოცდილება პრობლემასთან მიმართებით მეტად ინდივიდუალურია, ჩვენ კი ამის გამოცდილება საერთოდ არ გვაქვს. მაგალითად, თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამსახურში ვართ და თავად უმრავლესობას წარმოვადგენთ ან ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებს ვიცავთ და

თავად არასოდეს ვყოფილვართ მომხმარებელი, ან სექს მუშაკებთან ვმუშაობთ ასეთი გამოცდილების გარეშე.

აუცილებელია, გავუზიაროთ გეგმა კოლეგებს, ეს მის დახვეწაში დაგვეხმარება. ადვოკატი ერთი გეგმის არსებობით არ უნდა შემოიფარგლოს, რადგან პროცესი თითქმის არასოდეს მიდის ისე, როგორც ეს დავგეგმეთ. ეს ასე ხდება არა აუცილებლად იმიტომ, რომ ჩვენ რაიმე რისკ ფაქტორი გამოგვრჩა დაგეგმვისას, არამედ იმიტომ, რომ ხშირად მოვლენები ჩვენდა დამოუკიდებლად სრულიად მოულოდნელად ვითარდება, სიტუაცია იცვლება სხვადასხვა ასპარეზსა და/ან სფეროში. შესაძლოა შეიცვალოს გადაწყვეტილების მიმღები, რომლის მხარდაჭერის იმედიც გვქონდა ან რესტრუქტურზაცია დაიწყო იმ უწყებაში, რომლის წიაღშიც საკითხი უნდა დაგვეყენებინა განსახილველად. ჩვენს ქვეყანაში ეს ხშირად მოულოდნელად ხდება. ამიტომ უნდა გვქონდეს ალტერნატიული გეგმაც.

ქმედება საჭირო კონტაქტების დამყარებასა და სამუშაოს შესრულებას გულისხმობს. მოგეხსენებათ, რომ ყველა ცვლილება ადამიანების საშუალებით ხდება, ამიტომ პრობლემის გადაჭრა დიდწილად და მოკიდებული იმაზე, თუ ვის ვიცნობთ. უნდა შევეცადოთ, ვიყოთ კოლეგიალური და მეგობრული და შევქმნათ რესპროკალური გარემო - დამეხმარები დაგვეხმარები.

## მიზეზის ადვოკატობა

სოციალური მუშაკის, როგორც სოციალური ადვოკატის, მოვალეობებს მაკრო დონეზე ნათლად განსაზღვრავს სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსიც და პროფესიული სტანდარტებიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოს მომზადებისას არც ერთი მათგანი არ იყო ჯერ დამტკიცებული, ის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 2005 წელსაა მომზადებული და ყველა სოციალური მუშაკისათვის საკუთარი პრაქტიკის წარმოების გზამკვლევია საქმიანობის ყოველ დონეზე.

სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსის მეექვსე სტანდარტის 6.04 პუნქტი ნათლად წარმოგვიდგენს სოციალური მუშაკის როლს სოციალური და პოლიტიკური ქმედებისას. სტანდარტი განმარტავს სოციალური მუშაკის ვალდებულებას, გააცნობიეროს პოლიტიკის ზემოქმედება პრაქტიკაზე და მოახდინოს პოლიტიკის ცვლილებების სტიმულირება სოციალური პირობებისა და სამართლიანობის გასაძლიერებლად. სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტები კი სოციალური მუშაობის პოლიტიკურ სტანდარტებს ცალკე ტიპობრივ ნიმუშად განიხილავს და სოციალურ მუშაკს აკისრებს როგორც არსებული პოლიტიკის გავლენის ანალიზის ვალდებულებას (სტანდარტი 4, 5), ასევე ცვლილების ადვოკატობას (სტანდარტი 6, 8). სტანდარტი ხაზს უსვამს სოციალური მუშაკის მოვალეობას, წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში სოციალური პოლიტიკის საკითხებზე, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფით. თუ როგორ უნდა მოხდეს კლიენტთა ჩართულობის მობილიზება, როგორია მათი ინფორმირების ეფექტიანი გზები ყოველ მოცემულ კონტექსტში, ამას, რასაკვირველია, სპეციალური ცოდნა სჭირდება და მხოლოდ სურვილი არასაკმარისია.

პოლიტიკის დონეზე ადვოკატობა სოციალური პრობლემების გამომწვევი მიზეზების ადვოკატობაა. მიზეზის ადვოკატობაზე საუბარი კი უნდა დავიწყოთ სისტემისა და პოლიტიკის დონეზე ადვოკატობის მიმოხილვით და დავასრულოთ საკანონმდებლო დონეზე ადვოკატობით.

სისტემა რეგულირებადი ორგანიზებული საქმიანობის სფეროა, რომელშიც მოიაზრებიან მასში მყოფ ადამიანთა და ორგანიზაციათა ზოგიერთი საქმიანობის მაკონტროლებელი, ავტორიტეტისა და ძალაუფლების მქონე პირები და კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები და სუბიექტები. პოლიტიკა კი ზოგადი ან კონკრეტული გეგმაა, რომელსაც ორგანიზაცია ან ხელისუფლება სამოქმედო მიმართულებად იყენებს.

სოციალური ადვოკატი აქცენტს საზოგადოების წინაშე მდგარ

ყველაზე მწვავე პრობლემებზე უნდა აკეთებდეს და არ უნდა შემოიფარგლებოდეს ინდივიდუალური საჭიროებების მოგვარებით. თუმცა ეს, რასაკვირველია, არ აკნინებს ადვოკატობის დანიშნულებას ინდივიდუალურ დონეზე. მიზეზის ადვოკატობა ხშირად სისტემურ დონეზე ცვლილებების ინიცირებას მოითხოვს. ამით იზოგება დრო და ენერგია, რადგან ასი სოციალური ადვოკატის დამოუკიდებელი, თუნდაც გულანთებული ძალისხმევაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ის, რაც პრობლემურია ერთისათვის და ამავე დროს, პრობლემურია ოთხმოცდაცხრამეტისთვის, დამატებითი ასისათვის არ გახდება პრობლემური. ასეთ შემთხვევებში კი ძალისხმევის გაერთიანება, უფრო მობილიზებული და ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებაა საჭირო, თუნდაც ეს ყველაფერი უფრო დიდ დროსა და რესურსების კონსოლიდაციას მოითხოვდეს (შატბერაშვილი, 2011).

როგორ შევცვალოთ სისტემა? შიგნიდან გარეთ, გარედან შიგნით, პრობლემის ანალიზის, ინფორმაციის მოძიებისა და ქმედებათა დაგეგმვის ელემენტების მოცვით თუ ძალაუფლების მქონეთა დარწმუნებით ცვლილების აუცილებლობაში?

ცვლილების მოხდენა შიგნიდან გარეთ ისეთი პროფესიის წარმომადგენელთათვის, მაგალითად, როგორცაა სოციალური მუშაობა - პროფესია, რომლის დიდი ნაწილი სოციალურ ადვოკატობას უნდა ეთმობოდეს, უამრავ გაურკვევლობას უკავშირდება, მათ შორის, სამსახურის დაკარგვის რისკს, რომელიც დღევანდელი უმუშევრობის ფონზე კიდევ უფრო რეალისტური და საფრთხილოა. ასევე არსებობს დანინაურების შანსის დაკარგვის შიში. სოციალური მუშაკებისათვის, რომლებსაც აქვთ ამბიცია მეტი აღიარება მოიპოვონ, მეტი ანაზღაურება მიიღონ, შიდა ადვოკატობის საფასური დრამატულად იზრდება, რადგან საფრთხის ქვეშ ექცევა მათი სტატუსის, უსაფრთხოებისა და ზემო მობილობის საკითხი. განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მათი მოთხოვნები შეუსაბამოა ორგანიზაციის მოთხოვნებთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალური მუშაკი ორგანიზაციულ მიკუთვნებულობას უფრო

მძაფრად განიცდის, ვიდრე პროფესიული კავშირისა, რადგან მისი ყოველდღიურობა ორგანიზაციულ საქმიანობას, იქ მყოფ კოლეგებს უფრო უკავშირდება, ვიდრე პროფესიულ ერთობას. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ორს შორის მიკუთვნებულობის გრძნობის გამიჯვნა ძალიან რთულია. ეს კი, უმეტესწილად, პროფესიულ განვითარებას აფერხებს.

ამავე დროს, მომსახურების მიმღების სახელით საუბარი, მათი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვს იმის გათვალისწინებასაც, თუ რა რესურსი არსებობს ორგანიზაციაში ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. თუ ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობისათვის სახელმწიფო ხარჯების შემცირების პოლიტიკა ტარდება, ამ ფონზე სულ უფრო რთული ხდება ადმინისტრაციული წინააღმდეგობის გადალახვა. ხოლო თუ საპირისპირო სიტუაციაა, სოციალურმა ადვოკატმა საუკეთესო მომენტი უნდა განსაზღვროს და ამით სარგებლობის შანსი არ უნდა გაუშვას.

### **ბენეფიციარების ინტერესების დაცვის ხერხები**

პატი (პატი 1974 შატბერაშვილთან 2011) გვთავაზობს რამდენიმე ხერხს, რომლებიც სოციალურ მუშაკს დამჭირავებლების წინაშე ბენეფიციარის ინტერესების დაცვისას გამოადგება:

1. მას უნდა შეეძლოს პრობლემის ირგვლივ საკუთარი ცოდნის გამოყენება. საშუალებას იძლეოდეს, მას მოუსმინონ და მის მიერ შეთავაზებული გამოსავალი ყურად იღონ;
2. მას უნდა შეეძლოს მისი არგუმენტების დამჭირავებლის ინტერესებთან შესაბამისად წარმოდგენა. თუ ორგანიზაციის მისიაა სამიზნე ჯგუფების ინტერესების დაცვა, მაშინ სოციალურ მუშაკზე დამოკიდებული, რამდენად ნათლად წარმოადგენს და დაასაბუთებს ბენეფიციარის ამ კონკრეტული პრობლემის მოგვარების ორგანიზაციულ მისიასთან შესატყვისობას;

3. იგი უნდა დაეხმაროს დამქირავებელს „ერთობლივი“ ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. მას მართებს, შეახსენოს დამქირავებლებს, რომ ისინი უნდა გეგმავდნენ და ახორციელებდნენ ხალხთან ერთად და არა ხალხისთვის;
4. მან უნდა გაანათლოს ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ კოლეგები, რომლებიც ამავე უწყებაში მუშაობენ, რათა ერთობლივად ჩამოყალიბდნენ დამქირავებლისათვის პრობლემის მოგვარების შეთავაზების გეგმაზე;
5. ადვოკატობის ხარჯთ-ფეფქტიანობის ანალიზის წარდგენა კარგი დამარწმუნებელი არგუმენტია მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის;
6. ადვოკატობის სტრუქტურა უნდა ასახავდეს სისტემის ყველა უწყების კონტრიბუციის დონეს.

ბევრი სააგენტო ცვლილების მოთხოვნისადმი ლოიალური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იძულებულია ან როდესაც მისი იგნორირება აღარ ხერხდება. ამის კარგი მაგალითია საქართველოში სოციალურ მუშაკთა ბრძოლა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა პროფესიული უფლებებისა და მათი ბენეფიციარების სოციალური უფლებებისთვის. მიუხედავად საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მრავალწლიანი ბრძოლისა, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო აქტორების ჩართვით და 2017 წელს საროტესტო აქციებისა და პეტიციით მიმართვის ფორმა მიიღო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ცვლილებების მოთხოვნებზე რეაგირება მხოლოდ ამ მოთხოვნათა რადიკალიზაციის რამდენიმე ტალღის შემდეგ დაიწყო, როდესაც თავად სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა საკუთარი უფლებების დაცვისათვის მკვეთრი პოზიციონირება მოახდინეს. ამ სახელმძღვანელოს მომზადებისას, ეს პროცესი მიმდინარეობდა, მომდევნოს წერისას ალბათ შედეგების დაჯამების საშუალებაც მეფნება. იმედი მაქვს, შედეგები ჩვენი პროფესიისათვის სასიკეთო იქნება.

ბევრ სააგენტოში სოციალური მუშაობის პრაქტიკა მმართველი რგოლის მიერაა განსაზღვრული, რომელშიც იშვიათად თუ არის წარმოდგენილი სოციალური მუშაკი. ზოგადად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცვლილების მცდელობა წინააღმდეგობას აწყდება სტატუს კვოს დარღვევის შიშით. ჯეფი (1978) თვლის, რომ მენეჯერული რგოლის შრომით გამოცდილებაზე ზეგავლენა მდორე პრაქტიკის სინდრომის რაციონალიზაციას იწვევს.

ალბერტი (1983) გვთავაზობს კითხვებს ორგანიზაციაში დანერგილი წესებისა და რეგულაციების შესაცვლელად ფაქტების მოძიებისა და დაზუსტებისთვის:

- ◆ არსებობს თუ არა რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ცვლილებების გატარებისათვის სააგენტოს უფლებამოსილებას ანიჭებს?
- ◆ სააგენტოს შიდა რეგულაციები შესაბამისია იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლითაც სააგენტო ოპერირებს?
- ◆ ადვოკატთა მიერ ინტერპრეტირებული რეგულაცია შესაბამისია იმ საკანონმდებლო აქტთან, რომლითაც სააგენტო ოპერირებს?

გარედან შიგნით ადვოკატობას არ ახლავს ის რისკები, რომლებიც შიგნიდან გარეთ ადვოკატობის თანამდევია. მაგალითად, თანამშრომლებთან ან ზემდგომებთან ურთიერთობაში წარმოქმნილი უხერხულობები, რისკი სამუშაოს დაკარგვისა ან ზემო მობილობისათვის. ის ადვოკატს მეტ თავისუფლებას ანიჭებს. თუმცა, შესაძლოა, ადვოკატს, რომელიც სისტემურ ცვლილებას ამ სისტემის გარედან ცდილობს, ქმედებათა გონივრულად დაგეგმვის ნაკლები შანსი ჰქონდეს, რადგან არ აქვს დეტალური ინფორმაცია სისტემის შიდა დინებების შესახებ.

## ადვოკატობა საკანონმდებლო დონეზე

ახლა განვიხილოთ, რას გულისხმობს ადვოკატობა საკანონმდებლო დონეზე. ეს გულისხმობს სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნას. დახვეწილი კანონმდებლობა, ეფექტიანი აღსრულების მექანიზმით, პრობლემების მოგვარების წინაპირობაა. აღსრულების მექანიზმის ზედმინწევით რეალისტურად გაწერის გარეშე კი კანონი მხოლოდ ფურცელზე კანონობს და არა რეალურ ცხოვრებაში. ჩვენ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები გვახსოვს, რომლებსაც „მკვრადშობილი“ დაერქვა, რადგან ვერც აღსრულდა და ვერც სოციალური ნორმები შეცვალა საკითხთან მიმართებით. ასეთი იყო, მაგალითად მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა ბავშვთა უფლებების დარღვევისას (სამოქალაქო კოდექსის 1998 პრიმა მუხლი), მშობლის უფლების ჩამორთმევის მუხლი მშობლობის მოვალეობების არაჯეროვანად შესრულებისას, თუმცა ყველა, სოციალური მუშაკიდან დაწყებული, მოსამართლეებით დასრულებული, თავს იკავებდნენ ამ მუხლის აღსრულებაზე, გაბატონებული სოციალური ნორმის დაცვის გამო, რომ ოჯახის საქმე ხელშეუხებელია და ა.შ.

კანონის აღსრულებამდე, მისი მიღებაა საჭირო. ეს კი საკანონმდებლო ცვლილებებში კანონმდებელთა დარწმუნებას მოითხოვს. ჯენსონი (2016) კანონმდებლებს სამ კატეგორიად ყოფს:

1. წმინდანები, რომლებიც სრულიად გიჭერენ მხარს
2. ცოდვილები, რომლებიც კატეგორიულად არ გემხრობიან, და
3. ზღურბლზე მდგომნი.

აი, სწორედ ეს უკანასკნელი არიან სოციალურ ადვოკატთა სამიზნე. რამდენადაც შეძლებთ მათ გადმობირებას და თქვენი იდეის მხარდამჭერად დაგულებას, მით უფრო იზრდება წარმატების შანსი.

საკანონმდებლო დონეზე ადვოკატობისათვის აუცილებელია: კოალიციის შექმნა, მოლაპარაკებების წარმოება და კომპრომისი



საკანონმდებლო განაცხადებსა და კანონპროექტებზე შეთანხმების მისაღწევად. არსებობს კანონპროექტის კანონად გადაქცევის სხვადასხვა, როგორც ხელშემშლელი, ასევე ხელშემწყობი ფაქტორი (შატბერაშვილი, 2007).

### **ხელის შემშლელი ფაქტორებია:**

- ◆ დიდი ფისკალური ცვლილებები: კანონპროექტს დასჭირდება მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების გამოყოფა;
- ◆ დიდი სოციალური ცვლილებები: ბევრი ხალხი, ორგანიზაცია და პროგრამა დაზარალებულია. მომსახურებების მიწოდების სისტემა საგრძნობლად შეიცვლება, ბენეფიციართა რიცხვი კი მნიშვნელოვნად გაიზრდება.
- ◆ არაპოპულარული შინაარსი: კანონპროექტი ეხება იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც მიიჩნევიან რეპუტაციაშელახლებად, კორუმპირებულებად ან სტიგმატიზირებულებად.

### **ხელის შემწყობი ფაქტორებია:**

- ◆ მცირე ფისკალური ცვლილებები: განხორციელების ღირებულება დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.
- ◆ უმნიშვნელო ან არარსებული სოციალური ცვლილებები: შემოთავაზებული ცვლილებები მოითხოვს მინიმალურ შესწორებებს არსებულ რეგულაციებში.
- ◆ პოპულარული შინაარსი: საზოგადოება სიმპათიითაა განწყობილი ამ კანონის ბენეფიციართა მიმართ.

საჭიროა გავითვალისწინოთ კანონმდებელთა პირადი ინტერესები. წარმოდგენილ კანონპროექტს ან ინიციატივას მათთვის ან პირადი სარგებელი უნდა მოჰქონდეს, ან აქტუალური იყოს

სხვადასხვა მოსაზრებით: პოლიტიკური ან სოციალური მოტივით, ან მათთვის პოპულარობის მომტანი უნდა იყოს. მეტი ფულის მოთხოვნა, მეტი ძალაუფლების ან სოციალურ ადვოკატთა სამუშაო სტატუსის განმტკიცება არ არის კანონმდებელთათვის საინტერესო მიზნის მისაღწევად. კანონმდებელს უნდა ამოძრავებდეს არა მარტო კანონპროექტის გატანის ჟინი, არამედ ამ განაცხადის სხვა კანონმდებელთათვის “მიყიდვის” მოტივაცია.

საკანონმდებლო ადვოკატობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტების მიწოდებას. ეს უკანასკნელი პოლიტიკის შექმნის პროცესის მამოძრავებელი ძალაა. საკანონმდებლო ადვოკატობაში ორი ტიპის ფაქტია გამოსადეგი:

- ◆ ფაქტები, რომლებიც თვით პრობლემას განსაზღვრავენ;
- ◆ ფაქტები, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას იმ ხალხზე, ვინც ამ პრობლემით დაზარალდა ან იმათზე, ვისაც აქვს ზეგავლენა მათ გადაჭრაზე.

აუცილებელია ბენეფიციარის ან ბენეფიციართა ჯგუფის საჭიროებების რაც შეიძლება ზუსტად და ზედმიწევნით აღწერა. პრობლემა უნდა შეფასდეს, დასაბუთდეს, გაანალიზდეს, გამოიკვლიოს გულდასმით, აღიწეროს მისი ისტორიული განვითარება და მასშტაბები, ზეგავლენა კლიენტებზე, საზოგადოებასა და თემზე. ადვოკატები უნდა იცნობდნენ არსებულ კანონმდებლობას და აანალიზებდნენ მათ ნაკლსა და დადებით მხარეებს. სოციალურ ადვოკატს უნდა შეეძლოს, რომ დასაბუთებულად წარმოადგინოს განაცხადის უპირატესობა მოქმედ კანონებზე.

კანონპროექტს უფრო მეტად დამაჯერებელს ხდის და მის წარმატებას დიდწილად განაპირობებს პირადი თავდადება. ამიტომ რაც უფრო მეტი დასაცავი ჯგუფის წარმომადგენელია ჩართული სამუშაო ჯგუფში, მით უფრო დამაჯერებელია ცვლილების მოთხოვნა. ეს კი, გარკვეულწილად, ცვლილებას რეალისტურადაც აქცევს.

ადვოკატმა კანონმდებელს დეტალური ფისკალური პროგნოზი

უნდა წარუდგინოს. კანონმდებლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რა ხარჯებთანაა დაკავშირებული კანონპროექტის განხორციელება, რამდენია საწყისი ღირებულება, ღირებულება ერთი წლის შემდეგ, მიმდინარე ხარჯები, საჭირო აღჭურვილობა. ასევე დაანგარიშებული უნდა იყოს, რა იქნება ღირებულება, თუ კანონპროექტი ვერ გავა.

კანონმდებლები უპირატესობას ისეთ პოლიტიკას ანიჭებენ, რომლის გატარების მცდელობაც იყო წარსულში. ასეთი კანონპროექტების მიღების საჭიროება უფრო ადვილი და სამტკიცებელია, ვიდრე სულ ახალი ინიციატივისა (შატბერაშვილი 2011).

## სოციალური ადვოკატობა სოციალური ცვლილებისათვის

როგორ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ადვოკატობა პოზიციურ სოციალურ ცვლილებამდე მიგვიყვანს? ნეტინგი (ნეტინგი და კოლეგები, 2008) გთავაზობს ცვლილებებისთვის ჩარევის სტრატეგიის საინტერესო ჩარჩოს. ის ოთხ სტადიას მოიცავს და თითოეული კონკრეტული ქმედებებისაგან შედგება (იხ. ცხრილი N1). პირველ სტადიაზე პრობლემის აღწერაზე ვმუშაობთ და ვაყალიბებთ ეტიოლოგიის ჰიპოთეზას, რომელიც პრობლემის ღრმა და მკაფიო განმარტებას ახდენს და მხოლოდ ამის შემდეგ ვავითარებთ ჩარევის სამუშაო ჰიპოთეზას.

ამის შემდეგ, მეორე სტადიაზე უნდა განვსაზღვროთ მონაწილეები. ნეტინგი კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონაწილეების დასახასიათებლად იყენებს ტერმინს „სისტემა“. ეს ტერმინი სისტემის თეორიის კონტექსტში გამოიყენება, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები განიხილებიან არა როგორც უბრალოდ ინდივიდთა ნაკრები, საერთო ინტერესებითა და მახასიათებლებით. მისი აზრით, სისტემა უნდა განვიხილოთ შემდეგი კომპონენტებით:

- ◆ ინიციატორი სისტემა;
- ◆ ცვლილების აგენტი სისტემა;

- ◆ კლიენტის სისტემა;
- ◆ მხარდამჭერთა სისტემა;
- ◆ მაკონტროლებელი სისტემა;
- ◆ მასპინძელი და განმახორციელებელი სისტემა;
- ◆ სამიზნე სისტემა;
- ◆ ქმედების სისტემა.

**ცხრილი N1. ცვლილებისათვის ჩარევის სტრატეგიის ჩარჩო**

ამოცანა	ქმედება
1. ინტერვენციის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება	1.1 ეტიოლოგიის სამუშაო ჰიპოთეზის შემუშავება; 1.2 სამუშაო ჰიპოთეზის შემუშავება.
2. მონაწილეთა განსაზღვრა	2.1 ინიციატორი სისტემის იდენტიფიცირება; 2.2 ცვლილების აგენტი სისტემის იდენტიფიცირება; 2.3 კლიენტის სისტემის იდენტიფიცირება; 2.4 მხარდამჭერთა სისტემის იდენტიფიცირება; 2.5 მაკონტროლებელი სისტემის იდენტიფიცირება; 2.6 მასპინძელი და განმახორციელებელი სისტემის იდენტიფიცირება; 2.7 სამიზნე სისტემის იდენტიფიცირება; 2.8 ქმედების სისტემის იდენტიფიცირება.
3. ცვლილებისთვის სისტემის რესურსის შეფასება	3.1 ღიაობისა და ცვლილებისათვის თავდადების შეფასება; 3.2 ცვლილების ეფექტის შესანარჩუნებლად რესურსისადმი ხელმისაწვდომობის განსაზღვრა; 3.3 ცვლილებისადმი გარე ოპოზიციის შეფასება.
4. ცვლილების განხორციელების მიდგომის შერჩევა	4.1 პოლიტიკის, პროგრამის, პროექტის, კადრების, პრაქტიკის მეთოდის შერჩევა.

**ეტიოლოგიის ჰიპოთეზა** სხვადასხვა ფაქტორზე დაყრდნობით (პრობლემის, მოსახლეობის, გარემოს შეფასების ანალიზზე)

ყალიბდება. **სამუშაო ჰიპოთეზა** კი იქმნება ინტერვენციების განხორციელებით, ეტიოლოგიის ჰიპოთეზაში წარმოდგენილი ფაქტორების დასაძლევად.

მოდით, მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ, რომ უნდა დავგვემოთ და განვახორციელოთ სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა წინაშე არსებული სტრუქტურული პრობლემების დაძლევისაკენ მიმართული ადვოკატობის კამპანია. ვინ შეიძლება მოვიაზროთ მონაწილეებში, რა სისტემებისაგან შედგება მათი რგოლი (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი N2. მონაწილეთა განსაზღვრა**

ინიციატორი სისტემის იდენტიფიცირება	ინდივიდები, რომლებმაც პირველად აღმოაჩინეს პრობლემა
ცვლილების აგენტი სისტემის იდენტიფიცირება	პროფესიონალი სოციალური მუშაკი, სააგენტო ან სხვა, რომლებიც ცვლილების კოორდინირებას ახორციელებენ
კლიენტის სისტემის იდენტიფიცირება	პირდაპირი ან ლატენტური მომსახურების მიმღები
მხარდამჭერთა სისტემის იდენტიფიცირება	„სხვები“, რომლებიც პოტენციურად ჩვენი ძალისხმევის მხარდამჭერნი არიან
მაკონტროლებელი სისტემის იდენტიფიცირება	ოფიციალური პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ან დირექტორთა საბჭო, თუ ცვლილება კერძო სექტორის უწყებას ეხება
მასპინძელი და განმახორციელებელი სისტემის იდენტიფიცირება	ვინც ხელს უწყობს საადვოკატო ინტერვენციის ადმინისტრირებისთვის სივრცით უზრუნველყოფას
სამიზნე სისტემის იდენტიფიცირება	ინტერვენციის განმახორციელებლები
ქმედების სისტემის იდენტიფიცირება	სამიზნე სისტემა - რომლის შეცვლაცაა დაგეგმილი ინტერვენციის შედეგად

ინიციატორი სისტემა შედგება იმ ინდივიდებისაგან, რომლებმაც მოახდინეს პრობლემის იდენტიფიცირება და ამ პრობლემებისადმი ყურადღების მობილიზებას ცდილობენ. აქ ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ ან მომსახურებით მოსარგებლეები, ან სოციალური მუშაკები, ან სხვა დაინტერესებული პირები/უნყებები (მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატი), რომლებმაც წამოსწიეს ეს პრობლემა. სახალხო დამცველსა და სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელ სოციალურ მუშაკებს შორის კოორდინაცია იმედისმომცემ ძალას ქმნის (შატბერაშვილი, 2016).

ცვლილების აგენტი სისტემა შედგება სოციალური მუშაკების, აგენტისა და ცვლილების სხვა მაკოორდინირებლებისაგან. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, „სხვები“ შეიძლება იყვნენ მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენლები, სახალხო დამცველი და მომსახურებით მოსარგებლეები. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილების აგენტი სისტემა, ჩვეულებრივ, ინიციატორი სისტემის ცენტრალური ფიგურაა, სხვა მოთამაშეები, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების პრობლემებზე მუშაობენ, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გადანყვეტილების მიღების დროს და შეიძლება ჩაერთონ ცვლილებისაკენ მიმართული ძალისხმევის ფორმირების პროცესში.

კლიენტის სისტემად მოიაზრებიან პირდაპირი და არაპირდაპირი მომსახურებით მოსარგებლეები. ჩვენს სცენარში მომსახურებით პირდაპირი მოსარგებლეები თავად სიღარიბეში მცხოვრები პირები არიან, არაპირდაპირი მოსარგებლეები კი - მათთან მომუშავე პირები. რადგან ეს უკანასკნელნი მომსახურების მიწოდებითა და ადმინისტრირებით ლატენტურად მოსარგებლენი არიან, ისინი ხშირად დილემის წინაშე დგანან - გადარჩენისათვის მათ სჭირდებათ პრობლემის აღმოფხვრა თუ შენარჩუნება.

**ცხრილი N3. ცვლილებისათვის სისტემის რესურსის შეფასება**

<b>ცვლილებისთვის სისტემის რესურსის შეფასება</b>		
	<b>ინიციატორი, კლიენტი, ცვლილების აგენტი, მხარდამჭერი, ქმედების</b>	<b>მაკონტროლებელი, მასპინძელი, განმახორციელებელი, სამიზნე</b>
ღიაობა და თავდადება ცვლილებისათვის	აღბათ არ არის რელევანტური ამ ჯგუფებში.	თუ ეს სისტემები მაღალი რეზისტენტულობით გამოირჩეოდნენ წარსულში, ეს მხედველობაში მისაღებია.
მოსალოდნელი ან რეალური გამოხმაურება შეთავაზებული ცვლილებებისადმი	რამდენად თავდადებულები არიან ცვლილების შემთავაზებულები სწორედ ასეთი ცვლილებისათვის ბრძოლისთვის? ზოგიერთები ამ ცვლილების კონკრეტული მიზნებისთვის ხომ არ იბრძვიან მხოლოდ?	კონსენსუსია თუ შეუთანხმებლობა შეთავაზებული ცვლილებისადმი? რამდენად ძლიერია წინააღმდეგობა ცვლილებისადმი?
რესურსების ხელმისაწვდომობა	აქვთ უნარები, ცოდნა, ადამიანური რესურსი ცვლილების ძალისხმევის ბოლომდე მისაყვანად?	აქვთ ფონდი, თანამშრომლები, აღჭურვილობა ან რაიმე სხვა რესურსი ამ ცვლილების გასატარებლად?
ცვლილებისადმი ოპოზიცია	რომელი ძალები ეწინააღმდეგებიან ცვლილებას? რამდენად ძლიერია ეს ოპოზიცია?	რა არის გარე ოპოზიციის წყარო? რამდენად დიდია წნეხი ცვლილების მიუღებლობისადმი? რომელი მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ამ წნეხისადმი ყველაზე მოწყვლადი?

მხარდამჭერთა სისტემაში მოიაზრებიან ისინი, ვისაც ცვლილების ძალისხმევის მხარდაჭერა შეუძლიათ. აქ ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ ეკლესიის, უნივერსიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სადაზღვევო სააგენტოები და ა.შ. სიღარიბე სოციალურ დეზინტეგრაციასთან ასოცირდება. ღარიბთა ინტეგრაციის დონეს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორისაა რელიგიურობა და ფემილიალიზმი. ის ზრდის ღარიბთა შორის სოციალურ ინტეგრაციას. რაც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ ფაქტორს ქვეყნის მოსახლეობაში, რაც უფრო ოჯახზე ცენტრირებულია სოლიდარობაზე შეხედულება, მით უფრო ნაკლებია შანსი იმისა, რომ სოციალური პრობლემების მქონე ადამიანები სოციალური მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ. გარიყულობა მხოლოდ დაბალი სოციალ-ეკონომიკური სტატუსის

მქონე ქვეყნებში არ არის სიღარიბის თანმდევი, ის ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებშიც გარიყულობას უკავშირდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობაში გამართულია სოციალური დაცვის სისტემა. ეს განაპირობებს კერძო სექტორის მონაწილეობის შესუსტებაზე ან საერთოდ გაქრობაზე (crowding-out effect), სულ მცირე ღარიბებისადმი სოლიდარობის თვალსაზრისით (ბონკე, 2008). რადგან საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ორთოდოქსი ქრისტიანია, ეკლესიის ჩართულობა მნიშვნელოვანი იქნება.

მაკონტროლებელი სისტემის როლის განხორციელება შეიძლება დაეკისროს კანონმდებლებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს. თუ ცვლილება კერძო სააგენტოს უკავშირდება, მაკონტროლებლის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს შეიძლება დაევალოს. ყველა შეიძლება იყოს მხარდაჭერის მსურველი. მაშინ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში დგას მონყვლადთა პრობლემების აღმოფხვრისათვის ხელშემშლელი სტრუქტურული ბარიერების დაძლევა, მაკონტროლებლის როლი მათთვის იქნება შესაძლებლობა, დააშენონ ის მათ მიერვე კვლევებში, ტექნიკურ მხარდაჭერაში და ა.შ. განხორციელებულ ინვესტიციებზე.

**მასპინძელი სისტემა** კისრულობს ინტერვენციის ადმინისტრირებისათვის სამუშაო სივრცით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. მაგალითად, სახალხო დამცველს და/ან საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას შეუძლია მასპინძელი სისტემის როლში ყოფნა.

განმახორციელებელი სისტემა ინტერვენციის განმახორციელებელთა ჯგუფია. ჩვენს სცენარში მომსახურებით მოსარგებლეთა და მხარდამჭერ პროფესიონალთა ერთობა იქნება ყველაზე მძლავრი ძალა. რადგან ყოველთვის არსებობს საუკეთესოთა შორის საუკეთესო (“creme de la creme”) ხაფანგში გაბმისა და ნაკლებ მოტივირებული მომსახურებით მოსარგებლეთა ან პროფესიონალთა საჭიროებების იგნორირების საფრთხე. თუ ეს უკანასკნელნი არ გაერთიანდებიან, გადანყვეტილების მიმღებთა ხელში დარჩება „ურჩთა“ ჩანაცვლების ბერკეტი.



სამიზნე სისტემა სწორედ ის სისტემაა, რომელიც უნდა შეიცვალოს ინტერვენციის წარმატების შემთხვევაში. ჩვენს სცენარში ეს არის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება. თუმცა არა მხოლოდ, სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელიც შეიძლება დაემატოს ამ სიას, რადგან მათი ორგანიზაციული კულტურა ცვლილების საშუალებას არ იძლევა.

ქმედების სისტემა საკოორდინაციო კომიტეტია, რომელიც ჩვენს სცენარში დაკომპლექტებულია ინიციატორი სისტემის, ცვლილების აგენტის სისტემის წარმომადგენელთა და რამდენიმე კლიენტის (ან თითოეული ყოველი კლიენტის ჯგუფიდან თუ რამდენიმე) ერთი მხარდამჭერი სისტემის წარმომადგენლისაგან.

მესამე ეტაპზე სისტემის უნარის ტესტირება ხდება ცვლილებისათვის. აქ ძირითადი ამოცანებია:

1. ღიაობა და ცვლილებისათვის თავდადება
2. ცვლილების ძალისხმევითვის რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის განსზღვრა
3. ცვლილებისადმი გარე ოპოზიციის იდენტიფიკაცია.

მნიშვნელოვანია, ცვლილებისადმი ოპოზიციის იდენტიფიცირებისათვის გენოლის ტაქტიკის შეფასება. ცვლილების აგენტმა უნდა განსაზღვროს, რამდენად შესწევს ცვლილების გამონვევისაკენ მიმართული ძალისხმევის გენოლას მისდამი რეზისტენტულად განწყობილი ძალების გადაწონის უნარი.

მეოთხე სტადია მიზნად ისახავს მიდგომის იდენტიფიკაციას. ავტორი ხუთ მიდგომას გვთავაზობს: პოლიტიკა, პროგრამა, პროექტი, პერსონალი და პრაქტიკა. ჩვენს შემთხვევაში ყველაზე ძლიერი ელემენტია პრაქტიკაზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირება. მისი ძლიერი მხარეა ველით ინფორმირებული სტრატეგია, რომელიც სოციალურ პრეცედენტზე აღმოცენდა. თუმცა აქ მეორე საკითხია: რამდენად არიან დღეს სოციალური მუშაკები მზად ამ

ტიპის ადვოკატობისათვის? თუ არ არიან, მომდევნო კითხვა იქნება, აქვთ თუ არა ამის პოტენცია? სხვადასხვა საქმიანობაში პროფესიის ფრაგმენტაცია აფერხებს საერთო სამეცნიერო ცოდნის ბაზის შექმნას სოციალურ მუშაობაში, თუმცა ქმნის ძლიერი სამუშაო ძალის ფორმების შესაძლებლობას პოზიტიური სოციალური ცვლილებისათვის (ზავირსევი, 2009).

### **მაგალითი განხილვისათვის N1**

მარიამი ორი შვილის მარტოხელა დედაა. სამუშაოს მოძებმა უჭირს, თუმცა შეუძლია, რადგან იმ რაიონულ ცენტრში, რომელსაც მისი სოფელი ეკუთვნის ამის საშუალება. იქ მრავალი საამშენებლო თუ კვებითი ობიექტია, სადაც მუშახელი მუდამ საჭიროა და სააარსებო მინიმუმზე ოდნავ მეტი შემოსავალიც კი შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, საქმე იმაშია, რომ მარიამი რთული ამოცანის წინაშეა, რადგან დასაქმების შემთხვევაში ზოგიერთ სახელმწიფო მხარდაჭერას დაკარგავს და ბავშვების განრიგზე მორგებაც გაუჭირდება. მარიამი რთული ამოცანის წინაშეა.

#### **დეტალურად წარმოგიდგენთ მის ამჟამინდელ და სამომავლო სიტუაციას:**

- საცხოვრებლიდან სამსახურამდე 30 წთ დასჭირდება
- სამსახურამდე მგავრობის საფასური 5 ლარია ერთ გზაზე
- სამსახური 9 სთ დაენწყება და 18 სთ დასრულდება
- ბავშვებს სკოლა 14 სთ უსრულდებათ
- მარიამის სოფელში არ არის დღის ცენტრი, სადაც ბავშვი მივიდოდა სკოლის შემდეგ
- მარიამის სამსახურიდან დაბრუნებამდე ბავშვები უმეტესაღყურედ დარჩებოდნენ.

სოციალური მუშაკებისთვის განსაკუთრებით იოლია ადვოკატობის კამპანიის წარმართვა ისეთ თემებზე, რომლებსაც არ შეიძლება მოწინააღმდეგე ჰყავდეს. ეს ის ასპექტებია, რომელზეც ე.წ. „რკინის სამკუთხედი“ (ჭენსონი, 2016:144) იკვრება, როდესაც საქმე

ეხება ძალადობას ბავშვებზე და/ან ქალებზე, ხანდაზმულებზე ან მომსახურებისადმი ხელმიუწვდომლობას შშმ პირებისთვის და ა.შ. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი ხალხი ერთიანდება იმ იდეის გარშემო, რომ ეს საექციელი დასაგმობია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი თვლის, რომ ეს მხოლოდ ოჯახის საქმეა, რადგან მშობლებმა უკეთ იციან, როგორ უნდა აღზარდონ შვილი; მეუღლეებმა - როგორ მოექცნენ ერთმანეთს და ა.შ. ბავშვთა კეთილდღეობისა და უფლებების დაცვის თემაზე კი მუშაობენ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, ამჟამინდელი კანონმდებლები ახლა თუ მანამდე, სანამ გახდებოდნენ კანონმდებლები; ამჟამინდელი საჯარო მოხელეები, რომელთა დიდი ნაწილი არასამთავრობო სექტორში ამ თემებზე მუშაობდა; ამჟამინდელი პოლიტიკოსები, რომელთათვისაც არ არის ეს თემა უცხო, მათი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობდა სწორედ ამ საკითხებზე და სწორედ ამიტომ არის ადვილი „რკინის სამკუთხედის“ შეკვრა. თუმცა არის ისეთი საკითხები და კონკრეტული ოჯახის/ინდივიდის შემთხვევები, რომელთა პრობლემები უერთიერთ გადაჭაჭვულია და მოგვარება დამოკიდებულია საერთო საზოგადო პრობლემების გადაჭრაზე. ერთი ოჯახის შემთხვევა გვიჩვენებს, თუ რაიმდენად სუსტია მაგალითად, საოჯახო პოლიტიკა მარტოხელა დედების სოციალური უფლებების რეალიზებისათვის, ან ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, ან სიღარიბის დაძლევის პოლიტიკა რომ შეუძლებელია განყენებულად იყოს ეფექტიანი თუ ის მხოლოდ ადამიანებს საარსებო მოთხოვნებს უკმაყოფილებს. აი, როგორც მარიამის მაგალითშია წარმოდგენილი.

პოლიტიკის ადვოკატები პოლიტიკის ფორმირების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობენ გადანყვეტილების მიმღებ პირებთან. ამის მიზეზია მხარდაჭერის მოპოვება, თანამოაზრეების მოზიდვა. ჯენსონი (2016) ხაზს უსვამს პოლიტიკის საზოგადოებამდე მიტანის მნიშვნელობას. მისი აზრით, პოლიტიკის იდეა მიმზიდველად, არამადისკრიმინებელი ფორმით უნდა მივიტანოთ საზოგადოებამდე. მას ასეთი მაგალითი მოჰყავს: რა იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი სოციალურად მნიშვნელოვანი წინასასკოლო

პროგრამის Head Start მიმღებლობა საზოგადოებაში და მისი წარმატება, თუ მას დაერქმეოდა „ბალი დაბალშემოსავლიანი ბავშვებისათვის“ ან მეორე მნიშვნელოვანი პროგრამის - Medicare-ის მიმზიდველობა, თუ მას დაერქმეოდა „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა პენსიონერთათვის“. ინიციატივის და/ან პროგრამის, პოლიტიკის მომხიბლველად წარდგენა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოებისათვის, არამედ გადაწყვეტილების მიმღებთათვისაც.

ამაზე საუბრისას, არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ამდენი, აშკარად, არავის უფიქრია არა თუ პროგრამის, არამედ სოციალური აგენტებისათვის სამსახურეობრივი მოვალეობის დაკისრებისას. ამ სახელის დარქმევისას ვერავინ გაიაზრა, რა რისკის შემცველი იქნებოდა ის ჩვენი ახალბედა პროფესიისთვის, რომელიც მაშინ არსებობის მხოლოდ 5 წელს ითვლიდა. ფაქტია, რომ დღემდე უჭირს საზოგადოებას ჩვენს პროფესიასა და სოციალურ აგენტს შორის განსხვავების დანახვა და თან ეს ორი შეცდომით მუდამ ჩვენთვის წამგებიან და უარყოფით კონტექსტშია განხილული. ან, ვთქვათ «სახელწოდებასთან დაკავშირებული პრობლემის განჭვრეტა ვერ მოხერხდა ვერც მაშინ, როდესაც მინდობით აღმზრდელს შვილობილი დაერქვა 1999 წელს, არადა საუკეთესო განზრახვით, რომ მაქსიმალურად პოზიტიურ ტრილში გააზრებულიყო ეს, იმ დროისათვის ბრუნვის ახალი ფორმა. ადამიანებს მუდამ ერეოდათ მინდობით აღზრდა შვილად აყვანაში. ამიტომაც საჭირო გახდა ეს ცვლილება. წინა მაგალითის შემთხვევაში კი ეს ჭერ არ მომხდარა.

პოლიტიკის ადვოკატები იმაზეც უნდა ჩამოყალიბდნენ, რამდენად კონფლიქტურ სტრატეგიას ირჩევენ. ხშირად ისინი ირჩევენ მწვავედ კონფლიქტურ სტრატეგიას, რაც ემოციურ ენას, მასმედიის ჩართულობას, იდეოლოგიური შეხედულებების ხაზგასმას ან დაპირისპირების პროვოცირებას გულისხმობს, განსაკუთრებით, თუ პოლიტიკოსთა ყურადღების მიქცევა სურთ. ხანდახან კი არჩევენ ნაკლებ კონფლიქტურ სტრატეგიას, რაც ტექნიკურ დეტალებსა და სხვადასხვა კანონმდებლის საერთო მიზნებს უსვამს ხაზს. ადვოკატობისთვის მნიშვნელოვანია „პოლიტიკის ღია ფანჯრის“ გამოყენება, მაგალითად,

ადმინისტრაციული ცვლილებები, საზოგადოებრივი აზრის ცვლილების პერიოდი, გადანყევტილების მიმღებთა იდეოლოგიური ცვლილებების პერიოდი (ჯენსონი 2016:126). სტრატეგიას ამის გათვალისწინებითაც ირჩევენ.

სოციალური ადვოკატები სტრატეგიას სიტუაციის მიხედვით უნდა ირჩევენ. შესაძლოა, სტრატეგიის ცვლილება ერთსა და იმავე საადვოკატო საკითხსაც კი დასჭირდეს. ნაკლებ კონფლიქტური სტილის არჩევისას, პროცესი შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, მწვავედ კონფლიქტური სტილის არჩევისას კი პროცესი ხმაურიანია და საზოგადოებრივ განსჯას მოიცავს. ჯენსონი შემდეგ სტილისტურ ვარიაციებს გამოყოფს:

- ◆ ტექნიკურ დეტალებზე ფოკუსირება, ნაცვლად პრინციპების ხაზგასმისა;
- ◆ ხელშესახები ცვლილებების შეთავაზება, ნაცვლად ცვლილებებისადმი რეზისტენტულობისა;
- ◆ ადვოკატობის მონაწილეთა წრის გაფართოება, ნაცვლად შევიწროებისა;
- ◆ სწრაფი ცვლილებების ძიება, ნაცვლად პროცესის გახანგრძლივებისა.

სტილის შერჩევა სასაუბრო ენის განსაზღვრასაც მოიცავს. მაკრო-პოლიტიკის ადვოკატები მხარდაჭერის მოპოვებაზე ორიენტირებულ ლექსიკას იყენებენ, რომ მოიზიდონ არა მხოლოდ მხარდამჭერები, არამედ ისინიც, ვინც მათი ინიციატივისადმი სკეპტიკურად არიან განწყობილნი.

## სოციალური ადვოკატობის საასპარეზო სივრცე

სად ანარმობენ სოციალური მუშაკები ადვოკატობას? ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადვოკატობასაც გაუფართოვა ასპარეზი. ინტერნეტის განვითარებამ განავრცო ადვოკატობისათვის ასპარეზი. პირისპირ შეხვედრების აუცილებლობა ელექტრონულ სივრცეში კომუნიკაციის შესაძლებლობამ ჩაანაცვლა. რაზეც ადრე იხარჯებოდა დრო, ახლა შესაძლებელია, ის რაოდენობის ზრდასა და ხარისხის დახვეწას მოვახმაროთ. ინტერნეტი გასაოცარი გზა სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად. მისი საშუალებით არა მარტო ინფორმაციის გაცვლა—გამოცვლაა შესაძლებელი, არამედ კოალიციების შექმნაც. შესაძლებელი გახდა სატელეფონო კონფერენციების მოწყობაც. ეს ინფორმაციისა და მხარდაჭერის მოპოვების შანსს ზრდის სხვადასხვა საადვოკატო პროექტისათვის, კვლევის ჩატარებისათვის, პრობლემების გადაჭრაში სხვათა მონაწილეობის მოპოვებისათვის. ამიტომ პრაქტიკოსებს სჭირდებათ ტექნოლოგიური პროგრესის ფეხდაფეხ სიარული.

კასტელსის თქმით (2006:131), ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, სხვადასხვა ერისა და კულტურის გამაერთიანებელი ახალი ქსელების/კავშირების ჩამოყალიბება ქმნის მეოთხე სამყაროს. ეს კი უცილობლად გააჩენს ბევრ „შავ ხვრელს“ (ტერმინი კასტელსისაა), ანუ უფლებანართმეულ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ ახალ ქსელში ჩართვა. ამიტომ სოციალურმა მუშაკებმა უნდა იზრუნონ ციფრული დაყოფის აღკვეთაზე. ისინი უნდა შეეცადონ სხვაობის შემცირებას იმ ადამიანებს შორის, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია ტექნოლოგიური მონაპოვრები და ვისთვისაც ეს ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია.

ძალიან პოპულარული გახდა მიზეზის ადვოკატობისათვის ვიდეო მასალის გამოყენება (გრეგორი და კოლეგები, 2005 უილკთან, 2012). ავტორი საუბრობს ვიდეო წიგნების და არა გისოსების ეფექტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ვიდეომ ინდივიდუალურ დონეზე და მიზეზის ადვოკატობის ნაერთი შესთავაზა საზოგადოებას და

არნახული ზეგავლენა მოახდინა ისეთ საკითხებზე შეხედულებების რეფორმირებაზე, როგორცაა ახალგაზრდათა დანაშაული, კანონის წინაშე მათი პასუხისმგებლობის გააზრების ფორმები. ავტორის აზრით, თითქოს ყველასათვის ნათელი რაც იყო, ის საზოგადოებისათვის სიახლე აღმოჩნდა - ახალგაზრდებს გისოსებს მიღმა ყოფნით ავტომატურად ვერ გავააზრებინებთ მათ ვალდებულებებს, როლს საზოგადოებაში.

სოციალური მუშაკებისათვის ეს თემები დღესავით ნათელია ხშირად და მათ უსუსტდებათ რეალობის გრძნობა, ვერ ხვდებიან რამდენადაც უცხო შეიძლება იყოს მათთვის თითქმის უნივერსალური ჭეშმარიტება დანარჩენი საზოგადოებისათვის, რადგან მათ ხშირად უბრალოდ არ აქვთ ინფორმაცია იმაზე თუ რა ინვესტაცია სირთულეს, რა იმალება დანაშაულის უკან, რა განაპირობებს ხასიათის და/ან ქცევის თავისებურებებს, რომელიც ადამიანთა უმრავლესობას აღიზიანებს. ხშირად ასეთი ქცევები, სწორედ ისევე ჩვენ მიერ - დანარჩენი საზოგადოების მიერ შექმნილი და განმტკიცებული სოციალური გარემოა. ამიტომ, თუ ამის ახსნას სიტყვიერად ან წერილობით დიდი დრო და ენერჯია სჭირდება, ისევე როგორც მოსმენას და წაკითხვას, ჩვენს დროში კი ორივე დეფიციტია, ვიდეო იგივე პრობლემას ან მოვლენების მიმართებას რამდენიმე წუთშიც კი უკეთ წარმოაჩენს ხოლმე, უკეთ გააღვივებს ინტერესსაც და საკითხზე საუბრის დაწყების აუცილებლობის განცდასაც. ამიტომ უკეთესია მივმართოთ ადვოკატობის ასეთ ფორმას. მით უფრო, რომ ვიდეო მასალის შექმნა უკვე სამოყვარულო დონეზეც კი ადვილადაა შესაძლებელი თუ პროფესიული გუნდის დაქირავების რესურსი არ აქვს საადვოკატო გუნდს. საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ან ფიქრის დაწყების პროვოცირებას კი ასეთი ხარისხის ვიდეოც შეძლებს.

### საშინაო დავალება:

1. „ცვლილებებისთვის ჩარევის სტრატეგიის“ შესაბამისად როგორ დაგეგმავდით საადვოკატო ღონისძიებებს N1 განსახილველ მაგალითში წარმოდგენილ შემთხვევას? რა არის, თქვენი აზრით, მარიამის მთავარი პრობლემა? როგორ, რა მეთოდით, რა მიდგომით შეეცდებოდით მარიამის პრობლემის მოგვარებას?
2. სიღარიბე ძალიან ფართო და მრავლისმომცველი სოციალური პრობლემაა, შესაბამისად, სოციალურ მუშაკს, ამ პრობლემაზე ეფექტიანი ადვოკატობისათვის, ფოკუსის დავინროვება მართებს. მან უნდა გადაწყვიტოს რას შეეჭიდება: ღარიბი მოსახლეობის სიღარიბით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას, თუ სიღარიბით გამოწვეული მიზეზების ადვოკატობას თუ ერთი რომელიმე მიზეზის ადვოკატობას. რაზე გააკეთებდით არჩევანს? გთხოვთ, დაასაბუთეთ პასუხი.
3. როგორც სოციალური მუშაკი, სიღარიბის რომელი ასპექტის კვლევას ისურვებდით? გთხოვთ, დაასაბუთეთ პასუხი.
4. მოიფიქრეთ რაიმე სოციალური პრობლემა, რომელზეც მოამზადებდით ვიდეოს. აღწერეთ როგორ წარმოადგენდით იდეას, როგორ ააგებდით კამპანიას, ვის შემოიკრებდით მხარდამჭერად. თქვენი აზრით, ასეთი გეგმით, რას მიაღწევდით?



### თავი 3. სოციალური ადვოკატობა სხვადასხვა სფეროში და სამიზნე ჯგუფთან

#### სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური მუშაობის მოკლე ისტორია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში

**Parens Patriae** კონცეფცია მე-17 საუკუნეში შეიქმნა და დღეს უკვე სასამართლოს პრეროგატივად ფორმირდა - ჩაერიოს არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად (არენი, 1975; მურიე & გესირიჩი, 2005; მაიერსი, 2008 ჯენსონთან, 2016). გვიან მე-18 საუკუნეში კი ეს ასე გაგრძელდა. 1747 – 92 წლებში ინგლისსა და გერმანიაში მუშათა კლასის უფლებების დამცავი კანონმდებლობით ბავშვთა შრომის რეგლამენტირება იწყება. მოსამართლეებს ეძლევათ უფლება, წაართვან ბავშვები ოსტატებს, რომლებიც მათ ცუდად ექცევიან. ინგლისში დაიწყო ბავშვთა სამუშაო დღის ნორმირება: ყველა ბავშვი ვალდებული ხდება მინიმუმ 2 საათი გაატაროს სკოლაში. დაწესდა სპეციალური ინსპექცია, რომელიც ბავშვთა შრომისა და სწავლის თანაფარდობას აკონტროლებს. მართალია, მხოლოდ ბავშვთა უფლებების დაცვისთვის არ კეთდებოდა ეს და უფრო პრაგმატული მიზნები ამოძრავებდათ მაშინ, თუმცა ზოგჯერ ჩვენს დროში ორივეს დეფიციტის ფონზე შიშველი პრაგმატიზმიც დასაფასებელია. მაგალითად, ინგლისის განათლების განყოფილების უფროსი, ფორსტერი, 1839 წელს ამბობს, რომ „ბავშვების განათლებაზე დამოკიდებული ჩვენი სამრეწველო კეთილდღეობა“. 1853 წელს პრუსიაში შემოიღეს კანონი, რომელიც 12 წლამდე ბავშვთა (პეტრიევა 1959:192, ჩიკალოვასთან, 2006:508) სამსახურში მიღებას კრძალავს, სამუშაო დღე კი 14 სთ-დან 6 სთ-მდე შემცირდა. 1869–71 წლებში ეს კანონი ვრცელდება მთელი გერმანიის ტერიტორიაზე და უკვე 1891 წლიდან იკრძალება 13 წლამდე ბავშვის შრომა (ჩიკალოვა, 2006.). 1874 წელს საფრანგეთშიც აკრძალეს 10 წლამდე ბავშვის შრომა და სამუშაო დღეც 6 სთ-მდე შემცირდა.

ამერიკისშეერთებულ შტატებში 1874 წელს შეიქმნა „ბავშვთა მიმართ

დაუნდობელი მოპყრობის პრევენციის ნიუ იორკის საზოგადოება“, რომელიც, მარკელის აზრით, პირველი ბავშვთა დაცვის სააგენტოა მსოფლიოში (მარკელი, 2009, კოქსთან, 2016). სააგენტოს შექმნა მოჰყვა მერი ელენ მაკკორმაკის შემთხვევას, რომელიც 1800 წელს მოხდა და ბავშვზე ძალადობაზე რეაგირების საჭიროების აღიარების ათვლის წერტილადაა მიჩნეული. ფედერალურმა მთავრობამ 1935 წელს პირველად შექმნა პოლიტიკა ბავშვთა ძალადობაზე საპასუხოდ (ჯენსონი, 2016). 1960 წელს კი ბავშვთა მიმართ ძალადობამ, როგორც სოციალურმა პრობლემამ, უფრო მძლავრი აღიარება მოიპოვა, როდესაც ჰენრი კემპმა გამოკვეთა ნაცემი ბავშვის სინდრომი, როგორც კლინიკური მდგომარეობა და ექიმების მიერ შეტყობინების ვალდებულების საკითხის ადვოკატობა დაიწყო (კოქსი, 2016). 1970 წელს კი მიიღეს კანონმდებლობა სავალდებულო შეტყობინების შესახებ (ჯენსონი, 2016). ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირება საქართველოში 2010 წელს დაიწყო. 2007 წლიდან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შეუდგა ამ საკითხზე მუშაობას. პროცესის პილოტირება რამდენიმე ლოკაციაში დაიწყო და ამ პროცესის პირველ წელს მხოლოდ 3 შემთხვევა გამოვლინდა. იმდენად დიდი იყო სოციალური ნორმის ზეგავლენა, რომ ოჯახის საქმეში არავინ არ უნდა ჩაერიოს, რომ ბავშვს რაც უფრო მკაცრად მოექცევი, მით უფრო კარგ ადამიანად ჩამოყალიბდება და ა.შ. რომ პილოტირებაში მონაწილე უწყებებიც კი თავს იკავებდნენ მიმართვაზე. საბედნიეროდ, ეს დღითიდღე იცვლება, ამას ცხადყოფს წლიდან წლამდე მიმართვიანობის ზრდა. თუმცა მოსახლეობის ცნობიერების დონე, როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ განხორციელებული კვლევები გვიჩვენებს, მაინც დაბალია ამ საკითხთან მიმართებით (2016).

ზოგიერთ ქვეყნებში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და რეაგირებისათვის სექტორთაშორის თანამშრომლობის მრავალგვარი ფორმაა დანერგილი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვეტერინარები და ცხოველთა დაცვის პროფესიონალებიც ვალდებულნი არიან, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე

შეატყობინონ, ხოლო მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენლებს ცხოველთა მიმართ ძალადობის შეტყობინების ვალდებულება აკისრიათ.

### სოციალური მუშაობა ბავშვებთან და ოჯახებთან

ჯენსონის აზრით, სამი პრინციპი უნდა მართავდეს ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკას:

1. ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების პრევენცია; მუდმივი ადგილსამყოფელის უზრუნველყოფა ოჯახს გარეთ მცხოვრები ბავშვებისათვის;
2. ბავშვის დაბინავება ნაკლებად საზიანო ადგილსამყოფელში.

ქანქარა, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემისთვის დიდი გამოწვევაა - ფრთხილი გადანაცვეტილება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის შესახებ და ოჯახის შენარჩუნებაზე ორიენტირებული მიდგომა, ხშირად სპეციალისტებისთვის პროფესიული დილემის გამომწვევია. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული სააგენტოები სოციალურ მუშაკებს ბავშვების ოჯახებში დატოვებისაკენ უბიძგებენ, მაშინ როდესაც იქ მათი უფლებები ირღვევა. ამასთან, ეფექტიანად აწყობილი ზრუნვის ალტერნატიული სისტემის არსებობის გარეშე არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ოჯახს გარეთ ბავშვის მოთავსება მათ უფლებებს სრულად დაიცავს (ჯენსონი, 2016). ბევრ სოციალურ მუშაკს კონტრპროდუქტიულად მიაჩნია ადრეული ინტერვენციისა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებებისთვის ფონდების სიმწირე (კოქსი, 2016).

## მაგალითი განხილვისათვის N2

ბენეფიციარი აღმოჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, რომელზეც შეტყობინება შემოვიდა ძალადობის ეჭვით. ბავშვს მშობლები სკამზე მიმაგრებით აჭმევდნენ, რაც მის გაღიზიანებას იწვევდა. ერთ-ერთი ასეთი კვებისას, ბავშვი იმდენად გაღიზიანდა, რომ დაუსრულებელი ტირილი დაიწყო, რაზეც დედა ყვირილითვე პასუხობდა მოთხოვნით, რომ უნდა ეჭამა, რადგან ორი დღეა საკვები წესიერად არ მიუღია.

ყვირილის გაგონებაზე, მეზობელმა ცხელ ხაზზე დარეკა. ოჯახში მისული სოციალური მუშაკი შემთხვევის შესწავლას შეუდგა და აღმოჩნდა, რომ მშობლები არ არიან გათვითცნობიერებულნი ბავშვთან ურთიერთობის მისაღებ ფორმებში, თუმცა შეგნებულად მისთვის ზიანის მიყენებას არ ცდილობენ. მათი გაგებით, პირიქით, ბავშვისათვის სასიკეთოდ იქცევიან.

სოციალური მუშაკი, როდესაც დარწმუნდა, რომ ბავშვზე ძალადობა ძალადობის მიზნით კი არ ხდება, არამედ ცოდნის/ინფორმაციის ნაკლებობით, მშობლებს მშობლობის კურსის გავლა მოსთხოვა. ისინი სიხარულით დათანხმდნენ.

მომდევნო ვიზიტზე, სოციალურმა მუშაკმა აღმოაჩინა, რომ მშობლები ასეთ კურსზე ჯერ კიდევ არ დარეგისტრირებულან იმ მარტივი მიზეზით, რომ ვერ აღმოაჩინეს ქალაქში. სოციალური მუშაკიც გაკვირვებული დარჩა, დაჰპირდა რომ მოიკითხავდა თავადაც და შეატყობინებდა. მიუხედავად მცდელობისა, მსგავსი კურსები ვერც სოციალურმა მუშაკმა აღმოაჩინა, იმ მარტივი მიზეზით, რომ არ არსებობდა. ამასობაში 2 თვე გავიდა.

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა სხვადასხვა რგოლისაგან შედგება სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელია ისინი „ორგანიზაციული კომპონენტებისგან“ შედგებოდნენ (პეკორა, 2000 ჯენსონთან, 2016:330). ეს კომპონენტებია:

- ◆ მკაფიოდ ფორმულირებული ორგანიზაციული მისია
- ◆ პროგრამის ეფექტიანობა

- ◆ სიფრთხილე პერსონალის შერჩევისას
- ◆ პერსონალის ტრენინგი
- ◆ ზომიერი დატვირთვა
- ◆ ადეკვატური მხარდაჭერა სისტემის მოხელეებისაგან
- ◆ სუპერვიზია
- ◆ გამართული შესრულების სისტემა
- ◆ შედეგის მიღებისათვის ადეკვატური ფისკალური მხარდაჭერა.

მკვლევრებმა დაადგინეს დადებითი კორელაცია ორგანიზაციულ კონტექსტსა და ბავშვთა კეთილდღეობის სააგენტოების შესრულების ხარისხს შორის. რაც უფრო საერთო ღირებულებებითა და აღქმითაა გაჭრებული ორგანიზაციული კლიმატი, მით უფრო შედეგიანი და ხარისხიანია ბავშვების კეთილდღეობისაკენ მიმართული მომსახურებები (გლისონი, 2009 ჯენსონთან, 2016).

მასმედია უდიდეს როლს თამაშობს სოციალური საკითხების გაშუქებაში, დიდია მისი მნიშვნელობა ბავშვთა ძალადობის საკითხების ირგვლივ აზრის ფორმირებაშიც, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები კვლავ „ოჯახის საქმედ“ მიიჩნევა (გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, 2016). ჯერი სანდასკისა და გაბრიელ ფერნანდესის ისტორიები სწორედ მედიის საშუალებით გახმაურდა და მიიზიდა საერთო სახალხო ყურადღება (ჯენსენი, 2016). საქართველოშიც გარდამტეხი იყო 2014 წელს მომხდარი შემზარავი შემთხვევა, როდესაც დედას შეშით ცემისას შვილი შემოაკვდა და ბავშვისადმი ასეთი მოპყრობა იმ დასახლებაში არა ერთხელ იყო შემჩნეული. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ბავშვებმა, არამედ მოსახლეობის ზრდასრულმა პირებმაც ზედმინევნიტ კარგად იცოდნენ, რა შედეგებამდე მიგვიყვანს გულგრილობა ან სოციალური ნორმების ბრმად დამორჩილება. ისინი უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, ვის უნდა მიმართონ, თუ ასეთი შემთხვევა შენიშნეს. ასევე, უმნიშვნელოვანესია თემში სოციალურ მუშაკს

და/ან სამსახურს, რომელიც სოციალურ მუშაკებს ქირაობს, იცნობდნენ არა მხოლოდ ბენეფიციარები, არამედ მთელი მოსახლეობა.

არადა, საქართველოში სოციალურ მუშაკებს საზოგადოება არ იცნობს. ეს არა ერთმა კვლევამ ცხადყო, იმ მცირეთაგან, რაც ჩატარებულა (მახარაძე, 2017) (შატბერაშვილი, 2011). ხშირია შემთხვევები, როდესაც მას არ იცნობენ მისივე ბენეფიციარები. ამას განაპირობებს სოციალური მუშაობის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც დღეს ფხვს იკიდებს ჩვენს ქვეყანაში და თან იმ დარგში, საიდანაც ეს პროფესია დაიწყო ჩვენში - ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. არის შემთხვევები, როდესაც მინდობით აღსაზრდელებიც კი არ იცნობენ საკუთარ სოციალურ მუშაკს, ვერ ახერხებენ ურთიერთობას ფსიქოლოგთან, თუმცა გამოკვეთილია ასეთი მომსახურების მიღების საჭიროება; საერთოდ არ იცნობენ საკუთარ ადვოკატს, თუ საქმე სასამართლოშია.

რადგან ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებულ პრობლემებს შევხებით, უნდა შევხებით იმ პრობლემასაც, რომ ბავშვები ზრუნვის სისტემაში სრულწლოვანების ასაკამდე რჩებიან. ჩვენთან არ არის დადგენილი ოჯახის გამთლიანებისათვის განსაზღვრული პერიოდი. ზოგიერთ ქვეყნებში ასეთი ვადები არსებობს, თუმცა შესაძლოა ეს მაინც არ მოხერხდეს. ამიტომ გულდასმით არის შესწავლილი შემთხვევები, როდესაც ოჯახის გამთლიანებისაკენ მიმართული ძალისხმევა ან დრო არასაკმარისი აღმოჩნდა.

რა არის ან რა უნდა იყოს მომსახურების მიწოდების შედეგობრივი საზომი? ხომ არ უნდა იყოს ეს სისტემაში დაყოვნების პერიოდი, ადგილმონაცვლეობის რაოდენობა, სოციალური მუშაკის ვიზიტების რაოდენობა, სოციალური მუშაკის მიერ განეული მომსახურების ჩამონათვალი/ხარისხი და ა.შ.

მომსახურების მიღების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა სოციალური სამართლიანობის ერთ-ერთი პრინციპული საყრდენია. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის განვითარების ფეხდაფეხ იზრდება ბავშვებსა და ოჯახებზე ორიენტირებული მომსახურებების

საჭიროება. მეტწილად ამის მიზეზი ბავშვთა უფლებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მომსახურებების შესახებ ინფორმაციის ზრდაა. ამას ხელს უწყობს სისტემის ფუნქციონირების განვითარება და უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდაც. მაგრამ ეს საკმარისია? თითქოს, არა. ზუსტად არ გვეცოდინება პასუხი ამ კითხვაზე, სანამ ხარჯთ-ქმედითობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით არ გავზომავთ მომსახურებებისადმი ხელმისაწვდომობას. ქმედითობა შედეგის ერთეულზე (სარგებელზე) გახარჯული ფულადი ერთეულით ისაზღვრება, რაც დგინდება პროგრამის მთელი ხარჯის (მაგ., პირდაპირი, არაპირდაპირი, ოპერაციონალური, ცვეთის და ა.შ.), მონაწილეთა რაოდენობის, მომსახურების მიწოდების და საჭირო მომსახურების სახეობის შესწავლით. მაშინ როცა ეფექტიანობა პროგრამის/ პოლიტიკის შედეგების მიღწევის საზომია (ბარდაჩი, 1996 ჯენსონთან, 2016); ხელმისაწვდომობა მომსახურების არსებობას განსაზღვრავს იმ მოსახლეობისათვის, რომლისთვისაც ის შექმნილია.

სოციალურმა მუშაკებმა ის მაინც უნდა შეძლონ, რომ თავიანთი პრაქტიკული ცოდნა მტკიცებულებად აქციონ და პოლიტიკის ფორმირების პროცესს შეაშველონ, თუ ის ვერ შეძლეს, რომ ქვეყანამ ამ პრაქტიკით ინფორმირებული პოლიტიკა შეიმუშაოს. რა გვიშლის ამაში ხელს? ბავშვთა უგულებელყოფის აღმოფხვრისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღსრულებისას, შემთხვევის მმართველებთან ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განხორციელების განმსაზღვრელად ბავშვთა კეთილდღეობაში, აარონისა და პალინკას კვლევის (2007) მიხედვით, არის:

- ◆ შემთხვევის მმართველისა და ოჯახის ხელმისაწვდომობა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისადმი
- ◆ შემთხვევის მმართველის მოტივაცია, დაეყრდნოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას
- ◆ შემთხვევის მმართველის ორგანიზაციის მხარდაჭერა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენებაში.

როგორ უნდა მოიქცეს სოციალური მუშაკი, როდესაც ხედავს, რომ მისი სააგენტოს/ორგანიზაციის და ზოგჯერ მთლიანად ქვეყნის პოლიტიკაარის რეაქციული, არადა, ოჯახებს მხარდაჭერა სჭირდებათ. მათ კლიენტებს შორის არიან ოჯახები, რომელთა მონყვლადობა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური მახასიათებლებით განპირობებული, ხშირად სწორედ სტრუქტურული პრობლემების შედეგია მათი ყოფაც და ამ მდგომარეობიდან გამოსავლის არარსებობაც. მაგალითად, საქართველოში სიღარიბის პრობლემის გამო ადამიანების მშობლობის მოვალეობასთან გამკლავების უნარი დაქვეითებულია, სხვა მიზეზის არარსებობის შემთხვევაში ამ ოჯახებისაკენ ძალისხმევაა მისამართი, რომ მათ შეძლონ მშობლობის ფუნქციის ისე აღსრულება, როგორც ეს მათ კანონით ევალებათ, მით უფრო, რომ ეს ხშირად მათივე რწმენასთანაც თანხვედრილია. ან თუ ამ როლის გააზრებაში ადამიანებს წაშველება სჭირდებათ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ტრადიციულად სხვაგვარად ესმით, როგორ უნდა გაუმკლავდნენ ბავშვთან დაკავშირებულ სირთულეებს, ამაში მხარდაჭერის გარეშე მათ მშობლობის ფუნქცია არ უნდა შევუზღუდოთ. სოციალურ მუშაკებს კი ამის კეთების საშუალება ხშირად არ აქვთ, რადგან პროფესიული მოვალეობის აღსრულების საშუალება არ ეძლევათ უამრავი „არასოციალურმუშაკური“ ფუნქციისა და პროფესიულად შეუფერებელი სამუშაო გარემოს გამო. გარდა ამისა, ყველაზე პრაგმატული მიდგომითაც კი, ასეთი მხარდაჭერის აღმოჩენა აუცილებელია, რადგან ზრდასრულთა თანადგომის გარეშე მიტოვება უფრო მძიმე ტვირთად დაანგება სახელმწიფოს.



### მაგალითი განხილვისათვის N3

14 წლის მოსწავლემ უკვე ოთხი მინდობით აღმზრდელი და სამი სკოლა გამოიცვალა. ყოველი ახალი ოჯახი, ახალ ლოკაციაში გადასვლას მოითხოვდა.

მეოთხე მინდობით ოჯახში ბავშვი ზაფხულში განთავსდა. აღმზრდელი ახლომდებარე სკოლაში ბავშვის ჩასარიცხად რომ მოვიდა, გამოაბრუნეს, რადგან საბუთები სრულად არ ჰქონდა მიტანილი. იგი საბუთების შეგროვებას შეუდგა, მაგრამ ვერას გახდა. ზოგიერთი საბუთი დაკარგული აღმოჩნდა, აღდგენას კი დრო და სახსრები სჭირდებოდა. ბოლოს მან სოციალურ მუშაკს მიმართა.

სკოლაში მისული სოციალური მუშაკიც წააწყდა ადმინისტრაციის წინააღმდეგობას. არადა, სწავლა ორ კვირაში იწყებოდა, ბავშვს კი, რომელსაც ისედაც აკადემიური ჩამორჩენა ჰქონდა არ იღებდნენ. გარდა ამისა, საოჯახო ცხოვრებაც ისე ააწყვეს, რომ ბავშვის სკოლაში ყოფნისას მინდობით მშობელს სამსახურში ყოფნა ჰქონდა დაგეგმილი.

ფელიტი და კოლეგები ჯერ კიდევ 1998 წლის კვლევაში ასკვნიან, რომ ადრეული ასაკის ბავშვზე ძალადობის შედეგები ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევებისა და დაავადების მაპროვოცირებელია. ისინი ამას “ბავშვობისდროინდელ არასახარბიელო მოვლენით გამოწვეულ პრობლემებს (adverse childhood effect (ACE)) უწოდებენ და ასკვნიან, რომ რაც უფრო მეტ ACE-ის განიცდის ზრდასრული, მით უფრო მაღალია მისი დაავადების და სიკვდილიანობის შანსი. ზრდასრულები, რომლებსაც სამი ან მეტი ACE აქვთ, ასეთის გარეშე მყოფ ზრდასრულებთან შედარებით, 4-დან 12-ჯერ მეტად არიან ნივთიერებაზე დამოკიდებულები, მათ დეპრესიისა და თვითმკვლელობის მცდელობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ; ორიდან ოთხჯერ მეტია სექსუალურ პარტნიორთა ცვლის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მაჩვენებელი. 1.5-ჯერ მეტია მათი ჭარბწონიანობის, ფიზიკური უმოქმედობის მაჩვენებელი. ასევე ამ

ადამიანებს კიბოს, ღვიძლის დაავადების, ქრონიკული ფილტვის დაავადების განვითარების მეტი შანსი აქვთ. ან რა შეგვიძლია დავასკვნათ, სანამ ზრუნვის ალტერნატიული მომსახურებებიდან გასული ბავშვების ზრდასრულობის მოღვაწეობის შემსწავლელი კვლევები არ გვაქვს. ასეთი კვლევები მომსახურების დახვეწის, მოდიფიკაციის ან საერთოდ გაუქმების საფუძველს უქმნის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატის მოსახლეობის 0.3 პროცენტს შეადგენენ მინდობით აღსაზრდელები, აქედან უსახლკართა თავშესაფრებში მცხოვრებთა 40 პროცენტი ყოფილი მინდობით აღსაზრდელია და ამ ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემის სტუმართა რაოდენობაც ასეთივე დისპროპორციულია მინდობით აღსაზრდელთა შემადგენლობით (კოქსი, 2016). ასეთი დაკვირვება ქვეყანას საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ეს პოლიტიკოსებს და ბავშვთა უფლებადამცველებს დააფიქრებს ბავშვის ოჯახში დატოვების და ოჯახის გაძლიერების ხარჯი რამდენად უნდა აღემატებოდეს მისი ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში განთავსებას, რომ არჩევანი მაინც ამ უკანასკნელზე გაკეთდეს, ან როგორ უნდა გაძლიერდეს ზრუნვის სხვადასხვა ფორმა იმდენად, რომ მინიმალურად განაპირობებდეს ბავშვში ცხოვრებისეულ სირთლეებთან გამკლავების იმგვარი მექანიზმების ფორმირებას, რომ მათ ბოლოს კალიფორნიის სცენარში ამოყონ თავი.

ტაუსიგისა და კოლეგების კვლევამ გვიჩვენა (ტაუსიგი, კლიმანი & ლანდსვერკი, 2001 ჯენსონთან, 2016), რომ ოჯახში დაბრუნებულ ბავშვებს უფრო მეტად აქვთ ემოციური და ქცევითი სირთულეები, ვიდრე მინდობით აღზრდაში ხანგრძლივი პერიოდით დარჩენილ ბავშვებს, რადგან მათი ოჯახიდან გამოყვანის შემდეგ ოჯახებში არაფერი შეცვლილა. ასეთივე შედეგებია საქართველოში ჩატარებული ბავშვთა უფლებების მონიტორინგის კვლევის მიხედვით (2012), რომლის ახალგაზრდა ინტერვიუიერები სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლას არ ჩქარობენ, რადგან ოჯახებში არ მიეჩქარებათ. მდგომარეობა, რომელიც ოჯახში ხვდებათ, მათთვის უკვე მიუღებელია.

ხელშემშლელია სააგენტოთა ან ორგანიზაციათა შორის სექტორთაშორისო თანამშრომლობის ნაკლებობა. მიუხედავად ბოლო წლებში ამ მიმართულებით განხორციელებული წინსვლისა, ეს მაინც არ არის საკმარისი. ისინი ხშირად, თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნაცვლად, კონკურენტებად თვლიან თავს, მოვალეობების არიდებას და მათი აღსრულების ვალდებულებას სხვა სისტემისათვის გადალოცვას ცდილობენ, რასაც ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი ეწირება. ჩვენში ისიც კი ხშირია, როდესაც სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სააგენტოებს შორის არ არის კოორდინირებული მუშაობა. არადა, ბავშვებსა და ოჯახებთან დაკავშირებული საკითხები ურთიერთგადაჭაჭვულია და ვერასოდეს მოექცევა ერთი რომელიმე უწყების პასუხისმგებლობის ქვეშ.

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკის როლი განსხვავებული გამოწვევების წინაშეა ჩვენს დროში, რადგან შეიცვალა როგორც ბავშვების, ასევე ოჯახების კომპოზიცია და ფუნქციები. ადრე თუ მხოლოდ ტრადიციული ოჯახის ცხოვრებაში ინტერვენცია უწევდა, ახლა უკვე მისი როლია მარტოხელა მშობლის, წინა ქორწინებებისაგან ბავშვებიანი, ერთსქესიანთა და არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფი ოჯახების პრობლემებზე მუშაობა. ზოგჯერ კოლეგებს ქვეყანაში სატრანზიტო მიგრაციაში მყოფი ოჯახების ცხოვრებაში უწევთ ინტერვენცია. ეს განსხვავებული კომპოზიცია კი ოჯახების ცხოვრების წესსაც ცვლის. სოციალურ მუშაკს უწევს არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მათ ოჯახებს დაეხმაროს ჯეროვნად მშობლობის ფუნქციების აღსრულების გააზრებაში (კოქსი, 2016).

გარდა ოჯახებში ბავშვების მხარდაჭერისა, სოციალურ მუშაკს ბავშვის მხარდაჭერა სხვა გარემოშიც მართებს, მაგალითად, სკოლაში, ბაღში, თემში, საავადმყოფოში და ა.შ. საქართველოში ამ პროცესის განვითარება ბავშვთა კეთილდღეობის სფეროთი დაიწყო, თუმცა ბავშვთა საკითხებზე მომუშავე კოლეგებს უკვე სხვა სფეროებშიც ვხვდებით, მაგალითად, განათლების სისტემაში. მართალია აქ დასაქმებული სოციალური მუშაკები სრულად ჯერ ვერ ასრულებენ

პროფესიულ მოვალეობებს, მაგრამ ამის ჩანასახი არსებობს. იმედია, ნელ-ნელა გაღვივდება კიდევ, რადგან საქართველოს სკოლებსა და ბალებშიც ბევრი რამაა ისეთი, რასთან გამკლავებასაც ბავშვი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს. ამას ცხადყოფს სახალხო დამცველის ბოლო კვლევებიც (სახალხო დამცველი, 2017).

## სოციალური ადვოკატობა სკოლაში

ზოგიერთ ქვეყნებში სკოლის სოციალური მუშაობის მიმართულებით ჩვენი პროფესია მრავალ ნელს ითვლის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სკოლის სოციალური მუშაობა მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ნიუ იორკსა და ბოსტონში. დღეს სოციალური მუშაკები მთელი ქვეყნის მასშტაბით მოღვაწეობენ სკოლის ბაზაზე. ისინი არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციისა და თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობენ (კონსტაბლი & ალვერესი, 2006 კოქსთან, 2016). საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები მათ შორის, ამერიკული ოცნების ცენტრალური სფერია, რადგან ზემო მობილობისა და წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ინსტიტუტებია (ჯენსონი, 2016).

ამერიკის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სკოლის სოციალურ მუშაკთა საბჭომ პირველი შეხვედრა 1973 წელს გამართა. შეხვედრაზე განხილვის ძირითადი საკითხი იყო მშობლებსა და შვილებს შორის არსებული რთული ურთიერთობები, რაც ბავშვების რთულ ემოციურ მდგომარეობას განაპირობებდა. ეს სირთულეები შემთხვევათა ჭარბ რაოდენობაში აისახა, რაც სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობის გადახედვას, შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრას საჭიროებდა (ჯენსონი, 2016).

სკოლის სოციალური მუშაობა რეგულირებადი სფეროა, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა სკოლაში პრაქტიკის საშუალება, თუ მას აქვს შესაბამისი ლიცენზია და გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება ((კონსტაბლი & ალვერესი, 2006 კოქსთან, 2016).

სკოლა უამრავი გამოწვევის წინაშე აყენებს სოციალურ მუშაკს. სხვადასხვა პრობლემაზე მუშაობა კი სხვადასხვა უნარ-ჩვევას, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს მისგან. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ბულინგი. კოქსის აზრით (2016), სკოლის სოციალურ მუშაკს ბულინგის პრობლემის დასაძლევად შემდეგი შვიდი მახასიათებელი უნდა ჰქონდეს:

- ◆ პატივისცემა
- ◆ ემპათიურობა
- ◆ საიმედოობა
- ◆ კარგი მსმენელობა
- ◆ დადებითი ქცევის წამახალისებელი უნდა იყოს
- ◆ პოზიტიური როლური მოდელი უნდა იყოს
- ◆ ახალგაზრდა და მასთან მუშაობა მისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს.

სიღარიბე და უსახლკარობა დიდი ბარიერია ბავშვისათვის, იყოს ჩართული სასკოლო პროცესში, შესაბამისად, ეს სოციალურ მუშაკებს გარკვეული ქმედებისაკენ მოუწოდებს, წესით. ასეთი ბავშვები ხშირად ვერ ახერხებენ სასკოლო ღონისძიებებში ჩართვას, მაგალითად, ხშირად გავიგებთ კოლეგებისაგან, რომ ბავშვი ვერ მიდის ექსკურსიაზე, რადგან თანხაა შესაგროვებელი ან რაიმე გასართობ საკლასო ღონისძიებაზე, იმავე მიზეზით. ან ვერ ახერხებენ, რადგან სკოლა არ სთავაზობს არანაირ შემეცნებით, გასართობ, სპორტულ თუ სარეკრიაციო ღონისძიებებს. ძალიან ბევრ თავდადებულ კოლეგას ვიცნობ, რომლებიც ამ ბარიერის აღმოფხვრას საკუთარი ძალებით ცდილობენ და ახერხებენ კიდევ. მაგრამ არასოდეს მოხერხდა, დავრამბულიყავით უსახლკარო ან ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების სასკოლო პროცესში სრული მონაწილეობისათვის, სახელმწიფო რესურსების გამოყოფის მოთხოვნით.

## მაგალითი განხილვისათვის N4

გრძელია იმ ინიციატივათა სია, რაც ჩვენს სკოლებშია გასატარებელი ბავშვების კეთილდღეობისათვის. ამ ინიციატივათა უმრავლესობის განხორციელება სოციალური მუშაკებს ხელეწიფებათ. ხშირად სკოლაში ადვოკატობა დაკავშირებულია მეზო და მაკრო დონის ადვოკატობასთან. წარმოგიდგინთ ერთ ინიციატივას, რომელიც ოდნავ სახეცვლილია, რაც ჩვენმა კოლეგა სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ამერიკულ სკოლაში (ჯენსონი, 2016).

ქალბატონი ვალდემი სკოლის სოციალური მუშაკია. მან მოამზადა სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის პროექტის განაცხადი, რომელიც დაფინანსდა კიდევ. ინიციატივის დაგეგმვაში ჩართულები იყვნენ ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. პროექტის განხორციელების დასაწყისში ახალმა დირექტორმა შეცვალა ძველი, რომელიც საგრანტო განაცხადის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

გამაჯანსაღებელი ცენტრისათვის ტერიტორია უკვე განსაზღვრული იყო და ამ ტერიტორიის მოწესრიგება დაიგეგმა წინა სასწავლო წლის გაზაფხულზე მომდევნო სასწავლო წლის შემოდგომისათვის. თუმცა, უკვე შემოდგომაზე ტერიტორია ისევ მოუწესრიგებელი იყო. ქალბატონ ვალდემს ახალი დირექტორიც გაეცნო, მისი ახალი მოადგილეებიც წარუდგინა და დავალებაც მისცა, რომ პროექტი ჩანაფიქრისამებრ დაეწყო. სოციალური მუშაკი ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელი იყო და არა სკოლის პერსონალი, ამიტომ მას მასწავლებლები და სკოლის ახალი ადმინისტრაცია უცხოდ თვლიდნენ, მის იდეას კი ეჭვის თვალით უყურებდნენ. არც ერთი მათგანი ამ პროექტის დაგეგმვაში არ ყოფილა ჩართული და შესაბამისად, არც თუ ისე კარგად ესმოდათ ამ პროექტის დანიშნულება.

ქალბატონმა ვალდემმა გარემოს დასუფთავების დაწყებამდე სკოლის ინფრასტრუქტურა, პერსონალი და ისტორია შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ:

- სკოლა და თემი ერთი ცხოვრებით არ ცხოვრობს
- სკოლის ადმინისტრაცია ხშირად იცვლება
- სკოლაში ბევრი პროგრამა დაწყებულია, მაგრამ მალევე შეწყვეტილა

- მოსწავლეებს სხვა ინტერესები აქვთ, ადმინისტრაციას კი სხვა
- სკოლას განვითარების სხვა გეგმა აქვს, რომელიც განხვავდება ქალბატონი ვალდესის გეგმისაგან.

ქალბატონო ვალდესი შემდეგი ამოცანის წინაშე დგას:

1. გემოჩამოთვლილის გათვალისწინებით დაიწყოს პროგრამა
2. დაუკავშირდეს დაინტერესებულ პირებს/ორგანიზაციებს და პროგრამის მხარდაჭერისათვის დაამოზიადოს
3. შექმნას ინფრასტრუქტურა ძლიერი თანამშრომლობისათვის, დაიწყოს მომსახურების მიწოდება და მაქსიმალურად უზრუნველყოს მისი მიღება.

ასფალტერი (2014), ადამიანური შესაძლებლობების პარადიგმის წარმოდგენისას სოციალურ მუშაკებს ინდივიდუალურ ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ვალდებულებას აკისრებს თერთმეტი მიმართულებით და ამაში გულისხმობს როგორც ხასიათის ფორმირების და რეფორმირების ვალდებულებას, ასევე ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფისათვის საჭირო უნარების გაუმჯობესებას. მისი აზრით, აუცილებელია სოციალური მუშაობის არსებული მომსახურებების მოდიფიცირება ადამიანების ძალაუფლებით აღჭურვისათვის. იგი მოუწოდებს სოციალურ მუშაკებს უფრო მეტად იზრუნონ ადამიანების გაძლიერებაზე ისეთ საკითხებში, როგორცაა მაგალითად, მეგობრების გაჩენა, შენარჩუნება და მოფრთხილება; ოჯახური ჩვეულებების დანერგვა (კვირის რომელიმე საღამოს ერთად სადილი ან ვახშამი, ექსკურსია უქმე დღეს და სხვა).

ბავშვთა და ოჯახების საკითხზე მომუშავე სოციალური მუშაკები უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ იმაზე, რომ თავიანთი კლიენტების ინტერესების დაცვა ინტერდისციპლინური მიდგომით უფრო ეფექტიანია, ვიდრე განყენებულად, რადგან ასეთი მიდგომისას გუნდში გაერთიანებული თითოეული დისციპლინის ძალისხმევა ამ მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. თუკი სხვადასხვა დისციპლინის საზღვრები ერთმანეთს კვეთს ან ფარავს, გუნდის წევრები თანამშრომლობენ, რათა ერთად გადაჭრან პრობლემა (ჰასი და კოლეგები, 2013 აკობიასთან, 2017).

სკოლის სოციალური მუშაკები ხშირად სხვადასხვა ღონისძიებას, წრესა და კლუბს ქმნიან იმისათვის, რომ ბავშვების ინტერესები გააფლერონ, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროცესად აქციონ როგორც ბავშვების უფლებების, ასევე მათი პასუხისმგებლობების გაცნობიერება.

### **მაგალითი განხილვისათვის N5**

სკოლის სოციალური მუშაკი მეთევლასელთან მუშაობს, რომელსაც აქვს ბევრი გაცდენები და აკადემიური ჩამორჩენა. მოსწავლე სკოლას ორი წელია ხშირად აცდენს, თუმცა მისი მდგომარეობა მხოლოდ ახლა გახდა განხილვის საკითხი. შემთხვევის განხილვა მისი გაცდენის მიზეზების შესწავლით დაიწყო. დაიწყო ფიქრი მისი მხარდაჭერის გეგმაზე და ამისათვის ადგილობრივი რესურსების მობილიზების საკითხიც დადგა დღის წესრიგში.

აღმოჩნდა, რომ მოსწავლემ სკოლის გაცდენა მეხუთე კლასიდან დაიწყო, როდესაც დედა გარდაეცვალა და მოხუც ბებიას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. მოსწავლის მამა ორ ადგილას მუშაობს და ვერ ახერხებს სკოლაში მშობლეთა კრებაზე დასწრებას, ამიტომ მას შვილის აკადემიური ჩამორჩენის საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა. ბებია უკვე ლოგინად ჩავარდა, ოჯახში კი ორი პატარაა, მოსწავლის და-ძმა.

სხვა გზა სოციალური მუშაკების მიერ ბავშვთა უფლებების ადვოკატობისა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაა, პირდაპირ თუ ირიბად. ხშირად სოციალური მუშაკები პოლიტიკურ საქმიანობას იყენებენ სწორედ იმისათვის, რომ საკუთარი პროფესიული მისია უკეთ აღასრულონ ან ეწვეიან კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის მხარდამჭერ კამპანიას იმავე მიზეზით. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1976 წელს სოციალურ მუშაკთა ეროვნულმა ასოციაციამ შექმნა პლატფორმა - პოლიტიკური ქმედება არჩევნებისთვის (PACE) იმ იდეით, რომ ასოციაციას საერთო ეროვნული ძალისხმევით მოეძიებინა რესურსი საკუთარი კანდიდატის მოსამზადებლად და გასაცვანად.

სკოლიდან ბავშვების გარიცხვა საკითხის სტრუქტურირებული



განხილვის გარეშე ხდება. სანამ ბულინგი სკოლის ცხოვრების ნაწილია, სკოლის მიმღებლობა განსხვავებული ბავშვებისადმი არ არის მაღალი, ან საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს კლასის/სკოლის კლიმატის მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტები, განსაკუთრებით, იმ ბავშვებისათვის, რომლებიც მონყვლადი ოჯახებიდან არიან და ქცევითი სირთულეები სწორედ ცხოვრების სტრესების შედეგად უყალიბდებათ, მანამდე სკოლის სოციალური მუშაობა სკოლის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად უნდა განიხილებოდეს. სოციალურ მუშაკთა განუყოფელი როლია, ასევე, ასეთი ბავშვების ინტერსების ადვოკატობა, მით უფრო როდესაც ამ უკანასკნელთა მიერ რაიმე სახის ქცევითი და/ან დამოკიდებულებითი პრობლემების მანიფესტირება მათი არჩევანი არ არის. ბავშვებს წარმატებული, უზრუნველყოფილი ოჯახებიდან დიდი არჩევანი აქვთ სკოლის შერჩევისას, მაშინ როდესაც მათ თანატოლებს მონყვლადი ოჯახებიდან ეს არჩევანი ეზღუდებათ. ამასთან, ასეთი ბავშვების მშობლებსაც სჭირდებათ დრო და ემოციური ენერჯია, მათ წინაშე არსებულ პრობლემებს რომ გაუმკლავდნენ (ჯენსონი, 2016).

რას უნდა მიაქციოს სოციალურმა მუშაკმა და/ან სკოლამ ყურადღება? რა შეიძლება ჩაითვალოს სასიგნალო ინფორმაციად იმის თაობაზე, რომ მშობლები ვერ უმკლავდებიან ან უჭირთ, რომ გაუმკლავდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს? სოციალური მუშაკისათვის ერთ-ერთი სიგნალია, როცა მშობლის მიერ სკოლის ძალისხმევა, ჩართონ ბავშვი სასკოლო ცხოვრებაში, უგულვებელყოფილია. სოციალური მუშაკის როლი განუზომელია, სანამ პასუხები ქცევით ჩამოთვლილ კითხვებზე უარყოფითია:

- ◆ აქვს თუ არა სკოლას შემუშავებული სოციალური უნარ-ჩვევების კურიკულუმი?
- ◆ ახორციელებს თუ არა სკოლა ბულინგის პრევენციის ინიციატივებს?
- ◆ მუშაობს თუ არა ვინმე ბავშვებთან ქცევითი მართვის, კონფლიქტების რეზოლუციის, ბრაზის მართვის პრობლემებზე?

- ◆ ახორციელებს თუ არა სკოლა სუიციდის პრევენციის პროგრამას?
- ◆ მზადაა თუ არა სკოლა (მასწავლებლები, ადმინისტრაცია), უპასუხოს ბავშვების მიერ თემიდან და ოჯახიდან მოტანილ პრობლემებს?
- ◆ შეუძლია თუ არა სკოლას მხარდამჭერი ზომების მიღება ასეთ სიტუაციებში?
- ◆ არის თუ არა სკოლებში სივრცე ბავშვებთან ინდივიდუალური ან ჯგუფური შეხვედრებისათვის?
- ◆ როგორრეაგირებს სკოლა, თუსპეციალურისაგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვს შეფასების/გეგმის განახლება სჭირდება და ეს გვიანდება, რადგან სამინისტროს რესურსი არასაკმარისია?
- ◆ ტარდება თუ არა მოსწავლის გარიცხვამდე მისი მხარდამჭერი ზომები სკოლაში?
- ◆ ტარდება თუ არა რაიმე ზომები, როდესაც მშობელი სკოლის მხრიდან კომუნიკაციის მცდელობისადმი გულგრილია?

სანამ ამ კითხვებზე პასუხები უარყოფითია, სკოლა ვერ ასრულებს ეფექტიანად მის ფუნქციას და სოციალური მუშაკის როლი დიდია. სოლიდურია ასევე სოციალური მუშაკის ადვოკატობის ფუნქცია როგორც სკოლის, ასევე მშობლებისა და სისტემის წინაშე. ზოგიერთ ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვების ფსიქო-ემოციურ თუ ჭანმრთელობის პრობლემების იდენტიფიკაციას ადრეულ ეტაპზე და არ ელოდებიან მომენტს, რომ უკვე ფორმირებულ პრობლემაზე მოახდინონ რეაგირება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიკვეთა ფსიქიკური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების აუცილებლობა სკოლებში. სკოლებში ასეთი მომსახურებები მრავალ ფორმას იღებენ დღესდღეობით, დაწყებული პრევენციულიდან, დამთავრებული ინტენ-

სიური რეაგირებით. ამერიკის პედიატრთა აკადემიამ მოამზადა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სკოლებს სამდონიანი რეაგირების მოდელს სთავაზობს. მოდელი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე რეაგირების კატეგორიზაციას ახდენს საჭიროებისა და მომსახურების მიწოდების ინტენსივობის მიხედვით. პირველი დონე პრევენციულია. ის ზრდის მედეგობას და ყველა მოსწავლეს სთავაზობს სხვადასვა პროგრამას, რომლებიც მათ დაეხმარება რისკ ფაქტორების შემცირებასა და წარმატების მიღწევაში. ის ბავშვებს სთავაზობს პროგრამებს, რომლებიც რისკ-ფაქტორების შემცირებასა და მიღწევების ხელშეწყობას ემსახურება (AAP, 2004 (ჯენსონთან, 2016). მეორე დონე უფრო სპეციფიკურ მომსახურებებს სთავაზობს ბავშვებს, რომლებსაც უფრო იდენტიფიცირებადი ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებები აქვთ, თუმცა ნორმალურად ფუნქციონირებენ სკოლაში. ამ ბავშვებს სხვადასხვა მომსახურება მიეწოდებათ საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად. მესამე დონე ამ სამში ყველაზე ინტენსიურია - ბავშვები იღებენ სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა პროფესიონალისაგან. მომსახურების ასეთი კატეგორიზაცია ქმნის განგრძობითი ზრუნვის ჩარჩოს, რომელიც ინტერვენციაზე რეაგირების მოდელს შეესაბამება. ამ უკანასკნელს სკოლა დასწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა ადრეული ინტერვენციისა და მხარდაჭერისთვის იყენებს (Response-to-Intervention (RTI; ფუჩსი & ფუჩსი, 2006 ჯენსონთან, 2016).

## სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სფეროში

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, რა როლი აქვს სოციალურ ადვოკატობას მართლმსაჯულების სფეროში, ჯერ ის უნდა გავიაზროთ, თუ რა ფუნქცია აქვს სოციალურ მუშაკს ამ სისტემაში. ასევე უნდა მიმოვიხილოთ, რა დანიშნულება აქვს სასჯელს და სასჯელის მოხდის რა ფორმები არსებობს საქართველოში.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასჯელის დანიშნულებაა სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულის განმეორების თავიდან აცილება და დანაშაულის ჩამდენის რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

ეროვნული კანონმდებლობით, სასჯელი იყოფა საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელებად.

საპატიმრო სასჯელები თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს, რაც თავის მხრივ ანსხვავებს თავისუფლების აღკვეთას ვადიანად და უვადოდ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე ხორციელდება. დანაშაული კი კლასიფიცირდება შემდეგნაირად: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. არასაპატიმრო სასჯელები კი მოიცავს: ჯარიმას, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, გამასწორებელ სამუშაოებს, ქონების კონფისკაციას და თავისუფლების შეზღუდვას. არასაპატიმრო სასჯელთაგან ქართული მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი სიახლეა მართლმსაჯულების სისტემიდან პირის განრიდება. ეს უკანასკნელი არასრულწლოვნის შემთხვევაში ინტენსიურად გამოიყენება თუ იგი აღიარებს დანაშაულს, რომელიც პირველად ჩაიდინა, მზადაა ჩაერთოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში და აღასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რომელიც სწორედ სოციალურ მუშაკთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდება. სოციალური მუშაკების როლი გააქტიურდა როგორც სხვა არასაპატიმრო, ასევე საპატიმრო სასჯელის მოხდის პროცესში და უფრო მეტიც, სასჯელის მოხდის შემდეგაც. განვიხილოთ როგორ დაიწყეს სოციალურმა მუშაკებმა საქმიანობა მართლმსაჯულების სისტემაში ზოგადად და ჩვენში.

### სოციალური მუშაობის მოკლე ისტორია მართლმსაჯულების სფეროში

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1841 წელს, ნანილობრივ, სოციალურმა მუშაკმა და ნანილობრივ, მენალემ, ჯონ ავგუსტუსმა დაარწმუნა ბოსტონის სასამართლო მისი თავდების ქვეშ გამოეშვათ რამდენიმე მსჯავრდებული. ეს იყო დაკავების ალტერნატივის ფორმირების მცდელობა (ლინდენერი, 2006, შიიეტთან და კოლეგებთან, 2012).

1899 წელს კი ჯენ ადამსის მხარდაჭერით პირველი არასრულწლოვანთა სასამართლო იწყებს ფუნქციონირებას (შიეტი და კოლეგები 2012). სოციალური მუშაკების მართლმსაჯულების სისტემასთან თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდა მაშინ, როდესაც ჩიკაგოს პოლიციამ მათი დაქირავება დაიწყო (რობერტსი, 1997, შიეტიან და კოლეგებთან, 2012). მას შემდეგ ამერიკის ეროვნული სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად ლობირებს სასჯელის ალტერნატიული ფორმების დანერგვას, დიდი ზომის სასჯელალსრულების დაწესებულებების გაუქმებას და ნაცვლად ეფექტიანი სათემო მომსახურებების დანერგვას (სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის დელეგატთა შეკრება, 1973, შიეტიან და კოლეგებთან, 2012).

რიეგანის ადმინისტრაციის დროს, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სამართლიანობის საკითხები აქტუალიზდა, მართლმსაჯულების სფერო რეაბილიტაციიდან უფრო დამსჯელობით პოლიტიკაზე გადაერთო, სოციალური მუშაობაც ავტომატურად შესუსტდა ამ სფეროში (შიეტი და კოლეგები, 2012). ამის მიზეზად სხვადასხვა ფაქტორი დასახელდა, თუმცა ერთ-ერთი იყო მართლმსაჯულების სისტემაში სოციალურ მუშაკებსა და სხვა სპეციალისტებს შორის თანამშრომლობის პრობლემები. ამ მოვლენებს მოჰყვა სასამართლო სოციალური მუშაკების ეროვნული ასოციაციის შექმნა.

სასამართლო სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის ეთიკის კოდექსში მეორე სექცია ცალკე მუხლს (მუხლი 11) უთმობს სოციალური მუშაკის მოვალეობას, მის ეთიკურ ქცევებს და უფრო მეტიც, ვინმეს მხრიდან არაეთიკური ქმედების შემთხვევაში, მას შეტყობინების ვალდებულებასაც კი აკისრებს შემდეგი ჩანაწერით:

**[...]** პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ვალდებულია დასაქმებულის დამსაქმებლების ან კოლეგების მხრიდან არაეთიკური ქმედების თაობაზე განახორციელოს შეტყობინება შესაბამის უწყებაში და/ან პროფესიულ ორგანიზაციაში.

## სოციალური მუშაობის სპეციფიკა მართლმსაჯულების სისტემაში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ამ სექტორში 2004 წლიდან მოღვაწეობს, თუმცა თავდაპირველი მცდელობები არ იყო წარმატებული. ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის პროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაკები 2007 წელს გადამზადდნენ სასჯელალსრულების სისტემაში შესვლისათვის, თუმცა სისტემაში მათი დასაქმება 2010 წლამდე ვერ მოხერხდა. ეს კი ის პერიოდია, როდესაც პოლიტიკური ნება მოღვივდა იმისათვის, რომ სისტემა უფრო ჰუმანური გამხდარიყო. ამისთვის კი იქ მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც არა მხოლოდ სისტემაში ყოფნისას დაეხმარებოდნენ მსჯავრდებულებს ან პირობით მსჯავრდებულებს, არამედ სისტემიდან გასვლისათვის მზადებაში და გასვლის შემდეგაც. რამდენად ახერხებენ ამას კოლეგები ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია მათ კომპეტენციასა და სისტემის ღიაობაზეც, დაინერგოს ეფექტიანი მეთოდები, მიდგომები და პროგრამები, მაგრამ თავად ფაქტი, რომ რეფორმა დაიწყო, უდავოდ, მისასალმებელია. სოციალური მუშაკის როლზე მართლმსაჯულების სისტემაში შექმნილია პროფესიული ლიტერატურა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში პროექტის მხარდაჭერით, რომელიც იკითხება სამაგისტრო საფეხურზე.

არსებობს გარკვეული სირთულეები, რომლებსაც სოციალური მუშაკები მართლმსაჯულების სისტემაში აწყდებიან ზოგადად და ეს საქართველოშიც, ბუნებრივია, სახეზეა.

კოქსი (2016) საუბრობს კრიმინალური ქცევის განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე სოციალური მუშაკისა და სისხლის სამართლის სისტემის მუშაკებს შორის. სოციალურ მუშაკებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობა უნევთ არა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემაში, არამედ სხვა გარემოშიც, მაგალითად, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, როდესაც ბავშვს ან მის მშობელს, ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს კანონთან კონფლიქტი; სკოლებში, იმ ქვეყნებში, რომლებშიც სკოლაში სოციალური მუშაობა

აქტიურადაა განვითარებული, ასეთი ბავშვები სოციალურ მუშაკებს სკოლაშიც ყავთ მომსახურების მიმღებად; ჯანმრთელობის დაცვის სისტემაშიც და ა.შ.

განსაკუთრებით დიდია სოციალური მუშაკის როლი პატიმრობის დასაწყისსა და დასრულების წინა ფაზაში. შემზადება სისტემაში მობედრისთვის, იქაური ცხოვრების წესისადმი შეგუებისათვის, მოსალოდნელ სირთულეებთან გამკლავებისათვის სოციალური მუშაკის როლია. დიდია მისი ფუნქცია „გარეთ“ ცხოვრებისათვის შემზადებისას. ამისათვის არა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემის სტუმრებს სჭირდება შემზადება, არამედ მათ დამხვედრებსაც. ისეთ შემთხვევაში, თუ სისტემაში ყოფნისას ადამიანს ვიზიტორიც კი არ ჰყოლია, საგულისხმოა, რომ ის ისევ შეუერთდეს „ძველ მეგობრებს“, ამიტომ თემის დონეზე მისი ინტერესებისა და უფლებების ადვოკატობაც მნიშვნელოვანია გასვლამდე და გასვლის შემდეგაც.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები აქტიურად თანამშრომლობენ პროკურორებთან, მოსამართლეებთან, პოლიციელებთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის მუშაკებთან, თავად არიან მონმე ექსპერტები (expert witnesses), ავტორი საუბრობს (და ქართული რეალობაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას), რომ ისინი ხშირად საყვედურობენ სოციალურ მუშაკებს მათი ლოიალობის, თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გამო სასჯელაღსრულების სისტემის სტუმრებისადმი. ეს კი ხშირად დაძაბულობასაც კი იწვევს ერთ სისტემაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიული წარმომავლობის მქონე კოლეგას შორის.

კოქსი (2016) რამდენიმე მიზეზს ასახელებს ამ დაძაბულობის დემონსტრირებისათვის და ცდილობს პროფესიულ ტრილში გააკეთოს შედარებაც სისტემის სხვადასხვა თანამშრომლის როლზე. მისი აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზია ისტორიულად სოციალური მუშაობისა და მართლმსაჯულების სისტემის გენდერული მახასიათებლები. სოციალური მუშაობა ქალებით დომინირებული პროფესიაა, რაც ავტომატურად ზრუნვისა და მხარდაჭერის ფუნქციას მიაწერს

სოციალურ მუშაკს. მაშინ როდესაც მართლმსაჯულების სისტემაში მამაკაცები ჭარბობენ და მათი როლი ნაკლებადაა ასოცირებული შემთხვევაზე მუშაობაზე და მეტად გამოსასწორებელ, დამსჯელობით ფუნქციასთან.

მეორე მიზეზია ის, რომ სოციალური მუშაობა თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება პრაქტიკის თითოეულ დონეზე, იქნება ეს შეფასება თუ ჩარევა, ეს კი ხშირად არარელევანტურადაა მიჩნეული სისტემაში. სოციალურმა მუშაკებმა ფსიქოდინამიურ თეორიაზე დაყრდნობით დაიწყეს ინტერვენცია სისტემის სტრუქტურისთვის, შემდეგ კი კიდევ უფრო გააფართოვეს თეორიული ჩარჩო. მაშინ როდესაც სისტემის თანამშრომლების უმრავლესობა ვიწროდ გამოსასწორებელ სამუშაოზეა ორიენტირებული.

კიდევ ერთ მიზეზად კოქსი, ზოგადად, სარეაბილიტაციო სამუშაოსადმი ცინიკურ დამოკიდებულებას და მისი ზეგავლენის არაღიარებას ასახელებს. ავტორი თვლის, რომ ტრადიციულად არსებული სკეპტიციზმი სარეაბილიტაციო მუშაობის ეფექტიანობაზე თანდათან მცირდება და ამის დემონსტრირებაა ფსიქიკური პრობლემებისა და დამოკიდებულების შემთხვევაში სასამართლოს წინსვლა.

და ბოლოს, ავტორის აზრით, ამის მიზეზია ამერიკის შეერთებულ შტატებში პრობაციის ოფიცრების საკვალიფიკაციო მოთხოვნა (1975 წელს მათ მხოლოდ ბაკალავრის დიპლომი მოეთხოვებოდათ პრობაციის ოფიცრის თანამდებობაზე), რაც სოციალური მუშაობის განათლების დისკრედიტაცია იყო დამსჯელობითი მიდგომის დამკვიდრების სასარგებლოდ. პრობაციის ოფიცრებმა როლი სოციალური მუშაობის მანდატის მიღმა დაიმკვიდრეს. ამან კი სოციალური მუშაობის მიდგომის ნაცვლად აღსრულების ხისტი ფუნქცია დაამკვიდრა.

პრინციპში, საქართველოშიც სოციალურმა მუშაობამ დიდი გზა განვლო, სანამ სისტემის სხვა თანამშრომლები გაითავისებდნენ პროფესიის როლს და ზეგავლენის დიაპაზონს. ისიც რეალობაა, რომ პროფესიული მანდატის გააზრება კვლავ ტოვებს სივრცეს



განვითარებისათვის. დღესაც ხშირად საყვედურობენ სოციალურ მუშაკებს ლოიალობისა და რბილი დამოკიდებულებების, უფრო მეტიც, ბენეფიციართან ურთიერთობის ფორმების გამო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმსაჯულების სისტემა შეივსო, ძირითადად, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში მუშაობის გამოცდილების მქონე სოციალური მუშაკებით და ახალგაზრდა სოციალური მუშაკებისთვის ერთგვარი გამონწვევა იყო სხვა სამიზნე ჯგუფთან მუშაობის დაწყება, რაც ბუნებრივია. მით უფრო, რომ ამ სისტემაში სტუდენტების პრაქტიკის შეზღუდული ადგილები იყო ხელმისაწვდომი როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე ილიას უნივერსიტეტის პრაქტიკის სწავლების კომპონენტში. თუმცა ჯეროვანი პროფესიული ზედამხედველობის შემთხვევაში ეს შესაძლებელი აღმოჩნდა.

ზოგადად არ არის მარტივი ამოცანა, გაუმკლავდე ორმაგ პროფესიულ ფუნქციას: იყო მხარდამჭერი და ამავე დროს, მონიტორინგის როლსაც ასრულებდე. ბერნასკონიმ ასე ჩამოაყალიბა: სოციალური მუშაობის მანდატი მოიცავს კრიტიკული აზროვნების ზრდასა და ფიქრის ქმედებასთან აქტიურად დაკავშირებას (ფრიერი, 1972 შტაუბ-ბერნასკონთან, 2009), დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულ სათემო მუშაობას ან თემის ორგანიზებას (როსი, 1967, ბერესფირდი, კროფტი, 1993 შტაუბ-ბერნასკონთან, 2009), როგორც მთავარ თეორიულ სტრატეგიას, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალური ცვლილებისა და თემის სტრუქტურირების ტრანსფორმაციას (შტაუბ-ბერნასკონი, 2009:19). თუმცა კოლეგები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ სათემო მუშაობის მაკრო პრაქტიკის ელემენტები ჩვენს დროში თითქმის გაუჩინარდა, რადგან თემი გახდა მიკრო-პრაქტიკის ნაწილი და გადაიქცა სათემო ზრუნვად (ბატლერი, დრეიკფორდი, 2001).

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან უშუალო პრაქტიკის განხორციელება კი კიდევ უფრო ართულებს საქმეს. არ არის ადვილი, მაგალითად, ახალგაზრდებთან და არასრულწლოვნებთან მუშაობისას, მათი თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გარდა, არა მხოლოდ მათ, არამედ მათ მშობლებსა და/ან კანონიერ წარმომადგენლებს მუდმივად კანონის

წინაშე მათი პასუხისმგებლობების აღსრულებისა და ჩადენილი ქმედების ტვირთის ზიდვის სიმძიმის გააზრებისკენ მოუწოდებდე.

ამასთან, მართლმსაჯულების სისტემა საკმაოდ მძლავრი და მრავალფეროვანია და მასში მრავალი უწყება ერთიანდება. ყველა ამ უწყებას დამკვიდრებული ტრადიცია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის პროცესი მიმდინარეობს. ისტორიულად სისტემა ხომ, ძირითადად, იურისტებით იყო გაჭერებული და არცთუ ისე ადვილი ამოცანაა, იყო ამ სისტემაში სულ ახალი პროფესიული ჩანართი, გაუძღვე შენს საქმეს და თან პროფესიის ელჩობის ფუნქცია აღასრულო. ამიტომ მე ყველა სოციალური მუშაკისადმი ქედს ვიხრი და თანადგომას გამოვხატავ. არის ბევრი გამოწვევა და სირთულე, რომლებსაც ჩვენი თქვენნაირი კურსდამთავრებულები ყოველდღიურად აწყდებიან და ხშირად წარმატებითაც უმკლავდებიან.

სოციალური მუშაკის უმთავრესი ამოცანაა დანაშაულებრივ ქცევაზე ან დამოკიდებულებებზე და ამავე დროს, იმ სოციალური სირთულეების დაძლევაზე მუშაობა, რომლებიც ასეთ ქცევასა და დამოკიდებულებას განაპირობებს. წარმოიდგინეთ, რა რთულია ეს ერთდროულად, განსაკუთრებით, თუ უკანასკნელის დაძლევაზე მუშაობა სასჯელის ტვირთის შემსუბუქებადაა აღქმული სისტემის სხვა თანამშრომლების მიერ. რა განსაკუთრებული ადვოკატობის უნარ-ჩვევებია საჭირო იმისათვის, რომ კოლეგები საწინააღმდეგოში დაარწმუნო. შეგეძლოს იმის არგუმენტირებულად და ემპირიულ ცოდნაზე დაყრდნობით დასაბუთება, რომ ყოველი იზოლაციაში ყოფნის დღე ადამიანს იმდენად ახელოვნებს კრიმინალურ ქმედებასა და აზროვნებაში, რამდენადაც ამორებს სოციალური ფუნქციონირების შანსებს, მაგალითად, დასაქმების (კოქსი, 2016) ან რა უარყოფით ზეგავლენას უკავშირდება პატიმრობასთან ან ყოფილ პატიმრობასთან დაკავშირებული სტიგმა თითოეული ადამიანისათვის.

2018 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) კვლევამ გამოავლინა ქალ პატიმართა შფოთვა მათი წარსულისადმი საზოგადოების

კრიტიციზმის გამო: მიუხედავად იმისა, რომ მათ სასჯელი მოიხადეს, მათი დისკომფორტი საკუთარ თემში ცხოვრების გაგრძელების შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილის საბინაო პრობლემების მოუგვარებლობა, რადგან ქალ პატიმრებს არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით სასჯელის მოხდის შემდეგ გარკვეული ვადით თავშესაფარში ცხოვრების საშუალება ეძლევათ, თუმცა ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი ისევ იმავე პრობლემის წინაშე არიან. გამოდის, რომ ან სოციალური მუშაკების ძალისხმევაა გასაძლიერებელი მათი ბენეფიციარების ინტერესების დასაცავად, ან ბენეფიციარების გაძლიერება პრობლემების მოგვარების უნარჩვევების გასაძლიერებლად.

ასევე ძალიან აქტუალურია, ერთი მხრივ, სტიგმასთან გამკლავების მექანიზმის გაძლიერებაზე მუშაობა თავად ყოფილ პატიმრებთან, მეორე მხრივ, საზოგადოებასთან. ზოგიერთ ქვეყნებში სწორედ სოციალური მუშაკები ირაზმებიან ხოლმე ამგვარი კამპანიის კონცეფციის შესაქმნელად და საადვოკატოდ. მაგალითად, ცნობილია Ban the Box საადვოკატო კამპანია მოხდილი სასჯელის შესახებ დამსაქმებლის მხრიდან შეკითხვის ამოღებისათვის. მოგეხსენებათ, რა ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ვაკანსიაზე ადამიანის შესაფერისობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა მანამდე, სანამ დამსაქმებელი მისი წარსულში კანონთან კონფლიქტში ყოფნის ფაქტს არ შეიტყობს.

ასფალტერი (2014) ცდილობს სოციალურ მუშაკებს ახალი საჭიროებები, ახალი მეთოდები და მოდელები დაანახოს სოციალური პოლიტიკის შესაბამისად მომსახურებების მიწოდებისთვის. ის მოგვიწოდებს, რომ შევიმუშაოთ ახალი პერსპექტივები ადამიანთა ცხოვრებაში დადებითი ცვლილების მიღწევისა და ყოველდღიური არჩევანის გაკეთების ხელშეწყობისთვის. ასე სოციალური მუშაკები ადამიანებს დაეხმარებიან სოციალური გამოწვევების დაძლევაში და/ან სირთულეების არიდებაში, რომელთა სადავე ხშირად არის როგორც სტრუქტურულ ისე პიროვნულ პრობლემებში. მისი აზრით,

საზოგადოების დაკვალიანება „საჯარო ინტერესების პოპულარიზაციის გზით“ უნდა ხდებოდეს (API). ის გვაცნობს მომსახურებებში სოციალური მუშაობის ინტეგრირების მიდგომას, რომელიც არა მხოლოდ კლიენტის პრობლემების მოგვარებაზეა ფოკუსირებული, არამედ მთელი თემის შესაძლებლობების განვითარებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ თემმა მხარი დაუჭიროს თემის თითოეულ წევრს, თუ რასაკვირველია, რომელიმე მათგანის ქცევა და/ან დამოკიდებულება მეორის ინტერესებს არ ბღალავს. ასეთ შემთხვევაში კი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების გააზრებაში უნდა დაეხმაროს თემის ამ წევრს. ისიც უმნიშვნელოვანესია, რომ დაზარალებულ თემის წევრთა მიმართ პატრონაჟული დამოკიდებულება არ გამოამჟღავნოს სოციალურმა ადვოკატმა. ვიცით, რომ მოძალადე არის პირი, რომელმაც განახორციელა ძალადობრივი ქმედება, მსხვერპლი კი ამ ქმედების შედეგად ტრავმირებული ადამიანი. თუმცა, რადგან ტერმინს „მსხვერპლი“ უარყოფითი და უმწეო მდგომარეობაში მყოფის ელფერი დაჰკრავს, კოქსი (2016) გვთავაზობს ტერმინ „გადარჩენილის (survivor)“ გამოყენებას, რომელიც ადამიანის, რომელმაც მის მიმართ ძალადობრივი ქმედების მიუხედავად განაგრძო წინსვლა, ძლიერ მხარეებს უსვამს ხაზს. აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, სოციალური მუშაკი მოძალადეებს სასჯელის გააზრებაში მხარდაჭერას უწევს, ხოლო მსხვერპლს მოძალადის პატიების მცდელობაში ეხმარება. ამით ორივეს მხრიდან აქამდე დაუფიქრებელ საკითხებზე, მათ გამომწვევ მიზნებსა და შედეგებზე სხვაგვარად დაფიქრებას. მიზნები კი ხშირად იმ საზოგადოებაში ფესვგამდგარი პრობლემების, დამოკიდებულებებისა და სიტუაციების შედეგია, რაზეც ამ საზოგადოების ერთ წევრთან მუშაობა დიდს ვერაფერს მოგვითმის. ამიტომ, სათემო მუშაობა და თემის დონეზე სხვადასხვა საკითხის ადვოკატობა გარდამტეხი შეიძლება აღმოჩნდეს ამ საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების ინიცირებისათვის.

## პოზიციები, რომლებიც ჯერ კიდევ შესაჯერებელია

საზოგადოებაში, ისევე როგორც სოციალურ მუშაობაში, არის პოზიციები, რომელთა შემთხვევაშიც ჯერ კიდევ არ არის ერთსულოვნება. ასეთია, მაგალითად, დანაშაულის აღქმა სოციალური სტატუსის შესაბამისად. როგორ აღიქმებიან ადამიანები, რომლებმაც თუნდაც ეკონომიკური, დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინეს „წარმატების“ ძიებაში. ხშირად მათი დანაშაულებრივი ქმედება თავად კორპორაციის ხელმძღვანელების მხრიდანაც კი გამართლებულია ლიდერების პირადი სარგებლისა და კორპორატიული მოგების გამო (კოქსი, 2016). ავტორი გვთავაზობს, გავიაზროთ დამოკიდებულებები თეთრსაყელოიანი მუშაკისა და „კეთილდღეობის სისტემით მოსარგებლის“ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სახელმწიფო შემწეობების მიმღები პირები ამ შემწეობისადმი თავიანთ ხელმისაწვდომობას ასაბუთებენ მწირი ეკონომიკური რესურსების ფლობით და მათ ხშირად უწევთ „სისტემის გასურება“ იმის გამო, რომ საკუთარი თავი და/ან ოჯახი ეგზისტენციურ პრობლემებთან გაუმკლავებლობას გადაარჩინონ, მაშინ როდესაც კორპორატიული დანაშაული ხშირად უკავშირდება რესურსებისადმი სინუნკვს. მაინც სიღარიბე ავტომატურად პათოლოგიზირებულია ხოლმე და საზოგადოების დამოკიდებულებაც უფრო ხშირად უარყოფითია შემწეობის მიმღებთა მიმართ (კოქსი, 2016). თეთრსაყელოიან ბენეფიციართან მუშაობისას სოციალურ მუშაკს აქვს როგორც ეკონომიკური დანაკარგის, ასევე ნდობის საკითხების ირგვლივ სამუშაო და ლურჯსაყელოიან ბენეფიციართან მუშაობისას კი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების უფლებიდან დაწყებული, ღირსების აღდგენით დასრულებული.

გარდა ამისა, არის უამრავი საკითხი, რომლებზეც ჯერ არა მხოლოდ სისტემას, არამედ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებსაც კი არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია. მაგალითად, უნდა მოხდეს თუ არა ფსიქიკური პრობლემების ფონზე ჩადენილი დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. არც იმაზეა ჯერ შეთანხმება, თუ რამდენად ეფექტიანია მომსახურებების გამრავალფეროვნება ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე მსჯავრდებულებისათვის, სას-

ჯელადსრულების სისტემაში განთავსების სანაცვლოდ, თუნდაც ეს ბრდიდეს ხარჯს.

ახალგაზრდებში გაზრდილი ძალადობისა და გულგრილობის ფონზე, სოციალურ მუშაკებს ადვოკატობის კამპანიისაკენ პროფესია მოუწოდებს. ერთ-ერთ ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს კოლეგა - ავა-მუშავით ძალადობის საზომი სისტემები მედიასა და გასართობ აპარატებზე. მისი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია მშობლების მოტივირება, რომ აკონტროლონ შვილების მიერ ძალადობრივი გადაცემების ან თამაშების ყურება/მოხმარება.

სოციალური მუშაკები ხშირად ადვოკატობენ ტერმინალურად დაავადებულთა და სისტემის ხანდაზმული სტუმრებისათვის ვადაზე ადრე განთავისუფლებას (compassionate release). ეს არის პროგრამა, რომელიც ჯანმრთელობის მწვავე პრობლემების მქონე პირებს საშუალებას აძლევს, ცხოვრებიდან სასჯელადსრულების სისტემის გარეთ წავიდნენ. ამ იდეის ადვოკატების აზრით, ასეთი ადამიანების გამოშვება, რომლებიც აღარ წარმოადგენენ რაიმე საფრთხეს საზოგადოებისათვის, ეთიკური და მორალური გადმოსახედიდან გამართლებულია, ისევე როგორც პრაგმატული თვალსაზრისით, რადგან მათი პატიმრობის საფასური საზოგადოებისათვის სარგებელს აჭარბებს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სასჯელადსრულების სისტემაში ადამიანს ყოფა უფრო მონესრიგებული აქვს, ვიდრე იქიდან გამოსვლის შემდეგ. ეს განსაკუთრებით იმ პატიმრებს ეხებათ, რომლებსაც ჯანმრთელობის რაიმე პრობლემის გამო სისტემაში ყოფნისას უფასო მკურნალობა აქვთ, მაშინ როდესაც იქიდან გამოსვლისას მათ არც ასეთი პაკეტი მოყვებათ და არც ინფორმირებულნი არიან, ვის, სად და რა ვადაში უნდა მიმართონ, თუ, მაგალითად, მკურნალობის დასრულებისათვის ესაჭიროებათ მედიკამენტები ან ექიმის კონსულტაცია, მათ კი ამის ჯიბიდან გადახდის სახსრები არ გააჩნიათ. იგივე შეიძლება ითქვას იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ აქვთ სახლი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ არ იციან, თავი სად შეაფარონ. ამ შემთხვევებშიც სოციალური მუშაკის როლი დიდია არა მხოლოდ

კონკრეტული ადამიანისთვის ამ პრობლემების მოგვარებაში, არამედ ზოგადად ამ პრობლემის მოგვარებისათვის ადვოკატობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სათემო მომსახურებები დანაშაულის განმეორების ალბათობას ამცირებს, ისინი მაინც არ ვითარდება აქტიურად. მეტა-ანალიზის თანახმად, არასაპატიმრო სასჯელის მოხდის შემთხვევაში, დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია, ვიდრე საპატიმრო სასჯელის მოხდისას (ვილეთაზი, კილიასი, & ზოდერი, 2006; ჯენსონთან, 2016).

რა სპეციფიკური ინტერესები იკვეთება სასჯელალსრულების დანესებულებების ოპერირებაში? ჯენსენი ხაზს უსვამს მათი არსებობისადმი მრავალმხრივ ინტერესს. ის მზარდი პატიმრობის მიზგად ასახელებს სასჯელალსრულების სისტემაში დასაქმებულთა დიდ რაოდენობას (დანენბერგი, 2011 ჯენსონთან, 2016). ამას ემატება საკვების, უნიფორმების, საკომუნიკაციო საშუალებების მიმწოდებელთა სარფიანი საქმიანობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იაფფასიანი შრომის მიღებისაგან მანუფაქტორთა და საცალო მოვაჭრეთა სარგებელზე, რომელიც სასჯელალსრულების სტუმრებს მოაქვთ (უინტერი, 2008, ჯენსონთან 2016).

## სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

### რა იგულისხმება ჯანმრთელობის დაცვაში

კოქსი (2016) წარმოგვიდგენს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებას - „ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კარგად ყოფნა და არა მხოლოდ დაავადების არ არსებობა“ (ციტირებულია ბარკერთან, 2014:190). ამავე ორგანიზაციის მიხედვით, დაავადება, შეზღუდული შესაძლებლობები და სიკვდილი არის ადამიანის ცხოვრების სტილს, ბიოლოგიურ, გარემოებითსა და სოციალურ ფაქტორების შორის ურთიერთკავშირის შედეგი (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2003 კოქსთან, 2016).

ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რასაკვირველია, დამოკიდებულია სოციალურსა და ეკონომიკურ ფაქტორებზე და ამით განპირობებულ ჩვევებზე. მაგალითად, დაბალშემოსავლიანი ამერიკელები უფრო მარგინალიზებულნი არიან ეკონომიკურად და განათლების მხრივ, ვიდრე მათი ბრიტანელი, კანადელი და იაპონელი თანამედროვეები. მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჩამორჩება კანადელი, შვედი მოქალაქეებისას. უფრო მეტიც, მექსიკელ ამერიკელთა პარადოქსად წოდებული ფაქტია ლათინო ამერიკელთა სიღარიბეს, რასასა და ცუდ ჯანმრთელობას შორის კორელაციის არარსებობა. მექსიკელი ამერიკელი მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა 77 წელია, ქალებისა კი 83, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა (ლიი & მაკკონვილი, 2007 წენსონთან, 2016). მკვლევრების დასკვნით, ეს დადებითი შედეგი კვების, მჭიდრო სოციალური კავშირებისა და რელიგიური ფაქტორების დამსახურებაა.

სამედიცინო პერსონალი ხშირად დანიშნულების გაცემისას ან მანიპულაციების ჩატარებისას არ ითვალისწინებს პაციენტის დაბალ კოგნიტურ ფუნქციონირებას და არაინფორმირებულ თანხმობას იღებს მათგან, მათ მიერ ამ დანიშნულების და/ან მანიპულაციების შედეგების/საჭიროებების გააზრების გარეშე. არ არის გამართული სისტემა პაციენტის უფლებების დაცვის მხრივ. უდიერი მოპყრობისა და საექიმო ეთიკის დარღვევის ფაქტები ხშირად უყურადღებოდ სწორედ იმიტომ რჩება, რომ პაციენტი საკუთარი უფლებების შესახებ არ არის ინფორმირებული.

უამრავი კვლევა ჩატარდა სტრესსა და დაავადებას შორის კავშირის დადგენაზე (ალდვინი, 2007 კოქსთან, 2016). სოციალურ მუშაკებს არ შეუტანიათ ამ კვლევებში დიდი წვლილი, მაგრამ მათზე კარგად არავის შეუძლია კლიენტთა იმ კონდიციის იდენტიფიცირება, რომლის დროსაც მათ სოციალური ფუნქციონირების უნარი უქვეითდებათ. კლინიკის სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ კლიენტებს სტრესის მართვის უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების განვითარებაში დაეხმარონ და ოთხი ტიპის სტრესი გამოკვეთონ: დროის მართვასთან დაკავშირებული, მოლოდინის, საქმესთან/სიტუაციასთან/მოცემულობასთან განმკლავე-



ბისა და სიტუაციური სტრესი. მათ შეუძლიათ დაეხმარონ კლიენტს სიტუაციის შეფასებაში, რელაქსაციის ტექნიკების დასწავლაში, ემოციური ინტელექტის განვითარებაში და დროის მართვის უნარჩვევების განვითარებაში. სტრესის მართვაში მხარდამჭერის როლში, სოციალური მუშაკები კლიენტების ადვოკატობას ეწევიან მათი ოჯახისა თუ დამსაქმებლის წინაშე. სტრესულ გარემოში ცხოვრება ხშირად არაჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასაც და მიუღებელი ცხოვრების პირობების დანერგვასაც იწვევს, ამიტომ სოციალური მუშაკის ადვოკატობის ცოდნასა და ტექნიკებზე დიდწილადაა დამოკიდებული კლიენტის ცხოვრების ხარისხი.

ჯანდაცვისადმი (ისევე, როგორც სხვა სოციალური მომსახურებებისადმი) ხელმისაწვდომობა არის წამყვანი ინდიკატორი ჯანმრთელობის დაცვისათვის. ბარიერებს შორის კი სახელდება ფასი, ენობრივი ბარიერი, ფსიქიკური პრობლემების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, კონკრეტულ დაავადებებთან ასოცირებული სტიგმა და კულტურული ბარიერები. საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ განხორციელებულმა კვლევამ სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისას არსებული ბარიერების შესახებ (2011) ცხადყო თითქმის იდენტური ბარიერები. ქართული რეალობისათვის წამყვანი აღმოჩნდა მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა რეგისტრაციის პროცედურების შესახებ, მანძილი სოციალური მომსახურების სააგენტომდე ან დოკუმენტაციის არქონა, ენობრივი ბარიერი.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება გასული საუკუნიდან, განსხვავება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის მაინც საგრძნობია სოციალურად დაწინაურებულთა სასარგებლოდ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს განსაკუთრებით საგრძნობია შეძლებულ თეთრკანიან ამერიკელთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა რასის წარმომადგენელთა შორის შედარებისას. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით შეძლებულ აფრო-ამერიკელებს ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე მათ შედარებით ღარიბ

თანამოქალაქეებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შედეგებით ისინი მაინც ჩამორჩებიან კავკასიური რასის თანამოქალაქეებს (კავაჩი და კოლეგები, 2005 ჯენსონთან, 2016).

ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ენის ბარიერი ჯანმრთელობის პრობლემებზე რეაგირების, პრევენციული ღონისძიებების გატარების, მომსახურებების მიწოდების თუ ამ მომსახურებით კმაყოფილებისათვის. უფრო მეტიც, ამან შეიძლება სამედიცინო უზუსტობებიც კი გამოიწვიოს. ჯენსენი გვაცნობს დივის, კოსის, შმალტზისა და ლეობის (2007) კვლევას, რომელიც რენდომულად შერჩეულ ექვს ჰოსპიტალში ჩატარდა და ცხადყოფს, რომ ენის ბარიერის გამო გამოწვეულმა არასახარბიელო მოვლენამ პაციენტის ცხოვრებაში ჯანმრთელობის სერიოზული გაუარესება (ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილიც კი) გამოიწვია პაციენტთა 50 პროცენტში, მაშინ როდესაც ასეთი პრობლემები ასეთი ბარიერის არ მქონე პირების მხოლოდ 30 პროცენტში გამოაშკარავდა. ამის მიზეზი იყო არასრულად შევსებული ისტორიები, პაციენტის შეფასებისას მის საჭიროებებთან დაკავშირებული ინფორმაციის უზუსტობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამგვარი კვლევა არ ჩატარებულა, ყოველ შემთხვევაში მე ასეთს არ ვიცილობ, ენობრივი ბარიერი სხვადასხვა მომსახურების განწევსას ჩვენს კოლეგებს პრობლემებს რომ უქმნის, ეს ვიცით და დაადასტურა კიდევ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ. ამ გამოკითხვაში, კოლეგები სასჯელალსრულების თუ კეთილდღეობის სისტემიდან წუხან იმაზე, რომ ხშირად მომსახურების მიწოდება ვერ ხერხდება იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებიც ქართულად არ საუბრობენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროება იკვეთება. თუ მომსახურების მიწოდების აუცილებლობაში დარწმუნებულები ვართ, მაგალითად, პირობით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც ემოციების მართვის პრობლემა აქვს და მისთვის ამ მომსახურების მიღება სავალდებულოა, მაშინ აუხსნელი რჩება ამ მომსახურების მიღების გარეშე რა შედეგებიც შეიძლება მივიღოთ, ამის ტვირთს ვინ კისრულობს. ხოლო თუ ის რთული საზიდა, რატომ

ვერასოდეს მოხერხდა ამ მიზნით გამოწვეული მომსახურებების ხელმისაწვდომობის ბარიერის დაძლევა ვერც ცენტრალურ და ვერც ადგილობრივ დონეზე (სოციალური მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებული შეფასება, შშმპ-თა კოალიციის მიერ შშმპ-თა უფლებების კონვენციის ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადებისთვის, 2017).

ამერიკის შეერთებულ შტატებში Medicare და Medicaid ცდილობენ წაახალისონ ჰოსპიტალური სისტემისა და სათემო მომსახურებების დაკავშირება. ისინი ფინანსურად აჯარიმებენ ჰოსპიტალს, თუ პაციენტი განერიდან 30 დღის განმავლობაში უკან დაბრუნდება. ეს რეგულაცია ჰოსპიტალს უბიძგებს დაინტერესდეს პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობით, საბინაო პირობებით, სოციალური მდგომარეობით, სათემო ცხოვრებით, დიეტით, იმით, თუ მედიკამენტების მიღება/შეძენის რა საშუალებები აქვს, ჯანმრთელობისათვის საზიანო ჩვევები ხომ არ აქვს.

ამასთან, კანონმდებლობით ავტომატურად არ იცვლება სოციალურ ცხოვრებაში დამკვიდრებული წესები, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ ადამიანის ჯანმრთელობაზე. მაგალითად, თამბაქოს მოხმარების წესი. სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური ნორმების ცვლილებას ერთი და იგივე დრო არ სჭირდება, თუმცა სრულიად განსხვავებული ქვეყნები ზოგჯერ გასაკვირად იდენტური შემართებით უძალიანდებიან ცვლილებას. ამიტომ ზოგიერთ ქვეყნებში აღსრულების წესები მკაცრდება საერთო პრობლემების სასიკეთოდ შეცვლისათვის. სოციალური ნორმების ცვლილების ინიცირებაში სოციალურ მუშაკს დიდი როლი აქვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესმა 2009 წელს თამბაქო ნარკოტიკულ ნივთიერებად განსაზღვრა, შედეგად მოწვეა ან მისი პროპაგანდა/გაყიდვა აიკრძალა სკოლებთან, უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა თავმეყრის ადგილებში. 43 შტატი უფლებას ანიჭებს დამქირავებელს, არ დაასაქმოს მწვეელი ადამიანი, ბევრი კრძალავს საზოგადოებრივი თავმეყრის ადგილებში მოწვეას, რადგან მეორადი გამონაბოლქვის ზიანი აარიდოს არამწვეელებს. ჩვენში კი მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს მოწვეა აიკრძალა რესტორნებში, კაფეებში და ა.შ. ბევრია

უკმაყოფილო ამ წესით და მაინც ხშირად წააწყდები სცენას, როდესაც, მაგალითად, პარკებში, სადაც უამრავი ბავშვია, ამ უკანასკნელთა თანმხლები ზრდასრულებიც კი ეწევიან და მათ არავინ მიუთითებს ამგვარი ქცევის შეწყვეტაზე.

## სოციალური მუშაობის მოკლე ისტორია ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში

ჯანდაცვის სოციალური მუშაობა 1905 წელს განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად, როდესაც ბოსტონის მასაჩუსეტისის ჰოსპიტალში ექიმი რიჩარდ კაბოტმა დაიწერა დინამიური სოციალური მუშაკი, იდა კენონი. აქედან დაიწყო ჯანდაცვის სისტემის ჰუმანიზაცია და პაციენტების ჰოსპიტალიზაციის გამოცდილების გაუმჯობესება, მათი დაკავშირება სათემო მომსახურებებთან. 1918 წელს დაარსდა ჰოსპიტალური სოციალური მუშაობის ასოციაცია და დაიწყო საკუთარი ჟურნალის გამოშვება. 1929 წელს კი ჯანდაცვის სოციალურ მუშაობაში პირველი ათი კურსი განვითარდა. არაპირდაპირი სოციალური მუშაობის პრაქტიკა კი სოციოლოგ - ჰომერ ფოლკს უკავშირდება. მან, სოციალურ მუშაკებთან, იდა კენონთან და გრეის აბოტთან, ერთად, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების არიდებისათვის თემის დონეზე სანიტარიის, შესაფერისი საბინაო პოლიტიკისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ადვოკატობის კამპანიები წარმართა.

საქართველოში აღიარეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სოციალური მუშაკის როლი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. პირველი ჯანმრთელობის დაცვის სოციალური მუშაკებიც სწორედ ამ სფეროში გამოჩნდნენ. სოციალური მუშაკის როლი აღიარეს ტუბერკულოზის ცენტრშიც და ჰოსპისებშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ამ სფეროში სოციალური მუშაობა არ არის განვითარებული.

## სოციალური მუშაკის ადვოკატობის როლი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში

სოციალური მუშაობის განათლების საბჭოს (CSWE) იდენტიფიცირებული აქვს სოციალური მუშაობის ათი კომპეტენცია აკრედიტირებული სამაგისტრო პროგრამების სოციალური მუშაკებისთვის, რაც ავალდებულებს მათ განვივითარონ კვლევითი უნარ-ჩვევები პრაქტიკის განხორციელებისა და პრაქტიკით კვლევის ინფორმირებისათვის.

მინიმუმ, საბაკალავრო ხარისხის საჭირო სოციალური მუშაკისათვის, რომ მან ამ სამიზნე ჯგუფთან მუშაობა დაინცოს. საბაკალავრო ხარისხის მქონე სოციალური მუშაკები მუშაობენ ქცევით ასისტენტებად და გენერალისტ კონსულტანტებად ამ სფეროში. მაგისტრის ხარისხის მქონე სოციალური მუშაკები კი მუშაობენ კონსულტირებაზე, მათ უნდა ესმოდეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპები და მეთოდები, შეეძლოთ კლიენტების რეაბილიტირება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სოციალური მუშაკი იწოდება კლინიკურ სოციალურ მუშაკად, ფსიქიატრიის სოციალური მუშაკად, ფსიქოთერაპევტად, ქცევითი ჯანმრთელობის ზრუნვის სპეციალისტად.

**იდეალური ფსიქიკური ჯანმრთელობა მოიცავს შემდეგს (მაკლეოდი, 2014 კოქსთან, 2016):**

- ◆ რეალობის აღქმა;
- ◆ ავტონომია და თავისუფლება;
- ◆ ზრდისა და განვითარების უნარი;
- ◆ გარემოსთან, ყოველდღიურობასთან გამკლავების უნარი;
- ◆ პოზიტიური ურთიერთობები;
- ◆ საკუთარი თავის პოზიტიურად აღქმა.

ფსიქიატრიაში სოციალურ მუშაობას ლიცენზირებული სოციალური მუშაკები ახორციელებენ. ისინი პასუხისმგებელნი არიან შეფასებაზე, დიაგნოსტიკაზე, მკურნალობაზე (ტერიოტი & ლოდატო, 2012 კოქსთან, 2016). მათ ევალებათ ფსიქიკური აშლილობების მქონე კლიენტთა ოჯახის წევრებთან მუშაობაც, რომ მათ აღმოუჩინოს მხარდაჭერა, გაუმკლავდნენ თავიანთი ოჯახის წევრის ფსიქიკურ აშლილობას.

ჯანდაცვის სოციალური მუშაკების მიზნები ამერიკის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალურ მუშაკთა პრაქტიკის სტანდარტებშია ასახული. მაგალითად, საგანგებო ოთახების (კოქსი, 2016) სოციალური მუშაკები კარგად დატრენინგებულები არიან კრიზისის ინტერვენციაში, მათ შეუძლიათ სწრაფი შეფასება, რადგან იქ ხვდებიან ძალადობის, მოულოდნელი მოვლენების, კატასტროფების მსხვერპლნი დამოკიდებულების მქონე პირები.

### **მაგალითი განხილვისათვის N6**

როდესაც დედაჩემთან ერთად პატარა, უსუფთაო და ხალხით გადატვირთული კლინიკის მოსაცდელ ოთახში ვიჭექე, ჩაფიქრებული ვიყავი იმაზე თუ რატომ წამომიყვანა დედამ ასე შორს კლინიკაში, სადაც აგერ უკვე 45 წუთია ველოდებით რიგს. ბოლოს დედას ვკითხე ამის მიზეზი და მიპასუხა, რომ აქ ესპანურად საუბრობენ და მას ექიმთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება ექნება, მისთვის ფასებიც მისაღებია. არადა, დედას ყოველთვის მიყვებოდით მე და ჩემი ძმა საკმაოდ რესპექტაბელურ კლინიკებში, თარჯიმნობასაც ვწვევდით ექიმთან კომუნიკაციისას, როდესაც კი ამის საჭიროება დადგებოდა. მაგრამ დედამ მითხრა, რომ მისი დაავადებებისა და შეგრძნებების დეტალებზე თარჯიმნის გავლით, თუნდაც ეს შვილი იყოს, კომუნიკაცია უხერხულია და თან სრულად მაინც ვერ გამოხატავს მის საჭიროებებსა და შეგრძნებებს.

ამ საუბარში რომ ვართ, უცებ ექთანმა დედას სახელი და გვარი დაიძახა. ჩვენ სასწრაფოდ მისკენ გავეშურეთ და სანამ მივუახლოვდით, მან უცებ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით დედას დაავადება ხმამაღლა წარმოთქვა, ისე რომ ის ყველამ - მთელმა მომლოდინეთა ჯგუფმა გაიგო.

დედამ უხერხულად დაუდასტურა, თან მიმოიხედა იმის გასარკვევად ხომ არ გაიგებდა ვინმე მის ჩივილებს. მე გავაფთრდი და ექთანს ხმამაღლა მივუთითე, რომ დედაჩემის პერსონალურ ინფორმაციას კონფიდენციალურად დაცვა სჭირდება. მერე დედას ვუთხარი, რომ ამას ასე არ დავტოვებდი და საჩივარს ფორმალურადაც დავწერდი. დედამ მთხოვა ეს არ გამეკეთებინა, რადგან ასეთ შემთხვევაში, ის ჰოსპიტალში ვეღარ დაბრუნდებოდა, არადა ეს მისთვის ყველაზე მისაღები სამედიცინო დაწესებულება იყო შორიასლოს, რადგან მისთვის გასაგებ ენაზე საუბრობდნენ და შედარებით იაფიც იყო. და, იმის განცდა, რომ მას დამოუკიდებლად შეეძლო მის პრობლემასთან გამკლავება მისთვის მნიშვნელოვანი იყო.

ჰოსპიტალი უმწეობის განცდით დავტოვე, თან გაშმაგებული ვიყავი, როგორ ვერაფრით შემეძლო დედასთვის ხელმისაწვდომ და კულტურულად კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების უფლების დაცვა (ჯენსონი, 2016).

ხშირად ჯანდაცვის სოციალური მუშაკები ემსახურებიან იმიგრირებულებს, ასაკოვნებს, ლტოლვილებს, რომლებსაც სტრესის, დეპრესიისა და შფოთვის მაღალი დონე აქვთ. სოციალურ მუშაკთა დიდი დამქირავებელია ვეტერანთა ჰოსპიტლები, რადგან შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ხშირად ტრავმირებული, ფიზიკური იარებით და შეზღუდული შესაძლებლობებით ბრუნებიან შინ. გრძელვადიან ზრუნვაში სოციალური მუშაკები შეფასების, გამონერისთვის მზადებას, კონსულტირებას და საგანმანათლებლო სესიებს აწოდებენ კლიენტს. მხარდაჭერას უწევენ კლიენტის ოჯახის წევრებს კონსულტირებისა და საგანმანათლებლო სესიების სახით. ჰოსპიტებსა და პალიატიურ ზრუნვაში სოციალური მუშაკები

ტკივილის შემსუბუქებაში, მძიმე დაავადებების სიმპტომებისა და თანმხლები ტკივილების მართვაში არიან დახელოვნებული.

დახმარება სჭირდებათ დაზღვევის სისტემაში გარკვევასა და დაზღვევის პოლიტიკის რთული ენის ინტერპრეტაციაში. ხანდაზმულებს სოციალური მუშაკი მხარს უჭერს, თემში დარჩენენ და საჭიროებების დაკმაყოფილება თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების საშუალებით ისწავლონ, ისარგებლონ სათემო მომსახურებებით.

### **მაგალითი განხილვისათვის N7**

ლოს ანჟელეს ტაიმსი (მოროკო, 2007) გვიამბობს ზრუნვის სისტემის ფრაგმენტულობაზე.

22 წლის ორსული უსახლკარო ქალი, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, ორი „სამარიტელის“ წყალობით ჰოსპიტალში მოხვდა. მათ ქალი ქუჩაში იპოვეს, სადაც ის შიშველი რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა.

ტესტირებისა და გამოკვლევების შემდეგ, ქალს ფსიქიკური პრობლემების გარდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ პრობლემა არ აღმოაჩნდა. ქალს უარი უთხრეს კლინიკაში დარჩენაზე, რადგან კლინიკა არ იღებდა 8 კვირაზე მეტი ხნის ორსულებს. ჰოსპიტლის თანამშრომლებმა ირგვლივ მყოფ ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველა ცენტრს გაუგზავნა ინფორმაცია ქალის მდგომარეობისა და ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა არავინ გამოეხმაურა.

ქალს, წასასვლელი არსად ჰქონდა. მისი სახელისა და გვარის დადგენის შემდეგ, როგორც იქნა აღმოაჩინეს მისი ძმა, თუმცა მან უარი თქვა დის მიმართ რაიმე ვალდებულების აღსრულებაზე.

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს ხშირად დისკომფორტი აქვთ ჯანდაცვის მომსახურების მიღებისას. ამის მიზეზი ზოგჯერ არის სამედიცინო პერსონალის დაბალი მგრძნობელობა



განსხვავებულობებისადმი ან ის, რომ ამ უკანასკნელთ არ აქვთ დრო ხისტი სამედიცინო პროცედურების მიღმა მათ კარგად ყოფნაზე ზრუნვისთვის. ასეთ გარემოში სწორედ სოციალური მუშაკია ამ ადამიანთა უფლებების ადვოკატი.

სოციალურ მუშაკებს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის დახვეწისათვის ადვოკატობაც მართებთ. გარემო პაციენტზე ზემოქმედებს. სულ უფრო მეტი კვლევა ამტკიცებს, რომ წყლისა და სიმწვანის ფონზე მკურნალობა უფრო ეფექტიანია, ვიდრე დასურათებულ ან საერთოდ სურათის გარეშე პალატებში (ფრანკლინი, 2012 ჯენსონთან, 2016).

ჯანდაცვის სოციალური მუშაკი მნიშვნელოვანია იცნობდეს სამედიცინო ტერმინოლოგიას, სამედიცინო პერსონალის ფუნქციებს, დაავადებისა და ჯანმრთელობის ბიო-ფსიქო-სოციალურ-კულტურულ და სულიერ ასპექტებს. ის უნდა ფლობდეს კრიზისის ინტერვენციის უნარებს, კონსულტირების უნარ-ჩვევებს და, რაც მთავარია, უნდა ჰქონდეს კულტურულად კომპეტენტური მკურნალობის, განწერის გეგმისა და სათემო რესურსების შესახებ ცოდნა.

## მაგალითი განხილვისათვის N8

ბრონქსის ერთ-ერთ კლინიკაში დაბალშემოსავლიან პაციენტებს ბიოფსიის შედეგები კიბოს საწყის ეტაპს აუწყებდა. არადა, პაციენტები შედეგების წასაღებად არ მოვიდნენ კლინიკაში. კლინიკის ექთანს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს არ ევალუბოდა, ეთიკური პრინციპების დაცვის პასუხისმგებლობამ გადანყვევტინა ამ პაციენტებისათვის შედეგები შეეტყობინებინა.

კლინიკაში არ მოიპოვებოდა ამ პაციენტების ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია, რადგან მათ ტელეფონები არ ჰქონდათ და ისინი ხშირად იცვლიდნენ მისამართს. ექთანმა შემოიარა სავარაუდო მისამართები, მან პაციენტთა უმრავლესობას მიაგნო და დაარწმუნა ისინი რომ კლინიკაში მოსულიყვნენ და მკურნალობა დაეწყოთ (ჯენსონი, 2016).

ჯანმრთელობის სისტემის სოციალური მუშაკები ეხმარებიან ადამიანებს ბიო-ფსიქო-სოციალურ-სპირიტუალური მიდგომით საკუთარი საჭიროებების მობილიზებაში ავადობის დასაძლევად. ისინი ხშირად სპეციალიზდებიან ინტეგრირებულ მედიცინაში, რაც გულისხმობს პაციენტის მკურნალობას როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული მეთოდებით. სოციალური მუშაკები, ძირითადი სპეციალობის მიღმა, ირჩევენ ჰოლისტურ ჯანმრთელობას, როგორც არჩევით სპეციალობას და იღრმავებენ ცოდნას აკუპუნქტურასა და ჰერბალურ მედიცინაში.

## **სოციალური ადვოკატობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში**

მედიცინის მუშაკები ბევრ ქვეყანაში შეჩვეულნი არიან დამოუკიდებლად ფუნქციონირებას, რადგან მულტიდისციპლინური მუშაობის პრაქტიკა არ ჰქონიათ. მათთვის არ არის ცნობილი ფსიქიკური ჯანმრთელობის ინტეგრირებული მოდელი (MHI), რომელიც ეფექტიანად ეხმარება დეპრესიის პრობლემის მქონე ადამიანებს (რეის-ბრენანი, 2006 ჯენსონთან, 2016) ან გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული ქრონიკული დაავადებების მართვის მოდელი (CDM) (ბაუერი & გასკი, 2002 ჯენსონთან, 2016).

დაბალშემოსავლიან ხალხს შფოთვის, დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის მეტი პრობლემები აქვთ, ვიდრე შეძლებულებს. ასევე მაღალია მათი თვითმკვლელობის მაჩვენებელიც. მათ ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებების, კონსულტირებისა და მედიკამენტების შეძენისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ. მკვლევართა აზრით, სიღარიბესა და დაბალ შემოსავალთან დაკავშირებული სტრესი, ღარიბ სამეზობლოში ცხოვრების პირობები განაპირობებს ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემის მაპროვოცირებელია.

ადამიანები ქრონიკული დაავადებებითა და ნივთიერებებზე დამოკიდებულებებით უფრო ხშირად არიან ღარიბები, რადგან ეს მდგომარეობა თავისთავად არის შფოთვის, დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური პრობლემების ხელშემწყობი (ბარი, 2008 ჯენსონთან, 2016). ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებები, ტრადიციულად, ჯანმრთელობის სისტემის „გერად“ არის აღიარებული (ჯენსონი, 2016:296).

## მაგალითი განხილვისათვის N9

37 წლის ქალი, შიზოფრენიის [...] დიაგნოზითაა 22 წლიდან. მას დიდი, მზრუნველი და მოსიყვარულე ოჯახი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ მედიკამენტებსაც იღებს და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშაც არის, პერიოდულად მაინც აქვს ხოლმე დესტრუქციული ქცევა, რაზეც ოჯახის წევრები და ახლობლები ძალიან წუხან. ხშირად ის ადამიანებს ეჩხუბება, რადგან „წყინს, რომ ასეთი უნმანური სიტყვებით მიმართავენ“. პერიოდულად მეზობლები აღიზიანებს, რადგან მისი აზრით, ისინი მისდამი მტრულად არიან განწყობილნი.

მშობლებიცა და და-ძმაც ძალიან შეშფოთებულები არიან მისი მდგომარეობით. არადა ხელს არ აკლებენ მასზე ზრუნვას. ჩვეულებრივ, ქალს ძალიან უყვარს ახლობლებთან ერთად პარკში სეირნობა, ეზოში საუბარი, ტელევიზორის ყურება, თუმცა ამჟამად იმდენად გაღიზიანებულია, რომ დედასაც კი არ იკარებს. არადა დედა მისი მთავარი მზრუნველია - დილიდან საღამომდე მასთანაა. სოციალური მუშაკი ოჯახს სხვადასხვა ვერსიას სთავაზობს, მათ შორის სტაციონირებას. მას დედის მდგომარეობაც ადარდებს, რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში შვილს საერთოდ არ სცილდება. დედას კი ყველაზე მეტად სჯერა რომ ქალი კარგად გახდება, როგორც კი თავიანთ სოფელში არსებულ სასწაულმოქმედ ტაძარში მივა. ქალი კი სუსტადაა და ამის საშუალება არ აქვს.

რამდენიმეწელიწადში ქალმა დაიწყო ახალი არაფსიქოტროპული ნივთიერების მიღება და სარეაბილიტაციო პროცესშიც ჩაერთო. მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ქალი იმდენად გამოკეთდა, რომ მისმა მდგომარეობამ ახლობლების მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

ამერიკის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიხედვით, ფსიქიკური ჭანმრთელობის მქონე პირებს მომსახურებების, რესურსების და საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, ღირსეული მოპყრობისა და თვითგამორკვევის და მკურნალობაზე უარის თქმის უფლება აქვთ და ამით სარგებლობენ კიდევ. საქართველოს სოციალურ მუშაკთა

ასოციაციის შეფასებამ, რომელიც 2017 წელს ჩატარდა, თუ რამდენად ახერხებენ სოციალური მუშაკები შშმპ-ის უფლებების დაცვას, პესიმისტური სურათი გვიჩვენა. აღმოჩნდა, რომ სპეციალისტები ბენეფიციართა უფლებების არა თუ დაცვას, არამედ ამ უფლებების რეალიზაციისათვის ადვოკატობასაც კი ვერ ახერხებენ ისე, როგორც მათ ეს ევალუბათ, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში იაზრებენ ამ ვალდებულებას (სოციალური მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებული შეფასება, შშმპ-თა კოალიციის მიერ შშმპ-თა უფლებების კონვენციის ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადებისთვის, 2017)

მკვლევართა აზრით (ტერიერი & ბაროუკლაფი, 2003), თანამშრომლობისა და თანასწორობის გარეშე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებსა და ექიმებს შორის პატერნალიზმის და სტიგმატიზაციის დიდი რისკია. ცნობიერება ფსიქიკური პრობლემების შესახებ დაბალია არა მხოლოდ საქართველოში. მაგალითად, 2011 წელს, კელი ტომასი, 37 წლის უსახლკარო მამაკაცი შიზოფრენიის დიაგნოზით, სიკვდილამდე სცემეს პოლიციელებმა (ლოპეჯი, 2011 ჯენსონთან, 2016). მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის თანამშრომლები დატრენინგებულები იყვნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებთან კომუნიკაციაში, სწავლება არასაკმარისი აღმოჩნდა. მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენლები უფრო ხანგრძლივ ტრენინგს გადიან და ამასთან, განახლებული მიდგომებით, მაგრამ აღმოჩნდება ხოლმე, რომ მეტია საჭირო, რადგან ერთ დროს ნასწავლი კვლევებისა და პრაქტიკის შედეგად იცვლება. ეს, რასაკვირველია, დამსაქმებლის ვალდებულებაცაა და თავად სპეციალისტისაც.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ (სტურარტი & არბოლედა-ფლორეზი, 2011, ჯენსონთან, 2016) ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენთაგან მხოლოდ 3 პროცენტს აღენიშნება აშლილობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ნივთიერებაზე დამოკიდებულებასთან, ხოლო მწვავე ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები 14-ჯერ მეტად არიან ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლის როლში, ვიდრე დამნაშავეების (Brekke,

Prindle, Bae, & Long, 2001 in Jansson, 2016). მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენების ეფექტიანობაზე თითქოს უკვე ბევრს აღარ კამათობენ (კირკი, 1990; მულენი & ბეკონი, 2000; უიესმანი & სანდერსონი, 2001 ჯენსონთან, 2016), თუმცა ისიც ფაქტია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მას თავს არიდებენ. ამის მიზეზი ხშირად არის არასაკმარისი ტრენინგი მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის პროცესზე, განათლების ნაკლებობა ემპირიულად განმტკიცებული მკურნალობის სპეციფიკაზე, სათემო მომსახურებებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღიარების ნაკლებობაზე (ბელანი და კოლეგები, 2008; ბლედოუ და კოლეგები, 2007; ბრევე, ელი & პალინკასი, 2007 ჯენსონთან, 2016), დამკვიდრებული პრაქტიკის განხორციელების ჩვევაზე (კოჰენი და კოლეგები, 2008 ჯენსონთან, 2016), კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის უუნარობაზე (ბელანი და კოლეგები, 2008; მურეი, 2009 ჯენსონთან, 2016).

გამაფრთხილებელი/ყურადსაღები ძალადობრივი ქცევის ნიშნები ხშირად ექიმისათვის შეუმჩნეველიც კი რჩება, თუ კლიენტი პირდაპირ და აშკარა მუქარაზე არ გადადის. სასჯელაღსრულების სისტემის ფსიქიატრი, ექიმი სტოუნი, ამბობს, რომ მასობრივი მკვლელობის ჩამდენნი ხშირად არიან საშუალო კლასის მამაკაცები, რომლებიც სამსახურიდან დაითხოვეს ან არიან სხვაგვარად დამცირებულნი. თუმცა ფსიქიკური პრობლემები, თავისთავად, არ შეიძლება მივიჩნიოთ ძალადობრივი ქცევის განმაპირობებელ ფაქტორად. კოლუმბიის უნივერსიტეტის კანონის, ეთიკისა და ფსიქიატრიის განყოფილების ხელმძღვანელი ამბობს, რომ ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენთაგან მხოლოდ 4 პროცენტს აქვს ფსიქიკური პრობლემები. სტოუნის მიხედვით კი, მასობრივი მკვლელობების ჩამდენთაგან ფსიქიკური პრობლემები მხოლოდ 20 პროცენტში ვლინდება (კარეი & შარტოკოლისი, 2013 ჯენსონთან, 2016).

მნიშვნელოვანია, ფსიქიკური პრობლემების ადრეული ეტაპზე იდენტიფიცირება და მასთან განმკლავებაც უფრო იოლი გახდება როგორც თავად ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანის, ასევე

მისი ახლობლებისათვის. პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტები არიან სისტემაში პაციენტის პირველი შემხვედრები. სწორედ ეს აძლევს მათ საშუალებას, ადრეულ ეტაპზე ამოიცნონ ფსიქიკური პრობლემები, გაათვითცნობიერონ პაციენტი და მისი ოჯახის წევრები ქცევითი ჯანმრთელობის შესახებ, საჭიროებისამებრ განახორციელონ რეფერირება შესაბამის ადრესატთან. ინტერირებული ჯანმრთელობის მოდელი პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტებს ადამიანის მთლიანობაში დანახვისაკენ მოუწოდებს, ეს კი გულისხმობს ფსიქიკური, ფიზიკური და ქცევითი ჯანმრთელობის ერთ მთლიანობად აღქმას.

### მაგალითი განხილვისათვის N10

ფსიქოლოგიური აშლილობების დიაგნოსტირებისა და სტატისტიკის სახელმძღვანელოს (DSM) განახლების პროცესში, განიხილებოდა პრედიანოსტიკური რისკ ჯგუფის აშლილობების ან „კატეგორიის“ მოცვა. განსაკუთრებით, ფსიქოზების სიმპტომებით, რაც დროის შემდეგ შესაძლოა ფსიქიკური აშლილობების კატეგორიაში მოექცეს.

რისკ კატეგორიის ინკლუზიის მომხრეები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ „ადრეული ინტერვენცია ფსიქოზების განვითარების პრევენციას მოახდენდა“, მაშინ როდესაც სხვების აზრით, „დაავადებულისა და არადაავადებულის განსხვავება რთულია“, რაც ცრუ დადებითი დიაგნოზების ოდენობას გაზრდიდა (კარპენტერი, 2009. გვ.841, ჯენსონთან, 2016:308).

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისთვის სკრინინგის პრაქტიკა დანერგილია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (მაგალითად სპეციალური კითხვარით დგინდება დეპრესიის დონე), კარპენტერი (2009) კოლეგებს მოუწოდებდა იმის კარგად გააზრებას, თუ რამდენად გადაწონიდა ადრეული დიაგნოსტირებით მიღებული შედეგების საფუძველზე ფსიქოზების განვითარების შემცირების სარგებელი ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანის იარლიყის მინიჭებას, როცა ჯერ არ არის დადგენილი ასეთი აშლილობა განვითარდება თუ არა საერთოდ.

სოციალური მუშაკები აქტიურად მუშაობენ შშმპ-თან და მათ ოჯახებთან. სოციალური მუშაკი შშმ კლიენტს ოთხ საკითხში უწევს მხარდაჭერას: სამოქალაქო უფლებებში, შემოსავლის უზრუნველყოფაში, განათლებასა და რეაბილიტაციაში, კონსულტირებაში. ყოველ ამ სიტუაციაში კი მიზანი დამოუკიდებელი ცხოვრების სტილზე გადასვლის ხელშეწყობა უნდა იყოს. შშმპ-ს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, აღარ სურთ ზრუნვის პასიურად მიმღების როლში ყოფნა.

დიდია სოციალურ მუშაკთა როლი დამოკიდებულებების მქონე პირებთანაც. მათ დამოკიდებულებების დაძლევის სფეროში ეკოლოგიური პერსპექტივით მუშაობა მართებთ. ისინი არა მხოლოდ ადამიანის დამოკიდებულებაზე არიან ორიენტირებულნი, არამედ მათ ეხმარებიან ოჯახთან, სამეგობლოსთან, სოციალური მხარდაჭერის სისტემებთან ურთიერთობების ფორმირებაში. მათთან სამუშაოდ სოციალურ მუშაკებს სჭირდებათ არა მხოლოდ დამოკიდებულებების დაძლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და ცოდნა, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებისაც, როგორც ხშირად თანმხლები პრობლემებისა. მათ უწევთ დამოკიდებულებების მქონე პირების ოჯახის წევრებთან მუშაობაც.

## მაგალითი განხილვისათვის N11

ფლორიდაში კეთილდღეობის მომსახურებებით მოსარგებლებს ნარკოტეგისტრების ვალდებულება დაუწესდა. ამიდეის მომხრეთა აზრით, ამ ინიციატივის შედეგად, გამოაშკარავდებოდნენ დამოკიდებულების მქონე პირები და კეთილდღეობის მიმღებთა რიცხვიც შემცირდებოდა. შტატის მონაცემებმა ცხადყო, რომ ვერ მოხერხდა ვერც ერთი მიზნის მიღწევა. აღმოჩნდა, რომ კეთილდღეობის მიმღებთა მხოლოდ 2.6 პროცენტმა ვერ ჩააბარა მარკოტესტი ოთხი თვის განმავლობაში (ალვარეზი, 2012, ჯენსონთან, 2016).

ფლორიდამ, ამ ექსპერიმენტით, დანაკარგიც კი ნახა, რადგან ტესტის წარმატებით ჩამბარებელს 30\$ უნაზღაურებდა, რამაც ჯამში



118 140\$ შეადგინა. მიუხედავად ამისა, ინიციატივის მხარდამჭერები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ტესტირება არ გაუქმებულიყო იმ არგუმენტით, რომ აუცილებელი იყო ისეთი ზომების გატარება, რაც მას დაარწმუნებდა იმაში, რომ ბავშვები დაცულები იყვნენ და მათი ფული არ მიედინებოდა ნარკოდამოკიდებულებთან, და რომ გადასახადის გადამხდელთა ფული საჭმელზე, ტანსაცმელსა და საფენებზე იხარჯებოდა.

ფლორიდის ამერიკის სამოქალაქო უფლებებათა კავშირმა (ACLU) შტატი დაადანაშაულა, ამერიკის კონსტიტუციის მეოთხე შესწორების მიხედვით, ანტიკონსტიტუციური ქმედებისათვის - კეთილდღეობის მიმღებთა პირად ცხოვრებაში ჩარევა.

2014 წლის დეკემბერში, ფლორიდის შტატმა წააგო სასამართლო პროცესი, რადგან კეთილდღეობის მიმღებ პირებს დახმარების მიღების კონსტიტუციური უფლება შეუღახა (მატაკონისი, 2014, ჯენსონთან, 2016).

დამოკიდებულებას სოციალური ტვირთიც ახლავს. ის იშვიათად არის მხოლოდ ერთი ადამიანის პრობლემა. ხშირად გაუაზრებლად ოჯახის წევრები და ახლობლები ხელს უწყობენ საყვარელი ადამიანის დამოკიდებულების შენარჩუნებას. ამას **თანადამოკიდებულებას** ვუწოდებთ. თანადამოკიდებულება ნიშნავს დამოკიდებულების პროგრესირებას გარემოთი გამოწვეული ფაქტორების გამო - ისეთ გარემოში ცხოვრებას, სადაც ნივთიერებაზე დამოკიდებულება ხელშეწყობილია. ასეთ სიტუაციაში ადამიანები ერთად ცხოვრობენ, რადგან რესიპროკალური საჭიროებები აქვთ. მაგალითად, ქალი მოძალადე მამაკაცისაგან არ მიდის, რადგან მას მამაკაცის გვერდით ყოფნა სჭირდება სხვადასხვა მიზეზის გამო - არაჯანსაღი ემოციური საჭიროებებიდან გამომდინარე. ან მამა ვაჟიშვილის დასაცავად ცდილობს მისი არასწორი ქმედებები გაამართლოს, მხარი დაუჭიროს მას, ნაცვლად იმისა, რომ შვილს სწორად მოქცევა ასწავლოს, ამ მდგომარეობასთან გამკლავებაში დაეხმაროს. თანადამოკიდებულები ადამიანები თავიანთ დამოკიდებულების მქონე

ოჯახის წევრებთან ურთიერთობას ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ავიწყდებათ თავი, არ აქცევენ ყურადღებას საკუთარ გრძნობებს (ბეტი, 2009, 2011; კნუდსონი & ტერელი, 2012 ჯენსონთან, 2016). თანადამოკიდებულება უფრო ხშირად ოჯახიდან მოდის, განსაკუთრებით, ისეთ ადამიანებში, რომელთა მშობლებსაც მერყევი, არასტაბილური ურთიერთობები ჰქონდათ; თუმცა თანადამოკიდებული ქცევა არ არის აუცილებლად გამოწვეული ოჯახში ნივთიერებებზე დამოკიდებულებით (კნუდსონი & ტერელი, 2012 ჯენსონთან, 2016). ნებისმიერ შემთხვევაში თანადამოკიდებული პირები არიან სხვისი დამაამებლები, საკუთარი საჭიროებებისა და ინტერესების უარმყოფელები, რადგან ისინი არიან დაკავებული სხვებზე ზრუნვით.

დამოკიდებულების დაძლევის მომსახურებებში სოციალური მუშაკები უნდა ადვოკატობდნენ ინოვაციური მიდგომებით გამდიდრებასა და ოჯახის წევრების ჩართვას მომსახურებების მონოდეების/ მკურნალობის პროცესში. სოციალურ მუშაკებს ამ სფეროში მუშაობისათვის სჭირდებათ ესმოდეთ, რა არის აბსტინენცია, გამოჭანმრთელება, ცვლილებებისთვის მზაობა, მოტივაციური ინტერვიუ, კოგნიტურ ქცევითი თერაპია, რელაქსის პრევენციის ტრენინგი, ზიანის შემცირების თერაპია და ა.შ.

ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (2013) სოციალური სამართლიანობის ანგარიში „სოციალური მუშაობის პერსპექტივა ნარკოპოლიტიკის რეფორმაზე: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომა“ ახსენებს სოციალურ მუშაკებს, რომ რადგან სოციალური მუშაკები მონაწილეობენ მართლმსაჯულების სისტემაში მომსახურების მიწოდების პროცესში, მათ აუცილებლად უნდა აინტერესებდეთ ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული პოლიტიკა და მისი რეფორმირება. ამავე ანგარიშში ხაზგასმულია, რომ რადგან სოციალური მუშაობა ისტორიულად მწირი რესურსებით, პოლიტიკური ძალაუფლების გარეშე ადამიანების ინტერესების ადვოკატობას ეწევა, მისი პროფესიული მოვალეობაა ლეგალიზაციის მხარდასაჭერი და სანინალმდევო არგუმენტების მოკვლევა საფუძვლიან კვლევასა და ასევე, დამოკიდებულების დაძლევის არაძალადობრივ მეთოდებზე დაყრდნობით.

## მაგალითი განხილვისათვის N12

2014 წლის ახალი წლის პირველ დღეს, კოლორადოს შტატში ლიცენზირებული მიმწოდებლებისათვის ნებადართული გახდა მარიხუანას გაყიდვა ნებისმიერი ადამიანისთვის 21 წელს ზევით. მიმწოდებლების გათვლით, მარიხუანით ვაჭრობას 30 მილიონი მოგება უნდა მოეტანა შტატისათვის 1 წელიწადში. მათი აზრით, რეკრიაციული მარიხუანის ინდუსტრია კოლორადოს ეკონომიკას განავითარებს. მარიხუანის ლეგალიზაცია ახალი მშენებლობების, დასაქმების ახალი ადგილების, ახალი ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. ახალი კატეგორიის ბიზნესებიც კი წარმოიქმნა ლეგალური მარიხუანას ირგვლივ (ყაკოვიჩი, 2014, კოქსთან, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ მარიხუანა ლეგალურია კოლორადოში, ის ისევ არალეგალურია ფედერალური კანონმდებლობის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პაციენტებისთვის სამედიცინო დანიშნულებით გამოწერილი მარიხუანის მიღების შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ისინი გათავისუფლებულები არიან მხოლოდ იმ შტატებში, სადაც მარიხუანის სამედიცინო დანიშნულებით მიღება ნებადართულია; თუმცა, „ფედერალური კანონმდებლობა ასეთ გამონაკლისს არ უშვებს არსებული აკრძალვის პოლიტიკის მიხედვით“ (ფინდლო, 2014, კოქსთან, 2016).

ყველა კოლორადოელი არ არის ბედნიერი კანონის ამ სიახლით. მიუხედავად იმისა, რომ კანონი გაყიდვამდე მარიხუანაზე კონტროლის ვადლებულებას აწესებს, საზოგადოების ნაწილი წუხს იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენა ექნება ლეგალიზაციას ბავშვებზე. დენვერში, მოქალაქეებმაც და ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ამან შეიძლება 12-13 წლის ბავშვებში სათამაშო მოედანზე მარიხუანით ვაჭრობა და მოზარდებში მოხმარების ზრდა გამოიწვიოს (კოქსი, 2016).

მკურნალობის ცენტრების უმრავლესობაში ნულოვანი ტოლერანტობის მოდელი მუშაობს, რაც სრულ აბსტინენციას ითხოვს. 12 ნაბიჯის მიდგომა ნივთიერებაზე დამოკიდებულების მორალურ

სპირიტუალურ გააზრებაზე დაფუძნებული. რაციონალური გამო-  
 ჯანმრთელების მოდელი დამოკიდებულების მქონე პირს ეხმარება  
 დამოკიდებულების აღიარებაში და მისდამი ირაციონალური ფიქრების  
 დაძლევაში. ზიანის შემცირების მოდელი - მოტივაციური მოდგომაა,  
 რომელიც ადამიანებს უღვივებს ჯანმრთელობის მდგომარეობის  
 გაუმჯობესებისა და კარგად ყოფნისაკენ. მოდელი მოიცავს აბს-  
 ტინენციის/ზიანის შემცირების ალაგმვას, გამოკვეთებისათვის მომ-  
 ზადებას, მოდერაციის მართვას, ჩანაცვლებით თერაპიას, რელაქსის  
 პრევენციას, გარემოსდაცვით პრევენციას.

ადვოკატობისას, მნიშვნელოვანია პოზიტიური ენის გამოყენება  
 სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან მუშაობისას. მნიშვნელოვანია გავეცნოთ  
 სასაუბრო ენას, რომელიც მისაღებია როგორც შშმ თემისათვის, ასე-  
 ვე ექსპერტებისა და ადვოკატებისთვის. მაგალითად, შეზღუდული  
 შესაძლებლობების მქონე პირებთან “ჯერ ადამიანი” ლექსიკით  
 ვხელმძღვანელობთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ არა შეზღუდული  
 შესაძლებლობების მქონე პირი, არამედ პირი, რომელსაც შეზღუდული  
 აქვს შესაძლებლობები. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ „შშმ მწერალი“,  
 ვთქვათ „მწერალი, რომელსაც შეზღუდვა აქვს“. მაგალითად,  
 ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე პირზე, უმჯობესია  
 ვთქვათ „ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე ადამიანი“,  
 ნაცვლად „ინტელექტუალურად შეზღუდულისა“. მაგრამ, მაგალითად,  
 ადამიანები, რომლებსაც სმენის მცირე ან ზომიერი პრობლემები  
 აქვთ შესაძლოა მიაკუთვნებდნენ თავს ყრუთა საზოგადოებას და  
 ამჯობინებდნენ, რომ მოხსენიებულნი იყვნენ, როგორც „ყრუ“ და არა  
 „სმენის პრობლემის მქონე“. ხოლო, ამ უკანასკნელს უპირატესობას  
 ანიჭებენ ისინი, ვინც თავს არ მიაკუთვნებს ყრუთა საზოგადოებას.  
 მისაღებია აგრეთვე შემდეგნაირად მოხსენიება “ქალი, რომელსაც  
 აქვს სმენის პრობლემა“ ან „ბიჭი, რომელიც ყრუა“. მოკლედ რომ  
 ვთქვათ, ყველაფერს ცოდნა უნდა და როდესაც რომელიმე თემის  
 წარმომადგენლებთან ვმუშაობთ, სამუშაოს დაწყებამდე კარგი იქნება  
 თუ გავეცნობით რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას, რა არის მათთვის  
 მისაღები და მიუღებელი. ხოლო რადგან ურთიერთობა კომუნიკაციით

ინყება, აჭობებს მათთვის მისაღებ სასაუბრო ენას ვფლობდეთ (შალაშვილი, შატბერაშვილი, 2017).

ფსიქიკური პრობლემების ეტიოლოგიასა და მიზეზებზე ცოდნის ნაკლებობა და ფორმალიზებული ტესტის არარსებობა (მაგალითად, როგორიცაა სისხლის ტესტი), რომელიც დაავადების არსებობას ან არარსებობას დაადასტურებდა, პრევენციული მომსახურებისადმი ბარიერის ერთ-ერთი მიზეზია. მიზეზებს შორისაა, ასევე, მეცნიერული მხარდაჭერის ნაკლებობა პრევენციული მომსახურებების განვითარებისათვის. ადვოკატობას ესეცითხოვს. ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში უკიდევანოდ დიდია სოციალური მუშაკის როლი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობის ეკონომისტები წინასწარმეტყველებენ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სოციალური მუშაკები 2020 წლისათვის ყველაზე მზარდი სამუშაო ძალა იქნება მხარდამჭერ პროფესიათა შორის.

## სამინაო დავალება

1. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჯერ კიდევ 2005 წელს მომზადდა პროფესიული სტანდარტები, მისი დამტკიცების ადვოკატობა პროფესიულმა თემმა ვერ შეძლო. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?
2. N2 განსახილველ მაგალითში, სოციალურ მუშაკს აქვს საადვოკატო მიზეზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ან/მისი ოჯახის უფლებების დასაცავად? რაიმე არის ისეთი, რაც სხვაგვარად უნდა გაეკეთებინა სოციალურ მუშაკს?
3. N3 განსახილველ მაგალითში, რა პრობლემას ხედავთ? სოციალურ მუშაკს რა დონეზე მართებს მინდობით აღსაზრდელის შემთხვევის ადვოკატობა?
4. N4 განსახილველ მაგალითში წამოდგენილ შემთხვევაში, ქალბატონი ვალდესის - სკოლის სოციალური მუშაკის ადგილას როგორ მოიქცეოდით?

5. N5 განსახილველ მაგალითში, რა არის სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების როლი? რა სახის მხარდაჭერის აღმოჩენა შეუძლია სკოლას ამ შედეგის ასარიდებლად? რა ცვლილებები უნდა გატარდეს სკოლის ან პოლიტიკის დონეზე, რომ ამგვარი შემთხვევების დროული იდენტიფიკაცია და რეაგირება მოხდეს? ხედავთ ამაში სოციალური მუშაკის როლს? გთხოვთ, დააკონკრეტეთ.

6. N6 განსახილველი მაგალითიდან რა დასკვნა გამოიტანეთ: შემთხვევის ადვოკატმა ბენეფიციარის სურვილების გათვალისწინებით უნდა დაიწყოს მომსახურების მიწოდება თუ მისი სურვილების უგულვებლყოფა შეიძლება მისივე ინტერესებიდან გამომდინარე? ასეთ შემთხვევებში რომელ დონეზე იქნება უფრო ეფექტიანი ადვოკატობა: მიკროზე, მეზოზე თუ მაკროზე? გთხოვთ, დაასაბუთეთ პასუხი

7. N7 განსახილველ მაგალითში, რომელ დონეზე განახორციელდებდით თქვენ ადვოკატობას? უპირატესობას ორსული ქალის რომელ პრობლემაზე მუშაობას მიანიჭებდით?

8. N8 განსახილველ მაგალითში, სოციალურ მუშაკს მართებდა იგივეს გაკეთება, რაც ექთანმა გააკეთა? თუ მას უფრო ველის მუშაკის დაქირავებისათვის ადვოკატობა მართებდა კლინიკის ადმინისტრაციის წინაშე?

9. როგორ მიესადაგება ან უნდა მიესადაგებოდეს სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა „თვით-დეტერმინაციის ხელშეწყობა“ ან პატივისცემა ოჯახის ღირებულებებისადმი, N9 განსახილველ მაგალითში წარმოდგენილ შემთხვევას?

10. როგორც ადვოკატი, რომელი მიდგომის ადვოკატობას გასწევდით N10 განსახილველ მაგალითში - ადრეული სკრინინგი აგვარიდებდა მრავალ არასასურველ შედეგს თუ კიდევ უფრო გაზრდიდა ფსიქიატრიულ დიაგნოზებთან დაკავშირებულ სტიგმატიზაციის დონეს?

11. N11 განსახილველ მაგალითში, იკვეთება სოციალური ადვოკატობის აუცილებლობა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააზუსტეთ პასუხი.

12. N12 განსახილველ მაგალითში წარმოდგენილი სიტუაციიდან გამომდინარე, დაფიქრდით რა არის სოციალური მუშაკის ადვოკატობის როლი მარიხუანას მოხმარების ლეგალიზაციის პროცესში?

13. თქვენი აზრით, მერი ელენ მაკკორმაკის შემთხვევაზე რეაგირება რატომ დაიწყო „ცხოველთა მიმართ დაუნდობელი მოპყრობის პრევენციის ნიუ იორკის საზოგადოების“ მიერ? რა დაკსენის გამოტანის საშუალებას იძლევა ეს სოციალური ადვოკატობის მიდგომის შერჩევისათვის?

14. უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც, ბავშვზე ძალადობის მაჩვენებლები მუშავდება ყოველწლიურად. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს ექსპერტთა აზრით, მონაცემების ჩამონათვალში ახალი კატეგორიები უნდა დაემატოს? თქვენი აზრით, რა კატეგორიების დამატება იქნებოდა კარგი? უნდა გასწიოს თუ არა სოციალურმა მუშაკმა ამის ადვოკატობა? გთხოვთ, დააზუსტეთ პასუხი. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი, დააზუსტეთ რომელი მიდგომით, რა ფორმით?

## **თავი 4. წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები სოციალურ ადვოკატობაში**

სოციალური ადვოკატი ძლიერი ლიდერული უნარ-ჩვევებით უნდა გამოირჩეოდეს. მას უნდა შეეძლოს არამარტომოკვლევა და კრიტიკული ანალიზი, არამედ სამუშაოს დელეგირება და დიდი ამოცანის პატარა-პატარა კომპონენტებად დაყოფა, რათა პროცესი უფრო ადვილი სამართავი იყოს. ადვოკატობა არის ქმედება და არა მხოლოდ საუბარი, თუმცა ადვოკატობის ჯგუფში უნდა იყვნენ ორატორული ნიჭის მქონე ადამიანებიც. ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით ჩავუღრმავდებით. ახლა კი განვიხილოთ რა არის წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, რომელია უფრო მნიშვნელოვანი და რომელი ნაკლებმნიშვნელოვანი, თუ თითოეული თანაბრად მნიშვნელოვანია.

### **ჯგუფური სამუშაო**

ადვოკატობის წარმატებას დიდწილად განაპირობებს ჯგუფური სამუშაო. ადვოკატობის ისტორიის მანძილზე იშვიათად თუ შევხვდებით ინდივიდუალური ადვოკატობის წარმატებულ შემთხვევებს, როდესაც ინდივიდმა შეძლო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ძალაუფლების მქონეთა დარწმუნება ცვლილების აუცილებლობაში. ადვოკატობა, განსაკუთრებით, თუ ეს მოწყვლად ჯგუფებს ეხება, ჯგუფური უნდა იყოს, შემდეგი 4 მიზეზის გამო:

- ◆ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ მას ამომრჩეველთა უმრავლესობა უჭერს მხარს;
- ◆ ადვოკატობას თავდაუზოგავი შრომა სჭირდება;
- ◆ ჯგუფური მუშაობა იდეების ტესტირების საშუალებას იძლევა;
- ◆ საზოგადოებისა და მედიის ყურადღების მიპყრობა ჯგუფებს უფრო მეტად ხელეწიფებათ, ვიდრე ინდივიდებს.



**ადვოკატობის ჯგუფების შემდეგი ტიპები არსებობს:**

- ◆ მიზნობრივი ჯგუფები;
- ◆ სავაჭრო ასოციაციები;
- ◆ პროფესიული ასოციაციები;
- ◆ კავშირები;
- ◆ საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- ◆ რელიგიური და ეთნიკური ორგანიზაციები;
- ◆ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციები;
- ◆ კოალიციები;
- ◆ მრჩეველთა საბჭოები.

ახალი ჯგუფის შექმნამდე დანიშნეთ საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მოემსახურება საერთო ინტერესების გამოკვეთასა და მსგავსი პოზიციების დაფიქსირებას, რასაც ურთიერშეთანხმებული სტრუქტურის განვითარება და სამოქმედო გეგმის შექმნა მოჰყვება. ადვოკატისათვის აუცილებელია, გააფართოოს თავის მხარდამჭერთა წრე. რაც უფრო მეტი ადამიანი უჭერს მხარს ახალ ინიციატივას და რაც უფრო მეტია მათ შორის გავლენიანი პირი, მით უფრო იზრდება კანონპროექტის გასვლის შანსი. ამიტომ კოალიციის შექმნა გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობაა.

არსებობს საკანონმდებლო კოალიციის ორი სხვადასხვა სახეობა: დროებითი, ერთჯერადი და ფორმალური, მუდმივმოქმედი კოალიცია. რა სახის კოალიცია წაადგება საკითხის წარმატებით გადაწყვეტას, ამ უკანასკნელის აქტუალობის, სიმწვავისა და მოცვის მიხედვით განისაზღვრება. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, თუ როგორ აერთიანებს ეს საკითხი კოალიციის წევრებს: ამჟამად თუ მუდამ. კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის ბრძოლა, შესაძლოა, კოალიციის ზოგიერთი წევრისათვის ამ ეტაპზე იყოს მომგებიანი და აქტუალური, სხვებისათვის კი ეს პროფესიული ვალდებულებაა და დროში არ ხუნდება მისი წარმატებით განვითარებისაკენ მიმართული ჟინი.

ემთხვევა თუ არა კოალიციის წევრთა დამოკიდებულება და შემართების ხარისხი მოცემული საკითხის მოგვარებისადმი, არ არის ყოველთვის მნიშვნელოვანი. რადგან ამ ეტაპზე ეს თავდადება არსებობს ე.ი. ამ ეტაპზე ეს ერთობაც უფრო მეტი წარმატების მომტანია, ვიდრე დამოუკიდებელი ბრძოლა.

## **საკითხთა უპირატესობის დადგენის წესი**

დღესდღეისობით პრობლემათა მორევში მრავლადაა სოციალური პრობლემები და შესაბამისად, გვამოძრავებს სურვილი იმისა, რომ მოვაგვაროთ რაც შეიძლება მეტი პრობლემური საკითხი თუ სიტუაცია. არადა, ყოველი საკითხის მოგვარებისათვის სხვადასხვა დროსა და სივრცეში წარმატების განსხვავებული შანსი არსებობს. ამიტომ აუცილებელია, შეგვეძლოს მოცემულ დროში და მოცემული რესურსებით უდიდესი შანსის მქონე საკითხის იდენტიფიკაცია. საკითხთა უპირატესობის დასადგენად კი შემდეგი კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ:

- ◆ საკითხის რელევანტურობა ყველასათვის, ვის ინტერესებსაც ვიცავთ;
- ◆ საკითხის წარმატებულად წარდგენის შესაძლებლობა;
- ◆ საკითხის გადაჭრა არსებული რესურსების გათვალისწინებით;
- ◆ საკითხის დიდმნიშვნელოვნება საზოგადოებისათვის.

## **კომუნიკაციის უნარი**

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, რაც არა მხოლოდ სოციალურ მუშაკს, არამედ ყველა უფლებადამცავს უნდა ჰქონდეს, არის კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარი.

რა არის კომუნიკაცია? კომუნიკაცია, გარკვეულწილად, გამგზავნის მიერ მიმღებზე ზეგავლენის მოხდენის პროცესია. კომუნიკაციის პროცესი მრავალი კომპონენტისაგან შედგება.

წარმოგიდგინთ, მაგალითად „ლასველის ფორმულას“, რომლის მიხედვითაც კომუნიკაცია შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- ◆ ვინ ამბობს;
- ◆ რას ამბობს;
- ◆ ვის ეუბნება;
- ◆ რა საშუალებით;
- ◆ რა განზრახვით;
- ◆ რა ეფექტით.

კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა არსებობს: სიმეტრიული ან ასიმეტრიული, უნებლიე ან ნებელობითი, ვერბალური ან არავერბალური. მოდით თითოეული ცალ–ცალკე განვიხილოთ:

სიმეტრიულია კომუნიკაცია, რომელიც მასში ჩართვის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს კომუნიკაციის მონაწილეებს, მაგალითად, მეგობრების, კოლეგების ან ოჯახის წევრების საუბარი. ასიმეტრიულია კომუნიკაცია, როდესაც კომუნიკაციის პროცესში მონაწილე მხარეებს არათანაბარი მონაწილეობის საშუალება აქვთ, მაგალითად, ლექცია, სატელევიზიო გადაცემა და ა.შ.

უნებლიეა კომუნიკაცია, როდესაც მონაწილეებს არ აქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც უწევთ კომუნიკაცია, მაგალითად, ავტობუსში, თვითმფრინავში და ა.შ. ნებელობითია კომუნიკაცია, როდესაც მონაწილეები საკუთარი სურვილით ამყარებენ კომუნიკაციას.

ვერბალური კომუნიკაცია მეტად სტრუქტურირებულია, ვიდრე არავერბალური. მას მკაფიოდ გამოხატული დასაწყისი და დასასრული აქვს. არავერბალური კომუნიკაციისას არ ვსაუბრობთ, მაგრამ ის გარკვეულწილად მართავს კომუნიკაციის მიმდინარეობას. არავერბალური კომუნიკაცია იქამდე გრძელდება, სანამ მონაწილეები ერთმანეთის მხედველობის არეში არიან. პიროვნების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის არა მარტო მისი საუბარი, არამედ მისი გარეგნობაც, ჩაცმულობაც და სხეულის მოძრაობაც.

სოციალური ადვოკატობისას სასურველია ნებელობით ვერბალურ კომუნიკაციას მივალნიოთ. თუმცა ეს ხშირად, თითქოს, შეუძლებელია. თუ ეს არ არის შესაძლებელი, ჩვენ ყველა ფორმა უნდა გამოვიყენოთ მათთან კომუნიკაციისათვის, ვისთან ურთიერთობაც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ან საკითხთა განხილვისათვის გვჭირდება.

კომუნიკაცია მხოლოდ მაშინაა ნარმატებული, თუ მონაწილეების აზრთა გაცვლა—გამოცვლის საშუალება და ფორმა ერთნაირი ან მსგავსია. მსმენელის მიერ სიტუაციის გაგება მუდამ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს, რადგან იგი გაგების პროცესზე ზეგავლენას ახდენს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რას და რა მიზნით ვეუბნებით მოსაუბრეს, რისი მიღწევა გვსურს.

ადვოკატობა მოითხოვს უამრავ შეხვედრას, საჯარო დისკუსიასა და გამოსვლას. ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ საკითხის ზედმიწევნით გააზრება, რაზეც უნდა ვისაუბროთ, არამედ იმის ცოდნაც, როგორ უნდა წარვადგინოთ ის, რომ უფრო მისაღები და საინტერესო ვიყოთ მსმენელისათვის. რადგან დროს ვხარჯავთ შეხვედრაზე, ე.ი. მონაწილეთა მომხრეებად ჩამოყალიბება ან, სულ მცირე, საკითხის შესახებ მათი ინფორმირება გვსურს. ამიტომაც, მოდით, პრეზენტაციის ტექნიკას გავეცნოთ.

## **პრეზენტაციის უნარი**

ნებისმიერი პრეზენტაციის მიზანს აუდიტორიის დარწმუნება და მოტივაცია წარმოადგენს იმ საკითხის სასარგებლოდ, რასაც ვლობირებთ. საკუთარი თავისა და სათქმელის ჯეროვნად წარდგენის გარეშე კი ჩვენი გრძნობების, დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გადაცემა მსმენელისათვის ძნელია. პრეზენტაციაზე მუშაობა შემდეგ ფაზებს მოიცავს:

- ◆ მომზადება;
- ◆ წარმართვა;
- ◆ შედეგების დამუშავება.

პრეზენტაციის შინაარსი კი მოიცავს:

- ◆ შესავალს;
- ◆ ძირითად ნაწილს;
- ◆ დასასრულს.

პრეზენტაცია მისალმებით უნდა დავიწყოთ. ამის შემდეგ, შესავალ ნაწილში, მსმენელს უნდა გავაცნოთ პრეზენტაციის მიზნები, თემატიკა და მიზანი. ასევე, აუცილებელია, მსმენელს მოვახსენოთ პრეზენტაციის მიმდინარეობის გეგმა. ეს მათ არა მარტო ინფორმირებულ და მომზადებულ მსმენელებად აქცევს, არამედ მათ მიერ ჩვენი პრეზენტაციისათვის დახარჯული დროის გამო მათ მიმართ ჩვენს ანგარიშვალდებულებას გამოხატავს. მათ უნდა იცოდნენ, როგორ არის დაგეგმილი ის დრო, რაც მათ ჩვენ დაგვითმეს.

აღბათ თავადაც გამოგიცდიათ, რომ რაგინდ საინტერესო თემაც უნდა იყოს, მხოლოდ პასიური მსმენელის როლში ყოფნა დიდი ხნით ძნელია და აღქმის ხარისხსაც ამცირებს. ამიტომ კარგი პრეზენტატორი პრეზენტაციის დასაწყისშივე მონაწილეების თემის ირგვლივ მოტივირებას ცდილობს. ამის მიღწევა კი შესაძლებელია კითხვების დასმით, ინტერესის გაჩენით, პირადი სარგებლის აღნიშვნით, პროვოცირებით.

ამის შემდეგ გადავდივართ პრეზენტაციის ძირითად ნაწილზე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელია. ამ დროს მსმენელთათვის თემის სისტემატურად გადაცემა ხორციელდება. ამ ნაწილის დასასრულს აუცილებელია ძირითადი საკითხების დაჭამება.

უილკსი (უილკსი, 2012) საადვოკატო შემთხვევის წარდგენის სამი მიდგომას გვაცნობს:

1. პრობლემის ანალიზი;
2. ქრონოლოგიური;
3. ნარატიული მიდგომა.

თითოეული მათგანი იძლევა შემთხვევის შესახებ მასალის

სტრუქტურირებულად წარდგენის საშუალებას. მოდით, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ და შემდეგ შევეცადოთ, კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე გავიაზროთ, რომელი მიდგომის გამოყენება იქნებოდა უმჯობესი.

უილკსის აზრით, პრობლემის ანალიზი საადვოკატო შემთხვევის შესახებ საკვანძო საკითხების წამოწევის საშუალებას გვაძლევს. ის ერთდროულად შემთხვევის დეტალებზეც გვამახვილებინებს ყურადღებას და მის ანალიზსაც გვათავაზობს. ამით წამოჭრილი პრობლემის არსებობაში მსმენელის დამაჯერებლად დარწმუნებას ცდილობს მის მიერ შეკითხვების დასმამდე. ქრონოლოგიური მიდგომა შემთხვევის ისტორიულ განვითარებას წარმოადგენს და შემთხვევის დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. ამ მიდგომის გამოყენებით შეგვიძლია ნათლად წარმოვადგინოთ, თუ რამდენად გაუარესდა ან გაუმჯობესდა სიტუაცია დროის მოცემულ პერიოდში. ამ მიდგომას ავტორი ექიმის მიერ შემთხვევის წარდგენას ადარებს, რაც მას დამაჯერებლობას მატებს. ნარატიული მიდგომა კი ამბავს გადმოსცემს, რომელშიც, შესაძლოა, დაირღვეს ქრონოლოგიური მიდგომით გადმოცემული ინფორმაციის თანამიმდევრულობა, გაფერმკრთალდეს პრობლემის ანალიზის მიდგომით წარმოდგენილი ანალიზი, თუმცა უფრო ნათლად წარმოაჩინდეს პრობლემის გეგავლენას ადამიანსა და/ან ჯგუფზე. ამიტომ ის მეტად ზემოქმედებს მსმენელზე და ის ემოციურ პლასტში გადაჰყავს. ავტორის აზრით, ერთი შემთხვევის წარდგენისას სამივე მიდგომის გამოყენებას არაფერი უდგას წინ. პირიქით, შესაძლოა, საჭიროც კი არის იმისათვის, რომ შემთხვევის წარდგენამ უფრო მძაფრი ეფექტი მოახდინოს მსმენელზე. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეფექტი იდეის დონეზე რომ არ დარჩეს, მისი (იდეის) განხორციელების ბარიერების აღმოფხვრის ხედვაც უნდა წარმოვუდგინოთ მსმენელს.

ნებისმიერი საბჭოს თუ გადანყვეტილების მიმღები კომისიის წინაშე შემთხვევის წარდგენისას (განურჩევლად იმისა, იქნება ეს ინდივიდუალური შემთხვევა თუ ჯგუფის, თემის ან საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემა, რომელიც სოციალური ფუნქციონირების

ხელშემშლელი ფაქტორია არა ერთი, არამედ მრავალი ადამიანისათვის) დგება მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხი (უილკსი, 2012). საქართველოში ხშირად ეს არის სწორედ რაიმე ახალი იდეის „ჩაკვლის“ მიზეზი. თითქოს ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების გადახალისება კანონითაა აკრძალული, ან ბევრმა იცის, რა ცვლილებებია საჭირო პროგრამის ან პოლიტიკის ფორმირებაში, მსგავსად სოციალური მუშაკისა, რომელიც ველზე ან ველზე მომუშავე კოლეგებისაგან მიღებული ინფორმაციის შედეგად აყალიბებს ცვლილების იდეას.

ჩვენმა მუშაობამ მუნიციპალურ დონეზე დიდი გამოცდილება შეგვძინა ზოგადად, განსაკუთრებით კი, იმ კუთხით, რომ მოგვეცა საშუალება, დავკვირვებოდით ცვლილების ფორმირების, შეთავაზებისა და დამტკიცების პროცესს. აღმოჩნდა, რომ პრობლემის გონივრულად და დამაჯერებლად წარდგენისას გადანყვეტილების მიმღები პირი არ არის გულგრილი ცვლილების მიღების და/ან ინიცირებისადმი. ჩვენმა კოლეგამ ზემო აჭარაში სცადა და ერთი ბავშვის საჭიროების ადვოკატობის შეთავაზებით მუნიციპალურ დონეზე ფენილკეტონურიის პროგრამა აამუშავებინა მერიას. პრაქტიკამ ისიც გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კოლეგები საუბრობენ მომსახურების მიმღების მოსაზრების გათვალისწინების მნიშვნელობაზე მომსახურების მიღებისას, ცვლილების იმით განსაზღვრულობის შესახებ, თუ რამდენად ნათლად წარმოადგენს სოციალური მუშაკი მომსახურების მიმღების ხედვასა და დამოკიდებულებას გადანყვეტილების მიმღები პირის/ჯგუფის წინაშე, ეს ჯერ კიდევ გაუმჭობესების სივრცეს ტოვებს. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართული რეალობისთვის მახასიათებელი პრობლემა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც გლობალური პრობლემები, მართლაც, ლოკალურიცაა და პირიქით. როგორ შევუწყოთ ხელი ამ პრობლემის აღმოფხვრისაკენ სვლას? ბუნებრივია, სოციალურ მუშაკებს ამისთვის ძალისხმევის გაღება მართებთ.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია მრავალი საბჭოს წევრია და, მათ შორის, მეურვეობისა და მზრუნველობის საბჭოს წევრიცაა ყველა რეგიონში, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა

და ქვემო სვანეთისა. ამ საბჭოებს კოლეგების მიერ მათ წინაშე წარდგენილი შემთხვევების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა აწევთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც კოლეგები სწორედ მომსახურების მიმღების მოსაზრების ფორმირებაში მოიკოჭლებენ. ამას, რასაკვირველია, მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის, მათი სამუშაო რეჟიმი, სტილი და სამუშაო პირობები, თუმცა გადაწყვეტილების მიმღების მოლოდინს ეს ვერ შეასუსტებს. პირიქით, სოციალური მუშაობის პრაქტიკა უნდა გაძლიერდეს ამ მოლოდინის საპასუხოდ. ამისათვის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის გუნდმა 2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ საბჭოს წინაშე წარდგენის კრიტერიუმებიც კი შექმნა. ეს კრიტერიუმები არ არის ჯერ დამტკიცებული, თუმცა ასოციაცია მის წევრებს სწორედ მათზე დაყრდნობით შეაფასებს და საუკეთესო სოციალურ მუშაკსაც გამოავლენს 2019 წელს. წარმოგიდგინო მათ:

- ◆ შემთხვევის წარდგენა დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილებით;
- ◆ შევსებული ფორმების შინაარსობრივი გამართულობა;
- ◆ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ნათლად წარმოდგენილი საჭიროებები, დაგეგმილი შედეგები (შემთხვევაზე მუშაობისას საჭიროებების გააზრება);
- ◆ შემთხვევების/სამუშაოს ადმინისტრირების უნარი (მაგალითად, გეგმიური შემთხვევა არ გააქვს რიგგარეშედ საბჭოზე, დამატებით საკითხად გეგმიური საკითხი არ გამოაქვს).
- ◆ შემთხვევის/პრობლემის ადვოკატობის ნათლად ადმინისტრირებული გეგმის წარდგენა, თვით-ადვოკატობის უნარის დემონსტრირება;
- ◆ 18+ შემთხვევაში წინასწარ გააზრებულ/დაგეგმილი ხედვის წარმოდგენა;
- ◆ ნათლად წარმოდგენილი ბიოლოგიურ ოჯახთან



მუშაობა; არსებული მომსახურებების მართვის უნარი (მოძიება, კოორდინაცია, ეფექტიანად განაწილება - განსაზღვრა იმისა, თუ პრიორიტეტულად ვის მიემართება მომსახურება);

- ◆ სხვა უწყებებთან თანამშრომლობის უნარი;
- ◆ ქმედებების პრიორიტეზირების უნარი;
- ◆ სოციალური მუშაკის მიერ მაქსიმალური ძალისხმევის გაღება, შემართების გამოვლენა შემთხვევაზე;
- ◆ პრევენციული მუშაობა (ბოლო წუთას არ იწყებს მომდევნო ქმედებას, ან რეაგირებას); თვითრეფლექსიის უნარი;
- ◆ საბჭოს რესურსის ჯეროვანი გააზრება;
- ◆ საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება;
- ◆ ინიციატივის გამოჩენა არასაკმარისი დატვირთვის შემთხვევაში.

როგორც ხედავთ, ადვოკატობა ცალკე პუნქტია და, ამავე დროს, არა მხოლოდ კლიენტის, არამედ საკუთარი თავისაც.

პრევენტაციის დასასრულსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ყველაზე უფრო შთამბეჭდავია. თუ დასაწყისში თქვენ მსმენელის ყურადღების მოპოვების მიზნით მათ „განაწყენებას“ ერიდებოდით, დასასრულს შეგიძლიათ „გააბრაზოთ“ კიდევ ისინი. ამ დაპირისპირების შედეგად კი მათ მიანდოთ დასკვნების გაკეთება. თუ „მომხრეთა“ წინაშე წარადგენთ თემას, მაშინ რაც შეიძლება ანალიტიკური პრევენტაცია უნდა იყოს, რადგან მსმენელის „მომხრეებად“ გარდაქმნაზე დროის დაკარგვა აღარ არის საჭირო. ეს დრო შეგიძლიათ საკითხში ჩაღრმავებას დაუთმოთ.

პრევენტაციის წარმართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს გარეგნობასაც, ჩაცმულობასაც, მეტყველებასაც და ფესტიკულაციასაც. მოდით, თითოეული ცალ—ცალკე განვიხილოთ.

ჩვენი შინაგანი განწყობა და გარეგნობა ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. გამოდის, რომ როგორც გამოიყურებით,

ისეთივე იქნება თქვენი პრეზენტაციაც. გარეგნულ სახეს განსაზღვრავს აუდიტორია, რომელსაც ვხვდებით. მაგალითად, თუ სერიოზულ საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით მსმენელს ფორმალურ ვითარებაში, ამ გარემოსთან არ იქნება თავსებადი მძიმე მაკიაჟით ან მოუნესრიგებელი თმის ვარცხნილობით, გადატვირთული სამკაულებით ან ნაბახუსევი იერით გამოცხადება. ასეთ შეხვედრაზე სასურველია მსუბუქი მაკიაჟითა და კლასიკური ვარცხნილობით გამოვცხადდეთ.

აღბათ არაერთხელ ყოფილხართ მდგომარეობაში, როდესაც ძალიან ლამაზად და მოდურად გაცვიათ, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობთ. არის სიტუაციები, როცა ეს უხერხულობა მოთმენად ღირს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასე არ არის. თქვენ სათქმელზე ორიენტირებული უნდა იყოთ და ამ დროს თუ იმაზე ფიქრობთ, ხომ არ გიჩანთ გარღვეული მაისური ან გამოკვეთილი ხომ არ არის თქვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილი, ან გიჭერთ ფეხსაცმელი, რაც შემანუხებელი დისკომფორტია და ა.შ. თქვენს სათქმელზე ფოკუსირებას ამ დისკომფორტთან გამკლავებისთვის დახარჯული ძალისხმევა ასუსტებს და შესაძლოა, ისეთი შთამბეჭდავი ვეღარ აღმოჩნდეთ. ამავე დროს, ტანსაცმელი პრეზენტაციის მიზანს უნდა შეეფერებოდეს. თუ, მაგალითად, პარლამენტში უნდა წარადგინოთ პროექტი და თქვენ გახეხილ ჭინებსა და მოღეღილ მაისურში მიევილინებით მსმენელს, შეიძლება თავიდანვე გაგიჭირდეთ მისი ყურადღების მობილიზება. როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს სათქმელი, აუდოტრიაში ცოტა თუ აღმოჩნდება ისეთი, ვისზეც სტერეოტიპული წარმოდგენები არ მოქმედებს. ეს საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან განსხვავებულობისადმი მიძღვნილობა არ არის სასურველად მაღალ დონეზე. ამიტომ თავიდანვე დაკარგავთ მსმენელთა გარკვეულ ნაწილს.

პრეზენტაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობით კონტაქტს. ის თქვენი თავდაჭერებულობის დემონსტრირებაა და სანდო ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს. საჭიროა აუდიტორიას თანაბრად გავეუნაწილოთ ჩვენი მზერა. ამას კი ზოგჯერ უხერხულობაც ახლავს, რადგან ყველა სახეზე ერთნაირი ინტერესით ან სიმპათიით არ გვისმენს.

ხშირად ძალიან უკმაყოფილო ან უნდობლობით განმსჭვალულ გამომეტყველებასაც ვიხილავთ. რაგინდ თავში დარწმუნებულებიც უნდა ვიყოთ, მაინც მოქმედებს ასეთი უარყოფითი განწყობა ჩვენზე და, შესაბამისად, ჩვენს სათქმელზეც. ამიტომ, განსაკუთრებით კი თუ დამწყები პრეზენტატორი ხართ (რადგან თანდათან ამ უხერხულობების დაძლევის ტექნიკას თავად გამოიმუშავებთ), შეარჩიეთ აუდიტორიაში „დადებითი პიროვნება“, რომელიც გაგამხნევეთ პრეზენტაციისას. როცა აუდიტორიას თვალს არიდებთ, მის წევრებს შეიძლება ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, რომ ან არ ხართ დარწმუნებული იმაში, რასაც ამბობთ, ან პატივისცემით არ ხართ განმსჭვალული აუდიტორიისადმი, ან გედმეტად კონცენტრირებული ხართ სათქმელზე და სწორედ ახლა ფიქრობთ, რა უნდა თქვათ შემდგომ.

პრეზენტაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს ხმას და საუბრის ტემბრსაც. ალბათ შეგიმჩნევიათ კიდეც, რომ ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი ინტერესით უსმენთ, ვიდრე სხვას, განურჩევლად იმისა, რას ლაპარაკობს. მოახდინეთ ხმის პროექტირება. ცვალებთ საუბრის სისწრაფე და ტონი, რაც არსებითი პუნქტების გამოკვეთის საშუალებას მოგცემთ და საუბარიც ნაკლებ მონოტონური და მოსაწყენი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზენტაციის ენას. ის დიდწილად განაპირობებს მსმენელთა ინტერესს. ისაუბრეთ მარტივი ენით, რომ ყველასათვის გასაგები იყოს სათქმელი. თუ რაიმე ტერმინი დაგავიწყდათ, შეეცადეთ ის ახსნათ სხვა სიტყვებით, ამის გამო ნუ შეაყოვნებთ სათქმელს. არ შეეცადოთ დავიწყებული სიტყვის შესტით შეცვლას.

დიდი მნიშვნელობა აქვს შესტების ენასაც. პრეზენტაციისას ხელები თქვენსა და მსმენელს შორის დამაკავშირებელი საშუალებაა. ის, ასევე, თქვენი შინაგანი შფოთვის შენიღბვაა. შეეცადეთ, ძალიან არ გადატვირთოთ საუბარი შესტებით. უხერხულობის შესანიღბად ნურც ჭიბეში ჩაიყოფთ ხელებს, რადგან ეს უპატივცემულობად აღიქმება ადამიანების მიერ. ასევე აკონტროლეთ ხელებით რაიმე საგნის ან აქსესუარის შეხება ან თქვენივე ტანსაცმლის დილების წვალება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელების ადგილმდებარეობას. მაგა-

ლითად, თუ ხელები წელის ხაზს ქვემოთაა ეს უარყოფით გავლენას ახდენს, ხოლო თუ მკერდის ხაზს ზემოთ დადებითს, ხოლო წელის ხაზსა და მკერდს შორის ნეიტრალური გავლენის მქონეა. ეს თითქოს წვრილმანებია, მაგრამ ეს წვრილმანები, საბოლოო ჯამში, დიდ ზეგავლენას ახდენს მსმენელზე. ამიტომ მათი გათვალისწინება თქვენი პრეზენტაციის წარმატების საწინდარია.

ადამიანი წაკითხულის 10 პროცენტს იმახსოვრებს, მოსმენილის - 20 პროცენტს, ერთდროულად ნანახისა და მოსმენილის - 33 პროცენტს, ხოლო მის მიერვე გაკეთებულის - 70 პროცენტს. ამიტომ შევეცადოთ მაქსიმალურად ინტერაქტიული პრეზენტაცია გავმართოთ.

თუ წერილობით ადვოკატობას ვიყენებთ, აუცილებელია სათქმელი რაც შეიძლება მოკლედ ჩამოვაცალიბოთ. ერთ საკითხთან დაკავშირებული წერილი 1 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. მართალია, მოკლედ თქმა მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ვრცლად ნათქვამი, მაგრამ ზრდის ალბათობას, რომ წაიკითხავენ. ეს კი დროის დახარჯვად ღირს.

## **საზოგადოების მოზადება საადვოკატო საკითხის გასაცნობად**

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც სოციალური ადვოკატი უნდა იყოს ჩამოყალიბებული, არის ის, თუ რა დრო უნდა დაიხარჯოს საადვოკატო საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, მოლაპარაკებებსა და დარწმუნებაზე. სამივე აქტუალურია როგორც ინდივიდის დონეზე, ასევე შემთხვევის ან მიზნის ადვოკატობისას. ჰოფფერი (ჰოფფერი, 2012) ხაზს უსვამს სოციალური ლიბერაციის ტექნიკას. ის ამ ცნების პროჩასკასმიერ (1994:100) განმარტებას გვთავაზობს:

სოციალური ლიბერაციის პროცესი გულისხობს „ადამიანებისათვის მეტი ალტერნატივებისა და არჩევანის შექმნას, პრობლემურ ქვევზე მეტი ინფორმაციის მიწოდებასა და მხარდაწერის აღმოჩენას იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ცვლილება სურთ“.

მისი აზრით, სოციალური ლიბერაციის საუკეთესო მაგალითებია

არამწვევლთა განყოფილებები რესტორნებსა და კაფეებში, ეტლით მოსარგებლეთათვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეები, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ ტრანსპორტის მართვის აკრძალვა და ა.შ. ის სამ ტექნიკას გამოყოფს, როგორც ყველაზე ეფექტიანს, სოციალური ლიბერაციის მიდგომის გამოყენებისას:

1. რა სიკეთეს მოუტანს სამიზნეს საადვოკატო ინიციატივის მხარდაჭერა;
2. ვისი მხარდამჭერია სამიზნე: იმ ადამიანებისა, რომლებსაც პრობლემისგან განთავისუფლება ან პრობლემის აღმოფხვრა სურთ, თუ მათი, ვის გამოც პრობლემა არსებობს?
3. ისეთი გარე ზეგავლენის მოძიება და გამოყენება მხარდაჭერისთვის, რომელსაც სამიზნესთან ხელმისაწვდომობა აქვს.

შემთხვევის წარდგენისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოლაპარაკების ხელოვნებას. რადგან მოლაპარაკება არის „კომუნიკაცია, რომლის დროსაც პოზიციები გამოიხატება იმისათვის, რომ მივაგნოთ ყველასათვის მისაღებს“, ადვოკატობა თავისი ბუნებით არის მოლაპარაკება (ჰოეფერი, 2012:105).

### **საშინაო დავალება**

1. რა შემთხვევაში არ გამოიყენებდით უილკსის მიერ წარმოდგენილ სამივე მიდგომას? გთხოვთ დაასაბუთოთ პასუხი.
2. როგორ განახორციელებდით საქართველოს სოციალური მუშაკების მიერ საბჭოს წინაშე წარდგენის კრიტერიუმების დამტკიცებისა და პრაქტიკაში დანერგვის ადვოკატობას?
3. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უნდა დაიწყოთ მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების გადახალისების ადვოკატობა. ამისათვის რომელი ტიპის საადვოკატო ჯგუფს შექმნიდით?

## თავი 5.

### შეფასება და მონიტორინგი სოციალურ ადვოკატობაში

როგორ შევაფასოთ ჩვენი ადვოკატობის ძალისხმევა და რაში გვჭირდება შეფასება? ეფექტიანი ადვოკატობა გულისხმობს საადვოკატო ძალისხმევის სარგებლიანობის, მიღწევებისა და ბარიერების რეგულარულ შეფასებას. გვჭირდება ვიცოდეთ, რამდენად მივაღწიეთ დაგეგმილ მიზანს, რამდენად ეფექტიანი იყო მუშაობა. თუ წარუმატებელი იყო, რა არის ამის მიზეზი. კმაყოფილნი დარჩნენ თუ არა დაცვის სუბიექტები. ამ კითხვებზე პასუხები დაგვეხმარება გავიაზროთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, გავზომოთ ჩვენი მიღწევები წარმატების ინდიკატორებთან მიმართებით, გავიაზროთ, რა არის შესაცვლელი.

არა მხოლოდ ადვოკატობა, არამედ ნებისმიერი პოლიტიკური ინიციატივაც საჭიროებს შეფასებას. ამის გარეშე შეუძლებელია დაშვებული შეცდომების მიზეზებისა და წარმატებების ხელშემწყობი ფაქტორების გაანალიზება. უამისოდ არც აქ ხერხდება დაგეგმვის, პრობლემის ფორმულირების, მისი განხორციელებისა და მოქმედების ეფექტიანობის გაზრდა. შეფასების დაწყება კი აუცილებელია დასაწყისიდანვე, რადგან შემდგომ ეტაპზე წინა ეტაპის მონაცემების მოპოვება შეუძლებელია.

როგორ დავიწყოთ შეფასება? შეფასება უნდა დავიწყოთ იმის შემუშავებით, თუ რისი განსაზღვრა გვსურს. ჩვეულებრივ, პროგრამის ან ინიციატივის დასაწყისშივე უნდა ჩამოვაცალიბოთ მიზნის მისაღწევად საჭირო გაზომვადი ამოცანები, რომლებთან მიმართებითაც შევაფასებთ ჩვენს ქმედებებს პროექტის ან ინიციატივის განმავლობაშიც და დასრულებისასაც. ალტმანის (ალმანი 1994 შატბერაშვილთან 2011) მიხედვით, სოციალური მუშაობის ადვოკატობის შეფასება სამგვარად შეიძლება:

- ◆ პროცესის გაზომვით;
- ◆ შედეგის გაზომვით;
- ◆ ზეგავლენის გაზომვით.

### **თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ:**

პროცესის გაზომვა. პროცესზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ, რამდენად კარგად განხორციელდა ადვოკატობის პროცესი, რამდენად სწორად წარიმართა იგი? საკმარისი იყო თუ არა დაგეგმილი რესურსის გამოყენება? ეფექტიანი იყო თუ არა კომუნიკაცია? ჰქონდა თუ არა მას საზოგადოების მხარდაჭერა? ადეკვატური იყო თუ არა ხელმძღვანელობა? სხვა ჯგუფებმა თუ გაგინიათ მხარდაჭერა? რა ხდებოდა კრიტიკული მოვლენებისას?

შედეგის გაზომვა. შედეგებზე ორიენტირებული ამოცანები ზომავენ, რამდენად მიაღწია ადვოკატობის მცდელობამ სპეციფიკურ მიზნებს. ეს, ჩვეულებრივ, კონკრეტული და რაოდენობრივი მონაცემებია:

◆ მიწოდებული მომსახურებების ტიპი და სიხშირე.

- რამდენი შეხვედრა ჩატარდა?

- რამდენი ახალი მომსახურებაა ახლა ხელმისაწვდომი?

◆ საზოგადოების ან ჯგუფის ქმედებები.

- რამდენი გაფიცვა მოეწყო?

- რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ფორუმში?

- რამდენი მიტინგი გაიმართა ლიდერების მიერ?

◆ ცვლილებები პროგრამაში.

- განხორციელდა ცვლილებები პოლიტიკაში და/ან კანონმდებლობაში?

- დაინერგა ახალი მომსახურებები?

◆ ხელმისაწვდომობა მომსახურებებზე.

- უფრო მეტ ბენეფიციარს მოემსახურეთ?

- თუ წინა კითხვაზე პასუხი უარყოფითია, რა იყო ბარიერები?

◆ მიღწეულ შედეგთა რაოდენობა.

- პროგრამის ან ინიციატივის შედეგების გადახედვა
- პროგრესის ჩანაწერების გაკეთება.

ზეგავლენის გაზომვა. ზეგავლენის გაზომვაზე ორიენტირებული ამოცანები განსაზღვრავენ, რამდენად განხორციელდა ადვოკატობის შედეგად რეალური ცვლილებები. ამ შედეგების გაზომვა კი საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, რაც პროგრამის ან ინიციატივის დაწყებამდე უნდა შეგროვდეს.

შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბაზის შექმნა, რაც გულისხმობს როგორც მონაცემების, კვლევის, აქტუალური ინფორმაციის ანკეტირებას, ასევე შეხვედრების ოქმების, ცნობილი და გავლენიანი ადამიანების მოსაზრებების დაფიქსირებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურებების მიმღებთა კმაყოფილებისა თუ საჩივრების ჩანერას.

ადვოკატობის კამპანიის წარმართვისას, მნიშვნელოვანია კონტექსტზე დაკვირვება. ჰოფერი (2012) გვთავაზობს კონტექსტზე დაკვირვების ექვს კატეგორიას:

1. თქვენი ორგანიზაცია - რამდენად იზიარებენ ორგანიზაციის თანამშრომლები საადვოკატო ინიციატივას, რამდენად მისაღებია მათთვის შემთხვევა ან საადვოკატო მიზები (აქ ვგულისხმობთ მიზების ადვოკატობას, როდესაც საადვოკატო ძალისხმევა მიმართულია არა ერთი ადამიანის ან ოჯახის პრობლემაზე, არამედ მრავლისა). სხვადასხვა ორგანიზაციული მოწყობის საზოგადოებრივ გაერთიანებაში საადვოკატო იდეის გარშემო სხვადასხვა ადამიანის აზრია შესათანხმებელი. მაგალითად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ თანამშრომლებისა და ორგანიზაციის გამგეობის წევრების, არამედ ორგანიზაციის წევრების დამოკიდებულებაც. მნიშვნელოვანია ასევე, რა დროს უთმობენ თანამშრომლები და/ან ორგანიზაციის წევრები საადვოკატო საქმიანობას, ადვოკატობის უნარ-ჩვევების განვითარებას,



განგრძობითი განათლების შესაძლებლობების გამოყენებას ადვოკატობაში. ისიც საჭიროა, ორგანიზაცია ჩამოყალიბდეს იმაზე, რამდენად სურს საადვოკატო საქმიანობა ორგანიზაციის კულტურის ნაწილად აქციოს, თუ ერთჯერადად ან მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევის ან საკითხის ირგვლივ გვემავს საადვოკატო საქმიანობას.

2. თქვენი რეპუტაცია - აწარმოეთ მუდმივი ჩანაწერები თქვენს საქმიანობაზე: რა გამოხმაურებები გაქვთ, ვის მიერ, გაიაზრეთ, რამდენად ახერხებთ მისწვდეთ ადამიანებს, რომლებამდეც გსურდათ თქვენი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიტანა, საიდან და როგორ გაიგეს მათ თქვენი მუშაობის შესახებ, რამდენად სწორია მათი წარმოდგენები თქვენზე, რამდენად ლეგიტიმურად მიაჩნიათ მათ თქვენი ჩართულობა ამ სიტუაციაში.

3. თქვენი სამიზნე - აწარმოეთ ჩანაწერები თქვენი სამიზნე აუდიტორიის/ჯგუფის გამონათქვამებზე თქვენივე ინიციატივის გარშემო; დააკვირდით, არის რაიმე ცვლილებები მათ რიტორიკაში, შეკრიბეთ ისინი და შეინახეთ, დროდადრო გადახედეთ. გაიაზრეთ, უახლოვდებიან თუ არა ისინი თქვენს პოზიციას, იწყებენ თუ არა საუბარს თქვენს ენაზე, იზიარებენ თუ არა თქვენს ფილოსოფიას.

4. თქვენი ურთიერთობები - აწარმოეთ დაინტრესებულ პირებთან (მათ შორის, აუცილებლად, სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან) თქვენი შეხვედრების ჩანაწერები და აღრიცხეთ ამ შეხვედრების სიხშირე. მსჯელობთ მათთან ახალ იდეებზე? თქვენ მათთვის კონფიდანტი ხდებით, მრჩეველი თუ ინფორმაციის წყარო?

5. მედიაზე დაკვირვება - დააჭამეთ მედიის მიერ თქვენს ინიციატივაზე გამოთქმული მოსაზრებები, მათი მოცულობა, გაიაზრეთ ამ მოცულობის ზრდის ტენდენცია, ბალანსი პრო და კონტრ მოსაზრებებს შორის. დაითვალეთ, რამდენჯერ დაგიკავშირდნენ კომენტარის ასაღებად. გააანალიზეთ, იყენებენ თუ არა თქვენს რიტორიკას თქვენივე საადვოკატო თემების გაშუქებისას.

6. საზოგადოებრივ აზრზე დაკვირვება - მუდამ გააანალიზეთ საზო-

გადოებრივი აზრი თქვენი ორგანიზაციისა და საქმიანობის მიმართ. დაითვალეთ, რამდენჯერ მოგიხსენებენ ადამიანები, რა კონტექსტში და როგორი დამოკიდებულებით. თუ ცვალებადია ეს დამოკიდებულება, გააანალიზეთ მიზეზები. დაითვალეთ თქვენს საქმიანობაში მოხალისეობრივად ჩართულობის მსურველთა რაოდენობა, დააკვირდით, იზრდება ის თუ მცირდება? რა არის ამის მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საადვოკატო კამპანიის შეფასება ექვესივე კატეგორიის მიხედვით შეიძლება არ იყოს შესაძლებელი და კონკრეტულ სიტუაციაში მხოლოდ რამდენიმე გამოიყენოთ, ის მაინც შეიძლება მნიშვნელოვანი წინაპირობა აღმოჩნდეს მომავალი წარმატებისა ან მარცხისთვის.

## **დამოკიდებულება შეცდომებისადმი**

შეფასებისას რეალურად ხდება მთავარი: ჩვენ ვაანალიზებთ ჩვენს შეცდომებს. იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს შეცდომებისადმი, შეგვიძლია ისინი ავირიდოთ ან ისევ დავუშვათ.

როგორია თქვენი დამოკიდებულება შეცდომებისადმი? ალბათ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ის აუცილებლად მოგვივა როდესმე. ეს განსაკუთრებით მართალია ისეთი პროფესიების წარმომადგენელთათვის, რომლებსაც საქმე აქვთ მუდმივ ცვალებად გარემოსთან, განსხვავებული მოცემულობის ადამიანებთან სხვადასხვაგვარი პრობლემით, მათ განსხვავებულ დამოკიდებულებებთან ამ პრობლემებისადმი და მათი გადაჭრისათვის განსხვავებულ შესაძლებლობებთან. ამიტომ მთავარია ჩვენ ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ როგორ უნდა ავიცილოთ შეცდომა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა მას დავუშვებთ.

ჩვენს შეცდომებში სხვა არ უნდა დავადანაშაულოთ. მცდარი

ქმედების გამო მიზანს არ უნდა დავშორდეთ. როგორც გვეით ვთქვით, სწრაფად ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია და ისიც, რომ წარმატებას მუდამ შეუცდომლად მივალნიოთ. შეცდომა ახალი გამოსავლის ძიების დასაწყისია და ის ქმედების დასასრულს კი არ წარმოადგენს, არამედ მიზნისაკენ მიმავალი ახალი გზების გააზრების დასაბამია (შატბერაშვილთან 2011).

შესაძლოა, შესანიშნავი კანონები მივიღოთ, მაგრამ განხორციელების ეტაპზე ვნახოთ, რომ ჩანაფიქრისამებრ არ მიდის საქმე. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება სოციალური კეთილდღეობის სფეროში, რადგან ან საკმარისი რესურსები არ გამოიყო ამ ინიციატივის განხორციელებისთვის, ან განხორციელება ადამიანური რესურსების სუბიექტურ ინტერპრეტაციას დაექვემდებარა (პოეფერი, 2016). ამ სფეროში ზოგადად რთულია იყო **სუსტად ობიექტური**, რაც იმას ნიშნავს, „რომ იყო სუბიექტური, მაგრამ ექვემდებარებოდე გარკვეულ ობიექტურ სტანდარტებს“ რომ სუბიექტურია, მაგრამ ექვემდებარება გარკვეულ ობიექტურ სტანდარტებს (ფიცპატრიკი 2011).

ასეთ სიტუაციებში სოციალურ ადვოკატებს კანონმდებლობის მიღების შემდეგ დიდი სამუშაო ელით წინ. ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ პოსტ-საკანონმდებლო პოლიტიკის - შეფასებისა და მონიტორინგის ფაზაში. კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის პროცესი ბუნებრივად თავსდება სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ისეთი დაინტერესებული ჯგუფების, ორგანიზაციებისა და პროფესიების მოვალეობებს შორის, როგორებიცაა მაგალითად, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაცია, შშმ პირთა უფლებების დაცვის კოალიცია, ბავშვთა და ახალგაზრდათა კოალიცია და ა.შ. ვინმეს შეიძლება ამ ტიპის სამუშაოს შესრულება ნაკლებ მიმზიდველად მოეჩვენოს, თუმცა სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაწესება, სამწუხაროდ, ავტომატურად არ გულისხმობს მის დამკვიდრებას და ამიტომაც რეგულირების პროცესი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკის ფორმირების ან კანონშემოქმედებითი პროცესი. პოეფერის აზრით, ეს არა-

სამთავრობო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ფუნქციაა. პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხის მიერ არიან არჩეულნი, თავს ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებლად გრძნობენ. შესაბამისად, მათ მათივე საამომრჩევლო ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებთა პრობლემების წინ წამოწევა აინტერესებთ უფრო (თანაც მათგან საკუთარი უფლებებისთვის ყველაზე მიზანმიმართულად დამცველთა), ვიდრე იმაზე ორიენტირება, რაც არის „სიმართლე“ საუკეთესო პოლიტიკის ფორმირებისათვის (ჰოფფერი, 2012:188).

მიუხედავად იმისა, რომ არაკანონშემოქმედებითი პოლიტიკის კეთება ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის, ის ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გამოკვლეული, განსაკუთრებით, კეთილდღეობის სფეროში, სადაც ცვლილებებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანების ბედსა და მომსახურებებზე. სოციალურ სფეროში ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკის ცვლილება კანონმდებლობის ცვლილებას წინ უსწრებს, მაგალითად, შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ რეიგანის მმართველობის პერიოდში ასეთი პრეცედენტები უხვად იყო, ამის მაგალითები საქართველოშიც გვაქვს.

ბელი და ბელი (1982 ჰოფფერთან, 2012) შემდეგ ოთხ სახელმძღვანელო პრინციპს გთავაზობენ მონიტორინგის ეფექტიანობის ზრდისათვის:

1. იმ პროცესის ცოდნა, რომელიც პოლიტიკის განხორციელების საფუძველია;
2. კანონმდებელთა ნდობის მოპოვება;
3. ბიუროკრატთა წინააღმდეგობისა და მტრული დამოკიდებულების ნეიტრალიზაცია;
4. მოქალაქეთა ჯგუფებთან კავშირების დამყარება და შეხვედრების ორგანიზება.

ველზე მომუშავე პროფესიონალთა მიმართ ხშირად არის

უკმაყოფილება, რომ ისინი გადანყვეტილებების მიღებისას არ ეყრდნობიან მყარ ლოგიკას და ობიექტურ შეფასებებს. ეს, მართლაც, რთულია, რომ იხელმძღვანელო წესით, გაითვალისწინო ინდივიდუალური შემთხვევა და მიიღო სრულიად იდენტური გადანყვეტილება ყოველი იდენტური პრობლემის/დარღვევის მქონე შემთხვევაში. ჰოეფერს (2012) მოჰყავს გზაზე სიჩქარის გადაჭარბების ან რაიმე სხვა დარღვევის მაგალითი. ასეთ შემთხვევებში მკაფიოდ დადგენილი ნორმებია და პასუხისმგებლობის საკითხიც ნათლადაა განვრილი, თუმცა მაინც პოლიციელის ინდივიდუალურ გადანყვეტილებაზე დამოკიდებული, რომელი დამრღვევი გააჩეროს, რომელს გამოუწეროს ჯარიმა, რომელს მისცეს მხოლოდ გაფრთხილება. დარღვევებიც საკმაოდ ბევრია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია საგზაო წესების შესახებ. აქ, რასაკვირველია, მძღოლის დარწმუნების ტექნიკაც დიდ როლს თამაშობს.

ავტორი გვესაუბრება ველის მუშაკთა შესრულების მონიტორინგის აუცილებლობაზე, რომელიც იმის გარანტიას ექმნის, რომ მათ მიერ დისკრეციული უფლებების გამოყენება ემსახურებოდეს სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და არა, პირიქით. ამიტომაც ხშირად გამაღიზიანებელი ინფორმაციის შეგროვების პროცესი გვეხმარება იმის გააზრებაში, ხომ არ ხდება რაიმე ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია. მაგალითად, თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა ან თავშესაფრის მაძიებელმა ძალადობის მსხვერპლმა ან უსახკლარო ადამიანმა მომსახურებისათვის მიმართეს შესაბამის უწყებას, მაგრამ მათგან არც ერთისათვის არ გახდა მომსახურება ხელმისაწვდომი, შესაძლოა, გადამონმმებას დაეწვემდებაროს ფაქტი, იმის გასარკვევად, ხომ არ იყო სისტემა ან კონკრეტული მუშაკი ამ ნიშნით მომსახურების მაძიებელთა მადისკრიმინირებელი.

## მაგალითი განხილვისათვის N13

ამერიკელი კოლეგა უსახლკართა კოალიციაში მუშაობდა ლოს ანჯელესში. კოალიცია საბინაო პრობლემების მქონე ადამიანთა უფლებებს იცავდა.

ორგანიზაციისათვის ცნობილი გახდა, რომ უსახლკარო ადამიანებს უარი უთხრეს კუთვნილ მომსახურებაზე - თავშესაფარზე „უსახლკართა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. არადა, პროგრამა უზრუნველყოფდა უსახლკართათვის თავშეფარს 16 ღამის განმავლობაში.

კოლეგამ, თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავა ამ მანკიერი პრაქტიკის გამოაშკარავების პროტოკოლი. ისინი რეკავდნენ სხვადასხვა სააგენტოებში და თავშესაფრის საჭიროების მქონე ოჯახებს ანსახიერებდნენ. კოლეგებმა ყველა პასუხი ჩაიწერეს და იმ სააგენტოების ხელმძღვანელებს, რომლებმაც არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს, მისწერეს წერილები (ჯენსონი, 2016).

### საშინაო დავალება

1. შეფასების სამი მიდგომიდან, წარმოადგინეთ თითოეულის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევა და დაასაბუთეთ რატომ ვერ გამოიყენებდით მეორე და მესამე მიდგომას ამ კონრეტულ შემთხვევაში?
2. თქვენი აზრით, N13 მაგალითში ნახსენებ წერილში უსახლკართა თავშესაფრების ხელმძღვანელებთან რა ეწერა? როგორ ფიქრობთ, რაიმე უფრო ეფექტიანი გზა ხომ არ არსებობდა უსახლკართა უფლებების ადვოკატობისათვის?

## BIBLIOGRAPHY

Aarons, G. A., & Palinkas, L. A. (2007). Implementation of evidence-based practice in child welfare: Service provider perspectives. *Administration and Policy in Mental Health and Mental Health Services Research*, 34 (4), 411-419.

Abbott, A. (1988). *Professional choices: Values at work*. Silver Spring, MD: NASW Press.

Albert, R. (1983). Social Work Advocacy in the Regulatory Process. *Social Casework*, 64, 473-479.

Bohnke, P. (2008). Are Poor Socially Integrated? The Link Between Poverty and Social Support in Different Welfare Regimes. *Journal of European Social Policy*, 18 (2):133-150.

Boarini, R. (2015). Wellbeing and Quality of Life Reporting at the OECD. In Glatzer, W., Camfield, L., Moller, V., Rojas, M., (eds) *Global Handbook of Quality of Life: Exploration of Well-being of Nations and Continents*. New York: Springer: 747-761.

Bryer, D., & Magrath, J. (1999). New Dimensions of Global Advocacy. *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 28 (4<sup>th</sup> Supp.), 168-177.

Butler, I., Drakeford, M. (2001). Which Blair Project? Communitarianism, Social Authoritarianism and Social Work. *British Journal of Social Work*, 1 (1): 7-19.

Castells, M. (2006). *The Network State and Information Politics*. Poicy Press.

Child Rights Situational Analysis of Children At Risk Of Losing Parental Care & Children Who Have Lost Parental Care, 2012

Cox, L., Tice, C.J., Long, D.D., (2016). *Introduction to Social Work: An Advocacy-based Profession*. SAGE Publications, Inc.

Craig, G. (2002). Poverty, Social Work and Social Justice. *British Journal of Social Work*, 32, 669-682. Davis, K.E. (1993, March/April) The Need for Social Workers to Advocate. *Virginia NASW Newsletter*, 4.

- Dominelli, L. (1997), *Sociology for Social Work*. London: MACMILLAN.
- Freddolino, P.P. (1990). Mental Health Rights Protection and Advocacy. *Research in Community and Mental Health*, 6, 379-407.
- Fitzpatrick, T., (2011). Welfare Theory: An Introduction To The Theoretical Debates In Social Policy. PALGAVE, MacMillan
- Freire, P. (1990). A Critical Understanding of Social Work (M. Moch, Trans.). *Journal of Progressive Human Services*, 1, 3-9.
- Grosser, C.F. (1965). Community Development Programs Serving the Urban Poor. *Social Work*, 7, 15-21.
- Hoefer, R., (2012). Advocacy Practice for Social Justice. LYCEUM Books, INC
- Jaffe, E.D. (1978). On Problems of Loyalty: Who Owns Social Work? *International Social Work*, 21, 38-42.
- Jansson., B.S. (2016). Social Welfare Policy and Advocacy. SAGE Publications, Inc
- Litzelfelner, P., & Petr, C.G. (1997). Case Advocacy and Child Welfare. *Social Work*, 42, 392-402.
- Lourie, N.V. (1975). The Many Faces of Advocacy. In I.N. Berlin (Ed.), *Advocacy for Child Mental Illness*. New York: Brunner/Mazel.
- Maiss, M., & Panticek, P. (2009). Theory with Passion: Ilse Arlt and Current Questions in Social Work, 45-60.
- Netting, F.E., Kettner, P. M., McMurtry S., L. (2008). *Social Work Macro Practice*. New York: Pearson
- Newman, I. (2010). Work as a Route Out of Poverty: A Critical Evaluation of the UK Welfare to Work Policy. *Policy Studies*, 32 (2): 91-108.
- Patti, R.J. (1974). Limitations and Prospects of Internal Advocacy. *Social Casework*, 55, 537-545.



Pearlman, M.H., & Edwards, M.G. (1982). Enabling in the Eighties: The Client Advocacy Group. *Social Casework*, 63 (9), 532-539.

Schneider, R.L., Lester, L., (2001). Social Work Advocacy. Webcom, limited  
 Sherman, W.R., & Wenocur, S. (1983). Empowering Public Welfare Workers Through Mutual Support. *Social Work*, 28 (5), 375-379.

Scheyett, A., Pettus Davis, C., MacCarter, S., Brygham, R. (2012). Social Work and Criminal Justice: Are we Meeting In the Field? *Journal in Teaching in Social Work*, 32:438-450

Journal of Teaching in Social Work, 32:438–450, 2012 Copyright ©Taylor & Francis Group, LLC, ISSN: 0884-1233 print/1540-7349 online DOI: 10.1080/08841233.2012.70524

Journal of Teaching in Social Work, 32:438–450, 2012 Copyright ©Taylor & Francis Group, LLC ISSN: 0884-1233 print/1540-7349 online DOI: 10.1080/08841233.2012.70524

Staub-Bernasconi, S. (2009). Social work as a discipline and a profession. In Leskošek, V. (ed.) *Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspective*. Ljubljana: Faculty of Social Work, University of Ljubljana: 9-30.

Wilks, T (2012). *Advocacy and Social Work Practice*. Open University Press  
 Zaviršek, D., (2009). Can Development of the Doctoral Studies in Social Work Resist the Neo-liberalism Within Academia: Some Comparisons. In Zaviršek, D., Ramon, S. (eds.) *Critical Edge Issues in Social Work and Social Policy: comparative Research Perspective*. Ljubljana: University of Ljubljana, 219-232.

აკობია, ნ., გიგინეიშვილი, ქ., საუთიევა, თ., ბებერაშვილი, ი., მაჭარაშვილი, ნ., ტაბიძე, ნ., თეთრაძე, გ. (2017). ნ. შატბერაშვილის მიერ რედაქტირებულ წიგნში სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ალტერნატიულ მომსახურებებში

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (2015) აჭარისა და გურიის რეგიონებიდან თურქეთში არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შესწავლა

გაეროს ბავშვთა ფონდი (2018). საქართველოს ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა.

გაეროს ბავშვთა ფონდი (2016). სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში.

მახარაძე, თ. (2017). შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - პროექტის გამოცდილებები.

წარმოდგენილი მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე „ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის ინტეგრაცია: გლობალური გამოწვევა“, თბილისი, 2017.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (2017). ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებები.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2017). სოციალური მუშაკის როლი შშმ-თათვის მომსახურების მინორდებაში. ამგარიში მომზადებულია შშმ-თა უფლებების კონვენციის ჩრდილოვანი ანგარიშისთვის.

სახალხო დამცველი (2017). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა: სპეციალური ანგარიში.

შატბერაშვილი, ნ. (2011). სოციალური სამუშაოს სიტუაციური ანალიზი.

შატბერაშვილი, ნ. (2013). სოციალური ადვოკატობა სოციალური მუშაკებისთვის.

შატბერაშვილი, ნ. (2013). სოციალური ადვოკატობა სოციალური მუშაკებისთვის.

შატბერაშვილი, ნ. (2011). სოციალური ადვოკატობა სოციალური მუშაკებისთვის.

შატბერაშვილი, ნ., (2007). სალექციო კურსი საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა. სოციალური მუშაკის როლი სოციალურ ადვოკატობაში.

შალაშვილი, მ., შატბერაშვილი, ნ. (2017). მედიის როლი შშმ-თა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. სოციალური ინკლუზიის პრინციპებზე დაფუძნებული შებენიანი შესაძლებლობების პოლიტიკა.

Чикалова, И.Р. (2006). У Истоков Социальной Политики Государств Западной Европы. Журнал Исследований Социальной Политики 4 (4) 501-524.2.